ალექსანდრე ჯორჯაძე

ქართული ლიტერატურა

ტფილისი

ბესარიონ ჯორბენაძე

ქართული დიალექტოლოგია I

მეცნიერება

თბილისი, 1989

(#5) წინასიტყვა

დიალექტოლოგიური კვლევა ეროვნული ენის შესწავლის ერთ-ერთი ძრითადი შემადგენელი ნაწილია.

დიალექტოლოგიური ანალიზი მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. უწინარეს ყოვლისა იგი იძლევა ამა თუ იმ დიალექტის სისტემურ აღწერას. შემდეგ – შესაძლებელს ხდის უშუალოდ დავაკვირდეთ მეტყველების განვითარების ტენდენციებს, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. ღირსსაცნობია აგრეთვე დიალექტებად დანაწევრების პროცესის წარმოჩენა, დიალექტურ მოვლენათა სალიტერატურო ენასთან მიმართების დადგენა. დიალექტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ მონათესავე თუ არამონათესავე ენათა ურთიერთობის საკითხი ლინგვისტური გეოგრაფიისა და არეალოგიის თვალსაზრისით.

და, რაც მთავარია, დიალექტების საფუძვლიანი შესწავლა საწინდარია საერთო ეროვნული ენის უფრო ღრმად შეცნობისა, მისი ისტორიისა და განვითარების შინაგანი პოტენციის სრულყოფილად წარმოჩენისა.

ქართული ენის დიალექტების შესწავლას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. დიალექტების თავისებურებებით ქართული ენის მკვლევრები ადრევე დაინტერესდნენ (მ. ბროსე, გ. როზენი, რ.. ერკერტი, ჰ. შუხარდტი...), მაგრამ სისტემური, გეგმაზომიერი ხასიათი ქართული დიალექტების შესწავლას მას შემდეგ მიეცა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდგომ კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც დამუშავდა

დიალექტოლოგიური კვლევის პრინციპები, ხოლო დიალექტური მასალის მოპოვება მიზნად დაესახა სპეციალურ ექსპედიციებს.

დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება რამდენიმე ასპექტით წარიმართა: ა) დიალექტების იმანენტური შესწავლა; ბ) ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემატიკის დამუშავება; გ) დიალექტური ლექსიკონების შედგენა; დ) დიალექტების სალიტერატურო ენასთან მიმართების დადგენა და დიალექტიზმების გამოყენება სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად; ე) ქართული ენის დიალექტების ურთიერთობა სხვა ქართველურ ენებთან; ვ) ენის ისტორიის შესასწავლად დიალექტების მონაცემთა გათვალისწინება; ზ) ქართული ენის დიალექტთა კვლევის შედეგების განზოგადება, ქართულ დიალექტებში თავჩენილი მოვლენების საფუძველზე ზოგადთეორიული პრობლემატიკის ჩამოყალიბება...

ქართული ენის დიალექტების სტრუქტურის, ისტორიისა და შემდგომი განვითარების ტენდენციების შესახებ უხვი ლიტერატურა არსებობს. მოპოვებული შედეგები უმეტესწილ ფასეულია და მყარ საფუძველს უქმნის დიალექტების კიდევ უფრო ღრმად შესწავლას.

ქართული დიალექტების შესწავლის არსებულმა ტრადიციამ შესაძლებელი გახადა სისტემური კურსის სახით ჩამოგვეყალიბებინა ქართული დიალექტოლოგიის ძირითადი პრობლემატიკა და ერთი პრინციპის საფუძველზე აგვეგო ყველა საკითხის ანალიზი.

ქართული დიალექტოლოგიის პრობლემატიკის განხილვა იმ სახით, როგორითაც იგი წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში, ერთ-ერთი შესაძლებლობაა და, ამდენად, არ გამორიცხავს ამავე პრობლემატიკის სხვაგვარი პრინციპებით შესწავლას.

(#7) ნაკვეთი პირველი

დიალექტოლოგიის ზოგადი პრობლემები

თავი I

1.1. დიალექტოლოგიის საგანი. დიალექტოლოგია არის ენათმეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს ამა თუ იმ ენის დიალექტებს (კილოებს) ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სტილისტური და სემასიოლოგიური თვალსაზრისით. ზედმიწევნით „დიალექტოლოგია“ ნიშნავს მოძღვრებას დიალექტის შესახებ. სხვაგვარად ასე შეიძლება ითქვას: დისციპლინა, რომელიც ენათმეცნიერული პრინციპებითა და მეთოდებით სწავლობს დიალექტს, არის დიალექტოლოგია. დიალექტოლოგიის მიზანია სრულიად წარმოაჩინოს დიალექტების ენობრივი არსი და განსაზღვროს მათი შინაგანი ბუნება.

1.2. დიალექტის რაობა. „დიალექტი“ ძველბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: „მეტყველება, წარმოთქმა, გამოთქმა, საუბარი, სამეტყველო მანერა, სტილი“, საიდანაც ძველ ბერძნულშივე განვითარდა მნიშვნელობები: „ეროვნული ან ტომობრივი ენა; კილო, კილოური სიტყვა...“ ამიტომაც „დიალექტი“ ზოგჯერ „ენის“ ბადლად გამოიყენებოდა. ამჟამად იგი ენათმეცნიერული ტერმინია და ერთი ენის ფარგლებში პოვნიერი მეტყველების ნაირსახეობას გულისხმობს.

„დიალექტის ზუსტი ქართული შესატყვისია „კილო“

ქართული „კილო“ იმთავითვე გულისხმობდა ამა თუ იმ პიროვნებისათვის, კუთხისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას, გამოთქმას, საუბრის იერს, ელფერს, ინტონაციას, ხმის მიმოქცევას (სიმღერის დროს): „აჭარლები ძლიერ გვანან გურულებს ლაპარაკის კილოთი“ (ი. გოგებაშვილი); „განსჯაში და დარიგებაში ლაპარაკის კილოს დიდი მნიშვნელობა აქვს“ (ი. ჭავჭავაძე); „კილო იმ სიმღერისა არა ჰგავდა არც „სალხინოსა“ და არც „ზარის“ ხმას“ (ა. წერეთელი). აქედან, ბუნებრივია „კილოს“ გამოყენება იმ მნიშვნელობთ, რასაც „დიალექტი“ გამოხატავს.

როგორ უნდა განიმარტოს დიალექტი?

ენა იცვლება დროსა და სივრცეში.

პირველ შემთხვევაში ენის ისტორიასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში – მის დიალექტურ ნაირსახეობებთან (არნ. ჩიქობავა).

(#8) ისტორიული ცვლილებანი ქრონოლოგიური თვალსაზრისით მიემართებიან ურთიერთს, მათთვის დროის თვალსაზრისით თანმიმდევრობაა ნიშანდობლივი. დიალექტური ნაირსახეობებისათვის კი სწორედ დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში თანაარსებობაა დამახასიათებელი. დიალექტურ ნაირსახეობათა ერთობლიობა არის დიალექტი. ერთობლიობა იმას ნიშნავს, რომ დიალექტური ნაირსახეობანი სისტემას უნდა ქმნიდნენ, ანუ: მიზეზ-შედეგობრივი პრინციპის საფუძველზე უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული.

დიალექტი უნდა განიმარტოს, როგორც ამა თუ იმ ენის მეტყველებრივი ნაირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე ან ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიხედვით გვაქვს ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური, პროფესიული დიალექტები.

მეტყველებრივი ნაირსახეობა ნიშნავს ერთდროულად დიალექტებში როგორც იდენტური, მსგავსი, ასევე განსხვავებული ნიშან-თვისებების მქონებლობას. იდენტური, მსგავსი მოვლენები მათი ერთიანობის საფუძველია, განსხვავებულ ნიშან-თვისებათა პოვნიერება მათი გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა.

1.3. ენა და მეტყველება. ენა სისტემაა; ეს ნიშნავს, რომ ენაში ყველაფერი ურთიერთშეპირისპირებულია და ურთიერთგანსაზღვრული. განსხვავებულ ენებს განსხვავებული სისტემები აქვთ. განსხვავებული ფორმობრივი და სემანტიკური სისტემების მქონებლობა არის სხვადასხვა ენის არსებობის მიზეზიცა და საფუძველიც.

ენას ქმნის ფორმობრივ-სემანტიკური ინვენტარის მქონებლობა და ამ ინვენტარის გამოყენების წესები.

ზემოხსენებულის ყოველი კონკრეტული გამოყენება წარმოადგენს მეტყველებას.

ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართება მოიცავს სისტემისა და მისი გამოხატვის, შესაძლებლობისა (პოტენციისა) და მისი მოხმარების (რეალიზაციის) საკითხებს.

სქემატურად ეს ასეთ სახეს მიიღებს:

ენა → მეტყველება

სისტემა → გამოხატვა

პოტენცია → მოხმარება

მეტყევლებით ხდება ენის (ანუ: სისტემის, პოტენციის) ამოქმედება (გამოხატვა, მოხმარება). ერთი და იმავე სისტემის ნაირგვარი გა(#9)მოყენება საფუძველს უქმნის ენობრივი ნაირსახეობების წარმოქმნას. ეს ნაირსახეობები არსებითად წარმოადგენენ კიდეც დიალექტებს.

ამ განმარტების მიხედვით, დიალექტი მეტყველების ფაქტია და არა ენისა. მეტიც: ამ თვალსაზრისით დიალექტია, საერთოდ, ყოველგვარი მეტყველება. ფართო გაგებით ეს მართლაც ასეა. მაგრამ ცნებას „დიალექტი“, ჩვეულებრივ, იყენებენ უფრო ვიწრო მნიშვნელობით. როგორც ითქვა, ესაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ეთნიკურ, სოციალურ ჯგუფში გავრცელებული მეტყველება.

დიალექტი ზეპირი მეტყველებაა. წერილობით ხდება მხოლოდ მისი ფიქსაცია – ან შესწავლის მიზნით (ენათმეცნიერული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული ... თვალსაზრისით), ან ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად (მხატვრულ ლიტერატურაში).

საერთოდ, ზეპირი მეტყველება შეიძლება იყოს სალიტერატუროც (ნორმებს დაქვემდებარებული) და დიალექტურიც (სალიტერატურო ენის ნორმებისაგან თავისუფალი).

დიალექტური მეტყველება პირველადია სალიტერატუროსთან შედარებით.

დიალექტური მეტყველება არ ითვალისწინებს სალიტერატურო ენის ნორმებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ყოველმხრივ შეუზღუდავია ცვლილების თვალსაზრისით, რომ მას არა აქვს თავისი სპეციფიკური ნორმა. სალიტერატურო ენისაგან ის განსხვავებაა, რომ დიალექტის ცვლას, განვითარებას მარტოოდენ შინაგანი, იმანენტური კანონზომიერებანი განაპირობებენ. აქ არ ხდება ხელოვნური ჩარევა, ძალდატანება.

დიალექტოლოგია ამა თუ იმ კონკრეტული ენობრივი სისტემიდან ამოსვლით განიხილავს დიალექტს – როგორც ამ სისტემის კერძო, სპეციფიკურ გამოხატულებას.

1.4. არის თუ არა დიალექტი დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა?

არსებობს დიალექტთა შესწავლის სამი განსხვავებული პრინციპი.

ა) დიალექტი გაიგება, როგორც დამოუკიდებელი, განკერძოებული ენობრივი სისტემა და, აქედან გამომდინარე, ანალიზის საგანი ხდება დიალექტში პოვნიერი ყველა მოვლენა, მიუხედავად იმისა, ეს მოვლენები სხვაობენ თუ არა სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში არსებული მოვლენებისაგან. ანუ: ანალიზის საგანია ისიც, რაც საერთოა სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან, და ისიც, რაც განსხვავებული აქვს დიალექტს.

განვიხილოთ დიალექტი როგორც დამოუკიდებელი სისტემა, ნიშნავს დიალექტი დავაყენოთ ენის დონეზე, გავუთანაბროთ (#10) იგი ენას. მართალია, დიალექტი შეიძლება გადაიქცეს ენად, ანუ: ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ენობრივ სისტემად, მაგრამ ამ დროს იგი თვისებრივად იცვლება – რაოდენობრივი სხვაობანი თვისებრივ სხვაობებად იქცევა. ყოველი დიალექტის სისტემა კი სინამდვილეში იმ ენითაა შეპირობებული, რომლის ნაირსახეობასაც წარმოადგენს იგი.

ნიმუშად მოვიტანთ უღვლილების სისტემის აგების პრინციპს.

გარდამავალი ზმნის პარადიგმები საყრდენი ფუძის განაწილების თვალსაზრისით სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი:

	„წერს“ ტიპი	„მალავს“ ტიპი
აწმყო	წერ-ს	მალ-ავ-ს
მყოფადი	და-წერ-ს	და-მალ-ავ-ს
ნამყო	და-წერ-ა	და-მალ-ა
I შედეგობ.	და-უ-წერ-ი-ა	და-უ-მალ-ავ-ს
II შედეგობ.	და-ე-წერ-ა	და-ე-მალ-ა

	„გმობს“ ტიპი
აწმყო	გმ-ობ-ს
მყოფადი	და-გმ-ობ-ს
ნამყო	და-გმ-ო

I შედეგობ.	და-უ-გმ-ი-ა
II შედეგობ.	და-ე-გმ-ო

პირველ შემთხვევაში ფუძე უცვლელია ყველა პარადიგმაში. მეორე და მესამე შემთხვევებში ორი ფუძე უპირისპირდება ერთმანეთს: თემისნიშნიანი (მალ-ავ, გმ-ობ) და უთემისნიშნო (მალ-, გმ-). სხვაობა ისაა, რომ I შედეგობითი ერთ შემთხვევაში აწმყოს ფუძეს იყენებს (და-უ-მალ-ავ-ს), მეორე შემთხვევაში – ნამყო ძირითადის ფუძეს (და-უ-გმ-ი-ა).

ესაა სამი შესაძლებლობა საყრდენი ფუძეების მიხედვით ქართულში გარდამავალი ზმნების პარადიგმათა განაწილებისა. ამ სახითაა პარადიგმები დაჯგუფებული სალიტერატურო ქართულში. რაც შეეხება დრეკ-ს ტიპის ფორმებს, ფუძეთა განაწილების თვალსაზრისით ისინი მალ-ავ-ს ტიპის ზმნათა პრინციპს იმეორებენ. ოღონდ თემის ნიშნის მქონებლობა-უქონლობის ნაცვლად I და II სერიის ფორმათა დასაპირისპირებლად ფუძის განსხვავებული გახმოვანებაა გამოყენებული (დრეკ-ს:დრიკ-ა). ასევე თავსდებიან ზემოხსენებულ სის(#11)ტემაში ჰ-ვნ-ებ-ს და ს-ტკენ-ს ტიპის ფორმები. სხვაობას იძლევა ის, რომ მყოფადისა და სრული ასპექტის გამოხატვა ხმოვანი პრეფიქსებით ხდება: ა-ვნ-ებ-ს, ა-ტკენ-ს... ა-ვნ-ო, ა-ტკინ-ა...

არც ერთ ქართულ დიალექტში არა გვაქვს პრინციპული სხვაობა ამ თვალსაზრისით. ყველა დიალექტური ნაირსახეობა ზემოდასახელებულთაგან ერთ-ერთს იმეორებს როგორც ფუძის სტრუქტურის, ასევე უღვლილების თვალსაზრისით.

მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში დამოწმებულია წერ-ავ-ს|| წერ-ამ-ს ფორმა, რომელიც, მართალია, პრინციპულად განსხვავდება წერ-ს ფორმის სტრუქტურისაგან, მაგრამ ზედმიწევნით იმეორებს მალ-ავ-ს ტიპის ფორმათა სტრუქტურას. სხვაობა არ სცილდება კონკრეტული ფორმის წარმოებას; ანუ: ამ შემთხვევაში არა გვაქვს რაიმე ახალი, განსხვავებული პრინციპი წარმოებისა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს შენარჩუნებული აქვთ თიბ-ს, ნაყ-ს ტიპის ფორმები ნაცვლად თიბ-ავ-ს, ნაყ-ავ-ს ფორმებისა. სხვაობა აქაც კონკრეტულ ფორმებს შეეხო – წარმოებისა და უღვლილების პრინციპი წერ-ს რიგის ფორმათა ანალოგიურია.

ამრიგად, შესაძლოა კონკრეტულმა ფორმამ იცვალოს წარმოების (უღვლილების, ბრუნების) პრინციპი, მაგრამ თვით ეს პრინციპი ახალი, დამოუკიდებელი კი არ არის,

არამედ საერთოდ დამახასიათებელია იმ ენისათვის. ასე რომ, იცვლება არა საკუთრივ სისტემის შინაგანი მიმართებანი, არამედ კონკრეტული ფორმა ერთი სახის მიმართებიდან უკვე არსებულ მეორე სახის მიმართებაში გადაინაცვლებს.

ძირითადი სხვაობა ქართული ენის დიალექტებს შორის ამ ხასიათისაა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში შეუძლებელია დამოუკიდებელ, თავისთავად სისტემაზე ლაპარაკი, შეუძლებელია ამ ხასიათის ნაირსახეობა ჩაითვალოს დამოუკიდებელ ენობრივ სისტემად.

ბ) დიალექტების განხილვის მეორე პრინციპი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სპეციფიკურ დიალექტურ მოვლენებზე, ანუ: შესწავლის საგანი ხდება ის ფორმები, რომლებიც ფონეტიკურად, გრამატიკულად, ლექსიკურად ან სემანტიკურად განსხვავებულია სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისაგან.

ამის შესაბამისად, დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ კუთხის მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობა.

დიალექტის ამგვარი განსაზღვრა წინააღმდეგობრივია რამდენიმე თვალსაზრისით.

დიალექტი დაიყვანება მხოლოდ თავისებურ ფორმათა ერთბლიობაზე. თავისებური არსებითად გამონაკლისს, განცალკევებულს ნიშ(#12)ნავს. საკუთრივ დიალექტის თვალსაზრისით კი მასში არაფერია თავისებური, გამონაკლისი. თუ დიალექტის შინაგანი რაობიდან ამოვალთ, ყველა ფორმა დიალექტური მეტყევლების ორგანული შემადგენელი ელემენტია და არა თავისებურება.გარდა ამისა, დიალექტური კვლევის დროს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სხვაობის გვერდით იმის ჩვენებასაც, რაა საერთო სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან, რადგან კერძო, განსხვავებული საერთოდან ამოსვლით უნდა იქნეს შეფასებული.

დარღვეულია ობიექტის იმანენტური შესწავლის პრინციპი: დიალექტური თავისებური შეიძლება იყოს მხოლოდ სალიტერატურო ენასთან ან სხვა დიალექტთან მიმართებით (და არა თავისთავად). ეს კი ნიშნავს, რომ საკვლევი ობიექტის რაობა განისაზღვრება სხვა ობიექტიდან ამოსვლით.

დიალექტი განისაზღვრება ისტორიულ-ეთნოგრაფიული ან გეოგრაფიული პრინციპის საფუძველზე (როგორც კუთხური მეტყველების თავისებურება), უნდა განისაზღვრებოდეს კი საკუთვრივ ენობრივი რაობის თვალსაზრისით.

რასაკვირველია, მაშინ, როცა მიზნად შედარებას ვისახავთ, როცა საჭიროა წარმოჩნდეს მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმები, როცა ხაზგასასმელია ის, რაც განსხვავებულია, დასაშვებია რომელიმე დიალექტის განხილვა სალიტერატურო ენის (ან სხვა დიალექტის) პოზიციებიდან, მაგრამ არ შეიძლება ეს იყოს დიალექტის შესწავლის ძირითადი პრინციპი. და, რაც მთავარია, ერთადერთი პრინციპი.

იმავდროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სალიტერატურო ენა არის ნორმირებული, სტანდარტიზებული, გარკვეულად – ხელოვნურობის ნიშნით აღბეჭდილი და, ამდენად, რეგლამენტირებული, შინაგანი დინამიკის გამოვლენის თვალსაზრისით შეზღუდული. ამიტომაც განვითარების ბუნებრივი, თავისთავადი ტენდენციებით დიალექტს ვერ შეედრება. მეტიც: სალიტერატურო ენაში შესაძლოა დამკვიდრდეს ენობრივი სისტემის თვალსაზრისით გაუმართლებელი ფორმებიც. დიალექტში ამგვარი რამ, ჩვეულებრივ, არ გვაქვს.

ერთი ნიმუში ზემოხსენებულის ნათელსაყოფად:

	სალიტერატურო ენა	ქართლური	იმერული
ჩვენ	და-ვ-ი-მალ-ე-თ	და-ვ-ი-მალ-ენ-ი-თ	და-ვ-ი-მალ-ე-თ
თქვენ	და-ი-მალ-ე-თ	და-ი-მალ-ენ-ი-თ	და-ი-მალ-ე-თ
ისინი	და-ი-მალ-ნენ	და-ი-მალ-ნ-ენ	და-ი-მალ-ენ

(#13)

სისტემის შესაბამისად სავსებით გამართლებულია -ნ-ენ ქართლურში (*-ენ-ენ →-ნ-ენ), -ენ იმერულში.

რაც შეეხება სალიტერატურო ენას, აქ ორი დამოუკიდებელი სისტემის კონტამინირებასთან (შერწყმასთან) გვაქვს საქმე, რამაც ხელოვნურად მოგვცა -ნენ პირის ნიშანი.

სალიტერატურო ენის ნორმით -ნენ დაკანონებული ფორმანტია, ენობრივი სისტემის თვალსაზრისით კი – გაუმართლებელი.

გ) დიალექტი განიხილება როგორც ამა თუ იმ ენობრივი სისტემის ნაირსახეობა. ეს თვალსაზრისი მისაღები ჩანს. რამდენიმე ნიმუში ამის დასასაბუთებლად ზემოთაც იყო დასახელებული.

უეჭველი დიალექტიზმებია: ხდ-ილ-ობ-ს, ტყობ-ილ-ობ-ს...

მაგრამ ეს ფორმებიც გარკვეული საერთო წესის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენენ და ამიტომაც ისინი უნდა შეფასდნენ ენის საერთო სისტემიდან ამოსვლით და არა ცალკე, განკერძოებულად. მიმღეობის ფუძისაგან -ობ თემისნიშნიანი ზმნების წარმოება, მართლაც, საკმაოდ პროდუქტიულია ქართული ენის დიალექტებში: ხდ-ილ-ობ-ს, ხმარ-ულ-ოფ-ს, პარ-ულ-ოფს, გონ-ილ-ოფს, ჯერ-ულ-ოფს ტიპის წარმოება მეტნაკლებად ყველა დიალექტშია დადასტურებული. ამ ფორმათა წარმოქმნის მიზეზი ნათელია – იგი მერყეობის შედეგია აწმყოს წარმოებისას. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ დიალექტებისათვის ნიშანდობლივი ფაქტი. თვით სალიტერატურო ენაში ერთმანეთის პარალელურადაა დამოწმებული ი-ღ-ებ-ს და ღებ-ულ-ობ-ს, ი-გ-ებ-ს და გ-ებ-ულ-ობ-ს... ამ შემთხვევაში პარალელურ ფორმებს მნიშვნელობა არსებითად ერთი აქვთ. გვაქვს სემანტიკური განსხვავების ტენდენციაც: ყიდ-ი-ს და ყიდ-ულ-ობ-ს, ი-ნახ-ავ-ს და ნახ-ულ-ობ-ს.

ამდენად, პრინციპი საერთო ენობრივია, ხოლო დიალექტურია რომელიმე კონკრეტული ფორმის წარმოება; ანუ: დიალექტიზნია, მაგალითად, ხდ-ილ-ობ-ს და არა ამ ფორმის წარმოების პრინციპი.

თუ კარგად მოვიძევთ, აღმოჩნდება, რომ დიალექტებში არსებითად არა გვაქვს ფორმათ-თუ სიტყვათწარმოების ისეთი პრინციპი, რომელიც უჩვეულოა სალიტერატურო ენისა თუ სხვა დიალექტებისათვის. დიალექტიზმი მხოლოდ კონკრეტული ფორმის წარმოებაში ვლინდება. სწორედ ეს ნაირსახეობა, ერთი და იმავე შესაძლებლობის, წარმოების საერთო პრინციპების ნაირგვარი გამოყენება უდევს საფუძვლად დიალექტურ მეტყველებას, სწორედ ამგვარ ნაირრსახეობათა ერთობლიობა ქმნის დიალექტს.

ქართულ ენას შესაძლებლობა აქვს ორნაირად აწარმოოს I შედეგობითი (III პირში): -ავ || -ამ ან -ი-ა დაბოლოებით: და-უ-მალ-ავ-ს, (#14) და-უ-ბ-ამ-ს და გა-უ-ზრდ-ი-ა, გა-უ-კეთ-ებ-ი-ა, და-უ-გმ-ი-ა, მი-უ-ცემ-ი-ა ...

დიალექტის ერთ ნაწილში (აგრეთვე – სალიტერატურო ენაში) მეტ-ნაკლებად დაცულია წარმოების ზემოხსენებული პრინციპი.

დიალექტების მეორე ნაწილში I შედეგობითი მთლიანად -ი-ა წარმოებაზეა გადასული: გა-უ-კეთ-ებ-ი-ა, ა-უ-ღ-ი-ა და იმავდროულად: და-უ-მალ-ი-ა, და-უ-ბ-ი-ა ...

დიალექტების მესამე ნაწილში, პირიქით, -ავ სუფიქსიანი წარმოება იკაფავს გზას (ამასთანავე -ი სუფიქსიც გამოიყენება): და-უ-მალ-ავ-(ი-ს) და იმავდროულად: და-უ-ბ-მ-ავ-(ი-ს), გა-უ-კეთ-ებ-ავ-(ი-ს), ა-უ-ღ-ავ-(ი-ს)...

აშკარაა: დიალექტებში I შედეგობითის წარმოების შესაძლებლობათა ნაირგვარ გამოყენებასთან (ვარიაციულობასთან) გვაქვს საქმე და არა რაიმე ახალ, სპეციფიკურ პრინციპთან.

ქართულში სახელთა ბრუნების სისტემა ამ სახითა წარმოდგენილი: სახელობითი -ი, მოთხრობითი -მა, მიცემითი -ს, ნათესაობითი -ის, მოქმედებითი -ით, ვითარებითი -ად, წოდებითი -ო. ესაა მორფოლოგიური სისტემა, რომელიც იმთავითვე შეიცავს გარკვეული მოდიფიკაციების შესაძლებლობას.

კერძოდ, შესაძლოა: ა) ფონეტიკურად იცვალოს სახელობითი ბრუნვის ნიშანი: –ი→ -ჲ , -ი → **ǐ**; ბ) ფონეტიკურად იცვალოს მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი: -მა → -მ – როგორც თანხმოვანზე, ასევე ხმოვანზე ფუძედაბლოებულ სახელებთან; პირველი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისთვისაა ნიშანდობლივი (კაც-მ), მეორე – საერთო ქართული მოვლენაა (დედა-მ); გ) ფონეტიკურად იცვალოს მიცემითი ბრუნვის ნიშანი: -ს → 0 (კახურში – თანხმოვანზე ფუძედაბლოებულ სახელებთან: კაც უთხრა „კაცს უთხრა“), -ს →
-ჲ (კახურში - ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: დედაჲ უთხრა „დედას უთხრა“), -ს → -ჰ (მესხურში – ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: დედაჰ უთხრა „დედას უთხრა“), -ს → -ც (გურულში – ლ სონანტზე დაბოლოებულ ფუძეებთან: სულც უბერავს „სულს უბერავს“) და ა.შ. დასაშვებია ბრუნვის ფორმათა სემანტიკური შენაცვლებაც: პირველას „პირველად“ და მისთ.

ესაა თვით ქართული ენის ბუნებიდან მომდინარე მოვლენა, განხორციელება იმ შესაძლებლობისა, რომელიც თვით ამ კონკრეტული მორფოლოგიური სისტემითაა შეპირობებული. იმავდროულად ამ მოვლენას აქვს თავისი აკრძალვებიც. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა სახელობითის -ი → -ჲ (ძმა-ი → ძმა – ჲ), არ დაიშვება მიცემითის(#15)-ს → -ჲ; და, პირიქით, თუ მიცემითის -ს → -ჲ (დედა-ს → დედა-ჲ), მაშინ სახელობითში -ი → – ჲ გამოირიცხება; ანუ გვექნება:

	I	II	III
სახელობითი	დედა	დედა-ჲ	დედა -(ი)
მოთხრობითი	დედა-მ	დედა-მ	დედა-მ
მიცემითი	დედა-ს	დედა-ს (|| -ჰ)	დედა-ჲ

ბუნებრივია: თუკი ერთსა და იმავე სისტემაში განხორციელდებოდა -ი → -ჲ და -ს → -ჲ, მოხდებოდა სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმათა აღრევა.

ასე რომ, აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე მორფოლოგიური სისტემის სამ ნაირსახეობასთან (რაც ამ შემთხვევაში შეპირობებულია ფონეტიკური ფაქტორებით).

დიალექტები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ამ ნაირსახეობათაგან ერთ-ერთს ამკვიდრებენ (მაგალითად, II სისტემა მოქმედებს მესხურში, III სისტემა – კახურში).

რა თქმა უნდა, საკითხი ყოველთვის ასე მარტივად არ გადაწყდება. ფონეტიკურთან ერთად გასათვალისწინებელი ხდება სემანტიკური ფაქტორებიც. მაგალითად, მესხურში არის როგორც „დედა“, ასევე „დედა-ჲ“. პირველი საზოგადო სახელია, მეორე საკუთარ სახელთან გატოლებული ფორმა (საკუთარ დედაზე იტყვიან). ძველი ქართულის საპირისპირო ვითარებაა. მაგრამ ამგვარი სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველის შინაგანი შესაძლებლობითაა შეპირობებული. კერძოდ, სახელობითი ბრუნვის მქონებლობა-უქონლობით ერთმანეთისაგან განირჩევა საზოგადო და საკუთარი სახელი. ესაა თვისებრივი მოვლენა. რაოდენობრივად კი იგი ორი მოდიფიკაციითაა გამოხატული: ან საზოგადო სახელია ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი და საკუთარი სახელი ბრუნვის ნიშნის გარეშე, ან, პირიქით, საზოგადო სახელს ბრუნვის ნიშანი არ ახლავს, საკუთარ სახელს კი დაერთვის. ანუ: ბრუნვის ნიშნის მქონებლობა-უქონლობით საზოგადო და საკუთარ სახელთა გარჩევა თვით ენობრივი სისტემითაა შეპირობებული, ხოლო ისტორიულ ან დიალექტურ ნაირსახეობებს ქმნის განაწილების პრინციპი. ამიტომაც არაა მოულოდნელი, რომ მორფემათა ერთი და იმავე ვარიანტების ურთიერთსაპირისპირო განაწილება ერთსა და იმაევ შედეგს იძლევა სემანტიკური თვალსაზრისით.

ნიმუში ფონეტიკუდან: და-ე-მართ-ა → დე-ე-მართ-ა → დი-ე-მართ-ა. ამ ხასიათის ფონეტიკური ცვლილება, მომხდარი ასიმილაცია-დისიმილაციის საფუძველზე, არის ქართული ენის შინაგანი შესაძლებლობა.(#16) ცვლილებას ამ შემთხვევაში ორი საფეხური აქვს: ასიმილაცია (დე-ე-მართ-ა) და დისიმილაცია (დი-ე-მართ-ა). ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, ასევე იმერულში ასიმილაციის საფეხურია გამოხატული, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (იმერულის გამოკლებით) პროცესი, ჩვეულებრივ, უფრო შორსაა წასული, დისიმილაციის საფეხურია დამოწმებული. უეჭველია, რომ აქაც საქმე გვაქვს საკუთრივ ვარიაციულობასთან (ერთი და იმავე პროცესის ნაირსახეობებთან) და არა რაიმე განსხავებულ პრინციპებთან.

რასაკვირველია, ზემოხსენებული არ გამორიცხავს იმას, რომ ამა თუ იმ დიალექტში შესაძლოა განსხვავებული პრინციპიც იქნეს გამოყენებული. ამის ნიმუშია, ვთქვათ, მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღნიშვნის წესი ქართული ენის დიალექტებში:

მათ ის
- I. ა-ქვ-ი-ს (ხევსურული...)
- II.
  - ა-ქვ-თ (ქართლური ...)
  - ა-ქვ-ენ (გურული...)
  - ა-ქვ-ან (აჭარული...)
  - ა-ქვ-ს-ყე (ნ); (რაჭული, ქვემოიმერული...)

გამოყენებულია ორი განსხვავებული პრინციპი: ა) მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა არ აღინიშნება; ბ) მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღნიშვნა ხდება, მაგრამ თვით აღნიშვნის ნაირგვარი ვარიანტი გვაქვს (-თ, -ენ, -ან, -ყე).

პირველი პრინციპი (აღუნიშვნელობა) ისტორიულად ნიშანდობლივი მოვლენაა ქართულისათვის: ძველ ქართულში სწორედ ეს წესი მოქმედებდა განუხრელად. ასე

რომ, სინქრონულ დონეზე დიალექტების მიხედვით განსხვავებული პრინციპიც ისტორიულად (დიაქრონიულად) ისევ და ისევ ენის ბუნებითაა შეპირობებული.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: დიალექტი არის საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა. ხაზგასასმელია: ეროვნული და არა სალიტერატურო ენის ნაირსახეობა, რადგან სალიტერატურო ენა თვით არის ეროვნული ენის ნაირსახეობა. უკეთ: საკუთრივ ამ ნაირსახეობათა ერთობლიობა წარმოადგენს კიდეც ეროვნულ ენას. ამიტომაც დიალექტი სწორედ ამ ერთიანი ეროვნული ენის პოზიციიდან უნდა იქნეს შესწავლილი.

(#17)

ენა დინამიური სისტემაა. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის მოგვცემს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ კერძო ნაირსახეობას. ენათმეცნიერებამ შესაბამისად უნდა განიხილოს ეს ფაქტი. ენის შესწავლა მისსავე დინამიკაში ვარაუდობს დიალექტური მოვლენების განხილვას ერთი სისტემის ვარიაციულობის, ანუ: ნაირსახეობის დონეზე. ენისადმი სტატიკური მიდგომა კი განაპირობებს დიალექტების მიჩნევას დამოუკიდებელ სისტემებად.

იმავდროულად უნდა განირჩეს კვლევის ორი სფერო.

პირველი: დიალექტების მეცნიერული შესწავლის სფერო, როცა დიალექტი განიხილება საერთო ეროვნული ენის პოზიციიდან ამოსვლით და არ უპირისპირდება სალიტერატურო ენას. ამგვარი კვლევა მიზნად ისახავს ენის შინაგანი ბუნების გამოვლენას.

მეორე: ნორმატიული ენათმეცნიერების სფერო, რომლის მიზანია საერთო მოხმარების ენობრივი სტანდარტის გამომუშავება, ანუ: გარკვეულ ეპოქაში მოქმედი სალიტერატურო ენის დამკვიდრება. ამ შემთხვევაში სალიტერატურო ენა, როგორც ნორმირებული და სავალდებულო, უპირისპირდება დიალექტებს. დიალექტი განიხილება მხოლოდ სალიტერატურო ენის პოზიციიდან, მასთან მიმართების თვალსაზრისით.

1.5. ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენა ქართული ენის დიალექტებში. ერთი და იგივე მნიშვნელობა ენაში შესაძლებელია სხვადასხვაგვარად გამოიხატოს. ეს სხვადასხვაობა შეიძლება გულისხმობდეს გამოხატვის ნაირგვარ საშუალებებს: გა-მ-ი-გონ-ი-ა მნიშვნელობით იგივეა, რაც „გაგონილი მაქვს“,მ-ე-რიდ-ებ-ა იგივეა, რაც „

მე მისი რიდი მაქვს“, სენ-ი – იგივე, რაც სნ-ეულ-ებ-ა, უ-ყვარ-ს – იგივეა, რაც ჰ-ყვარ-ობ-ს, და-ა-წერ-ინ-ა – იგივე, რაც „აიძულა დაეწერა“ და ა.შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ენის შინაგანი შესაძლებლობითაა შეპირობებული. ასევე ერთსა და იმავე მნიშვნელობებს გამოხატავს „მიდის თურმე“ და „მინავალა“, „წერდა ხოლმე“ და „წერდის“, „ჩეხს“ და „ჩეხავს“ და მისთ.

ნაირგვაროვნება გამოხატვის ერთი და იმავე საშუალების სახესხვაობებსაც გულისხმობს (ფონეტიკურსა თუ მორფოლოგიურს): მალ-ავ-დ-ა || მალ-ევ-დ-ა || მალ-ვ-იდ-ა, ა-კეთ-ებ-ს || ა-კეთ-ამ-ს, მათ უ-ყვარ-თ || უ-ყვარ-ს-ყე.

გვაქვს სამი შესაძლებლობა:

ა) პარალელური ფორმები ფუნქციონირებენ ერთდროულად ერთსა და იმავე ენობრივ კოლექტივში როგორც გამოხატვის სტილისტური ნაირსახეობანი: გამიგონია – გაგონილი მაქვს.

(#18)

ბ) პარალელური ფორმები ისტორიულად ენაცვლებიან ერთმანეთს: იყო წერ-დ-ი-ს, არის – წერდა ხოლმე, ამ რიგისაა: და-უ-წერ-ი-ე-ს → და-უ-წერ-ი-ა, ი-მალ-ებ-ი-ს → ი- მალ-ებ-ა.

გ) პარალელური ფორმები ფუნქციონირებენ ერთდროულად, ოღონდ სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში: მალ-ავ-დ-ა, მელ-ევ-დ-ა და მალ-ვ-იდ-ა, წერ-დ-ი-ს და წერდა ხოლმე.

ზოგიერთი ფორმა შესაძლოა სხვადასხვა ჯგუფში მოხვდეს. მაგალითად, თუ თანამედროვე სალიტერატურო ენის პოზიციიდან ამოვალთ, წერ-დ-ი-ს ფორმა, განხილვის მიზანდასახულების შესაბამისად, ორგვარად განიმარტება:

ა) ენის ისტორიის თვალსაზრისით, ეს არის ძველი ქართულის კუთვნილი ფორმა, არქაიზმი თანამედროვე ქართულისათვის;

ბ) ამჟამინდელი ვითარების მიხედვით, იგივე ფორმა უკვე დიალექტიზმია, დამოწმებული ხევსურულში, თუშურში, ფშაურში...

რა თქმა უნდა, დიალექტოლოგიას აინტერესებს ის ფორმები, რომლებიც ფუნქციონირებენ ერთდროულად, ოღონდ სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში.

ენაში, დიალექტში არ არსებობს ისეთი რამ, რაც თვით ენის შინაგანი შესაძლებლობით არ არის შეპირობებული („ნებადართული“). ის, რომ, ვთქვათ, განგრძობითი ნამყო უსრულის გამოსახატავად ქართულში სამი ფორმობრივი

ნაირსახეობა იპოვება (მალ-ავ-დ-ა, მალ-ევ-დ-ა და მალ-ვ-იდ-ა), განისაზღვრება ქართული ენის ბუნებით, ფორმათწარმოების შინაგანი კანონზომიერებით. სამივე ხსენებული ფორმა არის ერთი ინვარიანტის ნაირსახეობა, ამ ნაირსახეობათა ფუნქციონირება სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში განაპირობებს სამი სხვადასხვა დიალექტის არსებობას.

შესაძლებლობა ენის ფაქტია, მისი მუდმივი (პერმანენტული) თვისება.

ამ შესაძლებლობის გამოვლენა (გამოხატვა) ხდება მეტყევლებაში, ჩვენს შემთხვევაში – დიალექტურ მეტყველებაში.

1.6. ერთგვაროვანი მოვლენების ნაირგვარი შეპირობებულობა დიალექტებში. სხვადასხვა დიალექტში ხშირად გვხვდება იდენტური ფორმები, მაგრამ მათი პოვნიერება ყოველთვის არ არის ერთი და იმავე მიზეზის შედეგი. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ შა- და მა- ზმნისწინები ქართული ენის დიალექტებში. ეს ზმნისწინები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (დასავლეთ საქართველოში – უპირატესად ზემოიმერულში). შედეგი ერთი და იგივეა, (#19) მაგრამ მათი გამოყენების პრინციპი დიალექტების მიხედვით არსებითი სხვაობით ხასიათდება.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (ხევსურულში, ფშაურში, ქართლურში, კახურში...) მა- გამოიყენება ა-, ი-, უ-, ჲ-, მ- პრეფიქსების წინ: მა-ა-ყრ-ი-ან, მა-ი-ტან-ს, მა-უ-არ-ა, მა-ჲ-კლ-ავ-ს, მა-მ-კლ-ავ-ს (გ. ცოცანიძე). სხვა შემთხვევებში, ჩვეულებრივ, გვხვდება მო- ან მე- (ასიმილაციით ე- პრეფიქსის წინ: მე-ე-წონ-ა ← მო-ე-წონ-ა). განაწილების სხვადასხვაობა ზოგჯერ პირების მიხედვითაც იჩენს თავს:

I პირი	მო-ი-წერ-ე	მა-მ-წერ-ა
II პირი	მა-ი-წერ-ე	მო-გ-წერ-ა
III პირი	მა-ი-წერ-ა	მა-ჲ-წერ-ა

ზემოიმერულში კი მა- მხოლოდ პირველი ობიექტური მ- ნიშნის წინაა დადასტურებული: მა-მ-ე-ც-ი, მა-მ-ი-ვიდ-ა, მა-მ-კიდ-ა (ქ. ძოწენიძე, კ. კუბლაშვილი).

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში შა- ძირითადი ვარიანტია (გ. ცოცანიძე, ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი). ზემოიმერულში იგივე ზმნისწინი, როგორც წესი, გამოყენებულია რთულ (შედგენილ) ზმნისწინში: შამო-უ-რბინ-ა, შამო-ხვთ-ა, შამო-ა-ქცი-ა (ქ. ძოწენიძე). ანალოგიური ვითარებაა გურულშც: შამე-ი-ტან-ა ← შემო-ი-ტან-ა. ა- პრეფიქსის წინ შა- დასტურდება აჭარულში: შა-ა-შინ-ა, შა-ა-ბრუნ-ა (კ. კუბლაშვილი); აქვე დასტურდება შამო-: შამო-კრ-ეს (შ. ნიჟარაძე).

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე მა-, შა- ფორმანტების პოვნიერება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტებში არ არის საკმარისი პირობა მათი ტიპობრივი გათანაბრებისათვის. ამ ფორმანტების (ზმნისწინების) ქმედება (მოქცევა) და განაწილება ნაირგვარია დიალექტური რეგიონების მიხედვით, რაც ნათლად წარმოაჩენს მათ განსხვავებულ შეპირობებულობას; ანუ: მსგავსი სტატუსი ყოველთვის არ გულისხმობს იდენტურ მიზეზს. ენობრივი ელემენტისათვის კი არსებითი სწორედ მისი ქმედება და თვისებაა, სწორედ ეს პრინციპები ედება საფუძვლად მის ანალიზსა და კლასიფიკაციას.

1.7. ენის ისტორიული და დიალექტური ნაირსახეობების ურთიერთმიმართებისათვის. როგორც უკვე ითქვა, ენა იცვლება დროსა და სივრცეში. ცვლილების დროითი (ისტორიული) და სივრცითი (დიალექტური) კანონზომიერებანი ზოგჯერ თანხმდება ერთმანეთს, ხშირად სხვაობს კიდევაც.

ფონეტიკური ცვლილების თვალსაზრისით საერთო ქართული მოვლენაა: აღ-იღ-ო → ა-ი-ღ-ო → ე-ი-ღ-ო → ი-ი ღ-ო → **ī**-ღ-ი. ამათგან (#20) ე-ი-ღ-ო წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს დიალექტების უმეტესობაში, ი-ი-ღ-ო ქვემოიმერულის ერთ-ერთ თქმაში არის დადასტურებული, ხოლო **ī**-ღ-ო (ამ სახით: īy-ღ-û) თუშურშია გავრცელებული.

ყველა ეს ფორმა ერთი ამოსავალი ინვარიანტის ნაირსახეობას წარმოადგენს.

იმავდროულად შეუძლებელია ამ ნაირსახეობათა განხილვა ერთ დონეზე:

ა) აღ-ი-ღ-ო → ა-ი-ღ-ო ქრონოლოგიურად (დროის თვალსაზრისით არის განსხვავებული; ანუ: ქრონოლოგიური (ისტორიული) ნაირსახეობანია ერთურთის მიმართ.

ბ) ა-ი-ღ-ო → ე-ი-ღ-ო → ი-ი-ღ-ო → **ī-ღ-ო** (īy-ღ-û) სივრცული (ტერიტორიული) განაწილების მიხედვითაა განსხვავებული.

მაშასადამე, პირველ შემთხვევაში ქართული ენის განვითარების ორი საფეხურია დაიპრისპირებული, მეორე შემთხვევაში – განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე სივრცული (ტერიტორიული) განაწილების მიხედვით გვაქვს დაპირისპირება; ანუ: მოგვეპოვება ორი სხვადასხვა პარამეტრი:



აღინიშნა, რომ ცვლილების ისტორიული და დიალექტური კანონზომიერებანი ზოგჯერ შესაძლოა თანხვდეს ერთმანეთს. დავასახელებთ ამის ერთ ნიმუშს.

ცნობილია: ძველ ქართულში მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა არ აღინიშნებოდა ზმნაში. ახალ ქართულში ვითარება შეიცვალა: აღნიშვნა, ჩვეულებრივ, ხდება. ამრიგად, გვაქვს:

ძველი ქართული: მათ ა-ქუ-ს

ახალი ქართული: მათ ა-ქვ-თ.

დაპირისპირება ქრონოლოგიურია.

(#21)

იგივე დაპირისპირება სივრცული თვალსაზრისითაც იჩენს თავს: ხევსურულში, თუშურში... მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა, როგორც წესი, ზმნაში არ აღინიშნება:

ხევსური, თუშური: მათ ა-ქვ-ი-ს

ქართლური, კახური: მათ ა-ქვ-თ.

ერთმანეთს დაემთხვა ისტორიული და დიალექტური პრინციპები.

იმავდროულად მიცემითბრუნვიანი სახელის მრავლობითობის აღნიშვნა ზმნაში სხვადასხვა საშუალებით ხდება: მათ ა-ქვ-თ (ქართლური, კახური...) || ა-ქვ-ენ

(გურული, ქვემოიმერული...) || ა-ქვ-ს-ყე(ნ) (ფერეიდნული, გარეკახური, ქვემოიმერულის ვანური ქცევა, რაჭული...). ეს ნაირსახეობანი, რა თქმა უნდა, წმინდა დიალექტურია. ასე რომ, ქრონოლოგიური და სივრცული ნაირსახეობანი საკმაოდ რთულ ურთიერთმიმართებებს ქმნიან.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ქრონოლოგიური და სივრცული ნაირსახეობანი ფორმობრივ ერთმანეთს ემთხვევა, სემანტიკურად კი განსხვავებული არიან. ამის ნიმუშად ზემოთ დასახელებული იყო საზოგადო და საკუთარ სახელთა დაპირისპირების პრინციპი ძველ ქართულსა და მესხურში.

1.8. ისტორიული დიალექტოლოგია. როგორც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზით წარმოჩნდა, დიალექტური ნაირსახეობანი ზოგჯერ ისტორიულადაა შეპირობებული. ამიტომაც ენის ისტორია და დიალექტოლოგია მჭიდროდ დაკავშირებული დისციპლინებია. იმავდროულად დიალექტური ნაირსახეობების საკითხი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის მიმართაც დაისმის. დიალექტური დიფერენცირება ახასიათებდა V… XII… XVIII, XIX საუკუნეების ქართულს. ამ დიფერენციაციის წარმოჩენა და შესწავლა ისტორიული დიალექტოლოგიის მიზანს შეადგენს.

დიალექტიზმების გამოვლენა ძველი ქართული ენის ტექსტებში მრავალი თვალსაზრისითაა საყურადღებო. მათგან უმთავრესია:

ა) ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და ისტორიული დიალექტების ურთიერთმიმართება;

ბ) სალიტერატურო ენაში დიალექტიზმების ინტენსიური შემოსვლის პერიოდის დადგენა

გ) სალიტერატურო ენაში დიალექტიზმების შემოსვლის მიზეზები;

დ) გარკვევა იმისა, თუ რომელი დიალექტი ჰქონდა საფუძვლად ძველ ქართულ სალიტერატურო ენას და ხდებოდა თუ არა სალიტერატურო ენის საფუძვლად გამოყენებული დიალექტის შეცვლა სხვა დია(#22)ლექტით, ანუ: დასადგენია, თუ რომელი დიალექტები ედებოდა საფუძვლად სალიტერატურო ენას მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

ე) რა ხასიათის (ჟანრის) თხზულებებში იჩენს თავს ჭარბად დიალექტიზმები და რაა ამის მიზეზი...

ის, რომ ქართულ ენას განვითარების ყველა საფეხურზე დიალექტური დიფერენციაცია ახასიათებდა, ქართული ენის ძეგლებში ამის თაობაზე პირდაპირი მინიშნებებია. მოვიტანთ ორიოდე ნიმუშს, გამოვლენილს ზ. სარჯველაძის მიერ. XI და XII საუკუნეების ქართველი მწიგნობრები ზედმიწევნით განასხვავებენ სალიტერატურო და დიალექტურ ფორმებს, სავსებით გააზრებულად ცდილობენ დაიცვან სალიტერატურო ენის სიწმინდე. ამითაა შეპირობებული ის კომენტარები, რომლებიც ამა თუ იმ სიტყვის გამოყენებას ეხება. მაგალითად, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანში ლექს-ი სიტყვას ეფრემ მცირე ასეთ განმარტებას ურთავს: „შეისწავე, ვითარმედ ლექსი ღრმასა სიტყვასა ჰქჳან წიგნურსა, რომელსა ს ო ფ ლ უ რ ა დ (ანუ: დიალექტურად) ნაცვალი სხუაჲ აქუნდეს“. „ასკეტიკონის“ თარგმანს ეფრემ მცირე შენიშვნას ურთავს: „შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას **მედგარსა** ორი სახე აქუს: წიგნურად (ანუ: სალიტერატურო ენაზე) **მცონარესა** უჴმობს მედგარსა, ხოლო სოფლურად (ანუ: დიალექტურად) **მზაკუარსა** ჰქჳან მედგარი თჳთ ქართულსა ენასა ზედა“. შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო კომენტარი ეფრემ მცირისა: „გარნა უწყიმთცა, თუ რომელთა წიგნთაჲ ეგების კაზმვაჲ, ანუ რომელთაჲ უღონოჲ არს, რამეთუ იპოოს თუ „ცხორებაჲ“ ანუ „წამებაჲ“ ანუ რაჲცა-რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ სოფლურითა და უშუერითა სიტყჳთა აღწერილი, მას სიტყჳთ განაშუენებენ, გარდაჰკაზმავენ და მეტაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკაზმული“. აქ ვლინდება, საერთოდ, იმ (და მოგვიანო) პერიოდისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულება დიალექტური მეტყველებისადმი: დიალექტი მდაბიოთა დამახინჯებულ ენად მიიჩნეოდა.

გვაქვს მინიშნება კონკრეტულ დიალექტზეც: „ანდრია სალოსის ცხორების“ გადამწერი შენიშნავს: „ღმერთმან უწყის, რაჲცა ჩემისა უმეცრებისგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირვე. მაგრა დედაჲ ოდიშს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდა“. ეფრემ მცირე მის მიერ ქართულად გადმოღებულ სამოციქულოს ასეთ კომენტარს ურთავს: „შეისწავე, რამეთუ ამას სჳნოღოროსსა, რომელ არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქჳან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“. ბასილი საჲთური მის მიერ გადაწერილ კრებულზე დართულ ანდერძში აღნიშნავს: „დედასა შინა „მუნქუესვე“ დიად ეწერა და მისად ნაცვლად „მეყსეულად“ დამიწერია და „ამარზა(#23)კისა“ ნაცვლად „მყის“. და ამისთჳს მესხთაცა შემინდევით. ენასა ქართველთასა ესე უკეთუ მოეგუარების“. ანუ:

გადამწერი“მუქუესვე“ და „ამარზაკ“ ფორმებს მესხიზმებად თვლის და მათ სხვა შესატყვისით ცვლის. არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი დოგმატიკონის ერთ-ერთ ხელნაწერში ასეთი შენიშვნაა: „ლექსი კახური თჳს-ეყვის კბილთა: იკრეკ წინათა, იღრჭენ შუათა და იკრჭენ უკუანათა“, ე.ი. განმარტებულია იმჟამინდელ კახურ დიალექტში პოვნიერი იკრეკ, იღრჭენ და იკრჭენ ზმნების მნიშვნელობები.

ამ მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ძველ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს სავსებით გააზრებული ჰქონდათ დიალექტური ნაირსახეობების არსებობა ქართულში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ვახუშტი ბატონიშვილის მინიშნებები საქართველოს ცალკეულ მხარეთა მეტყველების ზოგ თავისებურებაზე. ქართველობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი (სარწმუნოებასთან ერთად) ვახუშტი ბატონიშვილისათვის ენაა: „კაცნი და ქალნი... ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა“ – აღნიშნავს იგი ჰერეთის, კახეთისა და კუხეთის აღწერისას. ან: „სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა“ – წერს თუშეთის აღწერისას. მასვე შენიშნული აქვს ქართული მეტყველების ზოგი ნაირსახეობა, რომელიც საქართველოს ამა თუ იმ კუთხისთვის იყო დამახასიათებელი. სამცხე-საათაბაგოს შესახებ შენიშნული აქვს: „კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი“. იმერლებს ასე ახასიათებს: „სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსარებელნი, არამედ უცქჳტესად მოუბარნი“.გურიის აღწერისას ნათქვამი აქვს: „კაცნი და ქალნი... ენატკბილმოუბარნი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხჳსა. აქ ყურადღებას იქცევს ორი რამ, შენიშნული ვახუშტი ბატონიშვილის მიერ: ჯერ ერთი, გურულის სიახლოვე წიგნის ენასთან (ანუ: ძველ ქართულთან); მეორეც, გურულისავე კავშირი მესხურთან, რომელიც ასევე ინარჩუნებდა „წიგნის ენის“ იერს.

ღირსსაცნობია სამეგრელოს, ჭანეთისა და სვანეთის აღწერის ის მონაკვეთები, სადაც ვახუშტი ბატონიშვილი ადგილობრივი მოსახლეობის ენას ეხება.

ოდიში (სამეგრელო: „ენით არიან – დიდნი და წარჩინებულნი – ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თჳსითა ენა, გარნა წამჴდარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი – ღორონთი, ჩემი – ჩქიმი“.

ჭანეთი: „სარწმუნოებითა აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი, არამედ იციან კუალად ქართული ენა ვიეთთამე“.

(#24) სვანეთი: „ენა თჳსი აქუსთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“. შდრ. აფხაზეთის აღწერისას ნახსენები: „ენა საკუთარი თჳსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინბულთა ქართული“.

ყურადღებას იქცევს ხაზგასმით აღნიშვნა მეგრულის მიმართებისა ქართულთან. დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი იმდროინდელი ვითარებითაა შეპირობებული.

არსებითი ღირებულებისაა ასეთი დანასკვიც: „რაოდენნი ქუეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით – მთათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი – საქართველოსანი, გარნა თუ აქუთ ზოგთა ენა სხუა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს, თჳნიერ ქართულის წიგნისა საკუთრად”.

ფაქტი ნათლად წარმოჩენს ქართულ კილოებზე მწიგნობრობის მეტ-ნაკლებ ზეგავლენას. იმავდროულად იგი გარკვეულად შემაკავებელი ძალაც იყო, რომელიც იცავდა დიალექტს მეტისმეტი გათავისებისაგან.

ვახუშტი ბატონიშვილი ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოგვცემს სხვა ხალხთან ქართველების ისტორიული კონტაქტების შესახებ ცნობებსაც. ოსეთის აღწერისას იგი ამბობს: „ენა აქუთ ძუელი, დუალური და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინაჲთგან ჩერქესთა ენა სხუა არს. ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსლველთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზსა შინა მსლველთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჯაღათასი“. ვახუშტის დაზუსტებული აქვს ის გზებიც, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა ასეთ კონტაქტები: ოსეთიდან, აღნიშნავს იგი, „გარდავალს გზა რაჭას, ღებს და ლუხუნზედ“.

დიალექტიზმები სამწერლობო ენის ფორმათაგან მკაცრად გამიჯნულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც. ნიმუშად – რამდენიმე მაგალითი: „მარტჳლი – ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრმას(ა) უწოდენ“; „სვლა – გლეხურია, სლვა უნდა“; „ტაბუხი – მუჴლის-თავი გლეხურად“; ჟარე – იარე მესხურად“...

ჯერ კიდევ 1920 წელს ა. შანიძე წერდა: „ძველი სალიტერატურო ენა, რომელიც შორიდან და ზერელე გადათვალიერებით ერთ მთლიან მონოლითად გვეჩვენება, ახლოს რომ დავაკვირდით და გულდასმით გადავსინჯეთ, ერთგვარი მასალისაგან ნაშენები არ აღმოჩნდა. მასში, სხვათა შორის, გვარიანი ადგილი სჭერია ანომალიებს, რომელთაგანაც ზოგი განვითარებულია თვით იმ კილოს ნიადაგზე, რომელიც საფუძვლად უძევს ძველ სამწერლო ენას, მაგრამ ზოგი სხვა კილოებისაგან

შემოტანილი ჩანს“. ე.წ. ხანმეტი და ჰაემეტი ფორმები, ა. შანიძის (#25) აზრით, ერთმანეთის მიმართ დიალექტური ფორმებია“ : განსხვავება ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე.ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს...“

გ. როგავას ვარაუდით, მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირის ნიშნად ქართულ ზმნებს უნდა ჰქონოდათ ლარინგალურ-ფარინგალური ჰ- სპირანტი, რომესაც ზოგი ლიტერატურული სკოლა გამოხატავდა ჰ-თი, ზოგი – ხ-თი, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა შეპირობებული ყოფილიყო ლარინგალურ-ფარინგალური ჰ-სპირანტის დიალექტური ნაირსახეობით.

ხ- და ჰ- პრეფიქსების სხვადასხვა დიალექტური წრიდან წარმომავლობის შესახებ გამოთქმულ ვარაუდს იზიარებდა ე. თაყაიშვილიც.

გ. ახვლედიანი სპეციალურად შეეხო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დასახელებულ „ვჟარები“, „ჟარე“ ფორმებს (ნიშნავს: „ვიარები“, „იარე“) და მიიჩნია, რომ ქართული ენის ერთ-ერთ ისტორიულ დიალექტს ახასიათებდა ი → ჲ → ჟ ხმოვნის წინ ერთი მარცვლის ფარგლებში.

ისტორიული დიალექტების საკითხს დაუკავშირა არნ. ჩიქობავამ მახვილის პრობლემა ძველ ქართულში. დიალექტების მიხედვით სხვაობდა ინტენსიური, დინამიკური და მუსიკალური მახვილი; გარდა ამისა, ზოგ დიალექტში სიტყვას მახვილი თავ-მარცვალზე მოუდიოდა (თჲფ-ლ-), ზოგ დიალექტში – ბოლო მარცვალზე (ძმჲ), რაც შესაბამისა იწვევდა მომდევნო (*თაფ-ალ- →) ან წინამავალი (*ძამ-ან- → ძმ-ა) ხმოვნის რედუქციას.

ვაშლ-ევ-ი, ძეგლ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი ფორმებში პოვნიერი -ევ ა. შანიძემ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად მიიჩნია და წამოაყენა დებულება, რომლის თანახმადაც, ისტორიულად არსებობდა ისეთი კილო, რომელიც გავრცელებული იყო არაგვის ხეობიდან რიონის შუა წელამდე და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად -ევ ფორმანტს იყენებდა.

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში მრავლად იჩენს თავს იმ რიგის მოვლენები, რომლებიც დღესაც იპოვება ქართული ენის დიალექტებში (შ. ძიძიგური, ი. იმნაიშვილი, ა. მარტიროსოვი, ი. ქავთარაძე, ზ. სარჯველაძე). ნიმუშად ზოგიერთ მათგანს დავასახელებთ.

ფონეტიკური პროცესებიდან შეიძლება აღინიშნოს: ა) ასიმილაცია: დასჯერდების → დაშჯერდების, მოგცემ → მოქცემ, ღაღად-ყო → ღაღატ-ყო, აწღა → აწყა ... ბ) დისიმილაცია: სახლეული → სახლეური, დაკრძალული → დაკრძალური, შამფური → შანფური... გ) მეტათეზი(#26)სი: სიღრმე → სირღმე, დადგრომა → დადრგომა, ძმრისა → ძრმისა, გორგასალი → გორგასარი, ჰმწიროზ → *მჰწიროზ → მსწიროზ... დ) ბგერათა დაკარგვა: ძრწის →ძწის, უფსკრული → უფსკული, უსწროზდა → უსროზდა, თაფლსა → თაფსა, ჩანს → ჩას... ე) ბგერათა განვითარება: სიტკბოება → სიტკბოვება, ქჯშაჲ → მქჯშაჲ, შხამიანი →მშხამიანი, ბჭობაჲ → ბრჭობაჲ, საფუძველი → საფურძველი, წარიწყმიდოს → წარიწყმინდოს, დრტჯნვად → დურტჯნვად... ვ) ბგერათა შერწყმა: ხაჭუაჲ → ხაჭოჲ, შეასუა → შეასო... ერთ სახე → ერცახე...

მორფოლოგიიდან ყურადღებას იქცევს: ა) -თჯს და -მდე || -მდის თანდებულების ნაცვლად -თჯნ და -მდენ || – მდინ ფორმების პოვნიერება: მისთჯნ, აქამდენ, აქამომდინ... ბ) XII საუკუნიდან თავს იჩენს -ყე მორფემა, რომელიც გამოხატავს როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი (უშუალო) ობიექტის მრავლობითობას: გნებავსყე (თქუენ), ნუ იტჯრთავთყე ბალანტებსა (ზ. სარჯველაძე)... გ) X – XI საუკუნეებიდან ნამყო უსრულის მესამე პირის ფორმებში -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები -ევ-დ დაბოლოებას იკეთებს, ნაცვლად ნორმით სავარუდო – ვ-იდ დაბოლოებისა: ი-ლოც-ვ-იდ-ა → ი-ლოც-ევ-დ-ა, ა-სხ-მ-იდ-ა → ა-სხ-ემ-დ-ა... დ) ჯერ კიდევ ხანმეტ მრავალთავში -ი-ს დაბოლოებიანი სტატიკური ზმნები -ი-ან დაბოლოებაზე გადადიან (რაც დღესაც დიალექტური მოვლენაა): ხ-რცხუენ-ი-ს → ხ-რცხუენ-ი-ან, სურ-ი-ს → სურ-ი-ან (ზ. სარჯველაძე)... ე) საცნაურია ზმნისართების დიალექტური ფორმების გამოყენება: იგერ, აქან და მისთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სინტაქსური თავისებურება ისაა, რომ ძველ ქართულშივე აქა-იქ იპოვება მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტი გარდაუვალ ზმნასთან: ღმერთმან შეეწიენ, მღდელმან მოდრკეს, გამოვიდეს სოდომელთ მეფემან და ადამელთ მეფემან და სემოითელთ მეფემან, ბარაკ, სეგორელთ მეფემან, განეწყვნეს და განემზადნეს ბრძოლად მათ მეფეთა ჴევსა მას ადაოცთასა; მამან იოვანე მოკლემან სიტყჳსაებრ მისისა ევედრა ღმერთსა... (ზ. სარჯველაძე). ეს მოვლენა დღესდღეისობით ფართოდაა გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში.

(#27)

თავი II

2.1. დიალექტთა წარმოქმნის საფუძველი და მიზეზები. ნებისმიერი დიალექტის წარმოქმნის საფუძველი ისტორიულია. წარმოქმნის მიზეზი კი სხვადასხვა შეიძლება იყოს; ძირითადად – სამია: ა) საკუთრივ ენობრივი ფაქტორი – ენის შინაგანი პოტენციის ნაირგვარი გამოვლინება მისი გავრცელების ტერიტორიაზე; ბ) ეთნიკური ფაქტორი; გ) ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორი.

რა თქმა უნდა, ყველა ეს ფაქტორი შედეგად ენობრივ ცვლილებას გულისხმობს, მაგრამ ერთ შემთხვევაში იგი ენის შინაგანი იმპულსითაა შეპირობებული, სხვა შემთხვევებში – გარეენობრივი (არაენობრივი) მოვლენებით. „წმინდა სახით“, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეს ფაქტორები იშვიათად ან სრულიად არ გვხვდება; ჩვეულებრივ, ერთობლივ (კომპლექსურად) მოქმედებენ. თუ ცალ-ცალკე ვახასიათებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთ წარმოჩნდეს თითოეული მათგანის რაობა და როლი დიალექტურ ნაირსახეობათა წარმოქმნაში.

ა) ყოველი ცოცხალი ენა იცვლება. შეუძლებელია, რომ ენა ფუნქციონირებდეს და მასთან ერთად არ იცვლებოდეს დროთა მანძილზე. ეს ცვლილება ენის ტერიტორიული გავრცელების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ინტენსივობითა და ნაირსახეობით ხდება. ცვლილების, განვითარების იმპულსი იმთავითვე არის ენაში მოცემული, ამ იმპულსის ამოძრავება და გამოვლინება დროთა განმავლობაში ხდება. ამ დროს პიროვნულ ფაქტორს ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. იგულისხმება, რომ ენობრივი შემოქმედების ალღო და უნარი სხვადასხვა პიროვნებას განსხვავებული აქვს. ამ ალღოსა და უნარის მეტნაკლებობა განსაზღვრავს ერთ შემთხვევაში ახალი გამომსახველობითი საშუალებების (ინოვაციების) ინტუიციურ მიგნებას, ხოლო მეორე შემთხვევაში ენობრივი სტანდარტების, უძრავი ტრაფარეტების მომრავლებას. სწორედ ინოვაციები უქმნიან საფუძველს ენის განვითარებას. ენის „განედლების“ აუცილებლობა ამ ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა თაობაში ხელშესახებად იჩენს თავს. მაგრამ (ისევ ზემოთ დასმულ საკითხს ვუბრუნდებით) ეს აუცილებლობა ერთი ენის გავრცელების ტერიტორიაზე სხვადასხვა ინტენსივობით ხორციელდება, რაც ხდება საფუძველი სხვადასხვა რეგიონში ენის არაერთდროული და (#28) არათანაბარი ცვლილებისა. ამას კი უშუალოდ მივყავართ ტერიტორიული ნაირსახეობების (ანუ: დიალექტების) ჩამოყალიბებისაკენ.

ანალოგიური ან მსგავსი პროცესი ივარაუდება სხვადასხვა სოციალურ ფენაში, პროფესიულ თუ ასაკობრივ ჯგუფში.

ასე რომ, ენაში ცვლილების იმთავითვე მოცემული იმპულსი ყველაზე ხელშესახებ გამოხატულებას პოულობს ტერიტორიულ, ეთნიკურ, სოციალურ თუ პროფესიულ ჯგუფებში წარმოქმნილი მეტყველებრივი ნაირსახეობების სახით, თუმცა საფუძველს იღებს იდიოლექტში (ცალკეულ პიროვნებათა მეტყველებაში). ამ მხრივ ანალოგია დაიძებნება ხალხურ შემოქმედებასან. რომელიმე ლექსი ან ზღაპარი, რა თქმა უნდა, თავდაპირველად ერთი პიროვნების გამოთქმულია, მაგრამ შემდეგ ხალხში ვრცელდება და უკვე ეკუთვნის ყველას (კონკრეტულად კი – არავის), საერთოა, გამომხატველია გარკვეული კუთხის მაცხოვრებელთა სულისკვეთებისა.

„ენა არის არა მოქმედების პროდუქტი, არამედ მოქმედება“ – ესაა ვ. ჰუმბოლდტის ენათმეცნიერული კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი, ამოსავალი დებულება. ფ. დე სოსიურმა დააზუსტა: ნებისმიერ მომენტში ენა არის მოქმედი სისტემაც და წარსულის პროდუქტიც. დაზუსტება არსებითი ღირებულებისაა. ესე იგი, ენა გვეძლევა როგორც ისეთი შედეგი, რომელშიც იმთავითვე არის მოცემული შემდგომი შემოქმედებითი განვითარების პოტენცია.

ენა რომ შედეგის სახით არ გვეძლეოდეს, მაშინ ყოველი ინდივიდი იძულებული იქნებოდა შეექმნა ახალი ენა.

ენის გამოყენება შემოქმედებითი აქტი რომ არ იყოს, ენას გაქვავების (კვდომის) საშიშროება დაემუქრებოდა.

ენა, როგორც შედეგი, გვავარაუდებინებს მასში გარკვეული მუდმივი მონაცემის არსებობას (არსებითად ესაა მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ მიმართებათა წესები).

ენა, როგორც შემოქმედება, გულისხმობს ენაში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული კანონზომიერებების არსებობას.

ენის შემოქმედებითი არსი ბ. კროჩემ ასე ახსნა: ჩვენ არსებითად ვფლობთ არა ენას, არამედ ამა თუ იმ ენის შემოქმედებითი გამოყენების უნარს. ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმიერი ინდივიდის მეტყველებაში ხდება არა ენის უბრალო ფიქსაცია, არამედ ენის განვითარება: „ენა დაუსრულებელი შემოქმედებაა“.

ეს „დაუსრულებელი შემოქმედება“, განვითარების მუდმივი პროცესი განაპირობებს ენის როგორც ქრონოლოგიური, ასევე სივრცული ნაირსახეობების პოვნიერებას. ენის სივრცული ნაირსახეობა კი, როგორც ითქვა, დიალექტია.

(#29) ბ) ეთნოსი ისტორიული კატეგორიაა. ეს ნიშნავს: ეთნოსი ისტორიულად ყალიბდება. ეთნოსი გულისხმობს ადამიანთა ურთიერთობის გარკვეულ ტიპს; კერძოდ, ენის, ტერიტორიის, ეკონომიკისა და ფსიქიკური (სულიერი) წყობის საერთოობას. იმავდროულად ეთნოსი გულისხმობს ყოფითი ტრადიციების საერთოობასაც.

ეთნოსის უმაღლესი სახეა ერი. ყველაზე მარტივი სახეობა კი თემური ერთიანობაა. მათ შორის ტომობრივი გაერთიანებაა. სწორედ ეს უკანასკნელია, ქართველ ერში ქართლურ, კახურ, ხევსურულ, თუშურ, იმერულ, გურულ, აჭარულ, მესხურ, ჯავახურ... ეთნოსად რომ გამოიყოფა.

ერის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი, როგორც აღინიშნა, ენის საერთოობაა. ტომობრივ ეთნოსში კი ამ ენის ნაირსახეობანია წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, არსებითად ეს არის ერთი ენის ტერიტორიული ნაირსახეობანი. და თუკი ამ დროს ეთნოსის ცნება მაინც შემოგვაქვს, იმიტომ, რომ თვით საერთო ტერიტორიაზეც კი მეტ-ნაკლებად კომპაქტური ეთნიკური გაერთიანებებისათვის ნიშანდობლივია ტომობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნების ტენდენცია. ეს ვლინდება როგორც ყოფით და ფსიქიკურ მოვლენებში, ასევე მეტყველებაში. ამის მაგალითები მრავლად იპოვება საქართველოში: ზემოიმერული მეტყველება მესხეთში (უფრო ზუსტად – სამცხეში: ადიგენის რაიონში), რაჭული -ქართლში (ბოლნისის რაიონი), ფშაური და ხევსურული – კახეთში (წითელწყაროს რაიონი)...

ტერიტორიულად მომიჯნავე ტომებიც, ურთიერთზეგავლენის გარდა, ურთიერთგანზიდვის, განცალკევების (და ამით ტომობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნების) ტენდენციასაც ამჟღავნებენ. ისტორიულად ფშავი და ხევსურეთი ერთ ტერიტორიას მოიცავდა, ზოგი ხევსურული სოფელი ფშავთან უფრო ახლოსაა, ვინემ სხვა ხევსურულ დასახლებასთან, მაგრამ თუ არ ხდება კილოთა შეუზღუდავი ურთიერთშერევა, ისევ და ისევ იმის გამო, რომ ეთნიკური იმუნიტეტი (შეუვალობა, შეუღწევადობა) მოქმედებს.

ასე რომ, ეთნოსს არსებითი როლი აკისრია როგორც დიალექტურ დანაწევრებაში, ასევე დიალექტური დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში.

გ) დიალექტების წარმოქმნას გარკვეულად ხელს იწყობს ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორიც. ენის დანაწევრებას დიალექტებად ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდა ფეოდალური პარტიკულარიზმი. ეს ეხება როგორც ეთნიკურ-ტერიტორიულ, ასევე სოციალურ და პროფესიულ დიალექტებს.

(#30) რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის ენობრივი დაცილება მეხრუ-ჯავახური და ქართული, ანდა ქართლური და კახური, გურული და აჭარული... დიალექტებისა. გარდა ეთნიკური ფაქტორისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმაც.

ერთიანი საქართველოს ეს კუთხეები სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში შედიოდნენ, სხვადასხვა ენის მფლობელებთან ჰქონდათ ურთიერთობა. ამან, ბუნებრივია, მეტნაკლები ზეგავლენა იქონია ამ დიალექტთა ენობრივ იერზე.

ვიმეორებთ; ყველა ზემოდასახელებული ფაქტორი არასდროს არ არის წარმოდგენილი სავსებით დამოუკიდებლივ. დიალექტზე ზეგავლენაც და სხვა დიალექტებისაგან თვითგანრიდებაც ურთერთთანამდევი პროცესებია.

სახელმწიფოებრივი და ეთნიკური პროცესები ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. კონკრეტულ ისტორიულ პირობებს, ეროვნულ სულისკვეთებას გააჩნია, ეს პროცესები გაწონასწორებული იქნებიან, თუ რომელიმე მათგანი გადასძალავს.

არსებითი კი ისაა, რომ ყველა მთგანი მეტ-ნაკლებად მონაწილეობს დიალექტურ დიფერენციაციაში.

ამ მოვლენათა თანამდევია ეკონომიკური და კულტურული პროცესებიც. გზების სიახლოვე, კულტურის ცენტრებისაკენ მიდრეკილება, სამეურნეო და სავაჭრო ურთიერთობანი გარკვეულ ანაბეჭდს ტოვებენ დიალექტურ მეტყველებაზე. ძირითადად ეს ფაქტორები ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაზე მოქმედებენ. მეცხოველეობის რეგიონის მეტყველება, ბუნებრივია, ამ დარგის ამსახველი ლექსიკით იქნება განსაკუთრებით მდიდარი, ვაზის გავრცელების რეგიონი – მევენახეობის ამსახველი ტერმონოლოგიით... ცენტრალურ გზებთან სიახლოვე, რაც საშუალებას ქმნის სხვა ენის მქონებლებთან ხშირი შეხვედრისა, ნასესხობათა მოჭარბებას იწვევს და ა.შ.

2.2. დიალექტთა გამოყოფის პრინციპები. დიალექტთა წარმოქმნის მიზეზები განმსაზღვრელია დიალექტთა გამოყოფის პრინციპებისათვის. ამის შესაბამისად

დიალექტთა გამოყოფას სამი ძირითადი პრინციპი ედება საფუძვლად: ა) საკუთრივ ენობრივი; ბ) ეთნიკური; გ) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური.

დიალექტოლოგია ენათმეცნიერების დარგია და, ბუნებრივია, ყველა კლასიფიკაცია, ყველა განსაზღვრა დიალექტოლოგიური ცნებებისა ენობრივ მონაცემებს უნდა ემყარებოდეს. არსებითად სწორედ ამ ნიშნითაა გამოყოფილი ქართულში ხევსურული, ფშაური, მოხეური, იმერული, გურული... დიალექტები. ეს ენობრივი ნიშანი ეთნიკურ ნიშან(#31)საც ემთხვევა ძირითადად: ხევსურული დიალექტი ხევსურებს შორის, ხევსურეთშია გავრცელებული, გურული – გურიაში.

დიალექტთა საკუთრივ ენობრივი კლასიფიკაცია შესაძლოა განსხვავებულ ნიშნებს ემყარებოდეს.

ერთ-ერთია ფონეტიკური პრინციპი. ქართველურ ენათაგან ფონეტიკური პრინციპითაა განდასებული სვანურის დიალექტები: სვანურის დიალექტებად დაჯგუფებას საფუძვლად უდევს სამი ფონეტიკური მოვლენა – რედუქცია, გრძელი ხმოვნები და უმლაუტი: ბალსზემოურში წარმოდგენილია როგორც გრძელი ხმოვნები, ასევე უმლაუტი, ბალსქვემოურში არ არის გრძელი ხმოვნები, მაგრამ წარმოდგენილია უმლაუტი, ლაშხურს არა აქვს უმლაუტი, მაგრამ დამოწმებულია გრძელი ხმოვნები, ლენტეხურში გვაქვს უმლაუტი, მაგრამ არაა გრძელი ხმოვნები. ამით ლენტეხური ბალსქვემოურს უახლოვდება, მაგრამ იმიჯნება მისგან ხმოვანთა რედუქციის მოდუნების გამო – საკლასიფიკაციო ნიშნად დამატებით შემოტანილია მესამე ფონეტიკური მოვლენა (ა. შანიძე). იმავდროულად შენიშნულია, რომ თუკი აქ ფონეტიკური პრინციპი გამოსადეგია დიალექტთა კლასიფიკაციის დროს, „თითოეული კილოს შიგნი კლასიფიკაციისათვის იგი არ არის საკმარისი, რადგანაც კილოკავებს ფონეტიკურთან ერთად გრამატიკულ-ლექსიკური სხვაობა ახასიათებთ“ (ვ. თოფურია).

დიალექტთა კლასიფიკაციას შეიძლება საფუძვლად დაედოს მორფოლოგიური პრინციპი. ეს ხდება მაშინ, როცა ფონეტიკა, სინტაქსი და ლექსიკა რაიმე არსებითს სხვაობას არ იძლევა და დიალექტური ნაირსახეობანი ძირითადად მორფოლოგიური ვარიანტებით არის წარმოდგენილი.

ანალოგიურად წყდება საკითხი მაშინაც, როცა დიალექტების განდასება სინტაქსური ან ლექსიკური ნიშნით ხდება.

„ქართულისათვის კი იმთავითვე ლინგვისტური პრინციპი იყო მომარჯვებული“ (ვ. თოფურია). ეს ნიშნავს: ქართული დიალექტების დაჯგუფებისას გათვალისწინებულია როგორც ფონეტიკური, ასევე გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) და ლექსიკური მოვლენები. ძირითადი, პრინციპული ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებს შორის მაინც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში შეინიშნება. სინტაქსური სახესვაობანი ძირითადად მორფოლოგიურადაა შეპირობებული; ვთქვათ, რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოხატვა -თ, -ენ ან -ყე მორფემებით (აქვ-თ || აქვ-ენ || აქვ-ს-ყე), მესამე ირიბ-ობიექტური პირის აღნიშვნა -თ ან -ყე მორფემებით (მან მათ უთხრა-თ || უთხრა-ყე), სახელობითბრუნვიანი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა-აღუნიშვნელობა (მან ბილიკ-ნი გაიარ-ნ-ა || გაიარ-ა), მსაზღვრელ-(#32)საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი (დიდ-მა || დიდ-ი || დიდ კაცმა) და სხვანი.

რაც შეეხება ლექსიკას, მას, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ იგი ძირითადად სოციალური ან პროფესიული ნიშნით განასხვავებს მეტყველებას.

ამრიგად, დიალექტთა განდასება საკუთრივ ენობრივ მონაცემებს უნდა ემყარებოდეს. ესაა პრინციპული და ფუნდამენტური მოთხოვნა დიალექტების შესწავლისას.

მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, რომ დიალექტებად დაჯგუფების დროს აქტიურად ერევა არაენობრივი ფაქტორიც; უპირატესად აქ ეთნიკური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ფაქტორები იგულისხმება.

ისტორიული ვითარების გამო ერთი ეთნოსის ფარგლებში შესაძლოა განვითარდეს ორი (ან მეტი) დიალექტი; და, პირიქით, ორი ან მეტი ეთნოსისათვის ერთი დიალექტური მეტყველაბა აღმოჩნდეს გამაერთანებელი.

ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ქართლური ან იმერული მეტყველება.

თუკი ზემოიმერული და ქვემოიმერული ერთ დიალექტად ერთიანდება, ამას უპირატესად ეთნიკური ფაქტორი განაპირობებს, ვინემ საკუთრივ ენობრივი მოვლენები. წმინდა ენობრივი თვალსაზრისით ქვემოიმერული ზემოგურულთან ან ლეჩხუმურთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ზემოიმერულთან. ასე რომ, ეთნიკურმა ფაქტორმა გააერთიანა ის, რაც ენობრივად გარკვეულ სხვაობას გვიმოწმებს (ზემოიმერული და ქვემოიმერული), და იმავდროულად დააშორა ენობრივად

საკმაოდ ახლო მდგომი მეტყველებანი (ქვემოიმერული და ლეჩხუმური, ქვემოიმერული და ზემოგურული). რა თქმა უნდა, ენობრივი დაცილება არ გულისხმობს პრინციპული ხასიათის სხვაობებს და არც ენობრივი სიახლოვე ვარაუდობს, რომ ამ კილოებს ყველაფერი ანალოგიური მოეპოვება.

არსებითად ასევე დაისმის საკითხი ქართლურის ან თუნდაც კახურის მიმართ. ამ ორი დიალექტისათვის მაინც ეთნიკური ფაქტორი აღმოჩნდა განმსაზღვრელი, თორემ შიგაენობრივი დიფერენციაცია, ჩანს, უფრო მეტია, ვინემ ოდენ კილოკავური სხვაობა (ჩრდილო ქართლური და ბორჯომის ხეობის ქართლური, გარეკახური და ქიზიყური).

ყოველი ერის ისტორიიდან არის ცნობილი როგორც გარე -, ასევე შიგა-ადმინისტრაციული საზღვრების ცვალების ფაქტები. განალუთრებით ეს ითქმის საქართველოს მიმართ. საქართველოს ისტორიაში(#33) იყო პერიოდები, როცა ადმინისტრაციული საზღვრები ორ-სამ ათეულ წელიწადში რამდენჯერმე იცვლებოდა. რა თქმა უნდა, ამგვარი წამდაწამ ცვლილება რაიმე არსებით ზეგავლენას ვერ იქონიებდა მეტყველებაზე. სულ სხვა შედეგები ჰქონდა ადმინისტრაციული საზღვრების ხანგრძლივ მდგრადობას. არის ცდა, განისაზღვროს ადმინისტრაციული საზღვრებისა და დიალექტების ცვლილებათა ურთიერთმიმართება. მაგალითად, გერმანული ენის დიალექტების მიმართ ასეთი ვარაუდია გამოთქმული: ამჟამად აღარ არსებული პოლიტიკური საზღვრები აბრკოლებენ ენობრივ ცვლილებებს არა უმეტეს 300 წლისა, ხოლო ახალი პოლიტიკური საზღვრების ზეგავლენა მკაფიოდ იჩენს თავს უკვე 30-40 წლის შემდეგ (კ. ჰააგი).

საკმარისია თვალი გადავავლოთ საქართველოს პოლიტიკური რუკის ცვლილებებს IX-XIX საუკუნეების მანძილზე, რომ ნათლად წარმოჩნდეს, თუ რა ზეგავლენები შეიძლებოდა ჰქონოდა ამას საქართველოს ეთნიკური კუთხეების მცხოვრებთა როგორც სულიერ წყობაზე, ასევე ყოფა-ცხოვრებითს მიდრეკილებებზე, მსოფლხედვაზე, მეტყველებაზე.

ორიოდე ნიმუში.

IX-X საუკუნეებში ხევი, ფხოვი და თუშეთი კახეთის საქორეპისკოპოსოშია გაერთიანებული (დღევანდელი კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი ჰერეთის სამეფოში შედიოდა), ხოლო ქვემო ქართლის დიდი ნაწილი, მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთის (ქართველთა საკურაპალატოს) ვრცელ საზღვრებში ერთიანდებოდა.

XIII საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს სამეფო ამიერკავკასიის ორ მესამედზე მეტს მოიცავს. ქართველთა ყველა ეთნიკური გაერთიანება ერთიანი სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული; ეს საზღვრები ჩრდილო კავკასიის ტერიტორიასაც მოიცავს.

XV-XVI საუკუნეებში ხევი და მთიულეთი პოლიტიკურად ქართლთანაა დაკავშრებული, ფშავ-ხევსურეთი – კახეთთან, რომელშიც უკვე შემოდის ყოფილი ჰერეთის სამეფოს დიდი ნაწილი. დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზეა, აჭარის დიდი ნაწილი გურიის სამთავროს საზღვრებში ერთიანდება, თუმცა XVI საუკუნის პირველ ნახევარში იგი უკვე სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიას მიეკუთვნება, ხოლო დღევანდელი აჭარის ერთ ნაწილი (ქობულეთი) და გურია იმერეთის სამეფოში შედის.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოს ქმნის, რომელშიც შემოდის ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი და მთიულეთი. დასავლეთ საქართველოში ქართველ ტომებს იმერეთის (#34) სამეფო აერთიანებს, ხოლო მესხეთ-ჯავახეთი და აჭარა ოსმალების იმპერიის საზღვრებშია მოქცეული.

XIX საუკუნეში მესხეთ-ჯავახეთი და აჭარა საქართველოს საზღვრებში ექცევა: მესხეთ-ჯავახეთი თბილისის გუბერნიას განეკუთვნება, აჭარა – ბათუმის ოლქს, რომელიც ქუთაისის გუბერნიას ესაზღვრებოდა.

რასაკვირველია, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრების ასეთი ცვლა ზეგავლენას იქონიებდა ქართველი ტომების დაახლოვება-დაცილებაზე, რაც მეტად თუ ნაკლებად დიალექტურ ნაირსახეობათა ცვლილებებსაც შეეხებოდა.

დიალექტების დაჯგუფებისას ენობრივ, ეთნიკურ და ადმინისტრაციულ ფაქტორებთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა ქართული დიალექტების მეცნიერული შესწავლის დასაწყისშივე იჩინა თავი.

ნიშანდობლივია ასეთი თვალსაზრისი: „მთიულური რომ ჩამოვაშოროთ, დანარჩენი კილოები: ხევსურული, მოხეური, თუშური და ფშაური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს, რომელსაც, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრების გამო, მე ფხოურს ვუწოდებ. ამ ჯგუფში ფშაურს ცოტა მოშორებული ადგილი უჭირავს, რადგანაც დროთა განმავლობაში, ქართლ-კახეთის სიახლოვის გამო, მას მეტი გავლენა დასტყობია ბარისა“ (ა. შანიძე). ეს მოსაზრება ქართული ენის მთის კილოების შესახებ XX საუკუნის დასაწყისში ჩატარებული კვლევის შედეგია.

ღირსსაცნობია, რომ, მიუხედავად ფშაურის განკერძოებისა, ეს კილო მაინც ფხოურშია გაერთიანებული „ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრების გამო“. ამჟამად თუშურიცა და მოხეურიც ცალკე კილოებად მიიჩნევა, უწინარეს ყოვლისა მათი ენობრივი ნიშან-თვისებების მიხედვით, რასაც ტერიტორიულ-ეთნიკური ფაქტორიც უჭერს მხარს.

ანალოგიური საკითხები დაისმის ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების თვალსაზრისითაც. ეთნიკურ-პოლიტიკური ფაქტორები ამ შემთხვევაშიც არსებით როლს ასრულებენ.

მეტყველება, რომელიც წმინდა ენობრივი თვალსაზრისით დიალექტია რომელიმე ენისა, შეიძლება მოემსახუროს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას როგორც ურთიერთობის ოფიციალური საშუალება. მაშინ იგი, ენობრივად – დიალექტი, პოლიტიკურად იძენს ენის სტატუსს; ანუ: დიალექტი, რომელზედაც ხდება ოფიციალური საქმის წარმოება, რომელზედაც იქმნება მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც არის პრესის და ოფიციალური გამოსვლების საშუალება, კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ასრულებს ენის როლს და განისაზღვრება კიდეც როგორც ენა. მაგალითად, წარმოშობით რუსული, უკრაინული და ბელორუსული ენები ერთმანეთის მი(#35)მართ დიალექტებს წარმოადგენენ. მათი საფუძველია ძველი რუსული (აღმოსავლურ სლავური) ენა (ფ.ფილინი). ამ ენათა სიახლოვე იმდენად თვალსაჩინოა, რომ დიალექტოლოგთა ერთი ნაწილი დიალექტების დონეზე განიხილავდა და გამოყოფდა ველიკორუსულ, ბელორუსულ და მალორუსულ (უკრაინულ) კილოებს (ე. კარსკი). ეთნიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ უკრაინული და ბელორუსული მეტყველება განისაზღვრება როგორც დამოუკიდებელი ენები.

ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ეს ფაქტიც: როცა ლაპარაკობენ ქვემოგერმანულზე ზემოგერმანულთან შეპირისპირებით, გულისხმობენ კილოს, რომელიც მხოლოდ ისტორიული ვითარების გამო არ განვითარდა დამოუკიდებელ ენად და განიხილება როგორც გერმანული ეროვნული ენის დიალექტი, თუმცა იმავდროულად მან შემოინახა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაირსახეობანი ფონეტიკაში, გრამატიკასა და ლექსიკურ წყობაში (ვ. ჟირმუნსკი). ჰ. ბირტი აღნიშნავდა: „შეუძლებელია ურთიერთგაგებინება ზემოგერმანელებსა, შვაბებსა და ბავარიელებს შორის... თვით მე ვერ ვუგებ ბადენელს, ბავარიელსა და ზემოგერმანელს, როცა ისინი

თავის დიალექტზე ლაპარაკობენ“. ანალოგიური ფაქტი შენიშნული აქვს ჰ. პაულს: „შვეიცარიელი ვერ გაიგებს არა მხოლოდ ჰოლშტინელის, არამედ ჰესენელისა ან ბავარიელის მეტყველებასაც“.

და ბოლოს: „წმინდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, სხვაობანი ადგილობრივ დიალექტებს შორის – არა მხოლოდ ქვემოგერმანულსა და ზემოგერმანულს შორის, რაც ისტორიულად ადის განსხვავებამდე დასავლეთგერმანულ ტომობრივ კილოებს შორის, არამედ თვით ზემოგერმანულის ფარგლებშიც კი, მაგალითად, ბავარიულს, შვაბურსა და ჰესენურს შორის, არანაკლებ ღრმაა, ვიდრე სხვაობა ზოგიერთ დამოუკიდებელ ენებს შორის სხვა ხალხებთან; მაგალითად, პოლონურსა და ჩეხურს ან სერბიულსა და ბულგარულს შორის“ (ვ. ჟირმუნსკი).

ნიშანდობლივი ფაქტია: ის, რაც საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისით უნდა განირჩეს როგორც მონათესავე (მოძმე), მაგრამ არსებითად დამოუკიდებელი ენები, ეთნიკურ-პოლიტიკური წინამძღვრების გამო განიხილება, როგორც ერთი ენის დიალექტები. ანუ: ენათმეცნიერული თვალსაზრისით დამოუკიდებელი ენები ეთნიკურ-პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად დიალექტებად მიიჩნევა. ერთსა და იმავე ფაქტს ენობრივად და ეთნიკურ-პოლიტიკურად ნაირგვარი განსაზღვრა ეძლევა.

ანალოგიურად დაისმის საკითხი ქართველური ენების მიმართაც. ენათმეცნიერული თვალსაზრისით მეგრულ-ჭანური და სვანური ქარ(#36)თულის მოძმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს; ანუ: ფუნქციონირებენ (ურთიერთობის საშუალებანი არიან) საზოგადოების იმავე სფეროებში, სადაც, ჩვეულებრივ, გამოიყენება დიალექტური მეტყველება.

2.3. დიალექტური „ნორმა“. რასაკვირველია, „ნორმა“ აქ პირობითადაა ნახმარი. იგულისხმება ამა თუ იმ დიალექტისათვის ნიშანდობლივი ენობრივი წესი, ჩვევა (უზუსი). ამ თვალსაზრისით დიალექტური ნორმა განსხვავდება სალიტერატურო ენის ნორმისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული მთქმელის მეტყველებაში დიალექტი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს ამ შემთხვევაში: მთქმელის წარმომავლობა, განათლება, პროფესია, ნავალობა...

ამიტომაც მის მეტყველებაში მეტ-ნაკლებად ირღვევა დიალექტისათვის არადამახასიათებელი ფორმები. ყოველი მთქმელი არსებითად ფლობს იდიოლექტს.

დიალექტის რაობის შესაცნობად საჭიროა გამოიხილოს დიალექტური ტექსტიდან იდიოლექტური დანაშრევი.

„დაჩეხილ შეშაჲ პლახს ვეტყვით“ – ესაა ფრაზა კახური ტექსტიდან. ორი სახელი – შეშა და პლახი – მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში კახური დიალექტისათვის ნიშანდობლივი ნორმაა გატარებული: შეშა-ს → შეშა-ჲ, მეორე შემთხვევაში ეს ნორმა ირღვევა: პლახ-ს, იდიოლექტმა იჩინა თავი; მოსალოდნელი იყო: ბრუნვის ნიშანი, როგორც წესი, კახურში იკარგვის. მართებული სახით ეს ფრაზა კახურში ასე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: „დახეჩილ შეშაჲ პლახ ვეტყვით“.

დიალექტოლოგიას საქმე უნდა ჰქონდეს ამ სახით დადგენილ ტექსტთან, თორემ დიალექტს ისეთი რამ შეიძლება მიეწეროს, რაც მხოლოდ კერძო პირის მეტყველების თავისებურებას წარმოადგენს. ამგვარი განხილვის გარეშე შესწავლილი იქნება იდიოლექტი (რაც თავისთავად უთუოდ საშურია) და არა დიალექტი. ორი სხვადასხვა მოვლენა აირევა ერთმანეთში.

რის საფუძველზე დგინდება დიალექტური წესი, ნორმა? დადგენა ხდება ამა თუ იმ დიალექტისათვის ნიშანდობლივი ფონემატური, მორფოლოგიური და სინტაქსური კანონზომიერებების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, საერთო ენობრივი სისტემის მოთხოვნილებითაა შეპირობებული. ჩვენს მაგალითს რომ მივუბრუნდეთ: იქ, სადაც ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს → ჲ, (#37)თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან, როგორც წესი, -ს → 0 (და პირიქით): „თავი დედაჲ უთხრა“, მაგრამ: „თავი ცოლ უთხრა“.

ტექსტის ანალიზი განუხრელად უნდა იყოს მიმართული დიალექტის შინაგანი კანონზომიერებების გამოვლენისაკენ. პასუხი უნდა გაეცეს არა მხოლოდ იმას, რა არის, არამედ იმასაც – რატომ არის ასე.

ყველა დიალექტს მეტ-ნაკლებად ახასიათებს მერყეობა. რასაკვირველია, ეს მერყეობა იდიოლექტიდან იწყება. იდიოლექტურ ინოვაციათა მოჭარბება იწვევს დიალექტური ნორმის რღვევას, პარალელური ფორმების გაჩენას და ბოლოს ამ პარალელურ ფორმათაგან ახლად შემოსულის დამკვიდრებას. მაგალითად, ქვემოიმერულში უკვე პარალელურად გამოიყენება ირიბ-ობიექტური პირის

მრავლობითობის აღსანიშნად საკუთრივ დიალექტური -ყე(ნ) და გვიან შემოსული -თ: „ თათრეფს ჭვირთათ შეკრული წკნელი ქონდაყენ თურმე აფარებული წინ და ტყვიები ვერ ხვდებოდათ, მარა ჩვენეფს თურმე ზარბაზნები ქონდათ და ზარბაზანს რაი გაროურჩება“. ერთ ფრაზაში, ერთმანეთის პარალელურად იჩენს თავს ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციის გამოხატვის ნაირსახეობები, თანაც საკუთრივ დიალექტურს სჭარბობს სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი გამოხატვის საშუალება. ქვემოიმერულისათვის ეს აღარაა იდიოლექტური მოვლენა, თუმცა მისი დამკვიდრება უთუოდ იდიოლექტიდან დაიწყო. ეს ფაქტი ამჟამად უკვე ქვემოიმერულში არსებულ შინაგან მერყეობაზე მიანიშნებს.

2.4. დიალექტების ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია. დიალექტების ურთერთზეგავლენის შემთხვევები კარგად არის ცნობილი. ურთერთზეგავლენა ორი ან მეტი დიალექტური მეტყველების დაახლოვებას იწვევს, რაც საფუძველს უქმნის გარდამავალი დიალექტებისა ან გარდამავალი დიალექტური ზონების წარმოქმნას.

მაგრამ მომიჯნავე დიალექტებში მხოლოდ ურთიერთზეგავლენის ფაქტორი რომ მოქმედებდეს, დიალექტური სხვაობანი თანდათანობით წაიშლებოდა, რაც საბოლოოდ ამა თუ იმ დიალექტის გაქრობას გამოიწვევდა. იმავდროულად ცნობილია, რომ ორი ან მეტი დიალექტი საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობს ერთმანეთის მომიჯნავედ და, მიუხედავად ამისა, არ კარგავს თავის ენობრივ თავისთავადობას.

ეს იმიტომ, რომ ურთიერთზეგავლენასთან ერთად მომიჯნავე დიალექტებში (ასევე – ერთი დიალექტის კილოკავებში) თავს იჩენს ურთიერთგამიჯვნის („თვითგამიჯვნის“) აშკარად გამოხატული ტენდენციაც.

(#38) ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ჩარგლელ ფშაველთა ნათქვამი: „ დასიცილი იციან უკვენა ფშავში აქიურ სიტყვებზე“. დაცინვა ამ შემთხვევაში ფარეგნული გამოხატულებაა ეროვნული თვითგამიჯვნის („გაუცხოების“) ტენდენციისა. ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის მიუღებელი ფორმების, გამოთქმების შეცნობადობა საფუძველი ხდება დიალექტური მეტყველებისადმი მეტ-ნაკლებად შეგნებული დამოკიდებულებისა, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს კილოურ თუ კილოკაურ სხვაობებს, ეწინააღმდეგება მათი ნიველირების პროცესს.

ის, რომ კილოური თავისებურებებისადმი დამოკიდებულება შეგნებულია (და არა ინტუიციური თუ ინერციული), უწინარეს ყოვლისა თვით ამა თუ იმ დიალექტსა

თუ კილოკავზე მეტყველის განმარტებიდან ჩანს. ზოგჯერ ეს განმარტება ზედმიწევნით ზუსტ ენათმეცნიერულ ინფორმაციას შეიცავს. აი, როგორ ახასიათებს, მაგალითად, თავის კილოკავს ივრისხეველი (თიანელი) ხევსური: „ჩვენ სხვანაირ ლაპარაკ ვიცით, ჩვენ ძველებულ ლაპარაკ გვიყვარს... მე ჴევსურულად ვიც საუბარ. ქართველებსთან (=ქართლელებთან) ვერ ვიცი საუბარი. იმათ უკვირდის“ (ქართული დიალექტოლოგია).

არსებითად მართებულია, რომ ხევსურული „ძველებური ლაპარაკია“, ანუ: ხევსურულს მრავლად აქვს დაცული ძველი ქართულისათვის გარკვეულ პერიოდში დამახასიათებელი ფორმები (ეს პერიოდი ძირითადად შუა საუკუნეებზე მოდის).

სწორია ისიც, რომ ენობრივი სხვაობა მკვეთრად შეიგრძნობა ხევსურებსა და „ქართველებს“ (ე.ი. ქართლელებს, ან, საერთოდ, ბარის კილოების მფლობელთ) შორის.

ანალოგიური განმარტება ეძლევა იმერულ კილოსაც. მაგალითად, ზემოიმერეთშია ჩაწერილი ეს ტექსტი: „ფონიდან რომ წამოხვალ, ერთნაირი ლაპარაკი იქნება მარელისამდე, ხოლო მარელისიდან მოგვცემს სხვაობას და მარელისიდან დაწყილი ზესტაფონამდე ეს სხვაობა სამნიშვნელო არ იქნება... ჩვენი ლაპარაკი არ არი იმერული ძიელი, არც ქართული (=ქართლური): „აწი“ არ ვიცით ჩვენე, „-ყე“ არ ვიცით, „ქე“ არ არი, ჩვენე „კი“-ს ვხმაროფთ, ûამბოფთ: წევიდა, მოვიდა“ (ქ. ძოწენიძის მიერ ჩაწერილი ტექსტიდან).

ამა თუ იმ დიალექტზე (კილოკავზე, ქცევაზე) მეტყველი ზემიწევნით გრძნობს დიალექტურ სხვაობებს და ცდილობს დაიცვას თავისი დიალექტური სამეტყველო ნორმა.

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ნიმუში ნათქვამის საილუსტრაციოდ.

ცნობილია, რომ ზემოიმერულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ენ გამოიყენება: მო-დი-ენ, ყოფილ-ენ. (#39) საზანოელი ქალი (თერჯოლის რაიონიდან), რომელიც დილიკაურში (ზესტაფონის რაიონში) იყო გათხოვილი -ენ’ის პარალელურად ხმარობდა -ლარიენ’ს: „მოსულენ ბუხართან და გამშრალარიენ“. ადგილობრივი მაცხოვრებლები უსწორებდნენ: ჩვენ არ ვიცით „გამშრალარიენ“, უნდა ითქვას „გამშრალენ“ (ქ. ძოწენიძე).

გლოლაში ერთი მთქმელი ამბობდა: „ხუთშაფათ დილაზედ დილაადრიანად ადგებოდა დიასახლისი“. მეორე უსწორებდა: „დილლაჲთ“.

ამა თუ იმ კილოზე მოლაპარაკემ, ჩვეულებრივ, იცის როგორც სხვა (მომიჯნავე) კილოს, ასევე სალიტერატურო ენის ფორმები, მაგრამ მაინც თავისი კილოსათვის ნიშანდობლივ ფორმებს რჩეობს: „რა ვი, შვილო, ტაჲტია თუ რაღაცა, ტასტი არა-ჲქვიენ?“ ასე რომ, მოსაუბრემ (კახელმა) იცის ტასტი || ტაშტი ფორმის არსებობა, მაგრამ „ტაჲტი“ ბუნებრივია მისთვის და თავის მეტყველებაში სწორედ მას იყენებს.

ვფიქრობთ, აშკარაა, რომ დიალექტის მფლობელი შეგნებულად განარჩევს თავისი კილოსათვის დამახასიათებელ ფორმებს სხვათაგან, აქვს ერთგვარი უპირატესობის შეგრძნება ამ თვალსაზრისით (სხვა კილოზე მეტყველს იგი დასცინის), ეს კი ხელს უწყობს დიალექტურ თავისებურებათა მდგრადობას.

დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია ხელშესახებად იჩენს თავს ხევსურულისა და ფშაურის, ზემო და ქვემო იმერულის, ზემო და ქვემო გურულის, მესხურისა და ჯავახურის და ზოგი სხვა დიალექტისა თუ კილოკავის ურთიერთობისას.

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ნიმუში.

ცნობილია, რომ ისტორიულად ფშავ-ხევსურეთი განუყოფელი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, „აწ უწოდებენ ფშავ-ჴევსურსა, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“. ფშაური და ხევსურული დღესაც საკმაოდ ახლო მდგომი კილოებია, ფშავ-ხევსურებს სხვა მხრივაც მჭიდრო კონტაქტი აქვთ და მაინც ფრიად გამოხატულია ურთიერთგამიჯვნის ტენდენციაც.

მაგალითად, ხოლმეობითის წარმოებისას III პირის ფორმები იდენტურ ჩვენებას იძლევიან ფშაურსა და ხევსურულში (და-წერ-ი-ს), მაგრამ სხვაობაა I და II პირის ფორმათა წარმოებისას (ხევსურული: და-ვ-წერ-იდ-ი... ფშაური: და-ვ-წერ-ოდ-ი...). თხოვნითი ბრძანებითი ხევსურულში და-ს-წერ-იდ-ი არის, ფშაურში – და-წერ-ოდ-ი ან და-წერ-ოდ-ე.

რა თქმა უნდა, ფშაური ბარის კილოების ძლიერ გავლენას განიცდის და ზოგი სხვაობა ხევსურულთან შედარებით ამითაც აიხსნება, მაგ(#40)რამ ზემოდასახელებული იმ რიგის ფორმებია, რომელთაც ბარის კილოებთან ურთიერთობით ვერ ავხსნით.

ამავე პრინციპით განასხვავებს ხევსურული და ფშაური -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღვლილებას.

ნამყო უსრული:

ხევსურული: ვ-მალ-ევ-დ-(ი), ღ-მალ-ევ-დ(ი), ღ-მალ-ევ-დ-ა;

ფშაური: ვ-მალ-ავ-დ-ი, ჰ-მალ-ავ-დ-ი, მალ-ავ-დ-ა...

მესხური და ჯავახური ენათმეცნიერული თვალსაზრისით კილოკავებია ერთმანეთის მიმართ და არა კილოები. ბევრი ენობრივი მოვლენა მათ საერთო აქვთ, საერთოა განვითარების ტენდენციაც. მიუხედავად ამისა, აქაც საკმაოდ ძლიერადაა წარმოჩენილი ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია, რაც მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა სისტემაში იჩენს თავს. ამის ნიმუშია თუნდაც ჯავახური შოთა-ი და მესხური შოთა-ჲ. თავისთავად ესაა უთუოდ ღირსსაცნობი ფაქტი: ბრუნების ტიპით განირჩეს საზოგადო და ადამიანის საკუთარი სახელი (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი): კათხა, ძმა..., მაგრამ შოთა-ი || შოთა-ჲ, ნინო-ი || ნინო-ჲ... მესხურ-ჯავახურს საზოგადო და საკუთარი სახელების გასარჩევად საერთო წესი აღმოაჩნდა, შიგადიალექტური (კილოკაური) სხვაობის გამოხატვა კი -ი: -ჲ მონაცვლეობას დაეკისრა.

გამიჯნულია კილოკაური სხვაობანი ზემო და ქვემო გურულს შორისაც, სადაც, მაგალითად, ზემოგურული „ბაღანე“ ტიპის ფორმები უპირისპირდება ქვემოგურულ „ბაღანა || ბაღანაი“ ფორმებს. ეს დაპირისპირება იმდენად თანამიმდევრულად არის გატარებული, რომ ზემო და ქვემო გურული კილოკავების განმასხვევებელ ერთ-ერთ ძირითად ენობრივ ნიშნად სწორედ ამ მოვლენას მიიჩნევენ.

ასე რომ, დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის (ურთიერთგანკერძოების) ტენდენცია რეალური ფაქტია. ესაა, ასე ვთქვათ, თავისებური ენობრივი იმუნიტეტის შედეგი. ეს განაპირობებს მათი სამეტყველო თავისთავადობის შენარჩუნებას.

ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია, რასაკვირველია, მხოლოდ მეტყველებით არ ვლინდება. იგი თავს იჩენს სხვა ეთნიკურ მოვლენებშიც. დიალექტების შესწავლისას ამ ფაქტს სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს.

3.1. ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები. ეთნოსი ადამიანთა ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ფორმაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიის (წარმოშობისა და განვითარების), კულტურისა (წეს-ჩვეულებების, რწმენის, ფიქოლოგიური წყობის) და ენის საერთოობა. არსებითად ეს იგივეა, რაც საარსებო პირობების, სულისკვეთებისა და ურთიერთგაგებინების ერთობლიობა. იმავდროულად ეთნოსი არის „ადამიანთა თვითგააზრებული ერთობა“ (ვ. მიულმანი). ეთნოსი ადამიანთა თვისებრივი (და არა რაოდენობრივი) ერთიანობაა. როგორც ითქვა, ეთნოსის საწყისი სახეა თემი, უფრო რთული ერთეულია ტომი, ეთნოსის უმაღლესი სახეა ერი. ამ სამ საფეხურს თანამიმდევრულად შეესაბამება კილოკავი, კილო და ეროვნული ენა.

ენა ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. იმდენად არსებითი ნიშანი, რომ ზოგჯერ ერს სწორედ ამ ნიშნის მიხედვით სახელდებენ.

ძველი ბერძნები ყველა სხვა, არაბერძენ ხალხს „ბარბაროსს“ უწოდებდნენ. ზედმიწევნით „ბარბაროს“ ნიშნავს „გაუგებარი (მეტყველება), ლუღლუღი“. სხვა ენა ძველ ბერძნებს გაუგებარ ლუღლუღად ესმოდათ. ის მნიშვნელობა, რომელიც ახლა აქვს ამ სიტყვას („ველური ადამიანი, მოძალადე, კულტურის მტერი“) მეორეულია. ასე რომ, თავდაპირველი მნიშვნელობით „ბარბაროსი“ არსებითად იგივეა, რაც „ლუღლუღა“. სხვა ხალხის ენის გაუგებლობა ძალაუნებური განკერძოების, დაპირისპირების მიზეზი ხდებოდა (ი. ბრომლეი), რაც იმავდროულად ერთი ეთნოსის ფარგლებში შეკავშირებას იწვევდა. რუსული „ნემეც“ იმავე ძირისაა, რაც „ნემოი“ – „მუნჯი“. XV – XVI საუკუნეებში რუსეთში ჩამოსული უცხოელები (გერმანელები, პოლონელები, ჰოლანდიელები...) რუსულ ენას ცუდად ან სულ ვერ ფლობდნენ. ამიტომაც რუსებისათვის ისინი „მუნჯები“ იყვნენ. შემდეგ ეს სახელი („ნემეც“) მარტოოდენ გერმანელს მიეკუთვნა. ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვის ერთ-ერთი ეტიმოლოგია ასეთია.

ყოველ ეთნოსს გარკვეული ტერიტორია უჭირავს. ტერიტორიის საერთოობა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ეთნოსის არსებობისათვის. სხვა ქვეყანაში გადახვეწილი (ანუ: სამშობლო ტერიტორიას დაცილებული) პირი ამა თუ იმ ეთნოსის მატარებლად მხოლოდ ინერციით (#42) რჩება, მისი ეროვნული თვითშეგნება შემდგომ თაობებში თანდათანობით ინავლება სრულ გაქრობამდე.

ეთნოსი ხშირად ირევა სახელმწიფოებრიობაში. ეს არის ორი სხვადასხვა ცნება. ერთმა ეთნოსმა (ერმა) შესაძლოა რამდენიმე სახელმწიფო გაერთიანება შექმნას (ინგლისელებმა შექმნეს დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია), დასაშვებია ერთ სახელმწიფოში მემკვიდრეობდეს რამდენიმე ეთნოსი. ეთნოსის არსს ეს, რა თქმა უნდა, არ ცვლის.

იმის გამო, რომ ეთნოსი აუცილებლად არსებობს რომელიმე ტერიტორიაზე, უკავია გარკვეული რეგიონი, ეთნოსის საცხოვრისის ტერიტორიაზე გავრცელებულ მეტყველაბას, ჩვეულებრივ, ტერიტორიულ დიალექტს უწოდებენ. საქართველოს ეთნიკურ კუთხეებში (ხევსურეთში, ხევში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში...) გავრცელებული მეტყველება (ხევსურული, მოხეური, ქართლური, კახური, იმერული, გურული...) ამ გაგებით ტერიტორიული დიალექტებია, თუმცა არსებითად აქ ეთნიკურ დიალექტებთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ტომობრივ მეტყველებასთან.

ასეთი დაზუსტება იმისთვისაა საჭირო, რომ არსებობს წმინდა ტერიტორიული ნიშნით გამოყოფილი დიალექტებიც. ამ რიგისაა, მაგალითად, რუსულ ენაში გამოყოფილი ჩრდილო ველიკორუსული, სამხრეთ ველიკორუსული და სხვა მისთანა დიალექტები (გეოგრაფიული – ტერიტორიული – ფაქტორი თვით მათ სახელწოდებაშია ასახული).

3.2. სოციალური დიალექტები. ყოველი განვითარებული საზოგადოება რთული სოციალური სტრუქტურისაა – მასში გამოიყოფა სხვადასხვა სოციალური ფენა. ზოგ სხვა მახასიათებელთან ერთად ყოველი ამ ფენისათვის ნიშანდობლივი თავისებურება მეტყველებითაც ვლინდება. მუშათა ფენა, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა... – მეტ-ნაკლებად განირჩევა თავისი მეტყველებით. ამ ტიპის მეტყველებრივ ნაირსახეობას სოციალურ დიალექტს უწოდებენ.

სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი (ქვევარიანტი, ნაირსახეობა) მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით, ანუ: ამა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით (რ. მაკდევიდი – უმცროსი). სოციალური დიალექტების ფუნქციაა ესა თუ ის სოციალური ფენა გამოარჩიოს სხვათაგან თავისი მეტყველებით (ჯ. გამპრეცი). ეს მისწრაფება საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენლისა(#43)თვის უპირატესად გააზრებულია და შეგნებული, თუმცა ზოგჯერ ინერციულიცაა.

საფუძველი ისაა, რომ საზოგადოების გარკვეული ფენისადმი ამა თუ იმ პიროვნების მიკუთვნებულობა (ზოგ სხვა ფაქტორთან ერთად) მეტყველებითაც ვლინდება. ენით უტყუარად იგრძნობა და წარმოჩნდება საზოგადოებაში არსებული სოციალური პროცესები (უ. ლაბოვი). პიროვნების სოციალური მდგომარეობის ცვლასთან ერთად შესაბამისად იცვლება მისი მეტყველებაც.

თავისი დანიშნულებით (და არა შინაგანი არსით!) ენა უპირველეს ყოვლისა სოციალური ღირებულების მქონე მოვლენაა. ეგაა მისი არსებითი, განმსაზღვრელი ნიშანი. რა თქმა უნდა, ენას დამოუკიდებელი, შინაგანად შეპირობებული რაობა (სისტემები და სტრუქტურები) მოეპოვება, მაგრამ ამ რაობის სრულყოფილი შეცნობა და შესწავლა „შესაძლებელი ხდება მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით“ (ა. მეიე). სოციალური აქ ინდივიდუალურს უპირისპირდება. იმავდროულად ენა სოციალურია ამ სიტყვის სხვა გაგებითაც: როგორ აფასებს, როგორ იყენებს მას საზოგადოების ესა თუ ის ფენა. ასე რომ, ენა მისი მქონებლის არა მხოლოდ ეროვნულ ვინაობას გამოხატავს, არამედ მისი სოციალური, საზოგადოებრივი მახასიათებელიცაა. ამიტომაც ამ თვალსაზრისით ენას განმარტავენ, როგორც საზოგადოებრივი მოქცევის ფორმას (უ. ლაბოვი). მეტიც: ივარაუდება, რომ „ენის შესწავლა ჩვენ დაგვეხმარება გავიგოთ ადამიანის ქცევები და ვმართოთ ისინი“ (ლ. ბლუმფილდი).

რასაკვირველია, სოციალური ფაქტორები უშუალო ზეგავლენას ვერ მოახდენენ ენაზე. სოციალური ფაქტორები ზემოქმედებენ ადამიანის სულიერ წყობაზე, ცნობიერებაზე, ხოლო ცნობიერება ზემოქმედებს ენაზე, მეტყველებაზე. სოციალური ფაქტორი ამგვარი გაშუალებული გზით აუცილებლად აისახება ხოლმე ენაში: „ხიდი ენასა და სოციალურ სტრუქტურას შორის შეიძლება დაიძებნოს ფსოქოლოგიაში“ (ჯ. ფიშერი).

სოციალურ მოვლენათა კვალის ძიება ენაში სავსებით კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს. „სოციალური“ აქ ფართო გაგებით არის ნახმარი: სოციალური მოიცავს არა მხოლოდ სოციალურ ფენებს, არამედ გასათვალისწინებელია ასაკობრივი, განათლებრივი, მიგრაციული და ზოგი სხვა ფაქტორიც.

არსებითია ისიც, რომ სოციალური მომენტები ზოგჯერ არსებით ზეგავლენას ახდენენ თვით ენის შინაგან სტრუქტურაზე. მაგალითად, წმინდა ენობრივი თვალსაზრისით ვერ მოხერხდება იმის ახსნა, თუ რატომაა ქართულში უკვეცელი

საკუთარი სახელი (შოთა-ძს → შოთა-ს) და კვეცადი – საზოგადო სახელი (მამა →მამ-ის). აქ გასათვალისწი(#44)ნებელია პიროვნებისა და საგნის სოციალური ღირებულება, მათი საზოგადოებრივი შეფასება, რაც აისახება კიდეც თვით გრამატიკულ სტრუქტურაში.

ენა, რა თქმა უნდა, არ არის და არც შეიძლება იყოს კლასობრივი მოვლენა. არ არის თავისი არსით, თავისი ბუნებით, წარმოშობით. მაგრამ ენა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს და გამოიყენებოდა კიდეც (ახლაც გამოიყენება!) კლასობრივი, კლანობრივი თუ კასტობრივი დაპირისპირების მიზნით, ამ დაპირისპირების ხაზგასასმელად. და ეს უეჭველი ფაქტია. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ მისდროინდელი ინგლისელი „მუშები ლაპარაკობენ სხვა დიალექტზე. მათ აქვთ სხვა იდეები და წარმოდგენები, სხვა ზნე-ჩვეულება და ზნეობრივი პრინციპები, სხვა რელიგია და პოლიტიკა, ვიდრე ბურჟუაზიას“, სოციალური თვალსაზრისით დაპირისპირებულია არა მხოლოდ დიალექტები, არამედ ენებიც.

ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ სამხრეთ ინდოელი ტომების ტოდის, კოტისა და ბადაგის ენები. რამდენიმე საუკუნეა ეს ტომები თანაარსებობენ კასტური დამოკიდებულების პრინციპით. სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას ტოდის ტომი, ხოლო კოტა და ბადაგა ემსახურებიან მას. თითოეული ტომი ლაპარაკობს მხოლოდ თავის ენაზე სხვა ტომის წარმომადგენელთან ურთიერთობის დროსაც (ზ. ემენო). ასე რომ, თითოეულმა პირმა იცის სამივე ენა, მაგრამ უფლება აქვს ილაპარაკოს მხოლოდ თავის ენაზე, რადგან სხვაგვარად დაირღვეოდა კასტური იერარქიის პრინციპი. ანალოგიური უერთიერთობაა თამილისა და ტულუს კასტურ დიალექტებს შორის (ვ. ბრაიტი და ა. რამანუჯანი), აგრეთვე აზიის, აფრიკის, ამერიკის ბევრ რეგიონში (ჯ. გამპერცი).

თვით ევროპაშიც ცნობილია ენების სოციალური პრინციპით დაპირისპირების შემთხვევები. XI-XIII საუკუნეებში ინგლისში ნორმანელ დამპყრობთა ენა – ფრანგული – ითვლებოდა უმაღლესი არისტოკრატიის ურთიერთობის საშუალებად. მას კი, ვინც ვერ ფლობდა ფრანგულ ენას, ათვალისწუნებით ეპყრობოდნენ. დანიის ხელმწიფის კარზე ასევე პრივილეგიით სარგებლობდა გერმანული ენა, განსაკუთრებით XVII საუკუნის მეორე ნახევარში.

ასე რომ, საზოგადოების რომელიმე ფენაში სოციალური დიფერენციაცია ვლინდება ამა თუ იმ ენის უპირატესობით. „მაღალი საზოგადოება თავის გამორჩევის

მიზნით, ჩვეულებრივ, ცდილობდა ენითაც გამოეხატა თავისი განკერძოებულობა სხვა ფენებისაგან და, როგორც წესი, დედაენის ნაცვლად უცხო ენებს ეძალებოდა. ასეთი იყო (#45) XIX საუკუნის რუსი არისტოკრატიისათვის ფრანგული, ქართველი არისტოკრატიისათვის – უპირატესად რუსული ენა.

სოციალურ დიალექტებში შემოდის მეტყველების ასაკობრივი ფაქტორით შეპირობებული დიფერენციაციაც. ახალგაზრდობა ნებსით თუ უნებლიეთ ცდილობს დაუპირისპირდეს უფროს და თავის მომდევნო თაობას არა მხოლოდ ქცევით, არამედ მეტყველებითაც. ამ შემთხვევაში ახალგაზრდობის მიერ თვითგამორჩევისა და საზოგადოებაში თვითგანმტკიცების სურვილია მეტყველების ამ ნაირსახეობის წარმოქმნის საფუძველი.

ენობრივ დიფერენციაციას განათლების ცენზიც განსაზღვრავს.

შენიშნულია მამაკაცისა და ქალის ენობრივი სხვაობის შემთხვევებიც. ეს მოვლენაც სოციალური ფაქტორით აიხსნება. იგი საკმაოდ გავრცელებული იყო ძველად, გვხვდება დღესაც. ეს აისახა ძველ ინდურ დრამაშიც, სადაც მამაკაცები მეტყველებდნენ სანსკრიტზე, ქალები კი – პრაკრიტზე. ო. იესპერსენი ასე განმარტავს ამ მოვლენას: „ამ შემთხვევაშიც სხვაობა ეფუძნება არა სქესობრივ დიფერენციაციას, არამედ სოციალურ რანგებს, რადგან სანსკრიტი – ესაა ენა, ღმერთების, მეფეების, თავადების, ბრაჰმანების, სახელმწიფო მოღვაწეების, კარისკაცების, ცეკვის ხელოვანთა და უმაღლესი ფენის სხვა წარმომადგენლებისა; აგრეთვე, გარკვეულწილ, საგანგებო რელიგიური წეს-ჩვეულებების ამსრულებელ ქალთა ენა. პრაკრიტზე კი, პირიქით, ლაპარაკობენ დაბალი ფენის მამაკაცები – წვრილფეხა მოსაქმეები და მოხელეები, მექისეები, მეთევზეები, პოლიციელები და თითქმის ყველა ქალი.. განსხვავება ამ ორ ენას შორის, ამდენად, არის სხვაობა საზოგადოებრივ კლასებსა ან კასტებს შორის“.

ამგვარი სოციალური დიფერენციაცია უძველეს საზოგადოებაშივე ივარაუდება (ლ. მორგანი). დღესაც ანდიური ენის ერთ-ერთ თქმაში გარჩეულია მამაკაცისა და ქალის მეტყველება; მამაკაცი იტყვის : დინ „მე“, მინ „შენ“, ჰეკა „კაცი“, ქალი – შესაბამისად: დენ, მენ, ჰეკვა. იმავე კილოს სხვა თქმაში ამგვარი გარჩევა აღარა გვაქვს, რაც ქილიკობის საგნადაც არის ქცეული: მამაკაცებიც ქალების ენაზე ლაპარაკობენო (ი. ცერცვაძე).

ანალოგიური დაპირისპირება დადასტურდა ალთაის თურქულშიც (ა. სამოილოვიჩი), რუსულის ურალურ თქმებში (ე. კარსკი), ზოგ სხვა ენაშიც.

განსაკუთრებით მრავალფეროვან სურათს იძლევა ენა სოციალური დიალექტების თვალსაზრისით ურბანიზაციის პირობებში. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო რელიეფურად, გამჭვირვალედ, მთელი ნაირსა(#46)ხეობით წარმოჩნდება ის საკითხები, რომლებიც სოციალური დიალექტების კვლევის სფეროში შემოდიან.

ნებისმიერი ქალაქისათვის ნიშანდობლივია: ა) ერთი ერის სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა თავმოყრა; ბ) უცხო ერის წარმომადგენელთა მყოფობა.

ეს ორი ფაქტორი შესაბამისად აისახება ქალაქის მეტყველებაშიც, ანუ: ქალაქური მეტყველებისათვის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ: ა) სხვადასხვა დიალექტურ მეტყველებათა თავმოყრა; ბ) უცხოენოვანი მეტყველების არსებობა.

ქალაქში იქმნება თავისებური კონგლომერატი სხვადასხვა დიალექტური მეტყველებისა, უხვად შეზავებული უცხოენოვანი ელემენტებით. ეს ენობრივი კონგლომერატი თანდათანობით იწმინდება, მკვეთრი სხვაობანი ნიველირდება, მსგავსება წინ წამოიწევს, წარმოიქმნება ახალი ერთიანობა, თავისებური ნაირსახეობა ძირითადი ენობრივი სისტემისა. რაც ამ ახალ ერთიანობას მოერგება – რჩება, რაც არა – უკუიგდება. ასე წარმოქმნილი ქალაქური მეტყველება კილოურ ნაირსახეობებს იძლევა უკვე სოციალური ფენების მიხედვით.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა თბილისშიც. სოფლურმა (გლეხურმა) მეტყველებამ, რომელიც ძირითადად თბილისის მახლობელი სოფლებიდან შემოდიოდა, და ქალაქურმა (ხელოსნურმა) მეტყველებამ მოგვცა ფრიად თავისებური სინთეზი, ნაერთი, რომელსაც ძირს საკუთრივ ქართული სისტემა უმაგრებდა, ხოლო იერი აზიური ქალაქებისათვის დამახასიათებელი ჰქონდა. ქართული რომანტიზმის ეპოქიდან ისახება თბილისის ევროპეიზაციის ტენდენცია, რაც უშუალო გამოძახილს პოულობს თბილისურ მეტყველებაშიც, თუმცა მასში ჯერ კიდევ ჭარბობს აღმოსავლური იერი. ქართული დიალექტური საწყისებისაკენ მიბრუნება და იმავდროულად განუხრელი ევროპიზაციის პროცესი XIX საუკუნის მესამოცე წლებზე მოდის. სწორედ ამ პროცესმა, ამ გეზმა განსაზღვრა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება. XX საუკუნის მეოცე წლებიდან უკვე გეგმაზომიერი, მეცნიერულად გააზრებული ენობრივი პოლიტიკის სახეს იღებს ის, რაც ადრე უპირატესად სტიქიური ხასიათისა იყო. ეს პროცესი ენის

სტანდარტიზაციის აუცილებლობასაც გულისხმობდა. სტანდარტიზაციის ტენდენცია ინდუსტრიული ქალაქის მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა.

თბილისის „მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა: ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცე(#47)ბული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. თბილისმა ფრთხილად მოანარუქა სხვადასხვა ერის წახნაგოვანი სიტყვები და მისცა თავისებური ეშხი და მზეოსნობა. თანდათანობით ეს სიტყვები იმდენად შეცვლილა და ხშირად ქართული გამოთქმისათვის ისე შნოიანად გაკეთებულა, რომ ამ ლექსიკას ვერც სპარსელი და ვერც სხვა რომელიმე ერი მხოლოდ თავის საკუთრებად ვეღარ მიიჩნევს“ (ი. გრიშაშვილი).

თბილისური მეტყველების ჩამოყალიბება ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, რაც, საერთოდ, დიდ ქალაქებში ხდება ამ თვალსაზრისით. პრინციპი საერთოა, განხორციელება – სპეციფიკური, თითოეული ქალაქის ისტორიული ვითარებით შეპირობებული.

კომპაქტური დასახლების გამო სოციალური დიფერენციაცია და ეთნიკური სიჭრელე ყველაზე ხელშესახებად ქალაქში წამოჩნდება ხოლმე. ეს დიფერენცირება და სიჭრელე უშუალოდ იჩენს თავს ქალაქურ მეტყველებაშიც. ამ მხრივ ქართული საისტორიო ძეგლები და მხატვრული ლიტერატურა უხვად გვაწვდის მასალას. თბილისური მეტყველება, თბილისური კილო მთელი თავისი ფერადოვნებით აისახა თბილისის აშუღურ პოეზიაშიც. ქალაქის ტრუბადურული პოეზია საერთოდ მრავალმხრივ ღირსსაცნობია ამ თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ პ. მირიანაშვილი შენიშნავდა, რომ „ქალაქი, ფრთხილისა და ხელოვანის მუშაკის მომლოდინე, ჩვენი ენის საუნჯეს მრავალ ობოლ მარგალიტს შესძენს... მეტის-მეტად საჭიროა ფეხი მოიკიდოს ჩვენს მწერლობაში მისმა მოხდენილმა და შნოიანმა საუბრის კილომ“.

3.3. პროფესიული დიალექტები. შრომის განაწილება ნიშანდობლივი მოვლენაა ყოველი საზოგადოებისათვის.ეს კი წარმოქმნის სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს, ხელოსნობაში ასეთ ჯგუფებს ამქრობას უწოდებდნენ. პროფესიის, მოსაქმეობის მიხედვით საზოგადოების ამგვარი განაწილება საფუძველს უქმნის სპეციფიკური

პროფესიული ნიშნების გამომუშავებას, დაწყებულს სულიერი წყობით და დამთავრებულს საზოგადოებაში მოქცევით, რაც მეტყველებაშიც იჩენს თავს. ამის საფუძველზე წარმოქმნილი მეტყველების ნაირსახეობა პროფესიულ დიალექტად იწოდება.

უძველესი პროფესიული დიფერენციაცია სქესის მიხედვით ხდებოდა: მამაკაცსა და ქალს თავთავისი მოვალეობა ეკისრებოდა საზოგადოებაში. მამაკაცისა და ქალის მეტყველების დიალექტური დიფერენცირება აქედან უნდა იღებდეს სათავეს (რ. შორი), შემდეგ კი, სადაც შემორჩა, სოციალური დიალექტების იერი მიიღო (იხ. ზემოთ).

წარმოების გართულებასთან ერთად რთულდება მოსაქმეობასთან დაკავშირებული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციაც.

(#48)

პროფესიული დიალექტები შესაძლოა პირობითად დავყოთ მუდმივ და მომენტობრივ (ანუ: სიტუაციურ) ნაირსახეობებად.

ექიმობა, ფილოლოგობა, მუსიკოსობა, მუშის სპეციალობა, ინჟინრობა, ფიზიკოსობა... – მუდმივი პროფესიული მახასიათებლებია ამა თუ იმ პიროვნებისა. ეს საფუძველს უქმნის მის მუდმივ პროფესიულ დიალექტს.

მაგრამ იგივე ექიმი, ფილოლოგი, მუშა შესაძლოა მგზავრის, მყიდველის, საავადმყოფოს პაციენტის როლშიც მოგვევლინოს. ამგვარად, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქმიანობა მისთვის დროებითია, მომენტობრივი, ანუ სიტუაციური. და მაინც, ამ შემთხვევაშიც ხერხდება მეტყველების გარკვეული ნაირსახეობის დადასტურება, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ პიროვნების ამ დროებით საქმიანობასთან.

რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე სიტუაციაში ექიმისა და მუშის მეტყველება განსხვავებული იქნება, შეპირობებული მათთვის მუდმივად ნიშანდობლივი პროფესიული თუ სოციალური დიალექტით, მაგრამ სხვაობა თითოეული მათგანის მუდმივ და მომენტობრივ დიალექტურ მახასიათებლებს შორის მაინც იჩენს თავს: მუდმივი მახასიათებელი ამ დროს გარკვეულად – სიტუაციის შესაბამისად – იზღუდება.

ზოგ ენაში (მათ შორის – ქართულშიც) ამგვარ მომენტობრივ სიტუაციურ დიალექტებს, შესაძლოა, ნაკლებ გამოხატული იერ-სახე ჰქონდეს და ამის გამო

ნაკლები მნიშვნელობისაც იყოს, მაგრამ არის ენები, სადაც სხვადასხვა სიტუაცია შესამჩნევად გამოხატულ დიალექტურ დიფერენციაციას ქმნის: ვაჭრობა, საქმიანი გარიგება, რელიგიური რიტუალები, გლოვის მისამძიმრება და ლხინის ხარება სხვადასხვა სიტუაციურ დიალექტზე სრულდება. ის, რაც სხვა ენებში სტილური ნაირსახეობებით ვლინდება, ამ ენებში დიალექტური მეტყველების დონეზეა აყვანილი.

ჯერ კიდევ 1876 წელს ა. დელვო შენიშნავდა: „საფრანგეტში ფრანგულად ლაპარაკობენ, მაგრამ პარიზში ისმის არგო (= პროფესიული დიალექტები), რომელიც ყოველ კვარტალში, ყოველ ქუჩაზე იცვლება. რამდენი პროფესიაცაა, იმდენი ჟარგონია“. მან პარიზში 284 არგო აღნუსხა.

პროფესიული ჩვევა თავის კვალს ამჩნევს ადამიანის ხასიათს, მის შინაგან ბუნებას. „მასწავლებელივით ლაპარაკობს“, „პროკურორის ტონი“, „ბაზრის დედაკაცივით ყვირის“ – ასეთი გამოთქმები პროფესიული ჩვევის განზოგადების საფუძველზე იქმნება (ლ. კრისინი). ყალიბდება სპეციფიკური სტერეოტიპი მოქცევისა და მეტყველებისა, შეპირობებული პროფესიული მახასიათებლებით.

(#49)

ჟარგონი და არგო. ჟარგონიც, ჟარგონული მეტყველება, პროფესიული დიალექტის მსგავსად, ადამიანის მოსაქმეობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ იმავდროულად პროფესიულ დიალექტსა და ჟარგონს ერთი არსებითი ნიშანი განასხვავებს: პროფესიული დიალექტი იქმნება სტიქიურად, წინასწარ განზრახული მიზნის გარეშე, ხოლო ჟარგონი, პირიქით, მიზნად ისახავს შექმნას მეტყველების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც გასაგები იქნება ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფისათვის და გაუგებარი – საზოგადოების სხვა წევრებისათვის.

ჩვეულებრივ, ჟარგონი ისევე განიმარტება, როგორც არგო: ცალკეული სოციალური ჯგუფის პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის. მათ შორის სხვაობად ის მიაჩნიათ, რომ არგოსაგან განსხვავებით, ჟარგონი დამამცირებელ, ათვალისწუნების (პეიორატულ) მომენტსაც შეიცავს. ამგვარი დაპირისპირება რეალური ვითარებითაა გამართლებული .საქმე ისაა, რომ სხვებისთვის გაუგებარი მეტყველება (არგო, ჟარგონი) აქვს როგორც ზოგი ხელობის წარმომადგენელს, ასევე იმათაც, რომელნიც მართლმსაჯულების ხელში ჩავარდნას

უფრთხიან (ქურდებს, მოხეტიალე მეწვრილმანეებს, სუტენერებს...). მათი მეტყველების სხვადასხვაგვარად აღნიშვნა ეთიკურადაც გამართლებულია და ენობრივადაც.

არგოსა და ჟარგონს საკუთარი საყრდები არა აქვს. ამიტომაც მერყევნი არიან და ყოველი ახალი თაობა თავის ყაიდაზე ცვლის მათ. ეს ცვლა საკუთრივ ცვლილებაა მხოლოდ და არა განვითარება ენისა. დროთა ვითარებაში არგო და ჟარგონი სულ უფრო ნაგვიანდება, მძიმდება და ხენეში ხდება.

ვ. ჰიუგო საგანგებოდ დაინტერესდა არგოთი. არგოზე მთელი ტრაქტატია ჩართული მის რომანში „საბრალონი“. რითი იქცევს ყურადღებას არგო? რა კვებავს მას, როგორ იქმნება იგი, რა ედება საფუძვლად მას? უპირველეს ყოვლისა – სიტყვათშემოქმედება. ეს სიტყვები განკერძოებით დგანან, ზოგჯერ ამაზრზენი არიან, მაგრამ იმავდროულად მათ აქვთ საოცარი გამომსახველობითი უნარი, ზუსტად ახასიათებენ მისი მთქმელის სულისკვეთებას და მის ადგილს საზოგადოებაში. მეორე საფუძველი კი მეტაფორაა. ესაა თავისებურება იმ მეტყველებისა, რომელიც ესწრაფვის ყველაფერი ითქვას და ამასთანავე ყველაფერი დაფაროს. არგო მისი მფლობელის პოზიციიდან აფასებს გარესამყაროს და მისი დაშიფრული გამოთქმანი მხოლოდ მასზე მეტყველისთვისაა გასაგები.

(#50)

არგო, ისევე, როგორც ჟარგონი, რომელიმე ენის საფუძველზე იქმნება, ამ ენის ხელოვნურად გადასხვაფერებულ ნაირსახეობას წარმოადგენს, უხვად შეზავებულს უცხო ენიდან ნასესხობებით, სემანტიკურად გადააზრიანებული ფორმებით, რებუსული გამოთქმებით. პროფესიული დიალექტიც რომელიმე ენას ვარაუდობს საფუძვლად, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოირიცხება ხელოვნური ჩარევა, გააზრებული, წინასწარგანზრახული გადასხვაფერება.

ივარაუდება, რომ „პირველყოფილ ადამიანებს გამომუშავებული ჰქონდათ სპეციალური ენები განსაზღვრული შემთხვევებისათვის, ენები, რომლებიც იყენებდნენ მხოლოდ საზოგადოების განსაზღვრული ჯგუფები“ (ლ. ლევი-ბრიული). მოგვიანებით ეს ტენდენცია არგოსა და ჟარგონში გამოვლინდა: „ყოველ პროფესიულ კლასს ოდესღაც ჰქონდა თავისი სპეციალური ენა... ეს იყო ნამდვილი ჟარგონები, ანუ საიდუმლო ენები, გასაგები მხოლოდ პროფესიონალებისათვის, მკაცრად შემოზღუდული ამქრობის წევრებისათვის“ (ლ. სენეანი).

ჟარგონისა და არგოს მრავალი ნაირსახეობა არსებობს.

ცნობილია, მაგალითად, რიტუალური არგო. ე. სეპირი ასახელებს ამის ერთ ნიმუშს: ესკიმოსი ექიმბაშები იყენებენ განსაკუთრებულ ლექსიკას, სავსებით გაუგებარს იმათთვის, ვინც მათი ამქარის წევრი არ არის.

ამგვარი შემთხვევები ერთეული არ არის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დადასტურებული მაგიურ რიტუალებთან დაკავშირებული არგო: ქურუმები საგანგებო ენას ქმნიდნენ სულებთან სალაპარაკოდ. ასეთი არგო საქართველოშიც (ხევსურეთშიც) არის ცნობილი ხატის ანუ ჯვართ ენის სახით. ამ ენაზე ხარს ჰქვია „ბუბუნა,ბუღაური, ხარმანიში“, ცხვარს – „მატყიერი, მაცხოვარი“, თხას – „კიკინმაღალი, რქამაღალი“, მამაკაცს – „ოქროს ბურთვი, ვერცხლის ბურთვი, ვერცხლის ღილი“, მოხუც კაცს – „ბერხუნდი“, ქალს – „ბიჟიონი“, ღამეს – „ბნელი“, მზეს – „მზექალი“, მიწას – „მიწათიხანი“... ახასიათებს სპეციფიკური გამოთქმებიც: „ჯიხვის თავ-რქის გადმოყოლება“ სიკვდილიანობას ან მტრის თავდასხმას ნიშნავს, ქერ-ორქოთ გადმოფანტვა მზექალის მიერ „- გვალვას, „თვალებზე ოქროს საცრის დაფარება“ – დაბრმავებას (თ. ოჩიაური, ბ. ფოჩხუა).

არსებითად ამ ჯგუფს განეკუთვნება შელოცვის ფორმულებიც. აი, ერთი ნიმუში ამისა: „მე ვარ ბედი ბედნიერი, ტურფა, სახე მშვენიერი, ამოვალ ვერცხლივითა, დავჯდები ცეცხლივითა. რა არი შენი წამალი? წყლის შვილი (=ბაყაყი), ზღვისა ქათმისა შვილი (=წიწილა). დაშაქრული დაადოს“ (შელოცვა ბედნიერისა; პ. უმიკაშვილი).

(#51)

პროფესიული საიდუმლოების გაცემა ხშირად გაკოტრებას ნიშნავდა. ამ საიდუმლოს დაცვა შესაბამისი არგოს გამომუშავებას საჭიროებდა, ამქრის წევრისათვის გასაგებს, სხვებისათვის გაუგებარს.

არგოს ნიმუშია აგრეთვე კარგად ცნობილი „ქაჯური ენა“, სადაც სიტყვები გადასხვაფერებულია ყოველ მარცვალზე რაიმე ნაწილაკის დართვით: მოწავიდაწადაწა ან მონდერვინდერდა „მოვიდა“.

3.5. განსხვავება ეთნიკურ-ტერიტორიულ და სოციალურ-პროფესიულ დიალექტებს შორის. ეთნიკურ-ტერიტორიულ და სოციალურ-პროფესიულ დიალექტებს შორის თვისებრივი სხვაობაა. მართალია, ყველა ეს დიალექტი

რომელიმე ერთი ენის ნაირსახეობებს წარმოადგენს, მაგრამ ეს ნაირსახეობანი სხვადასხვა ბუნებისაა.

არსებითი სხვაობა ესაა: ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები ამა თუ იმ ენის ნაირსახეობას ყველა დონეზე წარმოგვიჩენენ: ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკური ნაირსახეობები მეტ-ნაკლებად ყველა ეთნიკურ-ტერიტორიულ დიალექტშია წარმოდგენილი. რაც შეეხება სოციალურ და პროფესიულ დიალექტებს, მათ თავისებურებას ძირითადად ლექსიკა და ფრაზეოლოგია განსაზღვრავს, ანუ: ისინი ძირითადად ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით სხვაობენ იმ ენისაგან, რომლის დიალექტებიც არიან.

ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებისათვის ნიშანდობლივი თავისებურებანი, ჩვეულებრივ, ენის შინაგანი განვითარებითაა შეპირობებული. თუ სხვა ენის ზემოქმედებას განიცდის რომელიმე დიალექტი, ისიც უმეტეს წილ შინაგანი პოტენციის ამოქმედებას, გამოვლენის დაჩქარებას იწვევს.

სოციალური და პროფესიული დიალექტების ჩამოყალიბება კი საზოგადოების სხვა ფენებისა თუ ჯგუფებისაგან განკერძოებით არის შეპირობებული. როგორც ითქვა, ეს განკერძოება ძირითადად თავისებურ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას ეფუძნება. ლექსიკა უპირატესად ტერმინოლოგიური ხასიათისაა ან ნასესხებია (ნასესხებია თავისივე წარმოთქმით), ფრაზეოლოგია ან კალკირებულია, ან ყოფის სპეციფიკითაა განპირობებული.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მეტყველების მანერას.

ის, რომ სოციალური და პროფესიული დიალექტების არსებობა ძირითადად ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის თავისებურებებს ემყარება, არ ნიშნავს, თითქოს სხვა ხასიათს თავისებურებანი საერთოდ უცხო იყოს ამ დიალექტებისათვის.

(#52)

შენიშნულია, მაგალითად, რომ თანამედროვე ქართველი ინტელიგენტის მეტყველებაში „ერთმანეთის გვერდზე გვხვდება სიტყვის საკუთრივ ქართული და სხვა ენათა გავლენით მიღებული წარმოთქმა. მაგ., ხშირად შევხვდებით როგორც რბილ, ისე მაგარ ლ'ს სიტყვებში პალმა, პალტო“ (ზ. ჯაფარიძე), თუმცა საკუთრივ ქართული წარმოთქმა მაგარ ლ'ს ვარაუდობს; შდრ.: ქალმა, ლტოლვა.

3.6. ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტების შიგა დიფერენციაცია. ენის შემდეგ დიალექტი (კილო) ყველაზე მსხვილი ერთეულია. დიალექტი (მით უმეტეს, თუ იგი

საკმაოდ ფართო ტერიტორიაზეა გავრცელებული), როგორც წესი, არ არის მონოლითური, ერთი და იმავე ეთნიკური კუთხის ყველა რეგიონში ზედმიწევნით იდენტური. ასე რომ, ზუსტი ენათმეცნიერული ანალიზი მოითხოვს დიალექტის შემდგომ დანაწევრებას დამატებითი მეტყველებრივი ნაირსახეობების მიხედვით.

დანაწევრების პირველ საფეხურს ქმნის კილოკავი.

კილოკავი არის ერთი დიალექტის ფარგლებში მოქმედი ნაირსახეობა მეტყველებისა. ძირითადი სამეტყველო ტიპით იგი ამა თუ იმ დიალექტს განეკუთვნება, მაგრამ განსხვავდება მისგან ზოგი თავისებურებით; ანუ: კილოკავი არის ამა თუ იმ დიალექტის რეგიონალური ნაირსახეობა.

კილოკავზე უფრო მცირე დიალექტოლოგიური ერთეული არის თქმა. თქმა ისევე მიემართება კილოკავს, როგორც ეს უკანასკნელი დიალექტს: ანუ: თქმა არის კილოკავის რეგიონალური ნაირსახეობა.

ხევსურული, როგორც თავისებური ნაირსახეობა ქართული ენისა, გამოიყოფა დამოუკიდებელ დიალექტად. ხევსურეთის ყველა რეგიონში ისმის მეტყველება, რომელიც საერთოა (საკუთრივ ხევსურულია) ყველა ძირითადი მეტყველებრივი (ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური) ნიშნის მიხედვით. ეს ნიშნები ქართული ენის შესაძლებლობითაა შეპირობებული. თავის მხრივ, საკუთრი ხევსურულის ნიშან-თვისებანი ქმნიან ერთი და იმავე ფუნქციის გამოხატვის ორ ან მეტ შესაძლებლობას. რა ნაირსახეობითაც უნდა განხორციელდეს ეს შესაძლებლობანი, საქმე მაინც ხევსურულ მეტყველებასთან გვექნება, ოღონდ სხვაობა, ჩვეულებრივ, სხვადასხვა რეგიონით შემოიფარგლება. მაგალითად, ბგერათშენაცვლება და მახვილის განაწილება ხევსურულში ქმნის ერთი და იმავე ფორმის („კაცი ვარ“ ორ ნაირსახეობას: კაც-ვარ და კაცí-ორ. ორივე ეს შესაძლებლობა განხორციელდა ხევსურულში, ოღონდ სხვადასხვა რეგიონში: პირველი – შატილურში, მეორე – არხოტულში. ამ რიგის მოვლენები ერთი და იმავე დიალექ(#53)ტის ორ ნაირსახეობას (ანუ: ორ კილოკავს) განასხვავებენ. ამ შემთხვევაში შატილურსა და არხოტულს.

თავის მხრივ, კილოკავსაც აქვს შესაძლებლობა ორი ან მეტი ნაირსახეობით იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა რეგიონში. როგორც ითქვა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თქმასთან. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ოკრიბული თქმა შუა იმერეთის მეტყველებაში.

თქმაზე უფრო მცირე დიალექტურ ერთეულს ქცევას უწოდებენ. ქცევებით ზოგჯერ განსხვავდება ერთი და იმავე სოფლის სხვადასხვა მეტყველებაც კი.

3.7. იდიოლექტი. ენის დიფერენციაცია ეთნიკურ-ტერიტორიულ, სოციალურ, პროფესიულ დიალექტებად ხდება საკუთრივ ენობრივი მოვლენებიდან ამოსვლით. თითოეულ ამ დიალექტზე მეტყველებს გარკვეული პიროვნება. თუ ამოვალთ მოსაუბრე პიროვნების პოზიციიდან, აღმოჩნდება, რომ იგი შესაძლოა ერთდროულად რამდენიმე დიალექტს ფლობდეს, ანუ: ერთდროულად რამდენიმე მეტყველებივ ჯგუფს განეკუთვნებოდეს. მის მეტყველებაში დამოუკიდებელი ნაირსახეობით იქნება მოცემული როგორც ეთნიკურ-ტერიტორიული, ასევე სოციალური და პროფესიული დიალექტების ერთგვარი ერთობლიობა, ესე იგი, ამ დიალექტთა თავისებურებანი ურთიერთშეხამებული იქნება მის მეტყველებაში. ამას უნდა დავუმატოთ თითოეული პიროვნების ინდივიდუალური თავსებურებანიც, მისი საუბრის სტილი, მანერა, შეპირობებული მისი მსოფლხედვით, განათლებისა და კულტურის დონით. ასეთი უკიდურესად კერძო (პიროვნული) ნაირსახეობა ენობრივი სისტემისა იდიოლექტად იწოდება.

იდიოლექტის ცნება ბ. ბლოკმა შემოიტანა. მისი განმარტებით, იდიოლექი არის ამა თუ იმ პიროვნების მეტყველება ერთსა და იმავე საგანზე ერთსა და იმავე თანამოსაუბრესთან დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთში. იდიოლექტი ამ შემთხვევაში ძალზე ვიწრო ცნებად გაიგება. ამის მიხედვით ერთი და იგივე პიროვნება რამდენიმე (პრაქტიკულად აღურაცხელი) იდიოლექტის მქონებელი იქნება – გააჩნია რა საგანზე, ვისთან ან რა სიტუაციაში საუბრობს, ამგვარი ანალიზი რომ გარკვეული მეცნიერული ღირებულების მქონეა, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ იმავდროულად მისი პრაქტიკულად განხორციელება არსებითად შეუძლებელია. ამიტომაც ამჟამად იდიოლექტი უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენება: ესაა ამა თუ იმ ენის ნაირსახეობა, წარმოდგენილი ერთი პიროვნების მეტყველებაში. უწინარეს ყოვლისა, აქ, რა თქმა უნდა, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილური ნაირსახეობანი უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამის (#54) ნიმუშებს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მრავლად დავძებნით. ამის კლასიკური ნიმუშია, მაგალითად, გლახა ჭრიაშვილის მეტყველება ილია ჭავჭავაძის „გლეხთა განავისუფლების პირველდროების სცენებიდან“: „მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ, პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ

ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგა ამბავი საიდან მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდე ჰო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა...“.

3.8. პარადიალექტოლოგია. არსებობს მეცნიერების დარგი, რომელსაც პარალინგვისტიკას (პარაენათმეცნიერებას) უწოდებენ. ძველი ბერძნული „პარა“ ნიშნავს „ახლოს“, სიახლოვეს, გვერდით“. ასე რომ, პარალინგვისტიკა ზედმიწევნით ითარგმნება, როგორც „ლინგვისტიკის ახლოს“, ანუ: „ლინგვისტიკის თანამდევი“, უკეთ: „თანალინგვისტიკა“, „თანაენათმეცნიერება“. ამის მიდევნებით წარმოებულია „პარაენა“ ანუ „თანაენა“.

პარალინგვისტიკა სწავლობს მეტყველების თანამდევ იმ არაენობრივ გამომხატველობით საშუალებებს, რომლებიც ავსებენ და აზუსტებენ გამოსახატავ აზრს. „ენა არის მოქცევის (ყოფაქცევის) ფორმა, ესაა მთლიანად ორგანიზმის რეაქცია სოციალურ გარემოზე. სიტყვები მხოლოდ ერთი ნაწილია ამ რეაქციისა, რომელიც ამის გარდა მოიცავს აგრეთვე პოზას, მიმიკას, ჟესტს“ (მ. უესტი). სწორედ ეს პოზა, მიმიკა, ჟესტი არის პარაენა, მეტყველების თანამდევი დამაზუსტებელი ნიშნები, რომელთაც მეტყველებასთან მიმართების თვალსაზრისით შეისწავლის პარალინგვისტიკა.

ამის შესაბამისა გამოიყოფა ვერბალური (ბგერითი) და არვერბალური (არაბგერითი – ჟესტ-მიმიკის, გამომეტყველების, პოზის, ქცევის, მანერის) მეტყველება. სხვაგვარად: პარალინგვისტიკა შეისწავლის არასიტყვიერ კომუნიკაციას, პარაენას; მას „მდუმარე ენასაც“ უწოდებენ (ე. ჰოლი).

ჩ. დარვინი შენიშნავდა: „ერთი და იმავე ტომის წარმომადგენელთა უნარს, დაემყარებინათ ერთმანეთთან კავშირი ენის საშუალებით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის განვითარებისათვის; სახისა და სხეულის გამომხატველობითი მოძრაობანი კი ფრიად აძლიერებენ ენას“.

პარაენობრივი მოვლენები უშუალოდაა შეპირობებული ეროვნული თავისებურებითა და კულტურის დონით, ამიტომაც ისინი ერის კულტურასთან მჭიდრო კავშირში შეისწავლება.

(#55)

თითქმის ყოველ დიალოგს ახლავს პარალინგვისტური მახასიათებლები მიმიკა, ჟესტი, სახის გამომეტყველება, ხმის მოდულაცია, რომლებიც ავსებენ, აზუსტებენ,

აკონკრეტებენ სიტყვებით გამოთქმულს. მეტყველებისას, საერთოდ, ჩვეულებრივია, ელიზირებული (შეკუმშული) გამოთქმები, რომლებიც სათანადო ჟესტ-მიმიკისა ან შესაბამისი სამეტყველო სიტუაციის გარეშე გაუგებარნი იქნებოდნენ.

მხატვრულ ლიტერატურაში პარაენობრივი მოვლენების გამოსახატავად ავტორისეული რემარკებია გამოყენებული. თუ როგორ შეუძლია შეცვალოს პარაენას ერთი და იმავე ფორმის მნიშვნელობა, კარგად ჩანს, ერთ-ერთი შორისდებულის მაგალითზე:

- აჰა, – შვებით თქვა არჩილმა.

- აჰა, გირგოლა! – სიამოვნებით და სიხარულით წარმოსთქვა დიაბეგმა.

- აჰაა! – ძლივს ამოიქშინა ამ სიტყვებით გაცოფებულმა ქიტუამ.

- აჰააა! – ნიშნის მოგებით გააბეს მცველებმა... და ა. შ. (ო. გაჩეჩილაძე).

ნათელია, რომ ის, რაც მეტყველებისას კილოთი, ხმის მოდულაციით ცნაურდება, წერილობით გადმოცემისას შესაბამისი რემარკით განიმარტება. პარაენობრივი საშუალებანი შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური ეკონომიურობით გამოვიყენოთ საკუთრივ მეტყველება.

ანალოგიურ როლს ასრულებს გამომეტყველებაც:

- ჰო, მაგრამ მეფე შეგვირიგდა აკი, ჭიაბერის ტირილს დაესწრო, ორმოცზედაც აქ იყო.

- ამის მიზეზი სხვა იყო, ერისთავთ ერისთავო.

- მაინც რაო?

- სხვას ვისმეს უჭვრეტდა ჭიაბერის ტირილზე მეფე.

- ??? (კ, გამსახურდია).

დიალოგში ჩართული კითხვის ნიშნებით ის გაოცება გადმოიცემა, რომელსაც თანამოსაუბრის სახის გამომეტყველება გამოხატავს.

პარაენა ზეპირი მეტყველების თანამდევი მოვლენაა. ბუნებრივია, იგი „სრული დატვირთვით“ იქნება გამოყენებული დიალექტური მეტყველების დროსაც. არსებითი ისაა, რომ პარალინგვისტური საშუალებანი არა მხოლოდ ეროვნული თავისებურებებით სხვაობენ, არამედ თვით ერთი ენის ფარგლებშიც განსხვავდებიან ეთნიკური და ტერიტორიული თვალსაზრისით. ამ მხრივ შესაძლებელია ვილაპარაკოთ პარადიალექტსა და პარადიალექტოლოგიაზე. ჩაწერილი დიალექტური (#56) მასალა თვალსაჩინოს ხდის, თუ რაოდენ არსებითი

ღირებულებისა აღმოჩნდება მისი შესწავლა წმინდა დიალექტოლოგიურთან ერთად პარადიალექტოლოგიური პრინციპებითაც.

3.9. გარდამავალი, ნარევი დიალექტები და დიალექტთა გარდამავალი ზონები. გარდამავალი დიალექტი ისევე, როგორც დიალექტთა გარდამავალი ზონა წარმოიქმნება ორი ან მეტი დიალექტის ინტენსიური ურთიერთშეხების რეგიონში. წარმოქმნის საფუძველი ხდება სხვადასხვა დიალექტებისათვის ნიშანდობლივი მეტყველებრივი მოვლენების ურთიერთზეგავლენა, ურთიერთშეღწევა. ამ თვალსაზრისით იგი ერთგვარად ზედიალექტს (კოინეს) მოგვაგონებს, მაგრამ მისგან განსხვავდება ერთი არსებითი ნიშნით: გარდამავალი დიალექტისათვის დამახასიათებელი მეტყველება არ სცილება გარკვეულ რეგიონს, ამა თუ იმ ტერიტორიაზე გავრცელებული ერთადერთი დიალექტური ნაირსახეობაა, რომელიც ზოგჯერ დამოუკიდებელ კილოკავად თუ თქმად გადაქცევის ტენდენციას ავლენს. ზედიალექტი კი არსებობს სხვა დიალექტების პარალელურად როგორც დიალექტთაშორისი საურთიერთო საშუალება.

გარდამავალ დიალექტსა და დიალექტთა გარდამავალ ზონას შორის პრინციპული ხასიათის სხვაობაა: იმ შემთხვევაში, როცა ორი ან მეტი დიალექტის ურთიერთშეხების ტერიტორიაზე თავს იჩენს მხოლოდ ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენები ისე, რომ არ წამოიქმნება რაიმე ახალი თვისებრივი თავისებურება, რომელიც ნიშანდობლივი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ამ გარდამავალი ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული მეტყველებისათვის, საქმე გვაქვს დიალექტთა გარდამავალ ზონასთან. მაშინ კი, როცა გარდამავალ ტერიტორიაზე პოვნიერ მეტყველებაში ჩნდება თვისებრივად ახალი ფორმები, რომლებიც არაა დამახასიაებელი არც ერთი უერთიერთშემხები დიალექტისათვის, უნდა გამოიყოს გარდამავალი დიალექტი.

დიალექტთა ინტენსიური ურთიერთშეხების რეგიონები მრავლადაა საქართველოს ტერიტორიაზე. ასე ხვდება ერთმანეთს, მაგალითად, ქართლურ-ზემოიმერული მეტყველება სურამის ქედის ორივე კალთაზე, ქართლურ-მთიულური და ქართლურ-ფშაური არაგვის ხეობაში, ქართლურ-მესხური, მესხურ-აჭარული, ქვემორაჭულ-იმერული და ა.შ.

რამდენიმე ნიმუში ნათქვამის საილუსტრაციოდ.

არაგვის ხეობის ქართლური: „გუთანსა აქვ რვილი. რვილი რკინაისა უნდა... ორ კაცსა ერთი მეძნეური ეყოფის... ამ საწყალ კაცსა ბიჭი ეყოლა. იმ ძროხასაც ერთი ნიშა ჴარი (||ხარი) ეყოლა...“

(#57)

ამ ტექსტში თავს იჩენს როგორც ქართლურისათვის, ასევე მთის დიალექტებისათვის (კერძოდ, მთიულურისათვის) ნიშანდობლივი ფორმები. მთის დიალექტთა ზეგავლენითაა აქ პოვნიერი ფორმები: ჴარი (ნაცვლად „ხარი“ ფორმისა), რკინა-ის-ა (ნაცვლად რკინ-ის-ა ფორმისა) და მისთ.

აშკარაა, რომ მეტყველების სპეციფიკურ ტიპთან გვაქვს საქმე, რომელიც გარდამავალია ქართლურსა და მთიულურს შორის: ორივე დიალექტისათვის ნიშანდობლივ ფორმებს აერთიანებს.

ბორჯომის ხეობის ქართლური: „ ჩემი პაპიები აქ დასახლებულან სამ კვამლათ... მე თითონ ქორწილეფში უკრანდი ზურნასა... ხენწიფესთან იჩივლეს: ეს კაცი ძაღლებ ხოცანსო...“

პაპიები (← პაპეები ← პაპაები), უკრანდი „ვუკრავდი“, ხოცანსო „ხოცავსო“ მესხურ-ჯავახურისათვის დამახასიათებელი ფორმებია, შეღწეული ქართულ მეტყველებაში.

დასავლური ქართლური: „პატრონი სიმიდის შეჭმას აბრალიდა დათვსა... მერე შეშინდა გურგენიძეი და მუახსენა სასამართლოს: აღარ ვჩივივარო...) ზუმბათოვს საფქვავი ქონებოდა წისქვილში წასაღებად...“

აბრალიდა, ვჩივივარ, ქონებოდა (ნაცვლად აბრალემდა, ვჩივი, ჰქონიყო ფორმებისა) იმერულთან კონტაქტის შედეგად არის შემოსული ქართლურში.

დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა ერთი პიროვნების მეტყველებაში თავს იყრის ქართლური, იმერული და მესხური დიალექტებისათვის ნიშანდობლივი ფორმები: „გავაკეთებდით კვრის მურის მლანსა და მითი ვწერანდით ბეჭის ძვალზე. ჩვენ ვინ შეგვიშობდა შკოლაში საწყალი გლეხის შვილეფსა. ახლა არის ისეთი დროი, განათლების ხანაი, რო ჩვენს სოფელში საშუალო სკოლა არის...“ ტექსტი ქართლშია ჩაწერილი, ბორჯომის ხეობაში. მასში სამი სხვადასხვა დიალექტის თავისებურებაა ურთიერთშეხამებული: ვ-წერ-ან-დ-ი-თ აგებულებით ქართლურისათვის დამახასიათებელი ფორმაა (ვ-წერ-ამ-თ, ვ-წერ-ამ-დ-ი-თ), მაგრამ -ამ’ის ნაცვლად -ან უკვე მესხური ნაირსახეობაა. ანუ: სტრუქტურით ეს ფორმა ქართლურია, მაგრამ

კონკრეტული გამოხატვით – მესხური. ვე → ო ქართლურშიც იჩენს თავს (ქვევით → ქოით...), მაგრამ მოტანილ ტექსტში პოვნიერ „შეგვიშობდა“ ფორმას აშკარად იმერიზმის იერი დაჰკრავს.

ზოგჯერ გარდამავალი დიალექტის ნაირსახეობად ასახელებენ ნარევ დიალექტს, მაგრამ სხვაობა მათ შორის უფრო არსებითი ჩანს, ვინემ ვარაუობენ.

(#58)

როგორც ითქვა, გარდამავალი დიალექტი ორი ან მეტი დიალექტის ინტენსიური ურთიერთშეღწევის საფუძველზე წარმოიქმნება. ნარევი დიალექტი, პირიქით, ერთი დიალექტის მეორეზე ინტენსიური ზეგავლენის შედეგად ყალიბდება ისე, რომ გამვლენელი დიალექტი რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებას არ განიცდის. ასეთია, მაგალითად, რაჭული ან ჯავახური მეტყველება ბოლნისის რაიონში, რაჭული – თეთრიწყაროს რაიონში და მისთ.

სხვაობა ისიცაა, რომ დროთა განმავლობაში ნარევი დიალექტი, როგორც წესი, კარგავს დამოუკიდებლობას და ასიმილირდება გამვლენელ დიალექტთან. ამიტომაც არის, რომ, მაგალითად, მამაპაპით რაჭველისა ან ჯავახის მეტყველება, პოვნიერი ქართლურის რეგიონში, ამჟამად ქართლურის ნაირსახეობად გვევლინება და არა რაჭულისა ან ჯავახურის. მთქმელები თითონ იხსენებენ: „ძველათ ჩვენი მამპაპა ჯავახეთიდან მოსულა თექვსმეტი კომლი“; ან: „ხეჩუაშვილი ძველათ ყოფილა კაზაროვი, მოსულა ყარაბაღიდან. ციმაკურიძე მოსულა რაჭვიდან, ბერიძე გამოქცეულა გურიიდან. კოდელაშვილი არი ქართლიდან. ნასყიდაშვილები არიან მესხეთიდან. მტრებიზგან გამოქცეულან, აქ მოქუჩებულან“ (გ იმნაიშვილი). ამჟამად ყველა მათგანის მეტყველება ქართლურია.

თაობიდან თაობამდე მეტყველების ასეთი ცვლა, ბუნებრივია, შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფებს ახასიათებს. იქ კი, სადაც მიგრაცია უფრო ხალხმრავალი იყო და დასახლებაც უფრო კომპაქტურად მოხდა (მაგალითად, ზემოიმერლებისა მესხეთში, ადიგენის რაიონში), მეტყველების ტიპი დიალექტურ გადასხვაფერებას ნაკლებ განიცდის. პირიქით, შესაძლოა თვით შეიქმნეს გამვლენელად დამხვდური დიალექტისათვის, თუცმცა იმავდროულად მისგანაც შეიძინოს ზოგი რამ – ის, რაც არცთუ მთლად ეუცხოება მას.

ნარევი დიალექტისაგან განსხვავებით გარდამავალი დიალექტი რომელიმე სხვა დიალექტურ მეტყველებასთან კი არ ასიმილირდება, არამედ მეტყველების

დამოუკიდებელ ნაირსახეობად ფორმდება, ანუ იჩენს ახალ, დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად ჩამოყალიბების ტენდენციას.

სხვაობას გარდამავალ და ნარევ დიალექტებს შორის დამატებით გეოგრაფიული ფაქტორიც განსაზღვრავს. გარდამავალი დიალექტი იქმნება ორი ან მეტი დიალექტის ტერიტორიული ურიერთშეხების საზღვარზე, ნარევი დიალექტი კი უშუალოდ ამა თუ იმ დიალექტის გავრცელების რეგიონშია მოქცეული.

(#59)

თავი IV

4.1. დიალექტოლოგია და დიალექტოგრაფია. დიალექტოგრაფია არის დიალექტოლოგიის შემადგენელი ნაწილი, ზედმიწევნით დიალექტოლოგიური კვლევის საწყისი საფეხური, რომელიც გულისხმობს დიალექტოლოგიური კვლევისათვის შესაბამისი მასალის მოპოვებას. სიტყვასიტყვით: „დიალექტოგრაფია“ ნიშნავს დიალექტების აღწერას.

დიალექტური მასალის მოპოვების რამდენიმე საშუალება არსებობს.

ა) ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება - დიალექტური ტექსტის მოპოვება პირდაპირი ჩაწერით. დიალექტური მასალა უპირველეს ყოვლისა უნდა შეიკრიბოს იმ რეგიონში, სადაც ამ დიალექტის მფლობელები კომპაქტურად სახლობენ. მასალებში უნდა აისახოს დიალექტის ყველა თავისებურება; წარმოთქმა, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური ნაირსახეობანი. სასურველია მასალა შეიკრიბოს სოფელ-სოფელ. ასეთი შესწავლა აუცილებელი პირობაა დიალექტის გავრცელების საზღვრების დასადგენად (ვ. თოფურია).

ბ) დიალექტური მასალა შესაძლოა მოპოვებულ იქნას ანკეტური გამოკითხვის გზითაც. ქმ მიზნით წინასწარ დგება კითხვარი, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს ყველა შესაძლებელ დიალექტურ ნაირსასხეობას. ის, ვინც კითხვარს უპასუხებს, ვალდებულია ზედმიწევნით აღნუსხოს, შესაძლებელ ფორმათაგან რომელი არის გავრცელებული მოცემულ რეგიონში.

ნიმუშად მოვიტანთ რამდენიმე პუნქტს ამ ტიპის კითხვარიდან.

ნიმუში ფონეტიკიდან:

1. დასტურდება თუ არა ბგერები: ʒ, ლლ, û, ჲ, y, ö, ü, ჳ, ā, ē, ĭ და ა.შ.

2. იკარგება თუ არა ფუძისეული ხმოვანი მარედუცირებელი მაწარმოებლის დართვის გარეშე: ხალიჩა →ხალჩა, პატარა → პატრა, აშენდა → აშენდ...

3. (#60) ხდება თუ არა თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია: უცდის → უცთის...

4. როგორ იხმარება: ღირძილი, ღრძილი თუ ღძილი... და მისთ.

ნიმუში მორფოლოგიიდან:

1. როგორ არის წარმოდგენილი ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელი სახელობით ბრუნვაში: გზა, გზა-ი თუ გზა-ჲ... ტომარა, ტომარა-ი, ტომარე, ტომარე-ი თუ ტომარე-ჲ...

2. იხმარება თუ არა ბრუნვის ნიშნით ან თანდებულით გართულებული თანდებულიანი სახელები: სახლ-ში-ით, სახლ-ზე-ით, სახლ-ს-თან-ით; ნახევარ-ში-ამ-მდე...

3. ვნებითის რომელი ფორმები გამოიყენება: ი-წერ-ებ-ი-ს თუ ი-წერ-ებ-ა...

4. ერთპირიანი ზმნის I შედეგობითის რომელი ფორმაა გავრცელებული: მოსულ-ა, მოსულ-არს, მოსულ-ას... მოსულ-ან თუ მოსულ-არი-ან, მოსულ-არიენ...

ნიმუში სინტაქსიდან:

1. დაისმის თუ არა მეორე სერიაში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში გარდაუვალ ზმნასთან: კაც-ი, თუ: კაც-მა მოვიდა...

2. წვიმა გადაიღო, თუ: წვიმამ გადაიღო...

3. ძმები მყავს, თუ: ძმები მყვანან...

4. მათ უთხრა, თუ: უთხრა-თ, უთხრა-ყე...

ნიმუში ლექსიკიდან:

1. რა ჰქვია მრგვალი, გაუთლელი ხეებისაგან აშენებულ სახლს: ჯარგვალი, ძელურიი...

2. რა ეწოდება ამაღლებულ ადგილს, პატარა გორაკს ველზე: ბორცვი, ბეგი, ბექი, ბრეგი, ბრეკი...

3. რას ეძახით ბიძის ცოლს: ბიცოლა, ძალო || ძალუა... და მისთ.

გ) დიალექტური მასალა უხვად იპოვება წერილობით ძეგლებში, რომლებიც ამ თვალსაზრისით შესაბამის შესწავლას საჭიროებენ. წერილობით ძეგლებში

დიალექტური მასალა, ჩვეულებრივ, ორი გზით მოხვდება ხოლმე: შეუცნობლად, როცა ავტორი დიალექტს იყენებს როგორც მისთვის ხელმისაწვდომ ერთადერთ (ან ძირითად) მეტყველებას (ჩვეულებრივ, ასეთი რამ დამახასიათებელია ამა თუ იმ კუთხეში შექმნილი სიგელ-გურჯებისათვის), და შეგნებულად, გააზრებულად, (#61) როცა დიალექტიზმები გამოიყენება ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად (ასეთი რამ, როგორც წესი, მხატვრულ თხზულებებშია დადასტურებული). იმავდროულად ასეთი მასალა კრიტიკულ დამოკიდებულებასაც მოითხოვს, რადგან მასში ჭარბად იჩენს ხოლმე თავს იდიოლექტური მოვლენები.

4.2. ლინგვისტური გეოგრაფია. XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა ლინგვისტური გეოგრაფია, როგორც დიალექტოლოგიის მიმართ იმთავითვე დაპირისპირებული დისციპლინა.

ამიერიდან დაისახა დიალექტების შესწავლის ორი, პრინციპულად განსხვავებული მიმართულება: დიალექტოლოგია შეისწავლის დიალექტურ მოვლენებს გარკვეული ენობრივი სისტემის ფარგლებში, ლინგვისტური გეოგრაფია – ცალკე აღებულ ფორმას მისი გეოგრაფიული გავრცელებულობის თვალსაზრისით. დიალექტოლოგია იფარგლება ამა თუ იმ ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური, პროფესიული ჯგუფებით, ეძიებს იმ სპეციფიკურს, რაც ამ ჯგუფების მეტყველებისათვისაა ნიშანდობლივი. ლინგვისტური გეოგრაფია, პირიქით, გადის რომელიმე კონკრეტული ჯგუფის საზღვრებიდან და ცდილობს დაძებნოს ის საერთო, რაც სხვადასხვა ჯგუფის მეტყველებას ახასიათებს.

ლინგვისტური გეოგრაფიის ამგვარი პოზიცია განაპირობა იმ შინაგანმა წინააღმდეგობებმა, რომლებიც დიალექტოლოგიურ კვლევას ახლავს თან. უპირველეს ყოვლისა კი იმან, რომ დიალექტი (ენობრივი ფაქტი) განისაზღვრება ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური ან პროფესიული მონაცემებით (არაენობრივი ფაქტებით). ეს მაშინ, როცა თითოეულ ჯგუფში გავრცელებული მეტყველების ნაირსახეობათა ამპლიტუდა შესაძლოა არსებითი ხასიათის სხვაობას გვიმოწმებდეს. ასეთია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართლური და იმერული დიალექტები, რომლებიც სათუოა, ერთიანი პრინციპით განისაზღვროს: იმდენად ხელშესახებია განსხვავება არაგვისა და ბორჯომის ხეობების ქართლურს, ასევე საჩხერე-ჭიათურისა და სამტრედია-ვანის იმერულს შორის, რომ ეს სხვაობა, როგორც შენიშნულია კიდეც სპეციალურ ლიტერატურაში, ძნელად თავსდება ერთი

დიალექტის ფარგლებში. განსხვავება მეტია, ვინემ ერთი და იმავე დიალექტის კილოკავებად დაყოფისას ივარაუდება ხოლმე. ისტორიულმა, ტერიტორიულმა და ეთნიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს გაერთიანება იმ მეტყველებისა, რომელიც საკუთრივ ენათმეცნიერული კრიტერიუმით დანაწევრებადია.

ლინგვისტურმა გეოგრაფიამ ეს წინააღმდეგობა არსებითად მოხსნა. ლინგვისტური გეოგრაფიის ძირითადმა ცნებამ – იზოგლოსამ – გაა(#62)ერთიანა ყველაფერი ის, რაც საერთო, იდენტური იყო სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ ჯგუფებში გავრცელებულ მეტყველებაში, მაგრამ ამასთანავე თავი ვერ დააღწია მეორე უკიდურესობას: იზოგლოსით გაერთიანებული ყოველი ფორმა სისტემისაგან განყენებული აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ პ. მეიერმა წამოაყენა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, „დიალექტი არის ფრიად ნებისმიერი კონცეფცია ჩვენი გონებისა“, რადგან რეალურად არსებობს კონკრეტული ფორმა (დიალექტიზმი), ხოლო დიალექტის გამოყოფა მხოლოდ პირობითი შეთანხმების საფუძველზე ხდება. პ. მეიერი მასწავლებელი იყო ჟ. ჟილიერონისა. მოწაფემ მთელ თავის მოღვაწეობას დაუდო საფუძვლად მასწვლებლის დებულება. ჟ. ჟილიერონმა ასე ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია: „ჩვენ უნდა უკუვაგდოთ დიალექტი როგორც მეცნიერული კვლევის საფუძველი, დიალექტის შესწავლას ჩვენ ვუპირისპირებთ სიტყვის შესწავლას“.

ასე რომ, ცალკეული ფორმები, მათი ნაირსახეობანი და ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ეთნიკურ, სოციალურ და პროფესიულ ჯგუფებში მათი გავრცელებულობა ხდება ლინგვისტური გეოგრაფიის კვლევის საგანი.

მართალია, პირველი ლინგვისტური რუკები და ატლასები გერმანიაში შეიქმნა გ. ვენკერის მიერ, მაგრამ ამ მხრივ სანიმუშო გამოდგა ჟ. ჟილიერონისა და ე. ედმონის „საფრანგეთის ლინგვისტური ატლასი“ თავისი სიღრმით, დამუშავების სიფაქიზითა და მასალის სიუხვით.

ლინგვისტური გეოგრაფია უარყოფს დიალექტების არსებობას და ამკვიდრებს დიალექტიზმების (ცალკეულ ფორმათა) შესწავლას. შესწავლა ხდება კარტოგრაფიული მეთოდის საშუალებით: დგება თითოეული ფორმის ნაირსახეობათა გავრცელებულობის რუკა. რუკები ერთიანდება ლინგვისტურ ატლასში.

როგორც ითქვა, ლინგვისტური გეოგრაფიის ძირითადი ცნებაა იზოგლოსა. რუკაზე აღინიშნება ესა თუ ის ენობრივი თავისებურება. სხვადასხვა წერტილებში (ტერიტორიაზე) წარმოდგენილი ერთი ხასიათის (ტიპის) თავისებურებანი ერთიანდება ხაზით, რომელსაც იზოგლოსა ეწოდება (ძველი ბერძნული: იზოს „თანაგვარი“ და გლოსსა „მეტყველება, ენა“; იზოგლოსა – თანაგვარი მეტყველება, თანაგვარი ფორმები). ნიმუშად მოვიტანთ ერთი და იმავე ფორმის სამი ფონეტიკური ნაირსახეობის იზოგლოსებს: ჭალა → ჭალა-ებ-ი → ჭალე-ებ-ი → ჭალი-ებ-ი. „ჭალეები“ – სრული ასიმილაციით -დამოწმე(#63)ბულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში არის ცენტრალურ ქართლურშიც: „ჭალიები“ – დისიმილირებული ფორმა – გვხვდება მესხურსა და აჭარულში, „ჭალაები“ – ქართლურში, მთიულურსა და თუშურში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ვთქვათ, იგივე აე → ეე ან ეე → იე პროცესი სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა მოდიფიკაციით შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად, აჭარულში ეე → იე პროცესი უფრო შორს მიდის: იე → ჲე (ჭალჲები); აე → ეე ხდება ხევსურულსა და ქართლურში, მაგრამ სხვადასხვა ფუძეებთან განსხვავებული ვითარებაა: ჭალა → ჭალეები, შდრ.: ძმა → ძმები...

იმის გამო, რომ იზოგლოსებით აღნიშვნა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამჟამად რჩეობენ პირობით ნიშნებს (ან უშუალოდ წერენ შესაბამის დიალექტურ ფორმებს სათანადო გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელთან). მით უფრო, რომ ერთ რუკაზე დატანებულ სხვადასხვა იზოგლოსას სხვადასხვა ფერით აღნიშვნა ესაჭიროება. ტერმინი იზოგლოსა კი დარჩა თანაგვარ ფორმათა ცნების გამოსახატავად.

რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპები, მეთოდიკა და საკვლევი ობიექტისადმი მიდგომა რემდენადმე შეიცვალა – გაღრმავდა და დაიხვეწა. ამის თაობაზე საუბარი გვექნება დიალექტოლოგიური თეორიების განხილვის დროს.

ლინგვისტურ გეოგრაფიაში ყველაზე უფრო წარმოჩენილია ჟ. ჟილიერონის რომანული და გ. ვენკერის გერმანიკული სამეცნიერო სკოლები.

პირველი სკოლის პრინციპი ასეთია:

ა) აღსაწერი რეგიონის ამორჩევითობა; ბ) უშუალო ანკეტირების მეთოდი, ე.ი. ადგილობრივ მაცხოვრებელთა პირადი გამოკითხვა; გ) რუკაზე გადასატანი სიტყვის

პირდაპირი ფიქსაცია, ე.ი. საანალიზო სიტყვა უშუალოდ ჩაიწერება მისი გავრცელების ტერიტორიაზე.

მეორე სკოლა რამდენიმე განსხვავებულ პრინციპს მისდევს:

ა) ხდება მთლიანი (და არა ამორჩევითი) აღწერა ყველა დასახლებული პუნქტის მიხედვით; ბ) უპირატესობა ენიჭება გაშუალებულ ანკეტირებას: გზავნიან ანკეტებს სხვადასხვა რეგიონში და ავსებინებენ მათ სკოლის მასწავლებლებს; გ) რუკაზე დიალექტიზმები აღინიშნება პირობითი ნიშნებით.

ყველა სხვა პრინციპი არსებითია ზემოხსენებული ორის მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპების დანერგვამ მრავალი ახალი პრობლემა წარმოაჩინა და მათ წარმატებით გადაწყვეტასაც (#64) შეუწყო ხელი. ენა არის არა მდგომარეობა, არამედ მოძრაობა და ამ დიდ აღმოჩენას ჩვენ ლინგვისტურ გეოგრაფიას უნდა ვუმადლოდეთო, აღნიშნავდა ფ. კარგი.

შევნიშნავთ: ტერმინი „ლინგვისტური გეოგრაფია“ უზუსტოა. ამ სახით იგი გეოგრაფიის დარგი გამოდის და არა ენათმეცნიერებისა. უფრო ზუსტი იქნებოდა: გეოგრაფიული (კარტოგრაფიული ლინგვისტიკა (ენათმეცნიერება); ანდა: კარტოგრაფიული დიალექტოლოგია, რაც ნიშნავს გეოგრაფიული, კერძოდ, კარტოგრაფიული მეთოდების გამოყენებას ენათმეცნიერებაში (დიალექტოლოგიაში).

იმ სახით, როგორითაც იგი დღემდე არსებობს, ლინგვისტური გეოგრაფია არ არის დაზღვეული სერიოზული ხარვეზებისაგანაც. მათგან უმთავრესია სწორედ ის, რომ ყოველი ფორმა განიხილება სისტემისაგან განყენებულად. ამით კი გამოუვლენელი რჩება ამა თუ იმ ფორმის მიმართება სხვა ფორმებთან, მისი შეპირობებულობა; ანუ: მისი მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება სხვა ფორმებთან.

ლინგვისტური გეოგრაფია ვერ ითვალისწინებს ენობრივ ფორმათა ცვლილებების ისტორიასაც, ახდენს მხოლოდ ამ ცვლილებათა ფიქსაციას, ვერ ხსნის ცვლილების შინაგან მიზეზებსა და პირობებს.

ონტოლოგიურად ნებისმიერი მოვლენა, ყოველი საგანი არსებობს დროსა და სივრცეში. რომელიმე მათგანის (დროის ან სივრცის) გამორიდება მიგვიყვანს ხელოვნური კონსტრუქტის შექმნამდე, რასაც რეალურ მოვლენასთან უკეთეს

შემთხვევაში მხოლოდ გარეგნული მსგავსება ექნება. საჭიროა ამ რთული მოვლენის საანალიზოდ ადეკვატური საშუალების დაძებნა და არა მისი გამარტივება, გაიოლება.

თუ რა შესაძლებლობები აქვს დიალექტური მოვლენების კარტოგრაფირებას, ეს კარგად წარმოჩნდა იმ რუკაზე, რომელიც ვ. თოფურიამ შეადგინა -ავ თემისნიშნიან ზმნათა ნამყო უსრულისათვის (იხ. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963, რუკა N 11).

აღმოჩნდა სამი ძირითადი ნაირსახეობა, რაც, შესაბამისად, სამ იზოგლოსას ქმნის: I.მალ-ავ-დ-ა; II. მალ-ევ-დ-ა; II. მალ-ევ-დ-ა; III. მალ-ვ-იდ-ა. ესაა მორფოლოგიური იზოგლოსები. თითოეულ მათგანს მოეპოვება ფონეტიკური ნაირსახეობანიც: მალ-ავ-დ-ა → მალ-ამ-დ-ა → მალ-ან-დ-ა; მელ-ევ-დ-ა → მალ-ემ-დ-ა → მალ-ენ-დ-ა.

დიალექტების სამი წრე, სადაც ეს ნაირსახეობანია წარმოდგენილი, ასე ნაწილდება:

(#65)

I. მალ-ავ-დ-ა – საინგილო, კახეთი, ფშავი, ქვემოიმერეთი;
მალ-ამ-დ-ა – კახეთი, მთიულეთი, ქართლი;
მალ-ან-დ-ა (|| მალ-ენ-დ-ა) – მესხეთ-ჯავახეთი.

II. მალ-ევ-დ-ა – თუშეთი, ხევსურეთი, ხევი, ზემოიმერეთი;
მალ-ემ-დ-ა – რაჭა, ზემოიმერეთი, მესხეთ-ჯავახეთი;
მალ-ენ-დ-ა (|| მალ-ან-დ-ა) – მესხეთ-ჯავახეთი.

III. მალ-ვ-იდ-ა – გურია, ქვემოაჭარა.

განხილვის ამგვარი პრინციპი მართლაც წაშლის ზღვარს ცალკეულ დიალექტებს შორის. რომელიმე მალ-ევ-დ-ა ხევსურიზმად ან ზემოიმერიზმად არ შეიძლება ჩაითვალოს. ესაა, საერთოდ, ენის პოტენციის კონკრეტული ხორცშესხმა, რომელიც ერთდროულად არის დადასტურებული როგორც ხევსურეთსა და ზემოიმერეთში, ასევე თუშეთში, ხევში... იმავდროულად ეს არის ერთი იზოგლოსა, რომელიც, ერთი მხრივ, უწყვეტია: ხევი – ხევსურეთი – თუშეთი, ხოლო, მეორე მხრივ, ხდება წყვეტა: ზემოიმერეთი; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ასევე

წყვეტილი იზოგლოსით უკავშირდება მესხეთ-ჯავახეთს (მალ-ემ-დ-ა || მალ-ენ-დ-ა), ხოლო უწყვეტით – რაჭულს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ის, რასაც ტრადიციულად ქართული ენის ტერიტორიულ დიალექტებს უწოდებენ, არსებითად ეთნიკური დიალექტებია. ისინი, ბუნებრივია, გარკვეულ ტერიტორიაზე იქნებიან გავრცელებული, მაგრამ მათთვის არსებითია სწორედ ეთნიკური და არა ტერიტორიული ფაქტორი. ლინგვისტური გეოგრაფია კი საკუთრივ ტერიტორიულ პრინციპს ამკვიდრებს, წმინდა ტერიტორიული თვალსაზრისით აჯგუფებს დიალექტურ ნაირსახეობებს. ცალკეულ ფორმათა გავრცელებულობის საანალიზოდ ამგვარი პრინციპი, რა თქმა უნდა, დასაშვებია.

მაგრამ იმავდროულად ყოველი კონკრეტული ფორმა გარკვეული ენობრივი სისტემის კუთვნილებაა და სწორედ ამ სისტემის გათვალისწინებაა აუცილებელი მისი სრულყოფილი ენათმეცნიერული ანალიზისათვის.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა წარიმართოს ლინგვისტური გეოგრაფიის მეთოდის დახვეწა.

დიალექტოლოგია და ლინგვისტური გეოგრაფია ურთიერთშემავსებელი დარგებია და არა ურთიერთდაპირისპირებული.

გაირკვეს მათი კვლევის სფეროები, მიზანი და მეთოდები – აი, ეს არის ამჟამად არსებითი.

(#66)

4.3. დიალექტების შესწავლის ოპტიმალური საშუალება კარტოგრაფირების მეთოდის გამოყენებით. ენა ცვლადი სისტემაა, ამიტომაც იგი ყოველთვის იძლევა ფორმათა ისტორიულ ან სივრცულ ნაირსახეობებს. კარტოგრაფიულ მეთოდს უთუოდ ხელეწიფება ამ ნაირსახეობათა წარმოჩენა. მაგრამ – რა მიმართებას ამყარებს ესა თუ ის ფორმა სისტემის სხვა წევრებთან, იწვევს თუ არა მისი ცვლა სისტემის სხვა წევრების ცვლილებასაც, – ამ კითხვებზე კარტოგრაფიული მეთოდი ამჟამინდელი გამოყენებით პასუხს ვერ გასცემს.

ამასვე დაუკავშირდება მეორე საკითხი. კერძოდ, კონკრეტულ ფორმათა კარტოგრაფირებამ წაშალა ზღვარი ცალკეულ ეთნიკურ დიალექტებს შორის (მალ-ევ-დ-ა ერთდროულად აღმოჩნდა რამდენიმე დიალექტში, ასევე – მალ-ავ-დ-ა). გვაქვს

თუ არა შესაძლებლობა, იმავე კარტოგრაფიული მეთოდით დავადგინოთ ამა თუ იმ დიალექტის მეტყველების საზღვრებიც (და არა მხოლოდ რომელიმე ფორმის გავრცელებულობა სხვადასხვა ტერიტორიაზე)?

ასეთი შესაძლებლობა გვაქვს და იგი განხორციელდება კიდეც, თუკი ამოვალთ საკუთრივ სისტემიდან (და არა ოდენ ცალკეული ფორმიდან).

იმავე მალ-ავ-ს ზმნის I შედეგობითი ასეთ ნაირსახეობებს იძლევა დიალექტების მიხედვით:

I. და-უ-მალ-ავ-(ი-ს) – ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი;

II. და-უ-მალ-ავ-(ს) – ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი;

III. და-უ-მალ-ი-ა – იმერეთი, გურია, აჭარა ...

ეს კი სამ იზოგლოსას ქმნის: I. ხევსურეთი – ფშავი – თუშეთი; II. ქართლი – კახეთი – მესხეთ-ჯავახეთი; III. იმერეთი – გურია – აჭარა... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეორე იზოგლოსის დიალექტებში პარალელურად საკმაოდ მძლავრად თავს იჩენს -ი-ა დაბოლოებიანი წარმოებაც, მაშინ ზემოხსენებული ფორმები ორი იზოგლოსით გაერთიანდება: I. ხევსურეთი – ფშავი – თუშეთი; II. კახეთი – ქართლი – მესხეთ-ჯავახეთი – იმერეთი – რაჭა – გურია – აჭარა.

თუ გავითვალისწინებთ ნამყო უსრულის მონაცემსაც, ასეთ სურათს მივიღებთ: მალ-ავ-დ-ა და მალ-ევ-დ-ა აპირისპირებს ფშაურსა და ხევსურულს, მაგრამ და-უ-მალ-ავ-(ი-ს) ამ ორ დიალექტს აერთიანებს. მალ-ევ-დ-ა აკავშირებს ხევსურულსა და ზემოიმერულს, მაგრამ და-უ-მალ-ავ-(ი-ს) და და-უ-მალ-ი-ა აცალკევებს მათ. და-უ-მალ-ი-ა საერ(#67)თოა იმერულისა და გურულისათვის, მაგრამ მალ-ავ-დ-ა, მალ-ევ-დ-ა და მალ-ვ-იდ-ა ერთმანეთისაგან განასხვავებს ქვემოიმერულს, ზემოიმერულს და გურულს.

ამ რიგის დამთხვევა-განსხვავებანი მრავლად აღმოგვაჩნდება ქართული ენის დიალექტებში. მით უფრო, თუკი რომელიმე სისტემის სამი ან მეტი ფორმაც იქნება გათვალისწინებული.

ცალკეულ ფორმათა კარტოგრაფირებამ ერთი და იმავე (უღვლილების) სისტემის თვალსაზრისით განხილული დიალექტები ერთ შემთხვევაში გააერთიანა (ერთ იზოგლოსაში მოაქცია), მეორე შემთხვევაში – ერთმანეთისაგან განასხვავა (სხვადასხვა იზოგლოსები მოგვცა).

ამიტომაც ჩანს საჭირო არა მხოლოდ ცალკეულ ფორმათა კარტოგრაფირება, არამედ ფორმათა სისტემისაც. საკმარისია ნიმუშად ავიღოთ ორი ფორმის (ჩვენს შემთხვევაში – ნამყო უსრულისა და I შედეგობითის) მიმართება, რომ ნათლად წარმოჩნდება, თუ რაოდენ დააკონკრეტებს დიალექტურ ნაირსახეობათა გავრცელების რეგიონებს საკითხისადმი ამგვარი მიდგომა.

ერთი და იმავე პარადიგმატული რიგის ფორმები ასე განაწილდება დიალექტების მიხედვით:

მალ-ევ-დ-ა – და-უ-მალ-ავ-(ი-ს) ხევსურულშია;

მალ-ავ-დ-ა – და-უ-მალ-ავ-(ი-ს) – ფშაურში;

მალ-ევ-დ-ა – და-უ-მალ-ი-ა – ზემოიმერულში;

მალ-ავ-დ-ა – და-მალ-ი-ა – ქვემოიმერულში;

მალ-ვ-იდ-ა – და-უ-მალ-ი-ა – გურულში და ა.შ.

დასახელებული მაგალითები ნიმუშადაა მოტანილი და, ბუნებრივია, ყველა შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

წარმოდგენილ სქემას ასეთი განმარტება შეიძლება მიეცეს: რომელიმე და-უ-მალ-ავ-(ი-ს) ფორმა ხევსურულშიცაა და ფშაურშიც, მაგრამ ხევსურულში იგი მალ-ევ-დ-ა ფორმასთანაა შეწყვილებული, ფშაურში – მალ-ავ-დ-ა ფორმასთან; და-უ-მალ-ი-ა იმერულსა და გურულშია წარმოდგენილი, მაგრამ პირველ შემთხვევაში მალ-ავ-დ-ა ან მალ-ევ-დ-ა ფორმებთანაა შეწყვილებული, მეორე შემთხვევაში – მალ-ვ-იდ-ა ფორმასთან და ა.შ.

ასე რომ, კარტოგრაფირების მეთოდი ამ შემთხვევაში კი არ დაუპირისპირდა დიალექტოლოგიურ კვლევას, არამედ, პირიქით, მან დააზუსტა და უფრო ნათლად წარმოაჩინა ეთნიკური დიალექტების თავისებურებანიც და საზღვრებიც.

(#68)

დიალექტების სრულყოფილი შესწავლა ამ ორივე დარგის (დიალექტოლოგიისა და ლინგვისტური გეოგრაფიის) მეთოდების გამოყენებასა და დანერგვას გულისხმობს. დიალექტოლოგია ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი თვალსაზრისით არკვევს დიალექტურ ნაირსახეობათა რაობას, ადგენს სალიტერატურო ენასთან დიალექტების მიმართებას. ლინგვისტური გეოგრაფია კარტოგრაფიის საშუალებით აღწერს დიალექტურ ნაირსახეობათა გავრცელებას, სვამს საკითხს, თუ რატომ იჩენს თავს რომელიმე კონკრეტული ნაირსახეობა

ერთდროულად რამდენიმე ეთნიკურ დიალექტში, რისი მიზეზის გარკვევაც, თავის მხრივ, ისევ და ისევ დიალექტოლოგიას ხელეწიფება.

კვლევის ორი გზა, რომელიც დიალექტის შესწავლის ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება – ასეთი განმარტება შეიძლება მივცეთ დიალექტოლოგიისა და ლინგვისტური გეოგრაფიის ურთიერთდამოკიდებულებას.

4.4. ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენა დიალექტებში და ლინგვისტური გეოგრაფია. ენის შინაგანი პოტენციისა და დიალექტებში მისი გამოვლენის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამჟამად ეს საკითხი ლინგვისტური გეოგრაფიის თვალსაზრისით გვაინტერესებს. ნიმუშებად უკვე დასახელებულ მაგალითებს მოვიტანთ – ეს გააადვილებს საკითხის ერთდროულად დიალექტოლოგიური და ლინგვისტურგეოგრაფიული პოზიციიდან გააზრებას.

ის, რომ ქართულში მიმღეობური ფუძეებისაგან შესაძლებელია ზმნების წარმოება (ყიდ-ულ-ობ-ს, ნახ-ულ-ობ-ს), არის ენის პოტენცია, მისი შინაგანი შესაძლებლობა. ხოლო ის, თუ რა ტენდენციით, რა ინტენსივობითა და ოდენობით გამოიყენება ეს პრინციპი ამა თუ იმ ეთნიკური, სოციალური ან პროფესიული ჯგუფის მეტყველებაში, წარმოადგენს ამ შესაძლებლობის განხორციელებას, გამოყენებას („რეალიზაციას“). ხმარ-ულ-ოფ-ს, ტყობ-ილ-ოფ-ს, ხდ-ილ-ოფ-ს, შონ-ილ-ოფ-ს – დიალექტიზმებია არა წარმოების პრინციპის, არამედ სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით: დიალექტიზმის სტატუსით გვევლინება კონკრეტული, კერძო ფორმა და არა საკუთრივ წარმოების პრინციპი (ხმარ-ულ-ოფ-ს იმავე პრინციპითაა ნაწარმოები, რაც ყიდ-ულ-ობ-ს; პირველი დიალექტიზმია, მეორე – არა).

ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე პოტენცია შესაძლოა ნაირგვარად იყოს გამოხატული. ეს ქმნის დიალექტების დიაქრონიულ და სინქრონულ ნაირსახეობებს.

(#69)

ისტორიულად მიცემითში დასმული სახელი რიცხვში არ ეთანხმებოდა ზმნას: მას || მათ აქუ-ს. იმავდროულად სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი ყოველთვის შეთანხმებული იყო ზმნასთან: მას || მათ იგი აქუ-ს, მაგრამ: მას || მათ იგინი ჰ-ქონ-ან. ესაა ძველი ქართულის ერთ-ერთი ძირითადი წესი და

ამასთანავე მისი ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ახალი ქართულისაგან.

პირველ ეტაპზე დიალექტურ ნაირსახეობას იძლევა თვით ამ პრინციპის ცვლა: მიცემითში დასმული სახელი რიცხვში ეთანხმება ზმნას, სახელობითში დასმული – ყოველღვის ვეღარა: მას იგი || იგინი აქვ-ს, მაგრამ: მათ იგი || იგინი აქვ-თ. ეს დაპირისპირება მეტ-ნაკლებად დღემდე დაცულია როგორც დიალექტურ ნაირსახეობათა არსებობის საფიძველი. მაგალითად, ხევსურულის განმასხვავებელი ნიშანი ისიცაა, რომ მიცემითში დასმულ სახელს ნაკლებად აქვს ზმნასთან რიცხვში შეთანხმების უნარი.

ასე რომ, ამ შემთხვევაში თვით სინტაქსურ-მორფოლოგიური პრინციპია განსხვავებული: დიალექტების ერთი ნაწილისათვის ნიშანდობლივია მიცემითში დასმული სახელის რიცხვში შეთანხმება ზმნასთან, ზოგი დიალექტისათვის კი უცხოა ასეთი რამ. თანაც იქ, სადაც ზმნაში არ აღინიშნება მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა, როგორც წესი, აღნიშნულია სახელობითში წარმოდგენილი სახელის (სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის) მრავლობითობა.

იმავდროულად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თვით წრმოების ერთი პრინციპიც გვიჩვენებს დიალექტურ ნაირსახეობებს: მიცემითში დასმული სახელის რიცხვში შეთანხმება ზმნასთან ქართული ენის დიალექტების უმეტესობისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ამ შეთანხმების მორფოლოგიური გამოხატვა სხვადასხვაა; ანუ: პრინციპი – რიცხვში შეთანხმება – საერთოა, დიალექტურ ნაირსახეობებს ქმნის ამ პრინციპის ნაირგვარი გამოხატვა:

მათ ის
- აქვ-თ — ქართლური, შიგნიკახური...
- აქვ-ენ —გურული...
- აქვ-ან — აჭარული...
- აქვ-ს-ყე(ნ) — გარეკახური, რაჭული, ქვემოიმერული...

ლინგვისტური გეოგრაფიის თვალსაზრისით ზემოდასახელებული ფორმებისათვის ორი იზოგლოსა გვექნება.

(#70)

ერთ შემთხვევაში აღინიშნება სხვაობა თვით პრინციპში: I. დიალექტები, რომელთათვისაც არ არის ნიშანდობლივი მიცემითში დასმული სახელის რიცხვში შეთანხმება ზმნასთან; II. დიალექტები, რომლებსაც ასეთი შეთანხმება ახასიათებს.

მეორე იზოგლოსა აერთიანებს იმ დიალექტებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია შეთანხმების პრინციპი, იმის გათვალისწინებით, თუ შეთანხმება რა მორფოლოგიური ან ფონეტიკური ნაირსახეობებით არის გამოხატული.

4.5. არეალური ენათმეცნიერება – არეალოგია. დიალექტოლოგიისა და ლინგვისტური გეოგრაფიის გვერდით არსებობს არეალური ენათმეცნიერება – არეალოგია. ლინგვისტური გეოგრაფიის მსგავსად, არეალოგიისთვისაც არსებითია ენობრივ მოვლენათა სივრცული (ტერიტორიული) გავრცელების საკითხები.

არეალოგიურ პრინციპებს კარგა ხანია იყენებს ბიოლოგია, გეოლოგია, კლიმატოლოგია, მეცნიერების ზოგი სხვა დარგიც. ენათმეცნიერებაში ეს პრინციპები ენობრივ მოვლენათა არეალურ გავრცელებისადმია მისადაგებული. არსებითად არეალოგია იკვლევს სივრცეში საგანთა განლაგებისა და ურთიერთკავშირის კანონზომიერებებს. ამ მხრივ ენათმეცნიერებასთან ყველაზე ახლოსაა ეთნოგრაფიული არეალოგია. თუ ენათმეცნიერება ამ მიზნისათვის იყენებს იზოგლოსას ლინგვისტური გეოგრაფიის ძირითად ცნებას), ეთნოგრაფიაში შეიქმნა მისი ანალოგი ტერმინი – იზოპრაგმა (ძველი ბერძნული: პრაგმა „საგანი“; იზოპრაგმა = თანაგვარი საგანი, ობიექტი). იპოვება არეალოგიური ენათმეცნიერებისა და ეთნოგრაფიის პრობლემათა ერთობლივი დამუშავების ცდებიც, არსებითად – ნომინაციის (სახელდების) საკითხების კვლევისას: აქვს თუ არა თანაგვარ საგნებს თანაგვარი სახელწოდება ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალში.

არეალოგიური ენათმეცნიერება ზოგჯერ ირევა ლინგვისტურ გეოგრაფიაში. ირევა იმიტომ, რომ ისინი არსებითად ერთი და იმავე მეთოდებით სარგებლობენ და ამასთანავე კვლევის ობიექტებიც არ არის მკვეთრად გამიჯნული.

ძირითადი სხვაობა მათ შორის ესაა: ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპით ხდება თანაგვარი მეტყველების აღწერა ამა თუ იმ ენის (ან მონათესავე ენების) გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, არეალოგია კი დაინტერესებულია მოცემულ

გეოგარფიულ რეგიონში არსებული ყველა (მონათესავე თუ არამონათესავე) ენის ურთიერთმიმართებითა და მათი კონტაქტის შედეგებით. ანუ: ლინგვისტური გეოგრაფია დაადგენს, თუ ქართული ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე (#71) სად გვხვდება მალ-ავ-დ-ა, მალ-ევ-დ-ა ან მალ-ვ-იდ-ა ტიპის წარმოება; არეალოგია გაარკვევს ამა თუ იმ გეოგრაფიულ რეგიონში (ვთქვათ, აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში, კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში ან მთლიანად კავკასიის ჩრდილო ზოლზე) გავრცელებულ ენათა და ამ ენების დიალექტთა თავისებურებებს, წარმოქმნილს როგორც ურთიერთკონტაქტის, ასევე ერთმანეთისაგან თვითგანიჯვნის ტენდენციების ნიადაგზე.

ამრიგად, არეალოგიური კვლევის ერთ-ერთი ძირითად პრობლემას წარმოადგენს ენობრივი კონტაქტები და ამ კონტაქტების შედეგად გამოწვეული ენობრივი სიტუაცია ამა თუ იმ არეალში.

დიალექტოლოგიის პრობლემებს არეალოგიური საკითხები იმდენად უკავშირდება, რამდენადაც ენათა კონტაქტების შედეგები ხშირად აისახება ხოლმე დიალექტებში, ზოგჯერ ისე, რომ არ შეეხება სალიტერატურო ენას ან ამ ენის სხვა დიალექტებს. მაგალითად, ნახური ჯგუფის ენებთან უშუალო კონტაქტი, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად აისახა ქართული ენის მთის დიალექტებში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში...) და არ შეხებია აჭარულს, რომელზედაც გარკვეული ზეგავლენა იქონია თურქულმა ენამ.

არეალოგიური ენათმეცნიერების კვლევის საგანია ისიც, თუ რა ცვლილებები მოსდის ამა თუ იმ ენას სხვა ტერიტორიაზე, სხვა ენობრივ გარემოცვაში გადანერგვისას; მაგალითად, როგორ ვითარდება ქართული ენა ირანულენოვან გარემოცვაში (იგულისხმება ის მეტყველება, რომელიც ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის სახელწოდებითაა ცნობილი).

არეალოგიური კვლევა-ძიების აუცილებლობა განსაკუთრებით ხელშესახებად იჩენს თავს ტოპონიმების (ორონიმების, ჰიდრონიმების, ოიკონიმების...) შესწავლის დროს.

არეალოგიური ენათმეცნიერება ხშირად იყენებს ტერმინს „ენობრივი ლანდშაფტი“. ეს ტერმინი იმ შემთხვევაში იქნება მისაღები, თუკი გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად აუცილებლად გაითვალისწინებს პოლიტიკურ-კულტურულ მოვლენებსაც.

ეს რთული ურთიერთმიმართება ადეკვატურ ანალიზს საჭიროებს. გეოგრაფიული ფაქტორი ზოგჯერ უპირისპირდება პოლიტიკურ-კულტურულ ფაქტორებს – გეოგრაფიული სიახლოვე, კონტაქტი ყოველთვის არ გულისხმობს პოლიტიკურ-კულტურულ საერთოობას ან ზეგავლენას და პირიქით, პოლიტიკურ-კუკტურუკუ ზეგავლენა ყოველთვის არაა შეპირობებული ტერიტორიული კონტაქტით.

(#72)

თავის მხრივ, არც პოლიტიკურ-კულტურული ფაქტორია ცალსახად მოცემული: პოლიტიკური და კულტურული ტენდენციები არცთუ იშვიათად შინაგან წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. პოლიტიკური საერთოობა იმთავითვე არ გულისხმობს კულტურულ ერთობასაც და არც კულტურული ურთიერთზეგავლენა ვარაუდობს პოლიტიკური სისტემების ერთგვარობას. და, რაც მთავარია, ზეგავლენასთან ერთად ყოველთვის მოქმედებს ურთიერთგამიჯვნის ფაქტორიც: ენობრივი, კულტურული, სულიერი თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტენდენცია.

საერთოდ, კულტურა გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვინემ პოლიტიკა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა ნერგავს ან ხელს უწყობს ამა თუ იმ კულტურას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ეროვნული კულტურა თავის მთლიანობაში მხოლოდ პოლიტიკური წყობითაა განპირობებული. კულტურის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მემკვიდრეობითობა. ამიტომაც თვით საერთო კულტურული მიმდინარეობანიც კი განსხვავებული მოდიფიკაციებით იჩენს თავს სხვადასხვა ერის სულიერ ცხოვრებაში. ეს მოდიფიკაციები ერის სულიერ ტრადიციებთან ახალი კულტურული ნაკადის შეგუება-შეხამების გარდაუვალი ტენდენციითაა აღბეჭდილი. ბევრი რამ მოქმედებს აქტიურად ამ დროს: ისტორიული თავისებურებანი, ადმინისტრაციული წყობა და საზღვრები, სავაჭრო ურთიერთობანი, რელიგიური ფაქტორები და ა.შ. არსებითი კი მაინც ერის სულისკვეთებაა, სულიერი მისწრაფება და ინტერესები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერის თითოეული წარმომადგენლის პიროვნულ ნიშან-თვისებებში არის აღბეჭდილი.

ზემოხსენებული გაგებით არეალოგია ფრიად ნაყოფიერ ნიადაგს პოვებს ენობრივად ისეთ მრავალფეროვან რეგიონში, როგორიც კავკასიაა, სადაც საკმაოდ

ინტენსიურად იჩენს თავს ენობრივი ინტერფერენციის მოვლენები. ეს ეხება როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების ურთიერთობას.

კავკასიაში წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიური, ინდოევროპული და თურქული ენები.

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან: ქართველური ჯგუფი (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური), აფხაზურ-ადიღური (აფხაზური, აბაზური, ყაბარდოულ-ჩერქეზული, ადიღეური), ნახური (ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური – წოვა-თუშური), დაღესტნური (ხუნძურ(#73)-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენები, ლეზგიური, ლაკური, დარგუული...). იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი ყველაზე მრავალრიცხოვანია კავკასიაში წარმოდგენილ მონათესავე ენათა სხვა ოჯახებს შორის.

ინდოევროპულ ენათაგან: სომხური, ოსური (ორივე – მძლავრი კავკასიური სუბსტრატით)...

თურქულ ენათაგან: აზერბაიჯანული, ბალყარული, ყარაჩაული...

საუკუნეთა განმავლობაში ამ ენებს შორის მეტ-ნაკლები კონტაქტი არსებობდა. ქართველურ ენათა ისტორიის მანძილზე ხელშესახებად წარმოჩნდება კონტაქტების შედეგები როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ, ასევე ინდოევროპულ და თურქულ ენებთან (ი. გეწაძე; გ. კლიმოვი).

ქართული ენის დასავლურ დიალექტთა რიგი თავისებურებებისა და მეგრულ-ჭანურთან და სვანურთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგადაა წარმოქმნილი; თავის მხრივ, ჭანურის დაცილება მეგრულთან შეაპირობა ჭანურზე თურქული ენის ზეგავლენამ. თვით მეგრულში თავს იჩენს აფხაზურიდან მომდინარე მოვლენები, ხოლო აფხაზურს მეგრული მეტყველების გავლენა ეტყობა; ჩერქეზულ-ყაბარდოულის კვალი შეიგრძნობა სვანურში. სვანურის გავლენა დასტყობია დასავლეთ საქართველოს ჩრდილო რეგიონში გავრცელებულ ქართული ენის დიალექტებს...

რა თქმა უნდა, მონათესავე და არამონათესავეე, მით უმეტეს მოძმე (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური) ენების ზეგავლენა ერთნაირი ინტენსივობით არ ვლინდება და შედეგებიც ნაირსახოვანია. მონათესავე ენა გაცილებით უფრო შეღწევადია, ვინემ ამ თვალსაზრისით საკმაოდ შორს მდგომი ენა. სწორედ ამ ურთიერთობათა ნაირგვაროვნების გარკვევა ესახება მიზნად არეალოგიას, რაც

იმთავითვე ვარაუდობს კულტურლ-ისტორიული რეალიების აუცილებელ გათვალისწინებასაც.

ჯერ კიდეც XX საუკუნის დასაწყისში ნ. მარი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას ენათა კონტაქტების შედეგებზე კავკასიის რეგიონში. საქმე ეხება არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს, არამედ, საერთოდ, სულიერ წყობას. ნიმუშად დასახელებულია ისტორიულ-კულტურული ყოფა ოსებისა, რომლებიც უძველესი ხანიდან სახლობენ სულიერ თავისებურებებთან, რომ ეს აისახა მათ დედაენაშიც, მის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და განსაკუთრებით კი სემანტიკურ გააზრებაში.

(#74)

ცნობილია, რომ „მეგრულსა და ჭანურში რთულ პრევერბთა მეორე შემადგენელ ელემენტად გვევლინება -და-, -შა-, -წა-, -ლა-, -ნა-, -თა-, -კა-...“ ზოგი ამ ზმნისწინისა დადასტურებულია აფხაზურში: -წა-, -თა-, -ლა-, -კა-. ივარაუდება, რომ მეგრულსა და ჭანურში ეს ზმნისწინები აფხაზურიდან უნდა იყოს შესული. თავის მხრივ, -ჷს სუფიქსი აფხაზურ სახელებში ქართველური ენებიდან ჩანს ნასესხები; შდრ. მეგრული: -ას – მალ-ās „მალე“. ამ რიგის შეხვედრები აფხაზურსა და ქართველურ ენებს შორის „შესაძლებელი იყო მხოლოდ მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტის პირობებში, რამაც ზმნური და სახელისეული საწარმოებელი ელემენტების შეთვისება მოგვცა“ (არნ. ჩიქობავა).

ენობრივი კონტაქტების საფუძველზე ისტორიული მოვლენების ანალიზს ხშირად მიმართავდა ი. ჯავახიშვილი. ამ რიგით კონტაქტების შედეგები მრავლადაა წარმოჩენილი პ. ჭარაიას, ს. ჯანაშიას, ვ. თოფურიას, ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, გ. ახვლედიანის, ვ. აბაევის (ოსურ-ქართველური შეხვედრების შესახებ) და სხვათა ნაშრომებში. ახალი კუთხით გამახვილდა ყურადღება ამ პრობლემაზე თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ერთობლივ მონოგრაფიაში.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ დიალექტოლოგია და ლინგვისტური გეოგრაფია არეალოგიური კვლევის შედეგებს იმდენად ითვალისწინებს, რამდენადაც ისინი საკუთრივ დიალექტებში აისახება და გარკვეულად განაპირობებს კიდეც ამა თუ იმ დიალექტის ენობრივ იერ-სახეს.

ენობრივი კონტაქტების შედეგები დიალექტურ სტრატიფიკაციაშიც იჩენს თავს (იხ. სუბსტრატის, სუპერსტრატისა და ადსტრატის პრობლემატიკა).

ქართული ენის ყველა დიალექტში თავს იჩენს მოვლენები, რომლებიც: 1. საერთო-ქართულია; 2. ნიშანდობლივია დიალექტთა ამა თუ იმ წრისათვის (არეალისათვის); 3. სპეციფიკურია ცალკეული (კონკრეტული) დიალექტისათვის.

სპეციფიკური, მხოლოდ რომელიმე დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენები შედარებით იშვიათია. ქართული ენის ყოველი დიალექტის იერ-სახეს ქმნის დიალექტიზმების კომპლექსი. ამ კომპლექსში შემავალი ყოველი ცალკეული მოვლენა შესაძლოა სხვა დიალექტში (ან დიალექტებში) იპოვებოდეს. ეს საკითხი კი სწორედ ლინგვისტური გეოგრაფიისა და დიალექტოლოგიური არეალოგიის კვლევის სფეროს განეკუთვნება.

ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური თვალსაზრისით განაწილების საკითხი პირველად დასვა ა. შანიძემ ნაშრომში „ქართუ(#75)ლი კილოები მთაში“, სადაც მან გამოყო ფხოური ჯგუფი დიალექტებისა (ხევსურული, მოხეური, თუშური, ფშაური), ხოლო მთიულური დაუკავშირა რაჭულს, კერძოდ კი, გლოლა-ჭიორა-ღების მეტყველებას.

მოგვიანებით ა. შანიძე ისევ მიუბრუნდა ქართული დიალექტების არეალოგიური თვალსაზრისით განაწილების საკითხს და ძირითად განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობის საფუძველზე გამოყო ექვსი დიალექტური ჯგუფი: 1. ფხოური – ხევსურული, მოხეური და თუშური; 2. მთიულური და ფშაური, რომელთაც ზოგი ნიშნის მიხედვით უახლოვდება ზემორაჭული; 3. ქართლ-კახური. ქართლურთან ახლოს დგას მესხურ-ჯავახური, კახურთან – ქიზიყური; 4. დასავლური დიალექტები: ზემო, შუ და ქვემო იმერული, გურული და ქვემორაჭული; 5. სამხრეთ-დასავლური ჯგუფი: ზემოაჭარული და იმერხეული; 6. ინგილოური, რომელზეც ძლიერი ზეგავლენა იქონიეს ხუნძურმა და აზერბაიჯანულმა ენებმა.

განსხვავებული პრინციპით აჯგუფებს ქართული ენის დიალექტებს არნ. ჩიქობავა, რომელიც გამოყოფს შვიდ დიალექტურ წრეს: 1. ქართლურს მესხურ-ჯავახურითურთ; 2. კახურს ქიზიყურით, ინგილოურითა და ფერეიდნულითურთ; 3. იმერულს ლეჩხუმურითურთ; 4. გურულს. 5. აჭარულს. 6. იმერხეულს; 7. მთის კილოებს: ხევსურულს, თუშურს, ფშაურს, მთიულურს (გუდამაყრულითურთ), მოხეურსა და რაჭულს. თავის მხრივ, ყველა ეს დიალექტი ორ დიდ ჯგუფად განიყოფება: ბარის კილოებად (პირველი ექვსი ჯგუფი) და მთის კილოებად (მეშვიდე ჯგუფი).

ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციას სპეციალურად შეეხო შ. ძიძიგური, რომელმაც გამოყო ხუთი ჯგუფი: 1. ინგილოური და ფერეიდნული; 2. თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მთარაჭული; 3. კახური, ქართლური, მესხური; 4. ზემოიმერული, ქვემოიმერული, ქვემორაჭული; 5. გურული, აჭარული, იმერხეული.

შენიშნულია, რომ ეთნიკური და გეოგრაფიული პრინციპი ყოველთვის არ ასახავს ენობრივ სინამდვილეს. მაგალითად, მთარაჭული ტერიტორიულად დასავლეთ საქართველოშია, მაგრამ ენობრივად საერთოს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან; ქვემორაჭული კი ზემოიმერულს უახლოვდება; ზემოიმერული, თავის მხრივ, ანალოგებს პოულობს ქართლურთან.

ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლა გულისხმობს იმ ფონეტიკური და გრამატიკული ტენდენციების გამოვლენას, რომლებიც საერთოა საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში გავრცელებული დიალექტებისათვის. ამასთან დაკავშირებით დაისმის (#76) საკითხი რომელიმე არეალში გაერთიანებული დიალექტების საერთო წარმომავლობის შესახებაც.

სხვადასხვა დიალექტში პოვნიერი იდენტური ენობრივი მოვლენები ძირითადად ორი სახისაა: ა) შედეგია დიალექტების ურთიერთზეგავლენისა (რაც გარკვეულ წილ გულისხმობს სუბსტრატულ მოვლენებსაც); ბ) საქმე გვაქვს სხვადასხვა დიალექტში ურთიერთდამოუკიდებლივ წარმოქმნილ მოვლენებთან (თავს იჩენს საერთო ენობრივი ტენდენცია).

არეალოგიური კვლევა ამ ორივე მომენტს მოიცავს.

არეალოგიური პრინციპი დიალექტთა განდასებისა, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს ტერიტორიულ განაწილებას (რადგან ესა თუ ის დიალექტი ყოველთვის გარკვეულ ტერიტორიაზეა გავრცელებული), ითვალისწინებს ისტორიულ ვითარებასაც (რადგან საერთო ენობრივი ტენდენციები ხალხთა მიგრაციისა თუ ხანგრძლივი კონტაქტის შედეგიცაა), მაგრამ კლასიფიკაციის ძირითადი და განმსაზღვრელი პრინციპი ამ შემთხვევაში წმინდა ენობრივი უნდა იყოს.

საერთო მოვლენებს ქართული ენის ბევრ დიალექტში ვადასტურებთ, ზოგჯერ სრულიად დაცილებულ, ერთმანეთსაგან არსებითად განსხვავებულ დიალექტებშიც.

როგორც აღინიშნა, ესაა ენის შინაგანი საერთო ტენდენციის გამოვლენის შემთხვევები.

საკუთრივ არეალოგიური თვალსაზრისით დიალექტების დაჯგუფება გულისხმობს მათ განაწილებას შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ა) დიალექტთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფისათვის ნიშანდობლივი იდენტური ენობრივი ტენდენციების მიხედვით; ბ) სხვა – მონათესავე ან არამონათესავე – ენებთან კონტაქტების შედეგების თვალსაზრისით.

საერთო ფონეტიკური და გრამატიკული ტენდენციების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ქართველურ ენათა დიალექტების სამი არეალის გამოყოფა.

პირველ ჯგუფში ერთიანდება ქართველურ ენათა ჩრდილო არეალის დიალექტები: თუშური, ხევსურული, მოხეური, რომელთაც მსგავსი ენობრივი ნიშნებით უახლოვდება ზემორაჭული და აგრეთვე სვანურის დიალექტები.

ყურადღებას იქცევს, რომ ამ არეალის დიალექტებს უპირატესად დაცული აქვს უძველესი ფონემატური სტრუქტურა (ჴ,û...). თავს იჩენს აგრეთვე იდენტური ფონეტიკური პროცესები, რომლებიც ან სრულიად უცნობია, ან ნაკლებ საპოვნელი და არასისტემური ქართვე(#77)ლურ ენათა სხვა დიალექტებში. ასეთია, მაგალითად, ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცის ტენდენცია, რომელიც სისტემებრ გვხვდება ამ არეალში; იდენტური ფონეტიკური პროცესი თუშურსა და სვანურში – პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მეტათეზისი ფუძისეულ თანხმოვანთან (თუშური: ვტირი → ტვირი, ვჩეჩე → ჩვეჩე; სვანური: * ûტიხე → ტ ûიხე „ვაბრუნებ“).

ქართული ენის მთს დიალექტებში (ხევსურულში, თუშურში, მოხეურში) ჩვეულებრივი მოვლენაა თანდებულიან ფორმათა გართულება -ით, -ივ, – თან, -ად (|| -ა-მდე) ფორმანტებით: სახლ-ში-ით, სახლ-ზე-ით, სახლ-ს-თან-ით, ნახევარ-ში-ა-მდე და მისთ. ნიშანდობლივია ანალოგიური ტენდენცია სვანურშიც: თხûიმ-მიყ-იშ „თავ-თან-ის“, ხოხûურა-მ-თე-შ-დ „უფრო პატარისაკენისად“ (ვ. თოფურია, თ. უთურგაიძე).

მთის დიალექტებში, მათთვის დამახასიათებელი საერთო ენობრივი ტენდენციის კვალობაზე, მეტ-ნაკლებად დაცულია უღვლილების უძველესი სისტემა. ეს ეხება აწმყოს ფუძის საკითხსაც. კერძოდ, თელ-ს „თელავს“, თიბ-ს „თიბავს“, ნაყ-ს „ნაყავს“, კოდ-ს „კოდავს“ ფორმები თემის ნიშნით, ჩვეულებრივ, არ არის გართულებული. ანალოგიურ ვითარებას სვანურიც გვიჩვენებს. იმ შემთხვევაში კი,

როცა სვანურში თემის ნიშნები გამოიყენება, ისინი უძველესი ფორმაციისა ჩანან – იმ ფორმაციისა, რომელსაც ქართულ ფუძედრეკად ზმნებში გამოვლენილი (ამჟამად ფუძეს მიხორცებული) -ეს (სრ-ეს-ს; შდრ.: მო-სრ-ავ-ს), -ემ (თვლ-ემ-ს; შდრ.: თვალი), -ენ (ღრ-ენ-ს; შდრ.: ღრ-იალ-ი) რიგის ფორმანტები განეკუთვნება. ისტორიულად მათ იგივე პოზიცია უკავიათ და იგივე მოქცევა უნდა ჰქონოდათ, რაც თემის ნიშნებს (შდრ.: ფშვნ-ეტ-ს – და-ფშვ-ნ-ა, სადაც -ეტ თემის ნიშნის სტატუსით გამოდის და ხ-ვრ-ეტ-ს - გა-ხვრ-იტ-ა, სადაც -ეტ ფუძის გამოუნაწევრებადი ელემენტია. და ასე: ს-ც-ემ-ს – ს-ც-ა, მაგრამ: თველ-ემ-ს – ჩა-თვლ-იმ-ა; ბად-ებ-ს – და-ბად-ა, მაგრამ: კრ-ებ-ს – შე-კრ-იბ-ა). სვანურში პოვნიერი თემის ნიშნები სწორედ მათთან პოულობენ ანალოგიას: ი-ქû-ემ „იცვამს“, ი-ქûთ-ერ „იპარავს“, ა-კრ-ენ-ი „აღებს“, ხ-ო-ღ- ēშგ-ი „ართმევს“, დ- ēსგ-ი „დებს“ (ვ. თოფურია). ღისსაცნობია, რომ ბალსზემოურში – ēსგ და ēშგ თემისნიშნიანი ფორმები პარალელურად უამთემისნიშნოდაც გამოიყენება: ი-დ-ი || ი-დ- ēსგ-ი „დებს“, ხ-ო-ღ-ი || ხ-ო-ღ- ēშგ-ი „ართმევს“. ეს უთუოდ მოგვაგონებს თიბ-ს || თიბ-ავ-ს, თელ-ს || თელ-ავ-ს ტიპის პარალელურ ფორმებს, რომლებიც ქართული ენის მთის დიალექტებში შეინიშნება, განსაკუთრებით – მათ სამხრეთ (ბარის კილოებთან მომიჯნავე) რეგიონში.

(#78)

ფუძედრეკადი ზმნები ქართული ენის დიალექტებში ორ ტენდენციას ავლენენ: ა) დაცულია ფუძის დრეკის ფაქტი: დრეკ-ს – დრიკ-ა, ლეკ-ს – წა-ლიკ-ა... ბ) ფუძე რთულდება თემის ნიშნით: დრეკ-ავ-ს || დრიკ-ავ-ს. პირველი ტენდენცია დამახასიათებელია ქართული ენის მთის დიალექტებისთვის. ეს ტენდენცია თავს იჩენს სვანურშიც: თერ „ცნობს“- ა-თირ „იცნო“, ი-ყერ „ირტყამს“- ი-ყირ „მოირტყა“, ი-კედ „იღებს“- äნ-კიდ „აიღო“ (ვ. თოფურია).

აქვე გასათვალისწინებელია ნამყო უსრულში -ავ და -ამ თემისნიშნების გადაბგერების ფაქტიც, რაც დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის და დღესდღეობით ყველაზე თანამიმდევრულად წარმოდგენილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთის რეგიონში: ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-ემ-დ-ა, მალ-ავ-ს → მალ-ევ-დ-ა. ზედმიწევნით ანალოგიას ადგილი აქვს სვანურში: ა-ბ-ემ „აბამს“- ა-ბ-äმ-და „აბამდა“, ი-ცხ-ემ „იზრდება“ – ი-ცხ-äმ-და „იზრდებოდა“, ი-ქû-ემ „იცვამს“ – ი-ქû- äმ-და „იცვამდა“...

მეორე ჯგუფს ქმნიან შუა (ცენტრალური) არეალის დიალექტები: კახური, ქართლური, ზემოიმერული, ქვემორაჭული. კახურის განაყოფებია ინგილოური და ფერეიდნული (დღესაც ძირითადი ენობრივი ტიპით მასთან ახლოს მდგომი დიალექტები). აქვე ზოგი ნიშნის მიხედვით შეიძლება გავითვალისწინოთ მესხურ-ჯავახურიც, რომელიც ახლოს დგას ქართლურთან, თუმცა მასში თავს იჩენს ის ნაკადიც, რომელიც გურულ-აჭარულთან პოულობს ანალოგიას.

ფონეტიკური პროცესებიდან აქ ყურადღებას იქცევს: ა) ასიმილაცია ყოველთვის ერთსაფეხურიანია და სრული: დაეცა → დეეცა, მოეტანა → მეეტანა... თავისებურია ისიც, რომ ხდება: მიუტანა → მუუტანა (შდრ. გურულ-აჭარული: მოუტანა → მუუტანა); ბ) დამახასიათებელია თემის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტის გადაბგერება: მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს → მალ-ან-ს; ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს || ა-კეთ-ამ-ს → ა-კეთ- ენ-ს || ა-კეთ-ან-ს... ნაზალიზებული ნაირსახეობა მესხურ-ჯავახურისთვისაა დამახასიათებელი, რაც სრულ ანალოგიას პოულობს მეგრულთან: ა-ცხოვრ-ენ-ს „აცხოვრებს“ (თ. გამყრელიძე, ტ. გუდავა). ცვლილება ხდება მხოლოდ თანხმოვნისა და პაუზის წინა პოზიციაში: და-მალ-ამ-ს || და-მალ-ან-ს, მაგრამ: და-მალ-ვ-ა.

ზმნის მორფოლოგიიდან ღირსსაცნობია თემისნიშნიან წარმოებაზე გადასვლა: დრეკ-ს → დრეკ-ავ-ს, წერ-ს → წერ-ამ-ს და მისთ.

მესამე ჯგუფში ერთიანდებიან სამხრეთ-დასავლეთის არეალის დიალექტები: აჭარული, იმერხეული, გურული, ქვემოიმერული, რომლებ(#79)თანაც საერთოს პოულობს მესხურ-ჯავახური. ამ არეალში შემოდის მეგრულ-ჭანურიც.

შეიძლება დავასახელოთ ამ დიალექტებისათვის დამახასიათებელი ზოგი საერთო ნიშანი: ა) დამახასიათებელია ორსაფეხურიანი სრული ასიმილაცია: გა-უ-კეთ-ა → გო-უ-კეთ-ა → გუ-უ-კეთ-ა, და-ი-ჭირ-ა → დე-ი-ჭირ-ა → დი-ი-ჭირ-ა (ქვემოიმერულის ზოგიერთ თქმაში...); ბ) ფართოდაა გავრცელებული ნაწილობრივი ასიმილაცია; ზემოთ უკვე ნახსენები: გა-უ-კეთ-ა → გო-უ-კეთ-ა, და-ი-ჭირ-ა → დე-ი-ჭირ-ა... გ) გვხვდება თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები: ტბა → ტპა, ხბო → ხპო || ხფო; დ) ერთსაფეხურიან სრულ ასიმილაციას, ჩვეულებრივ, მოსდევს დისიმილაცია: და-ე-მართ-ა → დე-ე-მართ-ა → დი-ე-მართ-ა, სუფსა-ელ-ი → სუფსე-ელ-ი → სუფსი-ელ-ი... ე) მოდუნებულია რედუქცია: წყალ-ის, ძმა-ის... ვ) ფუძედრეკადი ზმნები, როგორც წესი, გადასული არიან ი- გახმოვანებაზე: დრიკ-ავ-ს – დრიკ-ა... ყველა ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად თავს იჩენს მეგრულ-ჭანურშიც.

საყურადღებო სურათს იძლევა ქართული დიალექტების სხვა ენებთან კონტაქტის შედეგები. ზოგჯერ სწორედ ამის შედეგად იცვლება ამა თუ იმ დიალექტის ამოსავალი ენობრივი იერ-სახე. ამის ნიმუშია თუშური, სადაც მკვეთრი შემართვისა და დამართვის ბგერები დამკვიდრდა ბაცბურთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად: yāyმამ „ამან“,yēyქ „ექ, აქ“... აქვე შეიძლება დავასახელოთ ინგილოური, რომელმაც სხვა ენათა გავლენით არსებითი ცვლილებანი განიცადა ბგერათა სისტემაში (დაკარგა ძ და ჯ აფრიკატები, ფართოდ დაიმკვიდრა უმლაუტიანი ხმოვნები), ისესხა თვით მორფემებიც კი (ყმაწûლ გაჩენ-ინჯახ „ყმაწვილის გაჩენამდე“).

დიალექტურ არეალებს შორის წარმოდგენილი გარდამალი ზონები. ამ რიგისაა, მაგალითად ფშაური და მთიულური, რომლებიც ქმნიან გარდამავალ ზონას ჩრდილო და ცენტრალურ (შუა) არეალებს შორის. გარდამავალი ზონის დიალექტებისათვის ნიშანდობლივი ზოგი თავისებურებით ხასიათდება მესხურ-ჯავახურიც.

არეალებს შორის არსებული გარდამავალი ზონები (რომლებიც ხშირად დამოუკიდებელი დიალექტების სახითაა წარმოდგენილი), არ უნდა აირიოს დიალექტების გარდამავალ ზონებში (იხ. 3.9), რომლებიც დამოუკიდებელი დიალექტების ურთიერთშემხებ ტერიტორიაზე წარმოიქმნება ხოლმე და რომლებსაც თავისთავადი დიალექტის სახე (სტატუსი) არა აქვთ.

(#80)

4.6. ენათა ნათესაობა და ენათა კონტაქტები. ცნება „ენათა ნათესაობა“ გულისხმობს ენათა გენალოგიური (წარმოშობითი, წარმომავლობითი) ურთიერთმიმართებების დადგენას. „მონათესავე ენებად იწოდება ისეთი ენები, რომელნიც ერთი ენიდან მომდინარეობენ, ამ ენის დიალექტთა განვითარების პროდუქტს წარმოადგენენ“ (არნ. ჩიქობავა).

გენეალოგიური თვალსაზრისით ენათა შესწავლა XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს (რ. რასკი, ფ. ბოპი, ი. გრიმი...) და უწინარეს ყოვლისა ინდოევროპული ენების ნათესაობის მეცნიერულ დასაბუთებას ემსახურებოდა. ენათმეცნიერებაში შემოდის ტერმინები „ენათა ნათესაობა“, „ენათა ოჯახი“, „მონათესავე ენები“.

ენათა ნათესაობა დგინდება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით: „ისტორია მიზანია, შედარება – დამხმარე საშუალება ისტორიისათვის“ (არნ. ჩიქობავა).

მონათესავე ენათა შესწავლა ვარაუდობს: ა) მონათესავე ენათა გენეტიკური ურთიერთმიმართების გარკვევას; ბ) მონათესავე ენებისათვის ამოსავალი ვითარების რეკონსტრუქციას როგორც ფონემატური, ასევე გრამატიკული და სემანტიკური თვალსაზრისით; გ) მონათესავე ენებში მომხდარ ცვლილებათა აბსოლუტური და ფარდობითი ქრონოლოგიის დადგენას; დ) მონათესავე ენათა შემდგომი დიფერენციაციის საკუთრივ ენობრივი მიზეზების გამოკვლევას, რაც, რასაკვირველია, ითვალისწინებს არაენობრივ (გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, კულტურულ, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ) მონაცემებსაც.

იმავდროულად კვლევის საგნად შეიძლება გავიხადოთ არამონათესავე ენებიც (მათი ისტორია და თანამედროვე ვითარება); „ეს იქნება ტიპოლოგიური მსგავსების დადგენა“ (არნ. ჩიქობავა).

ენათა ნათესაობის პრობლემას XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაუპირისპირდა „ენათა კავშირების“ ცნება (ნ. ტრუბეცკოი). იმის გამო, რომ ბგერათშესატყვისობანიც, მორფოლოგიური სისტემებიც და ლექსიკაც შესაძლოა მსგავსი ან იდენტური ჰქონდეს აშკარად არამონათესავე ენებსაც (ტიპოლოგიური მსგავსების და არა გენეტური საერთოობის ფაქტი!), არა გვაქვს რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ ვივარაუდოთ, მაგალითად, ინდოევროპული ფუძე-ენის ოდინდელი არსებობა. მაშინ როგორღა აიხსნება ინდოევროპულ ენებს შორის უდაოდ წარმოჩენილი სიახლოვე? აიხსნება ენათა დაახლოებით, რაც ენათა კავშირის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. ინდოევროპული ენების დაახლოება („დანათესავება“) მოხდა მუდმივი კონტაქტის, პერმანენტული ურთიერთზეგავლენის, ფორმათა სესხების შედეგად (#81) და არა მათი საერთო წარმომავლობის გამო. ანუ: ივარაუდება სრულიად საპირისპირო გზა: არა ენათა დიფერენციაცია-დაცილება (რაც საერთო წარმომავლობას გულისხმობს), არამედ, პირიქით, ენათა დაახლოება-დამსგავსება (რაც ენათა ხანგრძლივი კონტაქტით მიიღწევა).

მაშასადამე, ენათა ნათესაობის კონცეფცია ამოდის ერთი ფუძე-ენის არსებობს შესაძლებლობიდან – ენათა სიმრავლე ერთ ენის დიფერენციაციის შედეგია.

ენათა კავშირის ცნების საფუძველია იმთავითვე მრავალი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ენის არსებობის შესაძლებლობა – ენათა დაახლოება-დამსგავსება მათი ხანგრძლივი კონტაქტის საფუძველზე ხდება, ანუ: ინტეგრაციის შედეგია.

ენათა კავშირის ცნების საფუძველია იმთავითვე მრავალი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ენის არსებობის შესაძლებლობა – ენათა დაახლოება-დამსგავსება მათი ხანგრძლივი კონტაქტის საფუძველზე ხდება, ანუ: ინტეგრაციის შედეგია.

ამ თვალსაზრისით ენათა ნათესაობისა და ენათა კავშირების ცნებები პრინციპულად უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ პრინციპული ურთიერთდაპირისპირება არ ნიშნავს ურთიერთგამორიცხვას.

დიფერენციაცია და ინტეგრაცია ურთიერთ თანამდევი პროცესებია: დაპირისპირებული, მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხველი. დაახლოება, რომელიც შედეგია ენათა კავშირისა, არ გამორიცხავს იმას, რომ იმავდროულად ეს ენები ერთმანეთთან ან სხვა ენებთან ნათესაობის საფუძველზეც ერთიანდებიან. სომხურში ძლიერაა წარმოდგენილი კავკასიური სუბსტრატი. ესაა ენათა კავშირის შედეგი. მაგრამ იმავდროულად გენეტური თვალსაზრისით სომხური ინდოევროპული ენების ოჯახშია გაერთიანებული. ასე რომ, კავშირის ცნება მოიცავს როგორც მონათესავე, ასევე არამონათესავე ენებს. ამ პრობლემის კვლევა არეალოგიის სფეროში შემოდის, მის მიზანს გენეტური და ტიპოლოგიური იდენტურობის დადგენა შეადგენს.

ზემოხსენებული პრობლემები უშუალოდაა დაკავშირებული დიალექტოლოგიურ კვლევასთან.

ის, რაც ენაში ხდება, სათავეს ხშირად დიალექტში იღებს.

როგორც მონათესავე, ასევე არამონათესავე ენების ზეგავლენა დიალექტზე ხელშესახებად იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ ინავდროულად გასარჩევი ხდება გენეტური იგივეობა და არამონათესავე ენებთან კავშირის შედეგი. მით უფრო ითქმის ეს ქართული ენის დიალექტებზე, სადაც უხვად მოიძევება ორივე რიგის მოვლენები.

არამონათესავე ენების კავშირი რომ არსებითი ხასიათის ცვლილებებს იწვევს, ამის ნიმუშად ინგილოური დიალექტიც გამოგვადგება: „ქალ წინდას ქსოვდა, ტოლაღს (=წვივებსა და მაჯებზე შემოსახვევ არტახებს) ქსოვდა, ხუთმეტ ტყüლ მონაქსოვ ქალ კეთტევოდა. გათხო(#82)ვები დროზე ჟეჲზს (=მზითევს) რეცხავდა, ჰკერავდა ლამაზა(თ). ქალი მამაჲ ჰყიდულოვდა ქალიბე (=ქალისთვის) ორ მუჟრუს (=სკივრს). ქალი მამაჲ ქალიბე ჰყიდულოვდა სამ ყათ (=ხელ, ცალ) ტანსმუს. ქალი დედ-მამაჲ ჰყიდულოვდა ლაგან (=თითბრის პატარა ტაშტს) და აფტუფას (=სპილენძს პატარა ორპირიან თუნგს), მიჰქონდა კაცი სახში...“ ანდა: „აქ დარჩა გათენებინიჯახ

(=გათენებამდე)... ახლა მარჟნსაან (=მარჯვნისკენ, მარჯვენა მხარეს) გადახტა, ახლა ჩოლოყისაან (=მარცხნისაკენ, მარცხენა მხარეს) გადახტა...“

მოტანილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ სხვა ენასთან კონტაქტის შედეგი არა მხოლოდ ლექსიკის სესხებით გამოვლინდა, არამედ ფონეტიკასა და მორფოლოგიაშიც აისახა, თურქული სინტაქსის კვალიც თვალნათლივია.

მონათესავე ენების ურთიერთშეღწევადობის ინტენსივობა მათივე გენეტური სიახლოვითაა შეპირობებული. იმავდროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისტორიულად მონათესავე ენები დროთა განმავლობაში ურთიერთდაცილების შემდგომ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ ვითარდებიან და იძენენ იმ რიგის თავისებურებებს, რომლებიც საერთოობის პერიოდში მათ არ მოეპოვებოდა. ეს მოვლენა ნიშანდობლივია დიალექტებისათვისაც.

გენეტურად ურთიერთდაკავშირებულ ენებში საჭირო ჩანს იმის გარჩევა, თუ რაა საერთო წარმომავლობის (დიფერენციაციის შედეგი) და რა – მათი, როგორც დამოუკიდებელი ენების, ურთიერთზემოქმედების კვალი (ინტეგრაციის შედეგი).

ერთი რამ არის უცილობელი: ენათა კონტაქტებს დიდი წილი უძევთ დიალექტების თავისებურებების წარმოქმნაში. ეს კონტაქტები კი ნაირგვარად ვლინდება: სუბსტრატით, სუპერსტრატით, ადსტრატით...

4.7. ტალღათა თეორია. XIX საუკუნის 60-იან წლებში ჰ. შუხარდტმა ნაშრომში „ვულგარული (=ხალხური) ლათინურის ვოკალიზმი“ წამოაყენა დებულება, რომ დიალექტები, კილოკავები და თქმები მკვეთრად კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ქმნიან თანდათანობითს (მდოვრე) გადასვლებს. 1888 წელს გ. პარისმა მოხსენებაში „საფრანგეთის კილოები“ აღნიშნა, რომ სურათი, რომელსაც წარმოსახავენ ენათა გენეალოგიურ ხეზე, არასწორია. არსებითად გვაქვს დიალექტების გეოგრაფიული უწყვეტობა: საფრანგეთის ერთი ბოლოდან მეორემდე დიალექტები თანდათანობით გადადიან ერთმანეთში, მყარი საზღვრები მათ შორის არ შეინიშნება: სინამდვილეში არ არსებობს დიალექტებს შორის მკვეთრი საზღვრები, ხალხური კი(#83)ლოები ერთმანეთისაგან სხვაობენ ძნელად შესამჩნევი („მოუხელთებელი“) ელფერით.

ეს მოსაზრება ბევრი მკვლევრის მიერ არ იქნა გაზიარებული. ა. ჰორნინგი ნაშრომში „რომანული ენების დიალექტური საზღვრების შესახებ“ (1893 წ.) შენიშნავდა, რომ დიალექტების ტერიტორიული გამიჯვნა რეალური ფაქტია, ოღონდ

დიალექტებს შორის საზღვარი არ უნდა წარმოვიდგინოთ აუცილებლად მკვეთრი გამყოფი ხაზის სახით. უფრო ხშირია მათ შორის გარდამავალი ზონების არსებობა.

ზემოხსენებული უკავშირდება იმ თეორიას, რომელიც ი. შმიდტმა 1872 წელს ჩამოაყალიბა ნაშრომში „ინდოგერმანულ ენათა ნათესაობითი დამოკიდებულებანი“, და რომელსაც საკმაოდ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

ტალღათა თეორიის არსი ასეთია: ყოველი ცალკეული ინდოევროპული ენა უნდა განისაზღვროს ამავე ოჯახის მეორე ენის მიმართ როგორც გარდამავალი საფეხური და, საერთოდ, ყველა ინდოევროპული ენა ერთმანეთთან დაკავშირებულია როგორც ურთიერთგარდამავალი ენები.

ი. შმიდტის თეორია ემყარება მონათესავე ენათა გავრცელების ტერიტორიულ ფაქტორს: გეოგრაფიულად მომიჯნავე ენებს მეტი აქვთ საერთო, ვინემ ენებს, რომლებიც ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაცილებულია. ისევე, როგორც წყლის ზედაპირზე ერთი ტალღა თანდათანობით, მკვეთრი საზღვრების გარეშე გადადის მეორე ტალღაში, მონათესავე ენების ურთიერთგადასვლაც თანდათანობით ხდება. ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ, მაგალითად, სლავურ-ბალტიური ენები წარმოადგენენ ორგანულ გარდამავალ რგოლს ირანულ (არიულ) და გერმანულ ენებს შორის; ასევე: ირანულ ენებს გაცილებით უფრო მეტი რამ აქვს საერთო ძველ ბერძნულთან (უღვლილების ტიპი, ლექსიკა...), ვინემ იტალიკურ ენებთან. ამის მიხედვით, ძველი ბერძნული წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ენათა ამ ორ ჯგუფს შორის, ანუ: ძველი ბერძნული ახლოსაა როგორც ირანულ, ასევე იტალიკურ ენებთან, მაგრამ ირანული და იტალიკური უკვე საკმაოდ დაცილებულია ერთმანეთისაგან; მათი კავშირი ძველი ბერძნული ენითაა გაშუალებული, ანუ: ძველი ბერძნული ენის საშუალებით ხდება ირანული ენების თანდათანობითი გადასვლა იტალიკურ ენებში. გადამწყვეტი აღმოჩნდა ტერიტორიული ფაქტორი: ტერიტორიულმა სიახლოვემ განსაზღვრა ერთი ოჯახის სხვადასხვა ენებს შორის მეტ-ნაკლები სიახლოვე.

მაშასადამე, მონათესავე ენებს შორის მკვეთრი საზღვარი არ შეიმჩნევა, ხდება მხოლოდ ენების ერთმანეთში გადასვლა ერთი წერტი(84)ლიდან დაძრული და წყლის მთელ ზედაპირზე გავრცელებული ტალღის მსგავსად. აქედან გამომდინარე, მონათესავე ენათა გენეალოგიური ხე უზუსტოა, იგი უნდა შეიცვალოს ენათა ტალღობრივი ურთიერთგადასვლის ცნებით.

ამ თეორიამ დიდი ზეგავლენა იქონია ზოგი დიალექტოლოგის თვალსაზრისზე. კერძოდ, ზემოთ ნახსენები იყო მოსაზრება დიალექტებს შორის მკვეთრი საზღვრის უქონლობაზე. ეს ვარაუდი უშუალო გამომძახილია ტალღათა თეორიისა.

რა თქმა უნდა, უკომპრომისოდ ამ თვალსაზრისის გაზიარება გაჭირდება. გვაქვს შემთხვევები, როცა დიალექტებს შორის საზღვარი მართლაც არ არის მკვეთრად გამოხატული, მაგრამ იმავდროულად დიალექტებს შორის საზღვარი რეალურიცაა და თვალსაჩინოც.

ასე რომ, ტალღათა თეორიის პრინციპები დიალექტების მიმართ შეზღუდვით უნდა იქნეს გამოყენებული. კერძოდ, ეს ეხება იმ დიალექტებს, რომელთა შორის იქმნება ზემოთ ნახსენები გარდამავალი ზონები, კილოკაური ნაირსახეობანი ან სულაც გარდამავალი დიალექტები.

ტალღათა თეორია მართებულად ხსნის სწორედ ამგვარ შემთხვევებს (და არა დიალექტთა ურთიერთმიმართების ყოველგვარ შემთხვევას). დასაზუსტებელია თვით დიალექტების თანდათანობითი ურთიერთგადასვლის ცნებაც.

თუ ცენტრად ქართლურ დიალექტს მივიჩნევთ, მაშინ დიალექტური სხვაობის მატება, რა თქმა უნდა, ტერიტორიულ დაშორებასთან იქნება დაკავშირებული და ეს სხვაობა-დაცილება წრიულად ვრცელდება: საკუთრივ ქართლური ყველაზე უკეთ შუაგულ ქართლშია დაცული. რაც უფრო ვშორდებით ამ ცენტრს, მით უფრო შეინიშნება მეტყველების გადასხვაფერება: დასავლეთით იმერულს უახლოვდება, აღმოსავლეთით – კახურს, ჩრდილო-აღმოსავლეთით – მთიულურს, სამხრეთ-დასავლეთით – მესხურ-ჯავახურს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია გაივლოს საზღვარი, რომელიც გამიჯნავს ქართლურსა და იმერულს ან სხვა რომელიმე დიალექტს.

საქმე ისაა, რომ ურთიერთზეგავლენის გარდა, როგორც ზემოთ საგანგებოდ იყო ნაჩვენები, მძლავრად მოქმედებს თვითმყოფადობის შენარჩუნების და ამით სხვა დიალექტთაგან გამიჯვნის ტენდენციაც. ხარაგაულის რეგიონს, რასაკვირველია, ემჩნევა ქართლურთან ურთიერთობის კვალი, მაგრამ აქ მაინც საკუთრივ ზემოიმერული მეტყველებაა გავრცელებული (რაც ვლინდება ინტონაციით, ფონეტიკური პრო(#85)ცესებით, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით) და ამით ხელშესახებად იმიჯნება მის მიმდებარედ ქართლურ სოფლებში გავრცელებული ქართლური მეტყველებისაგან.

საკითხი დგას იმის შესახებაც, თუ რას გულისხმობს ტალღათა თეორია: მომიჯნავე ტერიტორიაზე ენობრივი ზეგავლენის ფაქტს, თუ ტერიტორიული დაცილების გამო მეტყველების თანდათანობით გადასხვაფერებას (რაც ეთნიკური კუთხეების შესაბამისად სხვადასხვა დიალექტად იწოდება). თუ მხოლოდ მეტყველების თანდათანობით გადასხვეფერება ვიგულისხმეთ (ესე იგი, ის, რასაც ვარაუდობდნენ ამ თეორიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე), მაშინ არცთუ იშვიათად წინააღმდეგობებს წავაწყდებით; ამის შესაბამისად ხარაგაულის იმერული ქართლურთან უფრო ახლოს უნდა იყოს ენობრივად, ვინემ თერჯოლის რეგიონის იმერულ მეტყველებასთან: ხარაგაული უშუალოდ ესაზღვრება ქართლს, ხოლო თერჯოლის რაიონიდან იმიჯნება ზესტაფონის რაიონის ტერიტორიით. ეს კი ასე არ არის: ხარაგაულისა და თერჯოლის მეტყველება, მიუხედავად რიგის სხვაობისა, უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვინემ ხარაგაულისა და ხაშურის რაიონისა.

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ტერიტორიული დაშორება ყველა შემთხვევაში ენობრივი დაცილების მაუწყებელია.

ნიმუშად ავიღოთ -ავ თემის ნიშნის ნაირსახეობანი დიალექტების მიხედვით:

ხევსურული: -ავ;

ქართლური: -ავ → -ამ (იმ შემთხვევაში, თუ პაუზა ან თანხმოვანი მოსდევს: მალ-ამ, მალ-ამ-ს, მაგრამ: მალ-ვ-ა, სა-მალ-ავ-ი);

მესხურ-ჯავახური: -ავ → -ამ → -ან (ზემოხსენებულ პოზიციაში: მალ-ან-ს, მაგრამ სა-მალ-ავ-ი);

ზემოიმერული: -ავ → -ამ (ჩვეულებრივ, თუმცა შეინიშნება მერყეობაც);

ქვემოიმერული: -ავ; ანალოგიური ვითარებაა გურულშიც.

თუ გავითვალისწინებთ ხევსურულის, ქართლურის, ზემოიმერულისა და მესხურ-ჯავახურის ჩვენებას, მაშინ ცვლა, მართლაც, უშუალოდ აღმოჩნდება დაკავშირებული ტერიტორიულ ფაქტორთან: -ავ, რაც უფრო ვშორდებით ხევსურეთს, მით უფრო ამჟღავნებს ცვლილების ტენდენციას: ქართლსა და ზემოიმერეთში -ამ გვაქვს, ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის საზღვარზე მერყეობაა -ამ || -ან ვარიანტებს შორის, რაც უფრო ღრმად შევდივართ მესხეთ-ჯავახეთში, მით ურფო საცნაურია -ან თემის ნიშნის უპირატესი გამოყენება (მესხურ-ჯავახურში -ამ || -ან მერყეობა თქმების დონეზეც ხდება).

(#86)

ესე იგი, ტერიტორიული დაცილება ამ შემთხვევაში, მართლაც აღმოჩნდა ენობრივი ცვალების პირდაპირპროპორციული.

იმავდროულად ქვემოიმერეთი და გურია გაცილებით უფრო შორსაა ხევსურეთიდან, ვინემ ქართლი, ზემოიმერეთი ან მესხეთ-ჯავახეთი, მაგრამ ხევსურულის მსგავსად -ავ იპოვება და არა მისი სხვა რომელიმე ნაირსახეობა.

ტალღობრივი გავრცელების უკომპრომისო მოქმედების შემთხვევაში კი სხვაობა უნდა ყოფილიყო (და უფრო შორსწასულიც, ვინემ ქართლურსა ან მესხურ-ჯავახურში).

ნამყო უსრულში -ავ დიალექტების მიხედვით, როგორც ითქვა, სამ ვარიანტს იძლევა: -ავ-დ (მალ-ავ-დ-ა; ფონეტიკური ნაირსახეობებით: მალ-ამ-დ-ა, მალ-ან-დ-ა || მალ-ენ-დ-ა), -ევ-დ (მალ-ევ-დ-ა; ნაირსახეობები: მალ-ემ-დ-ა, მალ-ენ-დ-ა), -ვ-იდ (მალ-ვ-იდ-ა). დიალექტების მიხედვით ეს ასეა განაწილებული: ხევსურული – -ევ-დ, ქართლური – -ამ-დ, ზემოიმერული – -ემ-დ (|| -ევ-დ), მესხურ-ჯავახური – -ენ-დ, ქვემოიმერული – -ავ-დ, გურული – -ვ-იდ.

სურათი შეიცვალა: ხევსურული და ზემოიმერული, ასევე მესხურ-ჯავახურიც წარმოების პრინციპის მიხედვით ერთ წრეში მოექცა (ნაირსახეობანი – -ევ-დ, -ემ-დ, -ენ-დ – ფონეტიკური ხასიათისაა); თავის მხრივ, ზემოიმერული მკვეთრად გაიმიჯნა ქართლურისაგან, ასევე – ქვემოიმერულისაგან, ეს უკანასკნელი კი – გურულისაგან. ქვემოიმერულს წარმოების იგივე პრინციპი აღმოაჩნდა, რაც ქართლურს (ნაირსახეობანი აქაც ფონეტიკური ხასიათისაა).

იმავდროულად, თუკი ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ნაირსახეობებს ერთდროულად გავითვალისწინებთ, საკმაოდ რთულ ვითარებას მივიღებთ: ნამყო უსრულის წარმოების მორფოლოგიური პრინციპით ქართლური და ზემოიმერული მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან (შესაბამისად: მალ-ამ-დ-ა და მალ-ემ-დ-ა), მაგრამ ფონეტიკური თვალსაზრისით იდენტურ ჩვენებას იძლევიან (ორივე შემთხვევაში თემისნიშნისეული -ვ → -მ).

ზემოხსენებული ნიშნავს, რომ შეუძლებელია ტალღათა თეორიის ცალსახა გამოყენება დიალექტურ ნაირსახეობათა ასახსნელად. შეუძლებელია, რადგან დიალექტებში ურთიერთსაპირისპირო პროცესები მოქმედებს: ერთი რომ ცვლას უწყობს ხელს, მეორე ამ ცვალების შემაკავებელია.

ასე რომ, ყველა დიალექტური ნაირსახეობა ტალღათა თეორიით ვერ აიხსნება.

(#87)

თავი V

5.1. დიალექტოლოგიური სტრატიფიკაცია. დიალექტოლოგიური სტრატიფიკაცია (← ლათინური: სტრატუმ „ფენა, შრე“ + ფაცერე || ფაკერე „კეთება“) გულისხმობს დიალექტებში არსებული დანაშრევების წარმოჩენასა და ანალიზს.

დიალექტის ცვლილებას ძირითადად ორი რამ განაპირობებს:

ა) ენის შინაგანი პოტენციით შეპირობებული ვითარება, როცა ხდება მეტყველების იმანენტური შესაძლებლობების გამოხატვა, გამოვლენა;

ბ) სხვა დიალექტებისა ან ენების ზეგავლენა. ამ შემთხვევაში სხვა დიალექტისა ან ენის ესა თუ ის მოვლენა, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გარკვეულ იმპულსს, ბიძგს დიალექტის შესაძლებლობათა ასამოქმედებლად.

ზოგჯერ ადვილად ხერხდება სხვადასხვა ფენის (შრის, დანაშრევის) გამოყოფა ამა თუ იმ დიალექტში.

ნიმუშად ავიღოთ ინგილოური დიალექტი.

ერთ-ერთი დანაშრევი ინგილოურში ივარაუდება ხუნძური ენისა. კერძოდ, საქმე ეხება ფონემატურ სტრუქტურას: ინგილოურში ძ და ჯ აფრიკატებს ენაცვლება შესაბამისი სპირანტები ზ და ჟ (ვ. თოფურია): ზმაჲ „ძმა“, ზებლ „ძველი“, ზრებვ „ძვრება; ჟამაათი „ჯამაათი“, მარჟებნა „მარჯვენა“, ჟერ „ჯერ“...

ინგილოურში გამოიყოფა აზერბაიჯანული ენის ზეგავლენით წარმოქმნილი დანაშრევიც. ფონემატურ სტრუქტურაში ამ რიგისაა ხმოვანთა უმლაუტი, უწინარეს ყოვლისა ნასესხებ სიტყვებში (როცა სესხებას თან შემოჰყვება გამოთქმაც): bütümd „მთლიანად, ყველაფერი, ყველა“, gümüš „ვერცხლი“, sürü „ჯოგი, ჯგუფი“, ǰöq „ძირი, სრული“ და მისთ. (გ. იმნაიშვილი). ამან კი, თავის მხრივ, ფართო გასაქანი მისცა უმლაუტიზაციის პროცესს საკუთრივ ქართულ დანაშრევშიც, სადაც სისტემებრ არის გატარებული ვე → ö და ვი → ü: ყöლ „ყველი“, ზöლ „ძველი“, ფქöნ „ფქვენ, ფქვავენ“; შüნდი „შვინდი“, შüლი „შვილი“...

უმლაუტი ქართული ენის სხვა დიალექტებშიც იჩენს თავს; მაგალითად, მოხეურში: ქöით „ქვევით, წöლა „წველა“... ეს კი ნიშნავს, (#88) რომ ინგილოურში უმლაუტი საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი მოვლენაა, მაგრამ მისი სისტემებრ გატარება სხვა ენის ზეგავლენით არის გამოწვეული.

ინგილოურშივე ხშირია გემინატები – უპირატესად აზერბაიჯანულიდან ნასესხებ ფორმებში: ბლლუღ „ხელთათმანი“, ქელლაჲ „თავის ქალა“... რამაც თავი იჩინა საკუთრივ ქართულ დანაშრევშიც: დილაჲ „დილა“...

ამავე დიალექტში მყოფადის მნიშვნელობა სამგვარად გამოიხატება: ა) ძველქართულისებურად – II კავშირებითის ფორმებით: რაჲც გინ აგისრულო, ერჟე გამიშ „რასაც გინდა, აგისრულებ, ოღონდ გამიშვი“; ბ) ახალქართულისებურად – აწმყოს ფორმაზე ზმნისწინის დართვით ან ფუძის მონაცვლეობით: ჩაჲცომს „ჩაიცვამს“; გ) აღწერითად: მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობა + მეშველი ზმნის აწმყოს ფორმა – მაასლებვარ „მოვალ“ (ზედმიწევნით: მოსასვლელი ვარ), ის ჩემ თავ გამააღüზნელი „ის მე გამაღვიძებს“ (ზედმიწევნით: ის ჩემი თავის გამოსაღვიძებელია). წარმოების ბოლო ტიპი აზერბაიჯანული ენის გავლენით აიხსნება, სადაც მყოფადის საწარმოებლად ანალოგიური პრინციპია გამოყენებული (რ. ღამბაშიძე), თუმცა ანალოგიური მოვლენა არც ქართულისთვისაა უცხო (ი. ქავთარაძე). ძველი ქართული – დაბრკოლებად ხართ || დაჰბრკოლდეთ; ახალი ქართული – წასასვლელი ვარ || უნდა წავიდე, გასაკეთებელი მაქვს || უნდა გავაკეთო || აუცილებლად გავაკეთებ... უეჭველია, ინგილოურში სწორედ ამ შინაგანმა, ქართული ენის ბუნებით განპირობებულმა შესაძლებლობამ იჩინა თავი, ოღონდ მას ხელი შეუწყო სხვა ენასთან კონტაქტმაც.

ინგილოურში საკმაოდ თვალნათლივ წარმოჩნდება ძველი ქართულისაგან მომდინარე დანაშრევიც. ამ რიგისაა, მაგალითად, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს წარმოება მესამე პირის ფორმებისათვის: ებნევის „ეუბნება“, კდებვის „კვდება“, ეშურევის „ეშურება“...

გვაქვს ისეთი დანაშრევიც, რომელიც კახურ დიალექტთან პოულობს ანალოგიას (კახური დედადიალექტია ინგილოურისათვის). ასეთია, ვთქვათ, მიცემით ბრუნვაში -ს → -ჲ ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებში და მისი სრული დაკარგვა თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: გუგრაჲ „გოგრას“, ქალი პატრონ ებნევის „ქალის პატრონს ეუბნება“.

რა თქმა უნდა, ყველა ეს დანაშრევი ორგანულადაა შეხამებული ინგილოურში და მათი დანაშრევებად გამოყოფა მხოლოდ ენათმეცნიერული ანალიზით ხერხდება.

(#89)

იმავდროულად ინგილოურში ვითარდება საკუთრივ ამ კილოსათვის დამახასიათებელი მოვლენები – შედეგი მისი თავისებური შედგენილობისა. ამ რიგისაა, მაგალითად, უმლაუტიანი ხმოვნების ფონემებად ჩამოყალიბების ტენდენცია, რადგან ისინი მნიშვნელობათა განმასხვავებლის სტატუსს იძენენ: ზ̈ელ „ველი“ – ზოლ „ძვალი“, გ̈ინდა „გვინდა“ – გუნდა „გუნდა“...

დიალექტოლოგიური სტრატიფიკაციის გამოვლენა შესაძლებლობას მოგვცემს სრულიად გავითვალისწინოთ დიალექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა. სწორედ სტრატიფიკაციასთან დაკავშირებით დაისმის სუბსტრატის, სუპერსტრატისა და ადსტრატის საკითხიც.

5.2. სუბსტრატი. სუბსტრატიც, სუპერსტრატიცა და ადსტრატიც წარმოიქმნება ხალხთა მიგრაციის შედეგად და გულისხმობს ამა თუ იმ ენის (დიალექტის) დანალექის პოვნიერებას სხვა ენაში (დიალექტში). სხვაობა თვით დანალექი ენის (დიალექტის) რაობაშია: ეკუთვნის ეს ენა (დიალექტი) მიგრაციის შედეგად მოსულ თუ დამხვდურ ხალხს. ხალხთა მიგრაციის შედეგად ორი ან მეტი ენა (დიალექტი) ერთმანეთთან უშუალო კონტაქტში მოხვდება ხოლმე, რაც იწვევს კიდევაც ამ ენათა (დიალექტთა) ურთიერთზეგავლენას. ეს კი დანაშრევების სახით იჩენს თავს ენის (დიალექტის) არსებობის მთელ მანძილზე.

სუბსტრატი (← ლათინური: სუბ „ქვე, ქვეშ“ + სტრატუმ „ფენა, შრე“), ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც ამა თუ იმ ტერიტორიაზე ადრე არსებული ენის (დიალექტის) დანალექი იმავე ტერიტორიაზე ამჟამად არსებულ ენაში (დიალექტში). ამ დროს დამხვდური ენა ან სრულიად ქრება, ანდა გარკვეულად იზღუდება ტერიტორიული გავრცელებულობის თვალსაზრისით.

ქართული ენის დიალექტურ სახესხვაობებს რიგ შემთხვევებში სხვადასხვა სუბსტრატის მქონებლობა უდევს საფუძვლად.

სუბსტრატი (ისევე, როგორც სუპერსტრატი და ადსტრატი) უშუალო შედეგია ბილინგვიზმისა (ორენოვანობისა, ერთდროულად ორი ენის მქონებლობისა), რომელიც გარკვეულ პერიოდში იჩენს თავს დამხვდური და მოსული ენების ურთიერთობისას ამა თუ იმ ტერიტორიაზე. შემდეგ, რაობათა ცვლისას, დამხვდური ენა დავიწყებას ეძლევა – მისი მხოლოდ ზოგი მოვლენა აისახება დანაშრევის სახით ახლად დამკვიდრებულ ენაში.

ამგვარ კონტაქტში შესაძლოა მოხვდნენ როგორც მონათესავე, ასევე გენეტურად თუ სტრუქტურულად განსხვავებული ენები.

(#90)

მონათესავე ენების სუბსტრატი განსაკუთრებით ხელშესახებად დასავლეთ საქართველოს დიალექტებშია წარმოჩენილი.

ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ისტორიულად „კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს ნაწილში მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ. შემდეგ, ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ-აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილია და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილი ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართველებულ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ. პროკოფი კესარიელის სიტყვით, რიონის სამხრეთით მდებარე ქვეყანა იმის დროს (V-VI სს.) მეტად ნაკლებად ყოფილა დასახლებული, თითქმის სრულებით უკაცური ყოფილა. ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც გურია ეწოდება... სპარსელ-ბიზანტიელთა ომიანობისა და იქნებ სხვა მიზეზების წყალობით, ადგილობრივი მეგრულ-ლაზური მოსახლეობა ამოწყვეტილა და VI ს. ეს მხარე ცარიელი ყოფილა. ამგვარად, გურიის ახალი მოსახლეობა შეიძლება გაჩენილიყო VI საუკუნის შემდგომ, VII, განსაკუთრებით – VII-VIII ს., მაშინ, როაც აღმოსავლეთი საქართველო – იბერია არაბთა მძლავრ და მკაცრ ბატონობის ქვეშ იყო და ხალხი აუტანელ მოხარკეობას გაურბოდა. ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირერიცხოვანი მკვიდრნი გაუქართებიათ, მაგრამ თითონაც შეუთვისებიათ მათგან ბევრი რამ და ნარევ მოსახლეობას შეუქმნია ახალი ენა-კილო. იგივე უნდა ითქვას კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე სვანეთის შესახებ: ... ძველად სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ... შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ, ისინი კი კავკასიის უღელტეხილზე მიუმწყვდევიათ; დაპყრობილ სვანებს მეგრული შეუთვისებიათ; მაშასადამე, მეგრელებსა და სვანებს შორისაც ნარევი ტომი უნდა გაჩენილიყო“.

VI-VIII საუკუნეებს მიიჩნევდა ნ. მარი დასავლეთ საქართველოში ქართული ენის (უფრო ზუსტად: ქართების მეტყველების) ფართოდ გავრცელების პერიოდად. მეტიც: ნ. მარი თვლიდა, რომ ქართული ენის საერთო ეროვნულ ენად გადაქცევას

ხელი შეუწყო დასავლურ ქართული ტომების აქტიურმა მონაწილეობამაც და ეს გააქტიურება სწორედ ზემოხსენებული პერიოდიდან იწყება.

ირკვევა, რომ „ეგრისში ქრისტიანობის ოფიციალურად მიღების პირველ საუკუნეებში საეკლესიო ენა ბერძნული იყო. მაგრამ V-VI საუკუნეებიდან აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად დასავლეთში თანდათან გზას იკაფავს ქართული ენა... ქართული ენისა და მწიგნობრობის გავრცე(#91)ლებას ხელს უწყობდა აგრეთვე არაბთა ბატონობით შევიწროებული აღმოსავლურ ქართული მოსახლეობის მიგრაცია „სარკინოზთაგან კრძალულ“ დასავლეთ საქართველოში... VIII ს. მიწურულიდან, განსაკუთრებით კი IX-X სს. ქართულ ენას ეგრის-აფხაზეთის მეფეები ავრცელებენ და ქრისტიანობასთან ერთად ამკვიდრებენ როგორც ეკლესიის ენას ჩრდილო კავკასიაშიც, ჩერქეზებსა და ალან-ოსებში“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები).

ამრიგად, ივარაუდება, რომ დასავლურ ქართული კილოების ერთი ნაწილი (კერძოდ, გურული და იმერული, ძირითადად – ქვემოიმერული; ასევე, როგორც ირკვევა, ლეჩხუმური, აჭარული, იმერხეული და აღმოსავლურ ქართულ კილოთაგან მესხურ-ჯავახური) ქართული და მეგრელ-ჭანური მეტყველების კონტაქტების შედეგადაა ჩამოყალიბებული. ბუნებრივია, რომ ამ კონტაქტებმა გარკვეული დანაშრევი დატოვა ხსენებულ ქართულ კილოებში. ეს დანაშრევი თავს იჩენს ყველა დონეზე: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში.

ამ რიგისაა, მაგალითად, თანხმოვანთა გაშიშინების ტენდენცია გურულში: ჭვეთი „წვეთი“, ჭნეხა „წნეხა“ და მისთ. (ს. ჟღენტი).

ცნობილია, რომ ქართული ენის „ცოცხალ კილოთაგან რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული“. გარკვეულია ისიც, რომ რედუქცია „თითქმის არ მოქმედებს მეგრულ-ჭანურში“ (ა. შანიძე, ვ. თოფურია). მეგრულ-ჭანურის ანალოგიური ვითარებაა გურულსა და ქვემოიმერულში. გურულისათვის ჩვეულებრივი ფორმებია: ყპა-ის „ყბის“, ვინცხა-ის „ვიღაცის“, წყალ-ის „წყლის“, საპონ-ის „საპნის“... ესაა მეგრულ-ჭანურისებური მოვლენა გურულში, მეგრულ-ჭანურის ფონეტიკური წესის გატარება ამ დიალექტში, სხვაგვარად: მეგრულ-ჭანური სუბსტრატი. ნიმუშად მოვიტანთ პარალელურ სქემებს:

	მეგრული	იმერული	გურული
სახელობითი	ბირცხა „ფრჩხილი“	რა-(ი)	ყპა-ი
ნათესაობითი	ბირცხა-შ(ი)	რა-ს-ი	ყპა-ის
მოქმედებითი	ბირცხა-თ(ი)	რა-თ-ი	ყპა-ით

ქართული ენის დასავლურ კილოებში, კერძოდ, გურულში, რაჭულში, ლეჩხუმურსა და ქვემოიმერულში ჩამოყალიბდა უღვლილები IV სერია. იგულისხმება: მი-ნა-ვალ-ა, მი-ნა-ვალ-იყო, მი-ნა-ვალ-იყოს ტიპის წარმოება. ამ რიგისაა: ნა-ყვარ-ებ-ა, ნა-ყურ-ებ-ა, ნა-ქვი-ებ-ა, ნა-წერ-ა. ეს მოვლენა სრულ ანალოგიას პოულობს ზანურში (ნო-ხორ-უ-ე „ნასახლება“, ნო-ხორ-უ-ე-დ-უ „ნასახლებიყო“, ნო-ხორ-(#92)-უ-ე-დ-ა-ს „ნასახლებიყოს“), რისი კვალიც არის წარმოჩენილი ზემოხსენებულ კილოებში (გ. როგავა).

გურულსა და ქვემოიმერულში თავს იჩენს მსაზღვრელის გაერთფორმიანების ტენდენცია მსაზღვრელ-საზღვრულის მრჩობლ ბრუნებისას: ყველა ბრუნვაში მსაზღვრელი წარმოდგენილია სახლობითის ფორმით (რაც ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებში ფუძეს ემთხვევა):

სახელობითი	დიდ-ი || პატარა სახლ-ი
მოთხრობითი	დიდ-ი || პატარა სახლ-მა
მიცემითი	დიდ-ი || პატარა სახლ-ს
ნათესაობითი	დიდ-ი || პატარა სახლ-ის
მოქმედებითი	დიდ-ი || პატარა სახლ-ით

ვითარებითი დიდ-ი || პატარა სახლ-ად

როგორც ჩანს, ხსენებულ კილოებში ესეც მეგრულ-ჭანური სისტემის დანაშრევია (ანალოგიურ მოვლენას აღმოსავლურ კილოებში სხვა ახსნა ეძებნება):

სახელობითი დიდ-ი || მსქვა „ლამაზი“ ოხორ-ი „სახლი“

მოთხრობითი დიდ-ი || მსქვა ოხორი-ქ

მიცემითი დიდ-ი || მსქვა ოხორი-ს

ნათესაობითი დიდ-ი || მსქვა ოხორი-შ-ი და ა.შ.

სუბსტრატის თვალსაზრისით ღირსსაცნობია აგრეთვე ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის პრინციპი დასავლურ ქართულ დიალექტებში. ცნობილია და ზემოთაც აღინიშნა, რომ მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში ახალი ქართული ფაქტია.ძველი ქართულისათვის ეს მოვლენა უცხოა. როცა ამის აღნიშვნის საჭიროება წარმოიქმნა, ენამ ამ დანიშნულებით უკვე არსებული მორფოლოგიური ინვენტარი გამოიყენა. ამ ინვენტარის გამოყენება თავისებურად მოხდა. ის, რაც სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად პირველსა და მეორე პირის ფორმებშია გამოყენებული (და-ვ-წერ-თ, და-ს-წერ-თ), ირიბი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად მეორე და მესამე პირის ფორმებში წარმოჩნდა (გ-ი-თხრა-თ, უ-თხრა-თ). ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად ამ პრინციპის გატარება ძირითადად აღმოსავლური ქართული დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. დასავლური დიალექტების მეტ წილში ამავე მიზნით მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის -ენ სუფიქსია ნახმარი (გვ-ი-თხრ-ენ „გვითხრა“, გ-ი-თხრ-ენ „გითხრათ“, უ-თხრ-ენ (#93) „უთხრათ“). იგივე ვითარებაა რეალურ (სემანტიკურ) სუბიექტად გამოყენებული მორფოლოგიური ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნისას ინვერსიულ ზმნებში. შდრ.: ქართლური – გვ-ა-ქ(ვ), გ-ა-ქ(ვ)-თ, ა-ქ(ვ)-თ; გურული – გვ-ა-ქვ-ენ, გ-ა-ქვ-ენ, ა-ქვ-ენ. ქართული ენის დასავლურ დიალექტებში დადასტურებული ეს მოვლენა ანალოგიას პოულობს მეგრულ -ჭანურსა და სვანურში. მეგრულ-ჭანურში ამ დანიშნულებით გამოიყენება მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამომხატველი -ეს და -ან სუფიქსები: მ-ი-ღუნ-ა(ნ) „გვაქვენ“, გ-ი-ღუნ-ა(ნ) „გაქვენ“,

უ-ღუნ-ა(ნ) „აქვენ“ (არნ. ჩიქობავა); სვანურში – იმავე დანიშნულების -ხ სუფიქსი: ჯ-უ-ღვ-ა-ხ „გაქვენ“, ხ-უ-ღვ-ა-ხ „აქვენ“ (ვ. თოფურია).

სუბსტრატი ლექსიკაშიც ვლინდება. უწინარეს – როგორც ნასესხები ფენა; გარდა ამისა, როგორც წარმოების პრინციპის კალკირება. ჯუმადია „ბიძა“, ბიგა „თივის ასაღები იარაღი“, ნალია „სასიმინდე“, გიდელი, მოჭვა „კრუხი“, ოჭვათო „საწვეთარი“, აკალიფება „აკრეფა, აღება, აწმენდა“, დაკაპანება „დატვირთვა“, ჭიჭე „პატარა, ცოტა“ და მისთანანი მეგრულ-ჭანურის სუბსტრატულ ლექსიკად ითვლება გურულში (ს. ჟღენტი).

სუბსტრატმა შესაძლოა თავი იჩინოს სემანტიკური გადააზრიანების შემთხვევაშიც. ჭანურში ნენა ნიშნავს როგორც „ენას“, ასევე „სიტყვას“: სუმ ნენა გიწუმეთ „სამ სიტყვას გეტყვით“. ანალოგიურად გააზრიანა გურულმა სიტყვა „ენა“: მაინც ვიტყვი ორ ღერ ენას „მაინც ვიტყვი ორ (ცალ) სიტყვას“ (ს. ჟღენტი).

ნახური (ჩაჩნურ-ინგუშური, წოვა-თუშური) ენების სუბსტრატი იპოვება აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში – განსაკუთრებით ხევსურულსა და თუშურში.

ამ რიგისად მიაჩნიათ მკვეთრი შემართვისა და დამართვის ბგერები თუშურში: yეუბნებ „ეუბნება“, გūyკეთ „გაუკეთა“, წ āyღები „წააღებინა“,yალიონ̃ „ალიონი, განთიადი“, ფერაy ყოფილ „მისი მსგავსი (ფერი) ყოფილა“, ხვალეy? „მაშ, ხვალ?“ (თ. უთურგაიძე). ნახურ სუბსტრატს განეკუთვნება აგრეთვე ხევსურულსა და თუშურში თავისებური ინტონაცია, მახვილის გავლენით ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა: კაცí „კაცია“ (ვ. თოფურია).

ნახურ ენებთან კონტაქტს უნდა გაეძლიერებინა აღოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ისეთი მოვლენაც, რომელიც წარმოშობით საერთო-ქართველური ჩანს. კერძოდ, -ზე, -ში, -თან, -გან თანდებულიან სახელთა გართულება -ით, -ივ, -ად || -ა-მდე მორფემებით: სახლ-ში-ით, სახლ-ზე-ით, სახლ-ს-თან-ით, სახლ-ის-გნ-ით || სახლ-ის-გნ-ივ, ნახევარ-ში-ა-მდე... ბრუნვათა ამგვარი წარმოება თავს იჩენს (#94) ნახურ ენებშიც. მაგალითად, ბაცბურშია: ხენ-გო-რენ „ხესთან და იქიდან, ხესთანით“, ხენ-მაქ-რენ „ხეზე და იქიდან, ხეზეით“... (თ. უთურგაიძე).

სუბსტრატული კალკირების ფაქტები მრავლად იჩენს თავს სიტყვათწარმოებაში. ერთ-ერთ ნიმუშად ასახელებენ ფორმას „მშვილდისარნი“, რომელიც ხევსურულად ნიშნავს „ცისარტყელას“. ესაა ბაცბურის კალკი: yატყ-წაქი (ა.

შანიძე). ნახური სუბსტრატი ხელშესახებადაა წარმოჩენილი ლექსიკაშიც: ხევსურული – ერაწი, თუშური – yერაწუნაyǐ „პატარა ქვაბი“ (ბაცბური: ჰერაწû „ქვაბი“), თუშური გაჯერება „გაქვავება“, გაშეშება“ (ფუძე ბაცბურია: ჯერ „ქვა“), კალტǐ „ხაჭო“ (კალტ, კალდ, კოლდ ნახურ ენებში იმავეს ნიშნავს) და სხვა (თ. უთრგაიძე).

არის ზოგი ენობრივი მოვლენა, რომელიც სუბსტრატად მოჩანს, მაგრამ იმავდროულად არ შეიძლება გამოირიცხოს სხვაგვარი ახსნაც. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება იმ ერთგვაროვან მოვლენებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ იჩენენ თავს რომელიმე ენასა თუ დიალექტში. აქვეა გასათვალისწინებელი ის მოვლენებიც, რომლებიც ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენად უნდა განისაზღვროს და ამიტომაც სრულიად ბუნებრივია მათი ერთდროული პოვნიერება სხვადასხვა დიალექტში (იხ. ქვემოთ: ერთგვაროვანი მოვლენები ქართველურ ენათა დიალექტებში“).

სუბსტრატის დადგენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტოლოგიური კვლევის დროს, აგრეთვე დიალექტოლოგიური ატლასების შედგენისას. საქმე ისაა, რომ შედეგით ანალოგიური მოვლენები შესაძლოა წარმოშობით სხვადასხვა საფუძველს პოულობდეს.

მაგალითად, ძ →ზ ზემოიმერულსა (ნატაზრევი „ნატაძრევი“, მოიზულე „მოიძულე“) და ინგილოურში (ზბლ „ძველი“, ზაღლ „ ძაღლი“) ვერ აიხსნება ერთი და იმავე პრინციპით.

ზემოიმერულში აქ დეზაფრიკატიზაციის კერძო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. იქვეა დამოწმებული საპირისპირო – აფრიკატიზაციის – პროცესიც: საგზალი → საგძალი, შეეზიზღება → შეეძიძგება (ქ. ძოწენიძე).

ინგილოურში კი ძ და ჯ ბგერების უქონლობა, როგორც აღინიშნა, ხუნძური ენის სუბსტრატით იხსნება. საქმე ისაა, რომ ჩრდილო-ხუნძურში ძ და ჯ ფონემები არ იპოვება (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე). გარკვეულ პერიოდში კი ინგილოურს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ხუნძურთან. საინტერესოა, რომ ხუნძურის სამხრულ დიალექტებში (მაგალითად, ანწუხურ დიალექტში) ზ და ჟ ბგერების ნაცვლად გვაქვს ძ (#95) და ჯ იმ პოზიციაში (სონანტის მეზობლად), სადაც იგი ქართული ენის დიალექტებშც (მაგალითად, გურულში) გვხვდება; შდრ.: ანწუხური – ქვენ-ძი „ჭამა“, ყელ-ძი „სმა“... გურული – წელ-ძე „წელზე“.

ასე რომ, ძ → ზ ზემოიმერულსა და ინგილოურში აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენებია. ბუნებრივია, მათი ერთმანეთის გვერდით დასახელება დაუშვებელია.

სუბსრატი არსებითად ენობრივი გავლენის შედეგია, უკეთ: ამ გავლენის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

გავლენა კი იმას ნიშნავს, რომ ხდება ერთი ენის ნიშან-თვისებათა გადატანა მეორე ენაში.

ოღონდ აქ გაისმის საკითხი: მოიკიდებს კი ფეხს ყოველგვარი გავლენის შედეგი დიალექტურ მეტყველებაში?

როგორც ჩანს, არა.

თუ ძალით არ დაინერგა, გავლენა ძირითადად იმით გამოიხატება, რომ იწვევს ენის შინაგანი შესაძლებლობების ამოძრავებას. რაც ენას (დიალექტს) არ მოერგება, ის ვერც დამკვიდრდება მასში. ეს არსებითი ფაქტორია და სუბსტრატიც (ისევე, როგორც სხვა დანაშრევებიც სწორედ ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს.

სუბსტრატის არსებობას თავისი კანონზომიერებანი აქვს.

უწინარეს ყოვლისა „ენობრივი სუბსტრატი გულისხმობს ეთნიკურ სუბსტრატსაც“ (ვ. აბაევი). მართლაც, ენობრივი სუბსტრატი წარმოიქმნება ორი ან მეტი ეთნოსის მეტყველებაში მათი მჭიდრო კონტაქტის საფუძველზე, რაც იმავდროულად ეთნიკურ შეჯვარებასაც გულისხმობს. ამიტომაც სუბსტრატის წარმოქმნის ერთ-ერთ პირობად სხვადასხვა ენასა თუ დიალექტზე მეტყველი პირების ქორწინებაც ითვლება. მათი შვილებისათვის ორენოვნობა (ბილინგვიზმი) იმთავითვე დამახასიათებელი მოვლენაა. ხოლო დროთა განმავლობაში ორენოვნობიდან ერთენოვნობაზე გადასვლა (ისე კი, რომ უარყოფილი ენის ელემენტები დალექილი დარჩენილ ენაში) მიიჩნევა სუბსტრატის არსებობის ძირითად პირობად (ა. მეიე).

სუბსტრატი, რომელიც ენათა ინტერფერენციის შედეგია, ჩვეულებრივ, თავს იჩენს იმ ენობრივ სისტემებში, სადაც გვაქვს“ღიობი“, ცარიელი ადგილი (უ. ვაინრაიხი). იგულისხმება შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ენაში არ არის იმ რიგის მოვლენა, რომელიც მოეპოვება გამვლენელ ენას, რაც ხელს უწყობს ამ მოვლენის თავისუფალ შეღწევადობა-დამკვიდრებას. ასეთია, მაგალითად, ნა-ყვარ-ებ-ა ტიპის წარმოება, რომელიც არ იპოვება ქართულში, მაგრამ აქვს მეგრულს. ქართული ენის

გურულ, ქვემოიმერულ, ლეჩხუმურ, რაჭულ კილოებში ეს „ღიობი“ შეივსო მეგრული სუბსტრატით.

(#96)

ხდება ისეც, რომ ესა თუ ის მოვლენა თვით ენის შინაგანი პოტენციითაა შეპირობებული, მის განხორციელებას, ამოქმედებას კი სუბსტრატი უწყობს ხელს.

ზემოთ დასახელებული იყო რამდენიმე ნიმუში იმისა, თუ როგორ დაედო საფუძვლად სხვა ენათა სუბსტრატი ქართული ენის ზოგი დიალექტის წარმოქმნას.

სუბსტრაქტის საკითხი უშუალოდ დიალექტების დონეზეც დადგება. კერძოდ, ეს ეხება გარდამავალი და ნარევი დიალექტების ჩამოყალიბებას.

სუბსტრატმა შესაძლოა სრულიად სხვადასხვა რიგის მოვლენებში იჩინოს თავი. მაგალითად, წარმოჩნდეს ფონეტიკაში და არ შეეხოს მორფოლოგიასა ან სინტაქსს. ან გვქონდეს ლექსიკაში და არ იყოს ფონეტიკაში... საყურადღებოდა ამ თვალსაზრისით ნ. მარის ცნობა, რომ კლარჯეთში, კერძოდ, ოპიზაში, ქართული მეტყველება დავიწყებულია, მაგრამ ღირსსაცნობია თურქული მეტყველების სწრაფი ტემპი: ამ პერიოდში, რაც ერთი მარცვლის წარმოთქმას სჭირდება, უქაური თურქი გამოთქვამდა სამი და მეტი მარცვლის შემცველ მთელ სიტყვას (ცნობა 1911 წლისაა); „უნებლიეთ მოგაგონდება კაცს გურული მეტყველების ტემპი, გადატანილი თურქულ ენაში“ (ვ. თოფურია).

სუბსტრატი განსაკუთრებით მკვიდრადაა წარმოდგენილი ტოპონიმიაში (რადგან ტოპონიმია გაცილებით უფრო მდგრადია, ვინემ სხვა რიგის ლექსიკა). მეგრულ-ჭანური სუბსტრატით აიხსნება, მაგალითად, გურია-იმერეთში შემდეგი ტოპონიმების პოვნიერება: ჭანიეთი, ოცხანა, ჯიხაიში, ჯუმათი... (ი. ჯავახიშვილი), სვანური სუბსტრატით – -იშ (|| -შ) სუფიქსიანი ტოპონიმები (ღვირიში, ტვიში, სურმუში, ლაილაში...) ლეჩხუმში (მ. ქალდანი). ტოპონიმების საშუალებით დგინდება ხალხთა ოდინდელი განსახლების საზღვრებიც. მაგალითად, -ევ სუფიქსიანი ტოპონიმების (ძეგლევი, ბობნევი, ბეთლევი...) ანალიზის საფუძველზე ასკვნის ა. შანიძე, რომ ისტორიულად არსებობდა კილო („რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო“), რომლის „გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის გავლენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულისა, ზანურისა და სვანურისა. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, – ევ

სუფიქსის გარდა, უეჭველია, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან“.

ასევე, ირკვევა, რომ -ის ფორმანტიანი ტოპონიმები (შინდ-ის-ი ტიპისა) თითქმის არ გვხვდება კახეთის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ (#97) აქ ხშირია მის ბადლად -იან ფორმანტის გამოყენება (შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია); ეს კი დიალექტურ ნაირსახეობათა პოვნიერებაზე მიგვანიშნებს და ამით – ორი სხვადასხვა ქართული ეთნოსის განსახლების ადგილზე.

გარკვეული ღირებულება აქვთ ამ თვალსაზრისით ანთროპონიმებსაც (ადამიანთა საკუთარ სახელებს); იგულისხმება საკუთრივ ქართველური წარმომავლობის ანთროპონიმები და მათი ნაირგვაროვნება ქართველურ ენათა დიალექტებში: კნინობითის ფორმები, წოდებითის ნაირსახეობანი (ვანო! მაყვალ!...), სიტყვათწარმოების თავისებურებანი...

სუბსტრატის გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა მართებულად ავხსნათ ქართული ენის დიალექტებში პოვნიერი ბევრი სპონტანური ცვლილება, ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებანი, დიალექტურ ნაირსახეობათა გრადაციები.

5.3. სუპერსტრატი. სუპერსტრატი (← ლათინური: სუპერ „ზე, ზედ...“ + სტრატუმ „ფენა, შრე“) განიმარტება, როგორც მოსული ეთნოსის ენის (დიალექტის) დანალექი დამხვდური (ადგილობრივი) ეთნოსის ენაში (დიალექტში); იმავდროულად ხდება დამხვდურთა მიერ მოსული ეთნოსის (და მათი მეტყველების) ასიმილირება. ასე რომ, აქ სუბსტრატის საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

დასმულია საკითხი ქართულში ინდოევროპული სუბსტრატის შესახებ (გ. დეეტერსი). ამ თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობა იქცევს ყურადღებას.ისტორიულად ცნობილი ფაქტია ძველ ქართლში, კერძოდ, მცხეთაში, სპარსული კოლონიების არსებობა. ერთ-ერთი ასეთი ცნობა მოიპოვება უძველეს ქართულ ძეგლში „მარტჳლობაჲ და მოთინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“: „მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს, მეჯადაგენი და მეჯამლენი“. სპარსელები მრავლად იყვნენ მმართველ წრეებშიც. მათ ასიმილირება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რამდენიმე საუკუნეს გრძელდებოდა. ასიმილირების პროცესს თან სდევდა ორენოვნობა, რამაც, ქართულზე გადასვლის შემდგომ, განაპირობა სუპერსტრატული დანაშრევი

ქართულში, უფრო ზუსტად: ქართლურში. ამ დანაშრევმა გარკვეული ზეგავლენა იქონია განსალუთრებით ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაზე.

ეგევე ითქმის ბერძნული ენის მიმართაც, რომლის სუპერსტრატული დანაშრევიც იჩენს თავს ქართულში.

სუპერსტრატის საკითხი დაისმის უშუალოდ დიალექტების ურთიერთობის დროსაც.

(#98)

ა. შანიძის ცნობით, გუდამაყარში ორი მრავალრიცხოვანი გვარი (ბექაური და წიკლაური) წარმოშობით ხევსურეთიდანაა. ჯერ კიდევ 1774 წელს მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით ჩატარებულ აღწერაში არ არის მოხსენებული ორი ხევსურული სოფელი გუდამაყარში. როგორც ჩანს, ამ სოფლების დასახლება უფრო გვიან მომხდარა. საკუთრივ ხევსურული მეტყველება ამ კუთხეში არ არის შენარჩუნებული. მოსულებმა შეითვისეს ადგილობრივი კილო, მაგრამ ხევსურულმა (და შემდგომ ფშაურმა) სუპერსტრატმა თავისი შედეგი იქონია და გუდამაყრული კილოკავად დაუკავშირდა მთიულურს.

საცნაურია აგრეთვე ქართლური სუპერსტრატი მესხურ-ჯავახურში; ხევსურული, ფშაური, იმერული – კახეთის ზოგიერთ რეგიონში და მისთ.

5.4. ადსტრატი. ადსტრატი (← ლათინური: ად „თან, თანა“ + სტრატუმ „ფენა, შრე“) წარმოიქმნება ორი ენისა ან დიალექტის თანაბარი სისრულით ფლობის პირობებში მათი თავისუფალი ურთიერთშეღწევადობის დროს; ესე იგი, ადსტრატი არსებობს ბილინგვიზმის (ორენოვნობის) შემთხვევაში.

ადსტრატი ენათა ინტერფერენციის ცოცხალი, აქტიური პროცესია . ინტერფერენციის (← ლათინური: ინტერ „შორის, ურთიერთ“ + ფერენს „გამტარი, გადამტანი“) პროცესი კი მეტ-ნაკლებად ყოველთვის იჩენს თავს ორი ან მეტი ენის უშალო კონტაქტის შემთხვევაში.

ღირსსაცნობია ამ თვალსაზრისით ქართულ-ბაცბური ენობრივი ურთიერთობა. ოთხ- და მეტმარცვლიანი სიტყვები ბაცბურისათვის უჩვეულოა. ასეთი სიტყვების სესხებისას მახვილი მოუდის ბოლოდან მესამე მარცვალს; სიტყვაში შესაბამისი ცვლა ხდება: მოუხერხებელ-ი → მოუხéრხებელ. ნასესხებ სამმარცვლიან სიტყვებს ბაცბური ასე ექცევა: ხდება რედუქცია, რასაც ზოგჯერ თან სდევს მეტათეზისი – ალაზან-ი → ალზან, პაპიროს-ი → პაჲპროზ. ასე მოხდა საკუთარ ენობრივ სისტემასთან შეგუება

მთელი რიგი ნასესხები სიტყვებისა: მუჯლუგუნი → მუჯგან, გასაქანი → გასქან, მოფერებით → მოფერბით, მორიელი → მუდრელ, სვანურად → სვაიწრათ... (მ. მიქელაძე).

ხანგრძლივი ენობრივი ურთიერთობა ეტაპობრივ აისახა სიტყვათა სესხების პრინციპებში.

თავდაპირველად ქართულიდან შესული ზმნური ძირი ბაცბურში აუცილებლად უნდა გაერთმარცვლიანებულიყო და ა- გახმოვანებით ყოფილიყო წარმოდგენილი: წმედ-ს || წმენდ-ს → წამ-დარ, ი-ცად-ა → ცად-დარ, ა-რჩევ-ს → ჩავ-არ-დარ... ანუ: ქართულიდან ნასესხებ გაბაცბურებულ ფუძეს დაერთოდა საკუთრივ ბაცბური მეშველი ზმნა „დარ“ ან მასთან ერთად მაზმნავებელი -არ ფორმანტიც.

(#99)

დღეისთვის ვითარება შეიცვალა: „ბაცბური ენის ზმნათა ძირების ერთმარცვლიანი მოდელების გვერდით შემუშავდა მრავალმარცვლიანი მოდელები ნასესხები ზმნური ძირებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა უამრავი ზმნური სინონიმური პარალელის გაჩენა“ (მ. მიქელაძე). ორი ენის ხანგრძლივმა ურთიერთობამ თავისი შედეგი იქონია: აღარ ხდება რთული ფონეტიკურ-მორფოლოგიური გარდაქმნები, სესხების პროცესი გამარტივდა და შემდეგ ნაირსახეობებზე იქნა დაყვანილი: ა) ნასესხები ფორმა უცვლელად გადადის: წერ-ა → წერა-დარ; ბ) ორზე მეტმარცვლიან ფუძეებში იკუმშება თემის ნიშანი: ყვედრ-ებ-ა → ყვედრ-ბ-ა-დარ; არაბაგისმიერ ბგერათა მეზობლობაში თემისნიშნისეული -ვ'თი და მასდარის მაწარმოებელი -ა ნიშნით წარმოქმნილი -ვა კომპლექსი გადადის ო ხმოვანში: კითხვა → კითხო-დარ... მორფოლოგიური პრინციპი კი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა: ქართული მასდარი მთლიანად გააზრებულია ზმნურ ძირად და მას დაერთვის მეშველი ზმნა „დარ“ (მ. მიქელაძე).

ყველაფერი ეს კი შედეგია ქართულ-ბაცბური ორენოვნობისა.

რა თქმა უნდა, ადსტრატული მოვლენები მარტოოდენ სესხების შემთხვევაში არ იჩენს თავს. უფრო მნიშვნელოვანია და არსებითი თვით ენობრივ სისტემაში მომხდარი ცვლილებების შეფასება ამ თვალსაზრისით. კერძოდ, ბაცბურსავე ენაში სახელთა ბრუნებისას „შეინიშნება ისეთი ცვლილებები, რაც ბაცბურზე ქართული ენის უშუალო ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს: ა) თავს იჩენს ყველა ბრუნვაში სახელობითის ფუძის განზოგადების ტენდენცია; ბ) ფართოვდება მოთხრობითი

ბრუნვის -ს ფორმანტის ფუნქცია -ვ ფორმანტის ხარჯზე; გ) ერთმანეთს ემიჯნება მოთხრობითი და მოქმედებით ბრუნვის ფორმები“ (მ. მიქელაძე).

ქართული ენის დიალექტებზე არსებითი ზეგავლენა იქონია ადსტრატულმა მოვლენებმა ქართულ-სვანურ, ქართულ-მეგრულ, ქართულ-ჭანურ ურთიერთობათა შედეგად. ამჯერად ეს მოვლენები მეგრულ-ჭანური და სვანური ენებისთვისაა უფრო ნიშანდობლივი, რადგან ამ ენების ყველა მფლობელი იმავდროულად ფლობს ქართულსაც.

ადსტრატის პირობებში ისეც მოხდება ხოლმე, რომ ერთი ენის თავისებურებას ორი ენის თანაბრად მფლობელი პირი მეორე ენაზე მეტყველებისას წაიცდენს ხოლმე. მაგალითად, მეგრულის მცოდნის მეტყველებაში „ამ კაცის (=კაცს) უთხარი“ მეგრულის თავისებურების გადმოტანაა ქართულში. ასევე, სვანურის მცოდნეს შესაძლოა წაცდეს უთხარი-ხ „უთხარით“, სადაც -ხ ქართული -თ ფორმანტის ბადალია სვანურში (ვ. თოფურია).

(#100)

სუბსტრატსაც და სუპერსტრატსაც, ჩვეულებრივ, ადსტრატი უსწრებს წინ.

5.5. ერთგვაროვანი მოვლენები ქართველურ ენათა დიალექტებში. ზემოთ აღინიშნა, რომ არის ზოგი ისეთი ენობრივი მოვლენა, რომელიც სუბსტრატად (სუპერსტრატად, ადსტრატად) მოჩანს, მაგრამ იმავდროულად მათ ეძებნება სხვაგვარი ახსნაც).

ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ქართველური ენებია. ივარაუდება, რომ ამოსავალში ერთი ენა უნდა გვქონოდა, რომლის დაშლის შედეგად წარმოიქმნა სამი ზემოხსენებული ქართველური ენა თავისი მრავალრიცხოვანი დიალექტური განშტოებებით, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე შემდგომი დაშლის გზითაა მიღებული. ენებად დაშლა პირველ ეტაპად დიალექტებად დანაწილებას ვარაუდობს. ამასთან დაკავშირებით დაისმის ქართველურ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები, რადგან, ზემოთქმულის მიხედვით, ისტორიულად ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური განვითარების გარკვეულ საფეხურზე ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ.

რეგულარული ბგერათშესატყვისობის საკითხი მონათესავე ენების მიმართ დაისმის. ბგერათშესატყვისობის სახით ჩვენ საქმე გვაქვს გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგთან: ერთი ენის რომელიმე ბგერას მეორე, მონათესავე ენაში

შეესაბამება მკაცრად განსაზღვრული ბგერა. ასე რომ, ამ შემთხვევაში ხდება ფაქტის კონსტატაცია:

ქართული	მეგრულ-ჭანური	სვანური
ე	ა	ე
ა	ო	ე
წ	ჭ	ჭ
ჭ	ჭკ	ჭკ/შკ და ა.შ.

იმავდროულად ყველა შედეგს აქვს წინაპირობა.

აქედან გამომდინარე, დაისმის საკითხი იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია მონათესავე ენებში ბგერათა შესაბამისი რეფლექსები, ანუ: ასახსნელია თვით მიზეზი ბგერათა ცვლილებისა (რამაც საბოლოოდ ბგერათა რაგულარული შესატყვისობანი მოგვცა).

ქართულ-აზნაური შესატყვისობების შესახებ არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ სხვაობას იწვევს არტიკულაციის ცვლა, „წარმოების უკან გადაწევა“ ზანურში.

(#101)

გასარკვევია: ა) რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება? ბ) მოხდა ეს ცვლილება ერთჟამიერად და გლობალურად, თუ მას წინ უსწრებდა, ასე ვთქვათ, შემამზადებელი საფეხური? (შევნიშნავთ, რომ ბგერათა ანალოგიური „გადაწევა“ შესაძლოა მოხდეს სიტყვათა სესხების დროსაც არამონათესავე ენებს შორის).

ამჯერად ჩვენ მეორე საკითხი გვაინტერესებს.

ენაში შეუპირობებლად არაფერი ხდება. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც აუცილებელ წინაპირობად ვივარაუდოთ ცვლილების წინა საფეხური, რომელმაც საბოლოოდ რეგულარული ბგერათშესატყვისობა მოგვცა.

სად უნდა ჩასახულიყო ასეთი ცვლილება ბგერებისა?

ცნობილია ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი: ენა იშლება დიალექტებად, რომლებიც დროთა განმავლობაში გადაიქცევიან დამოუკიდებელ ენებად. მომდევნო ეტაპზე ასე ჩამოყალიბებული ენებიც იშლება დიალექტებად და ა.შ.

ბუნებრივია, საკითხი ამგვარადვე დაისმის ქართველური ენების მიმართაც: „საერთო-ქართველური ენის დიალექტური დანაწევრებისა და დიალექტთა ადგილის გარკვევა საერთო-ქართველურ ლინგვისტურ არეალში ქმნის საფუძველს ქართველურ ენათა ურთიერთმიმართებებისა და ნათესაობის ხარისხის განსაზღვრისათვის“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

ასეთ ვითარებაში, კანონზომიერია ვივარაუდოთ, რომ ცვლილება საკუთრივ დიალექტების დონეზე დაწყებულიყო; ესე იგი, ბგერათა გადაწევის პირველი საფეხური (ანუ: საწყისი ეტაპი შემდგომ ბგერათშესატყვისობად ჩამოყალიბებული მიმართებისა) ქართველურ ენათა ისტორიულ დიალექტებშია საძებარი.

ამასთან დაკავშირებით ასეთი კითხვაც დაისმის: დასაშვებია თუ არა ანალოგები ბგერათცვლილების თვალსაზრისით ქართველურ ენათა ისტორიულ და თანამედროვე დიალექტებს შორის? ანუ: დასაშვებია თუ არა თანამედროვე დიალექტებშიც მოქმედებდეს ბგერათცვლილების ის წესი, რომელიც მოქმედებდა ისტორიულ დიალექტებში და რომელმაც საბოლოოდ მოგვცა რეგულარული ბგერათშესატყვისობა მონათესავე ენებს შორის?

თუ ასეთი შესაძლებლობა რეალურია, მაშინ ამჟამად არსებული დიალექტი იმ „საცდელ მოდელად“ გამოგვადგება, რომლის საშუალებითაც შევძლებთ მონათესავე ენათა ჩამოყალიბების პროცესის ემპირიულად წარმოდგენას.

რა თქმა უნდა, საქმე მარტოოდენ სპორადულ ანალოგებს არ ეხება. სპორადული ანალოგები, შესაძლოა, შემთხვევითიც იყოს და რაიმე (#102) კანონზომიერი მიმართებების დადგენა ამის მიხედვით შეუძლებელი იქნება.

საკითხი უფრო პრინციპულად ისმის: ხომ არ არის ენაში იმთავითვე მოცემული ბგერათა კანონზომიერი ცვლილების პოტენცია, რომელიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა დიალექტში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა?

ანუ: ა) ხომ არ უნდა მოველოდეთ, რომ ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში რაოდენობრივი სახით თავს იჩენს ბგერათა იმგვარივე ცვლილება, როგორიც თანამედროვე ქართველურ ენებს შორის თვისებრივ ხასიათს ატარებს და

რეგულარული ბგერათშესატყვისობის სახითაა წარმოდგენილი; ბ) თუ ასეთი მოვლენა დასტურდება, ხომ არ უნდა განისაზღვროს იგი როგორც ენის (მონათესავე ენების) ერთი და იმავე შინაგანი პოტენციის გამოვლინება (გამოხატვა)?

ამჯერად რისამე გადაჭრით მტკიცება ძნელია, მაგრამ ზოგი რამის შენიშვნა მაინც შესაძლებელი ხდება; კერძოდ, ამ თვალსაზრისით ქართველურ ენათა შესახებ არსებულ ლიტერატურაში ფრიად ღირსსაცნობი ფაქტებია გამოვლენილი.

უპირველეს ყოვლისა აქ ერთი რამ საჭიროებს დაზუსტებას: როცა ლაპარაკია მონათესავე ენათა შორის არსებულ ბგერათშესატყვისობაზე, ეს ეხება რომელიმე ფორმაში წარმოდგენილ ყველა ბგერას (თუ ამ მხრივ რამე დარღვეულია, ისმის საკითხი მის ასახსნელად). ნიმუშად ავიღოთ ქართულ-ზანური შესატყვისობა: კაც-ი – კოჩ-ი, ას-ი – ოშ-ი, მ-ჭედ-ელ-ი – ჭკად-უ... კანონზომიერი მიმართებაა ყველა ბგერას შორის: კ -კ, ა – ო, ც – ჩ, ს – შ, ჭ – ჭკ, ე – ა (-ელ და -უ მორფოლოგიური შესატყვისობანია და არა ფონეტიკური, ამიტომაც მათ აქ არ განვიხილავთ). თუ შესატყვისობის პრინციპი ირღვევა, უპირატესად ეს პოზიციური (კომბინაციური) ცვლის შედეგია; ქართული: სამ-ი – ზანური: სუმ-ი, მოსალოდნელი *სომ-ი ფორმის ნაცვლად; ო → უ აიხსნება ბაგისმიერი მ ბგერის ზეგავლენით.

რა თქმა უნდა, თანამედროვე დიალექტების დონეზე ასეთ რეგულარულ და მასთან გლობალურ შესატყვისობებს არ უნდა მოველოდეთ და არცა გვაქვს. დიალექტების დონეზე ამ სახის მიმართება ვლინდება ცალკეულ ბგერებში და არ ეხება ამა თუ იმ ფორმაში შემავალ ყველა ბგერას. მაგალითად, სოფლის სახელი ჩხენიშ-ი (იმერეთშია, სამტრედიის რაიონი) მიიჩნევა ცხენის-ი ფორმის შიშინა, ზანურ ნაირსახეობად (არნ. ჩიქობავა), თუმცა „შესატყვისობანი“ აქ მხოლოდ ც – ჩ და ს – შ ბგერებს შორის გვაქვს, არაა მომხდარი ე → ა; ესე იგი, არა გვაქვს სავარაუდო *ჩხანიშ-ი (ღირსსაცნობია, რომ მეგრულში (#103) ამჟამად ცხენ-ი ფორმაა დადასტურებული, რომელიც ქართულიდან ნასესხებად ითვლება (არნ. ჩიქობავა). ამ თვალსაზრისითვე ყურადღებას იქცევს გურულში დადასტურებული კალოშქ-ი „კალოში“ და ფეჩქ-ი „ფეჩი, ღუმელი“ ფორმები; კალოშქ-ი შენიშნულია მეგრულშიც (გ. როგავა); შდრ. ქართულ-ზანური ბგერათშესატყვისობა შ – შქ და ჩ – ჩქ. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით ერთი საკითხიც ისმის: ბგერათშესატყვისობა წმინდა ფონეტიკური მოვლენაა და ამიტომაც იგი შეუზღუდავად (ან თითქმის შეუზღუდავად) მოქმედებს არა მხოლოდ ენის საკუთრივ ძირითადი ლექსიკური

ფონდის ფორმებში, არამედ ნასესხებ სიტყვებშიც. დასახელებული ფორმები სწორედ ამას ადასტურებს. და ერთიც: ტენდენცია, რომელმაც ისტორიულად მოგვცა ბგერათშესატყვისობანი, დღესაც მოქმედებს.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში გამოვლენილი ზოგი ფორმა.

ქართველურ ენებში ერთ-ერთ რეგულარულ ბგერათშესატყვისობად გამოვლენილია ლ – შ; ქართულ-სვანური: ასულ-ი – ჰასûშ, ხველა (ძველი ქართული: ჯუელა) – ჯûეშ || ჯûäშ, ტილ-ი – ტიშ... ეს შესატყვისობა შენიშნულია ქართულ-ზანურ დონეზეც: ტილ-ი – ტი ← ტიშ (შდრ.: ტიშონუა), ძველ-ი – ჯვეშ-ი... (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე-გ. მაჭავარიანი, ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი). ღრსსაცნობია, რომ ანალოგიური შესატყვისობა დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც, ზოგჯერ – ერთსა და იმავე დიალექტშიც კი. შდრ., მაგალითად, ტილ-ი – ტიზ-ვ-ნ-ა „განკრება ტილთა“ (სულხან-საბა ორბელიანი), ტის-ნ-ა „გახილვა“ (ქართლური). ვარაუდობენ, რომ ზანურ-სვანური ტიშ-ფორმისათვის ქართული ტის-ფუძე უნდა იყოს ამოსავალი (ან ტიზ-; ჰ. ფენრიხი, გ. კლიმოვი), თუმცა ასე ვერ აიხსნება სხვა (ასულ-ი, ჯუელა) ფორმათა შესატყვისობანი. ასეა თუ ისე, ლ – შ მიმართება რეალურად არსებობს და, თავის მხრივ, ფრიად საყურადღებოა, რომ ანალოგიური შესაბამისობა ქართული ენის დიალექტების დონეზეც იპოვება: მი-ლულ-ვ-ა – მოხეური: მი-ლუშ-ვ-ა, ფუნთულ-ა – ფუნთუშ-ა (ფ. ერთელიშვილი), ღარბელ-ი – ღარბეშ-ი (ქ. ძოწენიძე).

დადგენილია ქართულ-ზანური ბგერათშესატყვისობა რ – ჯ (ა. ცაგარელი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა); „ირკვევა, რომ ქართ. რ-ს შესატყვისი ზან. ჯ მიღებულია..., როცა ამ უკანასკნელს მოსდევს წინაენისმიერი ხმოვანი; ... პირველ რიგში ი ხმოვანი“ (გ. როგავა): მხარ-ი – ხუჯ-ი, ღორ-ი – ღეჯ-ი, ხარ-ი – ხოჯ-ი, პირ-ი – პიჯ-ი, ფურ-ი – ფუჯ-ი, ყურ-ი – ყუჯ-ი, ფუტკარ-ი – ბუტკუჯ-ი... (#104) ქართული ენის დიალექტებში ამ რიგის მოვლენამაც იჩინა თავი: ღორ-ი – ღოჯ-ი „ეშვი“ (შდრ. ძველი ქართული, სადაც „ეშუ“ ფორმით გამოიხატებოდა მნიშვნელობა „გარეული ღორი“), ყურ-ი – ხევსურული: ყუჯა „უყურო ან ყურებდაჭრილი ცხვარი“ (ყუჯა ფორმის წარმოებისათვის შდრ. კუდ-ა „უკუდო“ ← კუდ-ი; თუ ასეა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ *ყუჯი → ყუჯა), ფურ-ი – ფუჩ-ინ-ა „ხბო, ზაქი“ (ფ. ერთელიშვილი)... ყურ- ფუძის ანალოგიური ვარიანტები სხვა შემთხვევებშიც

დაჩნდება (და ხშირად არა მხოლოდ დიალექტების, არამედ ძველი და ახალი ქართულის დონეზეც). შევადაროთ ამ თვალსაზრისით: ყურ-ი – რაჭული: ყუჟ-ი „პურის, მჭადის და მისთანათა ყუა“, მარ-ყუჟ-ი (შდრ.: მარ-წუხ-ი, რომელიც წუხ- „მოჭერა, მოკუმშვა“ ფუძისგანაა ნაწარმოები), მი-ი-ყუჟ-ა, ლა-ყუჩ-ი, გა-ყუჩ-ებ-ა || ი-ყუჩ-ე... ლა-ყუჩ-ი განიმარტება როგორც: სა-ყურ-ი; ყურის ადგილი (ფ. ერთელიშვილი).

დიალექტებში იპოვება ქართულ-ზანური ჭ-ჭკ შესატყვისობის ანალოგებიც: ჭდე – ხევსურული, მთიულური, თუშური: ჭკდე; ჭნავი – აჭარული: ჭკნავი; მჭვარტლი – ინგილოური: ჭკორტლ; ჭრიალი – ლეჩხუმური: ჭკრიალი და მისთ.

ანალოგიური პარალელები შეინიშნება ხმოვანთა გადასვლებშიც.

ქართლურ-ზანური ა – ო: კაც-ი – კოჩ-ი, ღამე- ღომა (ჭანური) || ღუმა (მეგრული); თაფლ-ი – თოფურ-ი, ძაღლ-ი – ჯოღორ-ი... ზუსტი ანალოგები გვაქვს ქართული ენის დიალექტებშიც: ფხაჭ-ნ-ი-ს – ფხოჭ-ნ-ი-ს, ი-ბრაწ-ებ-ა – და-ბროწ-დ-ებ-ა (ფ. ერთელიშვილი), ჭაპან-ი – ჭოპან-ი (მოხეური), მზარეულ-ი – მზორეულ-ი (არაგვის ხეობის ქართლური).

ქართულ-ზანური ე – ა: მზე – ბჟა, მ-ჭედ-ელ-ი – ჭკად-უ... შდრ. ქართული ენის დიალექტებში პოვნიერი: ჯებირ-ი – ჯაბირ-ი (ხევსურული), ქეიფ-ი – ქაიფ-ი (ხევსურული), კიდევ – კიდავ (მოხეური, ხევსურული). ზოგჯერ ამ რიგის მიმართება ლამის რეგულარულ ხასიათს ატარებს. ნიმუში მოხეური დიალექტიდან: ამას – ამეს, კრამიტ-ი – კრემიტ-ი, დაჩაგრული – დაჩეგრილ-ი, კურატ-ი – კურეტ-ი, ამინდ-ი – ემინდ-ი, ჯაგარ-ი – ჯეგარ-ი, რაშ-ი – რეშ-ი...

ანალოგები ილანდება ფონეტიკურ პროცესებშიც. ზემოთ, არეალოგიური პრობლემატიკის განხილვისას დასახელებული იყო ამის ერთი ნიმუში: თუშურში ხდება პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მეტათეზისი ყრუ მკვეთრი ბგერების წინ: ვტირი → ტვირი, ვჩეჩ → ჩვეჩ, ვჭამე →ჭვამე... (თ. უთურგაიძე). მსგავსი ვითარებაა სვანურში: „სუბიექტური პრეფიქსი პირველი პირისა... თანხმოვნით დაწყე(#105)ბულ ფუძეებთან ინფიქსად გვევლინება (ესე იგი, ხდება მისი მეტათეზისი): *û-ტიხე→ტûიხე „ვაბრუნებ“, *û-ფიშე → *ფûიშე → ფüშე „ვღლი“, * û-კიდე → კûიდე → კüდე „ვჟლეტ“... (ვ. თოფურია).

დიალექტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხშირად ის, რაც დიალექტების დონეზე სუბსტიტუციის (ანუ: აუხსნელი ბგერათცვლილების) ნიმუშებად

განიმარტება, ზედმიწევნით ემსგავსება იმას, რასაც ქართველურ ენათა დონეზე ბგერათშესატყვისობად განიხილავენ.

იმ შემთხვევაში, როცა ამ რიგის მოვლენები დასავლეთ საქართველოს დიალექტებშია დაჩნეული (გურულში, ქვემოიმერულში, აჭარულში), ისინი ზანური ტენდენციის გამოვლენად განიმარტება. მაგრამ ანალოგიური ფაქტები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებშიც იჩენენ თავს, საჭიროს ხდის, რომ მათ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცეს (რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ხშირად, მართლაც, ზანიზმებთან გვქონდეს საქმე).

რასაკვირველია, დიალექტების დონეზე ამ თვალსაზრისით რაიმე რეგულარულ შესატყვისობაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ დიალექტებში რაოდენობრივ დონეზე მართლაცაა წარმოდგენილი ის, რაც ქართველურ ენებში თვისებრივ ხასიათს ატარებს. რაოდენობრივი მონაცემი კი ის შესაძლებლობაა, რომელიც შესაბამისი პირობების წარმოქმნისას თვისებრივ ხასიათს იღებს. ამ ზოგადი დებულებიდან ამოსვლით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ანალოგები, რომლებიც ქართველურ ენებსა და ქართულ დიალექტებში იჩენენ თავს, საერთო კანონზომიერი პოტენციის გამოვლენაა და არა შემთხვევითი, ზედაპირული მოვლენა; ანუ: ივარაუდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შეპირობებული თვით ქართველურ ენათა ბუნებით.

ამასთან დაკავშირებით გასარკვევია ისიც, თუ რამდენად არის შესაძლებელი თანამედროვე ქართული დიალექტების მონაცემთა მიხედვით აიხსნას ზოგი ამჟამად გაბუნდოვანებული საკითხი ქართველურ ენათა ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისით. ნიმუშად ერთ მაგალითს მოვიტანთ. დასახელებულია ასეთი შესატყვისობა: ქართული ცხიმ-ი, ზანური: ჩხომ-ი „თევზი“, სვანური: მ̣ჩხიმ „ცხიმი“. ქართული და სვანური შესატყვისობა ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც თანხვდება ერთმანეთს. ეჭვს იწვევს ზანური ჩხომ-ი, რომელიც სემანტი(#106)კურად საკმაოდ დაცილებულია მის შესატყვისობად ნავარაუდევ სხვა ქართველურ ფორმებს; ფონეტიკურადაც ასეთ დაკავშირებას გარკვეული წინააღმდეგობა ახლავს. აღნიშნავენ, რომ ჩხომ0 ზანური ფუძის ქართული „შესატყვისი არა ჩანს, თუ ცხიმ-ს არ დავუკავშირებთ. ეს შეუძლებელი არაა არც აგებულებით, არც მნიშვნელობით, მაგრამ მეტად სათუოა“ (არნ. ჩიქობავა). შესაძლებლად მიიჩნევა ზანურის

შესატყვისად *ცხამ- ფორმის აღდგენა ქართულში (გ. კლიმოვი). არის ამ ორი ვარაუდის ურთიერთშეჯერების ცდაც: „გახმოვანების ნორმალურ საფეხურზე უნდა გვქონოდა *ა/*ე ვოკალიზმი: *ც1ხამ/*ც1ხემ. ზანური დიალექტების ჩხომ- ფორმა *ც1ხამ ვარიანტის რეფლექსია. ქართ. ცხიმ- და სვან. მე-ჩხიმ წარმოგვიდგენენ *ც1ხემ ვარიანტს რედუქციის საფეხურზე“ (გ. მაჭავარიანი).

ამჯერად არსებითია ის, რომ ჩხომ-ი „თევზი“ ფორმის შესატყვისად ქართულში *ცხამ-ი ივარაუდება (შევნიშნავთ: ცხამ- ფუძე ქართულში მცენარის სახელადაა გამოყენებყული. მას, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არა აქვს ხსენებულ *ცხამ- ფუძესთან. მცენარის აღმნიშვნელი ცხამ- სხვადასხვა ფონეტიკური ნაირსახეობით გვხვდება ცხამა || სხამა || შხამა || ჩხამა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში პარალელურად არის სხამი || შხამი. ცხამ- დადასტურებულია მეგრულშიც, აღნიშნავს „ღვარძლს“. ყველა ამ ფორმისათვის ამოსავალი ჩანს „შხამი“ – მცენარე, მართლაც, შხამიანია).

მეგრული ჩხომ-ი „თევზი“ ფორმასთან მიმართებით ღირსსაცნობია იმერულ დიალექტში დადასტურებული „ჩხამა“ ფორმა, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: ა) წვრილი, პატარა თევზი საერთოდ: „ჩხამები დავიჭირე“ (მ. ალავიძე); ბ) წითელფორეჯებიანი (ჭრელი) თევზი. ეს ფორმა გამოყენებული აქვს აკაკი წერეთელს ერთ-ერთ ლექსში: „ერთმა ვინმემ აუზებში წვრილი თევზი გააჩინა: ღორჯო, ჩხამა, თევზნაფოტა, გველანა და კაპარჭინა“ (ქართული ენის განმარტებილი ლექსიკონი). ამოსავალი უნდა იყოს პირველი მნიშვნელობა. თევზის ერთ-ერთი სახეობის სახელად მისი გამოყენება მნიშვნელობის დავიწროვების შედეგი ჩანს. „ჩხამა“ ფორმის ბოლოკიდური -ა მაწარმოებელი უნდა იყოს; ესე იგი, *ჩხამ-ი → ჩხამ-ა (შდრ.: მელ-ი → მელ-ა). საინტერესოა ამ თვალსაზრისით კალმახ-ი || კალმახ-ა...

იმერული *ჩხამ- (→ჩხამა) ფუძსათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო *ცხამ-, ზუსტი ქართული შესატყვისი ზანური ჩხომ- ფუძისა.

*ცხამ- → ჩხამ- იმ რიგის მოვლენაა, ზემოთ რომ იყო განხილული: საქმე გვაქვს დიალექტის დონეზე იმ პროცესის გამოვლენასთან, რომელმაც ქართველურ ენათა დონეზე საბოლოოდ რეგულარული ბგე(#107)რათშესატყვისობა მოგვცა. თუ ასეა, ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტის მონაცემმა შესაძლებლობა მოგვცა აღდგენილიყო კიდევ ერთ მიმართება ქართველურ ენათა დონეზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ამჟამად ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობად განიხილება, ისტორიულად ამ ენათა დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ეს პროცესი დღესაც იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში. იგი უნდა განისაზღვროს როგორც ენის შინაგანი პოტენცია, გარკვეული ნაირსახეობით გამოვლენილი ქართველურ ენათა არსებობის სხვადასხვა პერიოდში.

ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების პრობლემა, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ფონემატური სტრუქტურითა და ფონეტიკური პროცესებით არ ამოიწურება. ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „ენების მორფოლოგიური ნათესაობის საკითხის“ გამორკვევას. მართლაც, „ქართველურ დიალექტთა შორის გენეტურ მიმართებათა დასადგენად უნდა დავემყაროთ არა მარტო ფონოლოგიურ, არამედ აგრეთვე მორფოლოგიურ და ლექსიკურ იზოგლოსებსაც. მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომა მოგვცემს საშუალებას გავითვალისწინოთ ის რთული მოვლენები, რომლებსაც ფუძე-ენის დიფერენციაციის პროცესში უნდა ჰქონოდა ადგილი და რომელთა შედეგად ისტორიული ქართველური ენები ჩამოყალიბდა“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

ღირსსაცნობია, რომ დღესაც ქართული ენის დიალექტებს შორის მორფოლოგიური (ასევე: სინტაქსური) თვალსაზრისით თავს იჩენს იმ რიგის მოვლენები, რომლებიც მეტ-ნაკლებ ანალოგიას პოულობენ ქართველურ ენებშიც.

ვ. თოფურიას გამოვლენილი აქვს რამდენიმე ასეთი ფაქტი.

მოვიტანთ ზოგიერთ ნათელ ნიმუშს.

ამ რიგისაა, მაგალითად, ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმები ქართველურ ენათა დიალექტებში, გამოყენებული დანიშნულების (ამჟამინდელი - თვის თანდებულიანი ფორმის) ფუნქციით:

[ძველი ქართული კაც-ის-ად-ა]

ფშაური, ხევსურული კაც-ის-ად

რაჭული კაც-იზ-და

გურული, აჭარული, ქვემოიმერული კაც-იზ-ა

მეგრული კოჩ-იშ-ო(თ)

სვანური mārēm-იშ-დ

(#108)

შემდეგ: „ძველ ქართულში III პირის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ყველა ნამყოში (უწყვეტელი, წყვეტილი, თურმეობითი II) გამოყენებული იყო -ეს სუფიქსი“: წერ-დ-ეს „წერდნენ“, და-წერ-ეს, და-ე-წერ-ნ-ეს „დაეწერა მას || მათ იგინი“ (ვ. თოფურია).

ამჟამად ქართულისათვის ეს დიალექტური მოვლენაა. ასეა, მაგალითად, ხევსურულში: „ორნ კაცნ კიდევ წავიდოდეს (=წავიდოდნენ), წაიღებდეს (=წაიღებდნენ) ლუდს“; „როსაც ტირილ გაათავეს, წამავიდეს (=წამოვიდნენ) შინისკე“; „შააღა საქვაბის კარი და დაეძგერნეს (=დაეძგერნენ) ერთმანეთს იონეური და მექობური“; „ეს მამაძაღლი ქისტები სრუ საქურდალად დიანა! კალოთანის ჯორჯს მოვიდეს (=მოვიდნენ), ბინაზედ დადგებიანა; უნდოდა დაებალითნეს (=დაებალითა მას || მათ ისინი), მემცხვრისად დაერიალა“.

ანალოგიური ვითარებაა ზანურში: „მეგრულმა და ჭანურმა უწყვეტელსა და წყვეტილში შემოინახეს ძველი ქართულის ვითარება – სუფიქსი -ეს: ჭარუნდ=ეს „წერდნენ“, დოჭარ-ეს „დაწერეს“; ჭანური: ზუმუმტ-ეს „ზომავდნენ“, ზუმ-ეს „ზომეს“ (ვ. თოფურია).

ამგავრი ნიმუშების დაძებნა მრავლად ხერხდება.

შედეგი ერთია: ქართული ენის დიალექტებშიც ვლინდება ისეთი მოვლენები, რომლებიც რეგულარულად იჩენენ თავს ქართველურ ენათა დონეზე.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, მონათესავე ენებსა და იმავდროულად მათსავე დიალექტებში საკმაოდ მრავლადაა საერთო საფუძვლის (ანუ: წარმოების საერთო პრინციპის, ტენდენციის) მქონე მოვლენები. ამიტომაც ყველა იდენტური მოვლენის ახსნა სუბსტრატის, სუპერსტრატისა ან ადსტრატის საშუალებით შეუძლებელიცაა და უმართებულოც.

(#109) თავი VI

6.0. დიალექტოლოგიის, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინის, ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები. იყო დრო, როცა დიალექტი მდაბიურ

მეტყველებად და, ამდენად, ენის დამახინჯებად, დამდაბლებად მიიჩნეოდა. დიალექტისადმი ამგვარი დამოკიდებულება გასაგები გახდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ იმხანად ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრება ერის სასიცოცხლო ინტერესებით — ერის კონსოლიდაციის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

ბუნებრივია, დიალექტის მეცნიერულ ღირებულებაზე ასეთ ვითარებაში არაფერი ითქმებოდა.

საკითხი დიალექტების მეცნიერული ღირებულების შესახებ გაცილებით უფრო გვიან დაისვა; მაშინ, როცა ენის კვლევის ასპარეზი გაფართოვდა და ენათმეცნიერებამ ისეთი პრობლემები დასვა, რომელთა ამოხსნა დიალექტთა მონაცემების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი ან ფრიად ნაკლულოვანი აღმოჩნდებოდა.

6.1. დიალექტების მნიშვნელობა ხაზგასმით იქნა აღნიშნული მ. მიულერის „ლექციებში ენის მეცნიერების შესახებ“. ეს ლექციები ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ინდური ლიტერატურისა და შედარებითი მითოლოგიის მკვლევარმა მ. მიულერმა ინგლისის სამეფო საზოგადოებაში (მეცნიერებათა აკადემიაში) წაიკითხა 1861 და 1863 წლებში.

„დიალექტები, — აღნიშნავდა იგი, — რომლებზეც არასდროს შეუქმნიათ ლიტერატურული ნაწარმოებები, ისევე მნიშვნელოვანია, ხოლო ზოგიერთი პრობლემის თვალსაზრისით კი უფრო მნიშვნელოვანიც, ვიდრე ჰომეროსის პოეზია ან ციცერონის პროზა... ენის მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით, ჰომეროსის ენა არც უფრო მნიშვნელოვანია და არც უფრო საინტერესო, ვიდრე ჰოტენტოტების დიალექტები“.

სალიტერატურო ენები, მ. მიულერის განმარტებით, უპირატესად მეტყველების ხელოვნური ფორმებია, „ენის ჭეშმარიტი და ბუნებრივი სიცოცხლე მოცემულია მის დიალექტებში... შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ თითქოს დიალექტები სალიტერატურო ენის დამახინჯებას წარმოადგენს. თვით ინგლისში ადგილობრივ კილოკავებს მოე(#110)პოვება გაცილებით მეტი პირვანდელი ფორმა, ვიდრე შექსპირის ენას და მათი ლექსიკა ყველა თვალსაზრისით უფრო მდიდარია, ვიდრე ნებისმიერი პერიოდის კლასიკოსი მწერლებისა“.

სალიტერატურო ენებს მ. მიულერი უდარებს დამდგარ წყალს:ნ „ისინი არიან იმის აუზები, რაც ოდესღაც იყო ცოცხალი და მიმდინარე. სალიტერატურო ენა

შეიძლება შევუდაროთ მდინარის გაყინულ ზედაპირს, რომელიც გლუვია და ლაპლაპა, მაგრამ გაქვავებულია და ცივი. ხალხური კილოკავები, მდინარეთა ქვედა დინებას რომ ჰგვანან, დროდადრო სალიტერატურო მეტყველების ზედაპირზე ამოიწევენ და გაზაფხულის წყალდიდობის მსგავსად თან გაიტაცებენ გარდასულ დროთა წარმონაქმნს, რომელიც უკვე ზედმეტი გამხდარა“.

ენათმეცნიერების მიზანია ახსნას „ენის ზრდა“; ამ თვალსაზრისით კი დიალექტების მნიშვნელობა „ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს“.

მოაცილეთ ენა მის მშობლიურ ნიადაგს, მოაშორეთ მის მასაზრდოებელ დიალექტებს და თქვენ მაშინვე შეაჩერებთ მის ბუნებრივ განვითარებას.

და ბოლოს — ენათმეცნიერების დანიშნულების შესახებ: „როგორც პოლიტიკური ისტორია უნდა მოიცავდეს უფრო მეტს, ვინემ სამეფო დინასტიების ქრონიკაა, ასევე ენის ისტორიკოსმა არასდროს უნდა დატოვოს უყურადღებოდ მეტყველების ის მდაბიო და ხალხური ფენები, რომელთაგანაც თავდაპირველად წარმოიშვა და რომლებსაც შემდგომ ეფუძნება ეს დინასტიები“.

„ნეოგრამატიკოსებზე თხუთმეტიოდე წლით ადრე მ. მიულერმა მოგვცა დიალექტთა აპოლოგია“ (არნ. ჩიქობავა).

6.2. ნეოგრამატიკული მიმდინარეობა სათავეს იღებს XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან: კ. ბრუგმანისა და ჰ. ოსტჰოფის მიერ 1878 წელს გამოცემული „მორფოლოგიური ძიებანის“ წინასიტყვაობაში ჩამოყალიბებული იყო ნეოგრამატიკოსთა მეთაური დებულებანი.

ნეოგრამატიკოსთა ერთ-ერთი ძირითადი დებულება ასეთია: დიალექტური მეტყველება წარმოადგენს ენის ბუნებრივ, შინაგანად შეპირობებულ (ხელოვნური ჩარევით შეუზღუდავ) განვითარებას. ამიტომაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი უპირველესი მიზანი სწორედ ცოცხალი დიალექტური მეტყველების კვლევაცაა.

უფრო მეტიც: დიალექტების კვლევა თვით ენათა შედარებითი კვლევა-ძიების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად იქნა გამოცხადებული: „შედარებითი ენათმეცნიერების მკვლევარმა წინარე ენიდან მზერა უნდა მიაპყროს თანამედროვეობას, თუკი მას სურს წარმოდგენა იქონიოს ენის განვითარებაზე... სწორედ ინდოევროპულ ენათა უახლეს ეტაპებს, ცოცხალ ხალხურ კილოებს მრავლისაგან მრავალ შემთხვე(#111)ვაში აქვს დიდი მნიშვნელობა შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიისათვის“. ეს მისცემს შესაძლებლობას

ენათმეცნიერს, „საკუთარი ყურით მოისმინოს ენის სიცოცხლის მჩქეფარება“ (ჰ. ოსტჰოფი, კ. ბრუგმანი).

ჰ. პაული: „თუკი გავითვალისწინებთ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ყოველ ინდივიდს აქვს თავისი საკუთარი ენა, ხოლო ყოველ ამ ენათაგანს მოეპოვება საკუთარი ისტორია, მაშინ პრობლემა, რომელიც დგება დიალექტების წარმოშობის შესახებ, აღარ დაიყვანება იმ საკითხამდე, თუ როგორ წარმოიშობა ერთი საერთო ენიდან განსხვავებული დიალექტები; განსხვავებათა წარმოშობა უკვე თავისთავად ნაგულისხმევი ფაქტი აღმოჩნდება...“ და შემდეგ: „დიალექტურ განსხვავებათა გაღრმავება, რა თქმა უნდა, შეპირობებულია ენობრივი უზუსის (ჩვევის) ცვლილებით... შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ენის ცხოვრება განუწყვეტელი დიფერენციაციის გარეშე“.

ამდენად, თვით ის უცილობელი ფაქტი, რომ ენა ყოველ ინდივიდში გარკვეული ნაირსახეობითაა წარმოდგენილი, ანუ: ის, რომ ენას ყოველთვის ინდივიდუალური გამოვლინება აქვს, იმთავითვე განაპირობებს დიალექტურ დიფერენციაციას.

„ენობრივი უზუსის ყოველგვარი ცვლილება არის ინდივიდუალური სპონტანური იმპულსების შედეგი (პროდუქტი)... ენის ყოველგვარ ცვლილებას და, შესაბამისად, ყოველი დიალექტური თავისებურების ჩამოყალიბებას აქვს თავისი ისტორია“ (ჰ. პაული).

არსებითი ღირებულებისაა ჰ. პაულის ეს დებულება: „ერთი წინარეენიდან განვითარებულ დამოუკიდებელ ენებში შეიძლება დავინახოთ ამ წინარეენის დიალექტური დანაწევრების გაგრძელება. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ამ ენებში დადასტურებული განსხვავებანი გარკვეულ წილ აიყვანება მათი ერთობის ეპოქამდე“. არსებითია ისიც, რომ „ენის გვიანდელი დიფერენციაცია ყოველთვის არ მიმდინარეობს ადრინდელი დიალექტური დანაწევრების საზღვრებში“.

და ბოლოს: „ბგერითი ურთიერთობანი წარმოადგენს ამა თუ იმ ენის გავრცელების ტერიტორიაზე დიალექტური დანაწევრების საუკეთესო მაჩვენებელს“. ბგერათცვლილებას ჰ. პაული თვლის დიალექტური დანაწევრების წარმომჩენ ყველაზე უფრო ღირსსაცნობ მოვლენად. აქედან გამომდინარე, „ბგერათა სფეროში წარმოიქმნება უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებანი, ვიდრე ლექსიკურ წყობაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. იმავდროულად ბგერითი სხვაობანი სხვებზე უკეთ შემოინახავს ხოლმე თავს ხანგრძლივი დროის მანძილზე“.

(#112)

დასკვნა ასეთია: ენის ბუნებრივი განვითარება იწვევს დიალექტური სახესხვაობების მუდმივ და შეუზღუდავ წარმოქმნას. ეს შეპირობებულია თვით ენის არსით.

6.3. ფ. დე სოსიურმა დიალექტები გარეგან ენათმეცნიერებას განაკუთვნა, რადგან დიალექტები გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით არიან განაწილებული, გეოგრაფიული ფაქტორი კი ვერ განსაზღვრავს ენის შინაგან ორგანიზაციას.

ენა მუდამ ნაწევრდება დიალექტებად, რომელთაგან არც ერთი არ შეიჭრება ხოლმე მეორის გავრცელების სფეროში და ამის გამო იგი (ენა) შესაძლოა უსასრულოდ ნაწევრდებოდეს. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ძლიერდება ხალხთა ურთიერთკავშირიც, რაც იწვევს იმას, რომ ერთ-ერთი დიალექტი იძენს უნარს მოემსახუროს მთელი ხალხის საერთო ინტერესებს. იგი საფუძვლად ედება სალიტერატურო ენას, რომელიც, თავის მხრივ, შემდგომ გავლენას ახდენს დიალექტებზე.

დიალექტების გეოგრაფიული (სივრცითი) დაშორება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს დიფერენციაციის პროცესს, მაგრამ ენობრივ სხვაობათა ასახსნელად აუცილებელია დროის ფაქტორის გათვალისწინებაც. დიალექტური სახესხვაობანი დასაშვებია წარმოქმნილიყო მანამდე, სანამ მოხერხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში.

არსებობს ორი გზა დიალექტის განსასაზღვრავად:

ა) დიალექტი განისაზღვრება მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ნაკრებით (და მაშინ ჩვენ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი პუნქტით რუკაზე; ესე იგი, დიალექტად უნდა ჩაითვალოს ერთი დასახლებული პუნქტის მეტყველება, რადგან საკმარისია გავცდეთ მას, რომ ვეღარ ვიპოვოთ სხვაობა იმგვარივე ნაკრები);

ბ) დიალექტი განისაზღვრება ერთი რომელიმე ნიშან-თვისების საფუძველზე (და მაშინ ამ მოვლენას ექნება გავრცელების გარკვეული სფერო; მაგრამ ასეთი ხერხი ხელოვნურია და ამ მეთოდით დადგენილი საზღვრები არ შეესაბამება კონკრეტულ დიალექტურ სინამდვილეს).

6.4. სალიტერატურო ენა და მისი მიმართება დიალექტურ მეტყველებასთან იყო ერთ-ერთი იმ ძირითად პრობლემათაგანი, რომელიც საგანგებოდ შეისწავლებოდა პრაღის ლინგვისტური წრის წარმომადგენლების მიერ.

„პრაღის ლინგვისტური წრის თეზისებში“ ცალკე მონაკვეთები ეძღვნება სალიტერატურო ენისა და ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებს.

(#113)

ენობრივ მოვლენათა ტერიტორიული ლოკალიზაცია არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ცალკეული ავტონომიური იზოგლოსების (ანუ: ენობრივი თავისებურებების) ანარქია. იზოგლოსები ხშირად გადაიკვეთებიან ხოლმე, ქმნიან კონებს, რაც შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს როგორც ენობრივი ინოვაციების გავრცელების ცენტრი (წყარო), ასევე მისი (გავრცელების) პერიფერიები.

ურთიერთგადამკვეთი იზოგლოსების შესწავლა წარმოგვიჩენს, თუ რომელი ენობრივი მოვლენები არის რეგულარულად ურთიერთდაკავშირებული, ე.წ. იზოლირებული იზოგლოსები კი, ასე ვთქვათ, ფიქციებია, რადგანაც გარეგნულად მსგავსი მოვლენები, რომლებიც ორ განსხვავებულ სისტემას განეკუთვნებიან, შესაძლოა ფუნქციურად განსხვავებული იყვნენ. მართლაც, ქართული ენის ნიმუში რომ მოვიხმოთ, ჲ ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელის ბოლოს სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა დანიშნულებისა აღოჩნდება: კახურში იგი მიცემით ბრუნცის -ს ნიშნის ფონეტიკური ვარიანტია (ძმაჲ დაუძახა „ძმას დაუძახა“), სხვა დიალექტში — სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის ნაირსახეობა (ძმაჲ „ძმა“).

იზოლირებული იზოგლოსების ენათმეცნიერული განმარტება შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია ენობრივი მოვლენის გაგება სისტემის გათვალისწინებისა გარეშე.

ისევე, როგორც დასაშვებია ენის ისტორიის კვლევისას სხვადასხვაგვარი ევოლუციური მოვლენების შეპირისპირება, ასევე შესაძლებელია ენობრივ მოვლენათა ტერიტორიული გავრცელებულობა შევუპირისპიროთ სხვა რიგის იზოგლოსებს (იზოხაზებს), განსაკუთრებით — ანთროპო-გეოგრაფიულ იზოგლოსებს — ეკონომიკური ან პოლიტიკური გეოგრაფიის, ანდა მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემთა გავრცელების საზღვრებს; ანუ: ყველა იმ მოვლენას, რომელიც ენის მიღმა ძევს, მაგრამ გარკვეულ გავლენას ახდენს ენაზე. ასეთი შეპირისპირება დასაშვებია როგორც სინქრონულ, ასევე დიაქრონიულ დონეზე.

ნაირგვარი სისტემების შეპირისპირება მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება ნაყოფიერი, თუკი ისინი განიხილებიან როგორც ეკვივალენტურნი და არ მოხდება

ერთი სისტემის მოვლენებიდან მეორისათვის ნიშანდობლივი მოვლენების მექანიკური გამოყვანა.

არსებითია ისიც, რომ პრაღის ლინგვისტური წრის წარმომადგენლებმა შემოიტანეს დიალექტური ნორმის ცნება, რომელიც ასე განიმარტება: რეგულარულად გამოყენებული გრამატიკური და ლექსიკური (როგორც სტრუქტურული, ასევე არასტრუქტურული) საშუალებების კომპლექსი (ბ. ჰავრანეკი). არსებითად აქ იგულისხმება ის ენობ(#114)რივი წესები, რომლებიც გარკვეულ დიალექტურ წრეში მოქმედებს, ანუ ის, რაც მიღებულია, როგორც სამეტყველო ჩვევა (უზუსი) ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის მიერ. ეს ნათლად ჩანს თუნდაც იმით, რომ მოცემულ დიალექტზე მეტყველი ყოველთვის შეიცნობს მისთვის ჩვეული წესებიდან გადახვევას; „მათ უთხრა, მიუტანა“ გარეკახურისათვის უჩვეულოა: ამ დროს რიცხვში შეთანხმება აუცილებელია, ნორმაა ამ კილოკავისათვის: „მათ უთხრაყე, მიუტანაყე“. ეს მკვეთრად გამორჩეული დიალექტური ნაირსახეობა სალიტერატურო ენის თარგზე ნიველირდება: „მათ უთხრათ, მიუტანათ“. შეიცვალა ფორმანტი, გარეგნულად დაუახლოვდა სალიტერატუროს, მაგრამ თვით პრინციპი, წესი ირიბ ობიექტთან რიცხვში შეთანხმებისა უცვლელი დარჩა. ეს თვალნათლივ მიუთითებს, რომ დიალექტური ნორმა გაცილებით უფრო არსებითი მოვლენაა, ვინემ ამა თუ იმ კონკრეტული ფორმანტისა თუ მისი ფონეტიკური ან მორფოლოგიური ნაირსახეობის გამოყენება (-ყე || -კე ურთიერთ მიმართ ფონეტიკური ვარიანტებია, -ყე და -თ — მორფოლოგიური ვარიანტები).

6.5. ამერიკულმა დესკრიფციულმა ენათმეცნიერებამ ჩამოაყალიბა დიალექტოლოგიური კვლევის სამი ძირითადი დებულება:

ა) ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკონი უნდა მოიცავდეს აბსოლუტურად ყველა სიტყვას, რომელიც იპოვება აღსაწერ დიალექტში (და არა მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებიც განსხვავებულია სალიტერატურო ენისაგან);

ბ) დიალექტის გრამატიკული აღწერა გულისხმობს მის სრულ ანალიზს, მსგავსად ნებისმიერი ენის გრამატიკული აღწერისა, რაც მოიცავს ფონოლოგიას, სინტაქსსა და მორფოლოგიას. დიალექტური ფორმების ისტორია შეიძლება შესწავლილ იქნეს მხოლოდ მთლიანად ამა თუ იმ ტერიტორიაზე გავრცელებული ყველა ფორმის ისტორიასთან დაკავშირებით, რადგან ყოველი ენობრივი მოვლენა

იცვლებოდა ან დაზღვეული იყო ამ ცვლილებისაგან იმისდა მიხედვით, მოიცავდა თუ არა ცვლილების რომელიმე ნაკადი მავანი დიალექტის მფლობელებს;

გ) დიალექტის სრულყოფილი შესწავლა გულისხმობს ზედმიწევნით ზუსტი დიალექტოლოგიური ატლასების შედგენას როგორც ფონოლოგიური, ასევე გრამატიკული და ლექსიკური მოვლენებისათვის (ლ. ბლუმფილდი).

დიალექტების ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური იზოგლოსები იშვიათად თანხვდებიან ერთმანეთს, თითქმის ყველა ამ მოვლენას აქვს თავისი გავრცელების საზღვრები. აქედან — დასკვნა: ყველა სიტყვას თავისი ისტორია აქვს (ლ. ბლუმფილდი).

(#115)

ეს ისტორია ხშირად დაკავშირებულია კულტურული ექსპანსიის (კულტურათა ურთიერთობის) ნაირგვარ ნაკადებთან. ისევ ქართული სინამდვილიდან ავიღოთ მაგალითი: რბილი ლ ქართული ენის იმ კილოკავში, რომელიც უშუალოდ ემეზობლება მეგრული მეტყველების არეალს და იგივე რბილი ლ ქართველი ინტელიგენტის გამოთქმაში (პალ'მა, პალ'ტო) არსებითად განსხვავებული ურთიერთობის შედეგია: პირველი მეგრულის ზეგავლენით აიხსნება, მეორე — უცხო ენის გამოთქმის წაბაძვით. შედეგი ერთა (რბილი ლ), მიზეზი (ისტორია) — სხვადასხვა.

ლ. ბლუმფილდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ენობრივ მოვლენათა გავრცელება დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე, რომელთაც შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობის ინტენსივობა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საზოგადოებრივი პრესტიჟი. იგი საგანგებოდ ეხება იმ ფაქტს, რომ ძირითადი დიალექტური საზღვრები უახლოვდება პოლიტიკურ საზღვრებს: „როგორც ჩანს, სახელმწიფო ხელისუფლების საერთოობა, რელიგიური ერთიანობა და განსაკუთრებით კი შერეული ქორწინებანი რომელიმე პოლიტიკური ერთიანობის ფარგლებში იწვევს მეტ-ნაკლებ ენობრივ ერთიანობას".

ლ. ბლუმფილდი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ წინარეენის ფუნქციონირების დროს, ჯერ კიდევ მის დანაწევრებამდე, შეინიშნებოდა დიალექტური სხვაობანი და რომ მონათესავე ენებად დიფერენციაციას წინ უსწრებდა თავდაპირველი დიალექტური დანაწევრება — მონათესავე ენებად დიფერენციაცია არსებითად შემდგომი გაღრმავებაა თავდაპირველი დიალექტური დანაწევრებისა.

დიალექტური სახესხვაობების გამომწვევი გარეენობრივი ფაქტორების ამოსაცნობად, ლ. ბლუმფილდის აზრით, საუკეთესო საშუალებაა ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპების გამოყენება; მით უმეტეს, რომ ლინგვისტური გეოგრაფია იძლევა უხვ და ფასეულ მასალას ცალკეული ფორმების ისტორიის დასადგენად, ამასთანავე იგი ეფუძნება მათ სტრატიფიკაციულ მონაცემებსა და რელიქტური მოვლენების ანალიზს.

სხვადასხვა სახელმწიფოში, ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის დიალექტებია მნიშვნელოვანი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო ხელშესახებია სოციალურ დიალექტებად დიფერენციაცია, მაგრამ გერმანიაში, პირიქით, უფრო არსებითი აღმოჩნდა ტერიტორიული დიალექტები.

დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში, ჰ. გლისონის განმარტებით, დიალექტური ნაირსახეობანი განიხილება ენაში ვარიაციულობის პრობლემასთან დაკავშირებით. ენას საერთოდ ახასიათებს ვარიანტების (#116) (ნაირსახეობების) პოვნიერება. ეს ეხება ფონეტიკურ ნაირსახეობებს, ფონემატურ ცვლილებებს, ცვლილებებს ანალოგიის საფუძველზე, სიტყვათსესხებას. ყველაზე უფრო ხელშესახებია და კარგად ცნობილიც, ტერიტორიული ვარიანტები. თუ ამ ვარიანტებს შორის სხვაობა დიდი არ არის, ისინი იწოდებიან დიალექტებად, არსებითი ხასიათის სხვაობისას კი — ენებად.

ენობრივი ცვლილებები მოსახლეობის მეტ-ნაკლებად ჰომოგენურ ჯგუფში ყველაზე უფრო ხელმისაწვდომად შეიძლება დახასიათდეს რუკაზე იზოგლოსების აღნიშვნითა და მათი მოძრაობის (გადანაცვლების) ჩვენებით. იზოგლოსები არსებითად სტატისტიკური აბსტრაქციებია, რომლებიც მხოლოდ იმას გვიჩვენებენ, რომ მოპოვებული ფაქტების საფუძველზე რუკის შემდგენელი მივიდა, ვთქვათ, ასეთ დასკვნამდე: ამ ხაზის (იზოგლოსის) ერთ მხარეს მეტად გავრცელებული ერთი ტიპის გამოთქმა, მის საზღვრებს გარეთ კი — სხვაგვარი; ანუ: იზოგლოსა არის მეტყველების თავისებურებათა ტერიტორიული ცვალებადობის (მონაცვლეობის) გრაფიკული გამოხატვის საშუალება, იზოგლოსათა კონა კი მიგვითითებს მეტყველების შედარებით უფრო არსებით ცვლილებებზე ამა თუ იმ ზონაში, ანუ: მიგვანიშნებს საკუთრივ დიალექტების საზღვრებზე. ეს საზღვრები არასდროს მკვეთრად არ გადადიან ერთმანეთში, გადასვლა უმეტეს წილ თანდათანობით ხდება.

მართალია, იზოგლოსა მარჯვე საშუალებაა მეტყველების ტერიტორიულ ცვლილებათა აღსაწერად, მაგრამ იმავდროულად შესაძლოა ცდომილების მიზეზადაც იქცეს, რადგან მათთვის, ვინც იზოგლოსებს სწავლობს, ხშირად უცნობია მრავალი რთული ფაქტი, რომლის საფუძველზეც აიგება ეს იზოგლოსები.

ტერიტორიული (გეოგრაფიული) დიალექტების შესწავლა რთულდება იმითაც, რომ ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის ფარგლებში ყველა ერთ ყაიდაზე არ ლაპარაკობს. თავს იჩენს სოციალური დიფერენციაციაც, რაც საფუძველი ხდება სოციალური დიალექტების არსებობისა. ენის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია ამა თუ იმ კონკრეტული გამონათქვამის სოციალური კონტექსტი, მოსაუბრის სოციალური მდგომარეობა, მისი დაბადების ადგილი, ასაკი...

6.6. ე. სეპირი დიალექტს განიხილავს, როგორც ენის ცვლილებებისაკენ მიზანსწაფვის შედეგს. არ არსებობს ორი ადამიანი, რომელთა მეტყველება რაიმე ნიშნით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ინდივიდის მეტყველება არ ქმნის დამოუკიდებელ დიალექტს. არსებითი სხვაობაა იმ ნაირსახეობებს შორის, რომელთაც ქმნის ცალკეულ (#117) ინდივიდთა მეტყველება, ერთი მხრივ, და დიალექტური ნორმა, მეორე მხრივ. მართალია, ერთი დიალექტის მქონებელ პიროვნებათა მეტყველება ხასიათდება გარკვეული ნაირსახეობებით, მაგრამ იმავდროულად მათთვის ნიშანდობლივია ის საერთოც, რომელიც თავს იჩენს მათ წარმოთქმასა და ლექსიკაში და რომელიც შეპირობებულია დიალექტური ნორმის შემზღუდავი (მარეგულირებელი) მოქმედებით. დიალექტური ნორმის ფარგლებშია მოქცეული მეტყველების ინდივიდუალური გრადაციები, ხოლო ის ყველაფერი, რაც შესაძლოა გასცილდეს ამ ფარგლებს, ჩვეულებრივ, „კორექტირდება“ ან, საერთოდ, ნიველირდება დიალექტური სამეტყველო ჩვევით.

ე. სეპირის აზრით, არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ ტერიტორიული ან სოციალური დაცილება იწვევს მეტყველების განსხვავებული ფორმების წარმოქმნას, რომლებიც დროთა განმავლობაში იმდენად გათავისდებიან, რომ თანდათანობით დამოუკიდებელ დიალექტებად ყალიბდებიან. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს. ესაა, ასე ვთქვათ, ენის სივრცობრივი გავრცელების შედეგი. მაგრამ ენა არსებობს არა მხოლოდ სივრცეში, არამედ იგი ფუნქციონირებს, მოძრაობს („მიზანისწრაფვის“) დროშიც და სწორედ ამ მოძრაობის, ამ სტიქიური მიზანსწრაფვის გამო ენა ივითარებს ახალ-ახალ ნიშან-თვისებებს, ეს კი იწვევს ენის თანდათანობით

დაცილებას მისი თავდაპირველი იერსახისაგან და არსებითად წარმოქმნის ახალ ენას.

ფრიად საეჭვოა, რომ რომელიმე ენას შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი პირვანდელი სახე ისე, რომ არ დანაწევრებულიყო ცალკეულ დიალექტებად. ენის დიალექტური დანაწევრება განუწყვეტელი პროცესია. მაშინაც კი, როცა ძველი დიალექტები ურთიერთზემოქმედებისა ან ერთ-ერთი მათგანის გავრცელებისა და სხვათა გამოდევნის შედეგად ერთმანეთს უახლოვდებიან, ჩვეულებრივ, წარმოქმნას იწყებს დიალექტების ახალი ნაკადი („დიალექტების ახალი თაობა“), ესე იგი. იქმნება დიალექტთა ნიველირების პროცესის სრულიად საპირისპირო ვითარება. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ბერძნული ენა. ადრე ბერძნულს ჰქონდა მრავალი დიალექტი, რომლებიც შემდგომ დაჩრდილა ატიკურმა დიალექტმა. ატიკურის საფუძველზე ელინისტურ პერიოდში წარმოიქმნა კოინე (სრულიად საბერძნეთის სტანდარტული მეტყველება). მაგრამ ეს ენობრივი ერთგვაროვნება დიდხანს არ გაგრძელებულა: კოინე თანდათანობით დანაწევრდა ახალ დიალექტებად და ახლა საბერძნეთში ისეთივე ჭრელი სურათია დიალექტურ ნაირსახეობათა თვალსაზრისით, როგორიც ჰომეროსის დროს, თუმცა თანამედროვე ბერძნული დიალექტები სრულიადაც არ არიან ძველი დიალექტების უშუალო მემკვიდრენი.

(#118)

ენები შესაძლოა განვითარდეს სავსებით განსხვავებული მიმართულებით როგორც ფონეტიკის, ასევე მორფოლოგიისა და ლექსიკის თვალსაზრისით. როგორც კი დაირღვევა თავდაპირველი ერთობა, „ენები იფანტებიან სხვადასხვა მხარეს“. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ადგილობრივ (კუთხურ) ნაირსახეობებად დანაწევრებული ენა ზედმიწევნით ერთგვაროვნად განვითარდება: ერთი ენის დიალექტების განვითარების გზები უმეტეს წილ არ თანხვდება ერთმანეთს; იგულისხმება განვითარების სავსებით ერთგვაროვანი გზები. იმავდროულად საწყისი ძალა ენობრივი განვითარებისა იმდენად ძლიერია, რომ დიდი ხნის წინათ ერთმანეთს დაცილებული ენებიც კი ავლენენ განვითარების მსგავს ტენდენციებს. არსებითად ეს უნდა გავიგოთ, როგორც ენის შინაგანი პოტენციის ერთგვაროვანი გამოვლინება მის სხვადასხვა განშტოებაში.

დროთა განმავლობაში დიალექტი თვით იწყებს დანაწევრებას ქვედიალექტებად, რომლებიც თანდათანობით დამოუკიდებელი დიალექტების

იერსახეს იღებს მაშინ, როცა თავდაპირველი დიალექტები უკვე თავისთავადი ენების სტატუსს იძენენ. პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ მხოლოდ ენათმეცნიერისათვის არ ხდება ხელმისაწვდომი იმის დასაბუთება, რომ ეს ენები გენეტურად მონათესავე არიან. ასეთია, მაგალითად, თანამედროვე ირლანდიური, ინგლისური, იტალიური, ბერძნული, რუსული, სომხური, სპარსული და ბენგალური ენები, რომლებიც შედეგია განვითარების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმართულებებისა, თუმცა საწყისი წერტილი ყველა მათგანს საერთო აქვს.

რა თქმა უნდა, თავის მხრივ არ გამოირიცხება ისიც, რომ ოდესღაც ეს საწყისი ენაც რომელიღაც სხვა ენის დიალექტს წარმოადგენდა.

ამის გამო „დიალექტი“, „ენა“, „ენობრივი განშტოება“, „ენობრივი ოჯახი“ ფარდობით ტერმინებს წარმოადგენენ.

6.7. დიალექტების ინტენსიურმა შესწავლამ, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო, ცხადყო, რომ დიალექტები სრულიადაც არ წარმოადგენენ სტანდარტული სალიტერატურო ენის არასრულყოფილ ან დამახინჯებულ ვარიანტებს. გრამატიკული სტრუქტურის, წარმოთქმისა და ლექსიკის თვალსაზრისით დიალექტები ისევე მკაცრი სისტემურობით ხასიათდებიან და მათი გავრცელების ფარგლებში ისევე გამოსადეგნი არიან ურთიერთობისათვის, როგორც სალიტერატურო ენა. სხვაობა ახლომონათესავე ენებსა და დიალექტებს შორის უპირატესად პოლიტიკური და კულტურული რიგისაა, ვინემ საკუთრივ ენობრივისა. წმინდა ენობრივი თვალსაზრისით საყოველთაოდ აღიარებული სალიტერატურო ენები (ლათინური, ინგლისური, ფრანგული...) (#119) მხოლოდ „დიალექტებია“, რომლებმაც ისტორიული ვითარების გამო გარკვეულ პერიოდში მოიპოვეს განსაკუთრებული პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა. ასე რომ, ენობრივად სრულიად შემთხვევითია ის ფაქტი, რომ სწორედ რომისა და მისი გარეუბნების დიალექტს ხვდა წილად რომის იმპერიის გაძლიერებასთან ერთად განევრცო თავისი გავლენის სფერო და ქცეულიყო იმად, რაც იწოდება ლათინურ ენად. თვით ამ ენის სტრუქტურაში კი არაფერია ისეთი, რაც განაპირობებდა მის უპირატესობას სხვა დიალექტებთან შედარებით (ჯ. ლაიონზი).

ამ მსჯელობაში არსებითი და იმავდროულად პოზიტიური ჩანს ის, რომ ენებად და დიალექტებად დიფერენციაციის პროცესში მართლაც მონაწილეობენ პოლიტიკური და კულტურული მომენტები. ერთი ენის დიალექტები ზოგჯერ

უფროა ერთმანეთს დაცილებული, ვინემ ის, რაც დამოუკიდებელ მონათესავე ენებად იწოდება. ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ენის სტატუსი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური და კულტურული მომენტებითაა შეპირობებული მაშინ, როცა წმინდა ენობრივი თვალსაზრისით დიალექტთან გვაქვს საქმე. შესაძლოა დიალექტად განისაზღვროს ზოგი კილოკავიც ისტორიული ან ეთნოგრაფიული პირობების გამო (ასეთია, მაგალითად ლეჩხუმური დიალექტი, რომელიც ტიპობრივად ქვემოიმერულის ნაირსახეობას წარმოადგენს).

6.8. რუსული ენის შესახებ არსებულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დიალექტური მეტყველების ანალიზი იმთავითვე საგანგებო ყურადღებას იმსახურებდა. ამის მიზეზია ის, რომ რუსული კლასიკური მხატვრული ლიტერატურა უხვად საზრდოობდა დიალექტიზმებით. რუსული ენის დიალექტებში უწინარეს ყოვლისა ეძებენ სალიტერატურო ენის შევსებისა და დახვეწის, მისი თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დემოკრატიზაციის გზებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია თუნდაც ვ. დალის დამოკიდებულება ცოცხალი მეტყველების ლექსიკისადმი. უფრო მეტიც: ა. შახმატოვი წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც უფრო არსებითი ღირებულების მქონედ თვლიდა დიალექტური მოვლენების გათვალისწინებას სალიტერატურო ენის მონაცემებთან შედარებით: „წერილობითი ძეგლები ყოველთვის ვერ იძლევიან საიმედო მასალას გარდასული ეპოქების ენის ბგერითი შედგენილობის განსასაზღვრავად... ძირითადი წყარო, საიდანაც ხდება ყველაზე უფრო საიმედო და მნიშვნელოვანი მასალის მოპოვება ისტორიული გრამატიკებისათვის, რა თქმა უნდა, არის თანამედროვე ცოცხალი კილოები“.

საცნაურია ის თეორიული პრინციპებიც, რომლებიც რუსული ენის დიალექტების შესწავლას უდევს საფუძვლად. შევეხებით ერთ-ერთ (#120) მათგანს, რომელიც გამოირჩევა გარკვეული ორიგინალობითა და თვალსაზრისის თანამიმდევრულობით. ვგულისხობთ რ. ავანესოვის მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს.

6.9. რ. ავანესოვის განსაზღვრით, რუსული დიალექტოლოგია წარმოიშვა როგორც ეთნოგრაფიის თანმხლები დარგი და მხოლოდ შემდგომ, მოგვიანებით ჩამოყალიბდა საკუთრივ ენათმეცნიერულ დისციპლინად, დიალექტის — როგორც ერთიანი სისტემის, რუსული დიალექტური მეტყველების სტრუქტურის

თანამიმდევრული შესწავლა, რუსული ენის დიალექტური ატლასის შესადგენად თეორიული წინამძღვრების დამუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება არსებითად XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება, თუმცა უეჭველია ისიც, რომ ადრეული ხანის რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში უთუოდ მოგვეპოვება ფრიად ფასეული დაკვირვებანი და განზოგადოებანი ამ თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იმიჯნება საერთო-ეროვნული და სალიტერატურო ენები. შესაბამისად გამიჯნულია საერთო-ეროვნული და სალიტერატურო ენების ისტორია და მათი ფუნქციონირების სფეროები თანამედროვე ეპოქაში. პირველი მათგანი (საერთო-ქართული ენა) განიხილება როგორც რთული და ნაირსახოვანი მოვლენა. განირჩევა მისი ორი ძირითადი, ერთმანეთის მიმართ პოლარული ნაირსახეობა: ა) სალიტერატურო ენა, რომელიც მოიცავს მეტყველების წერილობით და ზეპირ ფორმებს და რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალგვარი ფუნქციურ-სტილისტური განშტოებანი; ბ) დიალექტური ენა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მეტყველების ნაირსახეობათა, ვარიაციათა ტერიტორიული განაწილება. ასე რომ, საერთო-ეროვნული ენა მოიცავს სალიტერატურო ენას (შდრ. განმარტება, რომლის თანახმადაც, სალიტერატურო ენა არის საერთო-ეროვნული ენის დახვეწილი და ნორმირებული სახეობა).

სალიტერატურო და დიალექტურ ენებს შორის მთელი რიგი განსხვავებანია, ზოგი — არსებითი მნიშვნელობისა.

ა) განსხვავებულია დამოკიდებულება ტერიტორიული ფაქტორისადმი: დიალექტის გავრცელება შემოისაზღვრება გარკვეული ტერიტორიით, იგი არსებობს მხოლოდ ტერიტორიული ნაირსახეობით. მისგან განსხვავებით, სალიტერატურო ენა არასდროს შემოიფარგლება ამა თუ იმ ტერიტორიით, იგი საერთოა ამა თუ იმ ეროვნული ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე („ზეტერიტორიულია“).

ბ) განსხვავებულია დამოკიდებულება წერილობითი ენისადმი; სალიტერატურო ენას აქვს ორი ნაირსახეობა (გამოყენების ორი ფორ(#121)მა) — წერილობითი და ზეპირი, რომელთაც რთული ურთიერთობა ახასიათებს. ამის საპირისპიროდ, დიალექტს მოეპოვება მხოლოდ ზეპირი ფორმა (წერილობით ხდება მარტოოდენ ფიქსირება ამ მეტყველებისა, ისიც მხატვრული კოლორიტის დასაცავად ანდა წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით).

გ) არსებითად განსხვავებულია სალიტერატურო და დიალექტური ენების ფუნქციური დატვირთვაც. სალიტერატურო ენა არის საერთო გამოყენება ენობრივი ურთიერთობის ყველა სფეროში და ყველა დონეზე. ესაა ეროვნული კულტურის ენა, რომელიც ემსახურება ეროვნულ მეცნიერებას, მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკას, განათლებას, აგრეთვე პოლიტიკის, მომსახურეობის და, საერთოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სხვა სფეროს. მისგან განსხვავებით, დიალექტური მეტყველების გავრცელება შემოიფარგლება გარკვეული ტერიტორიით, პროფესიული ან სოციალური ჯგუფით. ასე რომ, იგი ვიწროდ ლოკალურია. ყველა სხვა შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, დიალექტური მეტყველების გამოყენება განისაზღვრება გარკვეული სპეციფიკური მიზნით: ადგილობრივი კოლორიტის შექმნა (მხატვრულ თხზულებაში), ენათმეცნიერული ანალიზი დიალექტური მოვლენებისა და მისთ.

დ) განსხვავებულია დამოკიდებულება ენობრივი გამოხატვის მონოლოგური და დიალოგური ფორმებისადმი. სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივია როგორც მონოლოგის, ასევე დიალოგის შეუზღუდავი გამოყენება. დიალექტური მეტყველებისათვის განმსაზღვრელია დიალოგური ფორმა, მას ნაკლებ ახასიათებს მონოლოგის გამოყენება — თუ გამოიყენება, ისიც შეზღუდულად ზღაპრებში, სიმღერებში... (რუსული დიალექტოლოგია).

მკვლევარს უშუალოდ ეძლევა ცალკეული პიროვნების დიალექტური მეტყველება. ცალკეულ პიროვნებათა მეტყველების შესწავლის საფუძველზე იგი ახდენს ამა თუ იმ კერძო ენობრივი სისტემის (დიალექტის, კილოკავის, თქმის...) მოდელირებას.

აქ ალბათ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ამგვარი მოდელირების დროს დიალექტოლოგი ვალდებულია ზედმიწევნით გაუწიოს ანგარიში ამა თუ იმ დიალექტური მეტყველების შინაგან კანონზომიერებს და, ამდენად, უფლებამოსილია კრიტიკულად შეაფასოს ყოველივე ის, რაც ცალკეული პიროვნების ინდივიდუალურ ინოვაციად მოჩანს (სულ ერთია, ეს ინოვაცია წმინდად პიროვნულია, თუ სხვა დიალექტისა თუ სალიტერატურო ენის ზეგავლენითაა წარმოქმნილი). რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარი შეფასება უნდა მიეცეს იმ სახის ინოვაციებს, რომელ(#122)თა წარმოქმნა თვით დიალექტის შინაგანი შესაძლებლობით (პოტენციით) არის შეპირობებული.

გამოყოფილია დიალექტური ნაირსახეობების რამდენიმე ტიპი. საინტერესოა თვით პრინციპი ამგვარი გამოყოფისა: შესაპირისპირებელი დიალექტური მონაცემები იდენტური არიან ერთი რომელიმე მიმართების თვალსაზრისით და იმავდროულად — განსხვავებული სხვა მიმართების მიხედვით. სწორედ საერთოობა ქმნის შესაძლებლობას მათი შეპირისპირებისათვის, სხვაობა კი საფუძველს უქმნის დიალექტურ ნაირსახეობას. რა თქმა უნდა, ძირითადი პირობაა ისიც, რომ შესაპირისპირებელი ფორმები ურთიერთს გამორიცხავენ ერთსა და იმავე სისტემაში (უფრო ზუსტად: ერთსა და იმავე ტერიტორიაზე).

დიალექტური ნაირსახეობების ტიპები: ა) ერთი მნიშვნელობის გამოსახატავად გამოიყენება სხვადასხვა ფორმა (ბია — კომში); ბ) ერთი და იგივე სიტყვა განსხვავდება წარმოთქმით (აგრე — ჰაგრ — ჲაგრ); გ) ერთი და იმავე ბგერადობის სიტყვით გამოიხატება სხვადასხვა მნიშვნელობა (კრიახ-ი — გურულად: ქათმის კაკანი; ფშაურად, ქართლურად: ქვიანი, ხრიოკი); დ) ერთი და იგივე მორფოლოგიური მნიშვნელობა გამოიხატება განსხვავებული წარმოებით (ა-ქვ-თ — ა-ქვ-ენ — ა-ქვ-ს-ყე) და ა.შ.

იმავდროულად მოხდება ისეც, რომ ერთსა და იმავე დიალექტში თავს იჩენს პარალელური ფორმები. ამ ფაქტს ორგვარი შეფასება აქვს: გენეტური (რაც უტოლდება დიაქრონიულს) და სინქრონიული. გენეტურად ზემოხსენებული მოვლენა აისახება სალიტერატურო ენის ზემოქმედებით დიალექტზე ანდა ორი დიალექტის ურთიერთზეგავლენით. სინქრონიულად კი გვაქვს ან თავისუფალი პარალელიზმი, ანდა სტილისტური გამიჯვნის ტენდენცია. შეგვეძლო დაგვემატებინა — სემანტიკური განსხვავების შესაძლებლობაც: ასე განირჩა, მაგალითად, ქართულ დიალექტებში „მაგიდა“ და „ტაბლა“.

დიალექტური სხვაობა განიმარტება როგორც წმინდა სტრუქტურული მოვლენა: ენის სტრუქტურის შემადგენელი ელემენტი ცალკეულ დიალექტურ მიკროსისტემებში გვევლინება ამა თუ იმ ნაირსახეობებით, რა თქმა უნდა, ეს ნაირსახეობანი გავრცელებულია სხვადასხვა ტერიტორიაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია განვიხილოთ ისინი, როგორც სტრუქტურული მოვლენა.

დიალექტოლოგიაში (კერძოდ კი, ლინგვისტურ გეოგრაფიაში) ტერიტორია წარმოადგენს ძირითად (ფუძემდებლურ) ფაქტორს. ამიტომაც დიალექტური ნაირსახეობანი ყოველთვის პროეცირებული უნდა იქნას გარკვეულ ტერიტორიაზე.

ამ გზით ჩვენ მივდივართ იზოგლოსის (#123) ცნებამდე: იზოგლოსა არის გარკვეულ ტერიტორიაზე (გეოგრაფიულ რუკაზე) დიალექტური სახესხვაობების პროეცირების შედეგი. იზოგლოსების საშუალებით დგინდება ცალკეული მოვლენების ტერიტორიული გავრცელების საზღვრები, ამ მოვლენათა ტერიტორიული ურთიერთმიმართება, მაგრამ ხშირად შეუძლებელი ხდება ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენების გამოსახვა უწყვეტი ხაზით (იზოგლოსით): ისინი არცთუ იშვიათად კუნძულაკების სახით არიან წარმოდგენილი თავისი ძირითადი გავრცელების ფარგლებს გარეთ ანდა ახასიათებთ ურთიერთშეღწევადობა, რაც ქმნის საფუძველს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ვარიანტების გავრცელებისათვის.

იზოგლოსების კონფიგურაციები (ანუ: მათი განლაგება ურთიერთმიმართ რუკაზე) საკმაოდ მრავალნაირია. ერთ შემთხვევაში მათ გავრცელების საზღვრები მეტ-ნაკლებად მკაფიოა, სხვა შემთხვევაში ამ თვალსაზრისით სიჭრელე შეინიშნება — საზღვრები ბუნდოვანია, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თანაარსებობს ან ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა დიალექტური ვარიანტი. ამიტომაც იზოგლოსა დიალექტურ რუკაზე ხშირად გამოისახება არა ხაზის, არამედ პირობითი ნიშნების სახით, ზოგჯერ კი აღსანიშნი დიალექტური ფორმა პირდაპირ ჩაიწერება ხოლმე შესაბამის დასახლებულ პუნქტებთან.

თითოეული იზოგლოსა აღნიშნავს ერთი და იმავე ენობრივი მოვლენის გავრცელებას სხვადასხვა ტერიტორიაზე. სხვადასხვა ენობრივი მოვლენების აღმნიშვნელი იზოგლოსები (თუკი ისინი ერთ რუკაზე არიან წარმოდგენილი) ხშირად გადაკვეთენ ხოლმე ერთმანეთს რომელიმე ერთი ტერიტორიის ფარგლებში, რის საფუძველზეც გამოიყოფა ხან ორი (ან რამდენიმე) ტერიტორიული მასივი, ხან კი, პირიქით, დანაწევრებული ტერიტორიების დიდი რაოდენობა. იმავდროულად იზოგლოსების ცალკეული ჯგუფები მთლიანად არ თანხვდებიან (არ გადაიკვეთებიან) ხოლმე და მხოლოდ უახლოვდებიან ერთმანეთს, რის საფუძველზეც წარმოიქმნება იზოგლოსების თავისებური „კონები“. ჩვეულებრივ, ესაა ტერიტორიები, რომლებიც ისწრაფვოდნენ ან ისწრაფვიან გარკვეული კულტურულ-ეკონომიკური ცენტრებისაკენ. იზოგლოსების ასეთი კონების საფუძველზე გამოიყოფა ამა თუ იმ ენის დიალექტები, ხდება მათი დაჯგუფება (რუსული დიალექტოლოგია).

დიალექტების წარმოქმნა-ჩამოყალიბება ხდება წინაფეოდალური და ფეოდალური ფორმაციების პირობებში. უკვე კაპიტალისტური წყობის დროს დიალექტები წარმოადგენენ გადმონაშთებს — აღარ არსებობს მათი გამომწვევი პირობები. პირიქით, თავს იჩენს მათი ნიველირების, სალიტერატურო ენასთან დაახლოების ტენდენცია, (#124) თუმცა ისინი ინერციით კიდევ კარგა ხანს ინარჩუნებენ თვითმყოფადობას.

ეს დეფინიცია ვერ ასახავს იმას, რაც სინამდვილეში ხდება გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციების დროს. დიალექტური დიფერენციაციისა ან ინტეგრაციის უშუალოდ გამოყვანა ამა თუ იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციიდან მცადრია. პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორი გარკვეულ როლს ასრულებს ამ პროცესში, მაგრამ ძირითადი განმსაზღვრელი არის უწინარეს ყოვლისა საკუთრივ ენობრივი ტენდენციები, ხოლო გარეენობრივ ფაქტორთაგან — ეროვნული და კულტურული მომენტები.

დიალექტი არის ენის ნაირსახეობა, რომელიც ურთიერთობის საშუალებად გამოიყენება ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მიერ. იგი ხასიათდება ენობრივი სისტემის გარკვეული მთლიანობით, უფრო ზუსტად — ნიშან-თვისებათა განსაზღვრული კომპლექსის მთლიანობით, დიალექტი ყოველთვის არის მთელის ნაწილი, ანუ: ყოველთვის ერთიანდება უფრო ვრცელ(ფართო) ენობრივ წარმონაქმნში და ამიტომაც ყოველთვის უპირისპირდება სხვა დიალექტს (ან დიალექტებს). ასე რომ, დიალექტური მეტყველება წარმოადგენს რთულ მრავალშრიან მთლიანობას, რომელიც მოიცავს როგორც საერთო, ასევე კერძო ნიშან-თვისებებს. ამიტომაც დიალექტური მეტყველების სტრუქტურაში უნდა განირჩეს საერთო, ზოგადი, სხვა დიალექტებთან გამაერთიანებელი და კერძო, სხვა დიალექტთაგან გამომყოფი მოვლენები. ზოგადი ნიშან-თვისებები დიალექტებს აერთიანებს ერთი ენის ფარგალში, კერძო ნიშან-თვისებების საფუძველზე კი ხდება დიალექტების ცალკე გამოყოფა და ურთიერთდაპირისპირება. როგორც წესი, დიალექტები გამოიყოფა არა ერთი ნიშან-თვისების, არამედ ნიშან-თვისებათა კომპლექსის საფუძველზე. დიალექტური დანაწევრების თანმხლებად ხშირად გვევლინება ნიშან-თვისებათა საერთოობა ან სხვაობა; კერძოდ, გარდა საკუთრივ ენობრივისა, საერთოობა ან სხვაობა ვიწრო-ეთნიკური ან ზოგად-ეროვნული თვითშეგნებისა, სულიერი ან მატერიალური კულტურის ელემენტებისა, ისტორიულ-ეთნიკური ტრაციდიებისა.

შენიშნულია, რომ დიალექტებისა გამოსაყოფად წმინდა სტრუქტურული ხასიათის კრიტერიუმები ხშირად არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე. ის ნიშან-თვისებანი, რომლებიც ერთ დიალექტს განარჩევენ მეორისაგან, ენის სტრუქტურისათვის სხვადასხვა ღირებულებისაა (უფრო მნიშვნელოვანი ან ნაკლებმნიშვნელოვანი). დიალექტების გამოსაყოფად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ გარეგნულ ფაქტორსაც, როგორიცაა სტრუქტურულ ნაირსახეობათა ტერიტორიული (#125) ერთობლიობა; ანუ: დიალექტების გამოყოფისას არსებითი მნიშვნელობის მქონეა ენობრივ მოვლენათა ტერიტორიული განაწილების ხასიათი, იზოგლოსების თავისებურებანი და მისთ.

ენის დიალექტოლოგიური შესწავლის დროს აუცილებელია სოციალური დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებაც. ამ უკანასკნელთა ძირითად გამომრჩევ ნიშან-თვისებად მიიჩნევა თავისებური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის მქონებლობა. არსებითად სოციალურ დიალექტებს განეკუთვნება ის ნაირსახეობანიც, რომლებიც ზოგჯერ ქალებისა და მამაკაცების მეტყველებაში შეინიშნება. დიალექტის შესწავლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მოსახლეობის მიგრაციის ფაქტებს, რადგან ამან შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიოს ამა თუ იმ დიალექტის ლინგვისტურ იერ-სახეზე.

დიალექტოლოგიური კვლევის შედეგებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ენის ისტორიის შესასწავლად.ამგვარი კვლევის შედეგებს იყენებს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია; არსებითად აქ ორმხრივი დამოკიდებულებაა: ენის დიალექტური მრავალსახოვნების სრულყოფილი შეცნობისათვის აუცილებელია ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება. ეს გარეენობრივი მონაცემები ხშირად გვეხმარება ზედმიწევნით ზუსტად განვმარტოთ წმინდა ენობრივი ფაქტები (რუსული დიალექტოლოგია).

6.10. საკუთრივ საოციალური დიალექტების რაობაზე საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილდა XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, რასაც გარკვეული ბიძგი მისცა ნ. მარის თეორიამ ენის კლასობრიობის შესახებ: „იაფეტური მოძღვრება ენის შესახებ, ზოგადი მოძღვრება, ორგანულად არის დაკავშირებული მატერიალური კულტურის ისტორიასთან, მაშასადამე, მეურნეობასა და ეკონომიკასთან. ასეთივე კავშირი აქვს მას საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიასთან, მაშასადამე, სოციოლოგიასთან, ამ სიტყვის როგორც ფართო, ისე ვიწრო

მნიშვნელობით...“ აქედან გამომდინარე, „იაფეტოდოლოგია უარყოფს არაკლასობრივ ენათა არსებობას. ყველა ენა, მათ შორის — ევროპისა და კავკასიის ეროვნული ენებიც, კვლავ ვიმეორებთ, კლასობრივია მასთან კლასობრივი არა უკანასკნელ რიგში, არამედ უწინარეს ყოვლისა. სომხეთსა და საქართველოში ეროვნული ენა აღმოჩნდა ორ-ორი თითოეულ ქვეყანაში, ორივე კლასობრივი, ერთი — ძველი სალიტერატურო ფეოდალური და მეორე — ე.წ. ხალხური... ქართული ფეოდალური ენა უფრო ახლოა სისტემით სომხურ ფეოდალურ ენასთან, ვინემ ყოველი მათგანი თავისი მშობლიური ქვეყნის ხალხურ ენასთან“ (ნ. მარი).

(#126)

ასე რომ, ნ. მარი არსებითად ერთმანეთს უპირისპირებს სალიტერატურო ენასა და ხალხურ (დიალექტურ) მეტყველებას როგორც ერთი ენის კლასობრივად (სოციალურად) დაპირისპირებულ ორ განშტოებას. ეს კი ნიშნავს, რომ მან შემოიტანა სოციალურობის ნიშანი ტერიტორიული (ეთნიკური) დიალექტების დახასიათებისას.

რა თქმა უნდა, ტერიტორიული (ეთნიკური) დიალექტების ამგვარი განსაზღვრა უმართებულოა: ეთნიკური დიალექტი თვით კი არ წარმოადგენს სოციალურ (კლასობრივ) მონაცემს, არამედ გარკვეული ნიშნებით უპირისპირდება საკუთრივ სოციალურ დიალექტს და იმავდროულად თანაარსებობს მასთან.

სოციალური დიალექტები განსაკუთრებით ხელშესახებად იჩენენ თავს ურბანიზაციის პირობებში: ქალაქის ენა არსებითად ყოველთვის დიფერენცირებულია სოციალურ ფენათა მეტყველების მიხედვით, რადგან სწორედ ქალაქური ცხოვრების პირობები უწყობს ხელს სხვადასხვა სოციალური ფენის განკერძოებას, ერთი ფენის სხვა ფენათაგან გამორჩევას, სხვასთან დაპირისპირების (სხვათაგან განსხვავებულობის) ტენდენციას. მეტ-ნკალებად ეს ყველაფრით ვლინდება: ყოფა-ცხოვრების სტილით, ქცევის მანერით, საზოგადოებრივი ურთიერთობის ტიპით და, მათ შორის, მეტყველებითაც. სოციალური ფენა უნდა გავიგოთ როგორც ფართო ცნება — იგი მოიცავს პროფესიულ და ასაკობრივ ჯგუფებსაც.

6.11. „სოციალური დიალექტები, რომლებიც წარმოიქმნა საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად, — აღნიშნავდა ვ. ჟირმუნსკი, — სრულიადაც არ არიან თანაბარუფლებიანი და მათი ურთიერთობა არ იფარგლება მექანიკური თანაარსებობით: ისინი დაკავშირებული არიან რთული

ურთიერთზემოქმედების, იერარქიული თანადაქვემდებარების საფუძველზე და იმავდროულად ურთიერთშორის ბრძოლითაც, რაც განპირობებულია ამა თუ იმ ეპოქისა და ქვეყნის სოციალური განვითარების ზოგადი მიმართულებით. ამ ურთიერთობისას ეროვნული ენა გვევლინება სოციალურ ნორმად, რომელიც გაბატონებულია ყველა სხვა სოციალურ დიალექტზე. რომელიმე საზოგადოებრივი კლასის ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებას შედეგად მოსდევს მისი გაბატონება იდეოლოგიურ სფეროშიც... გაბატონებული კლასის ასეთი კულტურული ჰეგემონია, თავის მხრივ, შეაპირობებს ენობრივ ჰეგემონიას“.

დიალექტების დახასიათებისას სოციალური ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა მათი ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლისათვის. ის, რომ გარეენობრივი (ამ შემთხვევაში — სოციალური) ფაქტორები არსებითად ზემოქმედებენ დიალექტურ დიფე(#127)რენციაციაზე, დავას არ უნდა იწვევდეს. მეტიც: აქ უშუალოდ ერევა პოლიტიკური ფაქტორიც: ბულგარული და სერბიული ენები უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს, ვინემ შავბური და ბავარიული დიალექტები, რომლებიც თითქმის სავსებით გამორიცხავენ ურთიერთგაგებინებას. კიდევ უფრო სხვაობენ ქვემოგერმანული და ზემოგერმანული დიალექტები: რაოდენობრივი თვალსაზრისით მათ შორის თითქმის ისეთივე სხვაობაა, როგორც გერმანულ და ინგლისურ ენებს შორის. მიუხედავად ამისა, ბულგარული და სერბიული დამოუკიდებელი ეროვნული ენებია, შვაბური და ბავარიული კი დარჩა გერმანული ენის დიალექტების დონეზე.

პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული — ამის ნიმუშებს მსოფლიოს ისტორია უხვად გვაწვდის. 1066 წელს ინგლისი ნორმანებმა დაიპყრეს. სამეფო კარის, საერო და სასულიერო ფეოდალური არისტოკრატიის ენად იქცა ძველი ფრანგული ენის ნორმანული დიალექტი. ქვედა სოციალური ფენები კი თავის მშობლიურ, გერმანიკული წარმოშობის ანგლო-საქსონურ ენაზე მეტყველებდნენ. ენები სოციალური თვალსაზრისით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სოციალურ-პოლიტიკურმა მომენტებმა განსაზღვრა ენობრივი პოზიცია, თვალსაზრისი. XIV საუკუნიდან ვითარება იცვლება. ბუჟუაზიის მომძლავრებასთან ერთად იწყება ინგლისის ეროვნული ენობრივი პოლიტიკის დამკვიდრების რთული პროცესი. ინგლისურ ენაში ანგლო-საქსონური და ძველი ფრანგული წარმომავლობის სიტყვები უმეტეს წილ სოციალური ნიშან-თვისების

მიხედვითაა განდასებული. ძველი ფრანგული ლექსიკა გამოიყენება ფეოდალური საზოგადოების სახელმწიფოებრივი ურთიერთობია, ადმინისტრაციის, ფეოდალური იერარქიისა და ტიტულატურის, საეკლესიო მსახურებისა და მორალის, ხელოვნების სფეროებში მაშინ, როცა სხვა სფეროებს უპირატესად ანგლო-საქსონური წარმომავლობის ლექსიკა ემსახურება.

ანალოგიური ვითარება იქმნებოდა გერმანელი რაინდების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, არაბეთს სახალიფოსა და ოსმანთა სახელმწიფოში.

პოლიტიკური წყობის რევოლუციური გადახალისება უშუალო ზეგავლენას ახდენს სოციალურ დიალექტებზე, მაგრამ გავლენა, როგორც წესი, მოიცავს ენის მხოლოდ ზოგიერთ სფეროს (ლექსიკას, ფრაზეოლოგიას). ბურჟუაზიული რევოლუციების (ინგლისისა XVII საუკუნეში, საფრანგეთისა XVIII საუკუნეში) მაგალითები ადასტურებენ, რომ ხდება არა იმდენად სოციალური დიალექტების შენაცვლება, არამედ (#128) უპირატესაც ენის იდეოლოგიური გადახალისება, ენობრივი სტანდარტების გადაფასება, სამეტყველო სტილის ცვლა. მართალია, საფრანგეთის რევოლუციამ დააკანონა ოი დიფთონგის ახლებური წარმოთქმა, ასევე — პარიზის ბურჟუაზიის ფართო მასების წარმოთქმის შესაბამისად — უა ნაცვლად წარმოთქმისა უე, მაგრამ ამ რიგის მოვლენები არსებითად ზღვაში წვეთია იმ ცვლილებებთან შედარებით, რომლებმაც ახალ ლექსიკაში იჩინა თავი.

სოციალური დიალექტების სფეროში შემოდის პროფესიული დიალექტები, ჟარგონი და არგო, რომლებიც ასევე ძირითადად ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით სხვაობენ. მაგალითად, რუსულში დურგლები განარჩევენ შალაშინის თერთმეტ სახეობას მაშინ, როცა ყველა სხვა პროფესიის წარმომადგენლისათვის „შალაშინი“ არ სხვაობს რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით.

ზოგჯერ პროფესიული დიალექტები ერთმანეთისაგან განსხვავდება ტერიტორიული განაწილების მიხედვითაც. ეს კი ნიშნავს, რომ ტერიტორიულ, სოციალურ და პროფესიულ დიალექტებს რთული ურთიერთმიმართება ახასიათებს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ, ცალსახად ვერ გადაწყდება მათი განაწილების საკითხი.

ჟარგონი და არგო „საიდუმლო ენის“ ნიმუშებს წარმოადგენს. ორივე გარკვეულად მოგვაგონებს ტაბუირების პრინციპს. მათ განასხვავებს მიზანი (გაუგებარი იყოს სხვებისათვის) და, აქედან გამომდინარე, სახელდების პრინციპი.

6.12. ჯერ კიდევ ლ. ბლუმფილდი აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერიტორიული დიალექტები სუსტადაა წარმოდგენილი, ამის გამო აქ უფრო აქტუალური აღმოჩნდა სოციალური და პროფესიული დიალექტების პრობლემა, რამაც წარმოშვა მთელი მიმდინარეობა სოციოლინგვისტიკის სახით.

სოციოლინგვისტიკის საფუძველდამდები დებულებაა: ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა; კვლევის პრინციპი — ენა შესწავლილი უნდა იქნეს სოციოლოგიური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ იმის განსაზღვრას, თუ როგორი სახითაა წარმოდგენილი მეტყველება სხვადასხვა სოციალურ ფენაში („სოციალური კონტექსტში“), არამედ იმის გარკვევასაც, თუ როგორ ვლინდება კერძო პიროვნების მეტყველებაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორ ახდენენ ზეგავლენას სოციალური ფაქტორები ენის განვითარებასა და მის ფუნქციონირებაზე. კვლევის ობიექტებია სოციალური დიალექტი და იდიოლექტი.

სოციოლინგვისტურ კვლევაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა ამერიკულმა ანთროპოლოგიურმა ენათმეცნიერებამ (ეთნოლინგვისტი(#129)კამ), რომლისთვისაც ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა პრობლემებს ენისა და კულტურის, ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების შესახებ.

ასე რომ, სოციოლინგვისტიკის წინაშე დგას ფრიად ფართო პრობლემატიკა: როგორ ხდება კულტურის სისტემების ასახვა ენაში, სოციოლინგვისტიკა ჯეროვან ყურადღებას აქცევს დიგლოსიის ანუ ბილინგვიზმის (ორენოვნობის) საკითხსაც.

არსებითად სოციოლინგვისტიკა ქმნის ენის ახალ თეორიას, სადაც ცენტრალური ადგილი უჭირავს პრობლემას ენისა და ამ ენის მფლობელი პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ამერიკული დეკსრიფციული ენათმეცნიერების პრინციპების საპირისპიროდ ენის შესწავლის პროცესში აქტიურად აღმოჩნდა ჩართული პიროვნებაც (მფლობელი ენისა), შესწავლის საგანი გახდა მისი დამოკიდებულება ენისადმი, საზოგადოებრივი მოქცევა მისივე მეტყველების საშუალებით.

აქედან გამომდინარე, სოციოლინგვისტიკა ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია სოციოლოგიისა — საზოგადოებათმცოდნეობისა.

ასეთი კვლევის საბოლოო მიზანია მეცნიერულად დასაბუთებული ენობრივი პოლიტიკის გამომუშავება. ეს პრობლემა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში

დგას. ამიტომაცაა, რომ სოციოლინგვისტურმა პრობლემატიკამ საკმაოდ ცხოველი გამოძახილი პოვა თანამედროვე მეცნიერებაში.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სოციოლინგვისტური კვლევა სცილდება საკუთრივ დიალექტოლოგიის, კერძოდ — სოციალური დიალექტოლოგიის ფარგლებს და აქტიურად ჩაერთვის ენათმეცნიერების სხვა სფეროებშიც.

6.13. ჯერ კიდევ ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკების ავტორები ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ ქართული კილოკავების თავისებურებებს. ნიშანდობლივია ამ მხრივ მ. ჯანაშვილის თვალსაზრისი: „კილოკავებში, ვით ხელუხლებელ სალაროში, შენახულა მრავალი, ძველისძველადგანვე ქართველებისაგან შეძენლი სიტყვიერი საუნჯე, რომელიც საჭიროა გამომზევდეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-საეროვნო ენას“.

ამ დონეზევე ივარაუდება მეგრულ-ჭანური და სვანური ენების მონაცემთა გათვალისწინება საერთო-ქართულ ეროვნულ ენაში.

ქართული დიალექტების შესახებ ჯერ კიდევ XVII – XVIII საუკუნეებიდან იპოვება ცნობები როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეც(#130)ნიერთა თხზულებებში, თუმცა რაიმე თეორიული განზოგადოება აქ, რა თქმა უნდა, არ გვხვდება.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ იმ საენათმეცნიერო თეორიებსა თუ ცალკეულ მეთოდოლოგიურ თვალსაზრისებზე, რომლებიც ქართული დიალექტების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იქნა შემუშავებული.

6.14. ქართული დიალექტების მეცნიერული ღირებულება და დიალექტური მასალის შეკრების მეთოდიკური საფუძვლები პირველად ჩამოყალიბდა ა. შანიძის მიერ შედგენილ პროგრამაში, რომელიც ი. ყიფშიძის თანაავტორობით (ნ. მარის რედაქტორობით) გამოქვეყნდა 1916 წელს პეტროგრადში: „პროგრამა ქართული ენის დიალექტური მასალების შესაკრებად“ (დაიბეჭდა პარალელურად ორ ენაზე — რუსულად და ქართულად, ავტორების აღუნიშვნელად). აქ მეთოდური მითითების სახით არის მოცემული დიალექტური მასალის შეკრების ის პრინციპები, რომლებსაც ა. შანიძე პრაქტიკულად იყენებდა 1911 და 1913 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების შესწავლის დროს. პროგრამაში აღნიშნულია, რომ, მართალია, ქართული ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყეს, მაგრამ ამ საქმიანობას არსებითად მხოლოდ ლიტერატურული და ეთნოგრაფიული დანიშნულება ჰქონდა და არა საკუთრივ

ენათმეცნიერული, რის გამოც დიალექტური მეტყველების შესასწავლად ეს მასალა სანდო არ არის. იქვეა ჩამოყალიბებული დიალექტური მასალის შეკრების ძირითადი პრინციპი: „ყველა ფორმა უნდა ჩავიწეროთ ისე, როგორც რეალურად არსებობს, ყურადღება უნდა მიექცეს შესაკრები მასალის არა იმდენად რაოდენობას, რამდენადაც ხარისხს“.

მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ ზმნებში“ ა. შანიძე საგანგებოდ ეხება პირის ნიშნების გამოყენების შემთხვევებს ქართული ენის დიალექტებში, რასაც პრეამბულის სახით წამძღვარებული აქვს ზოგადი ხასიათის დებულება: „ცოცხალი კილო, ცალკე აღებული, რომელიც უნდა იყოს, უფრო მარტივია და ერთფეროვანი, ვიდრე მწიგნობრული ენა, ენა ხელოვნურად შექმნილი მრავალ კილოთა თანამშრომლობით. რა თქმა უნდა, ყოველი დიალექტური კუთხე მოსაზღვრე კილოების გავლენას განიცდის, მაგრამ დანალექის გამოყოფა ძირითადიდან უფრო ადვილია კილოში, ვიდრე სამწერლო ენაში. კილოს თავისი ცხოვრება და საკუთარი გზა აქვს განვითარებისათვის. მემკვიდრეობით მიღებულ საენო მასალებსაცა და თავის წიაღში აღმოცენებულ-განვითარებულსა თუ აგრეთვე სხვებისაგან ნასესხებ ფორმებს იგი თავისი ნორმების (#131) მიხედვით აყალიბებს და ამიტომ მას შედარებით მეტი სიმარტივე და მთლიანობა ატყვია, ვიდრე მრავალ-ფეროვან სალიტერატურო ენას“.

უფრო ადრე სტატიაში „ქართული კილოები მთაში“ ა. შანიძემ ქართული ენათმეცნიერებას მიზნად დაუსახა ორი პრობლემის გადაწყვეტა: „აუცილებლად საჭიროა ქართულის ცოდნა ისტორიულად და გეოგრაფიულად, სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა წიგნების ფურცლებზე უკეთ გაქვავებული ენის შესწავლა და მასთან ერთად ცოცხალი, მოძრავი ენის (ე.ი. კილოების) გამოკვლევა. ეს ორი პროცესი ხელიხელჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდეს... მკვლევარს არაფერი არ ეთქმის მასალების უქონლობაზე ორსავე დარგში, ე.ი. ქართულის შესასწავლად დროსა და სივრცეში, ისტორიულ გრამატიკასა და დიალექტოლოგიაში“, რადგან ქართული ენა წერილობითი ძეგლებითაც მდიდარია და ცოცხალი კილოებითაც.

6.15. „ცოცხალი მეტყველება იცვლება დროში... ცოცხალი მეტყველება სხვაობს სივრცეშიც, — აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა, — ეს სხვაობა ინდივიდუალური თავისებურებებით იწყება და დიალექტური ერთეულით („თქმა“, „კილოკავი“, „კილო“...) თავდება. დიალექტები ცოცხალი ენის არსებობის ბუნებრივ სახედ

გვევლინება... ცვლილებები დროში — ესაა ისტორიული ცვლილებები; ცვლილებები, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში შეინიშნება და უკავშირდება გარკვეულ ტერიტორიაზე ენის გავრცელებას, დიალექტური ცვლილებებია. ისტორიული ცვლილებები და დიალექტური თავისებურებანი შინაგანად უკავშირდებიან ერთმანეთა: ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი წარმოადგენენ შედეგს ისტორიული განვითარებისა, რომელიც სხვადასხვა პირობებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა“.

გამოიყოფა ტერიტორიული და სოციალური დიალექტები.

ტერიტორიული დიალექტი განიმარტება როგორც კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობა. თავისებურებანი მრავალგვარია: „ერთ დიალექტის გარკვეული სიტყვები არ შეგვხვდება მეორე დიალექტში, ან სხვადასხვა დიალექტში შეიძლება ერთი და იგივე სიტყვები იხმარებოდეს, მაგრამ ისინი სხვადასხვაგვარად წარმოითქმოდნენ, ანდა ერთგვარად წარმოითქმოდნენ, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეთ, ან არა-და ერთი და იგივე სიტყვები განსხვავებული იყოს როგორც წარმოთქმით, ისე მნიშვნელობით; გარდა ამისა, განსხვავება შეიძლება გამოვლინდეს გრამატიკულ ფორმებში (ბრუნების, უღვლილების ფორმებში, გრამატიკული სქესების გაფორმებაში, სიტყვათა შეთანხმებაში, სიტყვათა მართვაში და ასე შემდეგ), ბგერითს შემადგენლობაში, ბგერათცვლილებებში“.

(#132)

ტერიტორიული დიალექტი, როგორც წესი, სხვადასხვაობს შიგა რეგიონების მიხედვით, „ამისდაკვალად კილოში (დიალექტში) გამოიყოფა კილოკავები... კილოკავზე წვრილი ერთეულია თქმა... თქმაზე უფრო წვრილი ერთეულია ქცევა... ერთი სოფლის ფარგლებშიც არ გვექნება მეტყველების სრული ერთფეროვნება... ორი ადამიანიც კი შეუძლებელია სავსებით ერთნაირად ლაპარაკობდეს (სტილი და გამოთქმა მაინც ექნებათ განსხვავებული)“.

ტერიტორიული დიალექტი ენის ცვლილების, განვითარების შედეგად ყალიბდება; ამიტომაც „დიალექტები (დიალექტური სხვაობა) მხოლოდ ცოცხალ ენაში ჩნდება“.

დიალექტებს სწავლობს დიალექტოლოგია. „უნდა განვასხვავოთ კერძო დიალექტოლოგია (მაგალითად, ქართული დიალექტოლოგია, რუსული დიალექტოლოგია...) და დიალექტოლოგია ზოგადი ენათმეცნიერების

თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი განიხილავს დიალექტთა ზოგად, თეორიულ საკითხებს“.

სოციალურ დიალექტებში იგულისხმება „ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის, ამა თუ იმ აზოგადოებრივი ჯგუფის, გარკვეული პროფესიის, გარკვეული სპეციალობის პირთა მეტყველების თავისებურებანი“.

მეტყველების თავისებურებათა მქონებლობა არის ტერიტორიული და სოციალური დიალექტების საერთო ნიშანი (რის გამოც ისინი დიალექტებად იწოდებიან).

იმადვდოულად მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა:

ა) ტერიტორიული დიალექტები ერთმანეთისაგან გამიჯნულია გავრცელების ადგილის (ტერიტორიის) მიხედვით, სოციალური დიალექტები კი ტერიტორიულად გამიჯნული არ არის;

ბ) ტერიტორიული დიალექტი ემსახურება ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე მასებს, სოციალური დიალექტი კი — მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს;

გ) ტერიტორიული დიალექტის თავისებურებანი ვლინდება ძირითად ლექსიკურ ფონდშიც, გრამატიკულ წყობაშიც, ფრაზეოლოგიასა და ბგერით მოვლენებშიც. სოციალურ დიალექტთა თავისებურებანი კი ძირითადად გამოიხატება ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით;

დ) ტერიტორიული დიალექტი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ენა მინიატურაში. „ხელსაყრელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში ტერიტორიული დიალექტი შესაძლებელია გადაიქცეს დამოუკიდებელ ენად, სოციალური დიალექტი კი ისევე ვერ განვითარდება ახალ ენად, როგორც ესა თუ ის საზოგადოებრივი ფენა ვერ გადაიქცევა ცალკე ხალხად“.

(#133)

ჟარგონი უახლოვდება პროფესიულ დიალექტს, მაგრამ არსებითი განსხვავება ისაა, რომ პროფესიული ლექსიკა საგანგებოდ არ ითხზვება, ჟარგონი კი ხელოვნურად ასხვაფერებს სიტყვებს იმ მიზნით, რომ „ლაპარაკი გასაგები იყოს თავისი წრის პირებისათვის და გაუგებარი დარჩეს სხვებისათვის“.

ერთ-ერთ ძირითადი პრობლემა, რომელიც დგას დიალექტოლოგიის წინაშე, არის სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთობა. „სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, მაგრამ იგი სავსებით არაა

თანხვედრილი არც ერთ დიალექტთან... თვით შექმნის მომენტშიც კი სალიტერატურო ენა ერთგვარად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთავარი მასაზრდოებელი წყაროს, ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც. განსაკუთრებით ეს ეხება ლექსიკას. ლექსიკისაგან განსხვავებული ვითარება გვაქვს ფონეტიკისა და მორფოლოგია-სინტაქსის მხრივ: ამ დარგების დიალექტური ვარიანტები სალიტერატურო ენაში რომ შემოიჭრას, სალიტერატურო ენას კი არ გაამდიდრებს, არამედ ააჭრელებს და დააძაბუნებს“.

6.16. ქართული დიალექტების გაღრმავებულმა შესწავლამ დღის წესრიგში მრავალი ზოგადთეორიული პრობლემა დააყენა. ვ. თოფურიამ ეს პრობლემატიკა ასეთი სახით ჩამოაყალიბა: „დიალექტის წარმოშობა და განვითარება, გარდამავალი დიალექტის წარმოქმნა, დიალექტთა, ასევე: დიალექტთა და მეზობელ ენათა ურთიერთზემოქმედება და მისი შედეგები, ლიტერატურული ენის ფუზე-დიალექტი და ლიტერატურული ენის შემდგომ განვითარებაში სხვა დიალექტთა მონაწილეობა, ლიტერატურული ენისა და დიალექტთა ურთიერთგავლენა, ერთგვაროვან ფონეტიკურ და გრამატიკულ მოვლენათა წარმოშობა სინქრონულად ან არაერთდროულად და ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილას, სუბსტრატი დიალექტებში და სხვა“.

დიალექტების შესწავლა, თეორიულის გარდა, პრაქტიკულადაც უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონეა: „ძველი ქართული ენის მოვლენები და მათი ფუნქცია შეიძლება დიალექტთა მონაცემებით აიხსნას“, დიალექტური კვლევა-ძიება გვეხმარება მართებული განმარტება მივცეთ დიალექტების როლს სალიტერატურო ენის განვითარებისათვის, სწორად შევაფასოთ მხატვრულ ლიტერატურაში უხვად გაბნეული დიალექტიზმების რაობა და დანიშნულება.

დაისახა ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის ოთხი მიმართულება:

ა) ქართველურ ენათა ისტორიული დიალექტოლგიის დამუშავება;

(#134)

ბ) ცალკეულ დიალექტთა მონოგრაფიული შესწავლა;

გ)დიალექტური ლექსიკონების შედგენა;

დ) ქართველურ ენათა დიალექტების ლინგვისტური ატლასის შედგენა.

ვ. თოფურიას მოცემული აქვს ზოგადი ხასიათის მეთოდიკური მითითებანიც, თუ, კერძოდ, როგორ უნდა ხდებოდეს დიალექტური მასალის შეკრება-ფიქსაცია და ამის შემდგომ მისი კვალიფიკაცია-შეფასება, რა პრინციპით უნდა იქმნებოდეს ლინგვისტური ატლასები და დიალექტური ლექსიკონები, როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა ქართველურ ენათა დიალექტების სრულყოფილი ენათმეცნიერული ანალიზის მიზნით.

ზოგადთეორიულ პრობლემათაგან ვ. თოფურია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სუბსტრატის, უნიფიკაციის, დივერგენცია-კონვერგენციის საკითხებს. ამ თვალსაზრისით უაღრესად ფასეულია აგრეთვე ქართველურ ენათა დიალექტების განვითარების შინაგანი ტენდენციების გამოვლენა.

საგანგებო ყურადღებას უთმობდა ვ. თოფურია ქართველურ ენათა დიალექტებში საერთო ფონეტიკური და გრამატიკული პროცესების დადგენას.

6.17. ასე წარმოგვიდგება თვალის ერთი გადავლებით ის ზოგადი თეორიული წინამძღვრები, რომლებიც დიალექტების შესწავლას დაედო საფუძვლად. ერთსა და იმავე საკითხზე ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი გამოთქმულა, განსხვავებულად ფასდებოდა დიალექტის რაობაცა და დიალექტოლოგიის დანიშნულებაც. მაგრამ ყველა მინდინარეობა ერთსულოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დიალექტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ენის საკვანძო პრობლემების გადასაჭრელად და ამასთანავე დიალექტი თავისთავადაც წარმოადგენს მეცნიერულად ფასეულ საკვლევ ობიექტს.

(#135)

თავი VII

7.1. დივერგენცია და კონვერგენცია. ესაა ენაში მოქმედი ორი ურთიერთსაპირისპირო პრეცესი.

დივერგენცია (← ლათინური: „სხვადასხვაობა, გადახრა, განშტოება, დიფერენციაცია“) გულისხმობს საპირისპირო ენობრივი პროცესების მოქმედებას ტერიტორიულად ახლომდგომ კილოებსა და კილოკავებში.

დივერგენცია კილოურ ნაირსახეობებს წარმოქმნის, კილოებსა და კილოკავებში განსხვავებულ ენობრივ მოვლენებს ამკვიდრებს. ასე რომ, კილოთა და კილოკავთა დიფერენციაცია უშუალოდაა დაკავშირებული დივერგენციის პროცესთან, ამ პროცესის შედეგია. ამიტომაც, დიალექტური დიფერენციაციის შესწავლა დივერგენციის პირობებისა და შედეგების გარკვევას გულისხმობს უწინარეს ყოვლისა.

დივერგენციული პროცესების გაფართოვება და გაღრმავება, როგორც წესი, დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის (ახალი ენის) ჩამოყალიბებით სრულდება.

დივერგენციის შედეგი ვლინდება იმით, რასაც ზემოთ დიალექტების ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია ვუწოდეთ.

ნიმუშებად დასახელებული იყო ხოლმეობითისა და -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა ნამყო უსრულის წარმოება ხევსურულსა და ფშაურში:

ხევსურული (II თუშური)	ფშაური
და-ვ-წერ-იდ-ი	და-ვ-წერ-ოდ-ი
და-ს-წერ-იდ-ი	და-ს-წერ-ოდ-ი

მესამე პირში საერთო წარმოებაა, ძველი ქართულისებური: და-წერ-ი-ს.

ნამყო უსრული -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა:

ხევსურული (II თუშური)	ფშაური
ვ-მალ-ევ-დ-(ი)	ვ-მალ-ავ-დ-ი
ღ-მალ-ევ-დ-(ი)	(ჰ)-მალ-ავ-დ-ი
ღ-მალ-ევ-დ-(ა)	(ჰ)-მალ-ავ-დ-ა.

(#136)

ასეთი ნიმუშები ამ ორ დიალექტში მრავლად დაიძებნება, თუნდაც პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობების გამოყენების თვალსაზრისით, რაც ზემოთ წარმოდგენილ სქემაზეც იჩენს თავს.

დივერგენციის პროცესი დაჩნდება კილოკავების დონეზეც. ნიმუშად გურული დიალექტი იყო დასახელებული, სადაც ქვემოგურულ ბაღანა||ბაღანაი ტიპის ფორმებს უპირისპირდება ზემოგურული ბაღანე ტიპის ფორმები. იმავდროულად ზემოგურული ამ ჩვენებით უახლოვდება ქვემოიმერულს, სადაც ბაღანე||ბაღანეი დიალექტური ნორმაა (ვ. თოფურია, ო. კახაძე). ვიტყოდით, გავლენის შედეგიაო, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი, როგორც ჩანს, ასე მარტივად ვერ გადაწყდება. საქმე ისაა, რომ ანალოგიური პროცესი დასტურდება ლეჩხუმურ მეტყველებაშიც და (რაც განსაკუთრებით საყურადღებოა) სხვა ქართველურ ენებშიც; ამ რიგისაა მეგრული: ბამბე „ბამბა“, ჭინკე „ჭინკა“, კართე „კალთა“... სვანური: mārე (mārა-ი) „კაცი“ და მისთ. (ვ.თოფურია). ასეთი მოვლენა კონვერგენციად იწოდება.

კონვერგენცია (← ლათინური: „რაც ემთხვევა რასმე“) არის ანალოგიური ან იდენტური მოვლენების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მქონებლობა (პოვნიერება) ორ ან მეტ დიალექტში. ჩვეულებრივ, კონვერგენცია არის შედეგი ენის შინაგანი პოტენციის, იმანენტური შესაძლებლობის გამოვლენისა. კონვერგენცია უშუალოდაა დაკავშირებული დიალექტთა ინტეგრაციის პროცესთან. ორი რამ — დიალექტთა ურთიერთზეგავლენა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ მსგავს ან იდენტურ მოვლენათა განვითარება სხვადასხვა დიალექტში (კონვერგენცია) ედება საფუძვლად დიალექტთა დაახლოების, ინტეგრაციის პროცესს.

კონვერგენციის შემთხვევები მრავლად დაიძებნება ქართული ენის დიალექტებში.

ამ რიგისაა, მაგალითად, ხმოვანთა პოზიციური დაგრძელება (ასიმილაციისა და შემდგომ შერწყმის საფუძველზე) აჭარულსა და თუშურში (ტერიტორიულად სავსებით დაცილებულ დიალექტებში):

აჭარული: „მამა რუმ ავათ გამხდარა, დū̄ძახნია ოთხნივესთვინ“.

თუშური: „მიპარულ ციხის კარებთანა-დ დūyძახებავ“.

არსებითად კონვერგენციის შედეგია -ავ/-ამ თემის ნიშანთა გახმოვანების ცვლის ტენდენცია ნამყო უსრულში (მალ-ავ-ს → მალ-ევ-დ-ა, ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-ემ-დ-ა), გამოვლენილი ხევსურულში, თუშურში, მოხეურში, აგრეთვე ტერიტორიულად მათგან საკმაოდ დაცილებულ რაჭულში, ზემოიმერულში. იგივე პრინციპია გამოყენებული მესხურში, ჯავახურში (მალ-ან-ს → მალ-ენ-დ-ა).

(#137)

კონვერგენციის შედეგად მოჩანს აქტიური მოქმედების გამომხატველ გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტის გამოყენება II სერიაში: კაც-მა (და არა მოსალოდნელი: კაც-ი) დაჰპირდა, მოუყვა, მოვიდა, დაწვა... ეს მოვლენა დადასტურებულია აჭარულში, გურულში, ქვემოიმერულში, იმერხეულში და იმავდროულად — გარეკახურში, ფერეიდნულში; გარკვეულ პოზიციაში შენიშნულია მთიულურში, ინგილოურში, ქართლურში (ზოგ რეგიონში).

არსებითი ისაა, რომ ერთმანეთისაგან განირჩეს დიალექტთა ურთიერთზეგავლენა და კონვერგენციის მოვლენა. გავლენით შეიძლება აიხსნას ერთგვაროვანი პროცესები მომიჯნავე დიალექტებში (გურულსა და ქვემოაჭარულში, ზემოგურულსა და ქვემოიმერულში, მთიულურსა და ქართლურში...), მაგრამ ეს პრინციპი გამოუსადეგარია იმ საერთო პროცესების ასახსნელად, რომლებიც ტერიტორიულად დაცილებულ დიალექტებში გვხვდება (გურულსა და გარეკახურში, გურულსა და ფერეიდნულში, აჭარულსა და თუშურში...): ამ შემთხვევაში იდენტური მოვლენების პოვნიერება მარტოოდენ ენის შინაგანი ტენდენციის გამოვლენით შეიძლება აიხსნას, რაც არის კიდეც კონვერგენციის პროცესი.

7.2. უნიფიკაცია. უნიფიკაცია გაერთფორმიანებას ნიშნავს; ზედმიწევნით: მრავალფორმიანობიდან ერთ ფორმაზე გადასვლას. ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება: წარმოების განსხვავებული პრინციპი გადადის ერთიან პრინციპზე, მორფემათა ნაირსახეობანი იცვლება ერთგვაროვნობით (რამდენიმე მორფემის ნაცვლად ერთ-ერთი მათგანი გამოიყენება).

უნიფიკაციის საფუძველია ანალოგია. ანალოგია გულისხმობს ფორმათ- და სიტყვათწარმოების რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთის გამოყენებას და დამკვიდრებას. ერთი ნიმუში ამისა: ი ხმოვანზე ფუძედაბოლოებული ანთროპონიმების — ადამიანთა საკუთარი სახელების (გიორგი, აკაკი) მიდევნებით ზოგ ანთროპონიმში სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი ფუძისეულად იქნა გააზრებული (ნოდარ-ი, მერაბ-ი): გიორგი, გიორგიმ, გიორგის... და ნოდარი, ნოდარიმ, ნოდარის... (ნაცვლად ამისა: ნოდარ-ი, ნოდარ-მა, ნოდარ-ს). და პირიქით: -ი სახელობითი ბრუნვის ნიშნის მქონე ანთროპონიმების ანალოგიით ი ფუძეეული

ხმოვანი გაგებულ იქნა ბრუნვის ნიშნად (ანტონ-ი, ანტონ-მა, ანტონ-ს... ნადვლად მართებული: ანტონი, ანტონი-მ, ანტონი-ს...).

ანალოგიის საფუძველი თვით ენის შინაგან ტენდენციაშია საძიებელი. ენა ისწრაფვის რომელიმე ერთი მნიშვნელობისათვის გამოიყენოს ერთი ფორმობრივი სტრუქტურა. თუ ისე მოხდება, რომ ამ მიზნით ერთდროულად ორი ან მეტი ფორმა იქნება წარმოდგენილი, თავს იჩენს (#138) მიდრეკილება, განსხვავებულ ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობაც გამოვლინდეს, მაგალითად, უქონლობის სემანტიკას ქართულში გამოხატავს უ — ო და უ — ურ აფიქსებიანი ფორმები (უ-ქუდ-ო, უ-დღე-ურ-ი); იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე ფუძისაგან ორივე ამ საშუალებით იწარმოება უქონლობის სემანტიკა, „შეიძლება მნიშვნელობის დიფერენციაციამ იჩინოს თავი“ (ა. შანიძე): უ-მადლ-ო და უ-მად-ურ-ი, უ-წიგნ-ო და უ-წიგნ-ურ-ი...

ანალოგიას განსაკუთრებით ფართო სარბიელი აქვს დიალექტებში. დიალექტი, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოხატვის რამდენიმე ფორმობრივი შესაძლებლობიდან უპირატესობას ანიჭებს მათგან რომელიმე ერთ-ერთს და უკუაგდებს სხვას.

ქართული ენის დიალექტები ამის ნიმუშებს უხვად იძლევიან. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

ირიბი ობიექტის მრავლობითობა, ჩვეულებრივ, გამოიხატება პირველი და მეორე პირის ფორმებში: ჩვენ გვ-ი-თხრ-ა, თქვენ გ-ი-თხრ-ა-თ (დიალექტებში: გვ-ი-თხრ-ენ || გვ-ი-თხრ-ა-ყე, გ-ი-თხრ-ენ || გ-ი-თხრ-ა-ყე). ესაა ზოგადი პრინციპი (საქმე ეხება პირდაპირი წყობის ზმნებს, ინვერსიულ ზმნებში სხვა ვითარებაა). დიალექტებში ანალოგიის საფუძველზე აღინიშნება მესამე ირიბობიექტური პირის მრავლობითობაც: მათ უ-თხრ-ა-თ (|| უ-თხრ-ენ || უ-თხრ-ა-ყე); ანუ: ანალოგიით სამივე პირის ფორმაში ერთი და იგივე პრინციპი გატარდა, რამაც შედეგად უნიფიკაცია (გაერთფორმიანება) მოგვცა.

ცნობილი ფაქტია I შედეგობითის ფორმათა უნიფიკაციის ტენდენცია ქართული ენის დიალექტებში. ეს მოვლენა ორი გზით წარიმართა: ერთ შემთხვევაში მაწარმოებლად -ი მკვიდრდება (გა-უ-კეთ-ებ-ი-ა, და-უ-მალ-ი-ა, და-უ-ბ-ი-ა), მეორე შემთხვევაში კი -ავ(ის) ფორმანტიანი წარმოებაა გავრცელებული (გა-უ-კეთ-ებ-ავ, და-უ-მალ-ავ, და-უ-ბ-მ-ავ); „პირველი ტარდება ბარის კილოებში — ქართლურში, კახურში, იმერულში და სხვაგან — და აქედან ლამობს ლიტერატურულ ენაშიც

შემოჭრას, -ავ კი მოდებულია ხევსურულში, ფშაურში, თუშურში და ფშაურიდან ვაჟას შემოტანილი აქვს სამწერლობო ენაში“ (ვ. თოფურია).

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნები როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში პარადიგმების მიხედვით ნაწილდება. ნიმუში ახალი ქართულიდან: აწმყო — წერ-ენ, ნამყო უსრული — წერ-დ-ნენ, ნამყო ძირითადი: და-წერ-ეს, I შედეგობითი (ინვერსიის გზით) — და-უ-წერ-ი-ა-თ. იმერულში (და ზოგ სხვა დიალექტშიც) წარმოება უნიფიცირებულია — ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია -ენ ფორმანტი: წერ-ენ, წერ-დ-ენ, და-წერ-ენ, დო-უ-წერ-ი-ენ.

(#139)

I და II სერიის ფუძეთა დასაპირისპირებლად ქართულში სამი პრინციპია გამოყენებული:

I	II	III
ვ-წერ	ვ-მალ-ავ	ვ-დრეკ
ვ-წერ-ე	ვ-მალ-ე	ვ-დრიკ-ე

პირველ შემთხვევაში ფუძეები იდენტურია.

მეორე შემთხვევაში სხვაობას იძლევა თემის ნიშნის მქონებლობა (I სერიაში) — ფუძეთა განსხვავება აგლუტინაციის პრინციპს ემყარება.

მესამე შემთხვევაში სხვაობას იძლევა ფუძეთა გახმოვანება (წარმოშობით ფონეტიკური პროცესი) — საქმე გვაქვს აბლაუტთან.

ქართული ენის დიალექტთა ერთ ნაწილში თავს იჩენს უნიფიკაციის მძლავრი ტენდენცია — დაყვანილ იქნეს სამივე პრინციპი ერთზე, კერძოდ აგლუტინაციის პრინციპზე. გამოიყენება -ავ და -ებ თემის ნიშნები იმის შესაბამისად, თუ რა სტრუქტურისაა ზმნა: ჩეხ-ს → ჩეხ-ავ-ს, გლეჯ-ს → გლიჯ-ავ-ს || გლეჯ-ავ-ს... ხმოვანი პრეფიქსის მქონებლობისას თემის ნიშნად -ებ გვაქვს: ა-მხელ-ს → ა-მხილ-ებ-ს, ა-ვლენ-ს → ა-ვლინ-ებ-ს...

უნიფიკაციის პროცესი არცთუ იშვიათად სისტემის მოთხოვნილებითაა შეპირობებული. მაგალითად, ცნობილია ქართული ენის დიალექტებში -ებ → -ობ შენაცვლება მდგომარეობის გამომხატველ ზმნებში: ბიბინ-ობ-ს, კაკან-ობ-ს, ღიღინ-

ობ-ს (ნაცვლად ამისა: ბიბინ-ებ-ს, კაკან-ებ-ს, ღიღინ-ებ-ს).აშკარად უნიფიკაციის შედეგია (შდრ.: თამაშ-ობ-ს, ვარჯიშ-ობ-ს, ჩხუბ-ობ-ს, შრომ-ობ-ს). მაგრამ იმავდროულად უნიფიკაციის შემაპირობებელი აქ თვით ზმნური სისტემა არის. გვაქვს, ერთი მხრივ: ა-თამაშ-ებ-ს — თამაშ-ობ-ს, ა-ვარჯიშ-ებ-ს — ვარჯიშ-ობ-ს, რაც I შედეგობითში შესაბამისად იძლევა: უ-თამაშ-ებ-ი-ა — უ-თამაშ-(ნ)-ი-ა, უ-ვარჯიშ-ებ-ი-ა — უ-ვარჯიშ-(ნ)-ი-ა. ანუ: მოქმედებითი და მდგომარეობითი ზმნები ფორმობრივადაც თანამიმდევრულადაა გარჩეული: პირველ სერიაში თემის ნიშნებით, III სერიაში იმით, გამოყენებულია I სერიის (მოქმედებითში) თუ II სერიის (მდგომარეობითში) ფუძეები. ეს პრინციპი აშკარად ირღვევა ბიბინ-ებ-ს ტიპის ფორმებთან: I შედეგობითი ფორმობრივ განარჩევს მოქმედებითსა და მდგომარეობითს (უ-ბიბინ-ებ-ი-ა — უ-ბიბინ-ი-ა), მაგრამ I სერიაში გარჩევა აღარ ხდება — ერთი და იგივე თემის ნიშანია გამოყენებული (ა-ბიბინ-ებ-ს — ბიბინ-ებ-ს). სისტემის მოთხოვნის (#140) შესაბამისად მდგომარეობა შეიცვალა — მოხდა უნიფიკაცია: -ობ თემისნიშნიან ზმნათა ანალოგიით მდგომარეობის გამომხატველ ფორმებს დაერთო -ობ (ნაცვლად -ებ-ისა): ა-ბიბინ-ებ-ს — ბიბინ-ობ-ს.

უნიფიკაციის საპირისპირო პროცესია ფორმათა შერევა, სიჭრელე. ეს, ჩვეულებრივ, ხდება მაშინ, როცა ირღვევა დიალექტის თვითმყოფადობა (დამოუკიდებლობა) და სხვა დიალექტებისა ან სალიტერატურო ენის გავლენა იჩენს თავს. ხშირია ამ რიგის მოვლენები გარდამავალ დიალექტებსა და დიალექტთა გარდამავალ ზონებში, გვხვდება მყარ დიალექტებშიც. ერთი ნიმუში ამისა ფშაურიდან: „ცხენის ჯორცს შ-ჭამ-დ-ენ, მეც აიმას მ-ა-ჭ-ევ-დ-ეს (=მაჭმევდნენ)“. ერთ ფრაზაში ერთმანეთის გვერდითაა დადასტურებული ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი -ეს და ბარის კილოებში პოვნიერი -ენ (ქართლ-კახურში — -ნენ).

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს რომელიმე ერთ დიალექტისათვის მხოლოდ უნიფიკაციის პროცესია დამახასიათებელი, სხვა დიალექტისათვის კი — ფორმათა სიჭრელე. ქართლურში, განსაკუთრებით — ქვემოქართლურში თემის ნიშანთა უნიფიკაცია ერთ-ერთი მძლავრი ენობრივი პროცესია (მალ-ამ-ს, წერ-ამ-ს, ა-კეთ-ამ-ს...), მაგრამ იმავდროულად გვარიანი სიჭრელეა პირის ნიშანთა გამოყენების

თვალსაზრისით (დედა-ჰყავ || დედა-ჲყავ || დედა-ჲჰყავ „დედა ჰყავს“). ანალოგიურად ისმის საკითხი სხვა დიალექტების მიმართაც.

ზოგჯერ დიალექტებში უნიფიკაციად მოჩანს ის, რაც სინამდვილეში სულ სხვა რიგის მოვლენაა.

იმერულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა უნიფიკაციაზე უკვე ითქვა: წერ-ენ — და-წერ-ენ „დაწერეს“ — დო-უ-წერ-ი-ენ „დაუწერიათ“, ასევე: ი-წერ-ებ-ოდ-ენ — მე-ი-წერ-ენ „მოიწერეს“; შდრ. ამას ხევსურული: წერ-დ-ეს „წერდნენ“ — და-წერ-ეს, ან: ი-წერ-ებ-ოდ-ეს „იწერებოდნენ“ — მა-ი-წერ-ეს „მოიწერეს“. ერთი შეხედვით, ხევსურულშიც უნიფიკაცია მომხდარა: თუ იმერულში -ენ ფორმანტი გაბატონდა, ხევსურულში -ეს ფორმანტმა განივრცო მოქმედების არე. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ხევსურულმა ძველი ქართულისებური ვითარება დაიცვა, საკუთრივ ხევსურულში ამ თვალსაზრისით არაფერი მომხდარა და, ბუნებრივია, მაშინ ვერც უნიფიკაციის პროცესზე ვილაპარაკებთ. სამი სხვადასხვა ტენდენცია იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნების გამოყენების მხრივ:

ა) დაცულია ძველი ქართულისებური ვითარება: წერდ-ეს — და-წერ-ეს (ხევსურული, თუშური, მოხეური...);

(#141)

ბ) ხდება შერევა საკუთრივ დიალექტის დონეზე: წერდ-ნენ — და-წერ-ეს (ქართლური, კახური...);

გ) ხდება უნიფიკაცია საკუთრივ დიალექტის დონეზე: წერ-ენ — წერდ-ენ — და-წერ-ენ (იმერული, გურული...).

ასე რომ, ყველა ეს პროცესი თანაარსებობს როგორც სხვადასხვა, ასევე ერთსა და იმავე დიალექტში.

7.3. კომპენსაცია. კომპენსაცია რაიმე დანაკარგის ანაზღაურებას ნიშნავს. ენაში, ჩვეულებრივ, კომპენსაცია ფონეტიკის დონეზე ივარაუდება: სიტყვაში ამა თუ იმ ბგერის დაკარგვა იწვევს საკომპენსაციო ცვლილებას.

კომპენსაციის პროცესი უცხო არ არის ქართული ენის დიალექტებისთვისაც. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ნიმუში.

აჭარულში ზოგჯერ იკარგვის რ სონანტი, რასაც საკომპენსაციოდ თან სდევს იმავე ფორმაში ხმოვნის დაგრძელება: „აღā (=აღარ) მახსოვს“; „ვეღā (=ვეღარ) დავდივარ“; „ერთი მოსახელე იყო მāტო (=მარტო)“; „ēთი (=ერთი) ძიგარაჲ (=სიგარა, თამბაქო) მოვჰსწიოთ“ (ქართული დიალექტოლოგია). „სῑცხვილი (=სირცხვილი) შენი“; „არ მოკწყინდება მაჲც (=მაინც) ამდენი სῑბილი“ (=სირბილი) (შ. ნიჟარაძე).

მესხურ-ჯავახურში კუმშვადი ფუძის მქონე სახელებთან მრავლობითი რიცხვის ნიშნად გამოიყენება -იებ სუფიქსი (ნაცვლად -ებ სუფიქსისა): ცხვარ-ი →ცხვრ-იებ-ი, წყალ-ი → წყლ-იებ-ი, რძალ-ი → რძლ-იებ-ი, სადაც სუფიქსისეული ი გამოყენებულია რედუცირებული მარცვლის საკომპენსაციოდ. თვით -იებ კი წარმოქმნილია ხმოვანზე ფუძედაბოლოებული უკვეცელი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმათა ანალოგიით, სადაც -ი-ებ ფონეტიკურადაა შეპირობებული: ჭალა→ ჭალა-ებ-ი → ჭალე-ებ-ი (ასიმილაციით)→ ჭალი-ებ-ი (დისიმილაციით: ეე → იე). ასე რომ, ამ შემთხვევაში კომპენსაციისა და უნიფიკაციის პროცესებია ურთიერთშეხამებული.

7.4. სახელდების (ნომინაციის) პრინციპებისათვის ქართული ენის დიალექტებში.სახელდების პრინციპი იმ უძველეს პრობლემათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც ერთდროულად მეცნიერების რამდენიმე დარგის კვლევის სფეროს მოიცავენ. სახელდების ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ლოგიკური ასპექტები მრავალი საუკუნის მანძილზე შეუნელებელ ინტერესს იწვევდნენ. იგივე ითქმის სახელდების საკუთრივ ენობრივი საფუძვლის შესახებ.

პრობლემა არსებითი მნიშვნელობისაა. მის გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული ენათმეცნიერების შესწავლის საგნის განსაზღვრა, (#142) აქედან — ამ საგნის კვლევის საფუძველდამდები პრინციპების დადგენაც.

სახელდების პრობლემაზე მრავალი რამ თქმულა. არსებობს ნაირგვარი თეორიები, რომლებიც სათავეს ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფიაში იღებენ.

ორი დებულება, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფცია უპირისპირდება ერთმანეთს:

ა) კავშირი სახელსა და საგანს შორის შეპირობებულია;

ბ) კავშირი სახელსა და საგანს შორის ნებისმიერია.

ესაა ეგრეთ წოდებული ფიუსეი და თესეი თეორიების ამოსავალი დებულებები.

ეს კამათი ბოლოს სახელწოდების ნებისმიერობის სასარგებლოდ გადაწყდა, რადგან ენათა ზედაპირული შედარებაც კი თითქოს იმას ცხადყოფს, რომ საგნის სახელწოდება მისი რაობისაგან დამოუკიდებლად ყალიბდება. ამის ერთ-ერთ დამადასტურებლად მიიჩნევა ის, რომ ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელი ჰქვია.

იმავდროულად უეჭველია ისიც, რომ მრავლისაგან მრავალი საგნის სახელწოდება ამა თუ იმ კუთხით ასახავს ამ საგნის ნიშან-თვისებას. იგულისხმება მოტივირებული სახელწოდებების არსებობა ენაში. ეს კი სულ სხვაგვარად დასვამს საკითხს სახელწოდების შეპირობებულობის შესახებ. კერძოდ, უეჭველი ფაქტია, რომ საგანი (უკეთ: ჩვენი წარმოდგენა საგანზე) უთუოდ შეაპირობებს მისსავე სახელწოდებას. მაშინ რა პასუხი უნდა მოვუძებნოთ კითხვას, თუ რატომ არის ერთი და იმავე საგნის სახელწოდება სხვადასხვა ენაში სხვადასხვა?

ამის მიზეზი სახელდების ნაირგვარ პრინციპებში უნდა ვეძიოთ. მაგალითად, ქართული „შავბალახა“ რუსულად пустырник (ზედმიწევნით „უდაბნოსი“) არის, „მრავალძარღვა“ კი — подорожник (ზედმიწევნით „გზისპირისა“). ორივე ენაში სახელწოდებები მოტივირებულია სახელდებული საგნის მიერ. საგნის რაობამ, საგნის ბუნებამ, მისმა ნიშან-თვისებებმა განაპირობეს მისი სახელწოდების წარმოქმნა და ენობრივი სტრუქტურა, შედგენილობა.

მაშასადამე, ამ ორ ენაში ერთი და იმავე მცენარის ნაირგვარი სახელწოდებები იმიტომ კი არა გვაქვს, რომ ეს სახელწოდებები საგნის ბუნებით არ არის შეპირობებული, ანუ: საგნის ბუნების მიმართ ნებისმიერია, არამედ იმიტომ, რომ ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა ნიშან-თვისებაა ამოსავალი სახელდებისათვის.

ანუ: სხვადასხვა ენა ამ შემთხვევაში ნებისმიერობას იჩენს სახელდებისათვის საგნის ამა თუ იმ ნიშნის არჩევაში და არა მისგან სრული დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.თუმცა არჩევანის ნებისმიერობაც (#143) მოჩვენებითია: იგი იმთავითვე შეპირობებულია ამა თუ იმ ენის სემანტიკური ტენდენციითა და მიზანდასახულობით.

ამ მხრივ ღირსსაცნობია პლატონის დიალოგი „კრატილი“, სადაც სოკრატე ასეთ განსაზღვრას იძლევა: „სახელწოდების მართებულობა ის არის, რომ იგი მიუთითებს, თუ როგორია საგანი“.

რასაკვირველია, საგანი და მისი სახელწოდება უშუალოდ ვერ დაამყარებენ ერთმანეთთან კავშირს. მათ შორის გამაშუალებლად გამოდის ცნობიერება, კერძოდ, ჩვენეული აზრი, შეხედულება საგანზე.

ის, რომ სხვადასხვა ენაში ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელწოდება აქვს, შესაძლებლობას იძლევა როგორც საკუთრივ ენობრივი, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იქნეს შეფასებული სახელდების პრინციპი, ტენდენცია და იმავდროულად ტრადიციაც.

ამის ნიმუში ზემოთ უკვე იყო დასახელებული: ქართულში სახელდების დროს მცენარის შეფერილობასა და ანატომიას მიექცა ყურადღება, რუსულში მისი გავრცელების გეოგრაფიული არეა გათვალისწინებული.

ამ თვალსაზრისით სხვაობენ არა მხოლოდ ენები, არამედ ერთი ენის დიალექტებიც.

სახელდების პრობლემის განხილვის დროს უნდა განსხვავებულ იქნეს ორი პრინციპულად სხვადასხვა ეტაპი. პირველი: უძველესი, ენის წარმოშობის პერიოდისა, რომლის მიმართ ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გვქონდეს; და მეორე: სახელდების პროცესი უკვე არსებულ ენაში. ამ (მეორე) შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ საგნის რაობიდან ამოსვლით ხდება სახელდება. ესაა სახელდებისადმი სავსებით გააზრებული დამოკიდებულება.

სახელდებისას ხდება:

ა) ამორჩევა საგნის ან მოვლენის მრავალ მხარეთაგან ერთისა (და გამორიცხვა ყველა დანარჩენისა);

ბ) ენობრივი სინეკდოხა, ანუ: მთელის რომელიმე ერთი მხარის დასახელება მთლიანის მნიშვნელობით.

„მრავალძარღვათი“ მცენარის ანატომიურ აგებულებას მიექცა ყურადღება, სიტყვით „ქინძისთავი“ ენა საგნის ფორმაზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო სიტყვით „ცისკარი“ — ამ მოვლენის არსზე (მეტაფორულად).

სახელდებისათვის საგნის რომელიმე თავისებურების ამორჩევის მიზეზი ძირითადად ენობრივის მიღმა ძევს და იგი ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური, ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებას მოითხოვს. ამჯერად ჩვენ ამ პრობლემის საკუთრივ ენობრივი ას(#144)პექტი გვაინტერესებს: კერძოდ,

საგნის რა ნიშან-თვისება შეირჩევა სახელდებისათვის და როგორ ხდება მისი ენობრივი გამოხატვა.

უწინარეს ყოვლისა დგება საკითხი, თუ რა მიიჩნევა ამა თუ იმ საგნის გამოხატვის ადეკვატურ ენობრივ ფორმად, საგნის ენობრივი ასახვის როგორი პრინციპია გამოყენებული:

ა) ზოგადი ნიშნის წარმოჩენა თუ დეტალიზაცია;

ბ) ესთეტიკური თუ ვულგარული გამოხატვა;

გ) საგნის არსის ნეიტრალური (ობიექტური) თუ ჰიპერბოლური ასახვა და მისთ.

იმავდროულად გასათვალისწინებელი ხდება ისიც, თუ საგნის რომელ ნიშან-თვისებას ექცევა ყურადღება სახელდების დროს, საგნის რომელი მხარე უდევს საფუძვლად ნომინაციას:

ა) გარეგნული თუ შინაგანი ნიშან-თვისება;

ბ) აგებულება (სტრუქტურა) თუ სხვა საგნებთან მიმართება;

გ) საგნისათვის დამახასიათებელი მოქმედება (მოქცევა) თუ მისი სხვა საგნებთან მსგავსება...

ამრიგად, ნებისმიერი საგნის სახელი წარმოიქმნება ორი პარამეტრის გადაკვეთაზე, ანუ: ყოველ ნომინაციას საფუძვლად უდევს ორი ასპექტი:

ა) ასახვის პრინციპი;

ბ) საგნის ესა თუ ის მხარე, ნიშან-თვისება.

ნომინაცია შესაძლოა მცდარ გააზრებაზე იყოს დაფუძნებული: „უკვდავა“ სულაც არ არის უკვდავი. მიუხედავად ამისა, ენაში ეს წარმოდგენილია როგორც ფაქტი.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ზოგიერთი მცენარის სახელწოდება ქართულ ენის დიალექტებში.

მცენარეთა სახელდება ქართული ენის დიალექტებში შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი ნიშან-თვისებების მიხედვით:

ა) აგებულება,ანატომიური სტრუქტურა; მრავალძარღვა, ასფურცელა, ეკალა... უფრო ხშირია აგებულების მეტაფორული გამოხატვა სხვა საგანთან მიმსგავსებით: ხარისკუდა, დათვისტერფა, ბეჭედა, თავცეცხლა, ასისთავა, ხარისთვალა და ა.შ.

ბ) ფერი: შავბალახა, შავთავა, შავთხილა, წითელძირა, წითელცოცხა, თეთრი ენძელა, თეთრი ზამბახი, თეთრ-რცხილა... მეტაფორული: სისხლაბალახა...

გ) თვისება: შხამასოკო, ყრალა-ყრალა, მათრობელა, მახრჩობელა, ბრუალა, ნამიკრეფია || ნამთრევია, რძიანა, ბალამწარა და მისთ.

დ) გამოყენება: დაჭრილის წამალი, საჭილოფე...

(#145)

ე)გეოგრაფიული გავრცელება: ტყის ვარდი, ჭაობის ცხრაძარღვა, მთის ნეგო, კლდის დუმა და სხვა.

შეიძლება გამოიყოს ზოგი სხვა ჯგუფიც (იხ.: ვ.თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში), მაგრამ ამჯერად საკუთრივ სახელდების პრინციპების ნიმუშად ზემოხსენებულიც საკმარისი ჩანს.

ერთსა და იმავე მცენარეს, ბუნებრივია, აქვს თავისი ანატომიური სტრუქტურა, ფერი, თვისება, გავრცელებულობა... სხვადასხვა დიალექტი მცენარის ამ სხვადასხვა ნიშან-თვისებას იღებს სახელდებისათვის.

მაგალითად, ის, რაც ქართლში „დაჭრილის წამალია“, ჯავახურში „კაკბისაწეწელად“ იწოდება, მესხეთში — „ჟუჟუნად“, საერთო ქართული სახელი კი „შავთარა“ არის.

„მრავალძარღვა“ ხევსურულში „ცხრაძარღვად“ იწოდება („ცხრა“ აქ სინონიმია „მრავალისა“) და იმავდროულად „მოგზაურაც“ ჰქვია, ქვემოიმერულში კი მას „ბამბაძარღვა“ ეწოდება. აქ არსებით სხვაობას „მოგზაურა“ იძლევა.

„მსუქანა“ იმერულსა და გურულში არის „უკვდავა ფხალი“, „ძირწითელა“ ან „წითელძირა“, აჭარულში — „თაგვაყურა“ ან „თიკნიყურა“, მთიულურში — „ხველის წამალი“ ან „დაჭრილაის წამალი“, კახურში — კლდის დანდური“.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სახელდების ერთგვარი პრინციპი ზოგჯერ გეოგრაფიულად საკმაოდ დაცილებულ დიალექტებშია დამოწმებული. მაგალითად, „კლდისდუმა“ გურულსა და ხევსურულში ერთნაირად იწოდება: „კლდისვაშლა“, რომლის ფონეტიკური ნაირსახეობაა აჭარული „კილტავაშლა“...

ასე რომ, მცენარეთა სახელების შესწავლა სხვადასხვა დიალექტში სახელდების პრინციპების ნაირგვაროვნობის თვალსაზრისით ფრიად ღირსსაცნობ სურათს იძლევა.

შეხედულება საგანზე, ის წარმოდგენა, რომელსაც საგანი იწვევს, რასაკვირველია, სუბიექტურია. მცენარე, რომელიც ერთისათვის ეკლიანობით გამოირჩევა, მეორისათვის თავისი ყვავილობით არის საცნაური. მაგრამ ყველა

შემთხვევაში მისი სახელწოდება მისივე გარეგანი ან შინაგანი თვისებებით იქნება შეპირობებული.

იმავდროულად სუბიექტური ინტერპრეტაცია არის როგორც ინცივიდუალური, ასევე კოლექტიური. პირველ შემთხვევაში ჩვენ სემანტიკურ იდიოლექტთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში — დიალექტთან.

(#146)

ენაში ძირითადად მკვიდრდება ის ინტერპრეტაცია, რომელიც ერთნაირად მისაღები აღმოჩნდება გარკვეული დიალექტური კოლექტივისათვის. თუმცა სახელდება არ გამორიცხავს ინდივიდუალურ (იდიოლექტურ) წარმომავლობასაც.

სახელდება არსებითად არის სუბიექტურის ობიექტივიზაციის პროცესი: წარმომავლობა სუბიექტურია, შედეგი — ობიექტური მონაცემი ხდება.

ისმის კითხვა: რომელიმე დიალექტი სახელდების შემთხვევაში ყოველთვის ერთსა და იმავე პრინციპს მიმართავს (ირჩევს საგნის ან მხოლოდ გარეგნულ ნიშანს, ან მხოლოდ შინაგან თვისებას, ან მხოლოდ სხვა საგანთან მიმსგავსებას...), თუ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა პრინციპია გამოყენებული?

ეს პრობლემა ცალსახად ვერ გადაწყდება. ერთი და იგივე დიალექტი, როგორც წესი, სახელდების სხვადასხვა პრინციპს მიმართავს, მაგრამ იმავდროულად ამ თვალსაზრისით დიალექტის ტიპს უთუოდ განსაზღვრავს ის, თუ რომელ პრინციპს ანიჭებს ის უპირატესობას, რომელია მისთვის უფრო ხშირი, ჩვეული.

დიალექტებს შორის ამგვარი სემანტიკური განსხვავებულობა უმეტესად არ თანხვდება მათ ტერიტორიულ განაწილებას: დიფერენცირდება ერთი და იგივე დიალექტი ცალკეულ რეგიონებად, ერთიანდება რამდენიმე დიალექტი, ერთ რეგიონში პარალელურად გამოიყენება ორი ან მეტი ნაირსახეობა სახელდებისა...

ამ თვალსაზრისით დგება საკითხი კილოკაური და ზედიალექტური ნაირსახეობების შესახებაც.

(#147)

თავი VIII

8.1. კოინე — მეტყველების ზედიალექტური ნაირსახეობა. კოინე ანუ ზედიალექტი ეწოდება მეტყველების იმ ნაირსახეობას, რომელიც რამდენიმე დიალექტისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს აერთიანებს და, ამდენად, დიალექტთაშორისი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. ანუ: კოინე (ზედიალექტი) არის სტიქიურად გამომუშავებული მეტყველება, რომელშიც მეტ-ნაკლებად ნიველირებულია ამა თუ იმ დიალექტისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკური მოვლენები და ამიტომაც ერთნაირად გასაგებია და მისაღები სხვადასხვა დიალექტის მფლობელთათვის.

ზოგჯერ კოინე მიიჩნევა გამაერთიანებელ ცნებად დიალექტთა შემდეგი ნაირსახეობებისათვის: ინტერდიალექტი, ნახევრადდიალექტი, კულტურული დიალექტი და მისთ.

კოინე (ზედიალექტი) არსებითად შუალედური წარმონაქმნია დიალექტსა და საერთო-ეროვნულ ენას შორის.

კოინეს ნიმუშები უკვე უძველეს ეპოქებში იპოვება. ძველ ბერძნულში ოთხი დიალექტი გამოიყოფოდა: იონური, ატიკური, დორიული და ეოლიური. მათ საფუძველზე გამომუშავდა ეგრეთწოდებული ჰე კოინე დიალექტოს „საერთო კილო“, ან უბრალოდ — კოინე (ზედმიწევნით: „ერთად, ერთობლივ, თანხმობით“), რომელსაც დაეფუძნა ძველი ბერძნული სალიტერატურო ენა. ნიმუშები სხვაც დაიძებნება, პრინციპი არსებითად ერთი და იგივეა.

გამოიყოფა კოინეს რამდენიმე ნაირსახეობა:

ა) ქალაქური კოინე. წარმოიქმნება იგი ქალაქში თავმოყრილი დიალექტების ინტერფერენციის (ურთიერთშერევის, უკეთ:ურთიერთშეღწევის) საფუძველზე. ამ დიალექტებისათვის საერთო, მსგავსი მკვიდრდება და საყოველთაოდ სახმარად იქცევა, სპეციფიკური (გამომრჩევი) ნიველირდება, უგულებელიყოფა. გარკვეულ როლს ასრულებს ამ დროს ქალაქში პოვნიერი სხვა ენების ზეგავლენაც. წარმოიქმნება მეტყველების განზოგადებული ტიპი (ზედიალექტი), რომელიც ლიტერატურული დამუშავებისა და ფართოდ გავრცელების გზით საფუძვლად ედება სალიტერატურო ენას (ა. დესნიცკაია). ღირსსაცნობია, რომ „ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქ(#148)თაგან 1122 წ. და პოლიტიკური და კულტურული

ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით), ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა“ (არნ. ჩიქობავა). მართალია, ამ მეტყველებას საფუძველს ქართლ-კახური უმაგრებდა, მაგრამ თვით მეტყველების ტიპი არსებითად ქალაქური, თბილისური იყო. ასეთივე როლი შეასრულა თბილისურმა მეტყველებამ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად XX საუკუნის 20-იან წლებშიც.

ბ) ინტერდიალექტური (დიალექტთაშორისი კოინე, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა დიალექტის მფლობელთა ინტენსიური ურთიერთობის დროს — ხდება ამ დიალექტებისათვის ნიშანდობლივი საერთო მოვლენების წინ წამოწევა, ხოლო სპეციფიკური ფორმები მეტ-ნაკლები ნიველირდება.

ამგვარ კოინეს, ჩვეულებრივ, ვხვდებით დიალექტთა გარდამავალ ზონებში (ბორჯომის ხეობაში, დუშეთში, თიანეთში...).

ინტერდიალექტურ კოინეს, როგორც წესი, ამა თუ იმ დიალექტის მფლობელი იყენებს სხვა დიალექტის წარმომადგენელთან ურთიერთობისას, იმავდროულად იგი თავის ენობრივ გარემოში თავისსავე დიალექტზე მეტყველებს.

გ) პოეტური კოინე, როგორ ამაზე თვით ტერმინიც მიგვანიშნებს, პოეტური ზეპირსიტყვიერებისთვისაა ნიშანდობლივი. ზღაპრები, ჩვეულებრივ, იქმნება დიალექტზე, პოეტურ მეტყველებაში კი უპირატესად კოინე გამოიყენება (ა. დესნიცკაია). ნ. მარი კავკასიური პოეზიის განხილვისას შენიშნავდა, რომ კავკასიელი ტომების, მათ შორის — სვანების, ზეპირსიტყვიერი პოეზიის ენა არ ემთხვევა არც ერთ კილოს. პოეტური ნაწარმოების ენა არაა იდენტური ცოცხალი ყოველდღიური მეტყველებისა. პოეზია, ნ. მარის აზრით, იყო ჯადოქრობა და ამიტომაც პოეტური ენა ანალოგიას პოულობს მაგიური რიტუალების ენასთან. ამის მიზეზად იგი ორ შესაძლებლობას ასახელებს: წარსულის ენობრივ მემკვიდრეობას და რომელიმე, აწ უკვე გამქრალი, დიალექტის გააზრებულ დამუშავებას საკუთრივ პოეტური ნაწარმოებისათვის. პოეტური კოინე მით უფრო ინტენსიურად არის გამოყენებული, რაც უფრო მაღალმხატვრულია პოეტური ზეპირსიტყვიერება (ა. არაბული). ეს ორი მოვლენა ურთიერთშეპირობებული ჩანს: ხალხური მაღალმხატვრული პოეზია,

როგორც წესი, იქმნება სალიტერატურო ენასთან მეტნაკლებად მიახლოვებული მეტყველების საფუძველზე (ა. დესნიცკაია).

რას ეფუძნება კოინეს წარმოქმნა?

(#149)

როგორც ითქვა, კოინეში (ზედიალექტში) თავს იჩენს სპეციფიკური დიალექტური მოვლენების ნიველირებისა და საერთო ნიშან-თვისებების წინ წამოწევის, დამკვიდრების ტენდენცია.

არსებითად ანალოგიურ პრინციპს ეფუძნება სალიტერატურო ენაც. სხვაობა ისაა, რომ კოინე სტიქიურად წარმოიქმნება და, ჩვეულებრივ, შედარებით ვიწრო რეგიონით შემოიფარგლება. კოინე გამორიცხავს ხელოვნურ ჩარევას, გააზრებულ დახვეწას. ამ დროს ფორმათა ინტუიციურ შერჩევასა და დამკვიდრებასთან გვაქვს საქმე.

ამდენად, რამდენიმე დიალექტისათვის საერთო ნიშან-თვისებანი ხდება კოინეს არსებობის საფუძველი.

ოღონდ ეს საერთო ნიშან-თვისებანი სხვადასხვა წარმომავლობისა და ბუნებისა შეიძლება იყოს.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კოინეში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ძველი, დიალექტებად დიფერენციაციამდელი მეტყველება. ახლო მდგომი დიალექტების წარმომადგენლები ტრადიციით ინარჩუნებენ და თავის დიალექტთან ერთად იყენებენ იმ მეტყველებას, რომელიც ამჟამად არსებულ დიალექტებს უსწრებდა წინ. ჩვეულებრივ, ასეთი კოინეს გამოყენება რომელიმე სფეროთი შემოიფარგლება (პოეზია, რელიგიური თავყრილობები და რიტუალები, აღებ-მიცემითობა...). ასეთად შეიძლება ვივარაუდოთ ფხოური კოინე, გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (განსაკუთრებით — პოეტურ ზეპირსიტყვიერებაში). მას, როგორც ჩანს, იმ პერიოდის მეტყველება უდევს საფუძვლად, რომელიც უსწრებდა მთაში ამჟამად არსებული დიალექტების წარმოქმნას. კოინე დიალექტური მეტყველების პარალელურად არსებობს და, როგორც ითქვა, ადამიანის საქმიანობის გარკვეული სფეროებით შემოიფარგლება. ამიტომაც კოინეს არსებობა ხელს არ უშლის დიალექტურ განკერძოებულობათა შენარჩუნებას.

ზეპირსიტყვიერებისათვის ნიშანდობლივია მყარი ხატოვანი ფორმულები (მეტაფორები, შედარებები...). ეს ეხება პოეზიასაც და სიტყვის მაგიის სფეროსაც. ასეთი ფორმულები ძნელად იცვლება როგორც ლექსიკური მარაგის, ასევე ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების თვალსაზრისით. მეტიც: ეს ფორმულები ხშირად დიალექტიდან სხვა დიალექტშიც შეაღწევს ხოლმე. ეს კი ხელს უწყობს კოინეს მდგრადობას.

ქართული სალიტერატურო ენისათვის, როგორც ჩანს, კოინეს ამ სამივე ნაირსახეობას უნდა ჰქონოდა მეტ-ნაკლები მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა კი — ქალაქურ კოინეს.

(#150)

კოინე არა მხოლოდ დიალექტთა დიფერენციაციამდელი, არამედ შესაძლოა შედარებით ახალი წარმონაქმნიც იყოს, ჩამოყალიბებული დიალექტებად დანაწევრების პირობებში. ესაა ენობრივი ინტეგრაციის საწყისი, საერთო-ეროვნული ენის ეტალონთან მიახლოვების პროცესი.

8.2. საერთო-ეროვნული ენის რაობისათვის. ეროვნული ენა არის ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. ცნობილია განმარტება, რომ სალიტერატურო ენა არის ეროვნული ენის უმაღლესი და დახვეწილი, ნორმირებული სახე. მაგრამ საკუთრივ ეროვნული ენის განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

არსებობს ეროვნული ენის სხვადასხვანაირი დეფინიცია.

ზოგი განმარტებით, ეროვნული და სალიტერტურო ენა ემთხვევა ერთმანეთს: „ყველა ეროვნული ენა იმავე დროს სალიტერატუროც არის“ (არნ. ჩიქობავა). სალიტერატურო ენა იმავდროულად სამწერლობოცაა. თუ ასეა, მაშინ უმწერლობო ენა ეროვნული ვერ იქნება. გამოდის, რომ ეროვნული ენა განისაზღვრება დამწერლობის მქონებლობა-უქონლობის მიხედვით. დამწერლობით კი მხოლოდ ენის ფიქსირება ხდება, იგი არ შეიძლება იყოს ენის რაობის განმსაზღვრელი, პირიქით, თვითაა ენის რაობით, ბუნებით შეპირობებული.

სხვა განამრტებით, ეროვნულ ენას ქმნის ერთობლიობა იმ ენობრივი მოვლენებისა და მათში მონაწილე ელემენტებისა, რომლებიც საერთოა ყველა (ან უმეტესი წილი) ტერიტორიული და სოციალური დიალექტებისა და აგრეთვე ყველა

ზედიალექტური წარმონაქმნისათვის. სალიტერტურო ენა კი ეფუძნება ამ საერთო მონაცემს და მის ნორმირებულ, დახვეწილ სახეს წარმოადგენს.

საერთოში იგულისხმება როგორც ფონემატური, ასევე გრამატიკული, სემანტიკური, ლექსიკური და სტილისტური მონაცემები.

ფონეტიკაში ესაა ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკურ მოვლენათა ერთგვაროვანი მიდრეკილება.

მორფოლოგიაში — მორფოლოგიური ინვენტარისა და მის შემადგენელ ელემენტებს შორის მიმართებათა საერთოობა.

სინტაქსში — კონსტრუქციათა აგების ერთგვაროვანი პრინციპი.

ივარაუდება ძირითადი ლექსიკური ფონდის საერთოობა და ა.შ.

ამრიგად, საერთოობა ქმნის ეროვნულ ენას.

ნაირგვაროობა (ანუ: ის, რაც სხვაობას იძლევა ამ საერთოსაგან) დიალექტური დიფერენცირების შედეგია.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მოსაზრება, რომელიც სტრუქტურული ენათმეცნიერების თვალსაზრისით განიხილავს ამ პრობლემას. „თუ დიალექტს განვმარტავთ როგორც საზოგადო(#151)ების, რაიონის, სოციალური კლასის და ა.შ. მეტყველებას, საეჭვოა, ეს ცნება გამოადგეს სტრუქტურულ ენათმეცნიერებას, რადგან ეს ცნება აღჭურვილია სივრცული და დროითი ატრიბუტებით, რომლებიც საკუთრივ არ ეკუთვნის ენობრივ სისტემას... დიალექტები შეიძლება იყოს მოსაზღვრე ან შორეული, თანამედროვე ან არათანამედროვე, პრესტიჟის მქონე ან მდაბიო; ენობრივი სისტემები კი მკაცრად სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება იყვნენ მხოლოდ იდენტური ან განსხვავებული“ (უ. ვაინრაიხი). ამის გამო „დიალექტი“ იცვლება ტერმინით „სახესხვაობა“, რომლებიც განიხილება დამოუკიდებელი სისტემების დონეზე. საჭირო გახდა უფრო მაღალი დონის სისტემების აგება ამ დისკრეტული (წყვეტილოვანი, ცალკეული ელემენტებისაგან შემდგარი) და ჰომოგენური (წარმოშობით, შემადგენლობით ერთგვაროვანი) სისტემებისაგან. ასეთი „მაღალი დონის სისტემებს ეწოდება „დიასისტემები“ (|| „სუპერსისტემები“, „ზესისტემები“). „ლინგვისტმა დიასისტემა შეიძლება ააგოს ნებისმიერი ორი სისტემისაგან, რომელთაც ნაწილობრივი მსგავსება გააჩნია“..., ხოლო „დიალექტოლოგია იქნებოდა იმ პრობლემების კვლევა-ძიება, შესწავლა, რომლებიც დაისმის, როცა განსხვავებული

სისტემები (=დიალექტური სახესხვაობანი) ერთად განიხილება მათი ნაწილობრივი მსგავსების გამო“ (უ. ვაინრაიხი). ამდენად, საერთო-ეროვნული ენა ამ შემთხვევაში არსებითად განიხილება როგორც კონსტრუქტი, შედგენილი რამდენიმე სისტემის საფუძველზე, „მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დიასისტემა ყოველთვის მეცნიერის კონსტრუქცია იყოს მხოლოდ: ის გამოიცდება, მოწმდება ძალიან რეალურად ბილინგვალ (შესაბამისად — ბიდიალექტალ) მეტყველთა მიერ და შეესატყვისება იმას, რასაც ენათა კონტაქტების სპეციალისტებმა „შერწყმული სისტემა“ უწოდეს“ (უ. ვაინრაიხი).

როგორც ვხედავთ, საკითხი აქ პირუკუ არის დასმული: დიასისტემა (ანუ: საერთო, „გამჭოლი“ სისტემა) აიგება დიალექტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ჩვენთვის კი დიალექტი მხოლოდ ნაირსახეობაა, კერძო შემთხვევაა საერთო სისტემისა. სხვათა შორის, თვით უ. ვაინრაიხი აღნიშნავს, რომ სტრუქტურული აღწერის ტიპიურმა საშუალებებმა „თითქმის გამოუსადეგარი გახადეს სტრუქტურული ანალიზი რამდენიმე ნაწილობრივი მსგავსი სახესხვაობების (=დიალექტების) ერთდროულად განხილვისათვის“.

ეროვნული ენის ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად, ეროვნული ენა აერთიანებს ყველაფერს — ყველა სახის დიალექტს, სალიტერატურო ენას, სხვადასხვა სახის კოინეს, იდიოლექტს. აქ უფრო კონგლომერატთან გვაქვს საქმე, ვინემ მკაცრ ენობრივ სისტემასთან, რაც წარმოადგენს კიდეც ამგვარი განსაზღვრის არსებით ნაკლს.

(#152)

არსებობს თვალსაზრისი, რომ ეროვნული ენა არის სიტემა და ამ სისტემაში იმთავითვე ჩადებული პოტენცია, რომლის ხორცშესხმა (მატერიალიზაცია, გამოხატვა — რეალური არსებობა) ხდება სხვადასხვა დიალექტის, ზედიალექტის, სალიტერატურო ენისა თუ თვით იდიოლექტის საშუალებით. ეს თვალსაზრისი უშუალოდ ეფუძნება ენისა და მეტყველების დიქოტომიას. ამ შემთხვევაში არსებითია ენობრივი ტენდენციის გათვალისწინება ; ანუ: ეროვნული ენა უნდა გაგებულ იქნას თავისსავე დინამიკაში (და არა როგორც სტატიკურად მოცემული რამ). მაგალითად, ქართულისათვის ზოგადად ნიშანდობლივია ასეთი ფონეტიკური გარდაქმნის ტენდენცია: აე → ეე → იე (და-ე-მართა→ დე-ე-მართა → დი-ე-მართა; ჭალა-ებ-ი → ჭალე-ებ-ი → ჭალი-ებ-ი). ესაა, ასე ვთქვათ, ქართული ენის შესაძლებლობა, პოტენცია. სხვადასხვა მეტყველების (დიალექტების,

ზედიალექტების, სალიტერატურო ენის) დონეზე კი შესაძლებლობის სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი.

ასეთ თვალსაზრისთან ახლოსაა განმარტება, რომელიც ენას განიხილავს როგორც ინვარიანტს (უცვლელ, მუდმივ მონაცემს), რომელიც შეაპირობებს გამოხატვის (რეალიზაციის) ყოველ კერძო შემთხვევას, მაგრამ თვით კი დამოუკიდებელია მისგან.

8.3. ქართული სალიტერატურო ენა. „იმ ერს, რომელიც თავის სამწერლობო ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლია გონებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს, რადგან ამისთვის აუცილებლად საჭირო იარაღი არ აბადია: ენა ერის სტიქიური სულიერი ბუნებისა და ძალის გამოხატულებაა და ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი, მისი გადაგვარება თვით ერის სულიერი გადაგვარების მომასწავებელია. ყოველი ქართველი, რომელსაც თავისი ერისათვის კეთილი სურს..., მოვალეა ქართული ენის აღდგენას და მის განვითარებას ხელი შეუწყოს. ეს საჭიროა იმ გადაგვარებული წრეებისათვის კი არა, რომელთაც დედა-ენის დაკნინება სრულებითაც არ აწუხებთ იმიტომ, რომ პირადი კეთილდღეობა და დაწინაურება შეადგენს მათ უმთავრესს ზრუნვას, არამედ ჩვენი ხალხის და ეროვნების იმ უმრავლესობისათვის, რომლისთვისაც ქართული წინანდებურად სტიქიურად დედა-ენაა და მისი აზროვნებისა და გრძნობების ერთადერთი გამომხატველი“ (ი. ჯავახიშვილი).

ენა არა მხოლოდ აზრის გამოხატვისა ან ურთიერთობის საშუალებაა, არამედ უშუალოდ არის დაკავშირებული თვით აზრის ფორმირების პროცესთან. დავსახოთ ენა მზამზარეული აზრების გამოხატვისა ან გადაცემის საშუალებად — ეს იგივეა, რომ წყალი განვსაზღვროთ (#153) როგორც რეცხვის ან წყურვილის მოკვლის საშუალება (ლ. ვაისგერბერი).

ყველაფერი ის, რაც არ გამოიხატება ენით, რჩება ცხოველური ინსტიქტის დონეზე (ჰ. ჰოლცი).

მართალია, ენა ერის კუთვნილებაა და, ამდენად, ეროვნული თვითმყოფადობის უწინარესი ნიშანი, მაგრამ იგი ყოველთვის ინდივიდუალურად ვლინდება და ამიტომაც მასში მკვეთრად იჩენს თავს პიროვნების შინაგანი თვისებებიც. მეტიც: ზოგადად აღებული ენა („ენა თავისთავად“) არსებობს მხოლოდ იმდენად,

რამდენადაც არსებობს გარკვეული ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური წესები და კანონზომიერებანი, დამოუკიდებელნი პიროვნების ნებისაგან. თორემ თვით ენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ პიროვნებათა საშუალებით ვლინდება, ცალკეული პიროვნების მეტყველებაში არსებობს.

ენა იცვლება, ვითარდება, მაგრამ თუკი ეს ცვალებადობა თვისებრივად არ ცვლის მას, არ აქცევს სხვა ენად, მხოლოდ იმიტომ, რომ უცვლელი რჩება ენის შინაგანი თვითორგანიზების წესი. ეს არის ის კალაპოტი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ცალკეულ პიროვნებათა ენობრივი შემოქმედება.

იმავდროულად ყოველი ცვლილება, მეტყველების ყოველი ინდივიდუალური ნაირსახეობა იმთავითვე შეპირობებულია ენის იმანენტური პოტენციით.

ენა იმდენადაა ინდივიდუალური, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა მისი კოლექტიური ბუნება — საკომუნიკაციო, საურთიერთო ფუნქცია, და იმდენადაა კოლექტიური — საკომუნიკაციო ფუნქციის მქონე, რამდენადაც ერთდროულად კუთვნილებაა ცალკეული პიროვნებებისა.

ეს არის ერთი და იმავე არსის ორგვარი გამოვლინება.

აქედან გამომდინარე, ენა არის ის ობიექტური მოვლენა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ყოველ პიროვნებას გამოხატოს თავისი სუბიექტური მსოფლხედვა.

ერთიანი ქართული ეროვნული ენა სულ მცირე თხუთმეტი საუკუნეა არსებობს. ეს არის ფაქტი. ვარაუდებს კი უფრო შორს მივყავართ.

როგორც ითქვა, სალიტერატურო ენა ითვლება ეროვნული ენის უმაღლეს ფორმად. სალიტერატურო ენა ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ყოველ ეპოქაში შესაბამისი წესების სახით ამკვიდრებს მას.

სალიტერატურო ენა ხელს უწყობს ერის კონსოლიდაციას და აზიარებს მას მსოფლიო ლიტერატურისა და მეცნიერების მიღწევებს.

(#154)

სალიტერატურო ენა არის ერის კულტურის ნაყოფი და იმავე დროს მისივე განვითარებისა და წინსვლის მძლავრი საშუალება (ვ. თოფურია).

სალიტერატურო ენის განვითარებისა და დახვეწის სამი ძირითადი ფაქტორი არსებობს:

პირველი და უმთავრესი არის განვითარების შინაგანი პოტენცია.

შემდეგ: არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენის ურთიერთობას ცოცხალ კილოებთან;

და ბოლოს: ყოველი სალიტერატურო ენა მდიდრდება სხვა ენებთან გონივრული ურთიერთობითაც.

ყოველ სალიტერატურო ენას აქვს თავისი ნიშნები:

ა) იგი არის საერთო და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;

ბ) სალიტერატურო ენა არის სამწერლობო და ზეპირი (განსხვავებით დიალექტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ზეპირი მეტყველების სახით არსებობენ);

გ) სალიტერატურო ენა არის ნორმირებული (სალიტერატურო ენა საჭიროებს მეცნიერულად დასაბუთებულ გონივრულ ჩარევას, მისი დახვეწისათვის აუცილებელია მართებული პრინციპების გამომუშავება, რომლებიც წარმართავენ მისი შემდგომი განვითარების გეზს; ანუ: ხდება გარკვეული ეპოქისათვის ენის ფუნქციონირებისა და განვითარების პროგრამირება);

დ) სალიტერატურო ენა არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება.

გამოყოფენ ენის და, კერძოდ, სალიტერატურო ენის ოთხ ძირითად ფუნქციას: ა) საკომუნიკაციო ფუნქციას — ენა არის ურთიერთობის საშალება; ბ) ექსპრესიულ ფუნქციას — ენით გამოიხატება პიროვნების აზრები და შეგრძნებები; გ) მაკონსტრუირებელ ფუნქციას — ენა არის აზრის ფორმირების საშუალება; დ) მააკუმულირებელ ფუნქციას — ენაშია დაუნჯებული საზოგადოების გამოცდილება და ცოდნა (ვ. ავრონინი).

რაც უფრო ძლიერია სალიტერატურო ენა, მით უფრო ფართოა მისი გამოყენების სფერო.

კერძოდ, სალიტერატურო ენა, როგორც ოფიციალური ურთიერთობის საშუალება, გამოიყენება: სახელმწიფო მმართველობაში, სასამართლოში, განათლების სფეროში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, რელიგიაში, არმიასა და სპორტში, ყოფაცხოვრებაში და მისთ.

გამოყენების სფერო განსაზღვრავს სალიტერატურო ენის სტილურ ნაირსახეობებს. სალიტერატურო ენისათვის, საერთოდ, დამახასიათე(#155)ბელია მრავალსტილიანობა, რაც არ არის ნიშანდობლივი დიალექტური მეტყველებისათვის

(დიალექტის დონეზე სტილურ სხვაობას, ჩვეულებრივ, იძლევა პოეტური და საყოფაცხოვრებო სფერო).

სტილური ნაირსახეობანი არ უნდა აირიოს ცალკეულ პიროვნებათა მეტყველების მანერაში (რაც ყველა პიროვნებას შესაძლოა სპეციფიკური, თავისებური, გამორჩეული ჰქონდეს).

როგორც ითქვა, ქართულ სალიტერატურო ენას სულ მცირე თხუთმეტი საუკუნის ისტორია აქვს. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ეპოქათა მოთხოვნილებების შესაბამისად რამდენჯერმე იცვალა ის პრინციპები, რომლებიც მას ედებოდა საფუძვლად. ამის მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს გამოვყო რამდენიმე პერიოდი მის განვითარებაში.

პირველი, საწყისი ეტაპია ძველი ქართული, კლასიკური სალიტერატურო ენა, V საუკუნიდან XI-XII საუკუნეებამდე, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მკვეთრად გამოხატული კანონზომიერებანი, კერძოდ, კანონიზებული ფორმების მკაცრად დაცვა, ორიენტაცია საეკლესიო თხზულებების ენაზე და უწინარეს ყოვლისა ბიბლიის თარგმანზე, რაც განაპირობებდა უცხოენოვანი (უპირველესად — ძველი ბერძნული ენის) კალკების მომრავლებას.

რასაკვირველია, იმ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იგი იცვლებოდა, იხვეწებოდა, სრულყოფდა თავის გამომხატველობით საშუალებებს, მაგრამ ზოგადი ნიშან-თვისება, ენობრივი ტენდენცია, დამოკიდებულება ცოცხალ მეტყველებასთან, ანუ: საერთოდ, სალიტერატურო ენის ფუნქციონირების პრინციპი არსებითად ერთგვაროვანი რჩებოდა. ეს პრინციპი ვერ შეცვალა თვით ეგრეთწოდებული ხანმეტი და ჰაემეტი ფორმების შენაცვლებამაც კი.

თუ რა ყურადღებას აქცევდნენ იმდროინდელი მოღვაწენი ენობრივი წესების დაცვას, კარგად ჩანს გიორგი მთაწმიდელის ანდერძიდან, რომელიც მან თავის ნათარგმნ ოთხთავს დაურთო. იგი ასე მიმართავს ოთხთავის მომავალ გადამწერლებს: „ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ...“

აქ პირდაპირ არის ჩამოყალიბებული გიორგი მთაწმიდელის ენობრივი კონცეფცია, არაორაზროვნადაა წარმოჩენილი სავსებით გააზრებული დამოკიდებულება ოთხთავის თარგმანის ტექსტისადმი.

ამ პერიოდის სალიტერატურო ქართულს, რა თქმა უნდა, ოდინდელი ქართული ცოცხალი მეტყველება დაედო საფუძვლად, მაგრამ დროთა განმავლობაში სალიტერატურო და ცოცხალი მეტყველება დასცილდა ერთმანეთს, გაიმიჯნა და სალიტერატურო ენის წესების (#156) მკაცრად დაცვა საზოგადოების განათლებული ფენის ღირსების საქმედ იქცა. ხალხის სამეტყველო ენიდან ფორმათა შემოსვლა იზღუდებოდა. იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრების აღმწერს, გიორგი ხუცეს-მონაზონს, საჭიროდ მიუჩნევია იმის აღნიშვნა, რომ „ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ და სულიერი“.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მეორე ეტაპი XI-XII საუკუნეებიდან იღებს სათავეს, როცა საერო ლიტერატურის დამკვიდრებას არსებითი ცვლილებები მოჰყვა ენობრივი თვალსაზრისითაც: სალიტერატურო ენის განვითარება ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოების ნიშნით წარიმართა. იმავდროულად, აღმოსავლური პოეზიის ზეგავლენით, ქართულში უხვად შემოდიოდა სპარსული თუ არაბული წარმომავლობის სიტყვები.

თუ როგორ აფასებდნენ იმდროინდელი მწერლები ენის მნიშვნელობას პოეტური შემოქმედებისათვის, რუსთაველის ნათქვამიდანაც ნათლად ჩანს:

> „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
> მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
> მართ აგრეთვე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,
> რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.
> მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
> რა ვეღარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
> არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
> ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“.

ენობრივი სიღარიბე („სიტყვა-მცირობა“) აზრის სიღარიბეს გულისხმობს, „შემოკლებული ქართულით“ კი მჭლე და უსახური ხატები იქმნება მხოლოდ — ჭეშმარიტი შემოქმედებისათვის ურგები და უფერი.

ყოველმხრივ გამართლებული ტენდენცია სამწერლობო ენის დაახლოებისა ხალხურ მეტყველებასთან იმავე დროს გარკვეულ შეზღუდვებსაც უნდა ექვემდებარებოდეს, რადგან უამისოდ ენას სრული გაუბრალოების, გაპრიმიტიულობის საშიშროება ელის და ყოველ კერძო შემთხვევაში შესაძლოა ამა თუ იმ ინდივიდის პიროვნულ ჭირვეულობას დაჰყვეს.

საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის რღვევამ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის დასუსტებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ სალიტერატურო ენას.

აი, ორიოდე ნიმუში XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალური საგელ-გურჯების ენისა:

(#157)

1639 წელი: „ქ. ნებითა ღთისათა ჩუენ, მეფეთ მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან როსტომ ესე ყანუნლამა და ციხის კარის ფული(ს) საქმე ასრე გავარიგეთ და გავაჩინეთ ბედნიერის ყაენის რაყმის საქმითა. ვითაც შაჰმირ ნიმბაშის დროს ცუდ-მადი კაცი ვინც მოხუდებოდა ყაფი ფულზედ, უდიერს საქმეს იქმოდეს და ნიადაგ მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცი ირჯებოდა. აწ ამისი ჴელმწიფის ბრძანებით ასრე გავარიგეთ: უნდა აიღებოდეს ყაფი ფულად აბრეშუმის საპალნეზედა შაური ერთი, ფართლის საპალნეზედ ნახევარ შაური...“

ეს არის ამონარიდი მეფის განჩინებიდან. ადვილი წარმოსადგენია, რა ვითარება იქნებოდა დაბალ ფენებში, სადაც სალიტერატურო ენის ტრადიციებს ნაკლებ შემზღუდავი ძალა ჰქონდა.

1722 წელი: „ამას წინათ ვეზირი ყიასა ყაიბულაშვილს იმამვერდას და სუფრაჯის იმამყულის შვილს ბარხუდარას თავის აბანოზედ შეშარიქებოდა...“

ბარბარიზმების მოძალებამ ათქმევინა არჩილს:

> „ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით,
> მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით“.

სავსებით განსაკუთრებულია სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი, რომელმაც თავის ქართულ ლექსიკონში სათანადო ადგილი მიუჩინა და შესაბამისად განმარტა დიალექტური თუ უცხოენოვანი სიტყვები და ამით იმდროინდელი სალიტერატურო

ენის თვალსაზრისით ნორმატიული ფორმები თვალნათლივ წარმოგვიჩინა. ნიშანდობლივია მისეული განმარტებანი: „მარტჳლი — ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრმას(ა) უწოდენ“; ანდა: „სამინდალი — ბერძნულია, ქართულად ზანდური(ი)ს ფქვილს ჰქვიან, რომელ არს თათუხი. ვიეთთა სამინდოდ აღუწერიათ, რომელ არს ჴლარჩი“ და მისთ.

და მაინც, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ქართულ ენას არ ასცდა გადაგვარების საფრთხე. სხვა ენათა განუკითხავმა მოძალებამ გარდუვალი შერყვნის საშიშროება შეუქმნა მას. დარბაისლური მეტყველება გარმიანული ჟარგონით იცვლება. ენა კარგავს ეროვნულ ნიშატს, ივსება ბარბარიზმებით, უცხოური კალკებით, იფიტება, მოუქნელი და მყიფე ხდება.

ეს რეალური საფრთხე განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებში დაუდგა ქართულ ენას.

უთუოდ ამგვარ ვითარებაზე რეაქციას წარმოადგენდა ანტონის სამი სტილის თეორია, რომელიც სათავეს ანტიკურ საბერძნეთში იღებს, ხოლო საქართველოში კი რუსეთის გზით შემოაღწია, თუმცა პრაქტიკულად მას გარკვეული წინამძღვრები საკუთრივ ქართულ სინამდვი(#158)ლეშიც ჰქონდა: ცნობილია, რომ თვით სულხან-საბა ორბელიანიც მიმართავდა სხვადასხვა სტილს სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში — „საბა ორბელიანი, ავტორი „სიბრძნე სიცრუის წიგნისა“, რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას „სწავლანი ანუ ქადაგებანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს... კითხულობთ ამ ნაწარმოებს და ხედავთ, რომ ძველი ქართულის მორფოლოგიურ-სინტაქსური, ასევე ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ნორმები უმეტეს წილად დარღვეულია, მაგრამ წინადადებათა წყობა, წინადადებებში სიტყვათა წყობა და სტილებრივი თავისებურებები იმდენად კარაგდაა დაცული, რომ გამოუცდელი მკითხველი ამ ნაწარმოებს ვერც გაარჩევს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის რომელიმე ძეგლისაგან“ (ი. გიგინეიშვილი).

ანტონმა ამ ტენდენციის დაკანონება სცადა.

სამი სტილის დამკვიდრებისას ანტონი აქტიურად ჩაერია მაღალი სტილის გამომუშავებაში. მან აშკარად მიანიჭა უპირატესობა ძველ ქართულს, როგორც სასულიერო თხზულებების ენას, კერძოდ, იოანე პეტრიწის სტილს, ოღონდ ეს მხოლოდ საყრდენი იყო, გარკვეული ბაზისი, რომელსაც დაეფუძნა ანტონ

კათალიკოსის მიერ თავისივე თეორიული წინამძღვრების მიხედვით შემუშავებული მძიმე, ღვარჭნილი, უკიდურესად გართულებული მეტყველება. ეგ იმიტომ, რომ უმეტეს წილად მისი თეორიული წინამძღვრები ძველი ქართული ენის ფორმათა მცდარ ინტერპრეტაციაზე იყო აგებული — პირის ნიშნების განუკითხავი გამოყენება თვით სახელზმნურ ფორმებში („ჰსწავლა“) და მისთ.

იმავდროულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით გრამატიკური სისტემა ქართული ენისა ანტონმა ძირითადად მართებულად ააგო და მას, შეიძლება ითქვას, დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა როგორც ენის სტრუქტურის ერთ-ერთი საინტერესო ინტერპრეტაციას. მით უფრო განსაკუთრებული იყო ამ ნაშრომის მეცნიერული ღირებულება იმ დროისათვის. ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ანტონის გრამატიკულმა შეხედულებებმა თითქმის საყოველთაო ავტორიტეტი მოიპოვა და მის მიერ დამკვიდრებული სამი სტილის თეორია ლამის საუკუნის განმავლობაში ბატონობდა. სწორედ ეს თეორია დაედო საფუძვლად ქართული სალიტერატურო ენის მესამე ეტაპს.

თავისთავად ანტონს უთუოდ კეთილშობილური სულისკვეთება ამოქმედებდა: იგი ქართული ენის დახვეწასა და გამძლავრებას ესწრაფვოდა, მაგრამ XVIII საუკუნის საქართველოსათვის სამი სტილის თეორია უკვე ანაქრონიზმი აღმოჩნდა და ხელოვნურობის, ძალდატანების აშკარა დაღი ესვა.

(#159)

ანტონის ავტორიტეტს არ უარყოფდა თვით ილია ჭავჭავაძეც კი: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ მე არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა“.

მაგრამ ეს ავტორიტეტი შეუვალი მაინც არ იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის 30-40-იან წლებში საქართველოში გავრცელება იწყო ევროპული ორიენტაციის მქონე განმანათლებლობის იდეებმა.

ამ პერიოდისათვის უკვე სრულიად ნათელი იყო ანტონ კათალიკოსის დოქტრინის ანაქრონიზმი, თუმცა მისი დიქტატი გრძელდებოდა. საწინააღმდეგო თვალსაზრისი კი მაინც სულ უფრო დაუფარავად იჩენდა თავს და თანდათანობით მეტ მომხრეს პოულობდა.

ენობრივი კრიზისი XIX საუკუნის სამოციან წლებამდე გაგრძელდა.

მხოლოდ ცოცხალი კილოების შინაგანი განვითარების ტენდენციათა შესისხლხორცება გადაარჩენდა ქართულ ენას სრული გადაგვარებისაგან.

ეს პროცესი XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო თერგდალეულთა მესვეურობით და იგი უკვე მეოთხე ეტაპია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა.

მოძრაობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად ცარიელ ადგილზე არ დაწყებულა. მას საკმაოდ მძლავრი წინამძღვრები ჰქონდა.

1850 წელს გ. ერისთავის „გაყრის“ წინასიტყვაობაში პლატონ იოსელიანი შენიშნავდა: „მწერლობა ძûწლთა, გარდა რუსთაველისა და მცირედღა სხûათა, არა იყო ჩûწულებითის საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა“. იგი იწონებს გიორგი ერისთავის კომედიის ხალხურ მეტყველებას, აღნიშნავს, რომ გიორგი ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახლისა გûარის მწერლობისათჳს“ და იმედს გამოთქვამს, რომ „ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“.

რა თქმა უნდა, გიორგი ერისთავს წინამორბედებიც ჰყავდა; კერძოდ, მან „გამოიყენა ის ქართული, რომელიც მომდინარეობდა XVIII საუკუნიდან და რომელიც აცდენილი იყო ანტონის სკოლის გავლენას და კეთილად შეაზავა იგი ცოცხალ მეტყველებასთან“ (ვ. თოფურია).

პლატონ იოსელიანის მოწოდება თუმცა საყოველთაოდ არ დანერგილა, მაინც არ დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მოთხოვნა იმდენად რეალური და განსახორციელებლად ისე საშური იყო, რომ მან თითქმის მაშინვე პოვა გამოძახილი.

(#160)

1854 წელს გაზეთ „კავკაზში“ დიმიტრი ყიფიანი აქვეყნებს სტატიას, სადაც სხვა, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, ეხება ქართულ ენასაც და არსებითად მართებულ შეფასებას აძლევს იმდროინდელი ზეპირი და სამწერლობო მეტყველების ურთიერთმიმართებას: „ზეპირი მეტყველება, თავისთავად მოქნილი, ნარნარა, მდინარი, ქაღალდზე გადატანისას იქცევა ბლანტად, მძიმედ, არაბუნებრივად“. საქმე იქამდე მიდის, რომ „ქართული ენის შესწავლა ყოველთვის აშინებდა თვით ქართველებსაც კი“. ეს იმიტომ, რომ წერა ხდება „ბუნდოვანი, მძიმე, მაღალფარდოვანი ენით“. აუცილებელია ამ ვითარების ძირეული შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლულ ქართველთა ერთი ნაწილი ჯიუტად

იცავს ძველ სქოლასტიკურ სტილს, ცოცხალი მეტყველება მაინც გაიკაფავს გზას მწერლობაში, თუნდაც „ისეთ თხზულებებში, რომლებიც გამიზნული არიან პირველდაწყებით სწავლისა ან წმინდა მხატვრული ლიტერატურისათვის“.

ნიშანდობლივია ეს კომპრომისული მოწოდება — შეუძლებელი ჩანდა თითქმის საუკუნოვანი ტრადიციის შეცვლა ხელის ერთი დაკვრით.

თვით ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანიც, რომელსაც „კომპრომისული პოზიცია უჭირავს“, მაგრამ „უმთავრესაც მაინც მოძველებულ ფორმებს უჭერს მხარს“ (ჯ. ჭუმბურიძე) და რომელიც კრიტიკულად აფასებს გიორგი ერისთავის კომედიის „დაკუწვილ ლაპარაკს“ (რითაც იგი პრინციპულად უპირისპირდება პლატონ იოსელიანის თვალსაზრისს), თვით იგიც კი იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმხანად თავჩენილ ახალ ტენდენციას სალიტერატურო ენასთან დაკავშირებით: „გულმოდგინენი ვთხოვთ, თუ მართლა ახალი ქართული იცოდენ, დაგვანახონ, დაგვიმტკიცონ, რომ სწავლისათჳს გამოიცეს ახალი ქართული ენა და იმის მაგალითსა შეუდგეთ ყოველნი, რომლითაცა დიდად დაგვავალებს თავის მემამულეთ“. მეტიც: მასვე აქვს დასმული ერთიანი სალიტერატურო ენის შემოღების საკითხიც და ამ თვალსაზრისით უპირატესობას ანიჭებს „საშუალ სტილს“: „საშუალო ანუ დარბაისელთ ენა ასეთი უნაკლო ენა არის, რომ დიაღ ადჳლად შეიძლება, ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს, იმაზედაც (გამოიხატოს) და კარგათაც გამოვა ყოველი ქართული სიტყჳერება“.

პაექრობაში ჩაება ლავრენტი არდაზიანიც. 1859 წელს გამოქვეყნებულ წერილში იგი აღნიშნავდა: „ეხლანდელი ყმაწვილი კაცები ორ წყალ შუა არიან. იმათ არ იციან რომლის ენით სწერონ: საღმრთო წიგნურის ჭორმით, თუ შეჰქმნან პროზა საერო ენაზე. ჰგრძნობენ საღმთო (#161) წიგნურის ენის სიმძიმესა და ურგებობასა და მასთანვე შიშობენ წერასა საეროს ენის ჭორმით“, და დასძენს: „გამშჳნიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე... საჭიროა, რომ პროზაცა, პოეზიაცა იწერებოდნენ ერთის ენით. მაშინ დაწინაურდება ლიტერატურა“.

ჟურნალ „ცისკრის“ 1860 წლის თებერვლის წიგნში ქვეყნდება ივანე კერესელიძის სტატია, სადაც ნათქვამია: „მაღალი ფრაზით წერა მაშინ არის კარგი და გამოსადეგი, როდესაც საღმრთოსა რასმე საგანს შეეხება, ღრმას ჰსწავლასა და მეცნიერებასა“; მაგრამ ამავე წერილში ნათლად იჩენს თავს საერთო სულისკვეთება

ენის დემოკრატიზაციისა: ლიტერატურაში პირველი ღირსება არის ის, რომ ცხოველს, სასაუბრო ენას დაუახლოვდეს, რამდენადაც კი შეიძლება“.

არსებითად ამ მოსაზრებას ემხრობოდა დიმიტრი ბაქრაძეც.

ასე რომ, იმხანად ქართულსავე სინამდვილეში არსებობდა სავსებით პოზიტიური აზრი ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების თაობაზე. ამ თეორიულ პრინციპებს პრაქტიკულად ახორციელებდნენ გიორგი ერისთავი, ლავრენტი არდაზიანი, დანიელ ჭონქაძე და სხვანი.

წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ქართული ენის დახვეწისა და გახალხურების აუცილებლობის საკითხი დაისვა დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ „ქართული ენის მოკლე გრამატიკაში“, რომელიც 1855 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგში რუსულ ენაზე. სწორედ ამ ნაშრომში იყო დასაბუთებული ქართული ორთოგრაფიის გამარტივების აუცილებლობაც.

ამრიგად, არსებობდა ფრიად მძლავრი წინამძღვრები ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად.

საჭირო იყო ამ წინამძღვრების სრულყოფა, დახვეწა და შემდგომ ამისა მათი ხორცშესხმა და განუხრელი დამკვიდრება.

ეს მისია თერგდალეულებს დაეკისრა და უწინარეს ყოვლისა მათ იდეურ წინამძღოლს — ილია ჭავჭავაძეს.

ის, რაც თეორიულად უდავო ჩანდა, პრაქტიკული განხორციელებისას მკვეთრ წინააღმდეგობას წააწყდა.

იმავდროულად ერთიანი სალიტერატურო ენის პრობლემა უშუალოდ დაუკავშირდა ეროვნული თვითმყოფადობისა და კონსოლიდაციის საკითხს.

უეჭველია, რომ როგორც ანტონ კათალიკოსის კონცეფციის მომხრეთ, ასევე მის მოწინააღმდეგეებს ამოძრავებდა დედაენის ჭეშმარიტი სიყვარული, მისი განვრცობისა და დახვეწის სურვილი. ამიტომაც გასათვალისწინებელია როგორც ერთი, ასევე მეორე თვალსაზ(#162)რისი და ამ თვალსაზრისების დასამკვიდრებლად მოხმობილი საბუთიანობა.

გრიგოლ ორბელიანი ერთგან შენიშნავდა: „ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი, ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალას მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰსწმენდს, არ გაამშვენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოსში. მერე იმ გალამაზებულსა ენასა

გამშვენიერებული ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიც არის პატრონი ენისა და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა...“

ამ დებულებას დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება.

არაა გასაკვირი, რომ ძველი თაობის წარმომადგენლებმა არ ინდომეს ხელდახელ უკუგდება არსებული ენობრივი ტრადიციისა. ენა ერთადერთი იმედი იყო ერის ხსნისა. გარდა ამისა, ტრადიციის ხელაღებით უარყოფა ქმნიდა ძველ, კლასიკურ ქართულ სალიტერატურო ენასთან სრული გამიჯვნის საშიშროებას — დაირღვეოდა მრავალსაუკუნოვანი ერთიანობა. ამას კი გარდაუვალად მოჰყვებოდა უფრო მძიმე შედეგი: ქართველთა მომავალი თაობები ვეღარ შეისისხლხორცებდნენ წინაპართა სულისკვეთებას, ვეღარ გაითავისებდნენ მამა-პაპათა მიერ შექმნილ კულტურას, ამ კულტურის მემკვიდრედ და გამგრძელებლად ვერ იგრძნობდნენ თავს. ახალი განუკითხავად დაუპირისპირდებოდა ძველს. ქართველთა თვითდამკვიდრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია თაობათა მასაზრდოებელი სულისკვეთების ნაცვლად სათავგადასავლო ამბების გროვადღა იქცეოდა. რა თქმა უნდა, ეს ხელს აძლევდა ზოგიერთებს, მაგრამ არამც და არამც ჭეშმარიტ მამულიშვილებს.

ძველი თაობის წარმომადგენლები არც იმას უარყოფდნენ, რომ ენა ვითარდება და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ცნობილია ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება, ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ, კაცნი, ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე. ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს“.

და რაოდენ საგულისხმოა, რომ გრიგოლ ორბელიანიც ამავე აზრისაა. ეხება რა თავის მიერ ჩამოყალიბებულ საგრამატიკო წესებს, იგი შენიშნავს: „ვინიცობაა, თუ ეს მოხსენებული ტეორია დაძველდა, გაცუდდა და აღარ ჰშვენის აწინდელსა ჩვენსა ენასა, მაშინ არ შეიძლება, რომ დაიდვას კანონად ესე“; და ასკვნის: „შევათანხმოთ ტეორია პრაქ(#163)ტიკასა ისე, რომ არ დაირღვეს, არ წახდეს თვისება და სიწმინდე ენისა“.

ახალმა თაობამ დაამტკიცა, რომ მისი ენობრივი პოზიცია კი არ ეწინააღმდეგებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციებს, არამედ, პირიქით, ამ ტრადიციებით იყო ნაკვები და იმავდროულად

აუცილებელიც ენის სასიცოცხლო ძალების გასანედლებლად. არსებითი იყო ისიც, რომ მხოლოდ ამგვარი თვალსაზრისის საფუძველზე შემუშავებული სალიტერატურო ენა გახდებოდა ქართველთა კონსოლიდაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

როგორც აღინიშნა, ახალი თაობის ენობრივი პოლიტიკა მყარ დასაყრდენს პოულობდა თვით ქართულ სინამდვილეში. გ. ერისთავის, ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძის და სხვათა სადა, ხალხური ქართულით დაწერილი თხზულებანი უკვე კარგად იყო ცნობილი მაშინ, როცა თერგდალეულები ერის სულიერ და კულტურულ აღორძინებას ჩაუდგნენ სათავეში. თერგდალეულთა უცილობელი დამსახურება ის არის, რომ მათ საგანგებოდ გაამახვილეს ყურადღება ენის ფაქტორზე და ერთიანი სალიტერატურო ქართული ენა ქართველი ენის კონსოლიდაციისა და აღორძინების უპირველეს პირობად გამოაცხადეს.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ენობრივი პროგრამა. მის მიერ ჩამოყალიბებული სამი არსებითი დებულება დღესაც განსაზღვრავს ქართული სალიტერატურო ენის არსს:

ა) ენა ვითარდება და განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს და დანერგოს ყოველგვარი სიახლე, რომელიც ენის შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას განაპირობებს;

ბ) „სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია“;

გ) „ხალხია ენის კანონის დამდები“.

ენის შექმნა ერთ და ორი, თუნდაც ყოველმხრივ წარმოჩენილი, პიროვნების ნება-სურვილს არ ექვემდებარება. თერგდალეულებმა მხოლოდ საყოველთაოდ გაავრცელეს და დაამკვიდრეს ის მოწინავე ტენდენცია, რომელიც იმდროინდელი ქართული მეწინავე საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. სავსებით მართებულია დ. ბაქრაძის სიტყვები: „რაც უნდა გასაოცარის ნიჭით იყოს შემკული ერთი თუ ორი პირი, ის ენის განვითარებას ვერ შეიძლებს: მთელის საზოგადოების საქმეა ანუ მთელის ხალხისა. კერძოობითი პირი მხოლოდ შეითვისებს ენასა მეტათ თუ ნაკლებათ თავისის ნიჭისაებრ... საუბარს, რომლითაც არის დაწერილი ვეფხისტყაოსანი, ჩვენ მივაწერთ რუსთაველს იმ მიზეზით, რომ ჟამნი წარხდენილად, შთამომავლობანი (#164) აღმოხოცილან და მათ საუბარს ჩვენამდე მოუწევია მხოლოდ რუსთველის ქმნულებაში“.

რა თქმა უნდა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების რთულ და ხშირად წინააღმდეგობრივ პროცესში გარკვეული შეცდომებიც იყო, ზოგი რამ გაუთვალისწინებელი ან მივიწყებული რჩებოდა, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევდა და რასაც ზოგჯერ სრულიად გაუმართლებელი უკიდურესობანიც მოჰყოლია, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ცოცხალი ქართული მეტყველების საწყისებისაკენ მიბრუნებამ და იმავდროულად ევროპიზაციის ტენდენციამ კეთილი ნაყოფი გამოიღო, ხელი შეუწყო ქართული სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი ტრადიციების შენარჩუნებას და მასთან სრულყოფილი შესაძლებლობაც მისცა მას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობანი თვით ახალთაობის წარმომადგენელთა მიერაც იქნა შენიშნული. ალ. ჭყონია წერდა: „მე არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენს მწერლობას არავითარი ნაკლოვანება არ ქონდეს (თითქოს მას ერთი მძიმე საყვადური ეკადრება: ამ მწერლობამ თავისი ახლად ამორჩეული ენა ვერ შეიმუშავა. თითქმის ყოველს მწერალს ჩვენში თავისი გრამატიკა აქვს. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენს თანამედროვე მწერლებს არ შეუსწავლიათ ჩვენი ძველი გამოჩენილი მწერლობა, რომლისაც ენა მართლა ძლიერ შემუშავებული არის. სამწერლო ენის ცვლილებისა და წარმატებისათვის საჭიროა, რომ ძველი მწერლობა რიგიანათ შევისწავლოთ...“

მართლაც, ამ პერიოდში დიალექტიზმების გაუმართლებელმა მოჭარბებამ იჩინა თავი. ნატურალისტური ტენდენცია — ყველაფერი დასულიყო „გლეხურ ენამდე“ — ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა ქართულს, რადგან „ხალხის მეტყველებაში ბევრი რამაა ისეთი, რაც სალიტერატურო ენისათვის ზედმეტია ან უცხო“ (არნ. ჩიქობავა).

არადა, ზოგჯერ სწორედ ამას მოითხოვდნენ. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ნიკო ნიკოლაძის ერთი კრიტიკული შენიშვნა: „1861 წელს უფ. ილია ჭავჭავაძემ დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია ჩვენს მწერლობას. უწინდელი ჩვენი მწერლები ხმარობდნენ მკვდარ მწიგნობრულ ენას, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერც კი იგებდა. ილია ჭავჭავაძემ პირველათ დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობსო. ამით მან ზურგი გაუმაგრა იმ მწერლებს, რომელთაც მასზე უწინ სახალხო ენაზე წერა დაეწყოთ. „საქართველოს მოამბის“ შემდეგ ქართულმა მწერლობამ ერთ-ორი ნაბიჯი მაინც წინ წაადგა და უფრო და უფრო მიითვისა სახალხო ენა, რომელიც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლო(#165)ბაში გამდიდრდა საქართველოს სხვადასხვა

პროვინციალური დიალექტების სიმდიდრეების ჩართვით ქართულ მწერლობაში. უფ. ილია ჭავჭავაძეს ეხლა ალბათ შეშინებია იმ მიმართულების, რომელიც თვითონვე დაამყარა. „ივერიის“ პირველ ნომერში ის უკან დახეულა ძველ მწიგნობრულ ენისკენ. დღეს ის თითქოს საგანგებოდ უბრუნდება დავიწყებულ სიტყვისწყობილებას, მიტოვებულ ფლექსიებს და უხმარ მიმოხვრას...“

საყვედური უმართებულო იყო.

ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოება, როგორც ითქვა, არ ნიშნავს მასთან სრულ გათანაბრებას.

იმავდროულად არ უნდა გაწყვეტილიყო კავშირი ძველი ქართულის ფასეულ ტრადიციებთანაც.

სალიტერატურო ენა ყოველთვის გულისხმობს გონივრულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ჩარევას, რაც ენობრივი ტრადიციისა და ახალი ტენდენციების მართებულ ურთიერთშეჯერებას უნდა ეფუძნებოდეს.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ თუკი ნ. ნიკოლაძე ტრადიციების ერთგულებას უსაყვედურებდა ილია ჭავჭავაძეს, სხვანი იმას უკიჟინებდნენ, რომ „ივერიამ“ ზრდილობიანი ქართული ენა სულ გააპამპულა, მდაბიო ხალხის ენად გადააქციაო (ი. მანსვეტაშვილის მოგონებიდან).

ყველა თავისი სამრეკლოდან არისხებდა ზარებს, თავისი საზომით ზომავდა, თავისი თვალთახედვით აფასებდა ყოველივეს.

ქართული ენის დახვეწისა და განვითარების გზა კი ის იყო, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები რომ ამკვიდრებდნენ.

სხვა საშიშროებაც ემუქრებოდა იმხანად ქართულ სალიტერატურო ენას. ეს იყო ხელოვნური ან უხეიროდ კალკირებული (სიტყვასიტყვით ნათარგმნი) ფორმები, რაც ესოდენ მომრავლებულიყო განსაკუთრებით პუბლიცისტიკის ენაში. სწორედ ამან გამოიწვია აკაკი წერეთლის საყვედური: „მის ნაცვლათ, რომ ძველი წიგნები გადაიკითხონ, ხალხის სიტყვა-პასუხს ყური დაუგდონ, ენის ხასიათს დაუკვირდენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ და ისე სწერონ, ისინი თავის საკუთარი გამონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენ“.

ისევე, როგორც ყველა სხვა ენა, ქართული ენაც არასდროს ყოფილა დაზღვეული უცხო ენათა გავლენებისაგან, შემღვრევებისაგან, რაც — განსაკუთრებით გარდასულ ეპოქებში — უმეტეს წილად სტიქიური, არათანაბარი და არაკანონზომიერიც იყო:

ბერძნიზმები, ირანიზმები, არაბიზმები, თურქიზმები, არმენიზმები მრავლად იპოვება ძველი ქართული ენის პირველხარისხოვან ძეგლებშიც კი.

(#166)

ქართულმა ენამ დროთა განმავლობაში თითონ გადაწყვიტა ეს პრობლემა: საჭირო — გააქართულა, გამოუსადეგარი — უკუაგდო.

ენამ ამ შემთხვევაში თვითგანწმენდის მისია შეასრულა.

მაგრამ იცვალა ეპოქა. აღარ შეიძლებოდა წლობით ლოდინი, სანამ ენა თავისით, სტიქიურად გამონახავდა განვითარებისა და სრულყოფის ახალ გზებს. ამიტომაც უკვე გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები უნდა ყოფილიყო შემუშავებული.

1863 წელს „საქართველოს მოამბე“ ბეჭდავს დავით ყიფიანის სტატიას სათაურით „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“, სადაც სხვა საყურადღებო მოსაზრებათა გვერდით ჩამოყალიბებულია ფრიად ანგარიშგასაწევი დებულება ერისათვის ენის მნიშვნელობის თაობაზე: „იმ ხალხს, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი, ხალხობა არ ეთქმის“.

ეჭვი არ არის, რომ ძველი თაობის პრეტენზიები, რომლებიც ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებას ეწინააღმდეგებოდა, ხშირად უმართებულო და დაუსაბუთებელი იყო, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა კიდევაც, ბევრი მათი შეხედულება დავას არ უნდა იწვევდეს; სადღეისოდაც არ დაუკარგავს ძალა ბარბარე ჯორჯაძის თუნდაც ამ გამონათქვამს: „ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშუერობას“.

XIX საუკუნის სამოციან წლებში აღებულმა გეზმა კეთილი ნაყოფი გამოიღო. ცოცხალი ქართული მეტყველების საწყისებისაკენ მიბრუნებამ და ამასთანავე ევროპიზაციის ტენდენციამ, როგორც ითქვა, განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შემდგომი გზა. იგი უშუალოდ უკავშრდება ახალ ეტაპს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას. მას პირობითად **თანამედროვე** ქართული სალიტერატურო ენა შეიძლება ეწოდოს (მეხუთე ეტაპი).

XX საუკუნის ოციანი წლებიდან უკვე გეგმაზომიერი, მეცნიერულად გააზრებული ენობრივი პოლიტიკის სახეს ატარებს ის, რაც ადრე მეტ-ნაკლებად სტიქიური ხასიათისა იყო.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას, რომელიც ზოგი ნიშნით სხვაობს ახალი ქართული სალიტერატურო ენისაგან, ორიენტაცია თბილისურ ქართულ მეტყველებაზე აქვს აღებული და იმავდროულად პერმანენტულად მდიდრდება ქართული ცოცხალი კილოებისა და ძვე(#167)ლი ქართული სალიტერატურო ენის ფორმებით. თბილისური მეტყევლების ბალავარი ქართული მეტყველებაა, ხოლო მის დახვეწასა და გაბარაქიანებაში მეტ-ნაკლებად ქართული ენის ყველა კილო იღებდა მონაწილეობას.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას პრინციპად უდევს:

ა) სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას მაქსიმალურად გამოყენებულია დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, იკრძალება ხელოვნური ნორმები — დაშორებული ცოცხალი ენისაგან;

ბ) უცვლელად რჩება ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება.

პარალელური, მოცილე ფორმების არსებობისას სალიტერატურო ენაში მკვიდრდება ის ფორმა, რომელიც: ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას; ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამდებობას; გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია; დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

ორთოგრაფიული თვალსაზრისით სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. მოცილე ფორმების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფორმას, რომელიც: ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში; ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად; გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით (იხ.: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები; პირველი კრებული. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპებს საფუძვლად დაედო არნ. ჩიქობავას მოხსენების დებულებები).

რაც შეეხება ლექსიკური ფონდის გადახალისებასა და გამდიდრებას, ეს ოთხი ძირითადი პრინციპით ხდება: ა) ძველი ქართული ტერმინების გაცოცხლება; ბ) სიტყვათწარმოებითი ინვენტარის მაქსიმალური გამოყენება; გ) ახალ ცნებათა შესაბამისი ფორმობრივი ეკვივალენტების დაძებნა ცოცხალ კილოებში; დ) ინტერნაციონალური ლექსიკის სესხება და უცხო ენათა ფორმების ქართულის შესაბამისად კალკირება.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა უშუალო მემკვიდრეა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. ზოგჯერ მათ აიგივებენ კიდეც. მიუხედავად აშკარა სიახლოვისა, მათ შორის მაინც არის რიგი (#168) სხვაობისა, რაც მათი გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევა. ამ სხვაობათაგან არსებითია ორი:

ა) ახალი ქართული სალიტერატურო ენისადმი დამოკიდებულება თუმცა სავსებით გააზრებული იყო, მისი ჩამოყალიბება უპირატესად მაინც სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ხშირად სამწერლობო ენაში განუკითხავად შემოდიოდა დიალექტიზმები: „XIX საუკუნის მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიული საბუთების ენა გაჟღენთილია დიალექტიზმებით“ (ვ. თოფურია). ეს განუკითხაობა პრინციპულად მოიხსნა შემდგომ ეტაპზე. გარდა ამისა, ახალ ქართულ სალიტერატურო ენას არა ჰქონია სახელმწიფოებრივი სტატუსი — იგი ქართული კულტურის ენაა, მაგრამ არა სახელმწიფოებრივი ღირებულებისა. ეს კი უშუალოდ ზმოქმედებდა მისი გამოყენების სფეროზე.

ბ) ახალი ქართული სალიტერატურო ენა ძირითადად მხატვრული ლიტერატურისა და პრესის ენაა. ამის გამო იგი არსებითად მონოვალენტოვანია. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, იღებს რა სახელმწიფოებრივ სტატუსს, პოლივალენტოვანი ხდება: „ქართული სალიტერატურო ენა დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესბუბლიკის სახელმწიფო ენაა. ეს ენა მომსახურეობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებს, მდიდარ პრესას, რადიოს, თეატრს, მრავალრიცხოვან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს. ქართულ სალიტერატურო ენას არასდროს ჰქონია გამოყენების ასეთი ვრცელი ასპარეზი, არც განვითარების ასეთი ფართო შესაძლებლობა. ქართული სალიტერატურო ენა არასდროს ყოფილა ისე მდიდარი სასიცოცხლო ძალებით, ისე ძირმტკიცე, როგორადაც ის იქცა დღეს“ (არნ. ჩიქობავა). ეს კი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში (ახალ ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით)

პრინციპულ გადახალისებას იწვევს როგორც ლექსიკის, ასევე სტილური მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

უთუოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა უკვე აღარ არის დამოკიდებული რომელიმე დიალექტსა და ზედიალექტზე — კოინეზე (თუმცა კილოური ფორმებით, საჭიროების შემთხვევაში, უხვად სარგებლობს); პირიქით, თვით ახდენს განუხრელ ზეგავლენას კილოებზე, რაც აშკარად ვლინდება მკვეთრი დიალექტური ფორმების ნიველირების ტენდენციით.

დედაენის და, კერძოდ, სალიტერატურო ენის უაღრესი მნიშვნელობა ზედმიწევნით ზუსტად გამოხატა იაკობ გოგებაშვილმა: „დედაენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა (#169) ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების პერსპექტივას განსაზღვრავს თვით ქართული ეროვნული ენის შინაგანი პოტენციალი, რაც იმავდროულად გულისხმობს შემდეგ მომენტებსაც: ა) ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაპოვართა გონივრულ მოხმარებას; ბ) დიალექტებში გაბნეული ფორმების შერჩევით დანერგვას; გ) სხვა ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინებას (ჯერ კიდევ აკაკი წერეთელი შენიშნავდა: „მეგრულ ენაში შემონახულან ობოლ მარგალიტებად ძველი სიტყვები“ და ურჩევდა მწერლებს, რომ მათ „იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა საჭიროების დროს ითვალისწინებს სხვა სალიტერატურო ენების განვითარების ტენდენციებსაც.

ამრიგად, ანტონ კათალიკოსის შემდგომ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემა არსებითად მთელი შეგნებული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. უეჭველია, რომ ანტონს ბევრი მცდარი შეხედულება ჰქონდა, მაგრამ უდავოა ისიც, რომ საქართველოში სწორედ მან დაუდო სათავე ენისადმი მეცნიერულ მიდგომას და ენაზე ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ აქცია. ეს უთუოდ ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია.

გარკვეული ისტორიული პირობების გამო ამგვარი აქტიური დამოკიდებულება ენობრივი პრობლემისადმი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე მინელდა, სანამ თერგდალეულებმა არ დაუდეს სათავე ახალ ენობრივ პოლიტიკას.

ამ პერიოდიდან ენის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნულ საკითხს, კერძოდ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებას. ამ მოძრაობის დევიზად იქცა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ენა ყველაზედ შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“.

თერგდალეულების მიერ „ეროვნების ბურჯად“ გამოცხადებული ენა მათივე დაუშრეტელი ზრუნვის საგანი გახდა. აქ არა მარტო სალიტერატურო ენის, მისი დახვეწისა და შემდგომი განვითარების პრობლემა იდგა, არამედ მისი დაცვისა გარეშეთა ხელყოფისაგან და საყოველთაოდ გავრცელებისა.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო გაცხოველებული კამათი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესა(#170)ხებ. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა მიერ მრავალი მეცნიერულად ფასეული და ეროვნული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება იქნა წამოყენებული. ამ კამათში იბადებოდა ჭეშმარიტება, რომელმაც გზა გაუხსნა XX საუკუნეში ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ გამდიდრებას, დახვეწასა და გაძლიერებას.

ენა ეროვნული თვითშეგნების უპირველესი გამოვლინებაა. ამიტომაც სავსებით კანონზომიერია ერის უპირველეს ნიშნად ენის მიჩნევა, რადგან ნებისმიერი ერის ერთიანობა, კონსოლიდაცია ძირითადად სწორედ ერთიანი ენის მქონებლობით განისაზღვრება.

ყოველ ენაში გარესამყარო, საგანთა და მოვლენათა ურთიერთმიმართება თავისებურად არის გადმოცემული, რაც საფუძველი გახდა ენის ვილჰელმ ჰუმბოლდტისეული განმარტებისა, რომლის თანახმადაც ენა მსოფლხედვაა, ხოლო ყოველი ახალი ენის შესწავლა ახალი მსოფლხედვის შეძენას ნიშნავს. „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა. შეუძლებელია ამ თვალსაზრისით უფრო მეტად იგივეობრივი რამის დაძებნა“ — აღნიშნავდა იგი.

ენა იცვლება, ვითარდება, მაგრამ თუკი ეს ცვალებადობა თვისებრივად არ ცვლის ენას, არ აქცევს მას სხვა ენად, მხოლოდ იმიტომ, რომ უცვლელი რჩება მის

სისტემათა თუ სტრუქტურათა შემადგენელი ელემენტების შიგა-განაწილების, შიგა-ორგანიზების წესი, უცვლელი რჩება ამ ენისეული გადმოცემა რეალობისა, საგანთა და მოვლენათა (და მათი ურთიერთმიმართებების) ამ ენისეული აღქმის არსი, ხოლო ყოველი ცვლილება (როგორც ისტორიული, ასევე სივრცული თუ ცალკეულ პიროვნებათა მიერ თუნდაც ერთჯერადად გამოყენებული) თვით ამ ენის პოტენციური მოცემლობაა და, ამდენად, მისი შინაგანი შესაძლებლობითაა შეპირობებული.

ცივილიზებული ერების თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა აშკარა სტანდარტიზაციის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან მატულობს ენის მიმართ ინფორმაციის გადმოცემის ზედმიწევნითი სიზუსტის მოთხოვნა.

პოლისემანტიკური ფორმები, ფრაზები ყველა ენაში მრავლად არის, მაგრამ პოლისემანტიკურობას ვერ იგუებს მეცნიერების ენა (ამის შესახებ საგანგებოდ მიუთითებდა ედმუნდ ჰუსერლიც). თანამედროვე ცივილიზაციაში კი პრიმატი აშკარად მეცნიერებას აქვს მოპოვებული. ეს პრიმატი განსაზღვრავს ენისადმი წაყენებულ მოთხოვნილებას — სიზუსტე და ლაკონიურობა.

ასეთ ვითარებაში ენამ თავისებური გზა გამონახა აზროვნების თანამედროვე ტიპთან შესაგუებლად: სტანდარტული ყალიბები, ფრაზე(#171)ბი, ემოციურობისაგან დაცლილი, მაგრამ ზუსტი, არაორაზროვანი. სისადავე წამოიწია წინა პლანზე.

ამ ტენდენციის აკრძალვა შეუძლებელია, მაგრამ სწორი ორიენტაცია კი უნდა მიეცეს. ენაში უნდა დაიძებნოს ის პოტენციური მონაცემები, რომლებიც რეალურს გახდიან ენის შესაძლებლობათა სრულ გამოვლენასა და გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით არც ის არის შემთხვევითი, რომ ტერმინი „სალიტერატურო ენა“ ზოგჯერ იცვლება ტერმინით „სტანდარტული ენა“ (ამით გარკვეულად ვლინდება ენისადმი ახლებური დამოკიდებულებაც).

8.4. სამწერლობო და ზეპირი სალიტერატურო ენა. სალიტერატურო ენა თავისთავად გულისხმობს, რომ იგი აუცილებლად სამწერლობო უნდა იყოს, მაგრამ იმავდროულად არსებობს მისი ზეპირი ნაირსახეობაც. სოციალურად ეს ორი ნაირსახეობა იდენტურია (განსხვავებულია მხოლოდ გამოხატვის საშუალებები — ერთი ასო-ნიშნებით გადმოიცემა, მეორე — ბგერებით), მაგრამ წმინდა ენობრივი თვალსაზრისით ისინი განირჩევიან:

ა) სამწერლობო ენით ხდება მეტყველების ფიქსაცია, იგი ფაქტობრივ სტატიკური მონაცემია; მისგან განსხვავებით ზეპირი მეტყველება დინამიკაა, რეალურად ენა ვლინდება ზეპირი მეტყველებით. ცვლილება, განვითარებ ხდება მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში (რაც შემდგომ აისახება დამწერლობაშიც). იმავდროულად სამწერლობო ენა უთუოდ უკუზეგავლენას ახდენს ზეპირ მეტყველებაზე, განსაზღვრულ კალაპოტს უქმნის მას. ზეპირი სალიტერატურო ენა არის ჩვევა (უზუსი), გამომუშავებული სამწერლობო ენის მოთხოვნილებათა საფუძველზე; უფრო ზოგადად, ესაა სამეტყველო ნიმუში, რომელიც სავალდებულოა ამ ენაზე ყველა მოლაპარაკისათვის;

ბ) სამწერლობო სალიტერატურო ენა ძირითადად მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიურ ტრადიციებს უწევს ანგარიშს, ზეპირ სალიტერატურო ენაში (მართალია, გარკვეული შეზღუდვით, მაგრამ მაინც) მოქმედებს ფონეტიკური კანონზომიერებანიც. მაგალითად, სამწერლობო ენისთვის ერთადერთი შესაძლებლობაა „ბედშავ-ი“ (დაცულია ეტიმოლოგიური და მორფოლოგიური პრინციპი: ბედ- + შავ-ი), ზეპირ მეტყველებაში ჩაერევა ფონეტიკური ფაქტორიც, რაც აუცილებლად გულისხმობს დშ → თშ შენაცვლებას რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: „ბეთშავ-ი“. ორივე ფორმა (ბედშავ-ი და ბეთშავ-ი) სალიტერატუროა, ოღონდ პირველი სამწერლობო, მეორე — ზეპირი. ანალოგიურად, ერთგულ-ი სამწერლობო ნაირსახეობაა (ერთ-ი + გულ-ი), ერდგულ-ი — ზეპირი.

(#172)

ზეპირი სალიტერეატურო ენის მონაცემს ზოგჯერ არასწორი ახსნა ეძლევა — მას რევენ დიალექტიზმებში.

დიალექტიზმად არ შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ იმ ფორმის ის ფონეტიკური ნაირსახეობა, რომელიც საერთოდ ქართული ზეპირი მეტყველების კანონზომიერებითაა შეპირობებული. მაგალითად, სამწერლობოა: ვ-უ-ყურ-ებ, უ-ყურ-ებ-ს, კარგად... ზეპირია: უყურეფ, უყურეფს, კარგათ ... (არც ერთი მათგანი არ არის დიალექტიზმი).

სამწერლობო სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, ზეპირ სალიტერატურო ენას შესაძლოა ჰქონდეს რეგიონალური ნაირსახეობანი, რაც ძირითადად ინტონაციური ნიუანსებით ვლინდება (მაგალითად, ზეპირი სალიტერატურო

მეტყველება, თავისუფალი ყოველგვარი დიალექტური მინარევებისაგან, თელავში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში).

სხვაობაა ისიც, რომ სტილური თვალსაზრისით ზეპირი სალიტერატურო ენა უფრო ერთფეროვანია: მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო სტილური ნაირსახეობანი მეტ-ნაკლებად უწევენ ანგარიშს სასაუბრო სტილის მოთხოვნებს (სამწერლობო ენა უპირატესად ზედმიწევნით იცავს სტილურ დიფერენციაციას).

8.5. სალიტერატურო ენა და დიალექტები. დიალექტოლოგიური ანალიზი ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გულისხმობს სალიტერატერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების დადგენას.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, სალიტერატურო ენას, ჩვეულებრივ, რომელიმე დიალექტი უდევს საფუძვლად. ასე ისმის საკითხი ქართული სალიტერატურო ენის მიმართაც: „ლიტერატურულ ენას თავდაპირველად ერთი — პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებული — კილო ედება საფუძვლად. ასეთია ქართულისათვის — ქართლური კილო, რუსულისათვის — კურსკ-მოსკოვისს კილო, ფრანგულისათვის — პარიზისა და იტალიურისათვის — ფლორენციის დიალექტი. მიუხედავად იმისა, რომ ამოსავალი ერთი კილოა (დიალექტია), ლიტერატურული ენა არ ემთხვევა მას: დროთა ვითარებაში ლიტერატურული ენის განვითარებაში სხვა კილოებიც იღებენ მონაწილეობას. ეს კილოები მის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენენ. ასეთებია ახალი ქართულისათვის კახური და ნაწილობრივ იმერული, ფშაური, უფრო ნაკლებ მოხეური, მესხური, გურული, ზოგჯერ მეგრული, სვანური და სხვ.“ (ვ. თოფურია)... „სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე... ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე (ახალი (#173) ქართული სალიტერატურო ენა ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება). სახელდობრ, რა დიალექტს მიეცემა უპირატესობა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისას, ამას განსაზღვრავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გარემოებები (და არა დიალექტის ენათმეცნიერული თვისებები): საკითხს ისა წყვეტს, თუ რა დიალექტის წარმომადგენლები თამაშობენ წამყვან როლს სათანადო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, მაგრამ იგი სავსებით არაა თანხვდენილი არც

ერთ დიალექტთან (თუნდაც საორიენტაციო დიალექტთანაც). თვით შექმნის მომენტშიც კი სალიტერატურო ენა ერთგვარად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთავარი მასაზრდოებელი წყაროს ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც“ (არნ. ჩიქობავა).

ის, რომ ქართულ სალიტერატურო ენასთან ყველაზე ახლოსაა ქართლური და კახური დიალექტები, სადავო არაა, მაგრამ იმავდროულად აშკარაა ზოგი პრინციპული ხასიათის სხვაობაც მათ შორის — როგორც კონკრეტული ფორმების, ასევე განვითარების შინაგანი ტენდენციების თვალსაზრისით.

ზემოთ დასახელებული იყო სალიტერატურო ენის ნიშნები: იგი საერთოა და სავალდებულო ამ ენაზე ყველა მეტყველისათვის, არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება, სამწერლობოა და ნორმირებული. ეს ნიშნები განსაზღვრავს ნებისმიერი სალიტერატურო ენის არსს.

ისმის კითხვა: რამდენად არის შესაძლებელი, რომ ამა თუ იმ დიალექტმა უშუალოდ, ყოველგვარი გარდამავალი საფეხურის გარეშე მოიპოვოს ყველა ის ნიშანი, რომელიც დასახელებული იყო სალიტერატურო ენის განმსაზღვრელად?

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს ნიშნები ერთმანეთითაა შეპირობებული, ერთმანეთისაგან გამომდინარეობს: ის, რომ სალიტერატურო ენა საერთოა ყველა ამ ენაზე მოსაუბრისათვის, განსაზღვრავს მის სავალდებულო და ოფიციალურ ხასიათს, ეს კი, თავის მხრივ, შეაპირობებს იმას, რომ სამწერლობო ხდება სწორედ ეს საერთო და სავალდებულო ენა, რაც თავისთავად განსაზღვრავს ასეთი ენის ნორმირების აუცილებლობას (ანუ: მის დაცვას დიალექტური მინარევებისაგან).

ზემოხსენებულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად უნდა დასდებოდა ის მეტყველება, რო(#174)მელიც ატარებდა დასახელებულთაგან ერთ-ერთ ნიშან-თვისებას, კერძოდ, არსებითი მაინც საერთოობა არის; ესე იგი, ივარაუდება მეტყველება, რომელსაც საერთოობის თვალსაზრისით უნდა ჰქონოდა მოპოვებული სოციალური სანქცია.

სტიქიურად წარმოქმნილი ასეთი საერთო მეტყველება (ენა) არის კოინე, რომელიც ზედიალექტის სახელწოდებითაც არის ცნობილი.

ზემოთ სპეციალურად იყო განხილული კოინეს სამი სახეობა — ქალაქური, დიალექტთაშორისი (ინტერდიალექტური) და პოეტური. ისიც ითქვა, რომ ქართული

სალიტერატურო ენისათვის კოინეს ამ სამივე ნაირსახეობას უნდა ჰქონოდა მეტ-ნაკლები მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა კი — ქალაქურ კოინეს.

ის, რომ ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად სწორედ კოინე უნდა დასდებოდა (ყოველ შემთხვევაში, მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე), ამას ერთი გარემოებაც გვაფიქრებინებს.

სალიტერატურო ენა, მართალია, ორიენტაციას იღებს ეთნიკურ (ტერიტორიულ) დიალექტზე, მაგრამ მასში საკმაოდ ხელშესახებია სოციალური დიალექტების დანაშრევიც, განსაკუთრებით კი იმ სოციალური დიალექტისა, რომელიც მწიგნობრობასთან ნაზიარევი სოციალური ფენის მეტყველებაა.

სოციალურ დიალექტებზე მსჯელობისას აღნიშნული იყო, რომ მათ ძირითად თავისებურებად ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას მიიჩნევენ. ძირითადად ეს, მართლაც, ასეა, მაგრამ იმავდროულად არ შეიძლება გამოირიცხოს სხვა ფაქტორებიც. კერძოდ, ითქვა ისიც, რომ გარკვეული სოციალური ფენის მეტყველებაში ნასესხებ სიტყვას შესაძლოა შემოჰყვეს გამსესხებელი ენის ზოგი ბგერა ან ინტონაცია. მაგალითად, „რევოლუცია“ ორგვარი გამოთქმითაა ნასესხები: რევოლუცია (ჩვეულებრივი, ნეიტრალური ლ-თი) და რევოლ’უცია („რბილი“ ლ-თი); ასევე პარალელური გამოთქმებით გვხვდება „ფილმი“ და „ჶილმი“ და მისთ.

საკმაოდ ხელშესახებია სტილური ნაირსახეობანიც — თავჩენილი სოციალურ დიალექტებში. იგულისხმება რთული წინადადებების, ევფემისტური გამოთქმების გამოყენება და ა.შ.

სოციალურ დიალექტებს კლასობრიობის ნიშნითაც განასხვავებენ. რა თქმა უნდა, ეს თავისებურება შეინიშნება, მაგრამ საკმაოდ მრავლადაა ისეთი ნიმუშებიც, როცა სხვაობა სოციალურ ფენას უკავშირდება და არა კლასს. ცნობილი ნიმუშები რომ გავიხსენოთ, თნდაც ილია ჭავჭავაძის თხზულებებიდან: არჩილი („ოთარაანთ ქვრივი“) და ლუარსაბი („კაცია-ადამიანი?!“), გაბრო („გლახის ნაამბობი“) და გლახა ჭრიაშვილი („გლახთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენე(#175)ბი“) — მათი მეტყველება თვალსაჩინოდ სხვაობს; ეს სხვაობა სოციალური დიალექტების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ არ არის კლასობრიობის ნიშნით აღბეჭდილი.

საკმაოდ ძლიერი ზეგავლენა იქონია სოციალური დიალექტების იერ-სახეზე ურბანიზაციის ინტენსიურმა პროცესმაც (მომრავლდა სამეტყველო სტანდარტები, ხდება მკვეთრი დიალექტიზმების ნიველირება...).

ყველაფერი ეს უშუალოდ აღმოჩნდა დაკავშირებული სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესთან (როგორც ისტორიულად, ასევე ამჟამადაც).

აღვნიშნეთ, რომ კოინეს სამივე ნაირსახეობას გარკვეული წილი უძევს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, მათგან კი განსაკუთრებით — ქალაქურ კოინეს. უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, თბილისური კოინე იგულისხმება..

რა მისცა თბილისურმა ქართულმა მეტყველებამ, თბილისურმა კილომ ქართულ სალიტერატურო ენას, რით გაამდიდრა იგი?

თბილისში გამომუშავდა ის საერთო-ქართული სამეტყველო თარგი, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების გეზი.

თბილისში შეიქმნა საერთო-ქართული, სალიტერატურო წარმოთქმა, ინტონაცია.

თბილისმა ინტერნაციონალური ჟღერადობა მიანიჭა ქართულ ენას.

თბილისურმა მეტყველებამ შინამრეწველობის მრავალი ტერმინით გაამდიდრა ქართული ენა, რომელსაც უხვი მარაგი ჰქონდა მიწათმოქმედებასთან და ნადირობასთან, ასევე საომარ მოვლენებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა, მაგრამ ნაკლებ — ხელოსნური მეურნეობის ამსახველი.

თბილისური მეტყველებიდან შედის საერთო ქართულ ენაში ქალაქური ყოფის ამსახველი სიტყვებიც.

თბილისური ქართული წაბაძვის საგანი გახდა, რამაც საფუძველი შეუქმნა თანამედროვე ქართულ კილოკავთა დაახლოებას.

ანუ, ვიმეორებთ: თბილისური ქართული ის თარგია, საძირკვლად რომ დაედო ქართულ სალიტერატურო ენას (განსაკუთრებით ეს ითქმის თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაზე).

სალიტერატურო ენის განვითარება მკაცრი კანონზომიერებითაა შეპირობებული. ამ კანონზომიერებას საერთო-ეროვნული ენის შინაგანი ტენდენცია განსაზღვრავს.

ვითარდება დიალექტებიც — რასაკვირველია, გაცილებით უფრო შეუზღუდავად, ვინემ სალიტერატურო ენა. მაგრამ ეს სრულიად არ (#176) ნიშნავს იმას, თითქოს დიალექტის განვითარება, დიალექტური ცვლილება ყოველგვარი

კანონზომიერების გარეშე დგას. პირიქით! კანონზომიერება უთუოდ არსებობს და საკმაოდ თანამიმდევრულად გატარებულიც.

რამდენიმე ნიმუში ნათქვამის საილუსტრაციოდ.

ნიმუში ფონეტიკიდან: ქართული ენის დიალექტებში ჩვეულებრივი მოვლენაა ლაბიალიზებული კომპლექსის შენაცვლება შესაბამისი ლაბიალური ხმოვნით. ცვლილების პროცესი ზედმიწევნით განსაზღვრულია: ა) როგორც წესი, იცვლება მხოლოდ ის კომპლექსი, რომელშიც შედის წყვილბაგისმიერი û (და არა კბილბაგისმიერი ვ): თûალი (თვალი) → თოლი, იწûება (იწვება) → იწობა და მისთ. (არნ. ჩქობავა). იმ შემთხვევაში, როცა ანალოგიური პროცესი ხდება იქ, სადაც იმთავითვე კბილბაგისმიერი ვ გვაქვს, ჯერ ივარაუდება ვ → û (რაც თავისთავად უცხო არ არის ქართულისათვის — არც ისტორიულად და არც ამჟამად), შემდეგ კი ზემოხსენებულის იდენტური ცვლილება: ქვა → ქûა → ქúა, რვა → რûა → რúა — კბილბაგისმიერი ვ გადადის, გარკვეულ პოზიციაში, წყვილბაგისმიერ – ú-ში, შემდეგ კი — მახვილის გადანაცვლების საფუძველზე — შესაძლოა უ ხმოვნად იქცეს); ბ) დიალექტების ერთ ნაწილში (ინგილოურში, მესხურ-ჯავახურში, ნაწილობრივ — მოხეურში) იპოვება ლაბიალური ხმოვნების უმლაუტიზებული ნაირსახეობანიც; მათი პოვნიერება მკაცრად შეპირობებულია ფონეტიკური კანონზომიერებებით: ვე || úე → ö, ვი || úი → ü; შდრ.: ვა || úა → ო. ეს წესი არასდროს ირღვევა: კვერცხი → კöრცხ, გვერდი → გöრდ, მტვერი → ტöრ... წვიმა → წüმაჲ, შვიდი → შüდ, ტვინი → ტüნ... შდრ.: თვალი → თოლ, კვალი → კოლ... (მაგალითები ინგილოური დიალექტიდანაა მოტანილი).

ნიმუში მორფოლოგიიდან: ცნობილია, რომ გარდამავალ ზმნათა I შედეგობითი ფორმობრივ და სემანტიკურად შეპირობებულია გარკვეული ტიპის სტატიკურ ზმნათა (ა. შანიძის განმარტებით — სტატიკურ ვნებითთა) აწმყოს მონაცემით. ერთის ცვლილება შესაბამისად იწვევს მეორის ცვლილებასაც:

ძველ ქართულში იყო:

ჰ-ფენ-ი-ე-ს — და-უ-ფენ-ი-ე-ს

ახალ ქართულში გვაქვს:

ჰ-ფენ-ი-ა — და-უ-ფენ-ი-ა

(#177)

ხევსურული თავისებურად აწარმოებს როგორც I შედეგობითს, ასევე ხსენებულ სტატიკურ ზმნათა აწმყოს, მაგრამ მათ შორის ფარდობა მაინც ზედმიწევნითაა დაცული:

ხ-ფენ-ავ-(ი-ს) — და-უ-ფენ-ავ-(ი-ს)

ანუ: დიალექტური ცვლილება მოხდა, მაგრამ ქართული ენის ზოგადი წესი ზემოდასახელებულ ფორმათა შორის ურთიერთფარდობისა კანონზომიერადაა გატარებული.

ნიმუში სინტაქსიდან: ცნობილია, რომ ერგატიულ კონსტრუქციას ქართულში ქმნიან გარდამავალი ზმნები II სერიაში. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფორმას. იმავდროულად, ჰ-პირ-დ-ებ-ა, ე-ლაპარაკ-ებ-ა, ე-ხვეწ-ებ-ა ფუნქციურად აქტიური ზმნებია, მაგრამ ფორმა ვნებითსა აქვთ და ამიტომაც ერგატიულ კონსტრუქციას ვერ ქმნიან: დაჰპირდა, ელაპარაკა, შეეხვეწა ის მას...

დიალექტების ერთ ნაწილი კი სწორედ ფუნქციას უწევს ანგარიშს და ამ ზმნებთანაც იყენებს ერგატიულ კონსტრუქციას: დაჰპირდა, ელაპარაკა, შეეხვეწა მან მას ის (არნ. ჩიქობავა).

აქაც, როგორც ვხედავთ, დიალექტურ ნაირსახეობას გარკვეული კანონზომიერება შეაპირობებს.

ამრიგად, დასახელებული ნიმუშები ცხადყოფენ, რომ ენობრივი კანონზომიერებანი დიალექტებში თანამიმდევრულადაა გატარებული და ამიტომაც ამ თვალსაზრისით დიალექტების დაპირისპირება სალიტერატურო ენასთან გაუმართლებელია. ამ შემთხვევაში უნდა განირჩეს ორი დონე: სალიტერატურო ენისა და საკუთრივ ენისა. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით და-უ-მალ-ი-ა უმართებულო ფორმაა, მაგრამ იმავდროულად იგი სავსებით კანონზომიერია, მართებულია საკუთრივ ქართული ენის ბუნების თვალსაზრისით: ზოგადად ქართულში I შედეგობითი შეიძლება იწარმოოს როგორც I სერიის, ასევე II

სერიის ფუძისაგან (ა-კეთ-ებ-ს → გა-უ-კეთ-ებ-ი-ა, მაგრამ: ა-ღ-ებ-ს — გა-ა-ღ-ო → გა-უ-ღ-ი-ა); როგორც -ავ/-ამ, ასევე -ი სუფიქსებით; ანუ: არსებობს ორი შესაძლებლობა:

აწმყო: მალ-ავ-ს → I შედეგობითი: და-უ-მალ-ავ-ს

ნამყო ძირითადი: და-მალ-ა → I შედეგობითი: და-უ-მალ-ი-ა.

ამ შესაძლებლობებიდან სალიტერატურო ენა (და ზოგი დიალექტი) იყენებს ერთს (პირველს), დიალექტთა საკმაოდ დიდი ნაწილი კი უპირატესობას ანიჭებს მეორე შესაძლებლობას.

(#178)

მეტიც: ენობრივი კანონზომიერება დიალექტში შესაძლოა უფრო თანმიმდევრულად იყოს გატარებული, ვინემ სალიტერატურო ენაში; მაგალითად, სალიტერატურო ენაში I შედეგობითია და-უ-ხატ-ავ-ს, შესაბამისი სტატიკური ზმნის აწმყო კი — ხატ-ი-ა / უ-ხატ-ი-ა; თანაფარდობა დარღვეულია. დიალექთებში კი ეს თანაფარდობა დაცულია: და-უ-ხატ-ი-ა ფორმა შეეფარდება ხატ-ი-ა/ უ-ხატ-ი-ა ფორმებს.

ამის შესაბამისად უნდა განირჩეს კვლევის ორი ასპექტი:

ა) ნორმატიული, როცა ენობრივი მოვლენების შეფასება ხდება სალიტერატურო ენის პოზიციიდან;

ბ) პოტენციური, როცა ენობრივი მოვლენები ფასდება ენის შინაგანი ტენდენციების გათვალისწინებით.

მართებულ ან უმართებულო ფორმებზე პირველ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, მეორე შემთხვევაში ყველა ფორმა მართებულია, კანონზომიერია, ამ კანონზომიერების შინაგანი ბუნებაა გამოსავლენი.

სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის ზოგჯერ ფრიად თავისებური დამოკიდებულება მყარდება. მაგალითად, დიალექტიზმებად ითვლება: იარება „დადის“, ორვე, შარა... იმავდროულად სალიტერატურო ფორმებია: დაიარება, ორივე, შარაგზა...

ცნობილი ფაქტია, რომ „ყოველ ეპოქაში“ სალიტერატურო ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მის დამოკიდებულებას ტერიტორიულ დიალექტებთან“ (არნ. ჩიქობავა).

სალიტერატურო ენა დიალექტებით საზრდოობს. ეს ეხება როგორც ეთნიკურ (ტერიტორიულ), ასევე სოციალურ დიალექტებს. მაგრამ იმავდროულად აუცილებელია მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ის, რაც სალიტერატურო ენის გამდიდრებას უწყობს ხელს, და ის, რაც არსებითად მისი განვითარების დამაბრკოლებელი შეიძლება გახდეს.

სალიტერატურო ენა, ჩვეულებრივ, ვერ იგუებს დიალექტებში დამოწმებულ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ ნაირსახეობებს: „ამ დარგების დიალექტური ვარიანტები სალიტერატურო ენაში რომ შემოიჭრას, სალიტერატურო ენას კი არ გაამდიდრებს, არამედ ააჭრელებს და დააძაბუნებს“ (არნ. ჩიქობავა). მართლაც, ერთმანეთის გვერდით შეუნახა || შოუნახა || შუუნახა || შ̄ნახა, ან: მათ || მათმა || იგინმა || იმგენმა, ანდა: დაჰპირდა ის || მან ტიპის ფორმათა გამოყენება ზიანის მომტანი იქნებოდა სალიტერატურო ენისათვის (ამ პარალელურ ფორმებს მხოლოდ თავ-თავის ადგილას აქვს გამართლება და ამა თუ იმ დიალექტის ბუნებითაა შეპირობებული).

„დიალექტური მასალის სალიტერატურო ენაში შემოტანა გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ახალი შინაარსის ანდა (#179) აზრის ახალი ნიუანსის გადმოცემისათვის არის საჭირო“ (არნ. ჩიქობავა).

ასეთი რამ კი მორფოლოგიასა და სინტაქსში ძალზე იშვიათად გვაქვს. მაგალითად, ქართული კატეგორიულ და თხოვნით ბრძანებითს ინტონაციურად განარჩევს; ხევსურულს, თუშურსა და ფშაურს კი ამისათვის მორფოლოგიური საშუალებანი მოეპოვება: II პირში კატეგორიული ბრძანებისათვის ნამყო ძირითადის ფორმაა გამოყენებული (სალიტერატურო ქართულის მსგავსად), თხოვნითი ბრძანებითისთვის — ხოლმეობითის ფორმა: დაწერე! — კატეგორიულია, ხევსურულ-თუშური: დაწერიდი! ან ფშაური: დაწეროდი! — თხოვნითი. ასეთ ვითარებაში სალიტერატურო ენას თხოვნითობის გამოსახატავად შეეძლო აეღო ერთ-ერთი ამ ფორმათაგანი (ან დაწერიდი, ან დაწეროდი; შესაძლებლობა ნავარაუდევიცაა (ვ. თოფურია), მაგრამ იმავდროულად ასეთი შესაძლებლობანი ფრიად მცირეა და სალიტერატურო ენის გამდიდრებას არსებითად ვერ შეუწყობს ხელს.

სამაგიეროდ სალიტერატურო ენა უხვად სარგებლობს დიალექტური ლექსიკით: „სალიტერატურო ენის საჭიროებას ერთი დიალექტის ლექსიკური მარაგი ვერ დააკმაყოფილებს, კონკრეტულ ცნებათა აღმნიშვნელი საჭირო სიტყვები სხვა

დიალექტებშიც შეიძლება აღმოჩნდეს და მისი შემოტანა სალიტერატურო ენას გაამდიდრებს“ (არნ. ჩქობავა).

დიალექტებში პოვნიერი ლექსიკა სამი სახისაა:

ა) წარმოდგენილია საერთო ლექსიკური ფონდის სიტყვები;

ბ) გამოიყენება სპეციფიკური დიალექტური ფორმები: აძრახდომა „დალაპარაკება“ (ხევსურული), ბილჩი „სამხრე ტვირთისათვის“ (ფშაური), ღარკავი „ჭუჭრუტანა“ (რაჭული)...

გ) გვხვდება სიტყვები, რომელთაც დიალექტებში სხვა მნიშვნელობა განვითარებიათ: ათეთრევს — 1. ათეთრებს; 2. ინგილოური: თონეს ახურებს...

როცა სალიტერატურო ენის გამდიდრებაზეა საუბარი, ძირითადად სპეიფიკური დიალექტური ფორმების შემოტანა იგულისხმება, რომელთაგანაც უნდა განირჩეს:

ა) სიტყვები, რომლის სემანტიკური ეკვივალენტები იპოვება სალიტერტურო ენაში და მაშინ მათი შემოტანა ამრავალფეროვნებს სინონიმურ რიგს: ბია — კომში, ჯიქანი — ცური, კვახი — გოგრა, კოპიტი — იფანი, ჩერო — ჩრდილი, ჭური — ქვევრი...

ბ) სიტყვები, რომლის ბადალი სალიტერატურო ენას არ გააჩნია: ბანდული „საბანდით გამოქსოვილი ჩუსტი“ (მოხეური); დაორყუ(#180)რება „ახლად ამოსული სიმინდი ორ ფოთოლს რომ გამოიღებს“ (ზემოიმერული) და მისთ. (ბ. ფოჩხუა).

სინონიმური ფორმები სალიტერატურო ენაში თავმოყრისას ზოგჯერ სემანტიკურად დიფერენცირდებიან (მაგალითად, კომში — საშუალო ტანის ხე ან ბუჩქი, ნაყოფი ყვითელია, სურნელოვანი და მოტკბო-მომწკლარტო გემოსი... ბია — გარეული კომში..). ეს მოვლენა ენის სემანტიკური მხარის გამრავალფეროვნებას იწვევს, იძლევა სემანტიკური ნიუანსების გამოხატვის შესაძლებლობას, რაც თავისთავად უთუოდ დადებითი მოვლენაა.

სალიტერატურო ენაში უქონელი სიტყვების შემოტანა კი მის ლექსიკურ ფონდს ამდიდრებს. ეს პროცესი იმავდროულად სალიტერატურო ენაში ახალი ცნების დამკვიდრებასაც გულისხმობს.

დიალექტური ლექსიკით უხვად საზრდოობდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია. დიალექტებიდანაა შემოსული ლილვი, ბაზო, ბურული, ხირხატი, მაწევანა, კვეჟო, რაყა, ჯორგი, ბუჯერი... „დიალექტური ლექსიკის ასეთი სიუხვე ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომ რეალიათა მთელი

ჯგუფი დაკავშირებულია იმ საქმიანობასთან, რომელიც სოფლად სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში სრულდება“ (რ. ღამბაშიძე).

ქართული ენის დიალექტური მრავალფეროვნება ამ შემთხვევაში ისევ და ისევ სალიტერატურო ენის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებას შეეწია. „კილოებიდან გამომდინარე სიტყვების შესვლა-დამკვიდრება საერთო სალიტერატურო ქართულში კარგად ასახავს სალიტერატურო ქართულის დიალექტური ბაზის მნიშვნელოვან გაფართოებას, ცოცხალი მეტყველების მზარდ როლს საერთოქართული ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში“ (ბ. ფოჩხუა).

რაც შეეხება დიალექტიზმების გამოყენებას მხატვრულ ლიტერატურაში, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

(#181)

თავი IX

9.1. დიალექტოლოგიური კვლევის პრინციპები და მეთოდები.

ყოველი მეცნიერული კვლევა სამი ეტაპისაგან შედგება:

ა) ემპირიული მასალის მოპოვება, მასალაზე დაკვირვება და სისტემატიზაცია;

ბ) მასალის ანალიზი — სეგმენტაცია და სეგმენტირებულ ელემენტებს შორის მიმართებათა დადგენა;

გ) მიღებული შედეგების სინთეზი — ინტეგრაცია და ინტერპრეტაცია.

კვლევის ეს სამი ეტაპი შეესაბამება მოვლენის შეცნობის სამ თანამიმდევრულ საფეხურს: ჭვრეტას, ანალიზსა და გაცნობიერებას.

მოპოვებული მასალა კვლევის საგანია, ანალიზი იძლევა მის შინაგან ბუნებაში შეღწევის საშუალებას, სინთეზი ახდენს მის გაცნობიერებას.

ამ გზით ყოფიერების ფაქტი ცნობიერების ფაქტიც ხდება.

მიღებული შედეგის ინტერპრეტაცია, მაგალითად, ენათმეცნიერების საგნისა, შეიძლება იყო წმინდა ლინგვისტური (იმანენტური) ფილოსოფიური, ლოგიცისტური, ფსიქოლოგიური და ა.შ.

ნებისმიერი მასალის გაცნობიერების მიზანია ცნობიერებაში შექმნას ყოფიერებაში არსებული მოვლენის ადეკვატური მოდელი (ვ. კოდუხოვი).

მეცნიერული კვლევა მიზანდასახულების მიხედვითაც უნდა განირჩეს. ერთია მოვლენის კვლევა აღწერის მიზნით (ექსპოზიციური კვლევა), მეორე — კვლევა ახსნის მიზნით (კაუზალური კვლევა). პირველი იძლევა პასუხს კითხვაზე — „რა გვაქვს?“ მეორე — „რატომ გვაქვს?“

კვლევის ხსენებული მიზანდასახულებანი არც დაპირისპირებულნი არიან და არც ურთიერთგამომრიცხველნი. პირიქით, ისინი ერთმანეთს ვარაუდობენ და ავსებენ კიდეც: თუ არ ვიცით, რა გვაქვს, ვერ გავიგებთ — რატომ გვაქვს.

მეთოდი არის დასაბუთებული ცოდნის მოპოვების ხერხი, საშუალება (არნ. ჩიქობავა). მეთოდის რაობას შეაპირობებს ესა თუ ის ზოგადი პრინციპი, თვალსაზრისი; მაგალითად, მოვლენის შესწავლის ისტორიული თვალსაზრისი

განსაზღვრავს ამ ისტორიის წარმოსაჩენად (#182) მოსახმარი (ანუ: ისტორიული) მეთოდის გამოყენებას, მოვლენათა შედარება საჭიროებს შესაბამისი საშუალების მოხმარებას და ა.შ.

ერთი და იმავე მეთოდით შესაძლებელია წარიმართოს როგორც მოვლენის აღწერის, ასევე ახსნის მიზნით ჩატარებული კვლევა.

ეს შესაძლებელია არა იმის გამო, რომ მეთოდი დუალისტური ბუნებისაა, არამედ იმიტომ, რომ არსებობს ერთი და იმავე მეთოდის გამოყენების ნაირგვარი მეთოდიკა, ანუ: ერთი და იმავე მეთოდის გამოყენების ნაირგვარი პროცედურა (ვ. კოდუხოვი).

ერთი და იმავე მოვლენის კვლევისას შედეგის ნაირგვაროვნება დამოკიდებულია მასალის არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ მხარეზეც: ერთ შემთხვევაში მხოლოდ აღწერის (მიმართებათა კონსტატაციის) საშუალება გვეძლევა, მეორე შემთხვევაში ახსნის (მიმართებათა მიზეზობრივი საფუძვლის გამოვლენის) საშუალებაც.

კვლევის დროს ნაირგვარი მეთოდიკის გამოყენება ხშირად იძულებითი ხასიათისაა, ობიექტური მიზეზებითაა შეპირობებული, მასალის სიმცირისა და სიმწირის შედეგია.

მაგრამ არჩევანი შესაძლოა ნებაყოფლობითიც იყოს. ამის მიზეზი უპირატესად სუბიექტური ხასიათისაა, მკვლევრის მეცნიერულ კრიტერიუმზე, განხილვის ამოსავალ თვალსაზრისზეა დამოკიდებული. ამ მხრივ ნიშანდობლივია, მაგალითად, ასეთი დებულება: „ჩვენ ვცდილობთ ზუსტად აღვწეროთ, ჩვენ არ ვცდილობთ რაიმეს ახსნას“ (მ. ჯუზი).

ენის კვლევა ხდება რამდენიმე მეთოდით:

ა) აღწერითი მეთოდით ხდება ენის აღწერა იმ სახით, რა სახითაც იგი მოცემულია გარკვეულ მომენტში; ვთქვათ, ქართული სალიტერატურო ენა მეოცე საუკუნის მეორმოცე წლებში (არნ. ჩიქობავა). ამ მეთოდით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ უნდა მოგვცეს ენის ფონემატური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების სრული სურათი, უნდა გამოავლინოს ამ სტრუქტურათა შემადგენელი ელემენტების ურთიერთმიმართება (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ურთიერთშეპირობებულობა ამ ელემენტებისა). ანალოგიური თვალსაზრისით ივარაუდება ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა, აგრეთვე სტილურ

ნაირსახეობათა შესწავლა. ზოგჯერ აღწერით მეთოდს აიგივებენ ეგრეთწოდებულ სტატიკურ ანალიზთან. მართალია, ზოგი ენათმეცნიერული მიმდინარეობა სწორედ ამგვარ თვალსაზრისს უჭერს მხარს (მაგალითად, ამერიკული დესკრიფციული ენათმეცნიერება), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღწერითი ანალიზი თავისთავად გულისხმობს ენის შესწავლას სტატიკაში. ენის აღწერით ანალიზს ხელეწიფების გამოავლინოს ის შინაგანი დინამიზმი, რომელიც ენას არსებობის (#183) (ფუნქციონირების) მოცემულ მომენტში ახასიათებს. ქართული ენის დიალექტების შესწავლა უპირატესად სწორედ აღწერითი მეთოდის საშუალებით ხდება — დიალექტი (ძირითადად) განიხილება როგორც ენის ნაირსახეობა, წარმოდგენილი დროის მოცემულ მონაკვეთში.

ბ) შედარებითი მეთოდის მიზანია გამოავლინოს საერთო ან სპეციფიკური ნიშან-თვისებები ორ ან მეტ მონათესავე ენას შორის (ასევე: ერთი და იმავე ენის ორ ან მეტ დიალექტს შორის). ქართული ენის დიალექტების კვლევისას შედარება ხდება სამი ასპექტით: ესა თუ ის დიალექტი უდარდება: 1. სალიტერატურო ენას (უპირატესად— ნორმატიული საკითხების დადგენისას); 2. სხვა დიალექტსა ან დიალექტებს (უწინარეს ყოვლისა დივერგენციული და კონვერგენციული მოვლენების ანალიზისას); 3. მონათესავე ენებს (უპირატესად მაშინ, როცა დიალექტი ამა თუ იმ მონათესავე ენის გავრცელების მომიჯნავე ტერიტორიაზეა წარმოდგენილი — ურთიერთზეგავლენის წარმოჩენის მიზნით).

გ) ისტორიული მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ ამა თუ იმ ენის განვითარების კანონზომიერებანი. შესწავლა ხდება არსებული წერილობითი ძეგლების ან სავარაუდო ფორმათა რეკონსტრუქციის საფუძველზე. ქართული ენის დიალექტების შესწავლისას მეტ-ნაკლებად ორივე ეს საშუალებაა გამოყენებული. განსაკუთრებით ფასეული შედეგი აქვს ამ მეთოდს იმ შემთხვევაში, როცა ვლინდება ამა თუ იმ დიალექტში დაცული არქაული მოვლენები (ხოლმეობითის ძველი ქართულისებური წარმოება, რიცხვში შეთანხმების არქაული წესი და მისთ.). ადრეულ პერიოდში ფიქსირებული დიალექტური ტექსტები (მით უფრო, ენობრივად სანდო ტექსტები) ქართულში იშვიათად გვაქვს — იგულისხმება საკუთრივ ფოლკლორული ან დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ჩაწერილი ტექსტები. მასალის მოპოვება ძირითადად ხდება ძველი ქართული ენის ძეგლებიდან, ისტორიული სიგელ-გუჯრებიდან, ნაწილობრივ — მხატვრული ლიტერატურიდან.

ივარაუდება ის შემთხვევები, როცა მწერალი ნებსით ან უნებლიეთ ხმარობს დიალექტიზმებს (ამ დროს არაა გამორიცხული იდიოლექტური მოვლენებიც, რაც აუცილებელს ხდის განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეპყრათ ამგვარ ტექსტებს). რაც შეეხება რეკონსტრუირებულ ფორმებს, ისინი საკუთრივ დიალექტოლოგიური კვლევისათვის შედარებით იშვიათად გამოიყენება (ჩვეულებრივ, ამგვარ ფორმებს ითვალისწინებენ მონათესავე ენათა ისტორიული ანალიზის დროს).

დ) ისტორიული და შედარებითი მეთოდები უფრო ხშირად კომპლექსურად გამოიყენება. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გულისხმობს მონათესავე ენათა ისტორიის შესწავლას მათი შედარების სა(#184)ფუძველზე. „შედარება ეხმარება ისტორიას, როცა სამწერლო ენის სახით სხვადასხვა ეპოქის ენობრივი ფაქტები დაცულია. მაგრამ, თუ ეს პირობა გვაკლია, შედარება ერთადერთი საშუალებაა წარსულის გათვალისწინებისა, ისტორიის დადგენისა“ (არნ. ჩიქობავა). დიალექტური მასალა უხვად გამოიყენება ისტორიულ-შედარებითი ანალიზის დროს როგორც საკუთრივ დიალექტოლოგიური, ასევე (უპირატესად) მონათესავე ენების შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემატიკის გამოსაკვლევად.

ე) კარტოგრაფიული მეთოდი, რომელიც არსებითად აღწერითი მეთოდის ნაირსახეობაა, ძირითადი საშუალებაა დიალექტების (ასევე ენების) ლინგვისტური გეოგრაფიის თვალსაზრისით შესწავლის დროს. იგი გულისხმობს კარტოგრაფიული პრინციპების გამოყენებით ამა თუ იმ ენობრივი (დიალექტური) მოვლენის ტერიტორიული გავრცელებულობის დადგენას. საანალიზო ფორმა ან პირდაპირ ჩაიწერება რუკაზე, ან ხდება მისი შენაცვლება პირობითი ნიშნებით. კარტოგრაფიული მეთოდის მიზანია იზოგლოსების გავრცელებისა და გადაკვეთის გამოვლენა, აგრეთვე მათი თავმოყრის ტერიტორიების დადგენა, რასაც თან ახლავს მათი ინტერპრეტაცია უწინარეს ყოვლისა აღწერის დონეზე, თუმცა ხელსაყრელ პირობებში (ისტორიულ წერილობითი ძეგლების მქონებლობისას, რეკონსტრუირებულ ფორმათა პოვნიერებისას, ისტორიული რუკების გამოყენებისას...) შესაძლებელი ხდება, რომ კარტოგრაფირებულ მონაცემებს ისტორიული განმარტებაც მიეცეს.

ვ) შეპირისპირებითი მეთოდის მიზანია გამოავლინოს მსგავსი ან სპეციფიკური ნიშან-თვისებები ორ ან მეტ არამონათესავე ენას შორის. დიალექტოლოგიური კვლევის დროს ეს მეთოდი უპირატესად გამოიყენება მაშინ, როცა დიალექტი ამა თუ

იმ არამონათესავე ენის გავრცელების მომიჯნავე ტერიტორიაზეა წარმოდგენილი — ზეგავლენის ან სუბსტრატულ მოვლენათა წარმოჩენის მიზნით. ქართული ენის დიალექტებისათვის ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს მიმართებას თურქულ (აჭარული, იმერხეული, მესხურ-ჯავახური), სომხურ (ჯავახური, ქვემოქართლური), ირანულ (ფერეიდნული), ოსურ (მოხეური, მთიულური, ლიახვისა და ქსნის ხეობების ქართლური), აზერბაიჯანულ (ინგილოური) ენებთან. ამ ენათა ზეგავლენა ქართული ენის დიალექტებზე, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებია. ზოგჯერ, პირიქით, ქართული დიალექტები ახდენენ უფრო ინტენსიურ ზეგავლენას. სხვა ენათა ზეგავლენის კვალი განსაკუთრებით იჩენს თავს იმერხეულ, ინგილოურ და ფერეიდნულ დიალექტებში.

ამა თუ იმ მოვლენის შესწავლას თავისი პირობაც აქვს.

(#185)

არსებითად აქ ორი პირობა იგულისხმება:

ა) ყოველი მოვლენა უნდა შესწავლილ იქნეს დროსა და სივრცეში მასთან თანაარსებულ მოვლენებთან ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით — როგორც ნაწილი მთლიანისა: მთლიანობა განაპირობებს მისი შემადგენელი ნაწილების ბუნებას და, თავის მხრივ, განისაზღვრება ამ ნაწილის თავისებურებებით;

ბ) ყოველი მოვლენა უნდა შესწავლილ იქნებ თავისსავე დინამიკაში, მოქმედებაში, თავისი შინაგანი თვისებების გამოვლენის პროცესში, ამა თუ იმ სისტემაში მისი ფუნქციონირების დროს.

ამ ორი მომენტის გათვალისწინების აუცილებლობა განსაკუთრებით ხელშესახებად სწორედ ცოცხალი მეტყველების (დიალექტის, კილოკავის, თქმის...) ანალიზის დროს იჩენს თავს.

9.2. სინქრონია და დიაქრონია. რა არის სინქრონია და დიაქრონია: არის იგი ენის ნიშან-თვისება და, ამდენად, გამომდინარეობს თვით ენის არსიდან, თუ იგი მარტოოდენ კვლევის სფეროს განეკუთვნება, ესე იგი, მარტოოდენ მეთოდოლოგიური ფაქტია?

ფ. დე სოსიურის თვალსაზრისით, სინქრონია და დიაქრონია ენის შინაგან ნიშან-თვისებად მიიჩნევა: სინქრონია „არის ურთიერთობა ერთდროულად არსებულ ელემენტებს შრის“, დიაქრონია კი — „ერთი ელემენტის ცვლა მეორეთი დროის მანძილზე“.

სინქრონიისა და დიაქრონიის თვალსაზრისი ესაა სივრცისა და დროის ზოგადი ფილოსოფიური პრობლემების შემოტანა ენათმეცნიერებაში, რაც შესაძლევლობას გვაძლევს განვიხილოთ ისინი როგორც განზომილებების სხვადასხვა სისტემა. სინქრონიის შემთხვევაში განიხილება სხვადასხვა რიგის ელემენტებისა და მოვლენების თანაარსებობისა და ურთიერთდამოკიდებულების პირობები და პრინციპები, ხოლო დიაქრონიულად, პირიქით, ერთი რიგის ელემენტები და მოვლენები, მათი უერთიერთმიმართება განიხილება ენის არსებობის მთელ მანძილზე.

მაშასადამე, ენა არსებობს ორ განზომილებაში, ეს ორი განზომილება შესაბამისად დროისა და სივრცის ზოგადფილოსოფიური არსის კონკრეტულენობრივი გამოვლინებაა. ამდენად, სინქრონია და დიაქრონია ენისათვის ონტოლოგიური მონაცემია.

თითოეულ მათგანს შეესაბამება კვლევის სათანადო პრინციპები და მეთოდები. ამდენად, მეთოდოლოგიური ფაქტიცაა.

აქედან გამომდინარე, სინქრონია გულისხმობს ენის ფუნქციონირებას (ანუ: ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენას) მოცემულ მომენტში ყველა თავისი ნაირსახეობით. სწორედ ამ შემთხვევაში ივარაუდება ტერიტორიული, სოციალური თუ სხვა რიგის მეტყველებრივი (#186) ნაირსახეობების არსებობა. ასე რომ, ენის დიალექტური დიფერენციაცია სინქრონიული მონაცემია (სინქრონიის დონეზე ხდება).

დიაქრონია ვარაუდობს ენის ევოლუციური პოტენციის გამოვლენას. აქ უკვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქრონოლოგიურ დიალექტებთან“ გვაქვს საქმე (რადგან, თუ დიალექტი ზოგადად განისაზღვრება როგორც ამა თუ იმ ენის ნაირსახეობა, მაშინ სხვადასხვა პერიოდის მეტყველება ასევე ნაირსახეობებს ქმნის ერთმანეთის მიმართ).

სინქრონიულად ჩვენ ენის ევოლუციის შედეგთან გვაქვს საქმე (უკეთ: ესაა ერთ-ერთი კონკრეტული საფეხური, ეტაპი ენის ევოლუციაში);

დიაქრონიულად — საკუთრივ ევოლუციასთან, განვითარებასთან.

ანუ: ყოველ მოცემულ მომენტში ენა გვეძლევა როგორც ისეთი შედეგი, რომელშიც იმთავითვე ვლინდება განვითარების პოტენცია.

ენა რომ შედეგის სახით არ გვეძლეოდეს, მაშინ ყოველი ინდივიდი იძულებული იქნებოდა შეექმნა ახალი ენა.

ენის გამოყენება შემოქმედებითი აქტი რომ არ იყოს, ენას გაქვავების საშიშროება დაემუქრებოდა.

ენა, როგორც შედეგი, გვავარაუდებინებს მასში რაღაც მუდმივი (მისი ძირითადი სახის შემაპირობებელი) მონაცემის არსებობას. ესაა ენის შინაგანი სტრუქტურა, ანუ: ფორმობრივ და სემანტიკურ ელემენტთა ურთიერთმიმართებების კანონზომიერებანი.

ენა, როგორც განვითარებადი მონაცემი, გულისხმობს მასში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული წესების არსებობას.

ცვლილების, განვითარების საფუძველი სინაქრონიულადაა მოცემული.

ცვლილების, განვითარების განხორციელება დიაქრონიულად ხდება შესაძლებელი.

ჩვენს შემთხვევაში ეს ასე უნდა განისაზღვროს: ენის სინქრონიულად მოცემული ნაირსახეობანი (დიალექტები) დიაქრონიულადაა შეპირობებული.

განვითარება ენას იცავს ცვეთისაგან, არ აძლევს ენას გაქვავების საშუალებას. ენა პოტენციურად გაცილებით მეტ შესაძლებლობას შეიცავს, ვინემ ეს დროის კონკრეტულ მომენტშია გამოყენებული, ხორცშესხმული.

ენის პოტენცია ერთბაშად არასდროს რეალიზდება; იგი აკუმულირებულია ენაში და მისი მხოლოდ თანდათანობითი („გამოზოგვითი“) გამოხატვა ხდება. ენა სწორედ ასეთი მოხმარების შედეგად იძენს მოქნილობას, „უცვეთელობის“ უნარს, სათანადო სიზუსტეს თავის სიღრმისეულ შესაძლებლობათა გამოყენებისას.

(#187)

„ენა არის არა მოქმედების პროდუქტი, არამედ მოქმედება“ — ვ. ჰუმბოლდტის ამ დებულებას ფ. დე სოსიური ასე აზუსტებს: „სამეტყველო მოქმედება ყოველ მოცემულ მომენტში ვარაუდობს ჩამოყალიბებულ სისტემასაც და ევოლუციასაც: ნებისმიერ მომენტში ენა არის მოქმედი სისტემაც და წარსულის პროდუქტიც“. ბ. კროჩე ამ აზრს სხვა კუთხით ავითარებს: ინდივიდს ეძლევა არა ენა, როგორც მზა პროდუქტი, არამედ ამ ენის შემოქმედებითად გამოყენების შესაძლებლობა, უნარი. ამიტომაც, კ. ფოსლერის განმარტებით, „თავისი არსით ყოველი ენობრივი გამოხატულება ინდივიდუალური სულიერი შემოქმედებაა... მეტყველება სულიერი შემოქმედებაა“. ეს დებულება გამოძახილია ბ. კროჩეს თვალსაზრისისა: „ენა დაუსრულებელი შემოქმედებაა“.

სწორედ ენის ეს თვისება ქმნის შესაძლებლობას მეტყველებრივი ნაირსახეობების წარმოქმნისა, რაც გარკვეულ ეთნოსში, ტერიტორიაზე, სოციალურ ფენასა თუ პროფესიულ ჯგუფში დიალექტების სახითაა წარმოდგენილი.

ნაირსახეობა ნიშნავს რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთი გამოყენებას.

აი, მგალითად, ზოგი ამ შესაძლებლობათაგან:

ფონეტიკის დონეზე: და-ე-მართ-ა → დე-ე- მართ-ა → დი-ე-მართ-ა; მო-ვა → მო-ა → მუ-ა; სულ-ს → სულ-ც.

მორფოლოგიის დონეზე: მზა-ს || მზა-დ; ვ-ი-ყავ-ი-თ || ვ-ი-ყვენ-ი-თ; ისინი წერ-დ-ნენ || წერ-დ-ენ || წერ-დ-ეს; ტეხ-ს || ტეხ-ავ-ს.

სინტაქსის დონეზე: ის || მან შეეხვეწა; მათ ა-ქვ-ი-ს || ა-ქვ-თ (|| ა-ქვ-ენ).

ლექსიკის დონეზე: ჯიქანი || ცური, ჭური || ქვევრი.

ქართული ენის დიალექტები ამ ნაირსახეობათაგან ერთ-ერთის გამოყენებით განირჩევიან ერთმანეთისაგან.

9.3. არქაიზმი და ინოვაცია. დიალექტების შესწავლა „შესაძლებლობას გვაძლევს, ერთი მხრივ, წარმოვაჩინოთ ისეთი მოვლენები, რომლებიც კარგა ხანია დაუკარგავს სალიტერატურო ენას, ხოლო, მეორე მხრივ, დავკვალოთ ის ტენდენციები, რომლებიც ნიშანდობლივია საერთო-ეროვნული ენის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის“ (რუსული დიალექტოლოგია).

ამასთან დაკავშირებით დაისმის საკითხი არქაიზმებისა და ინოვაციების შესახებ დიალექტებში.

დიალექტების მიმართ ეს ცნებები ფარდობითია.

ფარდობითია, რადგან საკუთრივ ამა თუ იმ დიალექტისათვის ყველა მასში დადასტურებული ენობრივი მოვლენა სინქრონიული (თანა(#188)დროული მონაცემია, ხოლო ესა თუ ის ენობრივი ფაქტი არის არქაიზმი ან ინოვაცია სალიტერატურო ენისა ან სხვა დიალექტის თვალსაზრისით.

დიალექტებში არქაიზმების გამოვლენა უწინარეს ყოვლისა ენის ისტორიის თვალსაზრისითაა ღირსსაცნობი. დიალექტების ერთ ნაწილს, როგორც ითქვა, დაცული აქვს ენის ძველი ვითარება; ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს დიალექტი გამოვიყენოთ როგორც რეალურად არსებული მოდელი ენის ისტორიის შესასწავლად (რა თქმა უნდა, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რა უნდა იყოს საკუთრივ

დიალექტური წარმონაქმნი, განსხვავებით საერთო ეროვნული ენის მონაცემებისაგან).

არქაული ნაკადი დიალექტებში შესაძლოა სხვადასხვა დონეზე იყოს წარმოდგენილი:

ა) ფონემატურ სტრუქტურაში; ამ რიგისაა, მაგალითად, ჴ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში), ნაწილობრივ — ქიზიყურში, თუმცა აქ იგი უკვე კარგა ხანია მოშლის გზაზეა დამდგარი; ასევე — ჲ და მის საფუძველზე წარმოქმნილი დამავალი დიფთონგები მესხურში (ოღონდ, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, აქ იგი სხვაგვარი გამოყენებისაა: გვხვდება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ ან მათთან გატოლებულ სახელებთან: შოთაჲ, ნონაჲ... დედაჲ...), ნაწილობრივ — გურულსა და აჭარულში (სადაც მას თავისუფლად ენაცვლება სრული ხმოვანი ი: ნენაჲ || ნენაი, ძმაჲ || [უპირატესად] ძმაი...);

ბ) მორფოლოგიაში; ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ხოლმეობითის (მრავალგზისობის) ძველი ქართულისებური წარმოება ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში: და-წერ-დ-ი-ს, ა-ღ-ებ-დ-ი-ს... და-წერ-ი-ს, გა-ა-ღ-ი-ს... ანუ: ამ დიალექტებში შენარჩუნებულია მრავალგზისობის გამომხატველ ფორმათა სისტემა, ოღონდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმავდროულად დიალექტების დონეზე ამ სისტემას გარკვეული მოდიფიკაციები ახასიათებს: ძველი ქართულის იდენტური წარმოება მხოლოდ მესამე პირის ფორმებშია დაცული, ხოლო პირველი და მეორე პირის ფორმებში ხევსურული და თუშური -იდ-ი ფორმანტს იყენებს, ფშაური — -ოდ-ი ფორმანტს: და-ვ-წერ-იდ-ი, და-წერ-იდ-ი... და-ვ-წერ-ოდ-ი, და-წერ-ოდ-ი... ასე რომ, არქაული სისტემა მთლიანად დაცულია, არქაული წარმოება კი მხოლოდ მესამე პირის ფორმებში იჩენს თავს, პირველი და მეორე პირის ფორმებს გარკვეული მოდიფიკაცია განუცდია საკუთრივ დიალექტების დონეზე;

(#189)

მყოფადის ფორმათა წარმოებისას არქაული წესია მეტ-ნაკლებად დაცული ინგილოურში, სადაც თხრობითი კილოს მყოფადი დროის გამოსახატავად ჩვეულებრივია კავშირებითის ფორმების ხმარება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნებისათვის. „ოღონდ, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, აღიშნულ დიალექტში ამ მიზნით მხოლოდ II კავშირებითის ფორმებია

გამოყენებული“ (რ. ღამბაშიძე): გამოჲყონო „გამოვიყვან“ (ზედმიწევნით: „გამოვიყვანო“), დოჲმალო „დავიმალები“ (ზედმიწევნით: დავიმალო“)... ამავე დიალექტში დასტურდება მყოფადის ფორმათა ახალი ქართულისებური (ზმნისწინიანი) და მეშველზმნიანი წარმოებაც;

გ) სინტაქსური ურთიერთობისას; ამ რიგისაა მიცემითში დასმული ობიექტის რიცხვში შეუთანხმებლობისა და, საპირისპიროდ, სახელობითბრუნვიანი ობიექტის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები ქართული ენის დიალექტებში (ხევსურულში...): მას || მათ ა-ქვ-ი-ს, ერთი მხრივ, და: მან ჭიუხ-ნ-ი და-ლაჴ-ნ-ა;

დ) ლექსიკაში: ქსინი ამინდი „ქარიანი, უსიამოვნო ამინდი“ (შდრ.: კსინვა „ავად აშლილივით“, სულხან-საბა ორბელიანი; „კსინავს მწუხარედ ცაჲ“, მათე, 16,3), სულე „სუ, ჩუმად“, უტევს „უშვებს“ (შდრ.: გან-ტევ-ებ-ა „გაშვება“, გან-უ-ტევ-ა „გაუშვა“ ძველ ქართულში) ხევსურულში გამოყენებული ფორმებია (ა. ჭინჭარაული)...

ასევე სხვადასხვა დონეზეა წარმოდგენილი ინოვაციებიც:

ა) ფონემატურ სტრუქტურაში ინოვაციად შეიძლება დავასახელოთ პოზიციური გრძელი ხმოვნები აჭარულსა და თუშურში (შესაბამისად: გ̄კეთა და გ̄უკეთ „გაუკეთა“), მკვეთრი შემართვის და დამართვის ბგერები თუშურში (იგივე „გ̄უკეთ“), უმლაუტიანი ხმოვნები ინგილოურში, მესხურ-ჯავახურში, ნაწილობრივ — მოხეურში (შდრ. ამ თვალსაზრისით სვანური); უმლაუტი, ჩვეულებრივ, მოუდით ლაბიალურ ხმოვნებს (კ̈რცხი „კვერცხი“, შ̈დი „შვიდი“), ნასესხებ სიტყვებს შესაძლოა შემოჰყვეს უმლაუტიანი ä-ც...

ბ) მორფოლოგიაში ინოვაციად მოჩანს -ყე → || -კე მორფემის გამოყენება ხოლმეობითის (მრავალგზისობის) გამოსახატავად ინგილოურში, მთიულურსა და მოხეურში: ცხოვა-ყ(ე) „ცხვება ხოლმე“ (ინგილოური). მამეკიდება-კე „მომეკიდება ხოლმე“ (მთიულური), იკეთებს-კე „იკეთებს ხოლმე“ (მოხეური); შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში, ამჟამად კი ზოგიერთ დიალექტში -ყე (თავისი ფონეტიკური ნაირსახეობებით) გამოიყენება ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად.

ინოვაციაა თუშურში -თ-ა ფორმანტის გააზრება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად -ებ მრავლობითობის ფორმანტზე დართვისას: კაც(#191)-ებ-თა = კაც-ებ-მა (-თ-ა ფორმანტის ანალოგიური გამოყენების შემთხვევები ჯერ კიდევ XV-XIX საუკუნეების წერილობით ძეგლებში შეინიშნება, მაგრამ აქ მას არა აქვს მიღებული ის

სპეციფიკური ფუნქცია, რომელიც თუშურში წარმოჩნდა; ანუ: კაც-ებ-თა = კაც-ებ-მა,კაც-ებ-ს, კაც-ებ-ის; ესე იგი, იმასვე, რასაც: კაც-თა — გარკვეული თვასაზრისით ორმაგ სუფიქსაციასთან გვაქვს საქმე, განსხვავებით თანამედროვე თუშურისაგან).

აშკარად მოფორლოგიურ ინოვაციასთან გვაქვს საქმე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში დრო-კილოთა IV სერიის ფორმათა წარმოებისას: მი-ნა-ვალ-ა, ნა-ყვარებ-ა... მი-ნა-ვალ-იყო ... (გ. როგავა);

გ) სინტაქსური ინოვაციაა რიცხვში შეთანხმების დროს ფორმობრივი პრინციპებიდან სემანტიკურ პრინციპზე გადასვლა: „ხალხმ დაიწყეს საუბარი“ (ხევსურული) — „დაიწყეს“ იმის გამო, რომ „ხალხი“ სემანტიკურად მრავალს გულისხმობს, თუმც ფორმობრივად მხოლოობითი რიცხვია. ისტორიულად სწორედ ფორმობრივ მონაცემებს ეწეოდა ანგარიში (ასეა ახლაც სალიტერატურო ენაშიც), დიალექტური ინოვაციაა სემანტიკური მხარის გათვალისწინება.

ანალოგიური ინოვაციაა ერგატიული კონსტრუქციის გამოყენება აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალ ზმნასთან: „კაცმა დაპირდა || შეეხვეწა || მიეყუდა...

ამ ინოვაციათა გამომწვევი მიზეზები ნაირგვარია: ერთ შემთხვევაში იგი სხვა ენის (მონათესავისა თუ არამონათესავის) ზეგავლენის შედეგია, მეორე შემთხვევაში ენის შინაგანი პოტენციის ამოქმედებაა.

არქაიზმებისა და ინოვაციების ანალიზისას გასათვალისწინებელია: მათი მქონებლობა არ ნიშნავს, რომ ისინი ყველა დონეზე ერთნაირად იქნებიან წარმოდგენილი. შესაძლოა არქაიზმის ტენდენცია (ასევე ინოვაცია) ვლინდებოდეს ფონემატურ სტრუქტურასა ან მორფოლოგიაში, მაგრამ სავსებით არ გვქონდეს სინტაქსსა ან ლექსიკაში, ანდა: ფართოდ იყოს წარმოდგენილი ლექსიკაში და თავს არ იჩენდეს ფონემატურ სტრუქტურასა ან მორფოლოგიაში...

9.4. რას იძლევა დიალექტოლოგია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით? დიალექტი არის ცოცხალი ენობრივი პროცესი, რაც შესაძლებლობას იძლევა თავისსავე დინამიკაში (მოქმედებაში) დავაკვირდეთ ენობრივ მოვლენებს.

ნიმუშად რამდენიმე მომენტს დავასახელებთ.

თეორიულად ივარაუდება, რომ მონათესავე ენებს შორის ბგერათშესატყვისობანი ფონეტიკური ცვლილების („გადაწევის“) შედეგია, (#191) რომ ოდესღაც მათ რაოდენობრივი ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი გადაიზარდა თვისებრივ მონაცემში — ენათა განსხვავების საფუძველი გახდა.

დიალექტები რეალურად ადასტურებენ ამ ვარაუდს. ზემოთ უკვე გვქონდა ამის ნიმუშები დასახელებული: ქართული ლ — მეგრულ-ჭანური და სვანური შ; შდრ. ანალოგიური მიმართება ქართული ენის დიალექტების დონეზე: მი-ლულ-ვ-ა — მი-ლუშ-ვ-ა (მოხეური), ღარბელ-ი — ღარბეშ-ი (ზემოიმერული)... ქართული რ — მეგრულ-ჭანური ჯ; შდრ. საკუთრივ ქართული ენის დიალექტების დონეზე ყურ-ი — ყუჯ-ა (ხევსურული; „უყურო ან ყურებდაჭრილი ცხვარი“) და მისთ.

თეორიულად ივარაუდება, რომ შესაძლებელია მორფემათა სემანტიკური გადააზრიანება (რეინტერპრეტაცია), რომ თანამედროვე ენებში წარმოდგენილი ზოგიერთი მორფემა ადრე სხვა მნიშვნელობის გამომხატველი იყო.

დიალექტებში ამის დამადასტურებელ ფაქტებსაც ვხვდებით. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე (სურვილობის გამომხატველი) უ-ნდ-ა ზმნა გარკვეულ შემთხვევაში მორფემოიდად (ნაწილაკად) იქცა (გამოხატავს ვალდებულებას); შდრ.: მინდა გავაკეთო, გინდა გააკეთო, უნდა გააკეთოს, ერთი მხრივ, და: უნდა გავაკეთო, უნდა გააკეთო, უნდა გააკეთოს, მეორე მხრივ — აქ უკვე მოხდა სემანტიკური გადააზრიანება. დიალექტები (კერძოდ, მეხურ-ჯავახური და აჭარული) ფორმობრივადაც (გარეგნულადაც) ცვლიან ამ ელემენტს და სტრუქტურულად მორფემას უახლოვებენ: გავაკეთო-ნდა || გავაკეთო-და || გავაკეთო-ნა, დასაშვებია ასევ: ნა-გავაკეთო... „უნდა გავაკეთო“.

ფრიად ფასეულია ზოგადი ენეთმეცნიერების თვალსაზრისით აგრეთვე ის შედეგები, რაც დიალექტთა ურთიერთგავლენით, დიალექტთა გარდავამალი ზონებით, მომიჯნავე ტერიტორიაზე გავრცელებულ ენებთან დიალექტების კონტაქტით, ასევე: ამა თუ იმ დიალექტში პოვნიერი სუბსტრატული, სუპერსტრატული და ადსტრატული მონაცემე(#192)ბით, სალიტერატურო ენასთან დიალექტების მიმართებით, დიალექტებში ფართოდ გავრცელებული დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესებით ვლინდება.

9.5. დიალექტოლოგია და სოციოლინგვისტიკა. სოციოლინგვისტური პრინციპების გათვალისწინება აუცილებელია მაშინ, როცა დიალექტურ მოვლენათა საზოგადოებრივი თვალსაზრისით შეფასება ხდება. თავის მხრივ სოციოლინგვისტიკაც უხვად საზრდოობს დიალექტური მონაცემებით (განსაკუთრებით ეს სიციალურ და პროფესიულ დიალექტებზე ითქმის).

სოციოლინგვისტიკის პრობლემატიკა ფართოა და მოიცავს საკითხების წყებას იდიოლექტიდან ვინემ საერთაშორისო ენებამდე.

სოციოლინგვისტიკის ძირითადი მიზანია ენის სოციოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა. ამიტომაც აქ უწინარეს პრობლემად დგას ენისა და საზოგადოების, ენისა და ეროვნული კულტურის ურთიერთმიმართება.

თავის მხრივ, სოციოლინგვისტური კრიტერიუმები საშუალებას გვაძლევენ ავხსნათ იმ რიგის მოვლენები, რომლებიც წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ვერ განიმარტებიან. მაგალითად, რატომ ხდება, რომ ფორმობრივი სტრუქტურით იდენტური მონაცემებიდან „მინა“ და „თინა“ პირველი იკვეცება ბრუნებისას შესაბამის პოზიციაში, მეორე კი — არა(„მინ-ის-ა“, მაგრამ: „თინა-ს-ი“)? იმიტომ, რომ პირველი საზოგადო სახელია, მეორე — საკუთარი. „საკუთარი სახელი“ კი სწორედ სოციალური ცნებაა, ანუ: სოციალური ინტერპრეტაციის დონეა. ეს რომ მართლაც ასეა, ჩანს იმითაც, რომ ერთსა და იმავე ენობრივ ფორმას შეიძლება მიეცეს ნაირგვარი სოციალური ინტერპრეტაცია: საზოგადოდ „დედა“ კვეცადია: „დედის დარიგება“, მაგრამ საკუთარ სახელად გაგებული „დედა“— უკვეცელი: „დედას (=დედაჩემის) თავშალი“ (არნ. ჩიქობავა).

რატომ არის, რომ „რბილი“ ლ-ს წარმოთქმა ფორმებში „პალ’მა“, პალ’ტო, „რევოლ’უცია“ საზოაგდოების გარკვეულ ფენაში სავსებით დასაშვებად მიიჩნევა, მაგრამ აშკარა უარყოფით რეაქციას (გაკილვას, დაცინვას) იწვევს ანალოგიური წარმოთქმა ფორმებში „ტოლ’მა“, „ლ’ტოლ’ვა“, „დამალ’ული“? იმიტომ, რომ პირველს სოციალური სანქცია აქვს (ამ ფენის წარმომადგენელთათვის ინტუიციურად მისაღებია სხვა ენებიდან ნასასხებ ფორმებთან ერთად შესაბამისი წარმოთქმის სესხებაც), მეორე რიგის ფორმებს კი ასეთი შეფასება არ ეძლევა.

(#193)

ამ მარტივი მაგალითებიდანაც, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, თუ რა არსებითი ღირებულებისაა სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამოყენება დიალექტურ მოვლენათა ინტერპრეტაციისათვის.

სოციოლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება ბილინგვიზმის (ასევე: პოლილინგვიზმის) პრობლემაც. დიალექტოლოგიური ინტერპრეტაციებისათვის ეს საკითხიც არსებითი მნიშვნელობისაა. ერთი და იგივე პიროვნება შესაძლოა ფლობდეს იდიოლექტს, დიალექტს (ან დიალექტებს), კოინეს, სალიტერატურო ენას,

აგრეთვე სხვა ენებს. როგორია ამ სხვადასხვა დონის მონაცემთა თანაარსებობის პირობები და შედეგები? ამ საკითხის გადაწყვეტას პრინციპული ღირებულება აქვს არა მხოლოდ ენათმეცნიერული, არამედ სოციოლოგიური თვალსაზრისითაც.

სოციოლინგვისტური კვლევა აუცილებელის ხდის ენის ანალიზისას პიროვნული, საზოგადოებრივი, ეროვნული მომენტების გათვალისწინებასაც. ენა ფასდება არა მხოლოდ მისი შინაგანი ბუნების მიხედვით, არამედ მისი მომხმარებელი პიროვნების, საზოგადოების, ერის პოზიციიდანაც. რატომ თვლის ზოგი დიალექტის წარმომადგენელი თავს ამ დიალექტის მომცველი საერთო ენობრივი კოლექტივის წევრად, ხოლო ზოგი სხვა დიალექტის წარმომადგენელი — დამოუკიდებელი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლად მიიჩნევს თავის თავს. ასეთი საკითხები წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ვერ გადაწყდება (ენობრივად ორივე დიალექტი ერთი დონის მონაცემია), სოციოლინგვისტიკა კი ასეთი პრობლემის შესწავლასაც გულისხმობს, მის დადგენასაც ვარაუდობს.

საკუთრივ ენათმეცნიერებისათვის არ არსებობს „ლამაზი“ და „ულამაზო“, „კეთილხმოვანი“ და „არაკეთილხმოვანი“, „ცენზიანი“ და „უცენზურო“ სიტყვები, გამოთქმები, ფრაზები; ანუ: ენათმეცნიერება ესთეტიკური თვალსაზრისით არ აფასებს ენობრივ მოვლენებს, რადგან ენათმეცნიერება იკვლევს იმ ობიექტურ მონაცემს, რომელიც ენაში გვაქვს. ასეთი შეფასება კი სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი პრობლემაა, რადგან სოციოლინგვისტიკა სუბიექტურ მომენტსაც ითვალისწინებს.

არსებითად სოციოლინგვისტიკის სფეროში შემოდის ტაბუსა და ევფემიზმის პრობლემაც.

ტაბუ რწმენის სფეროს განეკუთვნება — იკრძალება ამა თუ იმ საგნისა ან მოვლენის სახელი გარკვეული სარწმუნოებრივი პრინციპის საფუძველზე.

ევფემიზმის გამოყენება ეთიკის სფეროში შემოდის — ხდება ამა თუ იმ საზოგადოებისათვის მიუღებელი სიტყვისა ან გამოთქმის შე(#194)ცვლა სხვა („შელამაზებული“, „გაკეთილშობილებული“) ეკვივალენტებით.

არსებობს არა მხოლოდ სიტყვების, არამედ საგნების ტაბუც. ცნობილია ტაბუ ადამიანებზეც. ამის ფაქტია, მაგალითად, ქალის გაძევება სამრელოში ან ბოსელში მენსტრუაციის და მშობიარობის დროს ფშავსა და ხევსურეთში. ანალოგიური ფაქტი სხვა ხალხებშიც არის შენიშნული.

ტაბუს ფაქტია ისიც, რომ ომში წასვლის წინ მეომრები ქალის სიახლოვეს ერიდებოდნენ. დღემდეა შემონახული ჩვეულება (საქართველოს მთიანეთში) სანადიროდ წასვლის წინ ქალებისაგან განრიდებისა.

ყველაზე უფრო გავრცელებული კი სიტყვის (ან გამოთქმის) ტაბუა.

თ. სახოკია ასეთ ცნობას გვაწვდის სამურზაყანოში მოგზაურობის შესახებ: „მავნებელ სულდგმულთ აქ ორნაირი სახელი ჰქვიანთ: ერთი ნამდვილი და მეორე მოგონილი. ცდილობენ, ყოველთვის მოგონილი სახელი დაუძახონ ამგვარ სულდგმულთ; იმიტომო, რომ — ამბობენ — ნამდვილი სახელი რომ დავუძახოთ, ეგონება — გვეძახიანო, მოვლენ და დაგვაზიანებენო... გარდა ამისა, თუ ნადირმა რამე ზიანი მოგაყენათ, ან აბრეშუმის ჭიას თაგვი ან ჭიანჭველა დაეხვია, ანდა ქათმები ან საქონელი ჭირმა გაგიწყვიტათ, სხვის სახლში თქვენს გაჭირვებას ვერ იტყვით, ვითომ, რაც თქვენ გადაგხდათ თავზე, ვისაც უთხარით, იმას გადაედებაო“.

ტაბუს ენობრივი არსი გარკვეულად გამოცანის ტიპისაა — სახელდება ხდება რაიმე მიმანიშნებელი თვისების საფუძველზე.

ტაბუს ფსიქოლოგიური საფუძველია სიტყვის მაგიური ძალის რწმენა.

არსებობს ენობრივი ტაბუს სხვადასხვა სახეობა:

საკუთარი სახელების ტაბუ. გავრცელებულია სამეგრელოში, ხევსურეთში... ყოველ ხევსურს აქვს ნათლობის სახელი, გვარტომობის სახელი, ხატის სახელი... გარდა ამისა, ბავშვს ზოგჯერ მიცვალებულის სახელსაც არქმევენ, რძალი მაზლს სახელს უცვლის, ბიცოლაც — ძმისწულს (თუ მისი ქმრის მოსახელეა). ასე რომ, ერთსა და იმავე პიროვნებას შესაძლოა ერქვას სახელები: მღვდლისა — პეტრე, სულისა — დავითი, რძლისა — ხირჩლა, ხატისა — გიორგი, დედისძმის ცოლისა — ბეწიკუა (ს. მაკალათია). ესაა სურვილი დაიფარონ პიროვნება მავნე სულისაგან.

თუშეთში ცოლი ქმარს ასე უხმობს: ეგე კაცო! (კ. ჯორჯანელი).

(#195)

ღმერთის სახელის ტაბუ. „ღმერთის“ ნაცვლად გამოიყენება: უფალი, მამაზეციერი, შემოქმედი, ზენაარი, ყოვლისშემძლე, უზენაესი მსაჯული...

ეშმაკის სახელის ტაბუ. „ეშმაკი“ იცვლება სახელებით: ბოროტი, მავნე, მაცდური, კუდიანი, წყეული, ჯოჯოხეთის მოციქული...

ავადმყოფობათა სახელების ტაბუ. ყველაზე გავრცელებულია სახადის სახელად „ბატონები“ || „ანგელოზები“ (ეს უკანასკნელი უფრო იშვიათად)...

სიტყვის ტაბუ ზოგჯერ ბგერადობის მიმსგავსების გამო ხდება. მაგალითად, გურიაში ერიდებოდნენ სიტყვის „ხუთი“ თქმას, რადგან იგი ფონეტიკურად მსგავსია „ხუთ-ავ-ს“ ფორმისა (ეტიმოლოგიურად მათ შორის კავშირის მქონებლობა გამორიცხული არაა).

არსებობს გრამატიკულ ფორმათა ტაბუც. მაგალითად, ხევსურულში ქმარი ახლადმოლოგინებულ ცოლს მესამე პირის ფორმებით მიმართავდა: პურ ხო არ უნდ? „პური ხომ არ გინდა?“ უნდ „მინდა“; ვაჟა როგორ ხყავავ? „ვაჟი (შვილი) როგორ გყავს?“ და მისთ. (კ. ჯორჯანელი).

როგორც ითქვა, ევფემიზმი ენობრივი ეთიკის (ენობრივი ეტიკეტის) სფეროს განეკუთვნება. ამ შემთხვევაში ხდება „მკვეთრი“ გამოთქმების შენაცვლება „დახვეწილი“ ფორმებით: „სიმართლეს არ ამბობს“ ნაცვლად ამისა: „ტყუის“, „ხელით შეეხო“ = „სცემა“, „გარდაიცვალა“ = „მოკვდა“ და ა.შ. „ევფემისტური შენაცვლების საჭიროება სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენაში ერთგვარად არ ესმით. ევფემისტური ნორმები ერთსა და იმავე წრეში იცვლება დროთა ვითარებაში“ (არნ. ჩიქობავა).

სოციოლინგვისტიკის საკმაოდ ფართო პრობლემატიკის ძირითადი მიზანია გაარკვიოს, რა დანიშნულება და გამოყენება აქვს ენას ამა თუ იმ საზოგადოებაში, ანუ: როგორ და რამდენად გამოიხატება ენით საზოგადოებრივი ყოფიერება. ამ თვალსაზრისით ღირსსაცნობია ე. სეპირის დებულება: „არ არსებობს იმდენად მსგავსი ორი ენა, რომ შესაძლებელი იყოს ჩავთვალოთ ისინი ერთი და იმავე სოციალური სინამდვილის გამომხატველებად. სამყაროები, რომლებშიც ცხოვრობენ სხვადასხვა საზოგადოებანი, დამოუკიდებელი სამყაროებია და არა ერთი სამყარო, რომელიც იყენებს სხვადასხვა იარლიყებს“.

მოვლენათა საზოგადოებრივი შეფასება უშუალოდ აისახება ენაში, თანაც არა მხოლოდ ლექსიკაში, არამედ ზოგჯერ თვით გრამატიკულ კატეგორიებშიც კი. მაგალითად, აფრიკის ერთ-ერთი ენა განასხვავებს სულიერთა და უსულოთა კლასს. „ჭია“ უსულოთა კლასს განეკუთვნება, „თამბაქო“ — სულიერთა კლასს; „ღირებულებაა საზომი: „უფრო (#196) ფასეული“ უპირისპირდება ნაკლებ ფასეულს სათანადო ხალხის აზროვნებაში“ (არნ. ჩიქობავა).

იმავდროულად ენაში მექანიკურად კი არ აირეკლება ესა თუ ის ფაქტი ყოფიერებისა, არამედ ხდება მისი გაცნობიერება გარკვეული საზოგადოებრივი მსოფლხედვის საფუძველზე; მაგალითად, „მამა აფხაზურად შეიძლება გადმოიცეს

ნაირგვარად: ს-აბ, უ-აბ, ბ-აბ, დ-აბ, ლ-აბ... ე.ი. მამა ჩემი, მამა შენი — ვაჟისა, ქალისა, მამა მისი — ვაჟისა, ქალისა... ერთი სიტყვით, შეიძლება აღინიშნოს „მამა“ როგორც ვიღაცის (ან რაღაცის) მამა, მაგრამ ვერ დავასახელებთ მამას ისე, რომ ის არავის მამად არ იყოს იმთავითვე წარმოდგენილი. განყენებულად აღებული „მამა“, რა თქმა უნდა, უდავო ფაქტია აფხაზის აზროვნებისათვის, მაგრამ განყენებულად აღებული ამ წარმოდგენის გამოხატვა არ ხერხდება აფხაზურ სამეტყველო საშუალებით“ (არნ. ჩიქობავა).

რას გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით ერთი და იმავე ენის სხვადასხვა დიალექტი, — აი, ეს საკითხი ისმის, როცა დიალექტურ მოვლენათა საზოგადოებრივი თვალსაზრისით შეფასებას ვეხებით. ეს კი თავისთავად გულისხმობს სოციოლინგვისტური კვლევის შედეგების გათვალისწინებას.

9.6. დიალექტოლოგია და ონომასტიკა. ონომასტიკა სწავლობს საკუთარ სახელთა წარმომავლობასა და ენობრივ სტრუქტურას. ყველა საკუთარი სახელი მიღებულია საზოგადო სახელისაგან ორი საშუალებით: ა) მეტონომიის გზით — საზოგადო სახელი გარკვეულ კონტექსტში მოიპოვებს საკუთარი სახელის ფუნქციას: ჭალა „წყლის პირი ნაყოფიერი“ (სულხან-საბა ორბელიანი) → ჭალა (სოფლის სასხელწოდება); ბ) სიტყვათწარმოების საფუძველზე — ჭალა „წყლის პირი ნაყოფიერი“ → ჭალოვანი (სოფლის სახელწოდება), ჭალისუბანი (სოფლის სახელწოდება).

სემანტიკური სხვაობა საზოგადო და საკუთარ სახელს შორის შემდეგია: საზოგადო სახელი ასახელებს საგანსა ან მოვლენას და იმავდროულად გარკვეული ცნების აღმნიშვნელად გვევლინება (საზოგადო სახელი ასახელებს კონკრეტულ „ხეს“, მაგრამ იმავდროულად გულისხმობს ამ ნიშან-თვისების მქონე ყველა საგანს; შდრ.: „გაზაფხულზე ხე იფოთლება“ და „გაზაფხულზე ჩემი სახლის წინ მდგარი ხე იფოთლება“ — პირველი ზოგადია, მეორე — კონკრეტული, რომელსაც ზოგადის მიშან-თვისებები აქვს); საკუთარი სახელი მხოლოდ ასახელებს ობიექტს („ვახტანგი“... „თბილისი“ ... მიუთითებენ კონკრეტულ ობიექტზე, მაგრამ არ განაზოგადებენ მათ რაიმე ნიშან-თვისების საფუძველზე); ანუ: საზოგადო სახელი საგანსა ან მოვლენას უკავშირდება ცნების საშუალებით, საკუთარი სახელი მიემართება საგანს უშუალოდ; (#197) საზოგადო სახელის მნიშვნელობა ცნებითია, საკუთარი სახელისა — საგნობრივი.

საზოგადო და საკუთარი სახელები ერთმანეთისაგან სხვაობს ფუნქციურადაც: საზოგადო სახელი არამსგავსი (არაერთგვაროვანი) საგნებიდან გამოყოფს მსგავს (ერთგვაროვან) საგნებს და აერთიანებს მათ ერთ ლექსიკურ რიგში („მთას“ გამოყოფს „ტბიდან“, „სოფლიდან“... და იმავდროულად აერთიანებს ყველა მსგავსს: „იალბუზს“, „მყინვარწვერს“, „უშბას“, „თეთნულდს“ და, საერთოდ, ამ თვისების მქონე ყველა სახელდებულ თუ უსახელო ობიექტს); საკუთარი სახელი გამოყოფს მსგავსიდან (ერთგვაროვანიდან) ერთადერთს და უპირისპირებს ყველა დანარჩენს (ასახელებს „იალბუზს“ და უპირისპირებს მას „მთა“ ცნებაში გაერთიანებულ ყველა სხვა ობიექტს — „მყინვარწვერს“, „უშბას“, „თეთნულდს“...). ესე იგი, საკუთარი სახელი აცალკევებს იმას, რასაც აერთიანებს საზოგადო სახელი.

საკუთარ სახელს აქვს თავისი მოტივაცია; ანუ: ყოველი კონკრეტული საგნის სახელი შეპირობებულია ისტორიულად, სოციალურად და ენობრივად (ისტორიული ვითარება საჭიროს ხდის სახელდებას, რასაც ეძლევა სოციალური სანქცია, ხოლო მისი განხორციელება ენობრივი ინვენტარის საშუალებით ხდება).

ეს არის საკუთარ სახელთან დაკავშირებული ზოგად-თეორიული პრობლემები. დიალექტოლოგიას ამ თვალსაზრისით სპეციფიკური ინტერესები აქვს; კერძოდ, გამოსავლენია საკუთარ სახელთა მოტივაციისა და წარმოების დიალექტური ნაირსახეობანი.

დიალექტოლოგიისა და ონომასტიკის ურთიერთმიმართებას სპეციალური ნაშრომები მიეძღვნა და მრავალი საინტერესო ფაქტიც დადგინდა. შენიშნულია, მაგალითად, რომ „გეოგრაფიულ სახელთა ანალიზით ირკვევა ბევრი სიტყვის ეტიმოლოგია და ენის სიტყვათწარმოებითი საშუალებანი“, რის გამოც ტოპონიმიკის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ტოპონიმების (გეოგრაფიული სახელწოდებების) შესწავლა „ენათა და დიალექტთა გამოსარკვევად“ (ვ. თოფურია).

ონომატიკასთან დაკავშირებით დიალექტიზმები ძირითადად ორი თვალსაზრისით უნდა იქნენ შესწავლილნი: ზოგადად — ლექსიკისა და ფონეტიკა-გრამატიკის დონეზე, და — საკუთრივ ონომასტიკის დონეზე. პირველი მიზანია აჩვენოს, რა ოდენობითაა გამოვლენილი საკუთარ სახელებში დიალექტებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური, ფონეტიკური თუ გრამატიკული თავისებურებანი, ანუ: რამდენად ასახავენ საკუთარი სახელები დიალექტურ თავისებურებებს. მეორე თვალსაზრისით კვლევის მიზანია აჩვენოს, თუ რა თავისებურებებით განსხვავდება

ერთმანეთისაგან საკუთარ სახელთა წარმოება დიალექ(#197)ტების მიხედვით. მაგალითად, თანდებულიანი სახელების ტოპონიმებად გადაქცევა (იგულისხმება „ტბათანა“ ტიპის ფორმები) მხოლოდ გარკვეული კილოებისთვისაა დამახასიათებელი. ანალოგიური წარმოება შესაძლოა მეზობელი ან სრულიად დაშორებული დიალექტების გავრცელების ტერიტორიაზეც აღინუსხოს. ერთ შემთხვევაში ეს მოვლენა სუბსტრატად განიმარტება, მეორე შემთხვევაში — ენის შინაგანი შესაძლებლობის გამოვლინებად. ამის დადგენას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ტოპონიმიკისათვის.

შემდეგ: -ის ფორმანტი (შინდ-ის-ი, ძალ-ის-ი...) თითქმის არ გვხვდება კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ტოპონიმებში, სამაგიეროდ, ხშირია მის ბადლად -იან ფორმანტის გამოყენება (შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია). ეს კი ნიშნავს, რომ ტოპონიმთა ანალიზის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენადაა დასაშვები ამა თუ იმ რეგიონში რომელიმე კონკრეტული ფორმანტის გამოყენება. ზემოხსენებულის მიხედვით, -ის ფორმანტიანი ტოპონიმები კახეთის რეგიონში სპეციალურ ახსნას მოითხოვს. უნდა შევნიშნოთ, რომ დიალექტური ნაირსახეობანი აქ საკუთრივ ტოპონიმთა წარმოების დონეზე იგულისხმება, რაც შესაძლოა განსხვავებულიც იყოს და დაემთხვეს კიდეც სხვა რიგის დიალექტურ მოვლენებს. დამთხვევის შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვეულებრივ დიალექტიზმთან, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოვლენილია საკუთარ სახელში. განსხვავების მიზეზი კი ძირითადად ორგვარი შეიძლება იყოს: ა) დიალექტურ ცნობილ მასალაში არ არის ფიქსირებული ესა თუ ის მოვლენა და მაშინ საკუთარი სახელი შეავსებს ამ ხარვეზს; ბ) დადასტურებული ფაქტი ან არქაიზმია, ან დიალექტური ინოვაცია, რომელიც თავს არ იჩენს საზოგადო სახელების დონეზე; უპირატესად მაინც არქაიზმთან გვექნება საქმე და მაშინ საკუთარი სახელი ფრიად მნიშვნელოვან მასალას მოგვაწვდის დიალექტის ისტორიისათვის. ეს ეხება ზოგადად ყველა საკუთარ სახელს. ტოპონიმთა შემთხვევაში კი სხვაობის მიზეზი შესაძლოა სხვაც იყოს: შეიცვალა დიალექტის საზღვარი ან ადრინდელი დიალექტის გაქრობის შემდეგ ამ ტერიტორიაზე გავრცელდა სხვა დიალექტი (ენა), ტოპონიმი კი ადრინდელი დიალექტური ფორმით შემორჩა. ყოველივე ამის შესწავლა ერთ-ერთი საშუალებაა გამქრალი ან სახეცვლილი დიალექტებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფორმის აღსადგენად.

კერძოდ, რა სახით შეიძლება გამოვლინდეს დიალექტური ნაირსახეობანი საკუთარ სახელებში?

დიალექტური თავისებურებანი ვლინდება ანთროპონიმებში (ადამიანთა საკუთარ სახელებში):

(#199)

ა) მგელიკა, ვეფხია ტიპის სახელთა წარმოება მხოლოდ დიალექტთა ერთი წრისათვისაა ნიშანდობლივი (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონი);

ბ) დიალექტთა მეორე წრისათვის ნიშანდობლივია კნინობით-საალერსო სახელთა მოჭარბება: თედ-უკ-ა, შოთ-უკ-ა, სანდრ-უკ-ა, ვან-უკ-ა; პართენ-იკ-ა, პარმენ-იკ-ა, ელენ-იკ-ა; დათ-იკ-უნ-ა, ნაზ-იკ-უნ-ა; ოლღ-ინ-იკ-ა, ლუკ-ინ-იკ-ა; დათ-უნ-იკ-ა, შოთ-უნ-იკ-ა; თამარ-იკ-ელ-ა ტიპის რაჭულში (ა. კობახიძე); ვან-უ-ა (← ვან-ო-ა), მიტ-უ-ა (მიტ-ო-ა) ტიპისა ქართლ-კახურში;

გ) დიალექტთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ზედმეტსახელების (თიკუნის) ჩვეულებითი გამოყენება: ფიცხელა, ქვაკაცა, ვარსკვლავა... ზედმეტსახელი ხშირად საფუძვლად ედება გვარის წარმოებას: მდინარა → მდინარაძე, მგელა → მგელაძე, მამალა → მამალაძე... (არის მოსაზრება, რომ აქ ტოტემიზმის გადმონაშთთან გვაქვს საქმე, მაგრამ გვარის წარმოშობა იმ პერიოდს მოვლენაა, რომ საეჭვოა იგი ტოტემს დაკავშირებოდა; მით უმეტეს, რომ ამ წარმოებისაა ბევრი ისეთი გვარი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ტოტემად სავარაუდებელ საგნებთან);

დ) დიალექტთა ერთ ნაწილში კნინობით-საალერსო ფორმებმა სოციალური დაპირისპირების სტატუსი მოიპოვა; გურულში -ელ-ა კნინობით-საალერსო ფორმათა მაწარმოებელია (გოგი-ელ-ა, პეტრ-იკ-ელ-ა, მარ-იკ-ელ-ა), მაგრამ გვარზე დართვისას მან წოდებრივი დაპირისპირებაც გამოხატა: ჭყონია აზნაური იყო, ჭყონიელა — გლეხი;

ე) განსხვავებულ და იმავდროულად ღირსსაცნობ სურათს იძლევა ოჯახის (გვარ-ტომობის) სახელთა წარმოება დიალექტების მიხედვით. მაგალითად, ხევსურულსა და თუშურში ამ მიზნით გამოყენებულია მრავლობითობის -ნ სუფიქსი, დართული ან უშუალოდ საკუთარ სახელზე (ბეგო-ნ-ი, უთრგა-ნ-ი; ნათესაობითში — ბეგო-თ, უთრგა-თ გიორგი || გიორგი ბეგო-თ-ი, უთრგა-თ-ი), ანდა საკუთარ

სახელთაგან -იან || -იონ სუფიქსებით ნაწარმოებ ფორმებზე (ციხელ-იან-ნ-ი, მაკ-რატ-იონ-ნ-ი; ნათესაობითში — გოჩი-ეთ, შიოლ-ეთ გიორგი; ასეა მოხეურში, რაჭულში კი ნათესაობითის -თ მიერთვის -ენ მორფემას: გიორგი ლაშხე-ენ-თ-ი, პრეპოზიციის შემთხვევაში იხმარება -თ მორფემის გარეშე: ლაშხე-ენ გიორგი). ქართლ-კახურში, აგრეთვე მესხურ-ჯავახურში ამ დანიშნულებით იხმარება -ან-ნ → -ან (ოთარა-ან-ნ-ი → ოთარა-ან-ი, და ასე: თამაზა-ან-ი, მერაბა-ან-ი...); მესხურ-ჯავახურში გვხვდება -ენ სუფიქსიანი წარმოებაც (გელა-ენ-ი → გელე-ენ-ი → გელი-ენ-ი, (#200) მოსე-ენ-ი → მოსი-ენ-ი); ნათესაობითში გამოყენებულია -თ,ოღონდ წარმოება სხვადასხვა მოდიფიკაციით ხასიათდება (ქართლური, კახური: ოთარა-ან-თ გიორგი, ასეა მესხურ-ჯავახურშიც, ოღონდ აქ პარალელურად ასეთი წარმოებაცაა დადასტურებული: მოსე-ენ-ი → მოსე-ენ-თ-ი ან: გელი-ენ-ი → გელა-თ-ი). მესხურ-ჯავახურში ოჯახის სახელთაგან იწარმოება ლოკატივები მიცემითს -ს-ა ნიშნის დართვით — წარმოდგენილია თანამდევი ფონეტიკური ცვლილებით (ჯინჭარა-ან-ნ-ი → ჯინჭარა-ან-თ-ი → ჯინჭარა-ან-თ-ს-ა → ჯინჭარა-ან-ც-ა: „ორჯელ ჯინჭარაანცა დგომილან“). მესხურ-ჯავახურშივე არის დადასტურებული ასეთი წარმოება: პაპა-თ მანაი || მანა პაპა-თ-ი „მანა პაპაშვილი“ → პაპა-თ-ნ-ი „პაპაშვილები“. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში ოჯახის სახელთა საწარმოებლად გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, გართულებული -ეულ || -ოულ (პეტრე-ს-ეულ-ი → პეტრე-ს-ოულ-ი) ან -ნ (პეტრე-ს-ა-ნ-ი) სუფიქსებით. ორივე ეს სუფიქსი საკუთრივ სიტყვათმაწარმოებელი დანიშნულებითაა გამოყენებული, ამიტომაც დასაშვებია მათზე მრავლობითობის -ებ სუფიქსის დართვა (პეტრესოულ-ებ-ი || პეტრესან-ებ-ი, პეტრესოულ-ებ-მა || პეტრესან-ებ-მა...).

დიალექტური ნაირსახეობანი (უპირატესად— სახელდების პრინციპების თვალსაზრისით) თავს იჩენს ზოონიმებშიც (ცხოველთა საკუთარ სახელებში): ცხენისა — თაფლა, ლურჯა... ხარისა — ნიკორა, ნიშა, ლომა, შვინდა... ძაღლისა — ცუგა, ყურშა, მურა || მურია...

განსაკუთრებით მრავალფეროვანია ამ თვალსაზრისით ტოპონიმთა (გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებათა) წარმოება. იმის ნიმუშად, თუ როგორ აისახება დიალექტური თავისებურებანი ტოპონიმებში, შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ის ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც ამ ტოპონიმებს ახასიათებს სხვადასხვა დიალექტურ რეგიონში.

უწინარეს ყოვლისა ბგერით შედგენილობას უნდა შევეხოთ. დიალექტებში არსებულ ბგერათა ნაწილი ძველი ქართულის კუთვნილებაა და, ამდენად, ამ შემთხვევაში გამოვლენილია არქაული ფენა: ჴაგირი (თუშეთი), ჴოვლიანა (ფშავი), ორტყეშჳა (ლეჩხუმი), ჴერჴაჲ (ხევი)... ბგერათა მეორე რიგი სპეციფიკურია ამა თუ იმ დიალექტისათვის და ტოპონიმებში ისინი შესაბამისადაა წარმოდგენილი: ჭალაyĭ (თუშეთი), ზჳლ ბაზარი (საინგილო), საკოხარაĭ (ფშავი)...

ასე რომ, ამ მხრივ ტოპონიმები ზუსტად იმეორებენ დიალექტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და ცვლილება მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისას ხდება. ამ შემთხვევაში „სწორდება“ ის ფორმებიც, რომლებიც ფონეტიკურადაა სახეცვლილი, დაქვემდებარებულია ამა თუ იმ დიალექტში მოქმედ ფონეტიკურ პროცესებს.

(#201)

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფონეტიკური მოვლენა ქართული ენის კილოებში ბგერათმონაცვლეობაა. ბგერათმონაცვლეობა შედეგია, რომლის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს (ასიმილაცია, დისიმილაცია...). რიგ შემთხვევაში ბგერას ნულ-ბგერა ენაცვლება, რაც ხმოვანთა რედუქციით ან თანხმოვანთა დაკარგვით ვლინდება. სხვა შემთხვევაში იკარგება მთელი მარცვალი ან ბგერათ-კომპლექსი. ხშირია ბგერათგაჩენის შემთხვევებიც. ბგერათმონაცვლეობის თავისებური სახეა აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია, პალატალიზაცია და ა.შ. ზოგჯერ ბგერათმონაცვლეობის მიზეზი მთლად ნათელი არაა.

ერთმანეთს შეიძლება შეენაცვლოს ა:ე (ჭანჭახი || ჭენჭეხი — თუშეთი, შალაური || შალეური — ზემოიმერული), ე:ი (ვარნეული || ვარნიული — ზემოიმერეთი), ო:უ (ხახაბო || ხახაბუ — თუშეთი, ზეუბანი || ზეობანი — ქართლი, სახტომია || სახტუმია — აჭარა). აღსანიშნავია, რომ დასახელებული პროცესი დამახასიათებელი ჩანს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, შენიშნულია ისტორიულ წერილობით ძეგლებშიც: ოზურგეთი || უზურგეთი, ხოდაშენი || ხუდაშენი...

განსაკუთრებით მრავალფეროვანია თანხმოვანთა მონაცვლეობა: ბ:ფ (ჯებირი || ჯეფირი — ქართლი), ვ:მ (სავსებელა||სამსებელა— ზემოიმერეთი), ბ:მ (ნატბევი || ნატმევი — კახეთი), ნ:ლ (ნიკორწმინდა || ლიკორწმინდა — რაჭა, ნიშანა || ლიშანა —

ფშავი), ზ:ს (ქიზიყი || ქისიყი — კახეთი), გ:კ (ხურაგო || ხურაკო — ფშავი), კ:ყ (კოტი || ყოტი — კახეთი) და მისთ.

შეიძლება დავასახელოთ აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის შემთხვევებიც: ჟ:ჯ (ლაჯამური || ლაჟამური — ზემოიმერეთი), დ:ჯ (გლემურდი || გლემურჯი — გარეკახეთი), ძ:ზ (ნაფუძრები || ნაფუზრები — ქართლი, ნაფუძვარი || ნაფუზვარი — ზემოიმერეთი), დ:ზ: ძ (გვერდო || გვერზო || გვერძო — ზემოიმერეთი), ს:ც (თესილები || თეცილები — ზემოიმერეთი)...

ქართული ენის კილოებში ჩვეულებრივი მოვლენაა ბგერათა გაჩენა და დაკარგვა. უმეტესად ჩნდება და იკარგვის სონანტი. გვაქვს ერთმანეთის საპირისპირო შემთხვევები; შდრ., ერთი მხრივ, რ ბგერის გაჩენის (უცხო → || ურცხო ტყე — აჭარა) და, მეორე მხრივ, იმავე ბგერის დაკარგვის (ღრმაჭალა || ღმაჭალა — აჭარა) ფაქტი.

ფართოდაა გავრცელებული კომპლექსთა ცვლილებანი: ვე:ო (ბერშვეულა || ბერშოულა — ქართლი, ნარღვევი || ნარღოვი — იმე(#202)რეთი, ქვემოყანა || ქომოყანა — აჭარა), ვა:ო (ხვანა || ხონა — სამცხე-ჯავახეთი, მზვარე || მზორე — გუდამაყარი, ხვადაბურნი || ხოდაბურნი — ხევსურეთი, ხვადაბუნი || ხოდაბუნი — ზემოიმერეთი, ღვარწყალი || ღორწყოლი — რაჭა, ჯორქოითი ← *ჯავრქვეითი — ხევი).

ტოპონიმებში გამოვლენილია აგრეთვე ასიმილაციის შემთხვევები: ოე→ ეე (მოედნები → მეედნები — ზემოიმერეთი), აე → ეე (დავაეთი || დავეეთი — ზემოიმერეთი, გძელაები || გძელეები — ქართლი, თელაები → || თელეები — გარეკახეთი), აუ : ეუ : ოუ (ხორაული || ხორეული || ხოროული — ზემოიმერეთი)... მ → ფ (მსხალშავა → || ფსხალშავა — ფშავი), ბ →ფ (ქობთავი → ქოფთავი — კახეთი), შ → ჟ (ჭოშბო || ჭოჟბო — ფშავი), ღ → ხ (ბაღჩები || ბახჩები — ზემოიმერეთი, ნაბაღჩარი || ნაბახჩარი — კახეთი)...

ხშირია დისიმილაცია საფუძველზე მომხდარი ცვლილებანი: ეე → იე (საშეშეები || საშეშიები — სამცხე-ჯავახეთი, ვაკეები || ვაკიები — რაჭა, ჰეკლიხიები — იმერეთი, ხმელხეები → ხმელხიები || ხმელხჲები — აჭარა)...

შეიძლება დავასახელოთ მეტათეზისის შემთხვევებიც: ნაქერალი || ნაქელარი (გარეკახეთი, ქართლი), იფნარა || იფრანა (რაჭა), ღრუბელა || ღურბელა (რაჭა, ხევსურეთი), კანჭეები || კნაჭეები (ზემოიმერეთი) და მისთ.

ტოპონიმებს ბრუნების სისტემაშიც დაცული აქვს ყველა ის ფონეტიკური თავისებურება, რომელიც დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, ა →

ე დაბოლოება ზემოგურულში, ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში (ქოხუტა || ქოხუტე — ლეჩხუმი, სატურია || სატურიე — გურია); ი || ĭ || ჲ სახელობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (უნაგირაი — სამცხე-ჯავახეთი, რუვაĭ — ფშავი, ჭალაyĭ — თუშეთი, ზო || ზოჲ — ზემოიმერეთი); ნათესაობითი ბრუნვის თავისებური ფორმები (ჩირდილაის რუვი — ხევი, ბაბაის || ბაბაჲს ნოყო — გურია, ჩდილაის ეხი — ხევსურეთი, ღარაის წყალი — ფშავი, გელაის სახლი — იმერეთი, ერთი მხრივ, და: ლომისაჲ გზა, წიფლიჲ || წიფლი წყარო — კახეთი, მეორე მხრივ) და ა.შ.

დასახელებული მაგალითები მრავალმხრივაა საყურადღებო, განსაკუთრებით კი იმით, რომ გვიჩვენებენ: ერთი და იგივე ფონეტიკური მოვლენა მეტ-ნაკლები ოდენობით თითქმის ყველა კილოშია წარმოდგენილი. სპეციფიკური, მხოლოდ ერთი დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენები შედარებით იშვიათია. ძირითადი სხვაობა ისაა, რომ საერთო პროცესები სხვადასხვა კილოში სხვადასხვა ოდენობით და სხვადასხვა კონკრეტული ფორმებით ვლინდება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი კვლევისას ტოპონიმიას გარკვეული უპირატესობა აქვს (#203) საზოგადო სახელებთან შედარებით. საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული მონაცვლე ვარიანტები ტოპონიმიაში ძირითადად პარალელური ფორმების სახითაა შემონახული მაშინ, როცა საზოგადო სახელებში ხშირად საჭირო ხდება გამქრალი პარალელური ნაირსაეობის თეორიული აღდგენა.

ბგერათმონაცვლეობის ყველა ზემოაღნიშნულ მაგალითს, რომელიც ქართული ენის სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებაა და მეტ-ნაკლები სისრულით ტოპონიმიაშიც გამოვლინდა, მხარს უჭერს ისტორიულ დოკუმენტებში ფიქსირებული მასალაც: კეზუნი || კესუნი, დმანისი || დბანისი, ქიზიყი || ქისიყი || ჴისიყი || ხისიყი || ხიზიყი, ავლევი || ავნევი, ტაძრები || ტაზრები... (ქართლის ცხოვრება, ტ. I-II; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I). გარდა ამისა, ტოპონიმი შედარებით ძნელად იცვლება და ამიტომაც იგი ფასეული აღმოჩნდება ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც. ტოპონიმების მიხედვით შესაძლებელი ხდება აღნუსხვა ცვლილების ყველა იმ საფეხურისა, რომელიც ამა თუ იმ ფორმას გაუვლია. მაგალითად, ტოპონიმებით დადასტურებულია ჩირდილი || ჩრდილი || ჩდილი, კლდე || კტე || კილდე || კალდო და მისთ.

ტოპონიმებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აგრეთვე სიტყვათწარმოების საკითხებიც, თუნდაც ტოპონიმთაგან წარმომავლობის სახელთა წარმოების დიალექტური ნაირსახეობანი: დუშ-ეთ-ი → დუშ-ელ-ი || დუშ-ეთ-ელ-ი, წავკ-ის-ი → წავკ-ელ-ი || წავკ-ის-ელ-ი და მისთ. შემდეგ: -ელ და -ურ განარჩევს ადამიანსა და ყველა დანარჩენს: თელავ-ელ-ი კაცი, მაგრამ თელავ-ურ-ი ღვინო || ცხვარი... დიალექტები აქაც გვიჩვენებენ ნაირსახეობებს: კახურში თელა-ურ-ი შესაძლოა იყოს ღვინოც და კაციც, სხვა დიალექტებში კი აქა-ურ-ი ფორმის ნაცვლად აქა-ვ-ელ-ი გამოიყენება და ა.შ.

ოღონდ ამ პრობლემატიკის კვლევისას გასათვალისწინებელია ერთი რამ: ერთსა და იმავე მონაცემს შესაძლოა მიეცეს ნაირგვარი ინტერპრეტაცია განხილვის თვალსაზრისის შესაბამისად. მაგალითად, ა) ერთი დიალექტის (ასევე: სალიტერატურო ენის) ფარგალში ორგვარი მიმართება ტოპონიმისა და მისგან ნაწარმოები წარმომავლობის სახელისა (დუშ-ეთ-ი → დუშ-ელ-ი და დუშ-ეთ-ი → დუშ-ეთ-ელ-ი) განისაზღვრება როგორც ქრონოლოგიური ნაირსახეობა, ანუ: როგორც ისტორიული ვარიანტები; ბ) ორი ან მეტი დიალექტის ფარგლებში, როცა ერთგან დამოწმებულია დუშ-ეთ-ი → დუშ-ელ-ი, ხოლო მეორეგან — დუშ-ეთ-ი → დუშ-ეთ-ელ-ი, იმავე სახის ცვლილება განისაზღვრება როგორც სივრცული (ანუ: საკუთრივ დიალექტური) ნაირსახეობა.

(#204)

დიალექტური ნაირსახეობანი იპოვება თვით ტოპონიმთა წარმოების დროსაც: ოს-ეთ-ი → || სა-ოსეთ-ო, რუს-ეთ-ი → სა-რუსეთ-ო და მისთ. ამგვარ წარმოებას წერილობით ძეგლებშიც აქვს ანალოგები (სა-იმერეთ-ო...).

9.7. დიალექტოლოგიის მომიჯნავე დარგები. დიალექტოლოგიური კვლევა ითვალისწინებს ფოლკლორისტიკის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის მონაცემებს.

I. ფოლკლორული მასალა არსებითად იგივე დიალექტური მასალაა, ანუ: ფოლკლორისტიკა და დიალექტოლოგია, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე მასალას იყენებს, ოღონდ სხვადასხვა მიზნით — ფოლკლორისტიკას მასალის იდეურ-მხატვრული მხარე აინტერესებს, დიალექტოლოგიას — წმინდა ენობრივი ასპექტი. ამიტომაც დიალექტოლოგიისათვის საინტერესოა ის დიალექტური ტექსტიც, რომელიც მხატვრულობის თვალსაზრისით სავსებით ნეიტრალურია (ყოფითი

საუბრები, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო რეალიების აღწერა და მისთ.), რაც ფოლკლორული კვლევის მიღმა რჩება.

II. დიალექტოლოგიური ანალიზი, განსაკუთრებით კი დიალექტური ლექსიკის შესწავლა, თავისთავად გულისხმობს ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებას. საქართველოს ყოველ ეთნიკურ კუთხეს თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისება აქვს, იმავდროულად უფრო ზოგადი ნიშნების საფუძველზე გამოიყოფა მეტ-ნაკლებად ვრცელი სამეურნეო-კულტურული ზომები, რომლებიც რამდენიმე ეეთნიკურ კუთხეს აერთიანებენ. ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, გამოიყოფა სამი სამეურნეო-კულტურული ზონა:

აღმოსავლეთ საქართველოს ბარი: დარბაზული სახლი და ძლიერ შეჯგუფული, უმთავრესად გზისპირული დასახლება... დიდი გუთანი, 8-12 უღელ ხარ-კამეჩიანი. დოლის პურის, როგორც ენდემური მარცვლეულის, უპირატესი გავრცელება. კევრი, როგორც პურეულის გალეწვის გაბატონებული წესი. პურის საცხობი თორნე, დიდი ურემი, ბეღელი...

დასავლეთ საქართველოს დაბლობი: ოდა სახლი და ძლიერ გაფანტული, უპირატესად გზისპირული დასახლება... სახვნელ იარაღად გამოიყენება უპირატესად იმერული კავი ერთი უღელი გამწევი ძალით... გავრცელებულია ღომის კულტურა, ჭადის საცხობი კეცი, ერთთვლიანი ბუჭულა წისქვილი. ნარიონალი — როგორც მიწის გაჯერების ძირითადი წესი. მაღლარი ვაზი მისთვის დამახასიათებელი ღვინის დაყენების წესით...

საქართველოს მთიანეთი: კოშკურა სახლი და მჭიდრო, უპირატესად ხევისპირული დასახლება... სათიბების მორწყვის წესი, სახნავების (#205) მონეხვა-მოწყვლა. ქერისა და ჭვავის მნიშვნელოვანი ადგილი მარცვლეულ კულტურებში. მარხილა-ურემი, მოსავლის გალეწვის მთური წესი. სასმელთა შორის ლუდის, არყისა და თაფლუჭის ძირითადი გავრცელება... პურის ცხობის წესი კა-კერაზე და ჰორიზონტალურ ღუმელში... (ა. რობაქიძე).

ეთნოგრაფიულ რეალიებს თავისი სახელწოდებანი აქვს. ამ სახელწოდებათა ეტიოლოგია (წარმოქმნის საფუძველი) და ეტიმოლოგია (სემანტიკური სტრუქტურა) ხშირად მხოლოდ ეთნოგრაფიული ცოდნის საფუძველზე შეიძლება აიხსნას. მაგალითად, როგორც აღინიშნა, საცხოვრებელ ნაგებობას დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში „ოდ“ ეწოდება, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ კუთხეში —

დარბაზი. სხვაობა არა მხოლოდ სახელწოდებებშია, არამედ თვით სახელდებულ ობიექტთა რაობაშიც. ამიტომაც მათი გათანაბრება, დიალექტურ დუბლეტებად (ეკვივალენტებად) გაგება შეუძლებელია. ნიშანდობლივია, რომ იმ პერიოდიდან, როცა ახალი ტიპის სახლების შენება დაიწყო, თანდათანობით ქრება სახელწოდებანი „ოდა“ და „დარბაზი“ (უფრო ზუსტად: ეწოდება მხოლოდ ძველებური ტიპის შესაბამის ნაგებობებს).

რადგან საცხოვრებელი ნაგებობები ვახსენეთ, აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში მათი რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს:

1. წნელისაგან ნაგები, ორფერდასახურავიანი ფაცხა, დაუნაწევრებელი ფართით;
2. მორისაგან ნაგები, ორფერდასახურავიანი ჯარგვალი, დაუნაწევრებელი ფართით;
3. ფიცრით ნაგები ორ-ან ოთხფერდასახურავიანი ოდა, დანაწევრებული ფართით;
4. შერეული მასალით ნაგები, ბრტყელბანიანი სახლი, დაუნაწევრებელი ფართით;
5. ქვით ნაგები, რთულგადახურვიანი და მრავალსართულიანი კოშკურა სახლი, ვერტიკალურად დანაწევრებული ფართით და ა.შ. (ა. რობაქიძე).

ბუნებრივია, რომ ეს ნაირსახეობანი განსხვავებული ტერმინების მქონებლობასაც გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, შეპირობებულია ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკური და სიტყვათწარმოებითი ინვენტარით.

თითოეულ დასახელებულ ტიპს მოეპოვება ქვესახეობანიც, გავრცელებული უფრო შეზღუდულ რეგიონში, რაც ასევე იძლევა ტერმინოლოგიურ ნაირსახეობებს. მაგალითად, საქართველოს მთიანეთში ციხე-სახლების გადახურვის ორი ფორმა არსებობდა: მიწურბანიანი და (#206) ორქანობიანი. პირველი ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, ხევისა და ქსნის ხეობისათვისაა დამახასიათებელი, მეორე — თუშეთისა, მთარაჭისა და სვანეთისათვის. სხვაობაა გადახურვის სისტემაშიც. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ თუშეთი, მთარაჭა და ხევსურეთი:

თუშეთი: 1. ხიდი (თავხე), 2. ყავრე (მომცრო ძელები), 3. ჩლაკვი (არყის ხის ქერქი), 4. მიწა — დატკეპნილი;

მთარაჭა: 1. მდირე (თავეხე), 2. ფოშტა (ცულით გათლილი ფიცრები), 3. იფხლის ტოტები, 4. მიწა;

ხევსურეთი: 1. კეზელი (თავხე), 2. ძელი (მომცრო თავხე), 3. ფიჩხი, 4. ფიქალი ან ხის ქერქი, 5. მიწა — დატკეპნილი... (გ. გეგეჭკორი).

განსხვავებული ტერმინები აქვს არა მხოლოდ განსხვავებულ რეალიებს (რაც ბუნებრივია), არამედ ერთ და იგივე საგანი დიალექტების მიხედვით ნაირგვარად იწოდება. მოხდება ისეც, რომ სხვადასხვა დიალექტში ერთი და იგივე სახელი აღოაჩნდება განსხვავებულ საგნებს. ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება სწორედ ამის გარკვევას ემსახურება.

არსებითად ეთნოგრაფიიდან ვიღებთ იმის ინფორმაციას, თუ რაა მიზეზი სახელწოდებათა ნაირსახეობებისა ერთსა და იმავე დიალექტში. მაგალითად, სხვადასხვა ტიპის სახვნელ იარაღს (გუთანს) ეწოდება: კავი, სახვნელი ზემოიმერეთში; საჴვნიელი, გუთანი, აჩაჩა, კავწერა, საწერა ხევსურეთში; საჴნიელი, თუშური საჴნეული თუშეთში; აჩაჩა, პატარა გუთანი შიგნიკახეთში; ოქოქა, გუთანი, აჩეჩა გუთანი, საცალკვლიე, ჯილღა, გელა გუთანი ქართლში; ჯილღა, კავი, მაღალი კავი აჭარაში და ა.შ. (გ. ჩიტაია, ვ. თოფურია).

სხვაობა, როგორც ვნახეთ, თავს იჩენს არა მხოლოდ ლექსიკის თვალსაზრისით, არამედ ფონეტიკური ვარიანტების სახითაც, რაც შესაბამისი დიალექტების თავისებურებებითაა შეპირობებული; მაგალითად, გვაქვს: საჴვნიელი, საჴნუელი ხევსურეთსა და ხევში, სახვნელი რაჭაში, სახნეული ლეჩხუმში, სახუნელი რაჭასა და ლეჩხუმში და მისთ. (ვ. თოფურია).

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ: ა) ერთსა და იმავე რეგიონში ორი ან მეტი სახელწოდება გვაქვს; ბ) ერთი და იგივე სახელწოდება გვხვდება ერთმანეთისაგან სრულებით დაშორებულ ტერიტორიაზე.

ამის მიზეზი შესაძლოა სხვადასხვა იყოს:

ა) შესაძლოა ისტორიულად ერთი და იგივე სახელწოდება გავრცელებული იყო უფრო ფართო ტერიტორიაზე, შემდეგ კი სხვადასხვა მიზეზით შიგადაშიგ გავრცელდა სხვა სახელწოდებაც;

ბ) დასაშვებია, რომ საგნის ნიშან-თვისებისა ან დანიშნულების მიხედვით ერთი და იგივე სახელი ერთმანეთსაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა სხვადასხვა რეგიონში;

გ) შემოტანილ საგანს თან შემოჰყვა სახელიც, რამაც სხვადასხვა რეგიონში ერთი და იმავე სახელის დამკვიდრება გამოიწვია;

დ) დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მიგრაციასაც, რასაც, ჩვეულებრივ, თან სდევს ერთი დიალექტისათვის დამახასიათებელ მოვლენათა გავრცელება-დამკვიდრება ახალი განსახლების რეგიონში (ვ. თოფურია).

ზემოხსენებულით, ვფიქრობთ, ნათელია, თუ რაოდენ ფასეულია ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება დიალექტების შესწავლის დროს. თავის მხრივ, დიალექტოლოგიური კვლევის შედეგები სათანადო სამსახურს უწევს ეთნოგრაფს — რიგი ტერმინების ენათმეცნიერული ანალიზი ზედმიწევნით ინფორმაციას იძლევა ამ ტერმინით სახელდებული საგნის წარმომავლობა-დანიშნულებაზე.

III. ის დიალექტები, რომლებიც ქართულს ამჟამად მოეპოვება, შედეგია გარკვეული ისტორიულ-პოლიტიკური ფორმაციისა. კერძოდ, ამჟამად არსებულ დიალექტთა უმრავლესობა ფეოდალური წყობის პირობებში ჩამოყალიბდა. ის ისტორიულ-პოლიტიკური პირობები კარგა ხანია აღარ არსებობს, მაგრამ მათი შესაბამისი ენობრივი სიტუაცია შემორჩა. რადგან ახლანდელი დიალექტები გარკვეულ ეპოქაშია ჩამოყალიბებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ მის წინარე პერიოდში სხვაგვარი დიალექტური დიფერენციაცია უნდა გვქონოდა.

ერთი არეალის დიალექტები ხშირად იდენტურ ან მსგავს ენობრივ ტენდენციებს ავლენენ. ეს მოვლენა მათი ისტორიული საერთოობით ან იმთავითვე მჭიდრო კონტაქტით უნდა იახსნას; იგულისხმება არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ სამურნეო-კულტურული ურთიერთობანიც.

სხვადასხვა, ხშირად საკმაოდ დაცილებული რეგიონის დიალექტები ზოგჯერ იდენტურ ან მსგავს ენობრივ ტენდენციებს გვიმოწმებენ მაშინ, როცა ტერიტორიულად მეზობელ დიალექტებში აშკარა სხვაობაა ამ მხრივ. ენობრივად ეს კონვერგენციისა და დივერგენციის პროცესებით აიხსნება, მაგრამ იმავდროულად ამ მოვლენას შესალოა ჰქონდეს ისტორიული საფუძველიც — განსხვავებული

სოციალურ-პოლიტიკური წყობა წარსულში, ხალხთა მიგრაცია, უცხოენოვან ტომებთან ურთიერთობა და მისთ.

ყოველივე ამის ცოდნას კი ჩვენ ისტორიიდან ვიღებთ. ამიტომაც დიალექტოლოგია, უპირატესად კი ისტორიული დიალექტოლოგია, უხვად ითვალისწინებს ისტორიული კვლევის შედეგებს.

(#208)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული ცნობები დიალექტური სტრატიფიკაციის (სუბსტრატის, სუპერსტრატისა და ადსტრატის) შესწავლისას.

გარკვეულ დახმარებას გვიწევს იტორია მეტყველების ოდინდელი სოციალური დიფერენციაციის გამოსავლენადაც. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დების ტექსტში დაცულია ფრიან მნიშვნელოვანი ცნობა მთიულეთის სოციალური ფენების შესახებ: ერთ მხრივ, ერისთავი, გამგებელი, ხევისბერი, ციხისთავი, ჰეროვანი და, მეორე მხრივ, სოფლიონი, გლეხნი... სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მეტყველებაში გარკვეული მოდიფიკაციებით იჩენს თავს ეთნიკური (ტერიტორიული) დიალექტი. აქ იმდენად განათლების ცენზს არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც პიროვნულ მიდრეკილებებს, სხვა დიალექტის მქონებლებთან ურთიერთობას, სხვა სოციალურ ფენათაგან გამიჯვნის ტენდენციას, საყოფაცხოვრებო გარემოს, საზოგადოებრივ ინტერესებს... ყველაფერი ეს ძირითადად ლექსიკაში აისახება, მაგრამ გარკვეულ გავლენას ახდენს ფონეტიკურ და გრამატიკულ ფაქტორებზეც.

თავის მხრივ დიალექტოლოგია (უპირატესად დიალექტური ანთროპონიმია და ტოპონიმია) საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ ან დავაზუსტოთ ზოგი ისტორიული ფაქტი, მაგალითად, ხალხთა ოდინდელი განსახლებისა და მიგრაციის თვალსაზრისით. დიალექტოლოგიური მონაცემები ფასეულ ცნობებს გვაწვდის ამა თუ იმ რეგიონში მოსახლეობის ეროვნულ და სოციალურ შედგენილობაზეც.

ნასესხობათა მიხედვით შესაძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა სახის ურთიერთობა გვქონდა ისტორიულად სხვა ხალხებთან; მაგალითად, ქრისტიანული ეკლესიის რეალიათა სახელწოდებანი მრავლადაა ნასესხები ბერძნულიდან, შინამრეწველობის ტერმინოლოგია — სპარსულიდან და არაბულიდან, მომთაბარე მეცხოველეობისა — თურქულიდან... ეს ნასესხობანი სხვადასხვა დიალექტში ნაირგვარი ოდენობით იჩენს თავს, იმავდროულად განსხვავებულია ამ დიალექტებზე

სხვადასხვა ენათა ზეგავლენა: ბუნებრივია, თურქიზმები მეტი იქნება იმერხეულში, აჭარულსა ან მესხურ-ჯავახურში, ვინემ ქართლურსა და კახურში, ხოლო უმნიშვნელო ოდენობით რაჭულსა ან მთიულურში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავის მხრივ ქართულიც ინტენსიურ ზეგავლენას ახდენდა სხვა ენებზე, სადაც ბევრი ფორმა სწორედ დიალექტური ნაირსახეობებითაა შესული.

IV. რაც შეეხება გეოგრაფიისა და დიალექტოლოგიის ურთიერთობას, აქ ორი ასპექტია გამოსაყოფი:

(#209)

ა) გეოგრაფიული მონაცემები საშუალებას იძლევა ზედმიწევნით გავითვალისწინოთ ამა თუ იმ რეგიონის ბუნებრივი პირობები, რასაც უშუალო ზეგავლენა აქვს სამეურნეო-კულტურულ საქმიანობაზე, ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე. გეოგრაფიული კვლევა-ძიება გვეხმარება დავადგინოთ ამა თუ იმ ეთნოსის გავრცელების საზღვრები, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შორის დაკავშირების საშუალებანი და ინტენსივობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ ისტორიულ გეოგრაფიასაც. ყველაფერი ეს დამხმარე საშუალებაა (ასე ვთქვათ, დამატებითი ინფორმაციაა) დიალექტოლოგიური კვლევისათვის, მაგრამ იმავდროულად აუცილებელი კომპონენტი დიალექტის სრულყოფილი აღწერისა. მით უფრო საცნაურია გეოგრაფიული ინფორმაციის გათვალისწინების აუცილებლობა ვრცელი რეგიონალური ზონებისა თუ არეალების ენათმეცნიერული შესწავლისას.

ბ) გეოგრაფიული, კერძოდ, კარტოგრაფიული მეთოდი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოყენებულია დიალექტების ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებით ანალიზის დროს. ამიტომაც დიალექტოლოგს მოეთხოვება კარტოგრაფიის ელემენტების ცოდნა.

(# 210)

თავი X

10.1. დიალექტების შესწავლის მიზანი და ამოცანები. ნებისმიერ ობიექტს მრავალმხრივი და მრავალგვარი მიმართებანი ახასიათებს დროსა და სივრცეში მასთან თანაარსებულ სხვა ობიექტებთან. ერთი და იგივე ობიექტი სხვადასხვა დანიშნულებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, ანუ: გასათვალისწინებელია ობიექტის პრაგმატული მხარეც.

ამრიგად, ობიექტს ახასიათებს:

ა) ნარიგვაროვანი მიმართებანი;

ბ) ნაირგვაროვანი დანიშნულებანი.

პირველი განპირობებულია ობიექტის ბუნებრივი თვისებებით, მეორე — მისი დანიშნულებითი თვისებებით.

ეს ორი რამ ურთიერთდამოკიდებულია და ურთიერშეპირობებული.

ამის მიხედვით ამა თუ იმ ობიექტის შემსწავლელი მეცნიერებანი ორ დიდ ჯგუფად ნაწილდება; ერთს ობიექტის შინაგანი არსის კვლევა დაესახება მიზნად, მეორეს — ამავე ობიექტის გამოყენებითი მხარე.

ენის ბუნებითი თვისების რკვევა, ანუ: ენის შინაგან (იმანენტურ) მიმართებათა შესწავლა და მისი ფორმობრივ და ფუნქციურ სისტემათა კანონზომიერებების დადგენა ენათმეცნიერების საგანს წარმოადგენს.

ენის დანიშნულებით, მოხმარებითი თვისება სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ლოგიკის კვლევის საგანია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესი აქვს ენისადმი ლიტერატურათმცოდნეობასაც.

ანალოგიურად დაისმის საკითხი დიალექტოლოგიის მიმართაც.

დიალექტების შესწავლას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

1. იმანენტური — გაირკვეს ამა თუ იმ დიალექტის ენობრივი სტრუქტურა, მისი წარმოქმნის ეთნიკურ-ისტორიული და ტერიტორიულ-სოციალური საფუძველი და იმავდროულად ენობრივი შეპირობებულობა.

   მთელი ენათმეცნიერული აპარატურა სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

2. გამოყენებით, რაც საკმაოდ მრავალ სფეროს მოიცავს:

(#211)

ა) დიალექტი როგორც სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი წყარო: რა სახის დიალექტიზმი ამდიდრებს სალიტერატურო ენას (რაც თავისთავად გულისხმობს იმის გარკვევასაც, თუ დიალექტურ მოვლენათაგან რომელია მისთვის მიუღებელი).

ბ) დიალეტქი, როგორც ენის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი წყარო: დიალექტებს ხშირად მოქმედი სისტემის სახით აქვს დაცული ის, რაც სალიტერატურო ენამ და ზოგმა სხვა დიალექტმა დაკარგა.

გ) დიალექტები რეალურად (მასალობრივ) ადასტურებენ ბევრ ზოგადთეორიულ (ზოგადენათმეცნიერულ) დებულებას.

დ) დიალექტოლოგიური კვლევის შედეგები ფართოდ გამოიყენება ფოლკლორისტიკის, ისტორიის, ეთნოგრაფიის ზოგი არსებითი პრობლემის გადასაწყვეტად.

თუ რა მნიშვნელობა აქვს დიალექტური ტექსტის სიზუსტეს, დიალექტური ფორმების მართებულ გაგებას, ნიმუშად შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

ერთ-ერთ ხევსურულ ტექსტში იკითხება: „გაგიმარჯოს, პირქუშო ალვის ტანისად მყოლო ანგელოზო“ და „გაგიმარჯოს ღმერთმა, ბორაყ ალვის-ქრისად მყოლო ანგელოზო“ (ქართული ხალხური პოეზია, I).

ამ ტექსტს ასეთი განმარტება ეძლევა: „ძნელი არაა წარმოვიდგინოთ ხალხის მოსარჩლე ვაჟკაცი, რომელსაც ალვის ტანი აქვს... და ღვთის მედარბაზედ ითვლება“ (მ. ჩიქოვანი).

დიალექტური ტექსტის მცდარმა ჩაწერამ მცდარ ინტერპრეტაციას დაუდო სათავე. უნდა იყოს: ალმის ტრისად; „ბორაყ (=ბაირაღ) ალმისტარი“ ხევსურულად არის დროშა; ესე იგი, ტექსტში მიმართავენ ბორაყ ალმის-ტრისად ანუ საბრძოლო დროშისათვის მყოლ ანგელოზს — პირქუშს (ა. ჭინჭარაული).

ფორმას „ალან-წყალი“ („ზღვა-ხმელთას გამაიარეს, დახვიეს ალან-წყალიო“) ასეთი განმარტება ეძლევა: „ალანთა წყალი, მდინარე თერგი. ჩანს, ლექსი ძველ ვითარებაზე მიგვანიშნებს, როცა ჩრდ. კავკასიაში ალანები ცხოვრობდნენ და მათ უმთავრეს მდინარეს ამგვარი სახელი ერქვა“ (ქართული ხალხური პოეზია, I). სინამდვილეში ალამ || ალან არაბულიდან ნასესხები სიტყვაა და „ბევრს“ ნიშნავს; ასე

რომ, „ალან-წყალი“ იგივეა, რაც „ბევრი წყალი“ ანუ „დიდი მდინარე“ (ა. ჭინჭარაული). დიალექტის თავისებურების გაუთვალისწინებლობა აქაც მცდარი განმარტების მიზეზი გახდა.

თუშეთში ჩაწერილ ერთ-ერთ ლექსში იკითხება:

„პირდაპირ ჩამომდგარიყო ლაღი ლაშარის ჯვარია,
ხელში გეჭირა ჯურაი, ფეხს ეკრა ოქროს ნალია,
წელში მეტანა მათრახი, გაშალოს შვიდი მხარია“.

(#212)

ტექსტში არეულია მესამე, მეორე და პირველი პირის ფორმები. მიზეზი ისაა, რომ არ არის გათვალისწინებული აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ერთი მოვლენა: -ში თანდებულის ერთ-ერთი ვარიანტი აქ -შიგ არის. ამიტომაც უნდა იყოს: „ხელშიგ ეჭრა“, „წელშიგ (აქ გ და მ ასოებიცაა არეული) ეტანა“ (ა. ჭინჭარაული).

რაც შეეხება დიალექტების შესწავლის ამოცანებს, არსებითია:

ა) დიალექტური ტექსტების შეკრება და მეცნიერული გამოცემა; ტექსტების შეკრებას უნდა ჰქონდეს რეგულარული ხასიათი, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ყველა იმ ცვლილების აღნუსხვა, რაც დიალექტში დროის გარკვეულ მონაკვეთში დაჩნდება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ დიალექტის ცვლილების შინაგანი ტენდენციები.

ბ) დიალექტების მონოგრაფიული შესწავლა — იგულისხმება ყველა დიალექტის სრულყოფილი ენათმეცნიერული აღწერა.

გ) დიალექტების ისტორიული ანალიზი — ივარაუდება ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემატიკა.

დ) დიალექტების შესწავლა ლინგვისტური გეოგრაფიისა და არეალოგიის პრინციპებით — დიალექტოლოგიური და არეალოგიური ატლასების შედგენა.

ე) დიალექტების შედარებითი ანალიზი — დადგენა ამა თუ იმ დიალექტის მიმართებისა სალიტერატურო ენასთან და სხვა დიალექტებთან.

ვ) დიალექტური ლექსიკონების შედგენა.

ზ) გამოყენებითი დანიშნულების მქონე მასალის გამოვლენა და მისი დასაბუთებული ინტერპრეტაცია (იგულისხმება დიალექტური მასალა, რომელსაც ფოლკლორისტული, ისტორიული თუ ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს).

10.2. დიალექტიზმები მხატვრულ ლიტერატურაში. მხატვრული ტექსტის ენობრივი ფაქტურა რამდენიმე თვალსაზრისით შეიძლება იქნეს განხილული:

ა) გამოავლენს მასალას, რომელიც გამოიყენება ენის ისტორიის შესასწავლად;

ბ) მხატვრულ ტექსტში ფიქსირებული ფორმები შესაძლებლობას იძლევა გავაანალიზოთ ენის თანამედროვე მდგომარეობა;

გ) მხატვრული ტექსტის ენა შეისწავლება როგორც საშუალება მხატვრულ სახეთა სისტემების შექმნისა.

თუ პირველ ორ შემთხვევაში მხატვრული ტექსტი განიხილება როგორც მხოლოდ დამაფიქსირებელი საშუალება ენაში არსებული ფონე(#213)მატური და გრამატიკული ინვენტარისა და მისი გამოყენების წესებისა, მესამე თვალსაზრისი ყოველივე ამას მხატვრული ღირებულების მიხედვით შეისწავლის.

ასე რომ, სამივე ზემოხსენებული თვალსაზრისი გულისხმობს ენისადმი განსხვავებულ მიდგომას, კვლევის განსხვავებული პრინციპების გამოყენებასა და სპეციფიკური მიზნის არსებობას.

დიალექტიზმების კვლევა მხატვრული ტექსტის ენობრივ ფაქტურაში არსებითად გამოყენებითი დიალექტოლოგიის სფეროს განეკუთვნება.

ამა თუ იმ ხატვრული სახის შექმნის საშუალებას ხშირად საკუთრივ რომელიმე ენის შინაგანი ბუნება განაპირობებს. ასეთია, მაგალითად, ფშაური დიალექტიზმები ვაჟა-ფშაველას თხზულებებში, იმერიზმები დავით კლდიაშვილის პროზაში, მოხევიზმები ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებში...

მხატვრული ნაწარმოები მოვლენათა სუბიექტური და ობიექტური ხედვის ორგანული ერთიანობაა, რაც ენით გამოიხატება.

მხატვრული თხზულების ენაში ორივე ეს მომენტია უკუფენილი.

ეროვნული ენა ის ბალავარია, რომლის მიხედვითაც მწერალი თავისეულ ენობრივ სამყაროს ქმნის. მწერლის მიზანია ხორცი შეასხას მხატვრულ სახეს, გაასაგნობრიოს გარკვეული აზრი, შექმნას შესაბამისი განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს ამ მიზნით გამოიყენოს ენის ნებისმიერი შესაძლებლობა. ამიტომაც არასწორია ის პოზიცია, რომელიც ნორმატიული, სტანდარტიზებული

ენის თვალსაზრისით ცდილობს მწერლის ენის შეფასებას. მწერლის ენა სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება, ხოლო „სტილისტიკა“ არის არა უბრალოდ ერთ-ერთი დარგი ენათმეცნიერებისა, არამედ მისი პარალელური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის იმავე მოვლენას, რასაც ენათმეცნიერება, მაგრამ თავისი საკუთარი თვალსაზრისით“ (ს. ულმანი).

მხატვრული ტექსტის ანალიზისას ერთ-ერთი ძირითად საკითხად დაისმის დიალექტურ მოვლენათა გამოყენების შემთხვევები და მათი შეფასება. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება ერთი არსებითი ხასიათის პრობლემის გადაწყვეტაც: შესაძლებელია თუ არა ერთი და იმავე პოზიციიდან შევაფასოთ დიალექტიზმების გამოყენების შემთხვევები, ვთქვათ, ვაჟა-ფშაველასა და მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას, ალექსანდრე ყაზბეგისა და გიორგი ლეონიძის თხზულებებში? ეს საკითხი უშუალოდაა დაკავშრებული მეორე პრობლემასთან: გასარკვევია — ის, რაც სალიტერატურო ენით განსწავლული პიროვნების მიერ მხატვრულობის (#214) თვალსაზრისით მოხმობილ დიალექტიზმად აღიქმება ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, იყო კი თვით პოეტის მიერ ამ მიზნით გამოყენებული? ანუ, არის კი „ყოილი“, „დაიკეროდი“, „მიწოვავ“ ფორმები ვაჟა-ფშაველას მიერ მხატვრული დანიშნულებით ნახმარი, თუ ისინი მისთვის ჩვეულებრივი, ნეიტრალური ფორმებია?

ეს კი ნიშნავს, რომ დასადგენი ყოფილა, რა არის მხატვრულ ტექსტში გამოყენებული მხატვრული დანიშნულებით და როგორია მისი მიმართება იმასთან, რაც აღიქმება მხატვრული ფუნქციის მქონებელ ფორმად; ანუ: გასარკვევი ყოფილა მიმართება ავტორისეულ და მკითხველისეულ სტილისტიკებს შორის.

მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს რომ ენათმეცნიერული განსაზღვრა მიეცეს, საჭირო ხდება გარკვევა იმისა, თუ კონკრეტულ ენობრივ (დიალექტურ) სიტუაციასთან შეფარდებით რა შეეძლო ავტორს გამოეყენებინა მხატვრული ფორმის დანიშნულებით და რა ენობრივი (დიალექტური) ფაქტი აღიქმება მკითხველის მიერ ამგვარი დანიშნულების მქონედ.

დიალექტიზმების გამოყენება მხატვრულ ტექსტში სამი მიზეზითაა შეპირობებული:

ა) სალიტერატურო ენაში არ იპოვება ამა თუ იმ დიალექტში გამოყენებულ ფორმათა ეკვივალენტები — დიალექტიზმი ამ შემთხვევაში ავსებს სალიტერატურო ენის ხარვეზს;

ბ) დიალექტიზმები გამოიყენება ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად — ამ დროს დიალექტიზმებს წმინდა მხატვრული დანიშნულება აქვს;

გ) მწერალს ერევა სალიტერატურო და დიალექტური ფორმები ანდა შეგნებულად ამჯობინებს დიალექტიზმებს ნორმით რეკომენდირებულ ფორმებს. ზოგჯერ ამას დადებითი შედეგიცა აქვს — ხდება ტრაფარეტად ქცეული გამოთქმების განედლება, გახალისება, მაგრამ უმეტეს წილად ასეთ შემთხვევებში სალიტერატურო ენა ზედმეტად იტვირთება ხენეში, დაუხვეწავი ფორმებით.

10.3. დიალექტების მომავალი. სალიტერატურო ენის მომძლავრება, საყოველთაოდ გავრცელება თავის კვალს ამჩნევს დიალექტებსაც. აშკარაა ინტეგრაციის მძლავრი პროცესი, ზოგი დიალექტური მოვლენის ნიველირების ტენდენცია. ასეთი ვითარება ერთი შეხედვით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მომავალში შესაძლოა საერთოდ გაქრეს დიალექტური ნაირსახეობანი. ეს შთაბეჭდილება მოჩვენებითია. გასათვალისწინებელია ის შეუქცევადი ტენდენციაც, რომ მთლიანი, ერთიანი ყოველთვის იჩენს მიდრეკილებას დიფერენციაციისაკენ და ამიტომაც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს დიალექტური ნაირსახეო(#215)ბანი ან დიალექტებად დანაწევრების პროცესი ცოცხალ ენას როდესმე მოეშლება. მეტყველებრივ ნაირსახეობათა წარმოქმნის მოშლა, საერთოდ, ენის კვდომის საწინდარია. სხვა საქმეა, თუ რა და რა სახის დიფერენციაციას განიცდის ენა სხვადასხვა ეპოქაში. შესაძლოა ნიველირდეს ეთნიკური ან ტერიტორიული ნაირსახეობანი, მაგრამ იმავდროულად იმძლავროს სოციალურ დიალექტებად დანაწევრების ტენდენციამ ან, პირიქით, სოციალური და პროფესიული დიალექტების ნაცვლად თავი იჩინოს მეტყველების ტერიტორიული ნაირსახეობების წარმოქმნის პროცესმა.

სალიტერატურო ენის ზეგავლენით აშკარაა ქართული დიალექტების მკვეთრად გამოხატულ თავისებურებათა ნიველირების ტენდენციაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეტყველებრივი ნაირსახეობანი საერთოდ ქრება.

ამ მხრივ ქართულში ორი პროცესია საცნაური:

ა) ამა თუ იმ გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვისას იცვლება (სალიტერურო ენას „უახლოვდება“) გამოხატვის საშუალება, თვით პრინციპი კი უცვლელი რჩება. მაგალითად, ირიბი ობიექტის მრავლობითობა ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში -ყე ფორმანტით გამოიხატება (კახურში, იმერულში, რაჭულში...): მან უ-თხრა-ყე იმათ; სალიტერტურო ენის გავლენა ამ ტიპის ფორმათა მიმართ იმით წარმოჩნდა, რომ -ყე შეცვალა -თ სუფიქსმა: მან უ-თხრა-თ იმათ, თუმცა თვით გამოხატვის პრინციპი არ შეცვლილა და, ამდენად, მაინც განსხვავებული დარჩა სალიტერატურო ენისაგან.

ბ) იცვლება დიალექტური დიფერენციაციის ტიპი. თუკი თითქმის ბოლო ხანებამდე ქართული ენის დიალექტები მეტ-ნაკლებ სხვაობას იძლეოდნენ ყველა (ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის) დონეზე, ამჟამად სხვაობა უფრო ხელშესახებია ფონეტიკასა (ფონეტიკური ცვლილებანი, ინტონაცია...) და ლექსიკაში; გრამატიკულ მოლენათა უმეტესობა კი ერთგვაროვან ტენდენციას ავლენს — შესაძლოა, ზოგჯერ განსხვავებულს სალიტერატურო ენისაგან, მაგრამ მეტ-ნაკლებად საერთოს თითქმის ყველა დიალექტისათვის.

ეს შეეხება საკუთრივ დიალექტურ ნაირსახეობებს.

ცალკე რკვევის საგანია იდიოლექტური სხვაობანი, რომელნიც მით უფრო მრავალფეროვანია, რაც მეტად არის განვითარებული და ფართოდ გამოყენებული სალიტერატურო ენა, რაც მეტია ამ ენაზე შექმნილი მხატვრული, სამეცნიერო თუ პუბლიცისტური თხზულებანი.

(#216)

ნაკვეთი მეორე

ქართული ენის დიალექტების სიტემური აღწერა

თავი I

1.1. ქართველურ ენათა დიალექტები. სამივე ქართველური ენა — ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური — მდიდარია დიალექტური ნაირსახეობებით. ამათგან ზანური და სვანური მხოლოდ დიალექტების სახითაა წარმოდგენილი, სალიტერატურო ენა ზანურისა და სვანურის მფლობელთათვის ქართულია.

როგორც ზოგად ნაკვეთში აღინიშნა, ქართველურ ენათა დიალექტების გამოყოფას ლინგვისტური (კომპლექსური) პრინციპი უდევს საფუძვლად — დიალექტების დახასიათებისას გათვალისწინებულია ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი თითოეული დიალექტისა.

ზოგადი მიმოხილვისას ისიც ითქვა, რომ ქართული (ქართველური) დიალექტების განდასება შესაძლოა სხვადასხვა თვალსაზრისით მოხდეს; კერძოდ: ა) არეალოგიური თვალსაზრისით — იმის წარმოსაჩენად, თუ რა საერთო ენობრივი ტენდენციები იჩენს თავს ამა თუ იმ რეგიონის დიალექტებში; ბ) ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპით, რაც ეფუძნება იზოგლოსის ცნებას: დგინდება იდენტური ან მსგავსი ენობრივი მოვლენის პოვნიერება ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე; გ) ეთნიკურ-ტერიტორიული თვალსაზრისით.

ამჯერად, არსებული ტრადიციის შესაბამისად, ქართული ენის დიალექტებს წარმოვადგენთ ეთნიკური ნიშნისა და გეოგრაფიული გავრცელებულობის მიხედვით.

1.2. ქართული ენის დიალექტების ზოგადი დახასიათება. გეოგრაფიული თვალსაზრისით ქართულში დიალექტების ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა: აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს დიალექტები. ამათგან ერთ-ერთს ეკედლება ის დიალექტებიც, რომლებიც ამჟამად საქართველოს საზღვრებს გარეთაა გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველოში ცალკე ჯგუფს ქმნის მთის დიალექტები, ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს აგრეთვე ინგილოური და ფერეიდნული, რომლებიც ისტორიულად კახურის განაყოფს წარმოადგენენ.

(#217)

დასავლეთ საქართველოში სპეციფიკურ ვითარებას გვიჩვენებს მთა-რაჭული, რომელიც ბევრი ნიშნით აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს

უახლოვდება (განსაკუთრებით მთულურსა და მოხეურს). ცალკე დაგს კლარჯული (იმერხეული), რომელიც ამჟამად საქართველოს საზღვრებს გარეთაა გავცელებული, ხოლო ენობრივი ტიპით აჭარულს უახლოვდება, ზოგი საერთო ნიშანი აქვს მესხურ-ჯავახურთან და გურულთანაც.

აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს დიალექტებად განდასება, რასაკვირველია, გეოგრაფიულ პრინციპს ემყარება, მაგრამ ამას იმავდროულად მხარს უჭერს ენობრივი ნიშან-თვისებანიც. თითოეულ ამ ჯგუფში შემავალი დიალექტები ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად საერთო ტენდენციით ხასიათდებიან. მაგალითად:

ა) აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელია აე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: აეღო → ეეღო, ჭალაები → ჭალეები... ამ ნიშნით ერთიანდება აღოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დიალექტი; მათ ეკედლება იმერული და რაჭულიც (თუმცა გარკვეული მერყეობით). იგივე კომპლექსი დასავლეთ საქართველოს დიალექტების უმეტესობაში, ჩვეულებრივ, უფრო რთულ ფონეტიკურ გარდაქმნებს განიცდის — ასიმილაციას მოსდევს დისიმლაცია (აე→ეე → იე): აეღო → ეეღო → იეღო → ჲეღო, ჭალაები → ჭალეები → ჭალიები → ჭალჲები (ჲ-იანი ნაირსახეობა აჭარულში შეინიშნება). ასევე: თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, როგორც წესი, დასავლეთ საქართველოს დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი: ყბა → ყპა, კლდე → კდე → კტე... აღოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის ასეთი რამ არ არის ნიშანდობლივი.

ბ) გარდამავალ ზმნათა II შედეგობითში აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები უპირატესობას ანიჭებენ მარტივ („მოკლე“) ფორმებს — ძველი ქართულისებური ვითარებაა: გეეკეთა „გაეკეთებინა“, ეეშენა „აეშენებინა“... დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, პირიქით, უფრო გავრცელებულია -ებ-ინ სუფიქსით გართულებული ფორმები: გიეკეთებია „გაეკეთებინა“, იეშენებია „აეშენებინა“ (ნ ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს ჩავარდნილი; სხვა მოსაზრებით, პირიქით, ნ გვიანდელი ჩანართია). შემდეგ: ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების II შედეგობითი აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში მეშველი ზმნით იწარმოება: დაჰხვედრიყო || დაჰხვდომიყო... დასავლეთ საქართველოს დიალექტებში უპირატესობა ეძლევა -ოდ სუფიქსიან წარმოებას: დახვედროდა...

(#218)

ამ რიგის გამაერთიანებელ-დამაპირისპირებელი ნიშან-თვისებანი სხვაც მრავლად იძებნება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გეოგრაფიულ პრინციპს საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისიც მივახმაროთ.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები სამ ჯგუფად განიყოფება:

ა) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები: მოხეური, ხევსურული, თუშური (უკიდურესი ჩრდილო რეგიონი), ფშაური და მთულურ-გუდამაყრული (ტერიტორიულად ესაზღვრებიან ბარის დიალექტებს და გარკვეულად განიცდიან მათ ზეგავლენას);

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტები: ქართლური და კახური. კახურის განაყოფია ფერეიდნული და ინგილოური;

გ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი — მესხურ-ჯავახური, რომელიც ბევრი ნიშნით უახლოვდება ქართლურს, მაგრამ იმავდროულად დასავლეთ საქართველოს დიალექტებთანაც პოულობს საერთოს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები ორი ძირითადი ნიშან-თვისებით გამოირჩევიან სხვა დიალექტებისაგან: ჯერ ერთი, მათ მეტ-ნაკლებად დაცული აქვთ ქართული ენის ის ვითარება, რომელიც შედარებით ადრეულ ფორმაციებს განეკუთვნება; ანუ: ხელშესახებადაა შემონახული არქაული ფენა — IX – XIII საუკუნეების ქართულის ნიშნები. უფრო ძლიერაა ეს ვითარება წარმოდგენილი მოხეურსა და ხევსურულში, ნაკლებ — ფშაურსა და მთიულურში. ამ რიგისაა, ნიმუშად, ვნებითის აწმყოსეული ფორმები მესამე სუბიექტური პირის მხოლოობით რიცხვში (ი-მალ-ებ-ი-ს, ა-ს-ტყდ-ებ-ი-ს...), ხოლმეობითის ფორმები — შემონახული გარკვეული მოდიფიკაციებით (ა-კეთ-ებ-დ-ი-ს, გა-ა-კეთ-ი-ს...), მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის ზმნასთან შეუთანხმებლობა მრავლობით რიცხვში (ა-ქ-ვ-ი-ს მას || მათ; შდრ. ძველი ქართულის: ა-ქუ-ს მას || მათ) და, პირიქით, სახელობითში დასმული ობიექტის ზმნასთან შეთანხმება მრავლობით რიცხვში (და-ვ-მალ-ენ მე იგინი, და-მალ-ნ-ა მან იგინი). დაცულია არქაული ლექსიკა. რა თქმა უნდა, ყველა ხსენებულ დიალექტს ყველაფერი ეს ერთნაირად არ ახასიათებს, ზოგჯერ აშკარად ახალ ქართულზეა გეზი აღებული, მაგრამ მაინც მთის დიალექტებისათვის არქაული იერი ერთ-ერთი გამომრჩევი ნიშანია.

გარდა ამისა, ამავე დიალექტებში თავს იჩენს მთის იბერიულ-კავკასიური (კერძოდ, ნახური) ენების ზემოქმედების კვალი. ყველაზე ძლიერ — თუშურში (აქ

ბაცბურის გავლენით მკვეთრი შემართვისა და დამართვის ხმოვნებიც კი არის დამკვიდრებული), შემდეგ — ხევსურულსა და მოხეურში, გაცილებით ნაკლებ — ფშაურსა და მთიულურ-გუდამაყრულში.

(#219)

ქართლური და კახური ქართული ენის ფუძე-დიალექტებია, მათი გამომრჩევი ნიშან-თვისება სალიტერატურო ენასთან სიახლოვეა, რაც, რა თქმა უნდა, იმას არ გულისხმობს, რომ ამ დიალექტებისა და სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციები ზედმიწევნით თანხვდება ერთმანეთს. რაც შეეხება ფერეიდნულსა და ინგილოურს, მათ ბევრი რამ შემორჩათ კახურთან საერთო, მაგრამ სხვა (არამონათესავე) ენებთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად იმ რიგის ინოვაციებიც განივითარეს, რომ ამჟამად არსებითად დამოუკიდებელ დიალექტებად ჩამოყალიბდნენ. გავლენა თავს იჩენს არა მხოლოდ ლექსიკაში, არამედ ფონემატურ და გრამატიკულ სისტემებშიც.

მართალია, ქართლურსა და კახურს ნაკლებ ახასიათებს არქაული ფენის შემონახვა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ დიალექტებში უფრო ძლიერ მოქმედებს შინაგანი შემაკავებელი იმპულსები, უფრო თვალსაჩინოა ენობრივი ტრადიციების შემონახვის ტენდენცია. უპირატესად ეს მორფოლოგიასა და სინტაქსზე ითქმის, ფონეტიკაში კი ზოგჯერ საკმაოდ შორს წასულ პროცესებსაც ვადასტურებთ.

როგორც აღინიშნა, მესხურ-ჯავახური საკმაოდ ახლოს დგას ქართლურთან, ზოგჯერ მას ქართლურის კილოკავადაც ასახელებენ (არნ. ჩიქობავა), მაგრამ მას იმავდროულად იმ რიგის ტენდენციებიც ახასიათებს, დასავლეთ საქართველოს დიალექტებისთვის რომ არის ნიშანდობლივი (თუნდაც აე → ეე → იე: ჭალაები → ჭალეები → ჭალიები, რაც სრულ ანალოგიას პოულობს აჭარულთან; ან -იებ დაბოლოების განზოგადება და ერთმარცვლიან კუმშვად ფუძეებზე მისი დართვა: ცხვარ-ი → ცხვრ-იებ-ი და მისთ.

აღმოსავლური და დასავლური დიალექტების ანალოგები მრავლად იჩენს თავს მესხურ-ჯავახურში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი ამ დიალექტების კონგლომერატს წარმოადგენს. მესხურ-ჯავახურს აქვს იმგვარი მოვლენებიც, რომლებიც სპეციფიკურია მათთვის და, ამდენად, ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან მათი გამომრჩევიც (თემის ნიშანთა ნაზალიზაციის ტენდენცია:

მალ-ან-ს „მალავს“, ა-კეთ-ენ-ს „აკეთებს“... ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებთან -ი || -ჲ ნიშნის გამოყენება სახელობითში: შოთა-ი || შოთა-ჲ და მისთ.).

დასავლეთ საქართველოს დიალექტთაგან ცალკე უნდა გამოიყოს ზემოიმერული, რომელიც, როგორც აღნიშნავენ კიდეც, ზოგი ნიშნით უახლოვდება ქართლურს. მართლაც, ზემოიმერულს უთუოდ აქვს შემხები წერტილები ქართლურთან, რაც ქართლურისა და ზემოიმერული ხანგრძლივი ისტორიული კონტაქტით აიხსნება.

(#220)

ქვემოიმერულსა და გურულში საკმაოდ ხელშესახებია მეგრულთან ურთიერთობის შედეგი როგორც ფონეტიკასა და გრამატიკაში, ასევე ლექსიკაში. ეს ზეგავლენა დასტყობია ლეჩხუმურსაც, რომელიც ბევრ საერთოს პოულობს ქვემოიმერულთან. ლეჩხუმურზე ისევე, როგორც რაჭულზე, შეინიშნება სვანურის ზეგავლენაც.

რაჭული, რომელიც ბევრი მოვლენით უახლოვდება იმერულს, იმავდროულად სპეციფიკური ნიშან-თვისებებითაც გამოირჩევა. შემონახული არქაული ელემენტებით ეს კილო შემხებ წერტილებს პოულობს მთიულურთან; უპირატესად ეს ღები-ჭიორასა და გლოლას მეტყველებაზე ითქმის.

აჭარულის ზოგ რეგიონში თავს იჩენს ზანურის ზეგავლენის კვალი (განსაკუთრებით კირნათ-მარადიდის მეტყველებაში), ქვემოაჭარულს კი ეტყობა გურულთან კონტაქტის შედეგიც. აჭარულში საკმაოდაა თურქული ლექსიკა. ყველაზე მკვეთრად აჭარულის თავისებურება მაინც ფონემატიკაში ვლინდება. ესაა პოზიციური გრძელი ხმოვნების წარმოქმნის ტენდენცია — იდენტურ ხმოვანთა შერწყმით: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა გū́კეთა, ან დაკარგული სონანტის საკომპენსაციოდ: ერთი → ēთი; ჩვეულებრივია აგრეთვე ი → ჲ პროცესიც ხმოვნის მომდევნოდ ყველა პოზიციაში: დაიკარგენით → დეიკარქენით → დეჲკარქენით, პაწაჲ „პატარა“, ყანა → ყანაები → ყანეები — ყანიები → ყანჲები; აგრეთვე ს → ჰ: სიდან → ჰიდან „საიდან“, სად → ჰად (უპირატესად თავკიდურა პოზიციაში), ეი → იი მაშინ, როცა მათ შორის მ- და გ- პირის ნიშნები იპოვება: შემიძლია → შიმიძლია, შეგიძლია → შიგიძლია...

აჭარულს უახლოვდება კლარჯული (იმერხეული), რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული და თურქულის ძლიერ

მაასიმილირებელ ზეგავლენას განიცდის. იმერხეული ნაშთია იმ უძველესი ქართული მეტყველებისა, რომელიც ისტორიულ კლარჯეთში ისმოდა და სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და აჭარის მეტყველებასთან ერთად ერთ დიალექტურ წრეს ქმნიდა.

1.3. სვანურის დიალექტები. ზემოთ, დიალექტების გამოყოფის პრინციპებთან დაკავშირებით (იხ. ზოგადი ნაკვეთი), უკვე გვქონდა საუბარი სვანური ენის დიალექტების შესახებ. ითქვა, რომ სვანური დიალექტებად დაყოფას ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად: „გრძელი ხმოვნები და უმლაუტები — აი, ორი რამ, რაც არსებითად განასხვავებს სვანური ენის ბგერით შედგენილობას როგორც ქართულისაგან, ისე ჭანურ-მეგრულისაგან. მაგრამ ამ ორ რამეში არა თუ სვანური უპირისპირდება ქართულსა და ჭანურ-მეგრულს, არამედ თვით სვანური კილოები — ერთმანეთს; სწორედ ეს ორი ფო(#221)ნეტიკური მოვლენაა, რომელიც საფუძვლად უძევს სვანური ენის კილოებად დაყოფას“ (ა. შანიძე). დამატებით აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლენტეხურში (სვანურის სხვა კილოთაგან განსხვავებით) მოდუნებულია რედუქცია.

ამრიგად, სვანურის დიალექტებად დანაწევრებას არსებითად სამი ფონეტიკური მოვლენა განსაზღვრავს: გრძელი ხმოვნები, უმლაუტი და რედუქცია. ამათგან ბალზემოურს ახასიათებს სამივე — ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია, ლაშხურს — ხმოვანთა სიგრძე და რედუქცია, ბალსქვემოურს — უმლაუტი და სუსტი რედუქცია (ა. შანიძე, ვ. თოფურია). დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს:

ბალსზემოური	ი-მä’რ-ი „მზადდება“	ა-ხტäû-ი „ხატავს“
ბალსქვემოური	ი-მär-ი	ა-ხტäû-ი
ლაშხური	ი-მār-ი	ა-ხტაû-ი
ლენტეხური	ი-მარ-ი	ა-ხატäû-ი

სვანური დიალექტები იყოფა კილოკავებად.

ბალსზემოურში გამოიყოფა უშგულური, მესტია-მულახური და ლატალური კილოკავები; ბალსქვემოურში — ბეჩოური, ეცერული, ლახამულური, ჩუბიხეური, ცხუმარული... კილოკავებში, გარდა ფონეტიკისა, სხვაობა შეინიშნება ბრუნებასა და უღვლილებაშიც. აგრეთვე ლექსიკაში (ვ. თოფურია).

1.4. ზანურის დიალექტები. ადრე „ორ ენად მიჩნეული მეგრული და ჭანური, მათი ირთიერთობის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, ორ კილოდ არის გამოცხადებული, ხოლო ენას, რომლის კილოებსაც ისინი წარმოადგენენ, ზანური ენა ეწოდა“ (ვ. თოფურია). ტერმინი „ზანური“ პირობითია: „ზანär მეგრელებს ამჟამადაც ეწოდება სვანურად; პროკოპი კესარიელისა და სხვა ძველი ბერძენი მწერლების „სანები“ ეგევე ზანები უნდა ყოფილიყვნენ; ამ „სანებს“ ძველი ბერძნული წყაროები ხშირად აიგივებენ „მაკრონებთან“, ხშირად კიდევ — „ჭანებთან“... „მაკრონ“ ჭანური - ონ სუფიქსით ნაწარმოები ეკვივალენტი ჩანს ქართული ტერმინისა „მეგრელი“... ამრიგად, „ზან“ ტერმინი ისტორიულად „მეგრელსაც უკავშრდება და „ჭანსაც“ (არნ. ჩიქობავა). „ზანურის“ გარდა, მეგრულ-ჭანურისათვის გამოიყენება აგრეთვე ტერმინი „კოლხური“ (გ. როზენი: „ლაზური [ჭანური] და მეგრული მეტად ახლო მდგომი კილოებია ერთი ენისა, რომელიც ჩვენ დარწმუნებით შეიძლება მივიჩნიოთ კოლხურად“). „კოლხური“ მეგრულ-ჭანურის გეოგრაფიული გავრცელების მიხედვი(#222)თაა შერქმეული: კოლხეთი ის ტერიტორიაა, სადაც ისტორიულად მეგრულ-ჭანური მეტყველება ისმოდა, თუმცა ამჟამად კოლხეთის საკმაოდ ვრცელ უბანზე საკუთრივ ქართული დიალექტებია წარმოდგენილი (გურული, ქვემოიმერული...).

„ჭანები თავის თავს ლაზებს უწოდებენ“ (არნ. ჩიქობავა). საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი გვხვდება (მაგალითად, ნ. მარის, ჟ. დიუმეზილის... ნაშრომებში).

მეგრულში ორი კილოკავი გამოიყოფა — სენაკური და ზუგდიდურ-სამურზაყანოული. თავის მხრივ, სენაკურში გამოიყოფა მარტვილურ-ბანძური თქმა, ზუგდიდურში — ჯვარული. „მეგრული საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ნაკლებად დიფერენცირებულია, ვიდრე ჭანური, რომელსაც ბევრად ნაკლები ფართობი უჭირავს“ (ვ. თოფურია).

ჭანურში გამოყოფილია სამი კილოკავი: ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური. სახელდება ხდება სოფელთა სახელწოდებების მიხედვით: ათინა, ვიწე,

არქაბი, ხოფა. „ჭანურს ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია ახასიათებს“ (არნ. ჩიქობავა). თვით კილოკავებიც არაა მონოლითური: ათნურში გამოიყოფა ბულეფურ-ართაშენული თქმა, ხოფურში — ჩხალური თქმა, „ვიწურ-არქაბული კილოკავიც ვიწურისა და არქაბული თქმების შენაერთია (არნ. ჩიქობავა). ნ. მარი, რომელსაც ეკუთვნის ჭანურის (ლაზურის) პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, შენიშნავდა, რომ ჭანურის კილოკავები „ზოგჯერ იმდენად სხვაობენ ერთმანეთისაგან, რომ თვით ლაზებს, რომლებიც ორ სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობენ, ერთმანეთისა არ ესმით“.

თავი II

2.1. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები (ზოგადი მიმოხილვა). აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში თავს იჩენს ბევრი იმ რიგის მოვლენა, რომლებიც ყურადღებას იქცევენ როგორც ენის ისტორიის, ასევე ენათა კონტაქტების თვალსაზრისით. ზოგი მოვლენა თვით ამ დიალექტთა შინაგანი განვითარების საფუძველზეა წარმოქმნილი.

ა) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში სონანტის შემცველ თანხმოვანთკომპლექსში ჩართულია ხმოვანი: ჩირდილი“ჩრდილი“, ფირჩხილი „ფრჩხილი“, კილდე „კლდე“... ეს კი ღირსსაცნობ ანალოგიას ქმნის ზანურთან: ბირცხა „ფრჩხილი“...

ბ) მთის დიალექტებიდან თუშურს ახასიათებს პოზიციური გრძელი ხმოვნები (იმ რიგისა, აჭარულშიც რომ შეინიშნება). ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართული ენის შინაგანი შესაძლებლობის ერთ-ერთ გამოვლინებასთან.

გ) მოხეურში დამოწმებულია უმლაუტიანი ხმოვნები, რომლებიც ანალოგიას პოულობენ ქართული ენის ზოგ სხვა დიალექტსა და სვანურში.

დ) მთის დიალექტებს დაცული აქვს უძველესი ფონემატური სისტემა: ჴ წარმოდგენილია ხუთივე დიალექტში, ხოლო მოხეურში û გვხვდება იქაც, სადაც იგი ისტორიულადაც ივარაუდება.

ე) მორფოლოგიური მოვლენებიდან ყურადღებას იქცევს ხოლმეობითი, რომელიც იმავდროულად დიალექტური ინოვაციით ხასიათდება. ხუთივე დიალექტში ხოლმეობითის წარმოების პრინციპი არსებითად მსგავსია: არქაული წარმოება გართულებულია ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმანტებით; კერძოდ, გამოიყოფა ორი დიალექტური წრე: ხევსურული, თუშური და ფშაური (მაწარმოებლები -იდ, -ოდ, -ი), ერთი მხრივ, და მოხეური და მთიულურ-გუდამაყრული (მაწარმოებლები -კე, -ი), მეორე მხრივ.

ვ) სპორადულად წარმოჩნდება მორფონოლოგიური მოვლენა, რომელიც ქართული ენის უძველესი ფორმაციის კუთვნილება უნდა იყოს. ვგულისხმობთ ზმნის ფორმათა დაპირისპირებას ფუძის გახმოვანების მიხედვით: გა-ვ-თარ-ე „გავათრიე“ — გა-ვ-ე-თერ „გავეთრიე“, მი-ვ-ა-წვად-ე „მივაწოდე“ — მი-ვ-ს-წვედ „მივწვდი“ ... რელიქტის სა(#224)ხით ეს მოვლენა სხვა დიალექტებსაც აქვს შემორჩენილი, მაგრამ როგორც დღესაც მოქმედი (თუმც — საკმაოდ შეზღუდულად) სისტემა, მხოლოდ მთის დიალექტებში იპოვება.

ზ) მთის დიალექტები უპირატესად ამჟღავნებენ იმ ტენდენციებს, რომლებიც გარდამავალი პერიოდის (XI-XVIII საუკუნეების) ქართულისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითად, -ავ || -ამ თემისნიშნიანი ზმნების უღვლილება ორ ნაირსახეობას იძლევა: ერთია ხევსურული და თუშური , მეორე — ფშაური, მოხეური და მთიულურ-გურამაყრული. მეორე რიგის დიალექტებში ბარის დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ვითარებაა, ხევსურულსა და თუშურში კი ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში -ავ → -ევ, თანაც -ევ სამივე პირის ფორმაშია წარმოდგენილი: ვ-მალ-ევ-დ-(ი), ღ-მალ-ევ-დ-(ი), ღ-მალ-ევ-დ-ა... ეს კი, ძველი ქართულის საპირისპიროდ, სადაც III პირის ფორმა იყო მალ-ვიდ-ა, ადრეულ შუა საუკუნეებში იჩენს თავს ქართულში.

თ) საცნაურია მიცემითში დასმული სახელის ზმნასთან მრავლობით რიცხვში შეუთანხმებლობის ტენდენცია (მას || მათ აქვის) და ამის საპირისპიროდ — სახელობითში დასმული სახელის (სუბიექტისაც და ობიექტისაც) ზმნასთან რიცხვში შეთანხმების წესის თითქმის უგამონაკლისოდ გატარება (და-ვ-მალ-ენ მე იგინი, და-მალ-ნ-ა მან იგინი — ზმნას რიცხვში ეთანხმება პირდაპირი ობიექტი; მალ-ვ-ენ, მალ-ევ-დ-ეს || მალ-ავ-დ-ენ ისინი — ზმნასთან შეთანხმებულია სუბიექტი).

ი) კერძო შემთხვევებიდან შეიძლება დავასახელოთ: „დაჰპატიჟა“ ზმნის არქაული კონსტრუქცია (დაჰპატიჟა მან მას); „ჰქვია“ ზმნის სპეციფიკური წარმოება I შედეგობითში (ხქვივნებია) და მისთ.

კ) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები მრავალმხრივ საყურადღებო მასალას იძლევიან ენათა კონტაქტის შედეგად წარმოქმნილი ინტერფერენციის პროცესის თვალსაზრისითაც. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება ბაცბურის (წოვა-თუშურის) გავლენით წარმოქმნილ მკვეთრი (ძლიერი) შემართვა-დამართვის ხმოვნების პოვნიერებას თუშურში: yēyსĭ „აი, ეს“, gāyკეთებს „გააკეთებს“, უდერāyდ „ბევრად“... ანალოგიურად დაისმის საკითხი ზოგი მორფოლოფიური და სინტაქსური მოვლენის მიმართაც.

მთის დიალექტები მეტ-ნაკლები ინტენსივობით ინარჩუნებენ მათთვის დამახასიათებელ მოვლენებს, შეპირობებულს არქაული დანაშრევითა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ხანგრძლივი ურთიერთობით, მაგრამ იმავდროულად ისიც აშკარაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტები — ქართლური და კახური — თანდათან, ტალღისებრ, ავრცელებენ მათზე თავის გავლენას. უწინარეს ეს (#225) ეხება ფშაურსა და მთიულურ-გუდამაყრულს. ნიმუშად შეიძლება

დავასახელოთ რამდენიმე მოვლენა, რითაც მთის დიალექტები საერთოს პოულობენ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებთან:

ა) ფონეტიკიდან: აე და ოე კომპლექსთან ცვლილება სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: გაეტანა → გეეტანა, მოეტანა → მეეტანა... ჰ- || ს- → ჲ-;: გაჲყვება , გაჲდევს — ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში; ფშვინვიერი შემართვის ჰ → ჲ თუშურში: აგრე → ჰაგრ → ჲაგრ... (ამ პროცესის მიმართ შეუვალი ჯერჯეროზით მხოლოდ ხევსურულია).

ბ) მორფოლოგიიდან: ნამყო ძირითადში ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითს ფორმათა -ენ სუფიქსით გაფორმება მრავლობით რიცხვში: და-ვ-ი-მალ-ენ-ი-თ, და-ი-მალ-ენ-ი-თ... -ნ სუფიქსიანი წარმოება პირველ და მეორე შედეგობითში: გა-უ-ყიდ-ნ-ი-ა, გა-ე-ყიდ-ნ-ა... პირველ შედეგობითში -ი-ა დაბოლოების გავრცელების ტენდენცია, რის მიმართ შეუვალია ხევსურული და ფშაური, თუშურში მერყეობაა, მოხეური და მთიულურ-გუდამაყრული კი მთლიანად ბარის დიალექტების პრინციპს მიჰყვებიან (ხევსურული, ფშაური: და-უ-მალ-ავ-ი-ს; მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული: და-უ-მალ-ი-ა). გარდამავალი ზმნების II შედეგობითში მარტივი წარმოების ფორმებია გამოყენებული (გეეკეთა „გაეკეთებინა“), ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა იგივე პარადიგმა მეშველი ზმნით იწარმოება (დახვედრიყო || დახვდომიყო) და მისთ.

ასე რომ, ძველი დიალექტური ერთობა (ჩრდილო ზოლი, რომელშიც რაჭულიც უნდა ყოფილიყო გაერთიანებული) თანდათანობით დაირღვა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტების მიმძლავრების შედეგად და სულ უფრო ნათლად იკვეთება დიალექტთა ერთობის ახალის იზოგლოსები: ქართლური — მთიულურ-გუდამაყრული — მოხეური, კახური — ფშაური — ხევსურული, კახური — თუშური.

დიალექტთა ამ რიგის ურთიერთობამ საინტერესო შედეგი მოგვცა თიანეთში, სადაც მოსახლეობის მიგრაციის შედეგად ერთმანეთს შეხვდა ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მთიულური მეტყველება.

„თიანელთა მეტყველება ძირითადად ქართლ-კახურია“. იმავდროულად მასში „საკმაოდაა წარმოდგენილი ფშაურის, ხევსურულის თუ მთიულურის გრამატიკული ელემენტები და სიტყვები“. იქ კი, სადაც მიგრირებული მოსახლეობა შედარებით კომპაქტურადაა წარმოდგენილი, უკეთ არის დაცული მათი დედადიალექტის თავისებურებანი; ასეთია ივრისხეური (თიანური) ფშაური და ხევსურული (ქართული დიალექტოლოგია).

(#226)

ამდენად, თიანური, უწინარეს ყოვლისა, სწორედ დიალექტთა შერევის თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას: „უღელ ჴარ შააბამდი — ერთი დღე ხვნა, ერთ დღეჲ (=დღეს) ვაძლევდით“ (ქართული დიალექტოლოგია). ამ ერთ ფრაზაში, რომელიც თიანური ტექსტიდან არის ამოღებული, დიალექტთა შერევის ღირსსაცნობ ნიმუშთან გვაქვს საქმე: ჴარ-ი მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი (გვხვდება ქიზიყურშიც), ხვნ-ა ფორმა ბარის დიალექტებისთვისაა ნიშანდობლივი (მთის დიალექტებშია ჴვნ-ა), მიცემით

ბრუნვაში დღე-ს → დღე-ჲ კახურის წესია. ანდა: „ხუთი მეხრე იყო, მექქვსე — გუთნიდედა... ერთ (=ერთს) მიიყოლებდნენ, ჩეკავდა (=ჩეკით, ბარულათი ლაფს ფხეკდა გუთნიდან)... იმაჲ (=იმას) მეტიმეხრე ერქვივნა“ (ქართული დიალექტოლოგია). გუთნიდედა „გუთნისდედა“, ერთ მიაყოლებდნენ, იმაჲ — ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელი ნაირსახეობებითაა გამოყენებული. ამავე რიგისაა მი-ი-ყოლ-ებ-დ-ნენ ფორმაში -ნენ პირის ნიშანი (ნაცვლად ეს ან -ენ ნიშნებისა). რაც შეეხება ე-რქვივ-ნ-ა ფორმას, აქ შეხამებულია მთისა და ბარის დიალექტებისათვის ნიშანდობლივი წარმოების პრინციპი: მოხდა ბარის დიალექტებში პოვნიერი ე-რქვ-ა და მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ე-ქვივ-ნ-ა (ხევსურული: „ვისა-ღ ექვივნა თორღვაი, ჴემწიფის ნაბიჭვარია?“; ხევსურული პოეზია) ფორმების კონტამინაცია. ეს ფორმა იმითაც არის საინტერესო, რომ მასში იჩინა თავი იმ მოვლენამ, რაც, საერთოდ, ამ კუთხის მეტყველებისთვისაა საცნაური.

***

2.2. ხევსურული. ხევსურეთი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე. „კავკასიონის ქედი ხევსურეთს ყოფს ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ პირიქითი ხევსურეთი და სამხრეთ-დასავლეთი მხარე, ანუ პირაქეთი ხევსურეთი. პირიქითი ხევსურეთი შედგება სამი ხეობისაგან: არდოტისა, შატილისა და არხოტისა, პირაქეთი ხევსურეთი კი არაგვის ხეობისაგან“ (ს. მაკალათია). პირაქეთელი ხევსურები „თავიანთ თავს თვლიან ნამდვილ ხევსურებად და მიწაწყალსაც ბუდე ხევსურეთს უწოდებენ“ (ქართული დიალექტოლოგია). ხევსურეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით — თუშეთი, დასავლეთით — ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით — ფშავი. ხევსურეთი — უძველესი ქართული მითოლოგიის საუფლო — თავიდანვე იქცევდა მკვლევართა და ეგზოტიკის მოყვარულ(#227)თა ყურადღებას. ხევსურული პოეზია გამორჩეულია თავისი მითოლოგიური ხილვებითა და ჭეშმარიტი პოეტური შთაგონებით ნასაზრდოები ხატოვანობით. „ხევსურები კარგად გრძნობენ, რომ მათ მიწა-წყალს შეუძლია გამოკვებოს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული რაოდენობა და ამიტომ ნამრავლი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს და თავისი სარჩო იქ მოიპოვოს“ (ს. მაკალათია). ხევსურთა ახალშენები იპოვება ხევში (ჯუთა), გუდამაყარში, კახეთში (გომბორში, წითელწყაროს რაიონში), თიანეთში...

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს ხევსურეთს: „ჟინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მოერთვის თეთრს არაგუს ჴევსურეთის წყალი. გამოსდის ესე ძურძუკისა და ამას შორისს მთას კავკასს, მოდის ჩრდილოდამ სამჴრით. ამას მოერთვის ჴევნი იმიერ და ამიერ. და განჰყოფს ჴევსურეთს: აღმოსავლით კავკასიდამ ჩამოსული მთა სამჴრეთად, ამასა და ფშავს შორისილ; სამჴრით ფშავის საზღვარი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასიიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა, ამასა და გუდამაყარს შორისი“.

ხევსურული ძირითადად მონოლითური დიალექტია, მაგრამ ზოგი ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური ნიშნის მიხედვით იგი შეიძლება დაიყოს ორ კილოკავად: ერთია შატილურ-მიღმახეური (ჩრდილოეთით), მეორე — პირაქეთულ-არხოტული (სამხრეთით). დასახელებულია რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი.,

ზმნა „ვარ“ შატილურ-მიღმახეურში წარმოდგენილია როგორც „ვარ || ვარი“, პირაქეთულ-არხოტულში — როგორც „ორ“.

პირაქეთულ-არხოტულში შემასმენელი ენკლიტიკურად მიერთვის სახელს: კაცí-ორ „კაცი ვარ“, ქორწილí-ქნეს; შატილურ-მიღმახეურში არა გვაქვს ენკლიტიკა და თანაც სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: კაც ვარი, ქორწილ ქნეს (ა. ჭინჭარაული).

უფრო გამოწვლილვითი ანალიზი კილოკავებისა თუ თქმების დონეზე გამოგვაყოფინებს შატილურ, არხოტულ, პირაქეთულ, ჯუთურ... მეტყველებას.

ნიშანდობლივია, რომ თვით ხევსურები კუთხეების (თემობის) მიხედვით განარჩევენ ერთმანეთს. ბესარიონ გაბუური აღნიშნავს: „რაში აფერე ერთუცსა ჴევსური, არხოტელია?“ (წელიწდეული). ხევსური (პირაქეთელი) და არხოტელი იქ გარჩეულია (კითხულობს: რატომ გაუტოლეო ისინი ერთმანეთს?); იგივე ჩანს ამ ტექსტშიც: „მამკლათ აწევენ (მოიწვევენ) ჴევსურეთითაც (=ხევსურეთიდანაც) არხვატ (არხოტს, არხოტში), არხვატითაც (არხოტიდანაც)“; (ქართული დიალექტოლოგია).

(#228)

I. ფონეტიკა.

დაცულია ჴ ფონემა: ჴმა, ჴარი, ჴევი, ჴმელი... არა გვაქვს ჰ (ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია ფონეტიკურად ცვლილი სახით). გვხვდება მოკლე (ĭ...) და ირაციონალური (ე) ხმოვნები.

ნიშანდობლივია ბოლოკიდური პოზიციის ცვეთა: ა) რედუცირდება ბოლოკიდური ხმოვანი — ბრუნვის ან პირის ნიშანი, მორფემისეული ელემენტი: სახლ დაიშალ „სახლი დაიშალა“ (ქართული დიალექტოლოგია); ბ) ხდება დაბოლოების მთლიანად მოკვეცა: მამათგან → მამადგან (ასიმილაციით)→ მამადგ. ზოგ შემთხვევაში რედუქციის შედეგად ვიღებთ ვიწრო ბგერას: კაციო → კაცივ, ვაკეთებდა „ვაკეთებდე“→ ვაკეთებდĭ || ვაკეთებდე (ა. ჭინჭარაული, ა. არაბული). საკმარისია ამგვარად ცვლილ ფორმებს ენკლიტიკურად მიერთოს მორფემა ან კავშირი, რომ რედუცირებული ხმოვანი აღდგება, ხოლო თავად მორფემა ან კავშირი ბოლოკიდურ ხმოვანს მოიკვეცს: კაცი → კაც, მაგრამ: კაცი-ღა → კაცი-ღ; ასევე: კაცი და ქალი → კაცი-დ ქალ. თუკი არ ივარაუდება აღსადგენი ხმოვანი, მაშინ ენკლიტიკის შემთხვევაში ჩნდება თანხმოვანთგამყარი ა: წამაფრინდების და გამაუდგების → წამაფრინდების-ა-დ გამაუდგების. ენკლიტიკურად მირთული ელემენტი შესაძლოა მთლიანად დაიკარგოს, მაგრამ თავის კვალს ტოვებს: ა) ან მახვილით წინამავალ ხმოვანზე: „თუ კაცები-ას სახლჩი, საარაყეს ჩააყენებენ, თუ ობოლ-ობოლქვრივí (=ობოლ-ობოლქვრივი-ას), თუნდა პურსა ნუ აჭმევს“; ბ) ან დაყოვნებით წარმოთქმისას (რაც ჩაწერის დროს აპოსტროფით აღინიშნება):

„მაუმატებენ დასტურები’ (= დასტურები და) სმენ“. დაყოვნებას თან სდევს ხმოვნის მკვეთრი დამართვაც: — დასტურდებიy’ სმენ“ (ა. ჭინჭარაული).

სონანტის შემცველ თანხმოვანთკომპლექსში თავს იჩენს ხმოვანი: ღირძილი „ღრძილი“, ჩირჩილი „ჩრჩილი“, ფირჩხილი „ფრჩხილი“, ჩირდილი „ჩრდილი“, კილდე „კლდე“... ამ ფაქტს განსხვავებული ინტერპრეტაციები ეძლევა. ერთ შემთხვევაში იგი განიმარტება როგორც ოდინდელი სრულხმოვნების კვალი: ფირჩხილი; შდრ.: მეგრული „ბირცხა“, ჭანური „ბუცხა“... „ჭანურისა და მეგრულის ე.წ. სრულხმოვნობა... ძველს ვითარებას გვისახავს, ქართული შეკუმშული ფუძეები მეორეული მონაცემია“ (არნ. ჩიქობავა). ზანურის ანალოგიური ვითარება ხევსურულში (და ზოგ სხვა) დიალექტში აღმოჩნდა. მეორე შემთხვევაში ხმოვანი განვითარებულად ითვლება (ა. ჭინჭარაული). მესამე შემთხვევაში ხსენებულ ფორმებში ხმოვნის პოვნიერება გან(#229)მარტებულია როგორც სონანტის ოდინდელი მარცვლოვანობის საკომპენსაციო საშუალება: ფრჩხილი (მარცვლოვანი რ სონანტით) → ფირჩხილი (უმარცვლო რ-სთან დაკარგული მარცვლოვანობის საკომპენსაციოდ ჩნდება ხმოვანი); და ასე: ჩრდილი → ჩირდილი, კლდე → კილდე (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). რა თქმა უნდა, თავისთავად შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ასეთ ფორმებში ხმოვანი ყოველთვის სონანტის მეზობლად გვხვდება. ეს მოვლენა მით უფრო საინტერესოა, რომ ხევსურულისათვის ამ პოზიციაში არც სონანტის დაკარგვაა უცხო: გრძელი → გძელი, ჩრდილი → ჩდილი... არაა გამორიცხული, რომ ამჟამად ხევსურულში თავს იჩენს ორი განსხვავებული ქრონოლოგიური დონის მოვლენა; ადრინდელი: ჩრდილი → ჩირდილი, შედარებით გვიანდელი: ჩრდილი → ჩდილი.

უხვი ნაირსახეობებით გამოირჩევა მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ჰ- ნიშანი (საკუთრივ ჰ-, როგორც ითქვა, ხევსურულში არ გვხვდება):

ჰ- →
- → ს- → შ- → ჟ-
- → ზ-
- → ხ- → ღ-
- → 0- (ნული)

ამ ფონეტიკურ ცვლილებებს მკაცრი კანონზომიერებანი განაპირობებს: ჰ- → ს- ხდება ყრუ კბილისმიერი (ტ, თ) და წინანუნისმიერი (წ, ც) თანხმოვნების წინ: ა-ს-ტყდების; ჰ- → ს- → შ- — ყრუ უკანანუნისმიერი (ჭ, ჩ) თანხმოვნების წინ: და-შ-ჭრ-ი-ან; ჰ- → ს- → შ- → ჟ — მჟღერი უკანანუნისმიერი (ჯ) თანხმოვნის წინ: ჟ-ჯობს; ჰ- → ს- → ზ- — მჟღერი კბილისმიერი (დ) და წინანუნისმიერი (ძ) თანხმოვნის წინ: მა-ზ-ძღოლივა; ჰ- → ხ- — ყრუ ბაგისმიერი (პ,ფ) და რბილსასისმიერი (კ,ქ,ყ) თანხმოვნების წინ: ხ-ქვიან; ჰ- → ხ- → ღ- — მჟღერი ბაგისმიერი (ბ), რბილსასისმიერი (გ) და სონორი

(ლ, მ, ნ, რ,ვ) თანხმოვნების წინ: ღ-ვედრიდა, და-ღ-ლივა... თანაც: თუ სონორს მოსდევს ყრუ მკვეთრი ბგერა, მერყეობაა: მა-ღ-მკიან || მა-ხ-მკიან; ჰ- → 0- — ხმოვნის წინა პოზიციაში: ა-უ-შენებენ.

ხშირია მეტათეზისი (ეჭვი→ ვეჭი, ეჟვანი → ვეჟანი, დაჟინება → დანიჟება) და სუბსტიტუცია (აბრეშუმი→ აბრაშუნი, ქეიფი → ქაიბი, ქორწილი → ჴორწილი).

აე და ოე კომპლექსები იცვლება სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ა) ყოველთვის თავკიდურა პოზიციაში; ჩვეულებრივ, ესაა ზმნისწინისეული ხმოვნისა და ზმნის ხმოვანი პრეფიქსის შეხვედ(#230)რის პოზიცია: და-ე-კლ-ა → დე-ე-კლ-ა, მო-ე-კლ-ა || მა-ე-კლ-ა; ბ) გარკვეული მერყეობით ბოლოკიდურა პოზიციაში — ფუძისეული ან მორფოლოგიური დანიშნულების ა და ო ხმოვნების შეხვედრისას მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსთან: ჭალა → ჭალაებ-ი → ჭალე-ებ-ი, ქალ-ა → ქალა-ებ-ო → ქალე-ებ-ო... მაგრამ გვხვდება ცვლილების გარეშეც: „წავიდა სარუსეთოდა თეთრქუდა-ებ-ის ჯარია“ (ხევსურული პოეზია).

გავრცელებულია ვა → ო შენაცვლება: ვაჟი → ოჟი, ვათქმივათ → ოთქმიოთ, სწყენივას → სწყენიოს, ჩაუდავ → ჩაუდოვ... დასახელებულ შემთხვევებში ვა → ო ახასიათებს პირაქეთულ- არხოტულ კილოკავს, „შატილურ-მიღმაჴეურ კილოკავში ვა → ო პროცესი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ვ მოდის û-სგან. საერთოდ, ûა → ო პროცესი უფრო ბუნებრივი და ბოლომდე გატარებულია ხევსურულში: სიტყûა → სიტყო, სხûა → სხო, უთქûამ → უთქომ“... შატილურ-მიღმახეურშივე (კერძოდ, ლებაისკარში, კისტანსა და გურო-გიორწმიდაში) იგივე ცვლილება დამოწმებულია „ვალ“ ზმნაში: წავალ → წაოლ → წოოლ (ა. ჭინჭარაული).

გვხვდება ვე → ო შენაცვლებაც: ქვეოდე → ქოოდ „მთლად, სრულად“, გაუშვებს → გაუშობს, ქვეყანა → ქოყანა || ხოყანა „ხალხი“ და მისი საპირისპირო ო → ვე: ორაგული → ვერაგული (ა. ჭინჭარაული).

საერთოდ, როგორც ნებისმიერი ზეპირი მეტყველებისათვის, ხევსურულისთვისაც ნიშანდობლივია ერთმანეთის საპირისპირო მოვლენების თანაპოვნიერება. ეს არ უნდა განვსაზღვროთ როგორც წინააღმდეგობრივი პროცესი, რადგან ამ შემთხვევაში სხვადასხვა ქრონოლოგიურ ან კილოკაურ დანაშრევთან უნდა გვქონდეს, როგორც წესი, საქმე.

***

II. მორფოლოგია

ა) სახელთა ბრუნება. სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები -ი და -მა შესაძლოა სრული სახით იყოს წარმოდგენილი თვით ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (საქმე-ი, მოყმე-მა), თუმც ხევსურულს მათი მოკვეცილი სახით გამოყანებაც ახასიათებს თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც კი (დიაცებ გაღრეცენ მატყლს, ღმერთ-მ ნურა მიადინას). -ი || -0 და -მა || -მ ნიშნების განაწილებას რაიმე მორფოლოგიური წესი არ უჩანს. ერთია (#231) ოღონდ:

წინადადების თავკიდურა პოზიციაში უპირატესად მოკვეცილი ვარიანტები გვხვდება, ბოლოკიდურა პოზიციაში უფრო ხშირია მათი სრული სახით გამოყენება.

მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი არასდროს იკარგვის, თუკი სახელი სუბიექტის ან პირმიმართი ობიექტების დანიშნულებითაა გამოყენებული (გაზაფხულ-ს ბარად ატარებს), მაგრამ მერყეობაა, თუ მიცემითი გამოხატავს ადგილის ან დროის სემანტიკას (გაზაფხულ [= გაზაფხულ-ს „გაზაფხულზე“] დახქსოვენ ტოლებს (თ. უთურგაიძე).

ნანათესაობითარი მიცემითი — ადგილის გარემოების ფუნქციით: ახიელ-ის-ა-ს იარიდიო; ჯუთ-ის-ა-ს (=ჯუთაში) შამაიარა. მიცემითში შეიძლება დაისვას -თა სუფიქსიანი მრავლობითის ფორმაც: ქმარ-თა-ს ნამყოფ (=განათხოვარ) ქალს ახალგაზრდა ვაშკაც აღარ წაიყვანს (ა. ჭინჭარაული).

მიცემითი იხმარება ვითარებითი ბრუნვის სემანტიკურ ეკვივალენტად: მზას „მზად“, ძმურას „ძმურად“, რას „რად“ (რას მეტანებოდი).

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის -ის და -ით ნიშნები, ჩვეულებრივ, ვერ იწვევს -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საზოგადო სახელთა კვეცას და არც თავად რედუცირდება: ჭალა-ის-კე „ჭალისკენ“, დროშა-ის ტარი... ჭალა-ით, დროშა-ით... მაგრამ ფუძის კვეცა, როგორც წესი, ხდება, თუკი მოქმედებითი ბრუნვა გამოსვლითობას (აბლატივს) გამოხატავს: ამღა → ამღ-ით, როშკა → როშკ-ით (ა. ჭინჭარაული).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა დრო-ჟამის გამომხატველ სახელებში გამოიყენა დროის გარემოების ფუნქციით: ზამთრ-ის (= ზამთარში დიაცებ გაღრეცხენ მატყლს მდინარე წყალში.

ნანათესაობითარი ვითარებითი ცვლის -თვის თანდებულიან სახელს: ირმის გულ-ის-ად (= ირმის გულისთვის) დაჴოცილნო; ამ დღ-ის-ად (=დღისთვის) მზას იყვენით (ა. ჭინჭარაული).

მოქმედებითი ბრუნვის -ით ნიშანი დაერთვის -თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითს ფორმასაც: ქარქაშ-თ-ით „ ქარქაშიდან“, საწოლ-თ-ით „საწოლიდან“ (ა. ჭინჭარაული). ხევსურულში, ჩვეულებრივ, უთანდებულო მოქმედებითი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გამოსვლითობის ფუნქციით: ამღ-ით „ამღიდან“. არქაული ვითარებაა.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული -დ, როგორც წესი, არ ყრუვდება. ზოგჯერ შეინიშნება -ად || -ა მონაცვლეობა: ადვილ-ა „ადვილად“, სულწუხ-ა „სულწუხად“, ლამაზ-ა „ლამაზად“, ჩემ-ა „ჩემად“...

ვითარებითი ბრუნვით გამოიხატება ფუნქციები: ადგილისა (ჩაგიგდეს ჴელ-ად-ა [ხელში]; წვერ-ად [წვერში] მაუსხამ ყურძენი), დანიშნულებისა (-ობა სუფიქსიან სახელებთან: შეშობა-დ [= შეშის საჭრე(#232)ლად მიოლ [=მივდივარ]; ნადირობა-დ „სანადიროდ“, წყემსობა-დ „სამწყესავად“...); ზოგი სხვაც — კერძოდ, ის, რაც დამახასიათებელია სალიტერატურო ენისა და ყველა დიალექტისათვის.

თანდებულთაგან: -ში გვხვდება -შიგ || -ჩი || -ჩიგ (აგრეთვე -შია|| -ჩია || -შიგა || -ჩიგა) ნაირსახეობებით; -ზე || -ზედ(ა). -თან თანდებულის -თანა ვარიანტი იხმარება საზიაროს სემანტიკის გამოსახატავადაც: აბას-თანა ქინთ გვაქვს „აბასთან საზიარო

ტიკი გვაქვს“ (ა. ჭნჭარაული). -გან თანდებულის ნაირსახეობანია -გე || -გეს (დროის სემანტიკის გამოხატვისას: მზეგასვლ-იდ-გე „მზისგასვლიდან, მზის ჩასვლის შემდეგ“, დაჯოც-იდ-გეს „დახოცვიდან, დახოცვის შემდეგ“. -იდ ← -ით რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე), -კან (როცა უშუალოდ ფუძეს მიერთვის: ერთ-კან „ერთგან“, სხვა-კან „სხვაგან“).

ჩვეულებრივი მოვლენაა თანდებულიან სახელთა გართულება: -ით || -ივ ფორმანტებით (ციხეებ-ში-ით || ციხეებ-შიგ-ით „ციხეებში და იქიდან“, ციხეებ-ზე-ით „ციხეებზე და იქიდან, ციხეებ-ს-თან-ით „ციხეებთან და იქიდან“. *გულის-გან-ივ → გულის-გნ-ივ „გულიდან“); -ურ ფორმანტით (სხვა-გან→ სხვაკან → სხვა-კნ-ურ-ი, მთა-ჩიგ → მთა-ჩიგ-ურ „მთაში და იქაური“); -მდე || -მდი თანდებულით (გახყვების მასპინძელ სტუმრებს სოფლის პირ-ში-ა-მდი).

-ვით, -ში, -ზე თანდებულები გამოიყენება -თა სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებთანაც: რქა-თა-ვით „რქებივით“, მგზავრთა-ში „მგზავრებში“, ლაშქარ-თა-ზე „ლაშქრებზე“ (ა. ჭინჭარაული).

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება ზოგი თავისებურებით გამოირჩევა. ჩვეულებრივია -ნ || -თ(ა) სუფიქსების გამოყენება. ზოგჯერ ამ სუფიქსებით ფორმდება სახელები, რომელთაც მხოლოობითი რიცხვის გაგება აქვს, უპირატესად უსულო საგანთა სახელები: ჯოხ-ნ-ი „ჯოხი“, მსხალ-ნ-ი || მსხალა-ნ-ი „მსხალი“ (ფ. მაკალათია). ა. შანიძის ვარაუდით, -ნ || -თ(ა) სუფიქსებით ხევსურულში იწარმოება ორობითი (წყვილობითი) რიცხვის ფორმები: ოჟ-ნ-ი „ორი ვაჟი“ — ოჟ-ებ-ი „ვაჟები“. ამჟამად ასეთი გარჩევა არ დასტურდება.

მრავლობითის -ნ || -თ(ა) სუფიქსები გამოიყენება ოჯახის (გვარის) სახელთა საწარმოებლად: ლეკო-ნ-ი „ლეკოს ოჯახი, ჯალაბი“... ამ ოჯახის წარმომადგენელი კი არის: ლეკო-თ ჯირჩლა (გიორგი...). ეს უკანასკნელი შესიტყვება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შებრუნებული წყობითაც: გიორგი ლეკო-თ-ი.

გ) ზმნა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ხევსურულში.

(#233)

მეტ-ნაკლებად დაცულია ზმნის უძველესი, უთემისნიშნო წარმოება: თიბ-ს „თიბავს“, რეცხ-ს „რეცხავს“ , ჯოც-ს „ხოცავს“, ნაყ-ს „ნაყავს“.

-ავ და -ამ თემის ნიშნები ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში გახმოვანებას იცვლის: მალ-ავ-ს → მალ-ევ-დ-ა, ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-ემ-დ-ა... იგივე თემის ნიშნები (ძველქართულისებურად იკუმშება აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნის დართვისას: მალ-ვ-ენ, ა-ბ-მ-ენ.

სპეციფიკურია -ოვ → -ო სუფიქსიანი წარმოება მდგომარეობითი ზმნებისა (რაც აგრეთვე პოულობს ანალოგიას ძველ ქართულთან): უ-ცრემლ-ო-ი-ს „აცრემლებული აქვს“, უ-ჭრელ-ო-ის „აჭრელებული აქვს“, ჟღმუთ-ო-ის „მოღრუბლულია და ცრის“ (ა. ჭინჭარაული).

მხოლოობითი რიცხვის აწმყოს მესამე პირის ფორმათა წარმოება ვნებითში ძველი ქართულისებურია: და-დგ-ებ-ი-ს „დადგება“, გადმა-ჴდ-ებ-ი-ს „გადმოვა“ , მი-ხ-ყვ-ებ-ი-ს „მიჰყვება“, ე-ხვევ-ი-ს „ეხვევა“.

უძველესი წარმოება დაცულია ნამყოს მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმებში — გამოიყენება -ეს ფორმანტი (და არა -ენ ან -ნენ); ნამყო უსრული: წა-ი-ღ-ებ-დ-ეს „წაიღებდნენ“, და-სხდ-ებ-ოდ-ეს „დასხდებოდნენ“... ნამყო ძირითადი: ა-დგ-ეს „ადგნენ“, და-ბრუნდ-ეს „დაბრუნდნენ“, შამა-ჴდ-ეს „შემოჴდნენ, შემოდგნენ“...

ნამყო ძირითადში უმარცვლო ძირის მქონე ზმნები I და II პირის ფორმებში წარმოდგენილია -ი || -ĭ სუფიქსით (ნაცვლად -ე სუფიქსისა), შესაბამისად III სუბიექტური პირის ნიშნად გამოიყენება -ა (და არა -ო): გა-ვ-ი-გ-ĭ, გა-ი-გ-ĭ, გა-ი-გ-(ა); მრავლობითში: გა-ვ-ი-გ-ი-თ... და ასე: გადა-ვ-უ-გდ-ĭ, გადა-უ-გდ-ĭ, გადა-უ-გდ-(ა)... (ა. ჭინჭარაული); შდრ. მარცვლოვანი ძირის მქონე: მა-ვ-თიბ-ĭ, მაგრამ: მა-ვ-თიბ-ე-თ...

კავშირებითის წარმოება უნიფიცირებულია — ყველგან -ა გვაქვს: ჩეჩ-დ-ა-ს „ჩეჩდეს“, ჩეჩ-ა-ს „ჩეჩოს“. მხოლოობითი რიცხვის I და II პირის ფორმებში -ა ვიწროვდება (→ -ĭ || -ე): ვ-ჩეჩ-დ-ĭ || ვ-ჩეჩ-დ-ყ “ვჩეჩდე“, ვ-ჩეჩ-ყ „ვჩეჩო“ (ხშირას იკარგვის კიდეც: ვ-ჩეჩ)... მრავლობით რიცხვში, -თ სუფიქსის დართვისას, -ა აღდგება: ვ-ჩეჩ-დ-ა-თ „ვჩეჩდეთ“, ვ-ჩეჩ-ა-თ „ვჩეჩოთ“ (ა. ჭინჭარაული, ა. არაბული). III კავშირებითის ხმარება შეზღუდულია, უპირატესობა ენიჭება აღწერით წარმოებას: „ვითამ მაგის მატანილ იყვას“ იგივეა, რაც: „ვითომ მაგას მოეტანოს“ (ა. ჭინჭარაული).

შემონახულია ხოლმეობითს უძველესი წარმოება ზოგი დიალექტური მოდიფიკაციით: I და II პირის ფორმები რთულდება -იდ სუ(#234)ფიქსით, საკუთრივ ხოლმეობითის გამომხატველი (ძველი ქართულის მსგავსად) -ი (→ -ĭ) სუფიქსია: ვ-წერ-დ-იდ-ი „ვწერდი ხოლმე“, ს-წერ-დ-იდ-ი „სწერდი ხოლმე“, წერ-დ-ი-ს „წერდა ხოლმე“ (I ხოლმეობითი); და-ვ-წერ-იდ-ი, და-ს-წერ-იდ-ი, და-წერ-ი-ს (II ხოლმეობითი). შედარებით იშვიათია III ხოლმეობითის ფორმები: ე-თქვ-ი-ს, ე-კვეხ-ნ-ი-ს... ყუდებულ-იყვ-ი-ს, მოსულ-იყვ-ი-ს... (ა. ჭინჭარაული, ა. არაბული). იშვიათია ეს ფორმები ძველ ქართულშივე (ა. შანიძე, ზ. სარჯველაძე, დ. გეწაძე).

განირჩევა კატეგორიული და თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითი. პირველი ნამყო ძირითადი II პირის ფორმას იყენებს (ახალი ქართულისებურად), მეორე — ხოლმეობითის ფორმებს. კატეგორიულად ბრძანებითი გვხვდება ორი ნაირსახეობით: შეკვეცილი (მაიყვა „მოიყვანე“, მამაწვა „მამაწვადე, მომაწოდე“) და სრული, -ღა || -ღ ნაწილაკ-მორფემოიდის დართვისას (მაიყვანე-ღ, მამაწვადე-ღ); შდრ.: თხოვნით-წაქეზებითი: მაიყვან-იდ-ი „გთხოვ, მოიყვანე“, მამაწვად-იდ-ი „გთხოვ, მომაწოდე“...

ხოლმეობითის ფორმებმა, გარდა მრავალგზისობისა („მყოლებ გახყვებოდ იმ სოფელშიით. ოციც გა-ხ-ყვ-ი-ს [= გაჰყვებოდა ხოლმე], ოცდახუთიც“; ქართული დიალექტოლოგია), შესაძლოა გამოხატოს განგრძობითობაც, გრძლიობაც („მშავლის ჯარ თუ [= თურმე] შატილ ი-დგ-ი-ს“; ქართული დიალექტოლოგია).

III სერიის ფორმათა წარმოება უნიფიცირებულია.

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითი (მაშინ, როცა რეალურ ობიექტად მესამე პირი ივარაუდება) იწარმოება -ავ ფორმანტით: ა-უ-ღ-ავ „აუღია“, გა-უ-გ-ავ „გაუგია“, უ-წოვ-ავ „უწოვია“, გა-უ-კეთ-ებ-ავ „გაუკეთებია“. შატილურ-მიღმახეურში ამ ფორმანტს დაირთავენ -ამ თემისნიშნიანი ზმნებიც (-ამ იკუმშება): ა-უ-სხ-მ-ავ

„აუსხამს“, ჩა-უ-ც-მ-ავ „ჩაუცვია“; პირაქეთულ-არხოტულში ასეთ შემთხვევაში -ავ აღარ გამოიყენება: ა-უ-სხ-ამ, ჩა-უ-ცვ-ამ... საკუთრივ -ავ თემისნიშნიანი ზმნები -ავ ფორმანტს არ დაირთავენ: გა-უ-ბედ-ავ „გაუბედავს“, მა-უ-ჯნ-ავ „მოუხნავს“... -ავ ფორმანტი შეკვეცილი ნაირსახეობაა -ავ-ი-ს რთული ფორმანტისა: ა-უ-ღ-ავ-ი-ს → ა-უ-ღ-ავ, გა-უ-კეთ-ებ-ავ-ი-ს → გა-უ-კეთ-ებ-ავ... -ი-ს დაბოლოება მოუდის საკუთრივ -ავ თემისნიშნიან ზმნებსაც: გა-უ-ბედ-ავ-ი-ს → გა-უ-ბედ-ავ; პირაქეთულ-არხოტულში იგივე დაბოლოება ამოსავლად ივარაუდება -ამ თემისნიშნიან ზმნებთანაც: ა-უ-სხ-ამ-ი-ს → ა-უ-სხ-ამ, მაშინ, როცა რეალური ობიექტი I ან II პირია, წარმოება (სხვა კილოთა და სალიტერატურო ენის მსგავსად) მეშველზმნიანია: ვ-უ-ლექსებ-ი-ვარ, გა-უ-ზდ-ი-ვარ || გა-უ-ზდ-ი-ორ, გა-უ-ზდ-ი-ხარ... (ლ. ბარამიძე); სუბიქსად -ი (#235) გვაქვს. ეგევე სუფიქსია გამოყენებული იმ შემთხვევაში, როცა მესამე პირის რეალური ობიექტი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი: გა-უ-კეთ-ებ-ავ-(ი-ს) იგი, მაგრამ: და-უ-კეთ-ებ-ი-ან იგინი.

ანალოგიურად იწარმოება მოქმედებითის ყალიბის მქონე გარდაუვალი ზმნებიც: უ-სწავლ-ავ „უსწავლია“, უ-წვიმ-ავ „უწვიმია“...

დაბოლოების მხრივ ამგვარი წარმოებისაა ერთი რიგის სტატიკური ზმნებიც (ა. შანიძის ტერმინოლოგიით — სტატიკური ვნებითები) აწმყოში: ღ-ბ-ავ „აბია“ (შდრ.: და-უ-ბ-მ-ავ „დაუბამს“), ხ-კიდ-ავ „ჰკიდია“ (შდრ.: და-უ-კიდ-ავ || და-უ-კიდ-ებ-ავ)... რაც შეეხება სხვა ტიპის სტატიკურ ზმნებს, მათი დაბოლოება იდენტურია იმისა, რაც ძველ ქართულში იყო: ს-წად-ი-ს „სწადია“, ს-წყურ-ი-ს „სწყურია“, უ-ხარ-ი-ს „უხარია“, ს-ტკივ-ი-ს „სტკივა“... ამ პრინციპს მიჰყვება: ხ-ყავ-ი-ს „ჰყავს“, ა-ქვ-ი-ს „აქვს“.

ერთვალენტიან ზმნათა I შედეგობითი მეშველი ზმნით იწარმოება. წარმოება იმავე რიგისაა, რაც სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში, ოღონდ მესამე პირის ფორმებში მეშველი ზმნას ას „არის“ სამი ნაირსახეობით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ამდგარას || ამდგარა || ამდგარ „ამდგარა“, შასულას || შასულა || შასულ „შესულა“.

ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების I შედეგობითს აწარმოებს -ივ ფორმანტი: მა-ს-ჩვენ-ებ-ივ „მოსჩვენებია“, და-შჩ-ომ-ივ „დარჩენია“. ანალოგიურად იწარმოებს I შედეგობითს ზემოხსენებული „სტატიკური ვნებითიც“ და ს-წადინ-ებ-ივ „სწადებია“, ს-წყურ-ებ-ივ „სწყურებია“, ს-ტკივ-ებ-ივ „სტკივებია“, აგრეთვე ხ-ყვან-ივ „ჰყოლია“, ხ-ქონ-ივ „ჰქონებია“ ტიპის ზმნები. ზოგჯერ -ივ ფორმანტიანი წარმოება რთულდება მეშველი ზმნით: შა-ხ-ყრ-ივ-ას || შა-ხ-ყრ-ივ-ა „შეჰყრია“, მა-შ-ჩვენ-ებ-ივ-ას || მა-შ-ჩვენ-ებ-ივ-ა „მოსჩვენებია“, რასაც თან სდევს ორი სახის ფონეტიკური ცვლილება: ან -ივ-ას → -იოს (შახყრიოს), ან -ივ-ას → -ივ-ა → -ი-ა (შახყრია, რის გამოც სალიტერატურო ენის ფორმებს ემსგავსება დაბოლოებით; ა. ჭინჭარაული).

ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების II შედეგობითი (ერთვალენტიანი ზმნების ანალოგიით) მეშველი ზმნით იწარმოება: ზ-ძინ-ებ-იყვა „სძინებოდა“, გა-ღ-მარჯვ-ებ-იყვა „გაჰმარჯვებოდა“ (შდრ. ერთვალენტიანი: გა-ზდ-ილ-იყვა „გაზრდილიყო“, შამა-მ-დგ-არ-იყვა „შემომდგარიყო“). მრავლობით რიცხვში

გამოყენებულია იმავე მეშველი ზმნის შესაბამისი ფორმა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობაა გამოსახატავი: „ორნივამც და-გ-ტეხ-იყვნეს ფეჯნიო“ (= შენ დაგტეხოდა ფეხები; ძველი ქართული: შენ დაგტეხოდეს ფეჯნი).

(#236)

რაც შეეხება გარდამავალი ზმნების II შედეგობითს, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიალექტების მსგავსად, ხევსურული ძველი ქართულის წესს მიჰყვება — მარტივი წარმოების ფორმებს რჩეობს: დე-ე-ბარ-ა „დაებარებინა“, გე-ე-კეთ-ა „გაეკეთებინა“; სხვა მხრივ წარმოების თვალსაზრისით რაიმე თავისებურებასთან არა გვაქვს საქმე: მო-ე-ხარშ-ა, შამა-ე-თვალ-ა, ე-ჭამ-ა, ე-თხარ-ა.

კაუზატივი -ევ და -ივ სუფიქსებით იწარმოება, „თუ სუფიქსი რთულია, ისიც -ევ-ივ → -ევი იქნება“ (ა. ჭინჭარაული). -ევ და -ევი ძირითადად გვხვდება იქ, სადაც სალიტერატურო ენაში დამოწმებულია -ევინ: გადა-ა-ჯდ-ევ-ს „გადაახდევინებს“, ა-შლ-ევი-ებ-ს „აშლევინებს“...ნამყო ძირითადი: გადა-ა-ჯდ-ი-ა, მა-ა-შლ-ევი-ა... -ივ გვხვდება იმ ზმნებთან, სადაც სალიტერატურო ქართულში -ინ სუფიქსია გამოყენებული: ა-ბან-ი(ვ)-ებ-ს „აბანინებს“, და-ა-ჭერ-ი(ვ)-ებ-ს „დააჭერინებს“... ხმოვნებს შუა პოზიციაში -ივ სუფიქსისეული ვ, ჩვეულებრივ, იკარგვის; აღდგება თანხმოვნის წინ; მაგალითად, სახელობითბრუნვიანი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელ -ნ (← -ენ) სუფიქსის წინა პოზიციაში: და-ა-ჭერ-ივ-ა → და-ა-ჭერ-ი-ა იგი, მაგრამ: და-ა-ჭერ-ივ-ნ-ა იგინი. კაუზატივის -ევ სუფიქსიანი წარმოება არქაული მოვლენაა; შდრ. ძველი ქართული კლ-ავ-ს → ა-კლ-ვ-ევ-ს „აკვლევინებს“ (აწმყო) — მო-ა-კლ-ვ-ი-ა „მოაკვლევინა“ (ნამყო ძირითადი).

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. დაცულია კითხვითი -ა მორფემოიდი: „გიორგი შენ ხარ-ა თველექათიო?“; „ცოდვა არ ას-ა?“ კითხვითი მორფემოიდის დანიშნულებით გამოიყენება -ე ელემენტიც, რომელიც ყოველთვის -ა მორფემოიდს მოსდევს: გა-ჯსონ-ს-ა-ე? „გახსოვს?“ „წა-ვიდ-ეს-ა-ე-ვ? „წავიდნენ?“ (ა. ჭინჭარაული).

-მცა ნაწილაკ-მორფემოიდს უნარი აქვს თხრობითი კილოს ფორმებს მიანიჭოს კავშირებითის ფუნქცია (არქაული ფაქტი): ღმერთ-ი-მც აგაშენებს! „ღმერთიც აგაშენებდეს!“ (ა. ჭინჭარაული).

იხმარება დადასტურებითი „ქვე“ ნაწილაკ-მორფემოიდი: „თივას ქვე (= კი) მივსცემავ“, „ქვე არ (= აკი) გითხარ“; ზოგჯერ („თუ“ მორფემოიდთან ერთად) გამოხატავს დაეჭვებას, ვარაუდს ან აუცილებლობას: „ქვე თუ (=ალბათ) წაიყვანეს“... (ა. ჭინჭარაული).

სხვათა სიტყვის -ო → -ვ შეიძლება დაერთოს წინადადების ყველა წევრს: „წინ-წინავ — თქვისავ ხოგაის მინდიმავ — თვალნ ამიხვივნესავ, გზა არ ნახასავ, მავლიესავ აისეთაივ“ (ქართული დიალექტოლოგია).

ჩვეულებრივი მოვლენაა აი → ა მიმათითებელი ნაწილაკ-მორფემოიდით ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზოგი ზმნისართის გაფორ(#237)მება: აისი „აი, ის“, აიმას „აი, იმას“, ააქ „აი, აქ“, აისრ „აი ისე“, აეხლად → ეეხლად „აი, ახლა“...

ე) სიტყვათწარმოება. ოცობით ითვლიან ასის შემდეგაც: ხუთოცი „ასი“, ექვსოცი „ასოცი“, შვიდოცი „ასორმოცი“ (ა. შანიძე), ასობით — ათასის შემდეგ: თერთმეტასი „ათასასი“...

მასდარი იწარმოება სუფიქსიანი ვნებითის ფუძისაგანაც: ა-ს-ძრახ-დ-ა → ა-ძრახ-დ-ომ-ა „დალაპარაკება“, გა-ფრინ-დ-ა → გა-ფრინ-დ-ომ-ა „გაფრენა“... შეინიშნება მასდარის ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა შენაცვლება: ხტ-ოლ-ებ-ა „ხტუნება“...

სასუბიექტო მიმღეობის წარმოებისას პროდუქტიულია მ — ე ცირკუმფიქსი: მ-თენ-ე „გამთენებელი“, გა-მ-რიგ-ე „გამრიგებელი“, გა-მ-კავრ-ე „გამჯავრებელი“, მ-შინ-ე „შემშინებელი“, მი-მ-ღ-ე „მიმღები“, ა-მ-შენ-ე „ამშენებელი“; აგრეთვე მა — ურ, მე — ურ და მო — ურ ცირკუმფიქსები: მა-ცნა-ურ-ი „მცნობელი“, მა-ცად-ურ-ი „მომცდელი“; მე-ხვეწ-ურ-ი „მხვეწნელი“; მო-ნატ-ურ-ი „მონატრული“. გვხვდება მა — ე (მა-ცნ-ე), მე — ე (მე-ხვეწ-ე), მ — ო (მა-მ-სწრ-ო „მომსწრე“, გა-მ-ძღ-ო „გამძღოლი“), მა — არ (მა-წევ-არ-ი, მა-სმინ-არ-ი, მა-ცოდ-არ-ი), მ-ი-არ-ე (მ-წუხ-ი-არ-ე, *მ-გორ-ი-არ-ე → მ-გორ-ი-ალ-ე) ცირკუმფიქსებითა და ოდენ მე- პრეფიქსით (მე-სხ-ი „ვინც თავს ესხმის“) ნაწარმოები ფორმებიც.

საობიექტო მიმღეობის წარმოების თავისებურებად მოჩანს -ავ თემისნიშნიან ზმნებთან -ილ სუფიქსის გამოყენება: და-ხურ-ვ-ილ-ი „დახურული“, გა-ტუს-ვ-ილ-ი „გატუსული“, გა-გორ-ვ-ილ-ი „გაგორებული“, ამა-ბრუნ-ვ-ილ-ი „ამობრუნებული“ (ორი ბოლო ფორმა უშუალოდ მდგომარეობითი ზმნისაგანაა ნაწარმოები: გორ-ავ-ს, ბრუნ-ავ-ს და არა შესაბამისი მოქმედებითისაგან: ა-გორ-ებ-ს, ა-ბრუნ-ებ-ს, როგორც ეს სალიტერატურო ქართულშია).

-ილ || -ულ ზოგჯერ ნამყო ძირითადის ფუძისგან აწარმოებს საობიექტო მიმღეობას: გა-ნათ-ულ-ი „განათებული“, გა-თა-ულ-ი „გათავებული“.

საობიექტო მიმღეობები იწარმოება სა — იელ (სა-ჭვნ-ელ-ი „სახნავი“, და-სა-წყ-იელ-ი „დასაწყევლი, დაწყევლილი“), სა — არ (სა-თიბ-არ-ი „სათიბელი“), სა — ო (გა-სა-მარჯ-ო „გასამარჯვებელი“, გა-სა-გ-ო „გასაგებელი“, გა-სა-თა-ო „გასათავებელი“), ნა — ელ (ნა-მუშა-ელ-ი „ნამუშევარი“), ნა — არ (ნა-ჩადინ-არ-ი „ჩადენილი“), აგრეთვე სა — ოლ (სა-გდ-ოლ-ი ზედმიწევნით: „ჩასაგდები“→ სა-გდ-ოლ-ა „კარის ჩასაკეტი ხე“), სა — ურ (სა-ნატ-ურ-ი „სანატრელი“), უ — ო (და-უ-ჯერ-ო „დაუჯერებელი“) ცირკუმფიქსებითაც.

(#238)

საობიექტო მიმღეობის ფუძედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასუბიექტო მიმღეობის ფორმა; წარმოება ხდება სა — ო ცირკუმფიქსით: მ-თევ-ელ-ი → სა-მ-თევლ-ო, მე-შვ-ელ-ი → სა-მეშველ-ო... ამავე ცირკუმფიქსით ზოგჯერ იწარმოება -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმისაგან იმავე მნიშვნელობის ახალი ტოპონიმი: რუს-ეთ-ი → სა-რუსეთ-ო...

სახელის ფუძისაგან სა — ე და სა — ო ცირკუმფიქსებით ნაწარმოები ფორმები ზოგჯერ სემანტიკურად სხვაობენ: სა-დიაც-ე „მშიშარა“ — სა-დიაც-ო „ქალის ჯუბა“. სა — ო კონფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოხატავს

მიმართულებას ან დანიშნულებას: სა-ჯოროზ-ო-დ (← სა-ჯვაროზ-ო-დ) „ჯვარისკენ“...

პროდუქტულია მე — ე ცირკუმფიქსით წარმოება, რომელიც ხშირად მო — ე ცირკუმფიქსის ეკვივალენტად იხმარება: მე-სისხლ-ე „მოსისხლე“, მე-ნადირ-ე „მონადირე“... მას შეიძლება შეენაცვლოს მა — ე ცირკუმფიქსი: მე-პირდაპირ-ე || მა-პირდაპირ-ე (ბ. გაბუური).

გვარ-სახელთა საწარმოებლად გამოიყენება -ურ ფორმანტი: ჩალხი → ჩალხ-ურ-ი, ჯინჭარა → *ჯინჭარა-ურ-ი → ჯინჭარა – ულ-ი (დისიმილაციით).

ხევსურულში ფართოდაა გავრცელებული -იონ სუფიქსი (← -ივ-ან), რომელიც აწარმოებს: წარმომავლობის სახელებს ტოპონიმებისაგან: შატილ-ი → შატილ-იონ-ი „შატილელი“, არხოტ-ი → არხოტ-იონ-ი „არხოტელი“ და ხელობის სახელებს შესაბამისი საზოგადო სახელებისაგან: ჯვარ-ი → ჯვარ-იონ-ი „ჯვრის, ხატის მსახური“, დროშა → დროშ-იონ-ი „მედროშე“, ციხე → ციხ-იონ-ი „მეციხოვნე“ (ა. ჭინჭარაული).

ოდნაობის მნიშვნელობის გამოსახატავად გამოიყენება -ონ-ა რთული სუფიქსი; წარმოება, ჩვეულებრივ, ფერთა აღმნიშვნელ სახელთაგან ხდება: შავ-ონ-ა „მოშავო“, წითლ-ონ-ა „წითალო“, ლეგ-ონ-ა „მოლეგო“ (ა. ჭინჭარაული).

ხშირი ხმარებისაა კნინობითი ფორმები, რომელთა ძირითადი მაწარმოებელია -ა ფორმანტი (ფუძე კი შესაძლოა გართულებული იყოს ასევე კნინობითობის გამომხატველი -იკ, -იტ, -უკ, -ურ, -უნ, -ინ... ფორმანტებით): უმცრო-ა → უნცრუ-ა, ლომ-იკ-ა, გიგ-იტ-ა, ძილ-უკ-ა, ბიძ-ურ-ა (მამაკაცის სახელია), ერაწ-უნ-ა „პატარა ქვაბი“, ცოტ-ინ-ა „ცოტა“ || ცოტ-ინ-იკ-ა (ა. ჭინჭარაული).

***

III . ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რიცხვში შეთანხმების საკითხი (როგორც სახელისა სახელთან, ასევე სახელისა ზმნასთან).

(#239)

როგორც წესი, -ნ || -თ სუფიქსიანი მსაზღვრელ-საზღვრული რიცხვში შეთანხმებულია: სუბსტანტიური (მართული) — პოსტპოზიციის შემთხვევაში (შუქ-ნ-ი მზ-ის-ა-ნ-ი; შდრ.: იღლი-ის ძირნი), ატრიბუტული — ორივე პოზიციაში (ლამაზ-ნ-ი ქალ-ნ-ი და ქალ-ნ-ი ლამაზ-ნ-ი). როცა მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მსაზღვრელ-საზღვრული -ნ || -თ სუფიქსიანი მრავლობითითაა წარმოდგენილი (ორ-ნ ზალ-ნ ხყვანივან). შეინიშნება შეთანხმების რღვევის შემთხვევებიც, რაც დიალექტში დაწყებულ მერყეობაზე მიანიშნებს (მამკალ-ნ იციან ქერ-ის-ა-ი-ცა-დ სვილ-ის-ა-ი-ც; და არა მოსალოდნელი: ქერ-ის-ა-ნ-ი-ცა-დ სვილ-ის-ა-ნ-ი-ც).

სუბიექტი, ჩვეულებრივ, ზმნას რიცხვში ეთანხმება როგორც -ნ || -თ, ასევე -ებ ფორმანტების გამოყენებისას (კაც-ნ წავიდოდე-ს, წაიღებდ-ეს ლუდს... შასხდები-ან ოჟ-ებ ცხენებზე, ქალებს ცხენის გავაზედ შაისმ-ენ-ა-დ წავლ-ენ). ზოგჯერ შეთანხმება აზრობრივია (ხალხ-მ ერთჴმად დაიწყ-ეს საუბარი). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ შედგენილი შემასმენლის გამოყენებისას სუბიექტი შესაძლოა -ნ სუფიქსიანი მრავლობითით იყოს წარმოდგენილი, შედგენილი შემასმენლის სახელად კომპონენტს კი -ებ სუფიქსი აფორმებდეს (მთიბელ-ნ კაც-ებ-Í, მეჴენცლე-ნ-ი — ქალ-ებ-ი „მთიბელები კაცებია, ნამგლით მთიბავები — ქალები“). შეუთანხმებლობის შემთხვევები იშვიათია. თუ არის, ისიც უპირატესად მაშინა გვაქვს, როცა სუბიექტი -ებ სუფიქსითაა გაფორმებული.

რიცხვში შეთანხმებისას ზმნასთან თავისებურებას გვიმოწმებს ირიბი და პირდაპირი ობიექტები. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით: მიცემითსა და სახელობითში დასმული ობიექტები (რადგან მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტი ამ მხრივ ზედმიწევნით თანხვდება ირიბ ობიექტს.

მიცემითში დასმული სახელის ზმნასთან მრავლობით რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით მერყეობაა (რაც ეხება როგორც -ნ || -თ, ასევე --ებ სუფიქსიან ფორმებს). თავს იჩენს ასეთი ტენდენცია: თვით ინვერსიულ ზმნებთან რიცხვში შეთანხმება ხდება I და II პირის ფორმებში (ურჯულო არ გვ-ყოვ ძალზედა; გვ-ი-ხარ-ი-ს [ჩვენ]... გ-ი-ხარ-ი-ს-თ ჯვარის წერაი; თვალ გ-ა-ქვ-ი-ს-თ თებელთ ცხვარზედა; ენა გ-ა-ქვ-თ ცლანგიანიო; ნუღარ მი-გ-ყავ-ი-ს-თ ცხენია [თქვენ]...); III პირის ფორმებში შეთანხმება, როგორც წესი, არა გვაქვს (იდუასა და ხოლიგას ძმა-თ ა-ქვ-ი-ს საუბარიო; რკინა-თ გა-ა-ქვ-ი-ს ჟღერაო; ცხენებს ა-ა-ქვ-ი-ს გრიალი).

ანალოგიური ვითარებაა III სერიაში: (#240)

ა) გარდამავალი ზმნები; I შედეგობითი: ეგეთ არავინ გვ-ი-ნახ-ავ; ცხვარი ა-გ-ი-ღ-ავ-თ უხათით, მა-გ-ი-დი-ს-თ ფარებულასა; მაგრამ: სრუ და-უ-ჭერ-ავ (=დაუჭერიათ) სოფელი, შაკრეს სიმაგრის კარია; ჭაბრილოს თუშიშვილებსა ვერ გა-უ-გ-ავ გზისაო; არ უ-გდ-ავ ყური-დ წასულან... II შედეგობითი (მოვიტანთ მხოლოდ მესამე პირის ფორმებს): დევებს ე-ჭიკ-ა ყელშია; ვერ გასაზდელებს ყმაწვილებსაო ქვაბჩია მო-ე-ხარშ-ა გველიო...

ბ) ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნები; I შედეგობითი: ალაქოს გასთენ-ებ-ივ-ა (=გასთენებიათ), ალაგს ეძევენ ჩდილსაო...

რაც შეეხება სახელობითში დასმულ ობიექტს, იგი, როგორც წესი, ზმნას რიცხვში ეთანხმება:

ა) ნამყო ძირითადი: რბოლით დაკრიფ-ნა ზურაბმა გძელ-ნ-ი არაგვის გზა-ნ-ი-ო... ბრძანებითის ფუნქციით: გორ-შეღმ წამაე, ზურაბო, ნახ-ენ ქარაულ-ნ ყმა-ნ-ი-ა!

ბ) II ხოლმეობითი: ცოტინას ხომიზურასა ჩაასწავლ-ნ-იდ-ი-თ გზა-ნ-ი-ა; რა დადგას უდარობაი, და-მ-ა-ფარ-ნ-იდ-ი-თ თბე-ნ-ი-ა. აქ ხოლმეობითი თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის ფუნქციითაა გამოყენებული, ანალოგიური ვითარებაა საკუთრივ სახელობითის გამოხატვის დროსაც.

გ) II კავშირებითი: მადაქვილოს გორ ციხესა კუთხს არ დაღგლიჯ-ნ-ა-თ ქვა-ნ-ი-ო.

შეთანხმება ხდება III სერიაშიც — სახელობითში დასმული სახელი აქ რეალური ობიექტის დანიშნულებით გამოდის (გრამატიკული სუბიექტია):

ა) I შედეგობითი: შვიდ წელს ტყვედ ვიყავი, დედაო, არ მილაჯი-ან ქვიშა-ნ-ი; დაუკეთები-ან მშვილდ-ისარ-ნ-ი.

ბ) II შედეგობითი: უნდოდა დაებალით-ნ-ეს (ისინი), მემცხვრისად დაერიალა.

სახელობითში დასმული სახელის ზმნასთან რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ძველი ქართულის ანალოგიური მდგომარეობაა როგორც პრინციპის, ასევე მორფოლოგიური ინვენტარის მხრივ. აქა-იქ გვხვდება შეუთანხმებლობის შემთხვევებიც — უპირატესად მაშინ, როცა -ებ-იან მრავლობითთან გვაქვს საქმე: უჯოცავ (და არა მოსალოდნელი: უჯოციან) აზნაურები... (მსგავსი ვითარებაა „სტატიკური ვნებითის“ აწმყოშიც: ყელზე ვერცხლის შიბ-ებ უ-სხ-ავ; და არა: უ-სხ-ი-ან).

(#241)

***

IV. ლექსიკა.

განსაკუთრებით ფასეულია დარგობრივი თვალსაზრისით. ხევსურულში დაცულია ან საკუთრივ დიალექტურ საფუძველზეა წრმოქმნილი პურეულის (კეცეული, კუბატი...), მიწათმოქმედების (ბორტვი, იორეშა, ჯაგირი...), მესაქონლეობის (კეთილობა, ქარშატეული || მჩნევიარე, საზვები || სამზველი...), მშენებლობის (სიპრედა, წინგარდა, გურჩი, ზღავი, ჭყირი || ჭყერი || ჭყორი...), საბრძოლო საქმიანობის ამსახველი მდიდარი, მრავალფეროვანი, სიტყვათშემოქმედების ხალასი ნიჭით აღბეჭდილი ლექსიკა. აღარაფერს ვამბობთ იმ პოეტურ ფორმულებზე, რითაც იმთავითვე გამოირჩეოდა ხევსური ზეპირსიტყვიერება. უხვადაა წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური გამოთქმები, ფიცილის ფორმულები (დედილამ, ქალილამ, მამილამ || მამილასა) და მისთ.

***

2.3. ფშაური. „ძველს ნაქალაქარს ჟინვანს ორი არაგვი ერთმანეთს ერთვის, ერთი მთიულეთისა, მეორე ფშავისა. ფშავის არაგვი შედგება ორი შტოისაგან: ერთი თვით ფშავის არაგვი და მეორე ხევსურეთისა, რომელნიც ერთმანეთს ერთვიან ორწყალში... ფშავის არაგვის მარჯვენა და მარცხენა მხარე შეკრულია მაღალის და ტყიანის მთებით, რომლებიც შუაზე შევიწროებული მოოხრავს, ეშურება (არაგვი) მტკვრისაკენ; მის ორივე ნაპირებზედ, ჟინვანიდამ მოყოლებული, მთის კალთებიდამ და წვერებიდამ მოიყურებიან მიწური სახლები და საბძლები — ეს ფშაველების სადგურები არის“ (ვაჟა-ფშაველა). ფშავს ესაზღვრება „ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ჰყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი პირიქით ხევსურეთისაგან. დასავლეთით საზღვრავს პირაქეთი ხევსურეთი და გუდამაყარ-მთიულეთი, სამხრეთით — შიდა ქართლი. ფშავის მთავარი მდინარე არაგვია, რომელშიც იწურებიან ფშავის კავკასიონის მაღალი და დახრამული მწვერვალებიდან გადმონახეთქი ნაკადები“ (ს. მაკალათია).

გარდა საკუთრივ ფშავისა, დღეს ფშაველები ცხოვრობენ ილტოსა და ალაზნის სათავეებში, გომბორში, ერწო-თიანეთსა (ივრის ხეობასა) და შირაქში.

(#242)

ფშავი იყოფა ორად: ფშავის არაგვის სათავიდან ორწყლამდე უკანა (უკვენა) ფშავის თემია და ორწყალს ქვემოთ, ფშავის არაგვის ქვემო წელში, მაღაროსკარის თემი.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს ფშავს: „ხევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ფშავი, რომელსა შუაში უდის თეთრი არაგჳ, და მოერთვიან ჴევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აშენებული... და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდისა გიორგისა და რასა იგი იტყჳს, სთნავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა... ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასიიდამ ჩამოსული, სამჴრით კავკასივე, ამასა და მახჳლოს-ჴევს შორისი, სამჴრით მთა, ამასა და თიანეთს შორისი, ჩრდილოთ კავკასი, ამასა და ღლიღუს შორისი, დასავლით მთა კავკასიდან ჩამოსული სამჴრით, ამასა და ჴევსურეთს შორისი“.

ისტორიულად ფშავი და ხევსურეთი იწოდებოდა ფხოვად. უძველეს წყაროებში სწორედ „ფხოვი“ გვხვდება: „ფშავი“ და ჴევსურეთი“ შედარებით უფრო გვიან დამკვიდრებული სახელწოდებებია: „აწ უწოდენ ფშავ-ჴევსურსა, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

მართალია, ფშაური კილოკავებად არ იყოფა, მაგრამ ფშაური მეტყველება მაინც ყველგან ერთნაირად არაა წარმოდგენილი. საფუძვლიანად იგი უკანა (უკვენა) ფშავშია დაცული. ამას თვით ფშაველებიც გრძნობენ და ზედმიწევნით განარჩევენ

კიდეც მეტყველების ნაირსახეობებს. ამ გარჩევის ერთ-ერთი გამოხატულებაა ირონიული დამოკიდებულება სხვა თემის წარმომადგენელთა მეტყველებისადმი. ჩარგლელის (მაღაროსკარის თემი) ნათქვამია: „დასიცილი (=დაცინვა) იციან უკვენა ფშავში აქიურ სიტყვებზე“ (ქართული დიალექტოლოგია).

ფშაურს, საერთო წარმომავლობის გამო, ბევრი რამ აკავშირებს ხევსურულთან. იქ კი, სადაც ხევსურულისაგან განსხვავებული მოვლენებია თავჩენილი და იმავდროულად ხერხდება ფორმათა ჩამოყალიბების პროცესზე თვალის მიდევნება, აშკარა ხდება სხვაობის მეორეულობა, ხოლო მსგავსების (ხშირად — სრული იგივეობის) პირველადობა.

მაგალითად, ხევსურულისაგან განსხვავებით, ფშაურში ნამყოს ფორმებში ხშირია მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ენ სუფიქსის გამოყენება (ხევსურულში მის ეკვივალენტად მხოლოდ -ეს არის): მალავ-დ-ენ, დაიმალ-ნ-ენ (შდრ. ხევსურული: (#243) მალევ-დ-ეს, დაიმალ-ნ-ეს). უფრო ადრინდელი ტექსტები ნათელს ხდიან, რომ თავდაპირველად ფშაურშიც -ეს სუფიქსი იყო გამოყენებული. ღირსსაცნობია ამ თვალსაზრისით მერყეობის შემთხვევებიც: „ქისტები ყოფილიყვნ-ენ, ცხენის ჴორცს შჭამდ-ენ, მეც აიმას მაჭმევდ-ეს“ (ქართული დიალექტოლოგია). ერთ წინადადებაში ნამყოს ფორმებში პირის ნიშნად ხან -ენ გვაქვს, ხან — -ეს.

ფშაურში ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოში მხოლოობით რიცხვის მესამე პირის დაბოლოება ბარის კილოების ანალოგიურია: ი-მალ-ებ-ა, ი-ხარშ-ებ-ა (შდრ. ხევსურული: ი-მალ-ებ-ი-ს, ი-ხარშ-ებ-ი-ს). თუმცა ფშაური ამ შემთხვევაშიც მერყეობს: პარალელურად -ი-ს დაბოლოებიანი ფორმებიც იპოვება.

ხევსურულში კავშირებითის მაწარმოებლად მხოლოდ -ა არის გამოყენებული (და-წერ-დ-ა-ს, და-წერ-ა-ს), ფშაურს შემორჩა ეს პრინციპი (მი-ს-ც-ა-ს, ა-ი-ღ-ა-ს), მაგრამ პარალელურად ბარისებური წარმოებაც იჩენს თავს (მი-ს-ც-ე-ს, ა-ი-ღ-ო-ს).

ზოგადად კი, ის, რაც ფშაურს განსხვავებული აქვს ხევსურულისაგან, ორი მიზეზით აიხსნება: ერთი უკვე დავასახელეთ — ფშაური ძლიერ გავლენას განიცდის ბარის დიალექტებისა (ქართლურისა და კახურისა); მეორეცაადა, თავდაპირველი ერთობის რღვევამ ხელი შეუწყო საკუთრივ ფშაური ინოვაციების წარმოქმნასა და დამკვიდრებას.

ფშაურში ზოგჯერ ორგანულადაა შერწყმული მთისა და ბარის კილოებისათვის ნიშანდობლივი მოვლენები: ისტორიასა-ჲწერიდეს; ისინი მალავდეს... პირველ ფორმაში ენკლიტიკის წესი და პირის ნიშნად ჲ-ს გამოყენება ქართლ-კახური მოვლენაა, ამავე რიგისაა -ავ თემის ნიშანი მეორე ფორმაში, ხოლო მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ეს სუფიქსის გამოყენება უკვე მთის დიალეტებისათვის დამახასიათებელი ფაქტია.

***

I. ფონეტიკა

დაცულია ჴ: ჴელი, ფეჴი, ჴორცი, ჴევი, ჴმა... „დღეს ეს ფონემა უკვე გაქრობის გზაზეა შემდგარი“ (გ. ცოცანიძე).

ჲ- წარმოადგენს ჰ- || ს- ბგერათა პოზიციურ ვარიანტს. ცვლილება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ჰ- || ს- პირის ნიშნებს წარმოადგენენ. ცვლილება განხორციელებულია შემდეგ პოზიციებში: ა) ხმოვანზე დასრულებული ზმნისწინის მომდევნოდ: შა-ს-დებენ → შა-ჲ-დებენ, და-ჰ-ბარავს → და-ჲ-ბარავს... ზოგჯერ ჲ- გვხვდება ჰ- || ს- პირის ნიშ(#244)ნებთან ერთადაც: და-ჲჰ-პატიჟებს, გა-ჲს-თიბს... უფრო ზუსტად: ჲჰ-, ჲს- კომპლექსით გამოხატულია გარდამავალი ბგერა, რომელსაც შემართვა ჲ-სა აქვს, ხოლო დამართვა ჰ- ან ს-სი; ბ) ხმოვანზე დაბოლოებულ ფორმაზე ზმნის ენკლიტიკის შემთხვევაში: ისტორიასა-ჲწერს, ვერა-ჲწერს... არსებითად აქ ერთი და იმავე მოვლენის ორი ნაირსახეობაა; ორივე შემთხვევაში ცვლილება ხმოვნის მომდევნოდ ხდება.

ძირითადი ფონეტიკური პროცესები:

თავს იჩენს ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვნის დასუსტებისა და დაკარგვის ტენდენცია, განსაკუთრებით „და“ კავშირის ენკლიტიკის დროს: „გულზედ ემჩნევა ნიშანი მე-დ იმის ბრძოლის წამისა“ (ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“);

ასიმილაციის საფუძველზე: აე→ეე (დაემალა→ დეემალა, ბიძაები → ბიძეები...), ოე→ეე (მოეტანა→ მეეტანა...), თუმცა აქ შესაძლებელია ამოსავლად აე კომპლექსი ვივარაუდოთ (მაეტანა→ მეეტანა), რადგან ოე, ჩვეულებრივ, იძლევა უე-ს (იხ. ქვემოთ), აო → ოო (მუშაობა→ მუშოობა);

დისიმილაციით: ეა → ია (შეატყო→ შიატყო... საცოლეა → საცოლია), ოა → უა (მოვავლე→ მოავლე [ვ-ს დაკარგვით] → მუავლე — როგორც წესი, ხდება I პირის ფორმებში... ჩამოვა → ჩამოა [ვ-ს დაკარგვით] → ჩამუა; მოგხვდაოა? → მოგხვდაუა?), ოე → უე (მოვედი→ მოედ [ვ-ს დაკარგვით] → ჩამუა; მოგხვდაოა? → მოგხვდაუა?), ოე → უე (მოვედ→ მოედ [ვ-ს დაკარგვით] → მუედ... გროვება → გროება [ვ-ს დაკარგვით] → გრუება).

ანალოგიური ცვლილებები ხდება: რთული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგადაც (ძალოა→ ძალუა → ძალუაები → ძალუეები), სიტყვათა მიჯნაზე (რა ეძებნეს → რე ეძებნეს, რატო არ → რატუ არ) და სხვა (გ. ცოცანიძე).

ყურადღებას იქცევს აუ → აო (საუბარი→ საობარი) და ეუ → ეო (გეუბნები→ გეობნები); (გ. ცოცანიძე).

ვა→ო (ყვავილი→ ყოილი, ზვავი → ზოვი, ყვავი → ყოვი... მაგრამ: ცხვარი, თვალი, კვალი...), ვე→ო (რამთვენი || რამთონი, ქვეყანა → ხვეყანა || ხოყანა).

ჩვეულებრივია: სონანტთა დაკარგვა (მუხლში→ მუხში, ძაღლთ → ძაღთ, მოვედი → მოედი → მუედი, მათხოვე → მათხოე → მათხუე...), სუბსტიტუციურია (რომელი→ რომენი) და მისთ.

ზმნის აღწერით ფორმებში შეიძლება დაიკარგოს არის → ა მეშველი ზმნა, საკომპენსაციოდ წინამავალ ხმოვანს დინამიკური მახვილი ეცემა: ვაჟია → ვაჟÍ; ანალოგიური ვითარება სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: წეღებია → წეღებÍ „გაეტანებინა“ (გ. ცოცანიძე).

(#245)

II. მორფოლოგია

ა) სახელთა ბრუნება. სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის -ი და -მა ნიშნები შესაძლოა სრული სახით იყოს წარმოდგენილი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ვაჟა-ი, ვაჟა-მა) და შეიკვეცოს თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულებთან (ქალ წაიყვანეს, შვილ-მ უთხრა). ამ ვარიანტების განაწილება უპირატესად პოზიციურადაა შეპირობებული: თავკიდურა პოზიციაში ბრუნვის ნიშანი უმეტეს წილ მოკვეცილია, წინადადების ბოლოს სრული სახითაა წარმოდგენილი.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყოველთვის წარმოდგენილია მაშინ, როცა სახელი სუბიექტისა ან პირმიმართი ობიექტების დანიშნულებითაა გამოყენებული.

უთანდებულო მიცემითი ხშირად გვხვდება ადგილისა ან დროის გარემოების ფუნქციით („ღაჭაურა სათიბსა ყოფილიყო“, „ზაფხულს თოფის ხმა აყრუებს, ზამთარს ჩამუდის ზვავია“; ვაჟა-ფშაველა). ამ შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ნიშანი შეიძლება დაიკარგოს კიდეც („თიანეთ [=თიანეთს] გაზდილი ვარ მენა“).

მიცემითი გვხვდება ვითარებითი გარემოების ფუნქციით: მზას „მზად“, ხშირას „ხშირად“.

ადგილის გარემოების ფუნქციით ხშირად გამოიყენება ნანათესაობითარი მიცემითი: „იმათ კარ-ის-ა-ს გავიარე“. ზოგჯერ იგი -კენ თანდებულიანი ფორმის დანიშნულებითაა გამოყენებული: „უნდა წავიდეთ ლაფანყურ-ის-ა-ს“ (გ. ცოცანიძე).

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის -ის და -ით ნიშნები ვერ კვეცენ ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს და არც თითონ რედუცირდებიან (ცხემლა-ის, გეჯა-ის; ცხემლა-ით, გეჯა-ით).

მავრცობ (ემფატიკურ) ხმოვნად ნათესაობითსა და მოქმედებითი შესაძლოა შეგვხვდეს -ი (ქვეყნ-ის-ი, ქვეყნ-ით-ი), ზოგჯერ — -თ სუფიქსიან მრავლობითთანაც („ვთქვათ, სიბრალული კარგია ხე-ქვა-ბალახ-თ-ი, ცხოველ-თ-ი“; ვაჟა-ფშაველა).

დრო-ჟამის აღმნიშვნელ სახელებთან უთანდებულო ნათესაობითი დროის გარემოებას გამოხატავს (ზამთრ-ის „ზამთარში“, ზაფხულ-ის „ზაფხულში“). ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ფორმდება ზოგიერთი დროის ზმნისართი (მაშინ-ის, შარშან-ის, წელან-ის, ერთხელ-ის...).

ა-ზე დაბოლოებულ ზოგ ფორმას ვითარებითი ბრუნვის -ად ნიშანი ვერ კვეცავს და არც თავად რედუცირდება: რა-ად, ცოტა-ად, ყველა-ად... ვითარებით ზმნისართებში წარმოდგენილია ოდენ -ა-ს სახით: ყინჩ-ა, ლამაზ-ა, კარგ-ა, რარიგ-ა (გ. ცოცანიძე).

(#246)

იპოვება -თვის || -თვინ თანდებულიც და ამავე ფუნქციის გამომხატველი ნანათესაობითარი ვითარებითი: მტრის-თვის || მტრის-თვინ || მტრ-ის-ად-(ა).

-კენ თანდებული წარმოდგენილია როგორც -კე || -კ: მავრცობი -ა ხმოვნის პოვნიერებისას გვაქვს -კ (ც-ის-ა-კ), ამ ხმოვნის გარეშე — -კე (ც-ის-კე), თუმცა წესი ზედმიწევნით არაა დაცული. გვხვდება -კა ნაირსახეობაც: ფშავ-ის-ა-კა, შინა-ის-ა-კა.

-გან თანდებულის ნაირსახეობანი: -კან, როცა უშუალოდ ფუძეს მიერთვის (ზო-კან „ზოგან“, ცხვა-კან „სხვაგან“); იშვიათად — -ყან (ყველ-ყან „ყველგან“).

-ზე, -ში, -გან || -კან თანდებულიანი ფორმები რთულდება -ით || -ივ სუფიქსებით (კლდე-ზე-ით, წყალ-ში-ით, *ყველ-გან-ით → ყველ-გნ-ით, *ყველ-გან-ივ → ყველ-გნ-ივ.

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვი ძირითადად -ებ სუფიქსით იწარმოება. გამოიყენება -ნ || -თ სუფიქსებიც, უპირატესად მაშინ, როცა იწარმოება ოჯახის, შტოგვარის სახელები (წიწო-ნ-ი „წიწოს ჯალაბი“ → წიწო-თ გიორგი, გულიკა-ნ-ი „გულიკას ჯალაბი, შთამომავალი“ → გულიკა-თ ნინო); ზოგჯერ -ნ სუფიქსით გაფორმებული უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელი გამოყენებულია მხოლოობითი რიცხვის ფუნქციით (არაყა-ნ-ი „არაყი“, დოვ-ნ-ი „დო“, აბჯარ-ნ-ი „აბჯარი“); (გ. ცოცანიძე).

გ) ზმნა. დგა-ს, ჰ-ყავ-ს ტიპის სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმები მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში ასეა წარმოდგენილი: ს-დგ-ან, ჰ-ყვ-ან, ჰ-ქონ, სხ-ენ... მ-ი-ნდ-ა, გ-ი-ნდ-ა, უ-ნდ-ა ზმნები მეშველი ზმნით იწარმოება, თუ რეალური ობიექტი (გრამატიკული სუბიექტი) მესამე პირია (მინდარის, გინდარის, უნდარის), მაგრამ უმეშველოზმნოდ იხმარება მაშინ, როცა რეალური ობიექტი პირველი ან მეორე პირია: მ-ი-ნდ-ი „მინდიხარ“, გ-ი-ნდ=ი „გინდივარ“ (გ. ცოცანიძე).

დასტურდება -ოვ → -ო სუფიქსი: და-ჰ-ნათ-ო-ი-ს, და-ჰ-ლაღ-ო-ი-ს.

მკვიდრია ხოლმეობითის ფორმები. ძირითადი მაწარმოებელია-ი (ძველი ქართულის მსგავსად), I და II პირის ფორმები გართულებულია -ოდ სუფიქსით: ვ-ს-წერ-დ-ოდ-ი, ს-წერ-დ-ოდ-ი, ს-წერ-დ-ი-ს (I ხოლმეობითი); და-ვ-ს-წერ-ოდ-ი, და-ს-წერ-ოდ-ი, და-ს-წერ-ოდ-ი, და-ს-წერ-ი-ს (II ხოლმეობითი). ერთადერთი გამონაკლისია წა-ვიდ-ი, წა-ხ-ვიდ-ი ზმნა, რჰმელიც -ოდ სუფიქსით არ რთულდება (რადგან ფუძის გახმოვანებით ისედაც განირჩევა ნამყო ძირითადისაგან: წა-ვედ-ი, წა-ხ-ვედ-ი): „წავიდი, ავხვეტოდი და თივა ავაგოდი“ (ქართული დიალექტოლოგია).

(#247)

ბრძანებითი ორნაირია: კატეგორიული, რომელიც ნამყო ძირითადის II პირის ფორმებს იყენებს (ააგე, გამითხარე), და თხოვნით-წაქეზებითი. უკანასკნელი ორგვარად გამოიხატება: ხოლმეობითის II პირის ფორმით (ააგოდი, გამითხაროდი; „აი, გივიაი გაჲსთიბს და აჲხვეტოდი!“); ხოლმეობითისეულ -ოდ სუფიქსს დაერთვის კავშირებითის -ე (→ -ოდ-ე), რის საშუალებითაც თხოვნით-ბრძანებითი შეიძლება გამოიხატოს სამივე პირის ფორმაში (განსხვავებით ოდენ -ოდ სუფიქსით ნაწარმოები ფორმებისაგან):

I პირი	—	ავაგოდეთ
II პირი	ააგოდე	ააგოდეთ
III პირი	ააგოდეს	ააგოდენ

ზოგი მკვლევარი ამ ფორმებს კავშირებითის ცალკე პარადიგმებად გამოყოფს (გ. ცოცანიძე).

I შედეგობითის ძირითადი მაწარმოებელია -ავ, სრული სახით: -ავ-ი-ს დაბოლოება: წა-უ-ყვან-ავ-ი-ს → წა-უ-ყვან-ავ, გა-უ-კეთ-ებ-ავ-(ი-ს), შა-უ-გდ-ავ-(ი-ს)... -ავ თემისნიშნიანი ზმნა აღარ დაირთავს მეორე -ავ-ს (მა-უ-კლ-ავ || მა-უ-კლ-ავ-ი-ს). -ამ თემისნიშნიან ზმნას -ავ, ჩვეულებრივ, მაშინ დაერთვის, როცა -ი-ს დაბოლოებაც ახლავს: წა-უ-სხ-მ-ავ-ი-ს, მაგრამ: წა-უ-სხ-ამ (გ. ცოცანიძე). -ავ სუფიქსიანი წამოება მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა რეალურ ობიექტად მესამე პირი ივარაუდება. პირველი და მეორე პირის შემთხვევაში წარმოება მეშველზმნიანია (ისევე, როგორც სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში): უ-ლექსებ-ი-ვარ, უ-ლექსებ-ი-ხარ, მაგრამ: უ-ლექსებ-ავ; შა-უ-მბ-ი-ვარ, შა-უ-მბი-ხარ, მაგრამ: შა-უ-მბ-ავ || შა-უ-მბ-ავ-ი-ს (ლ. ბარამიძე, გ. ცოცანიძე).

-ავ სუფიქსიანის გვერდით მესამე პირის ფორმებშივე ზოგჯერ გვხვდება -ი სუფიქსიანი წარმოებაც: წა-უ-ყვან-ი-ა, და-უ-კიდ-ებ-ი-ა... ეს მოვლენა თავს იჩენს თვით -ავ თემისნიშნიან ზმნებშიც კი: გა-ს-წირ-ავ-ს „დატოვებს“→ გა-უ-წირ-ი-ა

„დაუტოვებია“ (და არა მოსალოდნელი და ხშირად ხმარებულიც გა-უ-წირ-ავ || გა-უ-წირ-ავ-ი-ს).

I შედეგობითის წარმოების წესი ზუსტ ანალოგიას პოულობს იმ სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებში, რომელთაც ა. შანიძე „სტატიკურ ვნებითებს“ უწოდებს: ღ-ბ-ავ-ი-ს → ღ-ბ-ავ; ღ-გდ-ავ-(ი-ს), შ-ჩრ-ავ-(ი-ს), ხ-ყრ-ავ-(ი-ს)... I და II პირის ფორმებში აქაც მეშველზმნიანი წარმოებაა: ვ-ღ-ბ-ი-ვარ, ღ-ბ-ი-ხარ. ამ თარგზე იწარმოებიან ჰ-გავ-(-ი-ს), ხ-ყავ-ი-ს, ა-ქვ-ი-ს, მი-ვალ-ი-ს ზმნებიც.

(#248)

გარდაუვალი ორვალენტიანი ზმნების პირველ შედეგობითში მერყეობაა: ერთმანეთის მონაცვლედაა ოდინდელი -ივ და შედარებით გვიანდელი -ი სუფიქსიანი წარმოება, ზოგჯერ ერთი წინადადების ფარგალშიც კი: „გადა-ს-ცილ-ებ-ი-ა კია ემა წითელთ ჴევსა-დ გამო-ზ-დგომ-ივ (=გამოსდგომია) ერთ ლეკი“ (ქართული დიალექტოლოგია).

თავისებურია კაუზატივის -ევ (ვა-ჭმ-ევ→ ვ-ა-ჭმ-ივ-ე || ვა-ჭმ-ი-ე, ა-ჭმ-ევ-ს → ა-ჭმ-ივ-ა || ა-ჭმ-ი-ა) და -ევ-ინ → -ეინ (მა-ა-კლ-ეინ-ა, და-ა-ყრ-ეინ-ა, წა-ა-სხმ-ეინ-ა) სუფიქსებიანი წარმოება.

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. დაცულია კითხვითი -ა: „მასში, არა თქვ-ა-ა შანშემა, ჩამეეშველოს ლაშქარსა?“ (ვაჟა-ფშაველა); „არ მო-გ-ხვდ-ა-უ-ა (← *მო-გ-ხვდ-ა-ო-ა „მოგხვდაო“), რჯულძაღლო?“ (ვაჟა-ფშაველა).

გამოიყენება -ოთ მორფემა, რომელიც დაეჭვების, ალბათობის ფუნქციას გამოხატავს: პური-ოთ გშიან „ალბათ პური გშია“. დაერთვის იგი „კი“, „არ“, „ვერ“ ნაწილაკ-მორფემოიდებსაც: კი-ოთ აღარა მერგება „ალბათ აღარაფერი მერგება“; კიდე-ოთ გნახავთ, სწორებო, არ-ოთ სად დავიკარგები „ალბათ კიდევ გნახავთ, ჩემო ტოლებო, ალბათ არსად დავიკარგები“.

„დიამც“ მორფემოიდი გამოხატავს ვარაუდს: დიამც ზოგზოგას ავშურდე „ზოგს იქნებ კიდეც შევძულდე“.

დამაზუსტებელი მორფემოიდია -ოდ: ერთი ჯორა რაიმა მყვანდა იხინჭასა და ისიც იქა-ოდ (=იქვე) გავყიდე (გ. ცოცანიძე).

„სამ“, რომელიც გარკვეულ კონტექსტში „სადმე“ და „როდესმე“ ფორმათა ეკვივალენტია, გამოიყენება ვარაუდის გამომხატველი ნაწილაკ-მორფემოიდის დანიშნულებით: მოხუცმა სამ (=როგორც ჩანს; ალბათ) იკითხა (ა. ჭინჭარაული). ზოგჯერ საერთოდ დაცლილი ჩანს რაიმე მნიშვნელობისაგან: „ბევრ სამ ავს საქმე ჩადიან“ (ვაჟა-ფშაველა).

მტკიცებით ნაწილაკ-მორფემოიდის დანიშნულებით იხმარება „კი“: განა კი დავიმალები (შდრ. ხევსურული: განა ქვე დავიმალები).

„რა-კი“ არის „განა“ კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდის სემანტიკური ეკვივალენტი: „რა-კი (=განა) არ უნდა ბეჩავსა, რა-კი (=განა) არ ერჯის გულია! (ვაჟა-ფშაველა).

-ღა ნაწილაკ-მორფემოიდი, გარდა თავისი ძირითადი ფუნქციისა, გამოიყენება დამაზუსტებელი დანიშნულებითაც: საღამო-ღა იყო „უკვე საღამო იყო“, „მკვდარი-ღა (=უკვე მკვდარი) ვეგონე“ (გ. ცოცანიძე).

-მე და -ვე ნაწილაკ-მორფემოიდები გამოიყენება -მა || -მ და -ვ ნაირსახეობებით: რაიმა || რაიმ, ვინამა || ვინამ, დღესავ...

(#249)

სხვათა სიტყვის ნაწილაკ-მორფემოიდი გვხვდება ენკლიტიკის დროს (კაციო-დ ქალივ), ბოლოკიდურ პოზიციაში კი ო → ვ; მაგრამ ფშაურში (ხევსურულისაგან განსხვავებით) ეს წესი მკაცრად დაცული არ არის. ამჯერად უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით: -ო და -ვ თავისუფლად მონაცვლეობს ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი: „ბიჭო, არ მოგშივდა-ო პური-ო და კი მამშივდა-ვ“ (გ. ცოცანიძე). ის პრინციპი კი გატარებულია, რომ -ო || -ვ შეიძლება დაერთოს წინადადების ყველა წევრს.

ე) სიტყვათწარმოება. აქ, იქ, სად ზმნისართებისაგან წარმომავლობის გამომხატველი ზედსართავები -ი-ურ სუფიქსით იწარმოება: აქ-ი-ურ-ი, იქ-ი-ურ-ი, სად-ი-ურ-ი.

მქონებლობის -იერ გვხვდება -იარ სახითაც: ნიჭ-იარ-ი...

ზმნის გამოსახატავად იხმარება -ობ-ა დაბოლოებით ნაწარმოები მასდარები — ჩვეულებრივ, ბოლოკიდური -ა ხმოვნის მოკვეცით: ნადირ-ობ (=სანადიროდ) გავიაროთ; ანწლ-ობ (-ანწლის საკრეფად) წასულიყვნენ (გ. ცოცანიძე).

მასდარის წარმოებისას ყურადღებას იქცევს უშუალოდ -ავ თემისნიშნიან მდგომარეობით ზმნებზე დაფუძნებული ფორმები: გა-ბრუნ-ვ-ა „გაბრუნება“, გა-გ-რ-ვ-ა „გაგორება“; შდრ. ყიდულ-ობ-ა „ყიდვა“ თხოილ-ობ-ა „თხოვნა“, პატიჟიალ-ობ-ა „პატიჟი“.

გავრცელებულია კნინობით-საალერსო ფორმები. ძირითადი მაწარმოებელია -ა (ფუძე შესაძლოა გართულებული იყოს ასევე კნინობითობის გამომხატველი -უნ, -უნ-ელ, -უნცელ, -იკ, -ილ მორფემებით): ცხენ-ა, ცხვარ-ა, ბალღ-ა, კარგ-უნელ-ა, კარგ-უნცელ-ა, ბატარ-იკ-ა, მამ-ილ-ა, დედ-ილ-ა, ძმა-ილ-ა... -ილ-ა სუფიქსიანი ფორმები იმავდროულად მსგავსების სემანტიკასაც გამოხატავენ: დედაილა „დედის მსგავსი“...

თავისებური კომპოზიტები: დედაშჩემი (← დედასჩემი), მამაშჩემი (← მამასჩემი), ნათლიაშჩემი (← ნათლიასჩემი)... ღირსსაცნობია რედუპლიკაციის სპეციფიკური შემთხვევები: ცო-ცოტა, დი-დიდები, ბატა-ტარანი, ბევრ-ბევრა (გ. ცოცანიძე).

(#250)

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

სპეციფიკური სინტაქსური მოვლენებით ფშაური მდიდარი არ არის. უპირატესად საერთო-ქართული ტენდენცია მძლავრობს. დავასახლებთ ძირითად თავისებურებებს (რომლებიც სხვა დიალექტებშიც პოულობენ მეტ-ნაკლებად ანალოგიას).

ა) მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმება ასეთი პრინციპით ხდება: მიცემითსა და ნათესაობითში შეთანხმება, ჩვეულებრივ, სრულია (მაღალ-ს სახლ-ს, მაღლ-ის სახლ-ის), მოქმედებითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (მაღლ-ის სახლ-ით); სახელობითში, მოთხრობითსა და ვითარებითში მსაზღვრელმა შესაძლოა ბრუნვის ნიშანი მოიკვეცოს (მაღალ სახლ-ი, მაღალ სახლ-მა, მაღალ სახლ-ად). ანალოგიური ვითარებაა თანდებულიან საზღვრულთანაც (მაღალ-ს სახლ-ში || სახლ-ჩი || სახ-ში).

რიცხვში შეთანხმება ჩვეულებრივი მოვლენაა -ნ || -თ სუფიქსიან მრავლობითში, ხდება -ებ-იანი მრავლობითის შემთხვევაშიც (მაღლ-ებ სახლ--ებ-ი, მაღლ-ებ სახლ-ებ-მა, მაღლ-ებ-ს სახლ-ებ-ს, მაღლ-ებ-ის სახლ-ებ-ის...); (გ. ცოცანიძე).

ბ) სახელსა და ზმნას შორის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით რამდენიმე მოვლენაა ღირსსაცნობი.

მრავლობითობის -ებ სუფიქსით გაფორმებული სახელი ხშირად ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში: ჯარეგით მოდის ქისტები; მეორედ ყიოდა ქათმები. იმავდროულად გვაქვს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალხმა იცოდენ; მოდიან ურკულო. სახელის კრებითობის სემანტიკა განაპირობებს ზმნაში მრავლობითი რიცხვის ფორმანტის პოვნიერებას.

მეტ-ნაკლებად დაცულია სახელობითში დასმული ობიექტის (როგორც გრამატიკულის, ასევე რეალურის — ინვერსიულ ზმნებთან) მრავლობითობის ზმნაში ასახვის პრინციპი:

ნამყო ძირითადი: ჴელ-ნი ვ-ხ-კრ-ენ; ჩა-ა-ცვ-ნ-ა ი ტანისამოს-ნ-ი;

II ხოლმეობითი: მეფის ერეკლეს დროშია შორს გა-ვ-რეკ-ნ-ოდ-ი ძროხა-ნ-ი, წავწოდი, წავიძინოდი, წა-ვ-ი-ხურ-ნ-ოდ-ი ჩოხა-ნ-ი.

II კავშირებითი: დედ-მამა-ნ არაით და-ღუპ-ნ-ა-ს-ო.

ინვერსიული წყობის შემთხვევაში — I შედეგობითი: კირცხილა-ნ (=რცხილები) და-გვ-ი-კაფ-ი-ან; უ-კრ-ი-ან ჴელ-ნ-ი ი კოჭლისადა.

(#251)

ანალოგიური ვითარებაა ინვერსიულ სტატიკურ ზმნათა აწმყოში: წყალ-ნ-ი მ-წყურ-ი-ან; არაყა-ნ-ი გ-ე-გულ-ებ-ი-ან; ალექსის უ-ყვარდ-ი-ან ეგ ლექს-ნ-ი (გ. ცოცანიძე).

რაც შეეხება მიცემითში დასმულ სახელს, რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ახალი ქართულისებური ვითარებაა — შეთანხმება ხდება: [თქვენ] შვილ სად გ-ყავ-ი-ს-თ-ო; ყმანო, გ-ე-წერ-ო-ს-თ კვარიო; გამო-გ-ი-ქროლ-ებ-ს-თ მიმინო, თავს მი-გ-ა-ნარცხ-ებ-ს-თ ქვათაო (გ. ცოცანიძე).

***

IV. უხვი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი დარგობრივი ლექსიკა. განსაკუთრებით ღირსსაცნობია ფრაზეოლოგიზმები (საბერებლად შადგომა, სახლისკე დაწუხება...), იდიომები, პოეტური გამოთქმები და ფიცილის ფორმულები (დედილამ }} დედილას, დედაშვილობამ }} დედაშვილობას... ნანათესაობითარი წოდებითის ფორმით: დედისავ, ძმისავ...).

***

2.4. თუშური. „თუშეთი მდებარეობა კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთის კალთაზე... აღმოსავლეთით თუშეთს დაღესტანი საზღვრავს, დასავლეთით — ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით — ჩეჩნეთ-ინგუშეთი და სამხრეთით — კახეთი. თუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით... ამ მთაგორიანი ქვეყნის მთელი ზედაპირი ხევხუვებითაა დახრამული, სადაც მოშხუიან მაღალი მწვერვალებიდან ჩამონაჟური ნაკადები და იწურებიან თუშეთის ორ მდინარეში: გომეწრისა და პირიქითის ალაზანში... ორივე ალაზანი იყურება სოფ. ცოკალთოსა და შენაქოს მახლობლად. შეერთებული ალაზანი უკვე სცილდება თუშეთის საზღვარს და დაღესტანში იჭრება... მთელი თუშეთი ამ ორ ალაზანს აუზშია მოქცეული და სამ ხეობად იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩაღმა“ (ს. მაკალათია). თუშეთის ცენტრად სოფელი ომალო ითვლება. თუშეთს ზოგჯერ მთათუშეთსაც უწოდებენ, რადგან თუშები კახეთშიც (ბარში) სახლობენ, კერძოდ, ახმეტისა და თელავის რაიონებში. მაგრამ „ბარის თუშეთი“ სინამდვილეში კახეთია და ამიტომაც ტერმინი „მთათთუშეთი“ არც ისტორიულადაა გამართლებული და ვერც თანამედროვე ვითარებას ასახავს.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, „თუშეთი არს... კავკასიის მთის ჩრდილოთ კერძოთა შინა და არს ორ ჴევად და მდებარეობს ჩდილო-(#252)დასავლეთის შუადამ

აღმოსავლეთს-სამჴრეთს შორის და უდის შორის მდინარე თჳსი და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს (=სულაკს). ხოლო პანკისის გადასწორ, კავკასს იქით, არს წოვა, წოვას ქუეით გომეწარი და მის ქუეით ჩაღმა... სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა... ხოლო რომელნი არიან მჴარეთა ქუსტთა და ღლიღუთა (იგულისხმებიან ჩეჩენ-ინგუშები), უწყიან ენანი უფროს მათნი“. შევნიშნავთ, რომ ინგუშები თავის თავს უწოდებენ „ღალღაჲ. არაა გამორიცხული, რომ „ღლიღვი“ ამასთან იყოს დაკავშირებული.

თუშეთის უძველესი მოსახლეობის შესახებ ყურადსაღები ცნობები მოიპოვება „ქართლის ცხოვრებაში“. ლეონტი მროველი ასე აღწერს ქართველ „მთიულთა“ მოქცევას ქრისტეს რჯულზე: „და წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე... მივიდედს და დადგეს წობენს და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახჳვლი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი. გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“.

ვახუშტი ბატონიშვილი ანალოგიურ ცნობას გვაწვდის: „მერმე ინება მეფემან მოქცევა მახჳლითა მთიულთა და აუწყა ნინოს და ეპისკოპოზსა: არამედ წმიდამან არა ნება-სცა: და ეტყოდა მეფესა: „მე წარვიდე მუნ ქადაგებად“. ხოლო მისრულმან ქადაგა სახარება ქრისტესი; არამედ უმრავლესთა არა უსმინეს და არა შეიწყნარეს; ამისთჳს მეფემან დაურთო ხარკსა ზედა ხარკი მთიულთა და ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახჳლი და შემუსრნა კერპნი მათნი; ამისთჳს ფხოელნი გარდაეშენნენ თუშეთს და ერწო-თიანელთა ნათელ-იღეს“.

ცნობა ფხოველთა (ფშავ-ხევსურთა) თუშეთში (ისტორიულ საბუთებში გვხვდება ასეც: თოშეთი) მიგრაციის შესახებ სარწმუნო ჩანს. ამას, გარდა ზოგი ეთნოგრაფიული მონაცემისა, ენობრივი შეხვედრებიც უჭერს მხარს. საცნაურია ამ თვალსაზრისით სეხნია ტოპონიმების არსებობაც ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში: ორწყალი, ბოჭორმა, ხახაბო, გომეწარი... (გ. კურდღელაიძე). მიგრირებულ მოსახლეობას, ჩვეულებრივ, თან მიაქვს ხოლმე თავისი ძველი ადგილსამყოფელის სახელი. ანალოგია თავს იჩენს გვარ-სახელებშიც.

თუ ასეა, ზედმიწევნით შეგვიძლია განვსაზღვროთ ის პერიოდი, როცა ისტორიულად თუშური კილო იწყებს ჩამოყალიბებას. კერძოდ, (#253) ესაა წმიდა ნინოს მოღვაწეობის ხანა, ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის 30-40-იანი წლები.

თუშებს ისტორიულად და ტერიტორიულად მჭიდრო კონტაქტი აქვთ ბაცბებთან (წოვა-თუშებთან), რომლებიც მთის კავკასიური მოდგმის ხალხია.

ბაცბურს საგრძნობი კვალი დაუმჩნევია თუშური კილოსათვის, რაც ვლინდება როგორც თუშურის ფონეტიკასა და გრამატიკულ მოვლენებში, ასევე ლექსიკაში. ბაცბები ზემო ალვანში (კახეთში) სახლობენ, მათი უმეტესობა ზაფხულს ტბათანაში ატარებს (თ. უთურგაიძე). „ყველა ბაცბი ორენოვანია — ფლობს ბაცბურ და ქართულ ენებს“ (ი. დეშერიევი), გვარები ბაცბებს ქართული აქვთ (არნ. ჩიქობავა), სარწმუნოებით ქრისტიანებია (თ. უთურგაიძე).

***

I. ფონეტიკა

თუშურს მრავლად აქვს თავისებურებანი, მაგრამ სხვა ქართულ დიალექტთაგან მისი ძირითადი გამომრჩევი მაინც ის ფონეტიკური მოვლენებია, რომლებიც ან მხოლოდ ამ კილოში იპოვება, ანდა მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. კერძოდ, ესაა: ა) ძლიერი შემართვა-დამართვის ხმოვნები; ბ) პოზიციურად მიღებული გრძელი ხმოვნები; გ) ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა და მისი იოტაციის ტენდენცია; დ) მოკლე ხმოვნები.

ძლიერი (მკვეთრი) შემართისა და დამართვის შესაძლოა იყოს ხუთივე ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ):

ა) სიტყვის ბოლოკიდურა (პაუზისწინა) პოზიციაში: ფერაy „მსგავსად“, ჰაგრეy “აგრე, ჰო“, კაციy? „კაცი?“ (ჩაკითხვის ჩემთხვევაში)...

ბ) სიტყვის თავკიდურა (პაუზის მომდევნო) პოზიციაში: yეამბû „ეამბო“ , yუამბû „უამბო“, yიუკადრის „იუკადრისა“...

გ) პოზიციურად მიღებულ გრძელ ხმოვნებთან თავკიდურა პოზიციაში (კერძოდ, ზმნისწინისა და ზმნის ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრისას): გāyკეთ „გააკეთა“,გēyკეთ „გაეკეთებინა“,გūyკეთ „გაუკეთა“,გīyკეთ „გაიკეთა“... ივარაუდება: *გაyაკეთ → გāyკეთ .

დ) ინტერვოკალურ (ხმოვანთშორის) პოზიციაში სიტყვის ბოლოს: ქალაyĭ „ქალი“, ფერაyĭ „მსგავსი“, სამუშაyელĭ „სამუშაო“... სახელობითიდან მკვეთრი დამართვა სახელებს გადაჰყვება სხვა ბრუნვებშიც, სადაც ინტერვოკალური პოზიცია აღარ არის: ქალაyĭ, ქალაyმ, ქალაyს...

ე) ბაცბურიდან ნასესხებ სიტყვებში (ნასესხებია თავისივე წარმოთქმით): მაyოĭ (ქალის სახელია), დაyოĭ (მამაკაცის სახელია)...

(#254)

ვ) ექსპრესიულ გამოთქმებში — ძირითადად დადასტურებით ან უარყოფით ნაწილაკ-მორფემოიდებსა (ჰოy “ჰო“, არაy „არა“) და შორისდებულებში (yაჰ „აჰ“), რაც

არსებითად არც სალიტერატურო ენისა თუ სხვა დიალექტებისათვის არის უცხო (თ. უთურგაიძე).

ძლიერი (მკვეთრი) დამართვის ხმოვანზე დაბოლოებული სახელები არ იკვეცება: დროშაyĭ „დროშა“ → დროშაyის „დროშის“, დროშა yით „დროშით“, დროშა yებĭ „დროშები“. გამონაკლისი: დედა, მამა, ძმა ფორმებს ძლიერი დამართვა არა აქვს და იკვეცება კიდეც: დედის, მამის; დედით; დედები...

ძლიერი შემართვა-დამართვის ხმოვნები ზოგჯერ მნიშვნელობათგანმასხვავებელი ფუნქციითაა აღჭურვილი: რა „რამე“ — რაy „რა?“ (თ. უთურგაიძე).

გრძელი ხმოვნები გვხვდება:

ა) ზმნის თავკიდურა პოზიციაში ზმნისწინისეული ხმოვნისა და ხმოვანი პრეფიქსის შერწყმის შედეგად (ყველა შემთხვევაში თანაპოვნიერია მკვეთრი დამართვა): გāyკეთებს „გააკეთებს“, გūyკეთებს „გაუკეთებს“, გīyკეთებს „გაიკეთებს“... თუ ზმნა ფუძისეული ხმოვნით იწყება, ხმოვნების შერწყმა არ ხდება: yეამბû „ეამბო“, yეომ „ეომა“, yეამბû „უამბო“... ამ წესს მოსდევს მეyეც „მიეცი“, ზედმიწევნით: „მოეცი“ ზმნაც, სადაც მეორე ე ფუძისეულადაა გააზრებული. გრძელ ხმოვნად არ შეირწყმის აგრეთვე მი-ზმნისწინისეული ი: მი-ა-ყენ „მიაყენა“, მი-ე-პარ „მიეპარა“, მი-ი-კერ „მიიკერა“, მი-უ-დი-ს „მიდის მისი“ (თ. უთურგაიძე). ამის საპირისპიროდ, მო- ზმნის ხმოვან პრეფიქსთან შერწყმით ყოველთვის იძლევა გრძელ ხმოვანს: „მო-ი-ყვან-ა → მīyვან. შევნიშნავთ, რომ მი-ზმნისწინი თუშურში იშვიათი ხმარებისაა, მისი გამოყენება სალიტერატურო ენის გავლენას მიეწერება (თ. უთურგაიძე); ჩვეულებრივ, მას ცვლის წა-ზმნისწინი (წა-უ-ტან-ს → წūyტანს „მიუტანს“. გარდა ამისა, გრძელ ხმოვნად შერწყმის შემთხვევაში იგი აირეოდა მო-ზმნისწინთან. ყოველივე ამან, ჩანს, განაპირობა მი- ზმნისწინის განსხვავებული მოქცევა;

გრძელი ხმოვნების წარმოქმნის თვალსაზრისით არსებითად იგივე ვითარებაა, როცა ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და ზედსართავ სახელებს წინ დაერთვის მიმათითებელი აი → ა ნაწილაკ-მორფემოიდი: აი აგრე → yāგრ, აი ეხლა → yეyხლ, აი ის → yīyსĭ, აი იმდენი → yī yმთენĭ;

ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში, სადაც ორი შესაძლებლობაა: ერთ შემთხვევაში ხდება ორი ხმოვნის შერწყმა (ფერა-ად → ფერāyდ „მსგავსად“); მეორე შემთხვევაში გრძელი ხმოვანი საკომპენსაციო საშუალებაა: ბოლოკიდურ პოზიციაში სხვათა სიტყვის -ო კარგავს (#255) მარცვლოვანებას (ო →ვ), რის საკომპენსაციოდ გრძელდება წინამავალი ხმოვანი (თქვ-ა-ა-ო? →თქვ-ა-ā-ვ?).

ბოლოკიდურა პოზიციაში, როგორც წესი, გრძელ ხმოვნად შეირწყმის ორი იდენტური ხმოვანი.

თავკიდურა პოზიციაში ორი შესაძლებლობაა:

ა) გრძელ ხმოვნად შეირწყმის ორი იდენტური ხმოვანი: გა-ა-ჩენ-დ-ა →გāy-ჩენ-დ, შე-ე-ჭამ-ა → შē yჭამ;

ბ) ორი იდენტური ხმოვანი მიიღება ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე, რის შემდეგ ხდება მათი შერწყმა გრძელ ხმოვნად: გა-ე-შვ-ა → გე-ე-შვ-ა → გē y-შვ, გა-ი-გ-ეს → გე-ი-გ-ეს → გი-ი-გ-ეს → გī y-გ-ეს, გა-უ-გ-ეს → გუ-უ-გ-ეს → გū y-გ-ეს... ანალოგიური ვითარებაა რთულ ზმნისწინებშც: გამო-ე-კითხ-ა → გამე-ე-კითხ-ა → გამē y-კითხ... (რთულ ზმნისწინში ცვლილებას განიცდის მხოლოდ მო-ელემენტი).

ფშვინიერი შემართვა თავს იჩენს ზოგიერთ ზმნისართსა და ზედსართავში, დამახასიათებელია ზოგი ზმნისართისთვისაც: ჰაგრეy „აგრე“, ჰაკი „აკი“... ფშვინვიერი შემართვა ხშირად იოტაციას განიცდის: ჰაგრე → ჲაგრ „აგრე“, ჰეგĭ → ჲეგĭ „ეგ“, ჰასთაyĭ → ჲასთა yჲ „ასეთი“ . წარმოიქმნება აღმავალი დიფთონგი.

სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის ჰ- პრეფიქსი ჲ-დ არასდროს იქცევა (თ. უთურგაიძე).

ვიწროვდება ბოლოკიდური ხმოვანი. დავიწროების შედეგად მიიღება მოკლე ხმოვანი. ჩვეულებრივ, ამ სახითაა წარმოდგენილი ĭ, რომელიც: ა) სახელობითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (აკავანĭ „აკვანი“, ცვრივĭ „ქარაფშუტა“ ან ძლიერი შემართვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ჭალაyĭ „ჭალა“, უდერაyĭ „ბევრი“); ბ) ზმნის ფორმათა მაწარმოებელი სუფიქსია (ვხკლევდĭ „ვკლავდი“); გ) უფუნქციო დანართია თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ფორმებთან (მემრĭ „მერე“, მაინცĭ „მაინც“, თურĭ „თურმე“, ჩავიდევĭ „ჩავიდევი“).

ხმოვნის დავიწროვების შედეგად შესაძლოა: ა) ხმოვანი გადავიდეს თანხმოვანში (წოდებითის -ო → -û: ბიჭû „ბიჭო“; მესამე სუბიექტური პირის ნიშანი: დīწყû „დაიწყო“; II კავშირებითის ნიშანი: გīyარû „გაიარო“, სხვათა სიტყვის მორფემოიდი: რად იარებივ ბრიყვადავ „რად იარებიო ბრიყვადო“); პარალელურად დასაშვებია მოკლე მოვნის პოვნიერებაც (ბიჭბ, ქალბ); ბ) ხმოვანი დაიკარგოს (სახელობითის ნიშანი: ქალ „ქალი“; მოთხრობითის ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი: ქალმ „ქალმა“; მესამე სუბიექტური პირის ნიშანი: მēyკლ „მოეკლა“; კავშირებითის ნიშანი: მოვკლ „მოვკლა“; ნამყო ძირითადის (#256) ნიშანი: ავიღ „ავიღე“; ნაწილაკ-მორფემოიდის ხმოვნითი ელემენტი: ყველაyნივ „ყველანივე“ yēyსრ „აი ეგრე“). ენკლიტიკის დროს დაკარგული ხმოვანი აღდგება: ქალი-დ კაც „ქალი და კაცი“; თუ ხმოვანი დაკარგული არ არის, ენკლიტიკისას თანხმოვანთგამყარად ჩნდება ხმოვანი: სამ დღეს იომ-ეს-ა-დ ჯოცეს ერთმანერთĭ“ (ქართული დიალექტოლოგია).

ჲ გვაქვს ორ შემთხვევაში: ა) სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: ძმაჲ, დაჲ, წყაროჲ, დალიშნაჲ „დანიშვნა“; ბ) ფშვინიერი შემართვის იოტაციის დროს (იხ. ზემოთ).

ჴ დაცულია იქ, სადაც ძველ ქართულშივე ივარაუდებოდა: ჴელ̆ი, ჴევ̆ი, ჴერჴ̆ი, დაჴლაჲ... თუშური ინოვაცია ჩანს ჴ-ს გამოყენება ჴვეყანაჲ „ქვეყანა“, მაჴათი „მახათი“ და მისთანა ფორმებში (თ. უთურგაიძე).

მესამე პირის ფორმებში აწმყო დროის მეშველი ზმნა იკარგვის, საკომპენსაციოდ წინამავალ ხმოვანს ეცემა მახვილი: კაცი არის → კაცí (შდრ.: კაც̆ი არსებითი სახელია, კაცí — შედგენილი შემასმენელი; თ. უთურგაიძე).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი — პრინციპი გარდაქმნებისა იგივეა, რაც ხევსურულში (იხ. ზემოთ): ჰ- ჲ→ ხ- (ხპარავს „პარავს“, ხყავ „ჰყავს“); ჰ- → ღ- (ღბანს „ბანს“, ღმალავს „მალავს“); ს- → ზ- (ზდებს „დებს“, ზძახავს „ძაფს გრეხს“)...

***

II. მორფოლოგია

ა) სახელთა ბრუნება. უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილის გარემოების ფუნქციით: დიკლოს (=დიკლოში) ატირდეს დედანი“.

უთანდებულო მოქმედებითით გამოიხატება გამოსვლითობა: „მთით (=მთიდან) ლეკის მონადირემა ლუხუმს მოჰკიდა თვალია“; „ომალოთ“ (=ომალოდან).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე -ა სუფიქსის დართვით ხდება მისი გასუბსტანტივება: მთ-ით-ა „მთაში მყოფი“, შინ-ით-ა „შინ მყოფი“, აბანო-თ მომდინარაyმ ბალკუნ-ით-ა-მ გადახედა „აბანოდან მომავალმა აივანზე (ბალკონზე) მყოფმა გადახედა“. ამ ტიპის ფორმები ჩვეულებრივი წესით იბრუნვის: მთითაჲ, მთითამ, მთითას, მთითის...

(#257)

მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე მახვილიანი – í სუფიქსის დართვა შედგენილი შემასმენლის მნიშვნელობას ანჭებს მას: yēyს კაც ომალოთí „აი ეს კაცი ომალოდანაა“ (-ი ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნის მავრცობი ხმოვანია, რომლის მომდევნოდ დაკარგულია მეშველზმნისეული -ა: ომალოთია → ომალოთí; თ. უთურგაიძე).

სპეციფიკური თუშური მოვლენა ჩანს აგრეთვე: მრავლობითი რიცხვის -ებ ნიშანს შესაძლოა დაერთოს ასევე მრავლობითობის -თ(ა) — გამოიყენება მრავლობითი რიცხვის მოთხრობითი ბრუნვის დანიშნულებით: კაც-ებ-თ(ა) „კაცებმა“ (თ. უთურგაიძე). ანალოგიური ფორმანტი გარდამავალი პერიოდის ქართულშიც

გვქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით იგი გამოხატავდა იმავე მნიშვნელობებს, რასაც დამოუკიდებლივ -თა: კაც-ებ-თა = კაც-თა...

მავრცობ ხმოვნად გვხვდება -ა და -ი: „ფოთოლ ვარ ბუერაy-ის-ა, საქანებელი ქარ-ის-ĭ (=ქარ-ის-ა-ი)“. -ი ორი ნაირსახეობით გვხვდება იმის მიხედვით, წინ ხმოვანი უძღვის თუ თანხმოვანი: ძმ-ის-ა-ჲ — ძმ-ის-ĭ (თ. უთურგაიძე). არსებითად -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია. იგი შეიძლება დაერთოს მრავლობითობის -თ სუფიქსსაც: ქალ-თ-ი „ქალებისი“.

-ში, -ზე, -თან, -გან თანდებულები შეიძლება გართულდეს მოქმედებითი ბრუნვის -ით ნიშნით (|| -ივ) — დაკონკრეტებულია გამოსვლითობის ფუნქცია: სახლ-ში-ით „სახლში და იქიდან“, სახლ-ზე-ით „სახლზე და იქიდან“... თავის მხრივ, ამგვარად ნაწარმოებ ფორმას დასაშვებია დაერთოს მასუბსტანტივებელი -ა: წყარო-ს-თან-ით „წყაროსთან და იქიდან“ → წყაროსთანით-ა „წყაროსთან მყოფი“ (თ. უთურგაიძე).

-თან სუფიქსის საკუთრივ თანდებულის ფუნქციით გამოყენებისას მის წინ შენარჩუნებულია მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი: ტბა-ს-თან, სიტყვათწარმოების დროს -ს აღარა გვაქვს (იმავდროულად ახლავს მასუბსტანტივებელი -ა): ტბა-თან-ა ადგილის სახელია. ივარაუდება, რომ ამ რიგის წარმოება ბაცბურის კალკს წარმოადგენს (ა. შანიძე, თ. უთურგაიძე). ანალოგიური მოვლენა ფშაურსა და ხევსურულშიც იჩენს თავს.

თანდებული -კენ წარმოდგენილია როგორც -კე || -კ: თუშეთ-ის-ა-კ „თუშეთისაკენ“. მასაც შეიძლება დაერთოს მოქმედებითის -ით: სი-ის-ა-კ-ით-ა „საიდან“.

-თვის თანდებულიანი ფორმის ეკვივალენტად გამოიყენება ნანათესაობითარი ვითარებითი როგორც მხოლოობით, ასევე -თ-იან მრავლობით რიცხვში: თუშ-ის-ად „თუშისათვის“, თუშ-თ-ად „თუშებისათვის“.

(#258)

ზოგი ზმნისართი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით: გუშინა-ს „გუშინ“, წუხრინა-ს „წუხელ“... დრო-ჟამის აღმნიშვნელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოხატავს დროის გარემოებას: ზაფხულ-ის „ზაფხულში“, ზამთრ-ის „ზამთარში“.

ვითარებითი გარემოების დანიშნულებით პარალელურად გვხვდება -აy || -აyდ: უდმალაy || უდმალāyდ „ჩუმად“

ზოგი ზმნისართი იბრუნვის: ზეზერაy-ს „ზემოთ“, ზეზერაy-ის „ზემოთკენ“, ზეზერაy-ით „ზემოდან“, ზეზერāy-დ „ზემოთ“ (თ. უთურგაიძე).

ბ) ზმნა. აწმყოში მხოლოობითი რიცხვის მესამე პირში ვნებითის ფორმები ორგვარადაა წარმოდგენილი: -ი-ს დაბოლოებით (გა-კეთ-დ-ებ-ი-ს) ან დაბოლოების სრული მოკვეცით (გა-კეთ-დ-ებ).

-ავ და -ამ თემის ნიშნები აწმყოში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში იკუმშება: გა-ს-წურ-ვ-ენ, და-ზ-დგ-მ-ენ.

ნამყო უსრულში -ავ თემის ნიშანი გახმოვანებას იცვლის: ვ-ხ-კლ-ევ-დ-ĭ „ვკლავდი“, ხ-კლ-ევ-დ-ĭ „კლავდი“, ხ-კლ-ევ-დ-(ა) „კლავდა“.

„-ამ თემის ნიშანი თუშურში ცვლილებას არ განიცდის“ (თ. უთურგაიძე).

ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანია -ეს (წĭyვანდ-ეს „წაიყვანდნენ“, ჩāyწვენდ-ეს „ჩააწვენდნენ“).

იგივე ფორმანტია გამოყენებული ნამყო ძირითადშიც (როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებთან): „დაბრუნდ-ეს (= დაბრუნდნენ) ქაჯები-დ წავიდნ-ეს (=წავიდნენ)“; „ჴოც-ეს ერთმანეთĭ“.

ნამყო უსრულში I და II პირის ფორმებში -ი ბოლოსართის ნაცვლად ზოგჯერ წარმოდგენილია -ე: ვ-ა-პირ-ებ-დ-ე „ვაპირებდი“, დგვებ-ოდ-ე „ვდგებოდი“... ა-პირ-ებ-დ-ე „აპირებდი“, ზ-დგ-ებ-ოდ-ე „დგებოდი“ (ა. შანიძე). ძველ ქართულში ასეთი ვითარება იყო მხოლოდ -ოდ სუფიქსიან ზმნებთან (ვტიროდე „ვტიროდი“, სტიროდე „ტიროდი“). თუშურში პოვნიერი ფორმები ამ მხრივ თავისებურია. ამჟამად -ი სუფიქსიანი ფორმები სჭარბობენ -ე სუფიქსიანებს, „რაც სალიტერატურო ქართულის გავლენას უნდა მიეწეროს“ (თ. უთურგაიძე).

დაცულია ხოლმეობითის ძველი ქართულისებური წარმოება იმ სხვაობით, რომ I და II პირში ფუძე გართულებულია -იდ სუფიქსით: ვ-ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი, ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი, ა-კეთ-ებ-დ-ი-ს (I ხოლმეობითი); ვ-ა-კეთ-იდ-ი, ა-კეთ-იდ-ი, ა-კეთ-ი-ს (II ხოლმეობითი)... ჩვეულებრივ, -იდ-ი დაცულია მრავლობითი რიცხვის ფორმებში (ვ-ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი-თ...) ან ენკლიტიკის შემთხვევაში (ვ-ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი-ვ „ვაკეთებდი (#259) ხოლმეო“...). სხვა დროს ერთმანეთს ენაცვლება -იდ-ĭ და ხმოვანმოკვეცილი -იდ: ვ-ა-კეთ-იდ-ĭ || ვ-ა-კეთ-იდ (გ. ცოცანიძე).

ხოლმეობითის მესამე პირის ფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნამყო უსრულისა და ნამყო ძირითადის დანიშნულებით (იხმარება მათ გვერდით ან შეენაცვლება მათ).

ბრძანებითი ორგვარია: კატეგორიული (იყენებს ნამყო ძირითადის მეორე პირის ფორმას: გāyკეთ „გააკეთე“) და თხოვნით-წაქეზებითი, რომელიც იყენებს ან ხოლმეობითის II პირის ფორმას (გāyკეთიდ „გთხოვ გააკეთე“), ან -ღა → -ღ მორფემოიდ-დართულ ნამყო ძირითადს (გāyკეთეღ „გთხოვ გააკეთე“): -ღ შესაძლოა დაერთოს ხოლმეობითის ფორმასაც (გāyკეთედიღ „გთხოვ გააკეთე“). უკუთქმითი

ბრძანებითის დროს -ღა დაერთვის უარყოფის მორფემოიდებს (ნუღგāyკეთებ „ნუ გააკეთებ“, არღ მოხვიდ „არ მოხვიდე“; თ. უთურგაიძე).

-მცა ფორმანტის დართვისას II ხოლმეობითი ნატვრითობას გამოხატავს (-მცა მიერთვის ზმნასთან შეხამებულ სახელს): „თუშეთამც წავიდიდივ“ (გ. ცოცანიძე).

გარდამავალი ზმნის I შედეგობითი ორგვარად იწარმოება: -ავ-(ი-ს) დაბოლოებით (უ-ფიქრ-ავ-ი-ს →უ-ფიქრ-ავ) და -ი სუფიქსით (უ-ფიქრ-ი-ა→ უ-ფიქრ-ი).

ანალოგიური ვითარებაა „სტატიკურ ვნებითებში“: ს-ტან-ავ-(ი-ს) || ს-ტან-ი-(ა)... ამ წესს მიჰყვება ჰ-ყვავ-ი-ს, ა-ქვ-ი-ს ზმნებიც.

კაუზატივს აწარმოებს -ევ (ა-თქმ-ევ-ს „ათქმევინებს“ — ა-თქმ-ი-ა „ათქმევინა“) და -ინ → -ი (გāyკეთ=ებ-ი-ებ-ს „გააკეთებინებს“ — გāy-კეთ-ებ-ი-(ა) „გააკეთებინა“).

გ) ნაწილაკ-მორფემოიდები. გამოიყენება -წა → -წ მტკიცებითი ნაწილაკ-მორფემოიდი: ცხენო, გატყობა-წ გეშინის „ცხენო, აკი გატყობ, გეშინია“.

-აy (მკვეთრი დამართვით) ოდნაობას გამოხატავს: სამოცი-აy წასრულ „სამოციღა წასულა“. იგივე მორფემოიდი აღნიშნავს მრავლისაგან ერთის გამოყოფას: შენ-აy რამდენ გექნებოდ „მარტო შენ რამდენი გექნებოდა“.

-ოდ არსებით სახელზე დართვისას გამოიყენება -ც(ა) გამაძლიერებელი მორფემოიდის ფუნქციით (კაცი-ოდ ვერ გāyკეთებდ „კაციც ვერ გააკეთებდა“), ზედსართავ სახელზე დართვისას გამოხატავს აღმატებით ხარისხს (შავი-ოდ „უშავესი“, ცუტუნაyი-ოდ „უპატარავესი“). გვხვდება -ოდე სახითაც (როცა მის მომდევნოდ ენკლიტიკური ელემენტი ივარაუდება): კარგაyი-ოდე-ა კარგაyი-ოდე „ყველაზე კარგია“. მიღებული ჩანს „ოდენ“ ფორმისაგან (თ. უთურგაიძე, პ. ხუბუტია).

(#260)

კითხვითობას გამოხატავს -ა მორფემოიდი: გāyკეთება? „გააკეთებ?“ თუ ენკლიტიკური ელემენტი არ მოსდევს, ჩვეულებრივ, იკარგვის: წīyღო? „წაიღო?“ (შდრ.: წīyღû „წაიღო“. კითხვითობის დროს -ო-ს შენარჩუნება მიუთითებს, რომ მის მომდევნოდ დაკარგული ხმოვანი ივარაუდება).

ნატვრითობის გამოსახატავად გამოიყენება -მე მორფემოიდი: მო-ვიდ-ი-ს-ა-მე-ვ „ნეტავ მოვიდესო!“ ენკლიტიკის გარეშე -მე → -მ: გāy-კეთ-ი-ს-ა-მ „ნეტავ გააკეთოს!“ იხმარება კითხვით ფორმებშიც: გāy-კეთ-ებ-ს-ა-მე-ა → გāy-კეთ-ებ-ს-ა-მე? „ნეტავ გააკეთებს?“ -მე შესაძლოა მიერთოს წინადადების სხვა წევრებსაც, მაგრამ სემანტიკურად ყოველთვის ზმნას უკავშირდება (თ. უთურგაიძე). შდრ. ზემოთ: -მცა.

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება ორ ნაირსახეობას განარჩევს:

ა) შეთანხმება სრული სახითაა: ბასრ-ĭ ჴმალ-ĭ, ბასრ-მ(ა) ჴმალ-მ(ა), ბასრ-ს ჴმალ-ს, ბასრ-ის ჴმლ-ის, ბასრ-ით ჴმლ-ით, ბასრ-ად ჴმლ-ად; ანალოგიურად: კარგაy-ĭ ჴმალ-ĭ, კარგაy-მ(ა) ჴმალ-მ(ა), კარგაy-ს ჴმალ-ს, კარგაy-ის ჴმლ-ის...

ბ) მსაზღვრელი (როგორც თანხმოვანზე, ასევე ხმოვანზე ფუძედაბოლოებული) უცვლელია (ფუძის სახითაა წარმოდგენილი): ბასრ ჴმალ-ĭ, მასრ ჴმალ-მ(ა), ბასრ ჴმალ-ს... კარგაy ჴმალ-ĭ, კარგაy ჴმალ-მ(ა)...

სუბსტანტიური მსაზღვრელი როგორც პოზტპოზიციის, ასევე პრეპოზიციის დროს დაირთავს -ა ან -ი მავრცობს: „ფოთოლ ვარ ბუერაy-ის-ა, საქანებელი ქარ-ის-ĭ“; ქალ-ის-ĭ ცოდო-ბრალია“... -ĭ არსებითად სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ოღონდ უკავია მავრცობის პოზიცია.

მრავლობითი რიცხვის სახელობითბრუნვიანი ობიექტი ზმნას რიცხვში ითანხმებს (ეს ეხება როგორც გრამატიკულ, ასევე რეალურ ობიექტს):

ნამყო ძირითადი: უდერაy-ნ წĭy-ყვან-ნ-ეს ტყვედ დიაyც-ყმაწვილ-ნ-ĭ „ბევრნი წაიყვანეს ტყვედ ქალ-ვაჟნი“. შეთანხმება შესაძლოა გვქონდეს მაშინაც, როცა ობიექტი -ებ სუფიქსითაა გაფორმებული: ძროხ-ებ შე-ვ-რეკ-ენ-ĭ „ძროხები შევრეკე“ (თ. უთურგაიძე).

(#261)

II შედეგობითი: „დიდოებს ჩვიდმეტ სულ გარეკილ ტყვეებითა (=ტყვეებიდან) თერთმეტ-ნ გარევ (= ისევ, კვლავ) მēy-რეკ-ნ-ეს-ა-დ დანარჩენ ექვს-ნ-ĭ ვარამს (= დარდს, ჯავრს) დēy-ჴოც-ნ-ეს“ (ქართული დიალექტოლოგია).

გვაქვს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევებიც (სახელი მხოლოობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ სემანტიკურად მრავალს გულისხმობს): „ზოგ დēy-ჴოც-ნ-ეს-ა-დ ზოგ ტყვედ გēy-რეკ-ნ-ეს“ (ქართული დიალექტოლოგია).

***

IV. ლექსიკა.

ძირითადი თავისებურებაა ბაცბური ნასესხობანი და კალკები: გა-ჴერ-ებ-ა „გაშეშება“ (ბაცბური:ჴერ „ქვა“), ბაჴუჩაyĭ „დიდი“, სა-ქოკ-აy-ებ-ĭ „ოჩოფეხები“ (ბაცბური: ქოკ „ფეხი“), მოწĭ „ახალგაზრდა ფიჭვის ტკბილი წვენი“ და მისთ. (თ. უთურგაიძე).

***

2.5. მოხეური. მოხეური კილო გავრცელებულია საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კუთხეში — ხევში. ხევი მდებარეობს კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე თერგის აუზში. აღმოსავლეთით მას ხევსურეთი ესაზღვრება, სამხრეთით — მთიულეთი, რომელსაც ჯვრის უღელტეხილით (მოხეურად— ჯორთ ვაკით) უკავშირდება, ჩრდილოეთით — ჩრდილოეთ ოსეთი, დასავლეთით — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ხევში, გარდა მოხევეებისა, ბინადრობენ ხევსურები (სნოს ხეობაში — სოფელ ჯუთაში; ადრე ხევსურები სახლობდნენ აგრეთვე მიგუდასა და ართხმოში), ქისტები (სოფელ გველეთში), ოსები (თრუსოს ხეობაში, სოფელ კობში). „ხევის ტოპონიმიკა საყურადღებო წყაროდ გვესახება ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან მოხევეების ურთიერთობის გასაცნობად... საურთიერთო ზოლში ქართულ სახელწოდებებთან ერთად გვხვდება ჩრდილოკავკასიელ ხალხთა (ოსები, ნახები) ტოპონიმიკის კვალიც. აღნიშნული ვითარება ძირითადად შეინიშნება ჩრდილოეთის მხრიდან დარიალის ხეობაში, რომელიც საქართველოს უშუალოდ აკავშირებდა ოსურ-ნახურ სამყაროსთან და სამხრეთიდან ხევის სათავეებში, საიდანაც იწყება ოსებით დასახლებული თრუსოს ხეობა. თავის მხრივ, ქართული სახელწოდებებიც გვხვდება როგორც ოსებით დასახლებულ ხევის სათავეებში, ისე და(#262)რიალის ხეობაში საქართველოს საზღვრის იქით, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, საქართველოს ადრინდელი ზეგავლენით, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ტერიტორიაზე (ზემო ლარსი, ქვემო ლარსი, ჩიმი, ბალთა) ქართველი მთიელების (მოხევეები, მთიულები, გუდამაყრელები, ქსნელები) დასახლებით“ (ვ. ითონიშვილი).

ტერმინი „მოჯევე“ ძველთაგან გვხვდება: „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჯევეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ (იგულისხმება: ფხოველთა და დიდოთა) ზედა“ (ქართლის ცხოვრება).

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, „მთიულეთის ჩრდილოთ არს ჯევი. გარდავალს გზა ჯევს, ჯადის დასავლეთიდამ, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო; ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა; ზაფხულ არს ბალახიანი, ყუავილიანი. ამას უწოდებენ ყელს. ხოლო ჩდილოთკენ ერთვის ჯევის მდინარეს ჯევი და უწოდებენ შთასავალს. აქა არს წყარო სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და ჰყრია ბროლი მრავალი, მზგავსი გათლილისა, და სცვივა კლდესა. აქა იპოების ბროლი და სჭვირს წითლად და გასტეხო — არს შიგ წითელი ბროლი. არამედ მდინარესა ჯევისასა ეწოდების არაგჯვე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის-მდინარე ძუელადვე და აწ უწოდებენ თერგსა: გამოსდის ქურთაულსა, ზახისა და მაღრან-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასის მჯრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე. ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ჯევად. აღმოსავლით აქუს ჯევი, დასავლით — ზახა და მაღრან-დვალეთი, სამჯრით მთიულეთი, ჩდილოთ ქურთაული და მოზღუდვილ არს კავკასით, თჯნიერ ჯევიდამ. მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი. შთასავალს ქუეით მოდრკების არაგჯ და დის ჩდილოთ, ვიდრე ქისტ-

წყლამდე და მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარესა ამას შინა, თჳნიერ კალმახისა. და არს ჴეობა ესე მოზღუდვილი კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავკასთა, და მარადის ყინულით შეკუერცხილი. და განჰყოფს მთა ესე თაგაურს, ჩიმსა და ჴევსა. აღმოსავლით უძეს კუალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი; განჰყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და ჴევსა. სამჴრით აქუს კუალად კავკასი და გამჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და ჴევს“.

ხევზე გადის საქართველოს სამხედრო გზა, რითაც გაადვილებულია კავშირი საქართველოს ბართან. ამის გამო „მოხეურს ყველაზე უფრო ატყვია სხვა კილოებისა და სალიტერატურო ენის გავლენა“ (ა. შანიძე).

(#263)

I. ფონეტიკა.

დაცულია ჴ: ჴარი, ჴმალი, ჴოცს... თუმცა ძლიერ მერყეობასაც განიცდის. ახალი თაობის მეტყველებაში იგი თითქმის აღარ ისმის.

შედარებით მკვიდრია û-ს პოზიცია. ზოგჯერ გვევლინება მნიშვნელობათგანმასხვავებლადაც: სველი „დასველებული“ — სûელი „შრატი, წაქი“ (ი. ქავთარაძე).

შეინიშნება ხმოვნის ფშვინვიერი და იოტიზებული შემართვის კვალი: ჰეკალი || ჲეკალი „ეკალი“...

ჩაკითხვისა და კითხვით-ძახილის ინტონაციისას თავს იჩენს მახვილიანი ე’ ყ’: ძაუგს მიდიხარ? ძაუგსე’? (ი. ქავთარაძე).

ძლიერია ფუძის კუმშვის ტენდენცია: შკმები „სკამები“, კრები „კარები“, ნიკბის „ნიკაპის“, ბატვნები „ბატონები“...

დასტურდება დისიმილაციური გამჟღერების შემთხვევები: პატარა → ბატარა (გ. ახვლედიანი).

მოხეურის ერთ-ერთი თავისებურებაა კომპლექსთა ნაირსახოვანი ცვლილებები: შხ → ჩხ (შხამა→ ჩხამა, მაშხალა → მაჩხალა), ჩქ → შქ (გააჩქარე→ გააშქარე), სხ → ცხ (სხვა→ ცხო) და პირიქით: ცხ → სხ (ცხიმიანი→ სხიმიანი), სტ → შტ (ქისტი→ ქიშტი), სკ → შკ (სკამი→ შკამი)...

უხვი ნაირფეროვნებით ხასიათდება ლაბიალიზებულ კომპლექსთა ცვლილებანი.

ა) ûა || ვა → ო თითქმის უგამონაკლისოდაა გატარებული ყველა პოზიციაში: ვახტანგ → ოხთანგ, ძვალი → ძოლი, სიტყვა → სიტყო... ცვლილებას შესაძლოა წინ

უძღოდეს მეტათეზისი: მთვრალი → მთრვალი → მთროლი... ამ სახით მითებული ო იწვევს წინამავალი ხმოვნის ასიმილაციას: გაგვაგებინა → გაგოგებინა → გოგოგებინა; დაღვარე → დაღორე → დოღორე.

თავს იჩენს საპირისპირო პროცესიც: ო→ ვა: ოსი → ვასი, ორსული → ვარსული, გიორგი → გივარგი, ნიორი → ნივარი... (ა. შანიძე, ი. ქავთარაძე). ამგვარ ცვლილებას ზოგჯერ თან ახლავს მეტათეზისი: ლოყა → *ლვაყა → ლაყვა. შევნიშნავთ , ამ რიგის ფორმები არ უნდა აირიოს იმ ფორმებთან, სადაც დაცულია ამოსავალი ვითარება: მოვაყვალე „მოვაყოლე“.

ბ) ûე || ვე → ო ცვლილება ორი ნაირსახეობით ვხვდება:

ûე || ვე → ო: ჩვენ → ჩონ, გაშვება → გაშობა, გვეძახის → გოძახის, ქვეყანა → ხოყანა (თანამდევია ქ: ხ მონაცვლეობა)...

(#264)

ûე || ვე → ö: გვერდი → გör დი, ძველი → ძöლი, გვეხმარება → გöხმარება, თქვეს → თქöს, მშველელი → მშöლელი... პროცესს შესაძლოა წინ უძღოდეს მეტათეზისი: თექვსმეტი → *თვექსმეტი → თöქსმეტი...

ამგვარად ცვლილი ხმოვანი იწვევს წინამავალი ხმოვნის ასიმილაციას: დაგვეხმარა → დაგöხმარა → დöგöხმარა, შეგვეხვეწა → შöგöხöწა.

ო და ö ზოგჯერ მნიშვნელობებს განარჩევს: დოგოხმარა „დაგვახმარა“ — დöგöხმარა „დაგვეხმარა“.

შეინიშნება ö-ს დელაბილიზაციის ტენდენციაც: დაგვეძინა → დöგöოძინა → დöგეძინა || დოგეძინა... ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ დელაბილიზაცია ხდება მხოლოდ წინამავალი ხმოვნის ასიმილირების შემდეგ, რითაც თავიდან აუცილებელია სემანტიკური აღრევა: დöგეძინა || დოგეძინა „დაგვეძინა“ — დაგეძინა „დაგეძინა“... იმავდროულად უზმნისწინო ფორმებში დელაბიალიზაციის პროცესი შეკავებულია I და II პირის ფორმათა აღრევის თავიდან ასაცილებლად: გöძინა „გვეძინა“ — გეძინა „გეძინა“ (დელაბიალიზაცია გöძინა → გეძინა გამოიწვევდა II პირის ფორმასთან დამთხვევას).

გ) ûე || ვი → უ ასევე ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი:

ûე || ვი → უ: მშვიდობა → მშუდობა, აკვირდების → აკურდების... ცვლილებას შესაძლოა წინ უძღოდეს მეტათეზისი: ქვრივი → *ქრვივი → ქრუვი...

ûე || ვი → ü: გვითხრა → გüთხრა, შვიდი → შüდი, ფეტვი → ფეტü... ამ შემთხვევაშიც ცვლილებას წინ შესაძლოა უძღოდეს მეტათეზისი: ზემოხსენებული ქრუვი, მის პარალელურად: ქრüვი „ქვრივი“.

ამგვარად ცვლილი ხმოვანიც იწვევს წინამავალი ხმოვნის ასიმილაციას (ოღონდ უკვე მხოლოდ ნაწილობრივ ასიმილაციას): დაგვირჩა → დაგურჩა || დაგ̈ირჩა → დოგურჩა || დოგ̈ირჩა, შეგვიძლიან → შეგუძლიან || შეგ̈იძლიან → შოგუძლიან || შოგ̈იძლიან.

ხდება ü ხმოვნის დელაბიალიზაციაც: დოგ̈ირჩა → დოგირჩა. მოქმედებს იგივე წესი, რაც ö-ს შემთხვევაში აღინიშნა — დელაბიალიზაცია ხდება მხოლოდ წინამავალი ხმოვნის ასიმილირების შემდეგ: დოგირჩა „დაგვირჩა“, შდრ.: დაგირჩა „დაგირჩა“. ამის გამო უზმნისწინო ფორმებში დელაბიალიზაცია იზღუდება: გ̈ირჩება „გვირჩება“ — გირჩება „გირჩება“ (დელაბიალიზაცია გ̈ირჩება → გირჩება გამოიწვევდა II პირის ფორმასთან დამთხვევას).

დელაბიალიზაციის მიზეზი შესაძლოა იყოს დისიმილაცია. ამას გვაფიქრებინებს მოხეურშივე დადასტურებული სუფრა → სიფრო (#265) უფრო → იფრო შემთხვევები (დელაბიალიზაცია ხდება ბაგისმიერ ბგერებთან კონტაქტის შემთხვევაში).

მოხეურს ახასიათებს საპირისპირო, უ → ი̂ი || ვი, პროცესიც: დურბინდი → დვირბინდი. ამგვარ ცვლილებას ზოგჯერ თან სდევს მეტათეზისიც: ნუჟრი → * ნ̈ჟრი → ნი̂ჟრი → ნიჟვრი (ი. ქავთარაძე).

კომპლექსთა ცვლილებებთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს ზოგი მოვლენა.

ა) ზოგჯერ კომპლექსის ცვლის შედეგად მიღებული ხმოვანი არ იწვევს წინამავალი ხმოვნის ასიმილაციას: გადაცვივდეს → გადაც̈ვდეს.

გ) ი̂ე || ვე კომპლექსის მიერ წინამავალი ხმოვნის ასიმილაცია ორი ნაირსახეობისაა.

ერთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ი̂ე || ვე → ö, ეს უკანასკნელი კი იწვევს ასიმილაციას: დაგვეცა → დაგ̈ცა → დ̈ოგ̈ცა, დელაბიალიზაციით: დოგეცა. სხვათა შორის, მსგავსი ვითარებაა მაშინაც, როცა ოდენ გი̂ || გვ- პირისნიშნისეული ი̂ || ვ იწვევს ასიმილაციას: შა-გვ-ყრ-ი-ს → შო-გ-ყრ-ი-ს; შდრ.: შა-გ-ყრ-ი-ს (II პირის ფორმა).

მეორე შემთხვევაში ხდება წინამავალი ხმოვნის პალატალიზაცია (ამ დროს კომპლექსში უცვლელი რჩება): დაგვეცა → დეგვეცა. ამ რიგის ასიმილაცია გამოვლინებაა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დიალექტისათვის ნიშანდობლივი ტენდენციისა, რაც მოხეურშიც თანამიმდევრულადაა გატარებული: აესხა → ეესხა, აგესხა → ეგესხა, დაესხა → დეესხა... ასე რომ, მოხეური პარალელურ (საკუთრივ მოხეურსა და საერთო აღმოსავლურ ქართულ) ნაირსახეობებს გვიჩვენებს მხოლოდ

ûე || ვე ლაბიალური კომპლექსის შემთხვევაში: დაგვესხა → დöგöსხა || დöგესხა || დოგესხა და მის გვერდით: დეგვესხა.

გ) ო || ö და უ || ü მოხეურში მერყეობს: უმლაუტიანი ნაირსახეობანი უპირატესად ისმის უფროსი თაობის მეტყველებაში (ი. ქავთარაძე).

დ) უმლაუტიანი ხმოვნების მიღების წესი მოხეურში იდენტურია იმისა, რაც ინგილოურშია დადასტურებული, უმლაუტიანი ხმოვნის დელაბიალიზაციის პროცესი ანალოგიას პოულობს ფერეიდნულთან (ი. ქავთარაძე).

ე) უმლაუტიან ხმოვნებთან დაკავშირებული პროცესები ანალოგებს პოულობენ სვანურში; შდრ.: ტûეტ „ხელი“ — ტოტär „ხელები“, ქûინ „სული“ — ქუნär „სულები“, ანდა: ჩöმინ → ჩემინ „ქნა“, ფür → ფირû „ფური“ (ს. ჟღენტი). ამ რიგის ცვლილებები თავს იჩენს როგორც ერთი დიალექტის ფარგლებში, ასევე სხვადასხვა დიალექტის (#266) დონეზე: ბალსზემოური ტûეტ — ლაშხური ტოტ; ზემოსვანური, ლენტეხური ფûირ — ლაშხური ფურ (მ. ქალდანი).

ზოგჯერ შეინიშნება ბოლოკიდური პოზიციის ცვეთის შემთხვევები: მთიულეთისკენ → მთიულეთისკე, მამა-პაპათაგან → მამა-პაპათაგა, სახლისთვის → სახლისთû...

ლაბიალურ თანხმოვანს უნარი აქვს მოახდინოს ხმოვნის ასიმილაცია: პავლე → პოვლე, ამბავი → ამბოვი, თავპირი → თოვპირი, ჭაპანი → ჭოპანი (ი. ქავთარაძე).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანია: ჰ- → ხ- (ყრუ თანხმოვნების წინ: და-ხ-კაზ-მა, ხ-ყვების) → ღ- (სონორებისა და ბ, გ მჟღერი თანხმოვნების წინ: ღ-მართებს, ღ-ბრალობს); ს- → შ- (შიშინა ყრუ აფრიკატების წინ: შ-ჭამს, შა-შ-ჩივლა) → ჟ- (შიშინა მჟღერი აფრიკატის წინ: ჟ-ჯავრობს), ს- → ზ- (დ, ძ მჟღერების წინ: მი-ზ-დევ, და-ზ-ძახა).

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. სახელობითში ბრუნვის ნიშანი -ი დაერთვის როგორც თანხმოვანზე, ასევე -ა- ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს: გუთან-ი, დედაკაც-ი... ქალა-ი, გუდა-ი, რაი... სხვა ხმოვნებზე ფუძედაბოლოებული სახელები, როგორც წესი, -ი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ. გამონაკლისია უ-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელები, რომელთაც ბრუნვის ნიშნის წინ უვითარდებათ ვ: ბუვ-ი, რუვ-ი, ყრუვ-ი...

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილის გარემოების გამომხატველად: ძაუგ-ს წავიდა, აჩხოტ-ს დაუხვდეს (=დაუხვდნენ). ამ დანიშნულებით იგი იხმარება -

თა სუფიქსიან მრავლობითთანაც (ნანათესაობითარი მიცემითი): ცოლეურ-თა-ს დარჩებოდა; დაასახლეს დედის ძმა-თა-ს...

მიცემითის ფორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით: მზა-ს „მზად“, იოლა-ს „იოლად“, თეთრა-ს „თეთრად“, ტიტველა-ს „ტიტვლად“, როგორა-ს „როგორ, როგორად“...

მიცემითი ზოგჯერ ჭურვილობასაც გამოხატავს (გამოიყენება მოქმედებითი ბრუნვის დანიშნულებით): მამყვა სროლა-სროლა-ს („სროლა-სროლით“), კითხვა-კითხვა-ს („კითხვა-კითხვით“) მოვიდა კარკუჩას (ი. ქავთარაძე).

(#267)

მიცემითის -ს ნიშნით ფორმდება ზოგი ზმნისართი: წეღა || წეღა-ს... იგივე ზმნისართები შესაძლოა ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც იქნეს წარმოდგენილი: წეღან-ის...

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები ვერ კვეცენ -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს და არც თითონ რედუცირდებიან: ქალა-ის, ქალა-ით...

ნანათესაობითარი მიცემითის დანიშნულებით ზოგჯერ გამოიყენება ან ოდენ ნათესაობითი (წასვლ-ის თქო „წასვლისას თქვა“), ან ოდენ მიცემითი (ამეღამ თქუენსას უნდა ვიყოთ „ამეღამ თქვენსას უნდა ვიყოთ“; ი. ქავთარაძე).

დრო-ჟამის აღმნიშვნელი სიტყვების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოხატავს დროის გარემოებას (ზამთრ-ის „ზამთარში“, ზაფხულ-ის „ზაფხულში“, შუღამ-ის „შუღამეზე“).

უთანდებულო მოქმედებითს შეუძლია გადმოსცეს გამოსვლითობა (აბლატივი): გერგეტ-ით (=გერგეტიდან) იყო; შეშობ-ით (=შეშის საჭრელიდან) მოვდიოდი; ფრინველი მოვა ზეც-ით-ა-ო (=ზეციდანო). ფართოდაა გავრცელებული -ივ სუფიქსიანი წარმოება: ზამთრ-ივ „ზამთარში“, უნებლ-ივ „უნებურად“, მაგივრ-ივ „მაგივრად“... ხშირია ამავე ფორმანტის გამოყენების შემთხვევები -ობრ (რ-ნარევ ფუძეებში — -ობლ) სუფიქსიან ფორმებთან: წლობრ-ივ „წლობით“, ქურდობლ-ივ „ქურდულად“.

წოდებითში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან დამოწმებულია – û || -უ: ნინია-û || ნინია-უ, ქალა-û || ქალა-უ.

ნაწილაკ-მორფემოიდები შესაძლოა მიერთოს ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმას (და არა ფუძეს, როგორც ეს არის სხვა დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულში): რა-მა-მე „რამემ“, რა-მ-ღა-ც „რაღაცამ“, რა-ს-ცა-ღა „რაღაცას“, ვინ-ებ-ი-ღა-ც „ვიღაცეები“ (ი. ქავთარაძე).

ნანათესაობითარი ვითარებითი იხმარება -თვის თანდებულიან ფორმათა პარალელურად — ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში: არ შეეტყობინა ხალხის-თჳი და ცხჳ-ის-ად „არ შეეტყობინებინა ხალხისთვის და სხვისთვის“ (ი. ქავთარაძე).

-ვით თანდებულიან წარმოებას ცვლის -ურ (რ- ნარევ ფუძეებთან: -ულ) სუფიქსიანი სახელის მიცემითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმა: ქარებულას || ქარებულად „ქარივით“, ჴარებულას || ჴარებულად „ხარივით“, ყველებურას || ყველებურად „ყველივით“ (ი. ქავთარაძე).

იშვიათად იპოვება -დამ თანდებული: ხადოდამ „ხადოდან“, გარედამ „გარედან“, საიდამ „საიდან“. ჩვეულებრივ, ამ ფუნქციით გამოიყენება უთანდებული მოქმედებითი (იხ. ზემოთ).

(#268)

-თან თანდებულიან სახელებს შეუძლია აწარმოოს ტოპონიმები: კარ-თან-ა, ესკალ-თან-ა...

ჩვეულებრივი მოვლენაა -ში || -შიგ (-ჩი || -ჩიგ), -ზე || -ზედ, -გან თანდებულიანი სახელების -ით ფორმანტით გაფორმება (გამოსვლითობის ფუნქციის დაკონკრეტების შემთხვევებში): ჯარ-ჩიგა-თ „ჯარში და იქიდან“, საჴნავ-ზედ-ით „სახნავზე და იქიდან“, თოფის-გნ-ით || თოფიზ-გნ-ით „თოფით, თოფისგან“ („თოფიზგნით დაშინებულები“). მავრცობ ხმოვნად გვხვდება -ა (უკვეცელ სახელებთანაც): ქობი აავსიან ერბო-თ-ა „ქვაბს აავსებდნენ ერბოთი“. პოეტურ თხზულებებში მის ადგილას შესაძლოა გამოიყენებოდეს -ი (როგორც მხოლოობითის, ასევე მრავლობითის ფორმებთან): დან-ის-ი, მამა-პაპა-თ-ი...

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები თითქმის თანაბრად იწარმოება -ნ || -თა და -ებ სუფიქსებით.

თავს იჩენს ზოგი თავისებურება.

მესამე პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები უპირატესად -ებ სუფიქსით იწარმოება: ესე-ებ-ი || ეს-ებ-ი „ესენი“, ის-ებ-ი „ისინი“, ზოგ-ებ-ი „ზოგნი“, ვინ-ებ-ი... -ებ გასდევს ბრუნების მთელ პარადიგმას: ემე-ებ-მა ამათ“, ემე-ებ-ს, ემე-ებ-ის...

-ნ || -თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითი ოჯახის, შტო-გვარის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია. მის პარალელურად იხმარება -ენ || -ეთ სუფიქსებიც.

თუ შტო-გვარის სახელი იწარმოება -იან სუფიქსით, მრალობითის ნიშნად გამოყენებულია -ნ || -თ: ოდ-იან-ნ-ი „ოდიშვილები“ → ოდ-იან-თ გივარგი „ოდიშვილი გიორგი“ → ოდ-იან-თ-ი „ოდიშვილებისი“.

ამ პრინციპით იწარმოება კრებითი სახელებიც: მეზობლ-იან-ნ-ი „მეზობლობა“, ქალ-იან-ნ-ი „ქალის მაყრები“...

უშუალოდ სახელის ფუძისაგან შტო-გვარის სახელი იწარმოება -ენ || -ეთ სუფიქსით: ჩოფიკ-ენ-ი „ჩოფიკაშვილები“ → ჩოფიკ-ეთ გივარგი „ჩოფიკაშვილი გიორგი“ → ჩოფიკ-ეთ-ი „ჩოფიკაშვილებისი“ (ი. ქავთარაძე).

ორივე სახის წარმოება ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება: „სამი გორის (=გვარის) თავმა: მე, დიდი ლევან-ეთ გორის უფროსმა და გოგ-იან-თ უფროსმა ავანთეთ სამწჳერი სანთელი“ (ქართული დიალექტოლოგია).

ამ რიგის სახელთა ბრუნება ჩვეულებრივი წესით ხდება: ოდიან-ნ-ი, ჩოფიკ-ენ-ი ამბობენ; ოდიან-თ, ჩოფიკ-ეთ თქვეს; ოდიან-თ, ჩოფიკ-ეთ უთხრეს...

(#269)

ამგვარი წარმოებისას -ურ სუფიქსიანი გვარსახელი სხვადასხვაგვარად ფორმდება იმის მიხედვით, -ნ დაერთვის, თუ -ენ: პირველ შემთხვევაში -ურ შენარჩუნებულია (ხეთაგ-ურ-ნ-ი, ხეთაგ-ურ-თ ქალი), მეორე შემთხვევაში შესაძლოა შენარჩუნებულ იქნეს (ხეთაგურ-ენ-ი, ხეთაგურ-ეთ ქალი) და შესაძლოა მოეკვეცოს (ხეთაგ-ენ-ი, ხეთაგ-ეთ ქალი). -ურ სუფიქსის შენარჩუნება-კვეცის მიხედვით ზოგჯერ სხვავდება საკუთრივ ქართული (ბექა-ურ-ენ-ი) და ოსური (ხეთაგ-ენ-ი) წარმომავლობის გვარსახელები (ი. ქავთარაძე).

-იან სუფიქსიან სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შესაძლოა გასუბსტანტივდეს და ადგილის სახელად იქცეს (ბროლ-იან-თ-ი), ზოგჯერ დამატებით რთულდება -ებ სუფიქსით (პაპ-იან-თ-ებ-ი — სათიბის სახელია).

გ) ზმნა. უპირატესობა ეძლევა უძველესი ფორმაციის ზმნების უთემისნიშნოდ გამოყენებას: ჩეჩ-ს „ჩეჩავს“, ჴეჴ-ს „ხეხავს“, კეც-ს „კეცავს“, თელ-ს „თელავს“, ნაყ-ს „ნაყავს“, ს-წჳელ-ს „სწველის“, თიბ-ს „თიბავს“...

იმავდროულად ფართოდ ვრცელდება მდგომარეობითი ზმნების -ობ თემისნიშნიანი წარმოება: მღერ-ობ-ს, სჳენ-ობ-ს „ისვენებს“, ჰ-ყჳარ-ობ-ს „უყვარს“, ს-წამ-ობ-ს „სწამს“, ხსონ-ობ-ს „ახსოვს“, ნდომულ-ობ-ს ... ამ პრინციპს მიჰყვება ზოგი დინამიკური ზმნაც: ქნილ-ობ-ს „აკეთებს“, რჩეულ-ობ-ს „ირჩევს“...

-ავ და -ამ თემის ნიშნები ნამყო უსრულში გახმოვანებას არ იცვლიან, ოღონდ აწმყოში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში -ავ იკუმშება (მალ-ვ-ენ), -ამ, როგორც წესი, არა (ა-ბ-ამ-ენ).

აწმყოში ვნებითი გვარის მხოლოობითი რიცხვის მესამე პირის ფორმები ზოგჯერ -ი-ს დაბოლოებითაა წარმოდგენილი: შა-ფას-დ-ებ-ი-ს... უმეტეს წილ დაბოლოება მაინც ახალი ქართულისებურია: შა-ფას-დ-ებ-ა.

ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, ჩვეულებრივ, არის -ეს: ა-კეთ-ებ-დ-ეს „აკეთებდნენ“, გამა-ი-პარ-ნ-ენ „გამოიპარნენ“... -ენ ძალზე იშვიათია.

ნამყო ძირითადში მხოლოობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ა გვაქვს: ამა-ი-ღ-ა „ამოიღო“, ჩა-ა-გ-ა „ჩააგო“, და-ი-წყ-ა „დაიწყო“, უ-ამბ-ა „უამბო“...

ანალოგიური ვითარებაა II შედეგობითშიც: ე-ე-ღ-ა „აეღო“.

პირის ნიშნის ადგილას -ო ძირითადად მაშინა გვაქვს, როცა ვა →ო ცვლილებაა მომხდარი: ჩამოართვა → ჩამაართო, გაუშვა → გაუშო.

(#270)

II სერიაში -ევ-იანი ზმნები პარალელური ვარიანტებს გვიჩვენებენ: ამა-ი-რჩივ-ა || ამა-ი-რჩი-ა, ამა-ი-რჩივ-ი-ს || ამა-ი-რჩი-ი-ს... ვ ელემენტის შენარჩუნების მეტი შესაძლებლობაა -ენ → -ნ სუფიქსის წინა პოზიციაში: ამა-ი-რჩივ-ნ-ა მან ესეები...

ზოგი დიალექტური მოდიფიკაციით დაცულია ხოლმეობითის ფორმები. სამი შესაძლებლობაა: ოდენ -ი სუფიქსიანი წარმოება (ჴნ-ავ-დ-ი-ს, მა-ჴნ-ი-ს), საკუთრივ დიალექტური — ოდენ -კე მორფემოიდით (ჴნ-ავ-ს-კე, ჴნ-ავ-დ-ა-კე), უფრო ხშირი ხმარების — ზემოხსენებული ორი წარმოების კონტამინაციით მიღებული (ჴნ-ავ-დ-ი-ს-კე, ჴნ-ავ-დ-ი-ან-კე; მა-ჴნ-ი-ს-კე, მა-ჴნ-ი-ან-კე).

ბრძანებითი ორი სახისაა: კატეგორიული (იყენებს ნამყო ძირითადის II პირის ფორმას: გა-ა-მზად-ე) და თხოვნით-წაქეზებითი. ეს უკანასკნელი ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: -ღა მორფემოიდით (გა-ა-მზად-ე-ღა) და -ოდ-ე დაბოლოებით (გა-ა-მზად-ოდ-ე). -ოდ-ე დაბოლოებიანი აწარმოებს სამივე პირის ფორმებს (ვ-ნახ-ოდ-ე-თ, მო-ბძან-დ-ოდ-ე, გა-ა-მზად-ოდ-ეს...), გარდა მხოლოობითი რიცხვის I პირისა. ზოგჯერ -ოდ-ე ხოლმეობითის ფუნქციასაც გამოხატავს: „საწველელაჩი არ შა-ვ-უ-შვ-ი-თ-კე ცხორი, სილამ (ვიდრე, სანამ) არ მო-უ-ღ-ბ-ოდ-ე-თ“ (ი. ქავთარაძე).

კავშირებითის ფორმათა წარმოების თავისებურებანი: I კავშირებითში ყოველთვის არის -ე (მალ-ავ-დ-ე-ს, ი-მალ-ებ-ოდ-ე-ს), II და III კავშირებითში გარდამავალ ზმნათა წარმოება უნიფიცირებულია — გამოიყენება -ა (და-მალ-ა-ს, წა-უ-ღ-ა-ს, და-ა-ბრუნ-ა-ს... და-ე-მალ-ა-ს...), გარდაუვალ ზმნებში უნიფიკაციის ხსენებული წესი არ მოქმედებს (გადა-ჴდ-ე-ს, გამა-ცხო̂-ე-ს).

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითი იწარმოება -ი სუფიქსით, I და II პირის ფორმებში წარმოდგენილია მეშველი ზმნა: გა-უ-რეკ-ი-ა, შა-უ-რთ-ი-ა... გავრცელებულია -ნ სუფიქსიანი წარმოება: გა-უ-ტაც-ნ-ი-ა, შა-უ-ხედ-ნ-ი-ა... -ამ თემის ნიშანი შეკუმშული სახით გადაჰყვება ზმნებს I შედეგობითში: წამა-უ-სხ-მ-ი-ა

„წამოუსხამს“, და-უ-დგ-მ-ი-ა „დაუდგამს“. უ-თქვ-ამ-ს გვხვდება პარალელური ვარიანტებით: უ-თქ-მ-ი-ა || უ-თქომ || უ-თქჳ-ი-ა (ი. ქავთარაძე).

შესაბამისადაა გაფორმებული „სტატიკური ვნებითიც“: ღ-მარხ-ი-ა, უ-ჭერ-ი-ა... ამ წესს მისდევს, ერთი მხრივ, ზ-ძინ-ი-ა „სძინავს“ და, მეორე მხრივ, ჰ-გავ-ს, ჰ-ყავ-ს ტიპის ზმნათა I და II პირის ფორმები: ვ-გჳ-ი-ვარ-თ „ვგავართ“, გჳ-ყვ-ი-ხარ „გვყავხარ“ (ი. ქავთარაძე). იმავდროულად (ძირითადად პოეტურ მეტყველებაში) დაცულია ასეთი ფორმებიც: ა-ჩნ-ავ „აჩნია“, გო-რტყ-ავ „გვარტყია“, ღ-გონ-ავ „ჰგონია“.

(#271)

მოხეური დიალექტთა იმ წრეს განეკუთვნება, სადაც არ იზღუდება ვნებითის კაუზატიური ფორმების წარმოება: გე-ე-ჟლეტ-ინ-ებ-ა, ე-ცემ-ინ-ებ-ა, ე-კვლ-ევინ-ებ-ა → ე-კვლ-ეინ-ებ-ა...

კაუზატივის წარმოებისას ყურადღებას იქცევს ერთი თავისებური მოვლენა — ზმნაში პირის ნიშნით აისახება არა ირიბი, არამედ პირდაპირი ობიექტი: და-გ-ა-გლეჯ-ინ-ებ „დავაგლეჯინებ მე მას შენ თავს“, და-მ-ა-გლეჯინ-ე „დააგლეჯინე შენ მას ჩემი თავი (ი. ქავთარაძე).

ხშირია ოთხვალენტიან ფორმათა წარმოების შემთხვევები: შა-მ-ი-ტყობ-ინ-ე შენ მე მას ის.

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. სხვათა სიტყვის -მეთქი მორფემოიდის ადგილი წინადადებაში შეზღუდული არ არის: შავშინდი, არ-მეთქი სცას „შევშინდი, არ დაარტყას-მეთქი“... ზოგჯერ მას ცვლის -ო: ჩემი ამხანაგი-ო, ვუთხარი „ჩემი ამხანაგი-მეთქი, ვუთხარი...“

უნახაობის „თურმე“ იხმარება ასე: „თუ“: „ქალის ძმებმა თუ (=თურმე) უთხრეს“ (ქართული დიალექტოლოგია).

საკუთრივ „თუ“, გარდა თავის ძირითადი (კავშირის) ფუნქციისა, გამოიყენება შემდეგი დანიშულებით: ცვლის „ალბათ“ მორფემოიდს: „ერთი ცხორი დოგოკლდა, თუ (= ალბათ) დაიღუპა საით“; იხმარება „ხომ“ კითხვითი მორფემოიდის ნაცვლად: „იმ მთიულეს ცხენი თუ (=ხომ) არ ჰყვანდა?“.

კითხვით-დადასტურებითი დანიშნულებით გამოიყენება „განა“: „მოდის განა (=ხომ, კი)?“

ზემოთ აღინიშნა, რომ -ღა ნაწილაკ-მორფემოიდით გამოიხატება თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითი. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს დაეჭვებას (მოვალის-ღა? „მოვა კი?“; სულხან-საბა ორბელიანი, შ. ძიძიგური). ხშირია მისი გამოყენება თავაზიანი

საუბრისას: ორჯერ-ღა წავიკითხე, იმდჷენი მაცინა, მეტის სიცილითა ვტიროდი-ღა“ (ი. ქავთარაძე).

ე) სიტყვათწარმოება. სიტყვათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული ნანათესაობითარი გასუბსტანტივებული ფორმები: ფეჴ-ის-ა-ი „ფერხული“, ჩოჴ-ის-ა-ი „ჩოხის ნაჭერი“... (ი. ქავთარაძე).

დასტურდება საალერსო მიმართვის ნანათესაობითარი ფორმები: დედა-ის სიხარულო (||სიყვარულო...) → დედა-ის-ი, და ასე: მამა-ის-ი, ბიძა-ის-ი...

ამავე პრინციპითაა მიღებული შემდეგნაირი შეკუმშული კონსტრუქცია: რაღა ლოდინ-ის დროა → რაღა ლოდინ-ის-ა-ა.

(#272)

-ურ სუფიქსი, სადაურობის გარდა, გამოხატავს კუთვნილებასაც და ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვით შეიძლება შეიცვალოს: ყაზ-ბეგ-ურ-ი ადგილი „ყაზბეგის || ყაზბეგიანთ ადგილი“ (ი. ქავთარაძე).

მქონებლობის ფუნქციის გამომხატველი -იერ მოხეურში წარმოდგენილია როგორც -იარ: გონ-იარ-ი, ბედნ-იარ-ი.

მიზნის სემანტიკა გამოიხატება -ობ-(ა) სუფიქსიანი მასდარის ფორმებით: ან დამოუკიდებლივ (ნადირ-ობ) ან უთანდებულო || თანდებულიანი მიცემითით (ნადირ-ობ-ა-ს || ნადირ-ობ-ა-ზე), ან ვითარებითით (ნადირ-ობ-ად), ან გაუდიფერენცირებელი მიცემით-ვითარებითით (ნა-დირ-ობ-ა): „ნადირობ (| ||ნადირობა || ნადირობას) წავიდა“.

ადგილის სახელწოდებათა საწარმოებლად გამოყენებულია -ობ: ყან-ობ-ი, ბოსლ-ობ-ი.

დამკვიდრებულია აბსტრაქტულ სახელთა წარმოება ცირკუმფიქსის საშუალებით: სი-ობლ-ე „ობლობა“, სი-გულად-ე „გულადობა“, სი-მხიარულ-ე „მხიარულება“.

წარმომავლობის -ელ დასტურდება ზმნისართული წარმოშობის ფორმებშიც: სადავ-ელ-ი, აქავ-ელ-ი, იქავ-ელ-ი (კაცი); შდრ.: აქა-ურ-ი, იქი-ურ-ი (ნივთი).

დანიშნულების სა — ე და სა — ო ცირკუმფიქსები ზოგჯერ სემანტიკურად განარჩევენ ფორმებს: სა-ძროხ-ე „ძროხების საბალახო“ — სა-მძროხ-ო „ძროხების მწყემსის ქირა“. ამის საპირისპიროდ, ერთი და იმავე ცირკუმფიქსით წარმოებისას მნიშვნელობებს განასხვავებს სხვადასხვა გაფორმებით წარმოდგენილი ფუძე: მო-ბინ-ე „მწყემსების ბინაში მყოფი“ — მო-ბინავ-ე „მწყემსების ბინის შემრჩევი“ (ი. ქავთარაძე).

ერთმანეთს ენაცვლება მა- || მე- || მო- პრეფიქსები: მა-ჴევ-ე „მოხევე“, მე-ნადირ-ე „მონადირე“, მო-კომ-ურ-ი „მეკომური“. ანალოგიური ვითარებაა სასუბიექტო მიმღეობაშიც: მო-ჴნავ-ი „მხვნელი“, მა-თქომ-ი „მთქმელი“.

უხმოვანპრეფიქსო ზმნებისაგან (ტეხ-ს, კერავ-ს, ჰ-კიდებ-ს...) საობიექტო მიმღეობა შეიძლება იწარმოოს ს- (და არა მოსახლოდნელი სა-) პრეფიქსის საშუალებით: გა-ს-კიდ-ელ-ა-ი „გასაკიდებელი“ (ცეცხლის მოსაკიდებელი — გასაკიდებელი — ხმელი ფიჩხი), და-ს-კერავ-ა-ი „საკერველი, ძველზე ახლის გამოსაკერებელი ნაჭერი“.

პარალელურად გვხვდება -ია და -ელა სუფიქსიანი მიმღეობები: ჩხჳერ-ს → ჩხჳერ-ია || ჩხჳერ-ელა-ი.

ჩვეულებრივია საობიექტო მიმღეობის სა — ის ცირკუმფიქსიანი წარმოება: სა-ბზან-ის-ი „საბრძანისი“, მო-სა-პარ-ის-ი „მოსაპარავი“, სა-ღონ-ის-ი „საშუალება, სახსარი“.

(#273)

ფართო გავრცელებისაა კნინობითი ფორმები, რომლებიც ძირითადად -ა სუფიქსით იწარმოება: ცხენ-ა-ი, ცხორ-ა-ი, პურ-ა-ი. კნინობითი ფორმები გამოიყენება მყარ შესიტყვებებშიც (შენაი ჭირაიმე), შეიძლება დაისვას -ნ || -თ სუფიქსიან მრავლობითში („იმ ქაღალდებითა ორ-ა-ნ-ი ურემ-ა-ნ-ი პურ-ა-ნ-ი მძლივ მადიოდა“; ქართული დიალექტოლოგია). ზოგჯერ ფუძე რთულდება ასევე კნინობითობის გამომხატველი სხვა სუფიქსებითაც: ბუზ-უნ-ა-ი „ბუზი“, ჯორ-აკ-ა-ი „ჯორი“ (მოხეურში „ჯორი“ მხოლოდ კნინობითის ფორმითაა წარმოდგენილი; როგორც ჩანს, ჯჳარი → ჯორი ფორმისაგან მის განსასხვავებლად; ი. ქავთარაძე).

თხზულ სახელთა წარმოებისას ერთი თავისებურება დაჩნდება: უარყოფითი მოვლენის გამოსახატავად იქმნება კომპოზიტების წყება, რომელთა მეორე შემადგენელი კომპონენტი არის -ტიალაი (წელტიალაი, დროტიალაი, თჳეტიალაი). კრულვის სემანტიკის გამომხატველ კომპოზიტებში, ჩვეულებრივ, -შავაი კომპონენტი მონაწილეობს: ქალაშავაი, ბალღშავაი.

თავისებურია უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების წარმოება: არც რაი „არაფერი“, არც სად „არსად“, არც როდის „არასდროს“.

თვლის სისტემა ასის შემდეგაც ოცობითია: ხუთოცი „ასი“, ექვსოცი“ასოცი“... ათასის შემდეგ — ასობითი: თერთმეტასი „ათას ასი“, თორმეტასი „ათას ორასი“... შეინიშნება თვლის ოცდაათობითი სისტემაც: „რვაოცდაათ თმნად მოვრიგდით“ (ი. ქვთარაძე).

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) ატრიბუტულ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნები, ჩვეულებრივ, სრული სახით აქვს დაცული, ოღონდ მიცემითში დასმული მსაზღვრელი საერთოა მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი საზღვრულისათვის, ნათესაობითში დასმული — ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი საზღვრულისათვის: დიდ-ი კაც-ი, დიდ-მა კაც-მა, დიდ-ს კაც-ს, დიდ-ის კაც-ის, დიდ-ის კაც-ით, დიდ-ს კაც-ად...

ჩვეულებრივია საზღვრულგაუჩინარებული მსაზღვრელის გასუბსტანტივების შემთხვევები. თუ საზღვრული მრავლობითის ფორმით ივარაუდება, შესაბამისი აღნიშვნა ხდება მსაზღვრელში: დიდი ტან-ის კაც-ებ-ი → დიდი ტან-ის-ებ-ი (ი. ქავთარაძე).

(#274)

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში კარგავს თანხმოვნით ელემენტს: ი კაცი, ე ქალი...

ბ) სახელსა და ზმნას შორის გვაქვს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: „ხალხი მიულოცავდეს (=მიულოცავდნენ), იმათ სადღეგრძელოს დავლევდეს (=დალევდნენ)“...

მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტი ზმნას ეთანხმება მრავლობით რიცხვში I და II პირის ფორმათა გამოყენებისას: ჩა̂ენ გვ-მა-ავ-ს || გვ-მალ-ვ-ენ, თქა̂ენ გ-მალ-ავ-ს-თ || გ-მალ-ვ-ენ-თ. III პირში აღნიშვნა, ჩვეულებრივ, არ ხდება — თვით ინვერსიულ ზმნებშიც კი: მათ ე-წყინ-ა (და არა: ეწყინათ), ზ-ძინ-ი-ა (და არა: ზძინიათ).

შეინიშნება სახელობითში დასმული ობიექტის ზმნასთან მრავლობით რიცხვში შეთანხმების შემთხვევები: მე ვ-ნახ-ენ ესე-ნ-ი, ძმა-ნ-ი წა-ხ-კიდ-ნ-ა და მისთ.

ღირსსაცნობია ვნებითი გვარის ფორმებთან ძველ ქართულში პოვნიერი კონსტრუქციების გამოყენება: „მეშინია იმ კაცისგა (= კაცისგან), „იმ ქალისგა (=ქალისგან) ძრიალ მეხათრება“ (ი. ქავთარაძე).

***

2.6. მთიულურ გუდამაყრული. მთიულურ-გუდამაყრულში, როგორც თვით სახელწოდება მიგვანიშნებს, გამოიყოფა ორი კილოკავი: მთიულური და გუდამაყრული. გუდამაყრულს დასტყობია მოხეურის, ხევსურულისა და ნაწილობრივ ფშაურის გავლენა. მთიულურისა და გუდამაყრულის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევა გრძელი ხმოვნების (ტონური მახვილის) მქონებლობა მთიულურში და მათი უქონლობა გუდამაყრულში.

„მთიულეთი მდებარეობს თეთრი (მთიულეთის) არაგვის აუზში, საქართველოს სამხედრო გზაზე. იწყება ანანურის ზემოთ ჭართლის ხეობით და თავდება ჯვრის გადასავლით. ჩრდილოეთით მისი საზღვარია ხევი, სამხრეთით ჭართლის ხეობა, დასავლეთით ქსნის ხეობა და აღმოსავლეთით გუდამაყარი“ (ქართული დიალექტოლოგია).

გუდამაყარი მდებარეობს შავი (გუდამაყრის) არაგვის ხეობაში. შავ არაგვს ქმნის ორი მდინარე — ბოსლისა და ბურსაჭილის არაგვი. შავი არაგვი ფასანაურთან უერთდება თეთრ (მთიულეთის) არაგვს. გუდამაყარს ჩრდილოეთით ხევი ესაზღვრება (რომელსაც ბურსაჭილის ხეობით უკავშირება), ჩრდილო-აღმოსავლეთით მას ხევსურეთი აკრავს, აღმოსავლეთით — ფშავი, დასავლეთის მხრიდან — მთიულეთი. „ამგვარად, გუდამაყრული მეტყველება ოთხ კილოს — მოხეურს, ხევსურულს, ფშაურსა და მთიულურს — შორისაა მოქცეული და მათთან (#275) ერთად მთის კილოთა ჯგუფს შეადგენს. დასახლებულ კილოთაგან იგი ძალიან ახლოს დგას მთიულურთან“ (ქართული დიალექტოლოგია).

მთიულეთ-გუდამაყარი უძველესი ქართულ წერილობით ძეგლებში იხსენიება. ისტორიულად „მთიულნი“ აერთიანებდა საქართველოს მთიანეთის ყველა ეთნოსს. შემდგომ განირჩა „მთიულნი“ და „მთეულნი“. მთეულნი იყვნენ ჭართლელები, ფხოველები, წილკნელები, გუდამაყრელები, დვალები, ცხაზმელები, მოხევეები, ხადელები, ცხავატელები, ერწო-თიანელები (ქართლის ცხოვრება); ანუ: მთეულნი ზოგადად მთის მოსახელობაა, მთიულნი — გარკვეული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებია.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს მთიულეთ-გუდამაყარს: „არს გუდამაყრის ჴეობა მაგარი, მოსავლით ვითარცა სხუა მთის ალაგნი და უფროს მწირი... გუდამაყრის-ჴევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩრდილოს შუა, არს მთიულეთი... არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი... ჰავითა არს ფრიად კეთილი და შუენიერი, წყარო-წყლითა და მწუანითა...“

მთიულურ-გუდამაყრული მეტყველება ცხადლივი ნიმუშია არქაულ ფორმათა რღვევისა და ბარის დიალექტების ზეგავლენით ინოვაციათა მოჭარბებისა.

***

I. ფონეტიკა.

დაცულია ჴ: ჴელი, მჴარი, ფეჴი, ჴევი, ჴმელი, დაჴოცა, მიუჴდა. მაგრამ ბარის მეტყველების გავლენით ჴ თანდათანობით თმობს თავის პოზიციებს (არნ. ჩიქობავა).

დასტურდება ჲ შემდეგ პოზიციებში:

ა) სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორ- და მეტმარცვლიან სახელებთან (ნიკორაჲ, ვაჟაჲ, ბილიკაჲ). პარალელურად გვხვდება სრულხმოვანი -ი. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთმარცვლიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის (ძმა, მთა, ცა);

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ელემენტად ფუძეუკვეცელ სახელებთან (სარეკელაჲს, სარეკელაჲთ). პარალელურად ამ პოზიციაშიც ვადასტურებთ სრულხმოვან -ი-ს (სარეკელაის);

(#276)

გუდამაყრულის ფიქსირებულ ტექსტებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ჲ არ შეინიშნება: საპონა-ი, ჴმალა-ი, ჴელნა-ი, ხუმარა-ი. ერთი შეხედვით, ამ მხრივ არსებითი სხვაობაა მთიულურსა და გუდამაყრულს შორის. სინამდვილეში ასე არ არის. მთიულურ-გუდამაყრულში -ი და -ჲ ბგერები თავისუფლად მონაცვლეობენ, საზღვარი მათ შორის მკვეთრი არ არის, ჩაწერის სხვადასხვაობაც ამისი შედეგი ჩანს. საერთოდ, სახელობით ბრუნვაში -ი || -ჲ, ჩვეულებრივ, დაერთვის -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს. იმის შესაბამისად, თუ რა სიგრძით გამოითქმის ა, მის მომდევნოდ ისმის ი ან ჲ: ა-ს სიგრძე იწვევს ი-ს დასუსტებასა და მის გადასვლას ჲ-ში (მ. კობაიძე). ანალოგიურად დაისმის საკითხი ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის მიმართაც;

ბ) ჩაკითხვისას (განმეორებით შეკითხვისას) ხმოვანთგამყარად: წავიდაჲა? (ა. შანიძე, მ. კობაიძე);

გ) მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ჰ- || ს- ნიშის პოზიციურ ვარიანტად ხმოვნის მომდევნოდ; კერძოდ, ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის შემდეგ (ა-ჲ-კრიფო, გადა-ჲ-ხედოდე; მო-ჲ-ყავს, მო-ჲ-დევს...) და ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთან ზმნის ენკლიტიკის შემთხვევაში (დედა-ჲყოლია „დედა ჰყოლია“; საცა ცივი წყარო-ჲნახო, ის მიირთოდე; ვეღარა-ჲჭამს). იმავდროულად დასტურდება -ჲჰ- || -ჲს- რთული ბგერა (რომელსაც შემართვა ჲ-სა აქვს, დამართვა — ჰ-ს ან ს-სი): და-ჲჰ-კარგავს, მო-ჲს-ტეხს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰ- || ს- → ჲ- ყველა შემთხვევაში არ ხდება: იოტიზებული ვარიანტის პარალელურად დაცულია ჰ- || ს- ან მისი სხვა ფონეტიკური ნაირსახეობანი (შ-, ზ-...)

დ) ზოგჯერ ფუძისეული ს-ც იძლევა ჲ-ს, უფრო ხშირად კი ჲჰ ბგერით ნაირსახეობას: იმაჲთან „იმასთან“, პაჲჰტა „პასტა“. თუ ს → ჲ ხდება პაუზის მომდევნო პოზიციაში, მაშინ ჲ-ს უძღვის ირაციონალური ხმოვანი: სტაქანი → ⸗ჲჰტაქანი „ჭიქა“ (მ. კობაიძე). ჲ-ს იძლევა დეზაფრიკატიზაციით მიღებული ს-ც: ოცდაექვსი →*ოსდაექვსი → ოჲდაექვსი.

სონანტის შემცველ თანხმოვანთკომპლექსში ჩნდება ხმოვანი: კურკო „კრკო, რკო“, კირკალი „კრკალი, რკალი“, კირცხილა „კრცხილა, რცხილა“, ჩირდილი „ჩრდილი“; შდრ.: ფრჩხილი → ფჩხილი, ბრძანებს → ბძანებს.

რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: აე → ეე (წაეღო → წეეღო, წიწილაები → წიწილეები; ბოლოკიდურ პოზიციაში მთულურში ზოგჯერ შესაძლოა უცვლელად დარჩეს აე: შეშაები); აო → ოო (მხო(#277)ლოდ ბოლოკიდურ პოზიციაში: მუშაობა → მუშოობა); იუ → უუ (მიუგო → მუუგო, მიუტანა → მუუტანა).

რეგრესული დისიმილაციით: ეა → ია (ეამბნა→ იამბნა, წავიდეა? → წავიდია?); ოა → უა (მოვასწარ→ მოასწარ [ვ-ს დაკარგვით] → მუასწარ, მოახლე → მუახლე, ვანოა → ვანუა-ი); ოე → უე (მოვესწარ→ მოესწარ [ვ-ს ჩავარდნით] → მუესწარ, მოვედ → მოედ [ვ-ს დაკარგვით] → მუედ, ხანდოელი → ხანდუელი).

თანხმოვნებში დასტურდება მხოლოდ რეგრესული ასიმილაცია.

დისიმილაციური გამჟღერების შემთხვევაა პატარა → ბატარა-ი.

ხშირია სუბსტიტუციის შემთხვევები (შენაცვლება ზოგჯერ რეგულარულ ხასიათს ატარებს: ა → ე, ე → ა, ო →ა...): ჭარხალი → ჭერხალი, კრამიტი → კრემიტი, მრავალი → მრევალი; კიდევ → კიდავ, ნეტარა → ნატარა, ერთხელ → ერთხალ, ეგებ → აგებ, ეთერაი → ათერაი; ფოთოლი → ფათოლი, ბოჩოლაი → ბაჩოლაი... (ბოლო ორ შემთხვევაში შესაძლოა საქმე გვქონდეს დისიმილაციასთან ლაბიალურ ბგერათა კონტაქტის გამო).

თანხმოვანთა სუბსტიტუციიდან ღირსსაცნობია ვ:მ (ვიწრო→ მიწრო, ვითომ → მითომ... მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს — ზმნაში ვ:მ, ჩვეულებრივ, ხდება პაუზის ან თანხმოვნის წინ: მალ-ამ, მალ-ამ-ს, მალ-ამ-დ-ა; ხმოვნის წინა პოზიციაში ვ შენარჩუნებულია: მალ-ვ-ა, მალ-ვ-ენ).

თავისებურია ამ რიგის შენაცვლება: ტკბილი → ტკვილი, კბილი → კვილი, თბილი → თვილი (ბ:ვ ხშულთა მომდევნოდ და ხმოვნის, კერძოდ, ი ხმოვნის წინა პოზიციაში).

ჩვეულებრივია ბგერათა გაჩენის შემთხვევები, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ნ და ვ სონანტების განვითარება: პირველი ხშირად ჩნდება და ხშულის წინა პოზიციაში (ჴმიადი→ ჴმიანდი, ჭადარი → ჭანდარი, პამიდორი → პამინდორი), მეორე — ვ-ს შემცველ ფორმებში (წისქვილი→ წვისქვილი, ტიტველი → ტვიტველი, ცერცვი → ცვერცვი; ლ. კაიშაური).

სონანტის მეზობლად სპირანტი აფრიკატიზაციას განიცდის (ზრახვა→ ძრახვა, არსად → არცად || არცა, ჟანგი → ჯანგი) და, საპირისპიროდ, გვაქვს დეზაფრიკატიზაციის შემთხვევებიც: ტაძარი → ტაზარი, ოცდაერთი → ოძდაერთი (რეგრესული ასიმილაციით) → ოზდაერთი (დეზაფრიკატიზაციით). ამ

უკანასკნელის პარალელურად შეინიშნება სხვაგვარი ფონეტიკური ცვლილებაც: ოცდაერთი → ოჲდაერთი (იხ. ზემოთ). ამათგან „ოზდაერთი“ (და მისთ.) საერთო ქართული მოვლენაა, „ოჲდაერთი“ — აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებისთვისაა ნიშანდობლივი.

(#278)

ბოლოკიდური პოზიციის ინტენსიური ცვეთა მთიულურ-გუდამაყრულს ნაკლებად ახასიათებს, მაგრამ ცალკეული შემთხვევები მაინც შეინიშნება. იკარგება სახელობითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებან („ბევრ კაც მოატყუილა“). ზოგჯერ სახელებთან („ციხით ქალ [= ქალს] გამოიყვანენ“), ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი („ნაპირი [=ნაპირს] ოთახში ერთი დევია დამბული“), მესამე სუბიექტური პირის ნიშანი — მეტადრე სტატიკურ ინვერსიულ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში (გყავს→ გყავ , გაქვს → გაქვ, სძინავს → ზძინავ... ჩაუსვამს → ჩაუსომ, დაუღუპავს → დაუღუპავ, გვინახავს → გვინახავ... არნ. ჩიქობავა). ღირსსაცნობია, რომ მთიულურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან მიცემით ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ წარმოდგენილია როგორც -ჲს: „ესროლა სიზმარაჲს (=სიზმარას)“, „მიეც ლაჩქიმი (=ციგა) გიგლაჲს (=გიგლას)“; „ჩამოურიგა სუყველაჲს (= სულ ყველას)“ და მისთ. (ლ. კაიშაური).

ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებანი:

ა) ჳა || ვა → ო დასტურდება ყველა პოზიციაში: ვაჯშამი → ოჯშამი, გჳაქვს → გოქ || გოქვ || გოქუ, გჳაშინებს → გოშინებს, ცხვარი → ცხორი, უყვარს → უყორს, სიტყვა → სიტყო, გადაუსვა → გადაუსო... მთიულურში მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ფორმებში პოვნიერი ჳა → ო იწვევს ზმნისწინისეული ხმოვნის რეგრეულ ასიმილაციას: და-გჳ-ა-კლ-დ-ა → დო-გო-კლ-დ-ა, თუმცა პარალელურად არაასიმილირებული ფორმებიც დასტურდება. გუდამაყრულში ამგვარი ასიმილაციის შემთხვევები არ შეინიშნება, ოღონდ ამ დროს მო – || მა-ნაირსახეობათგან ყოველთვის მო-არის წარმოდგენილი: მო-გო-სწვრ-ა „მოგვასწრა“, შემო-გო-ვლევ-დ-ენ „შემოგვავლევდნენ, შემოგვატარებდნენ“;

შეინიშნება უკუპროცესიც — ო → ჳა || ვა: ჯოხი → ჯვახი, ეყოფა → ეყვაფა (მთიულური), გატყორცნა → გატყვარცნა (გუდამაყრული). პარალელურად ამოსავალი ვარიანტებიცაა შენარჩუნებული. შეიძლება დავასახელოთ რთული გარდაქმნების შემთხვევებიც: ლოყა → *ლვაყა → ლაყვა და მის გვერდით (ვა→ ო საფუძველზე): ლაყო (ლ. კაიშაური);

ბ) ჳე || ვე → ო: გჳედგა → გოდგა, ქვევით → ქოით, სადღვებელი → სადღობელი, ქვეყანა → ქოყანა (მღიულური), მიუშვებს → მიუშობს, ქვემოთ → ქომოთ, ქვეყანა → ქოყანა || ხოყანა (გუდამაყრული). გუდამაყრულში მრავლობითი რიცხვის პირველ

ობიექტურ პირში, (#279) ჩვეულებრივ, ამოსავალი ვითარებაა შენარჩუნებული: გვეცემა, მოგვეშველენით;

ნაკლები ინტენსივობითაა წარმოდგენილი ûი || ვი → უ: საკვირველი → საკურველი;

დ) ღირსსაცნობია ბოლოკიდურა პოზიციაში ვ|| û || უ მერყეობა: აქვს → აქვ || აქû || აქუ: და ასე: მაქუ „მაქვს“ , გოქუ „გვაქვს“ („თუ სხვისგან დაწერილი გაქუ, მითხარ, რო ეგ დაწერილი მაქუ-თქო“; ქართული დიალექტოლოგია);

ე) ოვი → ოი: ამოვიდევი → ამოიდევ, წამოვიღებ → წამოიღებ... ეგრევე მოსდის ფუძისეულ ვ-საც: მოვიდა → მოიდა, ზვავი → ზოვი → ზოი, ხვავი → ხოვი → ხოი (არნ. ჩიქობავა);

ვ) დისიმილაციური დელაბიალიზაციის შემთხვევები: უთუოდ → უთუად; აგრეთვე: სუფრა → სიფრო, უფრო → იფრო.

როგორც ვნახეთ, მცირეოდენი სხვაობანი მთიულურსა და გუდამაყრულს შორის ზემოდასახელებულ ფონეტიკურ პროცესებშიც შეინიშნება; მაგალითად, ბოლოკიდურ პოზიციაში -ს ბრუნვის ნიშნის კვეცა უპირატესად მთიულურს ახასიათებს, -ს პირის ნიშნის მოკვეცა აქვ, უნახავ ტიპის ფორმებში კი ორივე კილოკავისათვისაა ნიშანდობლივი; ასევე: თემის ნიშანი -ავ → -ამ, ჩვეულებრივ, მთიულურში გვხვდება, გუდამაყრულში კი -ავ ყველა პოზიციაში უმეტესწილ დაცულია; მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ფორმებში ûე || ვე → ო მთიულურს ახასიათებს, თუმცა ნაკლები ინტენსივობით, ვინემ მოხეურს, ხოლო გუდამაყრულში თითქმის არ შეინიშნება და ა.შ. არსებითი განმასხვავებელი ნიშანი კი, როგორც აღინიშნა, ისაა, რომ მთიულურში ფართოდაა გავრცელებული გრძელი ხმოვნები, რაც სრულიად უცხოა გუდამაყრულისათვის.

მთულურისათვის ტერმინი „გრძელი ხმოვანი“ პირობითია, რადგან სინამდვილეში „მთიულურის ე.წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს“ (არნ. ჩიქობავა).

გრძელი ხმოვნების გამოყენება შეპირობებულია სამი ძირითადი წესით:

ა) გრძელი ხმოვანი არ გვხვდება ცალკე აღებულ სიტყვაში;

ბ) გრძელი ხმოვანი არ გვხვდება ლექსში;

გ) გრძელი ხმოვანი დასტურდება ფრაზაში სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (არნ. ჩიქობავა).

ნიმუში გაბმული მეტყველებიდან: „ღმერთო, უშვēლე, ლომისავ მთორ მოწამēო, ამ საკლავის პატრōნსა შენი წყალōბა მიēცი, ამრავლე კაცითა, საქონლითა...“

(#280)

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი:

ა) გრძელი ხმოვანი (ტონური მახვილის მქონე ხმოვანი) გვხვდება ბოლოდან მესამე მარცვალში, თუ პირველ მარცვალს ქმნის მეშველი ზმნისეული -ა: „ეგ თავიანთ ნ̄ებაა“, „უფრ̄ასია შიო გიგოზედა“;

ბ) „გრძელი“ შეიძლება იყოს სიტყვის ბოლოდან პირველი ხმოვანი, თუკი სიტყვას ენკლიტიკურად მიერთვის ხმოვნის შემცველი მორფემა: „მემრე აღარა იქნებ̄ა-რა“, „ნინი ̄ა-შენ ტყუილს არ გ̄ეტყვის...“ თუ გავითვალისწინებთ, რომ ენკლიტიკა ორი მორფოლოგიური ერთეულის ფონეტიკურ მთლიანობას ქმნის, შეიძლება ითქვას, რომ „ფონეტიკურად აქაც მახვილი ისევ მეორე მარცვალზეა ბოლოდან“ (არნ. ჩიქობავა).

ტონური მახვილის მქონე ხმოვანი (გრძელი ხმოვანი) მთიულურში აკუსტიკურად აღიქმება როგორც დიფთონგი: სოფ̆ä̆ლი (= სოფ̄ლი), თ̆û̆ალი (= თ̄ალი) და მისთ. (მ. კობაიძე).

შესაძლოა ზემოაღნიშნულ ო → û̆ა ცვლილებას ტონურმა მახვილმაც შეუწყო ხელი და არა მარტო მთიულურში, არამედ მოხეურშიც, სადაც ტონური მახვილის მქონე (გრძელი) ხმოვანი დღეს აღარა გვაქვს.

შევნიშნავთ, რომ ჰ. შუხარდტი მახვილიანი ხმოვნის პოვნიერებას ოსურის გავლენით ხსნიდა — იმოწმებს ლელთ ღუნიას საუბარს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“.

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ჩვეულებრივ, დაერთვის, თუმცა გვაქვს მისი მოკვეცის შემთხვევებიც: „პურ-ი, საფქვავ რაღა, გადმოდის წვისქვილის ყელში“ (ლ. კაიშაური).

ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან -ი (|| → -ჲ) დაერთვის ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებს და ისიც, როგორც წესი, -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს (ა შეიძლება იყოს ფუძისეული ან ფორმანტი): სარეკელა-ი, წერწენა-ი || წერწენა-ჲ, ჯმალა-ი... გიორგა-ი, ივანა-ი, ბოლონა-ი... უ ხმოვანზე დაბოლოვებულ ერთმარცვლიან სახელებს -ი ბრუნვის ნიშნის წინ უჩნდება ვ: ბუვ-ი, რუვ-ი, ყრუვ-ი... ყველა ეს ფორმა (ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი) შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ბრუნვის ნიშნის გარეშე (სარეკელა, ბუ...), გარდა საკუთარ სახელთა კნინობითი ფორმებისა, რომლებიც, როგორც წესი, სახელობითში -ი || -ჲ ბრუნვის ნიშანს დაირთავენ.

(#281)

მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებში -მა (დედ-მა, პატარა-მა...) გვხვდება მაშინ, როცა პოზიცია მავრცობი ხმოვნის მქონებლობას მოითხოვს. „ვინმე“ ნაცვალსახელი -მ ნიშნის გარეშე გამოხატავს მოთხრობითის ფუნქციას (ძველი ქართულისებური ვითარებაა), „რამემ“ ფორმის ეკვივალენტად იხმარება „რამანმე“.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილის გარემოების დანიშნულებით („ქალაქ-ს მიდის“, „ქალაქ-ს არი“); ბრუნვის ნიშანი -ს დაერთვის „სადღაც“ ზმნისართსაც: სადღაცა-ს. მიცემითი ზოგჯერ გამოიყენება ვითარებითი ბრუნვის ეკვივალენტად: მზა-ს...

-ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში არ იკვეცება და არც ბრუნვის ნიშნები რედუცირდება: ქოთილა-ის, სიზმარა-ის, კატა-ის, ნაგულა-ის... ქოთილა-ით, კატა-ით... მთიულური კილოკავის ტექსტებში ზოგჯერ ამ პოზიციაში დასტურდება -ჲს, -ჲთ.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი დროის ზმნისართები: მაშინ-ის, წეღან-ის, ახლან-ის...

ნათესაობითის ფორმითაა წარმოდგენილი საალერსო მიმართვები: ბიძა-ის-ა-ვ, ბიძა-ის-ა-ებ-ო → ბიძა-ის-ე-ებ-ო, რომლებიც მიღებულია მსაზღვრელ -საზღვრულის ცვეთით: ბიძა-ის სიხარულო (იმედო...)→ ბიძა-ის-ა-ვ.

ვითარებითი ბრუნვის დანიშნულებით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფუძე: პირველ „პირველად“, ლამაზ „ლამაზად“, ჩქარ „ჩქარა“ (|| ჩქარა || ჩქარე)... ამავე ფუნქციით იხმარება -ივ სუფიქსიანი ფორმები: უკეთესლ-ივ, უარესლ-ივ, სწრაფლ-ივ... (ლ. კაიშაური).

წოდებითი გამოიხატება ორგვარად: ა) -ო || -ვ (û) ფორმანტით, რომელიც დაერთვის როგორც საზოგადო, ასევე საკუთარ სახელს (მანან-ო, მაყვალ-ო... გელა-ვ, ნიკალა-ვ...); ბ) ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთა კვეცით (მანან, მაყვალ...).

ნანათესაობითარი მიცემითი გამოიყენება ლოკატივის ფუნქციით (თორელიანთას, ღვდლიანთას, მაგათას...); ამავე დანიშნულებით ნაცვალსახელებთან დასტურდება ოდენ -ს-ა (ჩვენსა, თქვენსა...).

მავრცობი ხმოვნის პოზიციას იჭერს როგორც -ა (კაცსა, რასა...), ასევე (ნათესაობითსა და მოქმედებითში) -ი (გიგუაისა || გიგუაისი, ხისა || ხისი...). -ი გვხვდება -თ სუფიქსიან მრავლობითშიც („ნეფიონთი“), აგრეთვე -ც ნაწილაკდართულ ფორმებში („ქალისიცი არი კალვაში [= კალოში]მაღაზიაში, კაცისიცი“; ქართული დიალექტოლოგია).

-ში თანდებული გვხვდება -ჩი ფონეტიკური ნაირსახეობითაც (კარჩი), -ზე — ამგვარადაც: ზედ (ა) (კარზედა). -თვის თანდებულის (#282) ნაირსახეობანია: -თვი || -თვინ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით) || -თვისინ (კონტამინაციით); -მდე თანდებულის ვარიანტები: -მდი || -მდინ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით) || -მდის ||-მდისინ (კონტამინაციით).

-კენ წარმოდგენილია როგორც -კე (საქართველოსკე, კახეთისაკე).

-გან → -კან უშუალოდ ფუძეზე დართვისას: ზოკან „ზოგან“. ერთ შემთხვევაში ფიქსირებულ იქნა -ყან (სუყელყან „სულ ყველგან“).

მთიულურში დადასტურდა -დამ: მთიდამ, ქალაქიდამ, მაისიდამ... (არნ. ჩიქობავა). გამოიხატება გამოსვლითობა. ამავე დანიშნულებით გუდამაყრულში შეინიშნება -ით ბრუნვის ნიშნით გართულებული -ში თანდებულიანი ფორმა; ზოგჯერ -ში რთულდება -ით-გან → იდ-ან ფორმანტებით: „ჯარშიდან, ჯარშიითიდან ჩამაუვიდა აქა“ (ქართული დიალექტოლოგია). აშკარა მერყეობაა, რაც მიუთითებს, რომ ამგვარი წარმოება აქ რელიქტის სახითაა შემორჩენილი. ანალოგიურია -ით ბრუნვის ნიშნით -გან → -კან თანდებულიანი ფორმების გართულების შემთხვევებიც: „მივიდა ბიჭი იქ. ზოკანაით მოჲდის ტირილი, ზოკანაით მოჲდის სიცილი, ზოკანაით მოჲდის მღერა“ (ქართული დიალექტოლოგია).

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები მთიულურ-გუდამაყრულში ძირითადად -ებ სუფიქსით იწარმოება. ფორმობრივ რაიმე თავისებურება აქ თავს არ იჩენს, გარდა იმისა, რომ -ებ სუფიქსით ფორმდება მესამე პირის ნაცვალსახელთა მრავლობითიც (ისეები || ისები, ეგეები, ამეებმა, ამეებს...), აგრეთვე ვინ და რა კითხვითი ნაცვალსახელები (ვინეები || ვინები, რეები...). სემანტიკურად შენიშნულ იქნა თავისებური გააზრების შემთხვევა: -ებ სუფიქსიანი ფორმები იმ სახელებისა, რომლებიც კონტექსტის შესაბამისად აღნიშნავენ ერთს ან მრავალს, გამოხატავენ რიცხობრივ სიმცირეს: „ცხორი“ შეიძლება აღნიშნავდეს ერთს ან მრავალს, „ცხვრები“ — რამდენიმე ცხვარს, „ვაშლი“ ერთია ან მრავალი, „ვაშლები“ ითქმის რამდენიმე ცალის შესახებ (მ. კობაიძე).

-ნ || -თ (ა) სუფიქსიანი მრავლობითით იწარმოება: სოფლის სახელები (ამირნი, კობანი, ჭიკანი, ქავთარანი... ქავთარათას წასულა...); ოჯახის, შტო-გვარის სახელები (ელიზბარიანნი, ბეჟანიანნი... ელიზბარიანთ გიორგაი, ელიზბარიანთი, ელიზბარიანთას...); იხმარება რიცხვით სახელებთან და მრავლის გამომხატველ ნაცვალსახელებთან (სამნი, ყველანი. ბევრნი...), კნინობით სახელებთან, როცა მათ მსაზღვრელად რიცხვითი სახელი მოუდის (ორანი ჯარანი, სამანი ცხორანი...), ტოლად შერწყმულ სახელებთან (დედ-მამანი, და-ძმანი, მამა-შვილნი, დედა-ქალნი... მაგრამ: ქმარ-შვილი, ცოლ-შვილი), კუთვნილების გამომხატ(#283)ველ -ებ სუფიქსიან ნაცვალსახელებთან (ჩვენებნი, თქვენები... ჩვენებთ შოთაი, ჩვენებთას...); (მ. კობაიძე).

გ) ზმნა. დაცულია ოდინდელი უთემისნიშნო ზმნები: თეს-ს „თესავს“, ბერტყ-ს „ბერტყავს“, თიბ-ს „თიბავს“, ჴოც-ს „ხოცავს“...

აწმყოს მრალობითი რიცხვის მესამე პირში იკუმშება -ავ და -ამ თემის ნიშნები: ლოც-ვ-ენ „ლოცავენ“, ა-სხ-მ-ენ „ასხამენ“... თუმცა მერყეობაც იჩენს თავს: „პოვლიასთან სომენ (=სვამენ), ერთად სმენ“ (ქართული დიალექტოლოგია).

პროდუქტიულია მდგომარეობითი ზმნების -ობ თემისნიშნიანი წარმოება: ფრინა-ობ-ს „ფრინავს“, სმეულ-ობს-ს, ნდომულ-ობ-ს, ს-წუნ-ობ-ს...

აწმყოში ვნებითი გვარის მხოლოობითი რიცხვის მესამე პირის ფორმები -ი-ს დაბოლოებას ინარჩუნებენ: იწვნ-ი-ს „იწვნება“, ი-ბ-მ-ი-ს „იბმება“...

შენარჩუნებულია ერთი რიგის სტატიკურ ზმნათა არქაული წარმოების პრინციპი: ე-შინ-ი-ს, ი-ნან-ი-ს... ამ წესს მიჰყვება: მი-ვალ-ი-ს , წა-ვალ-ი-ს... თავს იჩენს ს-ძინ-ი-ა ტიპის წარმოებაც.

დაცულია აწმყოს მნიშვნელობით უ-ნ-ა.

ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გამოიყენება -ენ (იშვიათად — -ნენ): ართმევდ-ენ, ჩიოდ-ენ, ჴოცდ-ენ... ბოლო ნიმუში იმითაა საცნაური, რომ ერთ ფორმაშია შეხამებული არქაიზმი (ჴოც- ფუძის სახით) და ინოვაცია (-ენ პირის ნიშანი, ნაცვლად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში წარმოდგენილი -ეს ფორმანტისა). ნამყო ძირითადშიც გარდაუვალ ზმნებთან უპირატესად მაწარმოებელია -ენ პირის ნიშანი, თუმცა ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს ერთმანეთის გვერდით -ენ და -ნენ (ეს უკანასკნელი ქართლურის გავლენითაა შემოსული): „ადგ-ნენ, წავიდ-ენ“ (ქართული დიალექტოლოგია).

-ევ-იან ზმნათა ნამყო ძირითადში დაცულია -ივ: წააქცივა „წააქცია“, დაამტვრივეს „დაამტვრიეს“. შენარჩუნებულია იგი II ხოლმეობითშიც: წააქცივის... თუმცა II კავშირებითში, ჩვეულებრივ, იკარგვის: წააქციოს...

მთიულურ-გუდამაყრულში მკვიდრია ხოლმეობითის წარმოება, რომელიც სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენელი:

არქაული, -ი სუფიქსიანი წარმოება: უყორდ-ი-ს, ჭამდ-ი-ს (I ხოლმეობითი); ჭამ-ი-ს, გაანიავ-ი-ს, ებ-ი-ს (II ხოლმეობითი)...

დიალექტური, -კე სუფიქსიანი: აიღებს-კე, აიღებდა-კე...

კონტამინირებული, -ი-კე სუფიქსიანი წარმოება: ეზიდებოდ-ი-ს-კე (I ხოლმეობითი); გაუშვ-ი-ს-კე, გაუშვ-ი-ან-კე (II ხოლმეობითი).

ხოლმეობითის ფორმები, ჩვეულებრივ, მრავალგზის მოქმედებას გამოხატავენ, მაგრამ ზოგჯერ გამოიხატება განგრძობითობა (საკუთრივ პერმანსივი): „ჴვნა-მთესავი კაცი ვ-ი-ყვ-ი“.

-კე შეიძლება დაერთოს აწმყო-მყოფადის, ნამყო უსრულის, საკუთრივ ხოლმეობითის ფორმებს. სამივე წარმოების ხოლმეობითები ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება, ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი: „ზოგი ხანჯარს ვერ ამართავდ-ი-ს-კე, ისეთი ნეფე იყვ-ი-ს“ (ქართული დიალექტოლოგია).

ბრძანებითი ორი სახისაა: კატეგორიული და თხოვნით-წაქეზებითი.

მთიულურს დაუცავს ძველი ქართულისებური წესი კატეგორიული ბრძანებითის ფორმათა წარმოებისა: გამოიყენება ნამყო ძირითადის II პირის ფორმა, ოღონდ პირის ნიშნის გარეშე; თხრობითი კილო: „აქამდე ს-ჭამ-ე არხოტი, ეხლა მე გაჭმევ ქვიშასა!“ შდრ.: ბრძანებითი კილო: „უთქომ: ჭამ-ე-თ ეხლაო!“; და ასე: თხრობითი — ჲ-ნახე, ა-ს-ჩქარდი, ა-ჲ-დექი; ბრძანებითი — ნახე! აჩქარდი! ადექი! (მ. კობაიძე).

თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითი გამოიხატება ორგვარად:

ა) -ოდ-ე სუფიქსით: ა-ი-ღ-ოდ-ე, და-ი-მალ-ოდ-ე, მო-ხ-ვიდ-ოდ-ე (მთიულური); უთხრ-ოდ-ე, მი-ი-რთ-ოდ-ე, გა-ი-გრილ-ოდ-ე (გუდამაყრული). -ოდ-ე სუფიქსიანი ფორმები, ჩვეულებრივ, გამოხატავენ დანაბარებს, რომელიც „მოქმედების ადგილზე მთქმელის არყოფნისას უნდა შესრულდეს, ხოლო ზოგჯერ, ამასთან ერთად, ხოლმეობითის მნიშვნელობაც აქვს“ (მ. კობაიძე);

ბ) მყოფადის კავშირებითის ფორმებით: და-ა-კაკუნ-ებ-დ-ე, შემა-ტყობინ-ებ-დ-ე (არნ. ჩიქობავა).

ორივე წარმოების თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის ფორმები ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით, ერთსა და იმავე წინადადებაში დასტურდება: „ეხლა წადი, შენ და-ი-მალ-ოდ-ე, საღამოზე მო-ხ-ვიდ-ოდ-ე კარებს და-ა-კაკუნ-ებ-დ-ე (= და-ა-კაკუნ-ოდ-ე)“.

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები ზოგჯერ ინარჩუნებენ აწმყოს ფუძეს, ოღონდ ეკვეცებათ მესამე პირის -ს ნიშანი: მო-უ-კლ-ავ, და-უ-ღუპ-ავ, და-უ-ბ-ამ; უმეტესად კი წარმოება -ი სუფიქსიანია: და-უ-ღუპ-ნ-ი-ა, ჩა-უ-ყლაპ-ნ-ი-ა.

-ნ სუფიქსი თავს იჩენს გარდამავალ ზმნათა როგორც I, ასევე II შედეგობითში: და-უ-ღუპ-ნ-ი-ა, უ-თხოვ-ნ-ი-ა; და-ე-ღუპ-ნ-ა, ე-თხოვ-ნ-ა (არნ. ჩიქობავა).

ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითი მეშველი ზმნით იწარმოება: და-ჲ-ძინებ-იყო, გა-ჲ-თეთრებ-იყო.

(#285)

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. მეტ-ნაკლებად თავს იჩენს -ა კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდი: „არ დარდობს-ა დედაშენი?“ „ისივ არი-ა ნეტარ ი გოდორი?“ მთიულურში ა-ზე დაბოლოებულ სიტყვასთან ხმოვანთგამყარად ჩნდება ჲ: გზაჲა? „გზა?“ რა უნდოდაჲა? „რა უნდოდა?“ (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა). კითხვითი -ა მორფემოიდის წინამავალი ე და ო ხმოვანი ორივე კილოკავში ვიწროვდება: პირაჭრელიოა? → პირაჭრელიუა?; წავიდეა? → წავიდია?

სპორადულად -მცა მორფემოიდი გამოიყენება კავშირებითის ფუნქციის გამოსახატავად: „შენამც შეგიყორდება (= შენც შეგიყვარდეს) ცხრათავიანი დევის დაო“.

„თურმე“ მორფემოიდის ეკვივალენტად იხმარება „სამ“: „ეგრე სამ (=თურმე) უთქვია“.

„ყველა“ ნაცვალსახელთან დასტურდება -ყა მორფემოიდი, რომელიც დამატებით მორფოლოგიურადაც აღნიშნავს სიმრავლეს (შდრ.: ყველა-ნ-ი): „უნდა დაგაჩვენო ყველაყაი“, „ეჯიფმა უნდა დაჲპატიჯოს მაყრებს ყველაყასა“ (ქართული დიალექტოლოგია).

ე) სიტყვათწარმოება. წარმომავლობის -ელ და -ურ ვინ და რა-ჯგუფის სახელებს განარჩევს ზმისართებისაგან ნაწარმოებ ზედსართავებშიც: ადამიანი — სადაველი, აქაველი, იქაველი; ნივთი — სადაური, აქაური, იქიური.

პროდუქტიულია -იარ სუფიქსი (ნაცვლად -იერ-ისა): მშიარი, გონიარი, ღონიარი (არნ. ჩიქობავა).

-ობა სუფიქსით გამოიხატება: კრებითობა („წავა წყალზედა ადამიანობა“, „შექუჩდა მთელი კაცობა“); მოსაქმეობა (თიობა „თიბვა“: „თიობა გვაქჳს“, „თხილობის ღამე შობის წინა დღეს ვიცით“; ლ. კაიშაური).

რთული სუფიქსი -ობრ-ივ გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას იმის მიხედვით, თუ რომელ ფუძეს მიერთვის: ალაგობრივ „ადგილობრივ, ადგილზე“; კაცობრივ „კაცის დახმარებით, შემწეობით“.

სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება: ოდენ მ- პრეფიქსით (მ-დეგ-ი „მდგომი“, მ-ჭიდავ-ი „ძლიერი, ღონიერი“) და მ — ე (მ-ძლ-ე „ძლიერი“), მ — ო (გა-მ-წდ-ო „ტოლი, გამწვდენი“), მ — იარე (მ-ცნობ-ი-არ-ე „მწყემსი, რომელიც ცნობს, რომელი ბატკანი რომელი ცხვრის შვილია“, მ-ქონ-ი-არ-ე „მდიდარი“, მ-დებ-ი-არ-ე „ვაკე ადგილზე მდებარე მამული“), მე — ურ (მე-ძნა-ურ-ი „მეძნე“)... ცირკუმფიქსებით.

ნამყო დროის საობიექტო მიმღეობებში ზოგჯერ -ილ არის მოსალოდნელი -ულ სუფიქსის ნაცვლად (მო-ღრუბლ-ვ-ილ-ი, და-ზურგ-ვ-ილ-ი, გა-ჟუჟ-ვ-ილ-ი, მო-კუზ-ვ-ილ-ი).

(#286)

მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობებში თავს იჩენს სა — ულ (სა-ქან-ულ-ა „საქანელა“, სა-ფრთხ-ულ-ი „საფრთხობელა“; შდრ. ძველი ქართული სა-ფრთხ-ოლ-ი), სა — ო (სა-ამბ-ო „სალაპარაკო“, სა-ფრინა-ო „გადმოსახტომი“), სა — ურ (სა-მბ-ურ-ი :ფეხზე შემოსახვევი ბაწარი“)... აფიქსებიანი წარმოება.

პროდუქტიულია აბსტრაქტულ სახელთა წარმოება სი — ე ცირკუმსფიქსით (სი-სნეულ-ე „სნეულება“, სი-ჯანმთელ-ე „ჯანმრთელობა“).

მასდარის თავისებური ფორმაა დეგ-ი „დგომა“: „ფეჴზე დეგისგან ფეჴებიღა დამისივდის“ (-ღა თავაზიანი საუბრის დროს ხმარებული მორფემოიდია).

კნინობით ფორმათა ძირითადი მაწარმოებელია -ა: ქალ-ა-ი, სკამ-ა-ი, მარხილ-ა-ი, ნაბად-ა-ი. „ერთი“ რიცხვითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებისას კნინობითის ფორმა მხოლოობითში დგას: „ერთ-ა-ი ძროხ-ა-ი“, სხვა შემთხვევებში — მრალობითში: „ორ-ა-ნ-ი ცხორ-ა-ნ-ი“.

უარყოფითი მოვლენის გამოსახატავად წარმოიქმნება კომპოზიტი, რომლის მეორე შემადგენელი კომპონენტი არის -ტიალაი: წყალტიალაი, დროტიალაი.

თვლის სისტემა ასის შემდეგაც ოცობითია: ხუთოცი „ასი“, ექვსოცი „ასოცი“... ათასის შემდეგ — ასობითი: თერთმეტასი „ათას ასი“, თორმეტასი „ათას ორასი“... (ლ. კაიშაური).

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელების მსაზღვრელად გამოყენებისას საზღვრული ხშორად მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი: ორი ბიჭები, ოთხი ქალები; „სამ ძმათში ერთი უმცროსი მძლარი ყოფილა“ (ლ. კაიშაური).

ბ) გვაქვს შემთხვევები, როცა მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: იმათა უთქომ; ოსებს ორმოც ცხორი წაუსხამ; მაგრამ აღინიშნება სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობა: ორანი ძროხანი მყვანან; ლომისას ჯაჭვნი ჰკიდიან; სამნი უნდანან ჩვენ გუთანს: გუთნისდედა, მქარჩავი და მეჯრე. ესაა ძველი ქართულის წესი. მთიულურ-გუდამაყრულში ასეთი მოვლენები იშვიათია, „აქ უკვე ახალი ქართულის დამახასიათებელი ურთიერთობაა ჩვეულებრივი“ (ანრ. ჩიქობავა). მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის ზმნაში გამოხატვის შემთხვევებია (როგორც წესი, და(#287)ცულია მესამე

სუბიექტური პირის ნიშანიც — როგორც მხოლოობითი, ასევე მრავლობითი რიცხვისა): მათ ა-ქვ-ი-ს-თ; ისინმი თქვენ გ-ე-ლო-დებ-ი-ან-თ, და-გ-ი-თხოვ-ენ-თ (მ. კობაიძე).

გ) შეინიშნება სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების ტენდენციაც: ტირიან ჯალაბობა; გამართლდენ საზმრაჲს ხალხი...

დ) „დაპატიჟა“ ზმნა ქმნის არქაულ კონსტრუქციას: „ეჯიფმა უნდა დაჲპატიჯოს მაყრებს ყველაყასა“.

ე) გამოსვლითობის ფუნქციით გამოიყენება უთანდებულო ნათესაობითის ფორმები: „ხუთის ქალისა (=ქალისაგან) და ხუთის ვაჟისა (= ვაჟისაგან) ერთი ქალი დამრჩა“ (ქართული დიალექტოლოგია).

ვ) ეშინია, სცხვენია, მოეწყინება ტიპის ზმნებთან არქაული კონსტრუქციაა დაცული: ეშინია დედისაგან „ეშინია დედის“, სცხვენოდა ბავშვებისაგან „სცხვენოდა ბავშვების“, მეეწყინა მისგან... (არნ. ჩიქობავა, ლ. კაიშაური). ანალოგიურ კონსტრუქციას ზოგჯერ ქმნის -დ სუფიქსიანი ვნებითიც: „შენგან შეშინდა ი ბალღი“. ზოგჯერ თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად გამოიყენება თანდებულიანი მოქმედებითი: „უხეიროთ რომ დაინახა, ძალიან შაშინდა იმის ვაჟკაცობიდან“ (არნ. ჩიქობავა). ეს კი ამგვარ კონსტრუქციათა მერყეობაზე მიანიშნებს (არქაულ წარმოებაში დიალექტური ინოვაციებია ჩართული).

ზ) თავს იჩენს სინტაქსური ელიფსის შემთხვევები, უპირატესად რთული წინადადების დროს: „გაბრიელამა — რო (=გაბრიელამ დამაბარა, რომ), წამოდითო და ქალიც წამაიყვანეთო“... „რო(მ)“ ამ შემთხვევაში ენკლიტურად მიერთვის წინამავალ სიტყვას (მ. კობაიძე).

თ) მთიულურში დადასტურდა კონსტრუქციები, სადაც გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან გამოიყენება მოთხრობით ბრუნვაში დასმული სუბიექტი; უპირატესად მაშინ, როცა იმავე სუბიექტს უკავშირდება გარდამავალი ზმნაც: „დასხდნენ ერთად ფალავნებმა და სადილი ჭამეს“, „მოიდა იესო ქრისტემ და დაჰკრა ორი მეხი“, „ადგა ჯელმწიფემ და ქალი მისცა სიზმარას“. ზოგჯერ კონსტრუქციაში მხოლოდ გარდაუვალი ზმნაა: „ამ უხეიროთ წავიდა თავის სახლისაკენ“ (არნ. ჩიქობავა).

***

IV. ლექსიკა.

მთიულურ-გუდამაყრულში უხვადაა წარმოდგენილი მესაქონლეობის (კობულა, მარჯე, ჯანდაგი), მიწათმოქმედების (ჯირჯები, აბეჩხარი, მსუბუქი მიწა, მძიმე მიწა), მშენებლობის (იალა, ლეკეზი) ლექსიკა. (#288) თავს იჩენს როგორც არქაული ფენა, ასევე დიალექტური ინოვაციები, ხშირად — სიტყვათშემოქმედების ღირსსაცნობი

ნიმუშები (მაგალითად, მთიულეთში ქათამზე, რომელიც მზადაა კვერცხის დასადებად, იტყვიან: მანდილი დაიმშვენაო; დედაბოძის პარალელურად გულთაბოძი იხმარება...).

***

როგორც ზემოთ აღინიშნა, გუდამაყრულს ემჩნევა მოხეურ, ხევსურულ და ფშაურ კილოებთან ურთიერთობის კვალი. ნიშანდობლივია, რომ გუდამაყრელების ზოგი გვარი წარმოშობით თავს ხევსურებად თვლის: „ჴევსურები ვართ, იქით (=იქიდან) ვართ გადმოსულნი. მას აქეთ იქნება ათი მამა“ (ქართული დიალექტოლოგია). იმავდროულად მთიულური ბუსტრატიცა და მთიულურთან ამჟამინდელი მჭიდრო კონტაქტის შედეგიც ხელშესახებად იჩენს თავს, რის გამოც ორი კუთხის — მთიულეთისა და გუდამაყრის — მეტყველება ერთი დიალექტის ორ კილოკავად განისაზღვრება.

მთიულურის შესახებ არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „მთიულურს ყველაზე ნაკლებ აქვს დაცული არქაიზმები და ის ყველაზე მეტად განიცდის ბარის კილოების, უწინარეს ყოვლისა, ქართლურის გავლენას“. არსებითად ანალოგიური ვითარებაა გუდამაყრულშიც.

(#289)

თავი III

3.1. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტები (ზოგადი მიმოხილვა). აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტები — ქართლური და კახური — მრავალმხრივ იქცევენ ყურადღებას.

ჯერ ერთი, ეს დიალექტები ყველაზე ახლოსაა სალიტერატურო ენასთან და იმავდროულად სალიტერატურო ენაზე მათი გავლენის კვალიც აშკარაა და ხელშესახები. გარდა ამისა, ქართლური, შემდგომ კი კახურიც, ერთიანი სალიტერატურო ენის დაქვეითების გამო (რაც საქართველოს დანაწევრებით იყო შეპირობებული) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე ოფიციალური ურთიერთობის საშუალებად იქცა, რაც გარკვეულ წილად იმ პერიოდის სიგელ-გურჯებსა და თვით მხატვრულ თხზულებებშიც კი აისახა. ეს კი შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ ამ ორი დიალექტის განვითარების ძირითად ტენდენციებს თითქმის სამი-ოთხი საუკუნის მანძილზე.

შემდეგ: როგორც ითქვა, ქართლურსა და კახურში დღესაც თვალსაჩინოა ენობრივი ტრადიციების შემონახვის ტენდენცია, სხვა დიალექტებთან შედარებით ამ შემთხვევაში უფრო ძლიერ მოქმედებს ცვლილებათა შემაკავებელი შინაგანი იმპულსები. მნიშვნელოვანი და საყურადღებო ისაა, რომ ენობრივი ტრადიციების შემონახვა აქ არ გულისხმობს არქაული ვითარების დაცვას; პირიქით, ივარაუდება სულ სხვა რამ — ფრიად ღირსსაცნობი მოვლენა: საკუთრივ ქართული ენისათვის ნიშანდობლივი ტრადიციების ორგანული შეხამება განვითარების პროცესთან. ანუ: უმეტეს წილ განვითარების შედეგი უშუალოდ შეპირობებულია ენობრივი ტრადიციით და ნაკლებ ექვემდებარება სხვა ენებისა თუ დიალექტების ზეგავლენას (რა თქმა უნდა, უპირატესად ეს ეხება ამ დიალექტების გავრცელების ცენტრალურ რეგიონებს, განაპირა არეებში კი სხვა დიალექტებთან ურთიერთობის კვალიც ხელშესახებია).

ქართლური და კახური დიალექტები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებზეა გავრცელებული, რაც, ბუნებრივია, იძლევა რეგიონალურ ნაირსახეობებს, ასე ვთქვათ, მეტყველების რეგიონალურ გრადაციებს, რაც ტალღისებურად ვრცელდება და ხშირად მნიშვნელოვან სხვაობას იძლევა პოლარულ რეგიონებს შორის (იგულისხმება, მაგალითად, (#290) სხვაობა არაგვისა და ბორჯომის ხეობების ქართლურს შორის და მისთ.). ეს კი უხვ ემპირიულ მასალას გვაწვდის კილოკაურ ნაირსახეობათა ჩამოყალიბების პროცესის შესასწავლად.

საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გამო კახურს გამოეყო ინგილოური და ფერეიდნული. გრამატიკული სისტემა ამ ორ დიალექტს არსებითად დედადიალექტისა შემორჩა (ამიტომაც ისინი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებთან ერთად განიხილება). ინგილოური და ფერეიდნული ღირსსაცნობია ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგან მათ ბევრი ისეთი მოვლენა დაუცავთ, რომლებიც კახურში აღარ გვხვდება და იმავდროულად ზოგიც ისეთი რამ შეუძენიათ, რაც განვითარების შინაგანი ტენდენციითაა შეპირობებული. ინგილოური და ფერეიდნული ყურადღებას იქცევს სხვა, არამონათესავე ენებთან კონტაქტის შედეგების თვალსაზრისითაც, რადგან ამ დიალექტებში საკმაოდ მძლავრადაა წარმოდგენილი ინტერფერენციის პროცესი.

***

3.2. ქართლური. ქართლური არის ქართული ენის დედადიალექტი. „ქართული ენის კილოთა შორის ქართლური ყველაზე უფრო მსხვილი დიალექტური ერთეულია. მას უჭირავს საქართველოს ცენტრალური (შუაგული) ადგილი და ვრცელდება კახეთიდან იმერეთამდე, ე.ი. არაგვისა და მტკვრის ხეობიდან ლიხის მთამდე. ისტორიული ქართლი კიდევ უფრო მეტ ტერიტორიას შეიცავდა, სახელდობრ, ჩრდილოეთით —ხევსა და მთიულეთს, სამხრეთით — მესხეთ-ჯავახეთს (სამცხე-საათაბაგოს) და დასავლეთით — ზემო იმერეთს... ქართლი არაა მხოლოდ ქართლელებით დასახლებული — მათთან ერთად შიგადაშიგ სოფლებში

სახლობენ სხვა დიალექტის წარმომადგენლები: იმერლები, ნაწილობრივ გურულები და სხვები — ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში, მოხევეები, მთიულები, ხევსურები, კახელები და სხვები დუშეთის, მცხეთის, კასპის, თეთრი წყაროს და სამგორის (გარდაბნის) რაიონებში ... ბოლო ხანებში ინტენსიური დასახლება დაიწყო რაჭველებისა და იმერლებისა ბოლნისის რაიონში. გარდა ქართველებისა, ქართლში ცხოვრობენ სომხები და ებრაელები, რომლებიც მხოლოდ ქართულად მეტყველებენ, ოსები, რუსები, თათრები, ბერძნები...“ (ქართული დიალექტოლოგია).

გავრცელების ფართო ფარგლები, მოსახლეობის ნარევობა განაპირობებს იმას, რომ ქართლური მეტყველება არ არის ერთგვაროვანი: „ის შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ნაწილად (კილოკავად ან თქმად): (#291) ცენტრალური ქართლური (შუაქართლური ან შდაქართლური), დასავლური ქართლური (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მიდამოების ქართლური), ჩრდილოური ქართლური (არაგვისა და ქსნის ხეობათა ქართლური), სამხრეთული ქართლური (ქვემოქართლური)“; (გ. იმნაიშვილი).

ამრიგად, დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ქართლი იყოფა ოთხ ძირითად ნაწილად:

ა) ცენტრალური ქართლური: მცხეთა — კასპი — გორი — ქარელის რეგიონი;

ბ) ჩრდილო (ზემო) ქართლური, რომელშიც გამოიყოფა ორი თქმა: არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველება;

გ) სამხრეთ (ქვემო) ქართლური, რომელსაც შეიძლება ეწოდოს თრიალეთური კილოკავი; გამოიყოფა რამდენიმე თქმა: გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური...

დ) დასავლეთ ქართლური, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ორი თქმა: ხაშურ-სურამისა და ბორჯომის ხეობის მეტყველება.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში ქართლი გამოწვლილვითაა აღწერილი, ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ყველა ხეობა, მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები, ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები. ეს აღწერა ღირსსაცნობ მასალას იძლევა მოსახლეობის შედგენილობისა და საქართველოს სხვა მხარეთა მოსახლეობასთან ქართლელთა ურთიერთობის შესახებ, რითაც ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ქართლური მეტყველების კილოკაურ ნაირსახეობათა წარმოქმნის ახსნა.

***

I. ფონეტიკა.

ჴ სპორადულად იჩენს თავს ჩრდილო ქართლურის არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში (აიხსნება მთიულურის გავლენით); უმეტეს წილ მის ადგილს ხ იჭერს: „ერთი ნიშა ჴარი || ხარი ეყოლა“.

ჲ ქართლურში ჰ და ს ფონემების პორიციზურ ნაირსახეობას წარმოადგენს (დასტურდება ჩრდილო და ცენტრალურ ქართლურში, იპოვება ქვემოქართლურშიც; როგორც წესი, არ გვხვდება დასავლურ ქართლურში).

ჲ-ს იძლევა:

ა) მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ჰ- || ს- ნიშანი ხმოვნის მომდევნოდ: ხმოვანზე დასრულებული ზმნისწინის მომდევნოდ (გა-ჲ-ჭრი, მა-ჲ-თოხნის, გადა-ჲ-ხვეტამენ) ამ ხმოვანზე და(#292)ბოლოებულ ფორმასთან ზმნის ენკლიტიკის შემთხვევაში (ბუდე-ჲქვიან, წყალსა-ჲზიდამს, ნუ-ჲჭრი). ხშირია ჲჰ- || ჲს- შერწყმის შემთხვევები, როცა შემართვა ჲ-ს არის, დამართვა ჰ ან ს-სი (და-ჲჰ-ბარამს, და-ჲს-თესამს); გვხვდება ჲჰს-ც (შა-ჲჰს-წვდა);

ბ) მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთან („ნათელა-ჲ დაუმახე“, „ბზე-ჲ რაღა-ჲ უზამ?“). ზოგჯერ -ს ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია როგორც -ჲს — დადასტურებულია ალგეთის ხეობის მეტყველებაში: „მეფე-ჲს ძალიან ეწყინა“; გვხვდება ასეც: -ჰ || -ჲჰ: „დედა-ჲ || დედა-ჲს || დედა-ჰ || დედა-ჲჰ წამოუღია“ (თ. სალარიძე);

გ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ს ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან („ლობიო-ჲ ძირი“, „ოქრო-ჲ ბურთი“). ალგეთურში დადასტურდა -ჲს („ოქრო-ჲს ბურთი“, ნინა-ჲს-გან, ნინა-ჲს-თვინ). აქვე პარალელურად გვაქვს -ჰ || -ჲჰ. იოტიზებულ ნაირსახეობას იძლევა ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშანიც („ხემწიფ-იჲ ცოლი“); ალგეთურში მის გვერდით გვხვდება -იჲს || -იჰ || -იჲჰ (ქალ-იჲს-თვინა || ქალ-იჲჰ-თვინა... თ. სალარიძე).

დ) მესამე სუბიექტური პირის -ს ნიშანი ხმოვანი სუფიქსის მომდევნოდ (დააბრუნ-ო-ჲ „დააბრუნოს“, გაუჭირდ-ე-ჲ „გაუჭირდეს“. იოტიზებულ ნაირსახეობას იძლევა აგრეთვე მესამე პირის მრავლობითი რიცხვის -ეს ნიშანიც (დაწერ-ეჲ „დაწერეს“, გააკეთ-ეჲ „გააკეთეს“). ალგეთურში მათ პარალელურად გვაქვს -ჲს და -ეჲს (გააკეთ-ო-ჲს „გააკეთოს“, გააკეთ-ეჲს „გააკეთეს“).

ე) ჲ გვხვდება ხმოვანთგამყარად ჩრდილო ქართლურის ზემოქსნურ მეტყველებაში: გა-ჲ-ა-თხოვ-ა „გაათხოვა“ , ნა-ჲ-ავდრი „ნაავდრი“, დედა-ჲ-ა „დედაა“ (ვ. სომხიშვილი).

ვ) ქვემოქსნურ მეტყველებაში თავს იჩენს ჲ, რომელიც დაერთვის ხმოვანზე დასრულებულ ფორმას (სახელსაც, ზმნასაც, ზმნისართსაც...); რაიმე მორფოლოგიური ფუნქცია არ უჩანს — ფონეტიკურად (ინტონაციით) უნდა იყოს შეპირობებული: ხვალაჲ „ხვალ“, მცხვენიაჲ „მრცხვენია“, „წახვედი, დედაჲ (=დედა)?“ (ვ. სომხიშვილი).

ზ) ჲ-ს იძლევა ფუძისეული ს-ც (სტუმარი → ჲტუმარი); ასეთ შემთხვევებში ჲ-ს წინ უძღვის ირაციონალური ბგერა (ⷭჲტუმარი). დასტურდება ჲს ნაირსახეობაც (ჲსტუმარი, ნაჲსწავლი). გვხვდება აგრეთვე ს-ს მონაცვლე ჰ || ჲჰ || ჲჰს (ნაჰწავლი || ნაჲწავლი || ნაჲჰსწავლი); დამოწმებულია ცენტრალურ ქართლურში, ხშირია ალგეთურში (თ. სალარიძე).

თ) ზოგჯერ ჲ მიიღება რთული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად ც, ზ, შ ბგერებისაგან: როდესა-ჲ „როდესაც“, გაჲდილი „გაზრდილი“, (#293) მუჲტი „მუშტი“... პარალელურად დასტურდება სხვა ფონეტიკური ნაირსახეობანიც: მუშტი || მუსტი || მუჰტი || მუჲტი || მუჲსტი || მუჲჰტი || მუტი — აშკარა მერყეობაა, რაც ხშირად ერთსა და იმავე რეგიონში, ერთსა და იმავე თქმაში იჩენს თავს; არსებითად აქ ჩვენ გვაქვს არამდგრადი, „გარდამავალი“ ბგერა, რომელიც სხვადასხვა პირის მეტყველებაში სხვადასხვა ნაირსახეობით ისმის, რადგან მისი სხვადასხვა ელფერი სჭარბობს წარმოთქმის შესაბამისად. ჩვეულებრივ, ამგვარი მერყეობა გვხვდება ზდ, სდ, სტ, სთ, სპ, სწ, შტ კომპლექსებში როგორც ფუძეში, ასევე მორფემათა ზღვარზე; ზოგჯერ — სხვა შემთხვევებშიც: ხენწიფ-ის || -იჰ || -იჲ || -იჲჰ.

ქვემოქართლურში რეხულ მეტყველებაში თურქულენოვანი გარემოს გავლენით შეინიშნება უმლაუტიანი ä-ს გამოყენების შემთხვევები — გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში (ქäლä). რაც შეეხება უმლაუტიან ö-სა და ü-ს, ისინი შესაბამისად მიღებულია ვე და ვი კომპლექსების ცვლილებით: კვერცხი → კöრცხი, ძვირი → ძüრი (გ. იმნაიშვილი).

ზემოთ დასახელებული იყო შემთხვევები, როცა მორფემისეული ს-ს ადგილას მისი დასუსტებით მიიღებოდა ჰ მიცემითში (დედაჰ უთხრა), ნათესაობითში (ოქროჰ ბურთი, ქალიჰთვინ), მესამე პირის ფორმებში (გააკეთეჲჰ „გააკეთეს“); ჰ ცვლის ფუძისეულ ს, შ ბგერებსაც (მუჰტი „მუშტი“). ქვემოქართლურს ჰ დაცული აქვს ხმოვნის წინ აღმოსავლური ენებიდან ნასესხებ სიტყვებში: ჰარამი, ჰალალი, ჰამბავი, ჰუმი.

ქართლურისათვის მეტყველების დინჯი ტემპია დამახასიათებელი, რაც შეაპირობებს ხმოვანთა დაგრძელებას გარკვეულ პოზიციებში. როგორც წესი, ხმოვანთა დაგრძელება ხდება ერთმარცვლიან ზმნებში: „უჲსწავლელი ვāრ, შვილო“, „ერთი შვილი მყāმ“. ხმოვანი გრძელდება აგრეთვე სხვათა სიტყვის ო ნაწილაკ-მორფემოიდის დართვისას: „მეჭონეები ვāრთო“, „ორივენი ვჭāმთო“, „უბილეთო ხāრო“ (ა. ღლონტი, თ. სალარიძე). ღირსსაცნობია, რომ ქართლურში თხრობით კონსტრუქციაში გრძელდება იმ ზმნათა ხმოვანი, რომელთა მახვილიანი თუ გაგრძელებული წარმოთქმა კითხვით კონსტრუქციაში საერთო ქართული მოვლენაა: ხāრ? ჭāმს? გāქვს?...

კითხვით წინადადებაში ტონური მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე ხმოვანს, რაც მის დაგრძელებას იწვევს: ამაიტā́ნდი? გააკეთḗბდი?.. ანგარიში ეწევა ენკლიტიკას: უბილეთო-ხარ? პური არā-გაქვს?... უფრო ზუსტად: ამგვარ ფორმებში მახვილი მოუდის თავიდან მეორე მარცვალს, ხოლო ბოლოდან მეორე მარცვალი გრძელდება ტონური მახვი(#294)ლის შედეგად: ამꟾიტā́ნდი?... ენკლიტიკის შემთხვევაში: უბíლეთო-ხარ? პურí-არā-გაქვს?

ზემოთქმული სამზე მეტმარცვლიან სიტყვებს ეხებოდა (ენკლიტიკის ჩათვლით). სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოუდის თავიდან პირველ მარცვალს, გრძელდება ბოლოდან მეორე ხმოვანი: მóხვḗდი? ꟾრ-ā́რი?... ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი და ხმოვნის დაგრძელება ერთსა და იმავე მარცვალზე მოდის: გā́თბი?... ასეა ენკლიტიკის შემთხვევაშიც: რā-თქვი?..

ზემოქსნისა და არაგვის ხეობათა მეტყველებაში ტონური მახვილის შედეგად სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანი გრძელდება როგორც კითხვით, ასევე თხრობით და ძახით წინადადებებშიც: იქī́თა ზის, ეზṓსა გვის, ჩვენი ბოსტნებī́ა, ḗთერ, პური მაíტā́ნე?... ქვემოქსნურში მახვილი უკვე შესამჩნევად მერყეობს — შეიძლება შეგვხვდეს ბოლოდან მესამე მარცვალზეც: დაზძინḗბიყო (ვ. სომხიშვილი).

ფართოდაა წარმოდგენილი ასიმილაციის ზოგი სახეობა.

აე || ოე კომპლექსი ყველა პოზიციაში იცვლება ეე-დ სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე — ასიმილაცია შესაძლოა იყოს როგორც კონტაქტური, ასევე დისტანციური: წაეყვანა → წეეყვანა, წამოეყვანა → წამეეყვანა || წემეეყვანა; წავეყვანე → წევეყვანე, წაგეყვანა → წეგეყვანა (ფუძისეული ე- თავკიდურა პოზიციაში ასიმილაციას ვერ იწვევს: დაეჭვდა). სხვაობას ზოგჯერ იძლევა დასავლური ქართლური, ისიც — იმერეთის მომიჯნავე რეგიონში, სადაც რთული ზმნისწინის პირველი ხმოვანი შესაძლოა ასიმილაციას არ განიცდიდეს: წამოეყვანა → წამეეყვანა (და არა: წემეეყვანა), ზოგჯერ უცვლელია მარტივი ზმნისწინის ხმოვანიც: წაეყვანა (და არა: წეეყვანა); (გ. იმნაიშვილი). ანალოგიური ვითარებაა ბოლოკიდურა პოზიციაში: ჭალაები → ჭალეები, ქოჩორაები → ქოჩორეები... გვარისაები → გვარისეები... მამისაებრ → მამისეებრ || მამისეებ || მამისეეფ... ედავება → ედაება → ედეება, აქვაებს → აქვეებს, ანიავებს → ანიაებს → ანიეებს (გ. იმნაიშვილი, ვ. სომხიშვილი). სხვაობას იძლევა ქვემოქართლური, სადაც აე → ეე პროცესი ზოგჯერ უფრო შორს მიდის: დისიმილაციის საფუძველზე ეე → იე პროცესი ზოგჯერ უფრო შორს მიდის: დისიმილაციის საფუძველზე ეე → იე: ჭალეები → ჭალიები. მეტიც: -იებ გაიაზრება ერთიან ფორმანტად და დაერთვის თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთმარცვლიან კუმშვად სახელებსაც — კომპენსაციის ტიპიური შემთხვევაა: ცხვარ-ი → ცხვრ-იებ-ი (გ. იმნაიშვილი). ზოგ რეგიონში ეე → ე: ჭალეები → ჭალები, კიბეები → კიბები. ამოსავალი ჭალა-ებ-ი ტიპის ფორმები წარმოდგენილია ქართლიდან

გამოსული ზოგი მწერლის თხზულებებში; ასეა, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებში.

(#295)

აო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ბოლოკიდურ პოზიციაში: მუშაობს → მუშოობს, კოჭაობს → კოჭოობს.

ქართლურში ზმნური -ი და უ- პრეფიქსები, როგორც წესი, ზმისწინისეული ხმოვნის ასიმილაციას ვერ იწვევს (გაიგო, გაუგო). გამონაკლისს მეტ-ნაკლებად ქმნის დასავლური ქართლური, სადაც თავს იჩენს იმერულთან კონტაქტის შედეგი — ხდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია (გეიგო, გოუგო). უ- პრეფიქსის სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე შეუძლია ცვალოს მი-ზმნისწინისეული ხმოვანი: მიუთვლის → მუუთვლის, მიუდგება → მუუდგება, მიუტანა → მუუტანა (გ. იმნაიშვილი, თ. სალარიძე).

ლაბიალიზებულ კომპლექსთა ცვლილებანი: ვა → ო (მარცვალი→ მარცოლი, გაუსვამს → გაუსომს); ვე → ო (ქვევით→ ქოით, სადღვებელი → სადღობელი, უშვებს → უშოფს); ვი → უ || (ქვემოქართლური) ü (რასაკვირველია→ რასაკურელია, ყივილი → ყიული, წვივი → წუვი). ეს ცვლილებანი ქართლურში არასისტემური ხასიათისაა: პარალელური ვარიანტები (ვა || ო, ვე || ო, ვი || უ || ü) დასტურდება ზოგჯერ ერთი და იმავე პირის მეტყველებაში და იმავდროულად ნაირგვარი ინტენსივობისაა ქართლის სხვადასხვა რეგიონში. მაგალითად, ვა → ო ხშირია ჩრდილო და სამხრეთ ქართლურში, შედარებით იშვიათია ცენტრალურ (შუა) ქართლში და სპორადულად გვხვდება დასავლურ ქართლურში (გ. იმნაიშვილი, ო. კახიძე, თ. სალარიძე).

რეგრესიული დისიმილაციის საფუძველზე ოა → უა, ოე → უე. ცვლილება ხდება როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში; მაშინაც, როცა ეს კომპლექსები უშუალოდაა მოცემული (მოახლე→ მუახლე, მოაქვს → მუაქ; მოეტანა → მუეტანა... საღამოა → საღამუა, გიგოა → გიგუა, აბანოები → აბანუები...) და იმ შემთხვევაშიც, როცა ხმოვნებს შორის ვ სონანტია გაუჩინარებული (მოვასწარ→ მოასწარ → მუასწარ, მოვემზადე → მოემზადე → მუემზადე... მათხოვარი → მათხოარი → მათხუარი, დააჯილდოვა → დააჯილდოა → დააჯილდუა, იშოვეს → იშოეს → იშუეს, დატოვეს → დატოეს → დატუეს; გ. იმნაიშვილი, ო. კახაძე, ვ. სომხიშვილი). ეს წესი ქართლურში თანამიმდევრულად გატარებული არ არის, ამოსავალი და ფონეტიკურად სახეცვლილი კომპლექსები პარალელური ვარიანტების სახითაა წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს: ქართლურში მო-ზმნისწინი ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: საკუთრივ მო- და: მა-, რომლებიც შესაძლოა ერთსა და იმავე ფორმასთან იქნენ გამოყენებული: მოეტანა || მაეტანა; ამის გამო არის, რომ

პარალელურად ვადასტურებთ მუეტანა და მეეტანა ტიპის ფონეტიკურ ნაირსახეობებს.

(#296)

რეგრესული დისიმილაციისავე საფუძველზე ოო → უი (აწოვოს→ აწოოს → აწუოს, აძოვოს → აძოოს → აძუოს).

ქვემო (სამხრეთ) ქართლურში (ბოლნის-დმანისურ მეტყველებაში) ოე → უე პროცესი უფრო შორს მიდის: დისიმილაციის საფუძველზე მიღებული უ იშლება ვი კომპლექსად (ბაგისმიერი ბგერის მეზობლად ვ შეიძლება დაიკარგოს): აძოვებს → აძოებს → აძუებს → აძვიებს, სთხოვე → სთხოე → სთხუე → სთხვიე, იპოვება → იპოება → იპუება → *იპვიება → იპიება.

დისიმილაციას განიცდის ეა კომპლექსიც: →ია (შეაცლი→ შიაცლი, მეასე → მიასე... ტყეა → ტყია... ენკლიტიკის შემთხვევაში: მე აქ → მი აქ; გ. იმნაიშვილი). შე- ზმნისწინი ქართლურში ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: საკუთრივ შე- და: შა-, რომლებიც შესაძლოა ერთსა და იმავე ფორმასთან შეგვხვდეს: შეაცლი || შააცლი; შესაბამისად, გვექნება: შიაცლი და შააცლი.

ღირსსაცნობია სამხრეთ ქართლურში დამოწმებული შემთხვევები თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციისა: მიაქდა „მიჰქონდა“→ მიაგდა, იძახდა → იძაღდა, საყდარი → საღდარი (გ. იმნაიშვილი).

ჩრდილო ქართლურში ხშულების წინ ჰ- პირის ნიშანი → ხ- (მოჰკლავ→ მოხკლამ, მიჰქონდა → მიხქონდა, ჩამოჰგავს → ჩამოხგავ, დაჰბარავს → დახბარამს).

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია (წახდა→ წახთა, შეუჩნდა → შეუჩთა, მოკვდა → მოკვტა) სპორადულად შეინიშნება სამხრეთ და დასავლეთ ქართლურში და ქართლურისათვის დამახასიათებელ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

ქართლურში ხშირია სპირანტების დასუსტება-დაკარგვის შემთხვევები. ს → ჰ || ჲ შემთხვევების შესახებ იხ. ზემოთ. საბოლოო შედეგი დაკარგვაა: იკარგვის, მაგალითად მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ოჯახ [=ოჯახს] გაუმარჯოს), შეიძლება დაიკარგოს ფუძისეული სპირანტიც (იზრდება→ ირდება).

ამ რიგის დასუსტება-დაკარგვის პროცესი ზოგჯერ კილოკაურ ნაირსახეობებს იძლევა. მაგალითად, ზრდ- ფუძე ქართლურში რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. დასავლურ ქართლურში, ჩვეულებრივ, იკარგვის რ (გაზრდილა→ გაზდილა); ცენტრალურ ქართლურში ზ → ჲ (გაზრდილა→ გაჲრდილა, რაც საბოლოოდ იძლევა გარდილა ფორმას); ჩრდილო ქართლურში შესაძლოა მთლიანად დაიკარგოს ზრ კომპლექსი (გაზრდილა→

გაზდილა → გაჲდილა || გადილა, შდრ.: გამზრდელი → გამდელი). ასევე რეგიონების მიხედვითაა წარმოდგენილი დისტოლა || დიჰტოლა || დიჲტოლა || დიტოლა.

(#297)

ჩვეულებრივი მოვლენაა სპირანტთა მეტათეზისიც: ხსნის → სხნის, ხშირი → შხირი, დაკუზვა → დაზუკვა. ქვემოქართლურში (სოფელ ჯავახში): სუფთა → ფსუთა, გავასუფთავებ → გავაფსუთავამ (გ. იმნაიშვილი).

ჩრდილო ქართლურში ფუძისეული სონანტები ორ საპირისპირო მოვლენას გვიჩვენებენ: თანხმოვანთკომპლექსში სონანტი ან იკარგვის (ჩრდილი→ ჩდილი, თრთვილი → თთვილი → თვილი), ან მის გვერდით დასტურდება ხმოვანი (ჩირდილი, თირთვილი...).

ინტერვოკალურ პოზიციაში, ჩვეულებრივ, ვ სონანტი იკარგვის (I სუბიექტური პირის ნიშანი: მოვასწარ → მოასწარ → მუასწარ, მოვეხმარე → მოეხმარე → მუეხმარე, მოვიგე → მოიგე; შდრ.: II პირის ფორმა: მაიგე; ამიტომაც I და II პირის ფორმათა დამთხვევა აღარ ხდება... ფუძისეული ბგერა: მოვიდა → მოიდა); ვ შესაძლოა დაიკარგოს სხვა პოზიციაშიც (ვიყავ→ ვიყა, იყავ → იყა) და იმავდროულად გაჩნდეს კიდევაც (რაჭა→ რაჭვა, მზარეული → მზვარეული).

გარკვეული სისტემურობით ხასიათდება მ სონანტის გაჩენის შემთხვევები; კერძოდ, ძირითადად იგი ჩნდება ბ, დ, ძ, წ, ც, იშვიათად — ზოგი სხვა ბგერის წინაც (ბალი→ მბალი; თავის მხრივ მ-სთან ჩნდება ბ: კომლი → კომბლი — დასტურდება ქვემოქართლურში; დევი → მდევი, ძვირი → მძვირი, წევრი → მწევრი, ცხვარი → მცხვარი). ზოგჯერ მ ბგერის გაჩენას მორფოლოფიური გააზრება ედება საფუძვლად: საზღვარ-ი → სა-მ-ზღვარ-ი || სა-მ-ძღვარ-ი, ძვალ-ი → მ-ძვალ-ი, შვე-ი → მ-შველ-ი და მისთ.: მ — არ, მ — ალ, მ — ელ ცირკუმფიქსებით ნაწარმოები ფომების მიდევნებით. ეს მაშინ, როცა საკუთრივ მიმღეობისეული მ- პრეფიქსი ხშირად იკარგვის მთელს ქართლურში: მჭედელ-ი → ჭედელ-ი, მგლოვიაე → მგლოვიარე, მწველავი → წველავი. იკარგვის სახელთა მაწარმოებელი მ-ც: მდიდარ-ი → დიდარ-ი (გ. იმნაიშვილი).

სისტემურობით ხასიათდება ნ ბგერის გაჩენის შემთხვევებიც: იგი თავს იჩენს გ, დ, ძ, ჭ და ზოგი სხვა ბგერის წინ: ეგრე → ენგრე, იგლოვა → ინგლოვა, ხმიადი → ხმიანდი, ჭადარი → ჭანდარი, იძრა → ინძრა, დაკუჭა → დაკუნჭა. გვაქვს ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციის შემთხვევებიც: ცალკე → ცალკენ (გ. იმნაიშვილი). იმავდროულად ნ ხშირად იკარგვის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კაუზატივის მაწარმოებელი -ინ, რადგან ამ ფორმანტში ნ სონანტის დაკარგვა-შემონახვის შემთხვევები კილოკაურ სხვაობას იძლევა: დასავლურ ქართლურში ნ, ჩვეულებრივ, იკარგვის (გა-ა-კეთ-ებ-ი-ა

„გააკეთებინა“), ქართლურის სხვა კილოკავებში უპირატესად შენარჩუნებულია (გა-ა-კეთ-ებ-ინ-ა). იმ დროს, როცა ნ ძირშიც იპოვება, სხვაობა ასეთ სახეს (#298) იღებს: დასავლურ ქართლურში იკარგვის კაუზატივის სუფიქსისეული ნ (შე-ა-ტან-ინ-ა — შე-ა-ტან-ი-ა), სხვა კილოკავებში, პირიქით, იკარგვის ძირისეული ნ (შე-ა-ტან-ინ-ა —შე-ა-ტა-ინ-ა || შა-ა-ტა-ინ-ა). ანალოგიური ვითარებაა -ევინ მაწარმოებლის შემთხვევაშიც: და-ა-ჭრ-ევინ-ა → და-ა-ჭრ-ევი-ა (დასავლურ ქართლურში) || და-ა-ჭრ-ეინ-ა (ვ სონანტის დაკარგვით — ქართლურის სხვა კილოკავებში).

ჩნდება რ სონანტიც უპირატესად თ, ძ, ს, ჟ და ზოგი სხვა ბგერის წინ (ხმელეთი→ ხმელერთი, ღვიძლი → ღვირძლი, ფესვი → ფერსვი, მაჟალო → მარჟალო და მისთ.).

ქართლურში ფართოდაა გავრცელებული სონანტთა სუბსტიტუციის შემთხვევები; ამ რიგისაა, მაგალითად მ : ნ მონაცვლეობა ერთსა და იმავე პოზიციაში: ზამთარი → ზანთარი, და საპირისპიროდ: სანთელი → სამთელი; მტერი → ნტერი და: ინტერესი → იმტერესი; ემსახურება და: განსხვავებული → გამსხვავებული; დამწიფდება → დანწიფდება → ენსახურება და: განწყობილება → გამწყობილება.

ასევე ხშირია ვ : მ სუბსტიტუცია: ვიწრო → მიწრო, სავსე → სამსე, დამავიწყდა → დამამიწყდა; ბ : მ შენაცვლება: ამხანაგებს → ამხანაგემს, ყარაულებს → ყარაულემს და მისთ. (გ. იმნაიშვილი, ვ.ს ომხიშვილი). ეს მოვლენა ნიშანდობლივია მთელი ქართლურისათვის, ოღონდ ნაკლებად იჩენს თავს დასავლურ ქართლურში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თემის ნიშნისეული თანხმოვნის სუბსტიტუციის შემთხვევები.

სუბსტიტუცია ამ დროს ხდება მხოლოდ თანხმოვნისა და პაუზის წინა (ბოლოკიდურ) პოზიციაში (ხმოვნის წინა პოზიციაში სუბსტიტუცია გამოირიცხება).

-ავ → -ამ: თეს-ავ-ს → თეს-ამ-ს, თეს-ამ-დ-ა (მაგრამ: თეს-ვ-ა), და-ჲჭ-ბარ-ავ-ს → და-ჲჭ-ბარ-ამ-ს, და-ჲჭ-ბარ-ამ-დ-ა (მაგრამ: ბარ-ვ-ა). -ავ → -ამ ხდება I შედეგობითშიც, ოღონდ აწმყო-მყოფადის ფორმათაგან მის გასარჩევად იკარგვის მესამე სუბიეტური პირის ნიშანი: და-უ-მალ-ავ-ს → და-უ-მალ-ამ-ს ის მას მას (მყოფადი), მაგრამ: და-უ-მალ-ავ-ს → და-უ-მალ-ამ მას ის (I შედეგობითი); მასდარი: და-მალ-ვ-ა. I შედეგობითის ფორმათა ანალოგიურად იქცევა -ავ თემისნიშნიანი სტატიკური ზმნებიც: ს-ძინ-ავ-ს → (ს)-ძინ-ამ.

ითქვა, რომ ხმოვნის წინა პოზიციაში ვ დაცულია: მალ-ამ, მალ-ამ-ს, მაგრამ: მალ-ვ-ა. ვ დაცულია იმ შემთხვევაშიც, როცა ხმოვნის წინა პოზიციიდან,

მეტათეზისის გამო, თანხმოვნის წინა პოზიციაში აღმოჩნდება: ვ-ხნ-ამ, ხნ-ამ-ს, მაგრამ: ხვნ-ა (← ხნ-ვ-ა), ი-ხვნ-ებ-ა.

-ავ → -ამ ხდება მაშინაც, როცა -ავ უნიფიკაციის საფუძველზე ანალოგიით დაერთვის უთემისნიშნო ზმნებს (გამო-წერ-ს→ გამოი-ჲ-(#299)წერ-ავ-ს — გამო-ჲ-წერ-ამ-ს, გლეჯ-ს → გლეჯ-ამ-ს || გლიჯ-ამ-ს) ან ცვლის სხვა თემის ნიშნებს (ი-ყიდ-ი-ს→ ი-ყიდ-ავ-ს → ი-ყიდ-ამ-ს, უ-ზრდ-ი-ს → უ-ზარდ-ავ-ს → უ-ზარდ-ამ-ს... ბოლო შემთხვევაში გამოყენებულია ნამყო ძირითადის ფუძე). მასდარში, ხმოვნის წინა პოზიციაში, ჩვეულებრივ, გვექნება ვ (წერ-ვ-ა, გლეჯ-ვ-ა, ყიდ-ვ-ა).

ამავე პოზიციაში იცვლება ფუძისეული ვ სონანტიც (ჰ-გავ-ს→ ჰ-გამ-ს, უ-შავ-ს → უ-შამ-ს, მო-ჰ-ყავ-ს → მო-ყამ-ს).

ღირსსაცნობია, რომ ანალოგიურ პოზიციაში -ამ → -ავ (სვ-ამ-ს→ სვ-ავ-ს, დგ-ამ-ს → დგ-ავ-ს, წა-ა-სხ-ამ-ს → წა-ა-სხ-ავ-ს).

-ებ → -ემ: ა-კეთ-ებ → ა-კეთ-ემ, ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს, ა-კეთ-ემ-დ-ა; მაგრამ: ა-კეთ-ებ-ენ || ა-კეთ-ემ-ენ, გა-უ-კეთ-ებ-ი-ა, გა-კეთ-ებ-ა, გა-კეთ-ებ-ულ-ი... -ებ → -ემ უპირატესად ჩრდილო ქართლურს ახასიათებს. ზოგჯერ -ებ → -ევ (ე-უბნ-ებ-ა→ ე-უბნ-ევ-ა), მაგრამ ეს უკვე სულ სხვა რიგის მოვლენაა.

-ევ → -ემ: ა-პნევ-ს → ა-პნემ-ს, ა-პნ-ემ-დ-ა; მაგრამ: მო-პნევ-ა; ა-ძლევ-ს → ა-ძლემ-ს, ა-ძლემ-დ-ა; მაგრამ — ვნებითი: ი-ძლევ-ა.

-ობ → -ომ: ჯეჯილ-ობ-ს → ჯეჯილ-ომ-ს, ჯეჯილ-ომ-დ-ა. ზოგჯერ ომ → -ოვ: ტრაბახ-ობ-ს → ტრაბახ-ომ-ს → ტრაბახ-ოვ-ს; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით -ობ თემის ნიშანი უფრო მდგრადია — ჩვეულებრივ, გვხვდება: ატყობს, აცხობს, მოქმედობს.

დასავლურ ქართლურში, იმერეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე ყრუ თანხმოვნისა და პაუზის წინა (ბოლოკიდურ) პოზიციაში -ებ → -ეფ, -ობ → -ოფ (აკეთებს→ აკეთეფს, აწყობს → აწყოფს), რაც საერთო ქართული მოვლენაა. თავისებურება ისაა, რომ -ეფ, -ოფ შენარჩუნებულია სხვათა სიტყვის -ო მორფემოიდის წინაც (აკეთეფო, აწყოფო).

სამხრეთ ქართლურში უნიფიკაციის პროცესი უფრო შორს მიდის: აქ -ამ ცვლის არა მხოლოდ -ავ, არამედ -ებ და ზოგჯერ -ობ თემის ნიშნებსაც: აკეთამს „აკეთებს“, აბარამს „აბარებს“, ატყავამს „ატყავებს“... ფიქრამს „ფიქრობს“, ქეიფამს „ქეიფობს“, გებულამს „გებულობს“. იმავდროულად -ებ → -ემ უმარცვლო ძირის ზმნებთან: იგემს „იგებს“, იღემს „იღებს“, აგდემს „აგდებს“ (ვ. თოფურია). -ობ თემისნიშნიანი ზმნები -ამ ფორმანტის პარალელურად დაირთავენ -ომ ფორმანტსაც: ფიქრომს, ცხოვრომს, კოჭლომს... ასე რომ, -ამ და -ემ (-ებ-ის ნაცვალი) თემის ნიშნები განაწილება ზმნის ფუძის სტრუქტურით ჩანს

შეპირობებული, ხოლო -ობ-ის მონაცვლე -ამ და -ომ ოდენ ვარიანტების სახითაა წარმოდგენილი. -ებ, როგორც წესი, დაცულია ხმოვნის წინა პოზიციაში; შდრ.: „იყვნენ ერთნი ცოლ-ქმარნი. კერძ ვერ ა-კეთ-ამ-დ-ნენ. ამ ცოლმა უთხრა: წადი ჩვენებთანაო. მივიდა თავიანთა და უთხრა თავის სიდედრსა: კერძის გა-კეთ-ებ-ა არ იცითო?“ (#300) (ქართული დიალექტოლოგია). ღირსსაცნობია ამ მხრივ კაუზატივის ფორმები: ა-კეთ-ებ-ინ-ამ-ს „აკეთებინებს“ — პირველი -ებ ხმოვნისწინა პოზიციაში დაცულია, მეორე -ებ → -ამ თანხმოვნისწინა (ასევე: პაუზისწინა) პოზიციაში (ვ. თოფურია). ანალოგიური ვითარებაა -ობ-ის გამოყენებისას.

დასავლურ ქართლურში, მესხეთ-ჯავახეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე თავს იჩენს თემისნიშნისეული თანხმოვნის ნაზალიზაციის ტენდენცია ზემოხსენებულ პოზიციებში: მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს → მალ-ან-ს, მალ-ან-დ-ა: ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს ან: ა-კეთ-ამ-ს → ა-კეთ-ან-ს (მაგრამ უმარცვლო ძირის მქონე ზმნებთან მხოლოდ -ენ შეიძლება იყოს: ა-ღ-ებ-ს — ა-ღ-ემ-ს → ა-ღ-ენ-ს), ცხოვრ-ობ-ს → ცხოვრ-ომ-ს → ცხოვრ-ონ-ს. ცვლილება ხდება მაშინაც, როცა თემის ნიშნით ფორმდება წარმოშობით უთემისნიშნო ზმნები: წერ-ს → წერ-ავ-ს → წერ-ამ-ს → წერ-ან-ს. ცვლილება ამავე პოზიციაში მოსდის ძირისეულ ვ, მ თანხმოვნებსაც: გამო-ს-წევ-ს → გამო-ს-წემ-ს → გამო-ს-წენ-ს, და-ღამ-დ-ა → და-ღან-დ-ა, ჰ-ყავ-ს → ყამ-ს → ყან-ს, ყან-დ-ა. თუმცა ამ რეგიონში ეს პროცესი თანამიმდევრულად მაინც არ არის გატარებული და სადაც არის, მესხურ-ჯავახურის შემონატანი ჩანს. ანალოგიური ვითარება სპორადულად სხვა შემთხვევებშიც წარმოჩნდება: სავსე → სამსე (იხ. ზემოთ) → სანსე, დამავიწყდა → დამამიწყდა (იხ. ზემოთ) → დამანიწყდა, ბოლომდი → ბოლონდი.

ამდენად, სუბსტიტუციის ზემოთ დასახელებული ყველა შემთხვევა წმინდა ფონეტიკური მოვლენაა და მოქმედებს თანხმოვნის ან პაუზის წინა (ბოლოკიდურ) პოზიციაში განურჩევლად იმისა, ცვლადი თანხმოვნები ძირისეულია თუ სახელადი, ზმნური ან მიმღეობური ფორმანტების კუთვნილება (მრავლობითობის -ებ, ვ- პირის ნიშანი, თემის ნიშნები, მ- პრეფიქსი...).

გვაქვს შემთხვევები, როცა თანხმოვანთა კომპლექსები ერთმანეთის საპირისპირო მონაცვლებას გვიდასტურებენ; მაგალითად, შტ → სტ (მუშტი→ მუსტი) და იმავდროულად სტ → შტ (სტვირი→ შტვირი), ან: სკ → შკ (ფასკუნჯი→ ფაშკუნჯი) და: შკ → სკ (ჩაშკა→ ჩასკა). რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში ჩკ → ჭკ (ბოჩკა→ ბოჭკა, ვანიჩკა → ვანიჭკ; ო. კახაძე); ბოლო შემთხვევაში რეგრესულ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე (იგივე ფორმები დასავლეთ საქართველოს დიალექტებში უპირატესად პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე იცვლებიან: ბოჩქა, ვანიჩქა).

აფრიკატიზაციის ორი ტენდენციაა ნიშანდობლივი: ა) ხშულისა და სპირანტის შერწყმით (წუთში→ წუჩი, წელიწადს → წელიწათს → წე(#301)ლიწაც,

გვერდზე → გვერძე); ბ) სონანტის მეზობლად აფრიკატიზაციას განიცდის სპირანტი (წელზე→ წელძე, სოფელში → სოფელჩი).

დეზაფრიკატიზაციის ტიპიური შემთხვევებია: ოცდაერთი → ოძდაერთი (რეგრესული ასიმილაციით) → ოზდაერთი, არჩივი → არშივი.

ბრძანებით კილოში ჩვეულებრივია ზმნის ცვეთა — ბოლოკიდური მარცვლის მოკვეცა: მაიყვა! „მოიყვანე“, გაიქე! „გაიქეცი“, მიე! „მიეცი“ დააყე! „დააყენე“. რა თქმა უნდა, ყველა ზმნა ამნაირად არ იკვეცება. უპირატესად ბოლოკიდურ მარცვალს კარგავს „მოყვანა“, „მოცემა“ და აგრეთვე მოძრაობის (გადაადგილების) სემანტიკის გამომხატველი ზმნები.

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი დაერთვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებსაც: სუფრა-ი, ლობიო-ი, დრო-ი. უპირატესად მაშინ, როცა სახელი წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაშია: „რო გაითოხნება,მიწა სუ უნდა ამოყარო, მიყრილი რო აქს მიწაი, მაშინ კაი ძირ იკეთებს“ (ქართული დიალექტოლოგია). -ი დაერთვის მასდარებსაც (გაშენება-ი, მოკრეფა-ი); აგრეთვე: გაარსებითებულ ზედსართავებს (პატარა-ი, ცოტა-ი), თანდებულს (ხალხითვინა-ი), ნაწილაკ-მორფემოიდს (კაციცა-ი), ზმნისართს (აქა-ი, ეხლა-ი, ხვალა-ი), შორისდებულს (აბა-ი). უ ხმოვანზე დაბოლოებული სახელები სახელობით ბრუნვაში პარალელური ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი: რუ-ი || რუვ-ი, ღრუ-ი || ღრუვ-ი; გვხვდება რუ, ღრუ, სახითაც.

სამხრეთ ქართლურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან -ი დაერთვის, ჩვეულებრივ, საკუთარ ან მასთან გატოლებულ სახელებს: დათა-ი, ილიკო-ი, პავლე-ი... დედა-ი „დედაჩემი“, მამა-ი „მამაჩემი“, ნათლია-ი „ნათლიაჩემი“.

ქართლურში ასეთ პოზიციაში სახელობითის -ი არასდროს გადადის ჲ-ში; შდრ.: „ნაჩხეტსა დასვენებულ მიწაჲ (=მიწას) ვეძახით. არი ყამირი, გაუტეხელი მიწაი (=მიწა)“; (ქართული დიალექტოლოგია).

საკუთარ სახელებში (გიორგი, აკაკი) ფუძისეული -ი გააზრებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად (მოთხრობითში: გიორგ-მა, აკაკ-მა). უმეტეს წილ კი საკუთარი სახელები კნინობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაწარმოებელია -ა, რომელსაც დაერთვის სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი: გიორგ-ა-ი.

(#302)

იმავდროულად ქართლურში ბრუნვის ნიშნის გარეშე შეიძლება შეგვხვდეს თვით თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელიც: „მწვანილ უნდა ამაიტანოს“, „სუ ოხშივარ აჲდის“, „პურ გვშიან“ (ო. კახაძე, თ. სალარიძე).

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად -მა გვხვდება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც უპირატესად მაშინ, როცა პოზიციით მავრცობი ხმოვნის პოვნიერება ივარაუდება: „ ი ცხვარი გაანახევრა იმ დამა“, „დაიცა, ერთა შამაუტიოჲ (=შემოუტიოს) სიცივემა“ (ქართული დიალექტოლოგია).

მიცემითი ბრუნვის -ს და ნათესაობითი ბრუნვის -ის || -ს ნიშნები ყოველთვის დაცულია მავრცობი ხმოვნის წინა პოზიციაში; სხვა შემთხვევებში ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის (იხ. ზემოთ): „ფშა-ს-ა აქვ სათავე. რუვი გადმაივლის, მოვა ღარი (=ღარის) სათავემდინა. მანდ წყალ (=წყალს) ბერღარი უდევ. აქვე გადასაგდები აქვ ფიცრ-ის-ა. საწორავიცა-ჲქვიან მაგა-ს-ა, წყალ (=წყალს) გზაჲ (=გზას) რო შაუცვლის...“ (ქართული დიალექტოლოგია). გამონაკლისია სამხრეთ ქართლური, სადაც მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი იკარგვის მავრცობი ხმოვნის წინა პოზიციაშიც: „სახლ-ა (=სახლსა) ვგვიდი“, „ფერად-ფერად ტანსაცმელ-ა (=ტანსაცმელსა) თხოულობს“, „იმ ხალხ-ა (=ხალხსა) სძინამთ“ (გ. იმნაიშვილი, თ. სალარიძე). აქ რომ მართლაც -ს ბრუნვის ნიშანია დაკარგული, ამაზე პარალელური ფორმების პოვნიერება მიგვანიშნებს: „ხალხ-ა || ხალხ-ს-ა სძინამთ“.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ლოკატივის ფუნქციით: „ქალაქ-ს ვიყა“ || „ქალაქ ვიყა“. ამ დანიშნულებით გამოიყენება -ა სუფიქსიანი ფორმებიც: „ქალაქ-ა ვიყა“ — უპირატესად სამხრეთ ქართლურში (თ. სალარიძე); ორი შესაძლებლობაა: ქალაქ-ა ← ქალაქ-ს-ა ან ქალაქ-ად (თუ აქ ლოკატივის უძველესი ფორმანტი არაა შემორჩენილი; შდრ.: ძირ-ა, პირ-ა და მისთ.).

ჩრდილოეთ ქართლურში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები ვერ კვეცენ -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს და არც თითონ რედუცირდებიან: რკინა-ის-ა, რკინა-ით-ა (თუმცა საკმაოდ ხშირად გვხვდება რკინ-ის-ა, რკინ-ით-ა ტიპის ფორმებიც).

სპორადულად თავს იჩენს -ივ სუფიქსიანი წარმოება: ერთხმივ, გაღმივ, უეცრივ, სიგრძლივ, გურგლივ, თხლივ (=თხლად), უსვენებლივ, თანდათანობლივ და მისთ. -ლ ელემენტი ზოგ ფორმაში სუფიქსისეულია (უ-სვენებ-ელ-ი → უსვენებლ-ივ), სხვა შემთხვევებში — ფუძისეული ჩანს.

წოდებითში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ო-ს ადგილას გვაქვს -ოჳ (ო-ს შემართვითა და ჳ-ს დამართვით): კაცოჳ, (#303) ქალოჳ და სხვა. -ა ხმოვანზე დაბოლოებულ ორზე მეტმარცვლიანი საკუთარი სახელები წოდებითში შეკვეცილადაა წარმოდგენილი: მაყვალ! მანან! ნათელ! (გ. იმნაიშვილი, ო. კახაძე).

მავრცობი -ა ხმოვანი ძირითადად ორ პოზიციაში გვხვდება: ა) პაუზის წინ („აადუღემს რძე-ს-ა“, „გაწურულ დო-ს-ა / უზამთ მარილ-ს-ა“, „მატყლ-ით-ა / შალებსა-ვქსოვდით“); ბ) ენკლიტიკის დროს („კერამენ ტყავებ-ს-ა-და ქუდებსა“, „მატყლითა/ შალებ-ს-ა-ვქსოვდით“, „ძალიან-ა-ცხელა“). მავრცობი ხმოვანი არ გვხვდება, თუ მის მომდევნოდ ზმნას ეპოვება ზმნისწინი ან ხმოვანი პრეფიქსი („თიხას დაჲზელამენ“, „თიხას იზელამენ“); ამ დროს მავრცობი ხმოვანი დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ მის შემდგომ პაუზაა, დაყოვნებაა მეტყველებისას: „საკრამიტე თიხა-ს-ა / დაჲზელამენ კარგა...“ (თ. ზურაბიშვილი).

მავრცობი -ა მოუდის: მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვის ნიშნებს (კაც-ს-ა, კაც-ის-ა, კაც-ოთ-ა, კაც-ად-ა → კაც-ათ-ა), პირის ნაცვალსახელებს (ის-ა, იმან-ა), ზმნისართებს (შემდეგ-ა, ხვალ-ა, ისევ-ა, ყოველწლივ-ა), კავშირს (რომ-ა).

თუმცა გვაქვს ისეთი მნიშვნელობებიც, როცა მოსალოდნელი მავრცობი ხმოვანი შესაბამის პოზიციაში არ იპოვება: „სახრეები უჭირამ მეხრეებ-ს“.

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში ფუძეუკვეცელ სახელებთან -ა მავრცობი ხმოვნის ადგილს რომ -ი იჭერს (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი), ეს საერთო ქართული მოვლენაა. ყურადღებას ის იქცევს, რომ -ი შესაძლოა ფუძეკვეცად და თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც იქნეს გამოყენებული: კაც-ის-ი, კაც-ით-ი... ხ-ის-ი, ხ-ით-ი... (გ. იმნაიშვილი, ლ. ნოზაძე). ხშირად არის ეს -ი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ ზმნისართებში: დილ-ით-ი, წინა-თ-ი (თ. სალარიძე).

-ვით თანდებული დაერთვის სახელობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს. სახელობითში შეიძლება დაერთოს ხმოავნზე ფუძედაბოლოებულ სახელსაც: ბუ-ი-ვით; ნათესაობითის ფორმაზე დართვის შემთხვევებია: იმ-ის-ა-ვით-ა, კაც-ის-ა-ვით-ა, ვაშლ-ის-ა-ვით-ა (ო. კახაძე, თ. სალარიძე).

ფართო გავრცელებისაა -ებრ, რომელიც უმეტესად ფონეტიკურად ცვლილი სახითაა წარმოდგენილი: თქვენსა-ებრ → თქვენსე-ებ || თქვენსე-ეფ, კაცისა-ებრ — კაცისე-ებ || კაცისე-ეფ. როგორც წესი, დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის მავრცობიან ფორმას.

-თვის წარმოდგენილია -თვი || -თვინ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით), იშვიათად -თუნ ან -თუს, აგრეთვე -ტვინ სახით (ეს უკა(#304)ნასკნელი უპირატესად ნაცვალსახელებთან გვხვდება): იმითვი || იმითვინ(ა)|| იმითუნ || იმიტვინ(ა).

-ში და -ზე თანდებულები ხშირად გართულებულია -და სუფიქსით: წისქვილ-შიდა, ვაკე-ზედა. იმავდროულად -შიდა → -შია: წისქვილ-შია.. ქსნის ხეობაში ადგილის ზმნისართებთან -ზე გამოიყენება -კენ თანდებულის დანიშნულებით (აღნიშნავს მიმართულებას): აქეთზე „აქეთკენ“, ზეითზე „ზევითკენ“. იგივე -ზე ერთ-

ი ფორმასაც დაერთვის — იხმარება ვითარებითი გარემოების ფუნქციით: ერთაზე „ერთად“ || „ერთიანად“ (ვ. სომხიშვილი).

გამოსვლითობა გამოიხატება -ით-გან → იდ-გან (|| -იდ-ან) დაბოლოებით: რაჭ-იდ-გან, იქ-იდ-გან, იმ დღ-იდ-გან (გ. იმნაიშვილი). ცენტრალურ და ჩრდილო ქართლურში დასტურდება -იდამ დაბოლოებაც: ქალაქ-ი-დამ, დილ-ი-დამ (ო. კახაძე). ჩრდილო ქართლურში გამოსვლითობა შესაძლოა გამოხატოს უთანდებულო მოქმედებითმაც (არქაული ვითარება).

ნათესაობითზე დართული -გან ზოგჯერ რთულდება -ით ფორმანტით: იმ-ის-გან-ით → იმ-იზ-გან-ით, რასაც შემდგომ შესაძლოა ისევ დაერთოს -გან თანდებული: იმ-იზ-გნ-ით-გან →იმ-იზ-გნ-იდ-ან. ანალოგიურია თქვენგნით || თქვენგნიდან (გ. იმნაიშვილი).

მიწევნითობა გამოიხატება -მდი || -მდინ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით) || -მდის და კონტამინირებული მდისინ (|| -მდისი) თანდებულით.

ჩრდილო ქართლურში, კერძოდ, არაგვის ხეობაში -კენ თანდებული გვხვდება -ყენ || -ყე სახითაც: აქათყენა „აქეთკენ“, კახეთისყე „კახეთისკენ“ (გ. იმნაიშვილი). ჩვეულებრივ, დასტურდება -კენ || -კე.

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება.

ძირითადი მაწარმოებელია -ებ. იმავდროულად გვხვდება -ნ || -თ(ა) განსაზღვრულ შემთხვევებში: რიცხვითი სახელით წარმოდგენილ მსაზღვრელ-საზღვრულში (ორნი დანი, ცხრანი ძმანი), ტოლად შერწყმულ თხზულ სახელებში (მამა-პაპანი); გარდა ამისა, -ნ||-თ(ა) სუფიქსებით ფორმდება ოჯახის (გვარის) სახელები: ტუხა → ტუხა-ან-ნ-ი, მერაბ-ან-ნ-ი; პარალელურად გამოიყენება -ებ სუფიქსიც: ტუხა-ან-ებ-ი. სხვა ბრუნვებში: ტუხაან-თ || ტუხაან-ებ-ს, ტუხაან-თ-ი || ტუხაან-ებ-ის. ამ წესს მიჰყვება მრავლობით რიცხვში პირის ნაცვალსახელიც: იმაან-თ „იმათ“, იმაან-თ-ი „იმათი“ (ო. კახაძე). ჩრდილო ქართლურში ანალოგიური ვითარებაა, ოღონდ -ნ || -თ ფორმანტის წინ -იან არის გამოყენებული: გურამ-იან-ნ-ი, გურამ-იან-თ, გურამ-იან-თ-ი. აქვე ამგვარი წარმოება თავს იჩენს საზოგადო სახელებშიც კრებითობის გამოხატ(#305)ვისას: ქალ-იან-ნ-ი, ქალ-იან-თა... ნეფ-იან-ნ-ი, ნეფ-იან-თა (გ. იმნაიშვილი).

-ნ || -თ(ა) სუფიქსიანი წარმოება ძლიერ მერყეობას განიცდის: ამ სუფიქსებით გაფორმებულმა სახელებმა შეიძლება ისევ დაირთონ იგივე სუფიქსები (სხვა-ნ-ა-ნ-ი, ცხრა-ნ-ი-ვე-ნ-ი, ორ-თა-ვე-ნ-ი) ან დაირთონ -ებ სუფიქსი (ორ-თა-ვ-ებ-ი || ორ-თა-ვ-ნ-ებ-ი, თავაან-თ-ებ-ი „თავისიანები“); შესაძლოა პირიქითაც მოხდეს: -ებ სუფიქსიანი სახელი გართულდეს -ნ ფორმანტით (ტოლ-ებ-ნ-ი „ტოლები“). -ნ || -თ(ა) სუფიქსიან ფორმებს ზოგჯერ დაერთვის ბრუნვის ნიშნებიც (ორი-ვე-ნი, ორი-ვე-ნ-მა, ორი-ვე-ნ-

ს, ორი-ვე-ნ-ის... ორ-თა-ვე-ნ-ი, ორ-თა-ვე-ნ-მა, ორ-თა-ვე-ნ-ს... ქალიან-ნ-ი, ქალიან-თ-ს-ა... ცოლეურ-ნ-ი, ცოლეურ-თ-ს-ა...; გ. იმნაიშვილი, ო. კახაძე).

მრავლობითი რიცხვის ფორმანტები სიტყვათწარმოებითი დანიშნულებითაც გამოიყენება. არსებითად ამ დანიშნულებისაა ეს ფორმანტები თავაან-თ-ებ-ი, ცოლეურ-თ-ს-ა, ცოლის-ებ-ი, თავის-ებ-ი... ფორმებში. სიტყვათწარმოებითი ფუნქცია აქვს -ებ ფორმანტს ამ შემთხვევაშიც: „ძვირები მიჯდება“, „მე წიგნისე-ებ-ი არა ვიცი“ (=წიგნის ამბები), „ეს კაკლები ძუძასე-ებ-ი-ა }} ძუძა-ან-თ-ი-ა“, „სკამები ჩემი მზითვისე-ებ-ი-ა“ (ო. კახაძე).

-ებ → -ეფ პაუზის ან ყრუ თანხმოვნის წინა პოზიციაში (კაც-ებ-ი, კაც-ებ-მა, მაგრამ: კაც-ეფ-ს || კაც-ეფ), რაც საერთო ქართული მოვლენაა.

გ) ზმნა. მთელს ქართლურში თავს იჩენს თემისნიშნიან წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია: წერ-ს →წერ-ავ-ს, გრეხ-ს → გრეხ-ავ-ს || გრიხ-ავ-ს (თემის ნიშანთა ფინეტიკური ნაირსახეობების შესახებ იხ. ზემოთ).

დასავლურ ქართლურში, იმერეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე სპორადულად გვაქვს ნამყო უსრულში -ავ || -ამ- → -ევ || -ემ ცვლილების შემთხვევები: ხნავ-ს → ხნევ-დ-ა, თესამ-ს → თესემ-დ-ა... ეს მოვლენა სრულიად უცხოა ქართლურისათვის და იმ რეგიონშიც უპირატესად ისმის ქართლში დასახლებულ იმერელთა მეტყველებაში.

გრძნობა-აღქმის გამომხატველი -ი სუფიქსიანი ინვერსიული ზმნები მთელს ქართლურში -ან პირის ნიშნითაა წარმოდგენილი: ს-წყურ-ი-ან, ჰ-ში-ან, ე-შინ-ი-ან, უ-ხარ-ი-ან, ს-ცხვენ-ი-ან; მრავლობითში: ს-წყურ-ი-ან-თ, ე-შინ-ი-ან-თ. ანალოგიით ამგვარი წარმოება ვრცელდება ს-წერ-ი-ან, ჰ-კიდ-ი-ან, ს-ჯობ-ი-ან ტიპის ფორმებზეც (გ. იმნაიშვილი, ლ. ნოზაძე).

მო- და შე- ზმნისწინების პარალელურად დასტურდება მა- და შა-, რომელთა განაწილება გარკვეულ კანონზომიერებას გვიჩვენებს: მო(#306)ვიტანე || მოიტანე, მაგრამ: მაიტანე, მაიტანა... მამიტანა, მაგრამ: მოგიტანა...

ჩვეულებრივია პირდაპირი (უშუალო) ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად და- ზმნისწინის გამოყენება: გაატიტვლა ბალღი, მაგრამ: დაატიტვლა ბალღები, ასევე: გააკეთა ურემი, მაგრამ: დააკეთა ურმები.

ზემოქსნურში თავს იჩენს ერთი თავისებური მოვლენა: აწმყოს ფორმებზე ზმნისწინის დართვით შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მიმართულება: „სად გადა-ყრ-ი (=ყრ-ი) მაგ მიწას, თვალები არა გაქ?“ ან: „ერთი შეხედე, როგორ და-ყრ-ი-ს (=ყრ-ი-ს) ხეებსა“ (ვ. სომხიშვილი). ძველი ქართულისებური ვითარებაა, ოღონდ ძველი ქართულისაგან განსხვავებით იგივე ფორმები (შესაბამის კონტექსტში) მყოფადის ფუნქციითაც შეიძლება იყოს გამოყენებული.

ჩრდილო ქართლურში (ზემოქსნურსა და არაგვულში) შეინიშნება ხოლმეობითს ფორმები: გამა-ჲ-რეკ-დ-ი-ს, ა-დ-ემ-დ-ი-ს „ადებდა ხოლმე“, გვ-ა-კუთნ-ებ-დ-ი-ს (I ხოლმეობითი); და-ვ-ი-ლოც-ი, და-ი-ლოც-ი, და-ი-ლოც-ი-ს; ვ-ი-ყვ-ი, ი-ყვ-ი, ი-ყვ-ი-ს (II ხოლმეობითი). ხოლმეობითები (მაგალითად, იყვის) განგრძობითობასაც გამოხატავენ ზოგჯერ. ამ რიგის წარმოება მოშლის გზაზეა, ხოლმეობითის ფორმები უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში ისმის (გ. იმნაიშვილი, ვ. სომხიშვილი).

ნამყო ძირითადში -ე სუფიქსიანი ზმნები I და II პირის ფორმებში რთულდება — თავს იჩენს -ევ-ი → ე-ი დაბოლოება: ვ-ნახ-ევ-ი || ვ-ნახ-ე-ი, ნახ-ევ-ი || ნახ-ე-ი (ვ. თოფურია). ამგვარი ფორმები ქსნის ხეობაში არ შეინიშნება.

-ევ-იანი ზმნები ნამყო ძირითადში, ჩვეულებრივ, ინარჩუნებენ -ავ დაბოლოებას: ავარჩივე, აარჩივა; დავლივე, დალივა (ვ. თოფურია).

ნამყო ძირითადში ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითი რიცხვის ფორმებში წარმოჩნდება -ენ (→ -ნ) სუფიქსი: და-ვ-ი-ზარდ-ენ-ი-თ, და-ი-ზარდ-ენ-ი-თ, და-ი-ზარდ-ნ-ენ... შე-ვ-ე-ხვეწ-ენ-ი-თ, შე-ე-ხვეწ-ენ-ი-თ, შ-ე-ხვეწ-ნ-ენ. მესამე პირის ფორმებში პოვნიერი ნ-ენ ერთიან სუფიქსად იქნა გააზრებული და ანალოგიით გავრცელდა სხვა ფორმებსა და პარადიგმებში (ა. შანიძე): გა-თბ-ნენ, და-შ-რ-დ-ნენ. ნამყო უსრული: ზრდ-ი-დ-ნენ, ი-ზრდ-ებ-ოდ-ნენ. -ნენ დამკვიდრებულია ცენტრალურ და სამხრეთ ქართლურში, ხოლო ჩრდილო და დასავლურ ქართლურში მის პარალელურად გამოიყენება (და ზოგჯერ უპირატესობაც ენიჭება) -ენ სუფიქსი. დასავლურ ქართლურში ვნებითის -ენ (→-ნ) სუფიქსიანი ფორმებიც ნაკლები სიხშირით იხმარება და-ვ-ი-ზარდ-ე-თ, და-ი-ზარდ-ენ ჩვეულებრივია, და-ვ-ი-ზარდ-ენ-ი-თ, და-ი-ზარდ-ნ-ენ — შედარებით იშვიათი.

(#307)

ვნებითის ხსენებული ფორმები II კავშირებითში უპირატესობას -ე ფორმანტს ანიჭებენ: და-ვ-ი-ზარდ-ნ-ე-თ „დავიზარდოთ“, და-ი-ზარდ-ნ-ე-ნ „დაიზარდონ“. წარმოების პრინციპი ძველი ქართულისებურია, გავრცელებულია მთელს ქართლურში (დასავლეთ ქართლურის გარდა).

კავშრებითში -ე თავს იჩენს „ყოფნა“ ზმნასთანაც: ვ-ი-ყვ-ე, ი-ყვ-ე, ი-ყვ-ე-ს; ვ-ი-ყვ-ნ-ე-თ, ი-ყვ-ნ-ე-თ, ი-ყვ-ნ-ე-ნ.

დასავლურ ქართლურში, უპირატესად იმერეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე შეინიშნება II კავშირებითის მაწარმოებლად -ო ფორმანტის გავრცელების ტენდენცია: მო-ჭრ-ო-ს, მო-ჭრ-ო-ნ; მი-ს-ც-ო-ნ, შე-ხვდ-ო-ნ, ი-დგ-ო-ნ, მო-ვიდ-ო-ნ (გ. იმნაიშვილი).

შეინიშნება თხრობითი და ბრძანებითი კილოს ფორმათა გარჩევის შესაძლებლობა მეორე სუბიექტური პირის ნიშნის მქონებლობა-უქონლობით: ჩაჲჰყარე, გაჲსტეხე (თხრობითი) — ჩაყარე! გატეხე! (ბრძანებითი); (თ. სალარიძე).

ჩრდილო ქართლურში თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის დანიშნულებით გამოიყენება მყოფადის კავშირებითის ფორმები: და-ა-რიგ-ებ-დ-ე.

I შედეგობითს -ავ და -ამ თემისნიშნიანი გარდამავალი ზმნები ორგვარად იწარმოებენ: შენარჩუნებულია თემის ნიშნები (და-უ-კლ-ამ-ს || და-უ-კლ-ამ, შე-უ-ნახ-ამ-ს || შე-უ-ნახ-ამ; -ავ → -ამ და პირის ნიშნის მოკვეცის შესახებ იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“); თანდათან კი სულ უფრო ვრცელდება -ი სუფიქსიანი წარმოება (მო-უ-კვლ-ი-ა, შე-უ-ნახ-ი-ა).

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითშივე -ი სუფიქსიანი წარმოებისას უთემისნიშნო ზმნები, ჩვეულებრივ, დაირთავენ -ნ სუფიქსს (უ-ჭამ-ნ-ი-ა, უ-ჩეჩ-ნ-ი-ა, და-უ-გრეხ-ნ-ი-ა); ამავე სუფიქსს დაირთავენ ის ზმნები, რომლებიც I შედეგობითში თემის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი — საყრდენად იღებენ II სერიის ფუძეს (უ-ლოც-ნ-ი-ა, უ-სწავლ-ნ-ი-ა); შესაძლოა -ნ სუფიქსი და თემის ნიშანი მონაცვლეობდეს (გა-უ-ტაც-ნ-ი-ა || გა-უ-ტაც-ებ-ი-ა); ზოგჯერ ამ რიგის შენაცვლება განასხვავებს მდგომარეობითსა და მოქმედებითი გვარის ზმნებს (თამაშობ-ს→ უ-ტამაშ-ნ-ი-ა, მაგრამ: ა-თამაშ-ებ-ს → უ-თამაშ-ებ-ი-ა).

ეს -ნ სუფიქსი თავს იჩენს გარდამავალ ზმნათა II შედეგობითშიც (გე-ე-ტაც-ნ-ა, ე-ყიდ-ნ-ა). -ნ სუფიქსის მქონებლობა-უქონლობა განარჩევს II შედეგობითს ე-პრეფიქსიან ზმნა ნამყო ძირითადისაგან (დე-ე-ხოც-ნ-ა II შედეგობითია, დე-ე-ხოც-ა — ნამო ძირითადი: (#308) „მტრები დეეხოცნა“ და: „მშობლები დეეხოცა“). ანალოგიურად სხვაობს II და III კავშირებითის ფორმები.

ერთ- და ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების II შედეგობითის ფორმათა წარმოება უნიფიცირებულია — მეშველზმნიანია: დამდგარიყო —დაჲდგომიყო „დასდგომოდა“, ჩამოკიდებულიყო — ჩამოჰკიდებიყო „ჩამოჰკიდებოდა“... სხვაობას იძლევა დასავლური ქართლური, სადაც ორვალენტიან გარდაუვალ ფორმებში მეშველზმნიანი წარმოების გვერდით თავს იჩენს -ოდ სუფიქსიც: დასდგომოდა, ჩამოჰკიდებოდა.

შეინიშნება ვნებითის ორმაგი (პრეფიქს-სუფიქსური) წარმოების შემთხვევები: დე-ე-ძინ-დ-ებ-ა, შე-ე-ნან-დ-ებ-ა, მე-ე-წონ-დ-ებ-ა, მე-ე-წყინ-დ-ებ-ა, გე-ე-ცინ-დ-ებ-ა (გ. იმნაიშვილი, ვ. სომხიშვილი).

შეუზღუდავად იწარმოება ვნებითის კაუზატიური ფორმები: დე-ე-ჭერ-ინ-ებ-ა, გე-ე-ლახ-ვ-ინ-ებ-ა (-ინ სუფიქსიანი); ე-კვლ-ევინ-ებ-ა || ე-კვლ-ეინ-ებ-ა, „შენ არ შა-გ-ე-ბმ-ეინ-ებ-ა, გაგიჟდება კამეჩი“ (-ევინ სუფიქსიანი).

ქართლურში ზმნას ახასიათებს ზოგი არასისტემური მოვლენაც, რომლებიც დიალექტურ თავისებურებათა საერთო სურათს ავსებენ:

„მბობა“ ზმნასთან ნამყო ძირითადში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ა გვაქვს: უ-ამბ-ა;

მნიშვნელობით „მოდიოდა თურმე“ გამოიყენება მო-დენ-ილ-ა ზმნა *შდრ.: მონავალა);

„არგუნებს“ ფორმის ნაცვლად გვაქცვს ა-რგ-ენ-ს, ნამყო ძირითადში: ა-რგ-ინ-ა;

ზმნები „უგდებს“, „უპასუხებს“ ი- პრეფიქსითაა წარმოდგენილი: „ყურს იგდებს“, „იპასუხებს“;

ი-ც-ი-ს ზმნა გამოიყენება ობიექტური წყობითაც: გ-ი-ც-ი-ს, გვ-ი-ც-ი-ს („ღმერთმა ნუ გიცის“).

იპოვება მ-ი-ნ-ა, გ-ი-ნ-ა, უ-ნ-ა (= მინდა, გინდა, უნდა);

სამხრეთ ქართლურში „ზის“ ფორმის ნაცვვლად იხმარება ჯდ-ა-ს (მრავლობთში: ჯდ-ი-ან || ჯდ-ან-ან).

ზემოქსნურში დასტურდება ყრ-ი-ს „ყარს“, ჩნ-ი-ს „ჩანს“ ფორმები; ნამყო უსრულში: ყრ-ოდ-ა, ჩნ-ოდ-ა (ვ. სომხიშვილი).

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. ქართლურში ფართოდაა გავრცელებული *ნდე ფუძის შემცველი მიმათითებელ-დამაზუსტებელი მოდალური ფორმა (ზმნისართული წარმოშობისა), რომელიც სიშორე-სიახლოვეს ა-, ე- და ი- ხმოვან-პრეფიქსებით განასხვავებს: ანდე „აი აქ“, ენდე „აი მაქ“, ინდე „აი იქ“ (გ. იმნაიშვილი, ო. კახაძე); შდრ. საერთო ქართული: მანდ(ა).

(#309)

ჩრდილო ქართლურში განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებით განირჩევა -ღა ნაწილაკ-მორფემოიდი: გამოხატავს ალბათობას (მოვიტანთღა? „მოვიტანთ კი || კიდევ მოვიტანთ?“ თუღა გერგება რამე? „კიდევ თუ გერგება რამე?“), მიახლოვებითობა-მიმსგავსებას (კვდებაღა ის უბედური, ისე მუშაობს „ლამის კვდება...“). ზოგჯერ -ღა, ასევე: ზოგი სხვა მორფემოიდიც გაორმაგებულია —მაშინ, როცა ერთ-ერთი მორფემოიდი ფუძისეულად გაიაზრება (რაი-ღა-ზე-ღა, ასევე: ისე-ვე-ვე); (ვ. სომხიშვილი).

ზემოქსნურში „ხოლმე“ ნაწილაკ-მორფემოიდი შემასმენლის წინ დაისმის: „ის ხოლმე წავიდოდა“, „ნუ ხოლმე იცი ეგეთი ლაპარაკი“ (ვ. სომხიშვილი).

ე) სიტყვათწარმოება. დასავლურ ქართლურში უფროობითი ხარისხის ფორმები უ — ე ცირკუმფიქსით იწარმოება: უ-ხნ-ე „უხნესი“. ძველი ქართულისებური

მოვლენაა. ქართლურში მისი პოვნიერება იმერულის გავლენას მიეწერება (გ. იმნაიშვილი).

„სადმე“, „არსად“, „ვერსად“ გამოიყენება დროის ზმნისართების დანიშნულებით: „ოღონდ მოიყვანე სადმე (=ოდესმე) ჩვენსა-მეთქი“, ჯავაში არსად (=არასდროს) ყოფილხარ?“, თბილიში (=თბილისში) ვერ ჩავედი ვერსადა (=ვერასდროს)“... შეინიშნება ჩრდილო და ცენტრალურ ქართლურში (ლ. ნოზაძე).

აბსტრაქტულ სახელებში -ება: -ობა შენაცვლებაა: ბედნიერ-ობა, ქვეყნიერ-ობა... ანალოგიურად: მხიარულ-ობა, თქმულ-ობა...

-იერ სუფიქსს ცვლის -იარ: გონ-იარ-ი, ღონ-იარ-ი, მშ-იარ-ი, მშვენ-იარ-ი...

სასუბიექტო მიმღეობებსა და ხელობის გამომხატველ სახელებში ერთმანეთს ენაცვლება მე-, მო- და მა-: მეჩხუბარი || მოჩხუბარი, მეომარი ||მაომარი... მონადირე || მენადირე, მენახშირე || მონახშირე...

ნამყო დროის საობიექტო მიმღეობაში მოსალოდნელი -ილ სუფიქსის ნაცვლად დასტურდება -ულ: მო-ტან-ულ-ი „მოტანილი“, მო-ყვან-ულ-ი „მოყვანილი“, გადმო-ცვენ-ულ-ი „გადმოცვენილი“... ზოგიერ ფორმაში -ულ სუფიქსის პოვნიერება შეიძლება აიხსნას იმით, რომ საყრდენ ზმნაში -ავ თემის ნიშანია (ნაცვლად ნულისა და სხვა თენის ნიშნისა): ჰ-კიდ-ავ-ს → და-კიდ-ულ-ი, გა-ი-ტაც-ავ-ს → გა-ტაც-ულ-ი (შდრ.: გა-ტაც-ვ-ა), ბად-ავ-ს → და-ბად-ულ-ი, ჩა-ჰ-ყუდ-ავ-ს → ჩა-ყუდ-ულ-ი, გა-ზარდ-ავ-ს „გაზრდის“→ გა-ზარდ-ულ-ი. ღირსსაცნობია, რომ „დაწვავს“ ზმნისგან იწარმოება მორფოლოგიურად კანონზომიერი და-წვ-ულ-ი „დამწვარი“ ფორმა (იპოვებოდა ძველ ქართულშიც).

(#310)

ფართოდაა გავრცელებული კნინობითის ფორმები, რომლებიც -ა სუფიქსით იწრმოება: ქვევრ-ა-ი, ბოთლ-ა-ი, ცოლ-ქმარ-ა-ი. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საკუთარ სახელთა კნინობითის ფორმები; მაგრამ უმეტესად ამგვარი წარმოების ფორმებს კნინობითობის ფუნქცია დაკარგული აქვს (ვ. თოფურია, ო. კახაძე, გ. იმნაიშვილი).

ხშირი გამოყენებისაა მასუბსტანტივებელი -ა: ტიტველ-ა, ცარიელ-ა, ჩარექ-ა... ამ რიგის ფორმები ხელახალი გააზრების საფუძველზე შესაძლოა ისევ ატრიბუტებად (მსაზღვრელებად) იქნეს გამოყენებული: ტიტველა კაცი, ცარიელა პური, სამი ჩარექა ღვინო.

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ატრიბუტული მსაზღვრელი მიცემითის ფორმით ეხამება საზღვრულს მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში, ნათესაობითის ფორმით — ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (შავ-ს ცხენ-ს || ცხენ-ად, შავ-ის ცხენ-ის || ცხენ-ით); შემდეგ: სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობისას (რაც საკმაოდ ხშირია ქართლურში) ჩვეულებრივია სახელობით ბრუნვაში შეთანხმება (უფროს-ი ოჯახ-ის-ა-ი, ხეებ-ი კაკლ-ის-ა-ი...), რაც შენარჩუნებულია შედგენილ შემასმენელშიც (ხეებ-ი კაკლ-ის-ა-ი-ა „ხეები კაკლისაა“; ა. ღლონტი).

წერაქვ-სიონურ და რეხულ თქმებში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი: დიდ-ი ძმა, ძმამ, ძმას, ძმის... ძმასავით, ძმასთან...., რაითაც ეს თქმები მთელი ქართლურისაგან გამოირჩევა (გ. იმნაიშვილი).

სახელობით ბრუნვაში მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები თანხმოვნით ნაწილს იკვეცენ: „გაათენა ი (= ის) ღამე“. „ე (=ეს) კაცი ხმას არ იღებს“. ანალოგიური ვითარება ზოგჯერ სხვა ბრუნვებშიც იჩენს თავს: „თქვა ი (= იმ) კაცმა“... „ეს“ ჩვენებით ნაცვალსახელს სხვა ბრუნვებში შეესაბამება „ემ“: „თქვა ემ (= ამ) კაცმა“, „ემ კაცს სამი შვილი ჰყვანდა“.

ბ) ჩვეულებრივია სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: „ხალხი წავიდნენ“, „სოფელი აყრილან, გასახლებულან“; „დედ-მამა ნახამდნენ“, „ცოლ-ქმარმა უთხრეს“.

მრავლობითში დასმულ უსულო საგანს ზმნა რიცხვში ეთანხმება: „ვენახები ყოფილან“, „ეკლესიები იყვნენ“, „ქვევრები ამოჩნდებიან“...

(#311)

მრავლობითი რიცხვის ზმნური ფორმანტები შესაძლოა დაირთოს: წოდებითის ფორმამ („ბიჭებოთ, ხომ იცით!..“), სახელადმა შესიტყვებამ („თქვენი ჭირიმეთ“)...

გ) მოთხრობით ბრუნვაში დასმული სახელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან — უპირატესად მაშინ, როცა გარდაუვალ ზმნასთან ერთად კონსტრუქციაში გარდამავალი ზმნაც იპოვება: „დაბრუნდა ჯარისკაცმა და უთხრა“, „ადგა ბიჭმა, ახსენა ღმერთი“, „მივიდა ამ ბიჭმა, სანთელი უნდა აანთოს“; ზოგჯერ — დამოუკიდებლადაც: „ამ ქალმა შეეხვეწა“. ძირითადად ესაა აქტიური სემანტიკის გამომხატველი ფორმობრივ გარდაუვალი ზმნები.

სამხრეთ ქართლურში, წერქვ-სიონურ და რეხულ თქმებში, მოთხრობით ბრუნვაში დასმული სახელი გამოიყენება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნების სამივე სერიის ფორმებთან: კაცმა მუშაოფს, იმუშავა, უმუშავნია... კაცმა ელაპარაკება, ელაპარაკა, დალაპარაკებია... აიხსნება ეს სხვა ენობრივი (სომხურ-

აზერბაიჯანული) წრის გავლენით (გ. იმნაიშვილი). სომხურსა და აზერბაიჯანულს მოთხრობითი ბრუნვა არ გააჩნია, მაგრამ სომხებისა და აზერბაიჯანელების ქართულ მეტყველებაში მოთხრობითი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მათი დედაენის სახელობითი ბრუნვის ბადლად. იმ რეგიონის ქართველთა მეტყველებაში სწორედ ეს მოვლენა იჩენს თავს.

დ) ქსნის ხეობის მეტყველებაში გრძნობა-აღქმის ზმნებთან რეალური სუბიექტი შეიძლება დაისვას მიცემით ბრუნვაში (ინვერსიულ ზმნებთან პოვნიერი სუბიექტის მსგავსად): „უმცროს დას (=უმცროსი და) დაინტერესდა“ (ვ. სომხიშვილი).

ე) ჩრდილოეთ ქართლურში დაპატიჟა, ასწია, ჩამოკრა ზმნები ობიექტს მართავენ მიცემით ბრუნვაში: „დაჲპატიჟა ხალხსა“, ჩამაჲკრეს მესამე ზარსა (=ზარი), „აჲწივა (=ასწია) ამ ხენწიფის სახლსა (=სახლი) მღვდელმა“ (გ. იმნაიშვილი).

ვ) ქსნის ხეობის მეტყველებაში შეინიშნება ერთი თავისებური მოვლენა: შემასმენლებით შერწყმულ წინადადებაში სემანტიკურად და გრამატიკულად ირიბი ობიექტი ეხამება ერთ შემასმენელს, მაგრამ კონსტრუქციულად დაკავშირებულია მეორე შემასმენელთან: ხენწიფემ დაიბარა ამ ბიჭს და უთხრა „ხელმწიფემ დაიბარა ეს ბიჭი და უთხრა ამ ბიჭს“, დედამ მოიყვანა თავის შვილს და შეეკითხა „დედამ მოიყვანა თავისი შვილი და შეეკითხა თავის შვილს“ (ვ. სომხიშვილი).

ზ) „როცა“ და „რომელიც“ კავშირები, ჩვეულებრივ, რთულდება „რომ(ა)“ კავშირით: „როცა რომ ის მონადირე დაბერდა, არა-ჲყვანდა ამას შვილი“, „იმ ბერს ყამდა ორი ირემი, რომელიც რო თავისთავათ იწველებოდნენ“ (გ. იმნაიშვილი).

(#312)

„თუ“ კავშირის თავისებური გამოყენების შემთხვევა: „შეეკითხა უფროს ძმას თუ: შენ რა იცი?“ ამგვარ კონსტრუქციებში „თუ“ წინ უძღვის პირდაპირ ნათქვამს, ხოლო სხვათა სიტყვის ნაწილაკ-მორფემოიდები არ გამოიყენება (გ. იმნაიშვილი, თ. სალარიძე).

***

3.3. კახური. ქართლურის შემდეგ კახურს არსებითი წვლილი მიუძღვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. კახურის თავისებურებანი უხვად აისახა ისტორიულ საბუთებში, რაც შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ ამ დიალექტის განვითარებას რამდენიმე საუკუნის მანძილზე. გარდა ამისა, ინგილოური და ფერეიდნული ისტორიულად კახურის განაყოფი დიალექტებია, ეს კი ღირსსაცნობ მასალას იძლევა დიალექტური დიფერენციის შესასწავლად.

კახეთი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელ მონაკვეთს — ივრისა და ალაზნის აუზებს. უძველეს ხანაში „კახეთი“ ეწოდებოდა შედარებით უფრო მცირე

ტერიტორიას (ივრის ზემო წელს თიანეთსა და უჯარმას შორის), ადრეულ ფეოდალურ ხანაში კახეთი მოიცავდა თიანეთის, თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიწა-წყალსაც, VIII საუკუნის მიწურულიდან კახეთი თანდათანობით განივრცო კუხეთისა (არაგვისა და მტკვრის ხეობების ტერიტორია ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე) და ჰერეთის შემოერთებით.

მიუხედავად ასეთ ფართო ტერიტორიაზე გავრცელებისა, კახური მეტყველება შედარებით ერთგვაროვანია. კახურში სამი კილო-კავი გამოიყოფა: გარეკახური, შიგნიკახური, და ქიზიყური. ამათგან მეტი თავისებურებების პოვნიერებით ქიზიყური გამოირჩევა (ზოგჯერ ამას დამოუკიდებელ დიალექტადაც მიიჩნევდნენ).

კახეთი საქართველოს იმ კუთხეთაგანია, რომელსაც მრავალგზის განუცდია სხვადასხვა ჯურის მომხდურთა გამანადგურებელი თავდასხმები, რბევა და აოხრება. ზოგჯერ გადაშენების ზღვრამდეც მისულა, მკვიდრი მოსახლეობა ათასობით აყრილა ან ძალით გადაუსახლებიათ, მათ ნაცვლად კი „უცხო თესლის ველურები ჩამოუსახლებიათ“. მიუხედავად ამისა, „კახეთი ყოველთვის აღმდგარა და კახურ კილოსაც ყოველთვის დაუცავს ერთიანობა და მთლიანობა და სხვა კილოთა და მით უმეტეს სხვა ენათა ძლიერი გავლენა არასდროს არ განუცდია“ (ქართული დიალექტოლოგია).

კახეთში მრავლად სახლობენ სხვა ქართულ კილოთა წარმომადგენლები: იმერლები, რაჭველები, ფშაველები, ხევსურები, მთიულები, რო(#313)მელთაც კომპაქტური დასახლების ტერიტორიებზე ძირითადად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი კილოური ნიშან-თვისებანი, განთესილი დასახლებისას კი კახურ მეტყველებაზე არიან გადასული. კახეთში ცალკეული „ენობრივი კუნძულაკების“ სახით წარმოდგენილია რუსული, აზერბაიჯანული, ოსური, ბერძნული, უდური, ბაცბური (წოვა-თუშური), ქისტური მეტყველებაც. სახლობენ სომხებიც (ძირითადად ქალაქ ადგილას), რომლებიც მხოლოდ ქართულად (კახურ კილოზე) მეტყველებენ. ბაცბები (წოვა-თუშები) და ქისტები თავისუფლად ფლობენ ქართულ ენას. ქართული მეტ-ნაკლებად გაეგებათ კახეთში მოსახლე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებსაც.

როგორც აღინიშნა, ამჟამინდელი კახეთი მოიცავს ისტორიული კუხეთის, ჰერეთისა და საკუთრივ კახეთის ტერიტორიებს.

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული გადმოცემით, ჰერეთი წილხვდომილია მითიური თარგამოსის რვათაგან (ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს) ერთ-ერთი (მეექვსე) შვილისა: „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი“. იმავე ლეგენდით, ქართლოსის ხუთ შვილთაგან (მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს, გაჩიოს) ორს წილად ხვდა კაეხთი და კუხეთი: „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჳან რუსთავი, მისცა არაგჳთგან ვიდრე ჰერეთამდე... მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა. ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგჳთგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა...“

კახეთი ვრცლად აქვს აღწერილი ვახუშტი ბატონიშვილს. იგი ცალ-ცალკე გამოყოფს კუხეთს, ჰერეთსა და საკუთრივ კახეთს: „ხოლო ქუეყნისა ამის სახელნი არიან სამნი: რამეთუ ჰერეთი ეწოდა თარგამოზის ძის ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თჳთა შორის წილად ხუდა ქუეყანა ესე და დაიპყრა საზღვარი თჳსი... ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსისა, რამეთუ, შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქუეყანა“.

კახეთის საზღვრებად ვახუშტის დასახელებული აქვს: „აღმოსავლით მთა კავკასი; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, თუდო-შტორის ჴევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგჳ და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ-შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე“. ესაა (#313)საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელიც შემდგომ დანაწევრდა და „აწ უწოდებენ ფშავ-ჴევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს-ჴევს, პანკისის ჴეობას, საყდრიონს და ალიონს“.

კუხეთის საზღვრებად ვახუშტი ასახელებს: „აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულადმდე; დასავლით მტკუარი და არაგჳ, ჩდილოთ კგივე მთა კახეთისა. და ამათ-შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძემის ჴევს... კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის ჴევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯუარს ქუეითს, სამჴრის კერძს, ეწოდა გარდაბანად, არამედ შემდგომად კჳრიკემ, დაიპყრა რა ჰერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ჰერეთს აქუნდა თჳსივე სახელი მოუსპელი“.

ვახუშტის თხზულების მიხედვით, ჰერთს უწოდებდნენ „გაღმა მჴარს, ელისენსა, შიგნით კახეთს, ქისიყს და გარეთს-კახეთს“.

შემდგომ კი (ივარაუდება — XV საუკუნიდან) „მოისპო სახელი ჰერეთისაცა“ და მას შემდეგ მთელი ეს მხარე იხსენიება კახეთად; „და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამჴრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი და კუალად ხაზი მტკურამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა... და მწარე წყალს ქუეით — მტკუარი და ჩდილოთ — მთა კავკასივე. და მდებარეობს ქუეყანა ესე სიგრძით ჩდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე“.

კახეთის მკვიდრთ ვახუშტი ასე ახასიათებს: „კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მზგავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩუეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი“.

ქართლთან მჭიდრო სიახლოვე, მართლაც, ხელშესახებად იჩენს თავს კახურ მეტყველებაში: იგულისხმება ქართლური და კახური დიალექტებისათვის ნიშანდობლივი საერთო ენობრივი ტენდენციები, რაც მრავლად ვლინდება ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის სფეროში.

(#315)

***

I. ფონეტიკა.

კახურ კილოკავთაგან მხოლოდ ქიზიყურში იპოვება ჴ (უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში) და აქაც ძლიერ მერყეობს: ა) ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთი და იგივე სიტყვა ხან ჴ-თი გამოითქმის, ხან ხ-თი: ჴმა || ხმა, ჴელი || ხელი, მჴარი || მხარი... ბ) ხშირად ჴ ისმის იქ, სადაც იგი ისტორიულად არ ივარაუდება და, პირიქით, არა გვაქვს იმ ფორმებში, სადაც ძველი ქართულის მიხედვით მისი მქონებლობაა საგულვებელი (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ჳ გვხვდება იმ პოზიციაში, სადაც ძველ ქართულშივე იყო: სჳამს, აქჳს, შეხჳდა, ასჳლა „ასვლა“... გარდა ამისა, ვ-ს ნაცვლად ჳ შესაძლოა შეგვხვდეს თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (ქჳა), ხმოვნის მეზობლად თავკიდურა (ჳეტყვი, ჳიტყვი...) და ბოლოკიდურა (დააბაჳ „დააბამ) პოზიციებში (არნ. ჩიქობავა). დასტურდება ვ|| ჳ || უ მონაცვლეობა ერთსა და იმავე პოზიციაში: ღვთისნიერი || ღჳთისნიერი || ღუთისნიერი, შვაღამე || შჳაღამე || შუაღამე, გაფცქვენი || გაფცქჳენი || გაფცქუენი...

ჲ კახურში წარმოდგენილია როგორც ჰ და ს ბგერების რეფლექსი — ჩვეულებრივ, ხმოვნის მომდევნოდ.

კერძოდ, ჲ გვაქვს:

ა) მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური ჰ- || ს- პირის ნიშნის ნაცვლად ორ შემთხვევაში: ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის მომდევნოდ (გამოჲცდები „გამოსცდები“, მიჲყავ „მიჰყავს“) და ხმოვანზე გაბოლოებულ ფორმასთან (სახელთან, ზმნისართთან, ნაწილაკ-მორფემოიდთან ზმნის ენკლიტიკის დროს (დედა-ჲყავ „დედა ჰყავს“, პურსა- ჲჭამენ „პურს ჭამენ“, იქა-ჲყავ „იქა ჰყავს“, არა-ჲთქვა „არ თქვა“). ხშირად ამ პოზიციაში წარმოდგენილია ჲჰ- || ჲს- რთული ბგერა, რომელსაც შემართვა ჲ-სა აქვს, ხოლო დამართვა ჰ-ს ან ს-სი (დაჲჰკარ „დაჰკარი“, დაჲსწვები „დაწვები“), შედარებით იშვიათად გვხვდება ჲშ- და ჲზ- (დაჲშჭერ „დაჭერი“, გაჲზდევ „გასდევს“).

ბ) მხოლოობითი რიცხვის მესამე სუბიექტური -ს პირის ნიშნის ნაცვლად, როცა მის წინ ხმოვანი სუფიქსია (უდგაჲ „უდგას“, ეკუთვნიჲ „ეკუთვნის“, აშენებდეჲ „აშენებდეს“, ააშენოჲ „ააშენოს“).

გ) მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ეს ნიშნისეული -ს ელემენტის ნაცვლად (დააყენეჲ „დააყენეს“, წაიყვანეჲ „წაიყვანეს“, დაიწყეჲ „დაიწყეს“).

(#316)

შევნიშნავთ: მესამე პირის ნიშნისეული ჲ ზოგ თქმაში (ქვემო ბოდბე, ქვემო მაჩხაანი) შეგვხვდება ხმოვნის წინაც: იყოჲო „იყოსო“, წავიდეჲო „წავიდესო“, გააკეთეჲო „გააკეთესო“, თუმცა ამ პოზიციაში, როგორც წესი, -ს დაცულია (ა. მარტიროსოვი -გ. იმნაიშვილი).

დ) მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის ნაცვლად (დედაჲ „დედას“, ქვეყანაჲ „ქვეყანას“, ნინოჲ „ნინოს“); ასეთივე მდგომარეობაა თანდებულის დართვისასაც (დედაჲთან „დედასთან), ნაწილაკთანაც (დღეჲვე „დღესვე“).

ე) ნათესაობითი ბრუნვის -ს ნიშნის ნაცვლად ფუძეუკვეცელ სახელებთან (კალოჲ გასალეწათ „კალოს გასალეწად“); ანალოგიური ვითარებაა თანდებულის დართვის შემთხვევაშიც (კალოჲთვინ „კალოსთვის“).

ვ) ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშნისეული -ს ელემენტის ნაცვლად (ფეტვიჲ გაფენა „ფეტვის გაფენა“, პურიჲ ჭამა „პურის ჭამა“, რკინიჲ კარი „რკინის კარი“, გზიჲ პირაჲ „გზის პირას“); იგივე მდგომარეობაა თანდებულის დართვის დროსაც (იმიჲთვინ „იმისთვის“, რიჲთვინ „რისთვის“, მეზობლიჲგან „მეზობლისგან“). საერთოდ კი, -ის → -იჲ შედარებით იშვიათად დასტურდება. ჩვეულებრივ, ამ შემთხვევაში -ს იკარგვის.

ზ) ფუძისეული ს ელემენტის ნაცვლად (იჲ ქალი „ის ქალი“, დაიჲწავლა „დაისწავლა“, ბოჲტანი „ბოსტანი“).

თ) ჲ ენაცვლება ზ, შ, ც ბგერებს (იჲდება „იზრდება“, გაჲდილი „გაზრდილი“, მუჲტი „მუშტი“, მაჲ „მაშ“, დღესაჲ „დღესაც“, ისიჲ „ისიც“, რასაჲ „რასაც“, ოჲდაერთი „ოცდაერთი“; ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი). ზოგჯერ ზ, შ, ც → ჲ გაშუალებულია ს- საფეხურით: „რა ვი, შვილო, ტაჲტია (=ტაშტია) თუ რაღაცა, ტასტი არა-ჲქვიან?“ (ქართული დიალექტოლოგია); ანუ: ტასტი || ტაჲტი.

ჲ-ს პოვნიერება ზემოხსენებულ პოზიციებში ერთ-ერთი ძირითადი და ფართოდ გავრცელებული წესია კახურში. მიუხედავად ამისა, პარალელრად არცთუ იშვიათად იპოვება ფონეტიკურად უცვლელი ფორმები: წაიყვანეჲ || წაიყვანეს, თქვეჲ || თქვეს... პარალელური ვარიანტები შესაძლოა შეგვხვდეს ერთსა და იმავე ტექსტში: იჲ (= ის) წაუკიდა. ძმებმა იქიდან გამაიხედეს და დაინახეს (და არა მოსალოდნელი: გამაიხედეჲ, დაინახეჲ) ცეცხლი (=ცეცხლის) შუქი თავიანთ ეზოში, თქვეჲ (= თქვეს): უთუოდ მტერი მოსულა ჩვენ (=ჩვენს) ეზოშიო“ (ქართული დიალექტოლოგია).

სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე აე → ეე როგორც თავკიდურა (აეტანა→ ეეტანა, წაეღო → წეეღო), ასევე ბოლოკიდურა (#317) პოზიციაში (რაღაცაები→ რაღაცეები, დასაებრ → დასეეფ). ასიმილაცია ხდება მაშინაც, როცა აე კომპლექსი თანხმოვნით არის გათიშული (ამეტანა→ ემეტანა, გავეყარე → გევეყარე, გადაეკიდა → გედეეკიდა, გაგეცინა → გეგეცინა... იმუშავებს → იმუშაებს [ვ-ს ჩავარდნით] → იმუშეებს...). რთული ზმნისწინის შემთხვევაში მა- წინსართის

ხმოვანი ყოველთვის განიცდის ასიმილაციას, ხოლო მისი წინამავალი ხმოვანი კი შესაძლოა იცვალოს სრული დისტანციური რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (ამაეტანა→ ემეეტანა, წამაეღო → წემეეღო), მაგრამ ხშირად უცვლელი რჩება (ამაეტანა→ ამეეტანა, წამაეღო → წამეეღო).

სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იცვლება აგრეთვე აო და ეო კომპლექსები (→ ოო); ცვლილება ხდება ფუძისეული ან სუფიქსისეული ა და ე ხმოვნების შეხვედრისას სუფიქსისეულ ო ხმოვანთან: მუშაობს → მუშოოფს, მონაწილეობს → მონაწილოოფს.

ზმნური უ- პრეფიქსი სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლის მხოლოდ მი- ზმნისწინისეულ ხმოვანს: მიუტანა → მუუტანა, მიუჯდა → მუუჯდა, მიულოცა → მუულოცა.

რეგრესული დისიმილაციით ოა → უა როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში: მოახლე → მუახლე, მოართვა → მუართვა, ამოაშენა → ამუაშენა... შაქროა → შაქრუა. ცვლილებას ზოგჯერ წინ უსწრებს ბგერის დაკარგვა: მოვა → მოა → მუა, დატოვა → დატოა → დატუა. ცვლილება ხდება ენკლიტიკის შემთხვევაშიც: საჭირო არის → საჭიროა → საჭირუა, რო აბამ → რუ აბამ, ხო არ → ხუ არ.

ანალოგიურად ოე → უე: პოეტი → პუეტი, მოველ → მოელ → მუელ... კალოები →კალუები, საკალოე → საკალუე, დატოვე → დატოე → დატუე. მო- ზმნისწინი ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: საკუთრივ მო- და მა-; პირველ შემთხვევაში ე-პრეფიქსთან შეხვედრისას ოე → უე დისიმილაციით (მოეტანა→ მუეტანა), მეორე შემთხვევაში — აე → ეე სრული ასიმილაციით (მაეტანა→ მეეტანა), რაც უფრო ხშირია.

რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე იცვლება ეა → ია: ეალერსება → იალერსება, შეამჩნევს → შიამჩნევს... ადრეა → ადრია, იგრეა → იგრია, უარზეა → უარზია (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

სპორადულად თავს იჩენს ოო → უო დისიმილაციაც: თხოვოს → თხოოს → თხუოს.

ვა → ო უფრო ხშირია ბოლოკიდურა პოზიციაში: სვამს → სომს, დასვა → დასო, შეუშვა → შაუშო. ხდება სიტყვის ფუძეშიც: ხვავი → ხოვი (არნ. ჩიქობავა).

(#318)

იშვიათია ვე → ო: დაჩვეული → დაჩოული, ჩვეულებრივ → ჩოულებრივ, ნაკვერჩხალი → ნაკორჩხალი.

არის რამდენიმე შემთხვევა, როცა ო → ვა: საბანაოდ → საბანავათ, ხორბალი → ხვარბალი (თუ აქ ამოსავალი ფორმა არ არის დაცული); ანალოგიურად ო → ვე: იმდონი (რომელიც „იმდენი“ და „იმტოლი“ ფორმათა კონტამინაციით ჩანს მიღებული) → იმდვენი || იმთვენი || იმტვენი (ა. მარტიროსოვი – გ. იმნაიშვილი).

ფართოდაა გავრცელებული ხმოვანთა რედუქცია: გვლი ქერქი „გველის ქერქი“, მანქნით „მანქანით“, საჭმლათ „საჭმელად“, მჭადი კვრები „მჭადის კვერები“, ფაიტვნით „ფაეტონით“, უდივერად → უდივრათ „უდიერად“... ქალამანი → ქალმანი

→ ქალმნის (||ქალმნით || ქალმნები) → ქალმის (ა. მარტოროსოვი -გ. იმნაიშვილი). „პატარა“ უკუმშველია დამოუკიდებლად ხმარებისას („ზოგი დიდ ძნასა კრამდა, ზგო - პატარაჲ [=პატარას]“), მაგრამ ჩვეულებრივ შეკუმშულია მსაზღვრელად გამოყენებისას (პატრა ბიჭი „პატარა ბიჭი“, პატრა ჩიტი „პატარა ჩიტი“)...

ხშირია სამ- და მეტმარცვლიანი ფუძის სპონტანური კუმშვა: ცარიელა → ცარელა, ძალიან → ძალან.

თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის ნიმუშები: ა) ნაწილობრივისა: აღსარება → ახსარება, სიბრტყე → სიბტყე → სიპტყე, ერთგან → ერდგან, ეს ბიჭი → ეზ ბიჭი; ბ) სრულისა: საშუალო → შაშუალო, კმაყოფილი → ყმაყოფილი, ნელა → ლელა (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ჩვეულებრივი მოვლენაა მეტათეზისი: ძლიერ → ძრიელ, ხმლის → ხლმის, მადლიერი → მადრიელი, ღრმა → რღმა, დაჟინება → დანიჟება, დაჩეხა → დახეჩა, წიგნი → წინგი. მეტათეზისს ზოგჯერ თან სდევს ასიმილაცია (ბარტყი→ *ბყარტი → ბღარტი) ან დისიმილაცია (მდგომარეობა→ *დგომეარობა [მ-ს დაკარგვითა და ე-ს მეტათეზისით] → დგომიაროზა [ეა→ ია დისიმილაციით] → დგმოიაროზა [ო-ს მეტათეზისით] და მისთ).

კახურისათვის ნიშანდობლივია სუბსტიტუციის შემთხვევებიც. განსაკუთრებით ღირსსაცნობია სუბსტიტუცია თემის ნიშნებში: თემის ნიშნისეული ვ და ბ, აგრეთვე ფ თანხმოვნები იძლევა მ-ს ორ პოზიციაში: ა) პაუზის წინ (ბოლოკიდურ პოზიციაში); მალა-ავ → მალა-ამ, ა-კეთ-ებ → ა-კეთ-ემ, ა-წყ-ობ → ა-წყ-ომ; ბ) თანხმოვნის წინ: მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს, მალ-ავ-დ-ა → მალ-ამ-დ-ა, მალ-ავ-თ → მალ-ამ-თ; და ასე: ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს, ა-კეთ-ემ-დ-ა, ა-კეთ-ემ-თ; ა-წყ-ობ-ს → ა-წყ-ომ-ს, ა-წყ-ომ-დ-ა, ა-წყ-ომ-თ; ყ-ოფ-ს → ყ-ომ-ს.

(#319)

ცვლილება ხდება მაშინაც, როცა: ა) უთემისნიშნო ზმნა რთულდება თემის ნიშნით: წერ-ს → წერ-ავ-ს → წერ-ამ-ს; უ-ჭერ-ს → უ-ჭირ-ებ-ს → უ-ჭირ-ემ-ს; ბ) თავს იჩენს თემის ნიშანთა შენაცვლება: ყიდ-ი-ს → ყიდ-ავ-ს → ყიდ-ამ-ს; ზრდ-ი-ს → ზარდ-ავ-ს [გამოყენებულია ნამყო ძირითადის ფუძე] → ზარდ-ამ-ს; ი-ყვირ-ებ-ს → ი-ყვირ-ავ-ს → ი-ყვირ-ამ-ს...

ხმოვნის წინა პოზიციაში შენარჩუნებულია ამოსავალი ვითარება: მალ-ვ-ა, კეთ-ებ-ა, და-წყ-ობ-ა... წერ-ვ-ა... შდრ. ამ თვალსაზრისით: ა-ყურ-ებ-ინ-ებ-ს → ა-ყურ-ებ-ინ-ემ-ს || ა-ყურ-ებ-ინ-ამ-ს: პირველი ბ დაცულია ხმოვნის წინა პოზიციაში, მეორე ბ → მ თანხმოვნის წინ (ანალოგიური ვითარებაა პაუზის წინაც).

იმავე პოზიციაში ასეთივე ცვლილებას განიცდის ფუძისეული თანხმოვნებიც: ყავ-ს → ყამ-ს, ა-ძლევ-ს → ა-ძლემ-ს, ა-ხსოვ-ს → ა-ხსომ-ს... და ასე: ავრცელებს → ავცელებს → ამცელებს, კიდევ → კიდემ... სპორადულ თავს იჩენს სხვა შემთხვევებშიც: მითამ „ვითომ“, მინც „ვინც“, მიწრო „ვიწრო“.

ზემოხსენებული პროცესი კახურის ყველა რეგიონში ერთნაირი ინტენსივობით არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, ყვარლურ თქმაში ვ → მ იშვიათია, ხოლო -ოვ კი ბევრგან უცვლელადაა დაცული (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ -ამ თემის ნიშანი იმავე პოზიციაში, პირიქით, -ავ ნაირსახეობით იცვლება :სვ-ამ-ს → სვ-ავ-ს, ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ავ-ს, ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-ავ-ს. ამასვე იმეორებს ფუძისეული მ-ც: ი-ზამ-ს → ი-ზავ-ს. რაც შეეხება ა-მბ-ობ-ს → ა-მბ-ოვ-ს → -ა-ნბ-ოვ-ს, აქ სუბსტიტუციასთან ერთად, დისიმილაციაც მოქმედებს; მოსალოდნელი იყო: *ა-მბ-ომ-ს (ბ:მ სუბსტიტუციით); შდრ.: ე-უბნ-ებ-ა → ე-უბნ-ევ-ა || ე-უნ-ევ-ა (გვხვდება ასეც: ე-უნ-ებ-ა). შევნიშნავთ: ხმოვნის წინა პოზიციაში აქაც დაცულია ამოსავალი ვითარება: სმა, სხმა, დაბმა... გამონაკლისი დაიშვება მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნის წინ: სვ-ამ-ენ || სვ-ავ-ენ (ასევეა: მალ-ავ-ენ || მალ-ამ-ენ, ა-კეთ-ებ-ენ || ა-კეთ-ემ-ენ); აიხსნება სხვა პირის ფორმებთან (ვ-სვ-ავ-თ, სვ-ავ-თ... ვ-მალ-ამ-თ, მალ-ამ-თ) ანალოგიით. გარდა ამისა, სვამ-ს ორი ნაირსხეობითაა წარმოდგენილი: სვ-ავ-ს და სომ-ს (ვა→ ო ცვლილების საფუძველზე).

სუბსტიტუციის სხვა შემთხვევები: მ→ნ (კიდევ→ კიდემ → კიდენ) და ნ→ მ (ინტერესი→ იმტერესი, რახან → რახამ); ყ→კ (ჰკითხაყე→ ჰკითხაკე) და კ→ ყ (შირაქისკენ→ შირაქისაყენ || შირაქისაყე); ლ→ნ (ლიტრა→ ნიტრა) და ნ→ლ (სუნი→ სული); ბ→მ (კბენა→ კმენა) და მ→ბ (მრუდე→ ბრუდე); რ → ლ (შეარხია→ შე(#320)ალხივა) და ლ →რ (ფილტვი→ ფირტვი, თუ ძველი ქართული „ფირტუ“ არ არის დაცული); რ → ს (რძალი→ სძალი → ზძალი; თუ აქაც „სძალი“ ფორმის სახით ძველი ვითარება არაა დაცული) და ს → რ (სასჯელი→ სარჯელი, მსჯელობა → მრჯელობა). ყვარლურ თქმაში შეინიშნება ბ → გ (ეუბნება→ ეუგნება, ბუფეტი → გუფეტი).

სკ → შკ (ქვესკნელი→ ქვეშკნელი), სტ → შტ (დაუსტვინა→ დაუშტვინა), რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში: ჩკ → ჭკ (ტაჩკა→ ტაჭკა, ბოჩკა → ბოჭკა).

თანხმოვანთკომპლექსში მოქცეული სონანტი, ჩვეულებრივ, იკარგვის: ბრძანა → ბძანა, გრძელი → გძელი, ფრთა → ფთა, იზრდება → იზდება, დაიხრჩო → დაიხჩო; მაგრამ იმავდროულად დასტურდება სხვა ფონეტიკური ნაირსახეობანიც: ა) იკარგვის სპირანტი და არა სონანტი: იზრდება → ირდება (შდრ.: გაიზარდა), დაიხჩო → დაირჩო; ბ) სონანტის მეზობლად დაჩნდება ხმოვანი (ასეა, მაგალითად, ქიზიყურში): ღრმა → ღირმა || ღურმა, ბრმა → ბირმა || ბურმა.

კაუზატივისეული -ევინ → -ეინ: ადგმევინებს → ადგმეინებს.

კახურისათვის ყველაზე უფრო ტიპობრივი სურათი იქმნება ს ბგერის დასუსტება-დაკარგვის შემთხვევებში.

ს → ჲ (იშვიათად — ს → ჰ|| ჲჰ) ხმოვნის მომდევნოდ (იხ. ზემოთ).

ს ბგერის დაკარგვა ხდება შემდეგ პოზიციებში:

ა) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ მართულ მსაზღვრელებში: დოლი პური „დოლის პური“, წყლი პირაჲ „წყლის პირას“;

ბ) ჩვენებით ნაცვალსახელებში: ე ბიჭი „ეს ბიჭი“, ეს რა მამსვლიაო „ეს რა მომსვლიაო“;

გ) თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა მიცემითი ბრუნვის ფორმაში: შეეკითხა ბავშვ „შეეკითხა ბავშვს“, ნამყენ მოვლა უნდა „ნამყენს მოვლა უნდა“, ქალაქ წავიდა „ქალაქს წავიდა“;

დ) თანხმოვნის მომდევნოდ იკარგვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი: მდგომარეობითი ზმნების აწმყოში (უჭირავ „უჭირავს“, ძინავ „სძინავს“, აქვ || აქ „აქვს“, დევ „დევს“. ჩვეულებრივია, აგრეთვე, დგა „დგას“, თუმცა მოსალოდნელი იყო და ზოგჯერ გვხვდება კიდეც: დგაჲ) და გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში (მოუკლამ „მოუკლავს“, ჩაუდგამ „ჩაუდგამს“); შდრ.: გარდამავალ ზმნათა აწმყო-მყოფადი, სადაც პირის ნიშანი, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია (მოუკლამს ის მას მას, მოკლამს ის მას); თუმცა ეს წესი უგამონაკლისოდ, რა თქმა უნდა, არ მოქმედებს.

ს ბგერის დასუსტება-დაკარგვა ერთნაირად არ ახასიათებს კახეთის ყველა კუთხის მეტყველებას. ძლიერია ეს პროცესი ახმეტასა და გურჯაანში, თითქმის უგამონაკლისოდ მოქმედებს ქიზიყურში, ერთგვარად (#321) შენელებულია თელავისა და ყვარლის რეგიონში (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ჩვეულებრივი მოვლენაა ბრძანებითის ფორმებში ბოლოკიდური მარცვლის კვეცა: მამე „მომეცი“, მაიტა „მოიტანე“, გაიქე „გაიქეცი“, გამეცა „გამეცალე“, მიე „მიეცი“. ამ რიგის ფორმებს ამოუდგება გვერდით: რა ვი „რა ვიცი“, აგრეთვე მიმართვის ფორმები: გო „გოგო!“, ქა „ქალო!“, ასევე“ გენა „გენაცვალე“ და მისთ.

შეინიშნება ბგერათა განვითარების ტენდენციაც. ამ მხრივ სიხშირით გამოირჩევა მ სონანტის განვითარების შემთხვევები: მდევი „დევი“, მცა „ცა“, მცხვარი „ცხვარი“, მძვალი „ძვალი“, მვირი „ძვირი“...იმავდროულად მ ხშირად იკარგვის კიდეც: გლოვიარე „მგლოვიარე“, ჭედელი „მჭედელი“, ჯდომარე „მჯდომარე“... რატო „რატომ“, რო „რომ“... ვითარდება აგრეთე ნ (განაგრძნო „განაგრძო“), რ (ხმელერთი „ხმელეთი“), ვ (იყოვო „იყოო“) ბგერები (იმავდროულად განსაზღვრულ პოზიციებში ყველა ეს ბგერა შესაძლოა დაიკარგოს: ვჩები „ვრჩები“, დააბაინებს „დააბანინებს“ — დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევა).

სონანტის კონტაქტურ ან დისტანციურ მეზობლობაში თავს იჩენს სპირანტის აფრიკატიზაცია: სიზმარი → სიძმარი, განიზრახა → განიძრახა, მოეპარსა → მაეპარცა, ჟანგი → ჯანგი. შეინიშნება ხშულის გააფრიკატების შემთხვევაც: კინაღამ → წინაღამ.

ფონეტიკური ცვლა ზოგჯერ დაკავშირებულია სიტყვის ახლებურ გააზრებასთან: „ამდენი“ და „ამტოლა“ ფორმათა კონტამინაციით მიიღება: ამტენი (→ ამთენი) ||ამტონი → ამტვენი → ამთვენი) || ამდონი (→ ამდვენი) || ამტელი || ამტველი; ასევე: „ამოდენა“ და „ამტოლა“ ფორმათა კონტამინაციით: „ამოტოლა“ || „ამოტენა“. ანალოგიურად დაისმის საკითხი „იმდენი“, „რამდენი“ ფორმათა ფონეტიკურ ნაირსახეობათა მიმართაც.

ინტონაციური მახასიათებლებიდან შეიძლება დავასახელოთ:

ა) წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაში გრძელდება ერთმარცვლიანი ზმნის ხმოვანი: „ორი ბალღი მყāმ“, „საჩეჩელ (=საჩეჩელს) დაბლა ტაბლა და მაღლა ორი ტაბლა āაქ (=აქვს)“.

ბ) კითხვით კონსტრუქციებში ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე ხმოვანს (რაც მის დაგრძელებას იწვევს): არ გჲხსოვს? არ ქცალíან? უნა მოჲრíგდეთ? ანალოგიური ვითარებაა ენკლიტიკის შემთხვევაში: თელაველ-í-ხარ? წასულíა?

გ) აზრობრივად გამოსაყოფი (ხაზგასმით წარმოსათქმელი) სიტყვა, ჩვეულებრივ, წინადადების ბოლოსაა მოქცეული, მას თავიდან პირველ მარცვალზე მოუდის მახვილი, რაც ხმოვნის დაგრძელებას იწვევს: (#322) „სიმინდს გაჲთოხნის, სīმინდს!“ „არავის ეკითხება, მīდის!“ (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

დ) ზოგჯერ მახვილი მოუდის თავიდან პირველ მარცვალს, ხოლო გრძელდება ბოლოდან პირველი მარცვალი; ჩვეულებრივ, ეს ხდება მაშინ, როცა უწყვეტი, განგრძობითი მოქმედებაა გამოხატული: „არავის ეკითხება, მíდīს!“ „ზის და ú კრāმს“, „ადგება და წჲიღēმს“.

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. სახელობით ბრუნვაში -ი ნიშანს დაირთავენ როგორც თანხმოვანზე (კაც-ი, კაცებ-ი), ასევე ხმოვანზე ფუძედაბოლოებული (მიწა-ი, ელენე-ი, დრო-ი... ცხოვრება-ი...) სახელები. უ ხმოვანზე ფუძედაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელები წარმოდგენილია პარალელური ნაირსახეობებით: ბუ-ი, ცრუ-ი, ყრუ-ი, რუ-ი და (ინტერვოკალურ პოზიციაში ვ-ს ჩართვით) ბუვ-ი, ცრუვ-ი, ყრუვ-ი, რუვ-ი. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ი, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია მაშინ, როცა სახელი ზმნას მოსდევს (უპირატესად — პაუზის წინა პოზიციაში).

შევნიშნავთ: ზოგჯერ კახურ ტექსტებში სახლობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან ფიქსირებულია ჲ (ქვაჲ, ღვინოჲ), რაც მოულოდნელია, რადგან ჲ-იანი ფორმა ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მიცემითია (ქვა-ჲ „ქვას“, ღვინო-ჲ „ღვინოს“).

საკუთარ სახელებში ფუძისეული -ი შესაძლოა გააზრებულ იქნეს სახელობითი ბრუნვის ნიშნად (გიორგ-ი, გიორგ-მა, გიორგ-ს...) და, პირიქით, სახელობითი ბრუნვის ნიშანი გაიაზრება ფუძისეულ ელემენტად (ბეჭანი, ბეჭანი-მ, ბეჭანი-ს... ჩვეულებრივ, ასე ხდება ორმარცვლიან ფუძეებთან; შდრ.: ავთანდილ-ი, ავთანდილ-მა...).

მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -მა დასტურდება უპირატესად მაშინ, როცა პოზიციით მავრცობი ხმოვნის პოვნიერება ივარაუდება: „უთხრა ძმამა“, „მეფემა თქვა“.

მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -ს შენარჩუნებულია მავრცობი ხმოვნის წინ (ხარსა, დროსა... რკინისა, ხისა, წყაროსა || წყაროსი...); სხვა შემთხვევაში -ს ფონეტიკურად იცვლება (იხ. ზემოთ). ზოგჯერ ვადასტურებთ კონტამინირებულ ფორმებს: იმა-ს || იმა-ჲ უთხრა → იმა-ჲს უთხრა; წყარო-ს || წყარო-ჰ || წყარო-ჲ წყალი → წყარო-ჲს || წყარო-ჲჰ წყალი. ზედმიწევნით: -ჲს || -ჲჰ შემთხვევებში საქმე გვაქვს რთულ ბგერასთან, რომელსაც შემართვა ჲ-სა აქვს, დამართვა კი — ს-ს ან ჰ-სი.

(#323)

ზოგჯერ -ს დაცულია იმ პოზიციაშიც, სადაც, ჩვეულებრივ, იგი ფონეტიკურად იცვლება (ხარ-ს, დრო-ს... რკინ-ის, ხ-ის...), მაგრამ ეს უკვე იმ რიგის ინოვაციაა, სალიტერატურო ენის ზეგავლენას რომ მიეწერება.

მხოლოობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვის ფუნქციით კახურში თავს იჩენს -თ სუფიქსიანი მრავლობითის გამოყენების შემთხვევები: „გვერდ-თ (= გვერდს, გვერდში) დაიყენა“, „ტირილი ყელ-თ (=ყელს, ყელში) მომებჯინა“, ჯვარ-თ (=ჯვარს) ვაცვამდით“ (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

არის ერთეული ნიმუშები იმისა, რომ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ვერ კვეცს ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს და არც ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი რედუცირდება: „შენამც ქცეულხარ ჩალა-ის || ჩალა-ი კუნძათო“, „რუ-ის || რუ-ი პირზე“ (ქართული დიალექტოლოგია; ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

მოქმედებითი ბრუნვის დანიშნულებით ზოგჯერ გამოიყენება -ივ სუფიქსიანი ფორმები — გამოიხატება ადგილისა და ვითარების გარემოების მნიშვნელობები: გაღმ-ივ, გამოღმ-ივ, ოთხივ (=ოთხივე) კუთხ-ივ, სიგრძ-ივ, ხმამაღლ-ივ, უეცრ-ივ... -ივ შესაძლოა გართულდეს ვითარებითი ბრუნვის -ად → -ათ → -ა ნიშნით: გან-ივ-ათ, ცხადლ-ივ-ა... ან -ავ ფორმანტით: გაღმ-ივ-ა, იშვიათად მიცემითის -ს || -ჲ ნიშნით: ძლ-ივ-ა-ს || ძლ-ივ-ა-ჲ (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ლოკატივის ფუნქციის გამოსახატავად გამოიყენება ვითარებითი ბრუნვის ფორმა: „მთათ (=მთად) წავიდა“, „ქალაქათ (=ქალაქად) ცხოვრობს...“ ვითარებითში დასმული მასდარი გამოხატავს მიზნის გარემოებას: „წავიდა ნადირობად“, „დაჯდა კითხვად“.

წოდებითში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სამ- და მეტმარცვლიანი საკუთარი და მათთან გატოლებული საზოგადო სახელები ბოლოკიდურ ხმოვანს იკვეცენ (მაყვალ! მანან! ნათელ!... ნათლი! ნათლიდედ! დეიდ!); ხმოვანზე ფუძედაბოლოებული ორმარცვლიანი საკუთარი სახელები ან ფუძის სახითაა წარმოდგენილი (ივანე! თინა!) ან დაირთავენ -ვ ფორმანტს (ივანევ! თინავ!). „დედა“, „მამა“ სახელთა საალერსო ფორმებია „დედილო“, „მამილო“, რომელთა კვეცით მიიღება: დედი! მამი! („გო!“ „ქა!“ ტიპის ფორმათა შესახებ იხ. ზემოთ).

კახურისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა მავრცობი ხმოვნის ფართო გამოყენება. მავრცობი ხმოვანი დაერთვის მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებს (კაც-ს-ა, კაც-ის-ა, კაც-ით-ა, კაც-ათ-ა „კაცად“), თანდებულებს (იმითვინ-ა, მთის-კენ-ა, ძირა-მდინ-ა), პირის ნაცვალსახელებს (ის-ა, იმან-ა), ზმნისართებს (შემდეგ-ა, ჯერ-ა, ერთხელ-ა, ამაღამ-ა), კავშირს (რომ-ა)... (#324) მავრცობი ხმოვნის პოზიციაში დაცულია ფორმანტის ბოლოკიდური ხმოვანი (დედა-მა, ვინ-ცა, კიდე-ცა, მთა-ზედა), სხვა პოზიციაში რომ შეიძლება მოიკვეცოს.

მავრცობ ხმოვნად ძირითადად იხმარება -ა, შესაძლოა შეგვხვდეს აგრეთვე -ი — ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში მაშინაც, როცა ბრუნვის ნიშნები სრული სახითაა წარმოდგენილი: „ყამდა ორი ვაჟიშვილი, უმფროსი რვა წლ-ის-ი“, „უმფროსი იყო რვა წლ-ით-ი“, „ღამ-ით-ი მწყემსები აპარებდნენ ძროხას“.

მავრცობი ხმოვანი უპირატესად ორ პოზიციაში გვხვდება: პაუზის წინ („უმფროსი იყო რვა წლითა || წლითი“) და ენკლიტიკის დროს („პურსა-ჲჭამენ“), ოღონდ ენკლიტიკურად მირთული ფორმა ხმოვნის შემცველი პრეფიქსის გარეშე უნდა იყოს წარმოდგენილი („პურსა-ჲჭამენ“, მაგრამ: „პურ შეჭამენ“); თუ ამ პოზიციაში მაინც დადასტურდა მავრცობი ხმოვანი, მაშინ მის შემდეგ პაუზა, დაყოვნება გვექნება („პურსა/შეჭამენ“).

-ზე თანდებული ზოგჯერ წარმოდგენილია -ზედ(ა) || -ზეთ ნაირსახეობით: „ორი მეხრე უღელზედა-ჲსხედან“, „გამოსულა გზისპირზეთ“ (ქართული დიალექტოლოგია).

-ში თანდებულის პარალელურად იპოვება -შია: შინაურობაშია, ამაობაშია... სპორადულად გვხვდება -შიდ(ა): კარშიდ (ა.მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

-ვით სახელობითისა და მიცემითის გარდა, დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც: კაც-ი-ვით || კაც-ს-ა-ვით || კაც-ის-ა-ვით...

-თვის თანდებული გამოიყენება რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით: -თვი (ჩვენთვი, ქალითვი), -თვინ || -თვინა (ქალითვინ, ქალითვინა), -თუნ (იმი გულითუნ), -ტვინ — უპირატესად ჩვენებით ნაცვალსახელებთან (იმიტვინ || იმიტვინა).

-კენ ხშირად წარმოდგენილია როგორც -კე (ჩვენკე, ტყისკე), ზოგჯერ ასეც: -ყენ || -ყე (სახლისყენ || სახლისყე, ბიჭისაყე).

ჩვეულებრივია -ებრ → -ებ || -ეფ (კაცისა-ებრ→ კაცისე-ებ || კაცისე-ეფ).

გამოსვლითობის ფუნქციის გამოსახატავად -ით || -იდ-ან ფორმანტების პარალელურად იპოვება -დამ („წამომიყვანა კაკაბეთიდამ საგარეჯოში“).

-ურთ თანდებულს ცვლის -იან-ა(დ) რთული სუფიქსი („მოვიდა ცოლიანა || ცოლით“).

-მდე გვხვდება ასეთი ნაირსახეობებით: ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით -მდენ (სახლამდენ), -მდი და მისი ნაზალიზებული ვარიანტით -მდინ (სახლამდი || სახლამდინ), ხოლო -მდის და -მდინ თან(#325)დებულთა კონტამინაციით: -მდისინ (სახლამდისინ); იპოვება -მდისი ნაირსახეობაც.

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება. წარმოების ძირითადი წესი საერთო ქართულია, თუმცა თავს იჩენს ზოგი თავისებურებაც.

რეები, რაღაცეები, პაპეები ტიპის წარმოებაზე ფონეტიკის მონაკვეთში იყო საუბარი (ეე შესაძლოა შეირწყას ერთ ხმოვნად: პაპეები → პაპēბი → პაპები; და ასე: მონადირეები → მონადირები, სახრეები → სახრები); -ეებ ანალოგიით წარმოდგენილია კუმშვად ფუძეებთანაც: წელ-ი → წლეები, ნაჭერ-ი → ნაჭრ-ეებ-ი...

ზოგჯერ -ებ → -ემ პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში: აგურ-ებ-ი, მაგრამ: აგურ-ემ-ს „აგურებს“, აგურ-ემ-თან „აგურებთან“...

„ხბო“ ფორმის მრავლობითში წარმოჩნდება ფუძისეული -რ: ხბორ-ებ-ი. ამ რიგის წარმოება სისტემას ვერ ქმნის (ერთადერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი), მაგრამ მაინც ღირსსაცნობია ისტორიული თვასაზრისით.

მრავლობითში შეიძლება დაისვას არათვლად საგანთა სახელით: „ცეცხლები ენთო“, „ნავთები არ იყო“. ზოგჯერ ასეთი წარმოება ანალოგიით შეიძლება აიხსნას: „თვალებიდან სუ ცეცხლები-ჲყარა (=ნაპერწკლები ყარა“).

-ნ || -თ სუფიქსიანი მრავლობითი კახურში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იჩენს თავს.

ამ რიგისაა „ტირილი ყელ-თ (=ყელს, ყელში) მომებჯინა“, „ყელ-თ-ა-მდინ ჩაქსომ (= ჩაგსვამ) ოქროში“, სადაც წარმოებით მრავლობითის ფორმა მხოლოობითის ფუნქციას გამოხატავს (იხ. ზემოთ); მრავლობითობის ფორმანტი აქ სტილისტური დანიშნულებისა ჩანს — მაინტენსივებელი ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

ახლებური გააზრება იძლევა -თ ფორმანტს ფეხ-თ-ით ტიპის ფორმებში. ფეხ-თ-ით შეიძლება აღნიშნავდეს: „ფეხებში“ („ფეხთით დაიწვინა“); საქმე ისაა, რომ კახურში მოქმედებითი ბრუნვა ზოგჯერ ცვლის -ში თანდებულიან მიცემითს („სიზმრით ნანახი“ იგივეა, რაც: „სიზმარში ნანახი“), -თ კი აქ -ებ სუფიქსის ნაცვალია. იმავდროულად იგივე ფორმა გამოყენებულია შესიტყვებაში „ფეხთით წამოუდგა“; აქ ფეხ-თ-ით იგივეა, რაც: „ფეხზე“. ამგვარი წარმოება სემანტიკური ოპოზიციის ფორმობრივი გამოხატვის შესაძლებლობას ქმნის; შდრ.: ფეხ-ით და ფეხ-თ-ით, თავ-ით და თავ-თ-ით.

-თ სუფიქსიანი მრავლობითი ჩვეულებრივია ოჯახის (გვარის) სახელთა წარმოებისას: მჭედლიან-თ მელანო, ოდოჯაან-თ პატარძალი... მათგანი მიცემითი ბრუნვის ფორმით იწარმოება ლოკატივები: „მეორე (#326) დღეჲვე (=დღესვე) ამაყენა და საფოკაანთაჲ (=საფოკაანთას) მიმაგდო... როგორც კი გამოვსაღდი, ახლა

ლუარსაბიაანთაჲ (=ლუარსაბიაანთას) დამაყენეჲ (=დამაყენეს) მოჯამაგირეთ“ (ქართული დიალექტოლოგია). ზოგჯერ -თ სუფიქსს ცვლის -ებ → -ეფ: „შინამოსამსახურეთ დამაყენა ღვინიაანეფთან“ (ამ დროს უთანდებულო მიცემითის, წესისამებრ, ენაცვლება თან თანდებულიანი ფორმა). -თ სუფიქსიან ფორმათაგან ლოკატივი შესაძლოა ამ წესით იწარმოოს -იან ფორმანტიანი საზოგადო სახელებისაგანაც: „წავლენ ნეფიანთას“, „მივიდნენ ქალიანთას“ (იხ. აგრეთვე ქვემოთ: „სიტყვათწარმოება“).

-ნ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმა შესაძლოა -ებ-იანის მსგავსად იბრუნვოს: ორივე-ნ-ი, ორივე-ნ-ს... ჩვეულებრივ, ასეთი რამ ახასიათებს -ვე ნაწილაკიან რიცხვით სახელებს, რომლებთანაც -ნ უფრო სულიერთა კრებითობას გამოხატავს, ვინემ მრავლობითობას. ამავე ფორმებთან შეინიშნება ნ ფორმანტის ორმაგი გამოყენება: ორ-ნ-ი-ვე-ნ-ი, შვიდ-ნ-ი-ვე-ნ-ი.

-ნ სუფიქსიანი წარმოება თავს იჩენს რიცხვითი სახელით წარმოდგენილ მსაზღვრელ-საზღვრულში (შვიდნი ძმანი), ტოლად შერწყმულ თხზულ სახელებში (მამა-პაპანი).

მრავლობითობა შეიძლება გამოხატოს -ობა სუფიქსიანმა კრებითმა სახელმაც: „შინ ბალღობა (=ბალღები) უტირის“, „შაიყარა ბიჭობა (=ბიჭები)“. რა თქმა უნდა, ბალღ-ობა და ბალღ-ებ-ი ზედმიწევნით ერთმანეთის ფარდი არ არის, მაგრამ ერთმანეთის მონაცვლედ მათი გამოყენება უთუოდ ღირსსაცნობია.

გ) ზმნა. ერთმანეთს ენაცვლება მო- || მა-, შე- || შა- ზმნისწინები. ასეა რთულ (შედგენილ) ზმნისწინებშიც: შემო- შამა-, გამო- || გამა-... მათი განაწილება გარკვეული კანონზომიერებით ხდება. მაგალითად, II და III სუბიექტური, აგრეთვე I ობიექტური პირის ფორმებთან, ჩვეულებრივ, გვხვდება შა- და მა- (შაინახე, შაინახა; მაიტანე, მაიტანა; შამაიტანე, შამაიტანა... შამინახა, მამიტანა, შამამიტანა...); I სუბიექტური და II ობიექტური პირის ფორმებთან უპირატესად შეინიშნება შე- და მო- (შევინახე, მოვიტანე... შეგინახა, მოგიტანა...); ზმნური უ- პრეფიქსის წინ -შე და მო- მონაცვლეობს (შეუნახა || შაუნახა), მაგრამ, როგორც წესი, დასტურდება მო- (მოუნახა, მოუტანა); ე- პრეფიქსის წინ ხშირად წარმოდგენილია შე- (შეენახა || შაენახა), მონაცვლეობს მა- და მო- (მაეტანა→ მეეტანა — უფრო ხშირი გამოყენებისაა, მოეტანა → მუეტანა — ზოგჯერ ასეც გვხვდება). შა-, მა- დამოწმებულია სახელზმნებშიც (შაცდომა, მაცდენა... შამცდენი, მამცდენი, შაცდენილი), ზმნისართებში (შამდეგ „შემდეგ“, გარშამო).

(#327)

პირდაპირი (უშუალო) ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად და- ზმნისწინი გამოიყენება („თითოობის და-„; ა. შანიძე): წინდა გახადა — წინდები დახადა, ქალამანი გაჲცვითა — ქალამნები || ქალმნები დაჲცვითა.

აწმყოს (I სერიის) ფუძის წარმოება უნიფიკაციის აშკარად გამოხატული ტენდენციით ხასიათდება, რაც ვლინდება ყველა ტიპის ზმნაზე თემის ნიშნის დართვით: წერ-ს → წერ-ამ-ს, ყეფ-ს → ყეფ-ამ-ს... გლეჯ-ს → გლეჯ-ამ-ს (უფრო ხშირად) || გლიჯ-ამ-ს, ზელ-ს → ზელ-ამ-ს || ზილ-ამ-ს, ოდენ ხმოვანპრეფიქსით წარმოებულ ზმნებთან გამოიყენება -ებ → -ემ: უ-ჭირ-ებ-ს || უ-ჭირ-ემ-ს „უჭერს“, ა-ხილ-ებ-ს „ახელს“...

შეინიშნება თემის ნიშანთა შენაცვლების ტენდენცია. ფონეტიკური ფაქტორით შეპირობებულ ცვლილებებზე ზემოთ ითქვა. დასტურდება მონაცვლეობა საკუთრივ მორფოლოგიის დონეზეც: -ი → -ამ (იყიდამს „იყიდის“, ზარდამს „ზრდის“), -ებ → -ამ (აკეთამს „აკეთებს“ იყვირამს „იყვირებს“), -ავ → -ი (ჩაგრის „ჩაგრავს“, ნათლის „ნათლავს“, წამლის „წამლავს“)... იქ, სადაც -ამ გვაქვს, შუალედურ საფეხურზე ივარაუდება -ავ, რომლის ფონეტიკური ნაირსახეობაა -ამ (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“). ფართოდაა გავრცელებული -ებ → -ობ შენაცვლება (იწყობს „იწყებს“, იწყობა „იწყება“, ასწრობს „ასწრებს“, ესწრობა „ესწრება“); რაც შეეხება ჭიკჭიკობს „ჭიკჭიკებს“, მოქმედობს „მოქმედებს“ და მისთანა ფორმებს, აქ შენაცვლება სისტემის ზემოქმედების შედეგია: ერთი მხრივ, ა-თამაშ-ებ-ს — თამაშ-ობ-ს და, მეორე მხრივ, ა-ჭიკჭიკ-ებ-ს — ჭიკჭიკ-ებ-ს, რაც შესაბამისად იცვლება მიმართებით: ა-ჭიკჭიკ-ებ-ს — ჭიკჭიკ-ობ-ს (მოქმედებითი და მდგომარეობითი ზმნები თემის ნიშნებით განსხვავდნენ). თემის ნიშანთა ფონეტიკური ცვლილება აქაც ზემოხსენებულის ანალოგიურია.

მსგავსად ხდება აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი ფორმანტის შენაცვლებაც: -ება → -ობა (ბედნიერობა „ბედნიერება“, პატიოსნობა „პატიოსნება“, წვეულობა „წვეულება“... ასევე: სრულებით → სრულობით).

ნამყო ძირითადში -ი და ე- პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითი რიცხვის ფორმებში თავს იჩენს -ენ (→-ნ) სუფიქსი: და-ვ-ი-მალ-ენ-ი-თ || და-ვ-ე-მალ-ენ-ი-თ, და-ი-მალ-ენ-ი-თ, და-ი-მალ-ნ-ენ... მესამე პირის ფორმებში პოვნიერი -ნ-ენ ერთიან სუფიქსად იქნა გააზრებული და ანალოგიით გავრცელდა სხვა ფორმებსა და პარადიგმებში (ა. შანიძე): და-რჩ-ნენ, მოხუცდ-ნენ... ნამყო უსრული: მალ-ავ-დ-ნენ, ი-მალ-ებ-ოდ-ნენ... II კავშირებითში ყველა ეს ფორმა უპირატესობას ანიჭებს -ე ფორმანტს: დავიმალ-ნ-ე-თ „დავიმალოთ“, დაიმალ-ნ-ე-ნ „და(#327)იმალონ“... ანალოგიით: გა-ვ-თბ-ნ-ე-თ „გავთბეთ“, გა-თბ-ნ-ე-ნ „გათბნენ“, ა-ვ-დგ-ნ-ე-თ „ავდგეთ“ და მისთ. (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

სახელის მრავლობითობა ზმნაში გარკვეულ შემთხვევებში -ყე || -კე ფორმანტით გამოიხატება. კერძოდ, აღინიშნება: ირიბი ობიექტის მრავლობითობა (II პირისა: დაგიძახებყე „დაგიძახებთ“, ჩაგაწერინებყე „ჩაგაწერინებთ“, მე ორთავეს მოგხადეყე [= მოგხადეთ] ბოდიში... III პირისა: წაუღეყე „წაუღე მათ“, უთხარიკე „უთხარი მათ“, უთხრაკე „უთხრა მათ“...); რეალური სუბიექტის (მორფოლოგიურად — ირიბი ობიექტის) მრავლობითობა — ინვერსიულ ზმნებთან (II პირისა: გიყვარსკე „გიყვართ“, გეჯავრებაყე „გეჯავრებათ“... III პირისა: უყვარსკე „უყვართ“... III სერიის ფორმები

გარდამავალი ზმნებისა: გაგიკეთებიაკე „გაგიკეთებიათ“, გაუკეთებიაკე „გაუკეთებიათ“... გეეკეთაყე „გაეკეთებინათ“...); პირდაპირი (უშუალო) ობიექტის მრავლობითობა — წარმოდგენილის როგორც მიცემითი ასევე სახელობითი ბრუნვის ფორმით (II პირისა: დაგინახავსყე „ის თქვენ დაგინახავთ“, დაგინახავენყე „ისინი თქვენ დაგინახავენ“, დაგინახაყე „მან თქვენ დაგინახათ“, დაგინახესყე „მათ თქვენ დაგინახეს“... III პირისა: დაინახავსყე „ის მათ დაინახავს“, დაინახავენყე „ისინი მათ დაინახავენ“, წაიყვანსკე „ის მათ წაიყვანს“; დაინახაყე „მან ისინი დაინახა“, დაინახესყე „მათ ისინი დაინახეს“, წაიყვანაკე „მან ისინი წაიყვანა“...); ანალოგიურად აღინიშნება ინვერსიულ ფორმებში რეალური ობიექტის (გრამატიკული სუბიექტის) მრავლობითობა („დევს დაუქვავებიაკე კაცები“... შევნიშნავთ: სხვა კონტექსტში ზმნის იგივე ფორმა შესაძლოა რეალური სუბიექტის მრავლობითობასაც აღნიშნავდეს: მათ ის გაუქვავებიაკე „მათ ის გაუქვავებიათ“ — ამ შემთხვევაში განმასხვავებლად და- და გა- ზმნისწინები გვევლინება, სხვა ზმნისწინთა გამოყენებისას სხვაობას მხოლოდ კონტექსტი განარჩევს: ჩაუქვავებიაკე „მათ ის ჩაუქვავებიათ“ || „მას ისინი ჩაუქვავებია“).

-ყე || -კე ფორმანტის პოზიციას სულ უფრო დაბეჯითებით იკავებს მრავლობითობის -თ სუფიქსი (დაგიძახებთ... ინახავდათ „ინახავდა ის მათ“...); შენაცვლება ხდება ყველა შემთხვევაში.

დასტურდება კონტამინირებული ფორმებიც: დაგიძახებთყე „მე თქვენ დაგიძახებთ“, ეჯავრებათკე „მათ ის ეჯავრებათ“.

-თ სუფიქსის გამოყენება სალიტერატურო ენის (ასევე: ქართლურის) გავლენით აიხსნება: „მასალა სალიტერატურო ქართულისაა, ფუნქცია — დიალექტობრივია“ (არნ. ჩიქობავა).

-თ სუფიქსის დამკვიდრებით ტენდენციამ სხვადასხვა ფუნქციის მქონე ფორმათა დამთხვევა გამოიწვია: უ-თხარ-ი-თ ფორმამ, მაგალი(#329)თად, შეიძლება გამოხატოს: უთხარით თქვენ მას || უთხარი შენ მათ, აგრეთვე: უთხარით თქვენ მათ... შდრ.: უთხარით თქვენ მას, მაგრამ: უთხარიყე შენ მათ, უთხარითყე თქვენ მათ... რა თქმა უნდა, დამთხვევის შესაძლებლობა არც -ყე || -კე ფორმანტის გამოყენებისას გამოირიცხება, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, როგორც ეს -თ სუფიქსით მისი შენაცვლებისას იჩენს თავს.

ნამყო ძირითადში -ე სუფიქსიანი ფორმები დასტურდება პარალელური ვარიანტებით: და-ვ-თეს-ე || დავ-თეს-ევ-ი || და-ვ-თეს-ე-ი...

-ევ-იანი ზმნები ნამყო ძირითადში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია -ივ დაბოლოებით: მო-უ-ქნ-ევ-ს → მო-უ-ქნ-ივ-ა, შა-ა-რხ-ევ-ს → შა-ა-რხ-ივ-ა, შე-უ-ტევ-ს → შე-უ-ტივ-ა.

სპორადულად ნამყო ძირითადში I და II პირის ფორმებში -ე სუფიქსის ნაცვლად დაჩნდება -ი: მო-ვ-რთ-ი „მოვრთე“, მო-რთ-ი „მორთე“; შესაბამისად — მხოლოობითი

რიცხვის III პირის ნიშნად -ო სუფიქსის ნაცვლად გვაქვს -ა: მო-რთ-ა „მორთო“. კავშირებითის წარმოებისას გათვალისწინებულია ეს მომენტი: მო-ვ-რთ-ა „მოვრთო“, მო-რთ-ა-ს „მორთოს“... თუმც ამ მოვლენას სისტემური ხასიათი არა აქვს, მაინც ღირსსაცნობია, რომ თვით ფრაგმენტულად წარმოდგენილი სისტემა შინაგანი კანონზომიერებით ხასიათდება.

კატეგორიული ბრძანებითი იწარმოება ქართულისათვის საერთო წესის მიხედვით. თხოვნითი ბრძანებითის გამოსახატავად კი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მყოფადის კავშირებითის ფორმები: შემოჲძახოდე! მოხვიდოდე! გამამიგზავნიდე! გამაატანდე! (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ხოლმეობითის არქაული, -ი სუფიქსიანი წარმოება მეტ-ნაკლებად თავს იჩენს ქიზიყურში: მაიფშვნეტამდ-ი-ს „მოიფშვნეტდა ხოლმე“, იტყოდ-ი-ს „იტყოდა ხოლმე“... (I ხოლმეობით); „მთელ დღეჲ (=დღეს) მანასავით (= სარივით, მარგილივით) სუ ფეჴზე ვიყავ დარჭობილი, ხან ცეცხლი (=ცეცხლის) კეთებაში ჩამამაკანტურ-ი-ს, ჩავქინდრამდი თავ (=თავს) და კირძი გადმამივიდ-ი-ს, ხან ჭურჭლი (=ჭურჭლის) რეცხვაში და ჭურჭელი გამიტყდ-ი-ს“; მიუშვ-ი-ან, დააჭრევინ-ი-ან... (II ხოლმეობითი).

ქიზიყურში გვხვდება ხოლმეობითის -ყე || -კე ფორმანტიანი წარმოება — დაერთვის ხოლმეობითსავე ფორმებს: გალაყდ-ი-ს-კე, ვიარ-ი-კე, ჩავრივ-ი-თ-კე... ხოლმეობითის გამოსახატავად -ყე || -კე გამოიყენება გარეკახურშიც, მაგრამ აქ იგი დაერთვის იმ პარადიგმებს, სადაც აღწერითი წარმოებისას „ხოლმე“ იხმარება: „მამაჩემი იტყოდა-კე (= იტყოდა ხოლმე)“ || „იტყოდა-ყე“.

(#330)

ხოლმეობითი გამოიხატება აღწერითადაც: იტყვის ხოლმე, აკეთებდა ხოლმე... ქიზიყურში „ხოლმე“ შესაძლოა მიერთოს -ი სუფიქსიანი ხოლმეობითის ფორმას: „პური დაჯეჯილდ-ი-ს „ხოლმე“, „სანავე ხე მარტოკა გადააგორ-ი-ან ხოლმე“...

ხშირად ერთი და იმავე პირის მეტყველებაში არის გამოყენებული ხოლმეობითის სხვადასხვა წარმოების ფორმები: „როცა ჯეჯილი მუხლში შავიდოდ-ი-ს, ბალახიც მაშინ მეერეოდა ხოლმე და გავმარგლამდით ხოლმე“ (ქიზიყური).

ხოლმეობითის ფუქცია შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე პირობით-ხოლმეობითის („მყოფადის ხოლმეობითის“) პარადიგმით: „იალამი რო დაიძრებოდა, ერთი მარსკულავი რო ამოვიდოდა, ცისკარი იყო, თენდებოდა. რაწამ ამოვიდოდა, ხარ (=ხარს) ავშლიდით მაშინ, ავდგებოდით, დავიბანდით. აფრიალდებოდნენ ტოროლები და ავშლიდით ხარს, შავაბამდით და დაუსხდებოდით ზედ უღელზედა და, აბა, დავარბევინამდით გუთანსა“ (ქართული დიალექტოლოგია).

წყვეტილი მრავალგზისი მოქმედება გამოიხატება უსრული ასპექტის ნამყო ძირითადის ფორმათა გამეორებითაც: „ცხვა, ცხვა, ძლივ გამაცხვა“; „იარა, იარა და ბოლოს მიადგა ერთ სახენწიფოჲ (=სახელმწიფოს)“.

ზოგჯერ მრავალგზისობა გამოიხატება ოდენ უსრული ასპექტის ფორმით: „იქ ყოფილა ერთი ვაჟიო, დღისით მკვდარა (= კვდებოდა ხოლმე), ღამით ცოცხლებულა (=ცოცხლდებოდა ხოლმე)“; (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

შევნიშნავთ: -ყე || -კე ხოლმეობითსაც გამოხატავს და სახელის მრავლობითობასაც (იხ. ზემოთ); გარჩევა უმეტეს წილ ადვილად ხერხდება. მაგალითად, ერთვალენტიან ზმნებთან -ყე || -კე მხოლოდ ხოლმეობითის გამომხატველი შეიძლება იყოს. ამავე ფუნქციის გამომხატველია იგი იმ ორ- და სამვალენტიან ფორმებთან, რომელთაც ობიექტი (ან: ობიექტები) მხოლოობითი რიცხვის ფორმით შეეხამება: „იტყოდაყე ძველ ამბავს“. მაშინ კი, როცა ორივე ფუნქციის გამოხატვის შესაძლებლობაა, გარჩევა კონტექსტით ხდება. იმავდროულად შესაძლებელია გამოვიყენოთ ფორმათა ჩანაცვლების ხერხიც: ეტყოდა-ყე || ეტყოდა-კე — თუ კონტექსტის შესაბამისად მას შეენაცვლება ეტყოდ-ი-ს ან ეტყოდა ხოლმე, მაშინ ხოლმეობითთან გვაქვს საქმე, თუ — ეტყოდა-თ, მაშინ ირიბი ობიექტის მრავლობითობაა გამოხატული.

I შედეგობითში -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები ორგვარ წარმოებას გვიდასტურებენ: ა) თემის ნიშნები შენარჩუნებულია, ოღონდ, როგორც წესი, მოკვეცილია -ს პირის ნიშანი (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“): (#331) მო-უ-კლ-ამ „მოუკლავს“... ბ) უნიფიკაციის საფუძველზე წარმოდგენილია -ი სუფიქსიანი ფორმები: მო-უ-კლ-ი-ა, და-უ-მალ-ი-ა.

გარდამავალ ზმნათა როგორც I (-ი სუფიქსით წარმოებისას), ასევე II შედეგობითში, ჩვეულებრივ, თავს იჩენს -ნ ფორმანტი: უთემისნიშნო ზმნებთან (უ-ჭამ-ნ-ი-ა), თემის ნიშანჩამოცილებულ ზმნებთან (და-უ-მალ-ნ-ი-ა); ზოგჯერ თემის ნიშანი და -ნ სუფიქსი მონაცვლეობს (გა-უ-ტაც-ნ-ი-ა) || (გა-უ-ტაც-ებ-ი-ა); ამ რიგის შენაცვლებამ შეიძლება განასხვავოს მდგომარეობითი და მოქმედებითი გვარის ზმნები (მოქმედებითი: ა-ლაპარაკ-ებ-ს → უ-ლაპარაკ-ებ-ი-ა; მდგომარეობითი: ლა-პარაკ-ობ-ს — უ-ლაპარაკ-ნ-ი-ა). ანალოგიურად — II შედეგობითში: ე-ჭამ-ნ-ა, დე-ე-მალ-ნ-ა, გე-ე-ტაც-ნ-ა... -ნ სუფიქსის მქონებლობა-უქონლობა განარჩევს მოქმედებითი გვარის II შედეგობითსა და ვნებითი გვარის ნამყო ძირითადს (დე-ე-მალ-ნ-ა მას ის II შედეგობითია, დე-ე-მალ-ა ის მას — ნამყო ძირითადი). ანალოგიურად სხვაობს II და III კავშირებითის ფორმებიც (III კავშირებითი: დე-ე-მალ-ნ-ო-ს მას ის, II კავშირებითი: დე-ე-მალ-ო-ს ის მას). ჩვეულებრივ, გამოიყენება -ები სუფიქსით გაურთულებელი ფორმები: გეეტაცნა „გაეტაცებინა“, ეეშენა „აეშენებინა“, გეელამაზნა „გაელამაზებინა“.

გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითის წარმოება უნიფიცირებულია: როგორც ერთვალენტიანი, ასევე ორვალენტიანი ზმნები მეშველი ზმნით იწარმოება:

დამალულიყო — დაჲმალვიყო, გათავებულიყო — გაჲთავებიყო, გაჩენილიყო — გაჲჩენიყო.

ანალოგიურია წარმოების პრინციპი III კავშირებითშიც.

ზმნის სხვა თავისებურებათაგან შეიძლება აღინიშნოს:

ვნებითის კაუზატიურ ფორმათა შეუზღუდავი წარმოება: ე-ჩაგვრ-ინ-ებ-ა, ე-ქელვ-ინ-ებ-ა, ე-კვლ-ევინ-ებ-ა.

სასხვისო ქცევის სპეციფიკურ ფორმათა წარმოება: „თოფზე მიტაცა ხელი“, „ი ოჯახ მიგიცეს ბარაქა“, „გიცემე ი ბალღი“, „ბალღებსაც პურ გიჭმევო“, „თოფ დაგვიკრეს ერთ ბიჭ“.

ი-ც-ი-ს ზმნა წარმოდგენილია ობიექტური წყობითაც: მ-ი-ც-ი-ს, გ-ი-ც-ი-ს, გვ-ი-ც-ი-ს... ღმერთმა ნუ გიცის „ღმერთმა ნუ იცის შენი თავი“...

დაჩნდება ვნებითის კონტამინირებული (პრეფიქს-სუფიქსიანი)წარმოება: მე-ე-წყინ-დ-ა, დე-ე-ძინ-დ-ა, ე-კლ-დ-ა.

ყევ- ფუძეს ენაცვლება ყეც: გავყეცი „გავყევი“, მივყეცი „მივყევი“, ჴედ || ხედ ფუძეს — ხეც: ცუდად გავხეცი „ცუდად გავხედ || გავხდი“ (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

(#332)

ფართოდაა გავრცელებული რიცხვში ფუძემონაცვლეობა: წაიყვანს, ააგებს, დააგდებს მას — წასხამს, აასხამს, დაყრის მათ (შამფურზე ააგო მწვადი — შამფურზე აასხა მწვადები).

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. ფართოდაა გავრცელებული *ნდე||*ნგე ფუძის შემცველი მიმათითებელ-დამაზუსტებელი მოდალური ფორმა (ზმნისართული წარმოშობისა), რომელიც სიშორე-სიახლოვეს ა-, ე- და ი- ხმოვან-პრეფიქსებით განარჩევს: ანდე || ანგე, ენდე || ენგე, ინდე || ინგე.

ნაზმნარი ნაწილაკ-მორფემოიდი „უნდა“ წარმოდგენილია თავდაპირველი სახით: უნა — „თითო კევრზე უნდა (|| უნდა) იყოს უღელი საქონელი შებმული“; გვხვდება ასეც: უნ — „უნ დაფარული იყოს“. მორფემად გადაქცევის ტენდენცია ნათლად დაჩნდება ამ რიგის ფორმებში: „ისნა (= ის უნდა) შეერთო“, „მეცნა (=მეც უნდა) წავიდეო“ (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ე) სიტყვათწარმოება. აღინიშნა, რომ უნიფიკაციის საფუძველზე -ავ → -ამ თემის ნიშანს დაირთავენ ოდინდელი უთემისნიშნო ზმნები: წერ-ავ-ს → წერ-ამ-ს, გრეხ-ავ-ს, კრეფ-ავ-ს, წუხ-ავ-ს; შესაბამისად, მასდარებში გვექნება: წერ-ვ-ა, გრეხ-ვ-ა, კრეფ-ვ-ა, წუხ-ვ-ა; ნამყო დროის საობიექტო მიმღეობები კი -ულ სუფიქსით იწარმოება: და-გრეხ-ულ-ი, და-კრეფ-ულ-ი.

შეინიშნება მასდართა -ილ და -ულ სუფიქსიანი წარმოება: ზიდ-ილ-ი „ზიდვა“, ყეფი-ილ-ი „ყეფა“, ფიც-ილ-ი „ფიცი, დაფიცება“... კითხ-ულ-ი „კითხვა, დაკითხვა“... იპოვება სი —ე ცირკუმფიქსიანი მასდარიც: სი-მწუხარ-ე „მწუხარება“.

ხშირია საობიექტო მიმღეობათა სა — ის ცირკუმფიქსიანი ფორმები: სა-ცხოვრ-ის-ი, შე-სა-ბრალ-ის-ი, სა-მყოფ-ის-ი, სა-წუხ-ის-ი.

-იერ სუფიქსის პარალელურად დასტურდება -იარ, რომელიც მიღებული ჩანს -ივ-ერ რთული ფორმანტისაგან; კუმშვისას იძლევა -ივრ ნაირსახეობას: ნებ-იარ-ი → ნებ-ივრ-ათ, გონ-იარ-ი → გონ-ივრ-ათ, გან-იარ-ი → გან-ივრ-ათ.

სადაურობის სახელები წარმოების თვალსაზრისით დიფერენცირებული არ არის — ვინ- ჯგუფის სახელებიც -ურ სუფიქსითაა წამროდგენილი: „თელაური ქალი მაიყვანეს რძლათ... ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგიწმინდული... ჩულაყურები სუყველა გაღმა გავიდნენ“ (ქართული დიალექტოლოგია). ადგილის ზმნისართებისაგან სადაურობის სახელები ორმაგი სუფიქსაციით იწარმოება: სადა-ურ-ელ-ი, აქა-ურ-ელ-ი, იქა-ურ-ელ-ი.

ვითარების ზმნისართებად გამოიყენება ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმები: წყობ-ის-ათ, უცბ-ის-ათ, ნებ-ის-ათ.

(#333)

გვხვდება ნა- პრეფიქსით ნაწარმოები წილობით რიცხვითი სახელები: ნა-სამ-ალ-ი, ნა-ხუთ-ალ-ი, ნა-ათ-ალ-ი... ნა-სამ-ალ-ი და მე-სამ-ედ-ი ფორმათა კონტამინაციით: ნა-სამ-ედ-ი, და ასე: ნა-ხუთ-ედ-ი, ნა-ათ-ედ-ი.

პრაქტიკულად არ იზღუდება აბსტრაქტულ სახელთა -ობა სუფიქსიანი წარმოება: ჰო-ობა „ჰოს თქმა, დათანხმება“, კარგ-ობა, ცუდ-ობა,ყან-ობა „პურის მკის დრო“, სახლ-ობა „მეუღლე“... როგორც ვხედავთ, ამგვარად ნაწარმოებ სახელებს ხშირად დამატებითი სემანტიკური ნიუანსი აქვს შეძენილი, ზოგჯერ კი მნიშვნელობის არსებით ცვლასთან გვაქვს საქმე. ამ სახელთაგან ზოგი მასდარის მაგივრობასაც ეწევა.

ფართოდაა გავრცელებული სახელთა ფუძის -ო სუფიქსიანი წარმოება (შეხამებული სხვადასხვა პრეფიქსთან); ამოსავალი ფუძე შესაძლოა იყოს სახელისაც (საქათმო „საქათმე“, საწისქვილო „საწისქვილე“, საშიშო „საშიში“, სიგრძო „სიგრძე“, სიგანო „სიგანე“) და ზმნისაც (საჭმო „საჭმელი“, მამსწრო „მომსწრე“).

ჩვენებით ნაცვალსახელთაგან (*აგ, ეგ, იგი) -რე ფორმანტით იწარმოება ვითარებითი ზმნისართები: აგ-რე, ეგ-რე, იგ-რე; ნ-ს განვითარებით: ანგრე, ენგრე, ინგრე.

ოჯახის (შტო-გვარის) კრებითი სახელები იწარმოება ანთროპონიმებისაგან -ან სუფიქსით: ოთარა-ან-ი, საბია-ან-ი, საფონკა-ან-ი. ივარაუდება, რომ ეს ფორმები

მრავლობითობის -ნ სუფიქსით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: *ოთარა-ან-ნ-ი; აქედან — კუთვნილების სახელი ოთარა-ან-თ რძალი, ლოკატივი: ოთარა-ან-თ-ა-ს || ოთარა-ან-თ-ა-ჲ || ოთარა-ან-თ-ა. საზოგადო სახელთაგან ამავე სემანტიკის ფორმათა საწარმოებად -იან სუფიქსია გამოყენებული:*ნეფ-იან-ნ-ი → ნეფ-იან-ი; აქედან: ნეფიან-თ მაყარი; ლოკატივი: ნეფ-იან-თ-ა-ს || ნეფ-იან-თ-ა-ჲ || ნეფ-იან-თ-ა. ლოკატივის დანიშნულებით აგრეთვე იხმარება: ოთარა-ან-თ-ს-ა, ნეფ-იან-თ-ს-ა (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

კნინობით სახელთა ძირითადი მაწარმოებელია -ა; ამ სუფიქსის დართვისას საკუთარ სახელთა ფუძე ხშირად წოდებითის ფორმითაა წარმოდგენილი: ვანო → *ვანოა → ვანუა, ლექსო → *ლექსოა → ლექსუა... (წოდებითში: ვანო! ან: ვანუავ!). კნინობითის ფორმანტს შესაძლოა წინ უსწრებდეს სხვადასხვა სუფიქსი: ზოგი — ასევე კნინობითობისა: -იკ (ნინ-იკ-ა), -ალ (კუდ-ალ-ა), -ურ (*ბარ-ურ-ა → ბარ-ულ-ა „პატარა ბარი“), -უჭ (ბაღლა-უჭ-ა || ბაღლა-უჭ-ი), რთული -იკ-ან (ტიტლ-იკ-ან-ა) და მისთ.

პრაქტიკულად არ იზღუდება ნასახელარი ზმნების წარმოება: რძლ-ობ-ს, ბოღმ-ობ-ს, ცოტა-ობ-ს... ე-ბოღმ-ებ-ა, შა-ფეხ-დ-ებ-ა „ფეხზე (334) დადგება“, მოსადილ-დ-ებ-ა... ღენჯ-ამ-ს „კაკალს ღენჯოს აცლის“, ა-ქოხ-ებ-ს... ორგანული წარმოებისაა ზოგი ისეთი ზმნაც, რომელთაც სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში აღწერითი ფორმები შეესატყვისება: ა-უ-დავ-დ-ებ-ა „დავას დაუწყებს“, გადა-ი-ფერ-ებ-ა „ფერს იცვლის“, გა-წინააღმდეგ-დ-ებ-ა „წინააღმდეგი იქნება“, და-სამფოჩ-დ-ებ-ა „სამ ფოჩს გაიკეთებს (სიმინდი)“, გა-შავრკინ-დ-ებ-ა „რკინასავით შავი (=ულამაზო) გახდება“... აქედან: ადავებული, გადაფერებული, გაწინააღმდეგებული, დასამფოჩებული, გაშავრკინებული („ჩაიხედეს სარკეში,მურმანი გაშავრკინებული გამოვიდა და ხემწიფი ცოლი კი ლამაზი“; ქართული დიალექტოლოგია).

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) ჩვენებითი „ეს“ ნაცვალსახელის ე- პრეფიქსი გადაჰყვება სხვა ბრუნვებშიც: ეს კაცი, ემ კაცმა, ემ კაცს... ანლოგიური ვითარებაა მისი პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებისას: ეს, ემან, ემას... გადადის ნაწარმოებ ფორმებშიც: ემითანა „ამისთანა“, ემნაირი „ამნაირი“...

ბ) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელი შესაძლოა სამი ნაირსახეობით შეგვხვდეს:

სახელობითი	მოხუც-ი კაც-ი
მოთხრობითი	მოხუც-მა || მოხუც || მოხუც-ი კაც-მა
მიცემითი	მოხუც-(ს) || მოხუც || მოხუც-ი კაც-(ს)

ნათესაობითი	მოხუც-ი(ს) || მოხუც || მოხუც-ი კაც-ი(ს)
მოქმედებითი	მოხუც-ი(ს) || მოხუც || მოხუც-ი კაც-ით
ვითარებითი	მოხუც-(ს) || მოხუც || მოხუც-ი კაც-ათ

პირველი პარადიგმა სრულ შეთანხმებას გვიდასტურებს; -ს ფონეტიკურ ნიადაგზე იკარგება, მავრცობი ხმოვნის წინ აღდგება (მოხუც-ს-ა კაც-ს-ა), მოქმედებითში მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმითაა წარმოდგენილი, ვითარებითში — მიცემითი ბრუნვისა.

მეორე და მესამე პარადიგმა ბრუნების ახალ პრინციპზე გადასვლის ნიმუშია: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი უცვლელია; შდრ.: პატარა კაც-ი, პატარა კაც-მა, პატარა კაც-ს...

სამივე პარადიგმა ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი ხშირად ირევა.

(#335)

გ) მსაზღვრელად რიცხვითი სახელის გამოყენებისას შესაძლოა მრავლობითი რიცხვის ფორმით იყოს წარმოდგენილი: მსაზღვრელიცა და საზღვრულიც (სამ-ნ-ი ძმა-ნ-ი, სამ-ნ-ი ძმ-ებ-ი), მხოლოდ საზღვრული — უპირატესად მაშინ, როცა -ებ სუფიქსიანი მრავლობითი გვაქვს (სამ-ი ძმ-ებ-ი).

დ) ჩვეულებრივია სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: „ცოლ-შვილმა მაილაპარაკეს“, „ხალხი წვანან“, „ჭამეს ირემი ყველამ“ (არნ. ჩიქობავა); „შეეშინდათ || შეეშინდაყე ხალხს“, „ოჯახს ბევრი სამუშაოები ჰქონდათ“ (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი), „შვიდივეს თავებ დაგჭრიყე“... არის საპირისპირო ნიმუშებიც: შეთანხმება არაა იქ, სადაც სავარაუდოა („მშობლებმა უთხრა“, „იყო ერთი კაცი და დედაკაცი“, „ზოგნი ამობდა“ [= ამბობდა]“).

ე) ინვერსიულ ზმნებში აღინიშნება რეალური ობიექტის (გრამატიკული სუბიექტის) მრავლობითობა: მას ისინი უყვარ-ან, უნდან-ან, ჰ-ყვან-ან, ენანები-ან... ანალოგიური ვითარებაა III სერიაშიც: მას ისინი უ-ნახ-ვ-ან-ან. პრინციპი ძველი ქართულისებურია, ოღონდ დიალექტური მოდიფიკაციით წარმოდგენილი (ძველ ქართულში იყო: უ-ნდ-ან, უ-ნახ-ვ-ან მას იგინი).

ვ) როგორც უკვე ითქვა (იხ. ზემოთ: „მორფოლოგია“), კახურში აღინიშნება III ობიექტური პირის მრავლობითობაც -ყე || -კე და -თ ფორმანტებით; აღინიშნება მრავლობითობა ირიბი ობიექტისა (მან მათ უთხრა-ყე || უთხრა-თ || უთხრა-თ-ყე; წაუღოყე || წაუღოთ || წაუღოთ-ყე) და პირდაპირი ობიექტისა (მან ისინი გზაზე დააყენაყე || დააყენათ || დააყენათყე; დაინახაყე || დაინახათ || დაინახათყე... მე ისინი დავინახეყე...).

ზ) II და III პირის ფორმებში ერთდროულად წარმოდგენილია სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი ფორმანტები: ისინი თქვენ გ-ა-ჩვენ-ებ-ენ-თ, ისინი მათ ა-ჩვენ-ებ-ენ-თ...

თ) „დაპატიჟა“ ზმნა მოითხოვს მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტს: „დაჲპატიჟეს ისევ სოვდაგარს“... „დაუძახა“ ზმნას ობიექტი ეხამება სახელობით ბრუნვაში: „დაუძახა შვილი“... „ეშინიან“, „რცხვენიან“ ტიპის ზმნებთან რეალურად მოქმედი პირი -გან თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: „ცხვარსა ძაღლისგან ეშინია“, „მე კი მრცხვენოდა დედაკაცებისაგან და იმას კი უხაროდა“ (არნ. ჩიქობავა).

ი) გარდაუვალ ზმნასთან (უპირატესად მაშინ, როცა გამოიხატება აქტიური მოქმედება) II სერიაში სუბიექტი შეიძლება დაისვას მოთხრობით ბრუნვაში (არნ. ჩიქობავა): „იმ მთხოვარამ შეენუკათ, რომ ამაღამ შამინახეთო“, „ვერც ერთმა ვერ მეერია“, „იმ დევის შვილმა (#336) წავიდა მოსაკითხავათ“... არის შემთხვევები, როცა სუბიექტი არ დაისმის მოთხრობით ბრუნვაში, მაგრამ ირიბი ობიექტი მაინც სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი (პირდაპირი ობიექტის მსგავსად): „ის ქალი მოუყვა თავი თავგადასავალი“ (ქართული დიალექტოლოგია).

კ) -მცა ნაწილაკ-მორფემოიდს შენარჩუნებული აქვს თავისი ფუნქცია — თხრობითი კილოს ფორმებს ანიჭებს კავშირებითის მნიშვნელობას: „შენამც ჩაგვარდნია მისი სიყვარული“, „აგრემც წამლად დაგედება ჩემი თავი“ (არნ. ჩიქობავა; ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი). თუმცა აშკარად შეინიშნება მერყეობაც, რისი პირველი სიმპტომი ისაა, რომ -მცა გამოიყენება კავშირებითის ფორმებთანაც: „აგრემც წამლად დაგედოს ჩემი თავი“.

ლ) „რომელიც“ კავშირი, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლად არ იხმარება; დასტურდება ორი ნაირსახეობით: რომელიც(ა) რომ(ა) („ი ბიჭი, რომელმაც რომა პური ჭამა, დაჲხვდა წინა“); „რომელი“ კავშირს მოსდევს განსასაზღვრი სახელი („გემეეცხადათ ერთი ბებერი, რომელმა ბებერმაც უთხრათ“, „შენ კი წადი იმ გზაზე, რომელი გზაც მიდის ამ ხრით“; ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

***

IV. განსაკუთრებით მრავალფეროვანია მევენახეობის, მემინდვრეობის, მესაქონლეობის დარგობრივი ლექსიკა. ღირსსაცნობია აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა, ნათესაობის აღმნიშვნელი, საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული სახელები, სხვადასხვა საწესო ჩვეულების ტერმინები. ისტორიული თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას ფრაზეოლოგიზმები ტიპისა: დაჩემებული მიწა, ხელდადებული მიწა, მზითვის ყმა, ძმად ჩაყენება, წილის ამოგდება (ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი, ს. მენთეშაშვილი). კახური დიალექტური ფორმები უხვად იპოვება სალიტერატურო ენაშიც. აი, მაგალითად, ზოგი იმ სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებსაც გ. ლეონიძე

იყენებდა: თავქეიფა, ღვინისხაპია, ბერიქალა, ამრეშებული, დანუკრებული, ლიტაო, ეჭინჭრება, მოცხრილა „გაიქცა“, ბუდექართველი... ძილს არ იძინებდა, გამოთეთრებით რომ გითხრა, ხარის ენის ტოლა ვენახი და მისთ.

საგანგებო ყურადღებას იქცევს აგრეთვე კახური მეტყველების სტილიც: დინჯი, დარბაისლური, ხატოვანი გამოთქმებითა და ანდაზებით შეზავებული.

(#337)

***

3.4. ინგილოური. საინგილო მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთით, ალაზნის მარცხენა მხარეს, ამჟამად შედის აზერბაიჯანის სსრ ფარგლებში (წარმოადგენს მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს). ლანდშაფტურად იგი შიგნიკახეთის უშუალო გაგრძელებაა აღმოსავლეთისაკენ. „საინგილო უძველეს დროში წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით — ჰერებით. იგი ალვანეთის (ალბანეთის) სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა. ძველთაგანვე ჰერებისა და ქართველების (კახელების) საერთო სამეურნეო და კულტურულმა საქმიანობამ და მჭიდრო მეზობლობამ, აგრეთვე ქართველების მიგრაციამ ჰერეთისაკენ განაპირობა მათი გაქართველება და ქართველებთან კულტურულ-ეთნიკური შერწყმა. IV-V სს. ჰერეთი საქართველოს პოლიტიკურადაც ერწყმის, საქართველოს ფარგლებშია და მის ერთ-ერთ (ჰერეთის) საერისთავოს წარმოადგენს)“ (გ. ჩანგაშვილი).

XI საუკუნიდან ჰერეთი შედის კახეთის სამეფოში. XV საუკუნიდან სახელწოდება „ჰერეთი“ საისტორიო წყაროებში აღარ იხსენიება, იგი მთლიანად შეერწყა კახეთს.

XVII-XVIII საუკუნეებში კახეთის არა ერთგზისმა დარბევამ დიდად დააზარალა საქართველოს ეს უხვი და ღონიერი კუთხე. განსაკუთრებით სავალალო შედეგები მოჰყვა ლეკთა დაუსრულებელ თარეშსა და შაჰ-აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს. შაჰ-აბასმა უმოწყალოდ დაარბია კახეთი, მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაბუდიანად აჰყარა და ირანის სხვადასხვა პროვინციაში (ფერეიდანში, გილანში, მაზანდერანში, ხოროსანში, შირაზში) დაასახლა. დაცარიელებულ კახეთში თურქმენთა ველური უდროების ჩამოსახლება დაიწყეს. ჩრდილოეთიდან საქართველოს უტევდნენ ირანისა და თურქეთისაგან წაქეზებული ლეკები (წახურელები, ხუნძები). 1604 წელს შაჰ-აბასმა ჰერეთის განაპირა თემი კახეთის მეფეს ალექსანდრე მეორეს ჩამოართვა და წახურელ ლეკებს გადასცა. თურქეთის სულთანმა 1727 წელს ამჟამინდელი საინგილოს ტერიტორია საგანგებო ფირმანით ჭარელ ლეკებს მიუზომა. იმატა ამ მიწაწყალზე ლეკების ჩამოსახლება, ისინი ქართულ სოფლებში მკვიდრად იკიდებდნენ ფეხს. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის აღმოსავლეთ კახეთში „ლეკები ერთიანდებიან ორ პოლიტიკურ ერთეულში: წახურელი ლეკები ელისუს სასულთნოს, ხოლო ავარიელები (ხუნძები) ჭარ-ბელაქნის თემად“ (გ. ჩანგაშვილი). დაიწყო ქართველების (კახელების)

მასობრივი ძალდატანებითი გამაჰმადიანება. საინგილო თანდათანობით ჩამოაცილეს საქართველოს.

(#338)

გამაჰმადიანებულ ქართველს „იანგილო“ ერქვა, რაც თურქულად ნიშნავს „ახალი“ → „ახლადმორჯულებული“; აქედან“ „ინგილო“, ხოლო კუთხის სახელწოდებად — „საინგილო“ (გ. ჩანგაშვილი).

1803 წელს რუს-ქართველთა ერთობლივმა ჯარმა ჭარ-ბელაქანი დაიპყრო, 1803-1830 წლებში ჭარ-ბელაქანი (საინგილო) საქართველოს მოხარკე კუთხედ ითვლებოდა, 1830-1844 წლებში იგი საქართველოს უშუალო ნაწილია, 1844-1860 წლებში იგი წარმოადგენს ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს, ხოლო 1860-1917 წლებში იგი (ზაქათალის ოლქის სახელწოდებით) კვლავ საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა (თბილისის გუბერნიაში). 1921 წლიდან საინგილო (კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები) აზერბაიჯანის სსრ საზღვრებშა მოქცეული (გ. ჩანგაშვილი).

საინგილოში მრავალი ერისა თუ ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს: ქართველები (ინგილოები), წახურელები, ხუნძები, ზერბაიჯანელები, რუსები, სომხები...

ქართველები სარწმუნოებით არიან ქრისტიანებიც (მხოლოდ კახის რაიონში) და მუსლიმანებიც (სამივე რაიონში). მათ შორის ზოგი სხვაობა იჩენს თავს. მაგალითად, ქრისტიანი ინგილოს კარმიდამოში აუცილებლად ხარობს ვაზი. გარდა ამისა, ადათ-წესები (ქორწილი, ნათლობა, დასაფლავება, რელიგიური დღესასწაულები, ჭამა-სმა...) მათ მუსულმანთაგან განსხვავებული აქვთ. ქრისტიან ინგილოებს გვარებიც ძირითადად ქართული აქვთ (ჯანაშვილი, ტარტარაშვილი, როსტიაშვილი, გამხარაშვილი, ხუციშვილი, პაპიაშვილი...), მუსულმანებს, როგორც წესი, არა.

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსიდან აშკარაა, რომ წარმოშობით ინგილოური დიალექტი კახურის განშტოებას წარმოადგენს. ენობრივი ღერძი, ხერხემალი კახურია, ოღონდ უხვად შეზავებული სხვა ენების (ხუნძურის, აზერბაიჯანულის) გავლენებით. გავლენა თავს იჩენს ყველა სისტემაში: ფონემატურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ სისტემებში.

არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „ყველაზე ახლო ფერეიდნული დგას ინგილოურთან, რომელიც წარმოშობით ქიზიყურის ღვიძლი ძმა უნდა იყოს... ინგილოურიც, ფერეიდნულის მსგავსად, თითქმის მოწყვეტილია ქართულ კილოებს და არც სამწერლობო ქართულის გავლენას განიცდის ისე, როგორც სხვა ქართული კილოები... არა მხოლოდ მსგავსი ბედი, არამედ მსგავსივე მოვლენები მოეპოვება ინგილოურს“.

ინგილოური დიალექტი იყოფა ორ კილოკავად; ესენია: კაკური და ალიაბათური. სახელწოდება შერქმეულია სოფლების კაკი (რომელსაც XX საუკუნის 20-იანი წლებიდან

კახი ეწოდება) და ალიაბათი მიხედ(#339)ვით. კაკურში გამოიყოფა ალიბეგლოური თქმა (ქართული დიალექტოლოგია).

კილოკავებსა და თქმებს შორის დიდი განსხვავებაა, „ხშირად ურთიერთგაგებაც კი უჭირთ. განსხვავება ნათლად ჩანს ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში“ (გ. იმნაიშვილი).

თუ რა სახისაა ეს სხვაობანი, რამდენიმე ნიმუშითაც კარგად წარმოჩნდება. კაკის (კახ-ინგილოს) უბნებია კახისთავი და თოუ̂ფაღი; ისინი ტერიტორიულადაც ახლოს არიან ერთმანეთთან და ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთობაც აქვთ. და მაინც ხელშესაეხბია მეტყველების ნაირგვაროზა: კახისთავში იტყვიან: მე მივაქომ, შენ მიაქომ, ის მიაქომს, თოუ̂ფაღში — მე მüაქ, შენ მიაქ, ის მიაქს... ასევე: კაკში ამბობენ დარვაზაჲ, ვარცხლ, ისტაქან... ალიბეგლოში — დაროზაჲ, ვარცლ, ესტაქან... (გ. იმნაიშვილი).

ეს ყველაფერი ერთიანი საყრდენი მეტყველების უქონლობითა და იმავდროულად სხვაენოვან მოსახლეობასთან სხვადასხვაგვარი კონტაქტით აიხსნება. არამცირედი წილი უძევს ამ სხვაობაში ეროვნულ სულისკვეთებასაც. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით გაზეთ „ივერიაში“ (1888 წ. N 198) დაბეჭდილი ცნობა: „სოფელს ყორაღანში არის 120 კომლი მოსახლე, ამათგან ნახევარი მართლმადიდებელია და ნახევარი ქრისტიანობითგან გადამდგარნი ინგილონი მაჰმადის რჯულისანი. აქ ერთი ძმა ქრისტიანია, მეორე ძმა მაჰმადიანია... აქობამდე ერთმანეთში სიყვარულითა და თანხმობით ცხოვრობდნენ, ეხლა კი ფანატიკოსობამ მაჰმადიანობისამ ძლიერ ფეხი აიდგა და იქამდის მივიდა ეს ფანატიკოსობა, რომ მაჰმადიანთ პირობა შეჰკრეს, სამშობლო მამა-პაპის ქართული ენა აღარ ილაპარაკონ“.

ერთიანი (საყრდენი) ეროვნული ენისგან თითქმის სრულმა მოწყვეტამ, სარწმუნოებრივმა სხვაობამ, სხვაენოვანი მოსახლეობის მოძალებამ შედეგად ის იქონია, რომ არც ერთ სხვა ქართულ კილოს არ ახასიათებს კილოკავებად, თქმებად, ქცევებად ისეთი მრავალფეროვანი და მკვეთრი დანაწილება, როგორც ინგილოურს. დიფერენციაციის პროცესი გარკვეულწილად შენელდა მას შემდეგ, რაც აქ გაიხსნა ქართული სკოლები — ახალი თაობა განათლებას ქართული სალიტერატურო ენის საფუძველზე იღებს, ბევრი მათგანი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს სწავლას ქართულ ენაზე, რაც, ბუნებრივია, უშუალო ზეგავლენას ახდენს მათ კილოურ მეტყველებაზეც. შესაძლებელი ხდება მეტყველების მიხედვით ინგილოთა ამ ფენის გამოყოფა, გამორჩეულის სპეციფიკური დიალექტური ფორმების ნიველირებითა და სალიტერატურო ქართულის აშკარა გავლენით. ამჟამად ინგილოების ერთ ნაწილს მეტ-ნაკლები კავშირი აქვს ლაგოდეხის (#340) რაიონის მცხოვრებლებთან, რისი კვალიც ილანდება ინგილოურის ზოგ კილო-თქმაში.

რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარი ენობრივი სიტუაციაა ინგილოებით დასახლებულ სოფელ სამთაწყაროში, რომელიც საქართველოს ფარგლებში, წითელწყაროს რაიონში მდებარეობს.

***

I. ფონეტიკა.

ინგილოურის ფონემატური სტრუქტურა საკმაოდ სხვაობს სალიტერატურო ენისა და სხვა ქართულ კილოთაგან.

დაცული აქვს ჴ: საჴნავი... ზოგჯერ (უპირატესად ალიაბათურში) ჴ → ყ (ოღონდ გადმოყოლილი აქვს ჴ-ს ელფერი, ჯერძოდ, ფშვინვიერება): ფეყ „ფეხი“, დანაყოცი „დანახოცი“ (გ. იმნაიშვილი).

დასტურდება ̂ ბგერაც, რომელიც უმეტეს წილ მიიღება სრულხმოვანი უ-საგან ა, ე, ო ხმოვანთა მომდევნოდ: დაუჭერია →დაჷ̂ჭერი, შეუჭამია →შეჷ̂ჭამი, მოუკლავს → მოჷ̂კლავ... ამგვარი ცვლილების საფუძველზე წარმოიქმნება დიფთონგები: აჷ̂ (წაჷ̂და „წავიდა“), ეჷ̂ (შეჷ̂შüრა „შეუშვირა“), ოჷ̂ (მოჷ̂ყონი „მოუყვანია“),იჷ̂ (მიჷ̂ცი „მიუცია“).

ჲ, ჩვეულებრივ, ი-ს რეფლექსია ა, ე, ო, უ ხმოვანთა მომდევნო პოზიციაში. ცვლილება ხდება როგორც თავკიდურა (გამოიღო → გამაჲღ, დავიჭერ → დოჲჭერ), ასევე ბოლოკიდურა (მამაი → მამაჲ, ციხეით → ციხეჲთ) პოზიციებში. ამ ორ ჲ-ს ზოგჯერ აკუსტიკურად განარჩევენ: პირველი საშუალ ადგილს იჭერს ი-სა და ჲ-ს შორისო (გ. იმნაიშვილი). წარმოიქმნება დიფთონგები: აჲ (მამაჲ, „მამა“, შაჲ „შედი“), ეჲ (ზეჲ, „ზევით“),ოჲ (კალოჲ „კალო“), უჲ (ზუზუჲ „ძუძუ“), öჲ (← ვეჲ; თöჲ „თვე“), იჲ (იქიჲ „იქიდან“). ჲ შესაძლოა ს ბგერის ნაცვალიც იყოს: „იწყოვს სახლ აშენევაჲ (=აშენებას)“, „მელაჲ (→ მელას) მუცლი ტკივილიც ეეს ყოფილა“... ეს მოვლენა უპირატესად კაკურისთვისაა ნიშანდობლივი. იშვიათად ჲ არის ლ-ს რეფლექსი: ჴეჲში „ხელში“ (გ. იმნაიშვილი).

აღმავალი დიფთონგები ნაკლები გავრცელებისაა: ûა (ხûალ „ვალ“), ûე (მოხûელ „მოხველი“)... ჲა (ჲავა-ჲავაშ „ნელ-ნელა“), ჲო (ჲოლდაშ „ამხანაგი“), ჲü (ჲüქ „საპალნე“) და მისთ. ჲ-თი შედგენილი აღმავალი დიფთონგები, როგორც წესი, გვხვდება აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში (გ. იმნაიშვილი). იმავდროულად ûა → ო, ûე →ö (#341) კანონზომიერი პროცესია ინგილოურში; ამიტომაც ûა, ûე რიგის დიფთონგები იშვიათია.

ინგილოურის სპეციფიკური მოვლენაა ჯ და ძ აფრიკატების უქონლობა. მათ. შესაბამისად, ცვლის ჟ და ზ სპირანტები: ხურჯინი → ხურჟინი, პატარძალი → პატარზალი... ეს მოვლენა ხუნძურის გავლენით აიხსნება (ვ. თოფურია). მართლაც, ხუნძრში „ჯ ყველგან მერყევი ბგერაა: მის ადგილას შეიძლება ისევ ჟ იხმაროს“ (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე). იგივე ითქმის ძ → ზ შენაცვლების შესახებაც, ოღონდ ძ აზერბაიჯანულსაც არ მოეპოვება და ამ შემთხვევაში აზერბაიჯანულის გავლენაც არ გამოირიცხება (გ. იმნაიშვილი).

ლ ბგერა ინგილოურში სამი ნაირსახეობით გვხვდება: ა) საკუთრივ ლ — ქართული წარმოთქმით: ქორწილი; ბ) დაყოვნებული ანუ გემინირებული ლ — უპირატესად აზერბაიჯანულიდან შემოსულ სიტყვებში: ქელლაჲ „თავის ქალა“, მილლათ „ხალხი“; თუმცა შეინიშნება ქართულ სიტყვებშიც: დილლაზე „დილით“; გ) რბილი ანუ პალატალური ლ — უმეტეს წილ აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში: ლüთ „ტიტველი“, თüლქი „მელა“. ზოგჯერ დასტურდება ქართულ სიტყვებშიც: ჴელში, წელში, რის შედეგადაც იშვიათად შესაძლოა ლ →ჲ: ჴეჲში (იხ. ზემოთ).

ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი მ: ა) საკუთრივ მ — ქართული წარმოთქმით: მამამთილი, ხურმაჲ; ბ) გემინირებული მ: გამმეჩ „კამეჩი“, ამმა „მაგრამ“.

გემინატი ზოგჯერ მიიღება ორი იდენტური თანხმოვნის თავმოყრით, რასაც წინ მათ შორის პოვნიერი ბგერის დაკარგვა უძღვის: გამოლალვით → გამოლლით, აგრე ჰგონია → აგრგონი → აგგონი, პაწაწა → პიწწა (გ. იმნაიშვილი).

ორ-ორი ნაირსახეობა ეპოვებათ ხ, დ, რ, ჰ თანხმოვნებსაც.

გარდა ჩვეულებრივი ხ-სა, გვხვდება მისი რბილი ნაირსახეობაც (საშუალო ბგერა ხ-სა და ჰ-ს შორის) ყ ან ხ ბგერების წინ; ესაა ჰ → ხ ცვლილების შედეგად მიღებული ბგერა: გაჰყო → გახყო, დაჰხურა → დახხურა.

ჩვეულებრივი მჟღერი დ-ს გვერდით იპოვება ყრუ დ-ც, რომელიც აკუსტიკურად „ხან თ-ს უახლოვდება, ხან ტ-ს“ იმის მიხედვით, ყრი ფშვინვიერი თუ ყრუ მკვეთრი ბგერის მეზობლადაა: ჩასდო, მოკდო „მოკვდა“.

ხმოვნების წინა პოზიციაში რ სუსტდება და აკუსტიკურად ემსგავსება რბილ ღ-სა ან ჰ-ს: რაჲსა „რის“ → ღაჲსა || ჰაჲსა, როგორ → ღოგო || ჰოგო. ზოგჯერ რ იმდენად სუსტდება, რომ „წარმოადგენს მხოლოდ მომდევნო ხმოვნის შემართვის ობიექტს“ (გ. იმნაიშვილი).

(#342)

ხმოვნის დასუსტებით მიიღება ჷ, რომელიც იკარგვის მახვილიანი ხმოვნის წინა პოზიციაში: ჩამოდით → ჩჷმოჲთ → ჩმოჲთ, ჩამოაგდეს || ჩამააგდეს → ჩჷმააგდეს; ასევე: კარში → კარშჷ → კარშ.

გვხვდება მკვეთრი (ძლიერი) შემართვის ხმოვნები: yემაგ „აი მაგრე“, yეფარა „ეფარა“, yუთქომ „უთქვამს“ , yინსან „კაცი“ (თავკიდურა პოზიციაში); მეyუა ← მეოა „მეო?“ (შუა პოზიციაში).

იმავდროულად იმავე პოზიციებში „უხვად ვხვდებით ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის შემთხვევებს“ (გ. იმნაიშვილი): ჰეგ „ეგ“, ჰუთქომ „უთქვამს“ (თავკიდურა პოზიციაში); მეჰუა ←მეოა „მეო?“ (შუა პოზიციაში). შევნიშნავთ, რომ მ. ჯანაშვილი

ჰუთქომ, ჰუთხოვ ტიპის ფორმებში ჰაემეტობის კვალს ხედავდა. სინამდვილეში აქ ფშვინვიერი შემართვაა (ა. შანიძე), რაც ამჟამად ზმნებს ნაკლებად ახასიათებს.

სპეციფიკურ ენგილოურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ხმოვანთა ფშვინვიერი დამართვა: ა) უპირატესად ზმნისწინებში, როცა ზმნისწინის მახვილიან ხმოვანს ფუძისეული თანხმოვანი მოსდევს: დაჰ-ჩებიან „დარჩებიან“, დოჰ-წ „დავწვი“... ამავე პოზიციაში ზოგჯერ ჰ- პირის ნიშანია, რომელსაც ინგილოურში ამ დროს ორი დანიშნულება აკისრია — მორფოლოგიური (პირის ნიშანია) და ფონეტიკური (ფშვინვიერი დამართვაა): დაჰ-დგი „დადგი“, გაჰ-ბედი „გაბედე“... თუ ზმნისწინს მოსდევს ხმოვანი პრეფიქსი, ფშვინვიერი დამართვა გადაიწევს ამ პრეფიქსის მომდევნოდ; მუ-აჰ-ყö „მოაქვსყე“; ბ) ზოგჯერ — ზმნის ხმოვან პრეფიქსებთანაც: აჰ-ქხö „აქვსყე“; გ) იშვიათად შეინიშნება ბოლოკიდურა პოზიციაშიც: არაჰ „არა“ (გ. იმნაიშვილი).

ინგილოურისათვის არც იოტიზებული შემართვაა უცხო: ჲეხლა „ეხლა“, ჲემაგ „აი მაგრე“.

ხმოვანთა შემართვის სამივე ნაირსახეობა ხშირად პარალელურად იჩენს თავს: yემაგ || ჰემაგ || ჲემაგ „აი მაგრე“; ანალოგიურად — დამართვის შემთხვევაშიც: არაჰ || არაy.

ხმოვანთა ფშვინვიერი დამართვა შეიძლება შეიცვალოს ხმოვანთა დაგრძელებით: დაჰდგი → დāდგი, გაჰბედი → გāბედი. აქ გარკვეული ზემოქმედება უნდა მოეხდინა ტონურ მახვილსაც, რომელიც თავიდან პირველ მარცვალს მოუდის (გ. იმნაიშვილი).

ინგილოურში სისტემებრ დასტურდება უმლაუტიანი ö და ü ხმოვნები (ä გვხვდება აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში). საკუთრივ ქართულ ფორმებში მათი წარმოქმნა ზუსტი კანონზომიერებით ხდება:

ა) ვე || ûე → ö: კვერცხი → კöრცხი, გველი → გöლი, წყვეტავს → წყöტავს, უკრავენ → უკრვენ → უკრöნ... ö-მ შესაძლოა დაიმსგავ(#343)სოს წინამავალი (მოხველი→ მოხöლი → მöხöლი) ან მომდევნო (გველები→ გöლები → გöლობი → გöლöბი) ხმოვანი. ö ზოგჯერ მიღებულია რთული ფონეტიკური გარდაქმნების საფუძველზე: ექვსი → ვექსი (მეტათეზისით)→ öქსი, ფეტვი → *ფვეტი → ფöტი, ჴვნეშა → *ჴნვეშა → ჴნöშაჲ, ვქენ → *ქვენ → ქöნ... ö-ს იძლევა აგრეთვე -ევ კომპლექსი: თევზი → თöვზი (ამ შემთხვევაში ვ შენარჩუნებულია). იპოვება ისეთი შემთხვევებიც, როცა ე ხმოვანი იწვევს ო-ს პალატალიზაციას და აქცევს მას ö-დ, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, იმსგავსებს მაპალატალიზებელ ე-ს: ეზოჲ→ ეზöჲ→ öზöჲ, გენდობი → გენდöბი → გöნდöბი (გ. იმნაიშვილი). ö და ო ზოგჯერ მნიშვნელობათგანმასხვავებლის ფუნქციას იძენს: ზöლ „ძველი“ — ზოლ „ძვალი“, წöლაჲ „წველა“ — წოლაჲ „წოლა“... ანუ: ვე კომპლექსის ადგილი დაიკავა ö-მ და ფონოლოგიურადაც მისი დანიშნულება დაეკისრა:

ბ) ვი || ûი → ü: წვიმა → წümაჲ, შვიდი → შüდი, გვიან → გüან, გამოიღვიძა → გამაჲღüზა, ეტყვის → ეტყüს... ü იმსგავსებს წინამავალ (სირცხვილი→ სირცხüლი → სüრცხüლი, გეტყვი → გეტყü → გëტყü) ან მომდევნო (აღვიძებს→ აღüზებს → აღüზëბს) ხმოვანს. ü შესაძლოა მიღებულ იქნეს რთული ფონეტიკური გარდაქმნის საფუძველზე: ძირკვი → *ძვირკი (მეტათეზისით)→ ზüრკ... ზოგჯერ ü მიიღება უ-ს პალატალიზაციით (მაპალატალიზებელი ხმოვანია ე): გათხოვება → გათხოებაჲ (ვ-ს დაკარგვით) → გათხუებაჲ (ოე→ უე დისიმილაციით) → გათხüებაჲ || გათხüევაჲ (უ-ს პალატალიზაციით). ü და უ მნიშვნელობებს განასხვავებს: უყüრევს „უყვირებს“ — უყურევს „უყურებს“...

უმლაუტიანი ხმოვნების დამკვიდრებას ინგილოურში ხელი შეუწყო აზერბაიჯანულ ენასთან კონტაქტმა, მაგრამ ö და ü ხმოვნების პოვნიერება სხვა ქართული კილოებშიც გვავარაუდებინებს, რომ მათი წარმოქმნის საფუძველი თვით დიალექტის შინაგანი პოტენციითაა შეპირობებული.

ინგილოურში გვხვდება ზოგი სპეციფიკური ბგერა, რომლებიც მხოლოდ აზერბაიჯანულიდან ან აზერბაიჯანულის გზით შემოსულ სიტყვებში დასტუდება (სიტყვას შემოჰყვა გამოთქმაც) და, ამდენად, საკუთრივ ინგილოურის ბგერით სისტემას არ განეკუთვნება (ლაბიალიზებული ი, უკანა რიგის მაგარი ი, ფართო ო და მისთ.); მით უმეტეს, რომ ყველა ამ ბგერას პარალელურად ეპოვება ინგილოურისათვის დამახასიათებელი ეკვივალენტი (ხდება გამოთქმის შეგუება ინგილოურ მეტყველებასთან).

(#344)

ზმნის ე- პრეფიქსი იწვევს ზმნისწინისეული ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას, რომელსაც ვერ აბრკოლებს პირის ნიშანი: დაენახა → დეენახა, გაეგო → გეეგა... გამეგო → გემეგა, გაგეგო →გეგეგა... ანალოგიურ ცვლილებას იწვევს ფუძისეული ე ხმოვანი: წაველი → წეველ, დადექი → დედექ; ზოგჯერ — ფუძისეული ი-ც: ჩადის → ჩედის (გ. იმნაიშვილი).

სპორადულად ზმნისწინისეული ხმოვნის ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას იწვევს ზმნის უ- პრეფიქსი: აუგია → ოûგი, გაუთავდა → გოûთავდა. ანალოგიური ვითარებაა ენკლიტიკის შემთხვევაშიც: რა უყავი → როûყავი. ხდება იგი მაშინაც, როცა û რთული ფონეტიკური გარდაქმნის საფუძველზეა მიღებული: წავიდა → წაûდა → წოûდა.

სპეციფიკურ ინგილოურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სრული რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები რთული შედგენილობის ზმნისწინებში: ამო-დის → ომო-დის, გამო-ჩნდა → გომო-ჩნდა, ჩამო-ვიდა → ჩომო-ვიდა, შემო-ვიდა → შომო-ვიდა... რთული ზმნისწინები სხვა ფონეტიკური ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი იმ შემთხვევაში, თუ: ა) მო- ზმნისწინის ნაცვლად გვაქვს მა-: ჩამო-ასხი → ჩამა-ასხ; ბ)

ზმნაში წარმოდგენილია ე-პრეფიქსი: ჩამა/ო-ეტანა → ჩემე-ეტანა; გ) მო- ზმნისწინს მოსდევს ა- ან ე- პრეფიქსი — ხდება რეგრესული დისიმილაცია: ჩამოვაგდე → ჩამოაგდე (ვ-ს დაკარგვით) → ჩამუაგდ || ჩუმუაგდ (რეგრესული სრული ასიმილაციით); ამ რიგის ცვლილება უპირატესაც პირველი სუბიექტური პირის ფორმებში შეინიშნება; ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა ვ ფუძისეულია: ჩამოვარდნილა → ჩამუარდნილ || ჩუმუარდნილ.

რთულ ზმნისწინებთან არის აგრეთვე დაკავშირებული მეტათეზისის სპეციფიკური შემთხვევა ობიექტური პირის გ-, გვ- ნიშნებისა (თან ახლავს ხმოვნის სინკოპე): გამო-გ-ი-წერ-ა → * გამ-გ-ი-წერ-ა → გაგმიწერ-ა (რ. ღამბაშიძე). დასტურდება ორივე კილოკავში. შევნიშნავთ: გვ- მარტივდება (შემო-გვ-ხვდ-ა→ შოგმიხტო).

ინგილოურის თავისებურებად მოჩანს პირველი სუბიექტური პირის ვ- ნიშნის მიერ ზმნისწინისეული ხმოვნის ასიმილაციის შემთხვევებიც, რაც უპირატესად კაკური კილოკავისათვის არის ნიშანდობლივი. ვ- შენარჩუნებულია ფუძისეული თანხმოვნის წინ (დავკალი→ დოვკალ), იკარგვის ზმნის ხმოვანი პრეფიქსის წინ (ავიტანე→ ოვიტანე → ოჲტან, დავინახე → დოჲნახ). ანალოგიურ ცვლილებას იწვევს ვ- მეშველზმიან ფორმებში; ასე ხდება, მაგალითად, მყოფადის აღწერითი წარმოების დროს, როცა მიმღეობის ფუძეს დაერთვის „ვარ“ მეშველი ზმნა: მოსაცემელ ვარ → მააცემე-ვარ → მააცემო-ვარ → მაა(#345)ცემუ-ვარ „მივცემ“ (ზედმიწევნით: „მოსაცემი ვარ“, შდრ.: „მომცემი ვარ“). ზმნისწინისეული ხმოვნის დამსგავსების უნარი აქვს პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გვ- ნიშანსაც (ამ შემთხვევაში პირის ნიშნისეული ვ ელემენტი, ჩვეულებრივ, იკარგვის): აგვტკივდა → ოგტკივდა, წაგვიყვანა → წოგიყონა... ეს მოვლენა შესაძლებლობას ქმნის ფორმათა მორფოლოგიური გარჩევისა: ოჲტან „ავიტანე“ — აჲტან „აიტანე“, გოჲგ „გავიგე“ — გაჲგ „გაიგე“, შოჲნახ „შევინახე“ — შაჲნახ „შეინახე“, ოგტკივდა „აგტკივდა“ — აგტკივდა „აგტკივდა“.

აო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ბოლოკიდურა პოზიციაში: მუშაობა → მუშაოობა || მუშოოვა, გორაობს → გოროობს || გოროოვს.

თანხმოვანთა ასიმილაცია შეზღუდულადაა წარმოდგენილი. თავს იჩენს როგორც რეგრესული (გაქვსყე→ გაქყე → გახყე „გაქვთ“, გასათლელნია → გაათლელნი → გაათლენნი „გაათლიან, გაითლებიან“), ასევე პროგრესული (კეთდების→ კეთტების || კეთტევის, დამიხვდა → დამიხდა → დამიხტო, მკვდარი → კდარი → კტარ) ასიმილაციის შემთხვევები.

ეე → იე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე: ტყეები → ტყიები... ზოგჯერ მას წინ უსწრებს სრული რეგრესული ასიმილაცია: მაგაები → მაგეები → მაგიები; გვაქვს უფრო რთული გარდაქმნის შემთხვევებიც: აუთავებია → ოჳთავებია → ოჳთეებია → ოჳთიებია, მკლავები → კლაები → კლეები → კლიები. პროცესს ხშირად თან ახლავს თანამდევი ფონეტიკური ცვლილებანი: ქვა → ქვაები →ქვეები → ქვიები → ქüებ (ვი→ ü საფუძველზე).

როგორც აღინიშნა, აე კომპლექსი სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს ეე-დ (დაინახა→ დეენახა, მაგაები → მაგეები). მაგრამ იგივე კომპლექსი ზოგჯერ იცვლება პროგრესული დისიმილაციითაც: აე → აჲ. ამის გამო აე კომპლექსი სამი ნაირსახეობით შეგვხვდება: უცვლელად (დოსტაშნაჲ „მეგობარი“→ დოსტაშნაები), აე → ეე → იე დისიმილირებული (დოსტაშნიები) და აე → აჲ დისიმილირებული (დოსტაშნაჲბი).

ოო →უო დისიმილაციით (მუშაობს→ მუშოობს → მუშუობს || მუშუოვს). შესაძლოა, უ → ü, შემდეგ კი: ü → ი დელაბიალიზაციის საფუძველზე, რაც ასევე დისიმილაციის შედეგი ჩანს: ლოცავს → ლოცავობს → ლოცაობს → ლოცოობს → *ლოცუობს → ლოცüობს →ლოციობს, მეორე → მოორე (სრული რეგრესული ასიმილაციით) → მუორე → მüორე → მიორე; პარალელურად დასტურდება: მöბრე, მüბრე, მüვერე, მივერე, მებრე, მევერე... (გ. იმნაიშვილი).

(#346)

დისიმილაციის საფუძველზე ოა, ოე, ეა იცვლება უა, უე, ია კომპლექსებად.

ცვლილება ხდება:

ა) თავკიდურა პოზიციაში: მოაგონდა → მუაგონდ, მოეკიდა → მუეკიდ, შეაყოლა → შიაყოლა... ცვლილება ხდება მაშინაც, როცა ოა და ოე კომპლექსები ფონეტიკური გარდაქმნის შედეგადაა მიღებული: ბგერის დაკარგვის საფუძველზე (ჩამოვარდა→ ჩამოარდა → ჩამუარდ, გამოველ → გამოელ → გამუელ), ერთდროულად ბგერის დაკარგვითა და ასიმილაციით (გავაკეთებ→ გოვაქითებ → გოაქითებ → გუაქითებ, შეველი → შოველი → შოელი → შუელი, წაველი → წოველი → წოელი → წუელ). იმავდროულად მო- → მუ- ზმნისწინისეულმა ხმოვანმა შესაძლოა გამოიწვიოს წინამავალი ხმოვნის რეგრესული დისტანციური ასიმილაცია: ჩამოვარდა → ჩამოარდა → ჩამუარდა → ჩუმუარდ(ა); და ასე: გამოეკიდა → გუმუეკიდ, გამოველ → გუმუელ;

ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: იყოა? „იყო?“→ იყუა? || ეყუა? კალოები → კალუები || კალუევ; გაჰცვალეა? „გაცვალე?“→ გაჰცოლია? (კომპლექსი შესაძლოა მიღებულ იქნეს ფონეტიკური გამარტივების შედეგად: დღესაც — დღეაც — დღიაც); (გ. იმნაიშვილი). შევნიშნავთ: კაკურ კილოკავში კომპლექსის ცვლა ბრკოლდება, თუ საცვლელ ხმოვანზე მახვილი ეცემა: რაჲ ქნბა? (და არა: ქნუა) „რა ქნა?“ ; მოჲდéა? (და არა: მოჲდია?) „მოვიდე?“.

აი, ეი, ოი, უი კომპლექსთა ცვლილების შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი ი →ჲ პროცესთან დაკავშირებით. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ კომპლექსთა ცვლილება ზოგჯერ სხვაობს კილოკავების მიხედვით; მაგალითად, წა-ვ-ი-ღ-ე, ჩვეულებრივ, იძლევა წო-ჲ-ღ ნაირსახეობას, მაგრამ ალიაბათურში შესაძლოა დაიკარგოს პრეფიქსისეული ი- და მაშინ ფორმა სულ სხვაგვარი ფონეტიკური ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: წა-ვ-ღ-ი.

ასევე: ö და ü ბგერებთან დაკავშირებით უკვე ითქვა ვე || ûე და ვი || ûი კომპლექსთა ცვლილებებზე. შევნიშნავთ, რომ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა, რომ ამ კომპლექსთა გარდაქმნით ვიღებთ უუმლაუტო ო და უ ხმოვნებს: ჩვენ → ჩონ, თანდებული -თვინ → -თუნ: მაგისთუნ „მაგისთვის“ (შდრ.: თქვენ → თქöნ); „იმი გადითუნ ჩონ ყაûმობაჲ დოჲწყოთ“ (ზედმიწევნით: „იმის ვაჟისთვის ჩვენ მოყვრობა დავიწყოთ“).

ვა || ûა → ო პროცესი თითქმის შეუზღუდავად მოქმედებს: კვალავ → კოლავ, მოყვანა → მოყონაჲ, იცვამს → იცომს, გვაქვს → გოქავ... ამგვარ შენაცვლებას ზოგჯერ წინ მეტათეზისი უძღვის: მოკვდა →(#347) *მოკდვა → მოკდო, დაუხვდა → *დაუხდვა → დაუხდო || დაუხტო... სხვაგვარი ახსნით: ვ იკარგვის და საკომპენსაციოდ ახდენს ა ხმოვნის პროგრესულ დისტანციურ ასიმილაციას.

ვა → ო პროცესი იზღუდება მხოლოდ ორ შემთხვევაში: ა) მახვილი მოუდის ა ხმოვანს: მოკლვაჲ, ქვაჲ; ბ) მახვილი მოუდის ვ || û ბგერას, რის საფუძველზეც იგი გარდაიქმნის უ-დ: მოკლúაჲ, ქúაჲ || ქú̈ვაჲ.

ამჟამად ინგილოურში მახვილი შედარებით სუსტია, მაგრამ ისტორიულად მის ძლიერ მოქმედებაზე მიანიშნებს შედეგი, რაც ხმოვანთა რედუქციითაა წარმოდგენილი. ეს ძირითადად ეხება კაკურ კილოკავს, სადაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე უნდა ყოფილიყო; ეს კი იწვევდა როგორც მომდევნო (ბოლოდან პირველი), ასევე წინამავალი ხმოვნის რედუქციას: სიმíნდი → სჷმíნდ || სმíნდ, კაჲრში → კაჲრშჷ → კაჲრშ, ცხოვაჲყე „ცხვება ხოლმე“ → ცხö̆ვაჲყ.

მრავლობითობის -ებ ფორმანტი, აგრეთვე -ებ და -ობ თემის ნიშნები ინგილოურში იძლევა -ევ და -ოვ ფონეტიკურ ნაირსახეობებს. კილოკავების მიხედვით ასეთი ვითარებაა: ა) კაკურში (ალიბეგლოური თქმის გამოკლებით) ჩვეულებრივია -ევ და -ოვ: გö̆რც (← გვერდს) ნაცნოვ-ევ, დეაჲდაჲ, მამიდაჲ აკეთ-ევ-დნენ კაჲ შახ-ევ-ს ვაშლ-ევ-ით: სამ შამფურზე ერთა აგეûლ ვაშლ-ევ, ერთიც თავზე დიდ ვაშლ. საღამოჲ ღამდ-ევ, ქორწილ თავდ-ევ „ახლო ნაცნობები (ნათესავები), დეიდა, მამიდა აკეთებდნენ კარგ შამფურებს — საქორწილო საჩუქრების ასაცმელად — ვაშლებით: სამ შამფურზე ერთადაა აგებული ვაშლები, ერთიც თავზე დიდი ვაშლი. საღამო ღამდება, ქორწილი თავდება“; ნაღარა-ზურნას უკრö̆ნ, შიპრ-ოვ-ენ „ნაღარა-ზურნას უკრავენ, ცეკვავენ“; ბ) ალიაბათურში -ევ, -ოვ შეგვხვდება თანხმოვნის წინა პოზიციაში: პატრონ-ევ-ს „პატრონებს“, აგრü-ევ-დ-ნენ „აგროვებდნენ“. უპირატესაც -ებ, -ობ უცვლელია.

ძალზე იშვიათია -ავ → -ამ, -ებ → -ემ, -ობ → -ომ თემის ნიშანთა შენაცვლება; სპორადულად მაინც გვხვდება, ზოგჯერ თავს იჩენს ნ-იანი ნაირსახეობაც: ხედ-ავ-ს → ხედ-ამ-ს, ჩა-ი-ცვ-ამ-ს → ჩა-ი-ცომ-ს → ჩა-ი-ცონ-ს, მი-ა-ქვ-ამ-ს „მიაქვს“→ მი-ა-ქომ-ს → მი-ა-ქონ-ს (გ. იმნაიშვილი). იმავდროულად სხვა შემთხვევებში ვ : მ, ბ : მ მონაცვლეობა საკმაოდ გავრცელებულია: ვიწრო → მიწრო, ვენახი → მენაჯი, დაავიწყდა → დაამირწყდა... კბენა → კმენა...

ინგილოურში ხშირია ბგერათა დაკარგვის შემთხვევები. დავასახელებთ ტიპობრივ ნიმუშებს.

ს სპირანტი იკარგვის: ა) ინტერვოკალურ პოზიციაში: მოსაკვდომელი → მააკდომელ, იმასაც → იმააც; ბ) პაუზის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: სწოორა → წოორა || წორ, სპარსეთი → პარსეთი; გ) თანხმოვ (#348)ნის მომდევნოდ პაუზის წინ: მიცემითი ბრუნვის ნიშანი (ფქüლ მააყრი „ფქვილს მოაყრი“, თოფ გაჲსრüან „თოფს გაისვრიან“); მესამე სუბიექტური პირის ნიშანი — -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა პირველ შედეგობითსა და სტატიკურ ზმნათა აწმყოში (უნახავ : უნახავს“, უთქომ „უთქვამს“ [მაგრამ დაცულია ამავე ზმნათა აწმყო-მყოფადში: ნახავს, შეჰხედავს]; მზინავ „ბზინავს“, მყავ „მყავს“); დ) ნათესაობითი ბრუნვის -ის → -ი: მამლი ნაყივ თარაფში „მამლის დანაყივლებ მხარეში“... ყველა შემთხვევაში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ს — ზოგჯერ ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი.

იკარგვის მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული თ ელემენტი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: ურმ-ი ვზიდავთ „ურმით ვზიდავთ“.

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან ვითარებითი ბრუნვის -ად ხშირად წარმოდგენილია როგორც -ა: ლამაზა „ლამაზად“, წააღეველა „წასაღებად“.

***

ფონეტიკური მიმოხილვის დროს უკვე წარმოჩნდა ზოგი კილოკაური სხვაობა კაკურსა და ალიაბათურს შორის, მაგრამ არის ერთი ფონეტიკური მოვლენა, რომელსაც პრინციპული ღირებულება აქვს და ერთ-ერთი არსებითი ნიშანთაგანია ამ ორი კილოკავის გასამიჯნავად. ესაა ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა, რომელიც დამახასიათებელია კაკური კილოკავისათვის.

ა) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს მოკვეცილი აქვს სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი: ნაცნოვ ინსან „ნაცნობი კაცი“ (შდრ.: ალიაბათური: ჩემ კაცი მალე მოკდო, დამჩა ხუთ ყმაწüლი — სამი ბიჭი, ორი ქალი). შევნიშნავთ, რომ ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები კაკურში ჲ-ს ინარჩუნებენ: თორნეჲ „თონე“.

ბ) მოკვეცილია შედგენილი შემასმენლის -ა (← არის) ელემენტი: ჩემ მამულ დიდი „ჩემი მამული დიდია“ (მ. ჯანაშვილი); დიდ-ი ფორმაში -ი იმიტომაა შენარჩუნებული, რომ მის მომდევნოდ -ა არის დაკარგული (ამით იგი განსხვავდება „დიდ“ საკუთრივ სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან).

გ) იკვეცება ბოლოკიდური -ა სუფიქსი I შედეგობითში: ყოფილ „ყოფილა“, წასულ „წასულა“, ჰქონი „ჰქონია“, წაûყონი „წაუყვანია“.

დ) მოკვეცილია ბოლოკიდური -ა ელემენტი -ია დაბოლოებიან მდგომარეობითს ზმნებში: გდი „გდია“, აკლი „აკლია“.

(#349)

ე) ბოლოკიდური ხმოვანი ეკვეცება -ყე, -მე, -ვე ნაწილაკ-მორფემოიდებს: цхъӧвay „ცხვება ხოლმე“, рааӡм „რაიმე“, ორივ „ორივე“.

ვ) ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმებში მოკვეცილია -ე სუფიქსი: ო-ӡ-ღ „ავიღე“, а-ӡ-ღ „აიღე“; მრავლობითში -თ სუფიქსის წინ დაჩნდება -ი (და არა: -ე): ო-ӡ-ღ-и-თ, а-ӡ-ღ-и-თ (ალიაბათურში -ე დაცულია: მეტიც: აქ იგი სხვა ფორმებზეც ვრცელდება ანალოგიით: ვიცანე „ვიცანი“, დაჰვკალე „დავკალი“).

ზ) აწმყოს მესამე პირის ფორმებში მოკვეცილია -и-ს დაბოლოება: ღამდევ „ღამდების“, თავდევ „თავდების“ (ალიაბათურში: ღამდება, თავდება).

თ) ხშირად რედუცირდება -ზე და -ში თანდებულების ხმოვანი: კარზე → კარზ2→ კარზ, კარში → კარშ2 → კარშ (გ. იმნაიშვილი).

კაკური კილოსათვის დამახასიათებელმა ამ მოვლენამ საფუძველი შეუქმნა ერთ თავისებურებას. ინგილოურში კითხვითობის გამოსახატავად, ჩვეულებრივ, გამოიყენება -а ფორმანტი; კაკურში კი ამ დანიშნულებით შესაბამის ფორმებში (იქ, სადაც ამის შესაძლებლობაა ზემოხსენებული ვითარების გამო) აღდგება მოკვეცილი ბოლო ხმოვანი. ასე რომ, ბოლოკიდური ხმოვნის უქონლობა-მქონებლობით განსხვავდება თხრობითი და კითხვითი ფორმები; კითხვითი: კიდემ მӧხӧლ-и? „კიდევ მოხველი?“ — თხრობითი: კედემ მӧველ „კიდევ მოველი“; და ასე: სა ეყავი? „სად იყავი?“ — მე ველაპარიკ, საც ვიყავ „მე ვუთხარი, სადაც ვიყავი“; შენ რაბე არ მებნები? „შენ რისთვის არ მეუბნები?“ — მე შენ გებნებ „მე შენ გეუბნები“ (მ. კიკონიშვილი). ეს მოვლენა ბოლომდე გატარებული არ არის (იმავე კილოკავშია: რას მებნები-а ახლა? „რას მეუბნები ახლა?“), მაგრამ თავისთავად ღირსსაცნობია ტენდენცია ენაში შექმნილი თავისებური ვითარება გამოყენებულ იქნეს გარკვეული ფუნქციური დანიშნულებით.

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს ალიაბათურში სახელობითი ბრუნვის -и ნიშანი, როგორც წესი, შენარჩუნებული აქვს (დედაკაც-и, шӱл-и „შვილი“), ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი (მამა, ჟაფა „ჯაფა“). კაკურში საპირისპირო ვითარებაა: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარება (დედაკაც, шӱლ), ხმოვანზე ფუძედაბოლოებულები, ჩვეულებრივ, -и → -ӡ ფორმანტს დაირთავენ (მამაӡ, ჟაფაӡ, თხოვნაӡ).

(#350)

მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი უპირატესად შენარჩუნებულია, დაკარგვის შემთხვევები შედარებით იშვიათია; ორივე ნაირსახეობა ხშირად ერთსა და იმავე ფრაზაში შეიძლება შეგვხვდეს: „ლამაზა ცომ-ს მოჰზელავ, ზედაც ერ მუჭა ფქüლ (=ფქვილს) მააყრი“. კაკურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთნ შესაძლოა -ს →ჲ: „დილაზე დაჲწყოვ მოზელაჲ (= მოზელას)“.

ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშანი ალიაბათურში უმეტეს წილ დაცულია (შüლის მამა, ქალის ყოûმი „ქალის მოყვარე“). ფუძეუკვეცელ სახელებთან ზოგჯერ -ის → -ჲს || -ჲ (დეჲდაჲს ნაჩუქარი“, შიშაჲ დაგრüები დროზე „შეშის დაგროვების დროს“); თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან შესაძლოა -ის — -ი (მამლი ნაყივ თარაფში „მამალის დანაყივლებ მხარეში“). -ის → -იზ, როცა მჟღერი თანხმოვნით დაწყებული ფორმანტი ან სიტყვა მოსდევს (ბიზიშüლებიზგნი „ბიძაშვილებისგან“); ანალოგიურად: -ჲს → – ჲზ (ფარჩაჲზგან „ფარჩისგან“). შესაძლებელია -ის ფორმანტი საერთოდ მოეკვეცოს — ჩვეულებრივ, მაშინ, როცა ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან სახელზმნური საზღვრულია შეხამებული: პურ ჭამაჲ „პურის ჭამა“, პურ უჭმელა „პურის უჭმელად“ (გ. იმნაიშვილი).

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -ით თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან, როგორც წესი, უცვლელადაა წარმოდგენილი (ტაბიკით, ასტმევით „ასტამებით“); ამავე პოზიციაში დასაშვებია -ით → -ი (ურმი ვზიდავთ „ურმით ვზიდავთ“, დალევი-დალევი მოდიოდნენ „დალევა-დალევით მოდიოდნენ“). ფუძეუკვეცელ სახელებთან -ით →ჲთ, რომელსაც, წესისამებრ, დაერთვის მავრცობი -ი ხმოვანი (სუფრაჲთი გადაჰბღერტავ „სუფრით გადაბერტყავ“, წასულ შინაჲთი „წასულა შინიდან“). იშვიათად -ით →ჲთ → -ჲ (კრი ზედაჲ გადავიდა „კარის ზევიდან [ზედაით] გადავიდა“).

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ძირითადად ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან, ჩვეულებრივ, გვხვდება -ა (ღარიბა ცხოვრობდნენ „ღარიბად ცხოვრობდნენ“, ემზადებიან სახში წაასულლა „ემზადებიან სახლში წასასვლელად“, ლამაზააც ჩაûცმევნევი „ლამაზადაც ჩაუცმევია“), თუმცა შეინიშნება -ად ფორმანტიც (საჟდომად უგევენ ჟიჟიმს „დასაჯდომად უგებენ ჯეჯიმს“, დედაჲ ავად გამხდარა). ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან დასტურდება -დ || -თ (წაûდნენ სანადიროდ || სანადიროთ „წავიდნენ სანადიროდ“); სპორადულად -დ ფორმანტის ადგილას გამოყენებულია -ჲ (მასხარაჲ მიგდებსავ „მასხრად მიგდებსო“; გ. იმნაიშვილი). მიზნის გამომხატველ -ობა || -ოვა სუფიქსიან სახელებთან დამოწმებულია -(ა)ნ (ყარაûლოვან „ყარაულობად, საყარაულოდ“, ნადი(#351)როვან || ნადირობან „ნადირობად, სანადიროდ“, მაჭაკლოვან || მაჭაკლობან „სამაჭანკლოდ“).

ხშირია ადგილის გარემოების ფუნქციით -ისა-ა || -ჲს-ა || -ს-ა ფორმანტის გამოყენება: მოდიან ბიჭისა „მოდიან ბიჭთან (ბიჭისას)“, მოდიან ფაჰჩაჲსა „მოდიან ფადიშაჰთან (ფადიშაჰისას)“, თქöნსა წაûდნენ „თქვენსას წავიდნენ“. მრავლობითში ამავე

დანიშნულებით გამოიყენება -თ-ა: მიდის თავი დედაანთა „მიდის თავის დედის ოჯახში“; და ასე: მოსეენთა, გიორგინთა „მოსეს, გიორგის ოჯახში“ (გ. იმნაიშვილი).

მავრცობ ხმოვნად დასტურდება -ა და -ი: -ა უპირატესად გვხვდება მიცემითი ბრუნვის ფორმასთან (აჲღევს ქათამსაც, ღüნი კუჭულასაც ჴელში „აიღებს ქათამსაც, ღვინის დოქსაც ხელში“). ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩვეულებრივია -ი (ნაჩუქრებისი „ნაჩუქრებისა“, ქალისიც „ქალისაც“... სუფრაჲთი „სუფრით“, შინაჲთი „შინიდან“); ნათესაობითში თანდებულის დართვისას მავრცობი ხმოვანი, როგორც წესი, არ გვხვდება: დარვაზა-ჲზ-გნი „ჭიშკრიდან“ (ზედმიწევნით: ჭიშკრისგანით“), კარევ-ის-ყენ „კარებისკენ“...

-გან თანდებული შესაძლოა გართულდეს მოქმედებითი ბრუნვის -ით → -ი ნიშნით: -გან-ით → -გნ-ი (ბიზიშüლებ-იზ-გნ-ი „ბიძაშვილებისაგან“, დარვაზა-ჲზ-გნ-ი „ჭიშკრიდან“).

-თვინ, როგორც ითქვა, ყოველთვის იძლევა -თუნ ნაირსახეობას (მაგისთუნ „მაგისთვის“, გადითუნ „ვაჟისთვის“); მის წინა პოზიციაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ის შესაძლოა გამარტივდეს (→ -ი). ეს თანდებული შედარებით იშვიათი გამოყენებისაა; მის ნაცვლად, ჩვეულებრივ, იხმარება ნასესხები -ბე || -ბეჲ || -ბეთ || -ბეჲთ || -ბეჲთი: ჩემბე „ჩემთვის“, ჩემბეთაც „ჩემთვისაც“, ბიჭიბეჲთ „ბიჭისთვის“. ზოგჯერ -თუნ და -ბე || -ბეჲ ერთმანეთის გვერდითაა გამოყენებული ერთსა და იმავე ფრაზაში: ქორწილისთუნ ქალიბეჲ კაჲ ტანსმოს ყიდულობენ „ქორწილისთვის (= საქორწილოდ) ქალისთვის კარგ ტანისამოსს ყიდულობენ“. -ბე და მისი ნაირსახეობანი გამოხატავენ -ზე, -შესახებ თანდებულთა ფუნქციებსაც.

-თან შესაძლოა მიერთოს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: დევ-ის-თან წაჲდა „დევთან წავიდა“. -თან ზოგჯერ რთულდება მოქმედებითი ბრუნვის -ით ფორმანტით: გოდმოვ ნეფეს-თან-ით ერ კაც „გადმოვა ნეფესთან მყოფთაგან ერთი კაცი“.

-კენ თანდებული წარმოდგენილია როგორც: -ყენ || -ყე || -ყ (კარევისყენ „კარებისკენ“, შინაყ ეშურევის „შინისკენ ეშურება“). გარეგნულად -ყე || -ყ ემსგავსება მრავლობითობისა და მრავალგზისობის გამომხატველ სუფიქსებს (იხ. ქვემოთ).

(#352)

-ებრ ზოგჯერ დაირთავს ვითარებითის -ა ფრომანტს: გუგრა-ს-ებრ-ა „გოგრასებრ“, ზედმიწევნით: „გოგრასებრად“.

-მდინ || -მდი თანდებულის გვერდით ინგილოურში გამოიყენება ნასესხები -ინჟახ || -ინჟა: დაბრუნებინჟახ „დაბრუნებამდე“.

-ში თანდებულის პარალელურად შეინიშნება -შიდა (ëზëშიდა „ეზოში“). -ში თანდებულიანი მასდარით გამოიხატება დროის გარემოება: წყალი დალევაში

უჭრიტიან „წყლის დალევის დროს უჭვრეტენ“, მამას მოკდომაში უთქომ „მამას სიკვდილის დროს (მოკვდომის დროს) უთქვამს“ (გ. იმნაიშვილი).

-ვით თანდებული, ჩვეულებრივ, გვხვდება როგორც -ვი (კაცივი „კაცივით“).

თანდებულად გამოყენებული „ქვეშ“ წარმოდგენილია როგორც „ქი“: ლოგინქი დაჲმალა „ლოგინქვეშ დაიმალა“.

თანდებულის დანიშნულებით ხშირად იხმარება -უკან || -კან: მიწაჲ გაშრომას უკან ვიწყოვთ გათიბას „მიწის გაშრობის მერე ვიწყებთ გათიბვას“, დათესას უკან „დათესვის შემდეგ“. დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას.

იშვიათად ალიაბათურში შეინიშნება -დამ: სოფლიდამ „სოფლიდან“.

-ჯერ, -გზის მორფემოიდების ნაცვლად იხმარება ნასესხები -დეფა: ორდეფა „ორგზის“, მეორედეფა „მეორეჯერ“.

***

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია -ებ || -ევ ფორმანტი (ეს უკანასკნელი უპირატესად კაკურში გვხვდება): კაც-ებ-ი || კაც-ევ-ი.

ალიაბათურში III პირის ნაცვალსახელებს დაერთვის ერთდროულად -ნ და -ებ ფორმანტები: ის-ნ-ებ-ი || ისი-ნ-ებ-ი „ისინი“, ეს-ნ-ებ-ი || ესე-ნ-ებ-ი „ესენი“.

იმ შემთხვევაში, როცა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო მეშველი ზმნა მხოლოობითში დგას, სახელს აწარმოებს -ებ-ნ გართულებული ფორმანტი (დასტურდება კაკურში): კაც-ებ-ნ-ი-(ა) || კაც-ევ-ნ-ი-(ა) „კაცები არიან“;მაგრამ: ისენ კაც-ებ || კაც-ევ არიან „ისინი კაცები არიან“ (გ. იმნაიშვილი).

გ) ზმნის ძირითადი თავისებურებანი. ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ.: (#353) „ფონეტიკა“). ზოგადად ასეთი სურათია: ინგილოურში ზმნისწინი იპოვება ა, ე, ო და უ გახმოვანებით. ა- გახმოვანება საერთო ქართული მოვლენაა მასდრებში (გა-თიბა „გათიბვა“, და-წოვა „დაწვა“). ა-გახმოვანებითაა წარმოდგენილი ზმნისწინი აგრეთვე ა- და ი- (→ჲ- პრეფიქსების წინ — გარდა I სუბიექტური და მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ფორმებისა (ჩა-ა-გდევ „ჩააგდებ“, და-ა-ხწევ „დაამთავრებ“, გა-ა-დნოვ „გაადნობ“; და-ჲ-წყოვ „დაიწყებ“, და-ჲ-წიბვ „დაიწვება“). ამ პოზიციაში ჩვეულებრივია შა- და მა-ზმნისწინების ხმარებაც (შა-ა-ჟდიბნენ „შესვამენ, შეაჯენენ“, შა-ა-ყრელი „შეეყრება“, ზედმიწევნით: „შესაყრელია“; შა-ჲ-ნახ „შეინახე“; მა-ა-დედევ „შეადედებ“, მა-ა-ქონს „მოაქვს“; მა-ჲ-ღებ „მოიტან“). მა- ზმნისწინი სისტემებრ გამოიყენება აგრეთვე

მხოლოობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმებში — მ- პრეფიქსის წინ (მა-მ-ცა „მომცა“, მა-მ-აშორა „მომაშორა“).

ე-გახმოვანებით ზმნისწინი წარმოდგენილია ე- პრეფიქსიან ზმნებთან (ე-ე-კიდა „აეკიდა“, გე-ე-კიდა „გაეკიდა“, გე-ვ-ე-ყარ „გავეყარე“, დე-მ-ე-ხსენ „დამეხსენი“, და-გ-ე-წივ „დაგეწიე“). ცვლილებას ზოგჯერ ფუძისეული ე ხმოვანიც იწვევს (დე-დექ „დადექი“). ანალოგიურად მოქმედებს აგრეთვე ფუძისეული ი ხმოვანი (ჩე-დის „ჩადის“).

ო- გახმოვანებით ზმნისწინი გვხვდება I სუბიექტური პირის ფორმებში უპრეფიქსო ან ი- (→ჲ-) პრეფიქსიან ზმნებთან (დოჰ-ვ-წ „დავწვი“, შოჰ-ვ-პირდეთ „შევპირდეთ“; დო-ჲ-ნახ „დავინახე“, შო-ჲ-ნახ „შევინახე“). ამავე გახმოვანებითაა წარმოდგენილი ზმნისწინი მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმებშიც (ო-გტკივდა „აგვტკივდა“, დო-გ-ა-სხეს „დაგვასხეს“, გო-გ-ი-ჴდი „გაგვიხდია“, წო-გ-ი-ყონეს „წაგვიყვანეს“ — პირის ნიშნისეული ვ-, როგორც წესი, იკარგვის); ზოგჯერ უ-პრეფიქსიან ზმნებთანაც (სამივე პირის ფორმებში), სადაც უ- → û- (და-უ-კრავენ→ და-უ-კრვენ → დო-û-კრაენ , და-უ-ძახებს → დო-û-ზახევს), თუმცა ხშირად ამ პოზიციაში ზმნისწინი უცვლელია: გა-û-გდიაყ „გაუგდიათ“, და-û-მბავ „დაუბამს“.

უ-გახმოვანება გვაქვს I სუბიექტური პირის ფორმებში -ა- პრეფიქსიან ზმნებთან (გუ-ა-ღით „გავაღეთ“, წუ-ა-ქცივ „წავაქციე“); წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ვ ფუძისეულია (ჩუ-არდნილ „ჩავარდნილა“). ძალზე იშვიათად ამავე ფონეტიკური ნაირსახეობით ზმნისწინი შეიძლება შეგვხვდეს ე- პრეფიქსიან და ფუძის ე-გახმოვანების მქონე ზმნებთანაც (გუ-ე-კიდ „გავეკიდე“, შუ-ელ „შეველი“); ჩვეულებრივ კი, აქ ზმნისწინი ე- გახმოვანებითაა წარმოდგენილი (გე-ვ-ეკიდ; იხ. ზემოთ), თუმცა გვაქვს სხვა ფონეტიკური ნაირსახეობანიც; მაგალითად, შü-ელ || შö-ველ; ანალოგიურად: წა-ველ-ი → წუ-ელ || წü-ელ || წö(#354)-ველ || წე-ველ (ღირსსაცნობია: უ-სთან ფუძისეული ვ იკარგვის, სხვა შემთხვევებში შენარჩუნებულია).

ყველა ეს ნაირსახეობა ფონეტიკურია. მორფოლოგიის მონაკვეთში მათი დასახელება განაპირობა ზემოთ უკვე აღნიშნულმა ფაქტმა: ზოგჯერ ფონეტიკურ ცვლილებას მორფოლოგიური დანიშნულება აქვს — განარჩევს პირის ფორმებს (მორფონოლოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე): ო-ჲ-ღ „ავიღე“ — ა-ჲ-ღ „აიღე“, წო-გ-ი-ყონა „წაგვიყვანა“ — წა-გ-ი-ყონა „წაგიყვანა“.

გარდა ამისა სხვაობა გვაქვს კილოკავების თვალსაზრისით. ო- და უ-გახმოვანებით ზმნისწინები კაკურისთვისაა დამახასიათებელი, ალიაბათურში სხვაგვარი ვითარებაა: კაკური — გო-ჲ-გ , ალიაბათური — გა-ვ-გ-ე || გა-û-გ-ე „გავიგე“.

რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით გვხვდება რთული (შედგენილი) ზმნისწინიც. ზემოთ ერთ-ერთ სპეციფიკურ ინგილოურ მოვლენად დასახელებული იყო სრული რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები რთული შედგენილობის ზმნისწინებში.

ცვლილებას განსაზღვრავს რთული ზმნისწინის შემადგენელი მო-, რომელიც (ისევე, როგორც ყველა სხვა მარტივი ზმნისწინი) ოთხი გახმოვანებითაა წარმოდგენილი: საკუთრივ მო- (მო-ჲ-ღ "მოვიტანე") და მა- (მა-ა-რჩინა „დაამთავრა"), მე- (მე-ე-წონა „მოეწონა"), მუ- (მუ-ა-ბ-ა-თ „მოვაბათ"). ყველა ეს ნაირსახეობა რეგრესული ასიმილაციით იწვევს წინამავალი ზმნისწინის შესაბამის გადაბგერებას, რასაც ემატება ერთი ფონეტიკური თავისებურებაც: წინამავალი ზმნისწინის ხმოვანი შესაძლოა რედუცირდეს სრულ გაქრობამდე. ამისდა შესაბამისად ინგილოურში შესაძლოა დავადასტუროთ, მაგალითად, გამო- ზმნისწინის შემდეგი ნაირსახეობანი: გამო-ûდა || გომო-ûდა || გ2მო-ûდა || გმო-ûდა „გამოვიდა"; და ასე: გამა- || გ2მა – || გმა-ა-გდა „გამოაგდო"; გამე- || გემე – || გ2მე || გმე-ე-გდა „გამოეგდო"; გამუ- || გუმუ- || გ2მუ- || გმუ-ა-გდ „გამოვაგდე". ანალოგიური ვითარებაა სხვა რთულ ზმნისწინებშიც. შევნიშნავთ: ამო- ზმნისწინის რედუცირებული ნაირსახეობა ƨმო- (ƨმო-თქმ-ა-ჲ „თქმა, ამოთქმა..."). ირაციონალურ ხმოვანს არ კარგავს (დაემთხვეოდა მო- ზმნისწინს).

I სუბიექტურუ პირის ვ- ნიშანი ფონეტიკურად იცვლება როგორც ზმნის პრეფიქსისეულ, ასევე ფუძისეულ ხმოვანთან ურთიერთობისას (გარდაქმნის წესები იხ. ზემოთ: „ფონეტიკა"): ვ-ა-ჩუქებ → ო-ჩუქებ, ვ-ა-სხამთ → (ვ)-ო-სხამთ; ვ-ს-ჭამ → ვ-შ-ჭამ → შ-ჭომ; ვ-ხედ-ავ → *ხვედ-ავ → ხöდ-ავ, ვ-რეცხ-ავ → რöცხ-ავ; ვ-ი-ცი → (ვ)-ü-ც, ვ-ჭრი → ჭრü, ვ-ჰ-ჴდ-ი-თ → ჰ-ჴდ-ü-თ, ვ-ფიქრობდი → ფüქროვდი, ვ-ს-ტირ-ი → ჰ-ტüრ.

(#355)

ამ რიგის ცვლილებანი კაკურისათვისაა ნიშანდობლივი. ალიაბათურში ვ- პირის ნიშნის მომდევნოდ იკარგვის ი- ხმოვანი პრეფიქსი, ხოლო ვ → û : ა-ვ-ი- ღებ→ ა-û-ღებ; თანხმოვნის წინა პოზიციაში ვ- ფშვინვიერდება: ვ-ჭამთ →ფ-ჭამთ (შდრ. კაკური: ჭომთ). ერთვალენტიანი ზმნების III სერიის ფორმებში პირის ნიშანი მოუდის მხოლოდ მეშველ ზმნას: ყოფილ-ვარ „ვყოფილვარ", ყოფილ-ვიყავ „ვყოფილიყავ".

ფონეტიკური ცვლილებანი ახასიათებს I ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გვ- ნიშანსაც: გვაქვს → გოქ, გვეჩქარება → გöჩქარება, გვინდა → გüნდა (გ. იმნაიშვილი).

II სუბიექტური პირის ნიშნად უპირატესად ჰ-გვაქვს (გარდა ხ-ვალ, ხ-არ ზმნებისა) — ფონეტიკურად იშვიათად იცვლება: და-ჰ-წერ, მო-ჰ-თხოვ, შე-ჰ-ჭამ (ანალოგიურად — III ობიექტური პირის ნიშნად მისი გამოყენებისას). სხვა დიალექტებისათვის დამახასიათებელი ცვლილებები (ჰ-→ ს-, შ-...) ინგილოურში „ახლაღა იკიდებენ ფეხს"(გ. იმნაიშვილი).

ჰ- შეიძლება დაიკარგოს, საკომპენსაციოდ გრძელდება წინამავალი ხმოვანი; და-ჰ-დგი → დā-დგი, გა-ჰ-ჯავრდი → გā-ჟავრდი (გ. იმნაიშვილი, რ. ღამბაშიძე).

მხოლოობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო ძირითადში (ასევე: II შედეგობითში) ხშირად -ა გვაქვს: ქალმა გააქეთ-ა, მეფეს წინ წოûღ-ა, მეფემ მაჲწონ-ა „ქალმა გააკეთა, მეფეს წაუღო, მეფემ მოიწონა"; და ასე: გაჲგა „გაიგო", გააგდ-ა „გააგდო".

ფუძისეულ ვ-სთან შეხვედრისას წარმოქმნილი ვა კომპლექსი იძლევა -ო-ს: თქვ-ა → თქო.

მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო უსრულსა და გარდაუვალ ზმნათა ნამყო ძირითადში -ნენ გამოიყენება: ნიშნავდ-ნენ, დაჰგულიდ-ნენ „დაკეტავდნენ“, ჩამოდიოდ-ნენ; გადაჲხჳწ-ნენ „გადაიხვეწნენ“.

-ყე || -ყ ნაწილაკ-მორფემოიდით გამოიხატება: ირიბი ობიექტის მრავლობითობა (ჟერ პური აჭამა-ყე, ჭმას უკან ფართალი დოჳგა-ყე „ჯერ პური აჭამა მათ, ჭამის შემდეგ ქვეშაგები დაუგო მათ“; გზებზე უღამდება-ყე „გზაზე უღამდებათ“; ვეზირევს უთხრა-ყ „ვეზირებს უთხრა“); პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა (ბებერმა დაჴოცა-ყე ქათმები — ზედმიწევნით: „დახოცნა“; ეს ყმაწჳლები ერ ზულუმით გავზარდე-ყე „ეს ყმაწვილები ერთი გაჭირვებით გავზარდე“ — ზედმიწევნით: „გავზარდენ“); რეალური სუბიექტის მრავლობითობა ინვერსიულ ზმნებში — აწმყოსა და ყველა დანარჩენ პარადიგმაში (კაცევ ჴელში ჰქონდა-ყ ჭიგოზე აცმულ ჴორც — ზედმიწევნით: „ჰქონდათ“). (#356) გარდამავალ ზმნათა III სერიაში (ბეჳრ ჩალთუქ დოჳთესია-ყ „ბევრი ბუდეშემოუცლელი ბრინჯი დაუთესიათ“; ე სემა ზმაჲ შინაჲთი გაჳგდია-ყ „ეს სულელი ძმა შინიდან გაუგდიათ“; სემაჲბე უთქომ-ყ „სულელისათვის უთქვამთ“). -ყე უპირატესად ალიაბათურში გვხვდება, -ყ — კაკურში. მრავლობითობის -ყე || -ყ გარეგნულად ემთხვევა -კენ თანდებულის ფონეტიკურ ნაირსახეობებსა და მრავალგზისობის (ხოლმეობითის) ფორმანტს.

ზმნის ხმოვან პრეფიქსთაგან ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ი →ჲ (ი-ქცევ-ი-ს, მაგრამ: წა-ჲ-ქცევ-ი-ს, ი-ღ-ევ-ს, მაგრამ: ა-ჲ-ღ-ევ-ს); უ → ჳ || ვ (უ-გდ-ევ-ს, მაგრამ: ჩომო-ჳ-გდ-ევ-ს). ზოგჯერ ი- || ჲ- ფორმანტის პოზიციას იჭერს ჰ- (მემღან მო-ჰ-ტან-ს დად ჴელზე წყალს ლაგან-აფტუფაჲთი „მერე მოიტანს მდადე ხელზე დასასხმელად წყალს ტაშტითა და თუნგით“; ქართული დიალექტოლოგია).

აწმყოს ფუძის წარმოებისას თავს იჩენს უნიფიკაციის ტენდენცია — თემის ნიშნები დაერთვის ისტორიულად უთემისნიშნო ზმნებსაც: უ-სმენ-ავ-ს „უსმენს“, ფენ-ავ-ს „ფენს“, ბან-ავ-ს „ბანს“, ფხან-ავ-ს „ფხანს“, ყეფ-ავ-ს „ყეფს“, წერ-ავ-ს „წერს“, უმზერ-ავ-ს „უმზერს“, წყჳტ-ავ-ს „წყვეტს“. -ავ → -ვ გადადის მასდარშიც: ფენ-ვ-ა, ყეფ-ვ-ა. მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის -ენ ნიშნის დართვისას -ავ იკუმშება, ხოლო წარმოქმნილი ვე კომპლექსი იძლევა ჳ-ს: ფქვ-ავ-ენ → *ფქ-ვ-ენ →ფქჳნ, უ-კრ-ავ-ენ → უ-კრ-ვ-ენ → უ-კრ-ჳნ.

ვნებითი გვარის ზმნათა აწმყო-მყოფადის მხოლოობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებში ძველ ქართულისებურად ი-ს დაბოლოება გვაქვს: დგ-ევ-ი-ს „დგება“, ჟდ-ევ-ი-ს „ჯდება“, ი-წჳვ-ი-ს „იწვება“. ზოგჯერ -ი-ს მთლიანად იკარგვის: კეჰტ-ევ „კეთდება“, კდჳვ „კვდება“. ალიაბათურში -ა დაბოლოებაა გავრცელებული: ი-წყებ-ა, ა-დგებ-ა.

როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნის აწმყოს ფორმები ხშირად დაირთავენ მეშველ ზმნას: ზებნი-ვარ „ვეძებ“, ზემიწევნით: „ვეძებვარ“, ჰომბოვ-ვარ „ვამბობ, ვამბობვარ“, ვიცი-ვარ „ვიცი“, იცი-ხარ „იცი“.

კაკურში მესამე პირის არს || არის მეშველი ზმნა ენკლიტიკის შემთხვევაში წარმოდგენილია როგორც -ს: „ღამეჲ-ს „ღამეა“, ჟაფაჲ-ს „ძნელია“ — ზედმიწევნით: „ჯაფაა“. ასეა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან, ხოლო თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან მეშველი ზმნა მთლიანად იკარგვის, ოღონდ შენარჩუნებულია სახელობით ბრუნვის ნიშანი: ეე სახლ მäზებლäვი სახლ-ი „ეს სახლი მეზობლების სახლია“; ზür-ი „ძვირია“ (გ. იმნაიშვილი, რ. ღამბაშიძე).

(#357)

მყოფადის ფორმები ინგილოურში სამგვარად იწარმოება:

ძველ ქართულისებურად — გამოიყენება II კავშირებითის ფორმა: მე გაგაცილო „მე გაგაცილებ“; რაჲც გინ, აგისრულო, ერჟე გამიშ „რასაც გინდა, აგისრულებ, ოღონდ გამიშვი“;

ახალ ქართულისებურად —აწმყოს ფორმაზე ზმნისწინის დართვით: ჩაიცომს „ჩაიცვამს“; ნახშირს წავიღებ, ყიზილზე გაჭცლü „ნახშირს წავიღებ, ოქროზე გავცვლი“; ან — ფუძის ცვლით: ტყეში წავალ, üნადირეფ „ტყეში წავალ, ვინადირებ“;

სპეციფიკური ინგილოური წესით — მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობის ფორმებს დაერთვის მეშველი ზმნა აწმყოს ფორმით (კაკურში III პირის ფორმებში მეშველი ზმნა იკარგვის): მაასლäვარ „მოვალ“, ზედმიწევნით: „მოსასვლელი ვარ“; მააკდომივარ „მოვკვდები, მოსაკვდომი ვარ“; დააბრუნეველხარ „დაბრუნდები, დასაბრუნებელი ხარ“; დააბრუნველი „დაბრუნდება, დასაბრუნებელია“ (მესამე პირში ნაწილაკ-მორფემოიდის დართვისას მეშველი ზმნა აღდგება: წაასლäლი „წავა“, მაგრამ: წაასლäლიავ „წავაო“).

ინგილოურში ანალოგიურად იწარმოება პირობით-ხოლმეობითის (მყოფადის ხოლმეობითის) პარადიგმაც იმ სხვაობით, რომ მეშველი ზმნა ნამყოს ფორმითაა წარმოდგენილი: თეთრ მქონდას, ბაზარში მაასლäლäყავ, პურ, ქონ, ბრინჟ საყიდელüყავ, მაატანელüყავ „ფული მქონდეს, ბაზარში წავიდოდი, პურს, ქონს, ბრინჯს ვიყიდდი, მოვიტანდი“ (რ. ღამბაშიძე).

ნამყო ძირითადში I და II პირის ფორმათა წარმოება უნიფიცირებულია. კაკურში წარმოება ნულ ან -ი სუფიქსიანია (-ე სუფიქსი არა გვაქვს): შო-ჲ-ნახ „შევინახე“, შა-ჲ-ნახ „შეინახე“; შო-ჲ-ნახ-ი-თ „შევინახეთ“, შა-ჲ-ნახ-ი-თ „შეინახეთ“. ალიაბათურში, პირიქით, -ე სუფიქსი ვრცელდება: ვ-ი-ცან-ე „ვიცანი“, ი-ცან-ე „იცანი“ (გ. იმნაიშვილი).

-ევ-იანი ზმნები ნამყო ძირითადში ინარჩუნებენ ვ-ს: მუაქცივა „მოაქცია“, ამაარჩივეს „ამოარჩიეს“.

უნიფიკაციის ტენდენცია თავს იჩენს II კავშირებითის წარმოების დროსაც: კაკურში კავშირებითის ნიშნად III სუბიექტური პირის ფორმებში -ა მკვიდრდება (ჭამ-ა-ს „ჭამოს“, მაᲹღ-ა-ს „მოიტანოს“; ჭამ-ა-ნ „ჭამონ“, მაᲹღ-ა-ნ „მოიტანონ“), ალიაბათურში -ო ფორმანტს ენიჭება უპირატესობა სამივე პირის ფორმებში (მოკლ-ო-ს „მოკლას“, მოკლ-ო-ნ „მოკლან“, დაჰკრ-ო-ს „დაჰკრას“, დაჰკრ-ო-ნ „დაჰკრან“; დაჰკრ-ო „დაჰკრა“; დავკრ-ო „დავკრა“).

II კავშირებითი გამოიყენება კატეგორიული ბრძანებითის ფუნქციითაც: წყალი მაᲹღო „წყალი მოიტანე“, ზედმიწევნით: „მოიტანო“; (#358) წახüდო „წადი“, ზედმიწევნით: „წახვიდე“. თხოვნითი ბრძანებითის გადმოსაცემად გამოიყენება ალა „კარგო“ , ამან „შემიბრალე, მიშველე“, ჟან „სულო“ ნაწილაკ-დართული ნამყო ძირითადის ფორმები: მამეც, ალა!; ამან, ჟან, კაცო, ჩემ ქალიც ტყეში წაᲹყონ! (გ. იმნაიშვილი).

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში ორგვარი წარმოებაა: -ავ და -ამ შენარჩუნებულია (უ-თქვ-ამ-ს→ უ-თქომ, და-უ-კრ-ავ-ს → და-û-კრ-ავ... III სუბიექტური პირის ნიშანი, როგორც წესი, მოკვეცილია); -ი-ა დაბოლოების შემთხვევაში -ა, ჩვეულებრივ, იკარგვის კაკურ კილოკავში: ომო-û-თხრი „ამოუთხრია“, და-û-ზახნი „დაუძახია“... (-ა აღდგება ნაწილაკ-მორფემოიდის დართვისას: უ-ჭამ-ი-ა-ყ „უჭამიათ“). ანალოგიური ვითარებაა ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა I შედეგობითშიც: ჰ-ქონ-ი „ჰქონია“ — ჰ-ქონ-ი-ა-ყ „ჰქონიათ“. ამ წესს მისდევს ერთვალენტიან ზმნათა I შედეგობითიც: ავად გამჴდარ „ავად გამხდარა“... აღწერითი წარმოებისას გამოიყენება ნაწილაკ-მორდემოიდი“ ყოფილ „თურმე“ (იპარავს ყოფილ „იპარავს თურმე“, დაû჻ერი ყოფილ „დაუჭერია თურმე“).

გარდაუვალი ზმნები II შედეგობითში „იყო“ მეშველი ზმნითაა ნაწარმოები: გამჴდარიყო „გამხდარიყო“ — გაჴდომიყო „გაჰხდომოდა“.

III კავშირებითში -ა და -ო ნიშნები II კავშირებითის მსგავსად ნაწილდება კილოკავების მიხედვით (იხ. ზემოთ).

თავისებურია გარდაუვალ ზმნათა III კავშირებითის წარმოება: „იყოს“ მეშველი ზმნა -ოდ სუფიქსით რთულდება: რაᲹ იქნევა, სხოᲹ მო-სულ-იყოდეს? „რა იქნება, სხვა მოსულიყოს?“ (ქართული დიალექტოლოგია). ეს ზმნა II კავშირებითშიც ანალოგიურად იწარმოება: ჟაჰანნამში იყოდეს, წაᲹ! „ჯანდაბაში იყოს, წადი!“

მრავალგზისობის (ხოლმეობითის) ფორმათა საწარმოებლად -ყე || -ყ ნაწილაკ-მორფემოიდია გამოყენებული (-ყე ალიაბათურში, -ყ — კაკურში): ამბოვენ-ყ „ამბობენ ხოლმე“, ცხბვა-ყ „ცხვება“. გარეგნულად ემთხვევა -კენ თანდებულის ფონეტიკურ ნაირსახეობებსა და ობიექტების მრავლობითობის გამომხატველ ფორმანტებს. გარჩევა კონტექსტით ხერხდება. სახელთან -ყე || -ყ მხოლოდ თანდებული შეიძლება იყოს. თუ ზმნას მხოლოობითი რიცხვის ირიბი ან პირდაპირი ობიექტი ეხამება, -ყე || -ყ

მარტოოდენ მრავალგზისობას შეიძლება გამოხატავდეს (ამბოვენ-ყე „ამბობენ ხოლმე ისინი მას“). ერთვალენტიან ზმნასთან ასევე მრავალგზისობის გამომხატველია ეს ნაწილაკ-მორფემოიდი (ცხöვა-ყ „ცხვება ხოლმე“). რომელიმე ექნება-ყ კი შეიძლება ნიშნავდეს როგორც „ექნებათ“, ასევე: „ექნება ხოლმე“ — აქ უკვე მთლიანად ტექსტის სემანტიკიდან ამოსვლით ხერხდება გან(#359)სხვავება. ერთიცაა: ზოგიერთი პარადიგმის ფორმაზე დართული -ყე || -ყ მხოლოდ მრავლობითობის გამომხატველი შეიძლება იყოს; მაგალითად, ნამყო ძირითადში ეს ფორმანტი შესაძლოა აღნიშნავდეს ან ირიბი ობიექტის მრავლობითობას (უთხრა-ყ „უთხრა მათ“), ან პირდაპირი ობიექტისას (გაზარდა-ყ „გაზარდა ისინი“), მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მრავალგზისობას (რადგან მრავალგზისობა შეუთავსებელია ნამყო ძირითადის სემანტიკასთან).

ზმნის ზოგი სხვა თავისებურებიდან შეიძლება აღინიშნოს:

მი-ა-ქვ-ს ზმნა, რომელიც ინვერსიულია, ინგილოურში პირდაპირი წყობისად იქცა: მივაქომ მე მას, მიაქომ შენ მას, მიაქომს ის მას. თავისებურია იგი ნამყო უსრულის წარმოების თვალსაზრისითაც: მივაქომდი „მიმქონდა“, მიაქომდი „მიგქონდა“, მიაქომდა „მიჰქონდა“. გარდა ამისა, სხვაობაა კილოკავებისა და თქმების მიხედვითაც. იგივე ფორმები შესაძლოა ასეთი სახითაც იყოს წარმოდგენილი: მე მüაქ მას, შენ მიაქ მას, ის მიაქს მას; მüაქდი, მიაქდი, მიაქდა;

ვალ-ს ზმნა ნამყო უსრულს იწარმოებს იმავე ფუძისაგან: მი-ვალ-დ-ი „მივდიოდი“;

„ყოფს“ ზმნის ფუძე გადადის II სერიაშიც: გამო-ჰ-ყოფ-ა || გომო-ჰ-ყოფ-ა „გამოჰყო“;

„იცის“ ზმნა ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის: ის იცის მას „მან იცის ის“;

და-უ-ძახ-ა ზმნასთან ობიექტი სახელობითში დგას: დოûზახა ქაჩალი „დაუძახა ქაჩალს“, დოûზახები(ა) ქალები „დაუძახებია ქალებისთვის“.

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. გამაძლიერებელი მორფემოიდის დანიშნულებით გამოიყენება იყო || ეყო (= კი, მაინც), წინამავალ სიტყვას დაერთვის -ც: ერ კაპეკიც იყო არ მოქვცა „ერთი კაპიკიც კი არ მოგვცა“; დინჟაც იყო წაულდით „დინჯად მაინც წავიდოდით“ (გ. იმნაიშვილი).

-ც დაერთვის ზმნასაც: სასროვნე ვარ, მოხტესაც, არ მოხტესაც „ვისვრი, თუნც მოხვდეს, თუნდ არ მოხვდეს“.

გამოიყენება კითხვითი -ა (კაკურში მაშინაც, როცა კონსტრუქციაში კითხვითი ნაცვალსახელია): მინ არის-ა? „ვინ არის?“; თუ კითხვითი ნაწილაკი არ დაერთვის, გრძელდება ზმნის ან კითხვით ნაცვალსახელის ხმოვანი: სა მიდი-ა || სა მīდი? „სად მიდიხარ?“; მინ გაცხოვრებს-ა || მīნ გაცხოვრებს „ვინ გაცხოვრებს?“ (გ. იმნაიშვილი). კაკურში კითხვითი მორფემოიდის დანიშნულება შესაძლოა შეასრულოს ბოლოკიდურ პოზიციაში აღდგენილმა ხმოვანმა (იხ.: „ფონეტიკა“).

სხვათა სიტყვის გამომხატველად ალიაბათურში უპირატესად -ო გვაქვს (უნდა-ო), კაკურში — -ვ (უნდა-ვ). თუ ამ ფორმას დაერთვის კითხვითობის -ა, მაშინ ო || ვ → უ (უნდა-უ-ა? „უნდაო?“).

ეგევე ო → ვ ზოგჯერ დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება „რომ“ კავშირის დანიშნულებით: მიწაჲ გასწორდესა-ვ, ფარცხით ვფარცხავთ „მიწა რომ გასწორდეს, ფარცხით ვფარცხავთ“ (ქართული დიალექტოლოგია).

უარყოფის ფორმები შესაძლოა გაძლიერებულ იქნეს აზერბაიჯანულიდან ნასესხები ჰეჩ („ვერავინ, არაფერი“) ფორმით: ჰეჩ რამ არ იქნების „არაფერი არ იქნება“ (გ. იმნაიშვილი).

ე) სიტყვათწარმოება. მყოფადის საობიექტო მიმღეობა იწარმოება საერთო ქართული წესით — სა — ელ აფიქსებით; ზმნისწინის დართვისას ს- იკარგვის: დასაწერელ-ი → დააწერელ, დასაწოლელ-ი → დააწოლელ. მიმღეობის ეს ფორმები, როგორც ითქვა, გამოყენებულია მყოფადის ფორმათა საწარმოებლად.

უარყოფითი მიმღეობები იწარმოება არ- და უ- ფორმანტებით: არნაცოდნი „უცოდინარი“, არვარგი „უვარგისი“... უ- იხმარება ორმაგი უარყოფის შემთხვევაში: უგაჲგებელ „გაუგებელი, გაუგებარი“, უდოჲნახელ „დაუნახავი“.

ხელობის სახელთა საწარმოებლად, გარდა საკუთრივ ქართული მე — ე აფიქსებისა, გამოყენებულია ნასესხები -ჩი ფორმანტი: მარან-ჩი „მემარნე“, კოლხოზ-ჩი „კოლმეურნე“.

სადაურობის ნაცვალსახელები ორმაგი სუფიქსაციითაა წარმოდგენილი: სადა-ჲრ-ელ „სადაური“, აქა-ჲრ-ელ „აქაური“...

შედარებითი ხარისხის წარმოებისას შესადარებელი სახელი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში, რომელიც, ჩვეულებრივ, რთულდება -გან თანდებულით: იმიზგნი პატარა „მასზე პატარა“; ზეჲ (← ზეჲს) ლამაზ „მზის ულამაზესი“. აღმატებითი ხარისხის ფორმებიც აღწერითად იწარმოება (გამოიყენება ლაფ „ძლიერ, ძალიან“, დიაღ || დიახ, მართლაგან „ძლიერ, დანამდვილებით“ ფორმები): ლაფ კაჲსთანა ქალს გითხოვნი „ძალიან კარგ (ყველაზე კარგ, უკეთეს) ქალს გითხოვ“ (გ. იმნაიშვილი).

***

III. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი.

ა) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი კაკურში წარმოდგენილია ფუძის სახით (დიდ ვაშკაც, დიდ ვაშკაცმა, დიდ ვაშკაცს, დიდ ვაშკაცის, დიდ ვაშკაცით,

დიდ ვაშკაცად), ალიაბათურში სახელო(#361)ბითი ბრუნვის ფორმითაც (დიდი ვაშკაცი, დიდი ვაშკაცმა, დიდი ვაშკაცს...).

ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ფორმითაა გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი სხვა ბრუნვებშიც: ეს ჟანვარი „ეს მგელი“, ეს ჟანვარმა „ამ მგელმა“...

იგი, ეგ ნაცვალსახელები ფონეტიკურად სხვაობენ იმის მიხედვით, პირის ნაცვალსახელების ფუნქციით არიან გამოყენებული (იგი→ ჰიგი, ეგ → ჰეგი; მრავლობითში: ჰიგინი, ჰეგენი; ჰეგიც ურემზე შოვაგდოთ „ეგეც ურემზე შევაგდოთ“) თუ ჩვენებითი ნაცვალსახელებისა (იგი→ იჲ || ი; ეგ → ეჲ || ე: ერ დღე იჲ შüლებ მამას ეტყüან „ერთ დღეს იგი || ის შვილები მამას ეუწნებიან“; ეჲ სოფელი სრუ დაჰოცილა „ეს სოფელი სულ ამოწყვეტილა“).

ეს || ეგ ჩვენებითი ნაცვალსახელების გახმოვანება შეიძლება გადავიდეს სხვა ბრუნვებშიც: ეს კაცი, ემ კაცმა... ანალოგიური ვითარებაა პირის ნაცვალსახელებსა (ეს || ეგ, ემან, ემას... ეგენი, ემათ...) და ზმნისართებში (ექ „აქ“).

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელის დანიშნულებით გვხვდება ოგეს „აგერ, აი ის“ და მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი: ოû̆გეს || ōû̆გეს || ōû̆გის || უგეს || უგის || ოგე || ოგი (ოგი ადგილ გოჩöნე „აგერ, აი ის ადგილი გაჩვენე“).

ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებულია აგრეთვე აჰი || აჰიჲ || აჰეს ფორმაც: აჰი ბეჭედი იმის ნიშანგამა არის „აი, ეს ბეჭედი იმის ნიშანი არის“ (გ.იმნაიშვილი, ნ. როსტიაშვილი).

ბ) ხშირია მრავლობით რიცხვში სახელის ზმნასთან აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ჟამათ შაყრილიყვნენ „ხალხი (ჯამაათი) შეყრილიყო“, ზედმიწევნით: „შეყრილიყვნენ“; სამ კაც დგანან.

გ) აქტიური სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნასთან II სერიაში სუბიექტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხრობითი ბრუნვის ფორმით: ხალღმა წაû̆დნენ „ხალხი წავიდა“.

და პირიქით: ზოგან (იქ, სადაც ქართული მეტყველება ნაკლები გავრცელებისაა) მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნაცვლად გამოყენებულია სახელობითი: ერისტოჲ თქო „ერისტომ თქვა“, ერისტოჲ ერ ტახ მოû̆კლავ ყოფილ „ერისტოს ერთი ტახი მოუკლავს თურმე“ (გ. იმნაიშვილი).

დ) ზოგი კავშირი ნასესხებია: ამმა „მაგრამ“, ანჟახ „მაგრამ“, თექ „ხოლო, ოღონდ“, ჰე || ჲა „ან“.

„რომ“ კავშირი გვხვდება შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობებით:რო || რუმ || ნუმ || ჰუმ.

(#362)

ე) განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება იცვლება ნა-პრეფიქსიანი მიმღეობით: მიჰცა ხელზე ნაქნარ ბეჭედ „მისცა ბეჭედი, რომელიც ხელზე ჰქონდა“, ზედმიწევნით: „ხელზე ნაქონი ბეჭედი“; წავიდა ჩემ ხეზე განასულ ადგილში „წავიდა იმ ადგილას, სადაც მე ხეზე გავედი“; ორას ჭიგოჲ ვერ მონაჭარ ინსან იქნევა? „კაცი, რომელმაც ორასი ჭიგო ვერ მოჭრას, იქნება?“ (გ. იმნაიშვილი, რ. ღამბაშიძე).

ვ) შეინიშნება აზერბაიჯანულის გავლენით წარმოქმნილი სინტაქსური კალკები: მასწავლებელ სა ზისა? „მასწავლებელი სად ცხოვრობს?“ — ზედმიწევნით: „მასწავლებელი სად ზის?“; მასწავლებელ სა კეჰტევა „მასწავლებელი სად არის?“; კლავის გაჰწევა „ხელის მოწერა“; პატარა დროზე ცხორში ქნილვარ „პატარაობისას ცხვარში ვყოფილვარ“ და მისთ. (გ. იმნაიშვილი).

***

IV. ინგილოურში საგრძნობია აზერბაიჯანულიდან ნასესხები ლექსიკის სიუხვე. ნასესხობათაგან ზოგი ისეთი სიტყვაა, რომლის ფარდი ქართულში არა გვაქვს (ბოშყავ „სპილენძის თეფში“, დოუღა „შეჭამანდის ერთ-ერთი სახეობა“, ჩაფაჟაღ „ხორცის საკეპი დიდი დანა“...), მაგრამ უმეტეს წილ ნასესხებმა სიტყვებმა შეცვალეს ქართული ეკვივალენტები (ავღუჲ „შხამი“, ალაყანდ „ჭივჭავი“, ათაღარ „ჯაგრცხილა“, აჲაზ „სუსხი“, ასლან „ლომი“, აღიზ „ხსენი“, აშუყ „კოჭი, ბარუჲ „კედელი“, ბიზ „სადგისი“, ბოლ „უხვი“, ბუჩხახ „კუთხე“, დემურჩიჲ „მჭედელი“, დუჰტაგ „სალამური“, ექიზ „ტყუპი“, ეშაქ „ვირი“, ზანგ ‘ზარი’, თავაჰყაჲ „ხვეწნა“, თაჲფაჲ „მოდგმა“, თაჰპაჟაჲ „გამოცანა“, თექაჲ „ჯიხვი“, თორ „ბადე“, იღდირიმ „მეხი“, მაშაყ „ფოცხვერი“, მეევაჲ „ხილი“, მეთლევ „ნატვრა“, ნავჩაჲ „ღარი“, ნევაჲ „შვილიშვილი“, ჲეზნაჲ „სიძე“, ჲეთიმ || ჰეთიმ „ობოლი“, ოûჩიჲ || ავჩიჲ „მონადირე“, ჟალაღ „ნამყენი“, სანაათ „ხელობა“, საჰყალ „წვერი“, ტაღარ „გუდა“, ტაყინყაჲ „წუთი“, ტიპლაყ „ტიტველი“, უმაჲ „თეძო“, ფიჲ „ცმელი“, ქელლაჲ „თავი“, ქენდირ „თოკი“, ქöფქარ „არჩვი“, ქüლაგ „ქარი“, ყანად „ფრთა“, ყარანყუშ „მერცხალი“, ყარაჲაზ „ გაზაფხული“, ყირღი „ქორი“, ყურაღ „გვალვა“, ჩანაჲ „ნიკაპი“, ჩეჲლაღ „რიყე“, ჰამამ „აბანო“, ჰüნüჲ „მუმლი“...). ზოგჯერ ქართული და აზერბაიჯანული სიტყვები ერთმანეთის პარალელურადაა დადასტურებული (ბახტავარ || ბედნიარ „ბედნიერი“, თüლქუჲ || მელაჲ „მელა“, ჲეჲ || ჲაჲ || შüლდ „მშვილდი“, საûზი || წონილ „მწვა(#363)ნილი“, ქომაგ || შöლაჲ „შველა“, ყორღაჲ || ყოვ „ყვავი“, ჩიჩაქ || ყოჲლ „ყვავილი“, ხაჩ || ჟორ „ჯვარი“...). გვაქვს იდიომატური გამოთქმების კალკირების შემთხვევებიც (გზაში ჩავარდნაჲ „გზაზე დადგომა, წასვლა“, გზაში ჩაგდევაჲ „გაგზავნა, გამგზავრება ვისიმე“, თავში ჩავარდნაჲ „მიხვედრა, გააზრება“, კაჲ მამდის „მომწონს“, სალამ აღევაჲ „მისალმება“, ყბაჲ დაფანტაჲ „ყბედობა“, ჟორ გაჭრაჲ „ჯვრისწერა“, ზედმიწევნით: „ჯვრის გაჭრა“...). ბოლო ხანებში, ქართულ სკოლადამთავრებულ ინგილოთა მეტყველებაში შეინიშნება პირუკუ პროცესიც — აზერბაიჯანული ნასესხობანი იცვლება ქართული ეკვივალენტებით: ახშან → საღამოჲ, ზამან → დროჲ,

იფლიქ → ზაფ „ძაფი“, ქირვაᲔ → ნათლიაᲔ, ხიდილ → დისშüლ „დიშვილი“ და მისთ. (ვ. ჯანგიძე).

***

3.5. ფერეიდნული. ფერეიდანი ირანის პროვინციაა (შაჰრესთანია — გუბერნიაა), რომელიც ისფაჰანის ოსთანში (ოლქში) შედის (1980 წლის მონაცემით). ფერეიდნელი ქართველები იმათი შთამომავლებია, ვინაც XVII საუკუნის დასაწყისში ირანის შაჰმა (შაჰ-აბას პირველმა) კახეთ-ქიზიყ-საინგილოდან აჰყარა და ირანში ჩაასახლა. ქართველებმა თავისი სოფლების სახელები (მარტყოფი, თელავი, ნინოწმინდა...) თან წაიღეს და ახალ დასახლებებს დაარქვეს (ოფიციალურად ყველა ამ სოფელს სხვა, ირანული სახელი ჰქვია). ფერეიდნელები თავიანთ კუთხეს „პატარა საქართველოს“ ეძახიან.

„ფერეიდნულის მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ დიალექტთა ისტორიისა და, საერთოდ, ენის განვითარების შინაგანი კანონების შესასწავლად“, რადგან ფერეიდნულმა ქართულმა მეტყველებამ „კარგად შემოინახა კახურ-ინგილოურის მე-17 საუკუნეში დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები და თანაც ევოლუციის შედეგად შეიძინა ის ახალი მოვლენები, რომლებმაც დამოუკიდებლად იჩინეს თავი რიგ ქართულ დიალექტებში“ (ქართული დიალექტოლოგია). ფერეიდნული ინტერესს იწვევს ენათა ინტერფერენციის თვალსაზრისითაც — თითქმის ოთხსაუკუნოვან უშუალო კონტაქტს ირანულ (სპარსულ) ენასთან, ბუნებრივია, უკვალოდ არ ჩაუვლია: ზეგავლენის შედეგი ხელშესახებია.

„1972 წლიდან დაიწყო ფერეიდნელ ქართველთა რეპატრიაცია საქართველოში“ (თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი).

(#364)

I. ფონეტიკა.

ფერეიდნულის ფონემატური სტრუქტურა საკმაოდ ახლოს დგას კახურისა და ინგილოურის სტრუქტურებთან.

დაცულია ჴ იქ, სადაც ძველ ქართულშივე ვხვდებით: ჴმა, ფეჴი, ჴორცი, ჴოცვა...

დადასტურებულია ჲ რეფლექსი: ა) ი- ზმნური პრეფიქსის ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: გა-ჲ-გებენ „გაიგებენ“, ამა-ჲ-ტანა „ამოიტანა“... ბ) ჰ- || ს- პირის ნიშნისა — ასევე ხმოვნის მომდევნოდ: მა-ჲ-ჭრა „მოსჭრა“, წა-ჲ-რეკ-დეს „წარეკავდნენ“ (ზმნისწინის მომდევნოდ); სადა-ჲჯობს „სადა სჯობს“ (ენკლიტიკის შემთხვევაში ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვის შემდეგ). იმავდროულად მრავლადაა ისეთი შემთხვევებიც, როცა ი- და ჰ- || ს- უცვლელადაა წარმოდგენილი: და-ი-წყეს... წა-ჰ-ყოლიყო...

სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებს შემოჰყვება ჭ: ყაჭლა „ქარავანი“, ჭერეჲდანი „ფერეიდანი“.

თავს იჩენს ხმოვანთა მკვეთრი შემართვის შემთხვევებიც: yემათ, yემეებს „ამათ“, yეგრე „ასე“, yემ „ამ“.

ფერეიდნულში, ჩვეულებრივ, გვხვდება წყვილბაგისმიერი û (არნ. ჩიქობავა).

გვხვდება გემინირებული თანხმოვნები — უპირატესად ნასესხებ სიტყვებში: ქელლა „თავი“.

უმლაუტიანი ხმოვნები იშვიათია: ჩöნ „ჩვენ“, გöზიდნა „გვეზიდა“ (არნ. ჩიქობავა). შესაბამის პოზიციებში უპირატესად დელაბილიზებული ხმოვნებია წარმოდგენილი: ღედი „ღვედი“, წერი „წვერი“, კერცხი „კვერცხი“, დაისენა „დაისვენა“, თქეს „თქვეს“... ყირის „ყვირის“, იტყი „იტყვი“, ტინი „ტვინი“, შიდი „შვიდი“, წიმა „წვიმა“...

ფერეიდნულში ამ ფორმებს უნდა გაევლო უმლაუტიანი საფეხური (გ. იმნაიშვილი). საქმე ისაა, რომ ვე || ûე და ვი || ûე კომპლექსები ფერეიდნულში ორნაირ რეფლექსს იძლევიან: ა) ვე → ო: გვებარა → გობარა, დაჩვეულია → დაჩოულია; ვი → უ: გვითხრეს → გუთხრეს, გვიდგა → გუდგა; და: ბ) ვე → ე: კვერცხი → კერცხი, წვერი → წერი; ვი → ი: წვიმა → წიმა, შვიდი → შიდი. სავარაუდოა: გვქონოდა *გöბარა, *კöრცხი (ინგილოურის მსგავსად), რომელთაგან პირველმა დეუმლაუტიზაცია განიცადა (→ გობარა), მეორემ — დელიაბილიზაცია (→ კერცხი); ანალოგიურად: *გüთხრეს → გუთხრეს, მაგრამ: წüმა → წიმა. შევნიშნავთ: დელაბიალიზაცია ფერეიდნულისათვის დამახასიათე(#365)ბელია სხვა შემთხვევებშიც: პირუტყვი → პირიტყვი → პირიტყი (უ-ვ→ ი-ვ დისიმილაციითაა და ü → ი შედეგად).

ო რეფლექსს იძლევა ვა კომპლექსიც: ცხვარი → ცხორი, თვალი → თოლი, ძვალი → ძოლი, სიტყვა → სიტყო, უყვარს → უყორს, შათოლა → შესთვალა.

ხმოვნის მომდევნო პოზიციაში უ → û, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს წინამავალი ხმოვნის ნაწილობრივ ასიმილაციას: გა-უ-ხარდა → გო-û-ხარდა.

ხშირად ვა, ვე, ვი კომპლექსები უცვლელადაა დაცული: ჰყვანდა, ყველი, შვილი და მისთ.

თუ û-ს მახვილი მოუდის, მაშინ û → უ: რვა → რû́ა →რú́ა, ქვა → ქû́ა → ქú́ა, აიყვანა → აიყû́ანა → აიყú́ანა, სხვები || სხû́ები → სხú́ები (არნ. ჩიქობავა).

ოა → უა, ოე → უე დისიმილაციით, უპირატესად მაშინ, როცა ხმოვნებს შორის ჩავარდნილია ვ სონანტი (ფუძისეული ელემენტი ან I სუბიექტური პირის ნიშანი): ამოვავსე → ამუავსე, წამოველი → წამუელი (არნ. ჩიქობავა). ოვი → ოი: მოვიტანე → მოიტანე, მოვიდა → მოიდა.

ღირსსაცნობია ვ: მ სუბსტიტუცია, განსაკუთრებით — კითხვით ნაცვალსახელებში: ვინ → მინ, ვის → მის (მის მოჳპოვარო „ვის მოუპარავსო“).

სპეციფიკურ ფერეიდნულ მოვლენად მოჩანს არი(ს) → რი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ფორმებთან: დღე არი → დღე-რი, სხვა → სხო არი → სხო-რი (არნ. ჩიქობავა).

თავისებური ფონეტიკური და მორფოლოგიური ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი ზმნისწინები.

მო- და შე- ზმნისწინების გვერდით დასტურდება მა- და შა- (ჩვეულებრივ, ა- და ი- ზმნური პრეფიქსების წინ): მა-ა-ყენა „მოაყენა“, მა-ი-გონა „მოიგონა“... შა-ა-ყენა „შეაყენა“, შა-ი-ნახა „შეინახა“... (გვხვდება სხვა შემთხვევებშიც: შა-ვიდ-ა „შევიდა“, შა-ქუჩ-ებ-ა „შექუჩება, მოგროვება“). ორივე დასტურდება რთული ზმნისწინის შემადგენლობაში: გამა-ი-თხოვეს „გამოითხოვეს“, შამა-ი-კრ-ეს „შემოიკრეს“. შა- იპოვება მო- ნაირსახეობის წინაც: შამო-ვ-ყარე „შემოვყარე“. ზმნის ა- პრეფიქსთან შეხვედრისას მა-ა- → მā-, შა-ა → შā- (მა-ა-ბმენ→ მāბმენ „მოაბამენ“); ანალოგიური ვითარებაა სხვა ზმნისწინების გამოყენებისას: და-ა-რტყამენ — დāრტყმენ (მ. თოდუა).

ზმნური ე- პრეფიქსი იწვევს წინამავალი ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას: და-ე-ჭირა → დე-ე-ჭირა, მო-ე-წევა → მე-ე-წევა... (#366) პროცესს ვერ აბრკოლებს ხმოვნებს შორის მოქცეული პირის ნიშნები: გავეპარნეთ → გევეპარნეთ „გავეპარებინეთ“, მოგეწევი → მეგეწევი (არნ. ჩიქობავა). სრულ რეგრესულ ასიმილაციას განიცდის რთული ზმნისწინიც: გამოერთვა → გემეერთო. შესაძლოა ეე → ē (დაეწერა→ დეეწერა → დēწერა, მოეცა → მეეცა → მēცა), ხოლო ē → ე (მოეპარა→ მეეპარა → მēპარა → მეპარა; მოეგებნენ → მეეგებნეს → მēგებნეს → მეგებნეს: ჩემ კაბა, არ ვიცი, მის მეპარა „ჩემი ტანსაცმელი, არ ვიცი, ვის მოეპარა“; შაქნეს სიცილი და მეგებნეს „დაიწყეს სიცილი და მოეგებნენ“).

უ- პრეფიქსს შესწევს უნარი ნაწილობრივ დაიმსგავსოს წინამავალი ზმნისწინისეული ხმოვანი: აუკივლეს → ოუკივლეს „ასძახეს“, დაუმეტდა → დოუმეტდა „მოემატა“, ჩაუყარა → ჩოუყარა. იმავდროულად, როგორც ითქვა, შესაძლოა უ დავიწროვდეს: დოჳრჭო „დაურჭო“, გოჳხარდა „გაუხარდა“.

რთული (შედგენილი) ზმნისწინისეული მო- ზოგჯერ იწვევს წინამავალი ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას: წომო-გჳყჳეს „წამოგვყვნენ“, ომო-უკივლა „ამოსძახა“, ჩომო-ურეკია „ჩამოურეკია“. ჩვეულებრივ, ეს ხდება მაშინ, როცა იპოვება გვ- პირის ნიშანი ან უ- ზმნური პრეფიქსი; შდრ.: გამო-აღიძა „გამოაღვიძა“, გამო-რეკს. ასიმილაციით ო-გახმოვანებაზე გადასვლა შესაძლოა გამოოიწვიოს გვ-პირის ნიშანმაც (ასიმილაციის მოხდენის შემდეგ, წესისამებრ, ვ იკარგვის): შეგვხვდა → შოგხდა, დაგვბანა → დოგბანა (შდრ.: II პირის ფორმები — შეგხდა, დაგბანა).

როგორც უკვე აღინიშნა, ფერეიდნულში ვა → ო, ვე → ო, ვი → უ. ეს წესი მოქმედებს გვ- პირის ნიშნის შეხვედრისას ზმნის შესაბამის ხმოვან პრეფიქსებთან: გვაქვს → გოქ, გვეგონა → გოგონა, გვინდა → გუნდა. ამ სახით ცვლილი ზმნური პრეფიქსი სრულიად იმსგავსებს ზმნისწინისეულ ხმოვნებს (არნ. ჩიქობავა): წაგვართვა → წოგორთო, გადაგვეკიდა → გოდოგოკიდა; წაგვიყვანა → წუგუყონა || წუგუყვანა, გამოგვიგზავნა → გუმუგუგზავნა.

ზმნისწინისეული ა ხმოვნის შეხვედრისას ვ- პირის ნიშანთან ან უ- პრეფიქსთან შესაძლოა წარმოიქმნას გრძელი ō ხმოვანი: ავრევთ → ōრევთ, წაუღებს — წōღეფს (მ. თოდუა).

ამრიგად, პოზიციის შესაბამისად ფერეიდნულში ზმნისწინები შესაძლოა შემდეგი გახმოვანებით შეგვხვდეს (ნიმუშად ვიღებთ გა- ზმნისწინს): გა- → გე (ე- პრეფიქსის წინ: გე-ე-პარა „გაეპარა“, გე-ვ-ე-პარე „გავეპარე“, გე-მ-ე-პარა „გამეპარა“), გო- (უ- || → û- პრეფიქსის წინ: გო-û-ჯვარდა „გაუჯავრდა“; გვ- პირის ნიშნის წინ — პირისნიშნისეული ვ იკარგვის: გო-გ-ხადა „გაგვხადა“; გვ-ა → გო-, გვ-ე- → გო- კომ(#367)პლექსის წინ: გო-გოპარა „გაგვეპარა“, გო-გოპარე „გაგვეპარე“), გუ- (გვ-ი-→ გუ- კომპლექსის წინ: გუ-გუგია „გაგვიგია“).

გახმოვანების ცვლა ხდება რთულ ზმნისწინშიც (ცვლის წესი იგივეა): გემე-ე-გზავნა „გამოეგზავნა“, გომო-û-გზავნა „გამოუგზავნა“, გომო-გო-გზავნა „გამოგვაგზავნა“, გუმუ-გუ-გზავნა „გამოგვიგზავნა“.

იმავდროულად გვხვდება უცვლელი ან ნაწილობრივ ცვლილი ვარიანტებიც: წამუ-ატარე „წამოვატარე“, წამუ-ველ-ი || წამუ-ელ-ი „წამოვედი“.

ი- პრეფიქსი ზმნისწინისეულ ხმოვანს ვერ ცვლის.

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშანი ვერ კვეცს, თვით კარგავს ხმოვანს: შაქუჩდეს ჭას პირზე „მოგროვდნენ ჭის პირას“; ჩონ დუნიას გარდაის რაქთენიც და სხოც ყოფილა „ჩვენი ქვეყნის (დუნიის) გარდა სხვადასხვაც რამდენი ყოფილა“.

მსაზღვრელად გამოყენებულ ნათესაობითს ბრუნვის ნიშანი სრულად აქვს დაცული: ჯულის ქალამნები „ქეჩის ქალამნები“; ადამიზადის ჯელჩიგა „ადამიანის (ადამის შვილის) ხელში“; ყეენის ყორი იყო „მეფის ქალიშვილი იყო“.

დრო-ჟამის სახელების ნათესაობითის ბრუნვის უთანდებულო ფორმა გამოხატავს დროის გარემოებას: იმ ზამთრის „იმ ზამთარს, ზამთარში“; საღომის ცხორები გამორეკეს ბიჭებმა „საღამოს ცხვრები გამორეკეს ბიჭებმა“.

ხშირად უკვეცელია სახელი მოქმედებით ბრუნვაშიც; ბრუნვის ნიშანი შემდეგი ნაირსახეობებითაა დამოწმებული: -ით, -ჲთ, -თ (მეთოფე-ით „მეთოფით“, ქუა-ით-ა „ქვითა“; ტყივა-ჲთ „ტყვიით“, კიბე-ჲთ „კიბით“; ბზე-თ „ბზით“); (არნ. ჩიქობავა; თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი; მ. თოდუა).

მავრცობ ხმოვნად გვხვდება -ი: ნადიროობა-ს-ი „ნადიროობისა“, განათდა დილობა-ს-ი „გათენდა დილა“ (შდრ.: დილობ-ის თუ მოიდა თაჯერიო „დილას თუ მოვიდა ვაჭარი“, დილობ-ის მე მოვალ ქენსაო „დილას მე მოვალ თქვენსასო“), ბენა ქნა საქონელის ქუჩება-ს-ი „დაიწყო საქონლის მოგროვება“, დააყენეყე ფეის თხრასი და მუშაობაზე „დააყენე ისინი სასაძირკვლე თხრილის თხრასა და მუშაობაზე“.

(#368)

-ში თანდებული წარმოდგენილია, როგორც -ჩი || -ჩიგ(ა): ზამთარ-ჩი „ზამთარში“, თებ-ჩი „მთებში“, ხელ-ჩი || ხელ-ჩიგა „ხელში“.

-თვის თანდებულის ნაცვალია -თი || -თ, რომელიც დაერთვის მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს: რას-თი || რასა-თ „რისთვის“, წყალსა-თი „წყლისთვის“, დაწერვასა-თი „დაწერისათვის, დასაწერად“... იმის-თი „იმისთვის, იმიტომ“...

მიცემით ბრუნვას დაერთვის -თი თანდებული (შდრ. სვანური: -თე), რომელიც გამოხატავს მიმართულებას (ცვლის -ში და -კენ თანდებულებს): ბიჭები დაბრუნდეს ჭერეიდანსა-თი, რომ წავიდენ მარტყოფსა-თი „ბიჭები დაბრუნდნენ ფერეიდანში, რომ წავიდნენ (წასულიყვნენ) მარტყოფისაკენ || მარტყოფში“, წაველით ჭერეჲდანსა-თი, აველით ჭერეჲდანჩი „წავედით ფერეიდანში || ფერეიდანისკენ, ავედით ფერეიდანში“; შდრ. სვანური: იმ-თე ღჳრი? „საითკენ მიდიხარ?“ (არნ. ჩიქობავა).

-ზე თანდებულის პარალელურად გვხვდება -ზეგა: წავიდა წყალზეგა „წავიდა წყალზე“, მიგაკრავ ხე-ზეგა-ო „მიგაკრავ ხეზეო“.

-კენ თანდებული იხმარება -ყე || -ყენ(ა) ფონეტიკური ნაირსახეობით; დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას: ეხლა ვთქოთ თავის ცოლსა-ყე „ახლა ვთქვათ მისი ცოლის შესახებ“ (ზედმიწევნით: „ცოლისკენ“). ზმნისართებთან დაერთვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმასაც: საით-ყე არიან? „საითკენ არიან?“

-ყე || -ყენ(ა) თანდებული ფერეიდნულში გამოიყენება გამოსვლითობის ფუნქციის გამოსახატავადაც (არნ. ჩიქობავა); დაერთვის უპირატესად მიცემითი ბრუნვის ფორმას, გვხვდება ნათესაობითთანაც: ამოიღე ჯიბესა-ყე ფული „ამოვიღე ჯიბიდან ფული“; ჩამოიდა ცხენსა-ყენა „ჩამოვიდა ცხენიდან“; ავან, ამ თასა-ყენაც გადვიხედავ „ავალ, ამ მთიდანაც გადავიხედავ“; მოვლენ, რო იყიდონ შენ-ყენა-ო „მოვლენ, რომ იყიდონ შენგანა“... ემის-ყე ანქით შიში აღარა აქო „ამიდან || აქედან მანდეთ შიში აღარ აქვსო“ (= „საშიში აღარაა“); ჲადეგარიაო ემის ჴელისა-ყე-ო „საჩუქარიაო ამისგან“ (ზედმიწევნით:

„ამის ხელისგანო“). მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე დართული -ყენა || -ყე ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში გვხვდება: ავალ, ამ თასა-ყენა-ც გადვიხედავ, რო, აბა, ამის-ყე ანქითას არი თუ არა (დუნია) „ავალ, ამ მთიდანაც გადავიხედავ, რომ, აბა, აქედან (ზედმიწევნით: ამისგან) მანდეთ არის თუ არა (ქვეყანა)“.

პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებში, აგრეთვე ზმნისართებში სიშორე-სიახლოვის მიხედვით დამაპირისპირებელი პრეფიქსებია ე- და ი-; მაგალითად, ეს — შესაბამისად: ემა-მ „ამან“, ემა-ს „ამას“, ემ-ის „ამის“... ემა-თ „ამათ“ || ემ-ებ-ს „ამათ“, ემ-ებ-თან „ამათთან“... ემ (#369) ვაზირმა „ამ ვაზირმა“, ემ ბიჭსა „ამ ბიჭსა“... ექ-ით „აქედან“, ექ-ებ-ჩი (ზედმიწევნით: აქა-ებ-ში) „აქ, ამ ადგილებში“... ექ-თენ-ი (← ეგ-ოდენ-ი) „ამდენი“...

ა- პრეფიქსიან ფორმებში დაჩნდება ნ: ანსი, ანქა... ამ ფორმებს შეუძლიათ გამოხატონ მოსაუბრე პირთან სიახლოვეც და დაშორებაც: ანსი „ეს || ის“ (არნ. ჩიქობავა), ანქითას „მანდეთ || იქით“... ივარაუდება, რომ ანსი მიღებულია სპარსული ან „ის“ და ქართული ისი „ის“ ნაცვალსახელების კონტამინაციით: ან + ისი → ანსი (მ. მაჭავარიანი).

ფერეიდნულში დასტურდება ზოგი მოვლენა, რომელიც ყურადღებას იქცევს არქაიზმისა და ინოვაციის თავისებური შეხამებით. ამ რიგისაა, კერძოდ, -მდე თანდებულიან ფრომებთან დაკავშირებული ერთი ფაქტი. ცნობილია, რომ ძველ ქართულში -მდე თანდებულიან ფორმასთან იხმარებოდა „ვიდრე“ წინსართიც („განვიდეთ ჩვენ ვიდრე ბეთლემდმდე“, „იმარხვიდა იგი დღითი დღედ ვიდრე მწუხრამდე“). ფერეიდნულს დაუცავს ეს ვითარება, ოღონდ „ვიდრე“ შეცვლილია ნასესხები „თა“ წინსართით (შდრ. ინგილოური „თააქი“, მესხურ-ჯავახური „თახ“): ქენი მამნუნი ვარ მიწასაყე თა ასიმან-ა-მდი „თქვენი მადლობელი ვარ მიწიდან ვიდრე ცამდე“; აღონებდიან თა საღომ-ა-მდი „აწვალებდნენ ვიდრე საღამომდე“.

***

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება ძირითადად საერთო ქართულ წესს მიჰყვება. ზოგი თავისებურება ანალოგიურია იმისა, რაც ქართული ენის სხვა დიალექტებშიც გვხვდება. მესამე პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვი -ებ ფორმანტითაა წარმოებული: ესე-ებ-ი „ესენი“, ისე-ებ-ი „ისინი“ (არნ. ჩიქობავა). შესაძლოა ეე → ე: ესებ-ი, ისებ-ი. -ებ დასტურდება სხვა ბრუნვებშიც: ემე-ებ-მა, ემე-ებ-ს... ემე-ებ-თან...

-ებ სუფიქსს მოუპოვებია სიტყვათწარმოებითი დანიშნულებაც — დაერთვის ადგილის ზმნისართებს და გამოხატავს რისამე მიმდებარე ტერიტორიას: ექ-ებ-ჩი „აქ, ამ ადგილებში“, იქ-ებ-ჩი „იქ, იმ ადგილებში“.

***

გ) ზმნის ძირითადი თავისებურებანი. აწმყოს პარადიგმაში -ავ და -ამ თემის ნიშნები მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის -ენ ფორმანტის დართვისას იკუმშებიან (ძველი ქარ(#370)თულისებური ვითარებაა): და-ჰ-კლ-ვ-ენ „დაკლავენ“, ჩა-ი-ც-მ-ენ „ჩაიცვამენ“.

ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს მხოლოობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმები -ი-ს დაბოლოებითაა წარმოდგენილი (ძველ ქართულისებურად): გა-გრძელ-დ-ებ-ი-ს „გაგრძელდება“, შა-ი-ქნ-ებ-ი-ს „შეიქნება“.

ნამყო უსრულსა და მასზე დაფუძნებულ პარადიგმებში -ავ და -ამ თემის ნიშნები გახმოვანებას იცვლიან (→ -ევ, -ემ): კლ-ევ-დ-ა „კლავდა“.

ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს -ეს — როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებთან (ძველი ქართულისებური ვითარებაა): კლევდ-ეს „კლავდნენ“, იცოდ-ეს „იცოდნენ“, აკეთებდ-ეს „აკეთებდნენ“... მოგოწყდ-ეს „მოგვაწყდნენ“, გამიამხანაგდ-ეს „გამიამხანაგდნენ“, ბიჭები მოიდ-ეს „ბიჭები მოვიდნენ“...

ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითები ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის ფორმებში -ენ →-ნ სუფიქსს დაირთავენ: შე-ვ-ი-ყარ-ენ-ი-თ, შე-ი-ყარ-ენ-ი-თ, შე-ი-ყარ-ნ-ეს „შეიყარნენ“. II კავშირებითში სამივე პირის ფორმებში -ენ → -ნ, კავშირებითის ნიშნად კი -ე დასტურდება: შე-ვ-ი-ყარ-ნ-ე-თ „შევიყაროთ“, შე-ი-ყარ-ნ-ე-ნ „შეიყაროს“.

-ევ-იანი ზმნები ნამყო ძირითადში ინარჩუნებენ ვ-ს: შოუტივ-ა „შეუტია“, და-ლივ-ა „დალია“, გამა-ა-რკივ-ა „გამოარკვია“ (არნ. ჩიქობავა).

-ყე ფორმანტით გამოიხატება:

ირიბი ობიექტის მრავლობითობა: ჰკითხა-ყე „ჰკითხა მათ“, ემეებს წამალი მისცა-ყე „ამათ წამალი მისცა“;

პირდაპირი (უშუალო) ობიექტის მრავლობითობა: ესენი გავრეკე-ყე, ზედმიწევნით: „გავრეკენ“, გავრეკეთ-ყე „გავრეკენით“, ცხენები მაიყვა-ყე „ცხენები მოიყვანე“, გაამთელა-ყე „მოარჩინა ისინი“;

მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობა ინვერსიულ ზმნებში: ემათ ჰქონდა-ყე „ამათ ჰქონდათ“, ორთა უკრავ-ყე ტყივა „ორს დაუხლია ტყვია“, ზედმიწევნით: „ორთა უკრავთ ტყვია“, მოუკლავ-ყე „მოუკლავთ“, უთქომ-ყე „უთქვამთ“.

არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში იპოვება ფორმები, რომლებიც გამოხატავენ როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტის მრავლობითობას: ანგარიში მივე-ყე-ო და დავაყენე-ყე მუშაობაზეო „ანგარიში მივეცი მათ და დავაყენე ისინი სამუშაოზე“.

ზოგჯერ -ყე გამოხატავს აზრობრივ მრავლობითობას: მიჰხედნეს თავის ქულფათმა, რო მამა ცოცხალი შოჳიდა -ყე „დაინახა(ზედმიწევ(#371)ნით: დაინახეს) მისმა ოჯახმა, რომ მამა ცოცხალი მოუვიდა (ზედმიწევნით: შეუვიდათ)“.

ფერეიდნულს შემორჩენილი აქვს ხოლმეობითის (მრავალგზისობის) -ი სუფიქსიანი წარმოება: „ზოგ დღესა საქმე ვერ ჩა-ი-გდ-ი-ს ხელჩი“; „თითანაც ყეინის ყორი (= მეფის ქალიშვილი) დღისით ა-დგ-ი-ს და წა-ვიდ-ი-ს“; „თუ კაცი და-ი-ნახ-ი-ან ამ ახლუებში (= ახლომახლო), შემო-უ-დგ-ი-ან, და-ი-ჭირ-ი-ან, მა-ი-ყჳან-ი-ან იმ დღეს, იმ წყალჩი ჩა-ა-გდ-ი-ან, ჩაალბენ და ამა-ი-ყჳან-ი-ან, ა-ღონ-ებ-დ-ი-ან თა საღამომდი“.

იმავდროულად ხოლმეობითის გამოსახატავად გამოიყენება -ყე ფორმანტი, რომელიც, ჩვეულებრივ, -ი სუფიქსით ნაწარმოებ ფორმებს დაერთვის:

I ხოლმეობითი: ეს ყეინის ყორი ასწავლიდ-ი-ს-ყე „ეს მეფის ქალიშვილი ასწავლიდა ხოლმე“;

II ხოლმეობითი: ჰარ დღეთ მოიტან-ი-ს-ყე „ყოველ დღე (ზედმიწევნით: დღეებში) მოჰქონდა ხოლმე“; ღამით დადგ-ი-ან-ყე იქა, დილობას ჩამოიდ-ი-ან-ყე სიბაქს, მეორე დღეს გადვიდ-ი-ან-ყე ჩუღრუთს „ღამით დადგებიან ხოლმე იქა, დილით ჩამოდიან ხოლმე სიბაქში, მეორე დღეს გადავლენ ხოლმე ჩუღურეთში“ (არნ. ჩიქობავა).

ზოგჯერ -ი და -ყე სუფიქსიან ფორმებს განგრძობითობის სემანტიკა უჩანს: ემამ უამბ-ი-ს-ყე, რო დღეს მისთან და სად ვიმუშავეო „ამან უამბო, რომ დღეს ვისთან და სად ვიმუშავეო“.

-ი სუფიქსზე -ყე-ს დართვა შემთხვევითი არ არის: -ი, როგორც ჩანს, თანდათანობით კარგავს თავის ფუნქციას და ორმაგი წარმოება ხდება საჭირო.

გარდამავალ ზმნებს I შედეგობითში -ავ და -ამ თემის ნიშნები გადაჰყვება, ოღონდ, როგორც წესი, მოკვეცილია III პირის -ს ნიშანი: მოუკლავ, უთქომ „უთქვამს“. სხვა შემთხვევებში -ი დაბოლოებიანი წარმოებაა: ჩომოურეკია, გომოუგზავნია.

გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითის წარმოება უნიფიცირებულია: როგორც ერთვალენტიანი, ასევე ორვალენტიანი ფორმები იწარმოება -იყო მეშველი ზმნით: წასულიყო... წაჰყოლიყო „წაჰყოლოდა“, სწადებიყო „სწადებოდა“...

სხვა თავისებურებათაგან შეიძლება აღინიშნოს:

ჰ-ყავ-ს ზმნა ნამყო უსრულში იყენებს ყვან- ფუძეს: ჰ-ყვან-დ-ა „ჰყავდა“; ანალოგიური ვითარებაა ნამყო უსრულზე დაფუძნებულ პარადიგმებშიც: ვ-ყვან-დ-ე-თ „ვყავდეთ“;

ვ-ი-ყავ-ი-თ ფორმა წარმოდგენილია როგორც ვ-ი-ყნევ-ი-თ (შდრ.: ვ-ი-ყვენ-ი-თ); მეტათეზისის შედეგი ჩანს; III პირის ფორმაა ი-ყნ-ეს: (#372) სამი დასტანი იყნეს, ჩონც სამი ხანი ვიყნევით „სამი ჯგუფი იყვნენ, ჩვენც სამი ხანი ვიყავით“;

ხედ-ზმნას დაერთვის -ნ (პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ფორმანტი): მი-ჰ-ხედ-ნ-ეს თავის ქულფათმა „დაინახა (ზედმიწევნით: მიხედეს) მისმა ოჯახმა“... ეგევე ფორმანტი თავს იჩენს ი-არ-ა ზმნასთანაც: ი-არ-ნ-ეს „იარეს“, გა-ვ-ი-არ-ნ-ე-თ „გავიაროთ“ (← შე-ხედ-ნ-ა თვალ-ნ-ი, გა-ი-არ-ნ-ა გზა-ნ-ი; შემდგომ -ნ ფუძისეულად იქნა გააზრებული).

***

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. დასტურდება -მცა, გარკვეული ინოვაციით — გამოიყენება კავშირების ფორმასთან: ღამით გავიარნეთ, არა-მც ქენი ჰამყათარებმა გოდოგოკიდნ-ე-ნ „ღამით გავიაროთ, თქვენი თანამოსაქმენი არ გადაგვეკიდონ“.

გვხვდება ნასესხები მორფემოიდებიც: გერივ „კიდევ, ისევ, კვლავ“; ხშირად გამოიყენება ელ || ელა || ილ (არნ. ჩიქობავა): ელ ეგრე „აი ასე“; იმ წელს, ელა „იმ წელს, აი“; გერივაც თუ ელ ამ ჴმას პატრონთან არ მივალ, უფრო შიში აქვსო“; თუ ილ იმ ორსა სწადებიყო „თუ აი იმ ორს სწადებოდა“... ელ || ილ სიშორე-სიახლოვის მიხედვითაა დაპირისპირებული, რაც შესაბამის ნაცვალსახელებთან შეხამებითაც ვლინდება: ელ ამ „აი ამ“, მაგრამ: ილ იმ „აი იმ“, ილ ის „აი ის“.

III. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი.

ა) მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ორი ტენდენცია იჩენს თავს: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ან ფუძის სახით (ერთ მორწყავი „ერთი მომრწყველი“, ერთ მორწყავმა...), ან სახელობითი ბრუნვის ფორმით (ერთი მორწყავი, ერთი მორწყავმა, ერთი მორწყავს...).

ბ) ჩვეულებრივია სახელსა და ზმნას შორის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალღმა დააწყვეს „ხალხმა გადაწყვიტა“ (ზედმიწევნით: „გადაწყვიტეს“).

გ) აქტიური სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნასთან II სერიაში სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: შირმა დაყაბულდა „ლომი დაეთანხმა“; ერთი მორწყავმა წავიდა „ერთი მომრწყველი წავიდა“; ემათა ადგეს „ისინი ადგნენ“.

(#373)

დ) ზოგი ინვერსიული ზმნა პირდაპირი წყობისად გაიაზრება — რეალური სუბიექტი ბრუნვას იცვლის: თავის დედაკაცი (სახელობითი ბრუნვა) ერთ ოთახჩი ეძინა „მის ცოლს ერთ ოთახში ეძინა“.

ე) ხშირად იჩენს თავს სპარსულის სინტაქსური კალკები: შიქალი ვქნათ (= ნადირობა ვქნათ) „ვინადიროთ“; უშსაყე გაველ (=გონებიდან გავედი) „გრძნობა დავკარგე“; ეს ჯანს გაიტანს „გადარჩება“; ბენა ქნა „დაიწყო“.

ვ) სხვა ენის გავლენა წარმოჩნდება პირთა შენაცვლებაშიც: გოგონა, რო შენ თავი დათვს შოჳჭამიაო „გვეგონა, რომ შენი თავი დათვს შეუჭამიაო“ (ნაცვლად ქართულისათვის ბუნებრივი წარმოებისა: „გვეგონა, რომ დათვს შეუჭამიხარო“); მიაბარისყე, რო როგო და როგო მეექე იმ კაცსაო, რო შოუყორდეს შენი თავიო „დააბარა (აბარებდა ხოლმე), რომ როგორ და როგორ მოექეცი იმ კაცსაო, რომ შეუყვარდეს შენი თავიო“ (ნაცვლად ამისა: „რომ შეგიყვაროსო“).

(#376)

თავი IV

4.1 ქართული ენის სამხრეთ-დასავლური კილოკავები. ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში არსებული კილოკავები — მეხსური და ჯავახური. ზოგჯერ მესხურსა და ჯავახურს ორ დამოუკიდებელ დიალექტად მიიჩნევენ, რაც წმინდა ენობრივი თვალსაზრისით გამართლებული არ არის. ბევრი ნიშნით მესხურ-ჯავახური უახლოვდება სამხრულ (ქვემო) და დასავლურ ქართლურს. ეს სიახლოვე იმდენად ხელშესახებია, რომ შესაძლებლად მიაჩნიათ მესხურ-ჯავახური კილოკავის დონეზე დაუკავშირონ ქართლურ კილოს (არნ. ჩიქობავა).

ამჟამინდელი მესხეთი ისტორიულად სამცხედ იწოდებოდა. საკუთრივ მესხეთი გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა — მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში მდებარე კუთხეებს: სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, სპერს, აჭარას... დღევანდელი გაგებით კი სამცხე და მესხეთი ერთმანეთის ფარდ ტერმინებადაა გამოყენებული. თუ ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ და ამჟამინდელ მდგომარეობასაც გავუწევთ ანგარიშს, ალბათ უმჯობესი იქნებოდა დიალექტურ ერთეულად გამოგვეყო მესხური, რომლის კილოკავებს წარმოადგენენ სამცხური და ჯავახური.

4.2. მესხური (სამცხე-ჯავახური). ისტორიულად სამცხე (ახლანდელი მესხეთი) ნაწილია ზემო ქართლისა, მდებარეობს მტკვრის ხეობაში. სამცხეს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქართლი (მიჯნაა თრიალეთის ქედი), სამხრეთ-აღმოსავლეთით — ჯავახეთი, დასავლეთით — აჭარა, ჩრდილოეთით — იმერეთი, სამხრეთით — იმერხევი, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული (ქართული დიალექტოლოგია).

ისტორიულად ჯავახეთიც ზემო ქართლის ნაწილია. ესაზღვრება: დასავლეთით — მესხეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ქართლი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — სომხეთის სსრ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — თურქეთი.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს სამცხე-საათაბაგოს: „მცხეთოს უწოდა ტფილისის და არაგჳს დასავლეთს ლიხის მთამდე და ტაშისკარამდე შიდა ქართლი და ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღუამდე უწოდა ზემო ქართლი... ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამ(#375)თა ძეთა თჳსთა წილი თჳსი და მისცა უფლოსს, ძესა თჳსსა... და ძესა თჳსსა ოძრხოს მისცა ტაშისკარის ზეითი და მტკურის დასავლეთი, ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო... ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი ვიდრე თავამდე მტკურისა მისცა მცხეთოს ძესა თჳსსა ჯავახოსს და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკურის აღმოსავლეთი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი... და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ აწ ოძრახოს წილს გურიის მთამდე და არსიანის მთამდე უწოდებენ სამცხეს... ჯავახეთს უწოდებენ მასვე ძუელს სახელს“.

სამცხე-ჯავახეთი „არა ერთგზის აოხრებულა შემოსეული მტრისაგან. არაბები, ბიზანტიელები, სელჯუკიანი თურქები, მონგოლები წამლეკავ ტალღად ედებოდნენ ამ მხარეს, მაგრამ იგი ყოველთვის ახერხებდა ფეხზე დადგომასა და აღორძინებას, ვიდრე ოსმალო თუქებმა არ დაიპყრეს“ (ქართული დიალექტოლოგია). ოსმალეთმა კარგა ხნით (XVI-XIX საუკუნეების მანძილზე) მოგლიჯა ეს კუთხე საქართველოს, მოსახლეობის ერთო ნაწილი გაამაჰმადიანა, მაგრამ დედაენა მაინც ვერ დაავიწყა. ვახუშტი ბატონიშვილი წუხილით აღნიშნავდა: „გლეხნი კუალადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათჳს დიდისა“. ასეთი ვითარება გაგრძელდა 1828 წლამდე, როცა ქართველებისა და რუსების გაერთიანებულმა ჯარმა აიღო ახალციხე და ამით დაამხო ახალციხის საფაშო. „1829 წლიდან სამცხე-საათაბაგოს გარკვეული ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს და მეფის რუსეთის ბატონობა დამკვიდრდა. გამაჰმადიანებულ ქართველთა ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა და აქ დაამკვიდრეს იქიდან გადმოხვეწილი სომხები და ბერძნები“ (ქართული დიალექტოლოგია).

სამცხე-ჯავახეთში საკუთრივ სამცხელებისა (მესხებისა) და ჯავახების გარდა, ამჟამად ცხოვრობენ მცირემოასვლიანი სოფლებიდან გადმოსახლებული რაჭველები, იმერლები, მთიულები, ქართლელები, აჭარლები... ასე რომ, დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ქართული ენის სხვადასხვა დიალექტური მეტყველება ისმის. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება დიალექტთა ურთიერთზეგავლენა, მით უფრო — დიალექტურ მეტყველებაზე სალიტერატურო ენის გავლენა. მიუხედავად ამისა, სამცხურ-ჯავახურს დაცული აქვს ის დვრიტა, რომელიც მას სხვა ქართულ კილოთაგან გამოარჩევს.

მესხური (სამცხე-ჯავახური) იმ დიალექტთა რიგს განეკუთვნება, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითებაა ისტორიულ წყაროებში. მაგალითად, ეფრემ მცირე ერთგან შენიშნავს: „შეისწავე, რამეთუ (#376) ამა სჳნოღოროსსა, რომელ არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქჳან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“. ანდა: ბასილი საჲთური მის მიერ გადაწერილ კრებულს ასეთ ანდერძს ურთავს: „დედასა შინა „მუნქუესვე“ დიად ეწერა და მისად ნაცვლად „მეყსეულად“ დამიწერია და „ამარზაკისა“ ნაცვლად „მყის“. და ამისთჳს მესხთაცა შემინდევით. ქნასა ქართველთასა ესე უკეთუ მოეგუარების“; ანუ: კრებულის შემდგენი აშკარად განარჩევს მესხურ დიალექტიზმებს. მესხიზმები აისახა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც; ერთ-ერთი ნიმუში: „მარტჳლი — ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენ“. ვახუშტი ბატონიშვილი ზედმიწევნით ახასიათებს იმ ენობრივ სიტუაციას, რომელიც მისდროინდელ სამცხე-საათაბაგოში იყო: „კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართველთანი (= ქართლელთა), არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი“; იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანებულია, რომელთაც „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყჳან ქართულსავე“. ღირსსაცნობია მინიშნება მესხურისა და გურულის სიახლოვეზე, რომელიც მას გურიის აღწერისას აქვს აღნიშნული: „კაცნი და ქალნი... ენა-ტკბილმოუბარნი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ)“.

სამცხურ-ჯავახურში თავს იჩენს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ, საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, თუმცა არსებითი, განმსაზღვრელი ენობრივი მოვლენები სამცხურ-ჯავახურს მაინც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტთა წრეში მოაქცევს (შ. ძიძიგური).

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი სამცხურ-ჯავახური კილო შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული, მას საკმაოდ თვალსაჩინო ქცევებრივი დიფერენციაცია ახასიათებს. მაგალითად, 1942 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში“) ი. მაისურაძე მესხურისათვის (სამცხურისათვის) სამ ძირითად ქცევას ასახელებდა: უდე-არალურს — მესხ კათოლიკეთა მეტყველებას (სოფლები: უდე, არალი, ვალე, ქალაქი ახალციხე...), მესხურ-ჭობარულს — მესხ მართლმადიდებელთა მეტყველებას (სოფლები: ანდრიაწმინდა, ღრელი, ჭობარეთი, მუსხი, ზედა თოგვი, დადეში) და სვირულს — მესხ მაჰმადიანთა მეტყველებას (სოფლები: სვირი, ბოგა, ტატანისი, შურდო, აწყური...). ამჟამად ფუნქციონირებს პირველი ორი ქცევა.

(#377)

რამდენიმე ქცევა გამოიყოფა ჯავახურ კილოკავშიც. მაგალითად, ზოგი ენობრივი ნიშნით გამორჩეულია ხიზაბავრის, მურჯახეთის, ბარალეთის, ხოსპიოს და ზოგიერთი სხვა სოფლის მეტყველება.

თითოეული ამ ქცევებრივი ნაირსახეობის სისტემური აღწერა, მათ შორის მსგავსება-სხვაობის დეტალური აღნუსხვა აუცილებელ პირობად ივარაუდება. ამჯერად კი, ძირითადი დიალექტური ტენდენციების წარმოსაჩენად, შეიძლება ზოგადი მიმოხილვით დავკმაყოფილდეთ.

***

I. ფონეტიკა.

იპოვება ჲ, ოღონდ მისი კილოკაური განაწილება ზოგჯერ განსხვავებულია.

ორივე კილოკავში დასტურდება ე ხმოვნის იოტირებული შემართვა ჲეხლა „ახლა“, ჲეზო „ეზო“,ჲერთი „ერთი“,ჲეკითხება „ეკითხება“,ჲეუბნება „ეუბნება“. შეინიშნება ფუძეშიც: ს-დჲევ-ს „სდევს“, ს-ცჲემ-ს „სცემს“ (შ. ძიძიგური, ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

ასევე ორივე კილოკავში ხმოვნის წინა პოზიციაში ი →ჲ: ა) მაშინ, როცა აი → ჩვენებითი ნაწილაკ-მორფემოიდია: აი ეს →ჲეს, აი ეგ →ჲეგ, აი ესე →ჲესე, აი აქ → აი ექ →ჲექ, აი ამ → აი ემ →ჲემ; პარალელურად: იეს, იეგ, იესე, იექ, იემ; ბ) ჲ დასტურდება ნასესხებ სიტყვებში: ჲარაღი, ჲოლი, გჲაური (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

ორივე დიალექტში ჰ|| ს →ჲ, ოღონდ პროცესი საკმაოდ შეზღუდულია; ძირითადად გვხვდება მასშინა → მაჲშინ, როსცა → როჲცა და მისთ. ფორმებში. აქა-იქ თავს იჩენს ჰ || ს პირის ნიშანთა ცვლა ჲ-დ, იგივე ითქმის მიცემითისა და ნათესაობითის -ს ნიშანზე, აგრეთვე III სუბიექტური პირის -ს ფორმანტზეც. როგორც ჩანს, აქ მაინც ქართლურის გავლენასთან გვაქვს საქმე (შ. ძიძიგური, ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

სამცხურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ ან მასთან გატოლებულ საზოგადო სახელთა სახელობით ბრუნვაში ბრუნვისნიშნისეული -ი → -ჲ: შოთა-ჲ, ნინა-ჲ, რაც უცხოა ჯავახურისათვის: აქ სრული -ი გვაქვს: შოთა-ი, ნინა-ი (ი. მაისურაძე, ა. მარტიროსოვი). ჯავახურში სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში ჲ, როგორც წესი, არ იპოვება, გარდა ორიოდე შემთხვევისა, როცა დაბოლოების ცვეთა ხდება: როგორი → როგოჲ, რანაირად → რანაჲ (გ. ბერიძე).

სპორადულად სამცხურში ზმნური პრეფიქსი ი- →ჲ- ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის მომდევნოდ: წა-ჲ-ღებს „წაიღებს“, და-ჲ-მალა „დაიმალა“, რაც ასევე უცხოა ჯავახურისათვის.

(#378)

ჲ გვხვდება ხმოვანთგამყარადაც: პატარაჲა „პატარაა“, მტირალაჲა „მტირალაა“ (მ. ბერიძე).

გვხვდება ჷ, რომელიც, ჩვეულებრივ, ი ან უ ხმოვანთა რეფლექსს წარმოადგენს: ა) სპირანტების მეზობლად: ცჷხე „ციხე“, მაშჷნ (|| მაჲშინ || მაჲშჷნ) „მაშინ“, ფჷსფჷსებს „ფუსფუსებს“; ბ) სონანტების შემცველ თანხმოვანთკომპ;ლექსებში: ჩჷრდილი „ჩრდილი“, ღჷრმა „ღრმა“, ბჷრმა „ბრმა“; გ) უპირატესად მაინც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში იჩენს თავს: ყჷსმათი „ყისმათი“, ხასჷმი „შესაფერი“ (ი. მაისურაძე, ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

სამცხურ-ჯავახურში დამოწმებულია უმლაუტიანი ხმოვნებიც: ä, ö, ü. ამათგან ö და ü ქართული წარმომავლობის ფორმებში ვე და ვი კომპლექსთა რეფლექსს წარმოადგენს: ჩვენ →ჩöნ, კვერცხი → კöრცხი, ქვეყანა → ქöყანა, ქვევრი → ქöვრი... კვიცი → კüცი, შვილი → შüლი, შვიდი → შüდი, ძმისთვის → ძმისთüნ (კ. დუნდუა, ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე). იშვიათად უმლაუტი პალატალური ხმოვნის მეზობლობით აიხსნება: პალოები → პალუები (დისიმილაციით)→ პალöები (ე ხმოვანი ახდენს პალატალიზაციას); კალოები → კალუები → კალüები (მ. ბერიძე). სხვა შემთხვევებში უმლაუტიანი ხმოვნები თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება: ქäსა, დäლიბაში, ბäზირგანი, დüზანი, ქüლფათი.

უმლაუტიანი ხმოვნები შესაძლოა დაიშალოს: ö → ვე, ü → ვი.

სამცხურ-ჯავახურში უმლაუტიანი ხმოვნები უკვე გაქრობის გზასაა დამდგარი, რაც ორგვარი ფონეტიკური შედეგით ვლინდება: ა) მოშლილია უმლაუტი; ჩöნ → ჩონ, გöრდი → გორდი; შüლი → შული, წüმა → წუმა; ბ) უმლაუტიანი ხმოვანი იცვლება შესაბამისი კომპლექსით: დაითხოვა → დაითხოა → დაითხüა → დაითხვია, აძოვებს → აძოვამს (თემის ნიშანთა შენაცვლებით) → აძოამს → აძüამს → აძვიამს... აძოვე → აძüე → აძვიე... (იხ. ქვემოთ).

ნიშანდობლივია ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა: ჰაკვანი, ჰეკალი, ჰეჭვი, ჰეკლესია, ჰამობენ „ამბობენ“, ჰამას „ამას“. ჰ შენარჩუნებულია ნასესხები სიტყვების თავკიდურა პოზიციაში: ჰარამი, ჰალალი, ჰურია.

ჯავახურის ზოგ თქმაში შენიშნულია გემინირებული ლ: ქალლი, სილლა; უპირატესად არაბულ-თურქული წარმომავლობის სიტყვებში იჩენს თავს: ჯალლათი, მოლლა, ილლაჯი, ხალლხი (ა. მარტიროსოვი).

ხმოვანთა კომპლექსების ცვლა ზედმიწევნით განსაზღვრული წესით ხდება; მაგალითად, ასიმილაცია: ა) ყოველთვის სრულია: აე → ეე, ოუ → უუ; ბ) ყოველთვის ერთსაფეხურიანია: დასაშვებია ოუ → უუ, მაგრამ არ ხდება აუ → ოუ → უუ; გ) ასიმილაციას ხშირად მოსდევს (#379) დიფთონგიზაცია დისიმილაციის საფუძველზე: აე → ეე → იე (მ. ბერიძე).

ანუ: გამოირიცხება აუ → ოუ, რადგან ასიმილაცია ერთსაფეხურიანი კი არის, მაგრამ ნაწილობრივია და არა — სრული; გამოირიცხება აუ → ოუ → უუ, რადგან ასიმილაცია სრული კი არის, მაგრამ ორსაფეხურიანია.

ასევე ზედმიწევნით ზუსტი წესები მოქმედებს ხმოვანთა კომპლექსების დისიმილაციური ცვლილების შემთხვევებში და ა.შ.

აე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ა) თავკიდურა პოზიციაში: დაეცა → დეეცა, აეკიდა → ეეკიდა, გაეხარდა → გეეხარდა. პროცესს ვერ აბრკოლებს პირის ნიშნები: ავეკიდე → ევეკიდე, ამეკიდა → ემეკიდა... ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: ძმა-ებ-ი → ძმეები...

ოე → ეე ასევე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: მოესწრო → მეესწრო. პროცესს ვერ აბრკოლებს პირის ნიშნები: მოვესწარი → მევესწარი. პროცესი ვრცელდება რთულ ზმნისწინშიც: გამოესწრო → გემეესწრო, გამოეკიდა → გემეეკიდა. იმავდროულად, თუ მო- ზმნისწინისეული ხმოვანი თვით არ იცვლება, მაშინ იგი სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლის წინამავალ ხმოვანს; ჩვეულებრივ, ეს ეხება შე- ზმნისწინისეულ ხმოვანს: შემოვიდა → შომოვიდა, შემოხვდა → შომოხვდა, შემოიკრა → შომოიკრა (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

აე და ოე კომპლექსთა ცვლილების შედეგად მიღებული ეე, როგორც წესი, დისიმილაციას განიცდის: ა) ხშირად თავკიდურა პოზიციაში: დაემტვრა → დეენტვრა → დიენტვრა, დაეწვა → დეეწვა → დიეწვა, ჩაეგდო → ჩეეგდო → ჩიეგდო. ანალოგიურ ცვლილებას ექვემდებარება იმთავითვე წარმოდგენილი ეე კომპლექსიც: შეეგდო → შიეგდო; ბ) თითქმის ყოველთვის ბოლოკიდურა პოზიციაში: ძმაები → ძმეები → ძმიები, დაები → დეები → დიები. ცვლილება ეხება იმთავითვე წარმოდგენილ ეე კომპლექსსაც: ხეები → ხიები, მეხრეები → მეხრიები. ქცევების მიხედვით თავს იჩენს პარალელური ფორმები: დაები → დეები || დēბი || დიები, შენსაებრ → შენსეეფ || შენსიეფ.

აქ უკვე წარმოჩნდა სამცხურ-ჯავახურისათვის ნიშანდობლივი თავისებურება: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენების თანაპოვნიერება.

ეგევე ფაქტი თავს იჩენს იუ და ოუ კომპლექსების ცვლილების დროსაც: ა) იუ → უუ უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში გვხვდება და დაჩნდება იგი სამცხურ-ჯავახურშიც: მიუტა(#380)ნა → მუუტანა, მიუცხუნა → მუუცხუნა; ბ) ოუ → უუ დასავლეთ საქართველოს დიალექტებს ახასიათებს და მოქმედია სამცხურ-ჯავახურშიც: მოუხდა → მუუხდა, წამოუღია → წამუუღია, გამოუთლია → გამუუთლია.

ოა და ოე კომპლექსები რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე იცვლებიან: → უა და უე. პროცესი უფრო შორს მიდის: როგორც პირველადი, ასევე დისიმილაციის საფუძველზე მიღებული უა და უე კომპლექსები იცვლება: უა → ვია, უე → ვიე (შუალედურ საფეხურად სავარაუდოა უმლაუტიანი üა და üე). ამ რიგის ცვლილება, როგორც წესი, დასტურდება ბოლოკიდურა პოზიციაში; ხოლო თავკიდურა პოზიციაში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია მხოლოდ ცვლილების პირველი საფეხური: მოაწყო → მუაწყო, მოადგა → მუადგა, ჩამოაგდო → ჩამუაგდო... მოემზადა → მუემზადა, მოეტანა → მუეტანა, გამოედო → გამუეგდო... შევნიშნავთ: ოე პარალელურად იძლევა ორ ნაირსახეობას: ეე (სრული ასიმილაციით) და უე (დისიმილაციით), იმავდროულად შესაძლოა ეე → იე (დისიმილაციის საფუძველზე). ამ ნაირსახეობათა თანაპოვნიერება სამცხურ-ჯავახურის თავისებური ისტორიული და ტერიტორიული ვითარებით აიხსნება.

ბოლოკიდურა პოზიცია: პირველად უა → ვია (ჭკუა→ ჭკვია, მოატყუა → მოატყვია); ასევე: ოა → უა → ვია (აძოვა→ აძოა → აძუა → აძვია, გაათხოვა → გაათხოა →გაათხუა → გაათხვია); დასაშვებია სხვა ფონეტიკური პროცესის თანაპოვნიერება (მოაგროვა→ მოაგროა → მოაგრუა → *მოაგრვია → მეტათეზისით: მოაგვრია → ბგერის განვითარებით: მოანგვრია)... ანალოგიურად: პირველადი უე → ვიე (ძუძუები→ ძუძვიები); ასევე: ათხოვეს → ათხოეს → ათხუეს → ათხვიეს, აძოვე → აძოე → აძუე → აძვიე, კალოები → კალუები → კალვიები || კალიები (ანუ: ოე → უე → ვიე). მსგავსი ცვლილებანი ხდება პირველადი უო და აგრეთვე ოო → უო კომპლექსების შემთხვევაშიც (გოგოობა→ გოგუობა → გოგვიობა, ათხოვო → ათხოო → ათხუო → ათხვიო... მოატყუო → მოატყვიო...).

იმ შემთხვევაში, როცა უ ხმოვნის წინ ბაგისმიერი თანხმოვანია, დასტურდება ორი ნაირსახეობა: ა) ხმოვნის დაშლა არ ხდება: მოიპოვა → მოიპოა || მოიპუა; ბ) ხმოვანი იშლება, მაგრამ იკარგვის ვ: ორმოები → ორმუები → *ორმვიები → ორმიები, ორმოა → ორმუა → *ორმვია → ორმია... (როცა -ა მეშველზმნისეულია, პროცესი იზღუდება).

მსგავსივე ცვლილება ახასიათებს უი კომპლექსს: ტყუილი → ტყვილი, ბზუილი → ბზვიილი... ცვლილება, ჩვეულებრივ, არ ხდება, თუ (#381) წინამავალი თანხმოვანი

ბაგისმიერია: ღმუის, ყმუის, ზმუის (ი. მაისურაძე, ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე, მ.ბერიძე).

შევნიშნავთ, რომ ქცევების მიხედვით თანაპოვნიერია პარალელური ფორმები: კალüები || კალვიები || კალიები, წყაროები || წყარüები || წყარიები და მისთ. (ი. მაისურაძე, მ. ბერიძე). ცვლილების ტენდენცია იდენტურია, ოღონდ შედეგია ნაირგვარი: პროცესი სხვადასხვა საფეხურზეა შეჩერებული.

ზემოთ, უმლაუტიან ხმოვნებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სამცხურ-ჯავახურისათვის ნიშანდობლივია ვე → ö და ვი → ü პროცესი (ხშირია ö-ს და ü-ს დეუმლაუტიზაციის შემთხვევებიც), იმავდროულად ö || ო და ü || უ შეიძლება დაიშალოს ვე და ვი კომპლექსებად. ასე რომ, პარალელურად ვადასტუდებთ: ვე → ö || ო (კვერცხი→ კ̈ორცხი || კორცხი) და ო → ვე (ენდობი→ ენდვები, მეორე → მევერე || მევრე); ვი → ü || უ (შვილი→ შüლი |~ შული, ძმისთვინ → ძმისთüნ || ძმისთუნ) და უ → ვი (დააჯდუნა „დასვა“→ *დააჯდვინა → მეტათეზისით: დააჯვდინა) პროცესებს.

უ ხმოვანი ბაგისმიერ თანხმოვანთან მეზობლობისას დელაბიალიზაციას განიცდის: უფრო → იფრო.

სამცხურ-ჯავახურისათვის დამახასიათებელია ნათლად გამოხატული ტონური მახვილი, რომელიც ხმოვნის დაგრძელებით წარმოთქმას იწვევს. გვხვდება იგი ერთმარცვლიან ფორმებშიც (ჩაფიქრებული ზēს), ხოლო ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის, ჩვეულებრივ. მახვილი განსაკუთრებით საგრძნობია კითხვითი, თხოვნითი, გაკვირვებითი, ძახითი ინტონაციის დროს: არ წახვē̆დი? (თუ ფრაზაში კითხვითი სიტყვაა, მახვილი მას მოუდის: რჲ მოიტანე?; მიუხედავად ამისა, ხმოვანი სიტყვაში შესაძლოა მაინც დაგრძელდეს: რჲ მოიტāნე?); გოგო, წყალი მოიტāნო! (=მოიტანე!)... მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის შედგენილ შემასმენელსაც: კაი წყალīა, გაყინულīა.

ხმოვნის დაგრძელება ზოგჯერ ფუნქციურადაა შეპირობებული; გრძელდება ბოლოდან პირველი ხმოვანი: ა) როცა მთავარი წინადადების ზმნას უშუალოდ მოჰყვება დამოკიდებული წინადადება: მასწავლებელმა თქვā, რო... ბ) გამოიხატება პროცესის განგრძობითობა, ხანგრძლიობა: არაფერი მāქ; მივა და თხōვს; ეჰ (=ეს) კაცი კარებთან დგāს; ნალი გასწიā, გადააგდო, გასწიā, გადააგდო; დაჯდება ბუხართან და ნაცარ ჰქექāმს; გ) სიტყვას ჰმატებს ექსპრესიულობას: დაბრუნდა თითონ უკāნ; თავი მიანება ცხენ და წავიდā; ხმალი მოუქნია და თავი მოჰკვეთā (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე). ექსპრესიული დანიშნულებით (#382) ზოგჯერ გრძელდება თავიდან პირველი ხმოვანი: დīდი ხნის წინათ; მოიტანა ძალიან პāტარა კოვზი.

მახვილი გავლენას ახდენს უ : ვ მონაცვლეობაზე: ა) მახვილის შემთხვევაში გვაქვს უ: ქúა „ქვა“ , რúა „რვა“, სხúა „სხვა“; ბ) მახვილის წინა პოზიციაში უ → ვ: აქავრóბა „აქაურობა“, სადავრéლი „სადაური“ (გ. ბერიძე). მახვილმა შეიძლება გამოიწვიოს ორი

იდენტური ხმოვნის შერწყმაც: გაეტანა → გéეტანა → გēტანა, მოუვიდა → მúუვიდა → მūვიდა (ა. მარტიროსოვი).

სამცხურ-ჯავახურში თანხმოვნებს მრავალფეროვანი ფონეტიკური ცვლილებანი ახასიათებს. დავასახელებთ ამ რიგის გარდაქმნებს, რომლებიც გარკვეული სისტემურობით ხასიათდებიან და იმავდროულად მეტ-ნაკლებად განსაზღვრავენ საანალიზო დიალექტის ბუნებას.

აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებისათვის დამახასიათებელ მოვლენათა თანაპოვნიერება აქაც იჩენს თავს. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტთა მსგავსად სამცხურ-ჯავახურში ჩვეულებრივი მოვლენაა თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია: ხიდს → ხითს, ასჯერ → აშჯერ, აჰყარეს → ახყარეს, ის ბიჭი → იზ ბიჭი... იმავდროულად დასტურდება თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევებიც, რაც უპირატესად დასავლეთ საქართველოს დიალექტებისთვისაა ნიშანდობლივი: ხბო → ხფო.

სამცხურ-ჯავახურში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა მ → ნ შენაცვლება, სადაც მ შესაძლოა იყოს პირველადი ან ვ → მ, ბ → მ პროცესის შედეგად მიღებული: მ → ნ ხდება მხოლოდ მაშინ, როცა: ა) მ-ს მოსდევს თანხმოვანი; ბ) მ წარმოდგენილია პაუზის წინ (აბსოლუტურ ბოლოკიდურა პოზიციაშია).

ეს წესი ზოგი მოდიფიკაციით მოქმედებს თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებში:

თავკიდურა პოზიციაში თანხმოვნის წინ მ ორ ნაირსახეობას იძლევა: ა) იკარგვის: მთა → თა, მგელი → გელი, მწუხარე → წუხარე, მსახური → სახური; ბ) მ შენარჩუნებულია და მაშინ ხორციელდება პროცესი მ → ნ: მთა → ნთა, მგელი → ნგელი, მწუხარე → ნწუხარე, მსახური → ნსახური. მ-ს შენარჩუნებას ხელს უწყობს პრეფიქსის დართვა: სამთო → სანთო, გამგელდა → განგელდა, მომკვდარა → მონკვდარა (მ. ბერიძე). ამიტომაც არაა მოულოდნელი, რომ ერთსა და იმავე ფრაზაში დავადასტუროთ გელი „მგელი“ და მის გვერდით: განგელდა „გამგელდა“. იცვლება როგორც პრეფიქსისეული, ასევე ფუძისეული მ: დამხურე → დანხურე, მწუხარე → ნწუხარე; მთა → ნთა, დედამთილი → დედანთილი, სავსე → სამსე → სანსე, კოვზი → კომზი → კონზი.

(#383)

ბოლოდიკურ პოზიციაში მ ყოველთვის შენარჩუნებულია და ამიტომაც თანხმოვნისა და პაუზის წინ, როგორც წესი, მის ნაცვლად გვაქვს ნ: ზამთრამდი → ზანთრანდი, შენამც → შენანც; ვასხამ → ვასხან, დედამ → დედან, ვითომ → ვითონ. პროცესი მოქმედებს ენკლიტიკის შემთხვევაშიც: ამ კაცმა → ან-კაცმა, იმ დღეს → ინ-დღეს (შდრ.: ამ აღდგომას).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ → ნ ერთნაირი ძალით არ იჩენს თავს მთელ სამცხურ-ჯავახურში. სხვაობა გვაქვს თქმებისა და ქცევების მიხედვით. მაგალითად, ჯავახურში, სოფელ აფნიაში უგამონაკლისოდ არის გატარებული მ → ნ (ასევე: ვ → მ →ნ, ბ → მ → ნ), ხოლო სოფელ ბარალეთში ჩაწერილ ტექსტში მ → ნ საერთოდ არ არის ფიქსირებული; სოფელ ჩუნჩხაში ჩაწერილ ტექსტში კი მერყეობაა: ფიქრომდა || ფიქრონდა, წაიღემდა || წაიღენდა.

ბ → მ → ნ არ ახასიათებს მრავლობითი რიცხვის -ებ ფორმანტს; ამ შემთხვევაში ან -ებ → -ეფ ყრუ თანხმოვნის წინა და პაუზის წინა პოზიციაში (ქალებს→ ქალეფს), ან შენარჩუნებულია -ებ (მაღაროებში→ მაღარიებში).

ვ → მ არ იკრძალება ხმოვნის წინა პოზიციაშიც: ვითომ → მითომ... მაგრამ აქ უკვე მ → ნ შეზღუდულია: ხმოვნის წინ მ შენარჩუნებულია, პაუზის წინ კი მ → ნ: მითონ (თუ შეგვხვდება „ნითონ“, იგი რეგრესული, სრული, დისტანციური ასიმილაციით უნდა აიხსნას).

ყურადღებას იქცევს ასეთი ცნობა: როცა ახალგაზრდა მესხი მოხუცის გამოჯავრებას ცდილობს, იგი „განგებ ცხვირისმიერად წარმოთქვამს ბგერებს; ასეთ დროს ბევრ ისეთ თანხმოვანს ცვლიან ნ-თი, რომელიც ჩვეულებრივ მეტყველებაში უცვლელად რჩება; მაგალითად, „ნა იყო, ბიჭო, ნაჰ დანბიხან“ (= რა იყო, ბიჭო, რას დარბიხარ). ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი და გამონაკლისი. თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი მანერაა გამოჯავრებისა. ასე აჯავრებენ სოფლიდან ჩამოსულ ბავშვებსაც სკოლაში“ (მ. ბერიძე).

ღირსსაცნობია ს ბგერის დასუსტების შემთხვევები სამცხურ-ჯავახურში.

(#384)

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი შესაძლოა დაიკარგოს; იკარგება ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშნისეული ს-ც; ზოგჯერ პარალელური ვარიანტები ერთსა და იმავე ფრაზაში გვხვდება: სარამდი ჩემ წყლი ყაბ არ მამცემ, ამ კურტანს არ მოქცემო „სანამდე ჩემს წყლის ყაბს (= ჭურჭელს) არ მომცემ, ამ კურტანს არ მოგცემო“...

აწმყო-მყოფადში III სუბიექტური პირის -ს ნიშანი, წესისამებრ, შენარჩუნებულია: იღენს „იღებს“, ამონს „ამბობს“, ნახამს „ნახავს“.

ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის ან პაუზის წინა პოზიციაში ს → ჰ , მიუხედავად იმისა, ს ფუძისეულია თუ ფორმანტისეული. ს ძეიძლება იყოს: ა) ფუძისეული: ეს → ეჰ, ის → იჰ, ასწავლე → აჰწავლე; ბ) მიცემითი ბრუნვის ნიშანი: რას → რაჰ , ძმას → ძმაჰ, ხენწიფეს → ხენწიფეჰ; გ) ნათესაობით ბრუნვის ნიშანი: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ოქროს ბურთი → ოქროჰ ბურთი, წყაროს წყალი → წყაროჰ წყალი), თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ხის ძირი → ხიჰ ძირი, კაცისკენ

→კაციჰკენ, თავისი ქალი → თავიჰ ქალი); დ) III სუბიექტური პირის ნიშანი: დადის → დადიჰ, უთხრას → უთხრაჰ, გააკეთოს → გააკეთოჰ; ამავე რეფლექსს იძლევა მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის -ეს ნიშნისეული -ს ელმენტიც: აჭამეს → აჭამეჰ, დანიშნეს → დანიშნეჰ, დაიწყეს → დაიწყეჰ. სპორადულად ს → ჰ შეიძლება დავადასტუროთ სხვა პოზიციებშიც: საით → ჰაით (ა. მარტიროსოვი).

იმავდროულად, როგორც ითქვა, სხვა კილოთა გავლენით აქა-იქ შესაძლოა ს →ჲ: იმ დღეს → იმ დღეჲ, თაფლის კლდე → თაფლიჲ კლდე.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ჯავახურში II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნად, ჩვეულებრივ, ჰ- გვაქვს ყველა რიგის თანხმოვნის წინ: დაჰცქერიხარ, დაჰდევ, დაჰტოვე... დაჰდევს, დაჰტოვა, მიჰწერა, ჰცემა... აღარაფერს ვამბობთ ჰყვირი, ჰპარსავ... ჰფარავს, დაჰკარგავს, მიჰყავს... ტიპის ფორმათა შესახებ. ს → ჰ და ამასთანავე ჰ- პირის ნიშნის შენარჩუნების ფაქტი იმდენად თანამიმდევრულადაა წარმოდგენილი, რომ „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის დროს იგი ჯავახურისათვის... ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ“ (ა. მარტიროსოვი).

ფართოდაა გავრცელებული მეტათეზისი: ამირანი → ამინარი, უნაგირი → ურაგინი, ამნაირი → ამრაინი, ხშირი → შხირი, დაიკუზა → დაიზუკა, გაუჯავრდა → გაუჯვარდა, იდროვა → იდრუა → *იდრვია → იდვრია, დააუშნოვა → დააუშნუა → *დააუშნვია → დააუშვნია.

(#385)

ვ → მ შენაცვლების გვერდით დასტურდება მ → ვ იმავე პოზიციაში: მწყემსი → წყევსი.

შეინიშნება ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციის ტენდენცია (რაც ქართული ენის არც სხვა დიალექტებისთვისაა უცხო): სახლისთვის → სახლისთვი (ს ბგერის დაკარგვით) → სახლისთვინ → სახლისთუნ || სახლიჰთუნ (პარალელურად დასტურდება უმლაუტიანი ნაირსახეობაც: სახლიჰთüნ).

სუბსტიტუციის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ: სანამდე → სარამდი || სარამდინ || სირამდინ, მანამდე → მარამდი || მარამდინ || მირამდინ.

ბგერის დაკარგვის ნიმუშებია: იქნება → *იქნეა → იქნია, ეგება → *ეგეა → ეგია, აკი არ → აკია. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყველა ეს ფორმა, წარმოშობით დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, ნაწილაკ-მორფემოიდის დანიშნულებით გამოიყენება, რამაც, ჩანს, გარკვეულად ხელი შეუწყო (არ შეზღუდა) ფონეტიკურ ცვლილებას.

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ ან მასთან ფუნქციურად გატოლებულ საზოგადო საეხლებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნად დასტურდება -ი || -ჲ. როგორც ფონეტიკის მონაკვეთში აღინიშნა, -ჲ სამცხურში გვაქვს, -ი — ჯავახურში (ი. მაისურაძე, მ. ბერიძე, გ. ბერიძე, ა. მარტიროსოვი).

სამცხური: ადამიანთა სახელები — შოთაჲ, პეტრეჲ, ნუნუჲ... შინაურ ცხოველთა სახელები — ნიშაჲ, შანოჲ, ღაბუაჲ... ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები: დედაჲ (= დედაჩემი), მამაჲ (= მამაჩემი), ძალოჲ, ძამიკოჲ, დაიკოჲ (მაგრამ მხოლოდ: ძმა, და...; მამაჲ მოვიდა „მამაჩემი მოვიდა“, მაგრამ: იმ ბიჭის მამა მოვიდა).

ჯავახური: ადამიანთა სახელები — შოთაი, პეტრეი, ნუნუი... შინაურ ცხოველთა სახელები — ნიშაი, შანოი, ღაბუაი... ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები — დედაი, მამაი, ძალოი...

ღირსსაცნობია, რომ თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებში საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება — მოკვეცილია სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი: ველიჯანაშვილი როსტომ მისი ამხანაკით გამოიპარა; სახელათ ერქვა თინათინ (ა. მარტიროსოვი); ეს მაშინ, როცა საზოგადო სახელებში ბრუნვის ნიშანი, წესისამებრ, შენარჩუნებულია.

(#386)

შევნიშნავთ, რომ სამცხურ-ჯავახურში სპორადულად ვადასტურებთ ამგვარ ფორმებსაც: რაი, სხვაი, შუათანაი, სროლაი, ჭამა-სმაი, წერა-კითხვაი. ამ შემთხვევაში ქართლურის აშკარა ზეგავლენასთან გვაქვს საქმე.

დასტურდება მოთხრობითი ბრუნვის -მან ნიშნის გამოყენების იშვიათი შემთხვევები: ქალმან დაუძახა; დედამისმან გადასწყევლა... გვხვდება -მა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც: დაუძახა თავი(ს) დამა; ამ მოლამა თქვა. ბოლოკიდურ პოზიციაში, წესისამებრ, -მ → -ნ: დედან (=დედამ) დაუძახა.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილისა და დროის გარემოების დანიშნულებით: ახალქალაქ(ს) მიდის; ახალციხეჰ დარჩა; შიმშილობა იყო იმ ზამთარ(ს). ამავე ფუნქციით გამოიყენება უთანდებულო ვითარებითი: ბიჭი მთათ (← მთად) იყო წასული (შდრ.: კიდევ წავიდა მთაში).

უთანდებულო მოქმედებითმა შესაძლოა გამოხატოს გამოსვლითობა: სოფლით (=სოფლიდან) ამოვიდა. იმავდროულად -ით (→ || -იდ) შენარჩუნებულია -გან თანდებულის დართვისას: წამოვიდა ეს გველეშაპი ცითგან; შავარდენი გადმოფრინდა აბრეშუმის ბუდიდგანა...

დასტურდება ვითარებითი ბრუნვის ოდენ -ა სუფიქსიანი ფორმები: ზეზეულა (=ზეზეულად) მაღლა, მაღლა წავიდა; დედაბუდიანა (=დედაბუდიანად) წამოსულიყო.

თანაობის გამოსახატავად მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან გამოყენებულია „ერთად“ ზმნისართი: ეს ბიჭი თავი მასწავლებლით ერთად წავიდნენ ქალაქში; წადით შვილით ერთად; იქიდან გაქცეულიყო სხვა კაცით ერთად; ნუსრადინ ეჭენდი მეურეთ (= მეორედ) წასულა თავის ცოლით ერთად.

ვითარების გარემოება შესაძლოა გამოიხატოს ოდენ ფუძით: კაცურ (=კაცურად) შეკმაზული ქალი გამოჩნდა; რიგიან (=რიგიანად) იმუშავეთ. ფუძე ამ შემთხვევაში გამოიყენება ვითარებითი ბრუნვის ეკვივალენტად.

დროის გარემოების გამოხატვისას -ობა სუფიქსი ხმოვანს იკვეცს: სადილობ (= სადილობა, სადილობის დრო) მოვიდა; სამხრობ გახდა და არ ჩანს ეჰ კაცი; ვახშმობ იქნებოდა.

წოდებითში სამ- და მეტმარცვლიანი სახელები ბოლოკიდურ ხმოვანს იკვეცენ: ლამარ! ნათელ! ნათლიდედ! ნათლიმამ! (გ. ბერიძე).

„თავიანთი“ ნაცვალსახელი დასტურდება შემდეგი ნაირსახეობებით: თავ-ეთ || თავ-ენ და მათი კონტამინაციით: თავ-ენ-თ; გვხვდება აგრეთვე თავ-ან-თ (ა. მარტიროსოვი).

(#387)

სამცხურ-ჯავახურის სხვადასხვა თქმაში ნაცვალსახელები „ვიღაც“ და „რაღაც“ ასეთი ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი: ვინ-ცა-ღა || ვინ-ც-ხა || ვი-ღა-ნ-ც; რა-ცა-ღა || რა-ც-ხა... ვი-ღა-ნ-ც იბრუნვის ასე: ვი-ღა-ნ-ც, ვი-ღა-მა-ც, ვი-ღა-ს-ა-ც, ვი-ღა-ს-ი-ც, მაგრამ: ვი-ღა-ც-ით, ვი-ღა-ც-ად (გ. ბერიძე).

ნაცვალსახელი „მავანი“ ფონეტიკურად სახეცვლილია: ამავალი || ამომავალი || ამამავალი (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

სპორადულად იპოვება -ზე და -შიდა თანდებულები: ურემზედა, მუცელშიდა. -ში თანდებულს შესაძლოა შეენაცვლოს -ჩი: ტყე-ჩი, კედელ-ჩი, თმოგ-ჩი. -ზე თანდებული აწარმოებს ვითარებით ზმნისართებს: ცუდაზე „ცუდად“, ძალაზე „ძალად“, ტყულაზე „ტყუილად“.

-თან თანდებულის დართვისას თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ზოგჯერ ინარჩუნებენ მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანს: პატრონსთან, სოფელსთან. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -თან თანდებული ფონეტიკურად მარტივდება: კლდესან „კლდესთან“; -თან თანდებულმა შესაძლოა მოიკვეცოს ბოლოკიდური სონანტი: დარჩება იმ კაცთა (= კაცთან); ამაღამ გაგვათიებინეთ შენთაო (= შენთანაო).

-ვით თანდებული ზოგჯერ დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც: დღისავით „დღესავით“, გზისავით „გზასავით“... თუ მავრცობი -ა არ დაერთვის,

იკარგება ბრუნვის ნიშნისეული -ს: მამისავით → მამივით „მამასავით“, მამლისავით → მამლივით „მამალივით“, დანისავით → დანივით „დანასავით“ (გ. ბერიძე). -ვით შესაძლოა ფონეტიკურად გამარტივდეს: ჯორიით „ჯორივით“; დევივი „დევივით“; ანუ: -ვით → -ით || -ვი (ა. მარტიროსოვი).

-თვის ჩვეულებრივ, წამორგენილია როგორც -თვი || -თვინ → თüნ || -თუნ (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“).

-მდე || -მდი გვხვდება რამდენიმე ნაირსახეობით: -მდი || -ნდი, აგრეთვე — ბოლოკიდურა ხმოვნის ნაზალიზაციით: -მდინ || -ნდინ, ხოლო მდის და მდინ ნაირსახეობათა კონტამინაციით: -მდისინ || -ნდისინ.

სპორადულად იპოვება -დამ: სალიდამ, სიდამ „საიდან“, ზეიდამ „ზევიდან“.

***

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგი თავისებურება ფონეტიკის მონაკვეთში იყო აღნიშნული. კერძოდ, ითქვა, რომ -ებ სუფიქსიანი წარმოებისას -ეებ, როგორც პიველადი (ციხე-ებ-ი), ასევე ასიმილაციის შედეგად მიღებული (ძმა-ებ-ი→ (#388) ძმე-ებ-ი), განიცდის რეგრესულ ასიმილაციას (ციხეები→ ციხიები, ძმეები → ძმიები). პარალელურად ზოგ თქმაში -ეებ დაცულია — არ ხდება დისიმილაცია. -ეებ და -იებ ზოგჯერ ერთიან ფორმანტად გაიაზრება და დაერთვის ერთმარცვლიან ფუძეკუმშვად სახელებს — ფუძეში რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ: ქმარ-ი → ქმრ-ეებ-ი || ქმრ-იებ-ი, ცხვარ-ი → ცხვრ-ეებ-ი || ცხვრ-იებ-ი, მგელი → ნგელ-ი || გელ-ი → გლ-იებ-ი.

სამცხურ-ჯავახურში -ნ || -თ სუფიქსიანი მრავლობითი სპეციფიკური ფუნქციით გამოიყენება.

-თ სუფიქსი გამოყენებულია სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით: ტან-ი → ტან-თ-ი „ტანსაცმელი“, ფეხ-ი → ფეხ-თ-ი „ფეხსაცმელი“.

იგივე -თ სუფიქსი დასტურდება გვარის განაყოფთა (შტო-გვარის) სახელდების დროს: დათა-თ სინოი || სინო დათა-თ-ი „სინო დათაშვილი“, პაპა-თ მანაი || მანა პაპა-თ-ი „მანა პაპაშვილი“; აქედან: პაპა-თ-ნ-ი „პაპაშვილები“ (გ. ბერიძე).

შტო-გვარის სახელები -ან და -ენ სუფიქსებითაც იწარმოება: თამაზა-ან-ი, მოსე-ენ-ი, გელა-ენ-ი → გელე-ენ-ი → გელი-ენ-ი...

შტო-გვარის სახელთაგან შესაძლოა იწარმოოს კუთვნილებისა და ადგილის (ლოკატიური) ფორმები (ამ შემთხვევაში -ან, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია, -ენ შეიძლება დაიკარგოს): თამაზაანი → თამაზაან-თ-ი (კუთვნილება)→ *თამაზაან-თ-ს-ა → თამაზაან-ც-ა (ლოკატივი); მოსეენი → მოსეენ-თ-ი → *მოსეენ-თ-ს-ა →მოსეენ-ც-ა; გელიენი → გელა-თ-ი (|| გელიენთი) → *გელა-თ-ს-ა → გელა-ც-ა (გ. ბერიძე).

დასტურდება მრავლობითის ორმაგი წარმოების შემთხვევები (ჩვეულებრივ, ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში): ისი-ნ-ებ-ი, ორთავ-ნ-ებ-ი... ამ რიგის ფორმებში -ებ შესაძლოა სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით იქნეს გამოყენებული: იმა-თ-ნ-ებ-ი; ზემიწევნით: „იმათიანები“ (= ისინი და მათი ახლობლობა, ნათესაობა).

ზოგჯერ პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები -ებ სუფიქსით იწარმოება (ნაცვლად -ნ-სი): ესე-ებ-ი || ესი-ებ-ი.

კრებითი მრავლობითობა გამოიხატება -ობა სუფიქსით: „ქალობამ (= ქალებმა) აფოცხოს, კაცობამ (= კაცებმა) თიბოს“; „სხვა ხარობა (= ხარები) შეგვიბეს“ (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

***

გ) ზმნის ძირითადი თავისებურებანი. მა- ზმნისწინი, ჩვეულებრივ, დასტურდება I ობიექტური პირის მ- და სასუბიექტო მიმღეობის მ- ნიშნების წინ: მა-მ-იტანა, გამა-მ-იტანა... მა-მ-ტანი, გამა-მ-ტანი... სხვა პოზიციებში უპირატესად მო- გვაქვს.

(#389)

ზმნის გამეორების შემთხვევაში მეორე ზმნა შესაძლოა მხოლოდ ზმნისწინით იყოს წარმოდგენილი: „ბიჭო, გადი, გა! „წადი აქედან, წა!“ (ა. მარტიროსოვი).

მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო უსრულსა და გარდაუვალი ზმნების ნამყო ძირითადში ერთმანეთის გვერდით დასტურდება -ენ || -ნენ: ამუშავებდენ || ამუშავებდნენ, ადებდენ || ადებდნენ... ისხდენ || ისხდნენ, იყვენ || იყვნენ, გამოვიდენ || გამოვიდნენ... -ნენ ქართულ-კახურთან ქმნის იზოგლოსას, -ენ — იმერულ-გურულ-აჭარულთან.

რიგი თავისებურებით გამოირჩევა აწმყოს ფუძის წარმოება.

თითქმის ყველა თემის ნიშანს სამცხურ-ჯავახურში ცვლის -ამ || -ან, -ემ || -ენ, -ომ || -ონ (შ. ძიძიგური, მ. ბერიძე).

თემის ნიშანთა ფონეტიკური შენაცვლების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. თემის ნიშანთა მონაცვლეობას საფუძვლად შეიძლება ჰქონდეს მორფოლოგიური პრინციპიც (რომელსაც ხშირად თან ახლავს ფონეტიკური ცვლაც).

ფონეტიკური პრინციპით იცვლება: ხედ-ავ-ს → ხედ-ამ-ს || ხედ-ან-ს; ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს; მუშა-ობ-ს → მუშა-ომ-ს → მუშა-ონ-ს.

მორფოლოგიური შენაცვლებაა: ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ამ-ს, აქედან — ფონეტიკურად შეპირობებული: ა-კეთ-ან-ს.

-ებ თემისნიშნიანი ზმნები სამცხურ-ჯავახურში განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან იმის მიხედვით, მარცვლიანია თუ უმარცვლო ამოსავალი ფუძე: მარცვლოვან ფუძესთან ერთმანეთს შეიძლება შეენაცვლოს -ენ და -ან (ასევე: -ემ და -ამ): აკეთებს — აკეთენს ||

აკეთანს (აკეთემს || აკეთამს); უმარცვლო ფუძესთან მხოლოდ -ენ (|| -ემ) არის წარმოდგენილი: აღებს → აღენს (|| აღემს).

-ობ (ასევე: -ოფ) თემისნიშნიანი ზმნები მოქმედებითი გვარისა პარალელურად დაირთავენ -ონ || -ენ (-ომ || -ემ) სუფიქსებს: ამკობს → ამკონს || ამკენს, ათბობს → ათბონს || ათბენს... გაყოფს → გაყონს || გაყენს... გამონაკლისს ქმნიან კუმშვადი ფუძის მქონე ზმნები — აქ, ჩვეულებრივ, მხოლოდ -ონ (|| -ომ) არის: ვ-ცან → ვ-ცნ-ონ. -ობ თემისნიშნიან მდგომარეობითი ზმნები, როგორც წესი, მხოლოდ -ონ (|| -ომ) სუფიქსს ირთავენ: კოჭლობს → კოჭლონს || კოჭლომს... ამ რიგის ზმნებში -ენ || -ონ (ასევე: -ემ || -ომ) ერთმანეთის პარალელურად მაშინაა შესაძლებელი, როცა დასაშვებია -ებ || -ობ შენაცვლება: ბარბაცობს || ბარბაცებს და შესაბამისად: ბარბაცენს || ბარბაცონს (მ. ბერიძე).ზოგჯერ -ობ თემისნიშნიან ზმნებთან -ონ || -ენ მონაცვლეობადს ისტორიული საფუძველი უჩანს: აპობს, მაგრამ ძველ ქართულში გვქონდა: (#390) აპებს; შესაბამისად: აპებს → აპემს → აპენს, მაგრამ: აპობს → აპომს → აპონს. სამცხურ-ჯავახურში ორივე ნაირსახეობითაა დადასტურებული: აპონს || აპენს.

როგორც ითქვა, -ავ → -ამ || -ან ფონეტიკურ საფუძველზე. იმავდროულად -ავ თემის ნიშნის ადგილას შესაძლოა აღმოჩნდეს -ენ, ოღონდ ეს ხდება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში; კერძოდ, ცნობილია, რომ უმარცვლო ძირის მქონე -ავ თემისნიშნიანი ზმნები ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმებში პარალელურად -ი და -ე სუფიქსიან წარმოებას გვიჩვენებენ: დავრგი || დავრგე, მოვრწყი || მოვრწყე (აწმყო: ვრგავ, ვრწყავ). ამ ტიპის ზმნებთან სამცხურ-ჯავახურში დასაშვებია როგორც -ან, ასევეე: -ენ — წარმოდგენილია მწყობრი სისტემა (მ. ბერიძე):

ნამყო ძირითადი:

და-ვ-რგ-ი || და-ვ-რგ-ე

და-რგ-ი || და-რგ-ე

და-რგ-ა || და-რგ-ო

შესაბამისად, აწმყოში გვექნება:

ვ-რგ-ან || ვ-რგ-ენ

რგ-ან || რგ-ენ

რგ-ან-ს || რგ-ენ-ს

აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის -ენ ნიშნის წინ (ესე იგი, იქ, სადაც აღარ არის თანხმოვნისა და პაუზის წინა პოზიცია) ყველა თემის ნიშანი, ჩვეულებრივ, იცვლება -ებ თემის ნიშნით (-ობ თემისნიშნიანები პარალელურად დაირთავენ -ობ-საც): ბაძ-ან-ს „ბაძავს“, ა-ქ-ენ-ს „აქებს“, ი-ცვ-ან-ს „იცვამს“, ა-პ-ონ-ს „აპობს“, მაგრამ: ბაძ-ებ-ენ, ა-ქ-ებ-ენ, ი-ცვ-ებ-ენ, ა-პ-ებ-ენ || ა-პ-ობ-ენ (მ. ბერიძე, კ.

დონდუა). ამ წესს მისდევენ უთემისნიშნო ზმნებიც: მო-ი-ყვან-ებ-ენ, შე-ი-ყვან-ებ-ენ და მისთ.

ზოგჯერ მერყეობაა — უნიფიკაციის საფუძველზე შენარჩუნებულია სხვა პირის ფორმებში პოვნიერი თემის ნიშანი: ჩა-ა-რჭ-ომ-ენ, გადმო-ა-ფრინ-ამ-ენ, შე-გ-კითხ-ემ-ენ...

ნამყო უსრულში -ენ და -ონ (აგრეთვე: -ემ, -ომ) ასევეა წარმოდგენილი: ა-ქ-ენ-დ-ა „აქებდა“, ა-მაყ-ონ-დ-ა „ამაყობდა“...

სხვა ვითარებაა -ან (|| -ამ) თემის ნიშნის შემთხვევაში; კერძოდ, ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში იგი წარმოდ(#391)გენილია როგორც -ენ (|| -ემ), ესე იგი, ხდება -ან → -ენ გადაბგერება. ესაა თავისებური ანარეკლი ძველ ქართულში არსებული ვითარებისა.

გადაბგერებისათვის მნიშვნელობა არა აქვს -ან არის -ავ || -ამ თუ -ებ თემის ნიშნების ნაცვალი:

აწმყო: მალ-ან-ს „მალავს“, ა-კეთ-ან-ს „აკეთებს“...

ნამყო უსრული: მალ-ენ-დ-ა, ა-კეთ-ენ-დ-ა...

იმავდროულად თავს იჩენს ახალი ქართულისებური ტენდენციაც — გახმოვანება თემის ნიშნისა უცვლელია: მალ-ან-დ-ა (|| მალ-ამ-დ-ა).

ასე რომ, ერთმანეთს გვერდით შეიძლება დავამოწმოთ: და-ჰ-კრ-ამ-დ-ა || და-ჰ-კრ-ემ-დ-ა, ზიდ-ან-დ-ა || ზიდ-ენ-დ-ა. მერყეობაა თვით ერთი ფრაზის ფარგალშიც კი: „ეს ვერძი ადამიანიშვილივით დილით წა-ა-სხ-ან-დ-ა (ცხვრებს), საღამოთი ისივ მო-რეკ-ენ-დ-ა“.

როგორც ითქვა, თემის ნიშანთა ამგვარი შენაცვლება ხდება თანხმოვნისა და პაუზის წინა პოზიციაში. ეს კი დასტურდება მხოლოდ მოქმედებითი და მდგომარეობითი ზმნების I სერიის პარადიგმებში.

ვნებითში, აგრეთვე ყველა ტიპის ზმნათა III სერიაში, მასდარებში, მიმღეობებში თემის ნიშანთა თანხმოვნითი ელემენტი არ იცვლება: ყველა ამ ფორმაში თემის ნიშანს უშუალოდ მოსდევს ხმოვანი, რაც გამორიცხავს ზემოხსენებულ ფონეტიკურ გარდაქმნებს: ა-კეთ-ან-ს || ა-კეთ-ამ-ს, მაგრამ: კეთ-დ-ებ-ა, კეთ-ებ-ა, გა-კეთ-ებ-ულ-ი, გა-უ-კეთ-ებ-ი-ა; ასევე: ა-ქ-ენ-ს, მაგრამ: ი-ქ-ებ-ა, ქ-ებ-ა, ქ-ებ-ულ-ი... კაუზატივის ფორმაში ფონეტიკურად იცვლება მხოლოდ ის თემის ნიშანი, რომელსაც პაუზა ან თანხმოვანი მოსდევს და არ იცვლება ხმოვნის წინა პოზიციაში მყოფი ნათემისნიშნარი სუფიქსი: გა-ა-კეთ-ებ-ინ-ამ „გააკეთებინებ“, გა-ა-კეთ-ებ-ინ-ამ-ს „გააკეთებინებს“.

-ი თემის ნიშანი, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია: შლ-ი-ს, თხრ-ი-ს, ზრდ-ი-ს → ზდ-ი-ს... მაგრამ ზოგჯერ შესაძლოა მასაც ჩაენაცვლოს -ან || -ამ. უნდა განვასხვავოთ

ორი შემთხვევა: ა) -ან || -ამ უშუალოდ ჩაენაცვლება -ი თემის ნიშანს (ი-ყიდ-ი-ს→ ი-ყიდ-ან-ს || ი-ყიდ-ამ-ს, მო-ჭრ-ი-ს → მო-ჭრ-ან-ს || მო-ჭრ-ამ-ს, გა-გზავ-ნ-ი-ს → გა-გზავ-ნ-ამ-ს); თემის ნიშანი შესაძლოა შეენაცვლოს აწმყოსეულ -ი სუფიქსსაც (მღერ-ი-ს→ მღერ-ონ-ს || მღერ-ომ-ს); ბ) გარდა ამისა, შესაძლოა იცვალოს თვით პრინციპი აწმყოს ფუძის წარმოებისა და ამ დროს იქნეს გამოყენებული -ი-ს ნაცვლად სხვა თემის ნიშანი (ზრდ-ი-ს, მაგრამ: ზარდ-ან-ს || ზარდ-ამ-ს —აწმყოში გამოყენებულია II სერიის ზარდ- შეუკუმშავი ფუძე: ზარდ-ა).

(#392)

სპორადულად ვადასტურებთ ისეთ შემთხვევებსაც, როცა მოსალოდნელი – ებ თემის ნიშნის ნაცვლად გვაქვს -ი: ა-ბრ-ი-ს „აბარებს“, ა-ბრალ-ი-ს „აბრალებს“, ა-გინ-ი-ს „აგინებს“, ი-ფ-ქრ-ი-ს „იფიქრებს“ (გ. ბერიძე).

ზოგი, ამჟამად თემის ნიშნით გაფორმებული, ზმნა სამცხურ-ჯავახურში უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი: აწმყო-მყოფადში (ტოვს „ტოვებს“, დატოვს „დატოვებს“), უფრო ხშირად — ნამყო უსრულსა და მასზე დაფუძნებულ პარადიგმებში (თესდა „თესავდა“, ინახდა „ინახავდა“, ყლაპდა „ყლაპავდა“, ზიდდა „ზიდავდა“); I შედეგობითში (შეჰყვარია „შეჰყვარებია“) და მისთ. (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

ი-ზამ-ს ზმნა მრავლობით რიცხვის III პირის ფორმებს აწმყო-მყოფადში თავისებურად აწარმოებს: ი-ზმ-ომ-ენ (ასევე: უ-ზმ-ომ-ენ). ნამყო უსრულში დასტურდება ი-ზმ-ოდ-ა; პირობით-ხოლმეობითში — ი-ზემ-დ-ა (ა. მარტიროსოვი).

ზი-ს ზმნას ენაცვლება ჯდ-ი-ს.

უნდ-ა, ვარგ-ა მრავლობითში უ-ნდ-ან-ან, ვარგ-ან-ან სახითაა წარმოდგენილი (შდრ.: ჰყვანან, დგანან).

ზოგი ზმნა ნამყო უსრულში მოსალოდნელი -დ სუფიქსის ნაცვლად დაირთავს -ოდ ფორმანტს: მი-ა-ჩნ-ოდ-ა „მიაჩნდა“, ა-კლ-ოდ-ა „აკლდა“ (გ. ბერიძე).

ნამყო ძირითადში -ე სუფიქსიან ზმნებთან გამოიყენება -ევ-ი დაბოლოება: ვნახევი, მოვხარშევი, გავტეხევი, ვჭამევი, ჩავყარევი. ამ წესს მიჰყვება ვქენევი „ვქენი“ ზმნაც (ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე). იგივე ზმნები იხმარება ვ-ს გარეშეც: ვნახეი, მოვხარშეი, გავტეხეი.

ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითები ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის ფორმებში წარმოდგენილია -ენ → -ნ სუფიქსით: დავიმალენით, დაიმალენით, დაიმალნენ... II კავშირებითს ეს ფორმები -ე სუფიქსით იწარმოებენ: დავიმალნეთ „დავიმალოთ“, დაიმალნეთ „დაიმალოთ“, დაიმალნენ „დაიმალონ“. და ასე: გავიპარნეთ „გავიპაროთ“, დავეცნეთ „დავეცეთ“, ვეცადნეთ „ვეცადოთ“.

-ევ-იანი ზმნები ვ-ს ინარჩუნებენ ნამყო ძირითადშიც: არივა „არია“, არივე „არიე“, ავრივე „ავრიე“... შემოუტივა „შემოუტია“, წააქცივა „წააქცია“.

III სერიაში ორი ტენდენციაა ღირსსაცნობი.

ანალოგიით -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნებიც იღებენ -ი დაბოლოებას: უნახია, უკითხია, დაუმალია, დაუბია (ნაცვლად უნახავს, უკითხავს, დაუმალავს, დაუბამს ფორმებისა).

I და II შედეგობითში თავს იჩენს -ნ სუფიქსი: გაუბედნია, დაულევნია, უყიდნია, უომნია... გაებედნა, დაელივნა, ეყიდნა, ეომნა...

(#393)

სამცხურ-ჯავახურის ზოგი თავისებურება დაკავშირებულია კავშირებითის ფორმათა გამოყენებასთან.

I და II კავშირებითის ფორმებით შესაძლოა გამოიხატოს თხოვნითი ბრძანებითი: I კავშირებითის გამოყენებისას თხოვნით-ბრძანებითობა შეხამებულია პირობით-შედეგობითის სემანტიკასთან („წყალ რო დამისხამდე, კაი ბიჭი იქნები!“ „ერთხელ კიდე რო წამოხვიდოდე, არ გაწყენს!“); II კავშირებითი უშუალოდ თხოვნით-ბრძანებითობას გამოხატავს („ვახტანგ, დაიჭირო ცხენი და წახვიდე!“ „წყალი უნდათ, მოხვიდე, გამოუტანო!“ „გააკეთო, რაღაჰ დგახარ!“; ა. მარტიროსოვი, გ. ბერიძე).

II კავშირებითით შესაძლოა გამოიხატოს მყოფადი დრო (ძველ ქართულისებურად): „შენ აქ დარჩი, მე წავიდე (= წავალ) ცხენი მოვიყვანო (= მოვიყვან), რო თევზი წავიღოთო“ (ა. მარტიროსოვი).

საერთო ქართული მოვლენაა: კავშირებითის ფორმაზე „უნდა“ ნაწილაკ-მორფემოიდის დართვით გამოიხატება ვალდებულებითი კილო: უნდა ვაკეთებდე || გავაკეთო || გამეკეთებინა (აქ II შედეგობითი ცვლის III კავშირებითს). ამ სტრუქტურაში არ მონაწილეობს მყოფადის კავშირებითი (არ იხმარება *უნდა გავაკეთებდე). ეს პრინციპი სამცხურ-ჯავახურშიც მოქმედებს, ოღონდ გარკვეული მოდიფიკაციებით; კერძოდ, უნდა ფორმობრივად იცვლება: -ნა || -და || -ნდა; ამათგან ძირითადია -ნა (მ. ბერიძე). ესაა თვალნათლივი პროცესი დამოუკიდებელი სიტყვის („უნდა“) გარდაქცევისა მორფემად — სემანტიკურ გადააზრიანებას თან მოჰყვა ფორმობრივი ცვლაც: ფორმა გარეგნულადაც მორფემის სტატუსზე დადის. შევნიშნავთ, რომ სამცხურ-ჯავახურში უ-ნდ-ა ზმნის გვერდით დაცულია უ-ნ-ა ფორმაც.

-ნა წარმოდგენილია ორ პოზიციაში.

-ნა ზმნის წინაა და ამ შემთხვევაში იგი ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას: მე-ნა წავიდე, ღვდელი-ნა მოვიყვანო, ბოვშვები-ნა დავანათვლინო „მე უნდა წავიდე, მღვდელი უნდა მოვიყვანო, ბავშვები უნდა მოვანათვლინო“.

-ნა ზმნას მოსდევს და მასვე მიერთვის ენკლიტიკურად: მე წავიდე-ნა, ღვდელი მოვიყვანო-ნა, ბოვშები დავანათვლინო-ნა.

შევნიშნავთ: III კავშირებითის ადგილს, ჩვეულებრივ, II შედეგობითი იკავებს: მას-ნა მეერწყა „მას უნდა მოერწყას“.

განაწილების თვალსაზრისით ანალოგიურ ვითარებას გვიდასტურებს – და და -ნდა: შვილი-და გაგიჩნდეს || შვილი გაგიჩნდეს-და „შვილი უნდა გაგიჩნდეს“ და ა.შ.

იმავდროულად უნა || უნდა ფონეტიკურად უცვლელი სახითაც გამოიყენება: უნა გავიყარნეთ „უნდა გავიყაროთ“, ძმა უნა (|| ძმა-ნა) (#394) მოუკლას. ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტში, ერთსა და იმავე ფრაზაში პარალელურადაა გამოყენებული უნა და მისი ფონეტიკური ნაირსახეობები: „თქვენ-ნა ჩამოგერთვათ მიწა-წყალი, უნდა გადიეცეს საწყალ გლეხებსა, დღეის იქით იმათ იუფლონო“ (ქართული დიალექტოლოგია).

-ნა || -და შესაძლოა იწყებდეს წინადადებას. ამ შემთხვევაში მას აუცილებლად ზმნა უნდა მოსდევდეს: ნა დავჭრა შეშა; შდრ.: უნა დავჭრა შეშა || უნა შეშა დავჭრა (მ. ბერიძე).

შევნიშნავთ: „უნდა || უნა“, გამოყენებული ზმნის დანიშნულებით, ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის: „ქურდს რა უნდა და — ბნელი ღამეო“, „მაგას ჯერ რათ უნდა ცოლი“ და მისთ.

კაუზატივის ძირითადი მაწარმოებელია -ინ; -ევ-ინ ფონეტიკურად იცვლება: -ეინ. თუ ზმნის ფუძე ნ სონანტზე ბოლოვდება, მაშინ კაუზატივის -ინ სუფიქსის დართვისას ფუძისეული ნ → ვ: მო-ა-ტან-ინ-ა → მო-ა-ტავ-ინ-ა, ა-რბ-ენ-ინ-ა → ა-რბ-ევ-ინ-ა.

ზმნის სხვა თავისებურებათაგან შეიძლება დავასახელოთ:

მო-დი-ხ-ოდ-ი „მოდიოდი“ ფორმა, რომელიც ორიოდე თქმაში იჩენს თავს (ხიზაბავრულში, აგარულში...). ეს წარმოება ანალოგიას პოულობს რაჭული კილოს გლოლურ და ღებურ ქცევებთან (ა. შანიძე). არაა გამორიცხული, რომ აქ საქმე გვქონდეს მოსახლეობის მიგრაციის შედეგად სხვადასხვა დიალექტის ფორმათა შერევის ფაქტთან;

ნამყო ძირითადში გვხვდება მი-ვედ-ი და მი-ველ-ი ფორმათა კონტამინაციით მიღებული მი-ველდ-ი; და ასე: შე-ველდ-ი, ჩამო-ველდ-ი; მაგრამ: მივიდა, შევიდა, ჩამოვიდა (ა. მარტიროსოვი).

***

დ) სიტყვათწარმოება. ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის წარმოებისას ერთმანეთს ენაცვლება – ილ || – ულ ფორმანტები. ამ მოვლენას შეიძლება ახსნა დაეძებნოს: იქ, სადაც მოსალოდნელი -ულ-ის ნაცვლად გვაქვს -ილ, მიმღეობისთვის საყრდენი ჩანს უთემისნიშნო ფუძე (ააკრა → აკრილი, დაკლა → დაკლილი, დამალა → დამალილი); საპირისპირო შემთხვევებში საყრდენია -ავ თემისნიშნიანი ზმნური ფუძე

(გალესავს→ გალესული, მოკრეფავს → მოკრეფული, მოიტაცავს „მოიტაცებს“→ მოტაცული, აიკიდავს „აიკიდებს“→ აკიდული).

ვალ-ს ზმნისგან -ად ფორმანტით იწარმოება მიმღეობა ვალ-ად-ი „ნავალი, ნასიარულევი“ (ა. მარტიროსოვი).

(#395)

წარმომავლობის სახელები ზმნისართებისაგან, როგორც წესი, ორმაგი (-ურ-ელ) სუფიქსაციით იწარმოება: სადაურელი, აქაურელი, მანდაურელი. თუ მახვილი ე ხმოვანს მოუდის, მაშინ: სადავრელი, აქავრელი, მანდავრელი (უფრო ზუსტად: აქაu̇რელი, სადაu̇რელი).

როგორც საკუთარ, ასევე საზოგადო სახელთა კნინობით-საალერსო ფორმების ძირითადი მაწარმოებელია -ა: გიორგა, ვაშლა, ბილიკა... ჯავახურში იპოვება აგრეთვე -ლე: ნინო-ლე, ავსო-ლე... პაპა-ლე, ძალო-ლე (გ. ბერიძე).

ჩვეულებრივი მოვლენაა ფუძის გაორკეცება თანამდევი ფონეტიკური ცვლით: კალო-მალო, წყალი-მალი, ქვაბი-მაბი, ერბო-მერბო, ყველი-მელი; შდრ.: „არც ძვალი, არც მალი არ იყო“ (ა. მარტიროსოვი); მეორე კომპონენტში მ ან ცვლის სხვა ბგერას (|| ჰარმონიულ კომპლექსს), ან წინ დაერთვის ხმოვნით დაწყებულ ფუძეს.

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება უნიფიკაციის ტენდენციას ამჟღავნებს: როგორც ხმოვანზე, ასევე თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა წარმოდგენილი (ზოგჯერ — სახელობითშიც): ბებერ(ი) კაცი, ბებერ კაცმა, ბებერ კაცს, ბებერ კაცის, ბებერ კაცით, ბებერ კაცად... ასევე: კოხტა კაცი, კოხტა კაცმა...

ბ) შეინიშნება სახელისა და ზმნის მრავლობით რიცხვში აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალხი სალოცავად წავიდნენ. ამის საპირისპიროდ — გვაქვს შეუთანხმებლობის ნიმუშებიც: მოვიდა ვაჟის მშობლები; თქვენ წადი და ის გასწავლით; ისინი ჩვენი სიძეები იქნება.

გ) და-უ-ძახ-ა ზმნა ობიექტს სახელობითი ბრუნვის ფორმით შეიხამებს: შვილები დაუძახა; დაუძახეს თელი ხალხი.

დ) დასტურდება თურქულის სინტაქსური კალკები: ამათ ძალა უყვეს „დააძალეს“, ამბავი მისცეს „შეატყობინეს“, თათბირი ქნეს „ითათბირებს“, ბატონობა ქნა „იბატონა“, მხიარულობა დავიჭიროთ „ვიმხიარულოთ“, სალამი აიღო „მიესალმა“, ენაზე მოვიდა

„ალაპარაკდა“, რჩენას მე მოგცემ „მე გარჩენ“ (ა. მარტიროსოვი). ამგვარი რამ უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში იჩენს თავს.

***

IV. მრავალფეროვანია სამცხურ-ჯავახურის ლექსიკური ფონდი. დაცულია ძირძველი ქართული სიტყვები, მეტაფორული სიტყვათ(#396)წარმოების ნიმუშები (გუთნის გაშლა „მანძილი, რასაც ერთი გუთნეული გასწვდება“, შავი გუთანი „ხის გუთანი“, ჩიტი ენა „ხორბლის ან ქერის გამოფიტული მარცვალი“), თავისებური ზმნები (დალეკვა „ლეკვების დაყრა“, ასუნდება „სუნი ექნება“, აღორჯდება „პურეულის მარცვალი ფესვებს გამოიტანს“).

იპოვება თურქულიდან ნასესხები სიტყვებიც: ამი „ბიძა“, ბაჯანაღი „ქვისლი“, ზენგინი „მდიდარი“, ზაჰმათი „გარჯა-შრომა“ (კ. დონდუა). ნასესხებია აგრეთვე ზოგი ნაწილაკ-მორფემოიდი: კითხვითი -მი (კაცი-მი არა ხარ? „კაცი არა ხარ?“), გამაძლიერებელი -ალე || -ელა || -ილა (მოიტა ალე → მოიტალე, მამე ელა → მამელა, მოდი ილა → მოდილა), წინდებული თახ „ვიდრე“ (თახ სამხრობამდე „ვიდრე სამხრობამდე“). შეინიშნება სომხურთან კონტაქტის შედეგებიც, უპირატესად — ჯავახურში. იმავდროულად ახალი თაობის მეტყველებაში აშკარაა საკუთრივ ქართული წარმომავლობის ფორმათა დამკვიდრების ტენდენციაც.

(#397)

თავი V

5.1. დასავლეთ საქართველოს დიალექტური ზონები. პირობითად შეიძლება გამოვყოთ სამი ზონა: ზემო ზონის დიალექტი — რაჭული, შუა ზონის დიალექტები — იმერული და ლეჩხუმური, ქვემო ზონის დიალექტები — გურული და აჭარული. დასავლეთ საქართველოში დღეს ეს ხუთი დიალექტი ფუნქციონირებს. ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი დიალექტი — იმერხეული (კლარჯული) — იმ ტერიტორიაზეა გავრცელებული, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. იმერხეული (კლარჯული) ბევრი ნიშნით უახლოვდება გურულსა და, განსაკუთრებით, აჭარულს; ამიტომაც იგი შეიძლება ქვემო ზონის დიალექტებთან გაერთიანდეს.

დასავლეთ საქართველოს დიალექტების ზონებად დაყოფას, რა თქმა უნდა, გარკვეულად გეოგრაფიული პრინციპი უდევს საფუძვლად, მაგრამ იმავდროულად ამგვარი დაყოფა გამართლებულია საკუთრივ ენათმეცნიერული (დიალექტოლოგიური) თვალსაზრისით.

საქმე ისაა, რომ ზემო ზონის დიალექტი — რაჭული (განსაკუთრებით კი მისი რივნისთაური და გლოლური კილოკავები) ხასიათდება ზოგი იმ რიგის მოვლენით, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან (მოხეურთან,

მთიულურთან) პოულობენ ანალოგიას. რაჭულისათვის, საერთოდ, ნიშანდობლივია არქაული გრამატიკული სისტემების პოვნიერება, ნაკლები ინტენსივობითაა აქ წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს სხვა ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებებიც (სადაც გვაქვს, იქაც ხშირია პარალელური, ფონეტიკურად უცვლელი ფორმები).

შუა ზონის დიალექტებში (იმერული და ლეჩხუმური, განსაკუთრებით — იმერული) არა ერთგვაროვანი, ზოგჯერ სხვაობა სხვადასხვა რეგიონში არსებითი ხასიათისაა. მაგალითად, ზემოიმერული შინაგანი ტენდენციით ბევრ საერთოს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებთან (უპირატესად ეს, რა თქმა უნდა, ხარაგაულურ მეტყველებაზე ითქმის) და იმავდროულად თავს იჩენს ისეთი მოვლენებიც, რომლებიც ტიპობრივია დასავლეთ საქართველოს სხვა დიალექტებისათვის. ქვემოიმერული ყველა ძირითადი ნიშნით სპეციფიკური დასავლური დიალექტია, მასთან ახლოს დგას ლეჩხუმური (და ზოგი ტენდენციით — ქვემორაჭულიც). ვ. თოფურიას თქმით: „ქვემორაჭულს (#398) იმდენად დიდი მსგავსება აქვს ქვემოიმერულთან და ლეჩხუმურთან, რომ ზოგი მოვლენა რომ არ იყოს მხედველობაში მისაღები, სამივეს ერთ დიალექტურ ერთეულად მიიჩნევდა კაცი“ (ქართული დიალექტოლოგია).

რაც შეეხება გურულსა და აჭარულს (მათთან— იმერხეულსაც), მათთვის დამახასიათებელი ბევრი მოვლენა, მართალია, ანალოგიას პოულობს ქართული ენის სხვა დიალექტებთან, მაგრამ ზოგი ტენდენცია მკვეთრად გამოხატული ენობრივი თავისებურებითაც ხასიათდება. რაც შეეხება ანალოგიას, აქ უწინარეს ყოვლისა იგულისხმება გურულის ურთიერთობა ქვემოიმერულთან და გურულის, აჭარულისა და იმერხეულის მიმართება სამცხურ-ჯავახურ კილოსთან. ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება მეტ-ნაკლები ინტენსივობით დიალექტურ მეტყველებაშიც აისახა.

5.2. დასავლეთ საქართველოს ზემო ზონის დიალექტი — რაჭული. „რაჭა მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე რიონის შუა და ზემო წელისა და მისი შენაკადების ხეობაში“ (ქართული დიალექტოლოგია). ჩრდილოეთიდან რაჭას ესაზღვრება ჩრდილოეთ ოსეთი (რომელსაც მამისონის უღელტეხილით უკავშირდება), ჩრდილო-დასავლეთით — ქვემო სვანეთი, სამხრეთით — იმერეთი, აღმოსავლეთით — სამხრეთ ოსეთი და ქართლი, დასავლეთით — ლეჩხუმი.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს რაჭას: „... მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდან ჩდილოთ წარსრული კავკასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი; სამჴრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ , ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას, მერმე

გაჭრილს — ნაქერალას, ველევს, საღორეს, გარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩდილოთ კერძი არს რაჭისა და სამჯრეთის კერძი — გარჯილა-ნაჯიხურევ-საწალიკე-კეცებისა — არს არგუეთისა და მდინარენიცა ეგრევე; დასავლით მზღვრის საღორის მთიდამ დღნორამდე რომელნი მთანი აღვსწერეთ, და მათა გუელის თავისა. ხოლო მათ მთათა დასავლის კერძო არს ოკრიბისა. და არიან მთანი ესენი მაღალნი და განიერნი, თხემთა უტყეონი და კალთათა ტყიანნი, და ზამთარს დიდთოვლიანნი, სადაცა ვერ ივლის ცხენი, და ზაფხულის უთოვლო, წყაროიანი, ბალახიან-ყუავილოვანნი, ნადირიან-ფრინველიანი. და დაბნები რაჭისანი, ამ მთათა კალთათა მყოფნი, არიან... აგარაკად და მთის ადგილად; და ჩდილოთ მზღვრის (#399) რაჭას კავკასი, რომელი განჰყოფს გლოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორს-ბასიანსა, ლეჩხუნსა და სუანეთსა, სადმელს, ტოლას და სუანეთსა. და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ჴრამითა, ჴევითა და ტყითა, შეუვალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშუენი, ზაფხულის გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი... პირუტყვუნი, აქლემს გარდა, ყოველნი, და არა მრავლად... პირველად იყო რაჭა შორაპანის საერისთო, მერმე იქმნა თჳთ საერისთოდ და შემდგომად კახაბერის მოწყუედისა ეპყრათ მეფეთა. მერმე ბაგრატ იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერისთობა, და აწცა არიან იგინი ერისთავად რაჭას, და არს მესამე სადროშო. ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ: იხილე, რა ჭაა ადგილი ესე!“

დღევანდელი რაჭა ადმინისტრაციულად აერთიანებს ამბროლაურისა და ონის რაიონებს, ისტორიულ-გეოგრაფიულად კი სამ რეგიონად იყოფა: ე.წ. მთის რაჭად — მდინარე რიონის სათავისა და ჭანჭახის ანუ გლოლის წყლის აუზი (რომელიც შუა საუკუნეებში სვანებს სჭერიათ, შემდეგ კი —XV საუკუნიდან — რაჭველები დამკვიდრებულან; მთის რაჭას ამჟამად შეადგენს სოფლები ღები, ჭიორა და გლოლა), ზემორაჭად, რომელიც ძირითადად ონის რაიონის ქვემო რეგიონს ემთხვევა (უწერიდან ხიდიკარამდე, ამბროლაურის რაიონიდან განეკუთვნება ლიხეთის ხეობა), და ქვემორაჭად — ამბროლაურის რაიონის სოფლები (ლიხეთის ხეობის გამოკლებით).

რაჭის ძირითადი მოსახლეობა ქართველებია. ონში მკვიდრობენ ებრაელებიც, რომლებიც რაჭულად უქცევენ (ქართული დიალექტოლოგია).

რაჭაში მომხვდური ძნელად თუ შეაღწევდა, რის გამოც გარეშე გავლენები აქ ნაკლებად იჩენს თავს; ამიტომაც „ქართული ენა და ზნეჩვეულება დაცულია უფრო წმინდად, ვიდრე სხვაგან“ (აკაკი წერეთელი).

მიწის სიმწირის გამო რაჭველები იძულებული იყვნენ სხვაგან წასულიყვნენ „საშოვარზე“ („მოსაგებში“). „მოსაგებში“ წასული რაჭველები რუსეთის საზღვრებსაც გასცდნენ და ჩინეთში, მანჯურიაში, იაპონიასა და ამერიკაშიც სცადეს ბედი, მაგრამ

უმეტესობა ან ყოველწლივ, ან კარგა ხნის შემდეგ მაინც თავის მშობლიურ კერას უბრუნდებოდა. „რაჭის სოფელში კვლავ შეხვდებით მოხუცს, რომელიც რამდენიმე უცხო ენაზე ლაპარაკობს“ (ლ. ფრუიძე).

ხშირი იყო რაჭველთა დასახლებაც სხვა ტერიტორიაზე — იმერეთში, ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში... ზოგჯერ რაჭველები სა(#400)ქართველოს ფარგლებს გარეთაც სახლდებოდნენ (ყაბარდოში, სოჭსა და მის მიდამოებში, ესენტუკში...)

დიალექტოლოგიური თვალსაზრისით რაჭული ოთხ კილოკავად იყოფა: რივნისთაური (ღებისა და ჭიორას მეტყველება), გლოლური, ზემორაჭული და ქვემორაჭული (ქართული დიალექტოლოგია). რივნისთაური შერქმეულია რივნისთაველის ანალოგიით. რივნისთაველებს ქვემორაჭველები უწოდებენ მთის ზონის რაჭველებს.

გლოლა, ღები და ჭიორა ადრინდელ (XV საუკუნის) საბუთებში „მთულეთად“ იწოდება. ამ კუთხის რაჭველები ახლაც თავიანთ თავს „მთულებს“ ეძახიან (შ. ძიძიგური).

ღები და ჭიორა მჭიდროდ უკავშირდება სვანეთს, ზოგი გვარები (სვანეენი, ლაშხეენი...) აშკარად სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს. სვანური სუბსტრატიც ხელშესახებია. რივნისთაველებს ურთიერთობა ჰქონიათ ჩერქეზებთანაც, რაც აქაურ თქმულება-გადმოცემებშიც არის ასახული.

„გლოლა“ ზოგჯერ ამ სახითაც იხმარება: „გლოვა“ (შდრ.: გლოლელი || გლოველი). გლოლა ისტორიულად ხევთან და მთიულეთთან ჩანს დაკავშირებული: არსებობს ვარაუდი (დამყარებული ხალხურ გადმოცემაზე), რომ გლოლელთა წინაპრები მოხევეები თუ მთიულები იყვნენ (შ. ძიძიგური). გლოლელებს ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ოსებთანაც, რაც აისახა კიდეც აქაურ გადმოცემებში. მტერ-მოყვრობა ოდითგან იჩენს მათ შორის თავს, შერეული ოჯახებიც (გლოლელებისა და ოსებისა) ხშირი იყო. ოსებს რაჭველები (გლოლელები) დიგორელებს ეძახიან. ოსეთს — დიგორს; პოეზიაში კი გვხვდება როგორც დიგორი, ასევე ოვსეთი და დვალეთი (შ. ძიძიგური). დიგორი ერთ-ერთი კუთხეა ოსეთისა, დიგორული — ერთ-ერთი დიალექტი. გლოლურს დამჩნევია აღმოსავლურ ქართულ დიალექტებთან ურთიერთობის კვალი, აგრეთვე ოსურთან კონტაქტიც (რაც ძირითადად ლექსიკური ნასესხობებით ვლინდება). არქაული ვითარებაც ყველაზე მეტად გლოლურს აქვს დაცული.

რივნისთაურ და გლოლურ (ნაწილობრივ— ზემორაჭულ) პოეზიაში დაჩნდება იმ რიგის ნიმუშები, რომლებიც უშუალო ანალოგიას პოულობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთის პოეზიასთან როგორც ლექსის სტრუქტურის, ასევე მხატვრული სახეებისა თუ ლექსიკის თვალსაზრისით. არცაა გასაკვირი. რაჭველი მესტვირეები მთელ საქართველოში დაიარებოდნენ, თავისი შემოქმედებაც გაჰქონდათ და

სხვისასაც ითვისებდნენ. რაჭველი მესტვირეები ხშირად რამდენიმე დიალექტს (ზოგჯერ— ენასაც) ფლობდნენ. ყველაფერმა ამან თავისი კვალი დააჩნია რაჭულ პოეზიას, ზოგჯერ — ხალხურ ეპოსსაც; განსა(#401)კუთრებით — ვეფხისტყაოსნისა და როსტომიანის ხალხურ ვარიანტებს, ეთერიანსა და ამირანიანს. ზოგი რამ რაჭულ პოეზიასა და პროზაულ თქმულებებში აშკარად წიგნური ნიშატის მქონეა. თავისთავად უთუოდ მეცნიერულად ღირებული ფაქტი, თუ როგორ აისახა მოარული სიუჟეტები და მხატვრული სახეები რაჭულში, ნაკლებ სანდო აღმოჩნდება საკუთრივ დიალექტური თვალსაზრისით. ბევრი გამოთქმა ტრაფარეტულია და ზედმიწევნით მეორდება სხვადასხვა კუთხეში, სხვანი — გადასხვაფერებულია რაჭულის თარგზე, მაგრამ დიალექტურ ბუნებრიობას მაინც მოკლებულია. აი, მაგალითად, ერთი ლექსი, რომელიც მთის რაჭაშია ჩაწერილი (შ. ძიძიგურის მიერ), მაგრამ საერთო იერით არაფრით განსხვავდება საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი პოეტური ნიმუშებისაგან:

“სულთანიშვილი შალიკი

არწივსა ჰგავდა კლდისასა,

კარაგომს წამოგვეწია,

ბურბულს გვაყრიდა მთისასა,

მისი ნასროლი ფინთიხი

რისხვასა ჰგავდა ღვთისასა“.

ანდა: მთიბლური — ხმით ნატირლები:

„ამბობენ ვაციწვერანი

მონადირისა ქებასაო,

ბაღაიშვილი ფერისაო

ნადირთა ხოცვას ელისაო,

შინ გამარჯვებით ბრუნდება,

ჩათიბს, ჩაიმღერისაო...“ და სხვანი.

ძველი დღესასწაულების (ბოსლობა, ჩიტფაფობა), აგრეთვე სიმღერების ყაიდითაც მთის რაჭა აღმოსავლეთ საქართველოს უახლოვდება (ვ. თოფურია, შ. ძიძიგური, დ. არაყიშვილი).

ზემორაჭულში ყველაზე უკეთაა წარმოჩენილი საკუთრივ რაჭულის თავისებურებანი.

ქვემორაჭული ნაკლებ მონოლითურია. მას ორ თქმად ყოფენ. ერთი მხრივ, საწილიკისა და ხიხათის მთის ზოლის სოფლების (ქვემორაჭის მთიანი ნაწილის) მეტყველება გამოიყოფა (რომელიც ძალიან ახლოს დგას ზემორაჭულთან და

უკავშირდება ზემოიმერულსაც), ხოლო, მეორე მხრივ, რიონის დაბლობში მობინადრე ქვემორაჭველების მეტყველება, რომელსაც უშუალო ანალოგები ეძებნება ლეჩხუმურთან (შ. ძიძგური).

(# 402)

ამრიგად, რაჭული დიალექტისათვის მნიშვნელოვანი გრადაციებია დამახასიათებელი კილოკავების თვალსაზრისით. მაინც ხერხდება ამ ძირითადი ტენდენციის გამოვლენა, რომელიც ამ ოთხივე კილოკავს ერთ დიალექტად აერთიანებს.

***

I. ფონეტიკა.

ბგერათა სისტემის თვალსაზრისით თავისებურება შეინიშნება გლოლურში: წარმოდგენილია ჲ და უკანაენისმიერი („მაგარი“) ლ — გრაფიკულად გამოიხატება როგორც ლლ (შ. ძიძიგური, ვ. თოფურია); რივნისთაურში დასტურდება ƨ (ვ. თოფურია); გლოლურში ზეპირ პოეზიაში სპორადულად დაჩნდება ʒ (ʒელი „ხელი“, დაʒოცა „დახოცა“).

ჲწარმოადგენს ი ხმოვნის რეფლექსს; გვხვდება სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: ვაჟაჲ, ქალაჲ, მელაჲ, თეთრონაჲ (|| თეთრონაი), ჩამომავლობაჲ, ცხრაჲ შვილი... ბასილაჲ, ხვთისავარაჲ... ყველაჲ... აგრეთვე ნათესაობითი და მოქმედებით ბრუნვის ნიშანთა ხმოვნითი ელემენტის რეფლექსად ფუძეუკვეცელ სახელებთან: ვაჟაჲს, ვაჟაჲთ; ყველაჲს, ყველაჲთ... ზოგჯერ წარმოჩნდება ზმნის ი- ხმოვანი პრეფიქსის ნაცვლად ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში: წაჲყვენა „წაიყვანა“, დაჲფიცა „დაიფიცა“, დაჲხოცეს „დაიხოცნენ“...

უკანაენისმიერი ლ გვხვდება ფორმებში: დილლა, დილლაზე || დილლაჲთ; ცოლლი, ქალლი, ვაშლლი, ბარკალლი, ასგზალლი (შ. ძიძიგური, ვ. თოფურია).

რივნისთაურში (ღერებ-ჭიორულში) ƨ უპირატესად თავს იჩენს კითხვით წინადადებაში, ბოლოკიდურ მარცვლად — მოუდის მახვილი (კითხვითი ნაწილაკის ბადალია): არისƨ’? აქƨ’? არაფერია ზევითƨ’? ეს არ იცი შენƨ’? მიიჩნევა სვანურის სუბსტრატად; შდრ. ლენტეხური: აჩადƨ? „წავიდა?“ (ვ. თოფურია). შევნიშნავთ: კითხვით კონსტრუქციაში ზოგჯერ დაცულია ბოლოკიდური ხმოვანი (რა íʔ), ხოლო თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ფორმასთან დაჩნდება -ა (გიწერიანჲʔ).

აე, ოე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ქვემორაჭულში, ზემორაჭულსა და რივნისთაურში: ა) თავკიდურა პოზიციაში: აენთო → ეენთო, დაესხა → დეესხა, გაეცალა → გეეცალა... მოეპარა → მეეპარა, მოენახა → მეენახა... შევნიშნავთ, რომ რივნისთაურში ადასტურებენ შემდგომ (დისიმილაციის) საფეხურსაც: გაელანძღა → გეელანძღა (შ. ძიძიგური), რაც ამჟამად იდიო(#403)ლექტურ მოვლენად მოჩანს. აე, ოე → ეე პროცესს ვერ აფერხებს კომპლექსში ჩართული ვ (I სუბიექტური პირის ნიშანი თუ ფუძისეული ელემენტი): გავემზადე →გევემზადე, გავედი → გევედი. სხვა პირის ნიშანთა (მ-, გვ-, გ-) პოვნიერებისას პროცესი ბრკოლდება. გადა- ზმნისწინის ორივე ხმოვანი შესაძლოა

შეიცვალოს: გადაეცა → გადეეცა || გედეეცა, გადაეტანა → გადეეტანა || გედეეტანა. რთულ (შედგენილ) ზმნისწინებში იცვლება მხოლოდ მეორე კომპონენტის ხმოვანი: გამოეკიდა → გამეეკიდა, ჩამოვედი → ჩამევედი; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: კალთაები → კალთეები, კერიაები → კერიეები, ბოშუნაები → ბოშუნეები, სხვაები → სხვეები, ამაებს → ამეებს. შევნიშნავთ, რომ პარალელურად დამოწმებულია ფონეტიკურად უცვლელი ფორმებიც (გაეკიდა, მოეტანა... სხვაები..), თუმცა ასიმილაციის საფუძველზე ცვლის ტენდენცია ხსენებული კილოკავებისათვის ნორმად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება გლოლურს, აქ აე, ოე კომპლექსები, ჩვეულებრივ, უცვლელია ბოლოკიდურა პოზიციაში (ბიძაები, ვაჟაები, დანუკაები „პატარა დანები“), ხოლო თავკიდურა პოზიციაში დაჩნდება პარალელური ფორმები: დაება || დეება, წაენახშა || წეენახშა „წაელაპარაკა“... მოეწია || მეეწია...

აი, ოი → ეი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე შეინიშნება ქვემორაჭულში: აიყვანა → ეიყვანა, დაიბანა → დეიბანა, გაიხედა → გეიხედა... მოიტაცა → მეიტაცა, მოიჭრა → მეიჭრა, მოისვენა → მეისვენა... პროცესს ვერ აბრკოლებს ვ (I სუბიექტური პირის ნიშანი ან ფუძისეული ელემენტი); სხვა პირის ნიშნები (მ-, გვ-, გ-) პროცესს აფერხებენ. ამავე პოზიციაში გადა- → გადე- || გედე- || გედ-: გადაიღო → გადეიღო || გედეიღო || გედიღო. გედე- უმთავრესად დასტურდება მაშინ, როცა ხმოვანთკომპლექსი გათიშულია ვ თანხმოვნით: გადავიკარგები → გედევიკარგები, გადავიდა → გედევიდა. რთულ ზმნისწინებში იცვლება მხოლოდ მეორე კომპონენტი: გამოიღო → გამეიღო. დისტანციური აი → ეი ცვლილების შედეგი ჩანს არავის → არევის („ჩვენისთანა ღვინო არევის ქონდა ამ კუთხეში“) აი → ეი თავს იჩენს ზემორაჭულის ზოგ რეგიონში, მაგრამ აქ ოი არ იცვლება (შ. ძიძიგური). აი და ოი კომოლექსთა ცვლილება არაა დამახასიათებელი რივნისთაურისა და გლოლურისათვის, თუმცა გლოლურ ტექსტებში სპორადულად ფიქსირებულია აიღო → ეიღო, მოიწყინა → მეიწყინა. იდიოლექტური მოვლენა უნდა იყოს.

აუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით დამახასიათებელია ქვემორაჭულისათვის: აუტანა → ოუტანა, ჩაუხვრელავს → ჩოუხვრელამს „ჩაუხვრეტია“, გაუნათლებელი → გოუნათლებელი. გადა- → (#4040გადო-: გადაუგდია → გადოუგდია || გადუგდია; გვხვდება გოდოუგდია || გოდუგდია ნაირსახეობაც. ანალოგიურ პროცესს ადასტურებენ ზემორაჭულის ზოგიერთ რეგიონშიც (შ. ძიძიგური); რივნისთაურისა და გლოლურისათვის ამგვარი ცვლილება არ არის ნიშანდობლივი. თუ გვხვდება — იდიოლექტის დონეზე.

ეო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციით: მეორე → მოორე || მორე; პროცესი არაპროდუქტიულია.

ქვემო- და ზემორაჭულის ზოგ რეგიონში დაჩნდება ეუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: შეუთანხმე → შოუთანხმე, შეუწუხებია → შოუწუხებია... ცოლეური → ცოლოური... აპეური → აპოური... (შ. ძიძიგური); გლოლურში ძალზე იშვიათად დაჩნდება ეუ → ოუ, რომელიც ხმოვნიანი სუფიქსის დართვისას შესაძლოა დავიწროვდეს: აპეური → აპოური → აპოვრად; დადასტურებულია აპუარ-ი ფორმაც (მრავლობითში: აპუვრები)), სადაც ხმოვანზე უნდა მოქმედებდეს წინამავალი პ ლაბიალური (ბაგისმიერი) თანხმოვანი. ლაბიალური თანხმოვნის ზეგავლენის შედეგად ასიმილირებული ჩანს ბავშვი → ბოვში ფორმაც. ჩვეულებრივ კი ეუ კომპლექსი უცვლელია. არ იცვლება აგრეთვე ოუ

და იუ კომპლექსები: მოუჭირა, მოუდარაჯდა, გამოუგზავნია... მიუმიზნა... ცვლის შედეგად უნდა მიგვეღო სრული ასიმილაცია, რასაც უ ხმოვანი რაჭულში ვერ იწვევს; საერთოდ, რაჭულში უ-ს ნაკლებ აქვს მაასიმილირებელი ძალა (არ ვგულისხმობთ იდიოლექტურ შემთხვევებს).

გლოლურში შეინიშნა ფრიად თავისებური მოვლენა; კერძოდ, აე → აა (ივარაუდება — სრული პროგრესული ასიმილაციით): დაედევნა → დაადევნა, აეღო → ააღო, რაღაცაები → რაღაცააბი (რ. ლანდია).

ოა კომპლექსისათვის ნიშანდობლივია რეგრესული დისიმილაცია: მოახლე → მუახლე, მოახერხა → მუახერხა, მოაგლიჯა → მუაგლიჯა, ამოალაგა → ამუალაგა, გამოაღვიძა → გამუაღვიძა... ლადოა → ლადუა... შესაძლოა უსწრებდეს ვ ბგერის ჩავარდნა: გელოვანი → გელოანი → გელუანი, ფხლოვანი → ფხლოანი → ფხლუანი, ეთხოვა → ეთხოა → ეთხუა. ანალოგიურად იცვლება ოე კომპლექსიც: მოეხმარა → მუეხმარა, შემოეხვია → შემუეხვია; დროება → დრუება, ხბოები → ხბუები (შ. ძიძიგური). იმავდროულად ხშირია ფონეტიკურად უცვლელი ფორმებიც.

დისიმილაცია ახასიათებს ეა კომპლექსსაც: შეაქო → შიაქო, გეახელი → გიახელი... სავსეა → სამსია, პავლეა → პავლია... ამ შემთხვევაშიც საკმაოდ ხშირია ფონეტიკურად უცვლელი ფორმები: შეატყობიეს და მისთ.

(#405)

შესაძლოა დისიმილაციური ცვლილების შედეგად მივიჩნიოთ: ლაპარაკობს → ლაპარიკობს (ქვემორაჭული), დეიდაშვილი → დაიდაშვილი (რივნისთაური) და მისთანა ფორმები.

გლოლურში დადასტურდა ხმოვნის ამოვარდნის შემთხვევები: ჯეჯილი → ჯეჯლი, ჯეჯლს. ზემორაჭულში ანალოგიური მოვლენა ხდება ენკლიტიკის დროს: დღე არის → დღე-რი, საქმე არის → საქმე-რი (შ. ძიძიგური).

ვე → ო: სადღვებელი → სადღობელი, დაჰყვება → დახობა, შვრებოდა → შვებოდა → შობოდა, იყვნენ → იყონ, ყველაფერი → ყოლიფერი, გველეშაპი → გველოშაპი, ჩვეულება → ჩოულობა, წვეულება → წოულობა (ქვემორაჭული, ზემორაჭული, რივნისთაური).

ვა → ო: იცვამს → იცომს, ჩეიცომს; სხვამის → სხომის (|| სხუმის; ამ შემთხვევაში ო → უ მ ლაბიალური თანხმოვნის გავლენით) და მისთ. (ზემორაჭული); ჩასვა → ჩასო, გაუშვა → გაუშო (გლოლური). იმავდროულად დაცულია ვა კომპლექსი: მარტვა (ქვემორაჭული); შესწვადა ხმალი (გლოლური). ო-ს პოზიციაში ზოგჯერ დაჩნდება ვა: ხვარბალი „ხორბალი“.

ვი → უ: რასაკვირველია → რასაკურველია, წვიმა → წუმა... და პირიქით: ხურჯინი → ხვირჯინი (გლოლური, რივნისთაური).

ევ კომპლექსის პოზიციაში დასტურდება ო: კიდევ → კიდო; კიდომეც „კიდევაც“ (ქვემორაჭული).

თავკიდურა პოზიციაში ო და უ ხმოვნების წინ ვითარდება ვ: ორი → ვორი, ორმო → ვორმო, უკაცრავად → ვუკაცრავად... განსაკუთრებით — ქვემორაჭულში (შ. ძიძიგური).

გვაქვს ხმოვნის ნაზალიზაციის შემთხვევები; ცალკე → ცალკენ, ამა და ამ ადგილას →ამან და ამ ადგილას, -მდი → -მდინ.

ხმოვანთა მეტათეზისის ნიმუშია: მონაზონი → მოლოზანი (თან ერთვის ნ-ნ → ლ-ნ დისტანციური დისიმილაციაც); (ქვემორაჭული).

ა : ე მონაცვლეობა: „რეთ (= რად) არ წამომიღეო რამეო“, გლახა → გლეხა, ჭაღარა → ჭეღერა; ი : ე — უნაგირი → უნაგერი (გლოლური). ქვემორაჭულში სისტემებრ გვაქვს: ლაღედ :ლაღად:, დიდებულეთ „დიდებულად“, ჩუმეთ „ჩუმად“... იმანეც „იმანაც“, ისედეც „ისედაც“, იქეც „იქაც“, აქეც „აქაც“... დღესეც „დღესაც“ (შ. ძიძგური).

საერთოდ, რაჭულში ხმოვანთა (ასევე თანხმოვან-ხმოვანთა) კომპლექსები ფონეტიკურად უფრო მდგრადია, ვინემ ქართული ენის სხვა დიალექტებში.

(#406)

რაჭულისათვის დამახასიათებელია მეტყველების დინჯი კილო. რივნისთაურისა და გლოლურის ინტონაცია უახლოვდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელ ინტონაციას.

თხრობით და ბრძანებით წინადადებაში მახვილი, ჩვეულებრივ, მოუდის პაუზის წინა სიტყვას ბოლოდან მესამე მარცვალზე; „დათვი ბέვრია, მარა მოკლა (= მოკვლა) ძნέლია“, „წეიყვანე ნაბიჯზე... ხარები!“; ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ხდება ერთგვარი წევრებისა ან წინადადების შეერთება „და“ კავშირით: „საბძელი ავაშენე და მერე ქვე დავამგვრიე“.

კითხვით წინადადებაში მახვილი მოუდის პაუზის წინ პოვნიერ შემასმენელს ბოლოდან მეორე მარცვალზე (ეს მოვლენა განსაკუთრებით გლოლურში იჩენს თავს): „ქვე დაწέრე?“ „ბევრი აჭამე?“ „გέსმის?“ „მოიტანე?“; თუ შემასმენელი სხვა პოზიციაშია, მახვილი იმავე წესით მოუდის მასაც და პაუზის წინა სიტყვასაც; შდრ.: „ი კაცი დაღამებულში მოსύლა?“ — „მოსύლა“ ი კაცი დაღამებύლში?“ —“დაღამებულში მოსύლა ი კაცი?“; თუ ფრაზაში კითხვითი სიტყვაა, მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე ეცემა: „ვინ მბსრულა?“ „რამდέნია?“ „რომδέლია?“; ჩაკითხვის შემთხვევაში გრძელდება ბოლოდან პირველი მარცვალი: რაიი̄? რა̄ი̄? როგო̄რ?; თუ ბოლო სიტყვა ერთმარცვლიანია, ხდება ენკლიტიკა და მახვილი ჩვეულ პოზიციას იჭერს: „ჩამოუარé-შენ?“; „უთხარი თეოფილéს-ძმას?“ (შ. ძიძიგური).

რაჭულის ოთხივე კილოკავისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია: მსხვილი → ფსხვილი, მტვერი → ფტვერი, ბრტყელი → ბტყელი (რ-ს ჩავარდნით) → ფტყელი (ყურადღებას იქცევს ის, რო ყრუ მკვეთრი — აბრუპტივი — აფშვინვიერებს წინამავალ მჟღერს; შდრ.: პტვერი, პტყელი); კაცისდა → კაციზდა, სიცხისგან → სიცხიზგან, ამასღამ → ამაზღამ... მისდევს → მიზდევს, მოჰკლა → მოხკლა, გაჰყვა → გახყვა, ჰყოლია → ხყოლია (|| ხოლია), მიჰქონდა → მიხქონდა. დაჩნდება ენკლიტიკის დროსაც: „გამოიტანა (= გამოიყვანა) ე ქალი გარედ (= გარეთ) და — ვის გინდათ ქალი ეთერი“. ქვემორაჭულში თავს იჩენს პროგრესული

ასიმილაციის შემთხვევებიც: გახდა → გახთა, კლდე → კლტე || კტე. ამ რიგის თითო-ოროლა მაგალითი შეინიშნება რაჭულის სხვა კილოკავებშიც: საყდარი → საყტარი (გლოლური) და მისთ.

დისიმილაციის ტიპიური ნიმუშებია: ა) პროგრესულისა: არაფერი → არაფელი, ერთჯერ → ერთჯელ; ბ) რეგრესულისა: წლეულს → წნეულს, სულელი → სუნელი, კანონი → კალონი, მონაზონი → მოლოზანი (თან სდევს ხმოვანთა მეტათეზისიც).

(#407)

რთული ფონეტიკური გარდაქმნითაა მიღებული დაეყრდნო → დეეყრდნო (რ-ს დაკარგვით) → დეეყტნო (პროგრესული ასიმილაციით) → დეეხტნო (რეგრესული დისიმილაციით: ყტ → ხტ).

ბგერის გაჩენა: ვითარდება უპირატესად სონანტები: სანამდი → სანემდვის, სინამდვინ; აჩუქა → აჩუქვა, ქორწილი → ქორწვილი, ტყვია → ტყვივა; ჯავრობს → მჯავრობს, კვარი → მკვარი (შესაძლოა აქ მ — არ აფიქსიან სახელთა ანალოგიაც მოქმედებდეს ისევე, როგორც მ — ელ აფიქსიან სახელთა ანალოგიით ჩანს მიღებული წიფელი → მწიფელი), თავლა → მთავლა, დირე → მდირე; დაძმობილდენ → დანძმობილდენ, გაღვიძებულა → გაღვინძებულა; წყვილი → რწყვილი, ღვაწლი → ღვარწლი, ყმაწვილი → ყმარწვილი (თუ აქ მეტათეზისი არ არის: ყრმაწვილი → ყმარწვილი)... სპორადულად ჩნდება სხვა რიგის თანხმოვნებიც: ჭიანური → ჭიანდური, უმრავლესი → უმბრავლესი, გამრავლდა → გამბრავლდა (შესაძლოა აქ „მრავალი“ და „ბევრი“ ფორმათა კონტამინაციასთანაც გვქონდეს საქმე), ნივთი → ნიქვთი, კევრი → სკევრი (რივნისთაური), თინათინი → თინაფთინი (გლოლური).

იმავდროულად შესაძლოა დაიკარგოს იგივე თანხმოვნები (ხშირად — იმავე პოზიციაშიც): კოვზი → კოზი, საკოზე; ყველაფერი → ყელაფერი, უჩივლეს → უჩილეს; მთა → თა, მსხალი → სხალი, მთელი → თელი, მდუღარე → დუღარე; გრძელი → გძელი, გაზრდა → გაზდა; ამბობს → ამობს, ეუბნება → ეუნება (ბოლო ორი შემთხვევა დისიმილაციური დაკარგვის შედეგი ჩანს), სად → სა, დიდი → დიი; დღისით → დღისი, შიგნით → შიგნი, მართლა → მარლა. დაკარგვას შესაძლოა თან ახლდეს სხვა ფონეტიკური პროცესიც: მაკრატელი → მაგრატელი (რეგრესული ასიმილაცია) → მაგატელი (ბგერის დაკარგვა).

ზემორაჭულში (ნაწილობრივ — ქვემორაჭულშიც) ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან სისტემებრ მარტივდება -ზე თანდებული: შუაზე → შუაე || შვაე, იმაზე → იმაე, ჭკუაზე → ჭკუაე, ქვეყანაზე → ქვეყანაე, შემოდგომაზე → შემოდგომაე, კალოზე → კალოე, სროლაზე → სროლაე, გაქცევაზე → გაქცევაე (შ. ძიძიგური); შდრ.: სიგმეზე, ტახტზე.

სისტემური ხასიათი აქვს აგრეთვე ნს კომპლექსის გამარტივებას (გლოლურში; შეინიშნება ზემორაჭულსა და ქვემორაჭულშიც): შენს → შეს, ჩვენს → ჩვეს, ჩვენსას → ჩვესას, წინსაფარი → წისაფარი. ზოგჯერ ნ სხვა თანხმოვნების წინაც იკარგვის: შე რა იცი? ჩვე მივდივართ; თქვე ხომ კაათ იმგზავრეთ? (შ. ძიძიგური).

როგორც წესი, -ინ → -ი: შეატყობინეს → შეტყობიეს, არონინებს → არონიებს და მისთ.

(#408)

ლ-ს დაკარგვა უპირატესად შეინიშნება თანხმოვნის მომდევნოდ (განსაკუთრებით მაშინ, როცა იქმნება რთული თანხმოვანთკომპლექსი): მატყლს → მატყს, ღვიძლს → ღვიძს → ღვიცს → ღვიც. ლ იკარგვის იმ შემთხვევაშიც, როცა მას სხვა რიგის სპირანტი მოსდევს (ვარცლში→ ვარცში); ზოგჯერ ხშულებს შორისაც: კლდე → კდე.

რაჭულის კილოკავების მიხედვით მეტ-ნაკლებად სისტემური ხასიათი აქვს ს ბგერის დაკარგვას. ყველაზე ნაკლებ ეს პროცესი გლოლურში შეინიშნება, მერყეობა ქვემორაჭულშიც, უპირატესად გვხვდება ზემორაჭულსა და განსაკუთრებით კი — რივნისთაურში.

იკარგვის მიცემით ბრუნვის -ს ნიშანი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან — უპირატესად მოქმედების გარემოების გამომხატველ ფორმებში (სხვა შემთხვევებში უმეტეს წილ შენარჩუნებულია): „სკამლოგინებს ვეტყოდით, ჩალას ჩავიგემდით, მერე ნაბდებს ჩავიგემდით იმაე (= იმაზე) და ისე ვწვებოდით ზამთარ, ზაფხულ კი ლეიბები გვქონდა და იმაე დავწვებოდით“ (ქართული დიალექტოლოგია) — პირმიმართ დამატებებს ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს, დროის გარემოებით ფორმებს (ზამთარ, ზაფხულ) — დაკარგული. ეს ნიმუში ზემორაჭულიდანაა. რივნისთაურში ამ მხრივ გარჩევა არაა: „ნადირ (= ნადირს) მოვკლამთაო“, „საგომელათი წყალ (= წყალს) წავიღებდით“, „ხარ (=ხარს) გაასუქემდა“; დიდხან (= დიდხანს)“, „რივნი პირ (= რიონის პირს) გამიყვანეთაო“. აქ ზოგჯერ -ს იკარგვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც (ჩვეულებრივ, მესამე პირის ნაცვალსახელებთან): „იმა (= იმას) მოყვებიან“.

ხშირია ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშნისეული -ს ელემენტის დაკარგვის შემთხვევები: საწბი მკეთებელი, ბაბუი ხელში, გლი (= მგლის) კუდი, ზღვი პირზე (ზემორაჭული); ყველი შრატი, პური ჭამა, წყლი დალევა, ხი ჯამი, ხარი ტყავი პატრონი, ქმრი ბიძა, ნეფი ძმა („ძმადი“), მიწი კეცი, გორი ბოლოს, რივნი დინება, რივნი პირი, წამოვიდა თავი ცოლი საძებრათ, გოგია (= გოგიას) ცოლი, ძუძუ (= ძუძუს) ხბო და მისთ (რივნისთაური); ეს პროცესი არც ქვემორაჭულისთვისაა უცხო: მეფი შვილი, გეეხარა ვაჟი შეძენა... რა თქმა უნდა, არის ისეთი ნიმუშებიც, სადაც -ს ამ პოზიციაში დაცულია, მაგრამ ამას დამახასიათებელ მოვლენად ვერ მივიჩნევთ (განსაკუთრებით — რივნისთაურისათვის).

ზემორაჭულსა და რივნისთაურში შესაძლოა დაიკარგოს მხოლოობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანი ინვერსიულ ფორმებში (თუმცა ამავე პოზიციაში ხშირად შენარჩუნებულიცაა): „უნახავს იმათა ასე, მე კი არ მინახავ“; უპირატესად იკარგვის ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებში: მძინავ || მძინამ „მძინავს“, მახსომ „მახსოვს“, (#409) მიკვირ „მიკვირს“, მყამ || მყავ „მყავს“... გძინავ || გძინამ, გახსომ, გიკვირ, გყამ || გყავ ...

სისტემებრ იკარგვის ჩვენებითი ნაცვალსახელისეული -ს: ი კაცი, ე სახლი... ანალოგიური ვითარებაა სხვა ბრუნვებშიც, სადაც დაკარგულად ივარაუდება მ: ი

კაცს, ი ბიჭმა... ეს მოვლენა, გლოლურის გარდა, რაჭულის ყველა კილოკავს ახასიათებს.

რივნისთაურში იკარგვის ფუძისეული ს-ც სწ და სტ კომპლექსებში: სწორი → წორი, სწორად → წორად, გასწავლა → გაწავლა (შდრ. იქვე: სწ → ხწ — „მიუსახწორა კარქა გულში“ = „მიუსასწორა...“); სტუმარი → ტუმარი, ასტამი → ატამი, ბოსტანი → ბოტანი. მარტივდება სც კომპლექსიც: მისცა → მიცა.

მეტათეზისის ტიპიური ნიმუშებია: ღრმა → რღმა, ხრმალი → რხმალი (რივნისთაური); მაკვლიერი → მაკვრიელი „მეკვლე“, ბალანი → ბანალი, ალვის ხე → ავლის ხე, დაბორგავს → დაბროგავს, ძლიერ → ძრიელ (გლოლური); ჩულქი → ჩლუქი (ზემორაჭული); ყინვა → ყივნა (ქვემორაჭული).

ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა სუბსტიტუცია. იპოვება როგორც ცალკეული თანხმოვნების, ასევე თანხმოვანთა კომპლექსების სუბსტიტუციის შემთხვევები: ვ → რ (მავთული→ მართული, თუ აქ მართ- ფუძე არაა გამოყენებული; შდრ.: გა-მართ-ავ-ს); ლ → ნ (წელი→ წენი, ლიტრა → ნიტრა, კულტურა → კუნტურა, *უმალდელი → უმანდელი — აქ, შესაძლოა, ლ-ლ → ნ-ლ დისიმილაციაც ვივარაუდოთ, არც დ თანხმოვნის გავლენაა გამორიცხული) და: ნ → ლ (დანიშნული→ დალიშნული; არც აქაა მოულოდნელი ნ-ნ → ლ-ნ დისიმილაცია); ნ → მ (სანთელი→ სამთელი, გაანძრევს → გაამძრევს) და, პირიქით: მ → ნ (მიხაკი→ ნიხაკი, ნიხაკ-დარიჩინი; შემდეგ → შენდექ, დადუმდა → დადუნდა — აქ, შესაძლოა, დ თანხმოვნის გავლენაც იყოს); ვ → ბ (თევზი→ თებზი || თემზი || თენზი, კოვზი → კობზი, გქვილი → ქვილი → ქბილი; შდრ.: ქფილი) და: ბ → ვ (დავაფარებთ→ დავაფარევთ, თუმცა ასეთი შენაცვლება იშვიათია); მ → ბ (იმღერა→ იბღერა, სიმღერა → სიბღერა — გვხვდება რივნისთაურში; მრავალი → ბრავალი — არ გამოირიცხება „მრავალი“ და „ბევრი“ ფორმათა კონტამინაციაც); მ → ვ (სიმამრი→ სიმავრი; ზემორაჭული); ს → რ (სასთუმალი→ სართუმალი — როტაციის ნიმუშია; შდრ.: სთველი → რთველი, სძალი → რძალი); ჰ → ხ (ჰაერი→ ხაერი); ქ → ხ (ქორწილი→ ხორწილი; ქვემორაჭული); ძ → ჯ (სპილენძი→ სპილენჯი)... წკ → ძგ (ძეწკვი = ძეძგვი, სადაც ჩანს, ასიმილაციასაც უძევს წილი), სწ → სტ (დღიასწველი დღე || დღესასტაული „დღესასწაული“; გლოლური).

(#410)

ვადასტურებთ აგრეთვე თემის ნიშანთა თანხმოვნითი ელემენტის სუბსტიტუციას პაუზისა ან თანხმოვნის წინა პოზიციაში; -ავ → -ამ: ვხნავ → ვხნამ, ვხნავთ → ვხნამთ, ხნავს → ხნამს; და ასე: ნახამ, ნახამს; წურამ , წურამს; ბედამ, ბედამს; ჯეგამ, ჯეგამს. ვ → მ დაჩნდება სხვა შემთხვევებშიც: ჰყავს → ყამს, ჰგავს → გამს... ითხოვს → ითხომს, ქსოვს →ქსომს... ირჩევს → ირჩემს, აურევს → აურემს, აძლევს → აძლემს, იწევს → იწემს... ანალოგიურად: ხნამდა, ყამდა, ითხომდა, ირჩემდა...

ზემორაჭულში, რივნისთაურსა და გლოლურში გვხვდება თენისმიშნისეული ბ → მ შენაცვლებაც: აკეთებს → აკეთემს, იღებს → იღემს, აგებს → აგემს, აცილებს → აცილემს, უყურებს →უყურემს... ათბობს → ათბომს, ადნობს → ადნომს, აპობს → აპომს, ნახულობს → ნახულომს. მ დაცულია ზოგი ხმოვანი ნაწილაკ-მორფემოიდის წინ: მოკლამ, მოკლამს და: მოკლამაო; დეითხომ „დაითხოვ“, დეითხომს „დაითხოვს“ და: დეითხომაო. შევნიშნავთ, რომ ქვემორაჭულში ამავე პოზიციაში შენარჩუნებულია ბ თანხმოვნის ფ რეფლექსიც: დააყენეფ „დააყენებ“, დააყენეფს „დააყენებს“ და: დააყენეფო. ყველა სხვა შემთხვევაში ხმოვნის წინა პოზიციაში დასტურდება ვ და ბ: მალამ, მალამს, მაგრამ: იმალვის; აყენემ, აყენემს, მაგრამ: დაუყენებია.

-ამ თემისნიშნიან ზმნებში საპირისპირო პროცესს ვადასტურებთ (მ→ ვ); სვამს → სვავს, უსვამს → უსვავს, ურტყამს → ურტყავს. ანალოგიური ვითარებაა -ემ თემისნიშნის შემთხვევაშიც: გცემ → გცევ („პატივს გცევ“; რივნისთაური).

სუბსტიტუცია თემის ნიშნებში ბოლომდე გატარებულ პროცესად ვერ ჩაითვლება: ხშირად ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი მერყეობაა: „მაჭიკს ამოვიღემთ (= ამოვიღებთ), გავახმობთ და ჩამოვკიდებთ“ (რივნისთაური). ეს ფრაზა რეალურ ვითარებას ასახავს: სუბსტიტუციით ცვლილი ფორმები ნაკლები სიხშირისაა.

აფრიკატიზაცია ორი სახისაა: ა) მიღებული ხშულისა და სპირანტის შერწყმით: გვერდზე → გვერძე, გვერდს → გვერთს (რეგრესული ასიმილაციით) → გვერც, ღმერთს → ღმერც; ბ) მიღებული სპირანტის გააფრიკატებით სონანტის პოვნიერებისას: იპარსავს → იპარცავს, მოპარსეს → მოპარცეს, მოხარშა → მოხარჩა.

შეინიშნება დეზაფრიკატიზაციის შემთხვევებიც: გააჩნდა → გააჩდა (ნ-ს დაკარგვით) → გააჩთა || გააშთა; და ასე: შეუჩდა → შოუჩთა || შოუშთა (ქვემორაჭული).

(#411)

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული საეხლები (უმთავრესად საკუთარი სახელები) სახელობითსა და მოთხრობითში შესაძლოა ბრუნვის ნიშნის გარეშე იყოს წარმოდგენილი: ქალ წამართვით ხომო?; ავთანდილ სამძღვარს გადასცდა; ადგა ბეჟან... ბეჟან ესროლა ისარი და ტახი იქავ წააქცია, ამირან წიხლი ჩაჰკრა (შ. ძიძიგური). ეს ვითარება უპირატესად პოეტურ (წიგნური გზით შემოსულ) ტექსტებში დასტურდება და ძირითადად გლოლურში გვხვდება.

გლოლურშივე ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები დაირთავენ სახელობითი ბრუნვის ნიშანს -ი — -ჲ: ვაჟაჲ, ქალაჲ, დანუკაჲ, ხმალუკაჲ, კლდეჲ, ხეჲ, დუროჲ, ბლუჲ... „გავიდეს (= გავიდნენ) მინდორში ვაჟაჲ და წიქარაჲ“. შევნიშნავთ, რომ „კვირა“ წარმოდგენილია როგორც „კვირე“: ორი კვირე, ბოსლობის კვირე, ამ კვირეს, კვირე საღამოს... მაგრამ ეს ფორმა არაა იმავე რიგისა, რასაც ქვემოიმერულსა და ზემოგურულში ვადასტურებთ — მსგავსება გარეგნულია მხოლოდ.

ამავე კილოკავში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს მოთხრობითში ზოგჯერ მოუდის -მა: გამაგზავნა ჩემა (= ჩემმა) ძმამა; უთხრა მამამა; ნეფემა შემოსწყრა; მელამა თქვა; მოსძებნეს დედ-მამამა ბიჭი (შ. ძიძიგური); ხოლო მიცემითში ბრუნვის ნიშნის წინ დაჩნდება ჲ; ივარაუდება, რომ იგი სახელობითიდანაა გადმოყოლილი: მამაჲს „მამას“; რაჲს (= რას) გვიბრძანებთ: ხეჲს (= ხეს) დაუშენდა თავსა ი ბედითი (შ. ძიძიგური).

უთანდებულო მიცემითით გამოიხატება ადგილისა ან დროის გარემოება: „ღებს მიდიოდა“, „რივნი პირ (= რიონის პირს) გამიყვანეთაო“... „ისე ვწვებოდით ზამთარ (= ზამთარს, ზამთარში), ზაფხულ (= ზაფხულს, ზაფხულში) კი ლეიბები გვქონდა“ (რივნისთაური); „დვალეთ (= დვალეთს, დვალეთში) ცოლოურობა ხყავდა“, „წავიდა სანადიროს“, „ომს იყვნეს“ (გლოლური); „სანადიროს მიდიან“, „სანადიროს იყო“ (ზემორაჭული). „სანადიროს“ ტიპის ფორმები ზოგჯერ მიზნის გარემოებასაც გამოხატავს (= სანადიროდ). გლოლურში ლოკალური მიცემითი -თ სუფიქსიან მრავლობითის ფორმასთანაც დადასტურდა: „იმასო წავიყვან თავის სახ-თ-ა-ს-ა-ო (= სახლშიო)“.

ნანათესაობითარი მიცემითით გამოიხატება: ადგილი („ღამე გლეხისას გაათია“, „მივიდა მამასახლისისას“; ანალოგიური ვითარებაა კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც, როცა ნათესაობითი ფუძითაა გა(#412)მოხატული: „დაიარებოდა ჩვენსას“), დრო („გათენებისას მოვიდენ“); კუთვნილება („ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ“ = „იმას, რაც ჩვენია...“); მასალა („სპილენძისას აკეთებდენ კარდლებს, თუნგებს, ტაშტებს“). გლოლურში ამ შემთხვევაშიც გამოიყენება -თ სუფიქსიანი მრავლობითი („ხვთისავარა ცოლოურ-თ-ის-ა-ს იქნება“).

-ობა ფორმანტიანი ნანათესაობითარი სახელი დაისმის მიცემითში და გამოხატავს დროის მონაკვეთს, პერიოდს: ბაბუასობას || ბაბუისობას „ბაბუას დროს“ (შდრ.: „ბაბუასას“, რომელიც კონტექსტის მიხედვით გამოხატავს ადგილს ან კუთვნილებას).

გლოლურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში ხშირად უკვეცელია და არც ბრუნევის ნიშნისეული ხმოვანი იკარგვის — შენარჩუნებულია ჲ-ს სახით: ვაჟაჲს ცოლლი. ყველაჲს კარზედ, ხეჲს სიმსხო, წყაროჲს თავზე... ვაჟაჲთ, დილლაჲთ, საღამოჲთ, რძეჲთ, ერბოჲთ, „ასტამაჲთ უნდა

მოვკეპოთ“ (შ. ძიძიგური). „რა“ ნაცვალსახელი ამ ბრუნვებში ორ ნაირსახეობას იძლევა: რაჲსი, რაჲთი, ერთ მხრივ, და: რასი, რათი (ბრუნვის ნიშანრედუცირებული), მეორე მხრივ (= რისი, რითი).

ზემორაჭულში მოქმედებითი ბრუნვის -ით → -იდ ნიშანი შესაძლოა არ იწვევდეს -გან თანდებულისეული თანხმოვნის დაკარგვას: ზეიდგან, იმერეთიდგან; ხოლო რივნისთაურსა და გლოლურში გამოსვლითობის ფუნქცია უთანდებულო მოქმედებითით გამოიხატებოდეს: „ჯარი გამოჰყვა ქუთაისით“, „ზედაუწერით წამოველ“, „შორით ელაპარაკა“.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანია -ად → -ათ (|| -დ → -თ): საჭმელათ, ძველათ, სოფლათ, გასაყიდლათ, დასამალავათ... მეძირეთ „მთის ძირას მყოფად“, მოჯამაგირეთ, სამახარობლოთ. ზოგჯერ დაჩნდება ოდენ -ა: მაგრა. უპირატესად მაინც -იან და -ურ სუფიქსიან ფორმებთან: ბოშიანა, შვილიანა... ვაშკაცურა, ლომურა (|| ლომურათ), დეურა (|| დეურათ). -დ → -თ, ჩვეულებრივ, აღდგება მავრცობი ხმოვნისა ან ნაწილაკ-მორფემოიდის დართვისას: შენიანათაო. ვითარებითშივე -ა || -ად ფორმანტის პოზიციაში ზოგჯერ დაჩნდება -ე: შორე (შდრ.: შორა || შორად), ბლომეთ. როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ეს მოვლენა ქვემორაჭულისათვის: ჩუმეთ, ლაღედ, დიდებულეთ, მოსაყვანეთ, საშველეთ, ნამალევეთ (შ. ძიძიგური). ზოგჯერ -ე ფუძისეულად გაიაზრება (უპირატესად ზმნისართებში): შორე-დან (შდრ.: შორიდან). ღირსსაცნობია, რომ ამის საპირისპიროდ „მალე“ ფორმაში თავს იჩენს ბოლოკიდური -ა: „წამოვიდეს მალა“; „შეასრულე მალა“.

ხშირია (განსაკუთრებით გლოლურში) ვითარებით ბრუნვიანი მასდარული კონსტრუქციები: დაჟდეს (= დასხდნენ) ვახშმად; დაჟდეს კიდე სმად; დადგება ე ღვდელი წირვად; წავიდა ნადირობად (|| სანა(#413)დიროს). ვითარებითით გამოიხატება ლოკატივი: შევიდენ ოჯახად (ზემორაჭული).

იშვიათად ვითარებითს ცვლის -ში თანდებულიანი მიცემითი (კალკი ჩანს): პირველში „პირველად“.

მავრცობი -ა ხმოვანი რაჭულის ყველა კილოკავში გვხვდება: შენ რასა ჩივიო; სახვნელი ხისაა, სახნისი — რკინისა; ისრითა; მიებჯინებოდა ჯოხითა; მოუვიდა ფიქრადა; შენიანათაო. წარმოჩნდება იგი -ნ / -თ სუფიქსიან მრავლობითშიც: იმათა ჰქონდა ერთი თვალი სახლი; უნახავს იმათა. დაერთვის თანდებულსაც, კავშირსაც. ყველა ამ პოზიციაში სახელი შესაძლოა მავრცობი ხმოვნის გარეშეც იყოს წარმოდგენილი (განსაკუთრებით — ქვემორაჭულში), მაგრამ, როგორც წესი, იგი დასტურდება თანდებულებისა და ნაწილაკ-მორფემოიდების დართვისას: „არ დაგანებებ ჩემ ცოლობასაო“, „ფეხმძიმეთა ვტოვებ ჩემ ცოლსაო, თუ ვაჟი ეყოლოს, მიმინოთი აფრინე წერილი, თუ ქალიო — მტრედითაო“, „მე უნა გამამყვე ცოლათაო“, „ქმარსა უთხრა, რომაო...“ (ქვემორაჭული); „ბაწარსავე მოაბიო და წამოატანეო“, „თუკი

მიკადრემო ქმარათაო“, „ჩაწერა იმ წერილში, რომაო...“ (ზემორაჭული); რკინისაო, მეუფესაო, ბაღვებისათვინ (რივნისთაური); „დიამც მოგივა ახალი წელიწადიო შეძენისაო, მოგებისაო, ფულისაო, პურისაო, ხორცისაო და ჯანმრთელობისაო, სტუმარიც მოგცაო და სტუმრის გასასტუმრებიცაო“ (გლოლური).

ქვემორაჭულში მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნის პოზიციაში დაჩნდება -ე ხმოვანიც: დღესეც, ვისეც... იმანეც... აქეც, იქეც, ისედეც. ა : ე ფონეტიკურ ცვლად მიიჩნევა (შ. ძიძიგური; იხ. ზემოთ).

რაც შეეხება -ი ხმოვანს, იგი (სალიტერატურო ქართულის მსგავსად), ჩვეულებრივ, უკვეცელ სახელებთან დასტურდება ნათესაობითსა და მოქმედებითში: „დაიწყო კედლის შენება ციხისა, პატარასი“, „მიმინოთი აფრინე წერილი“.

-ზე თანდებული გვხვდება ამ სახითაც: -ზედ(ა): ნაწვავზედ (რივნისთაური); იმაზედ, მხარზედ... ზურგზედა, ადგილზედა, შეშაზედა (გლოლური). შეინიშნება ფუნქციური თავისებურებაც: ა) კრებითობის -ობა სუფიქსიან სახელებთან გამოხატავს მიმართულებას — ცვლის უთანდებულო მიცემითს: „ქალი წასულიყო თავის სახლობაზე (= ოჯახს, ოჯახში) სალოგინოთ“, „წავიდა ცოლოურობაზე (= ცოლოურს), ჩავიდა ცოლოურობაზე“ (გლოლური); ბ) აღნიშნავს გარკვეულ პერიოდს, დროის მონაკვეთს: „ის ბიჭი გუშინ სიმთვრალეზე (= სიმთვრალისას, სიმთვრალეში) ამბობდა...“.

-ში თანდებული ხშირად წარმოდგენილია როგორც -შიდ(ა): იმაშიდ, ოჯახშიდ, ოთახშიდ, ბოსელშიდ, სახშიდ; სოფელშიდა (|| სოფელ(#414)ში: „რომ ყაჩაღებს არ შეეტყონ წამოსვლა სოფელში, ბოსლიდან გამოიპარა სოფელშიდა“; და ასე: ტყეშიდა, ბეღელშიდაო („დოვლათი და ბარაქა ნუ გამოილევი ჩვენს ბეღელშიდაო“), ერთ კვირეშიდა. ლ სონანტის მომდევნოდ დადასტურდა -ჩი ნაირსახეობაც: სოფელჩი, ხელჩი, არმოელჩი. სპორადულად გვხვდება სხვა შემთხვევებშიც: იმაჩი „იმაში“ (შ. ძიძიგური).

-ზე და -ში თანდებულიანმა ფორმებმა რივნისთაურსა და გლოლურში შესაძლოა დაირთონ გამოსვლითობის გამომხატველი -ით ფორმანტი: ონშიით, კოშკშიით, ბოსელშიით, ბუხარშიით, „ეს დანა ყელშიით ამო(ვ)უღეო“, „ჩვენა თათრებშიითა ვართ მოსული“... ჯორზეით, ბანზეით (შ. ძიძიგური).

-ვით თანდებული რივნისთაურსა და გლოლურში მიერთვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელების ფუძეს — სახელობითი ბრუნვის ფორმას: გუნდავით „გუნდასავით“, ხევით „ხესავით“, მზევით „მზესავით“ (შ. ძიძიგური).

-თან, ასევე -თანა თანდებულების წინ ბრუნვის ნიშნისეული -ს ხშირად იკარგვის როგორც თანხმოვანზე, ასევე ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: კაც-თან, მამა-თან, თავი-თან... ამი-თანა, იმი-თანა, გამოსვლი-თანავე (რივნისთაური). ქვემორაჭულში სხვაგვარი ვითარებაცაა ფიქსირებული: ხმოვანზე

ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ს შენარჩუნებულია, ოღონდ -თან → -ან: მამა-ს-ან, ხე-ს-ან, მეფე-ს-ან. ანალოგიურად: -თანა → -ანა (იმის-ან-ა). გლოლურში შეინიშნება -თანე ნაირსახეობაც: „მისთანე კაცები იყვნეს“, იმისთანე, შენისთანე. დაჩნდება რივნისთაურშიც: მითანე, შენითანე.

-თვის თანდებულის გვერდით მისი -თვინ ნაირსახეობა დასტურდება რაჭულის ოთხივე კილოკავში: შვილისთვის, სახლისთვინ, თავისთვინ. რივნისთაურში აღინუსხა ასეთი მოვლენა: მავრცობი ხმოვნის პოვნიერებისას ბრუნვის ნიშნისეული -ს დაცულია (ბაღვებისათვინ, ბატონებისათვინ, ხარებისათვინ), მის გარეშე კი -ს იკარგვის (ბაღვებითვინ, ბატონებითვინ, ხარებითვინ, ხათრი გულითვინ). იმავდროულად კუთვნილება-დანიშნულების ფუნქციით გამოიყენება -და თანდებულიანი ნათესაობითიც (-ის-და→ იზ-და): მისდა || მიზდა, იმიზდა, რაისდა || რაიზდა (|| რაჲზდა), თავიზდა, ბერიზდა, ამბიზდა (გლოლური).

-ებრ → -ებ || -ეფ: თქვენსაეფ, კაცურებ || კაცურეფ, დევურებ || დევურეფ, ქორულებ, გმირულეფ, რანაირეფ (შ. ძიძიგური). ჩვეულებრივ, მიერთვის: მარტივ ფუძეს, ნათესაობითი ბრუნვისა ან -ურ (→ -ულ) სუფიქსიან ფორმას.

უკვე ითქვა, რომ -ით-გან → იდ-გან ზემორაჭულში, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია (მთიდგან, მაღლიდგან, შიგნიდგან, უფროსებიდგან, (#415) იქიდგან). ანალოგიური ფორმები ზოგჯერ დაჩნდება სხვა კილოკავებშიც: ჩვენიდგან (რივნისთაური), დღიდგან (ქვემორაჭული). ამასთანავე: -იდ-გან → -იდ-ან (რაც სალიტერატურო ქართულისთვისაც ნორმაა), მაგრამ რაჭულში იდ-ან დამატებით რთულდება -ით → -ი გამოსვლითობის ფორმანტით: „მევიდა იქიდანი (← იქ-იდ-გან-ით) ბძანება“; და ასე: სოფლიდანი, ონიდანი. ღირსსაცნობია, რომ გვაქვს ან -იდ-გან (სოფლიდგან), ან -იდ-ან-ი (სოფლიდანი). რა თქმა უნდა, გვხვდება კონტამინირებული ფორმებიც (სოფლიდგანი), აგრეთვე საერთო ქართული -იდ-ან (სოფლიდან) ნაირსახეობაც, ოღონდ კილოკავების მიხედვით სხვაობაა; მაგალითად, რივნისთაურში დაჩნდება -იდ-გან, ხოლო -იდ-ან კი შედარებით იშვიათი გამოყენებისაა.

-გან თანდებულიანი მოქმედებითი ფუნქციურად შეენაცვლება ხოლმე -გან თანდებულიან ნათესაობითს: „განწმენდილნი ვიყვნეთ მტრიდანო (|| მტრისგანო) და ბოროტიდანო (|| ბოროტისგანო)“.

დადასტურდა -გან თანდებულის -ით || -ი ფორმანტით გართულების შემთხვევებიც (- გან-ით → -გნ-ით → -გნ-ი; შდრ.: იდ-ან-ი): ცალგნი ხარები ებნენ, მეორეგნი — ძროხები“ (რივნისთაური). -გან-ით → -გნ-ით გარკვეულ შემთხვევებში არც სალიტერატურო ქართულისთვისაა უცხო (ში-გნ-ით), ოღნდ რაჭულში უპირატესად -ით → -ი ნაირსახეობაა ფიქსირებული (ში-გნ-ი).

-გან შესაძლოა გართულდეს -ურ სუფიქსითაც (სხვა-გნ-ურ-ი), ზოგჯერ — -ებ-ურ რთული შედგენილობის სუფიქსითაც (სხვა-გნ-ებ-ურ-ი: „შეიყვარა ე ქვრივი სხვაგნებურმა კაცმა“).

შეინიშნება -კენ თანდებულის -კე ნაირსახეობა: „ჭიორელებს მხარი უქნიაყე სვანებიკე“; „თოფს ფეხებიკე აქ ტუჩი“ (რივნისთაური).

-გამო თანდებულს ენაცვლება -გამოთ (← გამოით): „ეფერაებიან მაგას ამის გამოთ“.

ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან პარალელურად იხმარება -მდის || -მდი || -მდინ (ამათგან უფრო ხშირად -მდინ გვხვდება): სახლამდინ, საღამომდინ, დაწყებამდინ, აქანამდინ... მაისამდის („დამლევ მაისამდის“), აქანამდის... სახლამდი, დილამდი... „დღემდე“ ფორმის ნაცვლად დადასტურდა დღესამდი || დღესამდის (გლოლური). წარმოჩნდა -მდიმ ნაირსახეობაც: „მოიქნია და ჩასო კოჭამდიმ“ (გლოლური).

***

„ის“ პირის ნაცვალსახელი რივნისთაურსა და გლოლურში შეგვხვდება ამ სახითაც: „ისი“: „წადი და ისი შეჭამე“, „გამოიყვანეს ისი“ (შ. ძიძიგური).

(#416)

„თავისი“ ენაცვლება არა მხოლოდ „მისი“, არამედ „შენი“ კუთვნილებით ნაცვალსახელსაც: „ახლა შენ წადი და თავის (=შენი) საქმე გააკეთეო“.

„თვითონ“ (← თვით მან) გამოიყენება ამ სახით: „თვითან“.

***

გლოლურში შეინიშნება თვლის ოცობითი სისტემის თავისებური გამოხატულება: ექვსოცი „ასოცი“, შვიდოცი „ასორმოცი“...

***

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება. ძირითადი მაწარმოებელია -ებ: კაცები, ქალები, ხარები, აკავანები, ფიცრები. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ე რჩება (ხეები, ციხეები), უ უცვლელია (ძუძუები), ო შესაძლოა დავიწროვდეს დისიმილაციის საფუძველზე, თუმცა ხშირად არ იცვლება (ხბოები || ხბუები), ა → ე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ქვემორაჭულში, ზემორაჭლსა და რივნისთაურში (დედაები→ დედეები, კერიაები → კერიეები, კალთაები → კალთეები, სხვაები → სხვეები, ტყავუკაები → ტყავუკეები, ბოშუნაები → ბოშუნეები, ცარიელაები → ცარიელეები, ამისთანაები → ამისთანეები, ამაებს → ამეებს). რჩება შთაბეჭდილება, რომ -ეებ ზოგჯერ ზოგადდები (ფიცარეები,

პერანგეები, პაიჭეები, ლოგინეები), მაგრამ აქაც, როგორც ჩანს, კნინობითი ფორმებია ამოსავალი (ფიცარა, პერანგა, პაიჭა, ლოგინა). აე კომპლექსი გლოლურში (ზოგჯერ — რივნისთაურშიც), ჩვეულებრივ, უცვლელია (ვაჟაები, ქალაები, ბიძაები, ჩიტაები, კოტაები, სხვაები, დანუკაები, თიკნუკაები || თიკნუჩაები, ხბოუკაები); ანალოგიური ვითარებაა გასუბსტანტივებულ (გლახაები) და ნასესხებ (მაღაზიაები) სახელებში. გლოლურში -ებ ზოგჯერ რთულდება -ნ ფორმანტით: -ვაჟაებნი, ცხვრებნი, ხარებნი (ვ. თოფურია, შ. ძიძიგური). სხვა ბრუნვებში შესაძლოა -თ დაჩნდეს (ვაჟაებთ, ცხვრებთ), მაგრამ არაიშვიათად ჩვეულებრივი წარმოებაა: ვაჟაებმა, ვაჟაებს... „ამ დროს ვაჟაებნი შევიდეს (= შევიდნენ) სახში, ქალი უძახის ვაჟაებსა: უკან გაიწიეო“ (ქართული დიალექტოლოგია). გლოლურში სპორადულად თავს იჩენს -ნ-ებ გართულებული ფორმანტიც: „სხვანებს ოქრო და ვერცხლი გადააყარა“.

-ნ ფორმანტის პოვნიერება მოულოდნელი არ არის, რადგან გლოლურში (ასევე: რივნისთაურშიც) საკმაოდ ხშირად იჩენს თავს -ნ / -თ სუფიქსიანი წარმოება: ნადირნი, ხელნი, ძმანი... ჩვენნი (= ჩვენები, (#417), ჩვენიანები), ჩემნი (= ჩემები, ჩემიანები)... სუყველაკანი... შესაბამისად: ნადირთა, ხელთა, ძმათა... „ნეტა ხელნი ხელთა მომცა, ფეხნი კალთას გამიხვიანო“; „გაუშვეს ე ვაჟა ყაჩაღთა“; „იშიშვლა ხმალი და რვათა თავები დასჭრა“... -ნ / -თ სუფიქსიანი აწრმოება ნორმაა მაშინ, როცა მსაზღვრელად რიცხვითი სახელი გამოდის: ცხრანი ძმანი, ოთხნი კაცნი, ორნი ლეკვანი... ცხრათა ძმათა, ოთხთა კაცთა... „ამ ოთხთა კაცთა თქვეს“; „წამოვიდეს (= წამოვიდნენ) სამთა ძმათა“... -ნ / -თ სუფიქსიანი წარმოება წარმოჩნდება ზემორაჭულსა და ქვემორაჭულშიც, ოღონდ უმთავრესად პოეზიასა და ლეგენდა-გადმოცემებში („ზურაბი მერთმევა ხელთაო“; როსტომიანი); ჩვეულებრივია პირის ნაცვალსახელებში: მაგენი, მაგენმა, მაგენს, მაგენთან.

სპორადულად დაჩნდება -ებ სუფიქსით ფრიად თავისებური წარმოების შემთხვევები: „ასწიეს და თავიანთ თასიანებ ქვე აიყვანეს“ (რივნისთაური); თას-იან-ებ ნიშნავს: თას-ებ-იან-ა(დ).

გლოლურში შეინიშნა: მხოლობითის ფორმა გამოიყენება მრავლობითის (კრებითობის) დანიშნულებით: „ვინა ხარ მოწიფულიო, წახვიდე და ღორი (= ღორები, მრავალი ღორი) გასწყვიტოო“; „ჭალა იყო ღორით (= ღორებით) სამსე“; „რვა ძმა-კაცი იყო. ამ რვაში ერთი ძალიან მეცარი (= მეცნიერი, მცოდნე, გულთმისანი) იყო; უთხრა დანარჩენ ძმასა (= ძმებს)“.

რივნისთაური და გლოლური იმ კილოკავთა წყებას განეკუთვნება, რომელთაც გვარ-ტომობის სახელთა სპეციფიკური წარმოება ახასიათებს.

გლოლურში გვარ-ტომობის (ოჯახის) სახელები იწარმოება -ეთ სუფიქსით, სახელობითში მას დაერთვის -ნ: ბელაეთნი „ბელაშვილები“, ბერიეთნი „ბერიშვილები“, ბიძიეთნი „ბიძიშვილები“, ბუბაეთნი „ბუბაშვილები“. ანალოგიურად იწარმოება გვარის განაყოფთა სახელები; მაგალითად, გიორგაშვილები იყოფა შემდეგ

შტო-გვარებად: გიორგიეთნი, ბედანაეთნი, თედიეთნი; ბიჭაშვილები — ბერიკეთნი, სვანაეთნი, კვესანეთნი (ღირსსაცნობია: ბუბა სოფელია, ბუბაეთნი — ოჯახის სახელი). ზოგჯერ სახელობითშივე დაჩნდება ოდენ -ეთ სუფიქსიანი წარმოება: გოგიჩეთნი || გოგიჩეთი, გიორგიეთნი || გიორგიეთი: „აქა გიორგიეთი ცხოვრობდეს“ (= აქ გიორგაშვილები ცხოვრობდნენ); „გოგიჩეთი ცხოვრობდეს ჟღიდის ტევრში“... ბრუნების ტიპი: გიორგიეთნი || გიორგიეთი ამბობენ, გიორგიეთ თქვეს, გიორგიეთ უთხრეს... გვხვდება ასეც: „გოცირეებს (= გოცირიძეებს) ღვინო ვსთხოვოთო“.

კუთვნილების გამოხატვისას დაჩნდება ოდენ -ეთ: გიორგიეთ ვაჟაები, გრიგოლეთ ბოში, სვანაეთ ოჯახში იყო, გოგიჩეთ ამბავი... ხშირად ბოლოკიდური -თ იკვეცება: გიორგიე ვაჟაები, გრიგოლე ბოში, (#418)გოგიჩე ამბავი. ანუ: მოდიან სვანაეთნი, მაგრამ: მოდიან სვანაეთ || სვანაე ვაჟაები (|| ვაჟაებნი). პოსტპოზიციის შემთხვევაში -ეთ სუფიქსიანი სახელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს: ვაჟაჲ გოგიჩეთი. ბრუნვის ნიშანი შესაძლოა დაჩნდეს პრეპოზიციის დროსაც: გოგიჩეთი ვაჟაჲ, ბუბაეთი კიდობანი (შდრ.: „გოგიჩეთო რეგვენაო, გეყურება თუ არაო“). შეინიშნება სემანტიკური მოდიფიკაციებიც: „ამირანეთი (= ამირანის თანამყოლნი) ხომ არავინ გინახავსო“. ზოგჯერ კუთვნილების გამოხატვისას -ეთ-ს ენაცვლება -ურ: გოგიჩური ხრმალი.

რივნისთაურში (ღებურ-ჭიორულში) გვარ-ტომობის სახელები იწარმოება -იან და -ენ სუფიქსებით: ხოშიტიანი, ნანუკიანი, ჯავახიანი, პაატიანი... თანდილეენი, სვანეენი, გოტოენი, გოგნიენი... დასაშვებია ერთი და იმავე ფუძისგან პარალელური წარმოებაც: გოტოიანი || გოტოენი, პაატიანი || პაატენი... -იან კვეცს წინამავალ -ა ხმოვანს (პაატა→ პაატიანი), -ენ სუფიქსის -ე კი სრულად იმსგავსებს (პაატენი→ პაატეენი). ზოგჯერ -ე ფუძისეულია (პავლეენი). იშვიათად -ეენ (ფუძისეული -ე + -ენ) ზოგადდება (ლაშხ-ეენ-ი). ხსენებული სუფიქსები აწარმოებენ გვარის განაყოფთა სახელებსაც: მაგალითად, ლობჯანიძეები არიან: ხოშიტიანი, ნანუკიანი, ჯავახიანი... ალუკეენი, ზვიადეენი, თანდილეენი, ლაშხეენი...

მსაზღვრელად გამოყენებისას ასეთი ვითარებაა: -იან დაირთავს -თ სუფიქსს: ბიჭია ხოშიტიანთი, დევლეთა თამაზიკიანთი, ნენა შალიკიანთი (ჩანს, ამოსავალში *ხოშიტიანნი, *შალიკიანნი ფორმები უნდა ვივარაუდოთ); -ენ სუფიქსიც შესაძლოა გართულდეს -თ ფორმანტით: პეტრე სვანეენთი, შალვა ლაშხეენთი, გიორგი გოტოენთი. პრეპოზიციის შემთხვევაში: სვანეენ პეტრე, ლაშხეენ შალვა, გოტოენ გიორგი. გარდა ამისა, -ენ იცვლება -ეთ სუფიქსით: აბრამეენი → პავლე აბრამეეთი, კაცელეენი → ბიჭია კაცელეეთი, ჩხუტუენი → ისმაილ ჩხუტუეთი. პრეპოზიციისას: აბრამეე პავლე. კაცელეე ბიჭია, ჩხუტუე ისმაილ. ასე რომ, პარალელურად გვხვდება: პავლე აბრამეეთი || აბრამეენთი ან: აბრამეენ || აბრამეე პავლე. ანალოგიური წარმოებაა მაშინაც, როცა საზღვრულად საზოგადო სახელია: მახარეენ || მახარეე (ასევე: მახარეეთ) კალო.

ცალკე აღებული -ენ სუფიქსიანი სახელი მოთხრობითში, მიცემითსა და ნანათესაობითარ სახელობითში -ეთ სუფიქსს დაირთავს: თანდილეეთ დამავალეს, თანდილეეთ ყავდაყე (= ჰყავდათ) სტუმარი, თანდილეეთი (ვ. თოფურია, შ. ძიძიგური).

გ) ზმნა. მო- ზმნისწინის ნაცვლად მა- დასტურდება მ თანხმოვნის წინ: მამიმზადა, მამეწონა, მამგვარა... მამრჩენი, მამტაცებელი, მამასწავებელი, გამამგდები (ქვემორაჭული, ზემორაჭული, რივნისთაუ(#419)რი). შე- ზმნისწინს ცვლის შა- რთული ზმნისწინის შემადგენლობაში: შამოიკრა, შამოახმა, შამოხვდა... შამოკავებული... (ქვემორაჭული); შამეეყარა (გლოლური). იმავე პოზიციებშ გვაქვს მო-ც და შე-ც. ზემორაჭულში მა- და შა- ფიქსირებულია სხვა პოზიციებშიც: მაიტანე; შავარიგე, შასჩივლა (შ. ძიძიგური). ანალოგიური ფაქტები სპორადულად სხვა კილოკავებშიც შეინიშნება.

ზმნისწინთა თავისებური გამოყენების შემთხვევები: მოსცეს ლეკური „მისცეს...“, გაატყუეფს „მოატყუებს“, დასცადა „გამოსცადა“, დაითხოვს || დეითხომს „მოითხოვს“...

ღირსსაცნობია ზმნის ფუძის წარმოების ზოგი თავისებურება.

სტატიკური ზმნები შემდეგი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: ჯდ-ი-ა (ქვემორაჭული) || ზ-ი-ს (ზემორაჭული, ქვემორაჭული) || ჯდ-ი-ს, ჯდ-ი-ან; ძ-ი-ს (გლოლური) „ზის“; დგ-ი-ს „დგას“ (ქვემორაჭული: „თათარი უდგის ცხენებს“); ჰ-ქვი-ა დასტურდება ორი ნაირსახეობით: არქვია || თქვია. შეინიშNება -ი-ა დაბოლოების გავრცელების ტენდენცია: „აგროვიან ხარები“ (რივნისთაური); -ი-ა ხშირად წარმოდგენილია -ი-ან სახით: შეუძლიან (ზემორაჭული).

ფუძის მაწარმოებლად გამოიყენება -ავ: სახლ-ა-ობ-ს — ი-სახლ-ავ-ებ-ს — ი-სახლ-ავ-ა; და ასე: დოლყაობს — იდოლყავებს — იდოლყავა (სახლაობა, დოლყაობა თამაშობანია; რივნისთაური), უ-ფერ-ავ-ებ-ს „ეფერება“ — მო-უ-ფერ-ავ-ა „მოეფერა“ (ქვემორაჭული); შდრ.: ე-ფერ-ავ-ებ-ა — ე-ფერ-ავ-ა || ე-ფერ-ა-ებ-ა (გლოლური, რივნისთაური); ე-გულ-ავ-ებ-ა „ეგულება“ (ქვემორაჭული).

და პირიქით: მოსალოდნელი -ავ არ დასტურდება (მის პოზიციას იკავებს -ნ): ი-ჭიდ-ნ-ეს „იჭიდავეს“.

თავს იჩენს ფუძის შენაცვლებაც: შე-რცხვ-ენ-დ-ებ-ა „შერცხვება“ (← არცხვენს; ზემორაჭული), გულ-ავ-ს „ეგულება“ (ქვემორაჭული)...

გამოიყენება სახელზმნური ფუძე — I სერიაში დაირთავს -ობ თემის ნიშანს: რჩომ-ობ-ს, ტკენულ-ოფ-ს (რივნისთაური), ჭმეულ-ოფ-ს „აჭმევს“, თხოვილ-ოფ-ს (ქვემორაჭული).

დადასტურდა -ან ფორმანტით ნაწარმოები ზმნური ფუძეები: ქიან-ობ-ს (იქიანებს, იქიანა), რწიან-ობ-ს, ა-რწიან-ებ-ს (← *ა-რწივ-ან-ებ-ს ← *ა-რწევ-ან-ებ-ს), ჩა-უ-თქვ-ან-ი(ვ)-ებ-ს „ჩაუთქვამს“ (გლოლური, რივნისთაური).

უთემისნიშნოდაა აწმყოში წარმოდგენილი ზოგი ოდინდელი მარტივფუძიანი ზმნა: რეცხ-ს, და-ა-რეკ-ს „დააყრის; დააფერთხავს“, უ-ჭერ-ს (რივნისთაური); კეპ-ს, კეპ-ენ (გლოლური); იმავდროულად იგივე ზმნები რთულდება თემის ნიშნით: უ-ჭირ-ებ-ს („ჩამოაბამ ერთ გძელ ბაწარს, გაუჭირებ ერთ თავს“; რივნისთაური, გლოლური), (#420) ი-ჭირ-ებ-ს „იჭერს“, მო-ჭირ-ებ-ულ-ი „მოჭერილი“ (ზემორაჭული), ი-ჭირ-ავ-ს „იჭერს“, ნამყო უსრული: ი-ჭირ-ევ-დ-ა (რივნისთაური, ქვემორაჭული). თემის ნიშანთა დართვისას ფუძედრეკად ზმნებში, ჩვეულებრივ, გამოყენებულია II სერიის ფუძე (ი- გახმოვანებით): ი-ჭირ-ავ-ს, ი-ჭირ-ებ-ს... მაგრამ პარალელურად ვადასტურებთ I სერიის ფუძის გამოყენების შემთხვევებსაც (ე- გახმოვანებით): გლეჯ-ამ-ს „გლეჯს“, შე-კრებ-ავ-ს „შეკრებს“ (ზემორაჭული, ქვემორაჭული); ზოგჯერ შესაბამისი ლაბიალური კომპლექსის წარმოქმნისას ფუძე ფონეტიკურად იცვლება: ვ-დღვ-ებ → ვ-დღობ → ვ-დღობ-ამ (ზემორაჭული).

თემის ნიშნებში ვ → მ, ბ → მ სუბსტიტუციის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული (იხ.: „ფონეტიკა“).

რაჭულში შეინიშნება თემის ნიშანთა მორფოლოგიური შენაცვლებაც: -ებ : -ობ (კაკან-ობ-ს; ქვემორაჭული; ღრიალ-ობ-ს; ზემორაჭული); -ობ : -ამ (და-ა-სვ-ამ-ს „დაასობს“: „დავასვამ ოთხ ჯოხს“; გლოლური); -ებ : -ამ (გა-უ-შვ-ამ-ს „გაუშვებს“; გლოლური); -ებ : -ი (თვალ-ებ-ს „თვლის“ — „ნუ თვალებ ფულსაო“; ე-ი-ნაცვლ-ი-ს „აინაცვლებს“; რივნისთაური); -ავ : -ობ (ცეკვ-ობ-ს), -ავ : -ი (შე-გ-ი-რთვ-ი „შეგირთავ“)... მით უფრო ბუნებრივია თემის ნიშანთა შენაცვლება ფუძის მონაცვლეობისას: ი-ნატრ-ი-ს „ნატრულობს“ (არსებითად აქ გვაქვს -ებ : -ი; შდრ.: ი-ნატრ-ებ-ს || ი-ნატრ-ი-ს).

ზოგჯერ -ავ → -ვ თემის ნიშანი გადაჰყვება II სერიაში: „ბიძიეთს საქონელი და-ჰ-პარ-ვ-ეს“.

ზემორაჭულში, რივნისთაურსა და გოლოლურში -ავ || -ამ თემის ნიშანთა გახმოვანება ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში იცვლება: კაზმევდა „კაზმავდა“, ხარშევდა „ხარშავდა“, გადახურევდა „გადახურავდა“, ჩამოართევდა „ჩამოართავდა“... დგემდა „დგამდა“, ჩაასხემდა „ჩაასხამდა“... გახმოვანებას იცვლიან ფონეტიკურად შენაცვლებული თემის ნიშნებიც: კერემდა „კერავდა“, წვემდა „წვავდა“, ინახემდა „ინახავდა“; ასევე: დაასვემდა „დაასობდა“ (ზედმიწევნით: „დაასვამდა“)... ხშირია მონაცვლე თემის ნიშანთა პარალელური გამოყენების შემთხვევები: ხნევდა || ხნემდა, თესევდა || თესემდა, ხედევდა || ხედემდა, ილოცევდა || ილოცემდა; ურტყემდა || ურტყევდა, შეაბემდა || შეაბევდა და მისთ. (შდრ.: ხნავს || ხნამს... ურტყამს || ურტყავს...).

ა → ე გადაბგერება ხდება სამივე პირის ფორმებში: ვ-ხ-ნ-ევ-დ-ი, ხნ-ევ-დ-ი, ხნ-ევ-დ-ა. პარალელურად დასტურდება გახმოვენებაუცვლელი ფორმებიც — ზოგჯერ ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი: „გრძელი კაბები ვიცოდით. თუ გამოჩენილიყოს ქუსლ-კოჭი, გვ(#421)-ძრახ-ემ-დ-ენ. ჩლუქს კი ვერ ჩეიცომდენ კაცებთან, ვერ ამოვიწემდით, რომ და-გვ-ი-ნახ-ამ-დ-ენ“ (ზემორაჭული): „როცა მოიხვნებოდა, ორი-სამი საათის შემდეგ და-თეს-ავ-დ-ა უფროსი... ვ-თეს-ავ-დ-ი-თ || ვ-თეს-ევ-დ-ი-თ მარტში გაზაფხულის პურს, ქერსა და ცერცვს“ (გლოლური).

როგორც ითქვა, ზოგი ზმნა აწმყოში გვხვდება როგორც უთემისნიშნოდ, ასევე თემის ნიშნით: რეცხ-ს || რეხ-ავ-ს. შესაბამისად, ნამყო უსრულში გვექნება: რეცხ-დ-ა || რეცხ-ევ-დ-ა (|| რეცხ-ემ-დ-ა; ან: რეცხ-ავ-დ-ა || რეცხ-ამ-დ-ა).

ზოგ ზმნას ნამყო უსრულში -ავ თემის ნიშანი ეკვეცება (ეს ის ზმნებია, რომელთაც ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა -ილ სუფიქსით ეწარმოება): აწმყო — კეტ-ავ-ს, მაგრამ: ნამყო უსრული — კეტ-დ-ა (გლოლური).

ზემორაჭულში ნამყო უსრულში (ასევე: მასზე დამყარებულ პარადიგმებში) მოსალოდნელი -ევ-დ დაბოლოების ნაცვლად სპორადულად შეინიშნება -ვ-იდ: კვლ-იდ-ა „კლავდა“ (მოკვლიდა დათუნას „მოკლავდა დათვს“), ხატ-ვ-იდ-ა „ხატავდა“, ილოც-ვ-იდ-ა „ლოცულობდა“ (ზედმიწევნით: ილოცავდა“)... და-უ-ძახ-ვ-იდ-ა „დაუძახავდა“, შე-ხედ-ვ-იდ-ა „შეხედავდა“ (შ. ძიძიგური).

რივნისთაურში -ევ || -ემ ნაირსახეობას (← -ავ || -ამ) სამივე პირის ფორმაში შესაძლოა ჩაენაცვლოს -ებ: დავნაყევდი || დავნაყებდი, გვხედევდენ || გვხედებდენ, ინახევდენ || ინახებდენ... ვასხემდით || ვასხებდით... „ი ხარებმა უთხრეს: იქაც არა გვხედებდენ და აქაც არა გვხედავენო“ (= იქაც არ გვივლიდნენ და არც აქ გვივლიანო). ასე რომ, ერთმანეთის გვერდით დასტურდება: ნაყავდა || ნაყევდა, ასევე: ნაყამდა || ნაყემდა და: ნაყებდა: თუ ზმნის უთემისნიშნო ვარიანტიც იპოვება, მაშინ: დარეკდა || დარეკავდა || დარეკამდა || დარეკევდა || დარეკემდა || დარეკებდა... ეს ნაირსახეობანი ხშირად ერთსა და იმავე ტექსტში გვხვდება: „შე-კაზმ-ავ-დ-ენ ყვითელი კოჭით, ნიხაკ-დარიჩინით, სანელობლით, ერთათ და-ვ-ნაყ-ებ-დ-ი-თ, უზამდით სიმიდის ფქვილსაც და იმას უძახოდით ხარშოს“.

გლოლურში აწმყო-მყოფადის მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებში -ავ || -ამ რედუცირდება: ხარშ-ვ-ენ, შე-უ-რთ-ვ-ენ... და-დგ-მ-ენ... თანამდევი ფონეტიკური მოვლენები: ა) სვ-ამ-ენ → *სვ-მ-ენ → ს-მ-ენ; კაზმ-ავ-ენ → *კაზმ-ვ-ენ → კაზმ-ენ: ვ იკარგვის მ-ს გვერდით; ბ) კლ-ავ-ენ → კლ-ვ-ენ → კვლ-ენ: მეტათეზისის გამო. ანალოგიით რედუცირდება ზამ- ფუძეც: უ-ზმ-ენ. პარალელურად დამოწმებულია არარედუცირებული ნაირსახეობაც: ხარშ-ავ-ენ... დგ-ამ-ენ...

(#422)

-ავ || -ამ თემისნიშნიანი მოქმედებითი გვარის ზმნების შესაბამისი ვნებითი ორგვარი წარმოებისაა: იმალვის || იმალება, შეიწვის || შეიწვება (ზემორაჭული), იტანჯვის || იტანჯება, იხარშვის (იხარშის|| იხარშება, დაიწვის || დაიწვება (რივნისთაური); მოიხაჭვის || მოიხაჭვება, დაიწურვის || დაიწურება, მოიხვნის || მოიხვნება; ედგმის || ედგმება (გლოლური).

პარალელური ნაირსახეობანი დასტურდება სამივე პირის ფორმებში: ვიმალვი, იმალვი, იმალვის || ვიმალები, იმალები, იმალება (პოეტურ ტექსტებში III პირის ფორმებად გვხვდება: იმალების; და ასე: დარჩების, გაეზდების, ენატრების...); ნამყო უსრულში: იმალოდა || იმალებოდა, იახრშოდა || იხარშებოდა; ჩაებმოდა || ჩაებმებოდა... იმალოდი || იმალებოდი... ვიმალოდი || ვიმალებოდი...

პარალელური წარმოების ფორმები თავს იჩენს ერთი და იმავე პირის მეტყველებაში: „მომდგარ რძეს შემოვდგამ ჩოინით ცეცხლზე, მო-ი-ხაჭვ-ი-ს (← *მო-ი-ხაჭვ-ვ-ი-ს); იმ ხაჭვას ამოვიღემ თეფშზე და და-ი-წურ-ებ-ა წყლიდან“ (გლოლური).

მო-ი-ყვან-ს, მო-ი-ტან-ს ტიპის უთემისნიშნო ზმნები აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმაში დაირათავენ -ებ ფორმანტს: მო-ი-ყვან-ებ-ენ, მო-ი-ტან-ებ-ენ.

ზოგი ფუძედრეკადი ზმნა სერიების მიხედვით გახმოვანებას არ იცვლის: „რა ბედს უნდა მ-წე-ო-ნ (= მწიოს) თევზმაო“; შ-უ-ტევ-ე-თ „შევუტიეთ“, შემო-უ-ტევ-ა „შემოუტია“ (გლოლური); და პირიქით — გახმოვანებას იცვლის ზმნა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, ეს მოვლენა არაა ნიშანდობლივი: „ა-ჩვინ-ა (|| აჩვენა) დათვის კვალი“.

რაჭულში (უპირატესად გოლოლურსა და რივნისთაურში) შეინიშნება ზმნის ხმოვანი პრეფიქსების თავისებური გამოყენების შემთხვევები: ა) გვხვდება იქ, სადაც, ჩვეულებრივ, არა გვაქვს: უჩვევია „სჩვევია“, გადააჩეხა „გადაჩეხა“ (გლოლური); „სამთავ თოფები წაართვა და დაიხოცნა (= დახოცნა)“, დაიპატიჟა „დაჰპატიაჟა“, აქ III პირის ფორმებია დასახელებული; ანალოგიური ვითარებაა სხვა პირის ფორმებშც: მიჩვევია „მჩვევია“ („მე ხვთისგან მიჩვევია“). რაც შეეხება გავგზავნე „გავუგზავნე“ ფორმას („მუშას სადილი გავგზავნე“), აქ ფონეტიკურ ნაირსახეობასთან უნდა გვქონდეს საქმე: გავუგზავნე → გაუგზავნე → გაû̆გზავნე || გავგზავნე, სადაც û̆ || ვ არის უ- პრეფიქსის რედუცირებული ვარიანტი; რედუქციას იწვევს წინამავალი მახვილიანი ა ხმოვანი; ბ) ხმოვანი პრეფიქსი არ დასტურდება იქ, სადაც ჩვეულებრივ, ივარაუდება: სტყავებს „ატყავებს“ (გასტყავა „გაატყავა“); „მამამისმა გამოჰკიდა (= გამოაკიდა) ჯარი“; „შემჯექი (=შემჯექი), აბა, წავიდეთო“; შემოსჯდა „შემოაჯდა“.

(#423)

ხმოვან პრეფიქსებთან დაკავშირებით ზოგი სხვა მოვლენაც იქცევს ყურადღებას: ა) ხმოვანი პრეფიქსები შეენაცვლებიან ერთმანეთს: „ჩაიცვა, მართლაც, და კარგად ა-

რგ-ო (= ე-რგ-ო)“; ბ) იპოვება ვნებითის პრეფიქსიანი ფორმები ნაცვლად სუფიქსიანისა: გე-ე-ხარ-ა; შდრ.: გა-ხარ-დ-ა (ქვემორაჭული); გე-ე-ჯავრ-ა „გაჯავრდა“; გ) პრეფიქსიანი ვნებით იწარმოება ისეთი ფორმებისაგანაც, რომელთათვის, ჩვეულებრივ, ამგვარი რამ არაა დამახასიათებელი: „ადამიანის სული ი-ცემ-ა-ო“; „ძორი (= მძორის) სული (|| სუნი) ი-ცემ-ა-ო“; შდრ.: გა-ი-ცემ-ა, გამო-ი-ცემ-ა; დ) პრეფიქსიანი ვნებითი ცვლის მდგომარეობით ზმნებს: ი-ბან-ებ-ა „ბანაობს“ (ნამყო ძრითადი: იბანა); ი-პატიჟ-ებ-ა „პატიჟებს“ („ქვე იპატიჟებიანო სანათლიათო“).

პირის ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით რაჭულის კილოკავები ზოგჯერ პრინციპულ სხვაობას გვიჩვენებენ.

II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნები რაჭულის კილოკავებში მეტ-ნაკლებად დაცულია. მათ ფონეტიკურ ნაირსახეობებზე (გა-ზ-დევს, მო-ხ-კლა, ხ-ყავს || ხავს, მო-ხ-ყვა || მო-ხვა, მო-ხ-ქონდა... ხ-კიდებ, გა-ხ-ყვები || გა-ხვები...) ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ.: „ფონეტიკა“). გლოლურსა და რივნისთაურში დასტურდება II სუბიექტური პირის კონტამინირებული ფორმა მო-დი-ხ-ოდ-ი (← მოდიოდი + მოხვიდოდი), მი-დი-ხ-ოდ-ი... (ა. შანიძე).

გლოლური ერთადერთი კილოკავია ქართული ენისა, სადაც მხოლოობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად -ნ გვაქვს (შ. ძიძიგური); -ნ ამ დანიშნულებით კავშირებითის პარადიგმებში დაჩნდება:

I კავშირებითი: „გწყალობდენ (= გწყალობდეს) ღმერთი“ || „გწყალობდენ წმინდა გიორგი“;

II კავშირებითი: „ბოსლობა არ შეიძლება იყონ (= იყოს) თუთხმეტ იანვრამდინ, არც შეიძლება, რომ გასცდენ (= გასცდეს) თუთხმეტ თებერვალს“; „სადღეგრძელოს გაუმარჯონ (= გაუმარჯოს)“; „შეგეწიონ (= შეგეწიოს) წმინდა გიორგი“; „ცეცხლზე უნდა გადნენ (= გადნეს) ერბო“; „ქალაკოდა უნდა მოვკრიფოთ, გავარჩიოთ, რომ სხვა რამ ბალახი არ მიჰყვენ (= მიჰყვეს, შეჰყვეს)“;

III კავშირებითი: „მაკვრიელი (მეკვლე) კაი ფეხისა უნდა ყოფილიყონ (ყოფილიყოს)“; „ქალამნის საბმური რო გასწყვეტოდა, წისქვილში უნდა წასულიყონ (წასულიყოს) და იქ უნდა გაესკვნან (გაესკვნას)“; „(მეკვლეს) იქ ექნებოდა ჩალა საღამოჲთ მოგროვილი, რომ დილლაზე ძებილი არ დასჭირვებოდენ (დასჭირებოდეს)“... გარდამავალი ზმნების III კავშირებითში -ნ სუფიქსით აღინიშნება რეალური ობიექტის (გრამატიკული სუბიექტის) პირი: „უნდა წავსულიყოთ წისქვილში, იქ ცეცხლი უნდა დაგვენთონ (დაგვენთოს), თავიც იქ უნდა (#424)დაგვებანონ (დაგვებანოს) და დაგვევარცხნონ (დაგვევარცხნოს), დაგვერეცხონ (დაგვერეცხოს), იქ უნდა გვეკერონ (გვეკეროს); ამ კვირეს ასე უნდა გაეაროონ (გაეაროს)“.

იმავდროულად გვაქვს შემთხვევები, როცა -ნ ფორმანტით მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირი აღინიშნება: სახელობითში დასმულისა („ ისინი რომ გწყალობდენ...“); მოთხრობითში დასმულისა („ქალებმა უნდა ჭამონ სამალულო ქადა“; „შვილი რო მომიკლანო ყაჩაღებმა?“).

ასე რომ, მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს (ვ. თოფურია, შ. ძიძიგური): „ქალმა უნდა ჭამონ (=ჭამოს)“ და: „ქალებმა უნდა ჭამონ“; და ასე: მან || მათ წაიყვანონ, წააქციონ, ნახონ, ქნან, ზღონ, ჩამოიარონ... ის || ისინი გაერთონ, დაიკარგონ, გაძვრენ, იყონ...

არის შემთხვევები, როცა -ნ ფორმანტის ადგილს მხოლოობით რიცხვის ფორმებში საერთო ქართული -ს იჭერს: „სტუმარს თავისი ხელით უნდა მოეჭრას ხორცი, მოეხარშის და ეჭამოს“; „ნება მისცა, ცოლი შეერთოს“, „არ დაჰკლებოდეს არც ერთს“ (|| მოეჭრან, მოეხარშონ, ეჭამონ, შეერთონ, დაჰკლებოდენ).

მიცემითში დასმული სახელის (როგორც ობიექტის, ასევე რეალური სუბიექტის) მრავლობითობა გლოლურში, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება — ძველი ქართულისებური ვითარებაა (ეს ეხება II და III პირის ფორმებს; I პირის მრავლობითობა, წესისამებრ, გვ- პრეფიქსით გამოიხატება): „იმათ ეძინა ყველასა“, „მათ ეშინოდა“... „თქვენ გეშინოდა“, „რავარც გინდა (= გინდათ), ისე მოუარეთო“...

ჩანს, ამის კვალობაზე უნდა განისაზღვროს -ნ სუფიქსის ფუნქციაც: თუ სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში დასმული სახელი მხოლოობითი რიცხვისაა, მაშინ -ნ = -ს (ის გაერთონ „ის გაერთოს“, მან უნდა ჭამონ „მან უნდა ჭამოს“), თუ —მრავლობითი რიცხვისა, მაშინ -ნ = -ნ (ისინი უნდა გაერთონ, მათ უნდა ჭამონ). სხვაგვარი ვითარებაა მაშინ, როცა მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელთან გვაქვს საქმე: იმის გამო, რომ გლოლურში, როგორც წესი, არ აღინიშნება მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა, ყველა შემთხვევაში -ნ = -ს (მას || მათ არ უნდა გაეგონ „გაეგოს“, ეს საქმე შენ || თქვენ გებარებოდენ „გებარებოდეს“; შდრ.: მე მებარებოდეს, მაგრამ: ჩვენ გვებარებოდეს — მრავლობითობა გვ- პრეფიქსით აღინიშნება). ასე რომ, მაგალითად, გ-ე-ბარ-ებ-ოდ-ე-ნ ფორმა კონტექსტის შესაბამისად შესაძლოა ნიშნავდეს როგორც „გებარებოდეს“, ასევე: „გებარებოდეთ“, ანალოგიურად: ე-ბარ-ებ-ოდ-ე-ნ — „ებარებოდეს“ || „ებარე(#425)ბოდეთ“ (სხვა დიალექტებისათვის ნიშანდობლივი „მათ ებარებოდესთ“ ფორმის ფარდი ებარებოდენთ“ გლოლურისათვის უცხოა).

არსებითი სხვაობაა რაჭულის კილოკავებს შორის მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის აღნიშვნის თვალსაზრისითაც.

ქვემორაჭულში თავს იჩენს უნიფიკაციის ტენტენცია — ვრცელდება -ენ ფორმანტი, რომელიც დასტურდება აწმყოში, ნამყო უსრულში, ნამყო ძირითადსა და გარდაუვალ ზმნათა I – II შედეგობითში. აწმყოსა და I შედეგობითში -ენ შეენაცვლება

ხოლმე -ან სუფიქსსაც: თავისთავად — წერ-ენ, აკეთებ-ენ და იმავდროულად: ზრდი-ენ, ტირი-ენ, არი-ენ; იზრდები-ენ. ასევე: წასულ-ენ, დამალულ-ენ; დამალვი-ენ. თუმცა პარალელურად შესაბამის პოზიციაში -ან სუფიქსიანი წარმოებაც ხშირია: ზრდი-ან, იზრდები-ან; წასულ-ან, დამალულ-ან; დამალვი-ან. ნამყო უსრული წერდ-ენ, აკეთებდ-ენ, ზრდიდ-ენ, იზრდებოდ-ენ, ტიროდ-ენ. ნამყო ძირითადში -ენ დასტურდება მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან: გეიზარდ-ენ, დეიმალ-ენ, იყვ-ენ. ანალოგიურად — ერთვალენტიან გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითში: წასულიყვ-ენ, დამალულიყვ-ენ. ანუ: -ენ გამოიყენება იქ, სადაც საკუთრივ -ენ არის (წერ-ენ); აგრეთვე: -ან (ზრდი-ენ) და -ნ-ენ (წერდ-ენ) ფორმანტების ნაცვლად. გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში -ეს გვაქვს: „მიიწვიეს, შეიყვანეს, პატივი სცეს, ავახშმეს, მერე ჰკითხეს, ვინ იყო“.

ზემორაჭულში -ენ, ჩვეულებრივ, დასტურდება იმ პოზიციაში, სადაც სალიტერატურო ქართულშივე იგივე ფორმანტია: წერ-ენ, აკეთებ-ენ; აგრეთვე თავს იჩენს -ნ-ენ ფორმანტის ადგილას: წერდ-ენ, აკეთებდ-ენ; გაკეთდ-ენ, დაიმალ-ენ, წევიდ-ენ, იწვ-ენ, იყვ-ენ. გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში -ეს გამოიყენება: დაწერ-ეს, გააკეთ-ეს, დაუიმასქნ-ეს, უთხრ-ეს. -ან, წესისამებრ, არ იცვლება -ენ სუფიქსით: არი-ან, ტირი-ან; წასულ-ან.

ზემორაჭულის ანალოგიური მდგომარეობაა რივნისთაურშიც იმ განსხვავებით, რომ ამ კილოკავში -ენ ფორმანტის გვერდით -ნ -ენ ფორმანტიც გამოიყენება, ოღონდ განსაზღვრულ შემთხვევებში; კერძოდ, ნამყო უსრულში, ჩვეულებრივ, -ენ გვაქვს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში: წერდ-ენ,აკეთებდ-ენ; იწერებოდ-ენ, კეთდებოდ-ენ, ნამყო ძირითადში გარდაუვალ ზმნებში -ენ და -ნ- ენ მონაცლეობს; პრეფიქსიან ვფნებითში -ნ-ენ ფუძის სტრუქტურითაა შეპირობებული: ვ-ი-ყვ-ენ-ი-თ, ი-ყვ-ენ-ი-თ, *ი-ყვ-ენ-ენ → ი-ყვ-ნ-ენ; და ასე: შეიბნენ, შეიკრიფნენ, გამოეწყვნენ. ანალოგიით -ნ-ენ გავრცელდა სხვა გარდაუვალ ზმნებშიც: დარჩ-ნენ, გაჩერდ-ნენ, მოვიდ-ნენ. ამ უკანასკნელთ, წესისამებრ, -ენ უნდა ჰქონდეთ და ასეც გვხვდება: დარჩ-ენ, გაჩერდ-ენ, მოვიდ-ენ. ამათი ანალოგიით კი პრეფიქსიან ვნებითში (#426)გადავიდა -ენ (უკუგავლენა); ამის გამოა, რომ პარალელურად გვაქვს: იყვ-ნენ || იყვ-ენ, შეიბ-ნენ || შეიბ-ენ, შეიკრიფ-ნენ || შეიკრიფ-ენ, ერთი მხრივ, და: დარჩ-ენ || დარჩ-ნენ, გაჩერდ-ენ || გაჩერდ-ნენ, მოვიდ-ენ || მოვიდ-ნენ, მეორე მხრივ. გარდამავალი ზმნების ნამყო ძირითადში -ეს დაჩნდება: მოინახშ-ეს „მოილაპარაკეს“, გაიგნ-ეს „გაიგეს“, უთხრ-ეს („ეს გაიგნეს ძმება და აუტყდენ || აუტყდნენ ძმას“). იშვიათად გვხვდება -ენ: დაინახ-ენ (შესაძლოა იდიოლექტური მოვლენა იყოს).

კავშირებითში -ნ გამოიყენება: უნდა იყვ-ე-ნ, წერ-ო-ნ (შდრ.: „უნდა იყვ-ე-ნ“ — თხრობითი).

გლოლური პრინციპულად განსხვავდება რაჭულის სხვა კილოკავებისაგან: ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში -ეს სუფიქსი გვაქვს: ნამყო უსრული — წერდ-ეს „წერდნენ“, აკეთებდ-ეს „აკეთებდნენ“, ზიდევდ-ეს „ზიდავდნენ“, ამბემდ-ეს

„აბამდნენ“, იტყოდ-ეს „იტყოდნენ“, ჯდებოდ-ეს „ჯდებოდნენ, სხდებოდნენ. ნამყო ძირითადი — გარდამავალი ზმნებისა: დაწერ-ეს, გააკეთ-ეს, მოზიდ-ეს; გარდაუვალი ზმნებისა: გაკეთდ-ეს „გაკეთდნენ“, დახვდ-ეს „დახვდნენ“, წამოვიდ-ეს „წამოვიდნენ“. პრეფიქსებიანი ვნებითის ფუძე -ენ → -ნ სუფიქსით რთულდება: გავემზად-ენ-ი-თ, გაემზად-ენ-ი-თ, გაემზად-ნ-ეს „გაემზადნენ“; და ასე: გადმოიხვეწ-ნ-ეს „გადმოიხვეწნენ“, დაიკარგ-ნ-ეს „დაიკარგნენ“, იყვ-ნ-ეს „იყვნენ“. -ეს დაჩნდება ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითშიც: გაჰკიდებოდ-ეს „გაჰკიდებოდნენ“, დახვედროდ-ეს „დახვედროდნენ“. გლოლურში ძალზე იშვიათია შემთხვევები, როცა ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში -ენ წარმოჩნდება: მოჰყვებოდ-ენ (ჩვეულებრივია: მოჰყვებოდეს), ცხოვრობდ-ენ (ცხოვრობდეს); გაეპარ-ნ-ენ (გაეპარნეს), დაიკარქ-ნ-ენ (დაიკარქნეს), ადგ-ენ და წამოვიდ-ენ (ნორმაა: ადგეს და წამოვიდეს).

ფუძისეული -ენ → -ნ გადადის კავშირებითში, რომლის ნიშანი ამ პოზიციაში ყოველთვის -ე არის (ეს თანაბრად ეხება გლოლურსა და რივნისთაურს): ვიყვნ-ე-თ „ვიყოთ“, იყვ-ნ-ე-თ „იყოთ“, იყვ-ნ-ე-ნ „იყვნენ, იყონ“ (შდრ. ნამყო ძირითადი: ვიყვ-ენ-ი-თ, იყვ-ენ-ი-თ; რივნისთაური: იყვ-ნ-ენ || იყვ-ენ, გლოლური: იყვ-ნ-ეს).

ითქვა, რომ გლოლურში, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა (II და III პირის ფორმებში), მაგრამ, წესისამებრ, აღინიშნება მრავლობითი რიცხვი სახელობითში დასმული სახელისა — სუბიექტისა (რაც საერთო ქართული მოვლენაა: ისინი წერ-ენ, აკეთებ-ენ... იზრდებ-ან... არი-ან...); აგრეთვე: პირდაპირი ობიექტისა და ინვერსიულ ზმნებში — რეალური ობიექტისა (გრამატიკული სუბიექტისა).

(#427)

პირდაპირი (უშუალო) ობიექტის მრავლობითობა, ძველი ქართულის მსგავსად, გამოიხატება -ენ || -ნ სუფიქსით: მე ისინი ვნახ-ენ, დავიჭირ-ენ, დავტოვ-ენ... შენ ისინი ნახ-ენ, დაიჭირ-ენ, დატოვ-ენ („ე შვილებიო გაყარენო“; „ე შვილები წაიყვანენ“)... მან ისინი ნახ-ნ-ა, დაიჭირ-ნ-ა, დატოვ-ნ-ა, დახოც-ნ-ა, ამოირჩივ-ნ-ა, გამოყარ-ნ-ა, გაუშვ-ნ-ა; მათ ისინი დაიჭირ-ნ-ეს, დატოვ-ნ-ეს, მიჰგვარ-ნ-ეს... შენ ჩვენ მიგვიღ-ენ, მე თქვენ დაგტოვ-ენ და ა.შ. აღნიშვნა ხდება II კავშირებითშიც: მე ვნახ-ნ-ე ისინი „ვნახო“, მან ნახ-ნ-ენ ისინი „ნახოს“. შეინიშნება მერყეობაც — ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ხან ხდება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა, ხან — არა („თიკნუჩაები ველარ ვ-ნახ-ე, იმ ღამეს ველარ ვ-ნახ-ენ, დაიკარქნენ“; „და-ჩეხ-ეს ხარი და ძროხა, და-ჩეხ-ნ-ეს ერთიანათ“).

ინვერსიულ ზმნებში რეალური ობიექტის (სახელობითში დასმული გრამატიკული სუბიექტის) მრავლობითობა აღინიშნება:

ა) -ან ფორმანტით; აწმყოში: „მე მ-ყავ-ან ბიძაები“; „მოჯამარიგეები ყავ-ან“... I შედეგობითში — გარდამავალი ზმნისა: „მგელს და-უ-ჭამ-ი-ან თიკნუჩაები“; გარდაუვალი ზმნისა: „ბიძაები მ-ყოლ-ი-ან“. შესაძლოა შეთანხმება ზოგჯერ აზრობრივი იყოს: „ცხენის ჯოგი ყავ-ან მას“. უსულო (რა-ჯგუფის) საგნის მრავლობითობა, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება: „უღელს აქვს (და არა: აქვ-ან) კოტაები“;

ბ) -ეს || -ენ ფორმანტებით; ნამყო უსრულსა და პირობით-ხოლმეობითში: „კაცს მი-ჰ-ყავ-დ-ეს ცხრანი ლეკვანი გადასაყრელადა“; „ი ქალს ჰ-ყავ-დ-ეს ყარაულები“; ნამყო ძირითადში: „ხარები „ჰ-ყვ-ეს ორთავეს“; II შედეგობითში — გარდამავალი ზმნისა: „მეორე დღეს წამიყვანა მამაჩემა (= მამაჩემმა), რომ თიკნუჩაები მოეძებნენ. მოძებნა (= მოძებნნა) და ცხრანი იყვნენ, ცხრანი მგელს და-ე-ჭამ-ნ-ეს (|| და-ე-ჭამ-ნ-ენ)“; „ეს ცხენები წა-ე-რთმივ-ნ-ეს ქურდებისათვის“; „და-ე-ტაცებივ-ნ-ეს ქალები“; „მე ისინი არ მე-ნახ-ნ-ეს“; გარდაუვალი ზმნისა: „მე ბიძაები მ-ყოლოდ-ეს (|| მ-ყოლოდ-ენ)“. შეთანხმება ზოგჯერ აზრობრივია: „ხუცესს ჰ-ყავდ-ეს ცხრა შვილი“; „საქონელი ჰ-ყავდ-ეს ჩვენებურებს“; „თამარ დედოფალი ჩამოვიდა თავისი ბერებით; ერთი არ ეყოლებოდა, ბევრი ე-ყოლებოდ-ეს (|| ე-ყოლებოდ-ენ)“;

გ) -ნ ფორმანტით; III კავშირებითში: „წამიყვანა მამაჩემა (=მამაჩემმა), რომ თიკნუჩაები მო-ე-ძებნ-ე-ნ“; „ისინი რო მ-ე-ნახ-ნ-ე-ნ“. ანალოგიური ვითარებაა I და II კავშირებითშიც.

შევნიშნავთ: მიუხედავად იმისა, რომ II შედეგობითსა და III კავშირებითში დაჩნდება -ნენ დაბოლოება, მათი სტრუქტურა განსხვავებულია. II შედეგობითი: მას ისინი და-ე-ჭამ-ნ-ენ (-ენ პირის ნიშანია; უფრო ხშირად მის ადგილას -ეს დასტურდება: და-ე-ჭამ-ნ-ეს); III კავ(#428)შირებითი: მას ისინი და-ე-ჭამ-ნ-ენ (-ე კავშირებითის ნიშანია, -ნ — პირისა); ანუ: II შედეგობითი ნამყო ძირითადის სტრუქტურას იმეორებს, III კავშირებითი — II კავშირებითისას.

ზოგჯერ ხდება ფორმის ახლებური გააზრება: „იმას უნდა ეს ორნი ვაჟნი დეეკლ-ნ-ა“ — ფორმა III კავშირებითისაა, სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა -ნ ფორმანტით გამოიხატება (ნამყო ძირითადის ანალოგიურად: მან ისინი დაკლ-ნ-ა); წესისამებრ კი, უნდა იყოს: დეეკლ-ნ-ე-ნ.

ზემოხსენებული წესი პირდაპირი (უშუალო) და რეალური ობიექტის მრავლობითობის გამოხატვისა ანალოგიას პოულობს ძველ ქართულთან (ხშირად ზედმიწევნითი დამთხვევაა; ძველი ქართული: მას ისინი მო-ე-კლ-ნ-ეს, მო-ე-კლ-ნ-ენ — II შედეგობითისა და III კავშირებითის ფორმებია, ამჟამად დადასტურებული გლოლურში).

იმავდროულად დიალექტში შესაძლოა მოხდეს ფორმანტთა ფუნქციური გადააზრიანება. გლოლურში ილანდება იმის ტენდენცია, რომ აღინიშნოს მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობაც. ამ მიზნით კი ის ფორმანტები შეიძლება იქნეს

გამოყენებული, რომელთაც, ჩვეულებრივ, სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობის გამოხატვა აკისრია: -ან, -ენ, -ეს („მაყრები მოდიან და მო-ყავ-ან დედოფალი“ — მოყავან = მოჰყავთ; „ეგ რომ გ-ე-თქვ-ან“ — გეთქვან = გეთქვათ; „ყაჩაღებს იარაღი ქონდ-ენ“ — ქონდენ =ჰქონდათ; „გამეეღვიძ-ნ-ეს ღამით“ — გამეეღვიძნეს = გამოეღვიძათ). ზოგჯერ პარალელური ფორმები ერთსა და იმავე ტექსტშია დადასტურებული: „ოვსებს ქვე სძინავს“ და იქვე: „სძინვან“ (= სძინავთ); პირველ შემთხვევაში არ აღინიშნება მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა, მეორე შემთხვევაში აღნიშნულია -ან ფორმანტით.

რაჭულის სხვა კილოკავებში როგორც ობიექტის, ასევე რეალური სუბიექტის (ინვერსიულ ზმნებში) მრავლობითობის აღნიშვნა რამდენადმე განსხვავებული წესით ხდება. უპირველეს ყოვლისა, პრინციპული სხვაობა ის არის, რომ გლოლურისაგან განსხვავებით, რაჭულის დანარჩენ კილოკავებში ნორმაა მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღნიშვნა. გარდა ამისა, აღნიშვნა ხდება -ყე ფორმანტით (რომელიც გლოლურში საერთოდ არ შეინიშნება).

რივნისთაურში ინვერსიულ ზმნებში რეალური ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა გლოლურისებურად ხდება: -ან — აწმყოსა და I შედეგობითში („ორი ბიჭუნიკეები მ-ყავ-ან“; „თხები და-უ-ჭამი-ან მგლებსაო“. აზრობრივი შეთანხმების ნიმუშები: „შვიდი შვილი ქვე ყავ-ან“, „ორი ცდენი ყავ-ან“; -ენ — ნამყო უსრულში („ორი ბიჭუ(#429)ნეები ყავდ-ენ“; აზრობრივი შეთანხმება: „ხელწიფეს ყავდ-ენ სამი შვილი“).

გრამატიკული ობიექტების (ირიბისა და პირდაპირის), აგრეთვე რეალური სუბიექტის (ინვერსიულ ზმნებში) მრავლობითობა ქვემორაჭულში, ზემორაჭულსა და რივნისთაურში -ყე ფორმანტით აღინიშნება.

გამოიხატება ირიბი ობიექტის მრავლობითობა; რივნისთაური: ის მათ აძლევს-ყე, ტაცებს-ყე, აჯობებს-ყე, ეკითხება-ყე; ნამყო უსრული და პირობით-ხოლმეობითი: ის მათ აძლევდა-ყე, ტაცებდა-ყე, თხოვდა-ყე, ჭმეულობდა-ყე „აჭმევდა“, ჩამოურიგებდა-ყე, მოუტანდა-ყე; ისინი მათ აძლევდენ-ყე, ტაცებდენ-ყე; ნამყო ძირითადი: მან მათ აწავლა-ყე „ასწავლა“, კითხა-ყე, მიცა-ყე, თხოვა-ყე; ის მათ დეეხმარა-ყე, მოუვიდა-ყე; მათ მათ კითხეს-ყე; კავშირებითი: ის მათ ეტყოდეს-ყე, აძლევდეს-ყე; მან მათ უთხრას-ყე; ისინი მათ ეტყოდენ-ყე; მათ მათ უთხრან-ყე. შეთანხმება შესაძლოა აზრობრივი იყოს: „შეიტანდენ გოდრით საჭმელს და მიცემდენ-ყე საქონელს“ (იგულისხმება რამდენიმე). ზემორაჭული: „კაცებს ჩოხა ეცვა-ყე“, „კაი ქმრები შეგხდომოდენ-ყე, როგორც თქვენ გულს გახაროდეს-ყე“ (აზრობრივი შეთანხმებაა: იგულისხმება „გულებს“), „მოგცეს-ყე ჯანი მთელი, გული მხიარული“, „ტაცა-ყე მათ ხელი“. ქვემორაჭული: იმგენს || იმეებს უთხრა-ყე, მიუტანა-ყე, დაავალა-ყე, მაგენს ერგა-ყე (ერგოთ = დარგული || დათესილი ჰქონდათ) ბევრი პურის კაკალი“. შევნიშნავთ, რომ შემასმენლობით შერწყმულ წინადადებაში -ყე შესაძლოა დაერთოს მხოლოდ ერთ-ერთ ზმნას: „მერე დოუძახა თავის შვილებს და ეუბნება-ყე“.

გამოიხატება პირდაპირი (უშუალო) ობიექტის მრავლობითობა; რივნისთაური: „მე მათ დავინახავ-ყე“, „ის მათ შემოუშვებდა-ყე“, „წაიყვანდენ-ყე ღორებს, მიატოვებდენ-ყე და მგლები ჭამდენ-ყე“, „მოიმწყვდია-ყე ისინი შიგნით“, „სამი სხვაები ცოცხლები დაიჭირეს-ყე“, „ღმერთმა გიბედნიეროს-ყე შენ ისინი“, „მოვიდენ, აუტყდენ-ყე (მათ — ირიბი ობიექტი) და წაიყვანეს-ყე ქალებიცა და კაცებიც (პირდაპირი ობიექტი)“. ზემორაჭული: „კვამლი თვალებსა კუჭავადა-ყე ხალხს“, „ადღენგძელე-ყე ქალიშვილები“, „ღმერთმა აცოცხლოს-ყე, ამხნევოს-ყე ისინი“, „ღმერთმა გაცოცხლოს-ყე, გამხნევოს-ყე თქვენ“ (შდრ.: „ღმერთმა გვაცოცხლოს, გვამხნევოს ჩვენ“ — პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა გვ- პრეფიქსით აღინიშნება; ანალოგიით: „ღმერთმა გვაცოცხლოს-ყე, გავმხნევოს-ყე“, რაც ძალზე იშვიათია), „დააყენა-ყე მოსამსახურეები თავზე მას“. ასეთივე ვითარებაა ქვემო რაჭულშიც.

(#430)

სამვალენტიან ზმნებში შეინიშნება დამთხვევები: უბედნიეროსყე — ა) მას ისინი — აღინიშნება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა; ბ) მათ ის — აღინიშნება ირიბი ობიექტის მრავლობითობა; გ) მათ ისინი — აღინიშნება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტის მრავლობითობა. და ასე: გიცოცხლოს-ყე შენ ისინი || თქვენ ის || თქვენ ისინი.

გამოიხატება ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის მრავლობითობა; რივნისთაური: მათ უნდა-ყე , მოუნდება-ყე, მოუნდებოდა-ყე, მოუნდა-ყე; აქვს-ყე → აყვე || აყვენ, ქონდა-ყე , ექნებოდა-ყე, მიქონდა-ყე; „ყავდა-ყე იმათა ერთი ძიძა“... მიუცია-ყე, გამოურთმევია-ყე, დაუჭირავს-ყე... მიეცა-ყე; „ჩაგელეეთ ყავდა-ყე ბატონი; ქათამიც რომ დეეკლას-ყე, ნახევარი ბატონებითვინ უნდა მიეცეს-ყე“... კონტამინირებული ფორმა: ჩამოუყვანია-თ-ყე (-თ სალიტერატურო ენის გავლენითაა, -ყე — დიალექტურია); ზემორაჭული: მოაქვს-ყენ → მოაყვენ „მოაქვთ“, ქვეც გეკეროს-ყე, ქვეც გეწეროს-ყე თქვენ“; ქვემორაჭული: უყვარს-ყე, ჰყვარებია-ყე... დოუწია-ყე, გოუკაფია-ყე, გოუშენებია-ყე... დეეწყო-ყე, გეეკაფა-ყე.

ჩვეულებრივ, -თ და -ყე განირჩევა განაწილების თვალსაზრისით: -თ ფორმანტით გამოიხატება I და II (გრამატიკული) სუბიექტური პირის მრავლობითობა (ვწერ-თ, წერ-თ; დავწერე-თ, დაწერე-თ), -ყე ფორმანტით ირიბი ობიექტის (გიწერს-ყე ის თქვენ; დაგიწერა-ყე მან თქვენ), პირდაპირი ობიექტისა (დაწერა-ყე წიგნები) და რეალური სუბიექტის (დაუწერია-ყე, დაეწერა-ყე მათ ის) მრავლობითობა.

იმავდროულად ხდება ამ მწყობრი სისტემის მოშლა -თ ფორმანტის ფუნქციის გაფართოვების გამო: -თ კისრულობს იმ ფუნქციების გამოხატვასაც, რომლებსაც, ჩვეულებრივ, -ყე აღნიშნავს (ვ. თოფურია, შ. ძიძიგური): ყოლოდა-თ || ყოლოდა-ყე, ედგა-თ || ედგა-ყე მათ ის ; ამღერა-თ || ამღერა-ყე, დააჭერინა-თ || დააჭერინა-ყე მან

მათ ის || მან მას ისინი || მან მათ ისინი. ეს საფუძველს უქმნის კონტამინირებულ ფორმებს: „ნიკორწმინდის ეკლესია თქვენ არ გენახულებათყე“.

-თ ფორმანტის გამოყენება -ყე-ს ნაცვლად I და II პირის ფორმებში იზღუდება (შ. ძიძიგური), უპირატესად III პირში გვხვდება. საქმე ისაა, რომ I და II პირის ფორმებში ამ დანიშნულებით -თ-ს გამოყენება ფორმათა აღრევას იწვევს: (ვ)-უ-თხარ-ი-თ შეიძლება აღნიშნავდეს: ჩვენ მას ის (რაც მისი ძირითადი ფუნქციაა) და დამატებით: მე მათ ის (რასაც, ჩვეულებრივ, ვ-უ-თხარ-ი-ყე ფორმა გამოხატავს); ანალოგიურად — მეორე პირის ფორმაშიც (შდრ. III პირში: უთხრეს მათ მას ის, მაგრამ: უთხრა-ყე || უთხრა-თ მან მათ ის — სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითის ფორმათა აღრევა გამოირიცხება). (#431) შევნიშნავთ: უ-თხრა-თ-ყე კონტამინირებული ფორმაა (-თ და -ყე ერთსა და იმავეს გამოხატავს), მაგრამ ვ-უ-თხარ-ი-თ-ყე უკვე ორი სხვადასხვა პირის მრავლობითობას გამოხატავს: ჩვენ მათ ის — -თ სუბიექტის მრავლობითობას აღნიშნავს, -ყე — ირიბი ობიექტისას (სხვა შემთხვევაში შესაძლოა აღინიშნოს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაც). ამიტომაა, რომ I და II პირის ფორმებში თ-ს ფუნქციის გაფართოება და მისი გამოყენება -ყე ფორმანტის დანიშნულებით ძალზე იშვიათია (უპირატესად იდიოლექტის დონეზე შეინიშნება).

რივნისთაურში -ყე დადასტურდა ისეთ შემთხვევებშიც, როცა მრავლობითობა არ გამოიხატება: ცურავს-ყე, შენ გეუბნები-ყე, რასაც ანალოგიით ხსნიან (ვ. თოფურია). შესაძლოა აქ ხოლმეობითის ფუნქციის გამოხატვასთან გვქონდეს საქმე; მით უმეტეს, რომ რივნისთაურსა და გლოლურში რელიქტის სახით ფიქსირებულია ხოლმეობითის -ი სუფიქსიანი ფორმები: „სიცილი აუტყდის ხალხს“, „ერთი წელიწადი რომ გაუხდა, მოვიდის თავისი სახლობა“ (ხოლმეობითის ფუნქცია ამ შემთხვევაში ნიველირებულია), დაუკვირდის (შ. ძიძიგური).

გლოლურში ნამყო ძირითადის პარადიგმაში, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება „ნართაული“ -ი: მო-ვ-კალ, მო-ხ-კალ.

-ი არ ჩანს აწმყოშიც (როცა იგი ნაკვთის ნიშანია): ნუ ტირ! „ნუ სტირი!“

გლოლურშივე ვედ- ფუძისაგან წარმოთქმითი ბრძანებითი თავისებურებად იწარმოება: იშვიათად — ამო-ედ, შემო-ედ; ჩვეულებრივ კი — ამო-ე, შემო-ე, წა-ე (წა-ე-თ — მრავლობითში).

ამავე კილოკავში დაჩნდა ჰ-ყავ-ს ზმნის ნამყო ძირითადისეული ფორმა: „აწ ერთი ტარიელი ჰყვა ძმა ავთანდილსა“, „ერთი შეგირდი იყო, კაცსა ჰყვა მობარებული“.

აქვე შეინიშნება თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის ფუნქციით გამოყენებული კავშირებითის ფორმები: „ბოსლობის შაბათ დღეს ხარს ღორის ნაჭერს წაუსვამენ რქებზე და ასე მიმართავენ: „სუქდებოდეო, კეთდებოდეო და ნადირსო მოერიდებოდეო!“

კავშირებითის ფუნქცია შესაძლოა გამოიხატოს -მცა ნაწილაკ-მორფემოიდითაც მაშინ, როც ზმნა ფორმით თხრობითი კილოსაა: „ჩამოვდგი ფეხიო, გწყალობდენ ღმერთიო, დია-მც (ბევრი-მც) მოგივა ახალი წელიწადიო შეძენისაო, მოგებისაო, სტუმარიც მოგეცაო და სტუმრისგასასტუმრებიცაო“.

II კავშირებითს გლოლურში სპორადულად შეუძლია გამოხატოს მყოფადის ფუნქცია: „აიღებ, მოინანებ, არ აიღო (=აიღებ), მოინანო (= ინანებ)“.

(#432)

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში დაჩნდება -ნ (განსაკუთრებით — რივნისთაურსა და გლოლურში, ზოგჯერ — სხვა კილოკავებშიც): გამოუფხორკნია, მოუტაცნია, მოუთბნია, დაუხოცნია; ანალოგიური ვითარებაა II შედეგობითშც: გამეეფხორკნა, მეეტაცნა, მეეთიბნა, დეეხოცნა; -ნ გადაჰყვება III კავშირებითშიც: გამეეფხორკნოს.

ქვემორაჭულში I შედეგობითში -ებ გვხვდება მდგომარეობით ზმნებშიც: უფიქრებია „უფიქრია“, უთამაშებია „უთამაშია“.

მარცვლოვანი ფუძის მქონე -ებ თემისნიშნინი ზმნები II შედეგობითსა და III კავშირებითში რთულდება -ინ → -ი ფორმანტით: შემოებრძანებია — შემოებრძანებიონ (გლოლური) || შემოებრძანებიოს (რივნისთაური, ზემორჭული, ქვემორაჭული), გამოეტანებია — გამოეტანებიოს, აეშენებია — აეშენებიოს (|| შამეებრძანებია — შამეებრძანებიოს, ეეშენებია — ეეშენებიოს).

I შედეგობითში -ავ და -ამ თემის ნიშნები ხშირად შენარჩუნებულია: მოუკლავს, მოუხნავს, დაუდგამს მას ის; მოუკვლან მას ისინი; მოუკლავს-ყე მათ ის.

III სერიის ფორმათა წარმოებისას, ჩვეულებრივ, ანგარიში ეწევა ფუნქციას და არა ფორმას. ამის გამო, მაგალითად, ფუნქციურად ერთვალენტიანი, ფორმობრივ კი მოქმედებითი ყალიბის მქონე ი-ღვიძ-ებ-ს ფორმა ერთვალენტიან ზმნათა მსგავსად იწარმოებს III სერიის პარადიგმებს: გაღვინძებულა, გაღვინძებულიყო, გაღვინძებულიყოს; და არა ფორმობრივ მოსალოდნელი: გაუღვიძებია || გაჰღვიძებია, გაეღვიძებინა || გაჰღვიძებოდა.

ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნები II შედეგობითსა და III კავშრებითში -ოდ სუფიქსს დაირთავენ: დაჰკარგოდა, გასწყვეტოდა, მოსწონებოდა, ჰყოლოდა, ჰქონოდა. იშვიათად დაჩნდება მეშველზმნიანი წარმოებაც: სცოდნიყო, ჰქონიყო, ჰგონიყო, დაჰკარგიყო (შ. ძიძიგური). ამ შემთხვევაში -ოდ სუფიქსიანი ფორმები გლოლურიდანაა დამოწმებული, მეშველზმნიანები — ზემორაჭულიდან.

შეინიშნა I შედეგობითის ფორმათა გამოყენება ნამყო უსრულის ფუნქციით: „მე მამა მყოლიაო? — გყოლია; დედა მყოლიაო? — გყოლია“ (მყოლია = მყავდა, გყოლია =

გყავდა). ნამყო უსრულობის გარდა, ამ ფორმებში უთუოდ დაჩნდება უნახაობის სემანტიკაც (რამაც, ჩანს, განაპირობა მათი გამოყენება ასეთი დანიშნულებით).

რაჭულის ოთხივე კილოკავში მკვიდრადაა წარმოდგენილი III კავშირებითის ფორმები.

ქვემორაჭული: „საცაღა ხო უნდა გეეთიოს ღამე“, „რა ექნას ი ქალს, ვარი რო ეთქვას, ქვე ის აჯობებდა კაცს?“, „მე რომ ხელები მქონოდეს, ხო დავლემდი წყალსო!“, „რომ მოსულიყოს, იმასაც ქვე (#433) მოჰკლამდა“, „წეიყვანა შვილი უხვან ტყეში, რომ სახში ვეღარ დაბრუნებულიყოს“.

ზემორაჭული: „უნდა მეყიდოს, მომექსოვოს“, „უნდა გვეწვას, გვედაგოს“, „გრძელი კაბები ვიცოდით, კუდიანი, თითო ტკაველი უკან კუდი უნდა წასულიყოს და, თუ გამოჩენილიყოს ქუსლ-კოჭი, გვიძრახემდენ“. III კავშირებითს შეიძლება შეენაცვლოს I ან II კავშირებითი: „თუ გინდა ორმოცი ჯალაბი იქნებოდეს (=ყოფილიყოს), ყველას ერთად უნდა ესაუზმებიოს, ესადილებიოს (III კავშირებითი)“; „დავდგემდით თივაზე, რომ წყალი არ ჩავიდეს (= ჩასულიყოს) და არ დალპეს (= დამპალიყოს)“.

რივნისთაური: „ონში უნდა წავსულიყავი, რომ საქმე გამეკეთებიოს“, „არ ვეშვებოდით, რომ ფეხი ეედგას ბაღვს“, „მატყს შემოვახვევდით, რომ ბაღვს არ შესცივნოდეს“.

გლოლური: „მაკვრიელი (მეკვლე) კაი ფეხისა უნდა ყოფილიყონ“, „უნდა წავსულიყოთ წისქვილში, იქ ცეცხლი უნდა დაგვენთონ, თავიც იქ უნდა დაგვებანონ და დაგვევარცხნონ, დაგვერეცხონ, იქ უნდა გვეკერონ“.

III კავშირებითი სისტემებრ გამოიყენება ორ შემთხვევაში: მიზეზ-შედეგობით კონსტრუქციებში („რომ მოსულიყოს, იმასაც ქვე მოჰკლამდა“, „მატყს შემოვახვევდით, რომ ბაღვს არ შესცივნოდეს“) და ვალდებულებითი კილოს გამოხატვისას —კონსტრუქციაში წარმოდგენილია ან იგულისხმება უნა || უნდა ნაწილაკ-მორფემოიდი („უნდა მეყიდოს, მომექსოვოს“, „რა ექნას ი ქალს?“ = „რა უნდა ექნა...“). ზოგჯერ ეს ორივე ფუნქცია ერთ კონსტრუქციაშია შეხამებული („ონში უნდა წავსულიყო, რომ საქმე გამაკეთებიოს“). გარდა ამისა, შესაძლოა გამოიხატოს ნატვრითობის სემანტიკაც: „აი, ეს არ ამოგერჩიოს და სხვა წაგეყვანოსო!“

ოთხივე კილოკავში გამოიყენება IV სერიის ფორმები.

III შედეგობითი: „ერთი უბრალოდ გლეხი(ს) ბიჭი დადის სათევზაოთ ი ზღვის პირზე, ნავალა“ (ზემორაჭული); „ნართავა“, „ნაყურება“; „ნართმევან“, „ნაზოგავან“, „ნაკითხავან“ (რივნისთაური); „თორმეტი მანათი ნაღირალა“, „იქანა ნაცხოვრება“, „ქვათ ნაქცევა“ (გლოლური).

IV შედეგობითი: „ენახა ჩალის ზვინი და იმაში ნადგომიყო ღამე“ (ქვემორაჭული); „დიდ ცუდ საქმესაც ჩანავალიყო“ (რივნისთაური).

კაუზატივი იწარმოება -ინ → -ი და ევ-ინ → -ევ-ი ფორმანტებით: „ერთ ქადას დააჭირვიებდეს (= დააჭერინებდნენ) ვაჟას“, „ცოლ-შვილის წამოსაყვანათ მივდივარო, ისენი მანახვიეთო (= მანახვინეთო), ამოვივლი და დამხვდით მაშინო“ (გლოლური); წააღებიებს, წააღებია (#434) (რივნისთაური); ათბობიებს, გაათბობია (ზემორაჭული); გაამარჯვებია, გაათევია (ღამე), ამოაყოფია (თავი), მიატანია (შეშა), გაარკვევია; გადაახდევია „გადაახდევინა“ (ქვემორაჭული). ზოგჯერ დაჩნდება ოდენ -ევ → -ი (ვ) სუფიქსიანი წარმოება (ძველი ქართულისებური): ა-თქმ-ი-ა „ათქმევინა“, გადა-ა-ხთ-ი-ა „გადაახდევინა“ (გლოლური); „თავი არ შე-ა-ჭმ-ი-ო (რივნისთაური); „სხვას უნდა ე-ჭმ-ი-ო-ს“ (ზემორაჭული); შდრ.: აწმყო: ა-თქმ-ი-ებ-ს (ძველი: ათქმევს), ა-ხთ-ი-ებ-ს (ახდევს), ა-ჭმ-ევ-ს.

უარყოფით ფორმებში -ინ → -ნ: „დიდი ხნის წყლის და-უ-ლევ-ნ-ებ-ელ-ი არიანო“ (ქვემორაჭული); შდრ.: ა-ლევ-ი-ებ-ს „ალევინებს, ასმევს“.

ანალოგიურად იწარმოება გა-ა-რონ-ი-ებ-ს, ა-რბენ-ი-ებ-ს... ფორმებიც.

ზმნის სხვა თავისებურებათაგან შეიძლება აღინიშნოს:

ა) შე-ე-შინ-ა ზმნა ოდენ პრეფიქსით იწარმოება (ქვემორაჭული);

ბ) „დასვამს || დასვა“ ფორმის ნაცვლად გამოიყენება „დააჯენს || დააჯინა“ (ქვემორაჭული), „დააჯდენს || დააჟდინა“; შესაბამისად: მიუჯდინა || მიუჟდინა, ჩაიჯდინა; აგრეთვე: დაასხდინა (ქვემორაჭული, ზემორაჭული); შდრ.: და-ჯედ-ი „დაჯექი“ (ზემორაჭული, რივნისთაური);

გ) უ-ზამ-ს ზმნა აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმაში -ან ფორმანტით რთულდება: უ-ზმ-ან-ან „უზამენ“; ანალოგიურად: უ-ნდ-ან-ან „უნდათ“ (შდრ.: ჰ-ყვ-ან-ან, დგ-ან-ან);

დ) ჰ-ყავ-ს ზმნა ნამყო უსრულში ყვან- ფუძეს იყენებს: „კაჲ ქალი ჰ-ყვან-დ-ა“ (ზემორაჭული);

ე) გლოლურში ს-დი-ს ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: ს-დინ-ს || ს-დი-ს; ნამყო უსრულში — ს-დინ-დ-ა („სისხლი სდინდა“); დაცულია დინ- ფუძე, რომელიც, ჩვეულებრივ, მარტივდება (ს-დინ-ს→ ს-დი-ს), ხოლო ნამყო უსრულში -ოდ სუფიქსს დაირთავს (ს-დი-ოდ-ა). ამავე კილოკავში ჩან-ს ზმნის ნამყო უსრულის ფორმად გამოიყენება ჩდ-ა („ამ დროს შალიკიმ მთას შეაწია და ბუზივით ჩდა“);

ვ) „მირბის“ ფორმის ნამყო უსრულად გლოლურში მი-რბ-ი-ოდ-ა „მირბოდა“ დასტურდება (ანალოგიური წარმოება იპოვებოდა ძველ ქართულში): „მელია მირბიოდა და გაჰკიოდა“;

ზ) „მშია“ რაჭულში წარმოდგენილია როგორც მ-შივ-ა, ხოლო გლოლურ კილოკავში „მოჰშივდა“ ფორმის დანიშნულებით იხმარება: მო-ე-მშ-ი-ა (ანალოგიაა ძველ ქართულთან);

თ) გლოლურში ი-სვრ-ი-ს ზმნა გამოიყენება ხმოვანი პრეფიქსის გარეშე: სრ-ი-ს, სრ-ი-ან („სრიან თოფებსა“);

(#435)

ი) ფუძის სრული გახმოვანებითაა წარმოდგენილი გა-ი-ძარ („გაიძარო, ბეჟანო. ვეღარ გაიძრა“);

კ) ყ-ოფ-ს ზმნაში სპორადულად დაჩნდება -ობ: გა-ვ-ყ-ობ-ო (რივნისთაური);

ლ) -ევ → -ივ ფორმანტიან ზმნათა II სერიაში ზოგჯერ თავს იჩენს სრული სახით -ივ: გააქცივა (რივნისთაური), გააქცივნა (გლოლური);

მ) დასტურდება წყევ- ფუძე: „დედამ რომ სწყიოს, ძუძუ ეუნება: არა, შენი წყევა ტკბილათ შეერგოსო (ქვემორაჭული); „ვინც ბედი დაგიწყიოს...“ (რივნისთაური);

ნ) გამოიყენება ვალდებულებითი მყოფადი: „თუ ძმურათ მოხვალთო, მიმღები ვარ!“;

ო) „ქონა“ გამოიყენება „ყოლა“ ზმნის მნიშვნელობით: ბიჭი ექნებაო (= ეყოლებაო); სამი ვაჟიშვილი გექნას (= გეყოლოს); ორი უღელი ხარი ექნებოდა (= ეყოლებოდა). გვხვდება რივნისთაურში, გლოლურსა და ზემორაჭულში. მიიჩნევა სვანურ სუბსტრატად; შდრ. „ფუსნēდუ ხēრიხ“ ზედმიწევნით: „ბატონები ექნებიან“. შესაბამისად, მოიყვანა, გამოიყვანა ფორმათა ნაცვლად დასტურდება: მოიტანა, გამოიტანა, გამოიღო („მერმე გამოიტანა ე ქალი გარედ“; „ქალი გამოიღესო კოშკშიით“);

პ) სვანურისავე სუბსტრატად ითვლება „ვაჟი გამოუჩდა“ (= ვაჟი გაუჩნდა, შეეძინა); შდრ.: ჭყინტ äხთენä’ნ (ვ.თოფურია);

ჟ) ფართოდაა გავრცელებული ნასახელარი ზმნების წარმოება: დაკბილავს „უკბენს“, დაიძაბუნებს „დაჩაგრავს, დაიმორჩილებს“, სახლაობს „სახლობანას თამაშობს“, დაეშვილება „შვილად გაუხდება“, დაუთვალოვდება „დაბრმავდება“ (ზედმიწევნით: „უთვალო გახდება“). გამოიყენება კომპოზიტი ფუძეებიც: დადგიმსავარცხლებს „დგიმ-სავარცხელს გამართავს“ და მისთ.

***

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. გლოლურში შემორჩენილია -მცა ნაწილაკ-მორფემოიდი (იხ. ზემოთ: „ზმნა“); ზოგჯერ იგი (ძველი ქართულის წესისამებრ) ეხამება ზმნის თხრობითი კილოს ფორმას და გამოხატავს კავშირებითის სმენატიკას:

„დიამც (=ბევრიმც) მოგივა ახალი წელიწადიო შემენისაო“, „ნეტამცა ნატრა მანატრა“, „ღმერთიმც გიგმია მაღალიო“ (ნიშნავს ბევრი მოგივიდეს || მოგსვლოდეს, ნეტა მანატროს, ღმერთი გეგმოს). გვაქვს ამ წესის დარღვევის შემთხვევებიც: -მცა ნაწილაკი კავშირებითი ფორმის შემცველ (#436) კონსტრუქციებშიც გამოიყენება: ნეტამცა ეჯობოს (სავარაუდოა: ნეტამცა ეჯობა).

ხშირი გამოყენებისაა დადასტურებითი „ქვე“ (ზემორაჭულსა და ქვემორაჭულში — ქვე || ქე) ნაწილაკ-მორფემოიდი, რომელსაც ზოგჯერ უფართოვდება ფუნქცია, ზოგჯერ კი ორნამენტული დანართის სახითაცაა გამოყენებული: „ქვეც აჩუქვეს ხმალი“, „ქვე რა იყო?“ „ქვე მოიძიეს“, „ქალი ლამაზი ქვე იყო“, „ვეზირს ქვე უკვირს“, „გოგომ ქვე რა იცოდა“, „ჩემი სოფელი ქვე როა, წკადისი“, „ქვე ხვარ (=ხომ არ) გაგიჟდა“. „ქე“ უპირატესად ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში იჩენს თავს. იშვიათად გვხვდება „ქი“ („ქი არ გეიპარა ეს ქალი“; ზემორაჭული). „ქვე“ შესაძლოა შეუღლებული იყოს -ც(ა) ნაწილაკ-მორფემოიდთან“: „ქვეც აკეთებს, ქვეც აცხპბს, ქვეც რეცხამს“ (ზემორაჭული).

დადასტურებითი ან წაქეზებითი ნაწილაკ-მორფემოიდის დანიშნულებით გამოიყენება „აპა“ („აპა, მითხარი!“); მაშ, აპა → მააპა || მაპა („იყავი ონშიდა? — მააპა! ; შ. ძიძიგური).

სპეციფიკური რაჭული მოვლენაა ჭირიმე → ჭი ელემენტის გამოყენება თხოვნითი კილოს კონსტრუქციებში: „გამიკეთე, ჭი, ეგ საქმე!“, „ნუ ჭი!“, „ჩაირბინე, ჭი!“; გამოიყენება სხვა შემთხვევებშიც („მოველო, ჭი, და მოგიტანე ნაბადი“). ამჟამად ძალზე იშვიათი ხმარებისაა (შ. ძიძიგური).

დასტურდება ნართაული -ა ზმნის ფორმებთან, უპირატესად სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკ-მორფემოიდის წინ. იგი გვხვდება რაჭულის ყველა კილოკავში, გლოლურის გარდა (ვ. თოფურია): „იქ არ შემოგისწრონაო“, „დაგმალავაო“, „ვაითუ მოკლანაო“, „მობძანდეს ჩემთანაო, რასაც წაიღებსაო, დაინახავსაო“, „ნუ წახვალაო“; და ასე: შემოთვალესაო, დაამზადეთაო, მობძანდითაო, გადაუგდეთაო, მეკუთვნისაო, გვიყვარსაო, დაგაყენეფაო, გიკეთებთაო (რივნისთააური); „იმას რავა მოვკლამაო“ ; და ასე: მოგვწერეთაო, დაგასაჩუქრებაო, გაგიშვებაო, ანათებსაო, ჰგავსაო, ყამსაო, მივდივარაო, მოსულხარაო, მიყვრხარაო (ქვემორაჭული); გინდათაო, ამოსწვითაო (ზემორაჭული). იშვიათად დაჩნდება -ო ნაწილაკდაურთველ ფორმებშიც: „ძმები ხართა“, „ჩვენი ბოშუნები ხართა“, „ავდგებითა“. -ა დაერთვის მხოლოდ თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს. სხვა შემთხვევაში -ო უშუალო ხმოვან სუფიქსს მიერთვის: შეიკრიფებაო.

იმავდროულად -ა კითხვით კონსტრუქციებშიც იჩენს თავს (მაშინაც, როც კითხვითი სიტყვა დასტურდება): მიდიხარა-ა?; არ მოგაქვს-ა?; რა მოწყენილი ხარ-ა? (შ. ძიძიგური).

მაგრამ ეს ორი -ა განსხვავებულია (ფუნქციით დ, როგორც ჩანს, წარმოშობითაც).

სხვათა სიტყვის -ო შესაძლოა დაერთოს წინადადების თითქმის ყველა წევრს: „ნადირსო მოერიდებოდეო“, „გაწმენდილი ვიყოთო მტრიდანო და ბოროტიდანო“.

I პირის ფორმებთან გამოიყენება -თქვა: „ვუთხარი, ის ტყუა-თქვა“, „მოდი-თქვა“ (რივნისთაური); „მერე კი მჯავრობდი (= ვჯავრობდი), რაზე მოვკალი-თქვა, მარა ქვე რაღა დროს“ (ქვემორაჭული); „მე უთხარ: სათიბი არა აქვ-თქვა“, „სახლები ავაგეთ ჩვენ-თქვა“ (გლოლური).

„უნდა“ გვხვდება ამ სახითაც: „უნა“: „მე უნა გამამყვე ცოლათაო“, „ხემწიფე უნა ევირჩიოთაო“ (ქვემორაჭული); „ქალები ცალკენ უნა მსხდარიყვენ“, „უნა წამოვიყვანო“ (ზემორაჭული).

ადგილის ზმნისართებში დაჩნდება -ნა ელემენტი: აქა-ნა, იქა-ნა, სადა-ნა; იქანავე „იქვე“, აქანაური „აქაური“, იქანაური „იქაური“. დადასტურდა -ნენაირსახეობაც: სა-ნე-მ (← სანემდის). -ნა გვხვდება ვითარების ზმნისართებშიც: ჩუმეთა-ნა (ქვემორაჭული).

-ცა-ღა კომბინაცია წარმოდგენილია სხვადასხვა ფონეტიკური ნაირსახეობით: საკუთრივ -ცა-ღა (ვინცაღა; რივნისთაური); -ცა-ღ (რამაცაღ „რაღაცამ“, საცაღ; გლოლური); -ცა-ხა (საცახა, რომელიცახა; ზემორაჭული); ც-ხა (რაცხა, საცხა; ქვემორაჭული); -ძა-ღა (რომელიძაღა, საძაღა; ზემორაჭული); -ძ-ხა (რომელიძახა, ვინძახა; ზემორაჭული, ქვემორაჭული). გვხვდება სალიტერატურო ქართული მსგავსადაც (-ღა-ცა თანამიმდევრობა: რაღაცა, საღაცა).

შეინიშნა -ვე → -ვ: „იქავ წააქცია“ (გლოლური); შდრ.: მაშინთ-ვე || მაშით-ვე.

გლოლურსა და რივნისთაურში -რე → -რ: „მეორე ღამესაც ის-რ მოიქცა“ (შდრ.: ის-რე, ეს-რე). -რე → -რ, ჩვეულებრივ, მაშინ, როცა დაერთვის სხვა ნაწილაკ-მორფემოიდებიც: ის-რ-ი-ვე. შევნიშნავთ: დადასტურდა „აგრე“ ფორმის ნ სონანტ-ჩართული ნაირსახეობაც: ანგრე (რივნისთაური).

-ოდენ → -დენ → -თენ: ეგდენი → ექდენი, ამთენი „ამდენი“ (გლოლური). გვხვდება -თე ნაირსახეობაც: ისთე, ისთევე (ქვემორაჭული); წარმოდგენილია ასეც: -თონ (-დენ და -ტოლ ფორმათა კონტამინაციით): რამთონი, იმთონი; რამთონჯელ, იმთონჯელ (რივნისთაური).

ჯერ → ჯელ (რ-ნარევ ფუძეებთან) ზოგადდება და გვხვდება იქაც, სადაც ფუძეში რ არა გვაქვს: იმთონჯელ, სამჯელ.

„კინაღამ“ წარმოდგენილია როგორც: კიღამ || კიღამე, „კიდევ“ — კიდო, „კიდევაც“ — კიდომეც (ქვემორაჭული).

(#438)

ქვემორაჭულში გამაძლიერებელი მორფემოიდის ფუნქციით გამოიყენება „ზე“: „გედირია ზე“ (= სულ მთლად, ძალიან გაბრაზდა).

ქვემორაჭულშივე დადასტურდა „ხვარ“ (← ხუა არ ← ხო არ ← ხომ არ).

რივნისთაურში, ზემორაჭულსა და ქვემორაჭულში გვხვდება: მაინ „მაინც“, ოდა „ჰო-და“; ქვემორაჭულში იპოვება: ჯერღა || ჯეღა.

მიმათითებელი პრეფიქსი ე- (ეს...) სახელობითის გარდა, გამოყენებულია სხვა ბრუნვებშიც („ემ თას იქეთ იმერეთია“, „ემ სოფლებთან“, ემათ), დამოწმებულია ზმნისართებშიც („ექანა“, „ექითკენ“).

***

ე) სიტყვათწარმოება. მქონებლობის სემანტიკა გამოიხატება -ოვან → -ოან → -უან სუფიქსით: ღალატოვანი (გლოლური) || ღალატუანი, ლამაზოვანი || ლამასოვანი, ძალუანი. ხშირი სჭმელთა დასახელებებში: ყველუანი, ქონუანი, ლობუანი || ცერცუანი, ფხლუანი. ზოგჯერ მასთან მონაცვლეობს -იან: „პურში რო შეურთავ ლობიოს, შეკეცილს ვეძახით, ჭადში რო შეურთავთ — ლობუანი ჭდი, შეკეცილს კიდე ლობიანასაც ვეძხით“ (ქვემორაჭული). -იან საკმაოდ ხშირია სხვა შემთხვევებშიც: წყლიანი, ფრთიანი, ხმიანი. -იან სუფიქსითაა ნაწარმოები კარიან-ი „კარადა“. ფართო გავრცელებისაა -იერ: ჭკვიერი, თავიერი, ტვინიერი, ჯიშიერი, ადამიერი „ადამიანი“ (შ. ძიძიგური). იშვიათად დაჩნდება -ედ (ქორედი „დუროიანი სახლის მესამე სართული სამეურნეო იარაღების შესანახად“), -ურ (კუდური „კუდიანი“); სიტყვათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული -ად (ძმადი „ხელისმომკიდე ვაჟი“).

ნაირგვარი ფუნქციის გამომხატველია -ობა იმის მიხედვით, თუ რა ფუძეს მიერთვის: გამოიხატება დროის გარკვეული მონაკვეთი (კაჟიანი თოფობა იყო „კაჟიანი თოფის დრო იყო“; ზემორაჭული); დაჩნდება იგი თამაშობათა სახელებშიც (ხმალუკაობა, ცხენუკაობა, ხულუკაობა — გლოლური; სახლაობა, დოლყაობა, წუალობა — რივნისთაური); აწარმოებს კრებით სახელებს („იარაღობა ჰქონდა რამეო?“).

ზემორაჭულში წარმოჩნდა უფროობითი ხარისხის არქაული წარმოების შემთხვევები: უხნე „უხნესი“, უდიდე „უდიდესი“, უგრძე „უგრძესი“ (შ. ძიძიგური).

ოდნაობითი ხარისხის ფორმებს ფერთა სახელებთან აწარმოებს -ონ-ა (-ონ საკუთრივ ოდნაობის მაწარმოებელია, -ა — მასუბსტანტივებელი სუფიქსი); ოდნაობასთან შეხამებულია მიმსგავსების, აქედან (#439) კი — მსგავსების ფუნქცია: თეთრონაი „მოთეთრო || თეთრი ფერის საქონელი“, შავრონაი „მოშავო || შავი ფერის

საქონელი“ (გლოლური); შდრ.: თეთრუნა, შავუნა, სადაც -უნ-ა კნინობითობის ფორმანტია (იხ.: ქვემოთ).

-ურ გამოხატავს ვინ-ჯგუფის სახელთა წარმომავლობასაც: „წედური კაცი ვარ“, „ღებური კაცი“, „იყო ერთხელა ღებურებთან სანადიროს“, „ჩასულან ღებურები“.

-ურ და ურ-ა ფორმანტთა ნაცვლად დაჩნდება -ულ და -ულ-ა (მაშინაც, როცა საწარმოებელ ფუძეში რ არ ურევია): ქალულად „ქალურად“, „ველევსა და წკადისს შუა ერთი წყალი ჩადის, ველეულა“ (ბოლო შემთხვევაში -ულ-ა ჰიდრონიმის მაწარმოებელია).

სპორადულად თავს იჩენს -ივ ფორმანტიც: ხელახლივ „ხელახლა“ (რივნისთაური).

ზოგი ზმნისართი ფორმდება მიცემით ბრუნვაში: ახლავეს „ახლავე“ (ქვემორაჭული).

რაჭულში ფართოდაა გავრცელებული სახელთა კნინობით-საალერო ფორმათა წარმოება. ძირითადი მაწარმოებელია -ა: მინდორა, ბოსტანა, ცინდალა, ხერხა... ვასილა, ნესტორა, ლუარსამა „ლუარსაბა“ („კარდალი დიდია, კარდალა - პატარიკა“).

ფუძე ხშირად რთულდება სხვა სუფიქსებით.

ოდენ -იკ: შალიკი (გლოლური); იკ-ა: ნესტორიკა, ლევანიკა, თამარიკა; პატარიკა, ვარიკა.

-უკ-ა: ნესტორუკა, ლევანუკა; ხორცუკა („ერთი ნაჭერი ხორცი“), ხელუკა, სკამუკა, ჯოხუკა, ცულუკა, ღვინუკა, თა(ვ)უკა, წყალუკა, ტყვიუკა, თოფუკა, რკინუკა, ძაღლუკა, ცხვარუკა, ძროხუკა, ბოშუკა, ქალუკა, ბალახუკა, ვაშლუკა, დღეუკა, ღამუკა („მხოლოდ ერთი ღამე“), კანუკა, ქონუკა, ქმარუკა, ტყა(ვ)უკა, დანუკა, („ჩემი და პატარუკა ამხელუკა იყო“).

-უნ-ა: ქუდუნა, კატუნა, კალათუნა, თოხუნა, ბაყაყუნა, კვესუნა, ბოშუნა (ზემორაჭულში ნიშნავს: „გოგონა“), ქედუნა, კვიცუნა, გოგუნა, დათუნა, ცოტუნა, ერთუნა, გუდუნა (შდრ.: გუდურა); დავითუნა, კიმოთუნა, სიკოუნა.

-ინ-ა: დათვინა, ლეკვინა, მაჩვინა, თაგვინა, შაშვინა, ბაღვინა.

-უჩ-ა: თიკნუჩა „თიკანი“.

ხშირად გვხვდება შერწყმული სუფიქსები.

-იკ-უნ-ა: შალიკუნა, ვასიკუნა, დათიკუნა, დედიკუნა.

და, პირიქით: -უნ-იკ-ა — ბიჭუნიკა, დათუნიკა, სერგუნიკა, ცოტუნიკა.

-უნ-უკ-ა: ცოტუნუკა, ბეწუნუკა.

(#440)

-ინ-იკ-ა: ოლღინიკა, კოწინიკა, ლუკინიკა, ცოტინიკა, ბეწვინიკა.

-იკ-ალ-ა: თოფიკალა „სათამაშო თოფი“, ურიკალა (← ურმიკალა) „სათამაშო ურემი“, ნაძვიკალა, მინდვრიკალა.

-იკ-ელ-ა: პეტრიკელა, თამრიკელა, ვირიკელა, ჯორიკელა (ბოლო ორი ფორმა იხმარება გადატანითი მნიშვნელობით ადამიანთა მიმართ.

გლოლურში ყველა ამ ფორმას სახელობითში შესაძლოა დაერთოს ბრუნვის ნიშანი -ი → -ჲ: შიუკაჲ, ვალიკუნაჲ, სერგუნიკაჲ; კვერცხუკაჲ; გლოლურშივე მრავლობითში დასტურდება: თოფუკაები, თოხუნაები. სხვა კილოკავებში: თოფუკეები, თოხუნეები (ასიმილირებული ფორმებია).

მართალია, კნინობით სახელთა წარმოება ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ გარკვეული შეზღუდვები მაინც იჩენს თავს. მაგალითად, კნინობითი სახელები არ იწარმოება სახელზმნებისაგან, ტოპონიმებისაგან, ადამიანთა გვარებისაგან, ახალნასესხები სიტყვებისაგან (რადიო, ტექნიკუმი, ელექტრონი...), ახალწარმოქმნილი (ათწლედი...) და აბსტრაქტული (სიცოცხლე, კაცობა...) სახელებისაგან. მოქმედებს ფონეტიკური ფქტორიც: -უნ-ა არ გვხვდება სონორზე დაბოლოვებულ ფუძეებთან, -უკ-ა — უკანაენისმიერ გ, კ, ქ თანხმოვნების მომდევნოდ.

კნინობითი ფორმების წარმოება სოციალურადაც იყო შეპირობებული: თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს კნინობით ფორმით არ იხსენიებდნენ, გლეხობაში კი საკმაოდ გავრცელებული იყო: დავითი, მაგრამ — დავითუნა || დათიკუნა... (ა. კობახიძე).

თავისებური წარმოებისაა ზოგი სასუბიექტო მიმღეობა: მ-ხნ-ავ-ი „მხვნელი“, მ-თხო-ელ-ი „მთხოვარი“, მ-ცნა-ურ-ი „მეცნიერი, მცოდნე“, მე-ც-არ-ი „მეცნიერი, გულთმისანი“ („რვა ძმა-კაცი იყო. ამ რვაში ერთი ძალიან მეცარი იყო“). მ — არე აფიქსებიან მიმღეობათა ანალოგიით ჩანს ნაწარმოები მ-დიდ-არ-ე.

თავისებურებანი თავს იჩენს საობიექტო მიმღეობის წარმოების დროსაც: სა-ბმ-ურ-ი „საბელი“, სა-მუშა-ე „სამუშაო“... წასრული (← წასლული) „წასული“, შე-წუხ-ვ-ნ-ილ-ი „შეწუხებული“, დანარჩომი „დარჩენილი“... ყურადღებას იქცევს უარყოფის მიმღეობათა წარმოებაც (ფუძისა და საწარმოებელი აფიქსების თვალსაზრისით): უ-ცოდ-არ-ი „უცოდინარი“ (რივნისთაური), და-უ-ლევ-არ-ი (ქვემორაჭული).

გამოიყენება -ილ სუფიქსიანი მასდარები: ძებილი, ხადილი „წვეულება“, ხვეწილი.

გლოლურში იპოვება ზმნური წარმოების ზმნისართები: მიის „იქით“, მოის „აქეთ“.

(#441)

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები

ა) გვხვდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელის ორი სახეობა: სპორადულად, ისიც გლოლურში, სრული დაბოლოებით (ჭრელ-ი ნოხ-ი, ჭრელ-მა ნოხ-მა, ჭრელ-ს ნოხ-ს, ჭრელ-ის ნოხ-ის...) და დაბოლოებამოკვეცილი (ჭრელ-ი ნოხ-ი, ჭრელ ნოხ-მა, ჭრელ ნოხ-ს, ჭრელ ნოხ-ის...); იმავდროულად ხშირია შემთხვევები, როცა სალიტერატურო ქართულის ანალოგიური მდგომარეობაა (ჭრელ-ი ნოხ-ი, ჭრელ-მა ნოხ-მა, ჭრელ ნოხ-ს, ჭრელ-ი ნოხ-ის...);

ბ) ატრიბუტული მსაზღვრელი შეიძლება მიერთოს ზედსართავს „დიდი ძვირფასი კაცი იყო“) და ზმნისართს („ისეთი კარგად იყო“);

გ) ატრიბუტულ მსაზღვრელად რიცხვითი სახელის გამოყენებისას მსაზღვრელ-საზღვრული ხშირად მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: ცხრანი ლეკვანი (გლოლური), სამნი ძმანი, ოთხნი კაცნი (რივნისთაური). -ებ სუფიქსი კი მხოლოდ საზღვრულთან დაჩნდება: სამი ძმები, ორი მზეთუნახავები... ანალოგიური ვითარებაა ამ შემთხვევაშიც: ბევრი თევზები, ბევრი ბაღვები... (ქვემორაჭული, ზემორაჭული, რივნისთაური);

დ) ქვემორაჭულში მსაზღვრელად გამოყენებული „ამ“, „იმ“ ჩვენებითი ნაცვალსახელები თანხმოვნით ელემენტს იკვეცენ („ეს“, „ის“ ნაცვალსახელთა მსგავსად): ა კაცმა წაიყვანა „ამ კაცმა...“; და ასე: „ა მონადირის დედა“, „ა მზეთუნახავს მიჰპარვია“ (შ. ძიძიგური).

ე) როგორც ფონეტიკური მიმოხილვის დროს აღინიშნა, მართული მსაზღვრელი ხშირად ბრუნვის ნიშნისეულ -ს ელემენტს იკვეცს (განსაკუთრებით — რივნისთაურში): რკინი (= რკინის) კეტი, მეზობლი ბიჭი; ოქრო (= ოქროს) ბეჭედი, კალო (= კალოს) პირი (შ. ძიძიგური). გვხვდება მართული მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციის შემთხვევებიც: „ქმარს ქალისას“ და მისთ. ვ) რიცხვში სახელისა და ზმნის აზრობრივი შეთანხმების ნიმუშები: „სამი დევი იყვნენ“, წამოვიდოდენ ეს საწყალი ხალხი“, „სოფელმა ისინი დაჰოცნეს“... იმავდროულად შეინიშნა შეთანხმების დარღვევაც მაშინ, როცა სახელი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: „ცხრანი ყაჩაღნი შეხვდა“...

ზ) აქტიური სემანტიკის გამომხატველი გარდაუვალი ზმნების II სერიის ფორმებთან სუბიექტი შესაძლოა მოთხრობით ბრუნვაში დაი(#442)სვას: „მელიამ

წავიდა“, „ქალმა ენახშა (= ელაპარაკა)“, „ოფოფმა დეეთანხმა“, „შეჯდა ამ ცხენზე მაზლმა და წამოვიდა“ (შ. ძიძიგური);

თ) შეინიშნება ბუნვის ფორმათა შენაცვლების შემთხვევები: სახელობითის ნაცვლად დაჩნდება მიცემითი („მეფეს მოატყუეს“, „ასწიეს ჩელტით კაცს“), მიცემითის ნაცვლად — სახელობითი („ბოლოს მიაგნო მეფის შვილი ომში“, „ეს კაცი არ ესმოდა“, „თავის სახლი ვეღარ მიაგნო“, „ისე ეფერება ე ვაჟაჲ ამასა, როგორც თავისი სული“, „გული თან ამოაქვს ბიჭი“, „საჭმელ მიართმევდენ, როგორც დედოფალი“), მოთხრობითის ნაცვლად — სახელობითი („ე დათვი და მელა გასწიეს“, „გამოსწიეს აწე ეს სამნი ძმანი“, „ე ბიჭი დილაზე გამოსწია“).

ი) შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთაგან ბრუნვის ნიშანი შესაძლოა დაერთოს მხოლოდ მომდევნოს: „ბადრი (= ბადრის) და უსუბის უთხრა“.

კ) კავშირები: მარა, საძახა, რომელიცაღა, რაცაღა (ზემორაჭული); მარე, თვარა || თორემ, რავარც || როგორც, ვინემ (გლოლური); მარე, თვარე, რავაც || რავარც... „გააკეთა, რავარც დედამ აწავლა“ (რივნისთაური)... დადასტურდა ნახა „რახან, რადგან“ („ნახა ეგრეა, მოდიო“), თუ „რომ“ („ეგონა, თუ საჭმელს მიართმევდენ“), ხოლოთ, ოღონ, რა „რაც || როცა“ („რა ის წავიდა, მასუკან ხმა აღარ ისმის“). სხვა კავშირებთან ხშირად წარმოჩნდება „რომ“: სადაც რომ („მიატანა, სადაც რო ის დები არიან“), როცა რომ („როცა რო ღარიბად იყო, წახყვა“), რომელიც რომ (რომელმაც რომ, რომელსაც რომ...), რა რომ („რა რომ გათხოულვარ, მას უკანდელი არაფერი მახსოვს“) და მისთ. (შ. ძიძიგური). გვხვდება უკავშირო ქვეწყობილი კონსტრუქციებიც: „ვინა ხარ მოწიფულიო. წახვიდე და ღორი გასწყვიტოო“.

ლ) უარყოფის თავისებური ფორმები: „არაფერს მუშაობდა“ (გლოლური). ამ შემთხვევაში „არაფერს“ პირდაპირი ობიექტის დანიშნულებაც აქვს.

***

IV. ლექსიკა.

გამოიყოფა არქაული ფენა — განსაკუთრებით რივნისთაურსა და გლოლურში (ხრმალი || რხმალი, დია, ოვსი...), ოსურიდან ნასესხები ფუძეები — უპირატესად გლოლურში (ჯიკა „რძეში გამომცხვარი პური ან მჭადი“; შდრ. ოსური: ძიქქა; ნახშ-ობ-ა „ლაპარაკი“— გავრცელებულია მთელ რაჭულში; შ. ძიძიგური), მაგრამ უმეტეს წილ (#443) საკუთრივ დიალექტური ინოვაციები იჩენს თავს (ზოგჯერ— საზიარო ქართული ენის სხვა დიალექტებთან).

გლოლური: ბოში „გოგო, ქალიშვილი“ („ჰყავდეს ცხრა შვილი — ოთხი ბოში და ხუთ ვაჟაჲ“), უმალ „უწინ || ადრე || მალე“, ორკეცი „ორსული“, დეეწერა „შეეძინა“ („დეეწერა ერთი ვაჟაჲ; შდრ.: „თუ ვაჟაჲ გეწეროონო, გამომიგზავნეო“, „ამ ცოლქმართა არ ეწერა შვილი“)... მოხვე მშვიდობით! (მისალმების ფორმულა);

რივნისთაური: ავეჯი „ჩასაცმელი, სამკაული“, ბაღვი, ჩოინა, საწები „შეჭამანდი“, რიჟი „რიჟრაჟი“, გართვა „დაკარგვა“, წუალი, გულთმეცარი... ფრაზეოლოგიზმები: „აყვავდებოდა ის პურები“, „შევათბობთ რძეს, ხელს რო დაუწყებს კბენას, ჩაუკიდებთ საკიდელს“, „სისხლმა წატეხა“;

ზემორაჭული: ღარკავი „თავისუფალი ადგილი კედელსა და სახურავს შორის; ჭუჭრუტანა, ფარღალალა“, ლესური „სვე, ღვარეული“, შხივი „კლდეზე გადმომდინარი წყალი“, გაგნება „გაგება“...

ქვემორაჭული: უხვანი „უღრანი“, ბურული „გადახურული, ფარდული“... ფრაზეოლოგიზმი: შანი მოუგო...

ყოველი ფორმა აქ წარმოდგენილია იმ კილოკავიდან, სადაც ისინი ტექსტების მიხედვით იქნა ფიქსირებული, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მათგანი სხვა კილოკავშიც არ იპოვება. ზოგი საერთო რაჭულია.

ყურადღებას იქცევს სემანტიკური გადახრები, რაც საკმაოდ თვალშისაცემი მოვლენაა: ავეჯი „ჩასაცმელი, სამკაული“, ჩირგვი „ბუჩქი || ხის დამპალი ძირი“, ტან-ფეხი „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“, დიდი გლეხი „შეძლებული, მდიდარი გლეხი“, პატარა გლეხი „ხელმოკლე გლეხი“, გაგნება „გაგება“, გართვა „დაკარგვა“, დავარგება „დამწიფება, ხილის შემოსვლა“, აკარება სუფრისა „სუფრის ალაგება“, აყვავება „აფუება“.

ღირსსაცნობია ეთნოგრაფიული რეალიებისა თუ უძველესი დღესასწაულების ამსახველი ლექსიკა: მაკვრიელი „მეკვლე“, ბოსლობა, სამალულო, ჩიტიფაფაობა.

(#444)

თავი VI

6.1. დასავლეთ საქართველოს შუა ზონის დიალექტები. ამ ზონის დიალექტებად იმერული და ლეჩხუმური იქნა დასახელებული. იმერული კილო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზეა განფენილი, რაც განაპირობებს მის ნაირგვაროვნებას კილოკავებისა და თქმების მიხედვით. სხვაობა ზოგჯერ პრინმციპული ხასიათისაა და სისტემის დონეზეც კი იჩენს თავს. ამ რიგისაა, მაგალითად, სხვაობანი ბრუნებაში (ზემოიმერული: ბიცოლა, ბიცოლამ... ქვემოიმერული: ბიცოლე, ბიცოლამ...), მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანთა განაწილებაში (ზემოიმერული: წერენ, წერდენ, დაწერეს... ქვემოიმერული: წერენ, წერდენ, დაწერენ...), -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღვლილებაში (ზემოიმერული: მალავს || მალამს, მალევდა || მალემდა... ქვემოიმერული: მალავს, მალავდა...) და მისთ. ლეჩხუმური შედარებით კომპაქტური დიალექტია; მას ბევრი რამა აქვს საერთო ქვემოიმერულთან და ქვემორაჭულთან. იმავდროულად ლეჩხუმურში დაჩნდება სვანურთან და მეგრულთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგებიც, რაც განსაკუთრებით

ლექსიკაში ვლინდება; აშკარად სვანური ან მეგრული წარმოშობისაა ზოგი ლეჩხუმური ტოპონიმიც: ღვირიში, ქორენიში, ლაილაში, ლასურიაში, ონჭეიში... უცხერი, ლედეშტო, ლეშკედა, ხოჯი... (ქართული დიალექტოლოგია).

წმინდა გეოგრაფიული პრინციპით, ლეჩხუმური, რა თქმა უნდა, ზემო ზონაში მოექცეოდა (რაჭულთან ერთად), მაგრამ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ დიალექტოლოგიურ პრინციპს. ამ თვალსაზრისით კი ლეჩხუმური (ისტორიულადაც და ამჟამადაც) მეტ სიახლოვეს იმერულთან (უპირატესად კი —ქვემოიმერულთან) ამჟღავნებს. რაც შეეხება ქვემორაჭულთან მსგავსებას, ეს, თავის მხრივ, ქვემორაჭულზე ლეჩხუმურისა და იიმერულის გავლენით უნდა აიხსნას.

6.2. იმერული. იმერული ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტია, „ქართლურის შემდეგ იგი ყველაზე დიდი დიალექტური ერთეულია“ (ქართული დიალექტოლოგია). იმერულს (განსაკუთრებით— ზემოიმერულს) გარკვეული წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ტენდენციების წარმართვაში.

(#445)

იმერეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქართლი, დასავლეთით — სამეგრელო (მიჯნაა მდინარე ცხენისწყალი), ჩრდილოეთით — რაჭა და ლეჩხუმი, სამხრეთით — სამცხე (მესხეთი), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ეკვრის გურია.

იმერეთი გეოგრაფიულად იყოფა ორ დიდ რეგიონად: ზემოიმერეთად და ქვემოიმერეთად. ზემოიმერეთს აღმოსავლეთით აკრავს ლიხის (სურამის) ქედი, სამხრეთით — აჭარა-იმერეთის ქედი, ჩრდილოეთით — რაჭის ქედი, დასავლეთით კი გაშლილი სივრცეა, რომელიც გადადის კოლხეთს დაბლობში. „ამ დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილი, აგრეთვე მის სამხრეთით განლაგებული გორაკ-ბორცვები მოსაზღვრე მთს კალთებით უჭირავს ქვემოიმერეთს“ (ქ. ძოწენიძე). ქვემოიმერეთს სამხრეთით საზღვრავს სამცხე (მესხეთი), ჩრდილოეთით —ნაქერალას ქედი და ხვამლის მთა, აღმოსავლეთით — ზემოიმერეთი, დასავლეთით — სამეგრელო, სამხრეთ-დასავლეთით —გურია.

იმერეთი საქართველოს იმ კუთხეთაგანია, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი აქვთ მიჩენილი საქართველოს ისტორიაში. იმერეთი „ხან საქართველოს გაერთიანების ცენტრი იყო და ქ. ქუთაისი მთლიანი სამეფოს სატახტო ქალაქს წარმოადგენდა, ხან ნაწილობრივ შედიოდა ქართლის სამეფოში, რომლის საზღვრები არგვეთამდე (ზესტაფონის რაიონი) აღწევდა, ხან კიდევ ცალკე სამეფოდ, იმერეთის სამეფოდ იყო გამოყოფილი. იმერეთი ყოველთვის ცხოველ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურთან ერთად საქართველოს კულტურულ განვითარებაში“ (ქართული დიალექტოლოგია).

„იმერეთი“ წარმოშობით ეთნიკური სახელი არ არის. „იმერეთად“ მთელი ლიხსიქეთი იგულისხმებოდა, „იმერლებად“— დასავლეთ საქართველოს ყველა მცხოვრები, მაგრამ შემდგომ „იმერეთი“ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელწოდებად ჩამოყალიბდა, „იმერელი“— ეთნიკურ სახელად.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულლებაში „იმერეთი“ ძველი, ფართო მნიშვნელობით გამოიყენება — გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი... (ეწოდა) ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შეერთებისათჳს, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა“. შემდეგ ვახუშტი ეხება საკუთრივ იმერეთს, რომელსაც „ამ ჟამად... უწოდებენ ცხენისწყალს-ზეითს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე... და განიყოფის ესე (#446) იმერეთი: ვაკედ, ფერსათის კერძოდ, არგუეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად“. რაჭა-ლეჩხუმის გამოკლებით, ვახუშტის თხზულებაში აღწერილი ტერიტორია არსებითად წარმოადგენს კიდევ საკუთრივ იმერეთს.

იმერეთში ძირითადად წმინდა ქართული მოსახლეობაა. აბსოლუტური უმეტესობა საკუთრივ იმერლებია. სახლობენ აგრეთვე სამცხე-ჯავახეთიდან ადრევე გადმოსული კათოლიკე ქართველები (ქუთაისსა და მის მიდამოებში), რაჭველები (რომელთაც ჯერ კიდევ დაცული აქვთ რაჭული კილოს ზოგი თავისებურება), გურულები და მეგრელები (რომელთა სამეტყველო დიალექტი ამჟამად იმერულია). იმერეთში მცირე ჯგუფებად გვხვდება სომხები (დაბა ჩხარში) და ებრაელები, რომლებიც იმერულად უქცევენ. ქალაქ ადგილებში, ბუნებრივია, სახლობენ სხვა ერის წარმომადგენლებიც.

იმერული ორ მსხვილ კილოკავად განიყოფება: ზემოიმერულად (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი) და ქვემოიმერულად (თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი || ბაღდადი, ვანი, წყალტუბო, სამტრედია, ხონი). მათ შორის ხშირად ისეთი სხვაობა იჩენს თავს, რომ შესაძლებლად მიაჩნიათ ორი დამოუკიდებელი (ზემოიმერული და ქვემოიმერული) დიალექტის გამოყოფა (კ. კუბლაშვილი). ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის მკვეთრი ტერიტორიული მიჯნის დადგენა ძნელდება. გამოყოფენ გარდამავალ ზოლს (ოკრიბა-ტყიბულის, თერჯოლის, ბაღდათის რეგიონი), რომელსაც შუაიმერულს უწოდებენ *(ვ. ფანჩვიძე). მაგრამ შუაიმერული არ არის ერთიანი სამეტყველო სისტემა, თქმებად იშლება, რომელთაგან ზოგი (თერჯოლური) ზემოიმერულს უახლოვდება, ზოგიც (ოკრიბული, ბაღდათური) — ქვემოიმერულს. ამიტომაც ერთიან კილოკავად ამ რეგიონის მეტყველების გამოყოფა ჭირს (ქ. ძოწენიძე).

იმერულის კილოკავები რამდენიმე თქმას აერთიანებენ.

ზემოიმერულში, მაგალითად, ზოგი ნიშნით სხვაობს ხარაგაულური, საჩხერე-ჭიათურული და ზესტაფონური თქმები. ქვემოიმერულში მეტ-ნაკლები სხვადასხვაობა ახასიათებს თერჯოლურ (რომელიც ზოგი თავისებურებით ზესტაფონურს ეკედლება), ოკრიბულ, ბაღდათურ, აგრეთვე ვანურ, სამტრედიულ და ხონურ თქმებს, ასევე აბაშურ თქმას (აბაშის რაიონის იმერული სოფლების მეტყველებას). ქვემოიმერულის ზოგ თქმას (ხონურს, აბაშურს, ნაწილობრივ — სამტრედიულს) მეგრულთან უშუალო კონტაქტი დამჩნევია, ზოგსაც (ვანურს, ნაწილობრივ — სამტრედიულს) გურულთან ურთიერთობის კვალი ეტყობა. ბაღდათურში ვლინდება ზემოიმერულთან ურთიერთობის შედეგიც (#447) და იმავდროულად ნათლად გამოიხატება ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივი ტენცენციებიც (მომიჯნავე ტერიტორიების შესაბამისად).

თქმებში შეიძლება გამოიყოს ქცევები. მაგალითად, ვანურ თქმაშ გამოყოფენ უხუთურ ქცევას (სოფელ უხუთის მეტყველებას), თერჯოლურში — ჩხარულ ქცევას და მისთ.

საერთოდ კი, დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, „ზემოიმერული გაცილებით უფრო მონოლითურია, ვიდრე ქვემოიმერული“ (კ. კუბლაშვილი).

იმერული დიალექტი ღირსსაცნობია ისტორიული თვალსაზრისითაც. იმერულის თავისებურებანი მრავლად აისახა სხვადასხვა პერიოდის სიგელ-გუჯრებში (უპირატესად XV- XVI საუკუნეებიდან). მაგალითად, ფიქსირებულია ზოგი ისეთი მოვლენა, რომელიც დღესაც ახასიათებს იმერულს: ნემსაძე → მებსაძე || ნევსაძე, თევზაძე → თებზაძე; გვიშტიბი → გუშტიბი, ჭყვიში → ჭყუში და პირიქით; გუჯარი → გვიჯარი; ასევე: იყვნენ → იყონ; ან: მოახლე →მუახლე, დაიჭირა → დეიჭირა, გაისარჯა → გეისარჯა... ივანაი, მახარაი... სისხლის გარდახდა; მამეკრა, მამეცი; შაიქნა, შამომიწირავს... მათ აქვან „აქვთ“; ვინც არავინ სხვამა ვერ გთხოვოს-ყე (თქვენ) და მისთ. (შ. ძიძიგური, ი. ქავთარაძე). რა თქმა უნდა, ბევრი ამ მოვლენათაგანი სხვა დიალექტებშიც პოვებს ანალოგიას. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ქართული ენის დიალექტების შინაგანი იმპულსები და განვითარების ტენდენციები უპირატესად საერთოა.

***

I. ფონეტიკა.

იმერულის ბგერითი შედგენილობა არსებითად ახალი ქართულისებურია. სხვაობას სპორადულად იძლევა რამდენიმე ბგერა, რომელიც ამა თუ იმ ფონემის პოზიციურ ნაირსახეობას წარმოადგენს.

ჲ იშვიათია და, ჩვეულებრივ, მიიღება ი ხმოვნის დავიწროებით: ა) თავკიდურა პოზიციაში ხმოვნის წინ: ოკრიბული — შეაჭრა → შიაჭრა → შჲაჭრა, შეახმა →შიახმა → შჲახმა (ო. კახაძე); ხანურ-ზეგნური (ბაღდათური): მიართვა → მჲართვა, შდრ:

მოითმინე → მეითფინე → მეჲთფინე (პ. გაჩეჩილაძე); ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვნის მომდევნოდ: ძმაჲ, დაჲ, რაჲ, კაჲ... წადი → წაჲ, მოდი → მოჲ... უპირატესად ყველა ამ შემთხვევაში სრულხმოვანი ი ისმის. ჲ სპორადულად აჩნდება როგორც ე ხმოვნის იოტიზებული შემართვის შედეგი: ჲერთი, ჲექვსი (შ. ძიძიგური, ო. კახაძე).

(#448)

გვხვდება û: ა) თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ: თûალი, ჩûენ, მûაჭრა, წაართûა; ბ) ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ: ხნაû, ხერხაû, ლეწაû (პ. გაჩეჩილაძე, კ. კუბლაშვილი). ბაღდათურში დაჩნდება სხვა შემთხვევაშიც: ხ-თი დაწყებულ ფუძეებთან I სუბიექტური პირის ვ- ნიშანი განიცდის მეტათეზისს და წარმოითქმის û-დ: ვ-ხნ-ავ → ხვნ-აû →ხûნ-აû... თუ ამ პოზიციაში ფუძისეული ვ არის, მაშინ I პირის ნიშანი იკარგვის, ხოლო ფუძისეული ვ → û: ვ-ხვრეტ → ხûრეტ || ხûრეტაû (პ. გაჩეჩილაძე).

ქვემოიმერულის დასავლურ ზოლში (მეგრული მეტყველების მეზობლად) იპოვება ჷ, რომელიც, ჩვეულებრივ, იჭერს მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნის ადგილს — ცვლის -უ ხმოვანს: „ამას-უ, ამ სოფელს-ჷ́, თხმელარი თქვია“; „კმილები დავაგე ფარცხს-ჷ́ “. ჷ-ს, როგორც წესი, მახვილი მოუდის.

ხონურ თქმაში თავს იჩენს პალატალიზებული ლ ძალა, მალე, გლახა, დალპა... ფორმებში (შ. ძიძიგური).

აე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში გავრცელებულია მთელს იმერულში: აეღო → ეეღო, დაემალა → დეემალა, გადაეტანა — გადეეტანა || გედეეტანა. ცვლილებას ვერ აბრკოლებს ვ- პირის ნიშანი (დავემალე→ დევემალე); მ-, გვ-, გ- პირის ნიშანთა გამოყენებისას პარალელური ვარიანტებია: დამემართა || დემემართა, გაგეცალა || გეგეცალა; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში ზემოიმერულში პარალელურად გვხვდება: ბიძაები || ბიძეები, სიმღერაები || სიმღერეები. უპირატესობა მაინც არაასიმილირებულ ფორმებს ენიჭება. ქვემოიმერულში ძირითადი ფორმებია: ბიძეები, ამისანეები. ასიმილაციას წინ შესაძლოა უძღოდეს ბგერის დაკარგვა: გათავება → გათაება → გათეება, დაშავებული → დაშაებული → დაშეებული. მრავლობით რიცხვში -ეებ ზოგჯერ გაიაზრება ერთიან ფორმანტად: ილიკოსანეები.

ოე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ა) თავკიდურა პოზიციაში: მოეწონა →მეეწონა, მოერევა → მეერევა. ცვლილებას ვერ აბრკოლებს ვ- პირის ნიშანი (მოვეწონე→ მევეწონე); გვ- გ- პირის ნიშანთა გამოყენებისას პარალელური ვარიანტებია: მოგეწონა || მეგეწონა. მ- პირის ნიშნის წინ, ჩვეულებრივ, მო- → მა-: მამეწონა. ფუძისეული მ- ცვლილებას ოე → ეე არ აფერხებს: რომელი → რემელი. რთული (შედგენილი) ზმნისწინის პოვნიერებისას, წესისამებრ, იცვლება მხოლოდ მო- ზმნისწინის გახმოვანება: გამოეტანა → გამეეტანა. ზემოიმერულში,

ქართლის მოსაზღვრე რეგიონში, შესაძლოა პარალელუარდ დადასტურდეს ქართლურისებური ვითარება — მთლიანად შეიცვალოს რთული ზმნისწინის გახმოვანება: (#449) გემეეტანა; ბ) შეინიშნება ბოლოკიდურა პოზიციაშიც: ხბოები → ხბეები (ქ. ძოწენიძე), მაგრამ აქ ოე უპირატესად მაინც დისიმილაციის საფუძველზე იცვლება: ხბოები →ხბუები || ხფუები, ეზოები → ეზუები, გოგოები → გოგუები. დისიმილაციას შესაძლოა უსწრებდეს ბგერის დაკარგვა: მიატოვეს → მოატოეს → მიატუეს. ზოგჯერ დისიმილაცია დაჩნდება თავკიდურა პოზიციაშიც; უპირატესად ეს ეხება I სუბიექტური პირის ფორმებს — ვ- პირის ნიშნისა ან ფუძისეული ვ სონანტის დაკარგვისას: მოვეხმარე → მოეხმარე →მუეხმარე, მოვედი → მოედი → მუედი. ასე რომ, ამ დროს შეგვხვდება პარალელური ფორმები: მუეხმარე || მევეხმარე, მუედი || მევედი

აი, ოი → ეი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ა) თავკიდურა პოზიციაში: გაიტანა →გეიტანა, მოიტანა →მეიტანა. ვ- პირის ნიშანი პროცესს ვერ აბრკოლებს: გავიტანე → გევიტანე, მოვიტანე → მევიტანე. გვ-, გ- პირის ნიშანთა გამოყენებისას ცვლილება არ ხდება; მ- პირის ნიშნის პოვნიერებისას მო- → მა-: მომიტანა → მამიტანა... ხსენებული ფონეტიკური ცვლილება შესაძლოა მოხდეს სიტყვის ფუძეშიც (ქუთაისი→ ქუთეისი) და ენკლიტიკის დროსაც (რა იქნა → რე იქნა). ქართლის მოსაზღვრე რეგიონში ზემოიმერულს არ ახასიათებს ოი → ეი ცვლილება, მაგრამ ხდება აი → ეი: გაიტანა →გეიტანა; გადაიტანა → გადეიტანა || გადიტანა (ზმნისწინისეული ხმოვნის ჩავარდნით); ან: გედეიტანა || გედიტანა (გ. ახვლედიანი); ზემოიმერეთის დასავლურ რეგიონში კი პარალელურად გვხვდება: მოიტანა || მეიტანა, მოიკეთა || მეიკეთა. ქვემოიმერულში უპირატესობა ასიმილირებულ ფორმებს ენიჭება: მეიტანა, მეიკეთა. სამტრედიულ თქმაში პროცესი უფრო შორს მიდის: აი და ოი კომპლექსები სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იძლევა იი კომპლექსს: დაიჭირა →დეიჭირა → დიიჭირა, გადაიტანა → გადეიტანა → გადიიტანა || გიდიიტანა → გიდიტანა (ზმ,ნისწინისეული ხმოვნის დაკარგვით), მოიტანა → მეიტანა → მიიტანა, მოიქნია → მეიქნია → მიიქნია (ემთხვევა მი- ზმნისწინიან ფორმას); რთულ ზმნისწინში იცვლება მეორე კომპონენტი: გამოიტანა → გამეიტანა →გამიიტანა; და ასე: გამოიღვიძა → გამიიღვიძა, წამოიყვანა → წამიიყვანა. I სუბიექტური პირის ფორმებში ხდება მეტათეზისი: წამოვიყვანე → წამევიყვანე →წამივიყვანე || წამიივყვანე (კ. კუბლაშვილი). როგორც ვნახეთ, ვ- პირის ნიშანი პროცესს ვერ აბრკოლებს (გავიტან→ გივიტან, დავიჭირავ → დივიჭირავ); მ-, გვ-, გ- პირის ნიშანთა მქონებლობისას ცვლილება არ ხდება; ბ) სახელთა ბოლოკიდურა პოზიციაში ქვემოიმერულში (უპირატესად სამტერდიულ და ვანურ თქმებში): აი → ეი → ე — სახელობითი: მამაი → მამე, ბიცოლაი → ბიცო(#450)ლე, დანაი → დანე; ნათესაობითი: მამაის →მამეს, ბიცოლაის →ბიცოლეს, დანაის → დანეს; მოქმედებითი: მამაით → მამეთ || მამეჲთ, ბიცოლაით → ბიცოლეთ || ბიცოლეჲთ, დანაით → დანეთ || დანაჲთ. დანარჩენ ბრუნვებში ფუძის ბოლოდიკურად -ა შენარჩუნებულია (მამამ, მამას; ბიცოლამ,

ბიცოლას, ბიცოლათ...). ასე ცვლილმა ხმოვანმა, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს რეგრესული ასიმილაცია: პატარაი →პატარე → პეტერე. ზოგჯერ -ე დაბოლოებიანი ფორმა ფუძედ გაიაზრება და მაშინ -ე ყველა ბრუნვაში დაჩნდება: ბიცოლეი, ბიცოლემ, ბიცოლეს, ბიცოლეს || ბიცოლეჲს... ზემოიმერულის დასავლურ რეგიონში ანალოგიური რამ ახასიათებთ მხოლოდ საკუთარ სახელებს: მანანა→ მანანე, მანანემ, მანანეს... ამგვარ ფორმებს მხარს უმაგრებს პეტრე, ისიდორე ტიპის სახელები.

აუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში: გაუტანა → გოუტანა , აუცილებელი →ოუცილებელი; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: აქაური → აქოური, სადაური → სიდოური; გ) პროცესი ხდება ენკლიტიკის შემთხვევაშიც: რა უყავი →რო-უყავი. შევნიშნავთ, რომ გადა- ზმნისწინი უ-პრეფიქსის წინ, ჩვეულებრივ, იკვეცს ბოლოკიდურ ხმოვანს: გადაუტანა → გოდოუტანა || გოდუტანა (ასევე: გადოუტანა || გადუტანა). აუ → ოუ, როგორც წესი, შემდგომ აღარ იცვლება (რაც საერთოა იმერულის ყველა თქმისათვის); აუ → ოუ → უუ (სრული რეგრესული ასიმილაციით) შესაძლოა დადასტურდეს მხოლოდ ქვემოიმერულის დასავლურ რეგიონში, გურული და მეგრული მეტყველების მეზობლად: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა, გაუნათლებელი → გოუნათლებელი →გუუნათლებელი || უგუუნათლებელი.

ქვემოიმერულში იმთავითვე მოცემული ოუ შეიძლება იცვალოს სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: მოუტანა → მუუტანა, მოუგონა →მუუგონა, გამოუტანა → გამუუტანა (შ. ძიძიგური).

იუ → უუ, სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე, ჩვეულებრივი მოვლენაა ზემოიმერულში; თავს იჩენს ქვემოიმერულშიც: მიუტანა →მუუტანა, მიუსწრო →მუუსწრო, მიუბრუნდა → მუუბრუნდა, მიუცია → მუუცია.

ეუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში: შეუტანა → შოუტანა, შეუყვარდა → შოუყვარდა, შეუჭმელი → შოუჭმელი. ზემოიმერულში ცვლილება ხდება ეუბნება → ოუბნება, გეუბნები →გოუბნები, მეუბნები →მოუბნები ფორმებშიც (ქ. ძოწენიძე); ბ) სიტყვის ფუძეში: ბროწეული → ბროწოული, აპეური →აპოური; გ) ბოლოკიდურა პოზიციაში: წლეულს → წროულს (თან ერთვის ლ-ლ → რ-ლ რეგრესული დისიმილაციაც).

(#451)

ია ბოლოკიდურა პოზიციაში იძლევა იი კომპლექსს: ბიძია || ბიძიე →ბიძიი, ნალია || ნალიე → ნალიი, პეტრია || პეტრიე → პეტრიი. იგივე კომპლექსი ფუძის შიგნით ხშირად წარმოდგენილია როგორც იე: ნიავი → ნიევი, ციაგი → ციეგი.

იე ქვემოიმერულში სრული ასიმილაციით იძლევა ეე კომპლექსს: „უნდა მეეცა მისთვის“; „უნდოდა მეფეს მეეღო ვეზირი“ (კ. კუბლაშვილი). ეო ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: ასიმილირებული: ეო- → ოო (მეორე→მოორე ||

მორე) და დისიმილირებული: ეო →იო (მეორე→ მიორე, მდგომარეობა → მდგომარიობა).

ოა → უა, ასევე: ოე → უე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე: მოახერხა → მუახერხა, გამოაღვიძა → გამუაღვიძა. შესაძლოა წინ უსწრებდეს ბგერის დაკარგვა: მოვა → მოა → მუა. ოე- → უე ცვლილების შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული.

დისიმილაცია ხდება ეა → ია კომპლექსშიც: შეაგდო → შიაგდო, შეასრულა → შიასრულა; საქათმეა → საქათმია, საღორეა → საღორია (შ. ძიძიგური). ოლრიბულში პროცესი უფრო შორს მიდის: შჲაგდო (ო. კახაძე).

ბაღდათურში (ხანურ-ზეგნურში) ია → ჲა (მიართვა→ მჲართვა), აი, ოი → ეი (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით) → ეჲ (პროგრესული დისიმილაციით): წაიღო → წეიღო →წეჲღო; მოითმინა → მეითფინა → მეჲთფინა (პ. გაჩეჩილაძე). ი : ჲ, ჩანს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინტენსივობის მახვილი მოუდის წინამავალ ხმოვანს.

დისტანციური დისიმილაცია ივარაუდება აა → ეა გადაბგერებისას: შაქარი → შექარი, დავა →დევა (კ. კუბლაშვილი).

ვა →უა თანხმოვნის მომდევნოდ: წაართვა → წაართჳა, დაწვა → დაწჳა (კ. კუბლაშვილი) და, პირიქით, უა →ვა. უარესი → ვჲრესი. ამ შემთხვევაში პროცესი მახვილის მოქმედებასთანაა უშუალოდ დაკავშირებული.

ვა → ო: სხვაგან → სხოგან, სხვაფერ → სხოფერ; მოართვა → მუართო. პროცესი შეზღუდულად მოქმედებს.

ვე →ო: ქვეყანა → ქოყანა, ყველაფერი → ყოლიფერი, ყველგან → ყოლგან, ჩვეულება → ჩოულობა, დაწვება → დაწობა, მოყვება →მოყობა, არკვევს → არკოვს, აჩვევს → აჩოვს, ქვემოთ → ქომოთ> საკმაოდ გავრცელებულია მთელს იმერულში.

ვი → უ: წვიმს →წუმს, გათხოვილი →გათხოული, უჩხვლიტა → უჩხუტა (უსწრებს ლ სონანტის დაკარგვა), გვიმრა → გუმრა, წყურვილი → წყურული.

(#452)

ზოგჯერ ო გვაქვს ევ კომპლექსის პოზიციაში: კიდევ → კიდო.

ო-ს პოზიციას იჭერს შესაბამისი კომპლექსები: ხვარაგი „ხორაგი“; ქვებულეთი „ქობულეთი“.

თავკიდურა პოზიციაში პაუზის მომდევნოდ ო ხმოვნის წინ ვითარდება; წარმოიქმნება ûო კომპლექსი: ორი → ûორი, ოცი → ûოცი, ომი → ûომი, ობოლო → ûობოლი, ოჯახი → ûოჯახი.

დადასტურდა (მაგალითად, ოკრიბულში) ო ხმოვანზე მ სონანტი ზეგავლენაც — ხდება ასიმიალაცია: ხომ → ხუმ, მდგომარეობა → მდგუმარეობა (ო. კახაძე).

ფართოდაა გავრცელებული ხმოვნის სინკოპე სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში (წელიწადი→ წელწადი, იმიტო → იმტო) და ელიზია: ქე არ → ქ-არ, კი არაფერი → კ-არაფელი (ამავე პოზიციაში ჩვეულებრივია ხმოვნის დავიწროებაც: ხო არ →ხუ არ → ხვ-არ, თუ არ → თვ-არ).

თვალსაჩინოდ მოდუნებულია ფუძის კუმშვა და კვეცა (განსაკუთრებით — ქვემოიმერულში): წყალის, წყალით... ხეის, ხეით... მაშვალები, მაშვალობა... რედუქცი შესაძლოა მოხდეს კომპოზიტებში: ქარის, ქარით, მაგრამ: „ქვენაქრით მევიდა თოვლი“; „ამეიქვენაქრებს“.

ნასესხებ სიტყვებში პალატალური თანხმოვნის გადმოცემისას (უპირატესად ეს ეხება ლ სონანტს) ჩნდება ი ხმოვანი: პალტო → პალიტო.

გვაქვს ალიტერაციის საფუძველზე მომხდარი რედუქციის შემთხვევები ხატოვან შესიტყვებებში: „ჭინკა დრით ჩამევიდა და ახლა ავდრით წავა“.

იმერულისათვის დამახასიათებელია ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციაც: სახლზე → სახზენ, ცოტათი → ცოტათინ.

მახვილი იმერულში მკვეთრად განსხვავებულია კილოკავებისა და ზოგჯერ თქმების მიხედვითაც; იმავდროულად ხერხდება მეტ-ნაკლებად ზოგადი ტენდენციის დადგენაც.

ივარაუდება, რომ ზემოიმერულში გვაქვს „დინამური მახვილი ტონური მახვილის ელემენტებით. ზოგჯერ ფრაზაში შემავალ რომელიმე სიტყვაში, ხანდახან ყოველ სიტყვაშიც კი შეინიშნება ხმის აწევა... ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის და ტონიც მაღლდება“ (ქ. ძოწენიძე): „ვíსვავ ხომე წამალს და მíრჩება“; „ზღაპარი, ბატონო, რა არი“; „éფაროს ეგ ტომაჲრაი“; „ძროხა გოუყíდია ახლა“.

კითხვითი ნაცვალსახელის შემცველ წინადადებაში მახვილი მოუდის მასაც და ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანსაც: „ვíნ თქვა éგე?“ „რაჲ გინდა შენე ჲქა?“; კითხვით ნაცვალსახელს, (#453) ჩვეულებრივ, ენკლიტიკურად მიერთვის მომდევნო სიტყვა: „რაჲ-უჭირს მéრე?“; თუ წინადადებაში არ არის კითხვითი ნაცვალსახელი (ან ნაწილაკი), გრძელდება ბოლოკიდური ხმოვანი: „ასე იყო მართლā?“

თავისებურად გამოხატული მახვილი ახასიათებს ოკრიბულს: თხრობით წინადადებაში ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან პირველი ხმოვანი ტონური მახვილის გამო გძელდება, ბოლოდან მეორე ხმოვანს კი მკვეთრი მახვილი მოუდის (კ. კუბლაშვილი): „ძლივს არ ამოვაწიე ამ სიცხéშī!“ „ქე მევიდა მéრē“. განგრძობითი მოქმედების გამოსახატავად თხრობითსავე წინადადებაში გრძელდება ბოლოკიდური

სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალი: „დაადებს თავს და მīდის“, „ჩვენ საქმეს ვეწევით ყვēლა“. კითხვით წინადადებაში მახვილი მოუდის ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან პირველ მარცვალს და აგრძელებს მას: „თუთუნი გინდā?“ „მოხვალ დღēს?“ „რა უთხარი იმასē?“ „რათი ამუათრიე მაინცē?“ (ო. კახაძე).

ქვემოიმერულში მახვილი, წესისამებრ, მოუდის წინადადებაში ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანს, ხოლო მომდევნო ხმოვანი სუსტდება: „იმან არ იცოდა თხóვă“, „რავა ტყულათე ელაპარაკéბĭ“. ერთმარცვლიან სიტყვებში მახვილი იწვევს ხმოვნის დაგრძელებას. ქე არ → ქ-არ დადასტურებითი ნაწილაკ-მორფემოიდის მქონებლობისას მკვეთი მახვილი მას მოუდის, ხოლო ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან პირველი ხმოვანი გრძელდება: „ქаრ მეტეკა ძაღლი ფეხებშī!“; დამოკიდებულ წინადადებას ქვემოიმერულში ხშირად დაერთვის ბოლოს დადასტუდებით ხომ → ხო ნაწილაკ-მორფემოიდი მაშინ, როცა დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს; ხომ || ხო ნაწილაკის ხმოვანს მახვილი მოუდის და აგრძელებას მას: „რომ ჩაიცვამს ახლა ხō, მაშინ ნახეთ რაფერი შესახედავია“; „წეხან რო კაცი მოდიოდა ხō, თურმე გიორგი ყოფíლა“ (კ. კუბლაშვილი).

ასეთია ფრიად ზოგადი სურათი. თქმების მიხედვით კი, როგორც ითქვა, ხშირად საკმაოდ წარმოჩენილი ნაირგვაროვნებაა (ეს ეხება ისე ახლო მდგომ თქმებსაც კი, როგორიცაა ხონური და სამტრედიული ან სამტრედიული და ვანური, თერჯოლური და ჩხარული...).

მრავალფეროვანია თანხმოვნებთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებებიც.

დასტურდება თანხმოვანთა როგორც რეგრესული (გვერდში→ გვერთში, ამხანაგი →აფხანაკი, ნემსი → ნეფსი, ნივთი →ნიფთი, კავშირი → კაფშირი, მტვერი → პტვერი, საბჭო → საპჭო, ბოჩკა →ბოჭკა, აქეთკენ → აქეტკენ, სახლითგან → სახლიდგან || სახლიდგინ, ვანითგან →ვანიდგან || ვანიდგინ... სახლში → შახში, საშველი → შაშველი, კმაყოფილი → ყმაყოფილი...), ასევე პროგრესული (ტბა→ ტპა, (#454) საყდარი → საყტარი, ხბო → ხფო, მწიფდება →წიფთება, წახდება → წახთება, დაკუტდება → დაკუტტება... კვდარი → კვტარი, შამოხვდა → შამოხვთა, დაფიქრდა → დაფიქრთა...) ასიმილაცია. ზემოიმერულში ქართლის მოსაზღვრე რეგიონში პროგრესული ასიმილაცია შესუსტებულია; ზოგჯერ პარალელურადაა წარმოდგენილი არაასიმილირებული და ასიმილირებული ფორმები.

ღირსსაცნობია: ვინ-ცა-ღა, რა-ცა-ღა ორ ნაირსახეობას იძლევა; რეგრესული ასიმილაციით: ვინძაღა, რაძაღა; პროგრესული ასიმილაციით (რასაც უსწრებს ხმოვნის სინკოპე): ვინცხა, რაცხა. გვხვდება კონტამინირებული ვინძახა, რაძახა ფორმებიც.

თანხმოვანთა დისიმილაციის ტიპიური ნიმუშებია: ა) პროგრესული: ერთჯერ → ერთჯელ, რავარი → რავალი, ომამდელი → უმანდელი (ახლავს ო → უ ლაბიალური მ სონანტის მეზობლობის გამო), გუშინწინ → გუშინწილ, ცხენოსანი → ცხენოსალი, ალალი → ალანი, კონსტანტინე →კო(ნ)სტანტილე; ბ) რეგრესული: სულელი → სუნელი, ბამბა → ბანბა, წლეულს → წრეულს || წროულს (ახლავს ეუ → ოუ რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე). არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ფორმას მოეპოვება პარალელური ნაირსახეობანი, მიღებული როგორც პროგრესული, ასევე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე: კანონი → კანოლი || კალონი.

ხშირია მეტათეზისის შედეგად მიღებული ცვლილებები; ხდება შენაცვლება: სონანტებისა (ძლიერ→ ძრიელ, მადლიერი → მადრიელი, ბნელი →ბლენი, ძლივას →ძვილა, ძმრის → ძრმის), სონანტისა და ხშულისა (დასაბმელი→ დასამბელი, გრილი → რგილი, რგოლი →გროლი, წიგნი → წინგი), სპირანტებისა (ხსნილი→სხნილი, მოხსნა →მოსხნა, მასხრობს →მახსრობს), სონანტისა და სპირანტისა (ღრმა→რღმა, გაჟონა → განოჟა), სპირანტისა და ხშულისა (გადასარევი→ გასადარევი), ხშულებისა (ფქვილი→ ქფილი — თან ახლავს ვ ბგერის დაკარგვა); თანხმოვნისა და ხმოვნისა (შეხვედრია→შეხვდერია; ფილტვი →ფლიტვი, ღირსი → ღრისი, ჩლიქი → ჩილქი, სულგუნი → სლუგუნი, ჯირკი → ჯრიკი, ზურგი → ზრუგი). არის შემთხვევები, როცა ცალკეული ბგერა განიცდის მეტათეზისს (საძირკველი→ სარძიკველი, ბევრი → ბრევი. კვერნა → რკვენა); ზემოიმერულში ჩვეულებრივია ვნახე → ნავხე, მნახა → ნამხა, მნახველი → ნამხელი. გვხვდება ქვემოიმერულშიც. რთული (ორმაგი) მეტათეზისის ნიმუშია ბროწეული → ბერწოული (ე გადაისმის ბრ კომპლექსს შუა, ხოლო ოწ → წო). იმავდროულად მეტათეზისის გარეშე შესაძლოა შეგვხვდეს ფორმები, რომელთათვის სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში ბგერათ (#455)გადასმაა ნიშანდობლივი: მოკლვა (შდრ.: მოკვლა), ხნვა (ხვნა), ხრვა (ხვრა), შეკრვა (შეკვრა).

განიღჩევა აფრიკატიზაციის სამი შემთხვევა: ა) სპირანტის გააფრიკატება სონანტის კონტაქტური ან დისტანციური მეზობლობისას: განზრახ → განძრახ, პენსია →პენცია, მოიპარსა →მოიპარცა, ხარშავს → ხარჩავს, სოფელში → სოფელჩი, თითქმის →თითქმიც, მისდღეში → მისდღემში (მ სონანტის განვითარებით) →მისდღემჩი... ბ) სპირანტის გააფრიკატება გ ხშულის მეზობლად: საგზალი → საგძალი; შდრ.: ჟანგი → ჯანგი. გ) აფრიკატიზაცია შესაბამისი ხშულისა და სპირანტის შერწყმის შედეგად: წუთში →წუჩი, ხუთშაბათი →ხუჩაფათი, გვერდზე → გვერძე, ფერდზე → ფერძე, მკერდს → მკერთს (რეგრესული ასიმილაციით) → მკერც, ღმერთს → ღმერც. ზოგჯერ აფრიკატიზაციას განიცდის ხშულიც: ტვირთი → ჭვირთი...

საპირისპიროდ, შეინიშნება დეზაფრიკატიზაციის ტენდენციაც (ზოგჯერ იმავე პოზიციაში, სადაც აფრიკატიზაცია ხდება): ტაძარი → ტაზარი, მოიძულა →მოიზულა, ჩრდილი → ჩდილი → ჩთილი (პროგრესული ასიმილაციით) → შთილი (დეზაფრიკატიზაციით) || ტშილი (შთ → შტ დისიმილაციით) ანალოგიურია:

დააჩნდა →დააჩდა → დააჩთა →დააშთა || დააშტა; შემდეგ: ოცდაათი → *ოსდაათი (დეზაფრიკატიზაციით)→ ოზდაათი (რეგრესული ასიმილაციით), გადაუწია → *გადაუსია (დეზაფრიკატიზაციით)→ გადაუზია (ასიმილაციით). ხშირია დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები სწ კომპლექსში: სწორი → სტორი, სწავლა → სტავლა, გაასწრო → გაასტრო... ქვემოიმერულის დასავლურ რეგიონში სწ || სტ კომპლექსს ზოგჯერ ცვლის „ინტენსიური“ ს: სორი, სავლა, გაასრო. (სწ ზოგ შემთხვევაში იცვლება ხწ კომპლექსად; იხ. ქვემოთ).

სუბსტიტუციის დროს ხშორად ვადასტურებთ ერთმანეთის საპირისპირო პროცესებს.

ჩვეულებრივ, ვ : მ ხდება თანხმოვნისა და პაუზის წინა პოზიციაში: ნავთი →ნამთი, სავსე → სამსე, ხავსი → ხამსი... ზემოიმერულში ამ პოზიციაში ხშირია -ავ : -ამ შენაცვლება თემის ნიშნებში: თესავ → თესამ, თესავს → თესამს; და ასე: ხნავს → ხნამს, კრეფავს → კრეფამს, იჭირავს → იჭირამს... ნამყო უსრულში: ხნევდა || ხნემდა, თესევდა || თესემდა. ანალოგიურად: თოვს → თომს, ახსოვს → ახსომს. ქვემოიმერულს თემის ნიშანთა ამგვარი შენაცვლება არ ახასიათებს (სპორადულად იჩენს თავს ზემოიმერეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე). ვ : მ ორივე კილოკავში ზოგჯერ ხმოვნის წინა პოზიციაში დასტურდება: კარავი → კარამი, დაავიწყდა → დაამიწყტა, მძივი → ძიმი (ახლავს მ თაკიდურა ბგერის დაკარგვა) და იმავდროულად იმავე პოზიციაში (#456)დადასტურებულია მ : ვ: აბამ → აბავ, აბამს → აბავს; და ასე: ჩაასხამს → ჩაასხავს, დადგამს → დადგავს. ზემოიმერულში — დადგემენ || დადგევენ, აბემენ || აბევენ. თემის ნიშნის ანალოგიით: იზამს → იზავს.

შეინიშნება მ : ნ (სიმდიდრე→ სინდიდრე, სამსახური → სანსახური, უმცროსი → უნცროსი, დამწიფდა → დანწიფდა, დედამთილი → დედანთილი, გაჩუმდა →გაუჩნდა, იმღერებს → ინღერებს, აბრეშუმი → აბრეშუნი) და მის გვერდით — ნ : მ (ინტერესი→ იმტერესი, სანთელი → სამთელი, განცხადება → გამცხადება, ნეჯერჩხალი →მეკერჩხალი);

ასევე — ბ : მ (კბენს→ კმენს, ყბედი →ყმედი) და — მ : ბ (მრუდი→ ბრუდი, ქალამანი → ქალაბანი, მრავალი →ბრავალი — შესაძლოა აქ „მრავალი“ და „ბევრი“ ფორმათა კონტამინაციასაც ედოს წილი).

სხვა შემთხვევებიდან ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: ვ : ბ (პარაკევი→ პარასკები, თევზი →თებზი, კოვზი → კობზი, ვარცხნის → ბარცხნის), გ : ღ (ყველგან→ ყოლღან — ახლავს ვა → ო მონაცვლეობაც), რ : ლ (ბურთი→ბულთი, კერპი → კელპი, ტირიფი → ტილიფი, ხურმა →ხულმა, გოგირდი → გოგილდი) და, საპირისპიროდ, ლ : რ (დანაშაული→ დანაშაური); ს : ხ (სწორი→ ხწორი, სასწორი → სახწორი), ვ : ქ, უფრო სწორად — ვ: ქვ (ქ-ს განვითარებით), შემდეგ კი: ქვ → ქ (ავტო→ აქვტო →აქტო). მონაცვლეობს სტ → შტ კომპლექსი (ნესტორა→ ნეშტორა).

იმერულის ყველა კილოკავისა და თქმისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთა განვითარებისა და დაკარგვის შემთხვევები. ზოგჯერ ერთსა და იმავე პოზიციაში ორივე შესაძლებლობაა განხორციელებული.

იკარგვის ს: მიცემითი ბრუნცის ნიშანი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან („საჭმელ ჭამდა“, „დედოფალ მახარობელი გაუგზავნეს“), ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაირსახეობა ფუძეუკვეცელ სახელებთან („წყარო პირზე“), ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშნისეული ელემენტი („ჭური თავზე“, „წინდი ჩხირი“, „ყურძნი კრეფა“), III პირის ნიშანი „აქვს“, „ჰყავს“... ზმნებთან (აქვ→ აქ, მიაქ → მიაქ, ყავ...). ზემოიმერულში მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს შესაძლოა დაიკარგოს ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ პირის ნაცვალსახელებთანაც (ამა წავიყვან „ამას წავიყვან“; მევიყვან იმა „მოვიყვა იმას“; დავჭრი მაგა „დავჭრი მაგას“).

-თან თანდებულის დართვისას მერყეობაა (უპირატესად ზემოიმერულში): შესაძლოა დაიკარგოს როგორც თანდებულისეული -თ, ასე(#457)ვე ბრუნვის ნიშანი -ს (როგორც ხმოვანზე, ასევე თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან): ხესან || ხეთან, სტუმარსან || სტუმართან.

იკარგვის: დ ხმოვანთ შორის (სადილი→ საილი, როდის →როის, შედი → შეი. ზემოიმერულში გვხვდება: მადანა → მაანა, სადანა → საანა), ზოგჯერ — ბოლოკიდურა პოზიციაშიც (არსად→ არსა); ლ თანხმოვანთ შორის (სახლში→ სახში, ბოთლში →ბოთში, თაფლს → თაფს, კლდე → კდე, დააკლდა → დააკდა || დააკტა, ძაღლმა → ძაღმა); ლ შეიძლება დაიკარგოს ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ (ხელმწიფე→ ხემწიფე, საპალნე → საპანე, ცალკე →ცაკე), თავკიდურა პოზიციაში (ლხინი→ხინი), ბოლოკიდურა პოზიციაში (სულ→სუ).

ხშირად იკარგვის ბგერათკომპლექსიც: რგ (კარგათ→ კაათ), სპ (მასპინძელი→ მაინძელი), რი (აზნაურიშვილი→ აზნაუშვილი → აზნოუშვილი; ახლავს აუ → ოუ ასიმილაციის საფუძველზე).

ზოგი თანხმოვნის დაკარგვა თითო-ოროლა შემთხვევით შემოიფარგლება: ბ (უბნობს→უნობს || უნოფს), გ (მაგრამ→ მარამ || მარა, რაგვარი → რავარი), ძ (ჭილაძის→ ჭილაის), თ (თითისტარი→ თიისტარი), ჩ (გაჩეჩილაძე→ გაჩეილაძე), ც (მაინც→ მაინ), წ (დღესასწაული→ დღესასაული, მოსწრებული → მოსრებული; იხ. ზემოთ: სწ კომპლექსის ცვლილებანი)...

როგორც უკვე ითქვა, ხშირად ხდება ისე, რომ ვადასტურებთ ერთი და იმავე ბგერის დაკარგვისა და გაჩენის (ჩართვის) შემთხვევებს: იკარგვის ვ — ინტერვოკალურ პოზიციაში (ვიყავი → ვიყაი, მოყევი → მოყეი), ო ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში (იპოვნა → იპონა) და ჩაერთვის ვ — ინტერვოკალურ პოზიციაში (პოეტი → პოვეტი, საშინაო → საშინავო, საბოლოო →საბოლოვო), თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ (მხეცი→ ხეცვი, ცოცხი →

ცოცხვი, შხეფი → შხვეფი, თოკი →თოკვი, ბოძი → ბოძვი). იკარგვის მ — თავკიდურა პოზიციაში — როგორც ფუძისეული, ასევე ფორმანტი (მთა→ თა, მხეცი → ხეცი || ხეცვი, მგელი → გელი, მზეთუნახავი → ზეთუნახავი,მტერი → ტერი, მწარე → წარე, მჩატე → ჩატე, მწიფე → წიფე, მგზავრი → გზავრი, მდიდარი →დიდარი, მჭედელ ი→ ჭედელი, მშიერი →შიერი), ბოლოკიდურა პოზიციაში (ხომ→ ხო, რომ → რო, რატომ → რატო, თორემ → თორე) და იმავდროულად ვითარდება მ (ჯიში→მჯიში, ბალი → მბალი, წყნარი →მწყნარი — ჩანს, მ — არ ცირკუმფიქსიანი ფორმების ანალოგიით; უფრო →უმფრო, იჯავრა →იმჯავრა, იწვალა →იმწვალა, იდარა →იმდარა, გამოუცხადა → გამოუმცხადა, დაატყვევა → დაამტყვევა). იკარგვის ნ, (#458) ჩვეულებრივ, დ თანხმოვნის წინ (მინდორი → მიდორი, სიმინდი → სიმიდი) და ჩაერთვის ნ (ყმედი→ ყმენდი, აგროვებს →ანგროვებს || ანგრუებს, გოგრა → გონგრა, მაჩვი →მანჩვი, ხალიჩა →ხალინჩა, კიტრი →კინტრი, ვიწრო → ინწრო, სადღეგრძელო → სადღინგძელო — თანმხლები პროცესებია: ე-ს დავიწროება და რ-ს დაკარგვა; ზემოიმერულში დამოწმებულია აგრეთვე: აგრე → ანგრე). რ, ჩვეულებრივ, იკარგვის — თანხმოვნებს შორის (ბრძანა→ ბძანა, ფრჩხილი → ფჩხილი, ფრთხილი ფთხილი, ფრთა → ფთა, ჩრდილი →ჩდილი → ჩთილი → შთილი || შტილი, დამრჩა → დამჩა), პაუზის მომდევნოდ თავკიდურა პოზიციაში (რკინა→კინა, რცხილა →ცხილა, რობაქიძე → ობაქიძე), ხმოვნებს შორის (არაფერი→ააფერი || აფერი; გვხვდება ასეც: არაფელი) და ამასთანავე რ ვითარდება — პაუზის მომდევნოდ თავკიდურა პოზიციაში (ძღვენი→ რძღვენი), ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ (ადგილი→ არდგილი, უცხო →ურცხო, ეხვეწება → ეხვერწება, ფოთოლი → ფორთოლი, აწვალა → არწვალა, ღვიძლი → ღვირძლი, სათაკილო → სართაკილო, იხვი → ირხვი, ფაქიზი → ფარქიზი, ქვიშა →ქვირშა, მაგალითად → მარგალითად).

შეინიშნება ცალკეული ბგერების სპორადული განვითარების შემთხვევები: ბ (ჭორი→ ბჭორი || პჭორი, გემრიელი → გემბრიელი), ქ — ჩვეულებრივ, ვ-ს წინ (ნივთი→ ნიქვთი; შდრ.: ნიფთი, რომელიც რეგრესული ასიმილაციითაა მიღებული).

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. სახელობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს დაერთვის -ი (რომელიც სპორადულად -ჲ-ს სახითაა წარმოდგენილი): ძმაი, დაი, ცაი, დანაი, რიყეი, დროი, წყაროი, ღვინოი, გოგოი. დაჩნდება იგი საკუთარ სახელებთანაც: კაკოი, ვარლამაი, მარგალიტაი. თავს იჩენს მასდარებშიც (უპირატესად ზემოიმერულში): ცხორებაი, აბსტარქტულ სახელებში: კაცობაი; გვხვდება ნაწილაკდართულ რიცხვით სახელებთან და ნაცვალსახელებთან: ორივეი, ვინმეი, რამეი... თანდებულებთან: მაგისთანაი... უარყოფით ნაწილაკებთან: „ნუ

ლაპარაკოფ, ნუი!“ (ქ. ძოწენიძე). ასეთი ვითარება უპირატესად ზემოიმერულში შეინიშნება.

ქვემოიმერულში (განსაკუთრებით მის დასავლურ რეგიონში) -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები წარმოდგენილია -ე დაბოლოებით (გარდა ერთმარცვლიანი ფუძეებისა, რომელთაც სახელო(#459)ბითში -ი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვთ: და-ი, ძმა-ი, ცა-ი...). ივარაუდება, რომ -ე ფონეტიკური ცვლის შედეგადაა მიღებული: აი → ეი (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია) → ე (იკარგვის -ი ბრუნვის ნიშანი); შესაძლოა, ეს პროცესი განვსაზღვროთ როგორც ა : ე შენაცვლება, დაკარგული -ი ბრუნვის ნიშნის საკომპენსაციოდ: ბიცოლაი →ბიცოლეი →ბიცოლე ან: ბიცოლაი →ბიცოლე... ანლოგიური მდგომარეობაა ნათესაობითსა და მოქმედებითშიც; ანუ: იქ, სადაც ბრუნვის ნიშნის ელემენტად დაჩნდება -ი, ხდება შესაბამისი ცვლილება: ბიცოლაის →ბიცოლეის → ბიცოლეჲს || ბიცოლეს, ასევე: ბიცოლაით → ბიცოლეჲთ || ბიცოლეთ. ყველა სხვა შემთხვევაში ბოლოკიდური -ა შენარჩუნებულია: ბიცოლამ, ბიცოლას, ბიცოლად → ბიცოლათ, ბიცოლა! (შდრ. მოქმედებითში: ბიცოლეთ — ვითარებითში ბიცოლათ — ამჟამად სხვაობას მხოლოდ გახმოვანება იძლევა). ღირსსაცნობია: -ა-ზე დაბოლოებულ სახელთა ფუძის გაორმაგებისას ბოლოკიდური ხმოვანი ეცვლება მხოლოდ მეორე კომპონენტს: „რძია-რძიე ბალახია, სამყურეც“ — „რძია“ ფუძეა, „რძიე“ — სახელობითი ბრუნვის ფორმა. ზოგჯერ -ე დაბოლოებიანი ფორმა ფუძედ გაიაზრება და მაშინ მას სახელობითში -ი დაერთვის, სხვა ბრუნვებში კი ე- გახმოვანება შენარჩუნებულია: ბიცოლეი || ბიცოლეჲ, ბიცოლემ, ბიცოლეს, ბიცოლეჲს || ბიცოლეს... (ვ. თოფურია, შ. ძიძიგური, ო. კახაძე); და ასე: ბაღანე || ბაღანეი, ყველე || ყველეი...

-ია დაბოლოებიანი სახელები პარალელურ ვარიანტებს იძლევიან: კერია → კერიე || კერიი, გალია → გალიე || გალიი; კნინობით-საალერსო: ძამია → ძამიე || ძამიი, გოგია → გოგიე || გოგიი (ო. კახაძე). ამოსავლად ივარაუდება კერიაი, გალიაი, ძამიაი... ფორმები.

ასეთმა დაბოლოებამ შესაძლოა თავი იჩინოს ზემოიმერეთის ზოგ თქმაშიც, ოღონდ, როგორც წესი, საკუთარ სახელებში: ბაბალინე || ბაბილინეი, ბაბილინემ, ბაბილინეს (გვხვდება უპირატესად ქვემოიმერეთის მოსაზღვრე რეგიონში).

ოკრიბულში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს სახელობითში -ი იშვიათად ერთვის.

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებთან სახელობითისეული -ი ფუძისეულ ელემენტად არის გაგებული და სხვა ბრუნვებშიც გადაჰყვება: დავითი, დავითიმ, დავითის... და, პირიქით, -ი-ზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებში ბოლოკიდური ხმოვანი გაიაზრება ბრუნვის ნიშნად და სხვა ბრუნვებში ჩამოსცილდება: ამბერკი, ამბერკმა, ამბერკს... ანალოგიურად: აქვსენტი, აკაკი, გიორგი, პროკოფი... ესაა ორი სისტემა: ერთ შემთხვევაში დაჩნდება ფუძის

სამმარცვლიანად ქცევის ტენდენცია: ამბერკი, ამბერკიმ, ამბერკის... და (#460) შესაბამისად: დავითი, დავითიმ, დავითის... მეორე შემთხვევაში, პირიქით, თავს იჩენს გაორმარცვლიანების ტენდენცია და მაშინ: დავითი, დავითმა, დავითს... შესაბამისად: ამბერკი, ამბერკმა, ამბერკს... პირველ შემთხვევაში ფუძედ გაიგება: ამბერკი, დავითი; მეორე შემთხვევაში — დავით, ამბერკ.

ფრაზის ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულმა სახელმა მოთხრობით ბრუნვაში შესაძლოა დაირთს -მა: „უთხრა ძმამა“. ბაღდათურში (ხანურ-ზეგნურში) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული საკუთარი სახელი სპორადულად ფუძის სახითაა წარმოდგენილი სახელობითსა და მოთხრობითში: თინათინ ამბობს, თინათინ თქვა... (პ. გაჩეჩილაძე).

ვანურ თქმაში სახელობითისეული -ი ნიშანი წარმოჩნდება მიცემითშიც (საზოგადო სახელებში): „ყიდულობს სახლის (= სახლს)“, „კიტრის (= კიტრს) ჭამს“ (კ. კუბლაშვილი).

ქვემოიმერულში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის -ს და -ით ნიშნები ფუძეს ვერ კვეცენ და, წესისამებრ, არც თავად რედუცირდებიან: დაის, კტეის, ღელეის, აბანოის, ძუძუის („ივანეის საქმე“, „ეზოის ბოლოს“)... დაით, კტეით, ღელეით, აბანოით, ძუძუით... მოდუნებულია კუმშვაც; ჩვეულებრივ, გვაქვს: კედელის, ქმარის... კედელით, ქმარით... „რა“ ნაცვალსახელი პარალელური ვარიანტებითაა წარმოდგენილი: რაის || რასი, რაით || რათი...

ფართო გავრცელებისაა ნანათესაობითარი მიცემითი: ნათესავისას, მეზობლისას, დაისას, მოყვრებისას.

ზემოიმერულში ზმნისართები ხშირად მიცემითის ფორმითაა წარმოდგენილი: აქანას „აქ“, ექანას, იქანას, აგერას, ეგერას, მადანას, ახლავეს (სპორადულად გვხვდება ზემოიმერულის მომიჯნავედ ქვემოიმერულ თქმებშიც).

ზემოიმერულშივე „აქ“, „იქ“ ზმნისართები ფორმდება ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშნით (აქვს სიტყვათწარმოებითი დანიშნულება): აქის || აქითის „აქაური“, იქის || იქითის „იქაური“ („აქის ლაპარაკი კ-აღარ იცის“). ხსენებულმა ზმნისართებმა შესაძლოა დაირთონ თანდებულებიც: აქიზე, აქისაგან, აქისანა „აქისთანა“ (= აქაურისთანა), აქისთვინ (ქ. ძოწენიძე).

ვითარებითში -ად → -ათ (|| -დ →-თ): „კაცათ აღარ ვარგია“, „ტყვეთ წამეიყვანეს“... ხშირად დაჩნდება -ა; ზმნისართებში: რაფრა „როგორ, ჩუმა „ჩუმად“, კარქა „კარგად“, სწორა „სწორად“... -იან და -ურ სუფიქსიან ფორმებში: ცოლშვილიანა, ხურჯინიანა... ზემოიმერულში: ცოცხლოურა „ცოცხლად“, დილოურა „დილით“...

(#461)

ვითარებით ბრუნვის მაგივრობას ხშირად ეწევა ფუძე: „იომის მაგიერ (= მაგივრად) შენ მოხვალ?“ ან: უთანდებულო და თანდებულიანი მიცემითი: „ნახევარ ფასში (= ფასად) მოქცემენ“; „სავაჭროზე (= სავაჭროდ) ვიყაი ქალაქში (კ. კუბლაშვილი).

ზემოიმერულში -ობა სუფიქსიან სახელთა ნანათესაობითარი ვითარებითი გამოხატავს დროის მონაკვეთს, გარკვეულ პერიოდს: „ჩემობისად (= ჩემსობას, ჩემს დროს) ასე იყო“, „მისობისად არაფერი მამხდარა“. ანალოგიური დანიშნულებით გამოიყენება მიცემითი („ჩემობას“) და ნანათესაობითარი მიცემითი („ისიდორესობისას მე სხოგან ვცხოვრობდი“).

წოდებითში უმეტეს წილ წარმოდგენილია ფუძე ან ფუძედ გააზრებული სახელობითის ფორმა: ვახტანგ || ვახტანგი. თუ ფორმანტი დაერთვის, მხოლოდ -ო: ვახტანგო, მიხეილო, დარეჯანო... ნათელაო, ეთერაო || ეთერო...

მავრცობ (ემფატიკურ) ხმოვნად ზემოიმერულში (უპირატესად — ქართლის მოსაზღვრე რეგიონში) დაჩნდება -ა: ძმასა, ძმისა, ძმითა, ძმათა... მოთხრობითში მავრცობიანი ბრუნვის ნიშნის ეკვივალენტად გვაქვს -მა: ძმამა, სანდრომა. -ა გვხვდება აგრეთვე: ნაცვალსახელებთან (იმანა, ვერავინა), თანდებულებთან (წისქვილთანა, ყოველთვინა, აქეთკენა, მაღლიდანა), ზმნისართებთან (მაშინა, ხვალა, გუშინა, გარეთა, ძალიანა), -თ სუფიქსიან მრავლობითში (იმათა). -ა ჩვეულებრივია ნაწილაკ-მორფემოიდების წინ: ძმასაც, ძმისავე, ძმითაო... დაერთვის ზმნებსაც (ჩვეულებრივ, ნაწილაკ-მორფემოიდების წინ): „ვერაფერს დავაკლებთაო“, „ბედი უნდა მწიოსაო“ (დაჩნდება პროსოდიული ხმოვნის პოზიციაში).

ზემოიმერულშივე იმავე დანიშნულებით ხშირად გვხვდება -ი ნათესაობითსა და მოქმედებითში: ბიძისი, ბიჭისი, ხელისი, კბილისი; ბიძითი, ბიჭითი, ხელითი, კბილითი. ამ პოზიციაში -ი ჩვეულებრივია ფუძეუკუცველ სახელებთან (წყაროსი, წყაროთი), ზემოიმერულში კი იგი განზოგადდა. -ი გვხვდება ნაცვალსახელებთან (ისი, ესი, მაგი), ზმნისართებთან (ძალიანი, ჯერეთი). -ი თავს იჩენს -გან თანდებულიან მოქმედებითთანაც: სოფლ-ით-გან → სოფლ-იდ-ა ნ→ სოფლ-იდ-ან-ი; და ასე: მაღლიდანი, ზეიდანი, იქიდანი, მაიდანი „მანდედან“, ხვალიდანი; ჩვენიდანი „ჩვენგან“. ამ მოვლენას ორგვარი შეფასება შეიძლება მიეცეს: ა) -ი მავრცობი ხმოვანია; ბ) -ი არის მოქმედებითი ბრუნვის -ით ნიშნის გამარტივებული ნაირსახეობა: სოფლ-იდ-ან-ით → სოფლ-იდ-ან-ი.

ქვემოიმერულში -ი სპორადულად წარმოჩნდება (ჩვეულებრივ, ზემოიმერულის მომიჯნავე თქმებში).

(#462)

იმერულისათვის ერთ-ერთ დამახსიათებელ მოვლენად ითვლება -ე მავრცობი ხმოვნის პოვნიერება იქ, სადაც სხვა კილოებში -ა გვაქვს. იგი გვხვდება მეტ-ნაკლებად იმერულის ყველა თქმაში, უპირატესად კი — შუა და დასავლეთ რეგიონში.

-ე გვაქვს: მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში (გევიტან გარეთ სკამსე; რას უშობი ბოვშსე; ფულსეც მისცემს... მეშინოდა იმ დღისე; კუნჭულა საკრეფია ფსხლისე... გაზარდა შვილები წვალებითე; ჩამოკიდებული ყოფილარიენ ბაწრითე... შარშან გახთა ავათე; შეინახე კარქათე; არიან ერთათე; ტყუილათე || ტყულა შეწუხთი...), ნაცვალსახელებში (შენე, თქვენე, ჩვენე, ვინე — შდრ.: ვისე; ნწილაკიან ნაცვალსახელებში პარალელური ვარიანტებია: შენცე || შენეც, თქვენცე || თქვენეც...), ზმნისართებში (მარტვანე || მატვანეთე, ჩუმათანე || ჩუმათე, თლათე || ქლათე „მთლად“, სულე „სულ“, აქანე, იქინე, წინე, უკანე, შითე „შიგ“, ზეთე „ზედ“, ძირე „ძირს“, ჯერეთე, ხვალე, გუშინე, ზეგე), თანდებულებთან (სოფლისკენე, სოფლიდანე), ნაწილაკ-მორფემოიდებთან (ალბათე, კიე), კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდის პოზიციაში (შენ ხარე?; ბიჭო, რა უყოთე?), თანხმოვნით დაბოლოებულ ზმნებთან (არისე, ყავსე, აქვსე, მოდისე, გოუჩერეთე, ჩააჟინეთე, დოურქმევიათე, გოუძლეფე, რო მევიდოდენე).

ქვემოიმერულის დასავლურ რეგიონში, მეგრული მეტყველების მომიჯნავედ (სამტრედიულ და აბაშურ თქმებში) მავრცობი ხმოვნის პოზიციაში დასტურდება -უ და მისი რედუცირებული სახეობა -ꙋ: კაცსუ, ფოჩვსუ, ამასუ... კიცისუ... მისთვისუ, გაგძელებაზენუ (გაგძელებაზე — ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით), ზმნებში: წერსუ, მოდისუ, დავფარცხამთუ; და შესაბამისად: კაცსꙋ́, ფოჩვსꙋ́; წერსꙋ́, დავფარცხამთꙋ́ (ამასṷ́, ამ სოფელსṷ́ || სოფელსṷ́, თხემლარი თქვია“). -უ იმერულისათვის ისტორიულადაც არ არის უცხო: იგი გვხვდება XVIII საუკუნის საბუთებში (შ. ძიძიგური).

მავრცობი ხმოვანი პაუზის წინა პოზიციაში ხშირად მახვილის მატარებელია; განსაკუთრებით ეს ითქმის -უ || -ꙋ მავრცობის შესახებ.

ზოგი თავისებურებით ხასიათდება თანდებულთა სისტემაც.

-ვით დაერთვის სახელობითს: კაცივით, ქალაქივით. მისი ფონეტიკური ნაირსახეობა -ვეთ გამოიყენება მიცემით და ნათესაობით ბრუნვებთან: ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები მიცემითს ფორმაზე დაირთავენ (ქვასავეთ, რკინასავეთ, მზესავეთ), თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული — ნათესაობითის ფორმაზე (თოფისავეთ, ძაღლისავეთ); (კ. კუბლაშვილი, ქ. ძოწენიძე). შესაძლებელია -ვეთ ფონეტიკური ნაირსახეობის წარმოქმნას -ვით და -ებრ || -ეფ თანდე(#463)ბულთა კონტამინაციამაც შეუწყო ხელი: კაცისავით || კაცისაეფ → კაცისავეფ.

-ზე ზემოიმერულში პარალელურად გვხვდება -ზედა || -ზედ || -ზეა სახით: გაზაფხულზედა, გაზაფხულზედ, მიწაზედ; წასულია საქმეზეა, დგარენ კიბეზეა.

ქვემოიმერულში დაჩნდება -ზენ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით): კტეზენ, ეზოზენ. ყრუ თანხმოვნების მომდევნოდ: -ზე → -სე (პროგრესული ასიმილაციით): კაცსე, ვენახსე. -ზე თანდებული შესაძლოა დაერთოს ზედსართავ სახელს და აწარმოოს ზმნისართი: წინა || წინე → წინაზე || წინეზე „წინათ“; შდრ.: „ნადირობაზე (= ნადირობის დროს) დეიღუპა“.

-ში გვხვდება ამ სახითაც: -შიდა || -შიდ || -შია: სახშიდაო, წყალშიდაო, ვენახშიდა || ვენახშიდ || ვენხშია, ჭურშიდა || ჭურშიდ || ჭურშია. იშვიათად დაჩნდება -ჩი — უპირატესად სონანტების მომდევნოდ: სოფელჩი. ზოგჯერ — სხვა შემთხვევებშიც: ამაჩი, იმაჩი (ო. კახაძე).

გამოიყენება -ებრ → -ეფ (უფრო ხშირად — ზემოიმერულში): კლდესაეფ, ჩემსაეფ. გვხვდება -ებურ: ასეთებური, აქეთებური.

როგორც აღინიშნა, -თან თანდებულის დართვისას შესაძლოა დაიკარგოს როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს (ხესთან→ ხეთან, სადგურსთან → სადგურთან), ასევე საკუთრივ თანდებულისეული -თ ელემენტი (ხესან, სადგურსან). ანალოგიური ცვლილებაა ნათესაობითზე დართული -თანა თანდებულის შემთხვევაში (ამისთანა→ ამისანა || ამითანა).

-კენ → -ყენ ვანურ, სამტრედიულ და ხონურ თქმებში (ბრუნვის ნიშნისეულ -ს სპირანტთან შეხვედრისას იქმნება სყ კომპლექსი, რომელიც ფონეტიკურად იცვლება: წყ; ვ. თოფურია, შ. ძიძიგური): სახლისკენ → სახლისყენ → სახლიწყენ, მთისკენ → მთსყენ → მთიწყენ (ცვლილება უპირატესად სამტრედიულ და ხონურ თქმებს ახასიათებს). გვხვდება -კე ნაირსახეობაც (ოკრიბულში, თერჯოლურსა და ბაღდათურში): ღობისკე, ძირულისკე. ბაღდათურში (ხანურ-ზეგნურში) დადასტურდა -კედ (← კედაროს).

-თვის თანდებული ხშირად წარმოდგენილია როგორც -თვინ: კაცისთვინ, სიტყვისთვინ, მისთვინ. ქვემოიმერულში მას, ჩვეულებრივ, ცვლის ნანათესაობითარი -და თანდებულიანი ფორმა: ძმისდა →ძმიზდა → ძმიზა. ბოლოკიდურა ხმოვანი ხშირად ნაზალიზებულია: ძმიზან, კაციზან, იმაზან. იმავდროულად დაჩნდება ბოლოკიდური ხმოვნის გადაბგერების ტენდენციაც: საქონელიზა || საქონელიზე (კ. კუბლაშვილი). -იზა დაბოლოებანი აქა-იქ შეინიშნება ზემოიმერულის (464) დასავლურ რეგიონში — ქვემოიმერეთის მოსაზღვრედ: ხალხიზა || ხალხისთვინ (ქ. ძოწენიძე).

-გან თანდებულიანი მოქმედებითი შემდეგი ნაირსახეობით გვხვდება: სახლ-ით-გან → სახლ-იდ-გან || სახლ-იდ-ან, და ასე: მაღლიდგან || მაღლიდან, ხვალიდგან || ხვალიდან. ქვემოიმერულში -გან გახმოვანებას იცვლის: სახლიდგინ, მაღლიდგინ, ხვალიდგინ. პარალელურად: სახლიდინ, მაღლიდინ, ხვალიდინ (ანალოგიურად: წყარო-თ-გან → წყაროდგან || წყაროდან || წყაროდგინ || წყაროდინ). -იდ-გან და მისი

ნაირსახეობანი დაერთვის კუთვნილებით ნაცვალსახელებს (ცვლის ნათესაობითთან გამოყენებულ -გან თანდებულს): ჩემ-ით-გან → ჩემიდ-გან || ჩემიდან; ქვემოიმერულში: ჩემიდგინ || ჩემდგინ || ჩემდინ. ზემოიმერულში ამგვარად ნაწარმოებ ფორმებს შესაძლოა დაერთოს -ა (უპირატესად ქართლის მოსაზღვრე ტერიტორიაზე) ან -ი: მაღლიდგანა || მაღლიდანა და მაღლიდგანი || მაღლიდანი, გაღმიდანა || გაღმიდანი, აქიდანა || აქიდანი, შორიდანა || შორიდანი (იხ. ზემოთ).

-მდე || -მდის უპირატესად -მდი || -მდინ ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი (გვხვდება -მდისინ ვარიანტიც): სოფლამდი || სოფლამდინ, გაზაფხულამდი || გაზაფხულამდინ. სიტყვათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული „რა“ ნაცვალსახელთან: რამდი || რამდინ „სანამდე“. ქვემოიმერულში ბოლოკიდური ფუძისეული ხმოვანი, ჩვეულებრივ, ორმაგდება ან გრძელდება: დილაამდი || დილᾱმდი, ღელეემდი || ღელēმდი, საღამოომდი || საღამōმდი (შ. ძიძიგური, კ. კუბლაშვილი).

ზემოიმერულში, ქართლის მოსაზღვრე სოფლებში, იშვიათად შეგვხვდება -დამ(ა): წყლიდამა, იქიდამა.

-ურთ თანდებულს ცვლის იანა(დ): ცოლშვილიანა.

„გარდა“, „გამო“ თანდებულები ამ სახითაც გამოიყენება: გარდაია || გარდაიე, გამოიე („ამის გარდაია“, „წუმების გამოიე“). დადასტურდა ზემოიმერულში (ქ. ძოწენიძე).

„გარშემო“ გვხვდება ამ სახით: გარშამო და გვრილიაშემო || გვრილიაშამო: „ეკლესიის გვრილიაშამო“.

„შემდეგ, მერე“ თანდებულების დანიშნულებით ვანური თქმის უხუთურ ქცევაში შეინიშნება ოღმა || უღმა: „მას ოღმა || უღმა აგერ ხუთი წელიწადია“ (ქ. ძოწენიძე), ბაღდათურში (ხაზურ-ზეგნურში) — მასოღმა || მასუღმა (პ. გაჩეჩილაძე).

***

III პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ქვემოიმერულში — აგი, ეგი, მაგი → მაგე || მაქე || მაგ || მაქ, იგი; ზემოიმერულში —ესე, (#465) ეგე, ესი, ისი... ქვემოიმერულის იგი, მაგ ნაცვალსახელები მოთხრობით ბრუნვაში ხშირად -მ დაბოლოებითაა წარმოდგენილი: იმამ „იმან“, მაგამ „მაგან“; ხსნიან, როგორც პროგრესული დისატნციური ასიმილაციის შედეგს (ა. მარტიროსოვი, კ. კუბლაშვილი). მსაზღვრელად გამოყენებისას ზოგ თქმაში (ვანურში, სამტრედიულში) სრული სახითაა შენარჩუნებული: ეგი კაცი, იგი ამბავი, მაგი ქალი... სხვა თქმებში — შეკვეცილია: ე კაცი, ი ამბავი, მა ქალი... ზემოიმერულში პირის ნაცვალსახელად გამოყენებული „ესი“ ე- პრეფიქსს ინარჩუნებს სხვა ბრუნვებშიც:

ემან, ემას... დაჩნდება კომპოზიტებშიც: მამაემისი (საერთოდ, ამ რიგის კომპოზიტების წარმოება ხშირია: მამაიმისი, მამამაგათი).

მიმართებით ნაცვალსახელებში -მე ნაწილაკ-მორფემოიდი ზემოიმერულში, ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშნისა ან თანდებულის მომდევნოდაა (სახელობითის გარდა): ვინმეი, მაგრამ: ვისმე; რამი მაგრამ: რასმე, რაზემე „რამეზე“. გვხვდება კონტამინირებული: რასმეს, ვისმეს.

„მე“ ნაცვალსახელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კუთვნილებითი ნაცვალსახელის დანიშნულებით („ჩემი“), თუ მას მოსდევს ამავე ფუნქციის სხვა ნაცვალსახელი ან სუბსტანტიური მსაზღვრელი: „მე (= ჩემი) და შენი სიყვარული“, „მე (= ჩემი) და მისი სიტყვა თავისას გეიტანს“, „მე (= ჩემი) და გოგიეს თავგადასავალი“ (კ. კუბლაშვილი).

***

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება. ძირითადი მაწარმოებელია -ებ: კაცები, გორები, ბიძეები || ბიძიები, ეზოები → ეზუები. ბიძეები, ამისანეები ტიპის -ეებ სპორადულად გაიაზრება ერთიან ფორმანტად: გიორგ-ის-ან-ეებ-ი.

მრავლობითობის -ნ სუფიქსი სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით გამოიყენება — აწარმოებს ოჯახის სახელებს: გიორგისანი, კირილესანი, ისიდორესანი. ზოგჯერ -ა-ნ გაიგება ერთიან ფორმანტად (-ან), რის გამო შესაძლოა -ებ || -ეებ: გიორგისანები || გიორგისანეები.

ქვემოიმერულში შევხვდებით ძმა-ნ-ებ-ი, დანები, ფირცხალავნები, მელაძნები ტიპის ფორმებს, ხონურში სპორადულად თავს იჩენს მეზობლ-ენ-ი, სახლიკაც-ენ-ი (შ. ძიძიგური).

პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმებია — სახელობითში: ზემოიმერული: ესენი, ეგენი, ისინი, ესინი; ქვემოიმერული: აგე(#466)ნი, ეგენი, მაგენი; სხვა ბრუნვებში ასეთი ვითარებაა: ზემოიმერული — ამათმა || ემათმა, ამათ || ემათ; იმათმა, იმათ. ქვემოიმერული: აგენმა || ამგენმა (ამათმა || ამათ), აგენს || ამგენს (ამათ), აგენის || ამგენის (ამათი), აგენით || ამგენით; მაგენმა, მაგენს, მაგენის, მაგენით; იგენმა || იმგენმა, იგენს || იმგენს, იგენის || იმგენის (მ ჩაერთვის ყველა სხვა ბრუნვაში, სახელობითის გარდა). ზემოიმერულში ასეთი ფორმები იშვიათად იპოვება. დადასტურდა მრავლობითის ორმაგი წარმოების შემთხვევები: აგენები, ეგენები, მაგენები; შესაბამისად: აგენებმა, ეგენებმა, მაგენებმა; აგენებს, ეგენებს, მაგენებს; აგენების, ეგენების, მაგენების (ქ. ძოწენიძე, კ. კუბლაშვილი).

***

გ) ზმნა. ქვემოიმერულში გარდა- → გადა- ზმნისწინი წარმოდგენილია როგორც გარა- || გარ-: გარააგდო, გარევიდა, გარეიტანა || გარიტანა, გაროუგდო... (გარე- ||

გერე- || გარო- ... ფონეტიკური ნაირსახეობებია, შეპირობებული მომდევნო ხმოვანთან ასიმილაციით): „რო დეიჯინებდა საქმეს, რო მომქვტარიყო, მაინც არ გერეითრევდა თავზე და არ გარათქვამდა არაფლიზა“ (ქართული დიალექტოლოგია).

ზემოიმერულში მო- → მა- მ-ს წინ (სულ ერთია, ეს მ- ფუძისეულია, I ობიექტური პირის ნიშანი მიმღეობის მაწარმოებელი): მა-მკის... მა-მ-იტანა, მა-მ-იჯდა... მა-მ-ტანი, მა-მ-ნახველი... ე- პრეფიქსიან ზმნებთან პარალელური ვარიანტებია: მამეწონა || მემეწონა (კ. კუბლაშვილი, ქ. ძოწენიძე). ზოგჯერ ერთი და იმავე პირის მეტყველებაში მონაცვლეობს მო- და მა-: — ვინ მომპარსამსო? — მე აგერ არა ვარო! — მამპარსე აპაო!

რთული ზმნისწინის შემადგენლობაში შე- წარმოდგენილია როგორც შა-: შამოხედა, შამოხვთა, შამეიტანა.

ზმნისწინთა შენაცვლების შემთხვევებია: გაძულდა „შესძულდა“, გააპირა „დააპირა“, გაატყულებს „მოატყუებს“, დაწუხთა „შეწუხდა“. გან- და წარ- ზმნისწინისეული ნ და რ ელემენტები ზოგჯერ მეტათეზისს განიცდის: განაწესეს → გაანწესეს; წარავლინა → წაარვლინა, წარუძღვა → წოურძღვა (ახლავს ასიმილაცია).

ხშირია წა- და მო- ზმნისწინთა გამოყენების შემთხვევები ოდნაობის გამოსახატავად: წეიდიდგულებს „წაიდიდგულებს“, წეიგოგოეფს „გოგოსავით იქცევა || გოგოს წააგავს“, წეიჩხეიძეფს „ჩხეიძეებს წააგავს“; მეილამაზებს, მეისუნელებს „მოისულელებს“ (კ. კუბლაშვილი).

მო- ზმნისწინიან ფორმებში ზმნის ა- პრეფიქსთან შეხვედრისას პირველი სუბიექტური პირის ფორმებში ოვა → ოა → უა: მოვახერ(#467)ხე →მოახერხე →მუახერხე. მეორე პირის ფორმაში ოა კომპლექსი უცვლელია: მოახერხე; ხერხდება დაპირისპირება მორფონოლოგიური პრინციპის მიხედვით: მუახერხე მე (I პირი) — მოახერხე შენ (II პირი). ანალოგიური ვითარებაა ოვე და ოე კომპლექსების დროს (ანუ: ე- პრეფიქსიან ზმნებთან): მუესწარი „მოვესწარი“ (I პირი) — მოესწარი (II პირი); (კ. კუბლაშვილი).

როგორც ფონეტიკის მონაკვეთში აღინიშნა, „ნახვა“ ზმნაში მეტათეზისს განიცდის I სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები: ვნახე → ნავხე, მნახა →ნამხა. მოვლენა უპირატესად ზემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი.

მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ნიშნად და მის ფონეტიკურ ვარიანტებად დაჩნდება გვ- || გû- || û (||ქვ- || ქû-): გვქონდა || გûქონდა || ûქონდა || ქûქონდა. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, ხანურ-ზეგნურში (პ. გაჩეჩილაძე).

ჩვეულებრივ, ფონეტიკურ საფუძველზე დაკარგულია II სუბიექტური და III ობიექტური პირის ჰ- || ს- ნიშანი (ხ-არ, მო-ხ-ვალ ზმნებში ხ- შენარჩუნებულია, ოღონდ ქვემოიმერულში მო-ხ-ვედ-ი ფორმის ნაცვლად ხშირად დასტურდება მო-დი

— ემთხვევა ბრძანებითს). აქვე შევნიშნავთ, რომ იმერულის ზოგიერთ თქმაში ხსენებული ფორმანტი მაინც დაჩნდება; ასეთი ვითარებაა, მაგალითად ხანურ-ზეგნურში: დასჩეხავ, დასდაგავ... დასჩეხავს, დასდაგავს; ან: ვსტირი, ასტირდა და მისთ. (პ. გაჩეჩილაძე); ზემოიმერულში დადასტურდა დასწექი, დასწყვიტე; დასწყვიტა, ჯვარი დეისწერა, ესწერა ტიპის ფორმები (ქ. ძოწენიძე); შესაძლოა, აქ სწ გადმოსცემდეს წ-ს ინტენსიურ გამოთქმას. იმავდროულად მი-ც-ა იხმარება ს-ფორმანტის გარეშე (ც-ს ინტენსიური წარმოთქმით). ზოგ თქმაში სპორადულად დაჩნდება ჰ- || ს- ფორმანტის ფონეტიკური ნაირსახეობანი (ხ-ყავ-ს || ხავ-ს, და-ხ-კრა ფეხი, მო-შ-ჭრ-ი-ან თავს) ან მისი ზემოქმედების კვალი (დაჰკრა→ დაქრა, დაჰპირდა → დაფირდა — ყრუ ფშვინვიერად იქცევა ფუძისეული ყრუ მკვეთრი ბგერა).

მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნებად გვხვდება -ნ, -ან, -ენ, -ეს, -ყე(ნ) თავისი ფოენტიკური ნაირსახეობებით, აგრეთვე: არიენ || ლარიენ მეშველი ზმნა (შ. ძიძიგური, ვ. ფანჩვიძე, ო. კახაძე, ქ. ძოწენიძე, პ. გაჩეჩილაძე, ლ. ბარამიძე, კ. კუბლაშვიილ...).

გარდამავალი ზმნების ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად -ეს დაჩნდება ზემოიმერულში, თუმცა ზემოიმერულისვე დასავლეთ რეგიონში მის პარალელურად გამოყენებულია -ენ ფორმანტიც: დაწერეს || დაწერენ, უთხრეს || უთხრენ. -ეს გვაქვს ქვემოიმერულის ზოგ თქმაში (ოკრიბულში...).

(#468)

ქვემოიმერულში -ან მთლიანად შეცვალა -ენ სუფიქსმა: ჭრიენ, ტირიენ, ჩანენ... ზემოიმერულში -ან შენარჩუნებულია, თუმცა პარალელურად თავს იჩენს -ენ ნიშანიც (განსაკუთრებით ქვემოიმერულთან მიმდებარე რეგიონში): დგარან || დგარენ, წევრან || წევრენ, ჯდიან || ჯდიენ, გაყიდიან || გაყიდიენ, ყოფილან || ყოფილენ.

ქვემოიმერულში -ენ სუფიქსმა შეცვალა -ეს ფორმანტიც: დაწერენ „დაწერეს“, გააკეთენ „გააკეთეს“.

-ნ-ენ ფორმანტის ადგილას თხრობითი კილოს ფორმებში ყოველთვის -ენ გვაქვს (წერდ-ენ „წერდნენ“, დეიმალ-ენ „დაიმალნენ“), კავშირებითში — -ნ (წერდ-ე-ნ „წერდნენ“, დეიმალებოდ-ე-ნ „დაიმალებოდნენ“).

-ყე ქვემოიმერულში უმეტეს წილ ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციითაა წარმოდგენილი: -ყენ; მისი სხვა ფონეტიკური ნაირსახეობანი უპირატესად ქვემოიმერულის დასავლურ ზოლში შეინიშნება: -კენ (იჩხუბოსკენ „იჩხუბონ“, აკეთოსკენ „აკეთონ“); მორფემათა ზღვარზე წარმოიქმნება სყ კომპლექსი (დეიძახესყენ „დაიძახეს“), რომელიც ფონეტიკურად იცვლება: → წყ (დეიძახეს-წყენ; შ. ძიძიგური). ზოგჯერ დაჩნდება კონტამინირებული ფორმა (დეიძახეს-წყენ, სადაც -წყენ ერთიან ფორმანტადაა გააზრებული). -წ-ყენ ძირითადად ხონურ და წყალტუბოურ თქმებშია დადასტურებული (შ. ძიძიგური, კ. კუბლაშვილი);

სამტრედიულში ხშირად -კენ → -ენ (იჩხუბოსკენ→იჩხუბოსენ „იჩხუბონ“, გააკეთოსკენ → გააკეთოსენ „გააკეთონ“; კ. კუბლაშვილი). -ენ გარეგნულად ემთხვევა მრავლობითობის -ენ ფორმანტს; გარჩევა ადვილად ხერხდება თვით ზმნის სტრუქტურის მიხედვით: -კენ → -ენ ყოველთვის წარმოდგენილია სუბიექტურის პირის ნიშნის მომდევნოდ: ან მხოლოობითი (გააკეთოსკენ→ გააკეთოსენ; შდრ. ქვემოიმერულივე: გააკეთენ „გააკეთეს“), ან მრავლობით რიცხვისა (გააკეთესკენ→ გააკეთესენ „გააკეთეს“ — მრავლობითის ორმაგი გამოხატვის შემთხვევაა).

-არიენ დასტურდება ქვემოიმერულში აღწერითი ზმნების წარმოებისას, რაც კანონზომიერი გაგრძელებაა I და II პირის ფორმათა ჩვენებისა: ვჟდანვართ, ჟდანხართ, ჟდანარიენ || ჟდილარიენ (შდრ. მხოლოობითში: ვჟდანვარ, ჟდანხარ, *ჟდანარის → ჟდანა) — აწმყო; დავმჟდარვართ, დამჟდარხართ, დამჟდარარიენ →დამჟდალარიენ (რეგრესული დისიმილაციით) — I შედეგობითი.

შევნიშნავთ: რ-ნარევ ფუძეებთან -არიენ მეშველი ზმნის დართვისას ხდება ფონეტიკური ცვლილება — დისიმილაცია: უპირატესად — რეგრესული (რ — რ → ლ — რ): ზემოხსენებული დამჟდარარიენ → დამჟდალარიენ, და ასე: უკვირარიენ →უკვილარიენ, უყვარარი(#469)ენ →უყვალარიენ, იშვიათად — პროგრესული: დამჟდარარიენ → დამჟდარალიენ. გვაქვს კონტამინირებული ფორმებიც: უყვარ-არიენ || უყვალ-არიენ →უყვარ-ლარიენ. -ლარიენ ელემენტის გამოვლენა შედეგია მისი დამოუკიდებელ ფორმანტად გააზრებისა: უყვარს || უყვარია — უყვარ-ლარიენ, ყრია — ყრი-ლარიენ, მოდის — მოდი-ლარიენ; და ასე: უნდებ-ლარიენ, ემშვიდობებ-ლარიენ. ზემოიმერულისათვის -არიენ || -ლარიენ უცხოა.

ყურადღებას იქცევს მრავლობითობის გამომხატველ ფორმანტთა სემანტიკური გადააზრიანების შემთხვევები, რაც უპირატესად ქვემოიმერულისათვის არის ნიშანდობლივი.

სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობა შეიძლება გამოიხატოს:

ა) -ნ სუფიქსით (კავშირებითის ფორმებში): იგენი წერდე-ნ, ჭრიდე-ნ... მან თქვენ (კაცები) დაქტოვო-ნ, დაგინახო-ნ, ღმერთმა თქვენ გაცოცხლო-ნ... (მეორე წყების ფორმები მხოლოდ II პირისა გვხვდება);

ბ) -ან სუფიქსით (ჩვეულებრივ, ზემოიმერულში): ჭრი-ან, მღერი-ან, ჩავრ-ან „ჩანან“;

გ) -ენ სუფიქსით: იგენი წერ-ენ, წერდ-ენ (ორივე კილოკავში), ჭრი-ენ, მღერი-ენ (ქვემოიმერულში); მან თქვენ (კაცები) გაგიტაც-ენ, დაქტოვ-ენ (გვხვდება ქვემოიმერულში მხოლოდ II პირის ფორმებთან);

დ) -ყენ → -კენ || -ენ ფორმანტით: იგენი ჩან-კენ „ჩანან“, მევიდოდეს-ყენ || მევიდოდეს-კენ || მევიდოდეს-ენ „მოვიდოდნენ“, ეხვეწებოდეწ-ყენ „ეხვეწებოდნენ“ (მხოლოდ ქვემოიმერულში);

ე) -არიენ || -ლარიენ მეშველი ზმნით: იგენი წევ-ლარიენ, ეჩხუბებ-ლარიენ, იხთი-ლარიენ... მას იგენი უყვარ-ლარიენ, ეზიზღებ-ლარიენ... უნახავ-ლარიენ, გოუღვიძებ-ლარიენ... იგენი დამალულ-არიენ, გამთბარ-არიენ → გამთბალ-არიენ... დახვთერ-ლარიენ „დახვედრიან“ (გვხვდება მხოლოდ ქვემოიმერულში).

მოთხრობითში დასმული სახელის მრავლობითობა გამოიხატება:

ა) -ნ სუფიქსით (კავშირებითის ფორმებში): იმგენმა დაწერო-ნ, იმღერო-ნ;

ბ) -ენ სუფიქსით (ძირითადად ქვემოიმერულში): იმგენმა დაწერ-ენ, იმღერ-ენ;

გ) -ეს სუფიქსით (უპირატესად — ზემოიმერულში): იმათმა დაწერ-ეს, გააკეთ-ეს, დეიძახ-ეს, იმღერ-ეს (შდრ. ქვემოიმერული: დაწერენ, გააკეთენ, დეიძახენ);

(#470)

დ) -ყენ || -კენ || -ენ ფორმანტით (მხოლოდ ქვემოიმერულში): იმგენმა დეიძახეს-ყენ || დეიძახეს-კენ || დეიძახეს-ენ; და ასე: იყიდოს-ყენ, აკეთოს-ყენ, რა ქნას-ყენ... შევნიშნავთ: ქვემოიმერულში ნამყო ძირითადში III სუბიექტური პირის ნიშნად, როგორც ითქვა, -ენ გვაქვს: დეიძახ-ენ (რა თქმა უნდა, თუ გამოვრიცხავთ იმ შემთხვევებს, როცა სალიტერატურო ენისა ან ზემოიმერულის გავლენასთან გვაქვს საქმე), ხოლო -ეს დაჩნდება -ყენ ფორმანტის დართვისას: დეიძახ-ეს-ყენ (მრავლობითობა ორმაგი სუფიქსაციით გამოიხატება);

მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა შესაძლოა აღინიშნოს:

ა) -ნ ფორმანტით (კავშირებითის ფორმებში): თქვენ (კაცებს) უნდა გქონდე-ნ „გქონდეთ“, მათ ქონდე-ნ „ჰქონდეთ“;

ბ) -ენ ფორმანტით: თქვენ (კაცებს) გაქვ-ენ „გაქვთ“, გქონდ-ენ „გქონდათ“, გქონი-ენ „გქონიათ“; გძინავ-ენ „გძინავთ“, გძინავდ-ენ, გეძინ-ენ „გეძინათ“, გძინები-ენ „გძინებიათ“; და ასე: გეყურები-ენ „გესმით“, გეყურებოდ-ენ „გესმოდათ“, გეხურ-ენ „გეხურათ“, მოგივლი-ენ „მოგივათ“; ასევე: გიჭამი-ენ „გიჭამიათ“, გეჭამ-ენ „გეჭამათ“... იმგენს აქვ-ენ, ქონდ-ენ, ქონი-ენ... ეძინ-ენ, ეხურ-ენ; უჭამი-ენ, ეჭამ-ენ...

გ) -ყე || -ყენ || -კენ ფორმანტით: იმათ || იმგენს აქვს-ყე || აქვს-ყენ, უყვარს-ყე || უყვარს-ყენ... ქონდა-ყე || ქონდა-ყენ, უყვარდა-ყე || უყვარდა-ყენ... ქონებია-ყე || ქონებია-ყენ, ყვარებია-ყე || ყვარებია-ყენ... და ასე: ეშინია-ყე, შეეშინდა-ყე, შეშინებია-ყე; ასუმს-ყე „ასმევს ის მათ“, ასუმდა-ყე; უჭამია-ყე, ეჭამა-ყე; დეხვთერია-ყე „დახვედრია ის მათ“... თქვენ (კაცებს გაქვს-ყე || გაქვს-ყენ, გიყვარს-ყე, გეშინია-ყე, გასუმს-ყე, გიჭამია-ყე, გეჭამა-ყე, დაგხვთერია-ყე... შევნიშნავთ: ზემოიმერულში

მხოლოდ -ყე გვხვდება, ქვემოიმერულში იგივე ფორმანტი -ყენ || -კენ... ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი;

დ) -არიენ || -ლარიენ მეშველი ზმნით, რომელიც ფორმანტადაა გააზრებული (გვხვდება მხოლოდ ქვემოიმერულში): იმგენს იგი უნდებ-ლარიენ, უკვირ-ლარიენ, ახსოვ-ლარიენ, უყვარ-ლარიენ, მოსწონ-ლარიენ... თქვენ (კაცებს) იგი გინდებ-ლარიენ, გიყვარ-ლარიენ, მოქწონ-ლარიენ... იგი თქვენ (კაცებს) გემშვიდობებ-ლარიენ „გემშვიდობებათ“...

მრავლობითის გამოხატვის ნაირსახეობანი, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით ქვემოიმერულში შეინიშნება. ფორმანტთა სემანტიკურ გადააზრიანებას ხშირად მნიშვნელობათა გადაკვეთა და ფორმათა დამთხვევა მოჰყვება შედეგად. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს.

(#471)

იმგენს იგი უყვარ-ლარიენ || უყვალ-არიენ

იმას იგენი უყვარ-ლარიენ || უყვალ-არიენ

პირველ შემთხვევაში -ლარიენ || -არიენ ელემენტით მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა გამოიხატება (ცვლის -თ ფორმანტს: უყვარ-თ), მეორე შემთხვევაში —სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელისა (ცვლის -ან ფორმანტს: უყვარ-ან).

იმგენს იგენი უყვარ-ლარიენ || უყვალ-არიენ

აქ ორივე სახელის მრავლობითობა იგულისხმება.

ამის კვალობაზე, იგენს უკვირ-ლარიენ, უნდებ-ლარიენ ტიპის ფორმებში -ლარიენ არის -თ ფორმანტის ეკვივალენტი, მოდი-ლარიენ, ჯდი-ლარიენ რიგის ფორმებში — -ან ფორმანტის ეკვივალენტი.

იმ შემთხვევაში, როცა -ლარიენ ცვლის -თ სუფიქსს, იგი II პირის ფორმაშიც დაჩნდება: გიკვირ-ლარიენ, გინდებ-ლარიენ. -ან სუფიქსთან შენაცვლებისას ამგვარი რამ გამოირიცხება.

იგინი შეწუხთ-ენ, იმგენმა ყველა შეაწუხ-ენ — -ენ ფორმანტით აღინიშნება სუბიექტის მრავლობითობა; იმან თქვენ შეგაწუხ-ენ — იმავე ფორმანტს პირდაპირი (უშუალო) ობიექტის მრავლობითბის გამოხატვა აკისრია; იმან თქვენ გული შეგიწუხ-ენ — აქ უკვე ირიბი ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება; იმგენს შენთვის გული შეუწუხები-ენ — ამ შემთხვევაში -ენ რეალური (სემანტიკური) სუბიექტის

მრავლობითობის გამომხატველია. ერთსა და იმავე -ენ ფორმანტს ოთხი სხვადასხვა ფუნქცია აღმოაჩნდა.

გეხმარები-ენ ტიპის ფორმებით შეიძლება გამოიხატოს შემდეგი მიმართებანი: ისინი შენ გეხმარებიან, ის თქვენ გეხმარებათ, ისინი თქვენ გეხმარებიან (ზედმიწევნით: გეხმარებიანთ).

ასევე: დაქტოვ-ენ შეიძლება ნიშნავდეს: მათ შენ დაგტოვეს, მან თქვენ დაგტოვათ, მათ თქვენ დაგტოვეს (ზედმიწევნით: დაგტოვესთ).

ამგვარი ნიმუშები ნათელყოფენ, რომ უნიფიკაციის ტნედენცია ზოგჯერ ისე შორსაა წასული, რომ გარჩევა კონტექსტითღა ხდება შესაძლებელი. დასახელებული იყო შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ფორმანტით სხვადასხვა ფუნქცია გამოიხატებოდა.

საპირისპირო შემთხვევაა, როცა სხვადასხვა ფორმანტით გამოიხატება ერთი და იგივე ფუნქცია. ქვემოიმერულში ამის ნიმუშებიც გვაქვს.

აქვ-ენ || აქვს-ყენ — ინვერსიულ ზმნაში რეალური სუბიექტის მრავლობითბა გამოიხატება ორი სხვადასხვა ფორმანტით: -ენ და -ყენ.

(#472)

მოქწონ-ენ || მოქწონ-ლარიენ — ანალოგიური ვითარებაა: -ენ და -ლარიენ.

გეკუთვნი-ენ || გეკუთვნის-ყენ || გეკუთვნ-ლარიენ — ირიბი ობიექტის მრავლობითბა გამოხატულია სამი სხვადასხვა ფორმანტით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთი ფუნქციის მქონე ფორმანტების განაწილება ძირითადად თქმებისა და ქცევების მიხედვით ხდება: ხონურში, სამტრედიულსა და წყალტუბოურში უპირატესად -ენ გვხვდება ამ დანიშნულებით; ოკრიბულში, ხანურ-ზეგნურსა და თერჯოლურში უმეტეს წილ -ყე არის დადასტურებული (თუმცა ამ რეგიონში სულ უფრო ვრცელდება -თ), ვანურში კი პარალელურად გამოიყენება -ენ || -ყენ || -თ — ზოგჯერ ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი, ერთსა და იმავე ფრაზაში: „მიწა რომ ეყიდა-თ, ცოლის ნამზითი უნდა გეეყიდ-ენ (= გაეყიდათ)“. ანალოგიურად ნაწილდება -ენ და -ლარიენ.

სხვაობა მით უფრო იჩენს თავს კილოკავების დონეზე: მოდი-ენ || მოდი-ან, გატირებს-ყე || გატირებ-თ ზემოიმერულია, მოდი-ლარიენ, გატირებ-ენ || გატირებ-ლარიენ „გატირებთ“ — ქვემოიმერული.

იმავდროულად ერთი და იმავე ფუნქციის გამომხატველი ფორმანტები ერთ სისტემაში ენაცვლებიან ერთმანეთს (დამატებითი დისტრიბუციის ფაქტთან გვაქვს საქმე); მაგალითად, სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად -არიენ || -ლარიენ აწმყოსა და I შედეგობითში გვაქვს, სხვა პარადიგმებში მას -ნ ან -ენ შეენაცვლება:

ჯდი-ლარიენ, იჯდ-ენ, იჯდე-ნ (კავშირებითი), მჯდალ-არიენ; ან: უყვარ-ლარიენ, უყვარდ-ენ, ჰყვარები-ენ — ანალოგიური ვითარებაა, ოღონდ გამოიხატება ან რეალური სუბიექტის (უყვართ, უყვარდათ, ჰყვარებიათ), ან რეალური ობიექტის (უყვარან, უყვარდენ, ჰყვარებიან) მრავლობითობა.

ამრიგად, მრავლობით რიცხვის გამომხატველ მორფემათა ფორმობრივი და სემანტიკური ნაირსახეობანი იმერულში ასე წარმოგვიდგება:

ა) -თ სუფიქსით აღინიშნება I და II სუბიექტური პირის მრავლობითობა — საერთო ქართული წესის შესაბამისად (ვწერ-თ, წერ-თ). ზემოიმერულში, ქართლის მომიჯნავე ტერიტორიაზე, ირიბი ობიექტის, რეალური სუბიექტის (ინვერსიულ ზმნებში) და პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება სამივე პირის ფორმაში (I პირში გვ- პრეფიქსით, II და III პირის ფორმებში — -თ სუფიქსით; III სუბიექტური პირის ნიშანი, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია): ის ჩვენ გვაჩუქებს, თქვენ გაჩუქებსთ, მათ აჩუქებსთ... ის ჩვენ გვებრალებოდეს, თქვენ გებრალებოდესთ, მათ ებრალებოდესთ; გვაქვს, (#473) გვაქვსთ, აქვსთ... ის ჩვენ გვაწუხებს, თქვენ გაწუხებსთ, მათ აწუხებსთ; მან ჩვენ შეგვაწუხა, თქვენ შაგაწუხათ, ისინი შეაწუხათ...

ბ) -ან სუფიქსით გამოიხატება სუბიექტის მრავლობითობა ზემოიმერულში: -ი სუფიქსიან ზმნებში (ჭრიან, მღერიან); ამავე ფორმანტს იყენებენ სტატიკური ზმნებიც (დგანან || დგარან || დგალან, ჩავრან || ჩამრან „ჩანან“... ტიპისა); ზოგჯერ შეენაცვლება -ენ (უპირატესად ქვემოიმერულთან მომიჯნავე თქმებში): ჭრიან → ჭრიენ, ჩავრან || ჩავრენ...

გ) გარდამავალი ზმნების ნამყო ძირითადში სუბიექტის მრავლობითობას აღნიშნავს -ეს ფორმანტი; ძირითადად გვხვდება ზემოიმერულში, დაჩნდება იმერულის შუა ზოლშიც: დაწერეს, გააკეთეს... ილაპარაკეს, იმღერეს... ქვემოიმერულთან მომიჯნავე თქმებში შეენაცვლება -ენ: გააკეთეს || გააკეთენ, იმღერეს || იმღერენ ...

დ) კავშირებითის ფორმებში -ნ სუფიქსით გამოიხატება მრავლობითობა: ზემოიმერულში — სუბიექტისა (აკეთებდე-ნ, აკეთო-ნ); ქვემოიმერულში — სუბიექტისა (აკეთებდე-ნ, აკეთო-ნ); პირდაპირი ობიექტისა (ღმერთმა გაცოცხლო-ნ თქვენ, მან თქვენ დაგინახო-ნ, დაქტოვო-ნ — მხოლოდ II პირის ფორმებში); ირიბი ობიექტისა (ღმერთმა თქვენ შვილი გიცოცხლო-ნ, მან უნდა დაგეხმარო-ნ თქვენ — მხოლოდ II პირის ფორმებში); რეალური სუბიექტისა ინვერსიულ ზმნებში (თქვენ ის დაგეწერო-ნ „დაგეწეროთ“, მათ ის დეეწერო-ნ „დაეწეროთ“)...

ე) -ენ სუფიქსით გამოიხატება მრავლობითობა: ზემოიმერულში — სუბიექტისა (წერენ, აკეთებენ; მღერიან || მღერიენ; იმალებიან || იმალებიენ; წერდენ, აკეთებდენ); ქვემოიმერულში — სუბიექტისა (წერენ, წერდენ, დაწერენ; ჭრიენ, ჭრიდენ, დაჭრენ; მღერიენ, იმღერებენ, იმღერენ; იმალებიენ, იმალებოდენ, დეიმალენ... ანუ:

გამოიყენება საკუთრივ -ენ, აგრეთვე -ნ-ენ და -ეს ფორმანტთა პოზიციაში); ირიბი ობიექტისა (იგი თქვენ გეხმარებიენ, მოგეხმარენ; მათ იგი გოუჩთებიენ, გოუჩთებოდენ, გოუჩთენ; მათ ქვიენ „ჰქვიათ“, ეთქვენ „ერქვათ“... ანუ: ცვლის -თ სუფიქსს); პირდაპირი ობიექტისა (იგი თქვენ გაწუხებენ, მან თქვენ შეგაწუხენ; იგი თქვენ გიტაცებენ, მან თქვენ მოგიტაცენ... ე.ი. II პირში აღინიშნება მრავლობითობა როგორც მიცემითში, ასევე სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტისა, III პირში — მხოლოდ მიცემითი ბრუნვით წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტისა: შეაწუხებენ იმგენს სიცხე, გადარევენ იმგენს რაცხა; კ. კუბლაშვილი); რეალური სუბიექტისა ინვერსიულ ზმნებში (თქვენ ის გაქვენ, გქონდენ, გქონიენ; გაინტერესებენ, გაინტერესებ(#474)დენ; გიჭამიენ, გეჭამენ... მათ ის აქვენ, ქონდენ, ქონიენ; უჭამიენ, ეჭამენ).

ვ) ზემოიმერულში -ყე ფორმანტით გამოიხატება მრავლობითობა: ირიბი ობიექტისა (ის ჩვენ გვეხმარება, თქვენ გეხმარება-ყე, მათ ეხმარება-ყე; მან მათ დაალევინა-ყე, მუუტანა-ყე; ღმერთმა მოახმაროს-ყე მათ); პირდაპირი ობიექტისა (ის ჩვენ გვაჩერებს, თქვენ გაჩერებს-ყე, მათ აჩერებს-ყე; მან ჩვენ გაგვაჩერა, თქვენ გაგაჩერა-ყე, ისინი გააჩერა-ყე; მან გადაჩეხა-ყე ბჟოლები, მან შვილები გაზარდა-ყე; შესაძლოა აღნიშვნა აზრობრივი იყოს: მან დააყენა-ყე ხალხი); რეალური სუბიექტისა ინვერსიულ ზმნებში (ის ჩვენ გვაქვს || გვაქ, თქვენ გაქ-ყე, მათ აქ-ყე; ის მათ უყვარს-ყე, უყვარდა-ყე, ჰყვარებია-ყე; ის მათ უჭამია-ყე, ეჭამა-ყე; მე მშობლებს ერთი შვილი ვყავდი-ყე). -ყე თანდათანობით იცვლება -თ ფორმანტით, ახალი თაობა თითქმის აღარ იყენებს მას. ქართლის მომიჯნავე თქმებსა და ქცევებში კი იგი იმთავითვე არ შეინიშნებოდა; მეტიც: ამ ფორმანტის უქონლობა თვით მოსახლობისათვის იყოს სხვათაგან გამომრჩევი ფაქტი: -ყე ჩვენ არ ვიცითო.

ქვემოიმერულში -ყენ || -კენ || -ენ ფორმანტით გამოიხატება მრავლობითობა: სუბიექტისა (თხრობით კილოში, ჩვეულებრივ, დაერთვის მრავლობითობის სუფიქსს — ორმაგი გამოხატვაა: დეიძახეს-ყენ || დეიძახეჭ-ყენ || დეიძახეს-წყენ, გოუშვენ-კენ; კავშირებითში ჩნდება მხოლოობითი რიცხვის -ს ფორმანტის მომდევნოდ: დეიძახებდეს-ყენ || დეიძახებდეჭ-ყენ || დეიძახებდეს-წყენ, დეიძახოს-ყენ || დეიძახოჭ-ყენ || დეიძახოს-წყენ, გვხვდება ასეც — სამტრედიულ თქმაში: დეიძახოს-კენ || დეიძახოს-ენ; რა ქნას-ყენ || რა ქნას-კენ); ირიბი ობიექტისა (ის ჩვენ გვანახებს, თქვენ განახებს-ყენ, მათ ანახებს-ყენ; მან ჩვენ გვანახა, თქვენ განახა-ყენ, მათ ანახა-ყენ; ამ ჭკვიანეფს ასუმდა-ყენ ორ-ორ ჭიქა ღვინოს და სუნელს თითო ჭიქას ასუმდა; რაცხა უნდა განახო-ყენ მე თქვენ; დაახვთერა-კენ „დაახვედრა მან მათ“); პირდაპირი ობიექტისა (ღმერთმა გაცოცხლოს-ყენ, შვილებო!; გამოდენა-ყენ ცხვრები); რეალური სუბიექტისა ინვერსიულ ზმნებში (ის ჩვენ გვიყვარს, თქვენ გიყვარს-ყენ || გიყვარ-ყენ, მათ უყვარს-ყენ || უყვარ-ყენ; ასევე: გიყვარს-კენ, უყვარს-კენ; ეშინია-ყენ, შეეშინდა-ყენ; წამოუყვანია-ყე, წამოუყვანივარ-ყე „წამოვუყვანივარ მე მათ“, წამეეყვანა-ყენ || წამეეყვანა-ყე; შოუხედავს-ყენ, შეეხედა-ყენ). -ყე || -ყენ განსაკუთრებით იფართოვებს გამოყენების სფეროს ხონურ, სამტრედიულ და ვანურ თქმებში.

ზ) -არიენ || -ლარიენ მხოლოდ ქვემოიმერულს ახასიათებს (სპორადულად დაჩნდება ქვემოიმერულის მომიჯნავე ტერიტორიაზე ზემო(#475)იმერულში, ისიც შეზღუდულად — სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად). აღინიშნება მრავლობითობა: აწმყოში — ერთვალენტიანი მდგომარეობითი ზმნების სუბიექტისა (ჟილარიენ, წევლარიენ, ყრილარიენ, ვარგილარიენ, მოდილარიენ; მრავლობითობის ფირმანტად ზოგჯერ გაიაზრება ბოლოკიდური -ენ, რის გამოც მხოლოობითში გვექნება ჟილარია: „მოდის კაცი, ჟილარია ცხენზე“); ორვალენტიანი გარდაუვალი ინვერსიული ზმნების რეალური სუბიექტისა (ის მათ უყვალარიენ || უყვარლარიენ, ძულარიენ, უნდებლარიენ, უკვირლარიენ; ის თქვენ გიყვარლარიენ, გძულარიენ, გინდებლარიენ, გიკვირლარიენ); ანალოგიით — დინამიკური ზმნების სუბიექტისა (ეჩხუბებლარიენ, გეჩხუბებლარიენ, მეჩხუბებლარიენ ისინი; ეკითხებლარიენ, ეფერებლარიენ, ეპარებლარიენ; იხთილარიენ „იხდიან“); ორვალენტიანი ინვერსიული ზმნის რეალური ობიექტისა (ისიინ მე მიყვარლარიენ, ჩვენ გვიყვარლარიენ, შენ || თქვენ გიყვარლარიენ, მას || მათ უყვარლარიენ); დინამიკური ზმნის ირიბი ობიექტისა (ის ჩვენ გვეჩუბება, თქვენ გეჩხუბებლარიენ, და ასე: ის თქვენ გემშვიდობებლარიენ, გიცთილარიენ); **I შედეგობითში**— ერთვალენტიანი ზმნების სუბიექტისა (დამჟდალარიენ, დაყრილარიენ, მოსულარიენ); ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების სუბიექტისა (ისინი მას გამომშვიდობებლარიენ, დამზგავსებულარიენ, წაწყტომილარიენ); გარდამავალი ზმნების რეალური ობიექტისა (ქ-არ გოუპარებლარიენ ბოვშვები მას; მასკვან იგენი აღარ მინახავლარიენ); გარდამავალი ზმნების რეალური ობიექტისა (ქ-არ გოუპარებლარიენ ბოვშები მას; მასკვან იგენი აღარ მინახავლარიენ); გარდამავალი ზმნების რეალური სუბიექტისა (მათ ის გოუტაცებლარიენ, გოუპარებლარიენ); **III შედეგობითში**— სუბიექტისა (ისინი ნაშენებლარიენ, ნაძლევლარიენ). როგორც ითქვა, მრავლობითობის ფუნქციის ამგვარი გაფართოვება იწვევს ფორმათა დამთხვევას: უყვარლარიენ იგენს იგი, მას იგენი, იგენს იგენი; გეჩხუბებლარიენ ისინი შენ, ის თქვენ, ისინი თქვენ; გოუპარებლარიენ იგენს იგი, მას იგენი, იგენს იგენი და მისთ. -არიენ || -ლარიენ ცვლის როგორც -თ (უყვართ მათ ის), ასევე -ან (უყვარან მას ისინი) ფორმანტებს. ღირსსაცნობია, რომ გადააზრიანების საფუძველზე ეს ფორმანტი II პირის მრავლობითობასაც გამოხატავს; რეალური სუბიექტისა (გიყვარლარიენ „გიყვართ“), ირიბი ობიექტისა (გიცთილარიენ „გიცდით ის თქვენ“).

ერთი შეხედვით, ქვემოიმერულში განუკითხავად ჭრელი სურათია მრავლობითის გამოხატვის თვალსაზრისით. სინამდვილეში მოქმედებს მწყობრი სისტემა, რომელსაც შეაპირობებს უნიფიკაციის მძლავრი ტენდენცია. ნიმუშად უღვლილების სამ სისტემას მოვიტანთ, სადაც შესაბამისად აღინიშნება სუბიექტის (წერენ ისინი), ირიბი ობიექტის (გეხმარებიენ იგი თქვენ) და პირდაპირი ობიექტის (გიტაცებენ ის (#476)თქვენ) მრავლობითობა ერთი და იმავე -ენ (კავშირებითში — -ნ) სუფიქსით:

I სერია	წერ-ენ	გეხმარები-ენ	გიტაცებ-ენ
	წერდ-ენ	გეხმარებოდ-ენ	გიტაცებდ-ენ
	წერდე-ნ	გეხმარებოდე-ნ	გიტაცებდე-ნ
II სერია	დაწერ-ენ	დაგეხმარ-ენ	გაგიტაც-ენ
	დაწერო-ნ	დაგეხმარო-ნ	გაგიტაცო-ნ
III სერია	დოუწერი-ენ	დაგხმარები-ენ	გოუტაცებიხარ-თ
	დეეწერ-ენ	დაგხმარებოდ-ენ	გეეტაცები-ენ

შევნიშნავთ, რომ გეხმარები-ენ, გაგიტაც-ენ ამგვარადვე იუღლება მაშინაც, როცა აღინიშნება: იგენი შენ, იგენი თქვენ.

უნიფიკაციის ტენდენცია მეტ-ნაკლებად შეეხო ზემოიმერულსაც: შდრ. მაგალითად, ზემოიმერული: მიდიან || მიდიენ, წავიდენ, წასულან || წასულენ; ქვემოიმერული: მიდიენ || მიდილარიენ, წევიდენ, წასულენ || წასულარიენ.

ზოგი თავისებურება დაჩნდება ზმნური ხმოვანი პრეფიქსების გამოყენებისას: ა) უპრეფიქსოდაა წარმოდგენილი ზმნა, რომელიც, ჩვეულებრივ, პრეფიქსით გამოიყენება: სვრის „ისვრის“, სვრიდენ „ისროდნენ“ (შდრ.: უსვრიდენ „ესროდნენ“); ბ) შენაცვლებულია ხმოვანი პრეფიქსები (შესაბამისად იცვლება ფრაზის სტრუქტურაც): „ჩემი სიკვდილი ჩემმა ხარმა იყუროსო“; სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებს იკეთებენ „აჩუქებს“ და „ასიზმრებს“ ზმნები: „თუ იჩუქეფო, უთხარი — სუფრა მაჩუქეო“, „ვისიზმე (= დამესიზმრა), ვითომც ყელს გველი მეხვია?; შდრ.: „ცოლმა სიზმარი უსიზმა“. დაჩნდება ზოგი სხვა რიგის თავისებურებაც: ისაწყენა || ისიწყინა „იწყინა“, ირცხვინა „სასირცხვოდ, სარცხვენად მიიღო“ („ეს ხვანთქარმა ირცხვინა“).

თავს იჩენს აწმყოს ფუძის გაერთფორმიანების ტენდენცია — რთულდება თემის ნიშნით: წერ-ავ-ს, ტეხ-ავ-ს, ი-ხვეჭ-ავ-ს. ხმოვანმონაცვლე ზმნები პარალელურ ვარიანტებს გვიჩვენებენ: გამოიყენება როგორც I, ასევე II სერიის ფუძე (კრეფ-ავ-ს || კრიფ-ავ-ს, და ასე: კპეჩავს || კპიჩავს, ჩხრეკავს || ჩხრიკავს); ნამყო უსრულში უპირატესობა ენიჭება ი- გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეებს (კრიფავდა, ჩხრიკავდა). ფუძე შესაძლოა გართულდეს -ებ (თვალს გაახილებს „გაახელს“), -ევ (ატნევს „ატანს“, ნამყო ძირითადი: გაატნია) ფორმანტებითაც.

(#477)

ამის საპირისპიროდ დაჩნდება უთემისნიშნო ფორმებიც: თეს-ს, რეცხ-ს ტიპისა.

ზემოიმერულში (განსაკუთრებით — ქართლის მომიჯნავე რეგიონში) თემის ნიშანი -ავ → -ამ პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში: ვთიბავ → ვთიბამ, თიბავს

→თიბამს; და ასე: წერამს, წყვეტამს, ყეფამს. ამ წესს მიჰყვება ყავს → ყამს (|| ხამს, იშვიათად: ყანს), აგრეთვე: აძლემს „აძლევს“, დემს „დევს“, თომს „თოვს“; და, საპირისპიროდ, -ამ → -ავ: ჩაასხავს „ჩაასხამს“, დადგავს „დადგამს“, ჩეიცვავს „ჩაიცვამს“; ამის კვალობაზე: იზამს →იზავს (მრავლობითი: იზმონენ || იქმონენ). მ → ვ ზმნურ სუფიქსში სხვა შემთხვევებშიც შეგვხვდება: მიცემენ → მიცევენ (ქ. ძოწენიძე). ქვემოიმერულში ამ სახის ცვლილებანი ძალზე იშვიათია.

ფართო გამოყენებისაა მიმღეობის ფუძისაგან -ობ → -ოფ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნები: ხმარულოფს, ტანულოფს, სმენილოფს, სწავლულოფს, ძლებულოფს, კვეხულოფს, ნდომულოფს, ტყობილოფს. -ობ, საერთოდ, ხშირია: შოოფს „შოულობს“, ბრძოლოფს „იბრძვის“.

რიგი -ებ თემისნიშნიანი ზმნებისა ფუძეს -ივ → -ი ფორმანტით ირთულებს: იშორეფს || იშორიეფს „იშორებს, იშორიებს“, იცილიეფს, იძულიეფს, იყოლიეფს. ზოგი -ავ თემისნიშნიანი ზმნა დამატებით დაირთავს -ობ-ს: კერაობს „კერავს“. ტოვს „ტოვებს“, ათხოვს „ათხოვებს“ ზმნები უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი.

ხშირია თემის ნიშანთა შენაცვლების შემთხვევები აწმყო-მყოფადის ფორმებში: -ებ → -ი (აძალის, აბრალის, უგონის), -ი → -ობ (შეფერობს→ შეფეროფს), -ავ → -ობ (ცეკვობს, შფოთობს →შფოთოფს), -ამ → -ობ (ისობს „ისვამს“), -ებ → -ობ (ღრიალობს, ფრიალობს, კაშკაშობს, კისკისობს, კაკნობს || ღრიალოფს); ფონეტიკურ საფუძველზე (ე : ო გადაბგერებით) -ევ → -ოვ (ამტვრევს→ ამტროვს || ანტროვს).

აწმყო-მყოფადის მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებში ზოგი თავისებურებით ხასიათდება -ავ || -ამ თემისნიშნიანი ზმნები. ზემოიმერულში (განსაკუთრებით — ქართლის მომიჯნავედ), ძალზე იშვიათად — ქვემოიმერულშიც -ავ || -ამ რედუცირდება: თეს-ვ-ენ „თესავენ“, ცარც-ვ-ენ, ნახ-ვ-ენ, ხერხ-ვ-ენ, თიბ-ვ-ენ, ბარ-ვ-ენ, გა-ტეხ-ვ-ენ; უ-რტყ-მ-ენ „ურტყამენ“ (პარალელურად: თეს-ავ-ენ || თეს-ამ-ენ; -ავ → -ამ ხმოვნის წინ ოდენ ამ შემთხვევაში დაჩნდება; უ-რტყ-ამ-ენ || უ-რტყ-ავ-ენ). მხოლოდ ზემოიმერულში შეგვხვდება ამავე პარადიგმაში -ავ → -ევ: თეს-ევ-ენ, ბარ-ევ-ენ, თიბ-ევ-ენ, გა-ტეხ-ევ-ენ... ანალოგიურად იცვლება -ამ || -ავ → -ევ: სვ-ევ-ენ „სვამენ“. მათ (#478) გვერდით დადასტურებულია თემისნიშანჩამოცილებული ფორმებიც: თეს-ენ, ხერხ-ენ, ხარშ-ენ მაშინ, როცა მხოლოობითში დასტურდება: თეს-ავ-ს, ხერხ-ავ-ს, ხარშ-ავ-ს (შდრ. კანონზომიერი მიმართება თეს-ს — თეს-ენ ტიპისა, რაც ასევე შეინიშნება იმერულში).

ასეთი სხვაობა მრავლობითი რიცხვის III პირისა და იმავე პარადიგმის დანარჩენ პირებს შორის სხვა შემთხვევებშიც იჩენს თავს; კერძოდ, უთემისნიშნო ზმნებთან დაჩნდება -ებ: მე-ი-ყვან-ს, მე-ი-ტან-ს... მაგრამ: მე-ი-ყვან-ებ-ენ, მე-ი-ტან-ებ-ენ; და ასე: დაახმარებენ,ბანებენ, ჭამებენ... -ებ თმისნიშნიანი წარმოება განსაკუთრებით ქვემოიმერულში წარმოჩნდება, სადაც ამგვარი ფორმები ზოგჯერ მხოლოობითშიც გვხვდება: თხოვ-ებ-ს „თხოვს“, უ-კბინ-ებ-ს „უკბენს“... და თანაც არა მხოლოდ III

პირში — მაგალითად, ბაღდათურში (ხანურ-ზეგნურში) დადასტურდა: გა-ვ-ა-ტან-ებ || გა-ვ-ა-ტან-ემ „გავატან“, გა-ა-ტან-ებ || გა-ა-ტან-ემ „გაატან“. თერჯოლურში III პირის ფორმებში -ებ დაჩნდება -ავ თემის ნიშნის ნაცვლადაც: გადა-ვ-კრ-ავ, მაგრამ: გადა-კრ-ებ-ს → გადა-კრ-ეფ-ს; ვ-გლეჯ-ავ, მაგრამ: გლეჯ-ებ-ს →გლეჯ-ეფ-ს (შ. ძიძიგური).

ზემოიმერულში -ავ || -ამ თემისნიშნიანი ზმნები ნამყო უსრულში ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: ა) -ავ → -ევ (ანალოგიურად: -ამ → -ემ) სამივე პირის ფორმებში: ვ-ნახ-ევ-დ-ი, ნახ-ევ-დ-ი, ნახ-ევ-დ-ა (|| ვ-ნახ-ემ-დ-ი...); და ასე: წიკევდა || წიკემდა, კლევდა || კლემდა... ა-ბ-ემ-დ-ა || ა-ბ-ევ-დ-ა; ანალოგიურად: სვემდა || სვევდა, ასხემდა... ამ წესს მიჰყვება ი-ზემ-დ-ა)|| ი-ზმ-ოდ-ა); თერჯოლურში -ევ ფორმანტის პოზიციაში დაჩნდება -ებ: „გადაკრებდა როძგს“, „მოკლებდა ბატონს“ (შ. ძიძიგური); შდრ.: გადაკრებს, მოკლებს (იხ. აქვე, ზემოთ). ანალოგიური ვითარებაა ხანურ-ზეგნურში: „ხნებდა (= ხნავდა) ყანასა“, წირებდა „წირავდა“, მოხარჩებდა „მოხარშავდა“ || ხნევდა, წირევდა, მოხარშევდა (პ. გაჩეჩილაძე); ბ) არცთუ იშვიათად თემის ნიშანი ჩამოცილებულია: კეტ-ავ-ს, მაგრამ: კეტ-დ-ა →კეტ-ტ-ა; და ასე: ხარჯავს — ხარჯდა, ხარშავს — ხარშდა, ყლაპავს — ყლაპდა, კერავს — კერდა... (ქ. ძოწენიძე); ამგვარი ფორმები ზემოიმერულის გავლენით თერჯოლურშიც გვხვდება (შ. ძიძიგური, კ. კუბლაშვილი); შდრ. აწმყოსა და ნამყო უსრულის კანონზომიერი მიმართება: ხარშ-ს — ხარშ-დ-ა.

ზოგი თავისებურებით ხასიათდება მდგომარეობითი ზმნების I სერიის ფორმათა წარმოებაც.

დგა-ს, ზი-ს, წევ-ს, დევ-ს ტიპის ზმნები ხშირად -ი დაბოლოებითაა წარმოდგენილი: ვ-დგ-ი-ვარ, დგ-ი-ხარ, დგ-ი-ა; ვჯდივარ || ვჯივარ, (#479) ჯდიხარ || ჯიხარ, ჯდია || ჯია || ჟდია; და ასე: წვია, დვია (მრავლობითი: ზემოიმერული — ვდგივართ, დგიხართ, დგიან || დგიენ; ვჯდივართ || ვჯივართ, ჯდიხართ || ჯიხართ, ჯდიან || ჯიან || ჯილან. ქვემოიმერული — ვდგივართ, დგიხართ, დგილარიენ). -ი დაბოლოებით გვხვდება აგრეთვე: ვარგია, ჭირია, შვენია, უყვარია, უძღვია, აკრია, ახურია (ნამყო უსრული: ვარგოდა, ჭიროდა, უყვაროდა).

დგა-ს, ზი-ს ტიპის ზმნებს იმერულში სხვაგვარი წარმოებაც ახასიათებს: ა) ფუძე რთულდება -ან, -ენ სუფიქსებით — უპირატესად ქვემოიმერულში: დგანა, ჯდანა || ჟდანა; ვანურში: დგენა, ჯდენა, წვენა || წენა, დენა „დევს“ (მრავლობითი: დგანარიენ || დგალარიენ); ბ) ზემოიმერულში დაჩნდება -არ სუფიქსიც (||-ალ): დგ-არ-ს (მრავლობითი: დგარან|| დგარენ, აგრეთვე: დგალენ || დგალან). -არ → -რ სუფიქსიანი ფორმები სხვა შემთხვევებშიც გვხვდება (პარალელური ვარიანტების გვერდით) — უპირატესად მრავლობით რიცხვში: წევ-ს || წემ-ს → წევ-რ-ან || წევ-რ-ენ || წევ-ან; გავ-ს → გავ-რ-ან || გავ-რ-ენ || გავ-ლ-ენ; და ასე: ყავს → ყავრან || ყავრენ, ჩანს || ჩდას → *ჩანრან → ჩამრან || ჩავრან || ჩარან || ჩდარან (აგრეთვე: ჩამენ || ჩამან || ჩავან); შდრ. ქვემოიმერული: *დგარარიენ → დგალარიენ, გავლარიენ, *ჩანლარიენ → ჩალარიენ.

ზოგიერთ თქმაში (ხანურ-ზანურში) მდგომარეობითი ზმნების ერთ ნაწილს შენარჩუნებული აქვს არქაული წარმოება: რცხვენ-ი-ს, ე-შინ-ი-ს, ხად-ი-ს.

ყივის, ჩივის, კივის, ბღავის, ღვივის, ბზუის ზმნათა აწმყოს ფორმებად დაჩნდება: ყივა, ჩივა, კივა, ბღავა, ღვივა, ბზუა.

ფართოდაა გავრცელებული მეშველზმნიანი წარმოება; თაავისთავად: ვდგივარ, ვჯდანვარ, ვწენვარ; და იმვდროულად: ვყვირივარ, ყვირიხარ; ვშვენივარ, შვენიხარ; ვერჩივარ, ერჩიხრ; ვგორავარ, გორავხარ; ვჩქარობვარ, ჩქარობხარ; ვფიქრავარ, ფიქრავხარ.

ნამყო ძირითადში ზოგ ზმნასთან I და II პირის ფორმებში -ე სუფიქსის ნაცვლად გვხვდება -ი (დავაპი, დააპი; დევიმხვი, დეიმხვი) ან -ევ-ი → -ე-ი დაბოლოება — უპირატესად ზემოიმერულში (ვიყიდევი || ვიყიდეი, მოვიყვანევი || მოვიყვანეი, დავრგევი || დავრგეი); მოვუსვი, მოუსვი ფორმათა ნაცვლად იხმარება მო(ვ)უსევი, მოუსევი (III პირი: მოუსვა).

II კავშირებითის წარმოებაში დაჩნდება უნიფიკაციის ტენდენცია. ქვემოიმერულში უპირატესობა ენიჭება -ე ფორმანტს (ჩვეულებრივ, ვნებითის ფორმებში): დეიხჩვეს „დაიხრჩოს“, დეიდვეს „დაიდოს“, დეიჭრეს „დაიჭრას“, დეიკლეს „დაიკლას“ (შდრ.: მოქმედებითის ფორმები — დაკლას, დაჭრას. ამით შესაძლებლობა იქმნება განირჩეს (#480) მოქმედებითი და ვნებითი: „დეიჭრას მან ის“ მოქმედებითია, „დეიჭრეს ის“ — ვნებითი); ზოგ ზმნაში ვრცელდება -ო: წახვიდო „წახვიდე“, წევიდოს „წავიდეს“, გედევიდოს „გადავიდეს“, გოუხარდოს „გაუხარდეს“... ზემოიმერულში ანალოგიურ ტენდენციას ავლენს -ო: I კავშირებითი — ხედევდონ „ხედავდნენ“, იღებდონ „იღებდნენ“, ეკიდებოდონ „ეკიდებოდნენ“; II კავშირებითი: მოქცონ „მოგცენ“, მოქვტონ „მოკვდნენ“, დაბრუნდონ „დაბრუნდნენ“; წევიდოთ, წახვიდოთ, წევიდონ. -ო უფრო ხშირია მრავლობით რიცხვის III პირის ფორმებში (ლ. ნოზაძე).

უნიფიკაცია თავს იჩენს III სერიის ფორმათა წარმოების დროსც.

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში ძირითადია -ი დაბოლოებიანი წარმოება (საყრდენია, ჩვეულებრივ, II სერიის ფუძე): მოუკლია, დოუმალია, შოუკერია, დოუხუჭია; დოუბია, ჩოუცვია, წოუსვია; უთქვია || უთხრობია; ჩამოუკიდია, გოუტაცია, დოუბდია, გამოუძახია; შდრ.: ოუშენებია, გოუთენებია, დოულაგებია, გოუცილებია — გამოიყენება I სერიის ფუძე. ამავე ფუძეს ეყრდნობა მი-უ-ც-ემ-ი-ა „მიუცია“, რომელიც სხვა დიალექტებში II სერიის ფუძეს იყენებს.

II სერიის ფუძით წარმოდგენილ ზმნებს ზემოიმერულში ხშირად -ნ ჩაერთვის: ჩამოუკიდნია, გოუტაცნია, დოუბადნია, გამოუძახნია. -ნ თავს იჩენს სხვა შემთხვევებშიც: გოუყიდნია, გოუბედნია, უთამაშნია, უჩხუბნია (ე.ი. მაშინ, როცა II სერიის ფუძის გამოყენება საერთო ქართული მოვლენაა).

გარდამავალ ზმნათა II შედეგობითში ხშირია -ებ-ინ დაბოლოების გარეშე ნაწარმოები ფორმები: ეღალატა „ეღალატებინა“, გეემარჯვა „გაემარჯვებინა“, დეეძახა „დაეძახებინა“... და თავისთავად: დეემალა „დაემალა“, დეება „დაება“. ზემოიმერულში აქაც ხშირად ჩაერთვის -ნ: ეღალატნა, გეემარჯვნა, დეემალნა.

ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითი ზემოიმერულში ზოგჯერ - იყო მეშველი ზმნით იწარმოება: შეძლებიყო „შეძლებოდა“, ქონიყო „ქონოდა“, მოსვლიყო „მოსვლოდა“, მოყოლიყო „მოჰყოლოდა“, მოსწრებიყო „მოსწრებოდა“. ქვემოიმერულში ამგვარი წარმოება შეზღუდულია; ჩვეულებრივია: შეძლებოდა, ქონოდა || ქონებოდა, მოსვლოდა, მოსწრებოდა.

ე-თქვ-ა ფორმის ნაცვლად გავრცელებულია ე-თქვ-ი-ა, გვხვდება -ე-თხრობ-ი-ა ფორმაც.

II შედეგობითის წარმოებისას ზემოიმერულის ზოგ თქმაში (საჩხერულში, ჭიათურულში) ერთი თავისებურება შეინიშნება: ერთვალენ(#481)ტიანი ზმნების I და II პირის ფორმებში დაჩნდება ი-ყავ-დ-ი მეშველი ზმნა: დავმალულიყავდი „დავმალულიყავი“, დამალულიყავდი „დამალულიყავი“, მაგრამ: დამალულიყო; და ასე: მამკვტარიყავდი, მამკვტარიყავდი (შენ), მამკვტარიყო; ვყოფილიყავდი, ყოფილიყავდი, ყოფილიყო. ქვემოიმერულისათვის ასეთი რამ უცხოა. ზემოიმერულშიც ამ მოვლენას „გავრცელების ფარგლები ვიწრო აქვს და არც უფროსი თაობის (მოხუცთა) მეტყველებაში შეინიშნება“ — ახალი წარმონაქმნი ჩანს (ქ. ძოწენიძე).

IV სერიის ფორმათა წარმოება უპირატესად დამახასიათებელია ქვემოიმერულისათვის.

III შედეგობითი: მინავალა, მინაქონა, ნაყვარება, ნაგდება, ნათბობა, ნაჟდომა, ნაწერა || ნაწერავა, ნაგზავნა, ნაქარგავა, ნაშენება („ნაჟდომა ბოვში თავისთვის“, „ნაწერა დედამის წერილებს“).

IV შედეგობითი: მინავალიყო, განათბობიყო, ნაფიქრალიყო („განათბობიყო საწყალი ცეცხთან“); (გ. როგავა, შ. ძიძიგური, ო. კახაძე, კ. კუბლაშვილი).

IV კავშირებითი იშვიათია: მინავალიყოს, ნათბობიყოს, ნაყვარებიყოს, ნასროლიყოს...

ზემოიმერულში ამგვარი წარმოება სპორადულად დაჩნდება — თანაც თავისებური გაფორმებით: მინავლებულა, მინავლებულიყო... („ისინი დანავლებულან ერთათ“); გვხვდება ვნებითის ყალიბითაც (მეორეული წარმოებაა): „მეენავლებოდა აქეთ ან ძირულაში მიენავლებოდა“. უპირატესად მაინც ამ დანიშნულებით ზემოიმერულში I შედეგობითია გამოყენებული (შდრ. ქვემოიმერული: ნაცხოვრება — ზემოიმერული: ცხოვრებულა).

IV სერიაში ზმნები ძირითადად III პირის ფორმით გვხვდება; სხვა პირის ფორმათა გამოყენება იშვიათია: მივნასლელვარ, ნაწერავხარ („ნაწერავხარ რაცხა სისულეეფს“), შეგნაძლება || შენაგძლება („შეგნაძლება საქმის გაკეთება“), გნაყვარება („გნაყვარება ცოლშვილი“); (გ. როგავა, კ. კუბლაშვილი).

ნიმუშად მოვიტანთ III შედეგობითის პარადიგმას:

ვნაწერავარ	ვნაწერავართ	
ნაწერავხარ	ნაწერავხართ	
ნაწერავა	ნაწერავლარიენ	(გ. როგავა).

ხონურ თქმაში დაჩნდება ნა — არ ცირკუმფიქსით ნაწარმოები ფორმები: განაკეთებარა, განაძლებარა, განატეხარა, რომლებიც პოტენციალისის სემანტიკას გამოხატავენ: „ე ბაღანე ქე განაკეთებარა (#482) (= ამ ბავშვს შესძლებია გაკეთება) და რას ერჩოდით ტყულათე“ (შ. ძიძიგური).

ღირსსაცნობია ვნებითის ფორმათა წარმოების თავისებურებანიც.

ზემოიმერულში -ამ თემისნიშნიანი ზმნა ვნებითს ზოგჯერ არქაული წესით იკეთებს: დგ-ამ-ს → ი-დგ-მ-ი-ს; და ასე: იცმის, დეიბმის (აქვს პოტენციალისის გაგება). ანალოგიური წარმოება დაჩნდება ბაღდათურშიც: ი-დაგ-ვ-ი-ს, ი-მართ-ვ-ი-ს, ი-ხრაკ-ვ-ი-ს; ი-დგ-მ-ი-ს (აქ -ავ თემისნიშნიანი ზმნებიცაა ჩართული).

იმერულში საკმაოდ არის გავრცელებული ვნებითის ფორმათა -დ სუფიქსიანი წარმოება: გათოშდება, შენანდება, შებრალდება, გამოდარდება. ხშირად გამოიყენება სახელზმნური ფუძე: განკურნალდა, დანატრულდა, გამგზავრდა. ასევე —ნაწარმოები ფუძე: მოსიახლოვდა. -დ სუფიქსიანი ფორმები შესაძლოა უღვლილების პარადიგმაში შეენაცვლოს მდგომარეობით ზმნებს: ხარობს — გახარდება — გახარდა; მოილაპარაკებენ — მოლაპარაკტებიენ — მოლაპარაკტენ; ჩხუბობს — აჩხუბდება — აჩხუბდა; მოსწონს — მოსწონდება; სურს — მოსურდება. შემდეგ: გადახტ-ა, მიუხტ-ა ზმნები გამოიყენება ამ სახით: გადა-ხტ-ენ-დ-ა, მი-უ-ხტ-ენ-დ-ა. და, პირიქით: „შეეშინდა“ იხმარება -დ სუფიქსის გარეშე: შეეშინა, შეგეშინა, შემეშინა.

კაუზატივის ფორმათა წარმოება ორგვარად ხდება: ა) -ევ სუფიქსიანი კაუზატივები ფუძის გახმოვანებას იცვლიან: აჭუმს „აჭმევს“, ასუმს „ასმევს“, აცუმს „აცმევს“, ართუმს „ართმევს“ (ასუამს→ ასუმს, აცუამს → აცუმს... შემდეგ ანალოგიით სხვ -ევ-იან ზმნებშიც ვრცელდება); ნამყო ძირითადში: აჭმია, ასმია, ჩააცმია, წაართმია (ნარევი პარადიგმაა). ამ რიგის ფორმები უპირატესად ქვემოიმერულშ

გვხვდება; ბ) საერთო იმერული მოვლენაა -ინ → -ი (აკეთებინებს→ აკეთებიეფს, გააკეთებინა → გააკეთებია); -ევ-ინ → -ევი (აკვლევინებს→ აკვლევიეფს, მოაკვლევინა → მოაკვლევია; აჭრევიეფს || აჭრეიეფს — მოაჭრევია || მოაჭრეია); ქართლურის მოსაზღვრე თქმებში ასეც გვხვდება: -ევ-ინ → -ეინ (აკვლევინებს→ აკვლეინეფს || აკლეინეფს, მოაკვლევინა → მოაკლეინა). სახელზმნებში იკარგვის კაუზატივის სუფიქსისეული -ი: დალევნება „დალევინება“, დასალევნებელი „დასალევინებელი“, დოულევნებელი „დაულევინებელი“.

***

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. ფართო გამოყენებისაა დადასტურებითი „ქე“: „ქე გითხარი, მარა არ დეიჯერე“, „დღეს ქეც წვიმს და თოვლსაც ქე გამოურევს“, „სიმიდი ქე რო გვითესია“. ოკრი(#483)ბულში „ქე“ შეიძლება მოექცეს წინადადების ბოლოს: „ოთხი წელი ისტავლა და ახლა დაამთავრა ქე“. იშვიათად გვხვდება „ქვე“ და „ქი“, სპორადულად თავს იჩენს „ქო“ (← ქვე): „ქვეც თესდენ, ქვეც ბარამდენ“.

ქართლის მოსაზღვრედ ზემოიმერეთში იპოვება ჰოდე || ხოდე (აგრეთვე: ჰოდედა || ხოდედა) დადასტურებითი ნაწილაკი.

დადასტურებითი „კი“ გვხვდება ასეც: კიე.

კითხვით ნაწილაკს „ხომ“ ხშირად ცვლის „ხომე“: „კაი ვენახია, ხომე?“ -ე კითხვითობის ფუნქციით სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება: „რა უყოთე?“

სხვათა სიტყვის ნაწილაკ-მორფემოიდია -თქვა (ცვლის -მეთქი მორფემოიდსაც, რომელიც ზესტაფონურში მე ვთქვი || მეთქვი სახითა წარმოდგენილი): „რამდენჯერ გითხარი, მოდი-თქვა“.

ზოგ თქმაში (ხარაგაულურში...) სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკ-მორფემოიდის წინ დაჩნდება -ა: მივდივარაო, ხარაო.

-ღა → -ხა -ც ნაწილაკ-მორფემოიდის მომდევნოდ: *რაცაღა → რაცღა → რაცხა; და, პირიქით, -ცა → -ძა რეგრესული დისტანციური ასიმილაციით: *რაცღა → რაძაღა (კონტამინაციით: რაძახა); და ასე: საცხა || საძაღა || საძახა, ვინცხა || ვინძაღა || ვინძახა, რომელიცხა || რომელიძაღა || რომელიძახა (იხ. ზემოთ: ფონეტიკა).

-ღა, -მე ნაწილაკები შესაძლოა მიერთოს როგორც ფუძეს, ასევე ბრუნვის თანდებულიან ფორმას: რაღაზე || რაზეღა, რამეზე || რაზემე („იქნებოდა დაჭერილი რაზემე“).

ხშირი ხმარებისაა „აპა“, რომელიც გამოხატავს როგორც დადასტურებას, ასევე უარყოფას: დადასტურების დროს ახლავს კითხვითი ინტონაცია ან „არა“ ნაწილაკ-მორფემოიდი (გააკეთე? — აპა? || აპა არა?), უარყოფის დროს — ძახითი ინტონცია (გააკეთე? — აპა!). იხმარება მაშ → მა ნაწილაკ-მორფემოიდთან ერთადაც: მა აპა

→მაპა, რომელიც უპირატესად ზემოიმერულში გვხვდება. დასტურდება -ლე დართული ნაირსახეობითაც: აპალე.

-ლე ნაწილაკ-მორფემოიდი შეზღუდულად დაჩნდება: ისევლე || ისთევლე, ზემოხსენებული „აპალე“ (ძირითადად იხმარება ქართლურის მოსაზღვრე თქმებში) და მისთ.

-რე აწარმოებს ზე-რე, ქვე-რე ზმნისართებს; იგივე ელემენტი ჩანს მადე-რე || მადე ზმნისართშიც. ზემოიმერულში გვხვდება ანგ-რე, მანგ-რე ფორმებშიც (ნ-ჩართული აგრე, მაგრე). რ-ნარევ ფუძეებთან -რე → -ლე (პროგრესული დისიმილაციით): *ადრერე → ადრელე.

დამოწმებულია -ოდენ → -დენ → -თენ → -თე ნაწილაკ-მორფემოიდიც: ას-თე, ის-თე.

(#484)

-ნა || -ნე მორფემოიდი ხშირია ზმნისართებში: ზემოიმერულში -ნა გვაქვს, ქვემოიმერულში (განსაკუთრებით — მის დასავლურ თქმებში) — -ნე: აქა-ნა || აქა-ნე, ექა-ნა, იქა-ნა || იქა-ნე, სადა-ნა || სადა-ნე, მადა-ნა || მადა-ნე, ჩუმათა-ნა || ჩუმათა-ნე, მარტვა-ნა (მარტვი-ნა) || მარტვა-ნე, ძალათა-ნა || ძალათა-ნე. ეს ფორმები ფონეტიკური ნაირსახეობებითც გვხვდება: სადა-ნა → საანა || სანა, სადა-ნე → სანე (|| სადა, სად), მადანა → მაანა || მანა, მადანე → მანე (|| მადა, მად). -ნა || -ნე მორფემოიდის პოზიციას ზოგჯერ იჭერს -ი: მარტვა-ი, ჩუმათა-ი || ჩუმათე-ი... ადგილის ზმნისართები ბრუნვის ნიშნების დართვისას -ნა || -ნე მორფემოიდს ჩამოიცილებენ (სიდან || სიდანი, სედით → სეით, სიდეთ; მაიდან, მადით || მაით); ზოგჯერ რთულდებიან -ობა სუფიქსით (სანობამდი, მანობამდი). -ობა ზმნისართებს დაერთვის სხვა შემთხვევებშიც (აქობამდე, იქობამდე).

სპორადულად დაჩნდება -მა ნაწილაკ-მორფემოიდი: „ისემც კაი დაგემართა“ — კავშირებითის ფუნქციას ანიჭებს თხრობითის ფორმას (შდრ.: „ისემც კაი დაგემართოს“, სადაც მისი ფუნქცია დაბნელებულია, რამაც განაპირობა კავშირებითის ფორმის გამოყენება).

„კინაღამ“ ნაწილაკ-მორფემოიდი გვხვდება ასე: ღარმე || ღამე; ზესტაფონურში დადასტურდა: კიღამე || კიღამეს.

მრავალგზისობის „ხოლმე“ ხშირად ფონეტიკურად ცვლილია — „ხომე“. ზოგ თქმაში (თერჯოლურში...) შესაძლოა გამოყენებულ იქნას ნამყო ძირითადის ფორმებთანაც: გამოაგდო ხომე „გამოაგდებდა ხოლმე“, წავედი ხომე „მივდიოდი ხოლმე“, შეგხვდა ხომე „გხვდებოდა ხოლმე“ (შ. ძიძიგური).

***

ე) სიტყვათწარმოება. -ე სუფიქსი დაჩნდება ყუდრე, დიდარე, ფართე და მისთ. ფორმებში.

ზმნისართები ხშირად რთულდება -ი დანართით: ძალიანი, ჯერეთი, ჩუმათაი || ჩუმათეი, ძლივათი.

ხარისხის ფორმებს აწარმოებენ უ — ე || უ — ო აფიქსები (ძველი ქართულისებური ვითარებაა): უ-ხნ-ე, უ-მაღლ-ე, უ-დაბლ-ე, უ-დიდ-ე, უ-გრძ-ე (შდრ.: გრძ-ელ-ი), უ-სხ-ო. ზემოიმერულში წარმოება ხშირად აღწერითია; შესადარებლად გამოიყენება -გან თანდებულიანი სახელი: „იქ უფრო თბილია აქისაგანა“ (= იქ ამაზე უფრო თბილა), „უფრო გოულანძღია ჩემსაგან“ (= ჩემზე უფრო მეტად გაულანძღია), „ნინასაგან ნუნუ უმფრო მიყვარს“ (= ნინაზე მეტად ნუნუ მიყვარს); (ქ. ძოწენიძე).

(#485)

მქონებლობის გამომხატველი -იან სუფიქსი იფართოვებს სფეროს: საშვალებანი, დავიდარებიანი, უკუღმართიანი... ცოლისიანი || ცოლისიანები, ქალისიანი || ქალისიანები. ქვემოიმერულში მქონებლობისვე -ოვან → -უან || -ვან კრებითობის ფუნქციას შეიხამებს: დიდრუანი || დიდრვანი, პატრუანი || პატრვანი || პაწვანი || პატატვანი, უფროსვანი, ამ ხელვანი (|| ამ ხელვანები), ამ სიფართვანი (|| ამ სიფართვანები)... ჩვეულებრივია მისი გამოყენება ხარისხის ფორმათა აღწერითი წარმოებისას: „რამ სიგძვანი კაბებია“, „თითის სიმსხვანი“ (კ. კუბლაშვილი). ზემოიმერულში უპირატესად მქონებლობის გამომხატველია: სახელვანი, ხნევანი (= სახელიანი, ხნიანი || ხნიერი).

ფართო გამოყენებისაა -იერ, რომელიც ხშირად ცვლის -იან სუფიქსს: ჭკვიერი, ჯიშიერი, შვილიერი, ქონებიერი, ტვინიერი, თავიერი, ადამიერი „ადამიანი“.

უქონლობის სახელები თითქმის შეუზღუდავად იწარმოება უ —ო (უმარჯვო, უკოხტავო), უ — ურ (უშეშური „უშეშო“, უჯოხური „უჯოხო“) აფიქსებით. ორმაგი წარმოების ნიმუში უ-არ-ქონ-ო (ქ. ძოწენიძე).

გამოყენების სფეროს იფართოვებენ სი — ე (სიახალგაზრდე, სიდაღლილე, სიქურდე), სი — ო (სიხმო „ხმელი || ხმობა“) აფიქსებიც.

წარმომავლობის -ელ და -ურ ხშირად არ განარჩევენ ვინ- და რა- ჯგუფის სახელებს: ხონელი ქათამი, ვანელი ბჟოლა, რაჭველი ნიგოზი (|| ხონური, ვანური, რაჭული); ზემოური ქალი, გაღმოური კაცი (|| ზემოელი, გაღმელი). ზემოიმერულში „ინდაური“ ფორმის ნაცვლად იხმარება „ინდოველი“ (ქ. ძოწენიძე). ადგილის ზმნისართებისაგან წარმომავლობის სახელები ორმაგი სუფიქსაციით იწარმოება: სადაურელი, მანდაურელი, აქაურელი, იქაურელი, შინაურელი. მიემართება როგორც ვინ-, ასევე რა-ჯგუფის სახელებს: აქაურელი კაცი || ვაშლი...

-ურ (რ-ნარევ ფუძეებთან პროგრესული დისიმილაციით: -ულ) აწარმოებს გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარს: კოკელოური „კოკელაძის ქალი“, კვინიკოური „კვინიკაძის ქალი“, გრიგალოური „გრიგალაშვილის ქალი“. -ოურ, ჩვეულებრივ, ერთიან სუფიქსად გაიაზრება: კუჭუხოური „კუჭუხიძის ქალი“, ფეიქროული „ფეიქრიშვილის ქალი“. ოკრიბულში ამავე ფუნქციით დაჩნდება -ულ (არადისიმილირებული): გოტიაული „გოტიაშვილის ქალი“ (ო. კახაძე). ხონურ და სამტრედიულ თქმებში -ურ სუფიქსს ცვლის -ხე: ღაჭახე „ღაჭავას ქალი“, ფარცხალაიხე „ფარცხალაძის ქალი“, მელეიხე „მელაძის ქალი“, რუხეიხე „რუხაძის ქალი“, ხუროიხე „ხუროძის ქალი“ (შ. ძიძიგური, კ. კუბლაშვილი).

(#486)

ფართო გამოყენებისაა -ნარ: ხეობნარი, ტყეობნარი, კენჭნარი, *ქვარნარი → ქვარნალი.

ხშირია -ობა აბსტრაქტულ სახელთა (ბედნიერობა, ქვეყნიერობა, ხელშეკრულობა), აგრეთვე მასდართა (ყრუობა, ღამის თეობა, ღალატობა) მაწარმოებლად. -ობა სუფიქსით რთულდება ზმნისართებიც თანდებულთა დართვისას (იხ. აგრეთვე ზემოთ): სანობამდი, აქობამდი და მისთ.

წინავითარების სახელთა წარმოებისას ფუძე რთულდება -ებ სუფიქსით: ნაღვინები, ნაკვალები, ნაცოლები, ნაციხები, ნაეკლესიები; ნაშუაღამებს, ნაახალწლებს (ცვლის: ფონეტიკურად -ევ სუფიქსს, სემანტიკურად — -ევ და -არ სუფიქსებს).

დანიშნულების სა- პრეფიქსიან სახელთა ფუძე -ე, -ო, -ურ სუფიქსებით იწარმოება: სატანისამოსე, სააბრეშუმე; საწვიმო, საქათმო, საქვიო („ქვიანი ნიადაგის დასამუშავებელი კავი“), ანალოგიით: საშიშარო; საქათმური, საქვაბური, საწვეთური.

მოსაქმეობის სახელთა თავისებური ფორმებია: მესაქონლე, მეჭორე. დასტურდება მოკპილე „ტოლი“, მობიძაშვილე „შორეული ბიძაშვილი“ ტიპის წარმოებაც.

-ობრივ რთულ სუფიქსს ცვლის -ობ → -ოფ: ადგილოფ.

ბაღდათურში (ხანურ-ზეგნურში) იპოვება თითოობის -ოლ სუფიქსი: თითოლა, ოროლა, სამოლა, ოთხოლა, ოცოლა. ფორმანტად გააზრებულია ორ-ორა → ორ-ოლა რედუპლიცირებული ფუძის მეორე კომპონენტი (პ. გაჩეჩილაძე).

სახელთა კნინობითი ფორმების ძირითადი მაწარმოებელია -ა: ვასილა, ლევანა. ქართლის მოსაზღვრე თქმებში ამავე სუფიქსით კნინობითი ფორმები იწარმოება საზოგაადო სახელებისგანაც: ბოთლა, ბილიკა. ზოგჯერ კნინობითობა ცოტაობის ფუნქციად გაიაზრება: „ერთი ქვევრა ღვინო მაქ“... -ა სუფიქსიანი სახელების ფუძე ხშირად რთულდება კნინობითობის სხვ მაწარმოებლებით: -ელ (გივიელა, სონიელა), -იკ-ელ (ნინიკელა, მარიკელა), -იტ (გოგიტა), -ოტ (ჭიკოტა || ჭიკოტია), -უტ (ხახუტა),

-ულ (თუნგულა, ჩაფულა); გამოიყენება -იკო რთული სუფიქსიც (ვასიკო, ვალიკო). ხშირია -ია (დავითია, სევასტია, ნინოია), რომელიც აგრეთვე -იე || -იი ფონეტიკური ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი: დავითია || დავითიე || დავითიი (იხ. ზემოთ: სახელთა ბრუნება).

ზოგი თავისებურება ახასიათებს სახელზმნათა წარმოებას.

ზემოიმერულში მასდარში შესაძლოა გადავიდეს ვნებითისეული -დ: გაჯავრდნა: ხანურ-ზეგნურში — ობიექტური პირის ნიშანი: სდევს → სდევა, სტანჯავს → სტანჯვა (პ. გაჩეჩილაძე).

(#487)

ხშირია -ილ სუფიქსიანი წარმოება: დევილი, პატიჟილი, ხვერწილი, ყეფილი, ძებილი.. გვხვდება სი- პრეფიქსიანი და სი — ინ აფიქსიებიანი მასდარები: სიცინი, სირბინი (-ინ ენაცვლება -ილ-ს).

ზემოთ აღინიშნა, რომ უნიფიკაციის საფუძველზე აწმყოს მარტივი ფუძე ხშირად რთულდება თემის ნიშნებით; ეს მოვლენა შესაბამისად აისახება მასდარებში: გზიკვა, ქშინვა, ღრინვა, კრიფვა, კპინვა, ჭყლიტვა, ტეხვა, მოხვეჭვა. დაჩნდება შენაცვლებული თემის ნიშნებიც: შერთობა „შერთვა“, დასწავლება „დასწავლა“.

იმ მდგომარეობითი ზმნებისაგან, რომელთა ფუძეს -ავ აწარმოებს, ხოლო თემის ნიშნად -ობ მოუდით, მასდარი თავისებური სახითაა წარმოდგენილი: ბურთავი, გორავი, ქანავი, კინკლავი, ლოლიავი, ქიჩავი (ბ. ცხადაძე).

სასუბიექტო მიმღეობის ფუძის მაწარმოებლად უპირატესად -ელ გვხვდება: შემკერველი, გამტეხელი, დამთესელი, მრეცხველი, დამბარველი, დამწერელი.

ზოგ თქმაში (ხანურ-ზეგნურში...) დადასტურდა მაომარი, მაბრძოლი, მათოხარი ტიპის ფორმები.

ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის ფუძე ზოგჯერ თემის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი: დაწყილი, ავსილი, ანთილი, გამზადილი, გაცინილი || გაცინული... საყრდენი ჩანს II სერიის ფუძე. ზოგჯერ კი, პირიქით, დაჩნდება თემის ნიშანი, რომელიც საყრდენ ზმნურ ფუძეში არ ივარაუდება: თესებული, წერებული და მისთ.

-ილ და -ულ ხშირად მონაცვლეობს; შდრ. ერთი მხრივ: მოტანული, შემოღობული, დაჭირული, დაბეჭდული, გათხოული და, მეორე მხრივ: დადებილი, დასწრებილი; ამ მოვლენას ზოგ შემთხვევაში ახსნა ეძებნება: -ულ, ჩვეულებრივ, გვაქვს მაშინ, როცა საყრდენი ზმნური ფუძე -ავ თემისნიშნიანია: შემოღობავს → შემოღობული, იჭირავს → დაჭირული. ზოგჯერ -ვილ → -ულ: გათხოვილი→ გათხოული; სხვა შემთხვევებში ანალოგიის შედეგთან უნდა გვქონდეს საქმე.

დასტურდება მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობის ოდენპრეფიქსული წარმოება: გასათალი, დასასვარი, გადასაყვარი, მოსარიდი, წასავალი, გასარები.

III ტიპის („უნიშნო“) ვნებითის ფორმათაგან საობიექტო მიმღეობა შესაძლოა -ილ სუფიქსითაც იწარმოოს (ნაცვლად მ — არ კონფიქსისა): გათბობილი, გაშრობილი, გახმობილი, ჩაქრობილი, დადნობილი, წახთომილი (კ. კუბლაშვილი).

ხონურ და სამტრედიულ თქმებში უარყოფის მიმღეობები ორმაგი პრეფიქსაციითაა ნაწარმოები; უდოუწერელი „დაუწერელი“; და ასე: (#488) უგოუთლელი, უდოუჯერებელი, უგოუკეთებელი, უგოუგებარი (შ. ძიძიგური). იშვიათად სრული ასიმილაციაც ხდება: უდუუწერელი, უგუუთლელი.

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში (დიდი ბოვში, დიდი ბოვშმა, დიდი ბოვშს, დიდი ბოვშის, დიდი ბოვშით, დიდი ბოვშათ); ზოგჯერ იპოვება ფუძის სახითაც, გარდა სახელობითისა (დიდი ბოვში, მაგრამ: დიდ ბოვშმა, დიდ ბოვშს, დიდ ბოვშის, დიდ ბოვშით, დიდ ბოვშათ). ქვემოიმერულში -ა ხმოვანზე დაბოლოებულ მსაზღვრელებში შესაბამის ბრუნვებში (იხ.: მორფოლოგია, სახელთა ბრუნება) დაჩნდება -ე (კერკეტე თხილი, კერკეტა თხილმა, კერკეტა თხილს, კერკეტე თხილის, კერკეტე თხილით, კერკეტა თხილათ), თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა -ე დაბოლოება ყველა ბრუნვაში გაჰყვება.

ბ) სუბსტანტურ მსაზღვრელს ხშირად ეკარგვის ბრუნვის ნიშნისეული -ს ელემენტი: ჭურისთავი → ჭური თავი; და ასე: თოხი პირი, ხენწიფი შვილი... უპირატესად ეს ხდება გაკომპოზიტების ტენდენციის მქონე სინტაგმაში. ზემოიმერულში დაჩნდება პოსტპოზიციის შემთხვევებიც: გვერდები რვეულისი; კაბა შეინახა თავისი დედისი; ქე მევიდა დრო ჩემი წასვლისი — დადასტურებულია საჩხერულსა და ჭიათურულში (ქ. ძოწენიძე).

გ) ჩვენებით ნაცვალსახელი ფონეტიკურად მარტივდება: სახელობითი: ე კაცი, ი ქალი... ზემოიმერულში დანარჩენ ბრუნვებში გამოიყენება ამა, იმა: ამა კაცმა, ამა კაცს... იმა ქალმა, იმა ქალს...

დ) რიცხვით სახელთან (გარდა „ერთისა“) საზღვრული, ჩვეულებრივ, მრავლობითს ფორმითაა წარმოდგენილი: ორი ბიჭები, ოთხი კაცები. ანალოგიური მდგომარეობაა სიმრავლის გამომხატველ მსზღვრელებთანაც: ბევრი (ყველა, რამდენიმე...) კაცები...

ე) I და II პირის ფორმებში ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება ყოველთვის დასტურდება, III პირში კი დარღვეულია ეს წესი: ძმანები

შინ დარჩა, ბიჭებმა იჩხუბა, ბოვშები დეიმალა, იგენი მევიდა, მაგენი ლაპარიკობს. იმავდროულად ობიექტი (პირდაპირიცა და ირიბიც), როგორც წესი, ამჟღავნებს შეთანხმების ტენდენციას (იხ. ზემოთ — ზმნაში მრავლობითი რიცხვის (#489) გამოხატვის კანონზომიერებანი). შეინიშნება აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალხი მოდიენ, გააჩერეს ხალხმა. შეთანხმების ტენდენცია დაჩნდება შედგენილ შემასმენელში: ბაბუამისები დიაკვნები იყვნენ, კაცები წასულები არიენ.

ვ) აქტიური სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნათა II სერიის ფორმებთან სუბიექტი წარმოდგენილია მოთხრობით ბრუნვაში: ბიჭმა მევიდა, ქალმა გამეეკიდა სტუმრეფს, გამეემშვიდობა ამ კაცმა (უფრო ხშირად ეს მოვლენა ქვემოიმერულში იჩენს თავს).

ზ) „და“ კავშირით შეერთებულ, ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან შესაბამისი ბრუნვის ფორმით ან თანდებულით შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მხოლოდ კავშირის მომდევნო სახელი: ბიძია და ბიცოლამ გოუგზავნა წერილი, ბიძია და ბიცოლას გოუგზავნია წერილი, ბიძია და ბიცოლასან ვიყავი, ბიძიე და ბიცოლედან წერილი მივიღე (ნიშანდობლივია: ბრუნვის შესაბამისად უბრუნველ სახელში მონაცვლეობს -ა და -ე დაბოლოება).

თ) გამოიყენება კავშრებითი: მარამა || მარამ || მარა, ხოლოთ, რაღაი, რომე || რო, რამდი, სანემ, სანობამდი, მანობამდი, როცხა || როიცხა, რომელიცხა, საცხა, რაფერაც || რავაც || რავარც. ზემოიმერულში გვხვდება აგრეთვე: თვარამა „თორემ“.

ი) მთავარ წინადადებაში ხშირად ელიფსისს განიცდის „თქვა“ ზმნა, დამოკიდებულ წინადადებაში კი ზმნას დაერთვის სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკ-მორფემოიდი: „დედამ, ჩქარა მევიდესო“; „ბიძიამ, ბოვშებს ნუ უწყრებითო“.

კ) ხშირია პარონომაზიის შემთხვევები: „ხვნითაც იხვნება მიწა“, „თესვით ქე თესვენ“ (ზემოიმერული); „ წახთენით კ-არ წაახთენენ“ (ქვემოიმერული).

***

IV. ლექსიკა სხვაობს კილოკავებსა და თქმების მიხედვით. მაგალითად, აზავერი „დიდი, მაღალი“, დუგლუგი „უწესო, წინდაუხედავი“, დაჯედა „ტკეჩით მოწნული დაბალი გოდორი“ გვხვდება ოკრიბულში, სხვა თქმებში კი არ შეინიშნება (ქ. ძოწენიძე, კ. კუბლაშვილი).

უხვადაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დარგობრივი ლექსიკის დიალექტური ნაირსახეობანი.

გამოიყოფა არქაული ფენა (ლექორი, კოლბოხი, მაწიერი, ღვაფი, უსტარი...), ეთნოგრაფიული თავისებურებების ამსახველი ლექსიკა (კოკილო „ორფეხა პატარა სკამი“, ღინწა „ხმარებისაგან გაცვეთილი ჯაყვა“, ღლიყი „ლობიოს ღეროს მისამაგრებელი მსხვილი სარი“, (#490) ხორო, „ალიზიანი მიწა“, ნაყვერბულა

„ნაცარში გამომცხვარი ჭადი“), ზანიზმები (ქართა, ინჯრა, მოღვანთული); ყურადღებას იქცევს მეტაფორული სიტყვათწარმოება (სიკვტილდოუკარებელი „უკვდავი“).

გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც ფონეტიკური თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას: ზემოიმერულშია, მაგალითად, დადასტურებული ღარბეში „ღარბელი“ (ქ. ძოწენიძე), რომელიც ლ:შ შენაცვლებითაა საინტერესო (შდრ. ანალოგიური მიმართება ქართველურ ენათა დონეზე — ქართული: ასულ-ი და სვანური: ჰასუშ).

***

ცნობილია და ზემოთ წარმოდგენილმა აღწერამაც დაადასტურა, რომ ზემოიმერული და ქვემოიმერული კილოკავები, გარდა მსგავსებისა, თვალსაჩინო სხვაობასაც ავლენენ.

ძირითადი სხვაობა მათ შორის ასეთია:

ა) ზმნის ხმოვანი პრეფიქსი ი- ქვემოიმერულში ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით ცვლის წინამავალ ა და ო ხმოვნებს: გაიტანა → გეიტანა, მოიტანა → მეიტანა. ზემოიმერულში ი-ს მაასიმილირებელი ძალა შესუსტებულია: ყოველთვის ცვლის ა ხმოვანს, მაგრამ ასეთი ძალით ვერ მოქმედებს ო ხმოვნზე; იქმნება პარალელური ფორმები (მოიტანა || მეიტანა). ქართლურის მომიჯნავე თქმებში კი ო უპირატესად უცვლელია (ქ. ძოწენიძე, კ. კუბლაშვილი);

ბ) იე → ეე სრული ასიმილაციით გვხვდება ქვემოიმერულში: მიეღწი → მეეღწია, მიესალმა → მეესალმა, მიეგნო → მეეგნო... ზემოიმერულში ეს მოვლენა არაა დადასტურებული;

გ) მო- → მა- ზემოიმერულში, თუ მას მოსდევს მ- (მამიტანა, მამკელი, მამნახველი). ქვემოიმერულში მო-, ჩვეულებრივ, უცვლელია ამ პოზიციაში;

დ) გარდა- → გარა- ზმნისწინი ფართო გავრცელებისაა ქვემოიმერულში (გარაახტა, გარევიდა). ზემოიმერულისათვის მისი გამოყენება არაა ნიშანდობლივი;

ე) -ებრ → -ეფ თანდებული დაჩნდება ზემოიმერულში (ქვასაეფ), ქვემოიმერულში ეს ფუნქცია -ვით || -ვეთ თანდებულით გამოიხატება (ქვასავით || ქვასავეთ);

ვ) ქვემოიმერულში -კენ → -ყენ, ხოლო სყ კომპლექსი ფონეტიკურად იცვლება: სახლისკენ → სახლისყენ → სახლიწყენ (ვ. თოფურია, შ. ძიძიგური). ზემოიმერულისათვის ასეთი რამ უცხოა;

ზ) -თვის || -თვინ თანდებული უპირატესად ზემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი; ქვემოიმერულში მას, ჩვეულებრივ, ცვლის -და (#491) თანდებულიანი ნათესაობითი: კაცისთვინ — კაციზა || კაციზან (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით);

თ) -გან თანდებული ქვემოიმერულში ხშირად წარმოდგენილია როგორც -გინ || -ინ (მთიდგინ || მთიდინ); ზემოიმერულში ასეთი რამ არაა დადასტურებული;

ი) -ზე თანდებული ზემოიმერულში -ზედა || -ზედ || -ზეა სახითაა წარმოდგენილი, ქვევემოიმერულში — ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით: -ზენ.

კ) მავრცობ ხმოვნად ზემოიმერულში -ა (უპირატესად ქართლურის მოსაზღვრე თქმებში) ან -ი გვაქვს (ურმისა || ურმისი, ხელებისა || ხელებისი), ქვემოიმერულში მის ადგილას -ე დასტურდებ (ურმისე); შესაბამისად: ვინა — ვინე, ხვალა — ხვალე, ძირა — ძირე, სულა — სულე;

ლ) -ენ პირის ნიშანი ქვემოიმერულში ფართო ფუნქციური დატვირთვით გამოიყენება: ცვლის -ან (ტირიენ), -ნენ (ტიროდენ), -ეს (იტირენ), -თ (აქვენ) ფორმანტებს; გამოხატავს სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტების მრავლობითობას. ზემოიმერულს ასეთი რამ არ ახასიათებს; მართალია, ზოგჯერ -ენ შესაძლოა აქაც გამოყენებულ იქნას სუბიექტური პირის სხვა ნიშნების ნაცვლად, მაგრამ არასდროს არ იხმარება ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნად;

მ) -არიენ || -ლარიენ ქვემოიმერულში გვხვდება (გამოხატავს სუბიექტისა და, გარკვეულ შემთხვევებში, ობიექტის მრავლობითობას), ზემოიმერულში იგი მხოლოდ ქვემოიმერულის მომიჯნავე თქმებში შეინიშნება (და ისიც ოდენ სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად); შდრ. ზემოიმერული: მოდიან || მოდიენ, დგარენ || დგალენ || დგალან, ყოფილან... ქვემოიმერული: მოდილარიენ, დგილარიენ || დგალარიენ, ყოფილარიენ...

ნ) -ყე(ნ) მრავლობითობის ფორმანტის ფართო სემანტიკური დიაპაზონი ასევე მხოლოდ ქვემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი, ზემოიმერულში კი იგი შეზღუდულად გამოიყენება;

ო) -ავ თემის ნიშანი ზემოიმერულში აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებში და ნამყო უსრულის სამივე პირში (აგრეთვე ნამყო უსრულზე დამყარებულ პარადიგმებში) გახმოვანებას იცვლის: მალევენ, პარევენ, ბარევენ... ვმალევდი, მალევდი, მალევდა... ნამყო უსრულში გახმოვანებას იცვლის -ამ თემის ნიშანიც: ვაბემდი, აბემდი, აბემდა... გახმოვანების ამგვარი ცვლა სრულიად უცხოა ქვემოიმერულისათვის;

პ) ზემოიმერულში ნამყო უსრულის ფორმებში -ავ თემის ნიშანი ხშირად ამოვარდება ხოლმე: ზომდა, ხარჯდა, ნახდა, ლანძღდა. ქვემო(492)იმერულში ასეთი რამ სპორადულად იჩენს თავს — უპირატესად ზემოიმერულთან მომიჯნავე თქმებსა და ქცევებში;

ჟ) ქვემოიმერულისათვის უცხოა ზემოიმერულში ნამყო ძირითადის ფორმებში პოვნიერი წრმოება ტიპისა: ვნახევი || ვნახეი, გააკეთევი || გააკეთეი;

რ) IV სერიის ფორმები ქვემოიმერულის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა (ნაყვარება, ნაკეთება; ნაყვარებიყო, ნაკეთებიყო); ზემოიმერულში ასეთი წარმოება სპორადულად გვხვდება და მისთვის ნიშანდობლივ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

ეს სხვაობანი აიხსნება როგორც კილოკავების განვითარების განსხვავებული შინაგანი ტენდენციებით, ასევე სხვა კილოებთან კონტაქტით.

***

ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის გამოიყოფა გარდამავალი ზონა, რომელიც შუაიმერულის სახელითაა ცნობილი (ვ. ფანჩვიძე). ესაა ოკრიბული, თერჯოლური და ბაღდათური თქმები. ამ რეგიონში „ზემოიმერული კილოკავის ნიშნებიც გვხვდება და ქვემოიმერულისაც. მოჭარბებულად ან ერთია წარმოდგენილი, ან მეორე ამ რაიონების ტერიტორიული განლაგების შესაბამისად“; მაგალითად, თერჯოლის რაიონში, რომლის სოფლები უშუალოდ ეკვრის ზემოიმერეთის სოფლებს, უფრო ზემოიმერულისათვის დამახასიათებელი მოვლენებია წარმოდგენილი , ხოლო ოკრიბულსა და ბაღდათურ თქმებში უპირატესად ქვემოიმერულთან იძებნება ანალოგები. თანაც ამ რეგიონის „მცხოვრებთან მეტყველებაში არ დასტურდება ისეთი საერთო თავისთავადი ნიშნები, რომ შესაძლებელი იყოს მათი ერთ კილოკავად გაერთიანება“. არსებითად, ამ სამი რეგიონის მეტყველება თავისი მეტ-ნაკლები ნარევობის გამო, სამ დამოუკიდებელ თქმას წარმოადგენს (ქ. ძოწენიძე). ერთი ნიმუში ამგვარი შერევისა: „წამოსულენ (ზემოიმერული ფორმაა) იქიდან, მოსულარიენ (ქვემოიმერული) სვირში“ (თერჯოლური).

ასეთი რეგიონებისათვის არც ისა მოულოდნელი, რომ მომიჯნავე კილოკავებში მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში გამოყენებული წარმოება უნიფიკაციის საფუძველზე განივრცოს დ სისტემური ხასიათი მიიღოს. ასეთია, მაგალითად, თერჯოლურში რ-ს სისტემური დაკარგვა (მოორე→ მოოე, რქა → ქა, წრეულ → წეულ, რვა → ვა, ქრისტე → ქისტე); გლეჯ-ებ-ს ტიპის ფორმები და მისთ. (შ. ძიძიგური).

(#493)

ამ რიგის მოვლენები, საერთოდ, დამახასიათებელია დიალექტთა გარდამავალი ზმნების მეტყველებისათვის. ტერმინი „შუაიმერული“ სწორედ ამას უნდა აღნიშნავდეს.

***

6.3. ლეჩხუმური. „რიონისა და ცხენისწყლის შუაწელის გასწვრივ მდებარე მიწა-წყალსა და მდ. ლაჯანურის მთელ ხეობას ლეჩხუმი ეწოდება“ (მ.ალავიძე). ლეჩხუმს საზღვრავს აღმოსავლეთით რაჭა (მდინარე ასკი), დასავლეთით — სამეგრელო (ასხის მთა), ჩრდილოეთით — ქვემო სვანეთი (ყვედრეშის ღელე), სამხრეთით — იმერეთი

(საზღვარა). ამჟამად ლეჩხუმი ძირითადად ცაგერის რაიონს შეადგენს, ნაწილი ლეჩხუმური სოფლებისა შედის ამბროლაურისა და წყალტუბოს რაიონებში.

ისტორიულად ლეჩხუმი ცნობილია როგორც თაკვერი (თაკუერი): „დალოცეს კვირიკეს ძე კახაბერი — ერისთავი რაჭის და თაკუერისა“ („ქართლის ცხოვრება“); „იქნებ წინათ „თაკუერი“ საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ სახელი „რაჭა“ შემოიღეს და „თაკუერი“ კი ლეჩხუმს შერჩა“ (ი. ჯავახიშვილი). დღეს „თაკვერი“ აღარ იხმარება (არის ვაზის ჯიში „თაკვერული“, რომელიც საკუთრივ ლეჩხუმში ამჟამად აღარ ხარობს).

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს ლეჩხუმს: „ხოლო ისულეთიდამ ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მჯარე ოდიშსა და აღმოსავლეთის კერძო — იმერეთისა. ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჴეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგაან, კუერსავით მდებარისა — იხილე ესე მთა კუერი, ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკუერისა. ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო — ესე არს ლეჩხომი“.

ივარაუდება, რომ „სვანური, მეგრული, შემდეგ რაჭული და იმერული ტომების აქ საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა დღევანდელი ლეჩხუმის მოსახლეობა“ (დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია).

VIII საუკუნის ბოლოს რაჭა-ლეჩხუმი ერთან საერისთავოდ ჩამოყალიბდა, შემდეგ იმერეთის სამეფოს ნაწილი იყო, ბოლოს სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა. ერთ პერიოდში ლეჩხუმი ქვემო სვანეთთან ერთად ერთ მაზრად იყო გაერთიანებული (ქართლი დიალექტოლოგია).

(#494)

ლეჩხუმში გარეშენი ძნელად აღწევდნენ და მის გამო მოსახლეობა წმინდა ქართულია; მხოლოდ დაბა ლაილაშში სახლობენ ებრაელები, რომლებიც ლეჩხუმურად უქცევენ.

„ლეჩხუმის ბევრი სოფელი მაღლობზეა, მთის კალთებში არის მოქცეული. მთებს შორის უმაღლესია ხვამლი. უმეტესი სივრცე ვენახს, სახნავ-სათესს, ტყესა და კლდეს უჭირავს“ (მ. ალავიძე). მისის სიმცირე გახდა მიზეზი ლეჩხუმელების დასახლებისა სხვა ტერიტორიაზე — იმერეთში, კახეთში, ქართლში, აგრეთვე: აფხაზეთში.

გეოგრაფიულად ლეჩხუმს ორ ნაწილად ყოფენ: ზემო ლეჩხუმად (რომელშიც ერთანდება ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობათა, აგრეთვე რიონის ხეობის ერთი ნაწილის სოფლები) და ქვემო ლეჩხუმად (რომელსად ადგილობრივ ტედაღმარი || კტედაღმართი || კლდეთაღმართი ეწოდება და მოიცავს რიონის ხეობის სოფლებს ტვიშიდან ლეხიდრის ხეობის ჩათვლით სოფელ ღვედამდე).

„ლეჩხუმური მთლიანი კილოკავია და, თუ რაიმე დიფერენციაცია შეიმჩნევა, ეს აიხსნება მომიჯნავე კილოთა თუ ენათა გავლენით“ (ქართული დიალექტოლოგია). მომიჯნავე კილოები რაჭული და იმერულია, მოსაზღვრე ენები — სვანური და ზანური (მეგრული კილო). ამათგან ქვემო ლეჩხუმის მეტყველება ახლოს დგას ქვემორაჭულთან. ეს აიხსნება ქვემორაჭულზე ლეჩხუმურისა და იმერულის ზეგავლენით. თვით ლეჩხუმური კი იმერულის ძლიერ ზემოქმედებას განიცდის. ვარაუდობენ, რომ „ლეჩხუმური მკაცრი დიალექტოლოგიური დაყოფით დამოუკიდებელ კილოდ არ ჩაითვლება. იგი უფრო იმერულის კილოკავია“ (ქართული დიალექტოლოგია), რომ ეს კილო ძირითადად „ქვემოიმერულის ტიპისაა“ (შ. ძიძიგური). ლეჩხუმური, მართლაც, ძალზე ახლოს დგას იმერულთან, კერძოდ, ქვემოიმერულთან. მიუხედავად ამისა, ლეჩხუმურში იპოვება ზოგი იმ რიგის მოვლენა (ფონეტიკურ პროცესებში, სახელთა ბრუნებაში, აგრეთვე -ყე ნაწილაკ-მორფემოიდის გამოყენების თვალსაზრისით), რომელიც მას დამოუკიდებელ დიალექტად გამოგვაყოფინებს. ამას მხარს უჭერს ლეჩხუმურში სვანური და ზანური სუბსტრატის პოვნიერებაც, რაც უპირატესად ლექსიკაში (განსაკუთრებით ტოპონიმიასა და ანთროპონიმიაში) ვლინდება (ქართული დიალექტოლოგია).

ზემოლეჩხუმურში შ. ძიძიგური გამოყოფს ცაგერსზემოურსა და ცაგერსქვემოურ მეტყველებას. სხვაობის ნიმუშად დასახელებულია ცაგერსზემოური -ისდა → -იზა და ცაგერსქვემოური -თვინ (თანდებული -თვის), აგრეთვე ზოგი ლექსიკური სხვაობა. ამ რიგის მოვლენები უფრო ქცევებრივი ნიშატისაა და, რა თქმა უნდა, კილოკაურ დიფერენციაციას არ გულისხმობენ.

(#495)

***

I. ფონეტიკა.

დასტუდება ჲ, û, ჳ.

ჲგვხვდება: ა) ა → ე დაბოლოების მქონე სახელებთან (ბიცოლაი→ ბიცოლე ტიპის) ნათესაობითსა და მოქმედებითში: ბიცოლეჲს, გოგიეჲს, ბივოლეჲთ, გოგოიეჲთ; ბ) კონტამინირებულ ფორმებთან სახელობითში: დედა || დედე → დედაჲე, მამა || მამე → მამაჲე. ზოგჯერ დაჩნდება ხმოვნის მომდევნოდ სხვა შემთხვევებშიც: გოგოჲე (შ. ძიძიგური).

ü დასტურდება: ა) თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ: შûა, ყûა, თûალი, ძûელი, ჩûენ; ბ) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: ბეûრი, თოûლი.

ჳ დამოწმებულია მავრცობი -ე ხმოვნის პოზიციაში: კაცსე || კაცსჳ́, ამასე || ამასჳ́.

სპორადულად ისმის გრძელი ხმოვანი, მიღებული ორი ხმოვნის შერწყმით: მერე → მეე → მē („მē წევიდა და დეიკარქა“), მანამდი → მაამდი → მāმდი.

აე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ა) თავკიდურა პოზიციაში: დაემალა → დეემალა, გადაეფარა → გადეეფარა || გედეეფარა; საეგებიო → სააეგებიო. ასიმილაციას ზოგჯერ ფუძისეული ე ხმოვანიც იწვევს: საერთო → სეერთო. პროცესს ვერ აბრკოლებს ვ (პირის ნიშანი ან ფუძისეული): დავემალე → დევემალე, ჩაველი → ჩევეი; მ-, გვ-, გ- პირის ნიშნებთან დამოწმებულია პარალელური ვარიანტები: დამემალა || დემემალა. ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: ბიძაები → ბიძეები, წინდაები → წინდეები, კოტაები → კოტეები, ეკლესიაები → ეკლესიეები. ხშირად ეე → ე: ბიძები, წინდები, კოტები.

ოე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციით: მოეტანა → მეეტნა, მოეფარა → მეეფარა. ცვლილებას ვერ აბრკოლებენ პირის ნიშნები. ხშირად იცვლება მო-ელემენტით შედგენილი რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი: გამოეტანა → გამეეტანა || გემეეტანა, ჩამოეკიდა → ჩამეეკიდა || ჩემეეკიდა.

აი, ოი → ეი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში: აიღო → ეიღო, გამოიკითხა → გამეიკითხა; რთულ ზმნისწინში შესაძლოა იცვალოს ორივე ხმოვანი: წამოიღო → წამეიღო || წემეიღო, ჩამოიარა → ჩამეიარა || ჩემეიარა; გადა- ზმნისწინის ბოლო ხმოვანი ხშირად იკვეცება: გადაიღო → გადიღო || გედიღო; (#496) ცვლილებასა ვერ ბრკოლებს ვ (პირის ნიშანი და ფუძისეული): გავიზარდე → გევიზარდე, გამოვიკითხე → გამევიკითხე; გადავიდა → გადევიდა || გედევიდა; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სხელებთან: ბიცოლაი → ბიცოლეი → ბიცოლე (ბოლოკიდური ი-ს კვეცით); რაისდა → რაიზა → რეიზა.

აუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში: გაუხარდა → გოუხარდა, დაუბრუნა → დოუბრუნა, წაურთმევია → წოურთმევია; გადა- ზმნისწინში შესაძლოა იცვალოს ორივე ხმოვანი: გადაუღო → გადოუღო || გოდოუღო, გადაუღებელი (წვიმა)→ გადოუღებელი || გოდოუღებელი; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: შინაური → შინოური, აქაური → აქოური, აზნაური → აზნოური. შესაძლო შემთხვევააა აუ → უუ სრული რეგრესული ასიმილაციით: გაუძლო → გოუძლო || გუუძლო, დაუძახა → დოუძახა || დუუძახა.

ეუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში: შეუკრა → შოუკრა, შეუჩერებელი → შოუჩერებელი; ბ) შუა და ბოლოკიდურა პოზიციაში: აპეური → აპოური; კახიძეური → კახიძოური.

ოუ, იუ → უუ თავკიდურა პოზიციაში სრული რეგრესული ასიმილაციით: მოუტანა → მუუტანა, გამოუტანა → გამუუტანა; მიუდგება → მუუდგება.

აო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციით ბოლოკიდურა პოზიციაში: ბურთაობა →ბურთოობა.

ასევე: ეო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციით: მეორე → მოორე || მორე, მეოთხე →მოოთხე , მეოცე → მოოცე.

ზოგჯერ ეე → იე რეგრესული დისიმილაციით: შეეცოდა →შიეცოდა, შეეგება → შიეგება; როგორც წესი, ხდება მაშინ, როცა ეე კომპლექსი პირველადია და არა ასიმილაციის შედეგად მიღებული (არ გვხვდება, მაგალითად, დაეძინა → დეეძინა → დიეძინა, მოენახა → მეენახა →მიენახა).

ეა → ია რეგრესული დისიმილაციით: შეაჯდა → შიაჯდა, შეაქო → შიაქო, ეამა → იამა, გეახელი → გიახელი; ასეა → ასია, მწარეა → მწარია.

ოა → უა რეგრესული დისიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში: მოაქვს → მუაქ; შესაძლოა წინ უსწრებდეს ბგერის დაკარგვა: მოვა → მოა → მუა. ზოგჯერ პროცესი უფრო შორს მიდის: უ → û (ჩამოაღებინა→ ჩამუაღებია → ჩამûაღებია, გამოვარდა → გამოარდა → გამუარდა → გამûარდა; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: მოცერცოა → მოცერცუა, ტრედოა → ტრედუა, უქუდოა → უქუდუა, უფეხოა → უფეხუა (კ. კაკიტაძე); ენკლიტიკის დროს: რომ არის → როა → რუა, ხომ (#497) არის → ხოა → ხუა; ბოლოკიდურა პოზიციაშიც პროცესს ზოგჯერ წინ უსწრებს ბგერის დაკარგვა: ათხოვა → ათხოა → ათხუა; ბგერის დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენაა ენკლიტიკის შემთხვევაშიც (იხ. აქვე).

ოე → უე რეგრესული დისიმილაციით: ა) თავკიდურა პოზიციაში: მოესწრა → მუესწრა; შესაძლოა უსწრებდეს ბგერის დაკარგვა მოვესწარი → მოესწარი → მუესწარი (შდრ. II პირის ფორმა: მოესწარი)... თუმცა ამ პოზიციაში უფრო ხშირაად სრული რეგრესული ასიმილაციაა დასტურდება: მოესწრო || მეესწრო || მუესწრო ; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: ეზოები → ეზუები, კალოები → კალუები, კოღოები → კოღუები; ზოგჯერ წინ უსწრებს ბგერის დაკარგვა: ათხოვე → ათხოე → ათხუე, მიატოვეს → მიატოეს → მიატუეს.

ვე → ო ფართოდაა გავრცელებული ყველა პოზიციაში: ყველაფერი →ყოლიფერი, ახვევს → ახოვს, სჩვევია → სჩოვია, წვეულება → წოულობა, სველდება → სოლდება, შვრება → შობა (თანამდევია რ სონანტის დაკარგვა), იყვენ → იყონ (ამის გამო ერთმანეთს ემთხვევა ნამყო ძირითადი და II კავშირებითი).

იშვიათია ვა → ო: „მაღლა მეირთვამს || მეირთომს ანაცერას“.

ვი → უ: წვიმს → წუმს, ღვინო → ღუნო, ალვის ხე → ალუს ხე (შ. ძიძიგური). ანალოგიური ცვლილების შედეგი უნდა იყოს: ყმუილი → ყმუვილი (ვ-ს ჩართვით) → ყმუული (ვი→ უ), ღმუილი → ღმუვილი → ღმუული. ზოგჯერ აქ უი → უუ სრულ პროგრესულ ასიმილაციას ვარაუდობენ (კ. კაკიტაძე).

ევ კომპლექსის ადგილს იშვიათად ო იჭერს (კიდევ || კიდო), ო-ს პოზიციას — ვა ან ვე (ხვალმე „ხოლმე“, მარტვა || მარტვე „მარტო“).

თავკიდურა ო ხმოვნის წინ ვითარდება ვ || û: ორი →ვორი, ოცი → ვოცი, ომი → ვომი.

დაჩნდება ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციის შემთხვევები: „იმითინ (= იმითი) ვრეცხავთ“, „სუროთინ (= სუროთი) იყო დაფარული“.

სამ- და მეტმარცვლიანი ფუძეები იკუმშება: წელიწადი → წელწადი, შარშანდელი → შრანდელი.

შეინიშნა ხმოვანზე თანხმოვნის ზეგავლენის ფაქტიც: სხვა → სხვამის → სხომის (ვა→ ო ცვლილებით) → სხუმის (ო-ზე მ სონანტის ზეგავლენის გამო); შესაძლოა სხვაგვარი ახსნაც: ამოსავლად ივარაუდება ზემოიმერულში არსებული „სხვიმის“ (→ სხუმის; ვი → უ მონაცვლეობით).

გვხვდება თანხმოვანთა როგორც რეგრესული (სავსე→ საფსე, ახსოვს → ახსოფს, მსხალი → ფსხალი, მხარი → ფხარი, დიდხანს → დითხან, დასჯა → დაშჯა, მისდევს → მიზდევს), ასევე პროგრესული (#498) (სითბო→ სითფო, რაცღა → რაცხა, წახდება → წახთება, კლდე → კდე → კტე, ტკბილი → კპილი, ტბა → ტპა) ასიმილაციის შემთხვევები. აქვე შევნიშნავთ, რომ მრავლობითობის -ებ ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი მოთხრობით ბრუნვის -მა ნიშანთან შეხვედრისას სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იცვლება, ხოლო ამის შედეგად მიღებული მმ წარმოითქმის გემინატის მსგავსად: კაცებმა → კაცემმა, ქალებმა → ქალემმა. ასიმილაცია შესაძლოა იყოს კონტაქტურიცა და დისტანციურიც: სითბო → სითფო, ნემსი → ნეფსი; და: მიხვდა → მიხვთა; სინჯავს → შინჯავს (მიუხედავად იმისა, რომ ს — ჯ ბგერათა შუა მჟღერი ნ სონანტია), კლდე → კლტე (ასიმილაციას ვერ აბრკოლებს მჟღერი ლ; || კტე — კონტაქტური პროგრესული ასიმილაციით).

ხშირად ასიმილაციის თანამდევია სხვა ფონეტიკური პროცესები: ხბო → ხფო (ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაცია) → ხპო (პროგრესული დისიმილაცია: ფშვინვიერი + ფშვინვიერი → ფშვინვიერი + მკვეთრი): ჩრდილი → ჩდილი (ბგერის დაკარგვა) → ჩთილი (პროგრესული ასიმილაცია) → შთილი (დეზაფრიკატიზაცია)→ შტილი (დისიმილაცია).

თანხმოვანთა დისიმილაციის ტიპიური ნიმუშებია: ა) პროგრესული: არაფერი → არაფელი, ორორი → ოროლი, ორჯერ → ორჯელ, ცხრაჯერ → ცხრაჯელ (ჯერ→ ჯელ რ-ნარევ ფუძეებთან; სხვა შემთხვევებში გამოიყენება -ჯენ: სამჯენ, ათჯენ); ბ) რეგრესული: სულელი → სუნელი, ნიანგი → ლიანგი, ტარტაროზი → ტანტაროზი (კ. კაკიტაძე).

ფართოდაა გავრცელებული ბგერათა დაკარგვა და ჩართვა (ხშირად — ერთი და იმავე ბგერის ერთსა და იმავე პოზიციაში).

შესაძლოა დაიკარგოს: ბ (ეუბნება→ ეუნება — დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევა), გ (აღდგომა→ აღდომა), დ (სადმე→ სამე, წავედით → წევეით, გავედი → გევეი; სისტემური ხასიათი აქვს -ოდ → -ო ცვლილებას ვედ- || ვიდ- ზმნის ნამყო უსრულის I და II პირის ფორმებში: წავიდოდით → წეიდოით, წახვიდოდით →

წახვიდოით), თ (იმისთანა→ იმისანე). სონანტთაგან — ვ (ულვში→ ულაში, წვივი → წივი, დოვლათი → დოლთი, ვლადიმერი → ლადიმერი), ლ (კლდე→ კტე, ცეცხლს → ცეცხს, საპალნე → საპანე), მ (მთა→ თა, მგელი → გელი, მდუღარე → დუღარე, თურმე → თურე, რომ → რო, რატომ → რატო), ნ (სიმინდი→ სიმიდი, ნიძლავი →იძლვი), რ (იზრდება→ იზდება, ფრჩხილი → ფჩხილი, დაესიზმრა → დეესიზმა).

სისტემებერ იკარგვის ს: ა) ფუძისეული: ეს კაცი → ე კაცი (შდრ.: მაგ კაცი → მა კაცი), ის ციხე →ი ციხე; სტუმარი → ტუმარი; ბ) მი(#499)ცემითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: „გინდა ქოთანი დაკარი ქვას და გინდა ქვა ქოთან (= ქოთანს), მაინც ქოთანი გატყტება“; გ) ნათესაობით ბრუნვის ნიშნისეული ელემენტი: ტყი(ს) კაცი, რკინი(ს) ქალაბანი; „გლახა ცოლი (= ცოლის) პატრონ (= პატრონს) სატირალში რა უნდა“; დ) III სუბიექტური პირის ნიშანი — განსაკუთრებით არი-ს და აქვ-ს ზმნებში: არი, აქ.

მარტივდება სწ კომპლექსი: ძმისწული → ძმისული (ხშირად ს-ს ინტენსიური წარმოთქმით); იკარგვის სპ კომპლექსი: მასპინძელი → მაინძელი; შესძლო ამოვარდეს თანხმოვნითა და ხმოვნით შედგენილი კომპლექსი: არაფერი → აფერი, ნურაფერი → ნუფერი, კინაღამ → კიღამ.

ვითარდება: ბ (გემრიელი→ გემბრიელი, გვიმრა → გვიმბრა), დ (ფალავანი→ ფალავნდი), ქ — ჩვეულებრივ, ვ სონანტის წინ (ბოვში→ ბოქვში → ბოქში)... სონანტთაგან: ვ(მაშინ → მაშვინ, ბუჩქი → ბუჩქვი, რუხი → რუხვი, პოეტი → პოვეტი; სისტემურია: ბუი → ბუვი, ყრუი → ყრუვი, ცრუი → ცრუვი, ბლუი → ბლუვი, ძუი → ძუვი, რუი → რუვი, ღრუი → ღრუვი), ლ (მჩატე→ მჩალტე, ხახუნი → ხლახუნი, ჭყინტი → ჭყინტლი, ეკალი → ლეკალი), ნ (კიტრი→ კინტრი, აგური → ანგური, ბეცი → ბენცი, ჩითი → ჩინთი, მაჩვი → მანჩვი, გაწუწვა → გაწუნწვა, ჩოჩქოლი → ჩონჩქოლი, ვიწრო || იწრო → ინწრო), რ (ხვეწნა→ ხვერწნა, ხახა → ხარხა, ჩექმა → ჩერქმა, ადგილი → არდგილი, ღატაკი → ღარტაკი, ღვიძლი → ღვირძლი, გესლი → გერსლი, თუჯი → თურჯი, მაგალითად → მარგალითათ, ცა → რცა).

მეტათეზისის ტიპიური ნიმუშებია: ძლივას → ძვილა, ზონარი → ზორანი, ტალავერი → ტარაველი, რაჭველი → ლაჭვერი, მწოლარე → მწორალე, თხილამური → თხირამული, ახვედრებს → ახვერდებს, ყინვა → ყივნა, ეჭვი → ვეჭი, ბრმა → რბმა, ღრმა → რღმა, ცრემლი → რცემლი. „ნახვა“ ზმნაში ადგილს ინაცვლებს ვ- და მ- პირის ნიშნები: ვნახე → ნავხე, მნახე → ნამხე (შ. ძიძიგური).

ლეჩხუმური იმ დიალექტთა რიგს განეკუთვნება, რომელთათვისაც სუბსტიტუცია ერთ-ერთ ნიშანდობლივ ფონეტიკურ მოვლენად ითვლება.

მონაცვლეობს: ვ → მ თემის ნიშნებსა და ზმნურ სუფიქსებში პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში (მალავ→ მალამ, მალავს → მალამს; არევს → არემს; ამ წესს მიჰყვება ყავს → ყამს || ხამს, სადაც სპორადულად პროცესი უფრო შორს მიდის:

ყანს || ხანს, ხანდაყე „ჰყავდათ“, ანუ: მ → ნ); და, პირიქით: მ → ვ (ყარამანა→ ყარავანა).სპორადულად ვ → მ თავს იჩენს ხმოვნის წინა პოზიციაშიც: კარავი → კარამი. შემდეგ: ვ → ბ (თევზი→ თებზი, ავდარი → აბდარი, პარას(#500)კევი → პარასკები), მ → ბ (მღილი→ ბღილი, მეჭეჭი → ბეჭეჭი, მჟავე → ბჟავე, მლაშე → ბლაშე, მზითვი → ბზითვი), და, პირიქით: ბ→ მ (ბრტყელი→ მტყელი, კბილი →კმილი || კპილი, ყბედი → ყმედი); აგრეთვე: ფ→მ (ფრთხილი→ მთხილი); მ → ნ (ხელმწიფე→ ხემწიფე) და: ნ → მ (ინდაური→ იმდოური — თან ერთვის აუ → ოუ); ლ → ნ (ამოჟლეტა→ ამოჟნეტა); რ → ლ (ბურღი→ ბულღვი — თანამდევია ვ-ს ჩართვა; კერპი → კელპი, ტირიფი → ტილიფი, ბურთი → ბულთი, ხურმა → ხულმა) და: ლ → რ (ქოლგა→ ქორგა, გახლიჩა → გახრიჩა); ყ → ხ (ქვეყანა→ ქვეხანა || ქვეხანე; მსგავსად: საყდარი → საყტარი → სახტარი); ქ → ხ (საქონელი→ სახონელი, აქნე → ახანე), ძ → ჯ (ძონძი→ ჯონჯი).

შენაცვლება ნიშანდობლივია სწ კომპლექსისთვისაც, რომელიც რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: სწ → სტ (ნსწავლი→ ნასტავლი, მოსწრებია → მოსტრებია), სწ → ს (ძმისწული→ ძმისული; იხ. ზემოთ), სწ → ხწ (სწორი→ ხწორი, მასწორ → მახწორ „გასწვრივ“; თავის მხრივ — ხწ → ხს: მახწორ → მახსორ; კ. კაკიტაძე). მონაცვლეობენ ჰარმონიული კომპლექსები: დგაფუნი → დღაფუნი; წუთხე „წათხი“→ *წხუთე → წყუთე. რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში ჩკ → ჭკ (ვანიჩკა→ ვანიჭკა, ბოჩკა →ბოჭკა).

ბგერათშენაცვლების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა აფრიკატიზაცია: მოხარშავს → მოხარჩამს, როზგი → როძგი და მისთ.

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. სახელობით ბრუნვაში ა ხმოვანზე ფუძედაბოლოდებული სახელები, ჩვეულებრივ, -ი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ, მაგრამ მისი ოდინდელი კვალი მაინც დაჩნდება — ბოლოკიდურ ხმოვნად -ე გვაქვს (მიღებული ა-სგან ასიმილაციით): ტომარე (← ტომარეი ← ტომარაი); და ასე: კვატატელე „ბაყაყი“, კაცისთავე „მსხლის ჯიშია“, კარიე „კარია, საქათმე“; იასონე, ვასილე. ეს მოვლენა თავს იჩენს, წესისამებრ, სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში (კ. კაკიტაძე). -ე არის ყველგან, სადაც ბრუნვის ნიშანში -ი ხმოვანი დასტურდება:

სახელობითი	ქაქუჩელე (კაცის სხელია)
მოთხრობითი	ქაქუჩელამ
მიცემითი	ქაქუჩელას (ხავდა ორი ბიჭი)
ნათესაობითი	ქაქუჩელეს || ქაქუჩელეის (ბოქშები)...

(#501)

ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთ- ან ორმარცვლიან სახელებს -ი ბრუნვის ნიშანი შესაძლოა დაერთოს: კტეი „კლდე“, უროი. როგორც ფონეტიკური მიმოხილვისას წარმოჩნდა, -უ ხმოვანზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელები დაირთავენ -ი ნიშანს, ხმოვანთგამყარად კი ვ დაჩნდება: ბუვი, ყრუვი, რუვი.

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორმარცვლიან საკუთარ სახელებში -ი ბრუნვის ნიშანი ფუძისეულად გაიაზრება (მიდრეკილება სამმარცვლიანობისაკენ): ვახტანგი, ვახტანგიმ, ვახტანგის... და საპირისპიროდ — სამმარცვლიანი ფუძე ორმარცვლიანად გაიაზრება: აკაკი, აკაკმა... აკაკო.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ლოკატივის დანიშნულებით: „ჩამევიდა ლაილაშ (= ლაილაშს, ლაილაშში)“; „ნაცხოვრებლარიენ დღნორისას (= დღნორისაში)”.

როგორც ითქვა, მიცემითის -ს ნიშანი ხშირად იკარგვის (იხ.: „ფონეტიკა“) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან. ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია იგი ორ შემთხვევაში: -ს სიტყვათმაწარმოებელია („დღეს ჩამევიდა ქალაქიდან“), -ს ფორმანტს მოსდევს მავრცობი ხმოვანი (კაცსე, დღესე).

ნანათესაობითარი მიცემითი გამოხატავს ლოკატივს (მეზობლისას, მაინძლისას); გამოიყენება აგრეთვე საზღვრულჩავარდნილი სუბსტანტიური მსაზღვრელის ფუნქციით („ამ კაცისას რა დეიჯერებ“ = „ამ კაცის ნათქვამს, ნამოქმედარს როგორ დაიჯერებ“; შდრ.: „ამ კაცის რას დეიჯერება“, სადაც საზღვრულის დანიშნულებით „რა“ გამოიყენება).

ნათესაობითსა და მოქმედებითში ხმოვანზე ფუძედაბოლოდებული სახელები, ჩვეულებრივ, არ იკვეცება და არც ბრუნვის ნიშანი რედუცირდება: ქვის || ქვაჲს, ხეის || ხეჲს, სუროის || სუროჲს; ქვაით || ქვაჲთ, ხეით || ხეჲთ, სუროით || სუროჲთ (შ. ძიძიგური, კ.კუბლაშვილი).

ნათესაობითსა და მოქმედებითში ხმოვანზე ფუძედაბოლოდებული სახელები, ჩვეულებრივ, არ იკვეცება და არც ბრუნვის ნიშანი რედუცირდება: ქვის || ქვაჲს , ხეის || ხეჲს, სუროის || სუროჲს; ქვაით || ქვაჲთ, ხეით || ხეჲთ, სუროით || სუროჲთ (შ. ძიძიგური, კ. კუბლაშვილი). ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა ტომარე, ბიცოლე ტიპის სახელებთან გვაქვს საქმე: ტომარეის || ტომარეჲს, ტომარეით || ტომარეჲთ. შესაძლოა დაჩნდეს -ის → -ს-ც (ტომარეს გაფსება „ტომრის გავსება“); სავარაუდოა, ქვემოიმერულის გავლენით.

ფონეტიკური მიმოხილვისას აღინიშნა, რომ მოქმედებითში ბოლოკიდური -ი ნაზალიზაციას განიცდის: სუროთი → სუროთინ, ოქროთი → ოქროთინ, იმითი → იმითინ.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ად → -ათ (|| -დ → -თ), აგრეთვე ოდენ ხმოვნითი სახეობა: -ა (სწორა, საკუთრა, კარაქა, ჩუმა); როგორც წესი, -იან-ად გვხვდება ამ სახით: -იან-ა (ცოლშვილიანა).

წოდებითს ფორმანტად -ო გვაქვს (დავითო, ვასილო, აკაკო, მარიამო).

(#502)

ღირსსაცნობია მყარი შესიტყვებების ერთი სხეობა, სადაც გამოსვლითობის ფუნქციით ნათესაობითია ნახმარი, ხოლო მიწევნითობა -მდე თანდებულიანი ვითარებითით ან -ზე თანდებულიანი მიცემითით გამოიხატება: გორის გორამდე „გორიდან გორამდე“, ზღვის ზღვამდე „ზღვიდან ზღვამდე“ (ზოგჯერ -მდე დაერთვის -ობა სუფიქსით გართულებულ სახელს: ქალაქის ქალაქობამდე „ქალაქიდან ქალაქამდე“, კიდის კიდობამდე „კიდით კიდემდე“, კვირის კვიროზამდე „კვირიდან კვირამდე“)... ქვეყნის ქვეყანაზე „მთელ ქვეყანაზე“, სიგრძის სიგრძეზე „მთელ სიგრძეზე“... (კ. კაკიტაძე); შდრ. ძველი ქართული: ქალაქითი ქალაქად; ახალი ქართული: კიდით კიდემდე, დღითი დღე და მისთ.

მავრცობ ხმოვნად -ა დაჩნდება: თანდებულების დართვისას (შა-ქარ-ის-ა-ვით): აგრეთვე: ნანათესაობითარ მიცემითში (ამ კაც-ის-ა-ს), შედგენილ შემასმენელში (სახლი ამ კაც-ის-ა-ა).

სხვა შემთხვევებში კი უპირატესად -ე გვაქვს. გვხვდება: ა) მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებთან: კაცსე, თავსე, დავითსე; კაცისე, დავითისე; კაცითე, ხალხითე, ბაწრითე, გვერდითე; კაცათე, ავათე, კარქათე, ჩუმათე; ბ) I და II პირის ნაცვალსახელებთან: შენე, ჩვენე, თქვენე; გ) თანდებულებთან: სოფლისკენე; დ) ზმნისართებთან: ხვალე, ზეგე, შორე, წინე, უკანე, შითე, ზეთე, ძირსე, გარეთე, მაშინე; ე) ნაწილაკ-მორფემოიდებთან: მეცე „მეც“; ვ) კავშირებთან: რომე; ზ) ზმნებთან, თანხმოვნით დაბოლოებული ფორმანტის მომდევნოდ: მოდისე „მოდის“, მყავსე „მყავს“; გავაკეთეთე „გავაკეთეთ“, დოუგროვებიათე „დაუგროვებიათ“; გოუძლეფე „გავუძლებ“, დევისვენეფე „დავისვენებ“.

მავრცობი ხმოვნის პოზიციაში დასტურდება აგრეთვე -ჳ და -უ (-ჳ როგორც წესი, მახვილიანია): „ხუთშაბათსჳ || ხუთშაბათსუ დეიწყებენ მუშაობას“, „თქვენჳ ნასტავლი ბრძანდებით“, „უქმეები რო ვიცოდითჳ, ცთებოდა მუშა კაცი“ (შ. ძიძიგური).

-ე || – ჳ || -უ გამოიყენება კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდის დანიშნულებითაც: ამასე || ამასყ || ამასუ?

- ⴒ და -უ ხშირად მონაცვლეობს ისევე, როგორც სვანური ენის ლენტეხურ კილოში: „ალეს დეშ ლოქ ხოჯილკეხⴒ || ხოჯილკეხუ?“ (= „ამას ვერ უჯიკავებთო?“ მ. ქალდანი).

ზოგი თავისებურებით გამოირჩევა თანდებულებიც.

-ზე → -ძე სახელში სონანტის თანაპოვნიერებისას (სოფელზე→ სოფელძე) ან დ-ს მეზობლად (გვერდზე→ გვერძე); -ზე → -სე ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნის კონტაქტური ან დისტანციური მეზობლობისას (კაცზე→ კაცსე, თოფზე → თოფსე... დათვზე → დათვსე...); (#503) გვხვდება -ზედ → -ზეთ (კტეზეთ, კალოზეთ) და -ზენ (კიდეზენ) ნაირსახეობანიც. -ზე თანდებულიანი სახელი ფუნქციურად შესაძლოა შეენაცვლოს ნათესაობით ბრუნვას („მადლობელი ვარ ღმერთსე“), გამოხატოს დროის გარკვეული მონაკვეთი („ომიანობაზე ვინ რას მოქცემდა“ = „ომიანობის დროს...“), ადგილი („ჭიშკარზე იდგა“ = „ჭიშკართან იდგა“, „კარებზე არ მივსულვარ“ = „კარებთან...“).

-ში → -ჩი სონანტის თანაპოვნიერებისას (სოფელში→ სოფელჩი, მისდღეში → მისდღემჩი — თანამდევი პროცესია მ სონანტის განვითარება) ან დ, თ ხშულების მეზობლად (გვერდში→ გვერთში → გვერჩი); ზოგჯერ გვხვდება სხვა პოზიციაშიც (იმაში→ იმაჩი).

-ვით თანდებული, ჩვეულებრივ, თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელს დაერთვის სახელობითსა და ნათესაობითში (ფოთოლი→ ფორთელივით || ფორთელისავით — თანამდევია რ-ს განვითარება; შაქარი → შაქარივით || შაქარისავით), ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელს — მიცემითში (მზე→ მზესავით).

-კენ თანდებული წარმოდგენილია როგორც -კე (ლეჩხუმისკე, აპრილისკე, წყლი პირისკე; -ე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან შესაძლოა დაერთოს მიცემითი ბრუნვის ფორმას: სასახლესკე, ღობესკე, მდინარესეკე; თუ ანალოგიასთან არა გვაქვს საქმე; შდრ.: ბიცოლესკე — ნათესაობითის ფორმაა).

-თვის გვხვდება როგორც -თვინ (ქალისთვინ, ბატონისთვინ, ხალხისთვინ); მის წინ ხშირად იკარგვის ბრუნვის ნიშნისეული -ს (ქალითვინ, იმითვინ). -თვინ თანდებულს ენაცვლება -ზ-და || -იზ-ა ბოლოსართი — ნათესაობითი ბრუნვის ნიშანზე დართული -და თანდებული: ძმიზდა, მაგიზდა, რაიზდა... მადლიზა, მომავლიზა, სიმიდიზა, გულიზა. -ზდა ზოგადდება და დაჩნდება პირის ან კუთვნილებით ნაცვალსახელებთან: ჩემზედა, შენზედა; შდრ.: მიზდა, იმიზდა.

-გან თანდებულიანი მოქმედებითი სამი ნაირსხეობითაა წარმოდგენილი: ოჯახითგან || ოჯახიდგან || ოჯახიდან. უფრო ხშირია მეორე (ოჯახიდგან) ნაირსახეობა: ბაბუეიდგან, ძველიდგან, მარტიდგან. -დგან ზოგადდება: ყოველდგან „ყველგან“, შენდგან „შენგან“. -გან ხშირად გახმოვანებას იცვლის: -გენ (აქიდგენ „აქიდან“), -გინ (სახლიდგინ „სახლიდან“, რაჭიდგინ „რაჭიდან“). -დ-გინ გაიაზრება

ერთიან ფორმანტად (ჩვენდგინ „ჩვენგან“). -გან თანდებულიანი მოქმედებითი ენაცვლება ხოლმე ამავე თანდებულიან ნათესაობითს: მაგენითგინ „მაგათგან“. -იდ-ან დაბოლოება შესაძლოა გართულდეს -ი დანართით: სოფლ-იდ-ან-ი „სოფლიდან“, სახლ-იდ-ან-ი (-ი ან მავრცობი ხმოვანია, ან მიღებული მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ცვეთით: -ით → -ი).

(#504)

იშვიათად დაჩნდება -დამ: ტყიდამ, სვანეთიდამ (შ. ძიძიგური).

„გამო“ წარმოდგენილია როგორც „გამოთ“ (ამის გამოთ); „ირგვლივ“ — როგორც „გრულია“ (სახლის გრულია).

***

ბ) სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება. ძირითადი მაწარმოებელია -ებ (კაცები, ქალები).

-ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან: ერთმარცვლიანები ბოლოკიდურ ხმოვანს იკვეცენ (და→ დები, ძმა → ძმები). ორ- და მეტმარცვლიანები — უკვეცელია, ოღონდ -ა → -ე (წინდა→ წინდეები, ფინა → ფინეები).

შეინიშნება და-ნ-ი, ძა-ნ-ი ტიპის მრავლობითიც (ძალზე შეზღუდულად).

მრავლობითის ფორმათა -ნ-ებ დაბოლოებიანი წარმოება დასტურდება ოჯახის გვარსახელებში: ჩაკვეტაძენები, ბენიძენები (მაგრამ: კუხალაშვილები); -ე-ნ-ებ გაიაზრება ერთიან დაბოლოებად: ფაღავ-ენებ-ი, გუგავ-ენებ-ი.

ოჯახის გვარსახელთა სხვაგვარი წარმოებაც დაჩნდება: -ნ დაერთვის ოჯახის გვარის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: ჩიქვან-ის-ა-ნ-ი, გოქაძ-ის-ა-ნ-ი, წერეთლ-ის-ა-ნ-ი; შესაძლოა დაერთოს საკუთარი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც: აბელ-ის-ა-ნ-ი. ხშირად რთულდება მრავლობითობის -ებ სუფიქსით (ამ შემთხვევაში მავრცობი -ა შეიძლება რედუცირდეს): ჩიქვან-ის-(ა)-ნ-ებ-ი, გოქაძ-ის-(ა)-ნ-ებ-ი, და ასე: წერეთლისანები || წერეთლისნები, აბელისანები || აბელისნები.

III პირის ნაცვალსახელები მრავლობითში -ნ სუფიქსით იწარმოება: აგენი, ეგენი, მაგენი, იგენი; -ნ გადაჰყვებათ სხვა ბრუნვებშიც: აგენმა, აგენს, აგენის, აგენით, აგენათ. პარალელურად დასტურდება მ სონანტ-ჩართული ფორმები: ამგენმა, ამგენს, ამგენის; შდრ.: მაგენი, მაგენმა, მაგენს.

***

გ) ზმნა. გარდა- → გადა- ზმნისწინი წარმოდგენილია როგორც გარა- (ზმნის ხმოვან პრეფიქსებთან შეხვედრისას შესაძლოა ფონეტიკურად იცვალოს): გარააგდო, გარახტა, გარაბრუნდა, გარავიდა → გარევიდა, გარაუგდო → გაროუგდო. გარა- →

გარ- რთული ზმნისწინის (#505) შემადგენლობაში: გარმოაგდო, გარმევიდა. პარალელურად შეგვხვდება გადა-: გადაწურავს.

შე- → შა- რთული ზმნისწინის შემადგენლობაში: შამოაგდო, შამეეგდო, შამეიტანა.

მეტ-ნაკლებად დაცულია II სუბიექტური და III ობიექტური პირის ჰ- || ს- ნიშანი, თუმცა „რყევას განიცდის და თანდათანობით გაქრობისაკენ მიემართება“ (შ. ძიძიგური): სჭამ, სთხოვ, სწუნობ; სჭამს, სთხოვს, სწუნობს, გასცნობია. ზმნის ფუძისეული თანხმოვანი ფონეტიკურად ცვლის (რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე): სჭამ → შჭამ, მისდევს → მიზდევს. ამ თვალსაზრისით ღირსსაცნობია შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობანი: ჰყავს → ხავს, მოჰყვა →მოხვა, ამოჰყვება → ამოხობა, შეჰყოლოდა → შეხოლოდა; ჰქონდა → ხონდა, ჰქონია → ხონია. ზოგჯერ ჰ- ფონეტიკურად ცვლის (აფშვინვიერებს) ფუძისეულ თანხმოვანს (პროგრესული ასიმილაციით), თვით კი იკარგვის: მოჰპარა → მოფარა, დაჰპირდა → დაფირდა, ჰკითხა → ქითხა, დაჰკიდა → დაქიდა (ქ. ლომთათიძე); შემდგომ კი ამგვარად ცვლილი ფუძე შესაძლოა განზოგადდეს და სხვა პირის ფორმებშიც შეგვხვდეს: „დავქიდებთ საქვაბეზე“ (ქართული დიალექტოლოგია); ჰყავს → ხავს ტიპის ფორმებში ხ-ს შესაძლოა ძლიერი ფშვინვიერება ახლდეს თან: ჰხავს.

მრავლობით რიცხვში III სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს -ენ: აწმყოში (წერენ, თოხნიენ, მღერიენ, მიდიენ. -ი სუფიქსიანებთან პარალელურად დაჩნდება -ან: თოხნიან), ნამყო უსრულში (წერდენ, თოხნიდენ), გარდაუვალ ზმნათა ნამყო ძირითადში (გათბენ, დეიმალენ); გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში უპირატესად შეგვხვდება -ეს (დაწერეს, გათოხნეს); კავშირებითში გვაქვს -ნ (წერდე-ნ, დაწერო-ნ).

მრავლობითობის აღსანიშნავად ლეჩხუმურში გამოიყენება აგრეთვე -ყე და -არიენ || -ლარიენ.

-ყე გამოხატავს: ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობას: ის მათ უფუჭებდა-ყე, მან მათ უპასუხა-ყე; ბ) პირდაპირი ობიექტის მრალობითობას: მე მასწავლებლები სკოლაში დავტოვე-ყე; გ) რეალური სუბიექტის (გრამატიკული ირიბი ობიექტის) მრავლობითობას: მათ ის ხავს-ყე „ჰყავთ“, ხონდა-ყე „ჰქონდათ“... უნახია-ყე „უნახიათ“, უთხრობია-ყე „უთქვამთ“, შოუნახავს-ყე „შეუნახავთ“; დ) როგორც ჩანს, ზოგჯერ გამოხატავს რეალური ობიექტის (გრამატიკული სუბიექტის) მრავლობითობასაც: „ვენახები გვაყვენ“ — გვაქვს-ყე → გვაქვს-ყენ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით) → გვაქვ-ყენ → *გვაყვ-ყენ (რეგრესული ასიმილაციით) → გვაყვ-ენ (ბგერის დაკარგვით); ყურად(#506)ღებას იქცევს ასეთი განსაზღვრა: აყვე (← აქვს-ყე) ნიშნავს: „აქვს მას ისინი“, აყვენ (← აქვს-ყე-ნ) — „აქვთ მათ ისინი“ (ქართული დიალექტოლოგია; ლეჩხუმური ლექსიკონი). -ყე ფორმანტს ხშირად შეენაცვლება -თ: „იი ჯვარი ისთეა, რო ყოლიფერს უსრულებთ (|| უსრულებს-ყე) ხალხს“ (აზრობრივი შეთანხმების ნიმუშია), „დოუძახათ მან (|| დოუძახა-ყე) მათხოვრებს“ (შ. ძიძიგური).

ხდება თავისებური ურთიერთშეხამება -ყე და -თ ფორმანტებისა; მაგალითად, „მათ დოუნახია-ყე || დოუნახია-თ იგი“ და ამავდროულად“ მათ დოუნახია-თ-ყე იგინი“, სადაც -თ რეალური სუბიექტის მრავლობითობას გამოხატავს, -ყე — რეალური ობიექტისა (კ. კაკიტაძე).

-არიენ || -ლარიენ მეშველზმური ფორმანტით გამოიხატება მრავლობითობა: აწმყოში — მდგომარეობითი ზმნების III სუბიექტური პირისა (ისინი დგანლარიენ || დგილარიენ „დგანან“, წვილარიენ „წვანან“, ყრილარიენ „ყრიან“, ჯობილარიენ „ჯობიან“). რეალური ობიექტისა — გრამატიკული სუბიექტისა ინვერსიულ ზმნებში (ისინი მე მყავლარიენ, მიყვარლარიენ; შენ გყავლარიენ, გიყვარლარიენ; მას ყავლარიენ || ხავლარიენ, უყვარლარიენ): I შედეგობითში — გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა (დამდგარარიენ→ დამდგალარიენ — რეგრესული დისიმილაციით: დაწოლილარიენ, წასულარიენ, დასახლებულარიენ, დამთვრალარიენ); III შედეგობითში — სუბიექტისა (ნაშენებლარიენ, ნაცემლარიენ. ნაპარავლარიენ, მონატანლარიენ). -ლარიენ წარმოშობით რთული შედგენილობისაა: დამდგარ-არიენ → დამდგალ-არიენ (რ — რ → ლ — რ დისიმილციით), სადაც რ → ლ ფუძისეულია:დაწოლილ-არიენ, სადაც ლ ასევე ფუძისეულია: შემდგომ კი -ლ-არიენ გააზრიანდა ერთიან ფორმანტად: დგან-ლარიენ, წვი-ლარიენ, უყვარ-ლარიენ (|| უყვალ-არიენ).

როგორც ფონეტიკური მიმოხილვის დროს აღინიშნა, თემის ნიშანი -ავ → -ამ პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში: ვმალავ → ვმალამ, მალავს → მალამს: და ასე: კეცამს, კეცამდა; თელამს, თელამდა. პროცესი არაა ერთნაირი ინტენსივობით წარმოდგენილი ლეჩხუმურში. მაგალითად, ქვემო ლეჩხუმურში ()ტედაღმართში) ასეთი მოვლენა იშვიათია.

-ავ თემის ნიშანი დაერთვის წარმოშობით უთემისნიშნო ზმნებს: რეცხ-ავ-ს, ჩეჩ-ავ-ს, ტეხ-ავ-ს. ამ შემთხვევაში ფუძდრეკადი ზმნები ორგვარი გახმოვანებითაა წარმოდგენილი — I და II სერიისა (ანუ: ე- და ი- გახმოვანებით); წყვეტავს || წყვიტავს, ხვრეტავს || ხვრიტავს, კრეფავს || კრიფავს. ეს აისახება მასდარებსა (გაწყვეტა || გაწყვიტა, გახვრეტვა || გახვრიტვა) და მიმღეობებში (გაწყვეტული || გაწყვიტული, გახვრეტული || გახვრიტული); ი- გახმოვნებული ფორმები I შედე (#507)გობითშიც დჩნდება: გოუწყვეტია, გოუხვრიტია; და ასე: გოუკრიჭია, გოუხლიჩია, გოუწმინდია, გოუსრისია (კ. კაკიტაძე).

ზოგი ზმნა მიდრეკილებას იჩენს ფუძის გახმოვანების ცვლისაკენ უღვლილებისას: ა-ჩვენ-ებ-ს — ა-ჩვინ-ა, რაც ვნებითშიც აისახება: „არევის ეჩვინო“ (ქართული დიალექტოლოგია).

აწმყოში (I სერიაში) ფართოდ გამოიყენება მიმღეობის ფუძისგან -ობ თემის ნიშნით ნაწარმოები ფორმები: სროულ-ობ-ს → სროულ-ოფ-ს, და ასე: შოულოფს, პოულოფს,

თხოულოფს (მყოფადში: ისროლის, ნამყო ძირითადში: ისროულა || ისროლა, I შედეგობითში: უსროულია || უსროლია).

მივალ, მიხვალ, მივა, აგრეთვე: დავალ, დახვალ, დავა ფორმები აწმყოს მნიშვნელობით გამოიყენება. „ამბობს“ ზმნას ცვლის „უნოფს“ (III სერიაში ენაცვლება თხრობ- ფუძე: უთხრობია „უთქვამს“, ეთხრობია „ეთქვა“). „უნდა“ ხშირად წარმოდგენილია პირვანდელი („უნა“) სახით.

-ი სუფიქსიანი მდგომარეობითი ზმნების ერთი ნაწილი აწმყოს მხოლოობითი რიცხვის III პირის ფორმებში -ა დაბოლოებით დაჩნდება: ჩივა, ყივა, კივა, ჭყივა, ბღავა, ჯღავა (ივარაუდება: *ჩივანს → ჩივა; შდრ.: მჩივანი); ყველა ეს ზმნა I და II პირის ფორმებში დაირთავს მეშველ ზმნას (ვჩივივარ, ჩივიხარ), მრავლობითი რიცხვის III პირში -ი შენარჩუნებულია (ჩივიან || ჩივიენ).

აწმყოს I და II პირის ფორმებში (განსაკუთრებით — მდგომარეობით ზმნებში) მეშველზმნიანი წარმოება ფართო გავრცელებისაა: ვმღერივარ, მღერიხარ, შდრ.: მღერის; და ასე: ვიცინივარ, იცინიხარ, იცინის.

-ი დაბოლოებას ენიჭება უპირატესობა ახურია „ახურავს“, უჭირია „უჭირავს“, აკრია „აკრავს“ ტიპის სტატიკურ ზმნებში.

ნამყო უსრულში -ავ თემის ნიშანი ხშირად მოკვეცილია: თეს-დ-ა || თეს-ავ-დ-ა, და ასე: ცეხვდა || ცეხვავდა, გალახდა || გალახავდა, გაქერქდა || გაქერქავდა... ანალოგიური ვითარებაა ნამყო უსრულის ფორმაზე დამყარებულ პარადიგმებშიც (მაშინაც კი, როცა აწმყოში -ავ შენარჩუნებულია).

გარდა ამისა, ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში -ავ || -ამ თემის ნიშანთა პარალელურად დასტურდება -ებ: მოკლავდა || მოკლებდა, გადაკრავდა || გადაკრებდა, მოხარშავდა || მოხარშებდა, დაქსელავდა || დაქსელებდა... შუალედურ საფეხურად ივარაუდება -ევ || -ემ (კ. კაკიტაძე).

ლეჩხუმურის ზოგ თქმაში (სოფლები ლარჩვალი, ქულბაქი, ზუბი, ჭაშლეთი) ნამყო უსრულში, აგრეთვე ორვალენტიანი გარდაუვალი (#508)ზმნების II შედეგობითში -ოდ ფორმანტის წინ დაჩნდება აწმყოსა და I შედეგობითში პოვნიერი -ი სუფიქსი: ცალ-ი-ა → ცალ-ი-ოდ-ა, ეკუთვნის → ეკუთვნიოდა; ჩამოსვლია → ჩამოსვლიოდა, გაუგონია → გაუგონიოდა (კ. კაკიტაძე). ამჟამად ზოგი მათგანი იდიოლექტის კუთვნილება ჩანს, თუმცა ენობრივი სისტემის თვალსაზრისით მოულოდნელი არ არის (შდრ. ძველი ქართული: რბიოდა, ქრიოდა).

ნამყო ძირითადში -ე სუფიქსიანი ზმნები ხშირად წარმოდგენილია -ევ-ი დაბოლოებით: მოვრწყევი, მორწყევი; და ასე: დართევი, მომკევი; ანალოგიურად: დაქფევი „დაფქვი“ — მიჰყვება -ე სუფიქსიან ფორმებს (მ. ალავიძე). ვენდე, ენდე ტიპის ფორმები ორი ნაირსახეობით გვხვდება: ვენდევი || ვენდვე, ენდევი || ენდვე.

I შედეგობითში -ავ || -ამ თემისნიშნიანი ზმნები პარალელურ ფორმებს იყენებენ: დოუნახავს || დოუნახია, დოუკლავს || დოუკლია, დოუბამს || დოუბია. -ავ || -ამ უპირატესად -ყე ფორმანტის წინაა შენარჩუნებული: დოუნახავს-ყე „დაუნახავთ“, დოუკლავს-ყე „დაუკლავთ“. ზოგჯერ -ებ თემის ნიშნის პოზიციას იკავებს -ნ: გოდოუბიჯნია „გადაუბიჯებია“. -ნ თავს იჩენს უპასუხნია „უპასუხა ტიპის ფორმებშიც.

თავისებურად იწარმოება მო-დი-ს ზმნის III სერიის ფორმები: ფუძედ გამოიყენება მიმღეობა მო-სლ-ულ-ი — რეგრესული დისიმილაციით: მოსრული (მოსრულა, მოსრულიყო, მოსრულიყოს; და ასე: წასრულა, წასრულიყო).

იშვიათად დაჩნდება III კავშირებითი: წეეღოს, დეეკივლოს, ეტიროს, ეჩივლოს; „რო მეეტანოს, კარქს იზამდა“ (კ. კუბლაშვილი).

ლეჩხუმური იმ დიალექტთა წრეში შედის, რომელთა ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა IV სერიის ფორმათა პოვნიერება: III შედეგობითი — ნაპარავა, მინავალა, დანავალა, ნასუქება, ნაკეთება, ნაკრეფა. IV შედეგობითი — ნაპარავიყო, მინავალიყო. ნა- პრეფიქსიან ფორმებში მერყევია სუბიექტური ვ- და ობიექტური მ-, გვ-, გ- პირის ნიშანთა პოზიცია: ისინი შესაძლოა წინ უსწრებდნენ ნა-პრეფიქსს, ან მოსდევდნენ მას: ვნაკლავარ || ნავკლავარ, მნაკლავა || ნამკლავა, გნაკლავა || ნაგკლავა.

თითქმის შეუზღუდავად იწარმოება ნასახელარი ზმნები: სახურავი → მო-ა-სახურავ-ეფ-ს, საფანელი → მო-ა-საფინელ-ებ-ს, საქნარი → საქნარ-ოფ-ს „საქმიანობს“.

ვნებითის ფორმათაგან თავისებურია ხტ-ებ-ა ზმნა — ჩაერთვის -ნ: აწმყო-მყოფადი — გადახტნება, ნამყო ძირითადი — გადახტნა, I შედეგობითი — გადახტნარა (მრავლობითი: გადახტნალარიენ). ნამყო (#509) ძირითადის I და II პირის ფორმებში დაჩნდება: გადავხტენდი, გადახტენდი; II კავშირებითში -დ აღარ ჩანს: გადავხტნე, გადახტნე.

-ევ სუფიქსიან კაუზატივებში იცვლება ფუძის გახმოვანება: ა-ჭუმ-ს „აჭმევს“, ასუმს „ასმევს“, აცუმს „აცმევს“, ართუმს „ართმევს“; პარალელურად -ევ → -ოვ: ა-ჭმ-ოვ-ს, ასმოვს, აცმოვს, ართმოვს; ივარაუდება: ა-სუამ-ს → ა-სომ-ს (ûა → ო ცვლილებით) → ა-სუმ-ს (ო→ უ მ ლაბიალური თანხმოვნის გავლენით); შემდეგ კი ხდება ამ მოვლენის განზოგადება.

-ევ-ინ დაბოლოების ადგილას დასტურდება -ოვ-ინ → -ოვ-ი (ნ-ს ჩავარდნით): ა-კლ-ოვ-ი-ეფ-ს „აკვლევინებს“, აჭროვიეფს „აჭრევინებს“, აბმოვიეფს „აბმევინებს“, აჭმოვიეფს „აჭმევინებს“.

***

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. დადასტურებითი დანიშნულებით გამოიყენება ქვე || ქე: „ქვე დავრჩით“. თუმცა ხშირად ეს ფუნქცია დაკარგული აქვს და სიტყვის მასალადღა იხმარება: „ქვე რა უნდოდა?“ „ურემი ქვე სა იყო?“.

კონტექსტის შესაბამისად დადასტურების ან უარყოფის ფუნქციას გამოხატავს „აპა“: „გააკეთე? — აპა?“ (კითხვითი ინტონცია — დადასტურება), მაგრამ: „გააკეთე? — აპა! (ძახითი ინტონაცია — უარყოფა).

ადგილის ზმნისართები, ჩვეულებრივ, -ნა →-ნე მორფემოიდითაა გართულებული: აქანე || აქენე || აქინე, იქინე (ქ : ხ შენაცვლებით: ახანე, იხინე), სადანე → სანე (სანე-სანე || სანეცხა || სანიცხა „სადღაც“). -ნე ზოგჯერ დაერთვის სხვა რიგის ზმნისართებსაც: ძლივათანე (სადაც ძლ- ფუძეა, -ივ მაწარმოებელი ფორმანტი, -ად → -ათ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, -ა მავრცობი ხმოვანი; ფორმა გართულებულია -ნა → -ნე მორფემოიდით).

-და → -დ → -თ მორფემოიდს დაირთვს ში-და →ში-დ → ში-თ ზმნისართი; იმავდროულად „შიგან“ ფორმდება მოქმედებითი ბრუნვის -ით → -ი ფორმანტით: შიგნით → შიგნი (|| შით).

სპეციფიკური მოვლენაა -სე ნაწილაკ-მორფემოიდის პოვნიერება. დაერთვის იგი, ჩვეულებრივ, ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებსა და ზმნებს (ხმოვანი, როგორც წესი, მორფემისეულია): „დეიჭირა კაცი-სე“, „გითხრა კაცმა-სე“; იკითხა-სე, გემეეწყო-სე. ზოგჯერ დაჩნდება თანხმოვნის შემდეგაც: მოწველით-სე, დოუბარებიათ-სე. რჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ პოზიციაში -სე არის -ყე ფორმანტის შემცვლელი: დოუბარებიათ-სე || დოუბარებიათ-ყე , „მათ ქვები დოუგო(#510)რებიათ-სე (|| დოუგორებიათ-ყე)“ და მისთ. (კ. კაკიტაძე). შდრ. -ე მავრცობიანი ფორმები: კაცსე, კაცისე; მოდისე, გოუძლეფე, დოუბარებიათე (იხ. ზემოთ: სახელთა ბრუნება — მავრცობი ხმოვანი).

-ც ნაწილაკ-მორფემოიდის მომდევნოდ -ღა → -ხა: საცაღა → საცღა → საცხა, რომელიცაღა → რომელიცღა → რომელიცხა. გვხვდება ასეც: საცაღა || საცღა.

-რე აწარმოებს ადგილის ზმნისართებს: ზერე „ზემოთ“, ქვერე „ქვემოთ“. -ლე დასტურდება ვითარებით ზმნისართში ისევ-ლე.

ნაცვალსახელური ფორმისაგან ვითარებითი ზმნისართი იწარმოება -ოდენ → -დენ → -თენ (ფუძისეულ -ს სპირანტთან ასიმილაციით) → თე ნაწილაკ-მორფემოიდითაც: ას-თე, ის-თე (შდრ.: ასეთ-ი ← *ასრეჲთი ← *ასრეჲთ). ეს ზმნისართები შესაძლოა თანამიმდევრულად გართულდეს -ვე (ის-თე-ვე) და -ლე (*ის-თე-ვე-ლე→ ისთევლე) ნაწილაკ-მორფემოიდებით.

სხვათა სიტყვის -თქვა გამოიყენება I პირთანაც: დევეთხოვი-თქვა.

„თურმე“ გვხვდება შემდეგი ნაირსახეობებით: თურე || სთურე || სთურმე || სტურე || სტუმრე: „ქუთაიში იყო სტუმრე დასახლებული ერთი კაცი“; „სთურე მიეჩვია ირემი“.

„უნდა“ ნაწილაკ-მორფემოიდი დაცულია არქაული სახით: „უნა გამატანოვო“.

„იქნება“, „ეგება“ დაჩნდება ასეც: „იქნებო“, „ეგებო“.

„კინაღამ“ იხმარება ამ სახით: „კიღამ“ || „კიღმა“.

ე) სიტყვათწარმოება. სახელდების პრინციპის თვალსაზრისით ღირსსაცნობია მცენარეთა სახელწოდებანი, ნაწარმოები მო — ო აფიქსებით, რომლებსაც დაერთვის მასუბსტანტივებელი -ა; სახელდება ხდება მიმსგავსების საფუძველზე: მო-შქერ-ო-ა → მო-შქერ-უ-ა (რეგრესული დისიმილაციით) || მო-შქერ-უ-ე „მელიქაური“; და ასე: მომყრალოა || მომყრალუა || მომყრალუე „უჯანგარი“, მოჭარხლუა || მოჭარხლუე, მოცერცუა || მოცერცუე (კ. კაკიტაძე). მასუბსტანტივებელი ფუნქციითაა გამოყენებული -ა ფორმანტი სოკოთა სახელებთანაც: ღვინო-ა → ღვინუა, მჭადო-ა → მჭადუა.

ფართო გამოყენებისაა -ობა, რომელიც ნაირგვარ ფუნქციებს გამოხატავს. მაგალითად, გამოიხატება: ა) დროის გარკვეული მონაკვეთი: ურმობა „დრო, როცა ურემს იყენებდნენ“; ხარობა „დრო, როცა ხარს ამუშავებდნენ“; ყანობა „ყანაში მუშაობის დრო“. შეიძლება დერთოს -ზე თანდებული: ომიანობაზე „ომიანობისას“, შიმშილობაზე „შიმში(#511)ლობისას“.ამავე დანიშნულებით იხმარება -ობა სუფიქსიანი ადამიანის საკუთარი სახელისა ან კუთვნილებით ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა: ბენიესობას „ბენიას ყოფნის დროს“; ჩემსობას „ჩემი ყოფნის დროს“; მისობას „მისი ყოფნის დროს“. ღირსსაცნობია: დროის გამოხატვისას „მდე || -მდი || -მდინ || -მდენ || -მდისინ თანდებული ხშირად დაერთვის -ობა სუფიქსიან ფორმას: აქნ-ობა-მდე „ამ დრომდე“ (შდრ.: აქნ-ა-მდე || აქ-ა-მდე „ამ ადგილამდე“), მანობამდე „მანამდე“, სანობამდე „სანამდე“; ბ) გარკვეული სამუშაო, შრომითი პროცესი: ყანობა „ყანაში მუშაობა“ (შდრ. დროის გამომხატველი ფორმა: „ყანობა“ — გარჩევა კონტექსტით ხდება), ტყეობა „ტყეში მუშობა“; გ) -ობა + -ია → -ობია შედგენილი დაბოლოებით იწარმოება თამაშობათა სახელები: დანასობია, კუკუმალობია, კენჭობია.

-მდე თანდებული სიტყვათწარმოებით დანიშნულებით გამოიყენება „რა“ ნაცვალსახელთან: რამდი „სანამდე“.

-ურ სუფიქსით იწარმოება გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარი: მიქაუტიძეური → მიქაუტაძოური „მიქაუტაძის ქალი“; და ასე: მანაგაძოური „მანაგაძის ქალი“, გოქაძოური „გოქაძის ქალი“, გაბიძაშვილოური „გაბიძაშვილის ქალი“. -იან სუფიქსით ნაწარმოებ გვარებთან -ურ არ იხმარება: ახვლედიანი(ს) ქალი, ასათიანი(ს) ქალი.

მქონებლობის ფუნქცია ძირითადად გამოიხატება -ოვან → -ოან → -უან → -ûან || -ვან ფორმანტით: სახელვანი, ფერვანი, დიდრვანი, ამხელვანი... ხშირად ამ რიგის ფორმები სიმრავლის გაგებასაც მოიცავენ (კ. კუბლაშვილი). მქონებლობის ფუნქცია აღინიშნება -იერ ფორმანტითაც, რომელიც ზოგჯერ -იან ფორმანტსაც ცვლის: ჭკვიერი „ჭკვიანი“, ადამიერი „ადამიანი“, თაავიერი „თავიანი“.

ხარისხის ფორმათა მაწარმოებლად სპორადულად დაჩნდება უ — ე ცირკუმფიქსი: უ-მართლ-ე, უ-გრძ-ე (შ. ძიძიგური).

უარყოფითი ზმნისართების ერთი რიგი ნაწარმოებია უ — ი-ა სუფიქსებით: უ-ხელ-ი-ა (← *უ-ხელ-ივ-ად ან *უ-ხელ-ივ-ა) „უხელოდ“, უფეხია „უფეხოდ“; შდრ.: ცალხელია (←* ცალხელ-ივ-ად ან *ცალ-ხელ-ივ-ა) „ცალი ხელით“, ორფეხია „ორი ფეხით“ — ორფეხია ვერ დეეწევი „ორი ფეხით ვერ დაეწევი“ (კ. კაკიტაძე).

სახელის კნინობითი ფორმას აწარმოებს -ა → -ე (ბიქტორე, იასონე, დავითე); მის წინ ფუძე შესაძლოა გართულდეს სუფიქსებით: -იკ (ვარლამიკე, ბიცოლიკე), -ელ (გივიელე, ბაბუელე, კოწიელე), -იკ-ელ (ბოშიკელე), -უკ-ელ (ბოშუკელე), -იკ-ონ (რაჟიკონე), -იკ-უნ (შალიკუნე). დაჩნდება -იკ-ო სუფიქსიც (დათიკო), რომელიც ზოგჯერ რთულდება -ელ-ა დაბოლოებით (*დათიკოელა→ დათიკოლა || დათიკულე). ორმარცვლიან სახელებთან გვხვდება -ია → -იე || -ჲე დაბო(#512)ლოებაც (დათოია || დათოჲე, ბონდოია || ბონდოჲე, ვახტანგია || ვახტანგჲე, ანეტია || ანეტჲე), რომლის წინაც ფუძე შეიძლება გართულდეს -იკ სუფიქსით (დათიკია || დათიკჲე, სოსიკია || სოსიკჲე); (კ. კაკიტაძე).

სასუბიექტო მიმღეობა ხშირად იწარმოება მა- პრეფიქსით მაშინაც, როცა საყრდენ ზმნაში ა- პრეფიქსი არა გვაქვს: ბარავს → მაბარავი, წერს → მაწერავი, თესავს → მათესავი, ჩივის → მაჩივარი, ყივის → მაყივარი. -ებ თემისნიშნიან ზმნათაგან მიმღეობის ფუძე, ჩვეულებრივ, -ელ სუფიქსით იწარმოება (ახსენებს→ მახსენებელი), -ავ თემისნიშნიანები სპეციალური მაწარმოებლის გარეშეა წარმოდგენილი (ბარავს→ მაბარავი, თესავს → მათესავი; ანალოგიით: წერს → მაწერავი). ხშირია -არ სუფიქსიანი წარმოება (თოხნის→ მათოხარი, ჩივის → მაჩივარი; შდრ.: სათოხარი, ნათოხარი).

„უცებ“ ზმნისართის ნაცვლად დასტურდება „უწუმ“ და „უცთუნ“ (ამ უკანასკნელს სხვა მნიშვნელობაც აქვს: „მოუცდენლად, შეუსვენებლივ“); „ოდნავ“ ზმნისართს ცვლის „ანაწყო“, „მასუკან“ ზმნისართს — „მასუღმა“, „სხვაგვარად || სხვანაირად“ ზმნისართს — „სხვაფრედ“. ვითარებითი ზმნისართის დანიშნულებით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფუძე: მიგნეფ „მისაგნებად“, ფეხაკრეფ „ფეხაკრეფით“.

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული უპირატესდ ამ სახითაა წარმოდგენილი: დიდი სახლი, დიდმა სახლმა, დიდ სახლს, დიდი სახლის, დიდი სახლით, დიდ სახლად.. ზოგჯერ (უპირატესაად ქვემოიმერულის მომიჯნავედ) მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში შესაძლოა სახლობითის ფორმით დაჩნდეს: დიდი სახლი, სახლმა, სახლს, სახლის... („დიდი საგონებელში ჩავარდა“).

ბ) რიცხვით სახელებთან („ერთის გარდა) საზღვრული ხშირად მრავლობითს ფორმითაა გამოყენებული: ორი შვილები, სამივე კაცებმა. ანალოგიურად: სუყველა კაცები, ბევრი ქალები. „ძმა“, „და“ -ნ სუფიქსიანი მრავლობითით წარმოჩნდება: ორნი ძმანი, სამნი დანი.

გ) სახელსა და ზმნას შორის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების ნიმუშებია: თესავდენ ხალხი“, „ხალხმა დეინახეს“, „ჯარი ომში მიდიოდენ“, „ოცივე გეიქცენ“.

(#513)

დ) ზოგჯერ აქტიური სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნებთან II სერიაში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დაისმის: „მაყრებმა მევიდენ“, „ამ ქალმა დაფიქრთა“, „მაინძელმა მიესალმა“, „მაშინ გადმოვხტენდი მე საწყალმა“ (თუმცა ძირითადად ამ შემთხვევებში მაინც ნომინატიური კონსტრუქციაა გამოყენებული).

ე) „რადგან“ კავშირს ცვლის „რახან“ და „რაღამც“; ხშირად რთულდება რომ → რო კავშირით: რახან რო, რაღამც რო. „რო“ დაერთვის „როცა“ კავშირსაც: როცა რო. „როცა“ კავშირის პარალელურად გამოიყენება „როიცხა“ || „როიცა რო“; დასტურდება „რა რო“ (← რაც რომ) კავშირიც: „რა რო მაგი მევიდა, აღარევის შევუწუხებივარ“. მაგრამ → მარა || mā, რომ → რუმ → რუ — პაუზის წინ: „რომე“. „რომ“ (და მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი) ხშირად შეხამებულია დადასტურებით ქვე || ქე ნაწილაკ-მორფემოიდთან: „გოუხარდა, ქე რო დოუძახე“.

***

IV. ლექსიკა.

ლეჩხუმური ყურადღებას იქცევს უხვი დარგობრივი ლექსიკით; ბევრი ფორმა საზიაროა რაჭულთან და ქვემოიმერულთან. მაგალითად, ლეჩხუმურისა და ქვემოიმერულისათვის საერთოა: ბურული „ისლის სხურავი“, კარაპანი „სასიმინდე“, ტუკი „კეტი“, ყვეობი „კერიის ჩაღრმავებული ქვა, რომელსაც ღადარი ფარავს“, გამარმალებული „ძალიან ცხელი || გავარვარებული“ (კ. კუბლაშვილი).

მრავლადაა ზანიზმები: რაგადობს „ლაყბობს“ (შდრ. მეგრული: რაგდანს „ლაპარაკობს“)→ მორაგადე „მოლაყბე“, ჯანგვალი (მეგრული: ჯარგვალი), ძღაბი

„გოგო“. ზანიზმები ტოპონიმიაში: ოფიტარა, ოყალეთი, ოსუნელე (მ. ჩიქოვანი), ოფურეში (მ. ალავიძე).

გამოიყოფა მთელი ფენა სვანიზმებისა: მექვი „თივის ბულული“ (შდრ. სვანური: მექû), კოჯე || კოჟე „ქვიანი ბორცვი, გორაკი“ (სვანური: კოჯ „კლდე“), მოღავი „ჭირნახული“ (სვანური: მოღაû), ნობი „ქვის ან ხის კოდი“ (სვანური: ნობ), ხანი „საკვამური“ (სვანური: ხან „ღრუ“). სვანიზმები ტოპონიმიაში: ლაილაში, ლასურიაში, ნაკარეში, ხამარეში, გუმარეში, წუდილაში (სვანური: წუდ „წყარო“), ლატაფი, ლახარჩვალი, ცაგერი, უცხერი, უცხანდერი, ისუნდერი (მ. ქალდანი).

(#514)

თავი VII

7.1. დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტები. გურული და აჭარული ლინგვისტური თვალსაზრისით ფრიად გამორჩეული დიალექტებია ქართული ენისა. ორივე დიალექტში ორგანულადაა შეხამებული არქაული ფორმაციისა და საკუთრივ დიალექტური ინოვაციის შედეგად წარმოქმნილი მოვლენები. არქაული დანაშრევი უპირატესად მორფოლოგიაში იჩენს თავს, ინოვაციები — ფონეტიკასა და სინტაქსში.

გურულსა და აჭარულს მძლავრად დასტყობია ზანურთან ხანგრძლივი კონტაქტი: გურულს — მეგრულ კილოკავთან, აჭარულს — ჭანურთან. ზანიზმები თავს იჩენს ფონეტიკის, მოფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის დონეზე. ზანური სუბსტრატი თვალნათლივ დაჩნდება ტოპონიმიაშიც. გურულის ტოპონიმიასა და ანთროპონომიაში წარმოჩნდება იმ რიგის მოვლენებიც, რომლებსაც ანალოგები ეძებნება აფხაზურ-ადიღურ ენებთან: სუფსა (←* სურ-ფსა „სურების მდინარე“), აჭყვა „აჭისხევი“, მალთაყვა „მალთასხევი“ — ტოპონიმიაში, ინგოროყვა, ჭანუყვაძე, თალაკვაძე, ბოლქვაძე (-ყვა || -კვა || -ქვა „შვილი, ძე“) — ანთროპონიმიაში (ს. ჯანაშია, გ. როგავა).

ისტორიულ-გეოგრფიული პირობების შესაბამისად გურულთან სკმაოდ ახლოს დგას აჭარული კილოს ქობულეთური მეტყველება — როგორც ცალკეული ფორმების, ასევე ზოგი ენობრივი ტენდენციის თვალსაზრისით (ფონეტიკური პროცესები, სახელთა ბრუნება, ზმნის უღვლილება).

ზემოაჭარულში იძებნება სამცხურ-ჯავახურისათვის დამახასიათებელ მოვლენათა ანალოგები.

საერთოდ, გურულიცა და აჭარულიც, სამცხურ-ჯავახურთან ერთად, ისტორიული მესხურის განაყოფი კილოებია. ამ დიალექტურ არეალში შემოდის იმერხეულიც (კლარჯულიც), რომელიც ამჟამად საქართველოს მომიჯნავედ თურქეთის

ტერიტორიაზეა გავრცელებული. თურქეთში, როგორც ჩანს, ცალკეული ჯგუფების სახით ისტორიული მესხურის სხვა კილო-თქმანიც იპოვება.

ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების გამო ოდინდელი მესხური დამოუკიდებელ კილოებად დანაწევრდა: სამცხურ-ჯავახურში (სხვა ტერმინოლოგიით — მესხურ-ჯავახურში) ქართლურის გავლენამ იჩი(#515)ნა თავი, გურულში, აჭარულსა და მასთან იმერხეულში (კლარჯულში) დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის ნიშანდობლივმა ენობრივმა ტენდენციებმა იმძლავრა; აქ არსებითი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ზანურის კილოკავებთან მჭიდრო კონტაქტიც. ისტორიულად ეს კონტაქტი არც სამცხურ-ჯავახური კილოსათვის გამოირიცხება, მაგრამ ამჟამად მხოლოდღა რელიქტის სახით დაჩნდება.

***

7.2. გურული. „გურული კილო შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული . მიუხედავად ამისა, ენობრივი თვალსაზრისით იგი საკმაოდ მრავალფეროვანია“ (ქართული დიალექტოლოგია). ამ მრავალფეროვნებას განაპირობებს, ერთი მხრივ, მჭიდრო კონტაქტი სხვა კილოებთან (აღმოსავლეთით — ქვემოიმერულთან, დასავლეთით — აჭარულთან), მეორე მხრივ, თითქმის სრული იზოლაცია სხვ კილო-თქმათაგან (სურების მეტყველება).

გურული კილო ორ კილოკავად იყოფა: ზემოგურულად და ქვემოგურულად. ზემოგურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურულ თქმას და ოზურგეთულის ნაწილს (მთანი რეგიონის მოსახლეობის მეტყველება). ქვემოგურული კილოკავი აერთიანებს ლანჩხუთურ და ოზურგეთულ თქმებს. იმავდროულად სხვაობაა თვით თქმების შიგნით; მაგალითად, ჩოხატაურულ თქმაში სხვაობს ზემო სურების, შუა სურებისა და დიდვანის ქცევები (ს. ჟღენტი).

გურიას სამხრეთით ესაზღვრება აჭარა და ნაწილობრივ — სამცხე (მესხეთი), ჩრდილოეთით — სამეგრელო და იმერეთი, აღმოსავლეთით — იმერეთი, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს გურიას: „ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქაართლოსისა... ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ. არამედ მზღვრის ამას გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამჴრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი; დილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავლით შავი ზღუა... ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღუამდე და განი ჭოროხიდამ რიონამდე... ხოლო კაცნი და ქალნი მზგავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა... ენა-ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხჳსა“.

გურულს, როგორც აღინიშნა, „შემოუნახავს მრავალი არქაული ფორმა, რომლებიც (მას) ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან (#516)აახლოებს, განსაკუთრებით კი იმ ლიტერატურული სკოლების ენასთან, რომლებიც ქართული ენის სამხრეთ-აღმოსავლეთის კილოებთან, ე. ი ისტორიული ზემო ქართლის მეტყველებასთან (შავშურ-კლარჯულთან) იყო დაკავშირებული“ (ქართული დიალექტოლოგია). თავის მხრივ, გურული კილოს თავისებურებანი აისახა ადრინდელ ქართულ მწერლობაში; კერძოდ, „რუსუდანიანში“ არა მცირედი რაოდენობით დადასტურდა გურული დიალექტიზმები; „ეს ფაქტი „რუსუდანიანს“ ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის ერთ-ერთ პირველხრისხოვან წყაროდ ხდის“ (ი. გიგინეიშვილი).

იმავდროულად გურულს ახასიათებს იმ რიგის ინოვაციებიც, რომლებიც მას განცალკევებით აყენებენ ქართული ენის სხვა კილოებს შორის.

***

I. ფონეტიკა.

შეინიშნება ჲ და ŭ.

ჲ არის ი ხმოვნის რეფლექსი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში: ნენაჲ, ნენაჲს, ნენჲთ. ზოგჯერ ჲ-ს იძლევა სხვა რიგის ბოლოკიდური ი-ც: ნეტაჲ. ყველა ამ შემთხვევაში პარალელურად ისმის სრულხმოვანი ი: ნენაი, ნენაის, ნენაით. ასე რომ, სხვაობა ჲ-სა და ი-ს შორის გურულში წმინდად აკუსტიკურია და ამიტომაც შესაძლოა ამ პოზიციაში დადასტურდეს ამ ბგერებს შორის ყოველგვარი გრადაციის ხმოვანი: ი, ĭ, ჲ.

Û ისმის: ა) თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ: ჯûარი, ქûაბი, ჩûენ, სხûაი, ორûე, ჩოუშûენ „ჩაუშვეს“. ზოგჯერ მ → ვ → û: სიმამრი → სიმაûრი; ბ) პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ: ûარი (სადაც უმეტეს წილ û ← უ).

გურული მეტყველების ინტონაცია მკვეთრად გამორჩეულია; ზოგადად მისთვის დამახასიათებელია სწრაფი ტემპი, საუბრის შემართული მანერა, მახვილიანი ხმოვნის მკვეთი გამოყოფა, რაც იწვევს ხმოვანთა დასუსტებას სრულ დაკარგვამდე: ჲლექსანდრე → *ჲლსანდრე → ჲლცანდრე; éლისაბედ → *élსაბედ → élცაბედ.

ინტონაცია თქმების მიხედვით საკმაოდ სხვაობს, რასაც თვით გურულები ადვილად ამჩნევენ. ს. ჟღენტს მოაქვს ამის ერთი ნიმუში: ზემოსურებელი შენიშნავს, რომ „შუასურებლებმა დანაღვლებული ლაპარაკი იციენ, გათრეული, წირეხით (=თხილის, წიფლის... და(#517)გრეხილი წნელი თოკის სანაცვლოდ) რომ რამე გაგითრევია, იმფერი სიტყვები იციენ“.

სხვაობა მით უფრო შესამჩნევია ზემოგურულსა და ქვემოგურულს შორის.

ფონეტიკური პროცესები გურულში, მართალია, თითქმის შეუზღუდავად ვლინდება, მაგრამ იმავდროულად ზუსტი კანონზომიერებით ხასიათდება.

აე, ოე კომპლექსები თავკიდურა პოზიციაში (ჩვეულებრივ, მაშინ, როცა ზმნისწინისეული და ზმნის პრეფიქსული ხმოვნები ხვდება ერთმანეთს) ორსაფეხურიან ცვლილებას განიცდიან: სრულ რეგრესულ ასიმილაციას მოსდევს რეგრესული დისიმილაცია: დაემართა → დეემართა → დიემართა; მოეტანა → მეეტანა→ მიეტანა. ანალოგიურ ცვლილებას ადასტურებს იმთავითვე წარმოდგენილი ეე კომპლექსიც: შეენახა → შიენახა. ზემოგურულში ვხვდებით ეე საფეხურსაც, ქვემოგურულში თითქმის უგამონაკლისოდ იე გვაქვს. რთული ზმნისწინის პირველ კომპონენტში ცვლა არ ხდება: გამოეტანა → გამეეტანა → გამიეტანა. პროცესს ვერ აფერხებს ვ- პირის ნიშანი (დავემალე→ დევემალე → დივემალე; მოვესწარი → მევესწარი → მივესწარი), მაგრამ აბრკოლებენ მ-, გვ-, გ- პირის ნიშნები (დამეთხუე, დაგესიზმრა, დაგვენახა; მომენახა, მოგენახა, მოგვეძებნა); თუ ცვლილება მაინც მოხდა — მხოლოდ ასიმილაციის პირველ საფეხურზე (დამეთხუე→ დემეთხუე, მოგენახა → მეგენახა).

ბოლოკიდურა პოზიციაში აე ამგვარადვე იცვლება: ყანაები → ყანეები → ყანიები, სუფსაელი → სუფსეელი → სუფსიელი (ანალოგიით -ი-ელ გადადის — როგორც ერთიანი სუფიქსი — ფუძეკუმშვად სახელებშიც: სოფლ-იელ-ი, ნაგრომრ-იელ-ი: ხდება რედუცირებული ხმოვნის კომპენსაცია); ანალოგიურად იცვლება იმთავითვე წარმოდგენილი ეე კომპლექსიც: დღეები → დღიები. ეს მოვლენა უპირატესად ქვემოგურულს ახასიათებს; ზემოგურულში პარალელურად ეე საფეხურიცაა წარმოდგენილი: ყანაები → ყანეები || ყანიები (გ. იმნაიშვილი).

ოე კომპლექსი ბოლოკიდურა პოზიციაში, როგორც წესი, იძლევა უე კომპლექსს (ზოგჯერ მას წინ უსწრებს ვ ბგერის ჩავარდნა): ეზოები → ეზუები, ათხოვე → ათხოე → ათხუე; ხოლო უ → ვი ცვლილების საფუძველზე პარალელურად იპოვება „ათხვიე“ ნაირსახეობაც (გ. იმნაიშვილი); შესაძლოა მოხდეს კიდევ ერთი ცვლილებაც: ვი → ი (დატოვე→ დატოე → დატუე → დატვიე → დატიე). იშვიათად დაჩნდება ოე → ეე → იე: ხფოები → *ხფეები → ხფიები.

(#518)

არის შემთხვევები, როცა ოე → უე თავკიდურა პოზიციაშიც დაჩნდება: მოეხმარა → მუეხმარა (თუმცა უფრო გავრცელებულია: მიეხმარა).

ოა კომპლექსი, წესისამებრ, დისიმილირებულია (→ უა): მოახერხა → მუახერხა, მოაგჯა „მოეგლიჯა“→ მუაგჯა; ცვლილებას შესაძლო უსწრებდეს ვ ბგერის დაკარგვა: მოვა → მოა → მუა, წამოვარდა → წამოარდა → წამუარდა. ანალოგიური ვითარებაა ბოლოკიდურა პოზიციაშიც: გაათხოვა → გაათხოა → გაათხუა, ძალოვანი → ძალოანი

→ ძალუანი. აქაც შესაძლოა დაემატოს უ → ვი →ი: დატოვა → დატოა → დატუა → *დატვია → დატია.

აუ → ოუ → უუ რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე. გურულში დადასტურებულია ორივე (ნაწილობრივი ოუ და სრული უუ ასიმილაციის) საფეხური: წაუღო → წოუღო || წუუღო, დაუძახა → დოუძახა || დუუძახა. ამ წესით იცვლება პირველადი ოუ კომპლექსიც: მოუქნია → მუუქნია. რთული ზმნისწინის შემადგენლობაში იცვლება მხოლოდ მო- ზმნისწინისეული ხმოვანი: გამოუტან → გამუუტანა. ანალოგიური ცვლა ახასიათებს ეუ კომპლექსსაც: შეუნახა → შოუნახა || შუუნახა; ბოლოკიდურა პოზიციაში დასტურდება მხოლოდ ნაწილობრივი ასიმილაცია: პეტრესეული → პეტრესოული. ცვლილება ხდება ენკლიტიკის დროსაც: რა უყავი → რო-უყავი || რუ-უყავი.

იუ → უუ სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: მიუყვანა → მუუყვანა, მიუცემია → მუუცემია, მიუძუძგურდებოდა → მუუძუძგურდებოდა (ემთხვევა მო- ზმნისწინინ ფორმებს).

აი, ოი → ეი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: წაიღო → წეიღო, მოიტანა → მეიტანა. რთულ ზმნისწინში იცვლება მხოლოდ მო-: გამოიტანა → გამეიტანა. ცვლილებას ვერ აფერხებს ვ (წავიღე→ წევიღე, მოვიტანე → მევიტანე, მოვედი → მევედი), მაგრამ აბრკოლებენ მ-, გვ-, გ- პირის ნიშნები. ანალოგიური ვითარებაა ბოლოკდიურა პოზიციაშიც: რაისდა → რაიზა → რეიზა (|| რეზა), საით → სეით; ქვემოგურული: ბაღანაი, ბაღანაის, ბაღანაით → ზემოგურული: ბაღანე, ბაღანეს, ბაღანეთ (ამ შემთხვევაში -ი იკარგვის).

აო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციით (ბოლოკიდურა პოზიციაში): მუშაობს → მუშოოფს, ჭიდაობს → ჭიდოოფს, ვინაობა → ვინოობა.

ეო → ოო → იო რთული ფონეტიკური გარდაქმნის საფუძველზე (სრულ რეგრესულ ასიმილაციას მოსდევს რეგრესული დისიმილაცია): მეორე → მოორე (|| მორე) →მიორე, გაუმეორა → გუუმორა → გუუმიორა.

(#519)

ია ბოლოკიდურა პოზიციაში იძლევა იე || იი კომპლექსებს (ნაწილობრივი და სრული პროგრესული ასიმილაციით): ნალია „სასიმინდე“→ ნალიე (|| ნალიეი) → ნალიი, კარია „საქათმე“→ კარიე (|| კარიეი) → კარიი, მელია → მელიე → მელიი. საკუთარ სახელთა კნინობით ფორმებში: ზურია → ზურიე → ზურიი, ნინაია → ნინაიე → ნინაიი. ზემოგურულში უპირატესად „ნალიე“, „მელიე“ გვაქვს, ქვემოგურულში — „ნალიი“, „მელიი“. დასაშვებია სხვაგვარი ახსნაც: ნალიაი → ნალიეი → ნალიი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (იხ. ზემოთ); ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ ამოსავლად ნავარაუდევი „ნალიაი“, „მელიაი“

მეტყველებაში, წესისამებრ, არ გვხვდება (შდრ.: ბაღანაი → ბაღანე — ორივე ფორმა დადასტურებულია, პირველი — ქვემოგურულში, მეორე — ზემოგურულში).

ეა → ია რეგრესული დისიმილაციით: შეაქო → შიაქო; საქათმეა (-ა კნინობითობის სუფიქსია) → საქათმია (ეა→ ია, ჩვეულებრივ, არ ხდება, როცა -ა მეშველი ზმნაა: ციხეა „ციხე არის“, საქათმეა „საქათმე არის“).

ლაბიალური მ თანხმოვნის წინ ო → უ (რეგრესული ასიმილაციით): რომ → რუმ, რატომ → რატუმ, ტომარა → ტუმარა — ნიმუში თანხმოვნის ზემოქმედებისა ხმოვანზე.

ვა →ო (პროცესი შეზღუდულია): სხვაგან → სხოგან, სხვამის →სხომის.

ვე → ო ფართოდაა გავრცელებული ინტერკონსონანტურ პოზიციაში: ქვეყანა → ქოყანა, აჩვევს → აჩოვს, არკვევს → არკოვს, უშვებს →უშობს, დაწვება → დაწობა. შესძლო თან ახლდეს სხვა ფონეტიკური ცვლილებებიც: სწვდება → *სტვდება → სტვება (დ-ს დაკარვით) → სტობა.

ვი → უ: გვიმრა → გუმრა || გუმბრა, კვიმატი → კუმატი, ძვილა → ძულა, წვიმს → წუმს.

ევ კომპლექსის პოზიციაში გვხვდება ო: კიდევ — კიდო || კიდომ, ურჩევნია — ურჩონია; უ-ს პოზიციაში — ვი: ტუნელი — ტვინელი.

თავკიდურა ო ხმოვნის წინ ვითარდება û || ვ: ვორი, ვოცი, ვორმო, ვოზურგეთი.

ბოლოკიდურა პოზიციაში შეინიშნება ხმოვანთა ნაზლაიზაცია; სახლზე → სახზენ, სახლამდი → სახლამდინ, -მეთქი → -მეთქინ.

გურულში მოდუნებულია ხმოვანთა რედუქცია ბრუნების დროს: დაის, ძმაით; წყალის, ბალით. იმავდროულად ჩვეულებრივი მოვლენაა ხმოვანთა სინკოპე: კი არ ვიცი → კ-არ ვიცი, კი არაფერი → კ-არაფელი, ქე არ წაუღია → ქ-არ წუუღია, ალექსანდრე → ალცანდრე (თანამდევია ს → ც აფრიკატიზაცია).

(#520)

ხშირია თანხმოვანთა როგორც რეგრესული (მსხალი→ ფსხალი, სინჯვა → შინჯვა, საშუალი → შაშვალი), ასევე პროგრესული (ყბა→ ყპაი, კლდე →კტეი, გუშღამ → გუშხამ, გახდა → გახთა, ითმენს → ითფენს) ასიმილაცია (კონტაქტურიც და დისტანციურიც). ზოგჯერ თანამდევია სხვა ფონეტიკური პროცესიც: მაგალითად: ხბო → ხფო (პროგრესული ასიმილაცია) → ხპო (დისიმილაცია: ფშვინვიერი + ფშვინვიერი → ფშვინვიერი + მკვეთრი).

ღირსსაცნობია ჰ- პირის ნიშნის ზემოქმედების შედეგად მიღებული რეფლექსები: ჰყავს → ხავს, მიჰყავს → მიხავს, ჰქონდა → ხონდა, ჰკითხა → ქითხა, დაჰპირდა → დაფირდა, მოჰპარა → მოფარა (ქ. ლომთათიძე); შდრ.: I და II პირის ფორმები: ვყავარ, ყავხარ; მქონდა, გქონდა → ქქონდა, დავპირდი, დაპირდი; ვკითხე, კითხე (თუმცა ზოგჯერ ანალოგიით დაჩნდება: დაფიქდი, ვქითხე და მისთ.). ცვლილების საფუძვლად ასიმილაცია ივარაუდება. შენიშნულია, რომ ჰყავს → ხავს (გავხევი „გავყევი, გავხობი „გავყვები“) ტიპის ფორმებში ხ „სუსტია“, გარდამავალი ბგერაა ჰ-სა და ხ-ს შორის (ს. ჟღენტი).

დისიმილაციის ტიპობრივი შემთხვევებია: არაფერი → არაფელი (პროგრესული), დირექტორი → დელექტორი, კანონი → კალონი (რეგრესული).

ერთ-ერთ სპეციფიკურ მოვლენად გურულისათვის შეიძლება ჩაითვალოს სპირანტთა აფრიკატიზაციის ტენდენცია. იპოვება სისტემური აფრიკატიზაციის ორი ნაირსახეობა: ა) ს, შ, ზ სპირანტების აფრიკატიზაცია ხდება ლ და რ სონანტების მეზობლად: ლექსანდრე → *ალესანდრე (ექ კომპლექსის ჩავრდნით) → ალცანდრე, ხელს → ხელც, ხელში → ხელჩი, წელზე → წელძე, წველს → წველც, სძულს → ძულც; პარსავს → პარცავს, ხარშავს → ხარჩავს, განზრახ → განძრახ, ზურგი → ზრუგი (მეტათეზისით)→ ძრუგი. აფრიკატიზაციას განიცდის როგორც ფუძისეული სპირანტი, ასევე ბრუნვისა და პირის ნიშნები (-ს), თანდებულთა (-ში -ზე) შემადგენელი ელემენტები. ზოგჯერ აფრიკატიზაცია შეასძლოა მოხდეს სხვა შემთხვევებშიც: ნ სონანტისა ან გ ხშულის თანაპოვნიერებისას (პენსია→ პენცია, შანსი → შანცი, ჟინი → ჯინი, ინჟინერი → ინჯინერი; საგზალი → საგძალი), ხმოვნებს შორის (ეზო→ ეძო, პატიჟი → პაიჟი → პაიჯი); იშვიათად აფრიკტიზაციას განიცდის ხშული: ტვირთი → ჭვირთი; ბ) აფრიკატიზაცია შედეგია ხშულისა და სპირანტის შერწყმისა, რასაც ზოგჯერ წინ უძღვის რეგრესული ასიმილაციის პროცესი — ამ რიგის აფრიკატიზაცია, ჩვეულებრივ, მორფემათა ზღვარზე ხდება ბოლოკიდურ პოზიციაში: წუთს → წუც, ჩიტს → ჩითს → ჩიც, წყვეტს → წყვეთს → წყვეც, გვერდზე → გვერძე; გვერდში → გვერთში → გვერჩი. გვხვდება ასეც: ხუთშაბათი → ხუჩა(#521)ბათი (ი. მეგრელიძე, გ. იმნაიშვილი). ასე რომ, გვაქვს, მგალითად, წელ-ძე და გვერ-ძე, სადაც -ზე → -ძე სხვადასხვა წესითაა მიღებული.

საპირისპირო მოვლენაა დეზაფრიკატიზაცია, რომელიც სისტემურად ვლინდება სწ, სც კომპლექსებში. სწ წარმოდგენილია ორი ნაირსახეობით: სწ →სტ (სწავლა→ სტავლა, სწვდება → სტობა, მიასწრო →მიასტრო || მიასტრა) და სწ → ს (მიასწრო→ მიასრა, ისწავლა → ისავლა, სადაც ს-ს ინტენსიური წარმოთქმა ახასიათებს; ქ. ლომთათიძე). ამ ორ ნაირსახეობას შორის თითქოს კილოკაური სხვაობა ილანდება: სწ → სტ უფრო ზემოგურულს ახასიათებს, სწ → ს ქვემოგურულისათვის ჩანს ნიშანდობლივი, თუმცა მკვეთრი ზღვარის გავლება მაინც ძნელდება — გამოყენების სიხშირეზე უფრო შეიძლება ლაპარაკი.

ასევე ორი ნაირსახეობით გვხვდება სც კომპლექსი: სც → ც (მისცა→ მიცა, მოსცილდა → მოცილდა, შესცდა → შეცდა) და სც → ს (მისც→ მისა, მოსცილდა → მოსილდა, შესცდა → (შესდა→ შესთა). ც და ს ბგერებიც ამ შემთხვევაში ინტენსიური წარმოთქმით ხასიათდებიან (ქ. ლომთათიძე).

საკმაოდ გავრცელებული პროცესია მეტათეზისი: ზურგი → ზრუგი || ძრუგი, გაჯავრდა → გაჯვარდა, ღირსი → ღრისი, გოდერძი → გოდრეძი, ძალიან → ძანიალი, ალვის ხე → ავლის ხე, გვალვა → გვავლა, შალვა → შავლა, მოლარე → მორალე.

ვითარდება მ (კვეთი→ მკვეთი, ეპყრობა → ემპყრობა, იწვალა → იმწვალა || ინწვალა, გავსება → გაფსება → გამფსება — ბოლო შემთხვევაში უსწრებს ვს → ფს ასიმილაციის პროცესი) და იკარგვის მ (მდიდარი→ დიდარი, მდუღარე → დუღარე, მწევარი → წევარი, მყრალი → ყრალი, მძიმე → ძიმე, მთელი → თელი, მგელი → გელი; ზოგჯერ თან ახლავს სხვა ფონეტიკური ცვლილებაც: მკვდარი → კვტარი || კტარი); ვითარდება ნ (ტუჩი→ ტუნჩი, კიტრი → კინტრი, მილიცია → მილინცია, გამოიღვიძა → გამეიღვინძა) და იკარგება ნ (მისგან→ მისგა, ნათლიასთან → ნათლიასა, გაჩნდა → გაჩდა → გაჩთა, აწყენინოს → აწყეინოს); ვითარდება რ (ადგილი→ არდგილი, უცხო → ურცხო, ეხვეწება → ეხვერწება) და შესაძლოა დაიკარგოს რ (ბრძენი→ ბძენი, ფრჩხილი → ფჩხილი, ჩრდილი → ჩდილი → ჩთილი, ღრმა → ღმა, გრძნობს → გძნობს →გძნოფს, იზრდება → იზდება); ჩნდება ვ (აჩუქა→ აჩუქვა, გაკაფეს → გაკაფვეს, დაინახა → დეინახვა, მოსახლეობა → მოსახლევობა) და იმავდროულად ხშირია ვ-ს დაკარგვის შემთხვევებიც (თექვსმეტი→ თექსმეტი, ალვის ხე → ალის ხე, ნეტავი → ნეტაი, ვიყავი → ვიყაი, ჩადევი →ჩადეი, დაწევი „დაწექი“→ დაწეი; ერთდროულად იკარგვის მ და ვ: მგლოვიარე → გლოიარე). შესაძლოა განვითარდეს ზოგი სხვა ბგერაც: ბ(უპირატესად მ-სა და რ-ს შორის: (#522) გვიმრა → გვიმბრა || გუმბრა, გემრიელი → გემბრიელი, გამრავლდა → გამბრავლდა, სტუმრები → სტუმბრები), ფ (ხშირად შ-ს წინ: შქერი → ფშკერი, სტვირი → შტვირი → ფშტვირი, უსტვენს → უშტვენს → უფშტვენს || უფშვიტინეფს). თანხმოვნებს შორის სისტემებრ იკარგვის ლ — უმეტეს წილ ხშულსა და სპირანტებს შუა, სპორადულად — სხვა შემთხვევებშიც (კლდე→ კდე → კტე, თაფლს → თაფს, სახლში → სახში, ამაღლდა → ამაღდა, უკლდა → უკდა → უკტა; ხელმწიფე → ხემწიფე, საპალნე → საპანე, ცალკე → ცაკე); დ, ჩვეულებრივ, ჩავარდება ხმოვნებს შორის (როდის→ როის, ხიდისთავი → ხიისთავი, ჩადი → ჩაი, წადი → წაი, მოდი → მოი; შდრ.: სად → სა; ს. ჟღენტი). ყურადღებას იქცევს გ ხშულის დაკარგვის შემთხვევები: ზოგი → ზოი, გაგიგონია → გაიგონია (პ. ჯაჯანიძე); ფართოდ გავრცელებულია აგი → აი, იგი → იი (გ შეიძლება გაჩნდეს კიდევაც იშვიათ შემთხვევებში: მიაბჯინა → მიაბჯგინა; არაა გამორიცხული, რომ ჯ → ჯგ ჰარმონიული კომპლექსისაკენ მიფრეკილება იჩენდეს აქ თავს). ზოგჯერ იკარგვის ს; ეს პროცესი უპირატესად დაჩნდება სპირანტისა ან აფრიკატის მომდევნოდ: „ამ კაც (= კაცს) უთხრა“, „თებზ (= თევზს) იჭირავს“; იხ. აგრეთვე: მსჯელობა → მჯელობა || მრჯელობა.

შეიძლება დავასახელოთ სუბსტიტუციის ზოგი ნიმუში: ბ → მ (უკბინა უკმინა) და მ → ბ (იმზირება→ იბზირება); ბ → ვ (იცნობს→ იცნოვს) და ვ → ბ (თევზი→ თებზი, კოვზი → კობზი, ავდარი → აბდარი, სოფელი → სობელი, ვარცხნის → ბარცხნის, რწევა → რწება); ვ → მ (თავაზობს→ თამაზოფს, დღვანდელი →დღემანდელი, ართმევდა → ართმემდა, გავრცელდა → გამცელდა, დაუვიწყებია → დოუმიწყებია) და მ → ვ *წემსი → წევსი || წეფსი, უთქვამს → უთქვავს, მიტინგი → ვიტინგი); ლ → ნ (მამასახლისი→ მამასახნისი) და ნ → ლ (მონაზონი→ მოლაზონი || მალაზონი, მანამდე → მალამდე — არაა გამორიცხული, აქ დისიმილაციაც მოქმედებდეს); რ → ლ (ბურთი→ ბულთი, უწყრება → უწყლება) და ლ → რ (წიხლი→ წიხრი; || წიხლი → წლიხი → წრიხი — მეორე ნაირსახეობა უფრო ხშირია); მ → ნ (დაამტვრია→ დაანტრია, ემსახურება → ენსახურება, ლომთათიძე → ლონთათიძე) და ნ → მ (დაანთო→ დაამთო, რადგანც → რადგამც; პ. ჯაჯანიძე).

ფონეტიკურ ცვლას ზოგჯერ ფორმათა გადააზრიანება მოჰყვება: პეტრეს-ეულ-ი → პეტრეს-ოულ-ი (ნაწილობრივი ასიმილაციით); -ს-ოულ ერთიან ფორმად გააზრიანდა; აქედან: სოულობა „ჯალაბი, ოჯახი“ (ა. შანიძე); ან: ერს ალაკას „ერთ ადგილას“; აქედან: სალაკა || სალიკა.

(#523)

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს დაერთვის სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი; იგი დაჩნდება ყველა ერთმარცვლიან ფუძესთან: ძმაი, დაი, ხმაი, ცაი, ქვაი, ტპაი, მთაი, თმაი, რქაი, თხაი, რვაი, ცხრაი, ჭრაი, ცთაი, თლაი, ხვნაი, სმაი; ბზეი „მზე“, თვეი, დღეი, ხეი, თხლეი, რძეი; ხფოი, დროი, რკოი; ყრუი, ცრუი, ბრუი, ბუი. ყველა ეს სახელი მოთხრობითში -მა ბრუნვის ნიშანს დაირთავს: ძმამა, ხემა, ხფომა, ყრუმა (გ. იმნაიშვილი, ნ. საბაშვილი). ნასესხები „ჩაი“ გააზრებულია ამ რიგის სახელად; ამიტომაც გვაქვს: ჩამა, ჩას, ჩაში. აქვე შემოვა ის კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტი ა-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი ფუძეა: ბაბიდაი „მამიდა“, (რ) კინიგზაი.

ხმოვანზე ფუძედაბოლოებული ორ- და მეტმარცვლიანი სახელები ამ თვალსაზრისით ორ ჯგუფად განიყოფება: ერთ ჯგუფს შეადგენენ ე, ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები, რომლებიც საახელობითში -ი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ (კიბე, ღელე, მეთებზე „მეთევზე“, სიღარიბე; უთო, ეზო, თარო, სითფო; ძუძუ); ანალოგიურადაა წამოდგენილი -ობა || -ება სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები, ასევე: ორ- და მეტმარცვლიანი მასდარი: ხელობა, წყალობა, ცხოვრება, ღრისება „ღირსება“; კეთება, მალვა, ქსოვა, გაჭრა (შდრ.: ჭრაი), გათლა (მაგრამ: თლაი),

თოხნა. ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ აგრეთვე გვალვა, მიწა, ყანა, ძროხა, თივა, ქვიშა... სახელები.

როცა ღვიძლ დედაზეა ლაპარაკი, ნენაი || დედაი იხმარება; ანალოგიურად: ღვიძლ მამას ბაბაი || მამაი ფორმით ასახელებენ; სხვა შემთხვევებში გვაქვს „დედა“, „მამა“.

ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორ- და მეტმარცვლიან სახელთა მეორე ჯგუფს შეადგენენ ფორმები, რომლებშიც ბოლოკიდური -ა მქონებლობის ან კნინობითობის სუფიქსია (თუმცა ზოგჯერ -ა-ს მორფემად გამოყოფა ჭირს, ზოგჯერ კი აშკარად ახლებურ გააზრებასთან გვაქვს საქმე). ქვემოგურულში ამ რიგის ყველა სახელი დაირთავს -ი ბრუნვის ნიშანს: ნაფოტაი, ტუმარაი, პწკალაი „კიბე“, ჭილოფაი, ტარანაი, ბიცოლაი, ბაღანაი, ციცაი „გოგო“, თელაი, თხემლაი, ჩახანაი || თენჯერაი, აბდალაი, სამყურაი, ცხენისკპილაი, გულთეთრაი, მარტუაი || მარტვაი. ამ რიგს განეკუთვნება ის შემთხვევებიც, სადაც -ი ნართაული ხმოვანია და არა ბრუნვის ნიშანი: ვითარებით ბრუნვის -ა-სთან (ტყულაი, ძვილაი; ეს ტენდენცია თანხმოვანზე ფუძედაბოლო(#524)ებულ ფორმებთანაც იჩენს თავს: ძალიანი კარგი, ძალიან გაკუჭტა „ძალიან გაბრაზდა“), მავრცობ -ა-სთან (ტყუილათაი, უცფათაი, ძვილათაი || ძულათაი, ჩუმათაი, ცოცხლითაი), -ნა სუფიქსისეულ -ა-სთან (აქანაი, მაქანაი), თანდებულისეულ -ა-სთან (იმისანაი „იმისთანა“, ყოლთვინაი). -ი ფორმანტის დართვის ტენდენცია ისე შორსაა წასული, რომ იგი ზმნებთანაც დაჩნდება: მეიცაი! „მოიცადე!“ზემოგურულში ამ რიგის ფორმებთან სახელობით ბრუნვის ნიშანი, ჩვეულებრივ, არ დასტურდება, მაგრამ შემორჩენილია მისი რეფლექსი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის სახით: ნაფოტაი → ნაფოტეი → ნაფოტე: და ასე: ტუმარე, პწკალე, ჭილოფე, ტარანე, ცხენისკპილე, სამყურე; ტყულე, უცფათე, ტყულათე, ცოცხლითე; აქანე, იმისანე; მეიცე!... ამავე რიგში დგება: დედე || ნენე, ბაბე || მამე, ბაბუე. ანალოგიურად სხვობს საკუთარი სახელებიც: ქვემოგურული — გაბილაი, თამარაი; ზემოგურული — გაბილე, თამარე (ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, ო. კახაძე, გ. იმნაიშვილი, ნ. საბაშვილი). ზოგჯერ -ე დაბოლოებიან სახელს ისევ დაერთვის სახელობითის -ი (უპირატესად — საკუთაარ სახელებში): გაბილეი, თამარეი, მაგრამ ზემოგურულისათვის ნიშანდობლივ მოვლენად ამას ვერ მივიჩნევთ.

შევნიშნავთ: ზემოგურულში ამ სახით მიღებული -ე დაბოლოება გვაქვს მხოლოდ ორ- და მეტმარცვლიან სახელებში (-ა-ი და -ე დაბოლოებანი ზემოგურული და ქვემოგურული კილოკავების სადიფერენციაციო ერთ-ერთ ძირითად ნიშნადაა მიჩნეული); ერთმარცვლიანები (ძმაი, დაი, თხაი, ჭრაი) ზემოგურულსა და ქვემოგურულში ერთნაირადაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება -ია დაბოლოებიან სახელებს, ასეთი ვითარებაა: ზემოგურულში უპირატესად გვაქვს -იე (ჩერია→ ჩერიე, კერია → კერიე, ლობია → ლობიე, მელია → მელიე, ბებია → ბებიე, ეკლესი → ეკლესიე, კოწია → კოწიე); ქვემოგურულში იპოვება სმი ნაირსახეობა: ამოსავალი, რომელიც შედარებით იშვიათია (ჩერია, კერია, მელია),

ნაწილობრივი ასიმილაციით ცვლილი (ჩერიაი→ ჩერიეი; და ასე: კერიეი, მელიეი, ლობიეი, კოწიეი) და -იი დაბოლოებით წარმოდგენილი, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია (ჩერია → ჩერიი; და ასე: კერიი, მელიი, ლობიი, კოწიი).

ზოგიერთ თქმაში (ოზურგეთულში...) -ი → -ჲ: ძმაჲ, დაჲ, ბაბაჲ, ბაღანაჲ, ჭარიკაჲ; მაგრამ, როგორც ითქვა, -ი || -ჲ ამ პოზიციში თავისუფლად შეენაცვლება ერთმანეთს. საერთოდ, -ჲ არის -ი-ს დასუსტებისა და დაკარგვის ტენდენციის გამოვლინება, ამიტომაც ზოგჯერ დაჩნდება: დაჲ → და, ბღანაჲ → ბაღანა, რაც არ შეინიშნება იქ, სადაც -ი მყარია.

(#525)

ზოგ შემთხვევაში ფუძისეული -ი ბრუნვის ნიშნადაა გაგებული: გიორგი, გიორგმა, გიორგს... და, პირიქით: -ი ბრუნვის ნიშანი ფუძისეულად გაიაზრება (უპირატესად — საკუთარ სახელებში): ბიჭის უთხრა; ასევე: ოთარის გოუკეთებია. არსებითად ესაა ერთი და იმავე ტენდენციის გამოვლინება — სახელის (განსაკუთრებით — საკუთარი სახელის) ფუძის გაორმარცვლიანებისაკენ მიდრეკილება.

გვაქვს შემთხვევები, როცა თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული საკუთარი სახელი სახელობითსა და მოთხრობითში ფუძის სახითაა წარმოდგენილი: სამსონ მოსულა გუშხამ; დავით გამეიარა და თქჳა; ვახტანგ დეინახა სამსონ — ძველი ქართულისებური ვითარებაა (ს. ჟღენტი, გ. იმნაიშვილი, პ. ჯაჯანიძე).

ნათესაობითსა და მოქმედებითში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები სამი ნაირსხეობითაა წარმოდგენილი.

ე, ო, უ (ქვემოგურულში, აგრეთვე, ა) ხმოვანზე დაბოლოებული სახელები არ იკვეცებიან და არც ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი რედუცირდება: რძეის, ღელეის, ხფოის, ყრუის; აგრეთვე: დაის, ყპაის; რძეით, ღელეით, ხფოით, ყრუით; დაით, ყპაით. ზოგ თქმაში (ოზურგეთულში...): ხფოის → ხფოჲს → ხფოს, ყრუის → ყრუჲს → ყრუს.

-ა → -ე ხმოვანზე დაბოლოებული ორ- და მეტმარცვლიანი სახელები განსხვავებულადაა წამოდგენილი ზემოგურულსა და ქვემოგურულში. ზემოგურულში -ე დაჩნდება, ხოლო ბრუნვის ნიშნისეული -ი ხმოვანი, ჩვეულებრივ, არაა დაცული: პანტეს „პანტის“, პანტეთ „პანტით“. ქვემოგურულში შენარჩუნებულია ბოლოკიდური -ა-ც და ბრუნვის ნიშნისეული -ი ხმოვანიც: პანტაის, პანტაით (ოზურგეთულში: პანტაჲს, პანტაჲთ). სხვა ბრუნვებში ორივე კილოკავში ფუძის ბოლოკიდურად -ა დაჩნდება:

ზემოგურული	ქვემოგურული
პანტე	პანტაი (||პანტაჲ)

პანტამ	პანტამ
პანტას	პანტას
პანტეს	პანტაის (|| პანტაჲს)
პანტეთ	პანტაით (|| პანტაჲთ)
პანტათ	პანტათ

ანალოგიური ვითარებაა თანდებულების დართვისასაც: პანტასან „პანტასთან“, პანტაზე, მაგრამ: პანტაისგან || პანტესგან, პანტაიდან || პანტედან.

(#526)

-ია დაბოლოებიან სახელთა ბრუნება კილოკავების მიხედვით ასე სხვაობს: ზემოგურულში ნათესაობითსა და მოქმედებითში (სახელობითს მსგავსად) დაჩნდება -ე, ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნები იკარგვის; ქვემოგურულში სამი ნაირსახეობაა: დაცულია -ია, ან -ია → -იე (ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნები შენარჩუნებულია), ანდა -ია → -იი (ამ დროს სამი ი-ს თავმოყრის გამო ერთ-ერთი რედუცირდება):

ზემოგურული	ქვემოგურული
კერიე	კერია || კერიეი || კერიი
კერიამ	კერიამ
კერიას	კერიას
კერიეს	კერიაის || კერიეის || *კერიიის → კერიის
კერიეთ	კერიაით || კერიეით || *კერიიით → კერიით
კერიათ	კერიათ

ოზურგეთულში: კერიაჲს || კერიეჲს, ჯერიაჲთ || კერიეჲთ...

ანალოგიურად — თანდებულების დართვისას: კერიაზე, კერიასან „კერიასთან“, მაგრამ: კერიედან — კერიაიდან || კერიეიდან || კერიიდან...

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილის გარემოების ფუნქციით: ლანჩხუთს მივალ, ოზურგეთს ვიყაი. -ობა სუფიქსიან სახელთა უთანდებულო

მიცემითი გამოხატავს დროის გარკვეულ მონაკვეთს: ჩიც (=ჩიტს) ვკლიდი (= ვკლავდი) ბაღნობას (პ. ჯაჯანიძე).

ვითარებით ბრუნვაში -ად → -ათ (|| -დ → -თ): დიაკონათ, კაცათ, გლახათ, საომრათ, ხეთ. ზმნისართებში ხშირად დაჩნდება -ა: ჩუმა, ძვილა, ადვილა, ტყუილა. ანალოგიური ვითარებაა -ურ და -იან სუფიქსიან სახელებშიც: ვაშკაცურა, შენებურა, კაძახურა, *დედაბრურა → დედაბრულა; ბაღნიანა (ს. ჟღენტი).

წოდებითში თავისებური მდგომარეობაა მაშინ, როცა მსაზღვრელად „ჩემი“ გამოიყენება — წოდებითი იყენებს სახელობითის ფორმას: ჩემი ბიძიი! ჩემი ბებუე! ჩემი ბიჭი! („ქენი სიკეთე, ჩემი ბიძიი!“ „მოი ელანძე, ჩემი ბიჭი!“). შორს გადაძახებისას სახელს დაერთვის -უ, რომელის მახვილითა და გაგრძელებით წარმოითქმის: ელიკოო̄! ოლღაიაო̄!; „გოგო“ გურულად არის „ციცაი“, მიმართვის დროს: ცა! ან: ცავ!; ზემოგურულში იხმარება ასეც: გო!

მავრცობი ხმოვანი გურულში იშვიათია. ჩვეულებრივ, გვხვდება ნაწილაკ-მორფემოიდების დართვისას: კაცსაც, კაცითაც, კაცათაც; (#527) კარგათაც ქნა. უპირატესად მაინც ლექსებსა და შელოცვებში დაჩნდება (პ. ჯაჯანიძე).

-თვის თანდებულს ცვლის -და თანდებულიანი ნანათესაობითარი ფორმა: კაცისდა → კაცისზდა → კაციზა; და ასე: ქალიზა, სახლიზა, გულიზა, ციცაიზა, კერიეზა || კერიიზა... ზოგჯერ -თვის წრმოდგენილია როგორც -თვინ: ყოლთვინ (პარალელურად: ქვემოგურული -თვინა, ზემოგურული -თვინე). კუთვნილებით ნაცვალსახელებთან დაჩნდება -და: ჩემდა, შენდა, მისდა → მიზდა (შდრ.: იმისდა → იმიზდა → იმიზა); ზოგჯერ -ს ფონეტიკურად უცვლელია: მისდა, სხვისდა.

-თან და -თანა თანდებულების -თ იკარგვის ბრუნვის ნიშნისეულ -ს სპირანტთან შეხვედრისას: ბიცოლასან, კაცსან; ბიცოლაისანა || ბიცოლესანა, კაცისანა.

-ში → -ჩი გარკვეულ პოზიციაში (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“).

-ზე ზოგჯერ წარმოდგენილია როგორც: -ზედა || -ზედ, აგრეთვე: -ზენ.

-ვით დაჩნდება -ვეთ || -ვეფ სახითაც.

-კენ || -კე ზოგიერთ თქმაში.

მოქმედებით ბრუნვაში -ით-გან || -იდ-გან დაბოლოება ხშირად დაცულია: დვაბზუითგან || დვაბზიუდგან (გვხვდება ასეც: დვაბზუიდან); და ასე: შიშითგან, ბათომიდგან (მ. ძიძშვილი). იშვიათად -გან გვხვდება -გინ ნაირსახეობითაც. -ით-გინ → -იდ-გინ → -დ-გინ ერთიან ფორმანტადაა გაგებული კუთვნილებით (ასევე: კითხვით-კუთვნილებით) ნაცვალსახელებთან: ვიზდგინ „ვისგან“, რიზდგინ „რისგან“, ჩემდგინ „ჩემგან“, შენდგინ „შენგან“. საერთოდ, -გან თანდებულიანი

მოქმედებითი ხშირად გამოიყენება ამავე თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლადაც: „წერილი მივიღე ძმაიდან“ (ს. ჟღენტი). დაჩნდება -გან-ით → -გნ-ით რთული დაბოლოებაც: ჩემდგნით || ჩემგნით. -გან თანდებულიან ფორმას მიერთვის ხოლმე „მეტი“; „შენგან-მეტი არავინ მიჩანს თვალში“; გვხვდება -გინ-მეტი ნაირსახეობაც. „მეტი“ დამოუკიდებლადაც გვხვდება თანდებულის დანიშნულებით: „შენ მეტი (= შენ გარდა) გზაი არ მაქ“; იცვლება ბრუნვის მიხედვით: „შენ მეტი არავინ მინდა“, „შენ მეტს არავის ვენდობი“, „შენ მეტის არავის მჯერა“.

რელიქტის სახით დაჩნდება -დამ: აქედამ და იმ კედარომდე; აქედამ და იი ხეი როა; აქედამა, იქედამა || იქიდამა.

-მდე || -მდი თანდებულის ბოლოკიდურა ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის: -მდენ || -მდინ.

„შუა“, თანდებულის დანიშნულებით გამოყენებისას, ორმაგად იხმარება: „იმერეთ შუა და ჩვენ შუა არის საპაიჭეო“ (მ. ძიძიშვილი).

(#528)

თანდებულის დანიშნულებით გამოიყენება „უწინ“, „გამოისობით“, აგრეთვე: კედაროს || კედრით (ამ კედაროს „აქ, ამ მხარეს“, იმ კედრით „იქიდან, იმ მხრიდან“).

***

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება. ძირითადი მაწარმოებელია -ებ: კაცები, ბაღნები; ყანიები, ციხიები. -ს ბრუნვის ნიშნის წინ ზოგ თქმაში -ებ → -ევ: ბაღნევს.

მრავლობითი რიცხვის მაწრმოებლად ზოგ თქმაში (უჩხუბი, დვაბზუ, ბახვი...) დადასტურდა -ენ: ბადიშ-ენ-ი, მეზობლ-ენ-ი, ყმარწვილ-ენ-ი; ბადიშ-ენ-მა, ბადიშ-ენ-ს, ბადიშ-ენ-ის... (ა. ღლონტი, პ. ჯაჯანიძე).

-ნ/-თ სუფიქსიანი მრავლობითი იშვიათია; ძირითადად გვხვდება ზეპირსიტყვიერებაში, აგრეთვე ოჯახის სახელებში — თუ გვარი -ძე-თი ბოლოვდება: ნაკაშიძენი...

-ნ სუფიქსიანი წარმოება ჩვეულებრივია პირის ნაცვალსახელებში: აგენი || აგინი, მაგენი || მაგინი, იგენი || იგინი. სხვა ბრუნვებში ფორმას მიერთვის ბრუნვის ნიშნები: აგენმა, აგენს, აგენის, აგენით, აგენათ; აგენში, აგენიზგან და მისთ. შესაძლოა ჩაერთოს მ: ამგენმა, ამგენს (შდრ.: მაგენი, მაგენმ,ა მაგენს, მაგენის).

შეინიშნება ორმაგი -ნ-ებ წარმოებაც: ბადიშ-ნ-ებ-ი, სახლიკაც-ნ-ებ-ი, ანგელოზ-ნ-ებ-ი. აგრეთვე: -ენ-ებ: მეზობლ-ენ-ებ-ი, მოყვრ-ენ-ებ-ი და ა.შ. (კ. დონდუა, ს. ჟღენტი,

ა. ღლონტი, პ. ჯაჯანიძე). -ნ-ებ გვხვდება ძმანები, დანები, ბიძანები, ბიბიდანები, სიძენები, ყმანები, შარაშიძნები, ნაკაშიძნები ფორმებშიც; ამ შემთხვევაში -ნ-ებ დაბოლოებას განსხვავებული კვალიფიკაციაც ეძლევა: -ნ მიიჩნევა დეტერმინანტი სუფიქსის (*-ან, *-ენ...) შემადგენელ ელემენტად (არნ. ჩიქობავა).

გ) ზმნა. რთული ზმნისწინის შემადგენლობაში შე-, ჩვეულებრივ, ა- გახმოვანებითაა წარმოდგენილი: შამოაქ, შამეიარა, შამეიტანა, შამუუტანია.

ი- და უ- პრეფიქსიანი ზმნების წინ გადა- → გად-: გადაიარა → გადიარა (|| გადეიარა), გადაუარა → გადუარა (|| გადოუარა || გადუუარა); შდრ.: გადარება; აგრეთვე: გადაეტანა → გადიეტანა. პროცესს ვერ აბრკოლებს ვ (პირის ნიშანი ან ფუძისეული): გადავიარე → გადვიარე, გადავუარე → გად(ვ)უარე; გადავიდა → გადვიდა.

(#529)

მხოლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო ძიდითადში -ა გვაქვს იქაც, სადაც სხვა დიალექტებში -ო დასტურდება; იცნ-ა, მიასრ-ა „მიასწრო“, შეიპყრ-ა, გაახმ-ა. ანალოგიური მდგომარეობაა II შედეგობითშიც: ეცნ-ა, მიესრ-ა, შეიპყრ-ა. II კავშირებითს ყველა ეს ზმნა -ა სუფიქსით აწარმოებს: იცნ-ა-ს, მიასრ-ა-ს, შეიპყრ-ა-ს. ფუძის ბოლოკიდური ვ-ს პოვნიერებისას შესაძლოა ვა → ო: მეისვა → მეისო, წაართვა → წაართო (პ. ჯაჯანიძე), თმც უფრო გავრცელებულია: მეისჳა, წაართჳა.

უნიფიკაციის ტენდენცია ვლინდება მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური -ენ პირის ნიშნის გამოყენებისას: აწმყო — წერენ, ჭრიენ, დგებიენ, ჩივიენ. ნამყო უსრული — წერდენ, ჭრიდენ, დგებოდენ, ჩიოდენ. ნამყო ძირითადი — დაწერენ, დაჭრენ, დადგენ, იჩივლენ.

გადააზრიანების შედეგად -ენ გამოხატავს აგრეთვე მრავლობითობას: ირიბი ობიექტისა (გელირსებიენ „გელირსებათ ის თქვენ“, დაგიძახენ „დაგიძახათ მან თქვენ ის“, შეგჩებიენ „შეგრჩებათ თქვენ ის“. ანალოგიით დაჩნდება მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმაშიც: შეგვჩებიენ „შეგვრჩება ჩვენ ის“), პირდაპირი (უშუალო) ობიექტისა („რა დაგაწვენენ ახლა?“ „რამ გადაგრიენ, ბაღნებო?“; ნიშნავს: „დაგაწვენთ“, „გადაგრიათ“), რეალური სუბიექტისა ინვერსიულ ზმნებში (თქვენ გაქვენ „გაქვთ“, გყავენ „გყავთ“, გიხარიენ „გიხარიათ“, მიგეჩქარებიენ „მიგეჩქარებათ“... მათ აქვენ „აქვთ“, ყავენ || ხავენ „ჰყავთ“, უხარიენ „უხარიათ“, მიეჩქარებიენ „მიეჩქარებათ“, წყურიენ „სწყურიათ“, ემღერებიენ „ემღერებათ“... დუუწერიენ „დაუწერიათ“, ჩუუბარებიენ „ჩაუბარებიათ, დუუსხმან || დუუსხმენ „დაუსხმთ“, დუუჭირვან || დუუჭირვენ „დაუჭერიათ“... დიეწერენ „დაეწერათ“, ჩიებარებიენ „ჩაებარებინათ“... ანალოგიით დაჩნდება I პირშიც: გვაქვენ „გვაქვს“, გვყავენ „გვყავს“... ნიმუშები გაბმული ტექსტიდან: „შეშინებიენ და დუუძახებიენ“, „მთვრალი მაყრები მოდიენ და ქალი მოყავენ“; ს. ჟღენტი).

იმავდროულად გურულის ზოგ თქმაში ნამყო ძირითადში III სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად დაჩნდება -ეს სუფიქსიც როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნმებთან: დაწერეს, გააკეთეს; მიეგებეს „მიეგებნენ“, მეიქცეს „მოიქცნენ“ („მართლც, ასე მეიქცეს“), ადგეს „ადგნენ“. ღირსსაცნობია, რომ -ეს შესაძლოა გამოყენებულ იქნას რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავადაც ინვერსიულ ზმნებში: „ქონდეს (= ჰქონდათ) ორჳეს თოხი“, „მიეწონეს (= მოეწონათ) იგენს კაბა“; პარალელურად: ქონდენ, მიეწონენ (მ. ძიძიშვილი).

(#530)

მდგომარეობითი ზმნების აწმყოში III სუბიექტური პირის მრავლობითობა -არიენ || -ლარიენ მეშველი ზმნით (უკეთ: ნამეშველზმნარი ფორმანტით) გამოიხატება: წუხ-ლარიენ, ყრი-ლარიენ, დგან-არიენ, ჯდან-არიენ. ანალოგიური ვითარებაა ერთვალენტიანი ზმნების I შედეგობითშიც: დამალულ-არიენ, წასულ-არიენ (|| დამალულენ, წასულენ).

-არიენ || -ლარიენ ინვერსიულ ზმნებში გამოხატავს რეალური სუბიექტის მრავლობითობას: მათ უკვილარიენ „უკვირთ“, მოწონარიენ „მოსწონთ“, უყვალარიენ „უყვართ“, ტკივლარიენ „სტკივათ“, უჭილარიენ „უჭირთ“. აღინიშნება რეალური სუბიექტის II პირის მრავლობითობაც: „რეიზა გიკვილარიენ?“ (ანალოგიით შესაძლოა დაჩნდეს I პირის ფორმაშიც: გვიკვილარიენ „გვიკვირს“).

ზის, წევს, ჩანს ტიპის ზმნები აწმყოს III პირის ფორმებში წარმოდგენილია როგორც: ჟდანა, წვანა, ჩანა. ამ წესს მიჰყვება ჩივ-ი-ს ტიპის ზმნებიც: ჩივა, ყივა, კივა, ბღავა, ჯღავა. I და II პირის ფორმებში წარმოება მეშველზმნიანია: თავისთავად — ვდგანვარ, დგანხარ; ვჟდანვარ, ჟდანხარ და იმავდროულად — უნიფიკაციის საფუძველზე: ვჩივივარ, ვმღერივარ; ჩივიხარ, მღერიხარ; აგრეთვე ვჩქარივარ, ჩქარიხარ და მისთ.

მდგომარეობითი ინვერსიული ზმნები ხშირად -ი-ა დაბოლოებით დაჩნდება: უყვარია, შვენია.

-ობ თემისნიშნინი მდგომარეობითი ზმნების რიგში მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი ზოგი ზმნა (რომელიც სხვა დიალექტებში -ავ სუფიქსითაა გართულებული): თებზ-ობ-ს „თევზაობს“ — ნამყო ძირითადი: ითებზა „ითევზავა“ (ლ. ლეჟავა).

-ობ თემის ნიშნით იწარმოება რიგი ზმნებისა: გულაოფს „ეგულება“, ტყუილოფს || იტყუეფს „ტყუის“, სროლოფს „ისვრის“ და, პირიქით, -ობ-ის ნაცვლად დაჩნდება სხვა თემის ნიშანი: ფიქრ-ავ-ს „ფიქრობს“.

ხტება, სტკივა ზმნები, ჩვეულებრივ, უ- პრეფიქსით გვხვდება: უხტება, უტკივა (ლ. ლეჟავა).

და-დი-ს ზმნას ცვლის ი-არ-ებ-ა; იმავე ფუძის ფორმა ცვლის უ-ვლ-ი-ს ზმნას: უ-არ-ს, მი-ვალ, მი-ხ-ვალ, მი-ვა აწმყოს ფუნქციითაც გამოიყენება (= მივდივარ, მიდიხარ, მიდის).

თითქმის შეუზღუდავად იწარმოება ნასახელარი ზმნები: თუთუნოფს „თამბაქო მოჰყავს“, ადრიოფს (← ადრე), წესრიგოფს (← წესრიგი), აღიადეფს (← ღიად).

მოქმედებითი გვარის ზმნების ერთი ნაწილი უძველესი მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი: რეცხ-ს, ხოც-ს, რეკ-ს, ხვეტ-ს, ჩეხ-ს. ასევე: კეტ-ს, თეს-ს. იმავდროულად ზოგი ზმნა (უპირატესად — ფუძედრეკა(#531)დი) თემის ნიშნით რთულდება: გრიხ-ავ-ს, წყვიტ-ავ-ს, ი-ჭირ-ავ-ს. ფუძე, ჩვეულებრივ, ი-გახმოვანებით დასტურდება.

ზოგი ზმნა -ივ → -ი ფორმანტით ირთულებს ფუძეს: ითანხმიეფს „ითანხმებს“, იხმარიეფს „იხმარს“, იშორიეფს „იშორებს“.

არქაიზმისა და ინოვაციების თანაარსებობა სხვა შემთხვევებშიც დაჩნდება გურულში. მაგალითად, ძველი ქართულისებური ვითარებაა -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმათა (მალ-ვ-ენ, ი-ც-მ-ენ) წარმოებისას და იმავდროულად უთემისნიშნოებთან დაჩნდება -ებ იმავე ფორმაში (ჭამ-ებ-ენ „ჭამენ“); ასევე: -ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნები ხშირად არქაული წესით იწარმოებენ შესაბამის ვნებითს (მალ-ავ-ს→ ი-მალ-ვ-ი-ს, და ასე: ინახვის, გეიპარვის, დეიკარქვის; დეიდგმის, დეისხმის; ასევე: ეშიშვის) და ამასთანავე ინოვაციაა III ტიპის („უნიშნო“) ვნებითის ყალიბით გჯ-ებ-ა, ხჩ-ებ-ა ტიპის ფორმათა წარმოება (შდრ.: დრკ-ებ-ა, დგ-ებ-ა, ჯდ-ებ-ა). არქაული წესისამებრ უმეშველზმნოდაა გამოყენებული მი-ვ-რბ-ი „მივრბივარ“, მი-რბ-ი „მირბიხარ“; ან: დავრბი „დავრბივარ“, დარბი „დარბიხარ“ და მასთან მკვეთრად გამოხატული ინოვაციაა -ი სუფიქსიანი წარმოება ზმნებისა: ს-წერ-ი „სწერ“, ა-მტყუნ-ი-ს „ამტყუნებს“, ი-ცხოვრ-ი-ს „იცხოვრებს“ (პ. ჯაჯანიძე, ლ. ლეჟავა).

ნამყო უსრულში -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები -ვ და -მ ფონეტიკური ნაირსახეობითაა წამოდგენილი სამივე პირის ფორმებში, მაწარმოებლად -იდ დაჩნდება: ვ-მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ა; ვ-დგ-მ-იდ-ი, დგ-მ-იდ-ი, დგ-მ-იდ-ა.

ი-ქ-ს ზმნას ნამყო უსრულში შეესაბამება: ი-ქ-დ-ა.

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში -ი სუფიქსიანი წარმოება მკვიდრდება: მუუკლია „მოუკლავს“, დუუმბია „დაუბამს“; და თავისთავად: გუუკეთებია, უუშენებია... ფუძედ ზოგჯერ -ებ თემისნიშნიან ზმნათა II სერიის ფორმებია

გამოყენებული: დუუბადია „დაუბადებია“, დუუკიდია „დაუკიდია“. ანალოგიურად — ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების I შედეგობითში დაჩნდება: გამოკიდია „გამოჰკიდებია“.

დასტურდება IV სერიის ფორმები: მინავალა, ნაყვარება, ნაზიდავა, ნაშენება... მინავალიყო, ნაყვარებიყო...

კაუზატივი იწარმოება -ინ → -ი ან -ივ → -ი ფორმანტით: ა-წყებ-ი-ეფ-ს, ა-წერ-ი-ეფ-ს... ა-კვლ-ი-ეფ-ს, ა-თქმ-ი-ეფ-ს... ნამყო ძირითადში: და-ა-წყებ-ი-ა, და-ა-წერ-ი-ა... მუ-ა-კლ-ი-ა, გადა-ა-ხთ-ი-ა, ა-თქმ-ი-ა... (ა. შანიძე, გ. იმნაიშვილი, გ. კვერენჩხილაძე).

-ევ სუფიქსიანი კაუზატივების ნაცვლად გურულში ფუძის გახმოვანებაცვლილი ფორმებია გამოყენებული: აჭუმს „აჭმევს“, ასუმს „ას(#532)მევს“, აცუმს „აცმევს“, ათქუმს „არქმევს“; ნამყო ძირითადი: აჭმია, ასმია, ჩააცმია, ათქმია, რომლებიც -ევ → -ივ || -ი გადაბგერებით ჩანს მიღებული: აჭმევს → * აჭმივა → აჭმია (აჭუმს და აჭმია ორი პარადიგმის კონტამინაციით უნდა იყოს მიღებული: აჭუმს — აჭამა და აჭმევს — აჭმია, აქედან: აჭუმს — აჭმია). გარდა ამისა, გვხვდება ასეც: ა-ჭმ-ი-ეფ-ს || ა-ჭმ-ოვ-ი-ეფ-ს, ასმიეფს || ასმოვიეფს, აცმიეფს || აცმოვიეფს; ნამყო ძირითადი: აჭმია || აჭმოვია, ასმია || ასმოვია, ჩააცმია || ჩააცმოვია (ა-ჭმ-ი-ა ნამყო ძირითადად უნდა მოუდიოდეს ა-ჭმ-ევ-ს ფორმას, მაგრამ შეესაბამება *ა-ჭმ-ივ-ებ-ს → ა-ჭმ-ი-ეფ-ს ფორმას და იმავდროულად ა-ჭუმ-ს ფორმის ნამყო ძირითადიცაა). შევნიშნავთ, რომ ა-ჭუმ-ს, ა-ჭმ-ი-ეფ-ს და ა-ჭმ-ოვ-ი-ეფ-ს ერთმანეთს სემანტიკურად ვერ ფარავს: აჭუმს „აჭმევს“, მაგრამ: აჭმიეფს || აჭოვიეფს „აჭმევინებს“; ასევე: აცუმს „აცმევს“ — აცმიეფს || აცმოვიეფს „აცმევინებს“. დაჩნდება ოდენ -ოვ სუფიქსიანი ფორმებიც: ა-ჭმ-ოვ-ს, ა-სმ-ოვ-ს, ა-ცმ-ოვ-ს; იგივეა, რაც: აჭუმს, ასუმს, აცუმს.

***

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები.

გამოიყენება დადასტურებით ნაწილაკ-მორფემოიდი ქი || ქე: „აი კაცი ქი მივა (= მიდის)“. იხმარება აგრეთვე: დსტურ || დასურ: „დასტურ ასეა!“

სხვათა სიტყვის -ო შესაძლოა დაერთოს წინადადების ყველა წევრს: „ერთიო კაციო მევიდაო“ (პ.ჯაჯანიძე); ცვლის -მეთქი ნაწილაკსაც: „მოვალო (= მოვალ-მეთქი), უთხარი მე, მარა ვინ დაგიჯერა!“ იხმარება -მეთქინ ნაწილაკიც (ბოლოკიდურა ხმოვნის ნაზალიზაციით).

-ვე დაერთვის უშალოდ რიცხვითი სახელის ფუძეს; თანხმოვნის მომდევნოთ — ვ → ŭ: ორŭე, სამŭე, ხუთŭე; შდრ.: რვავე, ცხრავე.

პირის ნაცვალსახელებს დაერთვის -ოდენ → -დენ → *-თენ → -თე ნაწილაკ მორფემოიდი, იწარმოება ვითარებითი ზმნისართი: ას-თე, მას-თე, ის-თე; რთულდება -ლე ნაწილაკ-მორფემოიდით, ამასთანავე ჩაირთავს -ვე → -ვ ნაწილაკსაც:

*ის-თე-ვე-ლე → ისთევლე (რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით: ისთოვლე); შესაძლოა იწარმოოს -თე ნაწილაკ-მორფემოიდის გარეშეც: *ისე-ვე-ლე → ისევლე (რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით: ისოვლე, ვ-ს ჩავარდნით: ისოლე).

ადგილისა და დროის გამომხატველ ფორმებთან იხმარება ოდნაობის -რე, რომელიც, ჩვეულებრივ, გაორმაგებულია: -რე-რე → -რე-ლე (დისიმილაციით): აქეთრელე „ცოტა აქეთ“, იქითრელე „ცოტა იქით“, (#533)ზერელე „ცოტა ზემოთ“, ქვერელე „ცოტა ქვემოთ“, საღამოთრელე „საღამოსკენ (ლ. ლეჟავა).

რაოდენობის გამომხატველ ფორმებთან დასტურდება -ეთ: რ-ეთ-ი „რამდენი“, ამდენ-ეთ-ი || ამდონ-ეთ-ი, იმდენ-ეთ-ი || იმდონ-ეთ-ი, რამდენ-ეთ-ი || რამდონ-ეთ-ი. ვარაუდობენ: ერთი → -ეთ-ი (ი. ქავთარაძე, ლ. ლეჟავა).

ადგილისა და დროის ზმნისართებთან, ჩვეულებრივ, იპოვება -ნა, რომელსაც ქვემოგურულში დაერთვის -ი || -ჲ, ხოლო ზემოგურულში ბოლოკიდური -აი → -ე: აქანაი || აქანაჲ, მაქანაი || მაქანაჲ, ხანდიხანაი || ხანდიხანაჲ (იქა ფორმასთან -ნა გვქვს, იქი ფორმასთან — ნე: იქანაი || იქინეი)... აქანე, მაქანე, ხანდიხანე...

გამოიყენება „უნდა“, „ეგება“ ნაწილაკ-მორფემოიდები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მოსდევს ზმნას: „იი კაცი მევიდეს უნდა“, „იი კაცი მევიდეს ეგება“.

ჩაკითხვისას ხშირად გამოიყენება „თუ“ ნაწილაკ-მორფემოიდი (წარმოშობით კავშირი): „გუუკეთე, თუ?“ (← გაუკეთე, თუ არა?); მიღებულია კონსტრუქციის ელიფსით.

საუბრის განგრძობისას იხმარება ჰოდა || ხოდა: „ხოდა, იმას ვჩიოდი“ (← დადასტურებითი „ჰო“ ნაწილაკ-მორფემოიდი + კავშირი „და“).

„კინაღამ“ გვხვდება ამ სახით: კაღამ || კახამ, „ბარემღა“ — ბარეღმაი || ბარემღაი.

მოვლენის უარყოფითი შეფასებისას იხმარება „ანაგებათ“; „ანაგებათ არ ქნა“.

***

ე) სიტყვათწარმოება.

ვითარებითი ზმნისართების საწარმოებლად ვითარებითი ბრუნვის ორი ნაირსახეობაა გამოყენებული: -ა და -ად → -ათ სუფიქსიანი (-ათ ფორმანტი რთულდება -ა მავრცობით); ორივე შემთხვევაში ქვემოგურულში დაერთვის ნართაული -ი || -ჲ, ზემოგურულში -აი → -ე: ძვილაი || ძვილათაი, ტყულაი || ტყულათაი; ნელათაი, ჩუმათაი; შესაბამისად: ძვილე || ძვილათე (გვხვდება აგრეთვე: ძულაი || ძულათაი), ტყულე | ტყულათე, ნელათე, ჩუმათე.

ვითარებითი ზმნისართები ხშირად -ით სუფიქსითაა ნაწარმოები: ცხადითაი, ცოცხლითაი... ცხადითე, ცოცხლითე...

თანაბრობის ხარისხის სახელები სი — ე || სი — ო აფიქსებით იწარმოება, რომელსაც ეხამება ნაცვალსახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორ(#534)მით: *რამის სილამაზე → რამისილამაზე; და ასე: რამისიგლახე, რამისისხო; იმისილამაზე, იმისისხო („რა“ ნაცვალსახელთან მ ანალოგიითაა ჩართული; შდრ.: ამისილამაზე და: *რაისილამაზე → რამისილმაზე). ხშირად თანაბრობის ხარისხის სახელები -ოვან → -ვან სუფიქსით რთულდება (უპირატესად მაშინ, როცა მრავლობითობა გამოიხატება): რამისიმაღლვანი, ამისისხვანი|| ამისისხვანი, იმისისხვანი || იმისისხვანი, იმისიგძვანი || იმსიგძვანი; ასე ნაწარმოებ ფორმებს შესძლოა დაერთოს მრავლობითობის -ებ სუფიქსიც: „იმისიმაღლვანები || იმსიმაღლვანები იყო (იგულისხმება: სიმინდი), რომ ცხენიანი კაცი ვერ მისობოდა (= მისწვდებოდა).

შესადარებელი სახელი გურულში, ჩვეულებრივ, ნათესაობით ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: „ამის (= ამაზე) უკეთესს რას ვნახავდი!“ „ამის (= ამაზე) უფროსმა სხვამ არ შეგვაწუხოს!“ „ყველეს (= ყველაზე) უმცროსია, ბიჭი გოგოის (= გოგოზე) უმფროსია“ (ლ. ლეჟავა).

ნა- პრეფიქსიანი ფორმები, გარდა მათთვის ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, ზოგ სპეციფიკურ მნიშნვლეობასაც გამოხატავენ; მაგალითად, გამოიხატება ინსტრუმენტატივი: „დაღალა წყალის ნაზიდავი (= წყლის ზიდვით)“; „უუჭრელა ძრუგი ჯოხის ნაცემარი (= ჯოხის ცემით)“; გარდა ამისა, ნა- პრეფიქსიანი სახელები გამოიყენება ნახმარი, მოძველებული საგნების აღსანიშნავად: ნაკაბები „ნახმარი კაბა“ (და არა: „კაბად ყოფილი“), ნაწინდარი „ნახმარი წინდა“ (და არა: „წინდად ყოფილი“); (ლ. ლეჟავა).

დაჩნდება უარყოფის ფორმათა აღწერითი წარმოება — ნათესაობითში დასმულ სახელს დაერთვის უარყოფის „უმისოდ“ ფორმა: იმ კაცის უმისოთ „უიმკაცოდ“, ბაბაის უმისოთ „უმამოდ“. „უმისოთ“ ცვლის „გარეშე“ თანდებულს; იხმარება უარყოფის ფორმათა ვითარებითი ბრუნვის ეკვივალენტად: კაცის უმისოთ = უკაცოდ.

შეინიშნება აბსტრაქტულ სახელთა ორმაგი (პრეფიქს-სუფიქსაციით) წარმოება: სი-ცივ-ობა, სი-ცხარ-ობ-ა (ლ. ლეჟავა); მიღებული ჩანს ასე: სი-ცივ-ე → სიცივ-ობა. ორმაგი წარმოებისა ჩანს აგრეთვე სა-ვარგ-ის-ი.

წარმომავლობის -ელ აღნიშნავს როგორც ვინ-, ასევე რა-ჯგუფის სახელებს: ასკანა → ასკანელი კაცი || ასკანელი მიწა; და ასე: ლანჩხუთელი კაცი || ლანჩხუთელი სიმიდი, სურებელი ქალი || სურებელი თაფლი (ი. მეგრელიძე, ს. ჟღენტი).

გათხოვილ ქალთა ქალიშვილობის გვარი -ფხე || -ხე ელემენტით იწარმოება (-ძე და -შვილი ფუძეს ჩამოსცილდება): ცინცაიფხე „ცინცაძის ქალი“, ღლონტიფხე „ღლონტის ქალი“, ასათიანიფხე „ასათანის (#535) ქალი“, იმნაიფხე „იმნაძის ან იმნაიშვილის ქალი“; თავისებური გააზრებისაა: -ფე-თი ნაწარმოები გვარით მოიხსენებენ კაპას ქალს.

კნინობითი ფორმების ძირითადი მაწარმოებელია -ა (ქვემოგურულში სახელობით ბრუნვაში დაერთვის -ი, ზემოგურულში -აი → -ე): გაბილაი || გაბილე, თამარაი || თამარე; ფუძე შესაძლოა გართულდეს კნინობითობის სხვა სუფიქსებით: -იკ (მარ-იკ-ა, ედემ-იკ-ა, ზალ-იკ-ა,ივან-იკ-ა), -უკ (ბეჟ-უკ-ა-ი), -ელ (კოწი-ელ-ა, ჭყონი-ელ-ა); გამოიყენება კონტამინირებული ფორმანტებიც: -იკ-ელ (მარ-იკ-ელ-ა, დათ-იკ-ელ-ა). გავრცელებულია -ია სუფიქსიანი კნინობითი ფორმებიც: ჭოლა-ია || ჭოლა-იე, თინა-ია, ნინო-ია, შუტუ-ია (-ია სუფიქსის დართვისას ბოლოკიდური -ა, -ე შესაძლოა დაიკარგოს: საშა → შაშა → შაშ-ია || შაშიე || შაშიი; ვერა → ვერ-ია; პავლე → პავლ-ია || პავლ-იე || პავლ-იი); -ია ბოლოსართის წინაც ფუძე ზოგჯერ რთულდება კნინობითობის სხვა სუფიქსით: ზალ-იკ-ია || ზალ-იკ-იე || ზალ-იკ-იი. სახელთა ძირითად და კნინობით ფორმებს სოციალური დატვირთვაც ჰქონდა: თავადაზნაურთა წარმომადგენლები (აგრეთვე: საპატივცემულო პირები) იხსენიებოდნენ როგორც: დავით, ლევან, იასონ... გლეხები — დათიკელაი, ლევანია, იასონაი || იასონე... სხვაობა გვარებშც იჩენდა თავს: „ჭყონია“ აზნაური იყო, „ჭყონიელა“ — გლეხი.

დასტურდება -ილ სუფიქსიანი მასდარები: ზიდილი, „ზიდვა“, მზადილი „მზადება“, სესხილი „სესხებ“. ზოგჯერ მასდარად იხმარება ზმნის ფუძე (ჩვეულებრივ — ნასესხები): ტანჯი, დავი (|| ტანჯილი, დავილი).

-ი თემისნიშნიან ზმნათა მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობა იწარმოება ნამყო ძირითადის ფუძისგან ოდენ სა- პრეფიქსით: გადა-სა-ყარ-ი, გა-სა-ზარდ-ი,და-სა-სვარ-ი, და-სა-შალ-ი.

ჭამ-ს ზმნის ნამყო დროის საობიექტო მიმღეობაა ჭმ-ულ-ი, წა-ვიდ-ა ზმნისა — წა-სრ-ულ-ი (← *წა-სლ-ულ-ი). რაც შეეხება შე-კერ-ულ-ი ტიპის საობიექტო მიმღეობებს, აქ ანგარიში ეწევა იმას, რომ ზმნა -ავ თემისნიშნიანია: კერ-ავ-ს.

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მსაზღვრელი ორ ტენდენციას ავლენს: ერთ შემთხვევაში შეთანხმება სრულია (დიდი კაცი, დიდმა კაცმა, დიდს კაცს, დიდის კაცის, დიდის კაცით, დიდს კაცათ), მეორე შემთხვევაში (#536) მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა (დიდი კაცი, მაგრამ: დიდ კაცმა, დიდ კაცს, დიდ კაცის, დიდ კაცით, დიდ კაცათ). უფრო ხშირია შერეული პარადიგმა (დიდი კაცი, დიდმა კაცმა, დიდ კაცს...). ზოგჯერ მსაზღვრელი სახელობითის ფორმითაა დამოწმებული ყველა ბრუნვაში (დიდი კაცი, დიდი კაცმა, დიდი კაცს, დიდი კაცის, დიდი კაცით, დიდი კაცათ). ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელი -ი ბრუნვის ნიშანს დაირთავს სახელობითში (ხმელაი

ჭადი). „ერთი“ რიცხვითი სახელი მსაზღვრელად გამოყენებისას, ჩვეულებრივ, „ერი“ სახითაა წარმოდგენილი (ქ. ლომთათიძე): „ერი ღერი სიტყვა“, „ერი ღამე გამათევიე“.

ბ) რიცხვით სახელებთან საზღვრული ხშირად მრავლობითის ფორმითაა ხმარებული: ვორი ბიჭები, ვოთხი ძმანები, ისიდორეს ექსი ხავდა ბაღნები; ანალოგიურად: ბეცრი ვაშლები, ყველაი კაცები (მაგრამ: ექსი დღეი, ცხრაი წელი).

გ) ქვემდებარეს შემასმენელი ხშირად რიცხვში არ ეთანხმება: იგენი მევიდა, მაგენი უარზე იყო, იგენმა წეიყვანა, ძმები ადგა და წევიდა, ბაბამ და ნენამ თქსა. ინმავდროულად მომდევნო წინადადებებში, თუ ქვემდებარე აღარაა დასახელებული, ზმნა მრავლობითი რიცხვის ფორმით იქნება წარმოდგენილი: „თათრები გლახა ამბავს გვიკეთებდა: ჩვენ ბაღნევს ყიდულობდენ და მიხავდენ“ (გ. იმნაიშვილი). გვაქვს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები; ხალხმა დეიძახეს, თელმა ხალხმა იციენ, ახალგაზრდობა მევიდენ. იხმარება ასეც: „დაბრუნდა იმ კაცებმა და უთხრენ“ (შდრ.: „მონადირეები მოკვლიდა და წამეიღებდა“). ეს ეხება III პირის ფორმებს; I და II პირში შეთანხმება, როგორც წესი, ყოველთვის ხდება.

პირმიმართი დამატებები I და II პირისა უპირატესად რიცხვში შეთანხმებულია შემასმენელთან: „იგი თქვენ გეუბნებიენ, გეტყვიენ“; „იმან თქვენ გითხრენ“ (შეთანხმებულია ირიბი დამატება); „რამ დაგღალენ ასთე თქვენ“ (შეთანხმებულია პირდაპირი დამატება). შეთანხმების წესი სალიტერატურო ქართულის ანალოგიურია, ოღონდ -თ სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება -ენ.

დ) აქტიური სემანტიკის გამომხატველი გარდაუვალი ზმნების II სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობითში დგას: იმ კაცმა მევიდა; გეიქცა ამ ბაღანამ; იზარდა იმ ხემ. ანალოგია შორს მიდის: კაცმა დიეცა, მოკვდა (მაგრამ არ შეგვხვდება: კაცმა გეილახა). ამის საპირისპიროდ, „გაიარა“ ზმნასთან ქვემდებარე ხშირად სახელობითშია: გეიარა პაწე ხანი; ამეიარა ისიდორე.

ე) ჩვეულებრივი მოვლენაა წინადადების რომელიმე წევრის ან მონაკვეთის გამეორება: რამდონი მეიტანა, რამდონი?; რაი ვქნა ახლა, (#537) რაი?; ისთე ჩამევიდა, რომ გაშლილი ვარდივით ჩამევიდა (ლ. ლეჟავა, პ. ჯაჯანიძე).

ვ) ელიფსის შემთხვევები: „ბაბამ: მალე მევიდესო“ (მთავარ წინადადებაში ჩავარდნილია შემასმენელი, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი, წესისამებრ, დაირთავს სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკ-მორფემოიდს).

ზ) პარონიმაზიის შემთხვევები: გაკეთებით ქი გააკეთეფს; დალევით ბეცრს დალევს; მოსლით უცფათაი მუა; თქმით მართლაც იტყვის ან აფერს არ იტყვის.

თ) ხშირია ორმაგი უარყოფის ფორმები: ვეფერს ვერ ვიზამ; არცაროის არ ყოფილა ამისანაი; არაკაცი || არკაცი არ მეგულება; ნუფერს ნუ იტყვი (ს. ჟღენტი, პ. ჯაჯანიძე).

ი) დამახასიათებელი მოვლენაა წინადადების გათიშვა: „აი, ყოფილა, ბაბუაშენს რო უწინ ქალი ხოლებია, იმის მზითევი“; „აი კუხნე, ჩემი დედამთილი რო მეეყვანენ, დახვთერიენ“ (ლ. ლეჟავა).

კ) კავშირები: მარა „მაგრამ“, თვარა „თორემ“, რომე || რო || რუმ || უმ „რომ“, საცხა „სადაც“, როიცხა „როდესაც“, რაფერც „როგორც“...

ლ) თუ დამოკიდებულ წინადადებას მოსდევს მთავარი, მაშინ დამოკიდებული წინადადების ბოლო სიტყვის ბოლოკიდურა ხმოვანი, ჩვეულებრივ, გრძელდება: „იქიდან რომ დაბრუნდებā, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“, „უმ გადიარს აქედāნ, მერე მიეცემა დიდი გული“. ამავე წინადადებებში დადასტურებითი ნაწილაკის ჩართვისას ბოლოკიდურ ხმოვანს მახვილი მოუვა და დაგრძელება სავალდებულო აღარ იქნება: „იქიდან ქ-არ დაბრუნდები, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“. დადასტურებით ნაწილაკის ფუნქციას იძენს „არა“ მორფემოიდიც, რომელიც დამოკიდებული წინადადების მომდევნოდ ჩაერთვის და რომელსაც მახვილი ასევე ბოლო მარცვალზე მოუდის: „იქიდნ რომ დაბრუნდება, არი, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“ (ქ. ლომთათიძე).

ხმოვნის დაგრძელება სხვა შემთხვევებშიც ხდება; ჩვეულებრივ, პაუზის წინ: „ა, ნენა, შემიხვიე აი თითი ელანძē“, „გარეთ უმ გამევიდā, დუუძახა და დუუძახა, რაც ძალი და ღონე ქონდა, მარā... იმან, ანაგებათ რუმაა, ყური არ გააპარტყუნა“ (ქ. ლომთათიძე). ბოლოკიდური ხმოვნის დაგრძელება ხშირია ჩამოთვლის დროსაც (აქაც პაუზის წინ): „ტურამ მევიდā, მელა მევიდā, დათვმაც მევიდāˮ.

ასე რომ, ზოგ შემთხვევაში ხმოვნის დაგრძელებას სინტქსური ფუნქცია აქვს, ზოგჯერ კი ფრაზის ინტონაციითაა შეპირობებული.

(#538)

***

IV. ლექსიკა.

გურულს შემოუნახავს არქაული ლექსიკა — ზოგჯერ სემანტიკური გადახრებით: ზარმელი, ფიჩხოური (შდრ.: ფიჩხაურა), უსხი „გველურებული პირუტყვი“, ჟვავი, ლორფინი „მიწოლილი ღობე“ და მისთ. (ლ. ლეჟავა).

მრავლადაა ზანური ლექსიკა: ჯარგვალი, ჯიჯგვი, ოჭვათო, ჯუმადია „ბიძა“, დუდი „თავი || ბიბილო“, მოჭვა „კრუხი“, ჯანხუჯა, ფუნჩხა „ნამცეცი“, გაჩხოტვა (შდრ. ჭანური: ოჩხოტალე), ფართქალი (ოფართქალუ), კონჭვა (ოკონჭუ) და მისთ. (ს. ჟღენტი).

შეინიშნება ნასესხობანი თურქულიდან: უზანდარა „განჯინა, კარადა“ (თურქული: მუსანდარა), ოდა „სახლი“, არაბა „ურემი“, სერესკელი (თურქული: სერასკერი „მთავარსარდალი“) და მისთ. (ნ. გურგენიძე).

უხვადაა წარმოდგენილი საკუთრივ გურულში ნაწარმოები ფორმები: ამორანქვა „ამოხაპვა“, აჩარიქება „საქონლის ხორცის აქნა“, გაკოპიტება „რისმე კარგად გაკეთება || ხის მასალის მოხდენილად გათლა-გალამაზება“, გაკუჭება „გაბრაზება“, გაროფვა „გაპობა, გატეხა“, გადაფიჩინება „ძლიერ გახმობა || ტირილის ან სიცილის დროს სულთქმის შეკავება“, დაბელვა „დამორვა, ხის ტოტების დაჭრა“, დალუსკუმება „დაბნელება“ (თვით ლუსკუმი“ ნასესხები სიტყვაა), გადამაგინება „ვაზის ღეროს გადაწვენა და მიწაში ჩარგვა, რომ ფესვი გაიკეთოს“, მოფუღურება „მობუზვა“; ელანძე „სწრაფად, მალე, ერთ ლანდზე“, ერიცახე „მცირე, პატარა“ (გვხვდება სხვა დიალექტებშიც), უწრყული „ნიგვზისაგან გამოხდილი უწყლო ზეთი“ (ს. ჟღენტი), აანცება „აკლება“.

გურულში მრავლადაა დიალექტური ფრაზეოლოგიზმები: იერმა წამეიარა „კოკისპირული უეცარი წვიმა მოვიდა“, თვალში არ მიჩანა „ვერ ვხედავ“, ყპაი ყპაში აქ განცმული „ძალზე გამხდარია“, არ ამდის ხელზე „არ მეხერხება, არ მემარჯვება“, გამოტეხილი აქ თვალებში „თვალებზე ეტყობა“ (ა. ღლონტი, ლ. ლეჟავა).

ლექსიკური სხვაობა შეინიშნება კილოკავების მიხედვით (ან საერთოდ არ იხმარება მეორე კილოკავში, ან ხმარების სიხშირით განირჩევა); მაგალითად, ზემოგურული: უჯანგირი — ქვემოგურული: ურეკი; და ასე: ჩაფი — ჭარიკაი, ხვადაგი — სქონელი, ხალამი — დერგი, ნაკოტარე — ნაგულაი, კაპეტი — უყი, ჟაშკულამი — შეშტრამი, ხრიკი — კოპე, ურატა — ტუკი, პიპკი — ბიბო, ნაჯიგე — ქეტო... ზოგ(#539)ჯერ ერთი და იგივე ფორმა მნიშვნელობით განსხვავდება: ოფიჩო ზემოგურულში ნიშნავს: „ბლის ხის ტყავისგან გაკეთებული საფარი ქვევრის როგოსთვის“, ქვემოგურული — „წისქვილის ჩიბო“ ან „ნავიდან წყლის ამოსახაპი ხის კოვზი“(ს. ჟღენტი).

***

7.3. აჭარული. „აჭარლები თავიანთ მიწა-წყალს სმ ზონდ ყოფენ: ბარად, ზეგნად და თიებად (მთებად). ბარს უწოდებენ აჭარლები მთელ იმ მიდამოებს, რომლებიც იწყება ზღვის პირიდან და თავდება ხულოს არემარით... აჭარლებს მთა-ბარობის განმასხვავებელ ნიშნად ვაზის არსებობა-არარსებობა აქვს მიჩნეული — მენახი (= ვენახი) ბარ-ადგილებში იცისო... ზეგან ადგილებად მიჩნეული აქვთ ისეთი ზონა, სადაც ვაზი აღარ გვარობს... ზეგნებში აქვთ ყიშლები, საზამთრისპირო სადგომები ძროხისა... მთას ისეთ ზონას უწოდებენ, სადაც მარცვლეული მცენარეულობა არა გვარობს, ფოთლოვანი მცენარეები ქრება... მთის ფერდობები და ღელეები წიწვიანი მცენარეებით არის დაფარული, ხოლო წვერები კი მთლად შიშველია და საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს“ (ს. მენთეშაშვილი).

აჭარას ჩრდილოეთით ესაზღვრება გურია, აღმოსავლეთით — სამცხე (მესხეთი), სამხრეთით — თურქეთი, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს აჭარას: „ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის წყალი აღმოსავლეთიდამ და გამოსდის ზარზმა-აჭარას შორისს მთასა, მოდის აღოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ წყლის კიდეზედ, ამ ჴეობის საშუალს, არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი, ხოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, გურიის მთიდამ და აჭარისა და ლიგანის ჴევის შორისის მთებიდამ, ჴევნი და მათ ზედა არიან დაბნები შენნი. არამედ მზღვრის: აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს, სამჴრით მთა აჭარასა და ლიგანის ჴევს შორისი, დასავლით მდინარე ჭოროხი, ჩდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურიას“.

აჭარა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში კოლხეთის, შემდეგ კი ეგრისის სამეფოში შედიოდა. ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში იბერიის სამფლობელოები ჭოროხის აუზამდე გავრცელდა და, ამდენად, აჭარა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს საზღვრებში მოექცა, როგორც ისტორიული მესხეთის ნაწილი. ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში აჭარა ტაო-კლარჯეთის სამთავროს შემად(#540)გენელი ნაწილი ხდება, X-XII საუკუნეებში იგი გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი სამთავროა, XIII საუკუნის შუა წლებიდან სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) სამთავროში შედის, შემდეგ გურიის მთავრის გამგებლობაში გადადის, ბოლოს კი ისევ მესხეთის სამთავროს შემადგენელი ნაწილი ხდება. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული აჭარა, სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, თანდათანობით მიიტაცა თურქეთმა და სამი საუკუნის განმავლობაში ძალმომრეობით ნერგავდა მუსულმანიზმს. მიუხედავად ამის, აჭარლებმა მტკიცედ დაიცვეს დედაენა და ეროვნული ტრადიციები (თუმცა მუსულმანიზმმა, რა თქმა უნდა, გარკვეული კვალი დაამჩნია მათ ყოფაცხოვრებას). 1878 წელს აჭარა კვლავ საქართველოს დაუბრუნდა და ეროვნული კულტურის აღორძინებას საქართველოს ამ უძველეს კუთხეში ფართო გასაქანი მიეცა. 1878 წელს დ. ბაქრაძე შენიშნავდა, რომ აჭარის მოსახლეობას ძირითადად ქართველები შეადგენენ (სახლობენ აგრეთვე მცირე რაოდენობით ჩერქეზები) და სამეტყველო ენა ქართულია.

აჭარული კილო გავრცელებულია თანამედროვე აჭარაში, აგრეთვე ისტორიული აჭარის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. აჭარული კილო გამოიყენება აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის სოფლებში — ზოტში, ჩხაკაურასა და ქვაბღაში: აჭარლები სახლობენ გურიის ზოგ სხვა სოფელშიც (ი. მეგრელიძე), აგრეთვე სამცხეში (მესხეთში).

აჭარული დიალექტი ზემოაჭარულ და ქვემოაჭარულ კილოკავებად იყოფა. ზოგჯერ გამოყოფენ მთისა და ბარის აჭარულ კილოკავებს (ჯ. ნოღაიდელი).

ერთი თვალსაზრისით, ზემოაჭარული მოიცავს ხულოსა და შუახევის, ხოლო ქვემოაჭარული — ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების მეტყველებას. სხვა თვალსაზრისით, ზემოაჭარული აერთიანებს ხულოს, შუახევის, ქეისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონების, ხოლო ქვემოაჭარული — ნაწილობრივ იმავე ხელვაჩაურისა და მთლიანად ქობულეთის რაიონების მეტყველებას (ქართული დიალექტოლოგია).

მიზეზი აზრთა სხვადასხვაობისა ისაა, რომ აჭარული, გარდა კილოკაური დიფერენციაციისა, რამდენიმე თქმად და ქცევად ნაწევრდება; კერძოდ, გამოიყოფა ხულოური, შუახეური, ქობულეთური თქმები. ზოგჯერ ქობულეთურს, გურულთან საკმაო სიახლოვის გამო, ცალკე კილოკავად მიიჩნევენ (შ. ნიჟარაძე); ქობულეთურს ნაკლებ ეტყობა თურქულის გავლენაც. ხულოურში შეიძლება გამოვყოთ ღორჯომული და ხიხაძირული ქცევები, ნათლად გმოხატული თავისებურებებით (#541) გამოირჩევა აგრეთვე კირნათისა და მარადიდის მეტყველება (კირნათ-მარადიდული).

აჭარულში „ვხვდებით როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოების დამახასიათებელ მოვლენებს“ (შ. ნიჟარაძე). ზემოაჭარულში იძებნება ანალოგები აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებთან (განსაკუთრებით— სამცხე-ჯავახურთან, ზოგჯერ — ქართლურთან, სხვა კილოებთანაც), ქვემოაჭარულში კი (უპირატესად ქობულეთურ თქმაში) დაჩნდება დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის ნიშანდობლივი ტენდენციები. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ორგანულადაა შეხამებული აჭარულში და ერთიანი სისტემის სახით წარმოდგენილი.

„აჭარულის თავისებურებანი შეაპირობეს ჯერ კოლხური, შემდეგ მესხურ-კლარჯული და გურული დიალექტების გამორეცვამ, ბოლოს თურქთა ასიმილატორული პოლიტიკის გატარების შედეგად თურქულის ძლიერმა ზეგავლენამ... აჭარულში შეიმჩნევა ზანურის სუბსტრატის კვალიც... ამით არის გამოწვეული განსაკუთრებული ინტერესი აჭარულისადმი“ (ქართული დიალექტოლოგია).

***

I. ფონეტიკა.

დასტურდება ჲ, ŵ, გრძელი ā, ē, ī, ū და ირაციონალური ე, აგრეთვე გემინირებული თანხმოვნები (შ. ნიჟარაძე).

ჲ აჭარულში არის ი ხმოვნის რეფლექსი ხმოვნის მომდევნო ან წინა პოზიციაში: ა) სახელობით ბრუნვის -ი ნიშნის ნაირსახეობა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: ანაჲ, გზაჲ, ხეჲ, ბაბოჲ; ასლანაჲ, ზექიეჲ. ზოგჯერ სრულხმოვანი ი-ც ისმის; ბ) ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნების ხმოვნითი ელემენტის ნაირსახეობა ფუძეუკვეცელ სახელებთან: ანაჲს, ბაბოჲს, საცოლეჲს, ვინცხაჲს; ანაჲთ,

ბაბოჲთ, საცოლეჲთ, ვინცხაჲთ. ხდება მაშინაც, როცა სინ უძღვის ბგერის დაკარგვა: როდის → როის → როჲს; გ) ნართაული -ი ხმოვნის ნაირსახეობა ზმნისართებში: ტყულათალაჲ, მაშინათველაჲ, ამწახანებაჲ, გულგარაჲ, ნაპირეჱლაჲ „ნაპირ-ნაპირ“; თანდებულებთან: ჩემდათვინაჲ, ჩემითანაჲ; დ) ზმნის ბოლოკიდური -ი ხმოვნის ნაირსახეობა: მოდი → მოჲ, წადი → წაჲ; ე) რეფლექსივის (სათავისო ქცევისა და ვნებით გვარის) ი- პრეფიქსის ნაირსახეობა: გაიწურება → გეჲწურება, დაიჭნიხება → დეჲჭნიხება; დაიწყო →დეჲწყო, გაიხარა →გეჲხარა; ვ) მე-, მო-, შე-, გა-, და-... → მი-, ში- გი-, დი-... პრეფიქსთა ხმოვნითი ელემენტის ნაირსახეობა მაშინ, როცა ისინი ასიმილაციისა ან დისიმი(#542) ლაციის საფუძველზე არიან ცვლილი: მეორე → მიორე (დისიმილაციით) → მჲორე. მოეტანა → მეეტანა (ასიმილაციით)→ მიეტანა (დისიმილაციით)→ მჲეტანა, შემოეტანა → შამეეტანა → შამიეტანა → შემჲეტანა, შეატყო → შიატყო (დისიმილაციით)→ შჲატყო, გაეტანა → გეეტანა (ასიმილციით)→ გიეტანა (დისიმილაციით)→ გჲეტანა; ზ) ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ნაირსახეობა -ებ ან -ობა სუფიქსის დართვისას (წინ უძღვის ასიმილაცია და დისიმიალცია): ციხეები → ციხიები (დისიმილაციით)→ ციხჲები, ყანაები → ყანეები (ასიმილაციით)→ ყანიები (დისიმილაციით)→ ყანჲები (-ჲებ ზოგჯერ ერთიან ფორმანტად გაიაზრება: ბეგი → ბეგ-ჲებ-ი; ჯ. ნოღაიდელი); ასევე: მამაობა → მამჲობა, სიძეობა → სიძჲობა; ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა საკუთრივ ფუძისეულ ი ხმოვანს დაერთვის ხმოვნით დაწყებული სუფიქსი: *მწოლივარე → მწოლიარე (ვ ბგერის დაკარგვით) → წოლჲარე, გემრიელი → გემრჲელი || გემჲელი; თ) ფუძისეული ხმოვნის ნაირსახეობა ხმოვნის პოვნიერებისას როგორც ქართულ, ასევე ნასესხებ სიტყვებში (ნასესხებ სიტყვებში ჲ ხშირად გამსესხებელი ენიდანაა შემოსული); სეირი → სეჲრი, იაშიკი → ჲაშიკი, ჲაღი „ერბო“, ყაჲმაღი „ნაღები“, ყჲამეთი „მკვდრეთით აღდგომა || უბედურება, ჩხუბი || ცუდი ამინდი, ავდარი“, შეჲთანი „ეშმაკი“; ი → ჲ მაშინაც, როცა წინ უძღვის თანხმოვნის დაკარგვა: მარილი → მაილი → მაჲლი, ცარიელი → ცაიელი → ცაჲელი, აგი → აი → აჲ, გამოვიდა → გამოიდა → გამოჲდა (უფრო ხშირია: გამოვდა); ი) ზოგჯერ ჲ ჩანართი ჩანს: მასკლავი „ვარსკვლავი“→ მასკლჲავი, ლანქერი → ლჲანქერი, ლაგერი „ბანაკი“→ ლჲაგირი || ლაჲგირი: რჩება შთაბეჭდილება, რომ ჲ-ს წინამავალი ლ თანხმოვნის პალატიზაციის შედეგთან გვაქვს საქმე.

û არის ვ ან უ ბგერის რეფლექსი.

ვ ბგერის რეფლექსია: ა) თანხმოვნებს შორის: ექûსი „ექვსი“; ბ) თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: თûალი, სხûა, რûა, ქûა, ნაკûერცხალი, შიშûელი; გ) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: ბეûრი.

უ ბგერის რეფლექსია: ა) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: დეკეული → დეკეûლი, არჩეული → არჩეûლი, დანაშაული → დანაშაûლი, იქაურობა → იქაûრობა. პროცესი უფრო შორსაც მიდის: დანაშავლი, იქავრობა (კ. კუბლაშვილი); ბ) თანხმოვნის მომდევნოდ ა და ე ხმოვნების წინ პოზიციაში; ამ შემთხვევაში უ უპირატესად

მეორეული ბგერაა, მიღებული ფონეტიკური ცვლის შედეგად: წამოვადუღებ → წამოადუღეფ → წამუადუღეფ → წამû̆adუღეფ, წამოველი → წამოელი → წამუელი → წამû̆ელი (მაგრამ: მუადუღეფ, მუელი — ამ დროს მ-ს მომდევნოდ უ → û̆ ბრკოლდება); ყოველდღე → ყოელდღე → ყუელდღე → ყû̆ელდღე, დიდროვანი → დიდოანი → დიდუანი → დიდû̆ანი; (#543) და ასე: აძოვა → აძû̆ა, აძოვე → აძû̆ე; ხობოები „ხბოები“→ ხობû̆ები, ნანათხოვები → ნანათხû̆ები.

ო → უ → û̆ ზოგჯერ რთული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიიღებალ წამომიღო → *წაომიღო (მ-ს დისიმილაციური დაკარგვით) → *წაუმიღო (ო→ უ მ სონანტის მეზობლად ასიმილაციით) → წაû̆მიღო; და ასე: შემომითვალა → შაû̆მითვალა, ჩამომიწერა → ჩაû̆მიწერა (შ. ნიჟარაძე).

გრძელი ხმოვნები აჭარულში ოთხი სახისაა: ა) გრძელი ხმოვანი მიიღება იდენტური ხმოვნების შერწყმით, რასაც ხშირად წინ უძღვის სხვა რიგის ფონეტიკური ცვლილებები: ბგერის დაკარგვა (მამამისი→ მაამისი → მāმისი, არაფერი → ააფერი → āფერი), სრული რეგრესული ასიმილაცია (აუშენა→ უუშენა → ūშენა, გაუხდა → გუუხთა → გūხთა), ენკლიტიკა (რა უყავი → რუ-უყავი → რūყავი); სხვა შემთხვევებში ხმოვანთა უშუალო შერწყმა ხდება; გაატანა → გāტანა; ბ) დაკარგული სონანტის (უპირატესად რ-ს) საკომპენსაციოდ გრძელდება უშუალოდ მის მეზობლად მყოფი ხმოვანი: არ → ā (ā მოვდა „არ მოვიდა“), აღარ → აღā, ერთი → ēთი, სირბილი → სīბილი (შ. ნიჟარაძე); გ) გრძელდება დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდურა სიტყვის ბოლო ხმოვანი, თუ მას მოსდევს მთავარი წინადადება: „იქით ომ დიდი სახლიā, იქშია იგი გოგო“; „იქით ომ გეხვāლ, აღმა ომ შეხედავ და ყანა ომ აī (= არის), ისიც ჩვენია“; „მე რომ სახლებს ვაშენēბ, იმისთვინ მინდა“ (ქ. ლომთათიძე); დ) გრძელდება თხრობით კონსტრუქციაში პაუზის წინა ხმოვანი: „გააკეთეს სჭმელი და ჭამēს“; „შენ ხორცი გააკეთē, გაშინჯე და ჩვენ მევტანთ შიშას“; „მათ ეგონენ წყāლი. ჰოდა მივდა დევმა, მიაწვა იმ ქვაზე“.

ʔ იშვიათია; დასტურდება ორ შემთხვევაში: ა) რედუცირებული ხმოვნის ნცვლად: ღორჯომელი → ღორჯʔმელი (მ. ხუბუა); ბ) ანაპტიქსურ ხმოვნად: ცხʔრა „ცხრა“, კʔბილი || კიბილი „კბილი“.

საერთოდ, თანხმოვანთგასაყარად ხმოვნის გაჩენა აჭარულისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამჟამად უპირატესად სრული ხმოვნები გვაქვს (ამოსავლად ʔ ივარაუდება): კილდე || კილტე „კლდე“, თიბილი „თბილი“, ტკიბილი „ტკბილი“, ძიმისწული „ძმისწული“, ხიშირი „ხშირი“, ჩიდილი „ჩრდილი“, ქიფილი „ფქვილი“ წკინელი „წკნელი“; აკალდამა „აკლდამა“, კალარჯული „კლარჯული“; ხობო „ხბო“, ცხომორისი „ცხმორისი“. ხმოვანი, როგორც წესი, ვითარდება აქცესიურ თანხმოვანთკომპლექსებში — პირველი თანხმოვნი უკანა წარმოებისაა, მომდევნო — წინა წარმოებისა: კლ, კბ, თბ, ძმ, ხბ, ხმ... (ნ. სურმავა).

შეინიშნება ხმოვნთა მკვეთრი (ძლიერი) შემართვის შემთხვევები (აღინიშნება y-თი). გვხვდება ხმოვნით დაწყებულ შორისდებულებში: (#544) yეჰ, yაბა, yēთი (= ერთი) უყურე ამას!; დადასტურებულია აგრეთვე ნასესხებ სიტყვებში აინის ეკვივალენტად; Yაბდულაჲ, yისაჲ (საკუთარი სახელებია), yემიაჲ „ბიძა მამის მხრიდან“ (შ. ნიჟარაძე).

გემინატები შემოყოლილია ნასესხებს სიტყვებს: ქელლა „თავი“, მუეზზინი „მუეძინი“...

დამოწმებულია თანხმოვანთა ინტენსიური გამოთქმის შემთხვევები (რაც ჩაწერისას გაორმაგებით აღინუსხება): მისცა → მისსა, მოშჭრა → მოშშრა (ჯ. ნოღაიდელი). ასიმილაცია აქ არ ივარაუდება; სც, შჭ... კომპლექსები მარტივდება (იკარგვის ც, ჭ...), ხოლო ს, შ... სპირანტები ინტენსიური გამოთქმით ხასიათდება.

ხმოვანთა კომპლექსებში ფონეტიკური ცვლილებანი ფართოდაა გავრცელებული აჭარულში და უხვი ნაირსახეობით გამოირჩევა.

აე, ოე კომპლექსები ფონეტიკური ცვლის შედეგად ორ ნაირსახეობას იძლევიან: ა) სრული რეგრესული ასიმილაციით მიიღება ეე, რომელიც შესაძლოა შეირწყას გრძელ ხმოვნად: დაეკიდა → დეეკიდა || დēკიდა, მოეწყო → მეეწყო || მēწყო. გადა-ზმნისწინის ორივე ხმოვანი იცვლება: გადაეკიდა → გედეეკიდა || გედēეკიდა. რთულ ზმნისწინებში იცვლება მხოლოდ მო- კომპონენტის ხმოვანი: გამოეწყო → გამეეწყო || გამēწყო. პირის ნიშნები (ვ-, მ-, გვ-, გ-) ვერ აბრკოლებენ ასიმილაციის პროცესს (თუმცა ამ შემთხვევაში გვხვდება არაასიმილირებული ფორმებიც), მაგრამ, ბუნებრივია, ხელს უშლიან გრძელი ხმოვნის წარმოქმნას: დავეკიდე → დევეკიდე, ჩამეჭრა → ჩემეჭრა; ბ) სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული ეე განიცდის რეგრესულ დისიმილაციას: ეე → იე → ჲე: დაეკიდა → დეეკიდა → დიეკიდა → დჲეკიდა, მოეწყო → მეეწყო → მიეწყო → მჲეწყო; და ასე: გადაეკიდა → გადჲეკიდა, გამოეწყო → გამჲეწყო, წამოეყვნა → წამჲეყვანა (რთული ზმნისწინის პირველი კომპონენტი ფონეტიკურად არ იცვლება). ვ- პირის ნიშანი პროცესს, ჩვეულებრივ, არ აბრკოლებს (დევეკიდე || დივეკიდე, მევეწყვე || მივეწყვე); სხვა პირის ნიშანთა პოვნიერებისას დისიმილაცია, წესისამებრ, არ ხდება. დისიმილაციური ცვლა დაჩნდება ბოლოკიდურ პოზიციაშიც: უსტა → უსტაები → უსტეები → უსტიები → უსტჲები; და ასე: აღა → აღჲები, ხოჯა → ხოჯჲები (როგორც ითქვა, -ჲებ ზოგჯერ ერთიან ფორმანტად გაიაზრება: ბეგ-ი → ბეგჲები, სირთ-ი „გორა“→სირთჲები). ანალოგიურ შედეგს იძლევა პირველადი ეე კომპლექსიც (შეეტყო → შჲეტყო → შēტყო; ღელეები → ღელჲები || ღელēბი), აგრეთვე ეა კომპლექსი (შეატყო→ შიატყო → შჲატყო; დღეა → დღია || დღჲა).

ასე რომ, პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს დēკიდა || დჲეკიდა, მēწყო || მჲეწყო. სხვობა თქმების დონეზე შეინიშნება (თუმცა ზოგ(#545)ჯერ ერთი და იმავე პირის

მეტყველებაშიც იჩენს თავს). არაა გამორიცხული, სხვაობის საფუძველი მახვილის განაწილებაში ვეძიოთ: დᲔკიდა → დᲔ́კიდა, მაგრამ: დაᲔ́კიდა → დᲔკიდა.

ოე კომპლექსი მესამეგვარი ნაირსხეობითაცაა წარმოდგენილი (საფუძველი რეგრესული დისიმილაციაა) — ოე → უე: მოეტანა → მუეტანა, ამოველ → ამოელ → ამუელ (თვკიდურა პოზიციაში); ეზოები → ეზუები, თხოვე → თხოე → თხუე (ბოლოკიდურა პოზიციაში); შესაძლოა პროცესი უფრო შორს წავიდეს; ამუელ → ამᲣელ, ეზუები → ეზᲣები. შევნიშნავთ: ოე → Ეე || უე — ორივე — დისიმილაციის შედეგია, ოღონდ პირველ შემთხვევაში დისიმილაციას წინ უძღვის ასიმილაცია: მოეწყო → მეეწყო → მიეწყო → მᲔეწყო, მეორე შემთხვევაში უშუალოდ დისიმილაცია ხდება: მოეწყო → მუეწყო. ოე →უე დისიმილაციის ანალოგიური ვითარებაა ოა → უა კომპლექსშიც: მოაგონდა → მუაგონდა, მოახაზირა → მუახაზირა, გამოატანა → გამუატანა (პროცესი შესაძლოა უფრო შორს წავიდეს: გამᲣატანა); ასევე: ათხოვა → ათხოა → ათხუა || ათხᲣა (დისიმილაციას ხშირად წინ უძღვის ვ-ს დაკარგვა; სულ ერთია, პირის ნიშანია იგი თუ ფუძისეული ელემენტი).

აი, ოი კომპლექსთა ცვლილებანი შემდეგი ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი: ა) უშუალო მეზობლობაში, ჩვეულებრივ, ხდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია თანამდევი პროცესით: ი → Ე (ხმოვნის დასუსტებით); გაიგონა → გეიგონა → გეᲔგონა, გაიქცა → გეᲔქცა, წაიღო → წეᲔღო, დაიწყო → დეᲔწყო; მოიტანა → მეიტანა → მეᲔტანა, მოიქნია → მეᲔქნია. Ე-ც იკარგვის, თუ აი, ოი კომპლექსებს შორის ვ იპოვება (პირის ნიშანი ან ფუძისეული); ი იკარგვის მხოლოდ ზმნისწინებთან: გავიგონე → გევგონე, წავიღე → წევღე; მოვიგონე → მევგონე, მოვიტანე → მევტანე; წავიდა → წევდა, გადავიდა → გედევდა. გადა- ზმნისწინში იცვლება ორივე ხმოვანი, რთულ ზმნისწინში — მხოლოდ მეორე კომპონენტის ხმოვანი: ჩამოიტანა → ჩამეიტანა, ჩამოვიტანე → ჩამევიტანე → ჩამევტანე (ნ. სურმავა); ბ) დისტანციური ურთიერთობისას, როცა აი, ოი კომპლექსები მ-, გვ-, გ- პირის ნიშნებითაა გათშული, ხდება სრული რეგრესული ასიმილაცია: დამინახა → დიმინახა, წაგვიყვანა → წიგვიყვანა, დაგიჭირა →დიგიჭირა. ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა შე- || შა- ზმნისწინია გამოყენებული: შემიშვა || შამიშვა →შიმიშვა (უფრო სავარაუდოა, რომ აქ მაინც შა- ზმნისწინის ცვლილებასთან გვაქვს საქმე: შამიშვა → შიმიშვა, შდრ.: გამიშვა → გიმიშვა). გადა- ზმნისწინში იცვლება ორივე ხმოვანი: გადამიყვანა → გიდიმიყვანა. შევნიშნავთ, რომ ოი კომპლექსი ზოგჯერ უცვლელადაა დაცული: მოიხედა, მოიტანა; მომიტანა. ამ თვალსაზრისით აჭა(#546)რული (უპირატესად — ზემოაჭარული) აღმოსავლეთ საქართველოს კილოებთან პოულობს ანალოგიას.

ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი ეო კომპლექსი: ასიმილირებული (მეორე→ მეერე || მᲔრე) და დისიმილირებული (მეორე→ მეერე → მიერე, ხელმიერეთ, მიერეხელ; ნ. სურმავა).

აუ კომპლექსის ფონეტიკური ნაირსახეობანი პოზიციის მიხედვითაა განსხვავებული: ა) თავკიდურა პოზიციაში აუ →ოუ → უუ სრული რეგრესული

ასიმილაციით, რასაც, ჩვეულებრივ, მოჰყვება იდენტური ხმოვნების შერწყმა: აუშენა → უუშენა → ūშენა, წაუღო → წუუღო → წūღო. ანალოგიურად იცვლება პირველადი ოუ კომპლექსიც: მოუტნა → მუუტანა → მūტანა. ზოგჯერ ცვლა ოუ საფეხურზეა შეჩერებული: აუთავა → ოუთავა, დაუჯერა →დოუჯერა, მოუტანა. თავკიდურა პოზიციაში იდენტურ შედეგს იძლევა ეუ კომპლექსიც: შეუნახა → შოუნახა →შუუნახა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ამოსავალი შა- ნაირსახეობა იყოს: შაუნახა → შუუნახა, ე.ი. იქაც აუ → ოუ →უუ ცვლილებასთან გვქონდეს საქმე; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში, როგორც წესი, აუ → აû → ავ პროგრესული დისიმილაციის გზით: აქაურობა → აქაûრობა → აქავრობა, დანაშაული → დანაშაûლი → დანაშავლი; ანალოგიურად: ეუ →ეû → ევ: გამზეურება → გამზეûრება → გამზევრება, დატეული →დატეûლი → დატევლი (ნ. სურმავა). აუ კომპლექსის ცვლის ეს ნაირსახეობანი მახვილის შედეგი ჩანს: პირველ შემთხვევაში მახვილი უ ხმოვანს მოუდის (წაúღო, → წუუღო → წūღო), მეორე შემთხვევაში — მის წინამავალ ხმოვანს (აქაურობა →აქავრობა). ანალოგიურად აიხსნება ეუ კომპლექსის ცვლილებაც. არსებითად აქ ერთი და იგივე ტენდენციაა — მიდრეკილება ერთი ხმოვნისაკენ.

იუ → უუ სრული რეგრესული ასიმილაციით: მიუშვირა → მუუშვირა→ მūშვირა (ემთხვევ მო- ზმნისწინის ფონეტიკურ ნაირსახეობას); ზოგჯერ უსწრებს ბგერის დაკარგვა: მივუგზავნე → მუუგზანე.

აჭარულში დამოწმებულია სპეციფიკური მოვლენა — დისტანციური დისიმილაცია აა→ ეა: ავა → ევა, გავა → გევა, წავა → წევა; ახვალ → ეხვალ, წახვალ → წეხვალ; ავალ → ევალ, წავალ → წევალ... ანუ: ზმნისწინებში ხდება ა → ე გადაბგერება; დასტურდება ვალ-ზმნასთან. შევნიშნავთ, რომ ამავე პარადიგმის ვიდ-ფუძესთან ანალოგიური გადაბგერება ზმნისწინებში ასიმილაციის შედეგია: ავიდა → ევიდა → ევდა, გავიდა → გევდა; შდრ. აგრეთვე: ჩადი →ჩედი...

ხშირია ო → უ ასიმილაციით — გამვლენელია მ სონანტი (ზოგჯერ ფ ხშული): ა) ო მოსდევს თანხმოვანს: მოშაირე →მუშაირე, მორგვი →მურგვი, ფინჩხი → ფუნჩხი (ნ. სურმავა); ბ) ო ხმოვანი თანხმოვნის წინაა: რომ → რუმ, ხომ → ხუმ, ზომა → ზუმა, ხტომა → ხტუმა, დგომა → დგუმა, ჟდომა → ჟდუმა, ყომარი →ყუმარი (შ. ნიჟარაძე).

ხმოვანთა შენაცვლების სხვა შემთხვევებიდან შეიძლება დავასახელოთ: ე →ი (სეზონი→ სიზონი, შეშა → შიშა; შდრ. ზანური: დიშქა; შავგვრემანი → შავგრიმანი), ა →ი (ლანძღვა→ ლინძღვა, ლაპარაკი → ლაპარიკი). ღირსსაცნობია, რომ შენაცვლება ყოველთვის ხმოვნის დავიწროვებას იძლევა, რაც დისიმილაციის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ განსხვავებულია დისიმილაციად კვალიფიცირებული სხვა წესებიდან.

საპირისპირო შემთხვევაა ბგერის გაფართოვება: უ → ო (უნაგირი→ონაგირი, ვარაუდი → ვარაოდი).

რედუქციის წესები აჭარულში თავისებურადაა წარმოდგენილი. კუმშვადი და კვეცადი სახელები ხშირად ფონეტიკურად უცვლელია — უპირატესად ქვემოაჭარულში (ეკალის, ქმარის, ცხვარის, დედაბერის; ეკალით, ქმარით, სანთელით; ხმალები); იგივე ფორმები შესაძლოა რედუცირებული სახითაც შეგვხვდეს — უმეტეს წილ ზემოაჭარულში. იმავდროულად (ძველი ქართულის მსგავსად) რედუცირდება -ავ /-ამ თემის ნიშანი აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმაში: ზიდვენ, მალვენ, აბმენ, სმენ. ამას მიჰყვება: იზმენ. აღარაფერს ვამბობთ გე-ვდ-ა, წე-ვდ-ა ტიპის ფორმებზე, რომლებიც გარკვეულ სტრუქტურულ წესს ემორჩლება. ზემოაჭარულში რედუცირდება შემდეგი ფორმებიც: კრავები → კრვები, სკამები → სკმები, ნაპწენები → ნაპწნები. რედუცირდება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ი- პრეფიქსი I სუბიექტური პირის ფორმებში: გავიგე → გევგე, წავიღე → წევღე, მოვიტანე →მევტანე, სინკოპირებულია: წელიწადი → წელწადი, ნახევარი → ნახვარი, ნაღები →ნაღბი, ურემი →ურმი, ღრუბელი →ღრუბლი, მჭედელი → ჭედლი, საქონელი → საქონლი; აგრეთვე: ქობულეთი → ქობლეთი; ასევე: იშვიათად → იშვათ, ბარე → ბრე (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე). სინკოპე დამახასიათებელია ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეებისათვის.

შემდეგ: ვე → ო (ქვემო→ ქომო, ქვეყანა → ქოყანა, ყველაფერი → ყოლიფერი, ჩვეულება →ჩოულება, შეახვევს → შეახოვს, გაუშვებს →გუშოფს).

უ-ს პოზიციაში შესაძლოა დაჩნდეს ვი: დუბე →დვიბე, ჩუმპე →ჩვიმპი, დურბინდი →დვირბილი; ო-ს პოზიციაში — ვა (გუწვადა „გაუწოდა“ — დაცულია ამოსავალი ფორმა).

თანხმოვნებში დადასტურებულია როგორც რეგრესული, ასევე პროგრესული ასიმილაცია (მასთან — კონტაქტურიცა და დისტანციურიც, ნაწილობრივიცა და სრულიც): სინჯავს →შინჯავს, ამ სიშორეს → (#548) ამ შიშორე, სამშბლო →შამშობლო, საბუთი → ზაბუთი; დასჯა → დაშჯა, გავსილი → გაფსილი, მხარი → ფხარი, ბრტყელი → პტყელი, დაბრკოლება → დაპკოლება, აკრძალული →→ აგძალული, დასჯერდა → დაშჯერდა →დაჟჯერდა (ენკლიტიკის შემთხვევაში: სად ჰყავს → ჰატყავს); უმალ → უმან, დახვდა →დახვთა; თბება → თფება, მკვდარი → კტარი, გასკდა →გასკტა.

დისიმილაციის ტიპობრივი ნიმუშებია: რ-რ → რ-ლ (არაფერი→ არაფელი, არ არის → არ-ალი), ლ-ლ → რ-ლ (წლეულს→ წრეულ || წრეულს || წროულ, დაბულულება →დაბურულება), ლ-ლ →ნ-ლ (*სულ-ყველა →სუნყველა, სულ მთელი → სუნ მთელი || სუნთელი; შესაძლოა აქ მ-საც ედოს წილი), ნ-ნ → ლ-ნ (კანონი→კალონი), მ-ბ → ნ-ბ (ბუმბული→ ბუნბული, ამბავი → ანბავი), ბ – ბ → ბ – ვ (ეუბნებ→ ეუბნევა). დასტურდება შემთხვევები ბგერათა დისიმილაციური გამჟღერებისა (ტკიპა → ტკიბა, ტყუპი → ტყუბი), დაკარგვისა (ცხვირპირი→ ცხვიპირი; შ. ნიჟარაძე).

მეტათეზისი უპირატესად სონანტებს მოსდით: ზურგი → ზრუგი, ჭორფლი → ჭროფლი, ჩულქი → ჩლუქი, პეშვი → პევში, კატორღა → კარტოღა. საურთიერთო მეტათეზისის ნიმუშებია: სულიერი → სურიელი, მადლიერი → მადრიელი, ძლივაჲ → ძვილაჲ. შეინიშნება ხშულისა და სპირანტის მეტათეზისის შემთხვევებიც: შეტოპვა →შეპოტვა, დააფქვია → დააქფია; ხსნის → სხნის (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე).

ფართოდ არის გავრცელებული სუბსტიტუცია: ბ→ გ (იჯაბნებს→ იჯაგნებს; ნ. სურმავა), ბ → ვ (ეხება→ ეხევა), ბ → მ (ბაყაყი→ მაყაყი, უთხრობია →უთხრომია); იმავდროულად: ვ → ბ (თევზი→ თებზი, კოვზი → კობზი, ივარცხნის → იბარცხნის, დაივიწყა → დეჲბიწყა), მ → ბ (მზე→ ბზე, მრუდი → ბრუნდე, ქალამანი → ქალაბანი); შემდეგ: ვ → მ (ვენახი→ მენახი, ვიწრო →მიწრო, უვლია →უმლია, ავსება → ამსება), მ → გ (მზითვი→ გზითვი), მ → ნ (მიწა→ ნიწა, ამგზობას → ანგზობაჲ, მომდურავი → მონდურავი, დაამთავრა → დაანთავრა, გამთელდა → განთელდა, თუ განმთელდა → განთელდა არა მ-ს დაკარგვით: დაამწყვდია → დაანწყრია, ვითამ → ვითან) და, პირიქით, ნ → მ (ინტერესი→ იმტერესი, განკარგულება → გამკარქულობა, იალონზე → იალომზე, შერჩენია → შერჩემია, ოღონ → ოღომ); ნ → ლ (ნეკი→ ლეკი; ნემსი → ლემსი, თუ ეს უკანასკნელი ნ-მ → ლ-მ დისიმილაციით არა) და: ლ → ნ (მამასახლისი→ მამასახნისი); რ → ლ (ბურთი→ ბულთი, ჯორგავს → ჯოლგავს) და: ლ → რ (ტლინკი→ ტრინკი); იშვიათად: ღ → ყ (იღბალი→ იყბალი) და მისთ.

თანხმოვანთა შენაცვლების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა აფრიკატიზცია, რომელიც ორგვარად მიიღება: ა) სპირანტი გადადის (#549) შესაბამის აფრიკატში სონანტის პოვნიერებისას: კონტაქტური (სიზმარი→ სიძმარი, გაიპარსა → გეიპარცა, პენსია → პენცია; -ს ბრუნვის ნიშანი →-ც: თანდებულები -ში → -ჩი, -ზე → -ძე უპირატესად ლ სონანტის მომდევნოდ: სულს → სულც, სულში → სულჩი, სულზე → სულძე), დისტანციური (ჟინი→ ჯინი, ჟეშტი „თუნუქი“→ ჯეშტი, საჟენი → საჯენი); აფრიკატიზაცია ხდება ბ და გ თანხმოვანთა მეზობლადაც (საბზელი→ საბძელი, საგზალი → საგძალი); აფრიკატიზდება ხშულიც: ვ სონანტის მეზობლად (ტვირთი→ ჭვირთი), პალატალიზებული ხმოვნის წინა პოზიციაში (კინაღამ→ წინაღამ); ბ) ხშულისა და სპირანტის შერწყმით, რასაც ზოგჯერ წინ უძღვის რეგრესული ასიმილაცია: ღმერთს → ღმერც, ქობულეთს → ქობულეც, ქურდს → ქურთს → ქურც, გვერდში → გვერთში → გვერჩი, გვერდზე → გვერძე, ბედზე → ბეძე, ღმერთზე → ღმერდზე → ღმერძე.

ამის საპირისპიროდ დაჩნდება დეზაფიკატიზაციის ტენდენციაც (ზოგჯერ იმავე პოზიციაში, სადაც აფრიკატიზაცია იჩენს თავს): ნიძლავი → ნიზლავი, გაიძრო → გეჲზრო, შენაც → შენას (იშვიათად), კინწლობა → კინტლობა, ოცდაათი → *ოსდაათი → ოზდაათი (რეგრესული ასიმილაციით). დეზაფრიკატიზაციას სისტემებრ განიცდის სწ კომპლექსი (სწ→ სტ): სწორი →სტორი, ისწვლა → ისტავლა, ძმისწული → ძმისტული, გაასწრო → გᾱმსტრო. ზოგ თქმაში (გონიო, კირნათი, მარადიდი) სწ → წ: სწორი → წორი, ისწავლა → იწავლა, ძმისწული → ძმიწული.

თანხმოვანთკომპლექსების შენაცვლების სხვა შემთხვევები: სტ → შტ (სტვირი→ შტვირი, ფოსტა → ფოშტა), რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში ჩკ → ჭკ (ბოჩკა→ბოჭკა, ტაჩკ → ტაჭკა || კაჭკა, ჩკალოვი → ჭკალოვი).

ერთ-ერთი გავრცელებული ფონეტიკური პროცესია ბგერათა დაკარგვა. იკარგვის: რ — თვკიდურა პოზიციში (რქა → ქა, რკინ →კინა, რკო → კო), თანხმოვნებს შორის (ბრძანა→ ბძანა, გრძელი → გძელი, ფრთა → ფთა, ფრთხილი → ფთხილი, ფრჩხილი → ფჩხილი, ჩრდილი → ჩთილი, ვრცელი → ვცელი, ზრდის → ზდის, მაგრამ: გაზარდა), ხმოვნებს შორის (მარილი→ მაīლი || მაჲლი, ლაპარაკი → ლაპარიკი → ლაპაიკი), ხმოვანსა და თნხმოვანს შორის (ჩავირბინე→ ჩევიბინე || ჩევბინე), სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში (არ→ ā, აღარ → აღā, ნუღარ → ნუღā); რ-ს დაკარგვას ხშირად თან სდევს მეზობელი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება. მ სონანტი იკარგვის სიტყვის თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებში (მძივი→ ძივი, მკერდი → კედი, მზითევი → ზითევი, მკლავი → კლავი, მდიდარი → დიდარი, მდუღარე → დუღარე, მტყû ანი → ტყû ანი, მჭედელი → ჭედელი, მწიფე → წიფე, მწარე → წარე; მაგრამ → მარამ → მარა, რატომ → რატო, (#550) ხომ →ხო); ვ იკარგვის: ხმოვნებს შორის (ათხოვე → ათხოე → ათხუე), თანხმოვნებს შორის (ექვსი→ ექსი, თვრამეტი → თრამეტი, ძვრება → ძრება, გვრიტი → გრიტი, ღვრის → ღრის, შესვლა →შესლა, კვნესის → კნესის). ხმოვაანსა და თანხმოვნს შორის (გზვნის→ გზანის). იკარგვის ნ (მაინც→ მაიც → მაჲც, მოვიტანე → მევიტაე →მევტაჲ, მოვიყვანე → მევიყვაე → მევყვაჲ; ყურადღებას იქცევს ბოლოკიდური ჲ: შესაძლოა ამოსავალი იყოს „მოვიტანი“, აქედან: მევიტაი → მევტაჲ — ვ- პირის ნიშნის მომდევნოდ ი-ს დაკარგვის შესახებ იხ. ზემოთ). შეიძლება დაიკარგოს დ ხშული (მანდ→მან, ოღონდ → ოღონ || ოღომ, სად → ჰა, როდის → როის || როჲს, წდი → წაი || წაჲ, მოდი → მოი || მოჲ, შედი → შეი || შეჲ).

ყურადღებას იქცევს ს სპირანტის დაკარგვის ტენდენცია (უპირატესად ზემოაჭარულში, ნაკლებ — ქობულეთურ თქმაში). თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან იკარგვის მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი („ფირალებ გჲელვიძა“, „წიგნები აჩუქვეს ბაღნეფ“, „ლაპარიკ დეჲწყებენ“, „ბათუმ მივალ“, „ყრია ძირ“); იკარგვის ნათესაობით ბრუნვის ნიშნისეული -ს ელემენტი („წინდი ჩხირი“, „ყანი ბატონი“ – „ყანის პატრონი“, „ყურძნი დაწურვა“, „ცხვარი ხორც კაჲ ფასი ქონებია“). ზოგჯერ მიცემით ბრუნვის -ს ნიშანი იკარგვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც: „იმა (= იმას) უთხარი რაცხა“, „მურთაზ (= მურთაზას) უთხარი“. „რა (= რას) ირჯები, ჭო?“ (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე). -ს ხშირად არ ჩანს ზმნისართებში (ზოგჯერ შესაძლოა, უძველესი ვითარება იყოს დაცული): ახლო „ახლოს“, შორ „შორს“, წრეû ლ „წლეულს“, ზამთარ „ზამთარს, ზამთარში“,დიდხან „დიდხანს“, დღე „დღეს“ („დღე კაჲ ამინდია“). ზოგ ზმნაში სისტემებრ იკარგვის -ს პირის ნიშანი: აქვს → აქ(ვ), ჰგავს → გავ, არის → არი. ასევე სისტემური ხასიათი აქვს ფუძისეული ს ელემენტის დკარგვას ჩვენებით ნაცვალსახელებში: ი კაცი „ის კაცი“, ე ბაღვი „ ეს ბავშვი“.

ს სპირანტის დასუსტების ერთ-ერთი შედეგია მისი გადასვლა ჰ-ში: ა) სისტემებრ — თავკიდურ პოზიციში ხმოვნის წინ: სად → ჰად || ჰა, საცხა → ჰაცხა, სიდან → ჰიდან, სიდაური → ჰიდაური; ბ) გვხვდება ბოლოკიდურა პოზიციაშიც ხმოვნის მომდევნოდ: ბიჭოს → ბიჭოჰ, ამისთანა → ამიჰთანა.

ამის საპირისპიროდ ქობულეთურ თქმას ახასიათებს ჰ → ხ: ჰეგიბა → ხეგიბა „აბგა“, ჰექია → ხექია „ზღაპარი“, ყაჰვე → ყახვე „ყავა“ (შ. ნიჟარაძე).

აჭარულში ფართო გასაქანი ეძლევა ბგერათგანვითარების ტენდენციასაც. დავასახელებთ ტიპიურ ნიმუშებს. ვითარდება რ (მაყვალი→ (#551) მარყვალი, საჩხინვი → სარჩხინავი, ღვიძლი → ღვირძლი, უცხო → ურცხო, წყვილი → რწყვილი), მ (უფრო→ უმფრო, ყველაფერი → ყველამფერი, ზაფხული → ზამფხული, დაღუპვა → დაღუმპვა, მოპყრობა → მომპყრობა, გამოეცხადა → გამიემცხადა, აწვალებს → ამწვალებს, სიძვირე → სიმძვირე, გაჯავრება → გამჯავრება, იგლოვს → იმგლოვს); რც შეეხებ დომფხალი, დამფხობა, მომფხრე ტიპის ფორმებს, აქ საქმე გვქვს კონტამინაციასთან: ჯერ — დომხალი → დოფხალი რეგრესული ასიმილაციით, შემდეგ კი: დომხალი || დოფხალი → დომფხალი (ი. ქავთარაძე). ვ სისტემებრ ჩნდება ხმოვნებს შორის, როცა მომდევნო ხმოვანი ო არის (ძმაო→ ძმავო, ჭალებშიო → ჭალებშივო, შეახვედრაო → შიახვენდრავო); თავკიდურა პოზიციაში ო-ს წინ (ორი→ ვორი, ოთხი → ვოთხი, ოცნებობს →ვოცნებობს); თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (მაშინ→ მაშვინ, თხუნელა → თხუნველა, სადილობა → სადილვობა, აჩუქა → აჩუქვა); საცოდვავი, აგორვებული, მოშორვებული ტიპის ფორმებში ვ-ს პოვნიერება გადააზრიანებისა ან კონტამინაციის შედეგია: ს-ცოდ-ავ-ს → სა-ცოდ-ავ-ი → სა-ცოდ-ვ-ავ-ი (ხელახლა დაერთვის -ავ), ან: გორ-ავ-ს || ა-გორ- ებ-ს → ა-გორ-ვ-ებ-ულ-ი. ნ ხშირად ვითარდება ხმოვნის მომდევნოდ წინაენისმიერი დ, ც, ჩ თანხმოვნების წინ (მედალი→ მინდალი, შეახვედრა → შიახვენდრა, მილიცია →მილინცია, ტკეჩი → ტკენჩი); ნ დაჩნდება ხმოვნის მომდევნოდ ბოლოკიდურ პოზიციაში, როგორც ხმოვნის ნაზალიზაციის შედეგი: ისვე → ისვენ, იქვე → იქვენ, კიდვე →კიდვენ, ახლავე → ახლავენ, -მეთქი → -მეთქინ, საცხა → ჰაცხან.

რთული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია „ბოქში“: ბავშვი → ბოვში → *ბოქვში (ქ-ს განვითარებით ვ სონანტის წინ) → ბოქში (ვ-ს დაკარგვით); (გ. ახვლედიანი).

სპორადულად ჩნდება ზოგი სხვა ბგერაც; მაგალითად, ბ (ხუმრობს→ ხუმბრობს, გემრიელი → გემბრიელი).

ზოგჯერ ბგერის გაჩენას ანალოგია აქვს საფუძვლად: ერთს ალაგს → ერს-ალიგ „ერთ ადგილას“; ს-ალიგ ერთიან ფორმად გააზრიანდა და ანალოგიით დაჩნდა სხვა შემთხვევებშიც: ამდāმ სალიგ „ამა და ამ ადგილას, ალაგას“.

ანალოგია სხვა ფონეტიკური პროცესების თანამდევიცაა; მაგალითად, ორჯერ → ორჯელ (დისიმილაციით); -ჯელ გაზოგადდა და გამოყენებულ იქნა იქაც, სადაც ფონეტიკურად მისი პოვნიერება შეპირობებული არ არის: ამჯელაჲ „მჯერად“.

აჭარულ მეტყველებას სპეციფიკური ინტონაცია ახასიათებს. მაგალითად, კითხვით წინადადებაში მახვილი მოუდის ბოლოკიდურა სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანს (განურჩევლაად იმისა, მრავალმარ(#552)ცვლიანი სიტყვაა თუ ენკლიტიკასთან გვაქვს საქმე): „საქმე აღარ გჲქნენ?“ „უზეირავ, დღე (= დღეს) ბათუმ ვერ წამოხვჲლ, ჭო?“ ჩაკითხვისას ხდება სიტყვის განმეორება და იმავდროულად გრძელდება ბოლოდან პირველი მარცვალი: „ბათუმ მიდიხრ, ბათū მ?“; „მართლა მიდიხარ, მართლ ā?“ (შ. ნიჟარაძე).

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები სახელობით ბრუნვაში -ი → -ჲ ნიშანს დაირთავენ — ერთმარცვლიანი ფუძის მქონე ყველა სახელი: დჲ, ძმაჲ, ფთაჲ, თვეჲ, ყრუჲ; ორ- და მეტმარცვლიანთაგან — კნინობითის ფორმები: სარაკუნაჲ: არჩილაჲ, უსუფაჲ, ჰასანაჲ. ადამიანთა საკუთარი ან მასთან გატოლებული სახელები: ესმეჲ, ზექიეჲ; ანაჲ, ბაბოჲ. მქონებლობის -ა სუფიქსიანი სახელები: კუდცეცხლაჲ, შავთვალწარბაჲ. ზედსართავი სახელები: პაწაჲ... -ვე ნაწილაკ-მორფემოიდიანი რიცხვითი სახელები: სამნივეჲ (შ. ნიჟარაძე). -ჲ ნიშანმა შეიძინა დამატებით (კნინობითობის) ფუნქცია: „ესმე“ ოფიციალური ფორმაა, „ესმეჲ“ — კნინობითი, ასევე: ზექიე (ხანუმი) — ზექიეჲ (შდრ.: არჩილი — არჩილაჲ, მემედი — მემედაჲ). შენიშვნის სახით უნდა ითქვას: წარმოშობით -ია კომპლექსზე ფუძედაბოლოებული სახელები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია -იე დბოლოებით: ფიქრიე, ზექიე. წოდებითში პარალელურ ვარიანტად აღდგება პირვანდელი ფუძე: ფიქრიევ || ფიქრიავ, ზექიევ || ზექიავ (ჯ. ნოღაიდელი).

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს შესაძლოა სახელობითის -ი ბრუნვის ნიშანი მოეკვეცოს: „თებზ (= თევზი) ხელში უკავია“ (ეს მოვლენა უპირატესად ქობულეთურ თქმაში შეინიშნება). ზოგი ფუძე შეკუმშულადაა წარმოდგენილი სახელობითშივე — ისევე, როგორც ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“): სახელობითი: ურმი „ურემი“, მოთხრობითი: ურემმა → ურემა („დაყოვნებული“ მ), მიცემითი: ურემს, ნათესაობითი: ურმის, მოქმედებითი: ურმით, ვითარებითი: ურმათ; ამ რიგისაა: მეზობლი, ღრუბლი, უღლი, საქონლი (ჯ. ნოღაიდელი).

ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (ჩვეულებრივ, პაუზის წინა პოზიციაში) შესაძლოა დაჩნდეს -მა: „გევდა სამა (= სამმა) დღემა“, „უთხრა ძმამა“, „დეჲბარა დედამა“. კირნათ -მარადიდულ მეტყველებაში -მა სხვა პოზიციებშიც

ხშირად შეგვხვდება (მ. ცინცაძე). სა(#553)ერთო ქართული წესისამებრ, -მა ყოველთვის გვაქვს ნაწილაკ-მორფემოიდების დართვისას: დამაც, დედამაც.

ფუძეუკვეცელი სხელების ნთესაობითსა და მოქმედებითში დაჩნდება -ჲს და -ჲთ ნაირსახეობანი: ქოსაჲსა, ძმანები, ზექიეჲს ძმისტული, საცოლეჲს დაბარებული, აგვისტოჲს თვეჲ, ტუნგოჲს წაღება, რაღა დროჲსაა; ქოსაჲთ, ზექიეჲთ, საცოლეჲთ; ასევე: რაჲს, რაჲთ; წყაროჲდან, სათხეჲდან. პარალელურად ისმის სრულხმოვანი -ი (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე).

ნანთესაობითარი მიცემითი ლოკატივს გამოხატავს (მიცემითის -ს ნიშანი, შესაძლოა, მოკვეცილი იყოს): მეზობლ-ის-ა-(ს); შდრ.: შენ-ს-ა-(ს). ნანათესაობითარი ვითარებითი აწარმოებს ვითარებით ზმნისართებს: დრო-ის-ათ „დროზე“, ქეიფ-ის-ათ „ნებით, სურვილით“.

მოქმედებითში მავრცობიანი ბრუნვის ნიშანი -ით-ა წარმოდგენილია -ჲ დანართით: მოცლ-ით-ა-ჲ, მანგლ-ით-ა-ჲ, პერანგ-ით-ა-ჲ.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანია -ად → -ათ || -დ → -თ: ჩიტ-ათ, ტყე-თ. ოდენ -ა გვხვდება: -იან სუფიქსიან სახელებთან (ხიბაკიანა „ბარგიანად“, ქალბაღვიანა „ცოლშვილიანად“), -ურ სუფიქსიან ზმნისართებთან (შენებურა, *თათრურა → თათრულა), საობიექტო მიმღეობებთან — მიზნის გარემოებით ფორმებში (სატირლა, სასმელა, საჭმელა), -დ-ულ დაბოლოებიან დროის ზმნისართებთან (წინანდულა, ადგინდულა, პირვანდულა, მაშინდულა — მიღებული ჩანს -დელ და -ებურ ფორმანტთა კონტამინაციით: წინანდელი || წინანდებურად → წინანდულა). ზმნისართებთან ვითარებითის -ა ფორმანტს, ჩვეულებრივ, დაერთვის -ჲ: ამწახნებაჲ, გულგარაჲ, დუკითხვაჲ, ნაპირეულაჲ. ზოგჯერ -ა სხვა რიგის მაწარმოებელია (მასდარის... მორფემა), მაგრამ -ჲ-ს დართვის თვალსაზრისით გატოლებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშანთან: ერჩამოვლაჲ. ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით შესაძლოა გამოყენებულ იქნას: ფუძე („ნაკლებ არც მე მიყვარს“, „მაგ ყილიღის (= გარეგნობის, იერის) კაცი იშვიათ რო შექხთეს ახლა“, „ნანდვილ არი“), -ში თანდებულიანი ფორმა („უეჭველში ამუალ“, „ნაკლებში არ გაყიდის“, „წევდენ წამლის საძებარში“), -ზე თანდებულიანი ფორმა („იმდონზე მაინც გავაფართოვოთ გზაები, რუმ...“. მიცემითის უთანდებულო ფორმა („სანადიროს დადის“). ზოგჯერ ვითარებით ბრუნვის ფუნქციით სახელობითი გამოიყენება: „აქეთ მეტი (=მეტად) ბნელა“ (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე).

ხმოვნზე ფუძედაბოლოებულ სახელებს წოდებითში დაერთვის -ვ: ახმედავ, ჯემალავ, ზექიევ || ზექიავ, აიშევ; თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან დაჩნდება -ო: დურსუნო, დემურალო, შემსუდინო. ზემოაჭარულში ასე მიმართავენ საპატივცემულო პირს, სხვა (#554) შემთხვევაში კი საკუთარ სახელს კნინობითობის -ა დაერთვის და შესაბამისად წოდებითში-ვ იქნება: დურსუნავ! (ჯ. ნოღაიდელი). მიმართვის ფორმებია: ვაჟისადმი — ჭოჲ || ჭო!; ქალისადმი: დიაჲ || დია!; გოჲ || გო!

ბრუნვის ნიშნებს მავრცობი ხმოვანი, ჩვეულებრივ, დაერთვის ნაწილაკებისა ან თანდებულების გამოყენებისას; ძმა-ს-ა-ც, ძმა-ს-ა-ვეთ... მავრცობი (ან მასთან გატოლებული) ხმოვანი დაჩნდება თანდებულებთანაც, გართულებული, როგორც წესი, -ჲ დანართით: -თვინ → -თვინაჲ, -თანაჲ და მისთ.

-ში და -ზე თანდებულები დაერთვის (უპირატესად — ზემოაჭარულში) ადგილის პირველად ზმნისართებს: ქში, იქში, მაქში; აქზე → აგზე, იქზე → იგზე, მაქზე → მაგზე (ეს მოვლენა უცხოა ქობულეთური თქმისათვის).

-ვით თანდებული უფრო ხშირად -ვეთ || -ვე სახით გვხვდება: ძმასავეთ || ძმასავე, დასავეთ || დასავე (ჯ. ნოღაიდელი). -ვე ზოგჯერ ნაზალიზებულია: ძმსავენ, შენსავენ. გვხვდება -ვინ სახითაც (-ვით→ -ვი თანდებულის ნაზალიზებული ნაირსხეობა): „ჭირივინ მეზარება ტრაბახა კაცი“ (შ. ნიჟარაძე). იპოვება -ებრ → -ებ || -ეფ თანდებულიც, რომელსაც წინ უვითარდება ვ- (შესაძლოა, საქმე გვქონდეს კონტამინაციასთან: -ვით || -ეფ → -ვეფ): დელსავეფ „გიჟივით“, ხარსავეფ, ქვასავეფ, ჩემსავეფ (შ. ნიჟარაძე).

-თვის დასტურდება -თვინ || -თვინაჲ სხით: ძმისთვინ || ძმისთვინაჲ, ჩემთვინ || ჩემთვინაჲ. კუთვნილებით ნაცვალსახელებთან ხშირად ორმგი სუფიქსაცია გვაქვს (- და თანდებული + -თვინა-ჲ): ჩემდათვინაჲ, შენდათვინაჲ, მიზდათვინაჲ, მათდათვინაჲ. -თვინ || -თვინაჲ თანდებულს შეენაცვლება ხოლმე -გულობაჲ, ბარობაჲ ფორმები: ჩემბარობაჲ, ჩემგულობაჲ „ჩემთვის, ჩემი გულისთვის“. -ბარობაჲ ცვლის „მაგივრად“ თანდებულსაც: ჩემბარობაჲ „ჩემ მაგივრდ“. ქობულეთურ თქმაში -თვის თანდებულის დანიშნულებით დაჩნდება -და თანდებულიანი ნათესაობითი (-ისდა→ იზდა || -იზა): ბუძიეიზდა „ბიძისთვის“.

-თან → -ან ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: ხეს-ან, ქვას-ან, ბახჩას-ან.

-თანა-ჲ თანდებულის დართვისას შესაძლოა დაიკარგოს ბრუნვის ნიშნისეულიუ -ს: ამი-თანაჲ, მაგი-თანაჲ, იმი-თანაჲ (შეგვხვდება ასეც: ამის-ანაჲ, მაგის-თანაჲ, იმის-ანაჲ — იკარგვის -თანაჲ თანდებულის თავკიდურა თანხმოვანი).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ზოგჯერ -გან → კან: „ვირჩობი კაცი წყლი წყურვილისკან“. -გან თანდებულიან ნათესაობითს ხშირად (#555) ცვლის იმავე თანდებულიანი მოქმედებითი: „იმ კაციდან მაქ ნება მიღებული“ (შ. ნიჟარაძე).

-გან თანდებულიან ფორმას (უპირატესად ნაცვალსახელებს) დაერთვის ხოლმე „მეტი“ (გამოყენეული „გარდა“ თანდებულის დანიშნულებით): -გან-მეტი → გამ-მეტი სრული რეგრესული ასიმილაციით; იცვლება ბრუნვის მიხედვით: „შენგამმეტი (= შენ გარდა) არავინ მიჩანს თვალში“, „შენგამმეტს (= *შენ გარდას) არავის ვენდობი“, „შენგამმეტის არავის მჯერა“. „მეტი“ დამოუკიდებლადაც შეგვხვდება: „შენ მეტი (= შენ გარდა) გზა არ მაქ“. ამავე დანიშნულებით დაჩნდება „გარეთ“ თანდებულიც: „შენ გარეთ (= შენ გარდა) ვინ იყო კიდვენ?“; თვით „გარდა“ გამოიყენება „გარდაჲ სახით.

ზემოაჭარულში დადასტურდა -დამ: შიანედამ „შიგნიდან“, ნაფოცხვარიდამ (შ. ნიჟარაძე).

-გამო თანდებულის ნაცვლად იხმარება -გამოღმა და -გამიეს || -გამეიეს || -გამეჲეს: „ჩემ გამოღმა (= ჩემ გამო) შენ კაცი არ მოქთხოვს პასუღ“, „შენ გამიეს (შენ გამო) თელი მეზობლობა გედევკიდე“ (შ. ნიჟარაძე).

დასტურდება აგრეთვე ზმნური წარმომავლობის თანდებული ”მგონე“, რომელიც ასევე -გამო თანდებულს ცვლის: „ი საწყალი შიში მგონე (= შიშის გამო) კიღარმი ჭკვაზე შეირეკა“ (შ. ნიჟარაძე).

„გარშემო“ თანდებულს ცვლის -მოყოლაჲ: მაგ მოყოლაჲ „მაგის გარშემო“, ჩემ მოყოლაჲ „ჩემს გარშემო, ჩემს ირგვლივ“.

„შემდეგ“ თანდებულის ნაცვლად გვხვდება „მოღმა → ოღმა“: „შარშანდელ-ოღმა გეხვეწებოდი“, „ყმაწვილობის მოღმა“, „დიდი ხნის მოღმა“ (შ. ნიჟარაძე).

მიმართულებას გამოხატავს კედაროს || კედრით: „ჩემ კედაროს || ჩემ კედრით“; გამოსვლითობას — კედრიდან: „ჩემ კედრიდან || კედაროდან“.

ზმნისართულ ფორმებში თანდებული შესაძლოა შეენაცვლოს ბრუნვის ნიშნებს: საღამოს || საღამით || საღამოზე.

***

III პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებია: აგი, მაგი, იგი; იპოვება მეგ. გვხვდება აგრეთვე: ესე, ისი („ნეტაჲ ისი რა არივო? „ = „ნეტავ ის არ არისო?“). დასტურდება ემე: „ძალჲან არ ივარგა ემე კაცმა!“ ემე-ს შესაძლოა დაერთოს თანდებული: „ემეში არ მიდიხარ ბიძავ?“ (შ. ნიჟარაძე). „ემე“ განუსაზღვრელ პირზე მიანიშნებს; მას ხში(#556)რად იყენებენ დავიწყებული სიტყვის ნაცვლადაც. მიმართვისას ამ დანიშნულებით იხმარება: იმანო || იმავ!

„მავან“ ნაცვალსახელს ცვლის „ამავალ“: „ამავალ სახენწიფოში ერთი ზისუნახავი ცხოვრობდა“.

„ერთმანეთი“ ფორმის ნაცვლად დამოწმებულია „ერთქვანები“.

უარყოფით ნაცვალსახელებად გამოიყენება: არაკაცი, არასურიელი, არასულდგმული; აგრეთვე „არ“ ნაწილაკ-მორფემოიდთან შეხამებული „კაკალი კაცი“: „კაკალი კაცი არ ჩანს“ (შ. ნიჟარაძე).

***

ბ) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება. ძირითადი მაწარმოებელია -ებ. ზემოთ (იხ.: „ფონეტიკა“)აღინიშნა ის ფონეტიკური ცვლილებანი, რომლებიც მოსდის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს მრავლობითობის -ებ სუფიქსის დართვისას:

ღელეები → ღელჲები, ყანაები → ყანეები → ყანჲები, ეზოები →ეზუები → ეზჳები. იმავდროულად -ა-ზე დაბოლოებულ ზოგ სახელში ასეთი ფონეტიკური ცვლილება იზღუდება: რაები, ვინცხაები. ამ წესს მიჰყვება ნასესხები „მაშინა“: მაშინაები.

მრავლობითის მაწარმოებლად დაჩნდება -ნ ფორმანტიც.

-ნ ფორმანტით იწარმოება, მაგალითად, ოჯახის სახელები: დურგუნა-ს-ა-ნ-ი, უზეჲრასანი, დედესანი (დაერთვის ნათესაობითის ფორმას); ლოკატივი: ვიყავი დურსუნასან (← დურსუნასანს), უზეჲრასან.

-ნ ფორმანტიანი წარმოება გამოიყენება პირის ნაცვალსახელებშიც: აგინი, მაგინი, მეგენი, იგინი; სხვა ბრუნვებში: აგინმა, აგინს, აგინის, აგინით. უპირატესად შეინიშნება ქობულეთურ და ჭვანის ხეობის თქმებში (შ. ნიჟარაძე). ამავე წესით იწარმოება: ისინი, ისინმა, ისინს — ხულოურსა და ქედურ თქმებში (ჯ. ნოღაიდელი).

ამათ || იმათ ნაცვალსახელების ნაცვლად დაჩნდება: ამიერთები, იმიერთები. შესაბამისად: ამიერთებმა, ამიერთებს, ამიერთების (← * ამის ერთები, *იმის ერთები): „ამიერთებს (=ამათ) მაგენი ვერ აჯობებენ“ (შ. ნიჟარაძე).

ზოგ თქმაში იპოვება პირის ნაცვალსახელთა ორმაგი მრავლობითის ფორმები: აგი-ნ-ებ-ი, მაგინები, იგინები* (შესაბამისად: აგინებმა, აგინებს, აგინების || აგნების, აგინებით || აგნებით; აგინებთან, აგინებზე). დასტურდება აგრეთვე: ეს-ნ-ებ-ი, ისნები; შესაბამისად: ამნებმა || ამათებმა, ამათებს (ჯ. ნოღაიდელი, მ. ცინცაძე).

აჭარულის ზოგ თქმაში (ქობულეთურში..) დასტურდება ძმანები, დანები ტიპის მრავლობითი: სხჳანები, მოწმენები, გვერდენები, ღო (#557)ბენები, მიერენები „მეორეები“.ამ წესით იწარმოება ოჯახის სახელებიც: გოლიაძნები, ხალვაშნები.

მრავლობითობის -ნ ორმაგად გამოიყენება -ვე ნაწილაკიან რიცხვით სახელებში: ორ-ნ-ა-ვე-ნ-ი, ექვსნავენი.

მრავლობითობის დანიშნულებით გამოიყენება -ობა: მეზობლობა „მეზობლები’.

ზემოაჭარულში (ღორჯომი, ხიხაძირი...) გვარის განაყოფთა სახელები -ენ-თ (|| -ან-თ) ფორმანტითაა წარმოდგენილი; მაგალითად, ირემაძეების გვარი იყოფა შტოებად („ყებილედ“): ჭალი-ენ-თ-ი, მუთვა-ლი-ენ-თ-ი, ისმეილ-აღი-ენ-თ-ი, მაღალი-ენ-თ-ი, ფოთელი-ენ-თ-ი || ფოთელა-ან-თ-ი (|| ფოთელ-ან-თ-ი)... შტო-გვარის სახელი იწარმოება ტოპონიმისგანაც: სოჭნარ-ი → სოჭნარი-ენ-თ-ი (ვ. მგელაძე).

*

გ) ზმნა. შე- ზმნისწინის გვერდით დაჩნდება შა-, უპირატესად — ა- პრეფიქსიან ზმნებთან: შააშინა, შააბრუნა, შააჟდუნა, შაახმა (კ. კუბლაშვილი); შა- ზოგჯერ შეგვხვდება სხვა პოზიციაშიც: შავიყვარე, შავიხედე, შაგინახო, შამიბრალა (მ. ხუბუა);

დაჩნდება უმეტეს წილ ზემოაჭარულში. რთულ ზმნისწინში, როგორც წესი, შაგვაქვს (ორივე კილოკავში): შამოაბრუნა, შამეიტანა, შამū ტანა.

აღ-, გან-, წარ-, ჩვეულებრივ, ფონეტიკურად გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი მაშინაც, როცა ახალ ქართულში დაცულია ამოსავალი ვითარება: ანიშნა „აღნიშნა“,ამოსავლეთი „აღმოსავლეთი“, გათქმული „განთქმული“, წამოდგენა „წარმოდგენა“ (შ. ნიჟარაძე).

შეინიშნება ზმნისწინთა შენაცვლების შემთხვევები: შეკუჭტა „გაკუჭდა“, შეჩქარდა „აჩქარდა“, შეიჩხუბნენ „წაიჩხუბნენ“, დავთფინე „მოვითმინე“, დამატყვილა „მომატყუა“.

ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობების შესახებ იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“.

II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნები რიგ თავისებურებას გვიჩვენებენ, რაც ძირითადად ზემოაჭარულში დაჩნდება. ზოგჯერ -ჰ მოსალოდნელ ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის: დაჰცქერი, დაჰცქერის; შეჰჭამ, შეჰჭამს;; მოჰწყდა... ს- → შ- შიშინა რიგის ყრუ თანხმოვნების წინ (შჭირდება, შეშჭამს || შეჰჭამს), შ- → ჟ- იმავე რიგის მჟღერის წინ (ჟჯობნის, დაჟჯერდა); ხ- ნაირსახეობა დაჩნდება კ, ყ თანხმოვნების წინ (ახკიდა, გამოხყვა), ზოგჯერ გ თანხმოვნის წინაც (მიხგვარა). თავს იჩენს ამ რიგის ცვლილებაც: ჰყოლია → ხყოლია || ხოლია; და ასე: ხყავს || ხავს, მიხყავს || მიხავს და მისთ. შეინიშ(#558)ნება პირის ნიშანთა კონტამინირებული ნაირსახეობანიც: სისინა თანხმოვნების წინ ჰს- (აჰსწია, დაჰსწვა, მიჰსცა), შიშინა თანხმოვნების წინ ჰშ- (გაჰშჭრა, დაჰშჭირდა), ყრუ მკვეთრი კ, ყ თანხმოვნების წინ ჰხ- (მოჰხკიდა, მოჰხყვა); გარდა ამისა: მისცა → მისსა, მოშჭრა → მოშშრა — ინტენსიური გამოთქმით (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“); (ქ. ლომთათიძე, ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე).

მხოლოობითი რიცხვის III სუბიექტური პირისნ იშნად ნამყო ძირითადში -ა დაჩნდება იცნა-ა, მიაგნ-ა, მუასტრ-ა „მოასწრო“ ტიპის ზმნებში (I და II პირის ფორმებში: ვიცანი, იცანი; მივასტარ, მიასტარ).

მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად ყველა ტიპის ზმნათა ნამყო უსრულსა და გარდაუვალ ზმნათა ნამყო ძირითადში ზემოაჭარული იყენებს პარალელურად -ნ-ენ || -ენ ფორმანტებს (სტავლობდნენ || სტავლობდენ, იმცხოვრებდნენ || იმცხოვრებდენ, იმალვოდნენ || იმალვოდენ; იყვნენ || იყნენ || იყვენ, მოკტნენ || მოკტენ, გევდნენ || გევდენ „გავიდნენ“), ქვემოაჭარული ოდენ -ენ ფორმანტს (სტავლობდენ, იმცხოვრებდენ, იმლვოდენ; იყვენ, მოკტენ, გევდენ).

გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში გვხვდება -ენ || -ეს: გადახკიდენ || გადახკიდეს, უთხრენ || უთხრეს, იმუშიენ || იმუშიეს, -ენ უპირატესად ქვემოაჭარულშია.

ობიექტებისა და — ინვერსიულ ზმნებში — რეალური სუბიექტის მრავლობითობა გამოიხატება -ან, -ენ და -ეს ფორმანტებით (ყველა ეს ფორმანტი სხვა შემთხვევაში სუბიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს; ობიექტური პირის გამოხატვის უნარი მათ გადააზრიანების შედეგად შეიძინეს).

კერძოდ, -ეს გამოხატავს: ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობას ნამყო ძირითადში: გზაში იგენს დიელიეს (= დაელიათ, გაუთავდათ) საჭმელი“; ბ) რეალური სუბიექტის მრავლობითობას ნამყო ძირითადში: „ მათ ეგონეს“; გ) რეალური სუბიექტისა შედეგობითში: დიეწერეს „დაეწერათ“, მიეყვანეს „მოეყვანათ“, გიეკეთებიეს „გაეკეთებინათ“, ეცემეს „ეცემათ“ მათ ის; დაგეწერეს „დაგეწერათ“, მოგეყვანეს „მოგეყვანათ“ თქვენ ის (შდრ.: დაგვეწერა, მოგვეყვანა ჩვენ ის).

სხვა შემთხვევაში იხმარება -ან, -ენ, კავშირებითში — -ნ:

-ენ დასტურდება იმავე პოზიციებში, სადაც -ეს დაჩნდება (როგორც ითქვა, -ენ || -ეს სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვის დროსაც შეენაცვლება ერთმანეთს): ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელად ნამყო ძირითადში: „გზაში დიელიენ (= დაელიათ, გაუთავდათ) საჭმელი“; ბ) რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამომხატველად ნამყო ძირითადში: „მათ ეგონენ“ (= ეგონათ); გ) რეალური სუბიექტის მრავლობითობის ფორმანტად II შედეგობით(#559) ში: დიეწერენ „დაეწერათ“, მიეყვანენ „მოეყვანათ“, გიეკეთებიენ „გაეკთებინათ“ მათ ის; დაგეწერენ „დაგეწერათ“, მოგეყვანენ „მოგეყვანათ“ თქვენ ის (შდრ.: დაგვეწერა , მოგვეყვანა ჩვენ ის). გარდა ამისა, -ენ შეგვხვდება იქაც, სადაც პარალელურად -ან გვაქვს: ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად აწმყოში: უწევენ „უწევთ“, შეშჭირდებიენ „დასჭირდებათ“ || უწევან, შეშჭირდებიან; ბ) რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამომხატველად აწმყოში: აქვენ || აქნენ || აქვან, ყავენ || ყავან, გონიენ || გონიან, მოსწონენ || მოწსონან, შესცხვებიენ || შესცხვებიან (ზოგიერთ ზმნაში უპირატესობა ეძლევა -ან ფორმანტს: სჯერან „სჯერათ“, უკვირან „უკვირთ“, შეძლიან „შეუძლიათ“); გ) რეალური სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელად I შედეგობითში: დეხნახვენ || დეხნახვან „დაუნახავთ“. შემდეგ: -ენ გვხვდება ირიბი ობიექტისა და რეალური სუბიექტის მრავლობითობის ნიშნად ნამყო უსრულში: გეხმარებოდენ „გეხმარებოდათ ის თქვენ“ ქონდენ „ჰქონდათ“, ყავდენ „ჰყავდათ“ მათ ის.

-ან, როგორც ითქვა, ირიბი ობიექტისა ან რეალური სუბიექტის მრავლობითობის ფორმანტად დაჩნდება აწმყოსა და I შედეგობითში: უწევან „უწევთ“, აქვან „აქვთ“; დეწერიან „დაუწერიათ“, დეხნახვან „დაუნახავთ“.

-ნ ყველა ამ ფორმანტს ცვლის კავშირებითში: ქონდ-ე-ნ „ჰქონდეთ“ (შდრ.: ქონდ-ენ „ჰქონდათ“ — გარეგნულად ემთხვევა კავშირებითის ფორმას), დიელი-ო-ნ „დაელიოთ, გაუთავდეთ“.

I პირის ფორმებში, ჩვეულებრივ, ოდენ გვ- გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ ანალოგიით აქაც შეგვხვდება ზემოხსენებული სუფიქსები: გვაქვს || გვაქვენ || გვაქვან, დაგვეწერა || დაგვეწერეს || დაგვეწერენ.

„უნდა“ ზმნა რეალური სუბიექტის მრავლობითობას ორმაგი სუფიქსაციით იწარმოებს: გვინდანან „გვინდა“, გინდანან „გინდათ“, უნდანან „უნდათ“ (ჯ. ნოღაიდელი).

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ კირნათ-მარადიდულ თქმაში გვ- სუფიქსს ცვლის მ — ან, მ — ენ, მ — ეს (კავშირებითში: მ — ნ) ცირკუმფიქსი: მ-ი-ყვარ-ან „გვიყვარს“, მ-ი-ყვარ-დ-ენ „გვიყვარდა“, დე-მ-ე-ნატრ-ენ „მოგვენატრა“, გე-მ-ე-თენ-ებ-ი-ეს „გაგვეთენებინა“; ზოგჯერ — მ — თ: „თითო სხალი ში-მ-ი-ნახ-ე-თ შენ ჩჷენ“ (მ. ცინცაძე, ნ. სურმავა). აქ უთუოდ სისტემის ზემოქმედებასთან გვაქვს საქმე; შდრ.:

გვ-ი-ყვარ-ს	მ-ი-ყვარ-ან
გ-ი-ყვარ-თ (-ან)	გ-ი-ყვარ-ან
უ-ყვარ-თ (-ან)	უ-ყვარ-ან

(#560)

კირნათ-მარადიდულში სამივე პირის ფორმაში ერთი და იგივე პრინციპია გატარებული, მიზეზად ჭანურის სუბსტრატი ითვლება; შდრ.:

ჭანური	კირნათ-მარადიდული
მ-კითხუმ-ან	მ-კითხვ-ენ „გვკითხავს“
მ-ანჯირენ-ან	მ-ეძინები-ან „გვეძინება“
მ-აშქურინ-ეს	შე-მ-ეშინ-ენ „შეგვეშინდა“ (ნ. სურმავა).

რაც შეეხება მ — თ ცირკუმფიქსიან წარმოებას, აქ დამთხვევასთან გვაქვს საქმე; შიმინახეთ: შენ ჩვენ, თქვენ მე, თქვენ ჩვენ; მემალებით: შენ ჩვენ, თქვენ მე, თქვენ ჩვენ; ანუ: „მემალებით“ კონტექსტის შესაბამისად გამოხატავს როგორც „გვემალები შენ ჩვენ“, ასევე: „მემალებით თქვენ მე“ და „გვემალებით თქვენ ჩვენ“ (უნიფიკაციის საფუძველზე ფორმის განზოგადების ნიმუშია).

ზოგი თავისებურებით ხასიათდება I სერიის ფორმათა წარმოება.

-ავ თემის ნიშნით რთულდება წარმოშობით მარტივფუძიანი ზმნებიც, ჩვეულებრივ, ი- გახმოვანებითაა წარმოდგენილი: გრიხავს, ჭყიპავს, იჭირავს.

კირნათ-მარდიდულში -ავ შეენაცვლება -ებ თემის ნიშანსაც: გჳკეთავს „გააკეთებს“, დჳყვირავს „დაუყვირებს“. ამ წესს მიჰყვება იქამს → იქავს „იზამს“ (მ. ცინცაძე, ნ. სურმავა).

იმავდროულად ზოგი ზმნა ინარჩუნებს ამოსავალ მარტივ ფუძეს: ლეკს, თიბს, რეკს, ნაყს. ნამყო უსრულსა და პირობით-ხოლმეობითში: ლეკდა, წალეკდა, თიბდა, მოთიბდა, გარეკდა, დანაყდა. ყურადღებას იქცევს ამ რიგის ფორმები: ვიშოვ, იშოვ, იშოვს; დევინახ, დეინახ, დეინახს. ნამყო ძირითადში: ვიშვე „ვიშოვნე“, იშვე „იშოვნე“, იშვა „იშოვნა“ (მ. ცინცაძე, ნ.სურმავა).

-ავ/-ამ შეკუმშულადაა წარმოდგენილი აწმყო-მყოფადის მრავლობითის რიცხვის III პირის ფორმებში: თიბ-ვ-ენ, მალ-ვ-ენ, დეინახ-ვ-ენ; დგ-მ-ენ, ა-ბ-მ-ენ... ამ წესს ანალოგიით მიჰყვება უ-ზამ-ენ → უ-ზმ-ენ.

ამავე თემისნიშნიანი ზმნები ვნებითს არქაული წესით იწარმოებენ: მალ-ავ-ს →ი-მალ-ვ-ი-ს; და ასე: პარსავს → იპარსვის, ხარშავს → იხარშვის, გაწურავს →გეიწურვის; დგამს →იდგმის, აბამს → იბმის. ანალოგიით ეს წარმოება ვრცელდება იბღირვის, ენდურვის, აგრეთვე: გამეიდრის, იჭმის და მისთანა ზმნებზე.

აწმყო-მყოფადში თემის ნიშნის პოზიციაში ზოგჯერ დაჩნდება -ი: ვ-წერ-ი, წერ-ი, წერ-ი-ს; ვ-წერ-ი-თ, წერ-ი-თ, წერ-ი-ან („შენ რას (#561)წერი?“); და ასე: ამტყუნის, მიუმატის, ჩქარის, იცხოვრის, ისვენის. -ი დადასტურდა II სერიაშიც, როცა ამ რიგის ფორმებთან ერგატიული კონსტრუქციაა გამოყენებული: „დათმა (= დათვმა) შეჭამის“, „თოლმა ხე მოტეხის“ (პ. ჯაჯანიძე, შ. ნიჟარაძე).

გვხვდება აგრეთვე: წადის („მამაჩემი ყოველ ზამთარ ამ ტყეში წადის სანადიროთ“), ჩთის, გამოჩთის („იაგუნდის მარანში ჭიქა დგას და ღვინო თჩის“; „პერანგში თეთრი ხორცი გამოჩთის“; ჯ. ნოღაიდელი).

მდგომარეობითი ზმნების ერთი ნაწილი მეშველ ზმნას არ დაირთავს: მი-ვ-რბ-ი, მი-რბ-ი; ვ-წევ, წევ.

აჭარულის ზოგ თქმაში დაჩნდება დგია „დგას“, დვია „დევს“, წყვია „აწყვია“ (ეს უკანასკნელი უპრეფიქსო გამოყენებით იქცევს ყურადღებას). ამის საპირისპიროდ, ზოგი -ი სუფიქსიანი ზმნა მის გარეშეა წარმოდგენილი: კივა „კივის“, ჩივა „ჩივის“, ჯღავა „ჯღავის“, რაც უფრო ხშირად ქობულეთურ მეტყველებაში შეინიშნება.

დგ-ა-ს ფორმის ანალოგიით შეგვხვდება ჯდ-ა-ს || ჟდ-ა-ს.

მდგომარეობით ზმნებს შეენაცვლება ვნებითის ყალიბი: ებლაყუნება „ბლაყუნობს“, ებაქსუნება „ბაქსუნობს“, ებადუნება „ბადუნობს“.

იმავდროულად ფართოდაა გავრცელებული საკუთრივ მდგომარეობითი ზმნების ყალიბით წარმოება: ჩოილოფს, ყუროფს, პოვნილოფს, წყენულოფს, ჯერულოფს.

ღირსსაცნობია ამ ყალიბით ისეთი ზმნების წარმოება, როგორიცაა: თხჳეულოფს „ითხოვს“, გონილოფს, ძლებულოფს „უძლებს || ძლებს“, ჩივლოფს „ჩივის“. ზოგი ამ ზმნათაგანი სემანტიკურადაც მდგომარეობითია, ზოგიც — მოქმედებითი.

ყურადღებას იქცევს გე-ი-ღიმ-ან-ებ-ს „გაიღიმებს“, დე-ი-კივ-ან-ებ-ს „დაიკივლებს“ ფორმები: -ან ფუძის მაწარმოებელი ფორმანტია (შდრ.: მ-კივ-ან-ი); შესაძლოა, ზმნის ფორმიდან გადმოყოლილი: *კივ-ან-ს „კივის“.

ზოგი თავისებურება დაჩნდება მდგომარეობით ზმნათაგან შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმების წარმოებისას: დგას →ადგუმლეფს, ჟდას →აჟდუმლეფს || აჟდუნებს, ხტის → ახტუმლეფს (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე); შესაბამისად: დეიდგუმლება, დეიჟდუმლება, გადეიხტუმლება (რომელთაც უპირატესად პოტენციალისის ფუნქცია აქვთ). ამავე ყალიბით შესაძლოა იწარმოოს მოქმედებითი III ტიპის („უნიშნო“) ვნებითის ფორმებისაგანაც: ძვრება || ძრება → აძრუმლეფს; ამავე ყალიბითაა ნაწარმოები: აშპუნლეფს, ახდუმლეფს (პოტენციალისი: გეიძრუმლება, გეიშპუნლება, მიიხდუმლება).

(#562)

„ქს“ ზმნას მყოფადად შეესაბამება „იქმონს“ (ნამყო უსრული: იქდა).

ვნებითის სუფიქსიანი ფორმების ნაცვლად იხმარება პრეფიქსიანი ფორმები: გიეჭენება „ გაჭენდება, გაიქცევა“, გიეგძელება „გაგრძელდება“, გიეთხჳება „გათხოვდება“, ეხლება „ახლდება“ (ნამყო ძირითადში: გიეჭენა, გიეგძელა,. გიეთხჳა, ეხლა). III ტიპის ვნებითს შესაძლოა შეენაცვლოს სუფიქსიანი: გაქარდება „გაქრება“, ნამყო ძირითადი: გაქარდა „გაქრა“... ეს კერძო ნიმუშები კონკრეტული მოვლენაა ვნებითის ფორმათა შენაცვლების ზოგადი ტენდენციისა.

ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში -ავ/-ამ თემის ნიშნები გახმოვანებას იცვლიან; დასტურდება როგორც -ევ/-ემ,ასევე: -ვ/-მ (სამივე პირის ფორმებში): ვ-მალ-ევ-დ-ი, მალ-ევ-დ-ი, მალ-ევ-დ-ა; ვ-მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ა; და ასე: ვდგემდი || ვდგმიდი, დგემდი || დგმიდი, დგემდა || დგმიდა; შესაბამისად: მალევდეს || მალვიდეს, დგემდეს|| დგმიდეს.

ღვიძ-ავ-ს, ს-ძინ-ავ-ს ზმნები ნამყო უსრულში ამავე ფუძეს იყენებენ: ღვიძ-ავ-დ-ა || ღვიძ-ევ-დ-ა, ძინ-ავ-დ-ა || ძინ-ევ-დ-ა.

ი-ცინ-ი-ს, ი-ძახ-ი-ს ზმნები ნამყო უსრულის ფუძეს -დ სუფიქსით იწარმოებენ (ნაცვლად -ოდ-ისა): ი-ცინ-ი-დ-ა „იცინოდა“, ი-ძახ-ი-დ-ა „იძახოდა“ (ნ. სურმავა).

-ი სუფიქსიანი მდგომარეობითი ზმნები ა-კლ-ი-ა, ს-ცალ-ი-ა ტიპისა ნამყო უსრულში -ოდ ფორმანტის დართვისას -ი-ს არ მოიკვეცენ: აკლიოდა, ცალიოდა; და ასე: კიდია — კიდიოდა, ატყვია — ატყვიოდა, აყრია — აყრიოდა, აჩნია — აჩნიოდა (შ. ნიჟარაძე, პ. ჯაჯანიძე).

ნამყო ძირითადში I და II პირის ფორმებში -ე სუფიქსიანი ზმნები -ავ-ი- დაბოლოებითაა წარმოდგენილი: დევწყევი „დავიწყე“, დეჲწყევი „დაიწყე“; გამუაცხევი „გამოვაცხვე“, წ̄უწერევი „წავუწერე“, გადავადნევი „გადავადნე“. ხშირად ბოლოკიდური -ი არ ახლავს“ დევწყევი || დევწყევ, გევგევი || გევგევ, გეჲგევი || გეჲგევ (ანალოგიური ვითარებაა მრავლობით რიცხვშიც: დევწყევით || დევწყევთ, გეჲგევით || გეჲგევთ, ჩააგდევით || ჩააგდევთ). ბოლოკიდური, ე.წ. ნართაული -ი აჭარულში, საერთოდ, შედარებით იშვიათია; ჩვეულებრივია: მოვკალ, ვქენ, ვიცან, წაუძეხ, წეველ; მოკალ, ქენ, იცან. ეს ვითარება მრავლობითის ფორმებშიც დაჩნდება; შდრ.: ვიყავ — ვიყავთ.

ი-/ ე- პრეფიქსიანი ვნებითები II სერიაში მრავლობითი რიცხვის ფორმებში ფუძეს -ენ || -ნ სუფიქსით ირთულებენ; ნამყო ძირითადი: მივეშველენით, მიეშველენით, მიეშველნენ; ვიყვენით, იყვენით, იყვნენ || იყნენ; II კავშირებითი: მივეშველნეთ, მიეშევლნეთ, მიეშველნენ; ვიყნეთ || ვიყვნეთ, იყნეთ || იყვნეთ, იყვნენ. შევნიშნავთ, რონ ნამყო (#563)ძირითადისა და II კავშირებითის III პირის ფორმები გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა; შდრ.: მი-ე-შველ-ნ-ენ — ნამყო ძირითადი, მი-ე-შველ-ნ-ე-ნ — II კავშირებითი. ანალოგიით -ნ გადადის მხოლოობითი რიცხვის ფორმებში: „რამდენ ხან უნდა ი-ყ-ნ-ე (= იყო) კიდო ბეშუმ (= ბეშუმში), ჭო?“ (შ. ნიჟარაძე). არაა გამოსარიცხი ი-ყ-ნ-ე ფორმის ანალოგია ი-ქ-ნ-ე ფორმასთანაც (ა. შანიძე). ანალოგია სხვა შემთხვევებშიც დაჩნდება. მაგალითად, -ენ →-ნ სუფიქსით რთულდება III ტიპისა და -დ სუფიქსიანი ვნებითის მრავლობითის ფორმები: და-ვ-დგ-ნ-ე-თ „დავდგეთ“, გა-ვ-რიგ-დ-ნ-ე-თ „გავრიგდეთ“. -ენ შესაძლოა დაირთოს მოქმედებითი გვარის ფორმებმაც: ვ-ცემ-ენ-ი-თ ჩვენ ის, მასხრათ ი-მ-ი-გდ-ენ-ი-თ თქვენ მე (ნ. სურმავა). -ენ || -ნ სუფიქსიანი წარმოება უპირატესად ზემოაჭარულისათვის არის დამახასიათებელი.

წა-ვიდ-ა, გა-ვიდ-ა, შე-ვიდ-ა... ფორმები შეკუმშულადაა წარმოდგენილი: წე-ვდ-ა, გე-ვდ-ა, შე-ვდ-ა... ამ მოვლენას ორგვარი ახსნა ეძლევა: ა) პროცესი ფონეტიკურია: გე-ვიდ-ა → გე-ვდ-ა, შდრ.: გე-ვ-ი-ტან-ე → გე-ვ-ტან-ე —თუ აი →ეი კომპლექსში ვ დაჩნდება (I სუბიექტური პირის ნიშანი ან ფუძისეული), ი, როგორც წესი, იკარგვის; (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“); ბ) ცვლილების მიზეზი მორფოლოგიურ დონეზე უნდა ვეძიოთ; კერძოდ, უნდა აიხსნას მო-კლ-ა ტიპის ფორმებთან ანალოგიით; შდრ.: მო-ვ-კალ, მო-ჰ-კალ, მო-კლ-ა და: მო-ველ, მო-ხ-ველ, მო-ვდ-ა — ორივე შემთხვევაში I და II პირის ფორმებში სრულხმოვანი ფუძეა, III პირში — შეკუმშული (გ. გოგოლაშვილი). [წევდა, გევდა, მოვდა... ფორმებში, ჩვეულებრივ, ვ-ს ადგილას ისმის û].

II სერიის ფორმათა წარმოებისას თავს იჩენს ზოგი კერძო ხასიათის თავისებურებაც.

დეგ- ფუძე შეუკუმშავადაა გამოყენებული III პირის ფორმაში: ა-ვ-დექ, ა-დექ, ა-დეგ-ა „ადგა“.

ზამ- ფუძე გადადის II სერიაშიც (ცვლის ქენ- ფუძეს): უ-ზამ-ა „უქნა“, გ-ი-ზამ-ა „გიქნა“; ვ-ი-ზამ-ე „ვქენი“.

„შეეშინდა“ ზმნა ორი ნაირსახეობით გვხვდება: ში-ე-შინ-დ-ა || ში-ე-შინ-ა.

ჰ-ში-ა ზმნის ნამყო ძირითადია მო-ე-მში-ა → მო-ე-მში-ა „მოჰშივდა“ (შდრ. ძველი ქართული: შეემშია); შესაბამისად: მომემშია, მოგემშია.

„მოვიყვანე“, „შევიტანე“ (როგორც ეს ფონეტიკური მიმოხილვის დროს აღინიშნა; იხ. ზემოთ: „ბგერათა დაკარგვა“) გამოიყენება ამ სა(#564)ხით: მევყვაჲ, შევტაჲ; პარალელურად: მევიყვაი || მევიყვა, შევიტაი... (ეს ზმნები იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ აწმყო-მყოფადის მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმაში -ებ თემის ნიშნით რთულდებიან: მევყვან, მეჲყვან, მაგრამ: მეჲყვან-ებ-ენ; ანალოგიურად: მეჲტანებენ).

ზემოაჭარულში ანალოგიით ვრცელდება II კავშირებითის ფორმანტი -ო: წე-ვდ-ო, მო-ხ-ვიდ-ო, ქ-ქონ-დ-ო-ნ (= გქონდეთ — I კავშირებითის ფორმაა); შე-ე-შინ-დ-ო-ს — შე-გ-ე-შინ-დ-ო-ს — შე-მ-ე-შინ-დ-ო-ს და მისთ. (შ. ნიჟარაძე).

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში მკვიდრდება -ი დაბოლოებიანი წარმოება -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნებთანაც: მ̄კლია „მოუკლავს“, უნახია „უნახავს“; უსმია „უსვამს“, დ̄დგმია „დაუდგამს“, ჩ̄მბია „ჩაუბამს“. ზოგი ფუძედრეკადი ზმნა (იჭირავს...) ი-გახმოვანებითაა წარმოდგენილი: დიმიჭირია „დამიჭერია“, დიგიჭირია „დაგიჭერია“, დ̄ჭირია „დაუჭერია“. ზოგჯერ -ავ / -ამ შემონახულია (უპირატესად რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამომხატველ -ან ფორმანტის წინ): დ̄ნახვან || დ̄ნახვენ; იმავდროულად: დ̄ნახიან „დაუნახავთ“; ამ ორი ნაირსახეობის კონტამინაციით არის მიღებული: დ̄ნახვიან.

„უთქვამს“ ორი ნაირსახეობით გვხვდება: უთქმია || უთხრობია (ძირმონაცვლეა); მრავლობითში: მათ უთქმიან || უთხრობიან.

ზოგი -ებ თემისნიშნიანი ფორმა I შედეგობითში შეკვეცილადაა წარმოდგენილი: დ̄მტკიცია „დაუმტკიცებია“, გ̄კიდია „გაუკიდებია“, დ̄ბადია „დაუბადებია“ (გამოიყენება მეორე სერიის ფუძე).

გარდამავალი ზმნის I შედეგობითი შესაძლოა იწარმოოს გარდაუვალი ზმნის პრიციპით — აღწერითად: გაგონილი ვარ „გამიგონია“, შეხედული ხარ „შეგიხედავს“; პარალელურად დაჩნდება „აქვს“, „ჰყავს“ მეშველზმნიანი აღწერითი წარმოებაც: გაგონილი მაქ „გამიგონია“, შეხედული გაქ „შეგიხედავს“, დაჭირული მყავ „დამიჭერია“ (პ. ჯაჯანიძე). ანალოგიურად იწარმოება ზოგიერთ ორვალენტიანი ზმნის I შედეგობითიც: მოსწრილი ვარ „მოვსწრებივარ“...

კერძო შემთხვევათაგან შეიძლება დავასახელოთ: კირნათ-მარადიდულ თქმაში აუვლია || ჩაუვლია || გაუვლია ფორმათა ნაცვლად ერთვალენტიან ზმნათა წარმოების

პრინციპია გამოყენებული (ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა + მეშველი ზმნა): ავლილა || ჩავლილა || გავლილა; და ასე: გავლილვარ „გამივლია“, გავლილხარ „გაგივლია“; გვხვდება აგრეთვე გავლილი ვარ, გავლილი ხარ. ამავე თქმაში ყურადღებას იქცევს -ამ თემისნიშნიანი ზმნის თავისებური წარმოება I შედეგობითში: „ტელეფონები გა-უ-ბ-მ-ავ-ენ (= „გაუბამთ“)“; კონტა(#565)მინირებული ფორმა ჩანს: აწმყო-მყოფადში მონაცვლეობს -ამ და -ავ: გააბამს || გააბავს, I შედეგობითში ორივე თემის ნიშანი დაჩნდება: *გაუბამავს → გაუბმავს || გაბმავს (მ. ცინცაძე).

ვალდებულებითი კილო იწარმოება უნდა → ნდა || და || ნა ნაწილაკ-მორფემოიდით (სხვაობს თქმების მიხედვით); შესაძლოა მიერთოს როგორც წინამავალ ფორმას, ასევე საკუთრივ ზმნას: „იქ-ნდა || იქ-ნა (= იქ უნდა) მივდეს“; „ვიღა-ნდა (= ვიღა უნდა) მოვდეს კიდვენ?“; „რომელი-ნდა (= რომელი უნდა) გააკეთო კაცმა!“; „ვინ-და (= ვინ უნდა) წევდეს?“; „ის-ნა (= ის უნდა) მეთქვა“; „ხიდზე-ნა (= ხიდზე უნდა) გადააგდოს“; „არ-ნა (= არ უნდა) გეკადრებია“; ასევე: „ერთი რაცხა შეგეხვეწო-ნდა (= შეგეხვეწო უნდა)“; „დაწეროს-ნა (= დაწეროს უნდა)“. მიერთვის კავშირებითის ფორმებს.

კაუზატივის მაწარმოებლად, ჩვეულებრივ, -ივ → -ი გვაქვს: მუათხრიეფს „მოათხრევინებს“, დāდგმიეფს „დაადგმევინებს“, მუაკლიეფს „მოაკვლევინებს“; ანუ: უძველესი -ევ → -ივ (ან: -ევ-ინ) (ან: -ევ-ინ) → -ეი: მუაკლეიეფს. -ინ იშვიათია: მუაზიდვინეფს „მოაზიდვინებს“, გამû აწვევინეფს „გამოაწვევინებს“.

***

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები. დადასტურებითი ნაწილაკ-მორფემოიდებია: ჰაგრე („ჩვენსა არ ამოხვალ, ბიძავ? — ჰაგრე!“; ნიშნავს: „კი, ამოვალ!“), ბა („საწყალს თლათ გადაყვენ შინაû რები, ბა!“; იგივეა, რაც დადასტურებითი „აბა“), და („მოვალ-და!“ „წეᲂღებს-და!“). ქობულეთურში (გურულის გავლენით) დაჩნდება ქე || ქი.

-ვე ნაწილაკ-მორფემოიდი დაერთვის მრავლობითის -ნ სუფიქსიან რიცხვით სახელებს; -ნ გადაჰყვება სხვა ბრუნვებშიც: ორნივე || ორნავე, ორნავემ, ორნავეს, ორნავეᲂს, ორნავეᲂთ, ორნავეთ. -ვე სრული სახითაა წარმოდგენილი „ისევ“, „კიდევ“ მორფემოიდებთან, ოღონდ ფუძისეული -ე სინკოპირდება, ბოლოკიდური ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის: ის-ვენ, კიდ-ვენ. საერთოდ, ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციას ხშირად ვხვდებით ნაწილაკ-მორფემოიდებში: ახლა-ვენ, -მეთქინ, თურმე || თურმენ და თურმი || თურმინ (გვხვდება „თურმის“ ნაირსახეობაც).

როგორც აღინიშნა, „უნდა“ წარმოდგენილია ნდა || და || ნა სახით (იხ. ზემოთ: „ზმნა“).

ხომ → ხუმ || ხუ; „კინაღამ“ შეგვხვდება ამ სახით; კიღარმი || ღარმი, აგრეთვე: წიღამ (კ → წ აფრიკატიზაციით).

(#566)

***

ე) სიტყვათწარმოება. „შიგ“, „შიგან“ ზმნისართის ნაცვლად გამოიყენება „შჲან“, „ზედ“ შეგვხვდება „ზედან“ ფორმით. აქ, მაქ, იქ, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია -ში ან -ზე თანდებულებით: აქ-ში, აქ-ზე → აგ-ზე (იხ. ზემოთ: „სახელთა ბრუნება“).

ზმნისართებში ზოგჯერ დაჩნდება -ლა ელემენტი: ერ(თ) წამა-ლა-ჲ „ერთ წამს, ერთი წამით“, მაშვინათვე-ლა-ჲ „მაშინვე“, ჩუმათა-ლა-ჲ „ჩუმად“; შდრ.: ერთ გაყოლაჲ „ერთ ხანს“; კირნათ-მარადიდულში: გავლაჲ „გავლის დროს“, ჩავლაჲ „ჩავლის დროს“, სადაც -ლ ფუძისეულია, ხოლო -ა მასდარის მაწარმოებელია. დასტურდება გამეჲეს „წამოსვლისას“, დანაბოლოს „ბოლოს, უკანასკნელად“, ხანჯელ „ზოგჯერ“, ბარსამხან (← ბარე სამ ხანს) „დიდხანს“, ჯერობის გამომხატველ ზმნისართებში „გზის“ ელემენტს ცვლის „გზობაჲ“: სამგზობაჲ, ხუთგზობაჲ.

მქონებლობის გამომხატველ სახელებს აწარმოებს -ეულ → -ეჱლ (მიერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ან ფუძეს): ხორცისეჱლი „ხორცეული“, ტკბილისეჱლი „ტკბილეული“; ავადეჱლი „ავადმყოფი“, კოტეჱლი || კოტრეჱლი „ დაუფშვნელი სიმინდის ტარო“ (ზედმიწევნიტ: „ტაროიანი“); აქედან ვითარებითი ბრუნვის ფორმით იწარმოება ზმნისართი: კოტრეჱლა „ტარო-ტაროდ“. ანთროპონიმებზე დართვისას -ეჱლ გამოხატავს კუთვნილებას: მემედასეჱლი.

ასევე მქონებლობის ფუნქციის გამომხატველია -ოვან → -ვან; იმავდროულად იგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება თანაბრობის ხარისხის ფორმებში — დაერთვის სი-ე || სი-ო ცირკუმფიქსებით ნაწარმოებ სახელებს (ახლავს მრავლობითობის გაგებაც): ამ სიხოშრვანი „ამ სისხოები“ (ხოშორი „მსხვილი, სქელი“), თითის სიგძვანი. გვაქვს ასეც: შენ ხელვანი, მის ხელვანი.

-იერ იფართოვებს წარმოების სფეროს: კოხიერი „ქვიანი“, ჭკვიერი „ჭკვიანი“ (ცვლის -იან სუფიქსს), სოფლიერი „სოფლელი“ (ცვლის -ელ სუფიქსს); დაჩნდება ნა- და სა- პრეფიქსებთან ერთადაც: ნამუშიერი, სამუშიერი, მქონებლობის გამომხატველ სახელთა საწარმოებლად ფართოდ გამოიყენება -ა სუფიქსი; სახელდება ხდება რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით: ნარინჯაჲ, შვინდაჲ, თაგვაჲ, ყვავილაჲ (საქონლის სახელები), თეთრაჲ (მსხლის ჯიშია), შაქარაჲ (ვაშლის ჯიშია), წყალაჲ (გოგრის სახეობაა). ამავე დანიშნულებით გამოიყენება -ია მაწარმოებელიც: შველაჲ, მწვანიაჲ. წარმოება ხდება ზმნის ფუძისაგანაც: დარჩა → დარჩიაჲ (ხბოს სახელია), მოილია → მონალიაჲ (ნაბოლარა შვილი). ზოგ(#567)ჯერ ამ რიგის ფორმათა თანამნიშვნელობაა კნინობითობა (იხ. ქვემოთ). სახელდებას შესაძლოა საფუძვლად ედოს მეტაფორული გააზრება: ჭიშკარაჲ „შორი-შორ ამოსული წინა კბილები“.

აჭარულის ზოგ თქმაში (მერისის ხეობაში...) ოდნაობითი ხარისხის ფორმები მო — ე ცირკუმფიქსით იწარმოება: მო-ცხ-ე „მოცხელო“, და ასე: მოგძე „მოგრძო“, მოსქე

„მოსქო“, მოთხე „მოთხელო“ (ხელი, გრძელი, სქელი, თხელი ფორმებს, საერთო წესისამებრ, -ელ სუფიქსი ჩამოსცილდება). ამავე მნიშვნელობის ფორმებს აწარმოებს და — ო ცირკუმფიქსიც: და-შავ-ო „მოშავო“ და ასე: დათეთრო, დამწარო, დატკბილო, დაყვითლო. პარალელურად: მო-შავ-ო, მოთეთრო. ზოგჯერ კონტამინირებული წარმოებაა: მო-და-მცრე-ო „მომცრო“ *ნ. სურმავა).

გავრცელებულია უფროობითი ხარისხის აღწერითი ფორმები: შექერზე გემბრიელი; რედუპლიკაციით: მაღალზე მაღალი, ყინვაზე ყინვა (ჯ. ნოღაიდელი).

ზოგ თქმაში (მაგალითად, მაჭახელის ხეობაში) წარმომავლობის სახელები იწარმოება -არ სუფიქსით: ჩხუტუნეთი → ჩხუტუნარი, ჩიქუნეთი → ჩიქუნარი (-ეთ მაწარმოებელი, წესისამებრ, ჩამოსცილდება), სკურდიდი → სკურდიდარი, ჯვართა → ჯვართარი, ქოსოფელი → ქოსოფლარი. იმ შემთხვევაში, როცა -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმი (გეოგრაფიული სახელი) გვარისგან არის ნაწარმოები, წარმომავლობის აღნიშვნისას სპეციალური ფორმანტი არ გამოიყენება: დავითეთი → დავითეთ ნიაზაჲ „დავითეთელი || დავითელი ნიაზა“, ბასილეთი → ბასილეთ იბრაიმაჲ „ბასილეთელი იბრაჰიმი“ (ნ. სურმავა); უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით: ტოპონიმიცა და წარმომავლობის სახელიც საკუთრივ გვარსახელისგანაა ნაწარმოები: ქავთარაშვილი → ქავთარეთი (ტოპონიმი) || ქავთარეთ ჯემალაჲ (წარმომავლობის სახელი), დავითაძე → დავითეთი || დავითეთ ნიაზაჲ. ზოგი გვარი შესაბამის სოფელში აღარ გვხვდება, მაგრამ წარმოების პრინციპი მაინც ადრინდელი რჩება.

-ურ სუფიქსი, გარდა თავისი ძირითადი დანიშნულებისა, გამოიყენება პატრონიმული ტოპონიმების საწარმოებლადაც: ქუთაისური, ოლადაური, ყინჩაურიᲜ; ლოკატივის გამოსახატავად ამ რიგის ტოპონიმებთან ოდენ -ზე თანდებული დაჩნდება: ქუთაისურზე წევდა, ოლადაურზე მიდის, ყინჩაურზე მიდიოდა. სხვა შემთხვევებში უპირატესად უთანდებულო მიცემითი იხმარება: მიდის ბაკოს, თხილვანას, ფაჩხას (მ. ქამადაძე); -ეთ სუფიქსიანები პარალელურ ფორმებს გვიდასტურებენ: მიდის დაჩიეთ || დაჩიეთს (შესაძლოა -ს ფონეტიკურ საფუძველზე იყოს მოკვეცილი). ღირსსაცნობია, რომ ამ ტოპონიმთაგან წარმომავლობის (#568)სახელებიც თავისებურადაა წარმოდგენილი: ბაკოს (= ბაკოელი) ალიაჲ, ფაჩხას (= ფაჩხელი) ზურაბაჲ, თხილვანას (= თხილვანელი) ჯემალაჲ (მ. ქამადაძე).

გათხოვილი ქალის წარმომავლობა აღინიშნება -ურ სუფიქსით, რომელიც შესაბამის ტოპონიმს დაერთვის: ზენდიდ-ურ-ა-ჲ „ქალი, რომელიც გამოთხოვილია ზენდიდიდან“; და ასე: ბათუმი → ბათუმურაჲ, უჩამბა →უჩამბურაჲ, აგარა → *აგარურაჲ → აგარულაჲ, მერისი → მერისულაჲ, გვხვდება ასეც: აგარულაჲ ნენულა „აგარელი ბებია“ ან: ზენდიდურ-გელინი „ზენდიდელი რძალი“ (ნ. სურმავა).

-ურ იფართოვებს გამოყენების სფეროს და წარმომავლობის მაწარმოებლად გვხვდება სხვა შემთხვევებშიც: ჭვანა → ჭვანურაჲ ხოჯა (შ. ნიჟარაძე).

-ურ-ა გამოიყენება მცენარეთა ჯიშების სახელდებისას: ჭვანურაჲ „მსხლის ჯიში ჭვანას ხეობიდან“, გონიჳრაჲ „ვაშლის ჯიში გონიოდან“, გოგაჳრაჲ „სიმინდის ჯიში სოფელ გოგაძეებიდან, *გობრონეთურაჲ →გაბრონეთულაჲ „სიმინდის ჯიში სოფელ გობრონეთიდან“ (ნ. სურმავა).

გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარი ზოგჯერ -ფხე ფორმანტითაც იწარმოება (უპირატესად — ქვემოაჭაულში): ინაიფხე || ინაფხე „ინაიშვილის ქალი“.

თავისებურია ნა- პრეფიქსით ნაწარმოები ზოგი სახელის სემანტიკა: ნაბიჭევი „ბიჭი, ბიჭუნა || ბუში“, ნაგომბიევი „გოგო, გოგონა“ (დამცირებითი ნიუანსით); ნადარული „დარგამოვლილი“ („ფერზე ეტყობა, კაი ნადარული ყურძენია“), ნადევნი „დაგრილებული, დამაკებული პირუტყვი“. ნა — ალ ცირკუმფიქსი დაჩნდება წილობით რიცხვით სახელებში: ნასამალი „მესამედი“, ნაოთხალი „მეოთხედი“, ნახუთალი „მეხუთედი“ (შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოღაიდელი).

ზოგ თქმაში სპეციფიკურად იწარმოება შედგენილი რიცხვითი სახელები: ათიდაერთი „თერთმეტი“, ათიდაორი „თორმეტი“; ასდახუთი „ასხუთი“, ასდარჳა „ასრვა“, ასდაცხრამეტი „ასცხრამეტი“. ივარაუდება ჭანურის ზეგავლენა.

კნინობით სახელთა ძირითადი მაწარმოებელია -ა (თოხაჲ, თასაჲ, კარდალაჲ, ლაფერაჲ...), რომლის წინ ფუძე ხშირად რთულდება სხვა სუფიქსებით: -ინ (სირინაჲ „ერთგვარი ჩიტი“, ფიჯინაჲ „უდროოდ დამაკებული დეკეული“, ღომინაჲ „ სიმინდის ღერღილისაგან დამზადებული ღომი“), -ან (*კოპეანაჲ→ კოპენაჲ „პატარა კოპი“), -უკ (აიშე→ აიშუკაჲ, ხუსეინი → ხუსუკაჲ), -იკ (ხმიკაჲ „ძლიერ გამხდარი“, ხუსეინი → ხუსიკაჲ), -ულ (ნენულაჲ „ბებია“, აიშე → აიშულაჲ), -ელ (ღო(#569)ჯი „ეშვი“→ ღოჯელაჲ). ხშირია აგრეთვე -ია ფორმანტით ნაწარმოები სახელები: ჩოჩიაჲ „ჩოჩორი“, ოჩიაჲ „ოჩანი ხარი“, ფუჩიაჲ „ფუჩინა“. წარმოება ხდება ზმნის ფორმისაგანაც: გაძვერაჲ „გაიძევრა“, მოპარიაჲ „მსხლის ჯიში, შეუმჩნევლად იცის დამწიფება“.

მე- პრეფიქსითაა ნაწარმოები მეგზურე „მეგზური“, მემთეჳრი „მთაში საქონლის მომვლელი ქალი“, მეხეჳრი „კაცი, რომელიც ოსტატურად ადის მაღალ ხეებზე“; სუფიქსებად -ე, -ევ-ურ → -ე-ურ || -ე-ჳრ დაჩნდება (ნ. სურმავა). ეს ფორმები, ჩვეულებრივ, სახელის ფუძისგანაა ნაწარმოები, მაგრამ იმავდროულად სახელზმნური სემანტიკაცაა მათთვის ნიშანდობლივი.

ზოგი თავისებურებით გამოირჩევა სასუბიექტო მიმღეობის წარმოება: გამქარვალე „გამქრობი“, მომბრუნვალე „მბრუნავი“, მგორვალე „მგორავი“, გამფრინვალე „ფრინველი“; მ- პრეფიქსთან -არ-ე →-ალ-ე ბოლოსართია გამოყენებული, რომელმაც შესაძლოა მიმღეობა აწარმოოს -ივ → -ი სუფიქსით გართულებული ზმნურის ფუძისაგანაც: (მ)-ყოფნ-ი-არე || მ-ყოფნ-ელ-ი (მ-ელ ცირკუმფიქსით). დაჩნდება ოდენ მ- პრეფიქსიანი წარმოებაც: და-მ-წურ-ი, შე-მ-ნახ-ი, მ-ა-ძაგ-ი.

მ — არე ცირკუმფიქსით ნაწარმოები მიმღეობა შესაძლოა ფუძედ იქნეს გამოყენებული აბსტრაქტულ სახელში: სი-მძულვარე.

ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა -ავ თემისნიშნიან ზმნათაგან ზოგჯერ -ილ სუფიქსით იწარმოება (თემის ნიშნის ხმოვანი რედუცირდება): გა-წურ-ვ-ილ-ი, და-ღუმპ-ვ-ილ-ი; შდრ.: დაჭირული, დათესული. -ებ თემისნიშნიანი ზმნების მიმღეობა შესაძლოა იწარმოოს II სერიის ფუძისაგან -ილ ფორმანტით: ა-ვს-ილ-ი, და-მზად-ილ-ი, მო-სტრ-ილ-ი „მოსწრებული“, და-უთვ-ილ-ი „დაუთოვებული“. წვ-ავ-ს ზმნისაგან ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა -ილ სუფიქსით იწარმოება: და-წვ-ილ-ი „დამწვარი“.

მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობებში ზოგჯერ სა- პრეფიქსთან ერთად -ო სუფიქსიც დაჩნდება: მი-სა-ჭმ-ელ-ო (კონტამინირებული ფორმა უნდა იყოს: სა — ელ || სა — ო →სა — ელ-ო); ხშირია აგრეთვე -ის სუფიქსიანი წარმოება: და-სა-სტავლ-ის-ი „დასასწავლი“, სა-ყოფ-ის-ი, სა-კმავ-ის-ი (მიღებულია საკმარისი და საკმაო ფორმათა კონტამინაციით).

უარყოფითი საობიექტო მიმღეობა, ჩვეულებრივ, ორმაგი პრეფიქსაციით გვხვდება: უდაუდებელი → უდūდებელი; და ასე: უდūსვენებელი, უდūნახავი, უდūლეველი, უდūძინებელი. უჩūწერელი, უწūსლელი (ჯ. ნოღაიდელი, შ. ნიჟარაძე).

(#570)

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნებისას ორი ტენდენცია იჩენს თავს: მსაზღვრელი სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში (თელი სოფელი, თელი სოფელმა, თელი სოფელს...); მსაზღვრელი ფუძის სახით დაჩნდება ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა (თელი სოფელი, თელ სოფელმა, თელ სოფელს, თელ სოფელის...).

ხმოვანზე ფუძედაბოლოებული ზოგი ატრიბუტული მსაზღვრელი -ჲ ელემენტით დასტურდება სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში (პაწაჲ კაცი, პაწა კაცმა, პაწა კაცს, პაწაჲ კაცის, პაწაჲ კაცით, პაწა კაცათ; ანალოგიურად: ქოსაჲ კაცი, მარჯვენაჲ თვალი... მაგრამ: სუფთა წყალი, ანკარა წყარო, მწარე კიტრი...).

კა-ჲ ასე იბრუნვის: კაჲ კაცი, კაჲ კაცმა, კას კაცს, კაჲ კაცის, კაჲ კაცით, კას კაცათ (ჯ. ნოღაიდელი).

ბ) პრეპოზიციული მართული მსაზღვრელი ორი ნაირსახეობით შეგვხვდება: ყველა ბრუნვაში დაჩნდება -ის || -ს დაბოლოება, ოღონდ -ს შესაძლოა დასუსტდეს ან დაიკარგოს კიდეც (ქათმის || ქათმიჰ || ქათმი კვერცხი; გოგოს || გოგოჰ || გოგო ანაჲ);

ფუძეუკვეცელ სახელებთან მაშინ, თუ ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი რედუცირებულია, შესაძლოა -ის → -ს გართულდეს სხვა ბრუნვის ნიშნებით — იქმნება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელის ანალოგიური მდგომარეობა (გოგოს || გოგოჰ || გოგო || გოგოსი მამა; და ასე: გოგოსმა მამამ, გოგოს მამას, გოგოსი მამის, გოგოსი მამით, გოგოს მამათ; ანალოგიურად: აქაფასი ბადიში, ახმედასი ხარები; პარალელურად: აქაფაჲს ბადიში, ახმედაჲს ხარები; შ. ნიჟარაძე, ტ. ფუტკარაძე).

გ) კირნათ-მარადიდულ თქმაში დადასტურდა მსაზღვრელ-საზღვრულის თავისებური შეხამება: „დაგანდო შენმა ნენეშენმა?“; „ჰექიმს ნუ გāგონავ მის მāმის“... შდრ.: „ქაზიმას დედამისმა (= ქაზიმას დედა) მიძახს“; „ჯემალას მāმისი (= ჯემალას მამა) ყოფილა კიდვენ“ (მ. ცინცაძე).

დ) რიცხვით სახელებთან საზღვრული, ჩველებრივ, მრავლობითის ფორმითააა გამოყენებული: ორვეჲ ოდჲები, შვიდი ძმანები.

ე) ქვემდებარე და შემასმენელი ხშირად არ ეთანხმება რიცხვში ერთმანეთს: ფირალები გაქცეულა; ჯამუშები (= კამეჩები) შიერი დარჩენილა... იმავდროულად გვაქვს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალხს გūხარდენ; შეჲკრიბენ ხალხმა; ბევრი ქალი არიან; ათი კაცი (#571) მოდიან. ობიექტის შემასმელენთან რიცხვში შეთანხმების შესახებ იხ. ზემთ: „მორფოლოგია, ზმნა“.

ვ) გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან ქვემდებარე ხშირად მოთხრობით ბრუნვაში დგას: ფირალებმა ადგენ; ბეგმა მიემხრო; ერთმა დიდარმა კაცმა ერთ ღარიბ გლეხ გūრიგდა; დედაბერმა შვილივინ (=შვილივით) ეპატრონა ამ ბიჭ; ბაღნებმა არ ეპატრონა მისი სახს; კაცმა შჲეხვეწა.

ზ) ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში შესაძლოა დაჩნდეს I სერიის ფორმებთანაც (უპირატესად შეინიშნება კირნათ-მარადიდულ თქმაში): მამაშენმა შიშა აპობს; მარტო მან ეხმარება; მან ჰად არის აქამდი (შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოღაიდელი, მ. ცინცაძე). იმავდროულად ასეთ შემთხვევებში ობიექტი სახელობით ბრუნვაში დაისმის: ხალხმა რა (= რას) იძახიან; ხაშარმა (= ჭიგო, სარი) ვერ დეჲკავებდა ლობიო (= ლობიოს); მამაშენმა დღეს შიშა (= შეშას) აპობს?; ბაღნებმა არ ეპატრონებიან მისი სახლი (= სახლს); შდრ.: მე წერილი (= წერილს) გაგატან, შენ ეს ბაღანა (= ამ ბაღანას, ბავშვს) ვერ გაზდი კარქა || კაქა“.

თ) კირნათ-მარადიდულ თქმაში სპორადულად მოთხრობით ბრუნვაში დაჩნდება პირდაპირი (უშუალო) ობიექტი: „ღმერთმა მან (= იგი) არ ჩამეჲყვანა“, „ქალის ჩამორჩობა მას დāბრალეს მეგერ (= თურმე) და მანაც (= იგიც) ჩამოარჩეს“ (მ. ცინცაძე).

ი) მიცემითში ნავარაუდევი ობიექტი შესაძლოა სახელობითში დაისვას მაშინაც, როცა კონსტრუქციაში მოთხრობითბრუნვიანი სახელი არ დასტურდება: „დūძახე მა

ბაღვი (= ბაღვს, ბავშვს)“, „შვილები (= შვილებს) თუ არ ასტავლე, მაგათი ცოდვა შენ კისერზე“ (შ. ნიჟარაძე).

კ) მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება შეენაცვლოს მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: „ხენწიფემ უბძანა სასტრაფოთ ჯარის შესაგრუებლათ“; „დაგვაძალეს სამუშერზე წასასლელათ“ (შ. ნიჟარაძე).

ლ) დროის გარემოების გამომხატველი ფორმები შესაძლოა მიცემითის ნაცვლად სახელობითში შეგვხვდეს: „ერთი დღე (= ერთ დღეს) ყველას დūძახა“.

მ) ადგილის გარემოებად გამოიყენება გაზედსართავებული ზმნისართების მრავლობითი რიცხვის ფორმები (ზოგჯერ გართულებული -ურ → -ûრ სუფიქსით): ზეითებში || ზედაûრებში „ზემო სოფლებში, უბნებში“, ქვეითიებში || ქვედაûრებში „ქვემო სოფლებში, უბნებში“. ანალოგიური წარმოება დაჩნდება კუთვნილებით ნაცვალსახელებიაგანაც: ამათებში „ამათ სოფლებში, უბნებში“ (შ. ნიჟარაძე).

(#572)

ნ) გამოსვლითობა- მიწევნითობის გამოსახატავად გამოყენებულია სპეციფიკური სიტყვათშეხამებანი: მთისი მთა „მთდან მთამდე“, ტყისი ტყე „ტყიდან ტყეში“; სოფლი სოფელ „სოფლიდან სოფელში“, სირთი სირთ „სერიდან სერზე“ (შ. ნიჟარაძე); შდრ. ძველი ქართული: ქალაქითი ქალაქად, ჟამითი ჟამად; ახალი ქართული: დღითი დღე; ოღონდ აჭარულში გამოსვლითობის აღმნიშვნელი ფორმა ნათესაობით ბრუნვაში დგას; ბოლოკიდური -ი შესაძლოა -ით ფორმანტის თნახმოვანმოკვეცილი ნაირსახეობა იყოს: *მთისით → მთისი. შეინიშნება ერთი კანონზომიერებაც: უმარცვლო ფუძესთან -ის-ი დაბოლოება გვაქვს (მთ-ის-ი), მარცვლოვანთან — ოდენ-ი (სოფლ-ი).

ო) ზემოაჭარულში დადასტურდა სპეციფიკური კონსტრუქცია, შედგენილი ჩემთვინ იგი“მე“, შენთვინ იგი „შენ“, მისთვინ იგი „ის“ სიტყვათშეხამებებით (მრავლობითში: ჩვენთვინ იგი „ჩვენ“, თქვენთვინ იგი „თქვენ“, მათთვინ იგი „ისინი“): ჩემთვინ იგი არ უხსენებია „მე არ ვუხსენებივარ“, ადექ, ჩემთვინ იმავ, და გūყევი „ადექი, ჩემო თავო, და გაუყევი“, ჩემთინ იმან გათოხნაო „უთქვამს, რომ მე გავთოხნე“, ჩემთვინ იმას ბრალი არა აქო „უთქვამს, რომ მე ბრალი არა მაქვს“, ჩემთვინ იმისი āფერი არ მინდაო „უთქვამს, რომ ჩემი არაფერი უნდა“. ასეთი კონსტრუქციები უპირატესად სხვათა ნათქვამის გადმოსაცემად გამოიყენება (ზ. თანდილავა).

პ) კავშრებად გვხვდება: მარა, აგრეთვე თურქულიდან ნასესხები: ჰამა || თექ || ანჯახ „მაგრამ“, ხოლოთ || თექ (ნასესხები) „მხოლოდ, ოღონდ“, თûარა „თორემ“, რომე || რომენ || რუმე || რუმ „რომ“, რომელიცხაჲ || რომელიძღა || რომელიძაღა „რომელიც“, ვინცხა || ვინძღა || ვინძაღა „ვინც“, როჲცხა || როცხა „როცა“, ჰაცხან „სადაც“, რავარც ||

რავარცხა „როგორც“, რაღამც || ჰაჩან (ნასესხები) „რადგანაც“, ჰიდამდი „სანამდი“, მანობამდი || მარობამდი „მანამდი“. ზოგჯერ გამოიყენება კონტამინირებული კავშირები: რომელიც რომ.

***

IV. ლექსიკა.

აჭარული დიალექტის ლექსიკა ყურადღებას იქცევს უძველესი ფორმების, დიალექტური ინოვაციებისა და ნასესხობათა მრავალფეროვნებით.

ძველი ფენის ლექსიკიდან შეიძლება დავასახელოთ: ბეჩი, ზაკუ̂ელი (შდრ.: ზაკუა), ღაზვი, ჭიმური, ხოშორი, ხრილი, ქეჩხო, ლეშტერი, წაკატი (შდრ.: წალკატი), სასირე ბადე (სირი — „ჩიტი“), კელობს.

(#573)

საკუთრივ დიალექტური წარმოებისა ჩანს: ბაძაგნარი „ბინძური ადამიანი“, დაკივანება „ხარის, ბუღას ბღავილი“, დანაძრება „დალექვა“; კომპოზიტები ტიპისა: გულიქფილი „წმინდა ფქვილი“, გულიყანა „ყანის საუკეთესო ნაწილი“; ბალახთა სახელები: კატიჭვანგაჲ, მარიამხელაჲ, ღომითავაჲ, მიწაწაბლაჲ, ჩიტაკვერცხაჲ; მეტაფორული კომპოზიტები: ფისიმწურავი „ძუნწი“, დედაბრიქორწილაჲ „ცუდად დანთებული ცეცხლი“.

უხვადაა წარმოდგენილი დარგობრივი ლექსიკა: საყოფაცხოვრებო (სექვი, ლიგიდა, მერეგი, კარაპანი, თავანი, ცალბაგა), მიწათმოქმედებისა (დამანიდება, დამარკიელება, დაკოტუშვა, გათერძვა, დაჭაფვა; ძველთესული, ბელთუთუნი), მევენახეობისა (პოვნილი, ტაგიძრა, ქორქაულა, ჭეჭიბერაჲ, ჭიპაკური), მესაქონლეობისა (ტაბახი, უგვი, ფიჯინაჲ, ნაჟღერტაჲ, ყაშავი, კოჭანკალი, დანარკება, გაყურუთვა), ხალხური კალენდრისა (განცხადობითვე, ყარაყიში, კვირიკობითვე, ქირეზაჲ, მარიობითვე, ჩურუგაჲ), ბუნების მოვლენებისა (აიაზი, ციციელი, გადაღანილება, ხმელი ზამთარი, სამიელი) და მისთ. (შ. ნიჟარაძე).

აჭარულში მრავლადაა ნასესხობანი.

ფართოდაა წარმოდგენილი ზანიზმები: ჯარგვალი, კუჩხე, ქვიჯა, მოჭვა, დუდი, ბიგა, დოჩხაური, კატარი, (შდრ. ჭანური: კანტარი || კანტაი), ქუნცხი, ოჭვათო, ონგურე, ბღორინი (შდრ. ჭანური: მღორინი „ბღავილი“), მოჩხოტვა (შდრ.: ჩხოტუა) და მისთ. (ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე).

საკმაოდაა თურქული ნასესხობანიც: სამოხელეო ტერმინები (ბეგი, მუთესერიფი, მუფთი, მუხტარი), ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი (ბალდიზი, ბაჯანაღი, ბაჯია, ემიაჲ, ტაიაჲ, ხალაჲ), საჭმელ-სასმელის სახელწოდებანი (ბურმა, სუჯუღი, ყაჲმაღი, ჩორბა, ყაჰვემ შერბეთი), რელიგიური ტერმინოლოგია (ჯეიზი, აღდი,

დვაღი, ჰაჯი, ჯუმა, მუეზზინი, რემეზანი, ჯამე), სხვა ხასიათის სახელები (დავლეთი, ფუხარა). რა თქმა უნდა, ზოგი ამ სიტყვათაგანი წარმოშობით თურქული არ არის, მაგრამ აჭარულში სწორედ თურქულის გზითაა შემოსული.

აჭარული ხშირად ნასესხებ სიტყვას აქართულებს. უწინარეს ყოვლისა, ეს იმით დაჩნდება, რომ აჭარულში ნასესხები ფუძე ახალ ფორმათა საწარმოებლადაა გამოყენებული (წარმოების საშუალებანი ქართულია): ჰერს „ჯავრი, ბრაზი“ → გაჰერესებული „გაბრაზებული“, ჰაზირ „მზა“ (არაბული — თურქულის გზით) → გაჰაზირებული || გახაზირებული „გამზადებული“, ინათ „ჯიუტობა“ (არაბული — თურქულის გზით) → ინადიანი | ინათიანი „ჯიუტი“, ჩაჲრ „სათიბი, საძოვარი“ → დაჩაჲრება „საქონლის გაშვება საბალახოდ“, ჰევეს „წადილი, ნდომა“ (არაბული — თურქულის გზით) → ჰევესობს „ისწრაფვის, (#574) სწადია“, თოფალ „კოჭლი“→თოფლობს „კოჭლობს“ (ნ. გურგენიძე, შ. ნიჟარაძე).

გარდა ამისა, ნასესხები სიტყვა ფონეტიკურად იცვლება: თირფან → თრიფანი „ცელი“, ზორლუ →ზოვლი „ყოჩაღი, შეძლებული“, სექი → სექვი „კედელზე მიშენებული ტახტი“ (ნ. გურგენიძე).

დადასტურებულია კალკები (აფერს არა „ბიშე ჲოქ“, არავინ არა „ქიმსე ჲოქ“; კლავს უწდიდა „ტოლს არ უდებდა“, მეშვერეთი ვქნათ „მოვითათბიროთ“), ნაჯვარი ფორმები (ენაფელთექი „ენამოჩლექილი“, ჩაქი-დანა „ჯაყვა“; შდრ.: თურქული ფელთექ „ენაბლუ“, ჩაქი „დანა“).

***

7.4. იმერხეული (კლარჯული). იმერხეული კილო შემონახულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე — შავშეთ-კლარჯეთში, მდინარე იმერხევისა და მისი შენაკადების აუზში ჭოროხის ხეობამდე. ამჟამად იმერხევი თურქეთის საზღვრებშია. ტერმინი „იმერხეული“ წმინდა გეოგრაფიულ ცნებას გამოხატავს, ისტორიულ-ეთნიკურად კი იგი არის „კლარჯული“ ან „შავშურ-კლარჯული“ დიალექტის შემონარჩენი (ქართული დიალექტოლოგია).

იმერხეული კილოს ნიმუშები ჩაწერილია ნ. მარის მიერ 1911 წელს. შავშეთ-კლარჯეთის ბევრ სოფელში (ტბეთში, წითვეთში, მერიაში, დიობანში, შოლტისხევში, აგარაში...) ქართული აღარ იციან, თუმცა ახსოვთ თავისი ქართული წარმომავლობა და გვარები (ფანჩიძე, თურმანიძე, ქადაგიძე, ფუტკარაძე, ციალიძე, ლასულიძე, ფეტვაძე, ირემეძე, ნიქებეძე, ხელაძე, ლერწამიძე, მორთულიძე, აბრამიძე...).

ნ. მარმა ტექსტები ჩაიწერა მდინარე იმერხევის ზემოწელის სოფლებში: იმფხრეულში, თეთრაკეთსა და ზაქიეთში. იმფხრეულში სახლებულან მოსიძეები, აღანიძეები, ჯორყაძეები, სუბუქიძეები, შარაძეები, ბუტიძეები, საღრიძეები... ესაა, რა თქმა უნდა, ზეპირი ტრადიციით შემონახული გვარები, ოფიციალურად კი თურქული ყაიდის გვარებია გავრცელებული.

ოთხი საუკუნეა იმერხევი მთლიანად მოწყვეტილია საქართველოს ტერიტორიით, კულტურით, ეკონომიკით. იმერხეული კილოც იზოლირებულად ფუნქციონირებს — მას არა აქვს კავშირი ქართული ენის სხვა კილოებთან და ქართულ სალიტერატურო ენასთან. თურქულის ზეგავლენა, არსებული ტექსტების მიხედვით, ძირითადად ლექსიკითა და სინტაქსური კალკებით ვლინდება (ესეც XX საუკუნის ათიანი წლების მასალაა, ამჟამინდელ ვითარებაზე ცოტა რამ ვიცით).

(#575)

შავშეთი და კლარჯეთი ისტორიული ნაწილია მესხეთისა, „რომელიც VIII – X საუკუნეებში შეიცავდა მტკვრის ხეობასთან (სამცხე-ჯავახეთ-კოლა-არტაანთან) ერთად ჭოროხის აუზში შემავალ მხარეებს — აჭარას, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს (თორთუმს, ოლთისს) და სხვ.“ (ქართული დიალექტოლოგია).

ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნეში კლარჯეთი წარმოადგენდა იბერიის სამეფოს მეექვსე სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქს, რომელსაც განაგებდა ერისთავი. ახალი წელთაღრიცხვით VIII საუკუნეში ეს მხარე გავერანებულა მტერთა შემოსევებისა და ქოლერის ეპიდემიის გამო. მისი აღორძინება იწყება VIII საუკუნის დასასრულიდან, როცა შიდა ქართლიდან მოხდა არაბთაგან შევიწროებული მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია და დამკვიდრება შავშეთ-კლარჯეთის ტერიტორიაზე. IX საუკუნეში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის სამეფო (დედაქალაქი — არტანუჯი); „იგი გახდა ქართული კულტურის ახალი ცენტრი და საქართველოს სამეფოს გაერთიანების მოთავე“ (ქართული დიალექტოლოგია). პოლიტიკურ-კულტურული განვითარების მწვერვალს საქართველოს ამ მხარემ IX-X საუკუნეებში მიაღწია. მარტოოდენ ჩამოთვლაც იკმარებდა: ტბეთის, ხანძთს, შატბერდის, ბანის, ოშკის, იშხნის, ხახულის, პარხლის ტაძრები და მონასტრები... გრიგოლ ხანძთელი, მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მერჩულე, საბა იშხნელი... აქ განმტკიცდა ის სულისკვეთება, რომ „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

XVI საუკუნეში ოსმალო თურქებმა ეს მხარე მიიტაცეს, „ქართველები ძალით გაამაჰმადიანეს, ენა წაართვეს, ტადიციები დაავიწყეს“ (ქართული დიალექტოლოგია).

1878 წელს მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი საქართველოს დაუბრუნდა (კერძოდ, ბასიანის მხარეთა ნაწილი; სახელდობრ, ოთხი კანტონი: კარი, კარნიფორი, ხორტევანი და ზარიშტიანი ანუ წინუბანი), მაგრამ რელიგიური ფანატიზმი თავისას შვრებოდა: გამაჰმადიანებული ქართველობა თავისი სამკვიდროდან იყრებოდა და თურქეთის შიდა ოლქებში სახლდებოდა, რასაც გარეშე წამქეზებელიც უწყობდა ხელს (მაშინდელი რუსეთისა და თურქეთის ხელისუფლების სახით). „1918-1920 წლებში ეს მხარე ხელახლა დაჭერილ იქმნა თურქეთის მიერ“ (პ. ინგოროყვა). მიგრაციის პროცესი დღესაც გრძელდება: იმერხეველებს თურქეთის შიდა

პროვინციების ნოყიერ ადგილას ასახლებენ, ხელს უწყობენ... მიზანი ეთნიკური ასიმილაციის დაჩქარებაა.

ვახუშტი ბატონიშვილი დაწვრილებით აღწერს ერუშეთს, არტანს, კოლას, შავშეთს, ლიგანის ხეობას, იშხანს, არტანუჯს, ოლთისს, ტაოს, (#576) ბასიანს, თორთომს, კლარჯეთს... და აერთიანებს მათ სამცხე- საათაბაგოში (|| სამცხე-კლარჯეთში).

„მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე დიდი ხანია მოწყვეტილია საქრთველოს და ქართული მოსახლეობა ბევრგან გადასულა თურქულ ენაზე ან სხვა ხალხს (სომხებს...) დაუჭერია მათი ადგილი, სოფლების, მდინარეებისა და, საერთოდ, გეოგრაფიული პუნქტების ქართული სახელები დღესაც კარგადაა დაცული“ (ქართული დიალექტოლოგია).

ე. თაყაიშვილის ცნობით, აქაური ქართული ტაძრები ან ნანგრევებადაა ქცეული, ან მეჩეთებად თუ ბერძენთა და სომეხთა ეკლესიებადაა გადაკეთებული, ანდა ბოსლებად და საბძლებადაა გამოყენებული. მიუხედავად ამისა, ქართული კვალი დღესაც შემონახულია იქაც კი, სადაც ქართველები აღარ სახლობენ. საცნაურია, მაგალითად, რომ ოქრობაგეთის სომხები ხმარობენ ქართულ სიტყვებს: გოგო, ჩიტი, ძერა... ნ. მარს მაქვს ცნობა, რომ სომეხმა ქალმა სომხურად მეტყველებისას წმინდა ქართული გამოთქმით იხმარა სიტყვა „განაყოფი“ (ოჯახის შტო-გვარის დასასახელებლად). ქართული სიტყვები, სახელწოდებანი შემორჩენილია მაშინაც, როცა მათი თარგმნა უცდიათ: სომხური „შავშეთი ჯურ“ იგივე „შავშეთის წყალია“, „მახარობი წორ || ძორ“ — „მახარობლის ხევი“, თურქული „არდანუჯ-ჩაი“ — იგივე: „არტანუჯის წყალი“ ან „არტანუჯის ხევი“...

ნ. მარისვე აღწერით ვიგებთ, რომ ქართულ ოჯახებში შემონახულია სამეურნეო ყოფის ნივთები: ჭახრაკი, საჩეჩელი, ხელწალი, ნიჩაბი, თოკვი, კეცი, თხი, კიბე , გოდორი, მანგალი „ნამგალი“, გიდელაჲ... ოპიზაში შემორჩენილია ყურძნის ადგილობრივი ჯიშები: საფერავი, მელüსკüდ (მელისკუდი), ხევარდულ, ბუტკო, წყალთეთურ, შიშველ... ოპიზაში დედაენა დავიწყებული აქვთ, მაგრამ მისი ძლიერი კვალი მაინც იჩენს თავს: ნ. მარის შენიშვნით, ოპიზელები თურქულად ისე სწრაფად მეტყველებენ, რომ ერთი მარცვლის წარმოთქმის დრო ყოფნით სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვის წარმოსათქმელად. „უნებლიეთ მოგაგონდება კაცს გურული მეტყველების ტემპი, გადატანილი თურქულ ენაში“ (ვ. თოფურია).

დაცულია ქართული ქცევის ეტიკეტიც; მაგალითად, ნ. მარი საგანგებოდ აღნიშნავს სტუმრისადმი მიმართვის ქართული ყაიდის ფორმებს: „დაგწონდა ეს ადგილები, ბატონო?“ ან: „ამ ფურთუნაში (=ქარიშხალში) სად წაბძანდები?“ ან: „გაგაწყინეთ, ბატონო!“

ენობრივად იმერხეული ახლოს დგას ქართული ენის სამხრეთ და დასავლურ დიალექტებთან: უწინარეს აჭარულთან, შემდეგ — სამხცურ- ჯავახურთან, გურულთან; თავს იჩენს ქართლურის ფენაც (ქართული დიალექტოლოგია).

(#577)

იმერხეულში ზოგჯერ დამოუკიდებლივ დაჩნდება ის ტენდენციები, რომლებიც ქართული ენის სხვა დიალექტებშიც გვხვდება. სწორედ ამით არის ეს კილო ამჯერად ღირსსაცნობი.

***

I. ფონეტიკა.

დაცულია ჴ:ჴელი, ფეჴი, ჴევი, ჴმელი. თუმცა მერყეობაა ერთი და იმავე პიროვნების მეტყველებაშიც კი: პარალელურად წარმოთქვამს ხ-ს: ხელი, ფეხი, ხარი.

გვხვდება û: ქმნის როგორც დამავალ, ასევე აღმავალ დიფთონგს: ყûელაფერი, ერქûა; დეკეûლი, ბეûრი. û არის რეფლექსი უ ხმოვნისა (შაური → შაûრი, დეკეული → დეკეûლი), ვ სონანტისა (ქვა→ ქûა || ქუა, ყავს → ყაûს, წავიდა →წეûდა, მოვიტან → მეûტან, სძინავს → ძინûან „სძინავთ“).

დადასტურებულია ჲ, რომელიც არის ი-ს რეფლექსი უპირატესად ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: ა) ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნად: ანაჲ „დედა“, ბაბაჲ „მამა“, გიდელაჲ, კოლოფაჲ; ზოჭროჲ (საკუთარი სახელია); ასევე: მარიობაჲ „მარიამობისთვე“, წოვაჲ (რძის პროდუქტია); ნასესხები: დონთბაჲ || დონთბარი „მოდუღებული დოს გაწურვით მიღებული პროდუქტი; ან: პაწაჲ ზროხა „პატარა ზროხა, კაჲ ზოფაჲ „კარგი კეტი“. -ი → -ჲ პროცესს ვერ აბრკოლებს ენკლიტიკა: „სერდალაჲა (= სერდალა არის) ჩემი ქმარი“. -ჲ დაჩნდება აგრეთვე ფუძეუკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში: ფენჯერაჲს „ფანჯრის“, ფენჯერაჲთ „ფანჯრით“, ფენჯერაჲდან „ფანჯრიდან“. პარალელურად შეგვხვდება სრულხმოვანი -ი-ც: აინა „სარკე“ → აინაით გაუხედა „სარკით გახედა“ ბ) -ა || -ე სუფიქსიან ვითარებით ზმნისართებთან ნართაულ ელემენტად: ჩქარაჲ, მალეჲ, უჩუმალაჲ. ანალოგიური მდგომარეობაა მაშინაც, როცა მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობა გამოიყენება მიზნის გარემოებად: მოსაკლელაჲ. გვხვდება დროის გარემოების გამომხატველ ნასესხებ ფორმაში: ყულაჲ „მაშინ“, გ) კვეცადი ზმნის ბოლოკიდურა პოზიციაში: წადი → წაჲ, მოდი →მოჲ, ჩამოდი → ჩამოჲ და მისთ.; დ) დაჩნდება როგორც ზმნის ი- პრეფიქსის რეფლექსი ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის მომდევნოდ: აიღე → ეჲღე, აიყვანა →ეჲყვანა, გაიგონა →გეჲგონა, გაიქცა →გეჲქცა, დაიჭირავენ → დეჲჭრვენ, შეიქნა →შეჲქნა, წაიყვანა→ წეჲყვანა, გამოიარა → გამეჲარა, შემოინახა → შამეჲნახა; შევნიშნავთ, რომ I სუბიექტური პირის ფორ(#578)მებში ი- → ჲ- იკარგვის ვ- პირის ნიშნის მომდევნოდ: წავიყვან → წევყვან, მოვიყვან → მევყვან, დავინახო → დევნახო, გამოვიგონოთ →

გემევგონოთ; შესაძლოა დაიკარგოს ფუძსეული ვ-ს მომდევნოდაც: მივიდა →მივდა || მიჲდა (ოღონდ ამას სხავგვარი ახსნაც აქვს: ივარაუდება, რომ მოქმედებს მორფოლოგიური ანალოგია; შდრ.: მოვკალ — მოკლა, და: მივედი — მივდა); ე) დასტურდება ენკლიტიკის შემთხვევაშიც: რა იქნა → რე-ჲქნა || რე-იქნა; ვ) შეგვხვდება ხმოვანზე დაბოლოებულ კავშირებთანაც: რავაჲ „როგორ“; ზ) ჲ შემოყოლილია ნასესხებ სიტყვებს; თავკიდურა პოზიციაში: ჲეთიმი „ობოლი“, ჲაჲლაჲ „იალაღი“, ჲა „ან“; ფუძის შგნით: ქეჲფი „ქეიფი“, ყაჲნი „ცოლისძმა“; თ) სპორადულად დაჩნდება ხმოვნის წინ თანხმოვნის მომდევნოდ: ჩივჲან „ამბობენ“.

აე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: დაეძინა → დეეძინა, დაებმიან →დეებმიან; ცვლილებას ვერ აფერხებს პირის ნიშნები: დამელია → დემელია, დამეყარა → დემეყარა, დამეთხოვე →დემეთხუე; დაგეწიე → დეგეწიე, დაგეტყობა → დეგეტყობა; პროცესი არ ბრკოლდება ხმოვანთკომპლექსში ფუძისეული ვ-ს პოვნიერების შემთხვევაშიც: წაველი → წეველი, შდრ.: წევა „წავა“ (ასევე: ევა „ავა“, გევა „გავა“; სადაც დისტანციური რეგრესული დისიმილაცია ივარაუდება). ბოლოკიდურა პოზიციაში სხვაგვარი ვითარებაა: აე → ეე (სრული რეგრესული ასიმილაციით) → იე (რეგრესული დისიმილაციით): თმაები → თმეები → თმიები. ანალოგიურად იცვლება პირველადი ეე კომპლექსიც: კლდეები → კდიები, ტყეები → ტყიები. (-იებ გაიზარება ერთიან ფორმანტად და დაჩნდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც: სოფლიები, ცრემლიები; უპირატესად მაინც ფუძეკუმშვად სახელებთან გვხვედბა). ასეთივე ვითარებეე -ე-თი დაწყებული სხვა სუფიქსების დართვისასაც: გაღმაელი → გაღმეელი → გაღმიელი, პირველადი ეე კომპლექსი რეგრესული დისიმილაციით იცვლება თავკიდურა პოზიციაშიც: შეეყარა → შიეყარა, შეეხვეწა → შიეხვეწა, შეეძლება → შეიძლება (მაგრა იქვე: შეეძლებოდა).

აი, ოი → ეი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: აიღე → ეიღევი, დაიჭირა → დეიჭირა; გადაირჩნა →გადეირჩინა || გედეირჩინა; მოითავა → მეითავა, მოიტირა → მეიტირა, მოიყვანა → მეიყვანა... პროცესს ვერ აბრკოლებს პირის ნიშნები: ჩავიცვი → ჩავიცვი, გადავირბინე → გედვირბინე; გამიყვანე → გემიყვანე, გამიქორდეს „დამიბრმავდეს“→ გემიქორდეს, გაგიხარდა → გეგიხარდა, გულმა გაგვიწყალდა → გეგვიწყალდა. რთულ ზმნისწინში იცვლება მხოლოდ მეორე კომპონენტი: ამოვიღებ → ამევიღებ || ამევღებ. ძალზე იშვიათია (#579) შემთხვევები, როცა ი- პრეფიქსი იწვევს სრულ რეგრესულ ასიმილაციას: ხელი მომიწყვე → ხელი მიმიწყევი.

აუ →ოუ → უუ სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: გაუხსნა → გოუხსნა → გუუხსნა, გაუხარდა → გუუხარდა, დაუდვა → დუუდვა, დაუბა →დუუბა, წაუყვანია → წუუყვანია. იცვლება პირველადი ოუ კომპლექსიც: მოუყვანია → მუუყვანია; ამავე შედეგს იძლევა იუ კომპლექსიც: მიუყვანა → მუუყვანა, მიუტანა →მუუტანა, მიუგდო →მუუგდო. დადასტურდა „მუტანე“ ფორმაც (← მუუტანე). მრავლად გვაქვს შემთხვევები, როცა აუ მხოლოდ ნაწილობრივი ასიმილაციის

საფეხურზეა შეჩერებული: გავუძელი → გოუძელი, გაუხარდა → გოუხარდა, დაუძახა →დოუძახა, დაუხვედრებია →დოუხვედრებია, წაუყვანია → წოუყვანია; ხოლო პირველადი ოუ უცვლელია: მოუპარავს, მოუყვანია. ზოგჯერ არ იცვლება აუ კომპლექსიც: წაუყვანია. დისიმილაციით იცვლება ეა კომპლექსი: შეადნო →შიადნო; ანალოგიური ვითარებაა ეე კომპლექსის შემთხვევაშიც: შეეხვეწა →შიეხვეწა. შეეძლება → შიეძლება (იხ. ზემოთ).

ასევე: ოა →უა, ოე → უე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე; პროცესს ვერ აბრკოლებს ვ- (I სუბიექტური პირის ნიშანი ან ფუძისეული თანხმოვანი)ლ თავს იჩენს როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში: მოვათავე →მუათავე, მოვახსენებ → მუახსენებ, მოადგა → მუადგა, მოვა →მუა, წამოვალ → წამუალ; იშოვა → იშუა; ასევე: მოველი →მუელი, მოეწია → მუეწია, გამოეკიდა → გამუეკიდა (რთულ ზმნისწინში იცვლება მხოლოდ მეორე კომპონენტი); გოგოები → გოგუები, დამეთხოვე → დამეთხუე. იმავდროულად ხშირია შემთხვევები, როცა ოა, ოე კომპლექსები უცვლელია.

რთული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს დიდრიან-ი „დიდი, დიდროვანი“ (|| დიდრვიანი): „დიდრვიანებს დუუჯერა ჰასან ფაშამა“; კერძოდ: დიდროვანი →დიდრუანი (რეგრესული დისიმილაციით) → დიდრვიანი (უ→ ვი პროცესის შედეგად) || დიდრიანი (ვ-ს დაკარგვით); ანალოგიურად: დატოვეს →დატოეს → დატუეს → *დატვიეს → დატიეს; ასევე: დავტოვოთ → დავტოოთ →დავტუოთ → *დავტვიოთ → დავტიოთ.

ვე →ო: ქვემო → ქომო, შედღვებენ →შედღობენ.

ევ კომპლექსის პოზიციაში გვაქვს ო: კიდო „კიდევ“.

ხშირია ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაცია: იქვე →იქვენ, ისვე →ისვენ, რომელ → რომე (ლ-ს დაკარგვით) → რომენ (თუ აქ ლ : ნ მონაცვლეობა არა გვაქვს).

(#580)

სისტემებრ გვხვდება ძ →ზ: მოძებნა →მოზებნა, უბრძანა → უბზანა, ძალიან → ზალიან || ზალი̃ან; დაცულია საბზელ-ი ფორმა, აგრეთვე: ზროხა...

დადასტურდა ხშულისა და სპირანტის შერწყმით მიღებული აფრიკატი: ერთს → ერც.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: მოკვდა →მოკვტა, ვინცაღა → ვინცღა → ვინცხა, რაცაღა → რაცღა →რაცხა.

თანხმოვანთა დისიმილაცია: მოსლული →მოსრული „მოსული“ („გოგო მოსრულია ფენჯერაზე“), წლეულ → წრეულ, სულ მთელი → სუნთელი.

ხშირად იკარგვის -ს: მიცემითის ნიშანი ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი: „ბევრ(ს) ინადირებენ, დათვ-მათვ(ს) ბევრ(ს) მოკვლენ, ყურდღელ(ს) მოკვლენ“; „ სოფლებ(ს) ნახავთ“; „ორ საათ(ს) იქით“; „მომ|| მუმ (= სანთელს) აანთებს“... „წეჲყვანეს ბიჭი ხუთი საათი(ს) გზაზე“; „მოჳდა წისქვილი(ს) კარში“; „ქოროღლი(ს) ბეგებ(ს) დეეძინენ“; „რა კაცი(ს) შვილი ხარ?“...

იკარგვის მ (მთა→ თა), რ (რკო→კო, ბრძანა →ბძანა → ბზანა).

ორი იდენტური თანხმოვნის კომპლექსი მარტივდება: ხანუმმა → ხანუმა.

ვითარდება ვ: უჩუქებია →უჩუქვებია, აჩუქა → აჩუქვა || აჩუქჳა; დასტურდება თოკვ-ი (|| საბელი).

იცვლება სწ და სტ კომპლექსები: სწ → წ (ასწავლის→აწავლის); სტ →შტ (დასტვენა→დაშტვენა).

თანხმოვანთა სუბსტიტუცია შეინიშნება როგორც საკუთრივ ქართულ (ვიწრო|| მიწრო), ასევე ნასესხებ (ხიდმეთი || ხიზმეთი „სამსახური, პატრონობა“, სანდუკი || სანდუღი „ზანდუკი“, სილაღი || სილაჰი || სილაი „იარაღი“) სიტყვებში.

კონტამინაციის შემთხვევა: სცოდავს →ცოდვა || ეცოდება →ეცოდვება (ნამყო ძირითადი: შეეცოდვა — ვ ფუძისეულ ელემენტად გააზრიანდა).

შეინიშნება გადაბგერება ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში: თანხმოვნისა (დათვი-მათვი, სისხლი-მისხლი), ხმოვნისა (ბაღან-ბუღანა).

***

II. მორფოლოგია.

ა) სახელთა ბრუნება. სახელობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები დაირთავენ -ი → -ჲ ნიშანს: ანაჲ, ბაბაჲ, გიდელაჲ, ზოჰრაჲ.

(#581)

მოთხრობითში ამ ტიპის სახელებთან -მ ნიშნის პარალელურად იპოვება -მა: „წეჳდა მემრე თეჰარ მირზამა“, „დუუძახა ჰასან ფაშამა ქელოღლანი“, „არ მიცა ნება თავის დედამა“; და ასე: თვემ | თვემა, სიძემ || სიძემა.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება გარემოებად: „ჩასულა ჩამლიბეს სადილობიხან(ს)“.

ვითარებითში ბრუნვის ნიშნის ორი ნაირსახეობაა: -ად → -ათ || -დ → -თ („ქვეყანა მტერათ ემიდგა“; და ასე: ავათ, თლათ „მთლად“, სანახავათ, ქიდათ „მასხრად“) და -ა (ხშირად რთულდება -ჲ დანართით: ჩქარაჲ, უჩუმალაჲ, მოსაკლელაჲ).

წოდებითში დაჩნდება შეკვეცილი ფორმები: ჭოჳ! „ბიჭო!“

მავრცობ ხმოვნად დასტურდება -ა და -ი. ორივე უპირატესად გვხვდება პაუზის წინა პოზიციაში ან ნაწილაკ-მორფემოიდების წინ: „ფაშას უნდა მოუყვანო ცხენი ქოროღლისა“, „არაკაცსაც არ იჯდუმლეფს“; -ი გვხვდება ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძეკვეცელ სახელებთან: თეჰარ მირზასი თავის მაშუყეთის ნათქვამი „თეჰარ მირზას შესახებ მისი შეყვარებულის მიერ ნათქვამი“. ზოგჯერ -ა მავრცობ ხმოვნად დაჩნდება სხვა პოზიციებშიც: „მისცა გოგუებსა ფული“, „ჩემ დერდსა (= დარდს) სიმღერით გაგაგნებიეფ“.

ადგილის ზმნისართები ხშირად რთულდება -ზე თანდებულით: „შეჳდა გაღმაზე“, „გააშპუნა გაღმაზე“. საერთოდ, მსგავს შემთხვევებში თანდებულიანი ფორმის ხმარება ჩვეულებრივია: „კარზე მოდგა“ (შდრ.: კარს მოადგა).-ზე თანდებულიანი ფორმა ცვლის ვითარებით ბრუნვას: ხაზირზე „ხაზირად, მზად“; შესაძლოა შეენაცვლოს -თან თანდებულს ადგილის გარემოების გამოხატვისას: „დატია ჯარი ქალაქზე (= ქალაქთან) ახლოს“, „მიჳდა გოგოს ყონახზე (= სახლთან) ახლოს“. გამოიყენება დროის გარემოების გამომხატველ ფორმათა საწარმოებლად: „ორ დღეზე დუღუნი (= ქორწილი) მეითავეს“.

-თან თანდებულის დართვისას ორი ნაირსახეობაა: იკარგვის ან მიცემითი ბრუნვის -ს (ქოროღლითან, გოგოთან), ან თანდებულისეული -თ (ქოროღლისან, გოგოსან); ეს მოვლენა, ჩვეულებრივ, დაჩნდება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან, თუმცა პარალელურად სრული ნაირსახეობაც შეგვხვდება: „ქელოღლანმა ფერუჩეთ ხანუმესთან დაწვა“.

-კენ წარმოდგენილია -კე სახითაც: „სითკე წეჳდე?“

-თვის თანდებულის ნაცვლად იხმარება -თვინ: ქოროღლისთვინ, კაცისთვინ, ბეგისთვინ, ცხენისთვინ, მისთვინ, წაყვანისთვინ.

-ნაირ თანდებულის ნაცვლად გამოიყენება ნასესხები ჯინს-ი: ყჳალა ჯინსის „ყველანაირი“. (#582)

-გან თანდებულიანი მოქმედებითი ცვლის ამავე თანდებულიან ნათესაობითს: „ბიჭიდან შვილი არ ყავდა იმ ბეზირგანს (= დიდვაჭარს)“, „დედაბერმა ფული ეჲღო ზოჰრადან“. -გან თანდებულიანი ფორმა ხშირად ეხამება ეშინია, სცხვენია ტიპის ზმნებს: „ცხენებიდან შემეშინა“.

დადასტურდა -დამ: „არ სვეს ცხენებმა ქურუნიდამ (= გეჯიდან) წყალი“; ეშინია, სცხვენია ტიპის ზმნებთან დაჩნდება -დამ თანდებულიანი ფორმაც: „ჩიტიდამაც მეშინოდა“.

„მარტო“ ცვლის -გარდა თანდებულს: „შენ მარტი (= გარდა) სხვა არ მინდა“.

„შემდეგ“ თანდებულ-მორფემოიდის დანიშნულებით შეგვხვდება „იქით“: „ერთ თვეს იქით ჩეჩდა თავლახანაში“ (დაერთვის მიცემით ბრუნვის ფორმას).

თანდებულ-მორფემოიდად „ქვეშ“ მიერთვის მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: „ქერუმ (ზედმიწევნით: გეჯას) ქვეშ ვიმალოდი“; შდრ.: „ქურუნი (= გეჯის) ქვეშ“.

***

განსაზღვრებით ნაცვალსახელად გვხვდება ამოვალ || ამუალ „მავანი, ესა და ეს“; „თვით“ ნაცვალსახელს ცვლის „თავით“.

ირევა „თავისი“ და „მისი“ ნაცვალსახელები: „მანაც უნდა მომცეს მისი გოგო“; შდრ.: „არ მიცა ნება თავის დედამა“.

***

ბ) სახელთა მრავლობით რიცხვის წარმოებისათვის. III პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვი -ნ ფორმანტით იწარმოება: აგი-ნ-ი; დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: აგინმა, აგინს, აგინის: „აგინი (= აგინის) გოგომ უთხრა...)

***

გ) ზმნა. რთული ზმნისწინის შემადგენლობაში დაჩნდება შა-: შამოგითვლი, შამეიჯდუმლა...

II სუბიექტური პირის ნიშანი არ გვხვდება, III ობიექტური პირისა — აქა-იქ შეინიშნება: მისცა || მიცა (შდრ.: ქონდა, ტაცა, კითხა).

მხოლოობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად ნამყო ძირითადში გამოიყენება -ა (იქაც, სადაც შესაძლებელია დაჩნდეს -ო): იცნა, მოუსწრა, დუუდვა; შეატყვა; შეიტყვა.

(#583)

მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანი ნამყო უსრულში არის -ენ: ეტყოდენ; ნამყო ძირითადში: ა) გარდამავალ ზმნებთან — -ეს: ტაცეს, სცემეს, გაწყვიტეს, თქვეს, სვეს, ახადეს, გამეტანეს, მი(ს)ცეს, შეხედეს (ეს უკანასკნელი მიჰყვება გარდამავალ ზმნებს, თუმცა პირდაპირი ობიექტი აღარ ახლავს); იშვიათად დაჩნდება -ენ: „ესკერი (= ჯარისკაცი, ჯარისკაცები) გაწყვიდენ (= გაწყვიტეს)“; ბ) გარდაუვალ ზმნებთან — -ენ || -ნენ: გახდენ, გეიქცენ, შეფხუკდენ, წამევიდენ, ადგნენ, დარჩნენ. რაც შეეხება ი-ყვ-ნ-ენ ტიპის ფორმებს, აქ -ნ-ენ შეპირობებულია სისტემით (ვ-ი-ყვ-ენ-ი-თ, ი-ყვ-ენ-ი-თ, *ი-ყვ-ენ-ენ → ი-ყვ-ნ-ენ).

ობიექტის მრავლობითობა -ან || -ენ ფორმანტებით გამოიხატება. ეგევე ფორმანტები გამოიყენება ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის

მრავლობითობის აღსანიშნავად: აწმყო — აქვან „აქვთ“, ძინჳან „სძინავთ“; ნამყო უსრული: ქონდენ „ჰქონდათ“; ნამყო ძირითადი: დეეძინენ „დაეძინათ“, მუაგონდენ „მოაგონდათ“, გუუხარდენ „გაუხარდათ“; I შედეგობითი: გარდამავალი ზმნებისა: უქნიან „უქნიათ“; გარდაუვალი ზმნებისა: ჰქონიან „ჰქონიათ“. „უნდა“ ზმნა წარმოდგენილია ორმაგი სუფიქსაციით: უ-ნდ-ან-ან.

სტატიკურ ზმნებში -ან ფორმანტით გამოიხატება გრამატიკული სუბიექტის მრავლობითობაც: წევან „წვანან“ (წევან და ძინჳან „წვანან და სძინავთ“).

ზოგი თავისებურება ახასიათებს ზმნის ფუძის წარმოებას.

შეიმჩნევა ზმნის მარტივი ფუძის გართულების შემთხვევები იჭირავს „იჭერს“. ზოგჯერ ფუძე გართულებულია -ივ → -ისუფიქსით: იშვილიეფს „იშვილებს“ (ნამყო ძირითადი: იშვილია „იშვილა“).

შეინიშნება თემის ნიშანთა შენაცვლება: გადაადნეფს „გადაადნობს“, ეყოლის „ეყოლება“ (შესაძლოა, -ავ /-ამ თემისნიშნიან ზმნათა ანალოგიით; შდრ.: ემალვის, და: ეყოლის), ტრიალოფს „ტრიალებს“.

მოქმედებითი გვარის -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათაგან ნაწარმოები ვნებითი -ვ-ი/-მ-ი დაბოლოებითაა წარმოდგენილი: იმალვის, დეებმის (ნამყო უსრულში: იმალოდა, დეებმოდა).

-ავ/-ამ თემის ნიშნები მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში რედუცირდება -ენ ფორმანტის დართვის გამო: ნახვენ, დეჲჭირვენ, იკითხვენ; სმენ. მეტათეზისი არ ხდება: მოკლვენ (და არა: მოკვლენ).

ვნებითის პრეფიქსიანი ფორმების ნაცვლად გამოიყენება სუფიქსიანი (დამწონდება „მომეწონება“, დაგწონდება „მოგეწონება“; დაგწონდა „მოგეწონა“) და, პირიქით, სუფიქსიანი ვნებითის მაგივრად შეგ(#584)ვხვდება პრეფიქსიანი (გეეთხჳება „გათხოვდება“; ნამყო ძირითადი: გეეთხუა „გათხოვდა“).

წევ-ს არ იკუმშება (წევ-ან „წვანან“; იხ. აქვე, ზემოთ); ძევ-ს, პირიქით, შეკუმშულია (წარმოება -ი სუფიქსიანია): ძ-ი-ა (←* ძვ-ი-ა) — მიჰყვება დვია, გდია ტიპის წარმოებას.

თავისებურად იწარმოება ჯედ- ფუძისაგან მოქმედებითი გვარის ზმნა: საყრდენად აღებულია მასდარი (ჯდომა→ჯდუმა; ო → უ გადაბგერებით ასიმილაციის საფუძველზე), რომელიც რთულდება -ილ → -ლ სუფიქსით (ი-ჯდუმ-ლ-ეფ-ს, ი-ჯდუმ-ლ-ა): „არაკაცსაც არ იჯდუმლეფს (= არ ისვამს)“; შამეიჯდუმლა „შემოისვა“ (შდრ.: იჩივლა, შემოსჩივლა).

ვნებითის ფუძეში შესაძლოა გადავიდეს მოქმედებითის ფუძის მაწარმოებელი -ენ →-ნ: და-ვ-ა-რჩ-ენ → და-ვ-რჩ-ნ-ი-თ „დავრჩით“ (დაჩნდება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმებში; როგორც ჩანს, და-ვ-ი-მალ-ენ-ი-თ, და-ვ-ი-მალ-ნ-ე-თ ტიპის ფორმათა ანალოგიით).

ნამყო უსრულში -ავ/-ამ თემის ნიშანი გახმოვანებას იცვლის (-ავ→ -ევ): „იმ სანდუკში მალევდა ბიჭს“.

ნამყო ძირითადში მოვიდა, წავიდა ფორმათა ნაცვლად დასტურდება: მოვდა || მოჳდა, წევდა || წეჳდა; მეორე კავშირებითში: მოვდეს, წევდეს. ეძლევა ორგვარი ახსნა: ა) იკარგვის ვ-ს მომდევნოდ საერთო ფონეტიკური წესის შესაბამისად: მოვიდა →მოვდა, შდრ.: მოვიტანე →მევტანე; ბ) ი-ს დაკარგვა მორფოლოგიური სტრუქტურითაა შეპირობებული: მოვკალ, მოჰკალ, მოკლა; შდრ.: მოვედი, მოხვედი, მოვდა — I და II პირის ფორმებში ფუძე ორივე შემთხვევაში სრული გახმოვანებითაა წარმოდგენილი, III პირის ფორმებში — შეკუმშულია (გ. გოგოლაშვილი).

ზოგჯერ II კავშირებით გამოყენებულია თხრობითი კილოს მყოფადის ფუნქციით: „მომიყვანეთ ჩემი ცხენი, სილაჰი (= იარაღი), გამუეკიდო (= გამოვეკიდები, უნდა გამოვეკიდო) ამ კაც მე“; „რამდენიც გინდა, მოგცე ფული (= მოგცემ ფულს)“; „თქვენ აქ იყავით, მე წაჳდე || წავდე (= წავალ)“. ასეთ შემთხვევებში ხშრად ვალდებულებითობის სემანტიკაც ილანდება.

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში -ავ/-ამ შენარჩუნებულია: უნახავს, მოუპარავს; დაუბამს.

კაუზატივის ფორმათაგან ღირსსაცნობია ა-სვ-ამ-ს „ასმევს“ (შდრ.: სვ-ამ-ს); როგორც წესი, -ინ → -ი: დააბანიეფს, დააბანია; მოაპარვიეფს, მოაპარვია; გააშვებიეფს, გააშვებია; გააკეთებიეფს, გააკეთებია... ყურადღებას იქცევს: დააძხნია „დააძახებინა“, სადაც -ებ თემის ნი(#585)შანს ცვლის -ნ ფორმანტი (ხოლო -ინ → -ი, საერთო წესის მიხედვით). დაჩნდა ისეთი ნიმუშიც, როცა -ევ-ინ ფონეტიკურად უცვლელია: დააკვლევინა, მოაკვლევინა (შდრ.: მოაკვლევია || მოაკვლეინა).

***

დ) ნაწილაკ-მორფემოიდები; სიტყვათწარმოება. „თურმე“ ნაწილაკის ნაცვლად გამოიყენება „მეგემ“: „მეგემ თლათ წევან და ძინჳან“ („მეგემ“ ნიშნავს ამასაც: „უცებ, უეცრად“).

„მაინც“, „ბარემ“ ნაწილაკ-მორფემოიდებს ცვლის ნასესხები „ზათი“.

გამაძლიერებელი დადასტურებითი ნაწილაკის დანიშნულებით გვხვდება „ზე“: „ის ზე (ის კი, ის კიდევ) დამწყვდეული დარჩა“.

ნასესხები „ჰემ“ გამოიყენება -ც, „აგრეთვე“ ნაწილაკების ფუნქციით: „მაწონს რო გააკეთებენ, იმას შედღობენ, ჰემ ერბო გამოვა, ჰემ წოვაჲ ან დონთბაჲ (= ერბოც გამოვა, წოვაც ან დონთბაც)“; ცვლის აგრეთვე თან || თანაც ნაწილაკ-მორფემოიდს: ჰემ სიმღერას ეტყვის „თან სიმღერას (|| სიმღერასაც) ეტყვის“.

***

ვითარებითი ზმნისართის ფუნქციით გვხვდება სახელობითში დასმული ფორმა: „მეტი (= მეტად, ძალიან) შეეშინდა“.

ჩხუბ-ი პირველადი მასდარის ადგილს იჭერს ჩხუბ-ობ-ა (რომელიც ჩხუბ-ობ-ს ზმნისგან არის ნაწარმოები). მასდარის ფუძე (*თხოვ-ინ-ი; შდრ.: თხოვ-ილ-ი) უნდა იყოს ამოსავალი ნა-თხოვინ-ი საობიექტო მიმღეობისათვის. შევნიშნავთ, რომ ნა-პრეფიქსიანი მიმღეობა ზოგჯერ ახლებურადაა გააზრებული: „თავის ნამსახურ ცხენთან ეჱდა“ (ნამსახური — „რომელსაც ემსახურა, მოუარა“).

დასტურდება ნამყო დროის საობიექტო მიმღეობათა პარალელური წარმოების შემთხვევები (-ავ თემისნიშნიან ზმნათაგან): კოჭ-ავ-ს →გა-კოჭ-ვ-ილ-ი (თემის ნიშანი გადაჰყვება) || გა-კოჭ-ილ-ი.

II სერიის ფუძეა საყრდენი ა-ვს-ებ-ს ზმნის საობიექტო მიმთეობისათვის: ა-ვს-ილ-ი „ავსებული“.

სასუბიექტო მიმღეობათა წარმოებისას -არ →-ალ (დისიმილაციით) სუფიქსი იფართოვებს გამოყენების სფეროს: „გამომფრინვალი ჩიტი“.

კნინობით ფორმების ძირითადი მაწარმოებელია -ა: „მუხამედავ, არ გეწყინოს...“

(#586)

***

III. ძირითადი სინტაქსური მოვლენები.

ა) სახელობითში, ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშანი დაერთვის როგორც თანხმოვანზე, ასევე ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ატრიბუტულ მსაზღვრელს: ერთ ჩივთლიგი (= მამული), კარქი ცხენი; პაწაჲ ძროხა, კაჲ ზოფაჲ (= კეტი), პაშტაჲ (= დიდი) დათვები. სხვა ბრუნვებში ფუძის სახით შესაძლოა იყოს წარმოდგენილი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული მაზღვრელიც: ჩემ ბაბამ, თავის დედამა, მის სიძემა.

მართულ მსაზღვრელს, როგორც ითქვა (იხ. ზემოთ: „ფონეტიკა“), ხშირად ეკვეცება ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვნითი ელემენტი: ბახჩი (= ბახჩის) ბოლოს.

ბ) ე-შინ-ი-ა ტიპის ზმნებთან დაცულია ძველი ქართულისებური კონსტრუქცია, ოღონდ -გან თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად გამოყენებულია -გან || -დამ

თანდებულიანი მოქმედებითი: „ცხენებიდან (= ცხენების) შემეშინა“; „ჩიტიდამაც (= ჩიტისაც) მეშინოდა“; „დინეჩემიდან (= ბებიაჩემის) მეშინოდა“.

გ) აქტიური სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნათა II სერიის ფორმებთან სუბიექტი ხშირად შეგვხვდება მოთხრობით ბრუნვაში: „წეჱდა მემრე თეჰარ მირზამა“: „გეჲქცა, წეჱდა კაცმა“; „დუუჯერა ჰასან ფაშამა“; „ქელოღლანმა დაწვა“.

დ) „დაუძახა“ ზმნასთან ობიექტი სახელობითშია დასმული: „დუუძახა ჰასან ფაშამა ქელოღლანი“.

ე) ხშირია თურქულის სინტაქსური კალკები: ჩირაღ ქნა „გაანათა, გააჩირაღდნა“, ხიზმეთი უნდა უყოს „უნდა მოემსახუროს“, თემენნა უყო „მიესალმა“, ხიზმეთი უქნია „მომსახურებია, ჰპატრონებია“, ფაშას ხებერი ხვდა „ფაშას ამბავი მიუვიდა“, მასთან სტუმარი გოუხდა „ესტუმრა, სტუმრად დარჩა მასთან“, ზარხოში გახდენ „შეზარხოშდნენ“; წეჱდა იმის ფეშინში „იმის კვალს გაჰყვა“, ის იქ ტირილში იყოს „მან იქ იტიროს“, ქოროღლი დარჩა ხვეწნაში „ქოროღლის თხოვნა არ აუსრულეს“; მეტი ბეჱრად გეხვეწები „ძალიან გეხვეწები“, მემრე რაფერ საქმე დავიჭირო „მერე რა ვქნა“; ახადეს სანდუღი ყაფაღი — ძალიან უკეთესო, ლამაზი დელიყანი „ახადეს ზანდუკს თავსახურავი, (შიგ აღმოჩნდა) ძალიან კარგი (საუკეთესო), ლამაზი ჭაბუკი“. დარღვეულია ქართულისათვის დამახასიათებელი შეხამება პირებისა: მოსული ვარ შენი თავი მოსაკლელაჲ „მოვსულვარ შენს მოსაკლავად || მოვედი, რომ მოგკლა“. დადასტურდა სპეციფიკური კონსტრუქცია სხვათა სიტყვის გადმოსაცემად: არ მიცა ნება, რომ წახვიდე შენ იქა, (#587) თავის დედამა „დედამისმა არ მისცა ნება, არ წახვიდეო შენ იქა“. გვხვდება ქართულისათვის დაუშვებელი კონსტრუქციებიც: „ღმერთმა მთქმელი და დამწერავი (მთქმელს და დამწერს) სეფა (სიამოვნება, განცხრომა) აღირსოს“.

***

IV. ლექსიკა.

იმერხეულს დაცული აქვს ქრისტიანული ყოფის ამსახველი ლექსიკა: „თავკვეთილობაზე, მარიობისთვის მოლევნაზე თოვლი მოვა“; თავკვეთლობა — ქრისტიანული დღესასწაული იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღის აღსანიშნავად; მარიობა || მარიამობა — ქრისტიანული დღესასწაული მარიამ ღვთისმშობლის მიძინების (გარდაცვალების) აღსანიშნავად (ძველი სტილით 15 აგვისტოს); მარიობისთვე — აგვისტო. რასაკვირველია, ეს სიტყვები იმერხეველებისათვის ქრისტიანული შინაარსისაგან დაცლილია, მაგრამ ენას შემოუნახავს მათი ადრინდელი რელიგიის რეალიები.

იმერხეულში დაჩნდება როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ქართული დიალექტებისათვის ნიშანდობლივი ლექსიკა: კაპანი, ნეკერი, პაშტა „დიდი, ბევრი“ (სამცხურ-ჯავახურში: „მცირე, ცოტა“); ჭიჭინა „ჭუჭრუტანა, ნახვრეტი“, კუჩხე

„კუთხე“, პაწა „პატარა, მცირე“, ჭაჭვი „პეშვი“, არაკაცი „არავინ“, გოგოშვილი „ქალიშვილი“.

შემორჩენილია უძველესი ლექსიკაც: ცხრო „ციებ-ცხელება“ და მისთ.

ღირსსაცნობია სემანტიკური გადახრები (ზოგჯერ ამოსავალი მნიშვნელობაცაა დაცული): გაგნება „გაგება“, გააგნებიეფს „გააგებინებს“ („ჩემ დერდსა სიმღერით გაგაგნებიეფ“), გაქუცული „გაძარცვული, გაქურდული“, მოფერება „შეფერება, შეშნობა“, შეხვეწება „შეხვედრა, შეყრა“; შდრ.: გადახვეწა „წასვლა, თვალთახედვის არედან გაუჩინარება“ (სიკვდილს შევეხვეწე „სიკვდილს შევეყარე“); „ქალი“ ქართული ენის დიალექტებში გამოიყენება მნიშვნელობით „ცოლი“, ასეა იმერხეულშც: „მე მითხუე ქალად“. დიალექტური სიტყვათწარმოების საინტერესო ნიმუშია „ცეცხლიდოუნახელი“ (იტყვიან ცეცხლზე გადაუმდნარ თაფლზე): „უგულო თაფლი არი გოდოუმდნარი, ცეცხლიდოუნახელი“.

მრავლად არის უშუალოდ თურქულიდან ან თურქულის გზით შესული ნასესხობამი: ანჯახ „ძლივს“, ბახშიში „საჩუქარი, გასამრჯელო“, (#588)დონთბაჲ || დონთბარი „დოს გაწურვით მიღებული პროდუქტი“, დუღუნი „ქორწილი“, ეფენდი „ბატონი“, ზოფა „კეტი“, თემენნა „მისალმება“, მაშუყეთი „შეყვარებული“, სეისი || სეჲსი „მეჯინიბე“, ფურთუნა „ქარიშხალი“ ფუხარა „ღარიბი“, ყაფაღი „თავსახურავი“, ყულაჲ „მაშინ“, ჩივთლიგი „მამული“, ხალაიღი „მხევალი, მსახური ქალი“, ჯუმბუში „გართობა, მხიარულება, სეირნობა“.

გვაქვს პარალელური ხმარების შემთხვევებიც. მაგალითად, „წისქვილი“ ფორმის გვერდით იხმარება თურქულიდან შემოსული „დეგირმანი“ („მეწისქვილე“ || „დეგირმანჩი“): „მოჳდა ქოროღლი წისქვილი კარში, დუუძახა დეგირმანჩის“.

შეინიშნება ქართული და ნასესხები ფორმების ურთიერთშეხამებაც შესიტყვებაში: ქიდათ იღებს „მასხრად იღებს“.

თურქულიდან შემოსული ფუძეები გამოიყენება ქართული წარმოების ფორმებში: გამო-რეზილ-ებ-ა „შერცხვენა“, გამო-ფიშმან-ებ-ა „დანანება“.

„ცეკვა“ სიტყვის ნაცვლად იხმარება „სამა“; აქდან: ი-სამ-ებ-ს „იცეკვებს“: „სამა (ცეკვა) გინდანან, აგერ მე ვისამებ (ვიცეკვებ)“.

ბიბლიოგრაფია
ნაკვეთი პირველი: დიალექტოლოგიის ზოგადი პრობლემები

თავი I.

1.1.

არნ. ჩიქობავა, ქართული დიალექტოლოგია და მისი ზოგი საზრუნავი,II რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1980.
არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

1.6.

გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.
კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959.
ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.
შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
გ. ცოცანიე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.
ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.

1.8.

გ. ახვლედიანი, შენიშვნა „ვჟარები, ჟარე“-ს შესახებ, ჩვენი მეცნიერება, N 6-7, ტფილისი, 1923.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973.
ე. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, „მნათობი“, 1948, N8.
ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957.
ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტომი I, ნაწილი II, ენის მიმოხილვა და ტაბულები, თბილისი, 1971.
ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV - XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი, 1953.
ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1965-1966.
გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, ქუთაისი 1956.
ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.
ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს., I, თბილისი, 1964.

ი. ქავთარაძე, ენის ისტორიის წყაროები და მათი გამოყენების პრინციპები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათ მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტგილისი, 1923.
ა. შანიძე, –ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, I- II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი III, N2-3, თბილისი, 1942.
არნ. ჩიქობავა, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966.
შ. ძიძიგური, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.

თავი II.

2.1.

Вильгельм фон гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества, Избранные труды по языкознанию, Москва, 1984.
Б. Кроче, зстетика как наука о выражении и как общая лингвистика, I, Москва, 1920.
Фердинанд де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, მაცნე, 1965, N2.
ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
В. М. Жирмунский, Национальный язык и соцоальные диалекты, Ленинград , 1936. В. М. Жирмунский, Немецкая диалектология, Москва- Ленинград, 1956. Е. Ф. Карский, Русская диалектология, Ленинград, 1924. Немецкая Диалектография, Сборник статей, Москва, 1955. Г. Пауль, Принципы истории языка, Москва,1960. Ф. П. Филин, Происхождение русского, украинского и белорусского языков, Ленинград, 1972. Ф. П. Филин, Истоки и судьбы русского литературного языка, Москва, 1981. К. Хааг, О границах диалектов, Немецкая диалектография, Москва,1955. K. Haag, Die Mundarten oberen Neckar- und Donaulander, Reutlingen, 1898.

2.3.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

2.4.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973.
ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.

თავი I I I.

3.1.

Ю. В. Броюмлей, Этнос и этнография, москва, 1973. W. E. Mühlmann, Rassen, Ethnien, Kulturen, Berlin, 1964.

3.2.

ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტომი I I I, თბილისი, 1963.
ფ. ენგელში, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935.
პ. მირიანიშვილი, ქალაქმა რა დააშავა? „ივერია“, 1900, N 208.
ი. ცერცვაძე, ანდიური ენა, თბილისი, 1965.
Л. Блумфилд, язык, Москва, 1968
Джон Дж. Гамперц, Типы языковых обществ, Новое в лингвистике. Выпуск VII, Социолингвистика, Москва, 1975.
Джон Дж. Гамперц, Об этнографическом аспекте языковых изменений, Новое в лингвистике, Выпуск VII, Социолингвистика, Москва, 1975.
В. А. Звегинцев, Очерки по общему языкознанию, Москва, 1962.
Е. Ф. Карский, Русская диалектология, Ленинград, 1924.
Уильям Лабов, Исследование языка в его социальном контексте. Новое в лингвистике, выпуск VII, Социолингвистика, Москва, 1975.
Уильям Лабов, Отражение социалных процессов в языковых структурах, Новое в лингвистике, Выпуск VII, Социолингвистика, Москва, 1975.
Р. Н. Макдевид-мл. Диалектные и социалные различия в городском обществе, Новое в лингвистике, Выпуск VII, Социолингвистика, Москва, 1975.
А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва-Ленинград, 1938.
Льюис Г. Морган, Древнее общество, Москва, 1934.
А. Самойлович, Женские слова у алтайских турков, Язык и литература, 1929, том III.
Джон. Л. Фишер, синтаксис и социальная структура, Трук и Понапе, Новое В лингвистике, Выпуск VII, Социолингвистика, Москва, 1975.
W. Bright and A. K. Ramanujan, Sociolinguistic variation and language change; In: “Proceedings of the Ninth International Congress of Linguists”, The Hague, Mouton, 1964.
M. B. Emeneau, India as a linguistic area, Lg, 1956, 32.
O. Jespersen, Die Sprache, Heidelberg, 1925.

3.3.

Л. П. Крысин, Речевое общение и социальные роли говорящих, Социально-лингвистические исследования, Москва, 1976.
Р. Шор, Язык и обшество, Москва, 1926.
A. Delvau, Dictionnaire de la langue verte, 1876.

3.4.

თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1954.
პ. უმიკაშვილი, ქართული ხალხური სიტყვიერება, ოთხ ტომად, IV, თბილისი, 1964.
ბ. ფოჩხუა, ქართული ენის დიალექტოლოგია, თბილისი, 1974.
Б. А. Ларин, история русского языка и общее языкознание, Москва, 1977.
Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, Ленинград, 1930.
Э. Сепир, язык, Москва, 1934.
L. Sainean, Le langage parisien au XIX-e siecle, Paris, 1920.

3.5.

ზ. ჯაფარიძე, ენის ფონემური შედგენილობის დადგენისათვის, კრებული: „არნოლდ ჩიქობავას“, თბილისი, 1979.

3.7.

B. Bloch, A set of postulates for phonemic analysis, Language, 24, 1948.

3.8.

კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, თხზულებათა ათტომეული, ტომი მეხუთე, თბილისი, 1976.
ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბილისი, 1979.
Е. В. Верещагин, В. Г. Костомаров, Язык и культура, Москва, 1976 (3-е издание Москва, 1983).
Ч. Дарвин, собрание сочинений, том III, москва, 1908.
Г. В. Колшанский, Паралингвистика, Москва, 1974.
М. Узст, О практическом изучении английского языка как формы поведения, Методика преподавания иностранных языков за рубежом, Москва, 1967.
E.T. Hall, The silent language, New York, 1959.

3.9.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, II, ტექსტები, თბილისი, 1974.

თავი IV.

4.1.

ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
კითხვარი ქართული დიალქტოლოგიური ატლასის მასალისათვის, თბილისი, 1984.

4.2.

ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
М.А. Бородина, проблемы лингвистической географии, Москва-ленинград, 1966.
Немецкая диалектография, сборник статей, москва, 1955.
J. Gillieron et. E. Edmont, Atlas linguistique de la France, Paris, 1902-1910.
P. Meyer, Archivio glotologico italiano, diretto da G. J. Ascoli, t. III, N I; რეცენზია ნაშრომზე: G. J. Sacoli, Schizzi franco-provenzali, “Romania”, IV, 1875.
G. Wenker, Sprachatlas von Nord- und Mitteldeutschland, Zieferung I, Straβburg, 1891.
G. Wenker und F Wede, Der Sprachatlas des Deutschen Reiches, Dichtung und Wahrheit, Marburg, 1895.
ფ, კარგის დებულება ციტირებულია ნაშრომიდან: А.Бах,немецкаядиалектография, москва, 1955.

4.5.

ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, კრებული: „აკაკი შანიძეს“, თბილისი, 1981.
ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, იხ.: შრომები, I, თბილისი, 1967.
ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, თბილისი, 1940.
ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, I I (1–2), თბილისი, 1941.
ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, V (3), თბილისი, 1944.
ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
ქ. ლომთათიძე, ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ–კავკასიურ ენებში (ქართველურ–აფხაზურ–ადიღეურ ენათა მასალაზე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVI (10), თბილისი, 1955.
გ. როგავა, იბერიულ–კავკასიურ ენათა საერთო კუთვნილების თესვის აღმნიშვნელი ფუძე, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
გ. როგავა, ფარინგალურ ხმულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
გ. როგავა, დრო–კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
გ. როგავა, სიტყვათწარმოების საერთო საფუძვლისათვის ქართულსა და აფხაზურ–უხიბურ–ადიღეურ ენებში, I (ჩლიქი, ჩროქო, ქაჩაჩი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, I I(5), თბილისი, 1941; I I (ჭიქა, ჭირქა), ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I I, ქუთაისი, 1941; I I I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, I I(8), თბილისი, 1941.
გ. როგავა, ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემო–ადიღეურსა და ქართულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, I I, თბილისი, 1948.

გ. როგავა, ხშულთა ოთხეულებრივი სისტემისათვის კავკასიურ ენებში, საქრთველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV (8), თბილისი, 1948.
თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966.
ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I I, თბილისი, 1981.
არნ. ჩიქობავა, ერთი ძველი საერთო იბერიულ–კავკასიური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება VI, თბილისი, 1954.
არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბღუარი“ და „სამხარი“, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVIII, თბილისი, 1941.
არნ. ჩიქობავა, იბერიულ–კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965.
არნ. ჩქობავა, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979.
შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბილისი, 1979.
ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937.
ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ–ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950.
ს. ჯანაშია, თუბალ–თაბალი, ტიბარენი, იბერი; შრომები, III, თბილისი, 1959.
ს. ჯანაშია, სვანურ–ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები; შრომები, III, თბილისი, 1959.
ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში; შრომები, I I I, თბილისი, 1959.
В.И. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка I, Москва-Ленинград, 1958; II, Ленинград, 1973; III, Ленинград, 1979.
В.И. А б а е в , Осетинский язык и фольклор, Москва-Ленинград, 1949.
Г. С. Ахведиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, Тбилиси, 1960.
Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
Н. О. Гецадзе, Особенности ареального распределения лингвистических явлений в условиях языкового взаимодействия (на материале иберийско-кавказских языков), взаимодействия лингвистических ареалов, Ленинград 1980.
Ш. В. Дзидзигури, Опыт классификации диалектов грузинского языка, Тезисы диссертации на степень кандидата наук, Академия Наук СССР , 1935.
Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание, Москва, 1986.
Н. Я. Марр, Яфетические элементы в языках Армении. Известия Российской Академии Наук, С.-Петербург, 1911.
В. Миллер, Язык осетин, Москва, 1962.
А. Г. Шанидзе, границы классификации грузинских диалектов, Труды объединенной научной сессии Академин Наук СССР и академии наук Закавказских республик по общественным наукам, Баку, 1957.

П. Чарая, Об отношении абхазского языка к Яфетическому языкознанию, IV, С.–Петербург, 1912.
А. С. Чикобава, морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками. Известия Института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, Тбилиси, 1942.

4.6.

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945 (მეორე გამოცემა თილისი, 1983).
Н. С. Трубецкой, Мысли об индоевропейской проблеме, Избранные труды по филологии, Москва, 1987.
F. Bopp, Uber das Conjugationssystem der Sanskritsprache in Vergleichung mit jenem der griechischen, lateinischen, persischen und germanischen Sprache, Frankfurt am Main, 1816.
J. Grimm, Deutsche Grammatik, Erster Theil, 1819.
J. Grimm, Uber den Ursprung der Sprache, I, Berlin, 1864.
R. Rask, Undersogelse om det gamle Nordiske eller Jslandske Sprogs Oprin delse, kjobenhavn, 1818.

4.7.

A. Horning, Uber Dialektgrenzen im Romanischen, Zeitschrift… f. romanische Philologie, XVIII, 1893.
G. Paris, Les parles de France, Revue des partois gallo-romans. II, 1888.
H. Schuchardt, Vokalismus des Vulgarlateins, Leipzig, 1866-1869.
J. Schmidt, Die Heimatverhaltnisse der Indogermanen, Weimar, 1872.

თავი V.

5.1.

ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I I I, თბილისი, 1963.
გ. იმნაიშვილი, უმლაუტი ინგილოურში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XII, თბილისი, 1960.
რ. ღამბაშიძე, მყოფადის წრის მწკრივთა წარმოება ინგილოურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 67, თბილისი, 1957.

5.2.

შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათა, ქართული ოიკონიმები, ტოპონიმიკა– II, თბილისი, 1980.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, შრომები, III, თბილისი, 1979.

ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940.
ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფილისი, 1936 .
გ. როგავა, დრო–კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, ტომი II, თბილისი, 1973.
თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966.
მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა –იშ (|| –შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I II, თბილისი, 1980.
არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962.
ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.
ს. ჯანაშია, აფხაზეთის სამეფოს ისტორიიდან, შრომები, I I, თბილისი, 1952.
ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1960 (დამატება: „ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა“).
ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965.
ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ–ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950.
В. И. Абаев, О языковом субстрате, Доклады и сообщения Института языкознания Академии Наук СССр, IX, Москва, 1956.
Н. Я. Марр, история Грузи, С-Петербург, 1906; ср.: Н. Я. Марр, грамматика чанского (лазского) языка, С-Петербург, 1910.
Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и кларджетию, в книге: Георгий Мерчул, житие Св. Григория Хандзтийского, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, к. VIII, С-Петербург, 1911.
А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, москва-Ленинград, 1938.
U. Weinreich, Languages in contact, New York. 1953.
А. Г. Шанидзе, отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тианетский уезды Тиффлисской губернии для изучения грузинских говоров, Сочинения в двенадцаты томах, том II, Тбилиси, 1981.
G. Deeters, Gab es Nominalklassev in allen kaukasischen Sprachen? Corolla Linguistica, Festschrift F. Sommer, Wiesbaden, 1955.

5.4.

ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, I, თბილისი, 1967.
მ. მიქელაძე, ხმოვანთა რედუქცია ბაცბურ ენაში, მავნე (ენისა და ლიტერატურის სერია), თბილისი, N3, 1977.
მ. მიქელაძე, მეტყველების ნაწილები ნასესხობათა თვალსაზრისით (ბაცბურ–ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით), მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), თბილისი, N4, 1977.

მ. მიქელაძე, ქართული ენის გავლენით შეპირობებული ცვლილებები ბაცბური ენის არსებითი სახელის ბრუნების სისტემაში, საქართველოს სსრ უმაღლესი სასწალებლების ქართული ენის კათედრათა IX რესპუბლიკური სამეცნიერო–მეთოდური კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1981.

5.5.

მ. ალავიძე, ქართული დიალექტური ლექსიკიდან, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIV, ქუთაისი, 1962.
თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1980.
ფ. ერთელიშვილი, ლა– || ლე– პრეფიქსები ქართულში, მაცნე, თბილისი, N5, 1969.
ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, I, თბილისი, 1967.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XI I, თბილისი, 1960.
ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
გ. მაჭავარიანი, საერთო–ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965.
სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1965–1966.
გ. როგავა, ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემო–ადიღეურსა და ქართულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, I I, თბილისი, 1948.
გ. როგავა, ბგერათშესატყვისობათა დარღვევის შემთხვევებისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, X I I, თბილისი, 1960.
გ. როგავა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან (ქართ. რ : ზან. ჯ.), ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959.
გ. როგავა, პურ–ფუძის საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, X I I, N 108, თბილისი, 1951.
გ. როგავა, მარყუჟ სიტყვის გენეზისისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I I, თბილისი, 1961.
ზ. სარჯველაძე, ბგერათშესატყვისობა ქართული ლ : სვანური შ, კრებული: „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბილისი, 1969.
თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976.
მ. ქალდანი, კითხვითი, განსაზღვრებითი და გაძლიერებითი ნაწილაკები სვანურში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი, 1964.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვა ტომად, VIII, თბილისი, 1964.
ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
არნ. ჩიქობავა, ჭანურ–მეგრულ–ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.
არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I I, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1983.
ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.
ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937,

Т. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1984.
Т. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава Общекартвельского языка-основы, известия Отделения литературы и языка (ОЛЯ) Академии Наук СССР, XII выпуск, I, Москва, 1960.
Н. Я. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, Материали по яфетическому языкознанию, V, С.- Петербург, 1912.
Н. Я. Марр, К вопросу о ближайшем родстве армянского языка с яфетическими, ЗВО, XIX, 1909.
Х. Фенрих, К картвельской лексике, Этимология, Москва, 1980.
А. Цагарели, Мингрелские этюды, Выпуск II, Опыт фонетики мингрельского языка, С.-Петербург, 1880.
K. H. schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der sudkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.

თავი VI.

6.1.

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I I, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1983 (მეორე გამოცემა).
М. Мюллер, Наука о языке, Воронеж, 1868. M. Muller, Le science de langage, Paris 1876.
Г. Пауль, принципы истории языка, Москва, 1960.
H. Osthoff und K. Brugmann, Morphologische Untersuchungen auf dem Gebiete der indogermanischen Sprachen, Bd. I, Leipzig, 1878.

6.3

Фердинанд де Сосюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию. Москва, 1977.

6.4

Б. Гавранек, Задачи литературного языка и его культура, Пражский лингвистический кружок, Москва, 1967.

6.5

Л. Блумфилд, Язык, Москва, 1968.
Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, Москва, 1959.

6.6

Э. Сепир, Язык, Введение в изучение речи, Москва-Ленинград, 1934.

6.7

Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, Москва, 1978.

6.8

В. Даль,Толковый словарь великорусского языка, Том. I, Москва, 1981.
А. А. Шахматов, Очерк современного русского языка (издание 4-е), 1941.

6.9

Р. И. Аванесов, Очерки русской диалектологии, Часть первая, Москва 1949.
Русская диалектология, Под редакциейпрофР. И. АванесовиВ. Г. Орловой, Москва, 1965.
Русская диалектология, Под редакцией проф Н. А. Мещерского, Москва, 1972.

6.10

Н. Я. Марр, Яфетическая теория, Общий курс учения об языке, Избранные работы, II, Москва-Ленинград, 1934.
Н. Я. Марр, к бакинской дискуссии о яфетидологии и марксизме, Баку, 1932.

6. 11.

В. М. Жирмунский, Национальный язык и социальные диалекты, Ленинград, 1936.

6.12.

Л. Блумфилд, язык, Москва, 1968.
Новое в лингвистске, Выпуск VII, социолингвистика, Москва, 1975.

6.13.

მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906.
მ. ჯანაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი (დამატება: კაკ–ელი–სენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონში და ზოგი გადასხვაფერებით იხმარება), ტფილისი, 1896.

6.14.

ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I I, თბილისი, 1981.
Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку, См.: А. Г. Шанидзе, Сочинения в двенадцати томах, том I, Тбилиси , 1984.

6.15.

არნ.ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.
არნ. ჩიქობავა, ქართული დიალექტოლოგია და მისი ზოგი საზრუნავი, I I
რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1980.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I I I, თბილისი, 1963.
ვ. თფურია, ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნეობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, მაცნე , თბილისი, N2, 1965.

თავი VII.

7.1.

ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
ო. კახაზე, -ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.

7.2.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი, 1955.
ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
ზ. ჭუმბურიძე, –ავ და –ამ თემის–ნიშნიან ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი, 1976.

7.3.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.

7.4.

ვ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში, შრომები, I I I, თბილისი, 1979.
ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961.
Платон, Сочинения в трех томах, том I, москва 1968

თავი VIII

8.1.

ა. არაბული, დიალექტი და ხალხური პოეზია, III რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1981.
არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950.
А.В. десницкая, Наддиалектные формы речи и их роль в истории языка, ленинград, 1970.
Н. Я.Марр, Кавказская поэзия и ее технические основы в освещении лингвистической палеонтологии (по яфетической теории),ლიტერატურული ძებანი, III, თბილისი, 1946.
Типы наддиалектных форм языка, москва, 1981.

8.2.

უ. ვაინრაიხი, შესაძლებელია თუ არა სტრუქტურალური დიალექტოლოგია, მიმომხილველი, 4–5, თბილისი, 1968.

არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

8.3.

ლ. არდაზიანი, „Белый обзор 12 книжек журнала „заря“ с января по декабрь 1858 г.“ ნ. ბერძენოვისა, „ცისკარი“, N9, 1859.
დ. ბაქრაძე, წიგნი, მიწერილი თ. ალექსანდე ჯამბაკურ– ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“, „ცისკარი“, N8, 1860.
გაყრა, კომედია ქმნული თავადის გიორგი დავითის ძე ერისთოვისაგან და წარმოდგენილი ორჯელ თფილისის ღიმნაზიის ზალაში ამა წლის იანვრის თთუ9ში, 1850 (უძღვის პლატონ იოსელიანის წინასიტყვაობა).
ი. გიგინეიშვილი, სულხან–საბა ორბელიანის ენისათვის, საიუბილეო კრებული: „სულხან–საბა ორბელიანი“, თბილისი, 1959.
ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, თხზულებანი, ტომი 2, თბილისი, 1954.
დოკუმენტები თბილისის იტორიისათვის, I, თბილისი, 1962.
ვაჟა–ფშაველა, ენა (მცირე შენიშვნა), თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბილისი, 1961.
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1970 (იხ.: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები).
ვ. თოფურია, აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა, ლიტერატურული ძიებანი, II, თბილისი, 1944–1945.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.
ი. კერესელიძე, სარედაქციო წერილი, „ცისკარი“, N2, 1860.
ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბილისი, 1985.
ნ. ნიკოლაძე, „ივერიის პირველი ნომერი, იხ. კრებული: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1956.
გ. ორბელიანი, მგზავრობა სვანეთისაკენ გ.წ. (განხილვა), თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959.
სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1965–1966.
დიმიტრი ყიფიანი, რამდენიმე აზრი საქართველოს ისტორიის მასალებზე, „კავკაზი“, 1854, NN 30–33, 35, 37, 39.
დავით ყიდიანი, რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად, „საქართველოს მოამბე“, N3, 1863.
ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, საიუბილეო კრებული: „ილია ჭავჭავაძე“, თბილისი, 1939.
არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, II, ტფილისი, 1937.
არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი, 1972.
ა. წერეთელი, უბრალო საუბარი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი XIII, თბილისი, 1961.

ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი III, თბილისი, 1953.
ჯ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენის საკითხები 60–იანი წლების ქართულ კრიტიკაში, მწერლები და კრიტიკოსები, თბილისი, 1974.
ა. ჭყონია, იხ.: გაზეთი „შრომა“, N8, 1881.
ა. ჯამბაკურ– ორბელიანი, რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კომედიაზედ, „ცისკარი“, N9, 1857; მისივე: ქართული უბნობა ანუ წერა, „ცისკარი“, N6, 1860.
В.А. Авронин, проблемы изучения функцйиональной стороны языка, ленинград, 1975.
Вильгельм фон Гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества избранные труды По языкознанию, Москва, 1984.
Э. Гуссерль, Логические исследования, Часть первая, Пролегомены к чистой логике, С.- Петербург, 1909.
Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, С.- Петербург, 1855.
H. Holz, Spracheund Welt, Probleme der Sprachphilosopie, Frankfurt am Main, 1953.
L. Weisgerber, Grundzuge der inhaltbezogenen Grammatik, Dusseldorf, 1962.

8.5.

ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.
ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1986.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.
არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, N 2–3, ტფილისი, 1923.
არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი, 1927.
არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968.

არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, ტფილისი, 1934.
თავი IX.

9.1.

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II , ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1983 (მეორე გამოცემა).
В. И. Кодухов, Овщее языкознание, Москва, 1974.
M. Joos, Description of language design, Readings in linguistics, New York, 1958.

9.2.

Вильгельм фон Гумбольдт о различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества, Избранные труды по языкознанию, Москва, 1984.
Б. Кроче, Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика, I, Москва, 1980
Фердинанд де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва,1977.

K. Voßler, Positivismus und Idealismus in der Sprachwissenschaft, Eine sprachpholosophische Untersuchung, Heidelberg, 1904.

9.3.

სახარებაჲ მათწსი, იხ.: ქართული ოთხთავის ორი უძველესი რედაქცია, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945.
სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1965–1966.
გ. როგავა, დრო–კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1961.
Русская диалектология, подредакцией Р. И. Аванесоваи В.Г. Орловой, Москва, 1965.
Русская диалектология, под редакцией проф. Н. А. Мещерского, Москва, 1965

9.5.

ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბილისი, 1984.
თ. სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950.
არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.
არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმაარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950.
არნ. ჩიქობავა, იბერიულ–კავკასიური ენები და ზოგადი ენათმეცნიერება, იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, X, თბილისი, 1983.
კ. ჯორჯანელი, ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ, თბილისი, 1977.
E. Sapir, The status of linguistics as science, Language, vol. 5. 1929.

9.6.

შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები, ტოპონიმიკა–II, თბილისი, 1980.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ა. კობახიძე, კნინობითის წარმოება რაჭულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XIII, თბილისი, 1962.
მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბილისი, 1964.
ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, ტომი I, 955; ტომი II, 1959.

9.7.

გ. გეგეჭკორი, ციხე–სახლები საქართველოში, საქართველოს ისტორიულ–ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი, თბილისი, 1986.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.

ა. რობაქიძე, ქართულ ხალხურ ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები, საქართველოს ისტორიულ–ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი, თბილისი, 1986.
Г. С. Читаиа, Полеводство, см.: Народы Кавказа, II (Народы Грузинской Советской Социалистической Республики), Москва, 1962.

თავი X.

10.1.

ქართული ხალხური პოეზია, ტომი პირველი, მითოლოგიური ლექსები, ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1972.
მ. ჩიქოვანი, ქართული მითოლოგია და ხალხური პოეზია; იხ.: ქართული ხალხური პოეზია, ტომი პირველი, თბილისი, 1972 (იხ. აგრეთვე იქვე: ნაწილი მეორე, შენიშნვები და ვარიანტები).
ა. ჭინჭარაული, ქართული ხალხური პოეზიის პირველი ტომი, „ლიტერატურული საქართველო“, 1973, N34 (31 აგვისტო).

10.2.

გ. ბარათოვი, წერილი რედაკტორთან, „ცისკარი“, N5, 1861.
დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1962.
მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, III, ნაწილი I, თბილისი, 1983.
პ. მირიანიშვილი, ქალაქმა რა დააშავა? „ივერია“, N208, 1900.
ნაკვეთი მეორე: ქართული ენის დიალექტების სისტემური აღწერა

თავი I.

1.2.

არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

1.3.

ვ. თოფურია, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, ტფილისი, 1928.
ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, I, თბილისი, 1967.
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.

1.4.

ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
Н. Я. Марр, Грамматика чанского (дазского) языка, С.- Петербург, 1910.

G. Dumezil, Documents Anatoliens sur les Langues et les raditions du Caucase, IV, Recits lazs, Paris, 1967.
G. Rosen, Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung uber das Mingrelische, Suanische und Abchasische , Berlin, 1946 (იხ. მონაკვეთი: Uber das Mingrelische, Suanische und Abschasiche).

თავი II.

2.1.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931.
ა. არაბული, მახვილი ხევსურულ დიალექტიკაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981.
ა. არაბული, მესამე ხოლმეობითი ხევსურულში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1978.
ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობითის წარმოების ზოგადი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, თბილისი, 1977.
ბ. გაბუური, ხევსურული მასალები,პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, ტფილისი, 1923-1924.
თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
დ. გეწაძე, გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 1952.
ი. გიგინეიშვილი, ქ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუბნიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბილისი, 1984.
ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა-1, თბილის, 1976.
ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.
თ. უთურგაიძე., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931.

ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა კრებული, თბილისი, 1947.
არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულ ენებში, თბილისი, 1942.
ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.

2. 3.

ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობითის წარმოების თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, თბილისი, 1977.
ი. გიგინეიშვილი, ე. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1963.
გ. გოგატიშვილი, ფორმათწარმოების ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურებისათვის ფშაურში, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1975.
თ. გოგოლაური, ფშაური კილოს თავისებურებანი, მაცნე, 1978, N 3.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი V, თბილისი, 1961.
ს. მაკალათია, ფშავი, თბილისი, 1985.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.
ა. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბილისი, 1969.

2. 4.

ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობითის წარმოების ზოგადი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, თბილისი, 1977.
ი. გიგინეიშვილი, ე. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
გ. კურდღელაიძე, თუშეთი, თბილისი, 1983.
ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, იხ. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილის, 1955.
ს. მაკალათია, თუშეთი, თბილისი, 1983.
თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960.
თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966.
თ. უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 1983.

თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986.
თ. უთურგაიძე, კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XV, თბილისი, 1966.
თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976.
ა. შავხელიშვილი, თუშეთი, თბილისი, 1987.
ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965.
გ. ცოცანიძე, თუშური ხოლმეობითის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970.
გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბილისი, 1987.
პ. ხუბუტია, წ ნაწილაკისათვის მთათუშურში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, თბილისი, 1941.
პ. ხუბუტია, თუშური კილო (ლექსიკა), თბილისი, 1969.
Ю. Д. Дешериев, Байбийский язык, языки народов СССР, том IV, иберийско-кавказские языки, Москва, 1967.

2.5.

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქათლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თილისი, 1971.
სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1965–1966.
ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949.
ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.
ი. ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX-B, თბილისი, 1949.
მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი, 1969.
ქართლის ცხოვრება, ტომი II, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანითრმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1983.

2.6.

ნ. ბექაური, გუდამაყრულის თავისებურებანი, თბილისის სახელმწიფ ოუნივერსიტეტის სტუდენტთა XV სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1953.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967.
ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბილისი, 1978.
მ. კობაიძე, მთიულური დიალექტის ზოგიერთი თავისებურება (სადიპლომო ნაშრომი), თბილისი, 1982.
მ. კობაიძე, მახვილი ქართული ენის მთიულურ დიალექტში და ხმოვანთა სისტემის ჩამოყალიბების ზოგიერთი საკითხი, ნარკვევები იბერიულ–კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.
მ. კობაიძე, ბრძანებითი კილო მთიულურ დიალექტში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 1983.
ქართლის ცხოვრება, ტომი II, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959,.
არნ. (ბენედიქტე) ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IV, ტფილისი, 1924,
არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, II, ტფილისი, 1937.
H. Schuchardt, uber das Georgische, Wien, 1895.
თავი III.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
თ. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი, 1972.
თ. ზურაბაშვილი, ემფატიკური –ა ახალ ქათულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956,
ვ, თოფურია, ქართლური, არილი, ტფილისი, 1925.
ვ. თოფურია, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში (მასალები დიალექტოლოგიისათვის), ჩვენი მეცნიერება, 2(14), ტფილისი, 1924.
გ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი, 1952.
გ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VIII , თბილისი, 1956.
გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტის ნაირსახეობანი, იბერიულ–კავკასიური ენათეცნიერება, IX-X, თბილისი, 1958.
გ. იმნაიშვილი, ქვემოქართლურის ზოგიერთი თავისებურებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები , II, თბილისი, 1961.

გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.
ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი, 1952.
ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტური მასალები, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970.
თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი, 1978.
ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968.
ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.
ა. ღლონტი, ნ–ს პროცესები დირბულში, ფილოლოგის ჩანაწერები, თბილისი, 1980.
ა. ღლონტი, ემფატიკურხმოვნიანი გენეტური მსაზღვრელი ქართლურში, ფილოლოგის ჩანაწერები, თბილისი, 1980.
ა. ღლონტი, გრძელი ა–ს საკითხისათვის ქართლურში, ფილოლოგის ჩანაწერები, თბილისი, 1980.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
გ. შატბერაშვილი, ჭაშნიკი, თბილისი, 1964.

3.3.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ა. გვენცაძე, თ. ბერიაშვილი, მასალები ქართული ენის კახური დიალექტის ლექსიკონისათვის, თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი–თელავი, 1960.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იბერილ–კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი, 1952.
ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.
ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თილისი, 1943.
ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თილისი, 1955.
გ. შალამბერიძე, კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VII , თბილისი, 1955.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულე-ბანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
არნ. ჩიქობავა, გარე–კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, თბილისი, 1925.
არნ. ჩიქობავა, ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში, ენის, ისტორიისა და მატრიალური კულტურის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1937.

3.4.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.
გ. იმნაიშვილი, ერთი თანდებულის გენეზისისათვის ინგილოურში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი, 1964.
გ. იმნაიშვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
გ. იმნაიშვილი, ინგილოურის ბგერითი შედგენილობა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
გ. იმნაიშვილი, ინგილოურის მთავარი სინტაქსური თავისებურებანი, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XI, თბილისი, 1959.
გ. იმნაიშვილი, პირველი თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა წარმოება ინგილოურში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი, 1955.
გ. იმნაიშვილი, უმლაუტი ინგილოურში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
მ. კიკონიშვილი, –ი ელემენტის ერთი ფუნქციისათვის ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 1983.
ნ. როსტიაშვილი, ინგილოურის ძირითადი თავისებურებანი სოფელ კაკის მეტყველების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, N8, თბილისი, 1958.
ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978.
რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო (ტექსტები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX – XXXI-B, თბილისი, 1947.
რ. ღამბაშიძე, მყოფადის წრის მწკრივთა წარმოება ინგილოურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 67, თბილისი, 1957.
რ. ღამბაშიძე, სამაგიერო სიგრძე ინგილოურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი XIV, N2, თბილისი, 1953.
რ. ღამბაშიძე, მყოფადის წარმოების ზოგი თავისებურება ინგილოურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1958.
რ. ღამბაშიძე, მეტათეზისის ერთი შემთხვევისათვის ინგილოურში, X რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის თეზისები, თბილისი, 1988.
გ. ჩანგაშვილი, საინგილო, თბილისი, 1970.
არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტომი VII, ტფილისი, 1927.
არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962.
მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, ტომი II, ტფილისი, 1911–1813.
მ. ჯანაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი (დამატება: კაკ–ელისენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონში და ზოგი გადასხვაფერებით იხმარება), ტფილისი, 1896.
В. Т. Джангидзе, Ингилойский диалект в Азербайджане, Тбилиси, 1978.
А. Г. Шанидзе, Джанашвили М. Г., Сайнгило (рецензия), записка Восточного отделения Императорского Русского Общества, Том XXII, выпускIII-IV, Тифлис, 1915.

3.5.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
მ. თოდუა, ქართულ–სპარსული ეტიუდები, II, თბილისი, 1975.
ვ. თოფურია, ნიმუში ფერეიდანის ქართული ენისა, გაზეთი „ლომისი“, N 16, 1922.
გ. იმნაიშვილი, უმლაუტი ინგილოურში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII, თბილისი, 1985.
თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში (ქართული ენის კახური დიალექტის ფერეიდნული კილოკავის მასალაზე), ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981.
თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ, გიუნაშვილი, ფერეიდნული ტექსტები, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII, თბილისი, 1985.
ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბილისი, 1969.
არნ. ჩიქობავა, ვ–ინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, 2–3, ტფილისი, 1923.
არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტომი VII, ტფილისი, 1927.
არნ. ჩიქობავა, –ყე ნაწილაკი ფერეიდულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა–ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, ტფილისი, 1923–1924.
ა. ჭელიძე, ექვსი წელი სპარსეთში, თბილისი, 1964.

თავი IV.

4.1.

გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი, 1988.
გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981.
მ. ბერიძე, თემის ნიშნები ქართული ენის მესხურ დიალექტში, ნარკვევები იბერიულ–კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.
მ. ბერიძე, კავშირებითის წარმოების ერთი თავისებურებისათვის მესხურში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 1983.
მ. ბერიძე, ქართული ენის მესხური დიალექტის ფონეტიკის საკითხები (სადიპლომო ნაშრომი), თბილისი, 1982.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1942.
ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი, 1954.

ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბილისი, 1950.
ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.
სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი IV, თბილისი, 1965–1966.
ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.
შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
К. Д. Дондуа, Месхский говор грузинского языка; იხ.: კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, I, თბილისი, 1967.

თავი V.

5.1.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

5.2.

მ. ალავიძე, ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1957.
დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), ქუთაისი, 1925.
ვ. ბერიძე, სიტყვის–კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.–პეტერბურგი, 1912.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961.
ა. კობახიძე, კნინობითის წარმოება რაჭულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XIII, თბილისი, 1962.
ა. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თილისი, 1987,
რ. ლანდია, ერთი ფონეტიკური მოვლენისათვის გლოლურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალ გაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა თეზისები), თბილისი, 1985.
ს. მაკალათია, მთის რაჭა, ტფილისი, 1930 (მეორე გამოცემა: თბილისი, 1987).
გ. როგავა, დრო–კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
ლ. ფრუიძე, რაჭა ეთნოგრაფის თვალით, თბილისი, 1986.
ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1981.

შ. ძიძიგური, რაჭული დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
შ. ძიძიგური, მახვილისა და ინტონაციის შესწავლისათვის ქართულ დიალექტებში, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
შ. ძიძიგური, ლოგიკური სუბიექტის რიცხვის დიალექტური ვარიაციები ქართულში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტომი I, N 2, თბილისი, 1940.
შ. ძიძიგური, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური პრეფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით, ენის, ისტორიისა და მატერიალრი კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940.
რ. ჭელიძე, შ. ჭელიძე, რაჭა, თილისი, 1971.

თავი VI.

6.1.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

6.2.

მ. ალავიძე, ოკრიბული ლექსიკონი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950–1951.
გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თილისი, 1949.
ლ. ბარამიძე, გარდაუვალ ზმნათა ერთი ტიპის აღწერითი ფორმების შედგენილობისათვის ქართული ენის დასავლურ კილოებში, მაცნე (ენისა და ლიერატურის სერია), თბილისი, 1977, N1.
ვ. ბერიძე, სიტყვა–კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.–პეტერბურგი, 1912.
პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ–ზეგნური მეტყველება, იბერიულ–კავკასიური ენათეცნიერება, VIII, თბილისი, 1956.
პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი პატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქრთველოს, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV, ბუნებრივი კომპლექსებისათვის, შრომები, III, თბილისი, 1979.
ო. კახაძე, –ა–ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულშ, იბერიულ–კავკასიური ენათეცნიერება, V, თბილისი, 1953.
ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იბერიულ–კავკასიური ენათეცნიერება, VI, თბილისი. 1954.
კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959.

კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985.
ლ. ლეჟავა, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, თბილისი, 1958.
ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი, 1964.
ლ. ნოზაძე, კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის ზემოიმერულში, იბერიულ–კავკასიური ენათეცნიერება, XXV, თბილისი, 1986.
გ. როგავა, დრო–კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
ვ. ფანჩვიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, N 10,თბილისი, 1945.
ვ. ფანჩვიძე, ქართული ენის იმერული კილო (საკანდიდატო დისერტაციის თეზისები), ტფილისი, 1938.
ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის; I, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963; II, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974; III(იმერული ლექსიკონის მასალები), იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XXV, თბილისი, 1986.
ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის დიალექტებში,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVI, თბილისი, 1987.
შ. ძიძიგური, ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
ქ. ძოწენიძე, უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში, იბერიულ–კავკასიური ენათეცნიერება, XIV, თბილისი, 1964.
ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები), თბილისი, 1973.
ქ. ძოწენიძე, ზეწმოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.
ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა,I , გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბილისი, 1938,
პ. ჯაჯანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, ქუთაისი, 1949.
პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, ქუთაისი, 1949; X, ქუთაისი, 1950–1951.
С. Быховская, некоторые фонетические особенности нижнеимерского говора грузинского языка, Яфетический сборник, VI, Леннинград, 1930.
Ш. В. Дзидзигури, К характеристике нижнеимерского говора грузинского языка, сборник: Памяти академика Н. Я.Марра (1864-1934), Москва-Ленинград, 1938.

6.3.

მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 1951.
მ. ალავიძე, მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, ქუთაისი, 1949.
მ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, ქუთაისი, 1941.

მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბილისი, 1938.
მ. ალავიძე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1958.
დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, თბილისი, 1983.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
კ. კაკიტაძე, ქართული ენის ლეჩხუმური დიალექტი (რაჭულთან და იმერულთან მიმართებით), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1987.
კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, ობილისი, 1985.
ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1938.
გ. როგავა, დრო–კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
მ. ქალდანი, კითხვითი, განსაზღვრებითი და გაძლიერებითი ნაწილაკები სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი, 1964.
მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა –იშ(||–შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
მ. ჩიქოვანი, ხმოვანთა ზოგიერთი თავისებურება ლეჩხუმურში, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, ტფილისი, 1936.
მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, ტფილისი, 1941.
მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი, 1949.
შ. ძიძიგური, ლეჩხუმური დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი, 1983.

თავი VII.

7.1.

გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში, შრომები, III, თბილისი, 1959.
ს. ჯანაშია, სვანურ–ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, თბილისი, 1959.

ს. ჯანაშია, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის, ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტფილისი, 1935.

7.2.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
ი. გიგინეიშვილი, რუსუდანიანი (შესავალი წერილი), რუსუდანიანი, თბილისი, 1957.
ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი, 1973.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
გ. იმნაიშვილი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ, მაცნე, 6(33), თბილისი, 1966.
ო. კახაძე, –ა–ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.
გ. კვერენჩხილაძე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბილისი, 1941.
მ. კობალაძე, გურულის ფონეტიკური და მორფოლოგიურ–სინტაქსური თავისებურებანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 8, თბილისი, 1958.
კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959.
ლ. ლეჟავა, შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი, 1964.
ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1938.
ქ. ლომთათიძე, დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
ქ. ლომთათიძე, პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში, V რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1983.
ქ. ლომთათიძე, „ერთი“ რიცხვითი სახელის ისტორიისათვის ქართველურსა და აფხაზურ–ადიღურ ენებში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, XIII, თბილისი, 1962.
ი. მეგრელიძე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1937.
ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფილისი, 1936.
ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940.

ზ. სარჯველაძე, ზანიზმები გურულში, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, თბილისი, 1965.
ბ. ფოჩხუა, თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, თბილისი, 1939.
ი. ქავთარაძე, ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები „მნათობი“, თბილისი, 1959, NN, 6, 7, 8.
ა. ღლონტი, დიალექტური ლექსიკა მწერლის თხზულებაში, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი–სტალინირი, 1959.
ა. ღლონტი, ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები გურულში, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, ტფილისი, 1936.
ა. ღლონტი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის გურულში, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, ტფილისი, 1936.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1981.
გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი, 1938.
არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
მ. ძიძიშვილი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, თბილისი, 1958.
პ. ჯაჯანიძე, გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, ქუთაისი, 1956.
პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბილისი, 1977.
პ. ჯაჯანიძე, ნაწევარი გურულსა და აჭარულში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1958.
პ. ჯაჯანიძე, ხოლმეობითის გადმონაშთებისათვის გურულში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.
პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტის ფონეტიკის საკითხები, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXXI, ქუთაისი, 1968.
П. П. Джаджанидзе, Гурийский диалект в отношении к аджарскому, Автореферат докторской диссертации, Тбилиси, 1970.
К. Д. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском, Статьи по общему и кавказскому языкознанию, Ленинград, 1975.
И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, Москва-Ленинград, 1938.
Н. Л. Сабашвили, Гурийская диалектная лексика в грузинской прозе, Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1954.
R. Bleichsteiner, Beitrage zur Sprach- und Volkskunde des georgischen Stammes der Gurier, Caucasica, 7, 9, Leipzig, 1931

7.3.

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თილისი, 1949.
დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

გ. გოგოლაშვილი, დრო–კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი, 1984.
ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი, 1973.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ზ. თანდილავა, ფოლკლორულ–დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1958–1982 წწ. მოკლე ანგარიში), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბილისი, 1983.
ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი, 1986.
კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959.
კ. კუბლაშვილი, დიფთონგიზაცია აჭარულში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIV, ქუთაისი, 1962.
ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1938.
ქ. ლომთათძე, პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში, V რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1983.
ვ. მგელაძე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973.
ი. მეგრელიძე, დამატებითი ცნობები, იხ. ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972.
ს. მენთეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, II, ტფილისი, 1937.
ა. მსხალაძე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954.
შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ნარკვევები და ჩანაწრები, II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972.
ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათმი, 1972.
ნ. ნოღაიდელი, მასალები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონისათვის, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი, 1976.
ი. სიხარულიძე, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ) წიგნი I, ბათუმი, 1958; წიგნი II, ბათუმი, 1959.
ნ. სურმავა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი, 1971.

ნ. სურმავა, მერისის ხეობის დარგობრივი ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბილისი, 1979.
ნ. სურმავა, სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბილისი, 1983.
ნ. სურმავა, სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი, 1986.
ტ. ფუტკარაძე, მსაზღვრელ–საზღრულის ბრუნებისათვის სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (აჭარულში, გურულში, მესხურ–ჯავახურში, იმერხეულში), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბილისი, 1987.
ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1964.
მ. ქამადაძე, სუფიქსური წარმოება ზემო აჭარის ტოპონიმიაში, აჭრული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, III, თბილისი, 1981.
მ. ქამადაძე, ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები ზემო აჭარაში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბილისი, 1987.
მ. ქამადაძე, გეოგრაფიულ სახელთან თანდებულის გამოყენება და სადაურობის წარმოება ზემოაჭარულში, VI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1984.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1980.
მ. ცინცაძე, კირნათ–მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954.
მ. ხუბუა, ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, ბათომი, 1932.
პ. ჯაჯანიძე, აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, ქუთაისი, 1960.
პ. ჯაჯანიძე, აჭარული ლექსიკონის მასალები, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIII, ქუთაისი, 1961.
П. П. Джаджанидзе,Гурийский диалект в отношений к аджарскому (Автореферат докторской диссертации), Тбилиси, 1970. Т. А. Путкарадзе, Особенности формообразования имен в юго-западных диалектах грузинского языка (Автореферат кандидатской диссертации), Тбилиси, 1987.

7.4.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
გ. გოგოლაშვილი, დრო–კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი, 1984.
ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა–ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.
ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960.
ვ. თფურია, ქათველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.

პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.
შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, см.: Георгий Мерчул, Житие Св. григория Хандзтийского, Тексты и разыскания по армяно- грузинской филологии, VII, С.-Петербург,1911.